АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

СОЧИНЕНИЯ
В ДВЕНАДЦАТИ
ТОМАХ

ТОМ

II

1983 . ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

თხზულებანი
თორმეტ
ტომად

ტომი

I I

თ ბ ი ლ ი ს ი . 1983

9 (C 41)
9 (47. 922) + 90 (47. 922)
ჯ 145

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა
12 - ტომეულის მთავარი სარედაქციო
კოლეგია:

დ. ჩხიკვიშვილი (მთავარი რედაქტორი),
ა.ბარამიძე, ვ.ბერიძე, ვ.გაბაშვილი,
თ. გამყრელიძე, პ. გუგუშვილი,
ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, ქ. ლომთათიძე,
მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი,
ა. სურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე,
ა. ჩიქობავა, გ. ჩიტაია, შ. ძიძიგური,
ა. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის
მდივანი მ. ინასარიძე

II ტომი შეიცავს "ქართველი ერის ისტორიის" II წიგნს, მასში თანმიმდევრულადაა გადმოცემული VII-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიული თავგადასავალი.

"ქართველი ერის ისტორიის" წინამდებარე გამოცემას დართული აქვს დამატებანი, რომელიც 1948 და 1965 წლების გამოცემებში იყო დაბეჭდილი. დამატებათა შინაარსი მრავალნაირად უკავშირდება XI-XII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის საკითხებს.

ტომის რედაქტორი **ვალერიან გაბაშვილი**

გამომცემლობა "მეცნიერება", 1983

რედაქტორისაგან

"ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნი შეიცავს VII-XII სს. საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, მასში თანმისდევრულადაა გადმოცემული არაბთა ბატონობის ხანა (VII-X სს.), საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორია (IX-XII სს.), თურქ სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის პერიოდი (XI ს. მეორე ნახევარი და XII ს. დამდეგი), საქართველოს წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევა XII საუკუნეში.

VII-XII სს. საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა პირველად ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო შესწავლილ-გამოკვლეული და ქვეყნის მთელი თავგადასავალი კომპოზიციურად ერთ წიგნად გაერთიანებული.

ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ემყარებოდა ქართულ-უცხოურ წყაროებს, ორიენტალისტიკურ-ბიზანტინოლოგიურ ლიტერატურას, საკუთარ მონოგრაფიულ გამოკვლევებს. VII-XII სს. საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დადგენილია და ამეტყველებული ქართული, სომხური, ბერძნული, არაბული და სპარსული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. პირველად ივ. ჯავახიშვილმა შეძლო VII-XII სს. საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად მთლიანი სურათის აღდგენა, მაგრამ ამავე დროს სათანადოდ იყო გათვალისწინებული ქართული ისტორიოგრაფიის ის მიღწევები (ძირითადად ქართული წყაროების პუბლიკაციის ხაზით), რაც მისი მოღვაწეობის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. "ქართველი ერის ისტორიის" 1908 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: "ქართველი ერის ისტორიაში" ყველა ჩვენის წარსულის დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ არ მოიპოვება ცნობები, არამედ შეტანილია ის, რაც თანამედროვე ცოდნისა და კვლევა-ძიების მიხედვით გამორკვეულად უნდა ჩავთვალოთ. შემდგომში, როცა ქართველი ხალხის წარსულის შესწავლა დაწინაურდება, ჩვენ ისტორიასაც ამ მხრივ მეტი სისრულე დაეტყობა".

ივ. ჯავახიშვილი თანამოზიარე იყო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევებისა, მოესწრო ინტენსიურ არქეოლოგიურ გათხრებს მცხეთა-არმაზში, აღნიშნა ახალი არქეოლოგიური მასალის მოპოვების მნიშვნელობა, რამაც, მისი სიტყვით, დღის წესრინში დააყენა საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის ახლებურად შესწავლის თუ ზოგიერთი ძველი დებულების გადასინჯვის საჭიროება.

ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით გამოქვეყნდა "საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე" (ს. ჯანაშიას რედაქციით გამოქვეყნებული ეს წიგნი სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა), VII-XII სს. საქართველოს პოლიტიკური ისტორია, მისი ისტორიული თავგადასავალი აისახა ნ. ბერძენიშვილის რედაქციით დაბეჭდილ "საქართველოს ისტორიის" რამდენიმე გამოცემაში (მაკეტი, სახელმძღვანელო…), VII-X სს. საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას შეიცავს "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II წიგნი, ხოლო III წიგნი, რომელშიაც XI-XIII სს. საქართველოს ისტორიაა გადმოცემული, იბეჭდება.

ყველა ამის გამო, "ჩვენ ისტორიასაც მეტი სისრულე" დაეტყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, გასაკეთებელ-გამოსარკვევი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შემდგომ შესწავლაში ივ. ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორია" კვლავინდებურად მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებს.

"ქართველი ერის ისტორიის" II წიგნის ღირსება-ნაკლოვანებების აღნიშვნისას ივ. ჯავახიშვილი წერდა: მკითხველი "დაინახავს, რომ ბევრი რამ ჯერ გამოურკვეველია და ბევრი რამ ჯერ შეუძლებელი იყო სასურველი სისრულით და სიღრმით ყოფილიყო შესწავლილი".

ივ. ჯავახიშვილი სისტემატურად უბრუნდებოდა "ქართველი ერის ისტორიას" მისი შევსება-გაფართოების მიზნით. სხვადასხვა დროს მისთვის დართული წინასიტყვაობებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ჰქონდა მას განზრახული, მაგალითად "ქართველი ერის ისტორიის" II წიგნის ახალი გამოცემა საერთო კომპოზიციისა და მასალის განაწილების თვალსაზრისით, მაგრამ განზრახულის სისრულეში მოყვანა მან, როგორც ჩანს, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლო. საფუძვლიანად შევსებულ-გადამუშავებული I წიგნისაგან განსხვავებით II წიგნი ამ მხრივ ძირითადად მთლიანად ხელუხლებელი დარჩა.

ივ. ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნი რამდენიმეჯერ გამოიცა: 1914 წელს (პირველ წიგნთან ერთად), 1948 წელს და 1965 წელს.

“ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნის ყველა მომდენო გამოცემა ქვეყნდებოდა 1914 წლის გამოცემის იმ ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც დარჩა ივ. ჯვახიშვილის ბიბლიოთეკაში.

1948 წლის გამოცემის რედაქტორები თავიანთ წინასიტყვაობაში აღნიშნავდნენ, რომ “ამ ეგზემპლარში ავტორს არ შეუტანია არავითარი, ძირითადი ხასიათის ცვლილება; მას მხოლოდ: ა) გაუსწორებია კორექტურული შეცდომები და ბ) რამდენსამე ადგილას დაურთავს ცალკე ფურცელზე დაწერილი ჩასამატებელი მასალა მითითებით პირველი გამოცემის იმ გვერდებისა, რომლებსაც მიეკუთვნება ეს ჩასამატებელი მასალა” (გვ. 1).

რედაქტორებს (სიმ. ყაუხჩიშვილსა და ალ. ჯავახიშვილს) ამ ჩამატებული მასალის შინაარსი (გვ. 1). მითითებული აქვთ “ქართველი ერის ისტორიის” 1948 წლის გამოცემის გვერდების აღნიშვნით. მათვე აღნიშნული აქვთ, რომ “სხვა არავითარი მასალა არ აღმოჩნდა ავტორის სამუშაო ეგზემპლარში; არ აღმოჩნდა არც I-VII საუკუნეების “მწერლობის, ხელოვნებისა და ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა”, რომელიც ავტორს სურდა პირველი წიგნიდან მეორეში გადმოეტანა, და ამგვარად, ეს მიმოხილვა არც პირველ წიგნში შევიდა და არც მეორეში” (გვ. 2).

ავორის მიერ ცალკე ფურცლებზე დაწერილი ჩასამატებელი მასალა გათვალისწინებულია “ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნის წინამდებარე მეოთხე გამოცემაშიც. ახალი გამოცემაც ძირითადად 1914 წლის გამოცემას ეყრდნობოდა და იმეორებს.

საზოგადოდ “ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნის ყველა გამოცემა იბეჭდებოდა იმ სახით, როგორც იგი დაბეჭდილი იყო 1914 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, “ქართველი ერის ისტორიის” პირველი წიგნისაგან განსხვავებით მეორე წიგნს არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია.

ვიცით მხოლოდ, რომ ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა “ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნის საფუძვლიანი შევსება-გაფართოება აპირებდა კიდეც გადამუშავებული სახით მის გამოცემას “1928 წლის მომდევნო წლებში, მაგრამ ეს განზრახვა მას სისრულეში არ მოუყვანია” (გვ. 1).

მაგალითად, ავტორს განზრახული ჰქონდა ცალკე წიგნად დაეწერა “ქართველი ერის ისტორიის შესავალი”, რომელშიაც საქართველოს, კავკასიისა და მცირე აზიის ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტური პრობლემები უნდა ყოფილიყო განხილულ-შესწავლილი (ნაწილი ამ პრობლემებისა განხილულია გამოცემაში “ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი მეორე”, თბ., 1937). “შესავალშივე”უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი “საქართველოს საისტორიო გეოგრაფია”, რომელიც წინ უძღვის “ქართველი ერის ისტორიის” მეორე წიგნის ყველა გამოცემას.

ჯერ კიდევ 1914 წლის გამოცემის შინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: “მეორე წიგნს, რომელიც VII-XII სს. ისტორიას შეიცავს წინ უძღვის მეტად ვრცელი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. მე კარგად ვგრძნობ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა მთელი ეს თავი და პირველ წიგნის პირველი თავისავე II ნაწილი, რომელიც აგრეთვე ამავე საგანს ეხება (ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა, გვ. 20-60) “საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის”სახელით ცალკე წიგნად ყოფილიყო გამოქვეყნებული, მაგრამ რაკი

ეხლა ეს ვერ მოხერხდა, ამიტომ სხვა გზა არ არსებობდა და ისევ ამ თხზულებაში ჩავურთე".

ამ განზრახვის შესრულება ივ. ჯავახიშვილმა გვიანაც მოინდომა.

1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ავტორი ფიქრობდა "საქართველოს სისტორიო გეოგრაფიის" მეორე წიგნიდან ამოღებას და მის "ქართველი ერის ისტორიის შესავალში" დაბეჭდვას (გვ. IX), მაგრამ მისი ეს განზრახვაც შეუსრულებელი დარჩა. ამიტომ 1948 და 1965 წლის გამოცემებში რედაქტორებმა მიზანშეწონილად ცნეს საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვის "ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნის ახალ გამოცემაშიც დატოვება, ამავე მოსაზრებით დატოვებულია ეს მიმოხილვა წინამდებარე გამოცემაშიც, მით უმეტეს რომ ის ამოღებული არ არის "მეორე წიგნის ძველი გამოცემის საავტორო ეგზემპლიარშიც" (გვ. 2, შენ. 1), რა თქმა უნდა, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შემცველი თავის დაბეჭდვის საკითხი სულ სხვანაირად დადგებოდა, რომ ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლობა მისცემოდა მისი "ქართველი ერის ისტორიის" შესავალ ნაწილში დაბეჭდვა, ცალკე მონოგრაფიულ გამოკვლევად გამოქვეყნება.

"ქართველი ერის ისტორიის"არც 1948 წლის და არც 1965 წლის გამოცემაში რედაქტორებს არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შეუტანიათ, შესწორებულია მხოლოდ ძველ გამოცემებში გაპარული კორექტორული შეცდომები, მართლწერის თვალსაზრისით ზოგი რამ გამართულია იმ ნორმების მიხედვით, რომელთაც თვით ავტორი იზიარებდა და ახორციელებდა თავის მერმინდელ ნაწერებში, გამოცემას დაერთო "საძიებლები" (პირთა, ეთნიკური და გეოგრაფიული სახელებისა), სქოლიოებში გადატანილია ლიტერატურის მითითებები, რომლებიც პირველ გამოცემაში შიგ ტექსტშია ჩართული (ტექსტში დარჩა მხოლოდ მითითებები, რომლებიც "ქართლის ცხოვრებაშია" შესული). ყოველივე ეს უცვლელადაა გამეორებული წინამდებარე გამოცემაშიც.

"ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის ახალი გამოცემისაგან განსხვავებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ 1948 და 1965 წლების გამოცემათა რედაქტორების დამატებების დატოვებაც.

1965 წლის გამოცემას დართული აქვს ორი დამატება. პირველი დამატებაა "მოკლე მიმოხილვა XI- XII სს. ისტორიისა" (გვ. 319-335), "საქართველოს სოციალური და კულტურული ვითარება" XI- XII საუკუნეებში. (გვ. 335-346), "საქართველო, ვითარცა მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე და უძლიერესი სახელმწიფო" (გვ. 347-385), "საქართველოს კულტურული ვითარება მეთორმეტე საუკუნეში" (გვ. 386-394), დამატება მეორე: "სახელმწიფო და სოციალური წყობილება და კულტურა X- XI სს. საქართველოში" (გვ. 395-408), "საქრთველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნის დასაწყისამდე" (გვ. 409-421).

აღნიშნული დამატებანი დართული აქვს წინამდებარე გამოცემასაც, რადგან მათი შინაარსი მრავალნაირად უკავშირდება XI-XII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის საკითხებს.

წინამდებარე გამოცემაში ტექსტი შედარებულია დედნის ხელნაწერთან და გასწორებულია ისე, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა დაწერილი. გათვალისწინებულია 1914 წლის გამოცემაც, რომელიც ავტორის სიცოცხლეში და მეთვალყურეობით გამოქვეყნდა. კვადრატულ ფრჩხილებში შეტანილია ზოგიერთი

დამატება-შენიშვნა. კომენტარებში ნაჩვენებია შემჩნეული უზუსტობანი. კომენტარებშივე აღნიშნულია VII-XII სს.საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესწავლის მდგომარეობა "ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნის გამოქვეყნების შემდეგ.

"ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნის რედაქტირებასა და გამოსაცემად მომზადებაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნერებათა დოქტორი ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები: პ ა ვ ლ ე თ ო ფ უ რ ი ა დ ა გ ო ჩ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

ქარაგმიანი და შემოკლებული სათაურების განმარტება

ანა დფ˜სი ქ˜ცა – ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრების უძველესი, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი.

[დ. ბაქრაძე, АПГА – Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Аджаре, СПб., 1878].

გგრ˜ფა – გეოგრაფია.

[ვახუშტი, ბროსეს გამ. – ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. Description géographique de la Géorgie par le tsarévitch Wakhoucht, publiée d'après l original autographe, par M. Brosset, St. – Pbg., 1842].

[ვახუშტი, გგრ˜ფა, ჯანაშ. გამ.- ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედ. მ. ჯანაშვილისა, თფილისი, 1904].

[ე.თაყაიშვილი, Арх. Экс., I, II- Э. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I и II, Тифлис, 1905].

[იაჰია ანტიოქიელი, В. Розен. Император Василий Болгаробойца – Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объснил В. Р. Розен, СПб., 1883].

ისტ˜რნი და აზ˜მნი – ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება. "*" აღნიშნავს მ˜მ დ˜ფსი ქც˜ის ხელნაწერის გვერდს, "გვ." – თაყაიშვილის მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცის გამოცემის გვერდს.

[ნ. მარრი, Ипполит, ТР, წ. III- Н. Я. Марр, Ипполит, толкования песни песен, грузинский текст по рукописи X века, пер. с армянского, ТР, т. III, СПб., 1901].

მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა – მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოცემა (ტფილისი, 1906). "*" და "გვ." მნიშვნელობის შესახებ იხ. ზემოთ.

მ˜ტნე ქ˜ჲ – მატიანე ქართლისაჲ, "*" და "გვ". მნიშვნელობის შესახებ იხ. ზემოთ.

მქ˜ცჲ ქ˜ჲ – მოქცევაჲ ქართლისაჲ.

ს˜ქს სძვ˜ლნი – საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქ. გამოცემული.

საქ. სამოთხე – საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882.

ქ˜ცა – ქართლის ცხოვრება.

ქრ˜კბი, ქრონიკები, II – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა ქრონოლოგიურად დაწყობილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე, ტფილისი, 1897.

ც˜ჲ აბო ტ˜ფლსჲ – ცხოვრებაჲ და მარტვილობაჲ აბო ტფილელისაჲ, საეკ. მუზეუმის გამოცემა [პ. კარბელოვი, წმიდა მოწამე აბო ტფილელი, ტფილისი, 1899].

ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მლსჲ – ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, იხ. ათონის კრებული. საეკლ. მუზეუმის გამოცემა [ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თფილისი, 1901].

ც˜ჲ გგ˜ლ ხნ˜ძთლსჲ – შრომაჲ და მოღვაწეობაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა, [ნ.მარის გამოცემა, ТР,VII, СПб., 1911].

ც˜ჲ ვხ˜ტნგ გრგს˜ლსჲ – ჯუანშერი, ცხოვრება მეფისა ვახტანგ გურგასარისაჲ. იხ. მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა. "*" და "გვ." მნიშვნელობის შესახებ იხ. ზემოთ.

ცˆჲ ილრˆნსი – ცხორებაჲ ილარიონისი, იხ. ათონის კრებული საეკლ. მუზეუმის გამოცემა [ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თფილისი, 1901].

ცˆჲ ი˜ესი და ეფთˆმსი – ცხორებაჲ იოანესი და ეთჳმესი, ათონის კრებული, საეკლ. მუზეუმის გამოცემა [ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თფილისი, 1901].

ცˆჲ მფˆთა – ლეონტი მროველი, ცხორებაჲ მეფეთა, იხ. მˆმ დˆფსი ქˆცა.

ცˆჲ მფˆთ მფˆსა დˆთსი – ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი, იხ. მˆმ დˆფსი ქˆცა.

ცˆჲ ნინოჲსი – შატბერდისეული და ჭელიშისეული წˆა ნინოს ცხორება. იხ. Опис., II.

ცˆჲ სრˆპნ ზრზˆმლსჲ – ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, [ტფილისი, 1909].

ცˆჲ და უწˆყბა – სუმბატ ძე დავითისი. ცხორებაჲ და უწყება ბაგრატონიანთა ჩუენ ქართუელთა მეფეთასა და სხვა, იხ. ე. თაყაიშვილის გამოც., სამი ისტორიული ქრონიკა [ტფილისი, 1890].

ИАН – Известия Академии Наук.

МАК – Материалы по археологии Кавказа.

Опис II – Е. Такаишвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения». т. II, вып. 3, Тифлис, 1908.

Сведения – А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб., 1886.

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

[Brosset, Additions – M. Brosset, Additions et éclaircissements a' I'histo:re de la Géorgie depuis l'antiquite jusqu'en 1469 de J. – C., 1851].

[Brosset, Voyage, VI, XI, XII – M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie éxecuté en 1847 – 1848. 3e livrasion (sixlème, onzième et douzième rapports), St.-Pbg, 1851].

Defrémery, Frag. – M. Defrémery, Fragments de géographes et d'historiens arabes et persans inédits, relatif aux anciens peuples du Caucase et de la Russie méridionale, Journal Asiatique, 1849.

J. Marquart, Streifzuge – J. Marquart, Osteuropäsche und Ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903.

[Tabari – Annales quos scripstit Abu Djafar Mohammed ibn Djarir at-Tabari cum aliis edidit M. J. De Goeje, Tretia series, III, Lugduni-Batavorum, 1883 – 1884].

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საქართველოს საიტორიო გეოგრაფია

VII-XII ს. ქ. შ.

1. ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი

ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ, თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს გეოგრაფიული ვითარება VII -XII ს., შევისწავლოთ იმ ქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი VII-XII ს. განმავლობაში; ამისთვის-კი ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს ყველა ცნობები, რომელიც-კი მოიპოვება იმდროინდელ ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში საქართველოს შესახებ და ჩვენის სამშობლოს გეოგრაფიულ აღწერილობას შეიცავს; ერთი სიტყვით, ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს.

თუმცა ქართულად არსებობს სახელოვან მეცნიერ ბატონიშვილის ვახუშტის უკვდავი თხზულება, რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მრავალი ძვირფასი ცნობები არის შეკრებილი, მაგრამ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვა მაინც ხელახლად უნდა დაწერილიყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვახუშტის საზოგადო მიმოხილვა აქვს შედგენილი უძველესი დროითგან მოყოლებული მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგამდის და ისტორიული და თანამედროვე ცნობები ერთი-ერთმანეთშია არეული; ჩვენი მიზნისათვის-კი გამოსადეგი იქნებოდა ისეთი მიმოხილვა, რომელიც მხოლოდ VII-XII ს. შესახებ შეიცავდეს ცნობებს; მეორე ისა, რომ ძველი ხანის შესახებ ეხლა ჩვენ უფრო მეტი და უკეთესი წყაროები მოგვეპოვება, ვიდრე თავის დროზე ვახუშტს ხელთა ჰქონდა; ამასთანავე თანამედროვე სამეცნიერო მეთოდები ვახუშტის დროინდელზე უფრო მკვეთრი და ფიქიზია და ეხლა მაშინდელზე მეტის გამორკვევაც შეიძლება.

რაკი ჩვენი ქვემორე-მოყვანილი საგეოგრაფიო მიმოხილვა დამყარებულია მხოლოდ იმდროინდელს და განსაკუთრებით კი ქართულს საისტორიო წყაროებზე და ჩემის ცნობების დასამტკიცებლად ხშირად იძულებული ვიქნები თვით მატიანეებითგან ამონაწერები მოვიყვანო ხოლმე, ამიტომ, რომ მკითხველს ამ ამონაწერების გაგება არ გაუძნელდეს, ჩვენს მიმოხილვას ქართული საგეოგრაფიო ტერმინების მოკლე განმარტებას წარვუძღვანებთ.

ძველს ქართულს მწერლობაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო (წ. I, თ. VII) ქვეყანას "სოფელი" ეწოდებოდა, სოფელს "დაბაჲ"; დაახლოვებით მერვე საუკუნითგან მოყოლებული შემოდის "**ქუეყანაჲ**" იმ მნიშვნელობით, რაც ამ სიტყვას ეხლაც შერჩენილი აქვს, მაგ. «ქუეყანა ქართლისა და კახეთისა» (მტ˜ნეჲ ქ˜ჲ, *438, გვ. 216); ამირამ მუჰმედ ხალიდის ძემ «დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა სომხითი, ქართლი და რანი» (იქვე, *445, გვ. 223). მთელ მსოფლიოსაც ამ დროითგან მოყოლებული "ქუეყანა" ეწოდებოდა, მაგ. ამბობდნენ «კიდენი ქუეყანისანი» (ც˜ჲ მფ˜თ მფ˜სა დ˜თსი, *558, გვ. 325).

ქვეყანა შეიძლებოდა დიდიც ყოფილიყო და პატარაც: ქართლსა, სამცხესა, კახეთს, მესხეთს და ეგრისსაც ქუეყანა ეწოდებოდა, მათს შემადენელს ნაწილებსაც; მაგ. "მატიანეჲ ქართლისაჲ" მოგვითხრობს: «გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი» და «გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა»-ო (მატ˜ნეჲ ქ˜ჲ, *445, გვ. 223).

დიდსა და პატარა ქვეყანასაც თავისი საზღვრები ჰქონდა: აშოტ დიდ კურაპალატის შესახებ ნათქვამია: ეუფლა «ქართლს საზღუართა მისთა»-ო (მ˜ტნეჲ ქ˜ჲ, *441, გვ. 219).

მახლობლად მდებარე მიდამოებს ეწოდებოდა ხან "**გარეშემონი ქუეყანანი**", როგორც მაგ. თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, ქ. კარის მცველად დადგენილმა "მონაპირე"-მ ახალციხელმა ივანემ «წაუღო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი»-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი, *699, გვ. 496), ხან კიდევ "**მიმდგომი ქუეყანა**", "**მიმდგომნი ქუეყანანი**", დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, რომ დიდებულმა მეფემ «აიხუნეს შარვანის ციხენი … და მიმდგომი მათი ქუეყანა» (ც˜ჲ მ˜ფთ მ˜სა დ˜თსი *543, გვ. 310); «აღიღო ქალაქი ანისი… სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი"-ო» (იქვე, *544, გვ. 311).

ქვეყნის მოსახლეობის შუაგულს "**უშინაგანესი**"ეწოდებოდა. როდესაც თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ქართველთა მხედრობამ სპარსეთში სპარსეთის შიგ შუაგულს მიაღწია, იგი ამბობს: «მიიწივნეს… უშინაგანესსა რომგურსა მიმართეს, რომელ არს ხორასანი»-ო (ისტ˜ნი და აზ˜მნი, *715-716, გვ.521-522).

განსაკუთრებულ საზღვრებს შუა მოქცეულს ქვეყანას "**სანახები**" ანუ "**სანახებნი**"[1] ეწოდებოდა. წმინდა ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია: «მოვლე სანახები ქართლისაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართა»-ო (Опис., II, 730); «განსმენილ იყო მოსლვა ჩუენი (სერაპიონისა და მოწაფეებისა) ყოველთა მათ სანახებთა»-ო (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზ˜მლსჲ, 17): წმიდა ნინოს ცხოვრებაში მირიან მეფეზე ნათქვამია: «მოვლო სანახები მუხრანისა» (Опис., II, 772). ზოგჯერ კიდევ სანახები საზღვარს, კიდეებსა ჰნიშნავს, მაგ. ბასილი ზარზმელი მოგვითხობს; «მოიწივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა»-ო (ც˜ჲ სარ˜პნ ზარზმლ˜სჲ, 6). ქვეყნის კუთხის მნიშვნელობა ჰქონია აგრეთვე სიტყვას "არე", მაგ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში სწერია: «გარემო სანახებნი მათ არეთანი» (გვ. 23). მაგრამ ჩვეულებრივ ეს სიტყვა, როგორც საბა ორბელიანს სამართლიანად აქვს განმარტებული, ჰნიშნავს "ოთხი დრონი წელიწადთანი": მაგ. ნათქვამია «მოიწია არე გაზაფხულისა, შეიქმნა სიმდიდრე წყალთა»-ო (მტ˜ნჲ ქ˜ჲ, *502, გვ. 272), ან კიდევ: «მოიწია არე სთვლისა»-ო, ნათქვამია თამარ მეფის ისტორიაში (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *711, გვ. 516).

თვისებათა მიხედვით, გარეგან მოყვანილობისა და მდებარეობისდა გვარად ქვეყანა შეიძლებოდა ყოფილიყო "**მთა**" და "**ბარი**" (დავით აღმაშენებლის ანდერძი, ს. კაკაბაძის გამ., 10)[2] ან «ბარი» (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლსა, 320), ან «ადგილი მთათა და ბართა» (ცჲ წ˜ა ნინოჲსი. Опис., II. 730), როგორც იყო მაგალითად ქართლი და კახეთი; ან მარტო "**მთეული**" მთიანი, როგორც მაგ. "ქუეყანასა… მთეულსა" იწოდება საზოგადოდ საქართველო შატბერდისეულს წმიდა ნინოს ცხოვრებაში (Опис., II, 759), ანუ "**მთებრი**", ვახუშტის სიტყვით «ჴევი ბამბაკისა არს მთებრი» (გგ˜რფა, 42): - ან არა და სწორე "**ვაკე**" (ჯუანშერი, ც˜ა ვახტანგ გრგ˜სრსა, *321, გვ. 134; ისტ˜რნი და აზ˜მნი,

[1] **საბა ორბელიანის** ლექსიკონში სანახების მნიშვნელობად "ახლო-მახლო" არის დასახელებული.

[2] დავით აღმაშენებლის ანდერძი, ს. კაკაბაძის გამ. [ტფილისი, 1912], გვ. 10.

*712, გვ. 517) ადგილი. ანდა «ადგილი **ველოანი** და ფართოებით შემწყნარებელი » (ცˇჲ სრˇპნ ზრˇზმლსჲ, 9). "**ვაკე**", საბას სამართლიანის განმარტებისაებრ არის "ქუეყანა ბრტყელი" (ლექსიკონი) და ამისდა გვარად იგი შეიძლებოდა ყოფილიყო ბარადაც და მთაშიაც; თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ სპარსეთში ლაშქრობის დროს ქართველთ მეომრებმა «აღვლეს **აღმართნი** მარანდისანი [და] აღვიდეს ვაკესა თავსა მარანდისასა და დადგეს მთასა»-ო (ისტˇრნი აზმˇნი). "**ველი**" ცˇჲ გგˇლ ხანმˇთლსჲ, კდ; ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 17; მˇტნე ქˇჲ, *502, გვ. 272; ჯუანშერი, ცˇჲ ვხˇტნგ გრგˇსრსა, *314, გვ. 129) საბას სიტყვით არის "მინდორი დიდი" (ლექსიკონი), მაგრამ "**მინდორის**"-ს (ისტˇრნი და აზˇმნი, *664, გვ. 453; ვახუშტი, გგრˇფა, 42, 91) შესახებ მას ნათქვამი აქვს "ველი უფროსი" (ლექსიკონი) არისო. ამასთანავე, როგორც ჩანს, იყო ხოლმე "**მცირე ველიც**", როგორც მაგ. ბობხა (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇმლსჲ, 19). ვაკე და ფართო ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო ან სრულებით სწორე ან არა და დიდის ქვებით მოფენილი, მაშინ იგი იქნებოდა "**ველად ლოდიანად**" (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 22).

მინდორიც ზოგჯერ კლდიან ნიადაგზე იყო ხოლმე, მაშინ მას ეწოდებოდა "მინდორი **კლდოვანი**" (ვახუშტი, გგრˇფა, 42), როგორც არსებობს ხოლმე საზოგადოდ "ადგილი კლდოვანი" (ვახუშტი, გგˇრფა, 60, 95). დაბლობისა და მაღლობის შემაერთებელი "**აღმართი**" ანუ "**აღმართნი**" (ისტˇნი და აზˇმნი, *712, გვ. 517) იყო; თამარ მეფის მატიანე მოგვითხრობს, რომ ქართველმა მეომრებმა სპარსეთში ლაშქრობის დროს «აღვლეს აღმართნი მარანდისა [ნი]» (იქვე).

საბა ორბელიანის სიტყვით: "ვაკესა რა მცირე აღმართობა დაეტყობა უწოდთ **ამრეცსა** და მისსა უნამეტნავესსა – **შემრეცსა**; მასზედ მეტსა – **გვერდობასა** და მის ზედა უძლიერესსა **შეღმართი** და მისსა უძნელესსა **აღმართი** და სრულიად ძნელსა **ფრიალო** და **ყაფარი**"- ო (ლექსიკონი).

მაღლობი ადგილები სიმაღლისდა მიხედვით იყვნენ "**მთანი და ბორცუნი**"(ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇსრსა, *320, გვ.133) ამასთანავე ბორცვი პატარა მაღლობს ეწოდება. "ბორცჯ" იყო «უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა» (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 9); ბორცვი შეიძლებოდა კლდისაც ყოფილიყო, «დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა»-ო, ნათქვამია შატბერდისეულს წმინდა ნინოს ცხოვრებაში (Опис., II, 789); მთა-კი მოზრდილი და მაღალი გორა იყო.

ბორცვისა და მთის ნაწილებს თავ-თავიანთი სახელები ჰქონდათ; უმაღლეს ნაწილს "**მწუერვალი**" (ცˇა გგˇლ ხნმთˇლსჲ, იზ) და "**თხემი**" ეწოდებოდა (ცˇჲ წˇა ნინოჲსი, Опис., II,772; ვახუშტი, გგრˇფა, ჯანაშ. გამ., 45, 52, 93, 100).

მაგრამ შეიძლებოდა მთას თხემი არ ჰქონოდა არამედ ზემოთგან ვაკე ყოფილიყო, მაშინ "**მთა თავკვეთილი**" იყო (ვახუშტი, გგˇრფა, ჯანაშ. გამ., 55)

მთასა აქვს რასაკვირველია "**კალთები**" (ვახუშტი, გგრˇფა, 42, 45, 93, 100) და "**ძირი**" («არარატისა ძირსა» ისტˇნი და აზˇმნი, *597, გვ. 366; ვახუშტი, გგრˇფა. 90).

როდესაც მთას კალთა შეკვეცილ-შეღრმავებული აქვს, ამას "**უბჱ**" ეწოდებოდა; ეს იპოლიტეს თხზულების ქართული თარგმანის შემდეგი წინადადებებითგანა ჩანს: «საულ და ყოველი ერი იჱˇსაჲ შეკრბეს ჴევსა მას… და უცხო თესლნი იგი დგეს მთასა მას ერთი კერძო და უბჱ ერთი იყო საშუალ მათსა»-ო[3]. მთის წარმოზიდულს, წინ გამოწეულს წყლამდის მიტანილს ნაწილს "**ცხვირი**"(ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *111, გვ. 10), "მთის ცხვირი" (ვახუშტი, გგრˇფა, 100) ეწოდებოდა; მაგ. «წარმოზღუდა

[3] **ნ.მარი**, Ипполит, Т.Р., წ. III, გვ.2.

ცხვირი არმაზისი ვიდრე მტკურადმდე»-ო ამბობს ლეონტი მროველი (ცˇა მფˇთა, *111, გვ. 10), (ვახუშტის სიტყვით ზებეყურის «მთა ჩამოდგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდან ალევის მთის ცხვირი და დაავიწროვებს კსანს კლდითა»-ო (ვახუშტი, გგრˇფა, 100).

მთაც შეიძლებოდა რასაკვირველია სხვადასხვა ზომისა ყოფილიყო, ან პატარა, ან ისე დიდი, რომ ვინც იმ მთის მწვერვალს მიაღწევდა, თავის თავი ისე ეგრძნო, თითქოს «ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღსრულნი» (ცˇჲ სრˇპნ ზრმˇლსჲ, 8) ყოფილიყვნენ, ან იმდენად მაღალი, რომ მიუწდომელი გამხდარიყო «უვალ კაცთა და პირუტყვთა სიმაღლისათჳს მისისა»-ო (ცˇჲ სრˇნ ზრზმˇლსჲ, 18) **კაც-შეუალი”** (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *95-96, გვ.1) ყოფილიყო; ან არა და «დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი»-ც კი (ვახუშტი, გგრˇფა, 42, 47, 101) ან ყაზბეგ-მყინვარსავით «მარადის ყინულით შეკვერცხილი» (იქვე, 96) ყოფილიყო.

გადაბმულ მთების მწვერვალს “**ქედი**”(ცˇჲ სრˇპნ ზრზˇლსჲ, 17, 18, 19) ჰქვია. იმისდა მიხედვით, თუ რა სიმაღლისა იყო თვით მთა, ქედებიც ხან მაღალნი (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 17) იყვნენ, ხან დაბალი.

გადაბმულ მთების ქედში რომელი მწვერვალიც უფრო მაღალი იყო, იმას ერქვა “თავი ქედთა” (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 18), ბორცვები, მთები და ქედნი ზოგჯერ არიან “შეცვული ტყეთა” (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 8), “ტყიანი” (ცˇჲ სრˇპნ ზრზმლˇსჲ, 17; ვახუშტი გგრˇფა 42), როდესაც მთას «შეშაჲ… უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა» (ცˇა გგˇლ ხნˇმთლსჲ, კდ); ზოგჯერ კიდევ “უტყეო” (ვახუშტი, გგრˇფა 47), ხან “ტყიანნი და ლოდიანნი” (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇმლსჲ, 17), ზოგჯერ კიდევ სრულებით მოტიტვლებული “კლდენი მაღალნი” (ისტˇრნი და აზმˇნი, *712, გვ. 518).

კლდის თვისებისდა გვარად სხვადასხვა სახელები არსებობდა ძველს ქართულს მწერლობაში; საბა ორბელიანის სიტყვით «**ტინი** არს კლდე გამჭვირვალი… **სალი** არს კლდე ვრცელი, მაღალი. ნიამორთაგან ძნიად სავალი; **თირი** არს კლდე ლბილი და ადვილი სათლელი, **გოხი** არს კლდე ქვიტკირისა მზგავსი, ვიეთნიმე ნებროთის გოდლის ნალეწს უხმობენ ტყუილად-ო… «**კარკარი** არს კლდე წყლტუ და სალი»-ო (ლექსიკონი, იხ.”კლდე”). მოშიშვლებულს კლდეს “წყლტუ კლდეობა”ერქვა (I, შესაქმე, XXVII, 11; იეზეკიელი, XXVI, 14).

ზოგჯერ მთის სიმაღლისდა მიხედვით შემოსილობა იცვლებოდა ხოლმე: ჯერ “მარადის თოვლიანი”, მერე “უტყეო”, “კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი” (ვახუშტი, გგრˇფა, 47), ან “კალთათა ტყიანი” (იქვე, 42) იყო ხოლმე.

შემოსილობისდა მიხედვით მთები არიან “**ბალახოვანნი”, “შამბნარიანნი”, “ყვავილოვანნი”** (ვახუშტი, გგრˇფა, 48). ტყით შემოსილი მაღლობი ადგილების საზოგადო სახელი **“მაღნარი”** (ცˇჲ წˇა ნინოჲსი. Опис., II, 772) იყო, როგორც ჩანს შემდეგი წინადადებითგან: «მთა ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთა… თავი არს ყოველთა ამათ მაღნართა» -ო (ცˇჲ სრˇპნ ზარზმˇლსჲ, 18); ის ქვეყანა, სადაც “მაღნართა სიმრავლჱ” (ცˇჲ გგˇლ ხნმთˇლსჲ, იზ) “ურიცხჳ მაღნარნი” (იქვე, კდ) იყო, სანაქებო თვისებისად იყო მიჩნეული. საბა ორბელიანის სიტყვით «მაღნარი მთათა შინა ტევრნალი შამბიანი» (10, 18, ესაია) არის (ლექსიკონი).

ძნელი გამოსაცნობია, თუ რა იყო “**ღირღალნი”** (ისტˇრნი და აზˇმნი, *721, გვ. 517) და **“ღირღლოვანი”** (ცˇჲ გგˇლ ხანმთˇსჲ, იზ)? როგორც ეტყობა, არც საბა ორბელიანს სცოდნია ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა: «ღელე-ღულა ადგილი»-ო, ამბობს იგი ბუნდოვანად (ლექსიკონი): მაგრამ ქვემო მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს განმარტება გამოუსადეგარია: გრიგოლ ხანმთელი

უამბობს აფხაზთა მეფეს ხანძთაში სახნავი და სათიბავი მიწები სრულებით არ არის და «არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა»-ო (ცˇჲ გˇგლ ხნძთˇლსჲ, იზ); მაშასადამე, ღირღლოვანი მწვერვალზე ყოფილა, მწვერვალის დამახასიათებელი იყო და არა ღელეღულესი. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიც ამას ადასტურებს: როდესაც ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა ქ. მარანდს მივიდა, მარანდელნი «შელტოლვილ იყუნეს ღირღთა (ქˇცა ღირღალთა) და კლდეთა მაღალთა, რომელ არს ზედა კერძო თავსა მთისა მარანდისასა»-ო (ისტˇნი და აზˇმნი, *712, გვ.518).

მთავარ დიდ უღელტეხილს გარდა, რომელიც სდარაჯობს ჩრდილოეთით საქართველოს, სხვა მცირე მთებიც მოიპოვება, რომელნიც ამ უღელტეხილისაგან მომდინარეობენ, როგორც მაგ. «ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვალს შტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა მთისასა, რომელსა ჰქჯან ლიხი-ო (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *97, გვ. 2), მაშასადამე, ასეთი, მთავარ უღელტეხილზე დაკავშირებული, აქეთ-იქით მიმავალი მცირე მთები "**შტო**"-ებად იწოდებოდნენ. ამ შტოს აქვს ხოლმე რასაკვირველია გამოსავალი და ბოლო, ანუ "**წუერი**". როდესაც მთა ვაკე ადგილზე ერთბაშად არის ხოლმე აღმოცენებული და დგას, ამაზე ითქმოდა "ასტყდების მთა"-ო (ვახუშტი, გგˇრფა, 91).

ნიადაგის ბუნებისდაგვარად "ქვეყანა" სხვადასხვანაირი იყო და არის: ზოგან, როგორც მაგალითად «ტასის კარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა **ქუეყანა კლდოვანი**» იყო (ცˇჲ მფˇთა, *105, გვ.7), "ადგილი კლდოვანი" (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსი, 5), ზოგჯერ ქვეყანა, როგორც მაგ. კლარჯეთის სამონასტრო ადგილები, «ყოვლითა კერძო შეზღუდვილი არიან მთათა მიერ ჴევნებითა და წყალთა მათგან საშინლად ძნელოვანთა» (ცˇა გგˇლ ხნძთˇლსჲ, კდ)

შესაძლებელი იყო მთელი ქვეყანაც «კლდეთა **მოზღუდული**» (ჯუანშერი, ცˇა ვახტანგ გრˇგსრსა, *394, გვ. 181), ან მთიულეთსავით ყოფილიყო «მოზღუდვილი მთითა» (ვახუშტის გˇგრფა, ჯანაშ. გამ., 95), ან თრუსოსავით ყოფილიყო «ჴევობა მოზღუდვილი კავკასითა» (იქვე, 96), ან აბოცსავით ყოფილიყო «გარემოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე» ჰქონოდა (იქვე, 48), ან არადა ფართოდ განფენილი.

რასაკვირველია, მაინცა-და-მაინც საჭირო არ იყო, რომ გარემოზღუდვილი ქვეყანა ყოველის მხრით მთებით ყოფილიყო გარეშემორტყმული, შეიძლებოდა ერთის მხრით მთა ჰქონოდა "**მორტყმული**", მეორე მხრით-კი მდინარე ზღუდავდეს, როგორც მაგ. ნათქვამია კლარჯეთის უდაბნოების შესახებ, «მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსვლაჲ გარემოადგენს ზღუდის სახედ უძრავისა»-ო (ცˇჲ გგˇლ ხნძთˇლსჲ, კდ).

ღელე (ცˇა მˇთ მˇსა დთˇსი, *549, გვ. 317) საბა ორბელიანის სიტყვით, არის "ჴევი მცირე", ჴევი (ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგსˇრსა, *394, გვ. 181; ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 8, 16-17, 17) არის «უდიდეს და უღრმეს და წლოვანებითაცა მეტი ღელეთასა», "**ნაღვარევი**" (მტˇნე ქˇი, *502-*503, გვ. 273) «ღელე ხმელი თჳნიერ ღვართასა», ხოლო "**ხრამი**" (იქვე) უდიდე და უღრმე და ფრიად კლდოვანი (საბა ორბელიანი, ლექსიკონი, "ღელე"). ჴევს აქვს დასაწყისი, რომელსაც ეწოდებოდა "**თავი ჴევისაჲ**" (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსი, 17), და ბოლო, რომელსაც ერქვა "**დასასრული ჴევისა**" (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 8). თავად ჴევისა, როგორც ჩანს, ჴევის უმაღლესი ნაწილი იწოდებოდა იმიტომ, რომ ნათქვამია «აღვედით… თავსა მის ჴევისასა» (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსა, 17).

დასასრულ კი ეტყობა, ჴევის უმდაბლესი ნაწილი იწოდებოდა: იმიტომაც არის რომ ამბობდნენ ხოლმე «შთავიდეს დასასრულსა მას ჴევისასა»-ო (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსა, 8).

ჴევებიც რასაკვირველია სხვადასხვა თვისებისა იყო და ზოგან "ჴევნი კლდოვანნი" (ისტრˇნი და აზმˇნი, *597, გვ. 366) შეხვდებოდა მოგზაურს; როდესაც ხევს კლდეები აქეთ-იქით კედლებსავით აყუდებული და წარმოზიდული ჰქონდა, ამას"**იწრო**" (მტˇნე ქˇჲ, *502-*503, გვ. 273), ანუ "**იწრონი**" (ცˇჲ მფˇთა, *159, გვ. 38; მტˇნე ქˇჲ, *479, გვ. 253; ვახუშტი, გგრˇფა, 85) ეწოდებოდა; «მიეგება იწროთა რკინის ჴევისათა»-ო, ნათქვამი აქვს ლეონტი მროველს (ცˇა მფˇთა, *159, გვ. 38).

ხშირად იყო ხოლმე "**ჴევი მთებრი**" (ვახუშტი, გგრˇფა 42), მაგრამ მაინცა-და-მაინც მთები უეჭველად საჭირო არ არის.

ჴევი შეიძლებოდა "**ღრმა და უღაღი**", ძნელი სავლელი ყოფილიყო, როგორც ყოფილა მაგ. გოდერძის ჴევი: ამ ჴევზე, სერაპიონ ზარზმელის ერთი მოწაფეთაგანი მოგვითხრობს: «ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაცა სიჴშოსა მისგან მყოვარ ჟამ ვეღარა ვიხილეთ ცაჲ, ანუ მზისა შარავანდედი»-ო (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 16-17), მზის შუქსაც-კი ვერ ჩაუწევნია. ასეთი ღრმა ჴევითგან რომ ჴევის თავს მივაღწიეთ, ჩვენი თავი გვეგონა «ვითარცა სიზრქით ალმურისათ ანუ სიღრმით უყისათ აღმოშობილნი»-ო (იქვე, 17). მაგრამ "**დაბალი**" ხევიც არსებობდა (ვახუშტი, გგრˇფა, 96).

ღელესაცა და ხევსაც რასაკვირველია ყველგან ერთნაირი სიგანე არა აქვს ხოლმე, ზოგან არის "ვიწრო ჴევი" (ისტˇრნი და აზმˇნი, *712, გვ. 517), ზოგან განიერი, ზოგან სხვადასხვაგვარი სხვადასხვა ადგილას, მაგ. ფართო ჴევი აქა-იქ «დავიწროვდების ჴევი კლდითა» (ვახუშტი, გგრˇფა, 98) ან მთა «დაავიწროვებს კლდითა» (იქვე, 100), ხოლო მერე ისევ გაფართოვდება ხოლმე.

ხევზე მიმავალს გზას, როგორც ჩანს "**ყელი**" (ვახუშტი, გგრˇფა, 96) რქმევია, ხოლო ქედზე გარდამავალს გზას "**გარდასავალი**" (ჯუანშერი, *419-420, გვ. 201).

ხან "მთა ჴევღრმა" (ვახუშტი, გგრˇფა, 55) არის ხოლმე, ხან "ღელეღრატოიანი" (იქვე, 89), ხან "ღელოვან-ჴრამოვანი" (იქვე, 94).

"**ნაპრალი**" (მტˇნე ქˇჲ, სადაც კონსტანტინეს განდგომაზეა ლაპარაკი) უფსკრულის პირს ერქვა, ხოლო "**ქარაფი**" (ისტრˇნი და აზˇმნი, *707, გვ.511) საბა ორბელიანის სიტყვით ვითომც "დიდი კლდე"იყო (ლექსიკონი), მაგრამ მისი განმარტება არც სწორია და თანაც ბუნდოვანია. ქარაფი, როგორც ჩანს, ნაპრალი უნდა იყოს, ღრმა ხევის დაქანებული კიდეები; თამარ მეფის ისტორიკოსს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ ანისში «გარშემო სამგნით ქარაფი იყო კლდიანი და ქვაბიანი» (ისტˇრნი და აზˇმნი, *707, გვ. 511); მართლაც ქ. ანისს სამივ მხრით ვიწრო და ღრმა ხეობა ჰზღუდავს და ნაპრალის მზგავსი კლდიანი კიდეები აქვს. ჩვენი მემატიანის ზემომოყვანილი სიტყვებითგანა ჩანს, რომ ქარაფი შეიძლებოდა "**კლდოვანი**" ყოფილიყო, მაგრამ ეს მისი აუცილებელი და მუდმივი თვისება არ იყო.

მთა, როდესაც "შტო"-დ არის, "**გამოვალს**" (ცˇჲ მფˇთა, *97, გვ. 2) ხოლმე მთავარი უღელტეხილითგან.

მთების მიმართულებისდა გვარად ამბობენ ხოლმე, რომ მთა ან "**მიჰყუების**" (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *97, გვ. 2), მაგ., ნათქვამია «მთა რომელი მიჰყუების ბერდოჯის მდინარის თავსა. მთა, რომელი მიჰყუების დასავალით კერძო»-ო (ცˇჲ მფˇთა, *97, გვ. 2), ან "**წარივლის**"-ო; ხოლო როდესაც ქვეყანას ორად ჰყოფს, იტყოდნენ "**შუა განვლის**"-ო; მთის მიმართულების ბოლოზე ამბობდნენ ხოლმე

“**მივალს**”-ო; მაგრამ, თუ ამავ დროს იგი მეორე მთას უერთდებოდა, ითქმოდა “მიადგების”-ო. მაგ. ვახუშტი სწერს: სომხითისა და ერევნის მთა «წარივლის დასავლით არტანადმდე, ხოლო აღმოსავლეთ რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს»-ო; აგრეთვე «მთა მცირე ბერდუჯისა… მიადგების წინ თქმულს ერევნის მთას»-ო (გგ˜რფა, 42). როდესაც მდინარე მთას ორად ჰყოფდა, ამას “**განკვეთა**” (ვახუშტი, გგ˜რფა, 130) ეწოდებოდა, ხოლო თვით ამგვარს მთაზე ამბობდნენ “მთაჲ განკუეთილი”-ო, როგორც მაგ. კახეთის მთაზე ნათქვამია: «მთა მაღალი კახეთისა განკუეთილი არაგვით»-ო (ვახუშტი, გგრ˜ფა, 142).

«წყალი აღმომცენარე, მდინარი» (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმლ˜სჲ, 9) ”**მდინარე**” არის (იქვე, 22; ც˜ა მფ˜თა, *97, გვ. 2; ჯუანშერი, ც˜ჲ ვხტ˜ნგ გრგს˜რსჲ, *314 გვ. 130); ხოლო “ტბაჲ” (იქვე, 22) და “**ზღუაჲ**” (იქვე, 19) ყოვლის მხრივ ხმელეთით გარემოცული წყალია. როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებითგანა ჩანს, ძველს ქართულს მწერლობაში ტბასაც თურმე ზღვა ეწოდებოდა, მაგ. სათაჯვე ტბაზე ნათქვამია: «პირი იგი ზღჳსა მის დასავლით წიაღვლეთ»-ო (ც˜ჲ სრ˜პნ ზარზმლ˜სჲ, 19); საბა ორბელიანიც ამბობს «ტბა ზღვა არს მომცრო»-ო (ლექსიკონი). ასეთი მოვლენა მარტო ქართულში არ არის, არამედ, ძველს მაგ. აღმოსავლეთის მწერლობაში, სპარსულში, სომხურში და სხვათა, ზღვასა და ტბას ერთი და იგივე სახელი აქვს.

სხვადასხვაგვარ მდინარე წყლის თვისებები და სახელები ჩვეულებრივის სისრულითა და მკაფიოდ საბა ორბელიანს აქვს აღნუსხული:

«უკეთუ მდინარის მახლობლად, მისგანვე გამოდიან წყარონი არა უწოდთ წყაროდ, არამედ **ფშად**» (ლექსიკონი, იხ. “წყარო”), ხოლო, «რა წყარონი შეკრბებიან და ჩავლიან – **ხევი** ეწოდების და ხევები რა შეგროვდებიან **მდინარე** შეიქმნების»-ო; იქ, «სადა მდინარენი დასრულდებიან, წყალთა მათ შესაკრებელსა უწოდენ ზღვასა», ხოლო სადა გარე შემოევლების უწოდენ ტბასა»-ო (იქვე). ზღვასა და ტბებს კიდეები, ანუ პირი აქვს; საბა ორბელიანის სიტყვით «კლდე ზღვის პირისა, რომლისა თანა იყოს სიღრმე ზღვისა მეყვსეულადა» იწოდება «**აკრა**»-დ, ხოლო “**კბოდე**” იყო «კლდე ზღვისა და მდინარის კიდისა ჩაუვალია» (ლექსიკონი, იხ. “კლდე”). როგორც მდინარის ნაპირებზე, “ზღვის კიდესა” და “ზღვის პირსა”-ც (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493-494, გვ. 266) ადამიანი შეხვდება “**ჭალას**” (მტ˜ნე ქ˜ჲ, *490, გვ. 263), “**ჭალაკსა, რიყესა**” (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგს˜რსა, *351, გვ. 152).

მდინარეს, ტბასა და ზღვასა “**ყურე**”-ცა აქვს. მაგ. ლეონტი მროველის აზრით «ეგროსსა მისცა ქუეყანა ზღუის ყურისაა» (ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 3), რომელიც საბა ორბელიანის სიტყვით არის «წარზიდული რამე ადგილი ხმელეთით ზღვასა შინა, ანუ ზღვისა და მდინარისაგან უკუ-მდგარი ხმელთა შინა მცირე, თუ დიდი რაჲმეა» (ლექსიკონი). რაკი როგორც ზემოთ დავინახეთ წარმოზიდულს ხმელეთს “**ცხვირი**” ეწოდებოდა ძველად, ამიტომ ყურეს თავდაპირველი და ნამდვილი მნიშვნელობა უნდა მდინარითგან, ან ტბა-ზღვითგან ხმელეთში წარმოზიდული ადგილი იყოს.

«სადაც ზღვა დავიწროვდების **სრუტეს** ეძახიან (საბა ორბელიანის ლექსიკონი, იხ.”წყარო”). ხმელეთს, რომელიც ყოველის მხრით წყლით იყო გარშემოვლებული, “**კუნძული**”,ანუ “**ჴერთვისი**” (საბა ორბელიანი) ეწოდებოდა.

დასასრულ, როგორც ლეონტი მროველის თხზულებითგან ჩანს, არსებობს “**ზღვის კარი**”-ც, აფრიდონის ერისთავმაო, მოგვითხრობს იგი, «აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა… დარუბანდი, რომელი ითარგმნების დაჴშა კარია»-ო (ც˜ა მფ˜თა, *111, გვ. 10). ხმელეთის კარსავით ზღვის კარიც ზღვის მთავარი გზა იყო, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყანაში შემოსვლა შეიძლებოდა.

მდინარეს აქვს დასაწყისი, რომელსაც "**მდინარის თავი**" (ცˇჲ მფˇთა, *97, გვ. 2), "**თავი**" (ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇსრსა, *314, გვ. 129) ჰქვია; ხოლო იმ ადგილს, საითგანაც მდინარე "გამოსდის" (ვახუშტი, გგრˇფა, 39) ეწოდება **სათავე**, ანუ "**გარდმოსადინელი**" (ცˇჲ წˇა ნინოჲსი, Опис., II, 749). მდინარის მიმართულებას "**დინებაჲ**"-ს (ცˇჲ წˇა ნინოჲსი, Опис., II, 749), "დინება"-ს (ვახუშტი, გგრˇფა 40) ეძახდნენ; «იყო დინებაჲ მისი დასავლით კერძოა» -ო (ცˇჲ წˇა ნინოჲსი, Опис., II, 749).

მდინარის კალაპოტს "**ნადინობა**" ერქვა; "მატიანეჲ ქართლისაჲ" მაგ. მოგვითხრობს, რომ «მოიწია არე გაზაფხულისა, შეიქმნა სიმდიდრე წყალთა ძლიერი და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინობასა თჳსსა, მოეფინა ველთა»-ო (*502, გვ. 272). წყლის ადიდებას "**დიდროაჲ**" ერქვა; ბასილი ზარზმელი ამბობს მაგ. «დასცხრა მდინარისა მის დიდროაჲა»-ო (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 22).

მდინარეები ზოგი "**ჩქარად**" (ვახუშტი, გგრˇფა, 39) და "ფრიად მსწრაფლად" (იქვე, 96) მიდის, როგორც მაგ. არაგვი; ზოგს წყნარი მიმდინარეობა აქვს,"მოდის **მდორედ**" (იქვე, 53). უმეტეს შემთხვევაში-კი მდინარეთა ხასიათი იცვლება თვით ბუნების თვისებათა მიხედვით, როგორც მაგ. ქცია, რომელიც «თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაჴრამდების… ეძანს ქვეით და ახალქალაქს ზევით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ, ძირს აქუს ტბა დიდია» (ვახუშტი, გგრˇფა, 53); მტკვარიც ზოგან «დის ჩქარად და სადა დამდოვრდების [არს ფრიად ღრმა]ა» (იქვე, 39).

ამას გარდა, როდესაც წყალი სიმაღლითგან ეცემა, «უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩამოდის - **დაჩქერი** და დაბალთა კლდეთა – **ჩანჩქერი**, ხოლო ლოდნართა მჩქერვალობასა - **გოჩგოჩანას**ა» (ლექსიკონი, იხ."წყარო") ეძახიან.

მდინარის ნაპირებს ძველად "**კიდეჲ**" და "**პირი**" (ცˇა სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 16; ჯუანშერი, ცˇა ვახტანგ გრგსˇრსა, *314, გვ. 130; ვახუშტი, გგრˇფა, 49) ეწოდებოდა: «შთავიდა თარჴან კიდესა მდინარისასაა»-ო ნათქვამია ვახტანგ გორგასრის ცხოვრებაში (ჯუანშერი, *316, გვ. 130). ტბისა და ზღვის ნაპირსაც კიდე ეწოდებოდა, «ეწყუნეს იგინი ზღუის კიდესა მასა»-ო, ამბობს ჯუანშერი (ცˇჲ ვახტანგ გრგსˇრსა, *351, გვ. 152).

ნაპირები ზოგ მდინარეებს "ჭალიანი" (ვახუშტი, გგრˇფა, 83), "კლდიანი" (იქვე, 83), ზოგსა "ფლატოიანი და ჭალიანი" (იქვე, 83), ზოგს "კბოდე ფლატოიანი" (იქვე, 57) ჰქონდათ; «მდინარისა მის (თერგის) პირას ორგნითვე ქარაფნი იყუნეს კლდისანი, ჭალაკნი და ველოვანნია» (ჯუანშერი, ცˇა ვხˇტნგ გრგˇსრსა, *314, გვ. 130).

ჩვეულებრივ ნაპირების თვისებები მდინარისა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო, მაგ. «კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ჭალიანნი, ბალახიანი, ჩალიანია» (ვახუშტი, გგრˇფა, 39).

როდესაც მდინარე მიმდინარეობის მიმართულებას შეიცვლიდა, ამაზე ითქმოდა "**მოიქცევის**" (ვახუშტი, გგრˇფ, 40) ან "**მოდრკების**"-ო (იქვე, 96). ჩვეულებრივ მდინარე ან მეორეს, ან ზღვას "**მიერთვის**", "**შეერთვის**", "**ერთვის**" ხოლმე; მაგ. მტკვარი «სალიანს ქვეით ერთვის კასპიის ზღვასა»-ო (ვახუშტი, გგრˇფა 39; აგრეთვე, 44), მდ. ბერდუჯი «მიერთვის მტკუარსაა» (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *97, გვ. 2), «შეერთვის არაგვი მტკუარსაა» (იქვე, *102-103, გვ. 5), «შეერთჳს მდინარე ანაკერტისა მტკუარსა-ო (ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇსრსა, *405, გვ. 189).

იმ წყალს, რომელიც მეორეს ერთვის, "**შემდინარე**" (ვახუშტი, გგრˇფა 279) ეწოდებოდა. როდესაც სხვადასხვა წყლები ერთდებოდნენ, ამას "წყალთა შეკრებაჲ"

ერქვა; გრიგოლ ხანძთელი მაგ. ამბობს, რომ კლარჯეთის უდაბნოებს ერთის მხრით «შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსვლაჲ» ზღუდესავით იცავსო (ცˇჲ გგˇლ ხნძთˇლსჲ, კდ); ხოლო იმ ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს უერთდება, "შესაკრებელი" (ცˇჲ სრˇპნ ზარზმˇლსჲ, 16, 23), ანუ "**შესართავი**" (ისტˇრნი და აზˇმნი, *610-611, გვ. 383; ვახუშტი, გგრˇფა, 94) ეწოდებოდა; «მიიწინეს შესაკრებელსა ორთა წყალთასაა»-ო (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇლსჲ, 16), «შესაკრებელი იგი წყალთა დაფარული იყო ქვიშითა მიერ და ლოდითა»-ო (იქვე, 23) ნათქვამია ბასილ ზარზმელის თხზულებაში.

საისტორიო გეოგრაფიისათვის, რასაკვირველია, მთავარი მნიშვნელობა მოსახლეობის სახელებსაც აქვს.

დასახლებულს ადგილს საზოგადოდ თავდაპირველად, როგორც აღნიშნული იყო, ქართულად "**სოფელი**" ეწოდებოდა; შემდეგ, VIII ს. მოყოლებული თუმცა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა და დაბას უდრიდა, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობა ზოგიერთს შემთხვევაში სიტყვას "სოფელი" მაინც შერჩა, მაგ. ქალაქ ტფილისის შესახებ ჯუანშერი ამბობს «თფილისის სოფელი და კალაჲ (= ციხე) მოოჯრებულ იყოა»-ო (ცˇა ვხტˇნგ გრგსˇრსა, *365, გვ. 161); აქ სოფელი დასახლებულს ადგილსა ჰნიშნავს. სამაგიეროდ სიტყვასაც "**დაბაჲ**" თავის პირვანდელი მნიშვნელობა, ნახნავ-დამუშავებულს რომ ჰნიშნავდა, შენახული აქვს სიტყვაში "**უდაბნო**", რომელიც ქართულად მცენარეულობას მოკლებულს, მოტიტვლებულს ადგილს-კი არ ერქვა, არამედ როდესაც ადგილი ცარიელი, დაუმუშავებელი «უქმ და უღვაწა» (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 13) იყო, სადაც ადამიანი წააწყდებოდა «უღვაწთა მათ და უვალთა ადგილთა (იქვე, 11). რომ ქართული უდაბნო მოტიტვლებული მწირ-ნიადაგიანი ადგილი არ იყო, ეს ნათლად შემდეგ წინადადებითგანა ჩანს: ხევის ბოლოს რომ მიაღწიეს, «იხილეს რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ჴევთა-ო (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇმლსჲ, 8); მაშასადამე, უდაბნო ტყიანიც შეიძლებოდა. ამგვარად, უდაბნოდ იწოდებოდა ისეთი ადგილი, სადაც მოსახლეობა და ნახნავი არ მოიპოვებოდა, სადაც მიწა უკაცური, "უქმი და უღვაწი" იყო. "უვალობაჲ და სიჴშოი ტყისაჲ" (იქვე, 10) არსებობდა. როდესაც "დაბა" და "სოფელი" ერთსა და იმავე დროს იხმარებოდა, ჰქონდათ რაიმე განსხვავება მათ, თუ ერთსა და იმავეს აღნიშნავდნენ, არა ჩანს.

საგეოგრაფიო სახელად გვხვდება "**აგარა**"-ც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. "აგარა" როგორც ეტყობა სოფელზე ყოფილა დაკავშირებული; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მაგ. აღნიშნულია, რომ აშოტ კურაპალატმა «შეწირნა… შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა» (გვ. იზ); ხოლო მელქიზედეკ კათოლიკოზის 1020წ. სიგელში მაგ. ნათქვამია: «ვიყიდე სოფელი ზედკარეკი ხუთითა აგარათა», «ვიყიდე სოფელი ორთა სამითა აგარათა», «ესე ორნი სოფელნი მათითა აგარათა... ვიყიდენა»-ო[4]. შიო მღვიმის მონასტრის 1072 წ. სიგელში სწერია: «სოფელნი და აგარნი მათნია»-ო[5].

საბა ორბელიანის სიტყვით აგარა არის «სადგური საზაფხულოა» (ლექსიკონი), მაგრამ ნიკორწმინდის XI ს. საბუთში ნათქვამია: «გლეხი დავასახელე აგარასა შინა»-ო[6] და აქ თითქოს მარტო საზაფხულო სადგომად არა ჩანს; ამასთანავე იგივე საბა ორბელიანი ამბობს "აგარაკი" არის «ადგილი საყანური, გინა სავენაჯე, გინა დაბა»-ო

---

[4] **თ.ჟორდანია,** ქრონიკები, II, 33.

[5] **თ.ჟორდანია,** ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა... [ტფილისი, 1896], გვ.11.

[6] **თ.ჟორდანია,** ქრონიკები, II, 47.

(ლექსიკონი); და უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ამ სიტყვას ორივე მნიშვნელობა უდგებოდა.

მხოლოდ მაინც ნათლად არა ჩანს, რით განსხვავდება აგარა სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო, ან სახნავ-სავენაჯე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქვეყანაში შემომყვანელს უმთავრესს გზას ან სიმაგრეს, რომლის ხელში ჩაგდებაც მეომარს მთელის სანახების, ზოგჯერ მთელის ქვეყნის, დაპყრობასაც-კი უადვილებდა, "**კარი**" ერქვა. ლეონტი მროველი ამბობს: «ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის კარი – დარუბანდი და არაგუის კარი, რომელ არს დარიალანია»-ო (ც˜ა მფ˜თა, *108, გვ. 8-9).

ასეთს ადგილას ან ციხე-სიმაგრეები იყო აშენებული, ან თუ ჴევის იწროები ბუნებრივ ზღუდედ გამოდგებოდნენ, მაშინ თვით ხეობაში იქ, სადაც გზა დავიწროვდებოდა, კედელსა და კარს აგებდნენ ხოლმე. "მოქცევაჲ ქართლისაჲ" მაგ. მოგვითხრობს, რომ როდესაც სპარსელებმა ქართლი დაიპყრეს «კარნი ოვსეთისანი აიგნეს… და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუკეთისსაა». ამასთანავე «სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნესა»-ო (Опис., II, 724).

დაბა-სოფლებს გარდა მოსახლეობა "ქალაქებშიც" იყო. ქალაქი რაოდენობისა, მდებარეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისდა გვარად იწოდებოდა ან "**დიდად ქალაქად**" (ც˜ჲ წ˜ა ნინოჲსი, Опис. II, 750) ან პატარად, ან "**სამეუფო ქალაქად**", "**ქალაქად სამეფოდ**" (ისტ. და აზმ. *644, გვ. 427), "**სახლად სამეუფოდ**" (ჯუანშერი, ც˜ა ვახ˜ტნგ გრგ˜სრსა *401, გვ. 186), «საჯდომელად დიდთა მეფეთა» (ც˜ჲ წ˜ა ნინოჲსი, Опис., II, 750), ან თუ ქალაქი ზღვის პირას იდო მას ეძახდნენ «ქალაქსა ზღჳს კიდისასა» (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლსჲ, 319).

II. საისტორიო გეოგრაფია

საქართველოს საისტორიო გეოგრაფია უნდა დავიწყოთ მოკლე საზოგადო მომოხილვით, რომელშიაც აღნუსხული იქნება ძველს ქართულს მწერლობაში შენახული ცნობები მთებისა და მდინარეების შესახებ, რომ ამისდა მიხედვით მერე მოსახლეობის ნიშანდობლივი მდებარეობა უფრო ადვილი მისაგნები იყოს.

§1. მთები

საქართველოს უდარაჯებს და საზღვრავს «ჩრდილოთ **მთა კავკასიაა**» (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *95-96, გვ. 1); თვით საქართველოს ამის გამო უწოდებენ «ქუეყანასა… ჩრდილოჲსასა კავკასიათა» (ც˜ჲ წ˜ა ნინოჲსი, Опис., II, 759). კავკასიონის ქედი გადაჭიმულია «შავი ზღვიდან ვიდრე კასპიამდეა» (ვახუშტი, გგრ˜ფა, 34) და იწყება შავი ზღვითგან იქ, სადაც ერთვის «მდინარე მცირისა ხაზარეთისა»; სწორედ იმ ადგილას «წასწუდების წუერი კავკასიისაა» (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 3). მცირე ხაზარეთის მდინარე უნდა, ალბათ, ყუბანი იყოს და მართლაც აქ ნახევარკუნძულ ტამანთან იწყება კავკასიონის მთა. ამ ბუმბერაზ მთას აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ აქვს მიმართულება და შუა ადგილას ორ ტოტად იყოფება: ერთი მთავარი უღელტეხილია, მეორე მის ჩრდილოეთით მდებარე უფრო დაბალი ქედი,

რომელსაც იგივე მიმართულება აქვს, რაც მთავარ უღელტეხილს[7]. ამ მთავარი უღელტეხილითგან მრავალი შტოები გამოდის, რომელთაც სხვადასხვანაირი მიმართულება აქვთ. მთავარი უღელტეხილის სხვადასხვა ნაწილებსაც, მის რიცხვმრავალს შტოებსაც თავთავიანთი სახელები აქვთ. კავკასიონის უკიდურეს დასავლეთის ნაწილს ეწოდებოდა: "**მთანი აფხაზეთისანი**"; "მატიანე ქ˜ჲ" მოგვითხრობს, რომ აბულ კასიმისაგან დევნილმა «სუმბატ სომეხთა მეფემან… მიმართა მთათა აფხაზეთისათა»-ო (*448-*449, გვ. 226). შემდეგ, უფრო აღმოსავლეთით კავკასიონის მთებს სვანეთის მთები ეწოდებოდა. კავკასიონის იმ ნაწილს, სადაც არაგვის სათავე იყო, უძახდნენ: "**მთასა ჴადისასა**" (ისტრ˜ნი და აზ˜მნი, *720, გვ. 518). ამის აღმოსავლეთით მგზავრი მიადგება "**მთასა ფხოველთასა**", ხოლო შემდეგ "**დიდოთასა**" (იქვე, *720, გვ. 518). აქ თავდება ქართველთა მოსახლეობა და ამიტომ დანარჩენი ნაწილების სახელებს აღარ გამოვეკიდებით.

ამ მთავარ უღელტეხილს მრავალი მარადის-თოვლიანი მწვერვალი აქვს, რომელთა შორის განთქმულია იალბუზი და **მყინვარი** (ყაზბეგი); ძველს ქართულს მწერლობაში მოხენებულია კიდევ ერთი ამგვარ მწვერვალთაგანი "**მთაჲ ცროლისა**" (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 709), რომელიც ფხოველთა მთას ეკუთვნის. კავკასიის მთავარი უღელტეხილისაგან მრავალი შტოები გამოდის, რომელთაც თითოეულს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. თუ დასავლეთით დავიწყებთ, პირველი დიდი მთა, «რომელი გამოვალს ჰშტოდ კავკასიისაგანა». (ლეონტი მროველი, ც˜ჲ მფ˜თა,*97, გვ. 2) არის «მთა მცირე, რომელსა… ჰქჯან ლიხია» (იქვე, *97 და 98, გვ. 2 და 3; ც˜ა მ˜სა დთ˜სი *520-521, გვ. 288) ეს მთა იყო საეგროს "საზღვარი აღმოსავლით" (იქვე, *98, გვ. 3). იგი ქართველთა მიწაწყალს ორს ნაწილად ჰყოფდა, იმიერ და ამიერ საქართველოდ: «მცირით მთითგან რომელ არს ლიხია» იწყებოდა "მარგუეთი"და დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული (იქვე, *129, გვ. 20), ლიხის მთის აღმოსავლეთით-კი ქართლი მდებარეობდა. ეს მთა თანამედროვე ტოპოგრაფიულს მწერლობაში ქართლ-იმერეთის მთად არის ცნობილი და როგორც ქართველი ისტორიკოსი ამბობს, არის "მთა მცირე"; მართლაც არც თუ ძალიან მაღალი, უფრო რომ დაბალი, ტყით შემოსილი ქედია, რომელიც შავი ზღვის და კასპიის ზღვის მდინარეებს ერთი-ერთმანეთისაგან ჰყოფს[8].

ამ ლიხის მთას სულ სამხრეთ-დასავლეთისკენა აქვს მიმართულება არჯევანის მთამდე, რომელიც ვითარცა თრიალეთის მთების წვერი აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ მიმდინარე ლიხის მთას დასავლეთით უდგება და იმასთან ერთად ბორჯომის ვიწრო ხეობას ჰქმნის[9]. ამ ადგილითგან მოყოლებული ლიხის მთების მიმართულება ერთბაშად იცვლება და პირს დასავლეთისაკენ იქცევს. ლიხის მთების ამ გაგრძელებას "**ღადო**" ერქვა. ლეონტი მროველი ამბობს, რომ ქართლოსის სამფლობელოს მესხეთში ჰქონდა «ჩრდილოთ საზღუარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვალს ჰშტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი ღადოსი დასასრულსა (მთისასა), რომელსა ჰქჯან ლიხია»[10] (ც˜ა მფ˜თა *97, გვ. 2).

---

[7] **ვ. ფილიპოვი,** Типографическое описание поверхности Тифлисской губер., СМОТГ, I წ., 2 ნაწილ., [Тифл 187], გვ. 7.

[8] **ვ.ფილიპოვი,** დასახ. ნაშრ., გვ. .2

[9] **იქვე,** გვ. 39.

[10] "**მ˜მ დ˜ფს ქც˜ა**"-ში აქ დედანი ცოტა დამახინჯებული უნდა იყოს, იქ სწერია: "ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის ჰშტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა და დოსა, რომელსა ჰქვიან ლიხი".

ამ ნაწყვეტითგან მაინცა-და-მაინც ცხადად ჩანს, რომ ლიხის მთა და ღადო ერთმანეთის პირდაპირს გაგრძელებას შეადგენენ, ერთი უღელტეხილის ნაწილები არიან. ჩვენ ვიცით, მაშასადამე, სად იწყება ღადო, გამოსარკვევი დაგვრჩა, თუ სად თავდება იგი. ამის განსაზღვრა შეიძლება ლეონტი მროველისა და ჯუანშერის შემდეგი ცნობებისდა მიხედვით: პირველს მოხსენებული აქვს «ციხე ქუეყანასა ოძრჴევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა რომელსა ჰქჯან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა»-ო (ც˜ა მფ˜თა, *153, გვ. 34); მეორეს ნათქვამი აქვს, ვითომც ვახტანგ გურგასარს «უკუსცა კეისარმან საზღუარი ქართლისა ციხე თუხარისი და კლარჯეთი ზღვითგან ვიდრე არსიანთამდის და ჴევნი, რომელნი მისდგნენ ღადოთა»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *358, გვ. 156-157). ამ უკანასკნელი წინადადებითგანა ჩანს, რომ ჴევნი, რომელნიც ღადოს მთას ზედ ადგებოდნენ, არსიანის მთის მახლობლად, მის აღმოსავლეთით იყვნენ. ხოლო ლეონტი მროველის ზემომოყვანილი სიტყვებიც ამტკიცებენ, რომ ღადოს მთა სამცხეში იყო, ოძრჴეს ქვეყანაში, ესე იგი ეხლანდელი აბასთუმანის მახლობლად. ღადოს დასავლეთის წვერის მდებარეობა მეტის სისწორით მაშინ იქნება განსაზღვრული, როდესაც გამოირკვევა, თუ სად იყო ციხე დემოთი. ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე, არცა სხვა რაიმე წყაროში იგი აღნიშნული არ არის; მისი მდებარეობა არც ვახუშტისა სცოდნია დაჭეშმარიტებით (იხ. გგრ˜ფა, 206).

ღადო მთის სახელი ეხლაც არის შენახული და თანამედროვე ტოპოგრაფიული აღწერილობისდა მიხედვით ღადოდ, ანუ სამცხის მთებად იწოდებიან მთები აწყურითგან (?) მოყოლებული წყალწითელის მთამდე, რომელიც ოძრჴეს მახლობლად, აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს[11]. წინათ-კი, როგორც ჩანს, ღადოდ იწოდებოდა მთა ლიხითგან მოყოლებული ვგონებ არსიანამდის. სამცხის, ანუ ღადოს მთებს დასავლეთით "მოსდგმენ" **აჭარის მთები,** რომელნიც გურიასა და მესხეთს ერთიერთმანეთისგან ჰყოფენ. აჭარის მთები შავ ზღვას უწევენ. სამცხის მთისაგან, იქვე სადაც იწყება აჭარის მთები, შტოდ გადის "**მთა არსიანი"** (ც˜ჲ სრ˜Შნ ზარზ˜მლსჲ, 32), რომელსაც მიმართულება სამხრეთისაკენ აქვს. არსიანის მთები აჭარა-შავშეთ-კლარჯეთსა საზღვრავს დანარჩენ, აღმოსავლეთ (სამცხე, ჯავახეთი, არტაჰანი და სხვა) მესხეთისაგან. ამიტომაც არის, რომ ქართველს ისტორიკოსებს შეეძლოთ ეთქვათ: «კლარჯეთი ზღვითგან ვიდრე არსიანთამდის და ჴევნი, რომელნი მოსდგმენ ღადოთა»-ო (ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრგ˜სრსა *358, გვ. 156-157), ანდა «გარდავლეს მთა იგი არსიან წოდებული და მივიდეს ჴევსა ყველისასა» (ც˜ჲ სრ˜Შნ ზრზმ˜ლსჲ, 32), ან კიდევ «ტასის კარითგან ვიდრე არსიანთამდის… რომელ არს სამცხეა»-ო (ც˜ა მფ˜თა, *129, გვ. 21). მართლაც, როგორც აღნიშნული იყო, არსიანი მიადგება ღადოსაც, ყველის ჴევსაც, კლარჯეთის აღმოსავლეთ საზღვრადაც არის.

აჭარის მთების გასწვრივ აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ მიმდინარეობს **შავშეთის ქედი,** ხოლო იმის სამხრეთით **კლარჯეთის მთები.** ერთიცა და მეორეც აღმოსავლეთით მიადგება არსიანის მთებს, ხოლო დასავლეთით ამათი წვერი შავი ზღვის კიდეს აღწევს. როგორც ჩანს, კლარჯეთის მთების ერთ-ერთ ნაწილსაც "ღადონი" რქმევია: მემატიანე სუმბატი მაგ. მოგვითხრობს, რომ «ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა ღადონი და კუალად… სლვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა

[11] **ვ. ფილიპოვი,** დასახ. ნაშრ., გვ. 41, 49.

დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილა»-ო (ცˇა და უწˇყბა, 52). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებითგანაცა ნათლადა ჩანს, რომ ღადო კლარჯეთშიაც ყოფილა (გვ. იზ, კდ).

კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე იყო "**ორჯოხის მთა**"[12], რომელსაც მისდევს "**ისპირის მთა**"[13].

სამცხის მთების გასწვრივ სამხრეთით მდებარეობენ "**მთანი ჯავახეთისანი**" (ცˇჲ ნინოჲსი, Опис., II, 748 და სუმბატის ცˇა და უწˇყბა, 52); ეს მთები არტყია ფარავნის ტბას; შარტბერდისეულს წˇა ნინოს ცˇა-ში საქართველოს განმანათლებელი მოგვითრობს: «წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა და მივემთხუიე მთათა ზედა ტბასა დიდსა…, რომელსა ერქუა ფარავნაჲა» (Опис., II, 748); ბაგრატონიანთა მემატიანე სუმბატიც აშოტ კურაპალატის შესახებ ამბობს: «მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა» (ცˇა და უწˇყბა, 52). ჯავახეთის ერთ-ერთ მთას "**ტორნაძია**" (თუ ტრაძია) ეწოდებოდა (ისˇტრნი და აზˇმნი *652-653, გვ. 438-439), მაგრამ ეხლა ასეთი მთა არ მოპოვება და მისი მდებარეობის გამორკვევაც ჯერჯერობით შეუძლებელია. ჯავახეთისა და არტაანის სამხრეთით იყო "**მთა კოლისა**" (ისტˇრნი და აზˇმნი, *657-658, გვ. 444-445); ეს ის ადგილია, სადაც არის სათავე «დიდისა მის მდინარის, რომელსა ჰრქჳან მტკუარი, ჴევსა რომელსა ჰრქჳან კოლაჲა»[14]. ეხლაც 5-ვერსიან რუკაზე მტკვრის სათავეს მიდამოებში აღნიშნულია მთა "კულა", რომელიც, ალბათ, უდრის იმ ქართულ "მთას კოლისსა", რომელიც მოხსენებულია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში.

მეორე დიდს შტოს, კავკასიის მთავარ უღელტეხილისაგან რომ გამოდის და მიმართულება სამხრეთისაკენ აქვს, ძველს ქართულს მწერლობაში ეწოდებოდა "**მთაჲ კახეთისაჲ** (ცˇჲ ნინოჲსი, Опис., II, 790 ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *104, გვ. 6). ამ კახეთის მთის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი ამბობს, რომ იგი «გამოხდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ და გამოვალს მახვილის ჴევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტოსაყდრიონს შორის და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამხრით ქისიყი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი; და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივია»-ო (გგˇრფა; 129-130). კახეთშივე ყოფილა "**მთა მიქელ-გაბრიელთა**", როგორც ჩანს "მატიანე ქˇჲ"-ს შემდეგი წინადადებითგან: «გაილაშქრა აფხაზთა მეფემან (ბაგრატ IV) კახეთს, შეება და მიუხდა მთასა ზედა მიქელ გაბრიელთასა»-ო (*485-486, გვ. 259).

იქვე კახეთში ყოფილა "ფიდრაზის გორანი" (ან "ფიარზის გორთანი"), სადაც მემატიანის სიტყვისაებრ «მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კჳრიკე ნადირობასა შინაა» ვიღაც ოსი მონის მიერ (მტˇნე ქˇჲ, *484, გვ. 258). ამ ორი უკანასკნელი მთის მდებარეობა ვერ გამოვარკვიე: არც ვახუშტის შრომაში, არც თანამედროვე ტოპოგრაფიულს აღწერილობაში და 5-ვერსიან რუკაზე ამგვარი მთები მოხსენებული არ არის.

ლიხისა და კახეთის მთათა შუა კავკასიის მთავარი ქედითგან ქართლში მრავალი შტოები არის ჩამოსული, რომელთაც სხვადასხვა მიმართულება აქვთ. ამ

---

[12] სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი; **დ. ბაქრაძე,** АПГА, 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ.მოგზაურობანი [და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907], გვ.76.

[13] ბ. **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურობანი, გვ. 76.

[14] წამებაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ: ТР., წ. V, [СПб., 1903], გვ.55.

ადგილის ერთ-ერთ მთად, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთით აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ მიმდინარეობს და მტკვარს ზედ დაჰყურებს, არის "**მთანი თხოთისანი**" (ცˆჲ ნინოჲსი, Опис., II, 790), ანუ "**მაღნარნი თხოთისანი**" (იქვე, II, 772). ეს მთები იყო იქ, სადაც არის "სანახები მოხნარისა" და ვინც ავიდოდა «მთათა ზედა თხოთისათა მაღნართა», განსაკუთრებით «თხემსა მის მთისასა», იმას შეეძლო დაენახა ციხენი დიდნი კასპი და უფლისციხეო (იქვე, II, 772). ვახუშტის აზრით თხოთის მთანი იმ მთის წვერი, ან დასასრულია, რომელიც იწყება გორთან, აღმოსავლეთისაკენ მომდინარეობს, მერე მდ. რეხულასთან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მოიქცევა და იწლევის მთის სახელი ეწოდება (გგˆრფა, 91).

ქსანს გაღმა იგივე მიმართულება (დასავლეთით აღმოსავლეთისაკენა) აქვს იმ მთას, რომელსაც ეწოდებოდა "**სხალტბაჲ**"[15]**;** ეხლაც 5-ვერსიან რუკაზე იგი აღნიშნულია "მსხალტბის ქედად". ბორჯომის ხეობაში იქ, სადაც მტკვარი ერთბაშად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ იბრუნებს პირს, მდინარეს აღმოსავლეთით მიადგება მაღალი მთა, აქეთგან მოყოლებული «ქართლისაგან მტკუარსა კერძო **ყოველივე თრიალეთი,** მანგლისის ხევი და სკჳრეთია» (მˆტნე ქˆჲ, *465, გვ. 240) იყო. თვით თრიალეთის საზღვრად, ვახუშტის სიტყვით, იყო «აღმოსავლით კლდე-კრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა და მიდგმით ბენდერის მთისა, სამხრით მთა ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს კლდეისის დასავლით, გამომართებით კვირიკეთი-მთისა ვიდრე ქარვასლის ხევის მთამდე, ჩრდილოთ მთა კლდეკარისა და ერჯევნისა ვიდრე თორის მთამდე და ბაკურიანამდე, დასავლით მთა შარვაშეთი და ტბის ყურის გამოჭრილი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამოჭრილი ხაზი ბოლოლის მთამდეა» (გგრˆფა, 52-53). ამ საზღვრებში მდებარე მაღალი ქედი დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული ცნობილია თრიალეთის მთებად[16]. თრიალეთის მთების მწვერვალთაგან საქართველოს ისტორიაში განთქმულია "**კლდე-კარი**" , რომელზედაც იყო აგებული ძნელად მისავალი ციხე[17]. ამავ მთების შტო არის მთა, "რომელსა ეწოდების **არმაზი";** იგი მიადგება ცხვირად «ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგჳ მტკუარსა» (ლეონტი მროველი, ცˆა მფˆთა, *102-103, გვ. 5).

სამხრეთის საზღვარზე ქართლს უდარაჯებდნენ "მთანი სომხითისანი"[18] (მტˆნე ქˆჲ, *510, გვ. 279; ისტ. და აზმ., *614, გვ. 387); ეს ის მთებია, რომელთაგან ერთი «მთა… მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა და მთა, რომელი მიჰყუების დასავლით კერძ, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა» (ლეონტი მროველი, ცˆა მფˆთა, *97, გვ. 2), სომხითის მთებს ეკუთვნოდა **ტაშირი** და **ლორი** (ისტˆრნი და აზˆმნი, *614, გვ. 387-388), ტაშირისა და აბოცის მთები (ლეონტი მროველი, ცˆა მფˆთა, *129, გვ. 21). საკუთრივ სომხეთის მთებისგან ქართულს წყაროებში მოხსენებულია არარატი და მასისი. ლეონტი მროველის სიტყვით სწორედ «ორთა მათ მთათა შუა კაცშეუვალსა არარატსა და მასისა» იყო თარგამოსიანთა თავდაპირველი ბინადრობა (ცˆა მფˆთა, *95-96, გვ. 1).

---

[15] თამარ მეფის სიგელი შიო მღვიმ., **ს. კაკაბაძის** გამოცემა "შიო მღვიმის სამი სიგელი".

[16] თრიალეთის მთების ვრცელი ტოპოგრაფიული აღწერილობა იხ. **ვ. ფილიპოვის ,** მრავალჯერ მოხსენებულს თხზულებაში, გვ. 51-76.

[17] მტˆნე ქˆჲ *465, გვ. 240, *467, გვ. 241; სიგელი 1073 წ. გიორგი II, **ს. კაკაბაძის** გამ. შიო მღვიმის სამი სიგელი, 4 და სხვაგან მრავალგან.

[18] სომხეთის მთების ტოპოგრაფიული აღწერილობა იხ. **ვ.ფილიპოვის** თხზულებაში გვ. 106-117.

მთებს გარდა მოიპოვება მცირეოდენი ცნობები ველებისა, ბარისა და ჭალების შესახებ. არა ერთხელ არის მოხსენებული თბილისის სანახებში მდებარე "**ველი ისნისაჲ**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *488, გვ. 261, *502-503, გვ. 273; ისტრ˜ნი და აზ˜მნი, *629, გვ. 407). ამას გარდა აღნიშნულია ქართლშივე "**დიღმის ველი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *488, გვ. 261) და "**სამშვილდის ბარი**" (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *512, გვ. 281), "**ველი ნიალისა**" (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *652-653, გვ. 439) ჯავახეთში და "**ველი ოვსეთისაჲ**" (ჯუანშერი, ც˜ა ვახ˜ტნგ გრგ˜სრსა, *314, გვ. 129) იმიერ კავკასიაში.

ძველს საისტორიო წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე შემდეგი ჭალანი:

ქართლში ჭალები უფრო ხშირია; ნადირით სავსე "**ქართლის ჭალაკთა**" ნადირობა დავით აღმაშენებელსა ჰყვარებია თურმე (ც˜ა მ˜სა დ˜თსი, *520-521, გვ. 288). მტკვრის პირას იყო "**ჰავჭალისა ღელენი**" (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *549 გვ. 317); მტკვარს ეკრა "**სასირეთის ჭალაც**". "მატიანე ქართლისაჲ" მოგვითხრობს, რომ ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი და ბაგრატ IV «შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა»-ო (*490, გვ. 263). აღნიშნულია აგრეთვე "**ჭალა ნადარბაზევისა"-ჲ,** რომელიც ლიახვის პირზე იდო ტინისჴიდთან; მემატიანე ამბობს მეფე ბაგრატ IV «დგა ტინისჴიდს ჭალასა ნადარბაზევისასა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *506, გვ. 276). დასახელებულია დბანის ხეობაში მდებარე **ქუეშის** (ქც˜ა ქვეშის) **ჭალაც** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *498-499, გვ. 269). დასასრულ იხსენიება "**ჭალა აგარათაჲ**" (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *667, გვ. 457), რომელიც სომხეთში უნდა ყოფილიყო.

§ 2. ზღვები, ტბები და მდინარეები

საქართველოს დასავლეთით საზღვრავდა და ეხლაც საზღვრავს "**ზღუა პონტოსა"** (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *95-96, გვ. 1; *97, გვ. 2; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *633, 412). ამით აიხსნება, რომ საქართველოს იმ ნაწილებს, რომლებიც ზღვისპირას მდებარეობდნენ, როგორც მაგ., ეგრისს ეწოდებოდა "ქუეყანა ზღუის ყურისა" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 3). შავი ზღვის მონაპირე ქვეყნებს უძახდნენ საზოგადოდ "კერძოთა პონტოჲსათა", როგორც მაგ. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს: «წარვიდეს კერძოთა პონტოჲსათა უდაბნოთა ადგილთაა»-ო (ცჲ˜ იე˜სი და ეფ˜თმსი, 21). ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს აგრეთვე "**ზღუა სპერისა**". იგი ამბობს: «ეწოდა ყოველსა ქუეყანასა ქართლი ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა-ო (ც˜ა მფ˜თა, *103, გვ. 5). სხვა ამგვარსავე შემთხვევებში იგივე ისტორიკოსი ამ სახელის მაგიერ პონტოს ზღვასა სწერს; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სპერის ზღვა იგივე პონტოს ზღვაა იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი ბერძნული სახელი იყო, ხოლო პირველი ამ ზღვის ძველი ქართული სახელია. ეს სახელი იმიტომ დაერქმეოდა შავ ზღვას, რომ მის აღმოსავლეთ-სამხრეთის კიდეებზე სპერი, ანუ ისპირი იდო.

მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო საზღვარს კასპიის ზღვა შეადგენდა, რომელსაც ქართველები ძველს დროს სხვებსავით უწოდებდნენ "**ზღუაჲ გურგანისი"-ს** (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა *95-96, გვ. 1., ის˜ტრნი და აზ˜მნი, *633, გვ. 412). ისტორიკოსი ამბობს მაგ., რომ თამარ მეფემ, სახელმწიფო ტახტზე აბრძანდა თუ არა, «იპყრა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისადოა» (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *633, გვ. 412).

ცნობილია, რომ კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოშიც ტბები შედარებით ცოტა მოიპოვება. დიდ ტბად ითვლებოდა მაგალ. **“ტბაჲ ფარავნაჲ”** (ცˇა ნინოჲსი, Опис., II, 748; ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *105, 106 და *129, გვ. 7 და 21), რომელიც ჯავახეთში მდებარეობს; «წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა… მივემთხუე მთათა ზედა ტბასა დიდსა…, რომელსა ერქუა ფარავნაჲა»-ო, მოგვითხრობს წˇა ნინო შატბერდისეულს ცხოვრებაში (ცˇჲ ნინოჲსი, Опис., II, 748). ბაგრატონიანთა მემატიანე სუმბატიც აშოტ კურაპალატზე ამბობს: «მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასაა»-ო (ცˇა და უწˇყბა, 52).

სამცხეში ყოფილა ერთი “ტბაჲ მღრჯე”, რომელსაც “ეწოდების **სათაჯუე”** (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇმლსჲ, 18). ეხლანდელ რუკებზე იგი აღიშნული არ არის. შედარებით მოზრდილია **“ბაზალეთის ტბა”** (მˇტნე ქˇჲ, *457, გვ. 233), რომელიც არაგვის დასავლეთით მდებარეობს და რომლის პირასაც შეკრბენ კჯრიკე კახეთის ქორეპისკოპოსი და ლეონ აფხაზთა მეფე ზავისა და მშვიდობიანობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

დასასრულ, თამარ მეფის ისტორიკოსს მოხსენებული აქვს “წელის ტბა”, ანუ “ცელის ტბა” (ისˇტრნი და აზˇმნი, *719, გვ. 527). იყო ამგვარი ტბა, თუ აქ ხელნაწერში შეცდომაა და თავდაპირველად ეწერა “**წედის ტბაჲ**”?. ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ეს ადგილი მაღლობი და გრილი უნდა ყოფილიყო და საზაფხულო სააგარაკოდ ითვლებოდა; იგი ამბობს: «მეფე თამარ ზამთარს დვინს იყჯს და ზაფხულს კოლას და წელის ტბას (თუ წედის ტბას), ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთსა»-ო (ისტˇრნი და აზˇმნი, *719, გვ. 527). წედისი არის დაბა-ციხე რაჭაში (ვახუშტი, გგრˇფა, 286) და ეხლაც არსებობს. ამ დაბის აღმოსავლეთ-სამხრეთით არის «წონა, ადგილი გამოხვეული მთებითა და შინაგან ვაკე; აქ არის მცირე ტბა» (იქვე, 286), რომელიც 5-ვერსიან რუკაზე ერწოდ იწოდება. ვახუშტს მისი სახელი აღნიშნული არა აქვს. იქნებ წინათ იგი “წედის ტბას”-ს სახელით იყო ცნობილი? ამ ტბის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით გადასავალსაც წედის გადასავალი ეწოდება და ეგების ძველად მთელ ამ მიდამოებს წედისი ერქვა? ეს ადგილი მაღლობია და სააგარაკოდაც კარგი იქნებოდა. მომავალში იმედია მეტი ცნობები აღმოჩნდება და მაშინ უფრო ადვილი იქნება წედის, წელის, თუ ცელის ტბის ნამდვილი **მდგომარეობის გამორკვევა**.

სომხეთის ტბათაგან ქართულს საისტორიო წყაროებში მოხსენებულია მხოლოდ “**გელაქუნის ზღუა**” (ისტˇნი და აზˇმნი, *665-666, გვ. 455), ეხლანდელი გოქჩის ტბა.

ლეონტი მროველი თარგამოსიანთა თავდაპირველ სამფლობელოს საზღვრად ასახელებს “სამხრით **ზღუა თერისა**” (ქისტˇცა ორეთისა)-ს (ცისტˇა მფისტˇთა *95-*96, გვ. 1), მაგრამ არც ერთს სხვა ქართველს ისტორიკოსს, ვახუშტსაც-კი, ამგვარი ზღვა არ აღუნიშნავს, არც თანამედროვე ჰიდროგრაფიულს აწერილობაში და არც 5-ვერსიან რუკაზეა იგი აღნიშნული; ამიტომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რომელს ტბას ჰგულისხმობდა ლეონტი მროველი, როდესაც მან ეს “ზღუა” მოიხსენია.

თუმცა დასავლეთი საქართველო ბუნებისაგან უფრო უხვად არის მდინარე წყლებით დაჯიდოვებული, მაგრამ ცნობები ძველს ქართულს მწერლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების შესახებ უფრო მეტი მოიპოვება. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმით აიხსნება, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის მიწა-წყალი კარგად იციან, დასავლეთის შესახებ-კი მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა აქვთ. თუ მომავალში აღმოჩნდებიან

ისეთი წყაროები, რომლებშიაც, გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებათაებრ, ადგილობრივი და არა საზოგადო საქართველოს ცხოვრება და მიწა-წყალი იქმნება აწერილი, მაშინ ჩვენ უეჭველია შეგვეძინება უხვი მასალები დასავლეთ საქართველოს ჰიდროგრაფიისათვის. ეხლა-კი ჯერ-ჯერობით იმასთან შედარებით, რა ცნობებიც ბერძენი დ რომაელი გეოგრაფების წყალობით ჩვენ ამ თხზულების პირველს წიგნში შეკრებილი გვაქვს, თუ არა ნაკლები, მეტი არ მოგვეპოვება. მოხსენებულია "**რიონი**" (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *128და 129, გვ. 20), "**ეგრის წყალი", "ეგრისის წყალი** " (მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 709; ლეონტი მროველი, *128, გვ. 20; ჯუანშერი, ცˇა ვხˇტნგ გრგˇსრსა, *399, 185) და "კლისური" (ჯუანშერი, ცˇა ვხˇტნგ გრგსˇრსა, *399, გვ. 185). სად იყო, ან რა მდინარეა ეს "ეგრისის წყალი"? ლეონტი მროველი ამბობს, რომ ფარნავაზმა მისცა ქუჯის «ქუეყანა ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთადმდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთია»-ო (ცˇა მფˇთა, *128, გვ. 20); ხოლო ჯუანშერი სწერს: «საზღუარი საბერძნეთისა, რომელ მოცემულ არს ეგრის წყალსა და კლისურსა შუა»-ო (ცˇა ვხˇტნგ გრგსˇრსა, *399, გვ. 185).

ლეონტი მროველი ამტკიცებს, რომ ქ. ეგრისს «აწ… ჰქჳან ბედიაჲა»-ო (ცˇა მფˇთა, *98, გვ. 3). ამიტომ, ალბათ, მას ეგრისის წყალი იქვე ბედიის მახლობლად ეგულებოდა. კლისური ეთანასწორება ეხლანდელს მდ. კელასურს, რომელიც სოხუმის სამხრეთით ერთვის შავს ზღვას. მაშინ ეგრისის წყლად უნდა მდ. ოხოჯი ყოფილიყო.

მაგრამ ამასთანავე ეგრის წყალი ეხლანდელს ბათუმის ოლქშიც არის და თანამედროვე 5-ვერსიან რუკაზე "**ეგრეს-სუ**"-დ იწოდება, რაც თურქულად ეგრის წყალსა ჰნიშნავს. ბათუმის ოლქშივე არის "**კლასური**", რომელიც კლისურს უდრის. პროკოპი კესარიელსაც კლისური ლაზიკის სამხრეთს ნაწილში ეგულებოდა[19].

მაშ რომელი ორთაგან იყო ეგრისის წყალი? ლეონტი მროველის ცნობაში ეგრისის წყალი უეჭველია ჩრდილოეთით არის ნაგულისხმევი იმიტომ, რომ ამ მდინარესა და რიონს შუა მას ეგრისი და სვანეთი აქვს მოთავსებული. მაგრამ ჯუანშერს კი ეგრის წყალი და კლისური სამხრეთისაკენ აქვს მოხსენებული; ვახტანგ გურგასრის სიტყვებითგან, რომელსაც მემატიანე ამ ალაგას ალაპარაკებს, ცხადად ჩანს, რომ ეგრის წყალი და კლისური კლარჯეთში არის (ცˇა ვხˇტნგ გრˇგსრსა, *399, გვ. 185). მართლაც, კლარჯეთის ერთს კუთხეს "ეგრი" ეწოდებოდა (იხ. მოსახლეობა "კლარჯეთის"). ეს ორი მსგავსი სახელის მქონე მდინარე ვგონებ გარეგნობითაც მაინც განსხვავდებიან – ჩრდილოეთისა იწოდებოდა "**ეგრისის წყლად**", სამხრეთისა "**ეგრის წყლად**".

დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვარზე იყო "**მდინარე მცირისა ხაზარეთისა**", რომელიც შავს ზღვას ერთვის იქ, სადაც «წასწუდების წუერი კავკასიისაა» (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *98, გვ. 3); ამ მდინარეს ეხლა ყუბანს ეძახიან.

თუ გავიხსენებთ, რომ უკვე ბერძენ და რომაელ მწერლებს მოხსენებული აქვთ მდ. **ხოფი**, რომელიც შავს ზღვას ერთვის, და რიონის შემდინარეები **ყვირილა და ცხენის წყალი[20],** მაშინ ჩვენ გვექნება სრული ცნობები დასავლეთ საქართველოს წყლების შესახებ, რომლებიც-კი XII საუკუნ. დასასრულამდე აღნიშნული არიან.

---

[19] იხ. დესტუნისის თარგ., II, გვ. 230-231; შენ. 19.

[20] იხ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თავი I, [ტფილისი, 1928, გვ. 233].

შავ ზღვას რომ აღარ დავუბრუნდეთ, უკეთესია აქვე მოვიხსენიოთ ის მდინარეები, რომელნიც პონტოს ერთვიან, ანუ მას ეკუთვნიან. სამხრეთ-დასავლეთითგან წამოსული სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთვის "**ჭოროხი**" (სუმბატის ცˇა და უწˇყება, 54; ცˇა მˇსა დთˇსი, *531, გვ. 298). "**სამი წყალი**"[21], რომელიც ჭოროხის შემდინარეს "იმერჴევს" ერთვის, კლარჯეთშია. ოპიზის მონასტრის XI საუკ. სიგელში ნათქვამია: «სამხრით **სამწყრისა წყალი** ვითა **შავშეთის წყალსა ჩაერთვისა**»-ო[22]. ეხლანდელ 5-ვერსიან რუკაზე შავშეთის წყალი აღნიშნული არ არის, მაგრამ რაკი ისეთს შესანიშნავსა და ძველ საბუთშია მოხსენებული, როგორიც არის ზემოაღნიშნული სიგელი, უეჭველია, ამგვარი მდინარე უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ვახუშტიც ამბობს, რომ «შავშეთის წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორის არსიანის მთასა… დის პირველად აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს და სამხრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შორისა» (გგˇრფა, 228). შავშეთის წყლის სახელი ეხლაც არსებობს, მას ერთვის ქუჩენის ხევი, ხოლო თვით იმერხევის შემდინარეა[23].

"**სამწყრის წყალი**"-ს სახელიც შენახული ყოფილა[24]; იგი იგივე "სამიწყალი" არის, ხოლო ძველი მეგრული გამოთქმა შერჩენილია ისევე, როგორც იგი ოპიზის სიგელში ისმის, ხოლო რაკი იმავე IX საუკ. საბუთში გარკვევით ნათქვამია, რომ «სამწყრის წყალი… შავშეთის წყალსა ჩაერთვისა»-ო[25], მაშასადამე, წინათ შავშეთის წყლად მარტო ის პატარა ჴევი-კი არ იწოდებოდა, რომელიც იმერჴევს ერთვის და რომელსაც შენარჩუნებული აქვს ეს სახელი, არამედ იმ პატარა ხევითგან ეხლა მოყოლებული მთელი მდ. **იმერჴევიც,** იმიტომ რომ სამწყარი, ანუ სამიწყალი ერთვის მდინარეს, რომელსაც ეხლანდელს 5-ვერსიანს რუკებზე იმერჴევი ეწოდება. ამგვარად, ძველად "შავშეთის წყალი" ანუ იმერჴევი, რომელიც აგრეთვე ამ წყლის ძველისძველი მეორე სახელია, ჭოროხის შემდინარედ ითვლებოდა. შავშეთის წყალს ქვემოთ ჭოროხს აღმოსავლეთით ერთვიან შემდინარეები კლისური (=კლასური), "მიჭიხიანი"-ს[26] წყალი, რომელიც უდრის ეხლანდელს რუკეზე მაჭახლის წყალს, და **აჭარის წყალი**[27].

აღმოსავლეთ საქართველოს "**მტკუარი**"[28] რწყავს; მას ძველ დროსაც ჰქონდა სახელი "მდინარისა… დიდისაჲ" (ცˇჲ აბო ტფˇლსჲ, 32), "დიდისა…მდინარისა"[29] და მართლაც ამიერკავკასიაში იგი უდიდესი მდინარეა. სათავე მას კოლაში აქვს.

საქართველოს საზღვრებში მას მრავალი შემდინარეები ერთვის ორთავ მხრივ. ამ შემდინარეთაგან ძველს ქართულს მწერლობაში მოხსენებულია "**წყალი ხინგრისა**" (ისტˇრნი და აზმˇნი *652-653, გვ. 438-439), რომელიც "თმოგუსა და ერუშეთს შუა" ყოფილა "ველსა ნიალისასა" (იქვე). თუმცა ხინგრის წყალი ეხლანდელ 5-ვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არის, მაგრამ ზემომოყვანილი ზედმიწევნითი აღწერა, განსაკუთრებით-კი ის ცნობა, რომ ეს წყალი ნიალის ველზე დიოდა, ცხადად

---

[21] სამცხე-საათაბაგ. მღუდელმთავარნი: **დ. ბაქრაძე,** АПГА 81 და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 76.

[22] **ე. თაყაიშვილი,** საქართველოს სიძველენი, II [ტფილისი, 1909], გვ. 3.

[23] **ნ. მარი,** TP, წ.VII, დღიური [СПб., 1911], გვ. 10, 86.

[24] **იქვე,** 93, 111 და 138.

[25] **ე. თაყაიშვილი,** საქ. სიძველენი, II, 3.

[26] სამცხე-საათაბაგ. მღუდელმთავარნი: **დ. ბაქრაძე,** АПГА და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., გვ.77.

[27] Constantine Porphyrogenete, De admin. imperio. cap. 46, ed Bonnae p 206.

[28] ცˇჲ აბო ტფილˇლსჲ, 32;წˇმჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთა; TP, V, 55; მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 708. მტˇნე ქˇჲ, *448, გვ. 225 და სხვაგან ბევრგან.

[29] წბˇაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ, TP, V, გვ. 55.

ამტკიცებს, რომ ძველად "წყალი ხინგრისა" რქმევია იმ პატარა მდინარეს, რომელიც 5-ვერსიან რუკაზე "**არდაგანკა**"-დ იწოდება. ხინგრის წყალი მტკვარს ჩრდილოეთ-დასავლეთით ერთვის.

ამაზე ჩრდილოეთით მტკვარს ერთვის შემდინარე "**ახალციხის წყალი**"[30]; ვახუშტის სიტყვით: «წნისს… ხიდს ზეით მომდორდების მტკვარი და მოდრკების სამხრიდამ აღმოსავლეთად, სად მოდრკების მოერთვის მტკვარს მუნ ახალციხის წყალი; და ახალციხის წყალი ეწოდების კვანჯღამდე ამ წყალსა და მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, ხოლო კვანჯღას ზეით ახალციხის წყალი განიყოფების ოთხ მდინარედ და ეწოდების თჳს-თჳსნი სახელნიოა» (გგრ˜ფა, 208). ამ აღწერილობითგანა ჩანს, რომ წინათ ახალციხის წყლად იწოდებოდა ეხლანდელი ფოცხოვის წყალი.

ქართლში მტკვარს მრავალი შემდინარეები ემატება: გორთან ერთვის "მდინარე… **ლიახუი**" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *164, გვ. 40), მერე აღმოსავლეთით "**ქსანი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 219), შემდეგ "შეერთჳს **არაგუი** მტკუარსა" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *103, *106, *125 და *129, გვ. 5, 7, 12 და 21; მქც˜ჲ ქ˜ჲ, Опис., II, 721; ც˜ჲ ნინოჲსი, Опис., II, 789; ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრგ˜სრსა, *397-398, გვ. 183 და სხვაგან მრავალგან). არაგვი იმავ "მთისაგან გამოვალს", სადაც სათავე აქვს აგრეთვე მდინარეს, "რომელი განვლის დარიალანს" და "ჩავალს ველსა ოვსეთისასა" (ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრგ˜სრსა, *314, გვ. 129). ამ მდინარეს ეხლა **თერგი** ჰქვია, მაგრამ ძველად ქართველები მასაც არაგვს უწოდებდნენ. ლეონტი მროველი ამბობს: «მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამეთუ ერთისა მთისაგან გამოვალს თავი ორთავე ქართლისა არაგვისა და ოვსეთისაა»-ო (იქვე). თერგსა და არაგვს მართლაც კავკასიონის ქედში აქვთ სათავე ერთიერთმანერთის მახლობლად: პირველს თრუსოს ხეობაში, მეორეს ზილხოხსა და ბორბალოს მთებს შუა[31]; ხოლო ვახუშტის სიტყვით – არაგვი «გამოდის მაღნარ დვალეთის ქნოღოს კავკასიის მთიდამ,, (გგ˜რფა, 89). არაგვს, რომელიც თეთრისა, შავის და ფშავეთის არაგვისაგან შესდგება, ბევრი შემდინარეები ერთვის აქეთ-იქითგან, ამათგან ძველს მწერლობაში მოხსენებულია "**ხრამი ნარეკუავისა**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *502-503, გვ. 273). ნარეკუავის წყალი ჩრდილოეთით მომდინარეობს და არაგვს დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრივ ერთვის "იწროსა ღართისასა" (იქვე).

ქართლშივე სამხრეთით მტკვარს ერთვის პატარა შემდინარე, რომელსაც ძველად რქმევია "**სკორეთისა მდინარე**" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *104 და *129, გვ. 6 და 21), ანუ სკვირეთის მდინარე, ვახუშტის სიტყვით «აწ წოდებული **ვერე**ა»-დ (გგრ˜ფა, 63); იგი «გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკვარს დასავლიდამ ტფილისის ჩრდილოთ (sic) კერძა» (გგრ˜ფა, 63). ეხლაც ამ ხევს იგივე სახელი აქვს შენახული.

დასავლეთ-სამხრეთითვე მტკვარს ერთვის შემდინარე "**ალგეთი**" (ისტ˜რნი და აზ˜მნი *667, გვ. 457) და «მდნარეჲ იგი დიდია» ალგეთისავით დასავლეთით აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ მიმავალი, «რომელსა **ქცია** ეწოდებისა» (ც˜ა გ˜ი მთწ˜მდლსჲ, 287. იხ. აგრეთვე ისტ˜რნი და აზ˜მნი, *667, გვ. 457). ამ ქციას სათავე უკიდურესს დასავლეთს თრიალეთში აქვს, «გამოსდის შარაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჴრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა… თრიალეთს

[30] სამცხე-საათაბაგ. მღუდელმთავარნი: **დ. ბაქრაძე,** АПГА, 81.

[31] М.Н. Герсеванов. Очерк гидрографии Кавказского края, 1886, 37 და 104.

მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაჴრამდების[32] და არს იმიერ და ამიერ კლდე-ქარაფი და მაღალი… ეძანს ქვეით და ახალ-ქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ, ძირს აქუს ტბა დიდია»-ო (ვახუშტი, გგ˜რფა, 53).

ქციას თავის მხრივ მრავალი შემდინარეები ერთვის, რომელთაგან ზოგი მოზრდილია. ამ შემდინარეთაგან მოხსენებულია: 1) "**ზორაკერტი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 258), ანუ, როგორც მას მერე ეძახდნენ, ზურტაკეტი (ვახუშტი, გგრ˜ფა, 51); 2) "**ტორნის ჴევი**"[33], რომელიც ვახუშტის სიტყვით "ირაგის ჴეობის მდინარე"-ა და "ერთვის ქციას" (გგრ˜ფა, 56); 3) "ქუეშის ჴევი"[34], რომელიც ქციის შემდინარეს **მაშავერს** "ერთვის ჩრდილოდამ" (ვახუშტი, გგრ˜ფა, 50) და დასასრულ 4) "**ქურდვაჭრის ჴევი**" (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *651-*652, *667, გვ. 437-438 და 557)[35], ანუ "**მდინარე ბერდაოჯი**", "**მდინარე ბერდუჯისი**" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *97, *103-104 და *129, გვ. 2, 6 და 21); ამავე მდინარეს ვახუშტის სიტყვით "**დებედაც**" ეწოდებოდა (გგრ˜ფა, 40) და სწორედ ამ სახელით არის იგი ეხლა ცნობილი; იგივე ავტორი ამტკიცებს, "ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრის ჴევი"-ო (გგ˜რფა 40), მაგრამ არა ჩანს რაზე ამყარებს იგი თავის აზრს. ლეონტი მროველი ამბობს, რომ «ბერდაოჯის მდინარის თავსა» მთა «მიჰყუების დასავალით კერძ (ც˜ა მფ˜თა, *97, გვ. 2). მაშასადამე, თავში ბერდუჯის დინება დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ ჰქონია; შემდეგ ამ მდინარის «წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძ და მიერთვის მტკუარსაა» (იქვე). მართლაც სწორედ ასეთი მდინარეობა აქვს დებედას, ანუ ბერდუჯს, რომელიც «გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლით კერძ[36] და მერმე მოიქცევის და დის ჩრდილოთ კერძ და მიერთვის ქციის მდინარესაა»-ო (გგ˜რფა, 40).

ჩრდილოეთით მტკვარს ერთვის დიდი შემდინარე "**ალაზანი**" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 2-3; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *601-611, გვ. 382-383). ალაზანი ორი იყო: ერთს ერქვა "**მცირე ალაზანი**" (ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 2-3), რომელსაც აგრეთვე "**იორი**" (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *394-395, გვ. 181; ც˜ა მ˜სა დ˜თსი, *522 და 529, გვ. 298, 296; ვახუშტი, გგ˜რფა, 131) ეწოდებოდა; მეორეს ალბათ **დიდი ალაზანი** ერქმეოდა. ლეონტი მროველის სიტყვით სწორედ «შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასაა» ყოფილა აშენებული ქ. ხორანთა (ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 2-3). ორთავე მდინარეს კავკასიის უღელტეხილში აქვს სათავე და ერთი მიმართულება აქვს, წყვილად არიან[37].

ჩრდილოეთით დიდს ალაზანს ერთვიან შემდინარეები "**შტორი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ) და **"ჴევი ლოპოტისა" (**ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრისა, *394, გვ. 181).

---

[32] აქეთგან წარმოსდგა შეცდომით ამ მდინარის რუსული სახელი "ხრამ".

[33] VII საუკ. უსახელო გეოგრაფია, პატკანოვის გამოცემა, სომხური დედნის გვ. 17, თარგმანი, გვ. 39.

[34] Զտիղաֆոր VII საუკ. სომხ. გეოგრ. იქვე, 17, თარგმანი, 39.

[35] ვგონებ ეს სახელივე უნდა იყოს დამახინჯებული VII საუკ. სომხურს უსახელო გეოგრაფიაში, სადაც სწერია "გორგოვათისხ" ֆորցովաքիսկ (გვ, 17). თავდაპირველად ეწერებოდა - ֆորցովաքիսկ ვინც სომხური იცის, მიხვდება, რომ ამგვარი შეცდომა ასოების მოხაზულობის გამოისობით შეიძლებოდა მომხდარიყო.

[36] დედანში სწერია "აღმოსავლეთით" (გვ. 40), მაგრამ ეს უბრალო კალმის შეცდომაა და ისე უნდა შესწორდეს, როგორც ზემოთ არის. რომ თვით ვახუშტმა მშვენივრად იცოდა რა მიმართულებაცა ჰქონდა დებედას, ეს ნათლად, მტკიცდება მისი რუკით, სადაც დებედა დახატულია დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ მიმდინარე (იხ. ბროსეს გამოც. რუკა № 2).

[37] იხ. М.Н. Герсеванов, Очерк гидрографии Кавказского края, გვ. 107.

იორის შემდინარეთაგან მოხსენებულია “**უჯარმის ჴევი**” (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, *394-395, გვ. 181).

შირვანში მტკვარს ერთვის შემდინარე “**წყალი შანქორისა**” (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *673-674, გვ. 466) და “**წყალი ეკლეციისა**” (იქვე *672, გვ. 463).

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ჯუანშერი ამბობს «შეერთჳს მდინარე **ანაკერტისა** მტკუარსა»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, *405, გვ 189), მაგრამ არც თანამედროვე რუკებში და სპეციალურს გამოკვლევებში, არც ვახუშტის თხზულებაში მტკვარის ამგვარი შემდინარე მოხსენებული არ არის. ანაკერტი არის მხოლოდ კლარჯეთში, რომელიც ერთვის სამწყარს, რომელიც თავის მხრივ ჩადის შავშეთის წყალში, ანუ იმერჴევში, ჭოროხის შემდინარეში.

ამას გარდა ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულია “მდინარე… რომელსა ჰქჳან **ნოსტე** (ც˜ა მფ˜თა, *154, გვ. 35). როგორც ეტყობა, ავტორს იგი სამცხეში ეგულება, მაგრამ ამგვარი სახელი ეხლა აღარ არსებობს.

§3. მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

საქართველო შედგებოდა რამდენიმე “ქუეყანისა”-გან, რომელთაც თავ-თავიანთი სახელები და თავ-თავიანთი საზღვრები ჰქონდათ; აშოტ დიდი «ეუფლა ქართლს საზღუართა მისთაა»-ო, მოგვითხრობს მაგ. “მატიანე ქ˜ჲ”, (441, გვ. 219). ამ ქვეყანათა სახელებიცა და საზღვრებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკურ ან ეროვნულ ვითარებისდა მიხედვით იცვლებოდნენ; ერთს დროს “ეგრისი” მაგ. მთელს დასავლეთს საქართველოს ერქვა და საზღვრებიც შესაფერისად იყო გაფართოებული, აგრეთვე “ქართლი” მთელს აღმოსავლეთს საქართველოს, მთელ საქართველოს სახელადაც-კი იწოდებოდა; აქაც ამ სახელის მნიშვნელობის გაფართოება ქართველთა პოლიტიკურ-ეროვნული ზრდის შედეგია. მაგრამ არსებობდა მაინც თითოეული ქვეყნის მუდმივი, მკვიდრი საზღვრები, რომელთა შუა იყო ხოლმე იგი შემოფარგლული. საქმე ამ მუდმივი საზღვრების გამოკვლევაა იმ ისტორიულ ხანისათვის, VIII-XII საუკ., რომლის შესწავლაც ჩვენს ეხლანდელს მიზანს შეადგენს. პირდაპირი ცნობები ამ საგანზე არსად მოიპოვება, მაგრამ ამისათვის, ვგონებ, გამოსადეგი უნდა იყოს ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ქართველთა სხვადასხვა ტომთა ვითომც წინაპართა სამფლობელოები; იქ სადაც მაგ. ქართლოსის, კახოსის, კუხოსის, ეგროსის და სხვათა ხვედრ-ქვეყნების რაოდენობა არის აღწერილი, იქ ჩვენა გვაქვს ჩამოთვლილი ქართლისა, კახეთისა, კუხეთისა და სხვათა საზღვრები, რა საზღვრებიც თითოეულს ამ ქვებანათაგანს ავტორის დროს (X-XI საუკ. ქ. შ.) და წინათაც მიკუთვნებული ჰქონია. ამგვარი ხერხით მე მგონია შეიძლება მკვლევარმა გამოარკვიოს საქართველოს თითქმის ყველა ქვეყნების საზღვრები.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, ვითომც მშობელმა «მისცა ქართლოსს და უჩინა **საზღუარი –აღმოსავალით** ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი, **დასავალით** ზღუა პონტოსა, სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყუების დასავლით კრძო რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოეთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყუების მთა[თა] შორის კლარჯეთს და ტაოსა, ვიდრე ზღუამდის და **ჩრდილოეთ საზღუარი** –ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა (მთისასა), რომელსა ჰქვიან ლიხია»-ო (ც˜ა მფ˜თა, *97, გვ. 2). იგივე ავტორი სხვა ალაგას კიდევ შემდეგს ცნობებს გვაძლევს: «ეწოდა ყოველსა ქუეყანასა **ქართლი ხუნანითგან ვიდრე**

ზღუადმდე სპერისაა»-ო (იქვე, *103, გვ. 5). ჯუანშერს ქართლის დასავლეთი საზღვრების ზოგიერთი ადგილები უფრო ნიშანდობლივ აქვს ჩამოთვლილი; მისი სიტყვით ვახტანგ გორგასარს ვითომც «უკუსცა კეისარმან საზღუარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ზღვითგან ვიდრე არსიანთამდის და ხევნი, რომელნი მოსდგმენ ღადოთა»-ო (ც˜ა ვხ˜ტანგ გრგ˜სრსა, *358, გვ. 156-157); ესე იგი თუხარისი და კლარჯეთიც ქართლს ჰკუთვნებია.

ქართლი რამდენიმე ნაწილად იყოფოდა; ერთი ამ ნაწილთაგანი, ლეონტი მროველის აზრით, უფლოსის სამფლობელო ყოფილა, რომელიც «დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსისა… და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნამდინ… არაგვითგან და არმაზისგან ვიდრე ტასის კართამდე, უწოდა ამას ქუეყანასა სახელი ზენა სოფლისა, რომელსა აწ ჰქჳიან **შინა ქართლი**ა»-ო (ც˜ა მფ˜თა, *106, გვ. 7); იგივე საზღვრები ჰქონია შიდა ქართლს, რომელსაც ვითომც ფარნავაზს მეფეს იგი ერთ-ერთი ერისთავისათვის მიუცია განსაგებლად: «მისცა ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნადმდე, რომელ არს **შიგა** (sic) **ქართლი**ა»-ო (იქვე, *129, გვ. 21). მაშასადამე, შიდა ქართლი XI საუკ. იწყებოდა არაგვითგან და არმაზითგან და ტასის კარამდის მიდიოდა, ამას წინათ თურმე "**ზენა სოფელი**" რქმევია[38]. "მატიანე ქ˜ჲ"-თგან-კი ისე გამოდის; თითქოს "ზემო ქუეყანა" ქართლს გარეშე ყოფილიყოს: «გამოიყუანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, სამეფოთა ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსაა»-ო (*486, გვ. 260).

ზემომოყვანილ ამონაწერებში ორი სხვადასხვაგვარი საზღვარი არის აღნიშნული: ერთს უფრო ვრცლადა აქვს საზღვრები შემოფარგლული და იქ ქართლი გადაჭიმულია ჰერეთ-ბერდუჯითგან მოყოლებული, შეიცავს ტაოსა და კლარჯეთს შავ ანუ სპერის ზღუამდის, ჩრდილოეთით ლიხის მთა უდარაჯებს მას, ხოლო სამხრეთით ბერდუჯის სათავე და მთა, საითგანაც ეს წყალი გადმომდინარეობს; ეს მთა დასავლეთისაკენ წარზიდული ერთვის ქართლის დასავლეთ-სამხრეთის საზღვარს კლარჯეთს და ტაოს. ქართლის სამხრეთ-დასავლეთის უკიდურესს საზღვრად თურმე ციხე თუხარისი ითვლებოდა, აღმოსავლეთის საზღვარს ჰერეთი შეადგენდა, ანუ, უფრო დაახლოებით რომ განისაზღვროს, "ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან". თუ ჩვენ ჩავუკვირდებით ამ ფართოდ შემოფარგლულს მიწა-წყალს, უეჭველია შევამჩნევთ, რომ იქ საკუთარ ქართლს გარდა ჩართულია ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, და ტაოც, ანუ მთელი ის ქვეყანა, რომელიც მესხეთად იყო ცნობილი.

უეჭველია, აქ ჩვენს ისტორიკოსს ქართლი ფართო მნიშვნელობით აქვს ნახმარი, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მიკუთვნილი და არა ეთნოგრაფიული ან ოლქობრივი. ლეონტი მროველმა ჩვენ ჩამოგვითვალა ქართლის სამეფოს ანუ იბერიის საზღვრები, რომელსაც სტრაბონის სიტყვით მესხეთი უძველესი დროითგანვე მოყოლებული ეკუთვნოდა. ამიტომ ქართველი ისტორიკოსი მართალი იყო, როდესაც მან ზემოაღნიშნული საზღვრები აღგვინიშნა, მაგრამ ჩვენც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვრებია, უკახეთოდ-კი.

---

[38] იხ. აგრეთვე კონსტანტინე ქართ. ც˜ა. საქ. სამოთხე, 364. [ხელნაწერში არ არის, დამატებულია II და III გამოცემის რედაქტორის მიერ.-რედ.].

ლეონტი მროველს ჩამოთვლილი აქვს საკუთრივ ქართლის საზღვრებიც იქ, სადაც მცხეთოსის სამფლობელო, ანუ როგორც თვით ისტორიკოსი ამბობს "**შინა ქართლი**"აქვს აღწერილი. იგი შეიცავდა ქვეყანას "არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის კართამდე და ფარავნადმდე"; არც ჯავახეთი მაშასადამე და არც სამცხე, არც მესხეთის სხვა ნაწილები აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩართული არ არის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა "**ქართლი**" თანდათან, დროთა განმავლობაში, მარტო საკუთარ ქართლს კი აღარ ნიშნავდა, არამედ მას ფართო მნიშვნელობა მიენიჭა; ეს, რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკური ზრდის შედეგი იყო. უკვე V საუკუნეში, როგორც ესა ჩანს წ˜ა შუშანიკის მარტვილობისაგან, ქართლად იგულისხმებოდა ჰერეთიც; ხოლო ილარიონ ქართველის ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ქართლი **კახეთისათვისაც** შეიძლებოდა საზოგადო სახელი ყოფილიყო; იქ მაგ. ნათქვამია: «აღმოსცენდა ესჲ (ილარიონ) ქუეყანით ქართლით, საზღუართაგან და კერძოთა კახეთისათა"-ო (ც˜ჲ ილ˜რნსი, 71). ზემოთაც მოყვანილი იყო ცნობები, რომლებშიაც ქართლად მთელი მესხეთი არის ნაგულისხმევი.

ამისთანა შემთხვევებში, როდესაც სიტყვას "ქართლი" ფართო და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ხოლმე "ყოველი", ან "ერთობილი" და ამბობდნენ ხოლმე "**ყოველი ქართლი**", "**ერთობილი ქართლი**"-ო; მაგ. უკვე "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში ნათქვამია, როდესაც წ˜ა ნინოს მიცვალების ამბავი შეიტყეს, შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთაჲ და უჟარმოჲ, ყოველი (ჭელიშისეულში-ერთობილი) ქართლია»-ო (Опис., II, 718); გიორგი მერჩულიც მოგვითხრობს, რომ საეკლესიო კრებამ დაადგინა «ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისაა»-ო (ც˜ა გგ˜ლ ხნ˜ძთლსჲ, მჲ); ილარიონის შესახებაც ნათქვამია: «განითქუა ჰამბავი ღირსისა მამისაჲ ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასაა»-ო (ც˜ჲ ილ˜რნსი, 72).

ამ ტერმინის საზოგადო შემკრებელობითი მნიშვნელობა საუცხოვოდ არის გამოთქმული გიორგი მერჩულის თხზულებაში (X საუკ.). «**ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებისა**»-ო (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, მთ.). მაშასადამე ყველგან, სადაც ქართული ენა სუფევდა წირვა-ლოცვის დროს, ქართლი იყო და უკვე მაშინ ამგვარ ქართლად დიდი, "ფრიადი ქუეყანაჲ" აღირაცხებოდა. ამისთანა შემთხვევებში ქართლად იგულისხმებოდა მიწა-წყალი "**ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ**"[39].

მეთერთმეტე საუკუნეში მწერლობაში ამ ცნებისათვის შესატყვისი სიტყვა შემოვიდა და ყოველი ქართლის მაგიერ ამბობდნენ და სწერდნენ "**საქართუელოჲ**", ყოველი საქართველოჲ (ც˜ჲ ი˜ესი და ე˜მსი, 62), რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მაგ. ამბობს: ანდრია მოციქულმა შემოიტანა „ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა"-ო[40].

ქართლის იმ ნაწილს, რომელიც თბილისის სამხრეთით მდებარეობდა, თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. ამ ქვეყანას თავისი საკუთარი საზღვრები ჰქონდა შემოფარგლული დ ეწოდებოდა "**გარდბანი**". ლეონტი მროველი ამბობს: «გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღუარი აღმოსავალით – მდინარე ბერდუჯისი, დასავალით – ქალაქი გაჩიანი და სამხრით – მთა პირველ ჴსენებული (ე. ი. სადაც ქართლის სამხრეთის საზღვარია აღნიშნული) და ჩრდილოთ მტკუარია»-ო (ც˜ა

[39] იხ. რუის-ურბნისის ძეგლის წერაჲ, ქრ˜კბი, II, 58.

[40] იხ. რუის-ურბნისის ძეგლის წერაჲ, ქრ˜კბი, II, 58.

მფ˜თა, *103-104, გვ. 6)[41]. იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა «ერთი გაგზავნა ხუნანის ე˜ვად და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისადმდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდბანი”-ო (იქვე, *129, გვ. 20-21). ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე საზღვრებია დასახელებული; ”გარდაბნის” ანუ ხუნანის საერისთავო ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკვრითა და ტფილისით, სამხრეთით სომხითის მთებით, აღმოსავლეთით მტკვრითა და ბერდუჯით, ხოლო დასავლეთით ქალაქ გაჩიანით. ამ უკანასკნელს გარდა სხვა ყველა საზღვრების მდებარეობა ცხადია. არ ვიცით მხოლოდ, სად იყო **გაჩიანი.** იმავე ლეონტი მროველის სიტყვით გაჩიანი ვითომც ახალი სახელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ წინათ, «მაშინ ერქუა სანადირო ქალაქია»-ო (ც˜ა მფ˜თა, *104, გვ. 6). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს მაინც, რომ გაჩიანი მტკვრის პირასა ყოფილა; იგი მოგვითხრობს: «ჩამოიარიან თურქთა სომხითი... ჩამოდგიან გაჩიანთა პირსა მტკუარისასა»-ო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი, *529, გვ. 296); მაგრამ თუ გაჩიანი მართლაც ამ ქვეყნის დასავლეთი საზღვარი იყო, როგორც ნათქვამი აქვს ლეონტი მროველს, მაშინ მტკვარზე შეიძლება იგი მხოლოდ ხაშურსა და ტასის-კარს შუა ყოფილიყო სადმე. მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ეწინააღმდეგება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომლის სიტყვებითგანაც ისე გამოდის, რომ გაჩიანი აღმოსავლით მდებარეობს, სადღაც სომხითსა, ბარდავსა და ივრის პირს შუა. ერთი სიტყვით, ჯერ-ჯერობით ჩვენ ისეთი ცნობები არ მოგვეპოვება, რომ დანამდვილებით გამოგვერკვია, თუ სად მდებარეობდა ქ. გაჩიანი. ყურადღების ღირსია, რომ გაჩიანის მდებარეობა, როგორც ეტყობა, არც ვახუშტსა სცოდნია (გგრ˜ფა, 65).

”**გარდაბანი”,** ანუ ”**გარდბანი”** ქალაქსაც ეწოდებოდა. აშოტ კურაპალატის შესახებ მაგ. მემატიანე მოგვითხრობს, რომ არაბთა ლაშქრობით დევნილი ივლტოდა «გარდაბანს ეკლესიასა შინა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 220); ხოლო როდესაც ბუღა ბარდავში დაბანაკებული იყო საზამთროდ, «შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებული იყო და შემუსრა გარდაბანი»-ო, (იქვე, *444, გვ. 222). ჯერ-ჯერობით არც ამ ქალაქის მდებარეობის გამორკვევა შეიძლება; ვახუშტიც სდუმს და ამ ქალაქს არც-კი იხსენიებს.

გარდაბანის ანუ გაჩიანის ქვეყანას ეკუთვნოდა **სამშვილდის საერისთავო,** რომელიც შეიცავდა სანახებს ”სკორეთისა მდინარითგან ვიდრე მთადმდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *129, გვ. 21). ვახუშტის სიტყვით აბოცი (სომხები აშოცს უწოდებდნენ) აწ ყაიყულად წოდებული არისო (გგრ˜ფა, 48). მაშასადამე, ეხლანდელი ყაიყული ყაზანჩის მიდამოებში ყოფილა.

ძველს ქართულსა და სომხურს მწერლობაში ამ ქვეყნის სხვა ნაწილების სახელებიც არის შენახული, მაგ: ”**თრიალეთი”**[42], ”**მანგლისის ჴევი**”[43], **”ქციის ჴევი”** (იხ. ზემოთ, მდინარეები), ”**ზორაკერტის ჴევი”** (იხ. ზემოთ, მდინარეები), ”**ტორნის**

---

[41] როგორც ლეონტი მროველის სიტყვებითგანა ჩანს, ქ. გაჩიანი მდ. ბერდუჯის დასავლეთით უნდა ყოფილიყო მტკვარსა და სომხითის მთებს შუა. იქნებ ქ. გაჩიანი ყოფილიყო ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის ხაჩინ-ჩაის ნაპირას..., სარჩევში იგი ანიშნულია 27⁰62-41⁰30, მაგრამ 5-ვერსიან რუკაზე მდინარე არა ჩანს, არამედ მთაა ”Хачина керц”; ყურადღების ღირსია, რომ ეს ”ხაჩინი” მართლაც ბერდუჯის დასავლეთით მდებარეობს. ნახე ხაჩინის სამთავროც.

[42] **მ˜ტნე ქ˜ჲ,** *465, გვ. 240; 1073 წ. სიგელი **გ˜ი** II, **ს.კაკაბაძის** შიომღვ. სამი საბუთი, 4 და სხვაგან მრავალგან.

[43] **მტ˜ნე ქ˜ჲ,** *405, გვ. 240; 1073 წ. სიგელი **გ ˜ი** II, იქვე, 4; სომხ.უსახ.გეოგრაფია, 16 და 28.

ჯევი” (იქვე), ”**ქუეშის ჯევი**” (იქვე), ”**ბოლნისის ჯევი**”[44] და ”**ქურდვაჭარის ჯევი**” (იხ.მდინარეები).

ქართლის დედაქალაქად თავდაპირველად **მცხეთა** იყო; იგი ითვლებოდა ”**დიდადქალაქად**” და სატახტო ქალაქად, «იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ» (ცˇჲ ნინოჲსი, Опис., II, 750).

მცხეთა მოზღუდვილი იყო ”ქჯთ-კირით” (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *111, გვ. 10) და სამი კარები ჰქონდა, ერთს მათგანს ერქვა არაგვის კარი (ჯუანშერი, ცˇა ვხˇტანგ გრგˇსრსა, *296, გვ. 118), მეორეს ”ჩრდილოს კართა ქალაქისათა რქმევია ”მუხნარისა” (ლეონტი მროველი, *165, გვ. 40-41). ქალაქის კარებთან არჩილ მეფის აშენებული კოშკები მდგარა: «მცხეთის კართა ზედა არაგვისთა... იყუნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლველნი, რომელნი მასვე (არჩილ მეფეს) აღეშენა»-ო (ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇსრსა, *296, გვ. 118).

მაგრამ ამასთანავე მცხეთა ქართლის სააღებ-მიცემო ცენტრი იყო; ადამიანს შეხვდებოდა «ერნი… ურიცხუნი… (ურბნისის) ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად… ვაჭრობად» (ცˇა წˇა ნინოჲსი, იქვე, II, 750).

მცხეთაში არსებობდა ხიდი ”მოგუთა ჯიდ”-ად წოდებული, «მივიწიენით ქალაქად მცხეთად წიაღით მოგუთას ჯიდსა ზედა» (ცˇჲ ნინოჲსი, იქვე, II, 750).

მცხეთის ერთ-ერთ გარეთუბანს ”მთავართა სანათლოჲ” (ცˇა ნინოჲსი, იქვე, II, 786) ერქვა.

«ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგვი მტკუარსა… მთასა მასზე, რომელსა ეწოდების არმაზი» იდგა “**სიმაგრე**” (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *102 და 103, გვ. 5), **არმაზის ციხედ** წოდებული. გარეშემოვლებული ჰქონდა «ქვითკირის ზღუდე ციხესა არმაზსა», იქითგან მოყოლებული წარმოზღუდული იყო «ცხვირი არმაზისი ვიდრე მტკურადმდე» (იქვე, *111, გვ. 10).

მცხეთის შემდგომ ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ სრულიად საქართველოს დედაქალაქად **ტფილისი** გახდა; იგი იყო ამიერითგან ”სახლად სამეფოდ” (ჯუანშერი, ცˇა ვხˇტნგ გრგსˇრსა, *401, გვ. 186), ”სამეუფო”, ანუ სამეფო ქალაქად.

თვით ქალაქის დაარსების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში გარკვეული და ერთგვარი ცნობა არ მოიპოვება: ლეონტი მროველი ამბობს «აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა»-ო (ცˇა მფˇთა, *290, გვ. 114); ჯუანშერის სიტყვით-კი ტფილისის აგება ვახტანგ გურგასარს დაუწყია, მაგრამ რაკი დამთავრება არ დასცლია, მისმა მემკვიდრემ შვილმა დაჩიმ «განასრულა ზღუდენი ტფილისისანი, ვითა ებრძანა ვახტანგს. იგი შექმნა სახლად სამეუფოდ (ცˇა ვხტˇნგ გრგსˇრსა, *401, გვ. 186).

მეექვსე საუკუნითგან მოყოლებული მაინცა-და-მაინც ტფილისია დედაქალაქად. ხოლო დავით აღმაშენებელმა რომ 1121 წ. ტფილისი აიღო და სატახტო ქალაქად ”სამეფო ქალაქად” აქცია, მას შემდგომ იგი, რასაკვირველია, გახდა აგრეთვე საქართველოს მეფეთა ”საჯდომი” (ისტˇრნი და აზˇმნი, *621, გვ. 395). არაბ მწერლების სიტყვით ვიცით, რომ ტფილისი VIII-X საუკ. დარუბანდზე პატარა ყოფილა. ქალაქს გარშემო ორი ზღუდე ჰქონია. ერთი, ალბათ, თავდაპირველი, მეორე-შემდეგ აშენებული, როდესაც ქალაქი გაიზრდებოდა. მტკვარი ორად ჰყოფდა ქალაქს; წყლის ორსავე ნაპირს იყვნენ დამკვიდრებულნი მცხოვრებნი. როდესაც მაგ. ლიპარიტი და ბაგრატი «მოადგეს ტფილისსა მტკვარსა იმიერით, ზემო და ქუემოთ,

[44] სომხ. უსახ. გეოგრაფია, ვენეტიკის გამ., გვ. 28.

აფხაზთა მეფისა ლაშქარნი და წყლის ამიერით, ჰისნით კერძო მოადგინნა ლაშქარნი კახნი და ჰერნია» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *484, გვ. 258). აქეთ "**ველსა ისნისასა**" მდებარეობდა წინანდებურად საქალაქო სასაფლაო "**სანახებსა საგოდებელისასა**" (ისტ˜ნი და აზ˜მნი, *629, გვ. 407). ისანს და ტფილისს უკვე VIII საუკ. ორი ხიდი აერთებდა, იქვე, სადაც ეხლაც ავლაბრის ხიდებია, და ამ ხიდებზე აღმართული ყოფილა ჯვარი. "ისნის ხიდი" შემდეგ საუკუნეებშიც არსებობდა (მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა, *261).

ალ-ისტაჰრის სიტყვით ტფილისს თითქოს სამი კარი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ტაბარი ამბობს, რომ ტფილისში ხუთი კარი იყოო. მას ჩამოთვლილი აქვს ამ ხუთისავე კარის სახელები: ერთს ერქვა "**მოედნის კარი**", მეორეს "**კარის კარი**", მესამეს "**პატარა კარი**", მეოთხეს "**აბატის ანუ ციხის კარი**" და მეხუთეს "**სოღდებილის კარი**"[45]. სომეხთა ისტორიკოსი თომა არწრუნი იხსენიებს ტფილისში კარს, რომელიც მიქცეულია სამშვილდის ციხისაკენ[46]. ისანში მტკვრის პირას ხიდთან კლდეზე უკვე VIII საუკ. "**სადილეგო**", საპყრობილე იდგა. იქვე მახლობლად მაშინ და შემდეგაც თურმე სასაფლავო "**საგოდებელი**" ყოფილა[47].

ტფილისის კარებთან კოშკები მდგარა "**კოშკნი კართანი**"; მატიანე ქართლისაჲს მოხსენებული აქვს "ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორისანი" (*488, გვ. 261). ისანსაც, როგორც ჩანს, თავისი ზღუდე ჰქონია. როდესაც მაგ. ბაგრატ IV ტფილისს მოადგა «ისნელთა ჩააგდეს ჴიდი და არა მისცეს ისანია» (იქვე, *488, გვ. 261). ქალაქში იყო "**უბანნი და ფოლოცნი**" (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *707, გვ. 511).

თამარ მეფის ისტორიკოსს შენახული აქვს ერთი მეტად საყურადღებო ცნობა საქალაქო ცხოვრების და დაცვის წესების შესახებ. თუმცა ეს ცნობა ტფილისს-კი არ შეეხება, არამედ ქ. ანისს, მაგრამ იგიც ამ დროს საქართველოს ეკუთვნოდა და უეჭველია ტფილისშიც იმგვარივე წესი იქნებოდა. ამ აღწერილობითგანა ჩანს, რომ ქალაქის ციხისა და გალავანის კარები ღამით მუდამ იკეტებოდა და მხოლოდ გათენებისას, როდესაც მცველნი შენიშნავდნნე, რომ «ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა», ესე იგი ეკლესიებში დარეკესო, მხოლოდ მაშინ აღებდნენ ხოლმე ქალაქის კარებს («განახუნეს კარნი») და მომსვლელ-წამსვლელს უშვებდნენ; მაგრამ დილა-ადრიან, ჩვეულებრივ, «უმრავლესი ერი იყო ეკლესიათა შინა, ვითარ შეჰგავს ქრისტიანეთა სჯულსაი»-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *707, გვ. 510-511).

ტფილისის მიდამოებში, "სანახებსა ტფილისისასა", დასავლეთისაკენ XII ს. იყო "**დიდოჯბე**" და სწორედ "სრასა დიდოჯბისასა" გადაიხადეს დიდებულად თამარ მეფის ქორწილი (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *647, გვ. 432). ტფილისის მიდამოებში იქმნებოდა "**უმედეული**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *488, გვ. 261); როდესაც ბაგრატ IV ტფილისის მცხოვრებლებმა მოიწვიეს და მორჩილება გამოუცხადეს, «ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა დახვდა» (იქვე), ცხენოსნები-კი უფრო შორს გასულან და «მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი ცხენოსანნი დიღმის ველსა» (იქვე); თვით სოფელს მაშინ ჰრქმევია "**დიღუამი**" (ც˜ა მ˜სა, დ˜თსი, *522, გვ. 289).

ტფილისის ჩრდილოეთითვე იყო "**ჰავჭალა**"; დიდ თურქობის დროს 1095-7 წ., თურქები «ზამთრისავე თანა მიწევნისა... ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღუამს»-ო, მოგვითხრობს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი (ც˜ა მფ˜სა, დ˜თსი, *522, გვ. 289). ტფილისის მახლობლად და სამხრეთით მდებარეობდა "**ტაბაჯმელა**" (ის˜ტრნი და

---

[45] Tabari ---------?**გვ.33** III Series, III, გვ.

[46] ----------?**გვ.33**174.

[47] იხ. ჩემი საქ˜ს ეკონომიური ისტორია, [ტფილისი, 1907], გვ. 20-21.

აზ˜მნი, *677, გვ. 470); სადაც თამარ მეფის სადგომი იყო. მცხეთის ჩრდილოეთით იყო ”**მოხნარი**”, ”**მუხნარი**” (ც˜ჲ ნინოჲსი, Опис., II, 772 და ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *165, გვ. 40-41). ”სანახები მოხნარისა” სანადირო ადგილი ყოფილა და შეიცავდა ”**მთათა...თხოთისათა**” (ც˜ა ნინოჲსი, იქვე, II, 772). ამ მთის მდებარეობა გამორკვეული აქვს ვახუტს, რომელიც ამბობს: ”კსანს იქით ასტყდების მთა თხოთისა... ამ მთის მობმით მთა იწლევისა წარვალს გორამდე” (გგ˜რფა, 91). იწლევის მთა ხუთვერსიან რუკაზე არის აღნიშნული და ქსნის დასავლეთით იმავ რუკაზე მოხსენებულია ტაჭატის ქედი; აქვე უნდა იყოს, როგორც ეტყობა, მთა თხოთისა.

ამავ მიდამოებში იყო ადგილი ”**საფურცლე**” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *165, გვ. 41). მცხეთის მახლობლადვე, მსახელდობრ ჩრდილოეთით, უნდა დებულიყო ”**ქინძარი და ღართი**” იმიტომ, რომ მუხრანის სანახებში ნადირობითგან დაბრუნებულს «მიეგებოდეს ქინძარს და ღართს»-ო (ც˜ა ნინოჲსი, Опис., II, 774) ღართის კვალი უნდა შენახული იყოს ეხლანდელს ღართის კარში, რომელიც არაგვზე მდებარეობს. მართლაც, მცხეთის ჩრდილოეთით, იქვე შორი-ახლოს იქნებოდა, ალბათ, ქინძარიც.

”მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს ქალაქებად მიაჩნია «მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად... **სარკინე** ქალაქი, **კასპი, ურბნისი და ომრაჯს**» (Опис., II, 708). ”ქალაქსა კასპისასა” ისტორიკოსი ჯუანშერიც იხსენიებს (ც˜ა ვხ˜ტანგ გრ˜გსრსა, *301, გვ. 121); კასპი და ურბნისი ეხლაც, თუმცა სოფლად, მაინც არსებობენ და კვლავინდებურად მტკვრის პირას არიან. სარკინეს მდებარეობა დანამდვილებით არც ვახუშტსა სცოდნია; როგორც ზემომოყვანილი ამონაწერითგან ჩანს, სარკინე მტკვრის პირას უნდა იდოს.

ლეონტი მროველის სიტყვით «მცხეთის დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუეთილი ღრმა... ეწოდა მას ადგილსა **სარკინე**» (ც˜ა მფ˜თა, *125, გვ. 12).

ქართლში ”სანახებსა ქართლისასა” იყო ქალაქი **ურბნისი** (ც˜ა ნინოჲსი, Опис., II, 750) და ქ. ურბნისში ყოფილა ებრაელთა ახალშენი და ”ბაგინი ჰურიათა” (ც˜ა ნინოჲსი, იქვე, II, 750).

ძველის ძველად მიაჩნია მემატიანეს აგრეთვე ”**უფლის ციხს**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 708), რომელიც მაშინ ჯერ ქალაქად არა ყოფილა, არამედ ციხედ (იქვე).

როგორც ქართულს X-XI საუკ. წყაროებითგან ჩანს, უფლისციხემ განსაკუთრებული მნიშვნელობა IX საუკუნეში მოიპოვა, როდესაც ქართლის დედაქალაქი თბილისი არაბთა ხელში იყო და უფლისციხე იქცა ქართველთათვის უმთავრეს ქალაქად. ამ დროითგან მოყოლებული უფლისციხეს, სანამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება არ მოხდა, მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამიტომაც არის, რომ IX-X საუკ. მოპირდაპირენი უფლისციხის გამო ასე ხშირად ეცილებოდნენ ხოლმე ერთიერთმანეთს; ვინც უფლისციხეს ჩაიგდებდა, იმის ხელში იყო ქართლიც, მაგ.: «სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი... სპითა დიდით... მოადგა უფლისციხესა... და წარიღეს ციხე ჴერჴითა, ხოლო... იმზახნეს სუმბატ და კონსტანტინე და უკუსცა უფლისციხე და ქართლი»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *448, გვ. 225-226; შეად. აგრეთვე *443, გვ. 220-221). უფლისციხე მაშინაც სწორედ მტკვრის პირამდე ყოფილა ჩამოსული ისე, რომ ვისაც უფლისციხითგან გამოსვლა ჰსურდა, ის მტკვარს გამოღმა უნდა გამომგზავრებულიყო; როდესაც მაგ. გიორგი აფხაზთა მეფის განდგომილმა შვილმა კონსტანტინემ უფლისციხეში მომწყვდეულმა იქითგან გაქცევა მოიწადინა, «გამოვიდა ღამე მტკუარსა ტივითა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *454, გვ. 230).

უფლისციხე XI საუკ. ქართლის დიდმნიშვნელოვან სიმაგრედ ითვლებოდა და ქართლის ერისთავს ეპყრა: ბაგრატ IV «შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისნი და აღიღო უფლისციხე» მათგან (მტ˜ნე ქ˜ჲ, *492, გვ. 264).

უფლისციხე ხომ, ვითარცა კლდეში გამოკვეთილი ქალაქი, ბუნებრივს სიმაგრეს წარმოადგენდა, ამას გარდა მას ზღუდეც ჰქონდა მოვლებული. მაგრამ როდესაც აბულ კასიმ ძე აბულსაჯისი «შემოვიდა ქართლად და მოაოხრა ქართლი... ვიდრე იგი შემოვიდოდა მოარღუივნეს ზღუდენი უფლისციხისანი რომელ არა დაიმჭირონ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *449, გვ. 227). შემდეგ ქართველებს დაქცეული სიმაგრე ისევ აღუდგენიათ (იქვე, *453, გვ. 230).

ქართლშივე უნდა ყოფილიყო "**ჯაჭუი**" (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *365, გვ. 161). "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ძველ დაბათა შორის მოხსენებული აქვს **ზანავი** (Опис., II, 708), რომელიც მტკვრის პირას არის ტაშის კარის სამხრეთ-დასავლეთით; **ნასტაგისი,** რომელიც "სარკინესა დასავლით კერძო" (იქვე) იყო და **ხერკი** (იქვე). ხერკის მდებარეობა მემატიანის იმ ზღაპრულ მოთხრობითგან შეიძლება გამოირკვეს, რომელშიაც მას ნათქვამი აქვს, ვითომც ჰონნი მოვიდნენ ქართლში, ითხოვეს დასასახლებლად «ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს და ეპყრათ იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქჳან მას ხერკი» (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, იქვე, II, 708); მაშასადამე, ხერკი უნდა ზანავის მახლობლად ყოფილიყო.

სწორედ ქართლისა და სამცხის საზღვარზე "კერძოთა ქართლისათა... ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა" (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, ლვ) იმყოფებოდა "**ნეძვ**" (იქვე, ლვ; ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლჲ, 320) "დიდებული ლავრა" და მონასტერი "კჳირიკე წმიდაჲ" (ც˜ჲ გგ˜ ხნძ˜თლსაჲ, ლვ).

ზედ ქართლის საზღვარზე იყო "**ტასის კარი**", რომელიც ტაშის კარის სახელით ეხლაც არსებობს მტკვრის პირას, ლომის მთის ძირას.

თბილისის სამხრეთით მდებარეობდა "**მუხათგუერდი**", რომელიც იქნებ კოდას მახლობლად მდებარე ხუთვერსიან რუკის "**მუხათის**"-ს უდრიდეს; ვახუშტს მუხათგუერდის მდებარეობა სხვაგან აქვს ნაჩვენები, დიღომსა და მცხეთის ხიდს შუა ნაქულბაქევის ზევით (გგ˜რფა, 76).

"მატიანე ქ˜ჲ" მოგვითხრობს: «ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბასას ძემან ქართლისა ერისთავმან მუხათგუერდს გამოიტყეს ტფილელი ამირა ჯაფარ და დიდი ხანი დაატყუვეს პატიმრობასა შინა და წარუღეს ბირთვისი»-ო (*484, გვ. 258). ბირთვისის მდებარეობაზე ვახუშტი ამბობს: «იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა და ტბისის უკან, ჩრდილოთ კერძ, არს ციხე ბირთვისი»-ო (გგ˜რფა, 60-61). ამიტომ საფიქრებელია, რომ მუხათგუერდი და ბირთვისი ერთიერთმანეთის მახლობლად უნდა ყოფილიყვნენ, და მუხათგუერდი ყოფილიყო იქ, სადაც იგი ეხლა არის რუკაზე აღნიშნული; მუხათგუერდი და ბირთვისი მართლაც ახლო არიან ურთიერთზე და უკანასკნელი თითქმის პირველის გასწვრივ მდებარეობს. ბირთვისს მახლობლადვე იყო "**ციხენი ორბეთი და ფარცხისი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 259 და *505, გვ. 274-5). ფარცხისი ეხლაც არსებობს და ზრბითისა და ალგეთის წყლების შესართავთან არის აღნიშნული ხუთვერსიან რუკაზე. ორბეთის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს: «ზრბითის ჴევზედ მაღალს კლდეზედ არს ეკლესია ორბეთი, ხოლო სად ერთვის ალგეთს ჴევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი, ფარი ბირთვისის ციხისა, აწ შემუსვრილი»-ო (გგ˜რფა, 61). ამ ცნობისდა მიხედვით ორბეთი, ალბათ, იქ უნდა იყოს, სადაც ხუთვერსიან რუკაზე აწერია ეკლესიის ნანგრევიო.

მტკვრის სამჴრეთით თრიალეთსა და მანგლისის ჴევს იყვნენ, და ბევრი მათგანი ეხლაც არის, შემდეგი სოფლები და ქალაქები: **კარსანი** (ც˜ჲ ნინოჲსი, Опис., II,); **ციხედიდი**[48], **ნიჩბისი**, **წინარეხი და შუარეხი, ადლეთი** (იდლეთი?); **შედარი და ძველი ღრდულეთი**, რომელნიც ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არიან, თუ რომ ღრდულეთი თანამედროვე **ზღრდულეთს** არ უდრის, მაგრამ ეს სოფელი მტკვარის ჩრდილოეთით მდებარეობს; **ცხირეთი, ცხევერი და გავაზელნი, გუელდესი**[49]; ძლიერი ციხე "თრიალეთს" **კლდეკარი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *480, *494, გვ. 254, 266; სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 76), ეს ციხე ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის აშენებულია; მემატიანე მოგვითხრობს: «შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *446, გვ. 224); თრიალეთშივე იყო ადგილი, "რომელსა ეწოდების **მყინვარნი**"; იქ მიიცვალა გიორგი მეფე (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 75); მეორე ქართველი მემატიანე ამბობს, რომ ამ ადგილს "ეწოდების მყინვარნი გინა **იწრონი**"-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *479, გვ. 253); თრიალეთსვე ყოფილა **კარუშეთი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *467, გვ. 241); "კლდეკართა ქუეშე **ბორცუის ჯუარი და ბჭითი**"[50] მდებარეობდა. არა ჩანს, სად იყო **ს. "მოუგონელნი", "ფურჴადისი"**[51] და "**ეკრანთა**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *510, გვ. 279).

ალგეთის პირას არის **ქ. მანგლისი** (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 714), საეპისკოპოსო საყდარი, განთქმული თავისი დიდებულის ტაძრით. ქციის ჩრდილოეთ ნაპირზეა აშენებული განთქმული და ძლიერი ციხე-ქალაქი **სამშვილდე**[52].

სამშვილდის ჩრდილოეთით ალგეთზე იყო **ფარცხისი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *505, გვ. 275; ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *512, გვ. 281) და იმავ მდინარეზე აღმოსავლეთ-სამხრეთით მდებარე **მარაბდა** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *507, გვ. 276). სამშვილდის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა **დმანისი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *505, გვ. 275), რომლის აღმოსავლეთით იყო განთქმული საეპისკოპოსო საყდარი **ბოლნისი** და თავის ჩუქურთმიან სამკაულით შესანიშნავი **წულრულაშენი**. ამის სამხრეთით არის **ოფრეთი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *498-499, გვ. 270); სულ სამხრეთით იყო, ქართლისა და სომხითის საზღვარზე "**ციხე ლორისა**" (ისტრ˜ნი და აზ˜მნი, *614, გვ. 387-388), რომელიც იყო "სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა" (იქვე *601, გვ. 409) და ჩვეულებრივ საქართველოს სამეფოს ამირსპასალარს ეძლეოდა ხოლმე საჴელოდ.

მტკვრის სამხრეთით მდებარეობდნენ და უმეტესი მათგანი ეხლაც არსებობს **ჩოჩეთი**[53], **ერთაწმიდა** თავის დიდებულის ტაძრით განთქმული, **სასირეთი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *490, გვ. 263), **ხოვლე** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *490, გვ. 263), **ქუაჴრელნი**, მტ˜ნე ქ˜ჲ, *461, გვ. 236-237), **ფიცესი**[54], **საორბისი** მშვენიერის პატარა 1152 წ. აგებულის ეკლესიით; **მონასტერი იკვი** მშვენიერის პატარა ეკლესიით არსენი კზ˜ის წარწერით და საუცხოვო ჩუქურთმებით შემკული; დიდებული სიონის გეგმაზე აშენებული მონასტერი **რკონი** და **ატენი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *455 და *486, გვ. 231, და 260), რომელიც გაშენებულია ტანის ხეობაში: შესანიშნავია თავის დიდებულის სიონით, რომელიც უკვე 853 წ. წინათ ჯვარის გეგმაზე იყო გადაკეთებული; XI საუკ. ბაგრატ მეფის (IV)

---

[48] 1073 წ. სიგ. გ˜ი II, **ს. კაკაბაძე,** შიო მღ. სამი სიგ. 4; მლ˜ქზ კ˜ზს 1020 წ. სიგ., ქრონიკები, II, 34.

[49] 1073 წ. სიგ. გ˜ი II, **ს. კაკაბაძე,** შიო მღ. სამი სიგ., 4; მლ˜ქზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ., ქკ˜ბი, II, 34.

[50] 1073 წ. სიგ. გ˜ი II, **ს. კაკაბაძე,** შიო მღ. სამი სიგ., 4.

[51] იქვე.

[52] მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, *498, *499, *509-510, გვ. 258, 269, 270 და 278-279; ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *103, გვ. 5-6; ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *512 და *529, გვ. 281 და 295; მრავალგან სხვაგანაც.

[53] მლქ˜ზკ კზ˜ს 1020 წ. სიგ., ქკ˜ბი, II, 33.

[54] 1073 წ. სიგ. . გ˜ი II, **ს. კაკაბაძის** შიო მღ. სამი სიგ., 4.

ბრძანებით იქ ქალაქი იყო აშენებული[55]. ატენის ციხე ერთ დროს კლდე-კართა ერისთავს რატსა სჭერია (მტ˜ნე ქ˜ჲ, *465, გვ. 240), მაგრამ არა ჩანს, ჩვეულებრივ ასე იყო ხოლმე, თუ ატენი საზოგადოდ ქართლის ერისთავს ემორჩილებოდა?

მტკვრის სამხრეთით ტანასა და მტკვარს შუა იყო და ეხლაც არის შენახული სოფლები: "**ცუქითი**"[56], "**ყინცუისი**"[57].

ძამის ციხე (მტ˜ნე ქ˜ჲ, *458, გვ. 234), რასაკვირველია, ძამის ხეობაში უნდა ყოფილიყო: ვახუშტის სიტყვით მერე **მძორეთის** ციხედ იწოდებოდა (გგ˜რფა, 82); **კოტმანი**[58]**; წრომი** განთქმული თვის დიდებულის ტაძრით[59]; **წვიმოეთი,** სადაც დღემდის შენახულია ბაგრატ III დროის 1002 წ. აშენებული ეკლესია[60].

ალბათ ამავე ადგილებშივე იქნებოდა "ქართლს მონასტერი **პალავრა**"[61], აგრეთვე **ს. შინდებისა**, მაგრამ მათი მდებარეობა ვერ გამოვარკვიე.

მტკვრის ჩრდილოეთით, ქსანის დასავლეთით დიდ ლიახვამდე დმებარეობდნენ: **თეძი**[62]**; სამთავისი** საეპისკოპოსო საყდარი იყო, მისი XI საუკ. განთქმული ტაძარი[63] ეხლაც მშვენივრად არის შენახული; **კოდისწყარო** (ც˜ჲ ნინოჲსი, Опис., II,), **ზეგანთა** სოფელი[64], რუკაზე აღნიშნულია **ზეგარდა,** მაგრამ ეს იქნება სხვა იყოს; **აშურიანი** XI საუკ. ეკლესიით და წარწერით[65] სვენეთი[66]. **რეჯი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443, გვ. 220), **ნაჭარმაგევი** (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *520-*521, გვ. 288; ისტ˜ნი და აზ˜მნი, *610 და *651-*52, გვ. 390 და 437) საუცხოვო სანადირო ადგილად ითვლებოდა დავით აღმაშენებლის დროს, «რომელი აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ» (ც˜ა მ˜სა დთ˜სი *520-*521, გვ. 288); ვახუშტის სიტყვით ნაჭარმაგევი აწ კარალეთად არის წოდებული (გგ˜რფა, 109); **კარბი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *501, გვ. 272); **ჩართული** (იქვე), რომელიც ეხლა როგორც ეტყობა, "შერთულად"იწოდება; **კურბითი**[67], რომელიც ეხლა კულბითად იწოდება; ვახუშტის სიტყვით მერის ჴევის აღმოსავლეთით, ორბოძლის მთის კალთაზე არის გაშენებული (გგ˜რფა, 110); ს. კულბითი პატარა ლიახვზე დევს[68]; და გორი (ისტ˜რნი და აზ˜მნი,*651-652, გვ. 437); მათე ურჰაელის სიტყვით ქ. გორი დავით აღმაშენებელს აუგია და სომხებით დაუსახლებია (იხ. აქვე, ქვემოთ, თავი მერვე); არა ჩანს მხოლოდ შემდეგ დროსაც გორი ქალაქი იყო, თუ უბრალო სოფელი?

მტკვრის ჩრდილოეთით, დიდი ლიახვის დასავლეთით იყო **ტინისჴიდი, ნადარბაზევი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *506, გვ. 276); **ნიქოზი,** სადაც არის საყდარი წმიდა რაჟდენის სახელობაზე (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *636, გვ. 417); **მოღრისი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *464-465, გვ. 240); **თიღვა,** სადაც დგას დავით აღმაშენებელის ასულის თამარის მიერ აგებული

---

[55] იხ. ჩემი, К вопросу о времени построения груз. храма в Атене, «Христ. Восток», т. I, вып. III, [1912], გვ. 33.

[56] მლქ˜ზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ.: ქკ˜ბი, II, 33.

[57] იქვე.

[58] 1073 წ. სიგ. . გ˜ი II, **ს. კაკაბაძის** შიო მღ. სამი სიგ., 4.

[59] МАК, IV.

[60] **Brosset,** Voyage, VI [121-125].

[61] მლ˜ქზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ.; ქ˜კბი, II, 33.

[62] იქვე, გვ. 34.

[63] **Brosset,** Voyage, VI [121-125].

[64] მ˜ლქზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ.; ქ˜კბი, II, 33.

[65] **Brosset,** Voyage, VI 125.

[66] 1073 წ. გ˜ი II. **ს. კაკაბაძის** შიო მღვ. სამი სიგ., 4.

[67] მლ˜ქზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ.; ქკ˜ბი, II, 33.

[68] МОТГ, I, [вып I, Тифлис, 1870. Список населенных мест Тифлисской губернии], გვ. 36.

დიდებული ტაძარი (იხ. XIII საუკუნის უსახელო ქართ. ისტორიკ.); **შინდარი**[69]**; წაღული** (ცˇა მˇსა დთˇსი, *520-*521, გვ. 288); დავით აღმაშენებელი რომ სამეფო ტახტზე ავიდა, იყო «სადგომი სამეფო წაღულის თავსა» (იქვე).

ვერც "**კუერცხობა**"-ს მდებარეობის გამორკვევა შევძელით ჯერ-ჯერობით. ცხადია მხოლოდ, რომ იგი ქართლში უნდა ყოფილიყო. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ როდესაც ბუღამ თბილისი დასწვა, «თევდოსი მეფე აფხაზთა გამოვიდა წინააღმდგომად მისსა, დადგა კუერცხობასა» (მტˇნე ქˇჲ, *443-*444. გვ. 221). ვერც ს. "**ოტათლოანის**"-ს[70] მდებარეობას მივაგენ; 5-ვერსიან რუკაზე არ არის, არც ვახუშტსა აქვს.

აი ყველა ის ქართლის სოფლები და ქალაქები, რომლებიც მოხსენებული არიან ძველს ქართულს მწერლობაში.

"**კახეთი**"[71] ქართლს აღმოსავლეთით ეკრა. ამ ქვეყნის სახელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ხან ფართოდ, ხან კიდევ ვიწროდ შემოფარგლული, ხან საკუთრივ კახეთის აღმნიშვნელი, ხან კახეთის სამეფოსი. ამ ქვეყნის საზღვრების გამორკვევა შეიძლება ლეონტი მროველის თხზულებისდა მიხედვით, მაგრამ დედანი გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს და ამის გამო საზღვრები არეულია.

ლეონტი მროველს ქართლოსის მოსაზღვრედ ჰეროსი, ანუ ჰერეთის გმოსახულება, მიაჩნია; ესე იგი ქართლს ჰერეთი საზღვრავსო. მისი სიტყვით **ჰერეთი** ყოფილა «ქვეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავითგან ვიდრე ტყე-ტბამდინ, რომელსა აწ ჰქჳან გოლგოლა»-ო (ცˇა მფˇთა, *98, გვ.2-3). ჩვენ უკვე ვიცით, რომ მცირე ალაზნად იორი იწოდებოდა. მაშასადამე, ამ მდინარის სათავითგან მოყოლებული გულგულამდე, ხოლო იქითგან მტკვრამდინ, ყველაფერი რაც მტკვარს ჩრდილოთ რჩებოდა, ჰერეთი ყოფილა. ქˇცა უსწორებს მˇმ დˇფს ქცˇის ხელთნაწერს ამ ადგილს და ამბობს "მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბამდეო"[72] და ესე უფრო სწორი უნდა იყოს; მაშინ მაინც საზღვრების გაგება შეიძლება, იმიტომ რომ თვით მˇმ დˇფს ქˇცა-შიც სწერია, რომ ჰეროსმა «აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი... აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთაო» (*98, გვ. 3). ხოლო თუ დედანი შეუსწორებელი დავტოვეთ, ისე როგორც ეხლა მˇმ დˇფს ქˇცა-შია, მაშინ ეს წინადადება გაუგებარი იქნებოდა, რადგან შესაკრებელი ორთავე ალაზანთა ჰერეთის საზღვარს გარეთ დარჩებოდა. მაშასადამე, ჰერეთად იწოდებოდა "ქუეყანა მტკუარსა ჩრდილოთ" მდებარე, "მცირისა ალაზნისა"ანუ იორის შესართავითგან მოყოლებული გულგულამდე.

კახეთ-კუხეთის საზღვრებიც, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაში მიპოვება, მˇმ დˇფს ქˇცა-ში, არეულია. იქ ნათქვამია: «კახოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქჳან რუსთავი, მისცა ეგრითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკუარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელ არს საზღუარი ჰერეთისა»-ო (ცˇა მფˇთა, *104, გვ. 4). აქ საკუთარი სახელებიცა და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება. ქˇცა ზოგან სამართლიანად ასწორებს და სწერს: «კუხოსს მისცა ბოსტან

---

[69] მლˇქზკ კˇზს 1020 წ. სიგ., ქკˇბი, II, 33.

[70] იქვე; ქრონიკები, II, 34.

[71] მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 717; მტˇნე ქˇჲ, *442, გვ. 219; ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *104 და *129, გვ. 6 და 20; სხვაგანაც მრავალგან.

[72] "ქართლის ცხოვრება", **ზ. ჭიჭინაძის** გამოცემა, [წიგნი პირველი, ტფილისი, 1897]; გვ. 17.

ქალაქი, რომელსა აწ ჰრქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღუარი ჰერეთისა»-ო[73]. აქაც შეცდომებია შერჩენილი, ზოგან კიდევ დედანი სწორად ვერ არის გასწორებული. თვით ლეონტი მროველს უეჭველია ასე ექმნებოდა დაწერილი: «კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰრქჯან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა, [ალაზნისა] და მტკუარს შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელ არს საზღუარი ჰერეთისა»-ო. არც ამ შესწორების შემდგომ არის უნაკლულო ლეონტი მროველის თხზულების ზემომოყვანილი ნაწყვეტი, მაგრამ ჩვენი შესწორება უსაფუძვლო არ არის; ცხადია, მაგ. რომ პირველ შემთხვევაში ავტორს კუხოსის სამფლობელოზე უნდა ელაპარაკა მეორეში – კახოსისაზე; რომ ”ეგრითგან”-ის მაგიერ დედანში ეწერებოდა ”არაგვითგან”, როგორც ქ˜ცა-ც ასწორებს, ისედაც ცხადია და დასაბუთება არა სჭირია; რომ ”და მტკუარსა შუა”-ს წინ რაღაც აკლია, ამას ნათლად ამტკიცებს კავშირი ”და” და თანდებული ”შუა”, იმიტომ რომ უიმისოდ არა ჩანს, რისა და ”მტკუარსა შუა”-ა; რაკი აზრისდა გვარად ყველაზე უფრო ბუნებრივი იყო ჩვენ ”ალაზნისა” ჩავუმატეთ.

კახოსის სამფლობელოს განსაზღვრა რომ შევასწორეთ და ”არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბადმდე”-ს მაგიერ დავსწერეთ ”მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბადმდე”, ეს-კი აუცილებლად იყო საჭირო იმიტომ, რომ ამ განსაზღვრას მისდევს განმარტება ”რომელ არს საზღვარი ჰერეთისა”-ო; ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰერეთის საზღვარი მცირე ალაზანი და ტყე-ტბა იყო და არა არაგვი და ტყე-ტბა.

როგორც ეტყობა ამ საკითხის გამოსარკვევად იმაზე მეტი მასალები, რაც ეხლა ჩვენ მოგვეპოვება, არც ვახუშტსა ჰქონია, მისი განმარტება მთლად ლეონტი მროველის ცნობებზეა დამყარებული.

სამსავე ტერმინს ”**კახეთი**”, ”**კოლხეთი**” (ანუ ”**კუხეთი**”) და ”**ჰერეთი**” სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა იმისდა მიხედვით, თუ საითგან იყო კახეთის იმდროინდელი ქორეპისკოპოზის ანუ მთავრის გვარეულობა; ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა; ბაგრატ III რომ კახეთში შევიდა მაგ. «აღიღო ქუეყანა ჰერეთისა»-ო (მ˜ტნე ქ˜ჲ, *468, გვ. 242-243). ამიტომაც არის რომ საქართველოს ამ სამი კუთხის საზღვრები ერთიერთმანეთში ირევა; მაგ.: წა ნინოს ცხოვრებაში დაბა ბოდი, ანუ ბოდინი შატბერდისეულ ხელნაწერისდა მიხედვით იყო ”კახეთისა ქუეყანასა”, ჭელიშისეულისდა მიხედვით-კი ”ქუეყანასა კოხეთისსა” (Опис., II, 790); ამგვარადვე ”მქ˜ცჲ ქ˜ჲ”-ს აღნიშნული აქვს, რომ ”ნეკრესი კახეთისა” (Опис., II, 720) ქალაქი იყო; ლეონტი მროველიც ადასტურებს: «კახეთს ქალაქს ნელქარისასა, რომელ არს ნეკრესი»-ო (ც˜ა მფ˜თა *136 და *142, გვ. 24 და 28); თუმცა იმისივე სიტყვით კახოსის სამფლობელო მხოლოდ ტყე-ტბამდე, ანუ გულგულამდე იყო; ნეკრესი-კი ამაზე კარგა მოშორებით იდო, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ყურადღების ღირსია, რომ მელქიზედეკ კათალიკოზის სიტყვით ჰერეთში ითვლებოდა თურმე ”ლაგოდეხი და ერეთსავე კატეხისა ეკლესია... კაკი... და ზიარი”[74].

---

[73] იქვე, გვ. 22.

[74] ქრონიკები, II, 33.

ვეჟინის ციხეც ჰერეთში ითვლებოდა; როგორც ჩვენი მემატიანე მოგვითხრობს, «უკმო კკრიკე ქორეპისკოპოზმან კონსტანტინე აფხაზთა მეფესა, ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა» (მ˜ტნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228). მორე მხრივ, დასავლეთით ისე გამოდის, რომ ბოჭორმაც ჰერეთსა ჰკუთვნებია: ბაგრატ III «წარიღო ბოჭორმაცა დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი»-ო (იქვე, *469, გვ. 243), თუმცა ყველა ეს ადგილები ლეონტი მროველის მიერ ჰერეთისათვის აღნიშნულის საზღვრების აღმოსავლეთით მდებარეობენ. რამდენად არეულია კახეთ-კუხეთ-ჰერეთის მნიშვნელობა, საუცხოვოდ იმითაც შეიძლება დამტკიცდეს, რომ ვეჟინის ციხე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს კახეთში ეგულება (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *517, გვ. 285).

საგულისხმოა აგრეთვე, რომ თუმცა კახეთ-კუხეთის დასავლეთის საზღვრად არაგვი ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არაგვის დასავლეთითაც კასპსა და არაგვს შუა მდებარე ქვეყანაც თურმე კახეთად იწოდებოდა. ” მ˜ტნე ქ˜ჲ” მაგ. მოგვითრობს, რომ ლეონ აფხაზთა მეფემ «იწყო მტერობად კახეთისა... გაილაშქრა... ჩადგა არაგვის პირსა, ასწყკდა **მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი**»-ო (*458, გვ. 234).

არაგვის ხეობასა და საზოგადოდ კახეთის ჩრდილოეთ ნაწილის თითოეულს კუთხეს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. სულ სამხრეთით ივრის დასავლეთით მდებარეობდა ”**ერწუ**” ანუ ”**ერწო**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716; მტ˜ნე ქ˜ჲ *504-*505, გვ. 274).

ამის ჩრდილოეთ-დასავლეთით იყო ”**წობენი**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716); ერწოს ზემოთ იორზე იყო ”**თიანეთი**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716**),** რომელიც მაშინ ვგონებ მთელი სანახების სახელი იყო და არა ქალაქისა. თიანეთს ჩრდილოეთ-დასავლეთით არაგვზე მდებარეობდა ”**ჭართალეთი**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716; მტ˜ნე ქ˜ჲ *444, გვ. 221-222; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *721, გვ. 528).

ხოლო ჭართალეთს დასავლეთით უდგებოდა ”**ცხავატი**”[75]**.**

ცხავატის ჩრდილოეთით იყო ”**ცხრაზმა**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528); რომელიც მდებარეობს ქსანის შემდინარეს ცხრაზმულაზე.

მერე არაგვზეა ”**გუდამაყარი**”[76]. ამის ჩრდილოეთით არაგვზევე მდებარეობდა ”**ჴადა**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528), ხოლო სულ ჩრდილოეთით, თერგის ხეობის დასაწყისში იყო ”**ჴევი**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528).

გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოველთა მთებზე იყო მოფენილი ”**ფხოეთი**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528), რომელსაც აღმოსავლეთით «**დიდოეთი**» (იქვე), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ”**თოშეთი**” (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716) საზღვრავდა.

”**მთიულეთი**” გუდამაყრის ხეობის დასავლეთ-ჩრდილოეთით მდებარეობდა არაგვსა და ქსანს შუა. ქართულს ძველს მწერლობაში ამ კუთხის მკვიდრთ”**მთიულნი**” ეწოდებოდათ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442 და *444), რომელიც განსხვავდება მეორე ამის მსგავს სახელისაგან ”**მთეულნი**”. ამ სიტყვას ”მთეულნი” (ც˜ჲ ნინოჲსი, Опис., II, 716, 792, 793; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *719-*720, გვ. 527) საზოგადო შემკრებელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, მთიელებს ეწოდებოდა; თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, რომ «მოუწოდა მეფემან ათაბაგსა [და] ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჴევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა,

[75] მტ˜ნე ქ˜ჲ *444, გვ. 221-222; სომხური უსახელო გეოგრაფია, პატკანოვის გამ., 16, ვენეტიკის გამ. 26; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *721, გვ. 528.

[76] სომხური უსახ. გეოგრაფია, პატკან. გამ., 16, ვენეტიკისა, 26.

ჭართალთა, ერწოთ[ია]ნელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ (ფხოველთა და დიდოთა) ზედა»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *719-*720, გვ. 527); იგივე მემატიანე ამბობს: «იწყეს მთეულთა განდგომად: კაცთა ფხოველთა და დიდოთა»-ო (იქვე, *719-*720, გვ. 527).

მაშასადამე, აქ მთეულებად არაგვის და თერგის ხეობის და კახეთის ჩრდილოეთის ნაწილში მცხოვრები თითქმის ყველა ტომები არიან ნაგულისხმევი. შემდეგში ამ ორს სხვადასხვა მნიშვნელოვანს ტერმინს ერთიერთმანეთში რევდნენ და მერმინდელ გადამწერთ ძველს თხზულებებშიც ამგვარი ადგილები დაუმახინჯებიათ და შესწორება სჭირია; მაგ. ჯუანშერი ამბობს «მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა (მ˜მ დფ˜ს ქც˜ა-ში ”მთიულთა”-ა) რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს და გადგეს ყოველნი ნოჰპატელნი»-ო (ც˜ა ვხტ˜ნგ გრგ˜სრისა, *401, გვ. 186); ნოჰპატო ეხლანდელს საინგილოში ყოფილა (ვახუშტი, გ˜გრფა 150 და შენ. 274) და მთიულეთზე ძალიან დაშორებულია; მაშასადამე, აქ ისტორიკოსს ჰსურდა ეთქვა კახეთის მთიელნიო და უეჭველია დაწერილი ექნებოდა ”მთეულთა კახეთისათა”-ო. ”მთეულნი”, რასაკვირველია, საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყვნენ, მაგრამ გნთქმულნი არაგვის ხეობისა და საზოგადოდ კახეთისანი არიან.

მთეულნი იყვნენ ”ფხოელნი” (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис., II, 716; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *719-*720, გვ. 527), ანუ ”ფხოვნი” (ისტ˜ნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528); ”გუდამაყარნი”[77], ”მოჯევენი”, ”ჯადელნი” (ის˜ტრნი და აზ˜მნი, იქვე), ”ცხავატნი” (სომხ უსახ. გეოგრ. იქვე), ანუ ”ცხავატელნი” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, იქვე), ”ცხრაზმელნი” (იქვე და სომხ. უსახელო გეოგ.), ”ჭართალელნი” (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис. II, 716), ანუ ”ჭართალნი”(ისტ˜რნი და აზ˜მნი, იქვე), ”წილკანელნი” (იქვე), ”ერწუთიანელნი” (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис. II, 716), ”ყუარელნი” (იქვე), ”თოშნი” (იქვე) და ”ნოჰპატელნი” (ჯუანშერი, ც˜დ ვხტ˜ნგ გრ˜გსრსა, *401, გვ. 186).

მთიულებადვე ითვლებოდნენ აგრეთვე ”წანარნი”[78]. ქართული საისტორიო წყაროებითგანა ჩანს, რომ წანარნი არაგვის ჯეობის მცხოვრებნი იყვნენ. სომხური უსახელო გეოგრაფიაც ამას ამტკიცებს, იგი ამბობს: ”წანარნი, რომელთა ქვეყანაში არის კარი ალანთა (= დარიალანი) და წილკანის კარი (წექანდურნ>. წილქანდურნ”). არაბ. ისტორიკოსს მას უდისაც ჰყავს მოხსენებული წანარნი და იგიც ადასტურებს ზემომოყვანილ ცნობებს. ”ამ ქვეყანას (ქართლს-ჯორზან) და ალანთა ციხეს (=დარიალანს) შორის ქრისტიანე ტომის წანართა ქვეყანა არის, რომელთა მთავრები «ქორისკობოს»-ად იწოდებიან; მათს ეხლანდელს მთავარს სენეჰერები ჰქვიან”-ო[79].

ყველა ამ ცნობებითგანა ჩანს, რომ წანარებს არაგვის ხეობაში ჰქონიათ მკვიდრობა და თითქოს ამ ხეობის მცხოვრებთა საზოგადო სახელადაც გამოდის, მაგრამ ჩვენი ძველი მატიანე ამტკიცებს, რომ წანართა ქვეყანა არაგვის ხეობის ერთი კუთხეთაგანი იყო და მათის მკვიდრობის ადგილს ”**წანარეთისა ჯევი**” (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис., II 724) რქმევია; იქნებ წანარეთის ჯევი იმ ადგილს ეწოდებოდა, სადაც წილკანის კარი იყო?...

კუხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ერქვა ”**კამბეჩანი**” (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტ გრგ˜სრსა, *392, *394-*395, გვ. 180 და 181; სუმბატის ც˜ა და უწყ˜ბა, 44 და 45), ”ქვეყანა

---

[77] სომხ. უსახ. გეოგრ. პატკან. გამოც. 16, ვენეტიკისა, 26.

[78] მტ˜ნე ქ˜დ *442, გვ. 219; სომხური უსახელო გეოგრაფია, პატკანოვის გამ. 16. ვენეტიკის გამოც., 26.

[79] **M. C. D'Ohssoon**, Des peuples du Caucase, [Paris, 1828], გვ. 18.

კამბეჩ[ან]ისა” (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *664, გვ. 453), ანუ ”კამბეჩოანი” (სუმბატის ც˜ა და უწ˜ყბა, 45). სომხურ უსახელო გეოგრაფიისდა თანახმად ”ქამბეჭანი” ალბანიის ერთი სანახებთაგანი ყოფილა, მტკვართან მდებარე **(სომხური**----------?**გვ.44** ვენეტიკის გამ., 29). თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, რომ კამბეჩანში ”შიგნით მინდორნი” ყოფილა (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *664, გვ. 453), ხოლო გარეშემო, ალბათ, მთებით იყო მოზღუდული. ჯუანშერი ამბობს, რომ «ქალაქი კამბეჩანისა... არს ხორნაბუჯი»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, *392, გვ. 180), და ბაგრატონიანთა მემატიანე სუმბატიც ამას ადასტურებს, როდესაც მოგვითხრობს, თუ როგორ «დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდეს... მუნ ცხორებად ხორნაბუჯს» (ც˜ა და უწ˜ყბა, 44) ბაგრატონიანთა წინაპრები. ძველს მწერლობაში რომ სადმე ქ. ხორნაბუჯის მდებარეობა ნიშანდობლივ აწერილი ყოფილიყო, მაშინ თვით კამბეჩანის საზღვრებიც დაახლოებით გამოირკვეოდა, მაგრამ არსად არის. სომხური უსახელო გეოგრაფია ალბანიას მდ. მტკვარსა და კავკასიის მთებს შუა ათავსებს (----------,?**გვ.44** ვენეტიკის გამ., 29) და კამბეჩანისათვის მტკვრის სანახები აქვს მიკუთვნილი (იქვე), ხოლო ვახუშტი ამტკიცებს: «საქვაბე (საქობო) ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა... ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი»-ო (გგ˜რფა, 155); ხორნაბუჯის მდებარეობა-კი ასე არის განსაზღვრული: «ყარაღაჯის სამხრით[80], დასტყდების ჰერეთის მთა, ანუ ცივის მთა მუნ არს ხორნაბუჯი»-ო (გგ˜რფა, 153). კამბეჩანში ხორნაბუჯის გარდა სხვა ქალაქიც ყოფილა; ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ სპარსთა მეფემ «შემუსრნა ქალაქნი კამბეჩანისანი» (ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜სრსა, *394-*395, გვ. 181).

კახეთი უძველესი დროითგანვე მდიდარი იყო მცენარეულობით; «კახეთი ტყე იყო, შეუვალი მტრისა მიერ»-ო, მოგვითხრობს ჯუანშერი (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *394, გვ. 181); ზოგან, როგორც მაგ. ლოპოტის ხეობაში, ადგილი წარმოადგენდა «ქვეყანასა... კლდეთა მოზღუდვილსა» (იქვე, *394, გვ. 181). საზოგადოდ კახეთი ბუნებრივად კარგად არის გამაგრებული და არც გასაკვირველია, რომ იქ მჭიდრო მოსახლეობა ყოფილიყო და ლოპოტის ხევსავით ადგილები შეხვედროდა ადამიანს, რომელიც «სავსე იყო... სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნორსარამდე»-ო (იქვე).

ასეთს დაცულსა და გარემოზღუდვილს ქვეყანაში ძველი ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება დიდხანს ინახება ხოლმე უცვლელად და ჯუანშერის თხზულებითგან მართლაცა ჩანს, რომ მის დროსაც თურმე ლოპოტის ხეობაში წარმართობა კვლავინდებურად სუფევდა და «იყუნეს სოფლისა ამის კაცნი წყლისა და ცეცხლისა მსახურნი»-ო (ც˜ჲ ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *394, გვ. 181); ”მქ˜ცჲ ქ˜ჲ”-ც და ”წ˜ა ნინოს ც˜ა”-ც ერთხმივ მოგვითხრობენ, რომ კახეთის მთიელებმა ქრისტიანობა არ შეიწყნარეს და ქადაგებას წინააღმდეგობაც-კი გაუწიესო. არც გასაოცარია, რომ ისინი ყოვლის მხრივ ჩამორჩენილები ყოფილიყვნენ. ჯერ კიდევ შატბერდისეულ წ˜ა ნინოს ცხოვრების შემდგენელი ამ «მთეულთა... პირუტყუთ სახეთა კაცთა» (Опис., II, 792-793) სახელს უწოდებს. თამარ მეფის განათლებული ისტორიკოსიც ფხოველებსა და დიდებულებს უკან ჩამორჩენილ ტომებად გვისურათებს: დიდოელები სრულებით ველურები არიან; მაგრამ ფხოველნიც ძალიან შორს არ გასცილებიან პირველყოფილს მდგომარეობას, გარეგნობით აქვთ შეთვისებული სარწმუნოება, «ჯუარის მსახურნი არიან და ქრსტიანობას იჩემებენ»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *719-*720, გვ. 527).

მთელი უზარმაზარი სანახები ”ტფილისითგან ბარდავადმდე და ივრის პირთა” საუკეთესო საძოვარ ადგილებად ითვლებოდნენ; «ამათ შუენიერთ ადგილთა

[80] რუკაზე ჩრდილოეთით აქვს ნაჩვენები (რუკა № 4, ბროსეს გამოც.)

საზამთროთა... შინა ზამთარსა, ვითარცა არესა გაზაფხულისასა ითიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუებით და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერთა და საშუებელი ყოველი»-ო, ამბობს აღტაცებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ცˇა მˇსა დთˇსი, *529, გვ. 296). თამარ მეფის დროსაც განთქმული იყო ”სანადირონი მინდორნი... ქუემონი კახეთისანი” (ისტრˇნი და აზმˇნი, *644, გვ. 427).

სამაგიეროდ ჰერეთის დაბლობი ადგილები ზაფხულში აუტანელი იყო; «ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალება მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი» მას ჯოჯოხეთად ხდიდნენ. ამიტომაც იყო, რომ «მკჳდრნი მის ადგილისანი სავსენი სენითა, ჩარადოვანნი, პირმსივანნი, და დღემოკლედ ცხორებულნი» იყვნენ და მემატიანეს შეეძლო ეთქვა «მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა»-ო (ცˇა შუშანიკისი, სˇქს სამოთხე, 189).

კახეთისა, კუხეთისა და ჰერეთის მოსახლეობის შესახებ ძველს მწერლობაში შემდეგი ცნობები მოიპოვება, - არაგვის ხეობით დავიწყებთ, ჩრდილოეთითგან და ისე ჩამოვყვებით ქვემოთ. უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილი არის ”**სტეფანე წმიდაჲ** არაგუს ზედა” (მქˇცჲ ქˇჲ Опис., II, 721), ანუ ეხლანდელი სტეფანწმინდა, რომელიც ნამდვილად თერგის ხეობაშია; მაგრამ, როგორც უკვე თავის ადგილას განმარტებული იყო, ძველს ქართულს მწერლობაში თერგსაც არაგვი ოვსეთისაჲ ეწოდებოდა. მეორე ადგილი უკავია **ს. გარბანს**, რომელიც აგრეთვე თერგის ხეობაშია: ამ სოფლის მცხოვრებთ ”**გარბანელნი**” (მქˇცჲ ქˇჲ Опис., II, 726-727) ერქვა; უძველესი ქართული მატიანე მოგვითხრობს, რომ ”გარბანელნი მოაქცივნა” ვაზარ-ბაკურ აპაჲ-პატრიკიოზმან (იქვე); ”**გრუა**” ანუ გრუი (მტˇნე ქˇჲ, *463, გვ. 238), რომელიც ალეურას ერთს შემდინარე ხევზეა, არაგვსა და ქსანს შუა დევს. თუმცა ”**წირქუალის ციხე**” (მტˇნე ქˇჲ, *463, გვ. 238) და გრუა ქართლს ეკუთვნის იმიტომ, რომ უკანასკნელი არაგვის დასავლეთით, ხოლო პირველი ქსანის დასავლეთითაც მდებარეობდა, მაგრამ კახთა ბატონებს ჰქონდათ დაპყრობილი და მაშინაც-კი, როდესაც მათ წინააღმდეგ დავით დიდმა კურაპალატმა გამოილაშქრა, უმეტესი ნაწილი ქართლისა დაუბრუნეს, «შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქუალის ციხე და გრუა თჳთ დაიჭირეს»-ო (მტˇნე ქˇჲ, *463, გვ. 238); **ქ. ჟინვანი**, არაგვზე, იქ კახთა მეფის სასახლე იყო; **თიანეთი** (მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 716; მტˇნე ქˇჲ, *485-486, გვ. 359) იორზე; ”წობენი” (მქˇჲ ქˇჲ, Опис., II, 716) ეხლა წობონად იწოდება; ბაზალეთი (მტˇნე ქˇჲ, *457, *458, გვ. 233, 234); **წილკანი**[81] საეპისკოპოსო საყდარი შესანიშნავის ტაძრით განთქმული. წილკანის გასწვრივ არაგვის აღმოსავლეთით იყო ”კახეთს **ახატანი**”[82]; ”არაგვის პირსა”-ვე ითვლებოდა **მუხნარი** და **ხერკი** (მტˇნე ქˇჲ, *458. გვ. 234), თუმცა პირველი უფრო ქსნის პირზეა, ვიდრე არაგვისაზე. ლეონტი მროველი ამბობს: «არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი... აწ ჰქჳან ხერკი»-ო (ცˇა მფˇთა, *125, გვ. 12). ვახუშტის სიტყვით ხერკი არის «აწ საგურამო, ანუ თეზმის ხევი: აქუს ხერკს აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამხრით – მთა ზედაძნისა; ჩრდილოთ ნოკორნა – ბოკოწანს შორისი გორანი ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე, დასავლით არაგვი»-ო (გგრˇფა, 143). უძველესი ტაძარი ”**ჯუარის მონასტერი**” -ც თავის შესანიშნავის ქანდაკებებითურთ და ”**ციხე ზედა-ზადენი**”. ”ზედაზნისა ციხე”[83] მონასტრითურთ აგრეთვე კახეთს ეკუთვნოდნენ.

---

[81] მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 716; დავით აღმაშ. ანდერძი, **ს. კაკაბაძის** გამ. [ტფილისი, 1912], გვ. 13.

[82] მლქˇზკ კˇზს 1020 წ. სიგ., ქკˇბი, II, 33.

[83] ცˇა მˇსა დთˇსი, *522, გვ. 289; დˇთ აღმაშენ. ანდერძი, **ს. კაკაბაძის** გამ., 12.

ციხე "**კუეტარისა**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *496, გვ. 268) ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე თუმცა აღნიშნული არ არის, მაგრამ, ალბათ, კვიტერას მთის მახლობლად იქმნებოდა სადმე. **პანკისი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485-*486, გვ. 259) ალაზანზე დევს; ამავე მდინარის ნაპირზეა განთქმული **ალავერდის** წ˜ა გიორგის ტაძარი, საეპისკოპოსო საყდარი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228); **შტორი** იქვე, *485-*486, გვ. 259), ალბათ, შტორის წყალზე იქმნებოდა; "**ჟალეთი**", როგორცა ჩანს, ერწოს მახლობლადა ყოფილა; მაგ. ნათქვამია: წ˜ა ნინო «გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს» ო (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716). ამ წინადადებითგან თითქოს იმ დასკვნის გამოყვანაც-კი შეიძლება, ვითომც ჟალეთი ერწოში ყოფილიყოს; მაგრამ ამას არღვევს მეორე ცნობა, სადაც ნათქვამია: როცა გაქცეული ფადლონი ერთმა სოფლელმა კაცმა შეიპყრა და ქართველთა ბატონთან მიჰყავდა, «ერწუდ ვერღარა შემძლებელ იყო [წარსვლად], წარუძღუა კაცი იგი და მიჰგუარა ჟალეთსა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *504-*505, გვ. 274); ცხადია, მაშასადამე, ჟალეთი ერწოში არა ყოფილა, მაგრამ თვით მოთხრობითგან გარკვევით არა ჩანს მაინც, საითკენ ეკვროდა ჟალეთი ერწუს? ვახუშტის სიტყვით ჟალეთი იორზე უნდა ყოფილიყო[84]; ეხლა, როგორც ეტყობა, ჟალეთი აღარ არსებობს; 5-ვერსიან რუკაზე მაინც აღნიშნული არ არის. **ბოჭორმა** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *455, *469, *505, გვ. 231-232, 243, 274) მაგარი, განთქმული ციხე იყო (იქვე, *449, გვ. 226-227), რომელშიაც დგას შესანიშნავი რგვალ გეგმაზე აგებული ტაძარი. "**ტყეტბა**", როგორც საგეოგრაფიო სახელი, უკვე ლეონტი მროველის დროს აღარ არსებობდა თურმე და იგი უხსნის თავის მკითხველს, რომ ამ ადგილს «აწ ჰქჯან გოლგოლა»-ო (ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 2-3), ეხლა გულგულად გამოითქმის. ამ ადგილის (ტყეტბას) მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-ჰერეთ-კუხეთის საზღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, რომელთა შესახებ ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ეჭვი გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი ტყეტბა მერმინდელ გოლგოლად იცნა?

გოლგოლას სამხრეთით მდებარეობდა **თელავი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *504-505, გვ. 274), მაგრამ არა ჩანს, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ამ დროს. ხოლო "**ნეკრესი**" კახეთისა (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 720) ქალაქი იყო; ლეონტი მროველი ამბობს მაგ: «კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი»-ო (ც˜ა მფ˜თა, *136 და *142, გვ. 24 და 28); მას ციხე ჰქონია და იმავე ავტორს მოხსენებული აქვს «ზღუდენი ქალაქისა ნეკრესისანი» (იქვე, *181, გვ. 49); ეხლა იქ სოფელი-ღაა და **შილდას** უწოდებენ; იქ შენახულია შესანიშნავი ტაძარი ძველის საისტორიო მხატვრობით. ნეკრესის აღმოსავლეთ-სამხრეთით დევს "**ყუარელი**" (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 716), რომლის აღმოსავლეთ-სამხრეთით-ვე არის "**გავაზნი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228).

კახეთს ეკუთვნოდა "**ჰავჭალა**" (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *549, გვ. 317) და "**ლოჭინი**"; აქა ჰქონდათ სხვათა შორის თბილისელებს საძოვრები; «ლოჭინით კერძო მძოვარი ნახირი ქალაქისა» (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *549, გვ. 317) აქ იყო ხოლმე; ვახუშტის სიტყვით საცხენისის «ქვეით მტკურამდე უწოდებენ აწ ლოჭინსა, არამედ ძველად ეწოდა ომანის ჴევი»-ო (გგ˜რფა, 145); როგორც ზემომოყვანილი ამონაწერითგანა ჩანს, სახელი ლოჭინი "ძველად" -აც არსებობდა.

კახეთსავე ეკუთვნოდა "რუსთავისა ქალაქი" (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *326, გვ. 137), ანუ **რუსთავი** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *501, *505, *509-*510, გვ. 272, 275, 278; ც˜ა მ˜სა

[84] გგ˜რფა, 137 და რუკა № 4, **ბროსეს** გამ.

დთ˜სი, *529, გვ. 295), საეპისკოპოსო ადგილი იყო; ვახუშტის სიტყვით რუსთავს «აწ ნაგები» ჰქვიან (გგრ˜ფა, 66).

ჰერეთში ითვლებოდა ”**ცურტავი**”-ც (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис., II, 723 და შუშანიკის ც˜ა), მაგრამ ნიშანდობლივ სად იყო იგი, არ ვიცით; როგორც ჩანს, არც ვახუშტსა სცოდნია; იგი მხოლოდ ფიქრობს, რომ ცურტავი უნდა ყოფილიყო იმ მონასტრის ადგილზე, რომელიც «პირის პირ ახტალისა, აღმოსავლით ბერდუჯის მთას შინა არს» (გგ˜რფა, 43).

”ქალაქი უჟარმად” (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис., II, 717) ძველს დროს, როგორც ეს წ˜ა ნინოს უძველეს ცხოვრებისა და მქ˜ცდ ქ˜დ-თგანა ჩანს, თითქმის კახეთის დედაქალაქი ყოფილა, მაგრამ მერე, ალბათ, ჩამოქვეითებულა. ”**ციხე უჯარმო”** (მტ˜ნე ქ˜დ, *455, გვ. 231-232) «აგებულ იყო ვახტანგ გორგასრისაგან» და იქვე «თვით აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *613, გვ. 385). უჯარმოში ”დგა სამასი კაცი” მეციხოვნე (მტ˜ნე ქ˜დ, *449, გვ. 226-227), მაგრამ დიდ სიმაგრედ, ალბათ, არ უნდა ყოფილიყო; როდესაც არაბებმა იგი აიღეს, უთქვამთ ”ბაკი” ყოფილაო და ”უჯარმის ზღუდენი მოარღუივნეს” (მტ˜ნე ქ˜დ, *449, გვ. 226-227). გიორგი III უჯარმაში საჭურჭლე ააგო. უჯარმის აღმოსვლეთ-სამხრეთით იყო ”**ნინოწმიდა”**, საეპისკოპოსო საყდარი და საჯდომი (ც˜დ იე˜სი და ეფ˜თსი, 1, 21), რომლის აღმოსავლეთით მდებარეობდა ”**ქალაქი ჭერმისა”** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, *392, გვ. 180); ჭერემიც საეპისკოპოსო საჯდომი იყო; იქვე იყო აგრეთვე ”**ჭერმის ციხე”-ც** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა *394-*395, გვ. 181). უკიდურესი სამხრეთით ეპყრა ”**უდაბნოსა გარეჯისასა”,** სდაც ცხოვრობდნენ «მრავალნი კაცნი მოღუაწენი» (ც˜დ ილ˜რნსი, 72) და შესანიშნავი მონასტერი იყო. ”**ტვარწატაფი”** (ც˜დ გ˜ი მთწ˜მდლსდ, 291) იხსენიება სომხურს უსახელო გეოგრაფიაშიც ”ტოვარაწატაფ”-ის სახელით ტარუბერანის ერთ-ერთ სანახებად; **ნ. ადონცს** ჰგონია, რომ ”ტოვარაწატაფი” ეხლანდელს ყარაიაზს უდრის[85]. მაგრამ შესაძლებელია იგი 5-ვერსიან რუკის ”ტაურატაფა” ს უდრიდეს, რომელიც დავით გარეჯის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობს (E7, 63^0-41^0 45`).

ალაზნის დასავლეთით იყო ”**ველის ციხე”** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, *394-*395, გვ. 181), ხოლო ამის სამხრეთით **კოშკი, ზიარი[86], ”ფხოველი” და ”ციხე ვეჟინისა”,** რომელიც ჰერეთში ითვლებოდა (მტ˜ნე ქ˜დ, *450-*451, გვ. 228; ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *517, გვ. 285) და ”**კაწარეთი”** (მქ˜ცდ ქ˜დ, Опис., II, 717), აგრეთვე ”დაბად **ბოდი”, ”ბოდნი**”. ანუ ”**ბოდინი**” სოფელი ”კოხეთისა”, სადაც გარდაიცვალა წ˜ა ნინო (Опис., II, 790, 717). ალაზნის აღმოსავლეთით მდებარეობდნენ ”**არიშუ”** (მტ˜ნე ქ˜დ, *450-*451), რომელიც, რასაკვირველია, არიშის წყალზე იქნებოდა; ”**ლაგოდეხი”**, რომელიც ჰერეთში ითვლებოდა[87], ”**მაჭი”** (მტ˜ნე ქ˜დ, *485-*486, გვ. 259), ”ჰერეთსავე **კატეხისა** ეკლესია”[88], ”**კაკი”[89]** და **”ციხე გიში”** (ც˜ა მ˜სა დ˜თსი, *532, გვ. 299).

”ქუეყანასა კამბეჩანისასა” იყო ”**ხორაბუჭი”** (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *664. გვ. *453), ანუ ”**ხორაბუჯი”** (ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრგს˜რსა, *392, გვ. 180; მტ˜ნე ქ˜დ, *504-*505, გვ. 274); ვახუშტის სიტყვით, «ყარაღაჯის სამხრით (რუკაზე ჩრდილოეთით არის),

---

[85] **Н. Адонц,** Армения в эпоху Юстиниана [СПб., 1908], გვ. 314, შენ. 1.

[86] მლ˜ქზკ კ˜ზს 1020 წ.; ქკ˜ბი, II, 33.

[87] იქვე,

[88] იქვე.

[89] იქვე.

სადაც დასტყდების ჰერეთის მთა, ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი»-ო[90]. ”შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა”, ესე იგი იორისა და ალაზნის შესართავთან ყოფილა ”**ხორანთა**” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 2-3).

ცნობების უქონლობის გამო ვერ გამოვარკვიე შემდეგი ადგილების მდებარეობა: **მატური**[91]**,** არა ჩანს უდრის თანამედროვე **მატურლიანთკარს,** რომელიც 5-ვერსიან რუკაზე აღნიშნულია E6, 62^{0}30`-42$^0$15`, თუ **მათურას**, რომელიც იქვე არის E6, 62^{0}30`-42$^0$30`? არა ჩანს, სად იყო «დარბაზი **ბოდოჯისაჲ** დიდისა კჯრიკე მეფისა აგებული» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *486, გვ. *259)?

არ ვიცი ნამდვილი მდებარეობა ციხე **ჯიდარისა;** ლეონტი მროველი ამბობს მხოლოდ: «ჯევსა კახეთისასა... აღაშენა ციხე ჯიდარს» (ც˜ა მფ˜თა, *290, გვ. 114), მაგრამ ჯიდარი ეხლა კახეთში არ არსებობს, არამედ არის შორაპნის მაზრაში; ვახუშტი-კი ამტკიცებს, თუმცა არა ჩანს რა საბუთით, რომ ”არაგვის პირს არს ოხერ-ხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხიდარი”-ო[92].

ჰერეთში სადღაც ყოფილა **ციხე ნახჭავნისა** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *496, გვ. 268). არცა ისა ჩანს, თუ სად იყო ”**ჩელეთი**” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *104, გვ. 6); არც ვახუშტსა სცოდნია; იგი ფიქრობდა, შეიძლება ჩელეთი ჟალეთს უდრიდესო (გგრ˜ფა, 137); მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ძველს მწერლობაში ჟალეთიც არის მოხსენებული. იქნებ ჩელეთი იყო ”ჩელეთის წყალზე”, რომელიც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ერთვის ალაზანს ენისელის მახლობლად (იხ. 5-ვერს. რუკ. Ж6, 63^{0}15`-42^0)?

არავითარი ცნობებია აგრეთვე ”**ტურათის უბანის**”[93] მდებარეობის შესახებ; იქნებ **ტურის ციხეს** უდრიდეს, რომელიც ფაშაანის ჩრდილოეთით ალაზნის პირასა დევს (იხ. 5-ვერს. რუკა Ж6, 63^{0}15`-42^0)?

ვერ გამოვარკვიე, სად იყო სახელდობრ ”**ციხე ლოწობანთა**” (მტ˜ნე ქ˜ჲ, *452 და *455, გვ. 229 და 231-232), ან კიდევ ”**ციხე მარანისა**” (იქვე, *455, გვ. 231-232) და ”**ორჭობი**” (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228)? არცა ისა ჩანს, სად იყო ”**ნოსორნა სოფელი**”[94]**,** რომელიც იგივე ”**ნოსარა**” (ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრს˜რსა, *394, გვ. 181) უნდა იყოს; ნოსარა უეჭველია ლოპოტის ხევის ან აღმოსავლეთით, ან დასავლეთით, ან ჩრდილოეთით იქმნებოდა (იხ. იქვე), მაგრამ საითკენ იყო, არ ვიცით. დასასრულ, თუ მთავარი ”**მარილელი**” და ”**ხახულაგურნი**” ”**მარელისი**”-საგან (5-ვერს. რუკა E6, 62^{0}45`-43$^0$) და ”ხახიელი”-საგან (E6, 62$^0$30`-42^{0}45`) არ არის ნაწარმოები, მაშინ არც მათი მდებარეობა გვეცოდინება.

საქართველო იყოფოდა ორ ნაწილად: ერთს ”**ლიხთ იმერეთი**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *610 და *632, გვ. 382 და 411) ეწოდებოდა. მეორეს, რასაკვირველია, ”**ლიხთ ამერეთი**” ერქმეოდა. მცხოვრებთათვისაც არსებობდა ამგვარივე სახელი ”**ლიხთიმერი**” (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *625, გვ. 400) და ”**ლიხთამერი**”.

ეს ლიხთიმერი საქართველო შეიცავდა სხვადასხვა ქვეყნებს, რომელთა მიწა-წყალი ეკუთვნოდა ამა თუ იმ რომელსამე ქართველ ტომს, და თითოეულს მათგანს თავთავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. უკვე აფხაზთა პირველმა მეფემ ლეონმა დაიპყრა «აფხაზეთი ეგრისი ლიხადმდე»-ო, მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218), მაშასადამე, მისი სამფლობელო აფხაზეთს გარდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც

---

[90] გგრ˜ფა, 153 და რუკა № 4, **ბროსეს** გამ.

[91] დავით აღმაშენებლის ანდერძი, **ს.კაკაბაძის** გამოც., 13.

[92] გგრ˜ფა, 92, იხ. რუკა № 3.

[93] დავით აღმაშ. ანდერძი, **ს.კაკაბაძის** გამოც., 12.

[94] მლქ˜ზდკ კ˜ზს 1020 წ. სიგ.; ქკ˜ები, II, 33.

შეიცავდა. ძველს ქართულს წყაროებში ლიხთიმერეთის შემდეგ კუთხეთა სახელები არის მოხსენებული: ”**ეგრისი**” (მტ˜ნე ქ˜ჲ, *438, *441, გვ. 216 და 218, სხვა ადგილსაც ხშირად; ლეონტი მროველი ც˜ა მფ˜თა, *128, გვ. 20), ანუ ”**საეგროჲ**” (მტ˜ნე ქ˜ჲ, *509, გვ. 278; ისტრ˜ნი და აზ˜მნი, *650, გვ. 435); „**ოდიში**“ (ისტრ˜ნი და აზ˜მნი,* 632, გვ. 411); „აფხაზეთი“ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218 და სხვ. ადგ. ხშირად; ც˜ა, მ˜სა დთ˜სი *538, გვ. 304; (ისტრ˜ნი და აზ˜მნი,*650, გვ. 435, სხვაგანაც), რომელშიაც შედიოდა აგრეთვე „აფშილეთი“ (მტ˜ნე ქ˜ჲ, მ˜მ დფ˜სი ქც˜ა, გვ. 201); “სუანეთი“ (ლეონტი მროველი ც˜ა მფ˜თა,*128*, 133, გვ. 20, 23; ისტრ˜ნი და აზ˜მნი,* 650, გვ. 435); „რაჭა“ (ისტ˜რნი და აზ˜მნი,* 625 და*650. გვ. 400 და 435); „თაკუერი (ლეონტი მროველი ც˜ა მეფეთა; (ისტ˜რნი და აზ˜მნი,* 650, გვ. 436); „მარგუეთი“ (ლეონტი მროველი ც˜ა მფ˜თა,*129, გვ. 20; ანუ „ არგუეთი“ (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი,*514, გვ. 282; (ის˜ტრნი და აზ˜მნი,* 650, გვ. 435); „სამოქალაქო“ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *514, გვ. 282; (ის˜ტრნი და აზ˜მნი,* 650, გვ. 435) და „ გურია“ (ის˜ტრ˜ნი და აზ˜მნი,* 650, გვ. 435)

ზოგს ზემოაღნიშნულ სახელთაგანს ფართო და შემკრებელობითი მნიშვნელობა აქვს, ზოგს კიდევ ვიწროდა აქვს შემოფარგლული საზღვრები; მაგ. ლეონტი მროველს ეგრისის სამფლობელოს საზღვრებად ერთგან დადებული აქვს «აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჯან ლიხი, დასავლით ზღუა [და] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების წუერი კავკასიისა» (ც˜ა მფ˜თა, *98, გვ. 3) და ეგრისი მთელს ლიხთიმერეთს უდრის; ხოლო სხვაგან იგივე ავტორი ამბობს: «**ქუეყანა ეგრისისა წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი**»-ო (ც˜ა მფ˜თა, *128, გვ. 20); აქ ეგრისს თავისი ბუნებრივი საზღვრები აქვს მიკუთვნილი: აღმოსავლეთით რიონს აღწევს მხოლოდ და არა ლიხის მთას, შემდეგ ჩრდილოეთით ეგრისის წყალი და სუანეთი საზღვრავს, სამხრეთით ისევ რიონი.

იგვე შეიძლება ითქვას ”**აფხაზეთის**”-ს შესახებ, ხან იგი საკუთრივ აფხაზეთსა ჰნიშნავდა, ხან უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული; მაგ. თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ გიორგი III ზოგჯერ «ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს და მიუწიის ზღუად პონტოსად და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი»-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი, *610, გვ. 382); ან კიდევ არაბთა ისტორიკოსები ზოგჯერ მთელ საქართველოს სამეფოსაც-კი აფხაზეთად უწოდებდნენ და საქართველოს მეფეს აფხაზთა მეფედ იხსენიებენ, იმიტომ, რომ საქართველოს გამაერთებელ მეფეთა ღვაწლში აფხაზთა სამეფო გვარეულობასაც დიდი წილი უდევს; თვით ბაგრატ III ხომ დედით აფხაზთა მეფის საგვარეულოს ჩამომავალი იყო.

რასაკვირველია, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლის დროს ამ ტერმინების მარტო ფართო მნიშვნელობის გამორკვევას-კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ საქმე მათი საკუთარის მნიშვნელობის ცოდნაა; ხოლო მათი მნიშვნელობის გაფართოვება ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ ისტორიასაც დაგვისურათებს.

ზემოთ დაახლოვებით იყო გამორკვეული, თუ რა საზღვრები აქვს საკუთრივ ეგრისს მიზომილი ლეონტი მროველის თხზულებაში. შეძლებისდაგვარად უნდა დანარჩენ სანახებთა საზღვრებიც გავიგოთ. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩრდილოეთით ეგრისს **სვანეთი** ეკრა. ერთს სხვა ალაგას იგივე ქართველი ისტორიკოსი ამბობს: «დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისადმდე... არს სუანეთი»-ო (ც˜ა მფ˜თა, *133, გვ. 23). თუ მხედველობაში მივიღებთ თამარ მეფის ისტორიკოსის აღწერილობას, რომელიც ამბობს, რომ როდესაც ქართველთა შეერთებული მხედრობა

«წარდგა მთასა ფხოველთასა [და] დიდოთასა... ერთ კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთ კერძო დიდოეთი და ფხოეთი»-ო (ისტ˜ნი და აზ˜მნი, *720, გვ. 528), მაშინ ლეონტი მროველის სიტყვები უცნაურად გვეჩვენება. თამარ მეფის დროს დიდონი ფხოველთა მეზობლები ყოფილან, როგორც ჩანს, დასავლეთის მხრივ, და რანაირად შეიძლებოდა სვანეთი პირდაპირ დიდოთა მოსაზღვრედ ყოფილიყო? მაგრამ ლეონტი მროველის ზემომოყვანილი ცნობა, როგორც ეტყობა, რომელიღაც ძველი საისტორიო წყაროთგან უნდა იყოს ამოღებული და ქართველ ტომთა მოსახლეობის ვგონებ ძველისძველ მდგომარეობას გვისურათებს. როგორც ამ თხზულების პირველს წიგნშიც უკვე აღნიშნული იყო, სვანებს თავდაპირველად უეჭველია ეხლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთებიც სვანეთსა და კახეთს ერთიერთმანეთს უახლოებს და მოსახლეობის ამ ვითარებას გვიხატავს ლეონტი მროველის ზემომოყვანილი ძვირფასი ცნობა, მაგრამ რა საზღვრები ჰქონდა სვანეთს VIII-XII სს., სამწუხაროდ არა ჩანს.

”**მარგუეთის** ”-ს საზღვრებად ლეონტი მროველს დადებული აქვს «მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ» (ც˜ა მფ˜თა, *129, გვ. 20); რომ აღმოსავლეთით მართლაც ლიხის მთა ჰყოფდა მას ქართლისაგან, ეს ცხადია, მაგრამ ამ ქვეყნის დასავლეთით საზღვარი-კი უეჭველია დამახინჯებული უნდა იყოს. მარგუეთი რომ მართლაც ”ვიდრე ზღუადმდე” მისულიყო ”რიონს ზემოთ”, მაშინ ხომ მარგუეთს ეგრისის ჩრდილოეთი ნაწილი ექმნებოდა, იმიტომ რომ ეგრისის დასავლეთი საზღვარი რიონი იყო. თავდაპირველად მე მგონია ეწერებოდა ”ვიდრე ზღურადმდე ეგრისისა რიონს ზემოთ” და მერმინდელ გადამწერთაგან დამახინჯებული იქმნება. თუ ასე შევასწორებთ, მაშინ მარგვეთის დასავლეთი საზღვარი იქნება რიონი, ან უფრო რომ რიონს ზემოთ.

ვახუშტის სიტყვითაც მარგვეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრად არის «საღორე გარჯილიდამ ჩამოსული სამხრითკენ მთა ჩხარამდე და მერე დასვლით წარსული კვახჭირამდე, არგვეთისა და ოკრიბას შორის» (გგ˜რფა, 289).

”**სამოქალაქო**”, ალბათ, ქ. ქუთაისის სანახებს ეწოდებოდა, მაგრამ ამაზე იმდროინდელი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება (იხ. აგრეთვე ქვემოთ).

არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება აგრეთვე რაჭისა, თაკუერისა და გურიის საზღვრების შესახებ, მაგრამ **რაჭა** და გურია ეხლაც არსებობს და დაახლოვებით იგივე საზღვრები ექმნებოდა, რაც მერმეც ჰქონდა, და ვახუშტსაც აღნიშნული აქვს. ვახუშტის სიტყვით, «მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა და კავკასი კედელა და მუნიდამ ჩრდილოდ წარსული კავკასივე ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი, სამხრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთიდამ ვიდრე არპანისა და დღნორამდე გაჭრილი რიონისაგან, მუნ და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას... ამ მთათა ჩრდილოთ კერძი არს რაჭისა და სამხრეთის კერძი – გარჯილა – ნაჯიხურევ – საწალიკე – კეცებისა – არს არგვეთისა და მდინარენიც ეგრეთვე»-ო (გგ˜რფა, 288).

გურიასაც სამხრეთით და დასავლეთით ბუნებრივი საზღვარი აქვს; აჭარის ქედი და შავი ზღვა, ჩრდილოეთითაც მდინარე რიონი საზღვრავს; მაგრამ ყურადღების ღირსია, რომ ქალაქი ”**ფუთი**”[95] სომეხთა ისტორიკოსის ღევონდის სიტყვით ეგრისს ეკუთვნოდა (-------სომხური----------?)[96]გვ.51 მიქელ ასურის სომხურ

[95] ნიკორწმიდის XI ს. სიგელი, ქკ˜ბი, II, 45

[96] შაჰნაზარიანის გამ., პარიზი, 1857 წ. გვ. 58.

თარგმანშიაც ეს ფუთი (-სომხური---------?)გვ.52 მეგრელთა დედაქალაქად არის დასახელებული.[97] გურიის აღმოსავლეთის საზღვრად, ვახუშტის სიტყვით, ყოფილა მთა ფერსათი (გგ˜რფა, 318).

ძნელი გამოსარკვევია "**თაკუერის**"-ს მდებარეობა. თუ გავიხსენებთ სხვა სანახებთა მდებარეობას, ერთადერთი თავისუფალი, ჯერ განუსაზღვრელი ქვეყანა, ლეჩხუმი იყო და უნებლიედ აზრი იბადება, რომ შესაძლებელია თაკუერი ლეჩხუმის ძველი სახელი ყოფილიყოს. სწორედ ასე უფიქრია ვახუშტსაც, რომელიც ამბობს, რომ «გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არის ჴეობა ლეჩხუმისა, რომელსაც უწოდებენ თაკვერად»-ო (გგ˜რფა, 262). მაგრამ მისი ნამდვილი მდებარეობა არც ვახუშტსა სცოდნია და იმასაც ჩვენსავით ისტორიული წყაროებისდა მიხედვით გამოურკვევია ეს ძნელი საკითხი.

იქვე შენიშვნაში სახელოვანი ქართველი მეცნიერი ამბობს: «პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება[98]: რამეთუ გადმოვლესო ოსთა გზა თაკვერისაო. ვინათგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი, - კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქსიმე აღმსარებელისა სახელდობრ ციხეთა მას შინათა. ხოლო შემდგომად ამას აუწოდეს რაჭა და მას – თაკვერი ციხისთვის მუნ მყოფისა»-ო (იქვე, შენ. *). საეჭვოა, რომ საგეოგრაფიო სახელების ამგვარი შეცვლა მომხდარიყოს. ჭკუაზე უფრო ახლო იქმნებოდა გვეფიქრა, რომ ან ძველად თვით ოსთა მოსახლეობა იმდენად ფართო ჰქონოდეთ, რომ თაკვერის გზითაც შესძლებოდათ გადმოსვლა; ან იქნებ წინათ "თაკუერი" საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი "რაჭა" შემოიღეს და თაკვერი-კი ლეჩხუმს შერჩა.

აფხაზეთის საზღვრების შესახებაც ჩვენ ძველს მწერლობაში პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ დაახლოებით განსაზღვრა მაინც შეიძლება. სამჴრეთით მას ექმნებოდა ეგრისი, სახელდობრ ეგრისის წყალი; ქ. "**ცხუმი**" უკვე აფშილეთს ეკუთვნოდა, ხოლო "**ბიჭუინტა**"-ც კვლავ აფხაზეთისა იყო; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, მაგ., რომ მეფე «ჩავიდა აფხაზეთს ბიჭუინტამდე»-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *538, გვ. 304). აფხაზეთშივე იყო "**ნიკოფსი**" (ც˜ᲐᲐ გ˜ᲐᲐ მთწ˜მდლსᲐᲐ, 315; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *650, გვ. 435). სიმონ კანანელი «ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების»-ო, ეუბნებოდა ანტიოქიის პატრიარქს გიორგი მთაწმიდელი (ც˜ᲐᲐ გ˜ი მთწ˜მდლსᲐᲐ, 315). თანამედროვე მწერლობაში ჰფიქრობენ, რომ ნიკოფსი ეხლანდელს აფხაზურს "ნეგოფსუხო"-ს ეთანასწორება[99].

აფხაზეთშივე ყოფილა ადგილი "**შარო**" ანუ "**შაროეთი**"; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებულია «ასული ბაგრატ **შაროელის** ჴელმწიფისაᲐᲐ» (გვ. ნᲬ), მაგრამ ადგილის მდებარეობა ვერ გამოვარკვიე.

დასავლეთ საქართველო უხვად არის ბუნებისგან დაჯილდოებული: მწვანე მცენარეულობითა და ტყეებით მოცულია იგი. ძველს დროს განთქმული იყო "აჯამეთის ტყე" და «კეთილნი სანადირონი **გეგუთი** და **აჯამეთი**» (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *706, გვ. 509; აგრეთვე ც˜ა მფ˜სა და დთ˜სი, *517, გვ. 285); გეგუთში ნადირობა, სთველში, დავით აღმაშენებელსაც ჰყვარებია (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *543, გვ. 310).

---

[97] **ნ.მარი,** Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев: Сборн. статей учен. проф. бар. **В.Р. Розена** [СПб., 1897], გვ. 80.

[98] მართლაც ასეთი ცნობა მოიპოვება ლეონტი მროველის თხზულებაში "ც˜ა მფ˜თა".

[99] **Латышев,** К истории христианства на Кавказе [СПб., 911], გვ. 5.

განთქმულ სანადირო ადგილად, რასაკვირველია, აფხაზეთიც ითვლებოდა; თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, მაგ., რომ გიორგი III «ჟამსა ზამთრისასა... მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *610, გვ. 382). დანარჩენ საქართველოსთან შედარებით, მეტადრე სამეგრელოში, «არს ქუეყანა იგი ბარი და ტფილი» (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლსჲ, 320) და ამის გამო საქართველოს მეფეები ზამთარში ამ ქვეყანაში გადადიოდნენ ხოლმე. გიორგი მთაწმიდელის ცხორება მაგ. მოგვითხრობს: «მოწევნულ იყო ჟამი ზამთრისა და ჩვეულებისაებრ თჳსისა (მეფე ბაგრატ IV) წარვიდა აფხაზეთად»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლსჲ, 320); გიორგი მეფეც (III) ჩვეულებრივ თურმე «ჟამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთიმერეთს»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *610, გვ. 382); ამგვარივე ცნობები სხვა ქართველ ისტორიკოსებსაც ბევრი მოეპოვებათ. მაგრამ ზაფხულში დიდი სიცხე და ამ ქვეყნის ნოტიო ნიადაგი მეტად მავნებელი იყო მცხოვრებთათვის; აფხაზეთისა «მიწასა ზედა... სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა» (ც˜ჲ გგ˜ლ ხანძ˜თლსჲ, კგ) ადამიანი შეწუხებული იყო. ერთი ბერი ასე ახასიათებს აფხაზეთ-სამეგრელოს: «ქუეყანა ესე ხორშაკეული არს და უმეტესად იგი ადგილი სადა მე ვიმყოფები»-ო და ვშიშობ «ნუ უკუჱ სნეულებისაგან დავეცე»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლჲ, 323). დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც ჩივის, რომ «თვითოსახეთა სენთა მიერ განცდილთასა და ხილვად საძნაურთა... ზრდის უმეტეს სხვათა ქუეყანათა [ქუეყანაჲ] ქუთათისისა»-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *555, გვ. 323), ყველაზე მეტად ყოველგვარი სნეულება ქუთაისის სანახებშია გავრცელებულიო. ხალხს ადგილობრივ ჰავის მავნებლობის გამაქარწყლებლად და ჯანმრთელობის დასაცავად ერთადერთ უებარ წამლად და საშუალებად თურმე ღვინო და ღვინის სმა მიაჩნდა და «ქუეყანასა ამას შინა ხორშაკსა ყოველთა ღჳნოსმულთა» (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 328) იმედი ჰქონდათ, რომ ჰავის გავლენით გამოწვეული ავადმყოფობისაგან უზრუნველყოფილნი იყვნენ.

ლიხთიმერთა შორის სვანებსა ჰქონდათ სახელი გატეხილი «სუანნი ავის მოხარკულნი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *509, გვ. 278) არიანო. ხოლო მეცამეტე საუკუნის ერთის ქართველის მემატიანის სიტყვითგანა ჩანს, რომ ოსებსა, მთიელებსა და ყივჩაყებსავით სვანებიც თურმე ქურდობით ყოფილან განთქმულნი (ანა დფ˜სი ქ˜ცა).

ეხლა, რაკი ლიხთიმერეთის საზღვრები საზოგადოდ და თითოეულის ქვეყნისა ცალ-ცალკე გამორკვეული გვაქვს, ამასთანავე დასავლეთ საქართველოს საერთო სურათი, როგორც იგი ძველს ქართულს მწერლობაში გვეხატება, თვალწინ გვიდგას, ქალაქებისა, სოფლებისა და მონასტრების ჩამოთვლის მეტი არა დაგვრჩენია-რა. ქვემოთ აღნუსხული იქმნება მხოლოდ ის ადგილები, რომელთა შესახებ ცნობები საისტორიო მწერლობაში, საბუთებში და წარწერებში მოიპოვება.

რაკი ზოგიერთი კუთხის შესახებ დაწვრილებითი ცნობები გვაქვს, როგორც, მაგალითად, რაჭის ბევრი სოფლების სახელები ვიცით ნიკორწმიდის XI ს. სიგელის წყალობით, ხოლო ძალიან ცოტა ცნობებია სამოქალაქოსა, საეგროსა ან კიდევ გურიის მოსახლეობის შესახებ, რასაკვირველია თავისდა თავად ეს არაფერს არ ამტკიცებს. პირველსავე ახალს აღმოჩენილს საბუთს შეუძლია უხვად შეავსოს ჩვენი ცნობები თითოეული კუთხის შესახებ. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ ბევრს ქართულს საისტორიო თხზულებებს ჩვენამდის არ მოუღწევია და, თუნდაც რომ მოეღწია, შეუძლებელია იქაც ყველა სოფლებისა და ქალაქების შესახებ მოიპოვებოდეს ცნობები. მაშასადამე, არამც და არამც ის ნუსხა, რომელიც ჩვენ შევადგინეთ VIII-XII ს. წყაროებისდა მიხედვით, მოსახლეობის ვითარების და მჭიდროების გამორკვევისათვის არ გამოდგება.

რაკი ამ თხზულებას ჩემ მიერ შედგენილი რუკა და ამ რუკისათვის სახმარებელი საძიებელიც დართული აქვს, ამიტომ აქ ქალაქ-სოფლების მდებარეობაზე არაფერს ვიტყვით. ვიწყებთ აღმოსავლეთითგან და დასავლეთისაკენ მივემგზავრებით. «ორნი ციხენი **შორაპანი და დიმნა**» (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *129, გვ. 20; ”**უბისი**”[100]; **”ჯრუჭი”; ”არგუეთი”** (მტˇნე ქˇჲ, *467 და *495, გვ. 242 და 267), რატისა და ლიპარიტ ერისთავთ ერისთავების მამული; **”სავანე”** XI ს. ეკლესიითურთ; **”სვერის ციხე”** (მტˇნე ქˇჲ, *500, გვ. 371); ”**კაცხი**”[101], რატისა და ლიპარიტის საგვარეულო ”**სამარხო**”, ანუ ”საძვალე”, განთქმულია თავის რგვალ გეგმაზე აგებული ტაძრით. შემდეგ **ცხილათი**[102]**, მუხურა**[103]**, სკანდა, ტელეფა, დერჩი**[104]**, ბობოთი**[105]**, საწირე**[106]**, გელათი** – დიდებული მონასტერი და ქართველ მეფეთა საგვარეულო სამარხო დავით აღმაშენებლის მიერ აგებული.

”გეგუთი (ისˇტრნი და აზˇმნი, *611, *650 და *707, გვ. 383, 435 და 510) მეფეთა განთქმული სადგომი; განსაკუთრებით გიორგი III და მის სახელოვანს ასულს თამარ მეფეს უყვარდათ იქ ყოფნა.

”**ქალაქი ქუთათისი**”[107] სამეფო ქალაქი იყო; იქვე იყო სახელმწიფო საჭურჭლე, მანამდის დავით აღმაშენებლმა თბილისი არ წაართვა თბილისის ამირას და იქ არ გადაიტანა ყველა უმაღლესი დაწესებულებანი. ქუთაისის სანახებს ეტყობა **სამოქალაქო** ერქვა; ჩვენი მემატიანე მაგ. ამბობს: ბაგრატ IV «მოაყენა ქუთაისსა სამოქალაქოსა ლაშქარი»-ო (მტˇნე ქˇჲ, *487, გვ. 261).

რაჭაში მოხსენებულია **შქმერი, ჯივში, ძირგეული, ხოტევი, აგარა, ზნაკუა, ნიკოლაოს წმიდა და ოკრიბა**[108]**;** ნიკორწმიდის XI ს. სიგელშივე ჩამოთვლილია შემდეგი სოფლები, რომელთა მდებარეობა ვერ გამოირკვა: **მეტეხარა, ბეთაბრელი, ზახლეული, ყაჩაეთი, ჯევჯმელი, შხრო, შომეთი** თუ შოშიეთი, **ქუმელოანი, ჰერნეულის თავი** და **საჯიდი**[109].

სამეგრელოში იყო ”**ჭყონდიდი** (ცˇჲ გˇი მთˇწმდლსჲ, 320; ცˇჲ მˇსა დთˇსი, *514, გვ. 282); გიორგი აფხაზთა მეფემ «აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განაშუენა იგი სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა» (მტˇნე ქˇჲ, *452, გვ. 229). ამის შემდგომ ”საყდარი ჭყონდიდისა” იყო განთქმული და «წარჩინებული სამღვდელთ-მოძღვრო საყდართა შორის სამეფოსა»-თა; მეფე ბაგრატ IV «თჳსი საფლავი მუნ განემზადა, რათა რაჟამს აღესრულოს მუნ დაიმარხოს»-ო (ცˇჲ გˇი მთწმˇდლსჲ, 305).

”ზღვის პირას” იყო ”**ხუფთა**” ანუ ” **ხოფათი**” (მტˇნე ქˇჲ, *487 და *493-*494, გვ. 266; ცˇჲ მˇსა დთˇსი, *537, გვ. 303). ზღვის კიდეზე-ვე იყო ქალაქი და ნავთსაყუელი ”**ცხუმი**” (მტˇნე ქˇჲ, გვ. 201; ისტˇრნი და აზˇმნი, *719, გვ. 527), რომელიც აფშილეთში ითვლებოდა. განთქმული იყო **ქ. ”ბედიაჲ”** (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *98, გვ. 3); მეფე ბაგრატ III «აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საეფისკოპოსოდ და განასრულა ყოვლითა

---

[100] **Brosset,** Voyages, XII, 104.

[101] მტˇნე ქˇჲ,*496, გვ. 268; გელათის სახარების თარგმან. 1047წ., ქკˇბი, II, 191.

[102] ნიკორწმ. XI ს. სიგ., ქკˇბი, II, 48.

[103] იქვე.

[104] სიგ. 1078, ქკˇბი, II, 50.

[105] ნიკორწმ. XI ს. სიგ., ქკˇბი, II, 48.

[106] იქვე.

[107] მტˇნე ქˇჲ, * 493, გვ. 265 და სხვაგანაც; სუმბატის ”ცˇა და უწˇყბა”, 75, სხვა ისტორიკოსებსაც ხშირად.

[108] ნიკორწმიდის XI საუკ. სიგელი: ქრონიკები, II, 48, 47, 46, 49.

[109] იქვე, გვ. 45, 46, 47, 48, 49.

განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა... და დასუა ეფისკოპოსი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *471, გვ. 245).

აფხაზეთში მდებარეობდა, როგორც აღნიშნული იყო, ”**ბიჭუინტა**”, ”**ნიკოფსი**” და ციხე **”ანაკოფია”** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *483 და *487, გვ. 257, 260 და 261); როდესაც გიორგი I გარდაიცვალა «ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა ოვსთა მეფისა ასულსა, მეორესა ცოლსა თანა... და წარვიდა სამეფოსა მიმართ ბერძენთა მეფისასა და წარუტანა თანა ანაკოფია აფხაზთა მეფეთაო» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *483, გვ. 257); ეს ძლიერი ციხე, როგორც ეხლა ფიქრობენ, უნდა ყოფილიყო ეხლანდელი ახალ ათონის მახლობლად მდებარე ციხე[110] სადღაც აფხაზეთშივე იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ აღშენებული მონასტერი**”უბᲩ”** (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, კ˜გ).

”ქუეყანაჲ სამცხისაჲ” (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმ˜ლსჲ, 6), ანუ **”სამცხე”**[111] საკუთრივ ქართლს ზედ ეკრა. ამ ქვეყნის ნამდვილი საზღვრების გამორკვევა შეიძლება ლეონტი მროველის ცნობებისდა მიხედვით, სადაც მას აღნუსხული აქვს ოძრჴის ერისთავის სამფლობელოს რაოდენობა, იმიტომ რომ ზოგჯერ «ქვეყანასა ოძრჴევისასა... ეწოდებოდა სამცხე» (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *153, გვ. 34). ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ვითომც ფარნავაზმა «ერთი გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასის კარითგან ვიდრე არსიანთამდის ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა»-ო (ც˜ა მფ˜თა, *129, გვ. 21). ოძრჴის ერისთავს ჰბარებია ორი ქვეყანა სამცხე და აჭარა და ორივესი აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვრები ნაჩვენებია; **სამცხე საკუთრივ იწყებოდა თურმე ტასის კართან და თავდებოდა არსიანის მთასთან.** ჩრდილოეთით მას საზღვრავდა ”მთა **ღადოსი**”, რომელიც ქართლის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს საზოგადო საზღვრად ითვლებოდა. სამხრეთის საზღვარი არც ერთს ზემომოყვანილს ნაწყვეტში მოხსენებული არ არის და იგი გამოსარკვევია. ბაგრატონიანთა მემატიანე ამბობს: «მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას»-ო (ც˜ა და უწ˜ყბა, 59). მაშასადამე, **ასპინძა** სამცხეში ყოფილა. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ **ნიალის ველი** და **ხინგრის წყალი** უკვე ჯავახეთს ეკუთვნოდნენ (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *652-*653, გვ. 439), მაშასადამე, ამ ორ ადგილს შუა, ვგონებ, ხერთვისის ჩრდილოეთით (ვახუშტი, გგ˜რფა, 214, 216) უნდა ყოფილიყო სამცხის სამხრეთის საზღვარი. ყურადღების ღირსია, რომ სამცხის სამხრეთის საზღვარი არც ვახუშტსა სცოდნია; იგი ბუნდოვნად ამბობს, «სამხრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი» -ო (გგ˜რფა, 215); მათ შორის ჯერ ერთი ეს რომ დიდი მანძილია და ფართო ქვეყანაა და ამგვარად საზღვრის აღნიშვნა არ შეიძლება; ამასთანავე, როგორც დავინახეთ, ერუშეთზე კარგა ჩრდილოეთით, ნიალის ველი უკვე ჯავახეთს ეკუთვნოდა და არა სამცხეს. ვახუშტს უფრო ზედმიწევნით მხოლოდ სამცხეს აღმოსავლეთი საზღვარი აქვს გამორკვეული: «აღმოსავლით-საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა»-ო (გგ˜რფა, 215).

მთელი სამცხე მოფენილია მაღალი მთებით და ღრმა ხეობებით. იგი იყო ”ქუეყანა კლდოვანი” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *105, გვ. 7), მაგრამ როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებითგანა ჩანს, დაბურული ტყით მოცული ყოფილა. მეცხრე საუკუნეში იგი ”უღვაწი” და მიტოვებული იყო და საზოგადოდ იქ «ადგილნი

---

[110] **В. Латышев,** К истории христианства на Кавказе. 6.

[111] ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *129 და *153, გვ. 21 და 34; სუმბატის ც˜ა და უწ˜ყბა 58-59 და მრავალგან სხვაგან.

მცირედ კაცრიელნი» (ცˇჲ სრˇპნ ზრზˇმლსჲ, 18) ყოფილა, მერე-კი X-XII ს., ქართლითგან გადმოსულ ახალშენებით მჭიდროდ იყო დასახლებული.

აღმოსავლეთითგან მოყოლებული დასავლეთისაკენ სამცხეში იყო შემდეგი ქალაქები, ციხეები და სოფლები: **კორტანეთი**[112], **ყვიბისი**[113], **სადგერი**[114], **თორი** (მტˇნე ქˇჲ, *497, გვ. 268), **ციხის ჯუარი** (მტˇნე ქˇჲ, *489, გვ. 262). **ტაძრისი** (ცˇჲ გˇი მთˇწმდლსჲ, 286); **აწყური** (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, კბ, მე; სხვაგანაც ბევრგან) საეპისკოპოსო საყდარი იყო; "აწყურის ციხე"-ც არსებობდა (მტˇნე ქˇჲ, *489, გვ. 262); სოფელი **ასპინძა** (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა 58-59), **ქ. ახალციხე**[115]; **"ბოდო კლდითა"** (მტˇნე ქˇჲ, *495, გვ. 267), **შუარტყელი** (ცˇჲ სრˇპნ ზრˇზმლსჲ, 27) და **მარგი** (მტˇნე ქˇჲ, *458, გვ. 234), რომელიც, ალბათ, თანამედროვე რუკების მარგისტანს უდრის; **ბობხა** (ცˇჲ სრˇპნ ზრˇზმლსჲ, 19) ეთანასწორება, ალბათ, თანამედროვე რუკების **ბოღას**; **ცხროჭა** (იქვე, 10), **პარეხი** (იქვე, 5), **უმწაჲ** (იქვე, 26); ქალაქი **ოძრაჴჷ** ციხითურთ (მქˇცჲ ქˇჲ, Опис., II, 708), ანუ **ოძჴე** (მტˇნე ქˇჲ, *495, გვ. 267; ლეონტი მროველი ცˇა მფˇთა, *105, გვ. 7); თამარ მეფის დროსაც იგი კვლავინდებურად ქალაქად ითვლებოდა (ისˇტრნი და აზˇმნი, *651-*652, გვ. 437); ეხლა მას აბასთუმანს უწოდებენ. IX ს. დამდეგს ოძრხის ციხე კვლავ აუგია გუარამ მამფალს (მტˇანე ქˇჲ, *447, გვ. 225). ამის ჩრდილოეთით მდებარეობდა «**იწრონი რკინის ჴევისანი**» (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *159, გვ. 38), - ერთადერთი პირდაპირი გზა დასავლეთ საქართველოთგან სამცხეში. ამ ხევის უმწვერვალეს ადგილზე იყო "**რკინის ჯუარი**" (ისˇტრნი და აზˇმნი, *651-*652, გვ. 437). სადღაც ღადოს მთაში უნდა ყოფილიყო აგრეთვე **დემოთი** (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *153, გვ. 34). ოძრჴის წყლის დასავლეთით იყო **ზანავი**, **ჩორჩანი** (ცˇჲ სრˇპნ ზრˇზმლსჲ, 9) და **ზარზმა** (ცˇჲ სრˇპნ ზრˇზმლსჲ, მრავალგან) დიდებული მონასტერი, ქართული ხელოვნების ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი, სამხრეთით იყო ღრმა "**ჴევი გოდერძისაჲ**" (იქვე, 16-17). სამხრეთით მდებარეობს აგრეთვე გუარამ მამფალის აგებული ციხე **ლომსიანთა** (მტˇნე ქˇჲ, *447, გვ. 225), რომელიც ეხლანდელს ლომიანთას უდრის. ოძრჴისა და კობლიანის წელების სანახებში სადღაც უნდა ყოფილიყო აგრეთვე **ძარღუას სოფელი** (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 37) და **ბერას ჯუარი** (იქვე, 8). ვერ გამოვარკვიე სამცხის სახელდობრ რომელს კუთხეში უნდა ყოფილიყო გვარამ მამფლის მიერ აშენებული "**ჯუარის ციხე**" (მტˇნე ქˇჲ, *447, გვ. 225).

სამცხის სამხრეთით მდებარეობდა "**ჯავახეთი**"[116]. ამ ქვეყნის საზღვრები რომ გამოვარკვიოთ, უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ "**ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა...** არს ჯავახეთი და კოლა-არტაანი"-ო (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *129, გვ. 21 და *105 გვ. 7). რაკი კოლა და არტაჰანი სამხრეთით მდებარეობდნენ, ამიტომ ფარავნის ტბა, რასაკვირველია, ჯავახეთის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საზღვარი უნდა იყოს. ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი, რასაკვირველია, მარტო ფარავნის ტბით ვერ განისაზღვრებოდა. უფრო ჩრდილოეთითაც, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთითაც ქვეყანა ჯავხეთს ეკუთვნოდა. "მტˇნე ქˇჲ," მაგ. მოგვითხრობს, რომ მეფე ბაგრატ «გავიდა

---

[112] სამცხე-საათაბ. მღუდელმთ.; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81.

[113] იქვე.

[114] იქვე და მტˇნე ქˇჲ, *495, გვ. 267.

[115] სამცხე-საათაბაგ.. მღუდელმთ.; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81

[116] ცˇჲ გˇი მთწˇმდლსჲ, 328-329; ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *129, გვ. 21; ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇრსა, *401, გვ. 186; სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 73; ისტˇრნი და აზˇმნი, *652-*653, *701, გვ. 438-439, 500.

ჯავახეთს... დგას **ღრტილას**, ხოლო ლიპარტ მოადგა **ფოკათა**»-ო (*489, გვ. 262); მაშასადამე, ღრტილა ჯავახეთის საზღვრებში ყოფილა.

ჩრდილოეთით მისი საზღვარი იქვეა, სადაც სამცხის სამხრეთის საზღვარი იყო. ამ ქვეყნის დასავლეთის საზღვარიც არსიანის მთა იყო. ზემოთ (იხ. მდინარეები) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მტკვარს სათავე კოლას ხეობაში ჰქონდა; მაშასადამე, ლეონტი მროველის ზემომოყვანილს ცნობაში ჯავახეთის სამხრეთის საზღვარი აღნიშნული არა ყოფილა. არტაჰნის მდებარეობაც ვიცით; მაშასადამე, მაინც-და-მაინც ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი აქ არ უნდა ყოფილიყო. ამ საკითხის გამოსარკვევად საყურადღებოა ჯუანშერის ცნობა, რომ მირდატ ვახტანგის ძემან «აღაშენა ჯავახეთს ეკლესია **წყაროსთავს**» (ცˇა ვხˇტგ გრგˇსრსა, *401, გვ. 186). ამით მტკიცდება, რომ წყაროსთავი ჯავახეთს ეკუთვნის. ვგონებ, სწორედ ამ წყაროსთავის მახლობლად უნდა ყოფილიყო კიდეც ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იქვე არტაანი არის. ხოლო რაკი «მტკუარს აქეთი არტაანი»[117]იყო, უეჭველია უნდა მტკუარს იქითიც ყოფილიყო; ესე იგი **არტაანს მტკვრის ორთავე ნაპირას ჰქონია მდებარეობა.** მაგალითად, ნაქალაქევი უკვე არტაანს ეკუთვნოდა; ლეონტი მროველის სიტყვით, ფარნავაზი «მიეგება ნაქალაქევსა თანა არტაანისასა»-ო (ცˇა მფˇთა, *122, გვ. 19). ამის გამო სიმართლე იქმნებოდა გვეფიქრა, რომ ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი დაახლოებით წყაროსთავის გასწვრივ უნდა ყოფილიყო. ჯავახეთის საზღვრები ჩამოთვლილი აქვს ვახუშტს; «დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძველად მტკვარი»-ო, ამბობს იგი, «და აწ ნიჯგორის-ხერთვისს ზეითი და წყაროსთავის დასავლით წარსულნი მცირე გორანი, ხოლო ჩრდილოდ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსული მცირე მთა ნუსხამდე და მცირე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე და აწ კოხტის მდინარის აქეთი, სამხრით კერძოს მცირე მთა ნიჯგორის თავამდე კოდიანამდე»-ო (გგˇრფა, 220-221); მაგრამ, როგორც დავინახეთ, ვახუშტის განსაზღვრა ზოგან სწორი არ არის.

ჯავახეთის მოსახლეობითგან ძველს მწერლობაში მოხსენებული არის შემდეგი ადგილები, - აღმოსავლეთით ვიწყებთ და დასავლეთით მივემართებით: ”**ფოკანი**” (მტˇნე ქˇჲ, *489, გვ. 262), რომელიც ფარავნის ტბის სამხრეთს ნაპირზე იყო; ფარავნასვე ყოფილა სოფელი **მახაროვანი,** რომელიც ეხლა არა ჩანს; ფოკათა სამხრეთით იყო ”**განძანი**” (მტˇნე ქˇჲ, *480, გვ. 254); ფარავნას დასავლეთ-ჩრდილოეთით – **”ღრტილა”** (მტˇნე ქˇჲ, *489 და *494, გვ. 262 და 267), ეხლანდელს 5-ვერს. რუკაზე ”იხტილად” აღნიშნული; ”**ახალქალაქი** ჯავახეთისაჲ” (ცˇჲ გˇი მთწˇმდლსჲ, 328-329; მტˇნე ქˇჲ, *494, გვ. 267; ისტˇრნი და აზˇმნი, *651-*652, გვ. 438); ახალქალაქის ”ზღუდეთა ” შენება დაუწყიათ ბაგრატ IV დროს (მტˇნე ქˇჲ, *486, გვ. 260); **ხერთვისი,** რომლითგან მოყოლებული ”ზევით სულ ჯავახეთი” იყო[118]; **კუმურდო,** საეპისკოპოსო საჯდომი დიდებულის საყდრითურთ; ”ციხე-ქალაქი **წუნდა**” (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *105, გვ. 7); **”თმოგუი”** (ცˇა მˇსა დთˇსი, *519, გვ. 287; ისტˇრნი და აზˇმნი, *651-*652 და *652-*653, გვ. 438 და 439); მოხსენებულია აგრეთვე ”ციხე თმოგუისა” (მტˇნე ქˇჲ, *450, გვ. 227; სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 66); 1091 წ. ახლო ხანებში საშინელ მიწის ძვრის დროს ”თმოგვიცა დაიქცა” (ცˇა მˇსა დთˇსი, *519, გვ. 287), მაგრამ მერე აღდგენილ იქმნა; **ვარძია** (ისტˇრნი და აზˇმნი, *701, გვ.

---

[117] სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. ი. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 77.

[117-ა] მლქˇზდკ კˇზს 1020 წ. სიგ., ქკˇბი, II, 33.

[118] სამცხე-საათაბაგ. მღუდელმთავ.; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 76.

500), სადაც განმაცვიფრებელი, კლდეში გამოკვეთილი, მონასტერი იყო: «ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის» და მისმა ასულმა თამარ მეფემ "აღასრულა" (იქვე, *697, გვ. 494); **ხავეთი**[119]**;** სულ სამხრეთით ჯავახეთში იყო "ეკლესია **წყაროსთავისა"** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *401, გვ. 186), რომელიც ამასთანავე საეპისკოპოსო საყდრად ითვლებოდა; "**ერუშეთი"**, რომელიც აგრეთვე საეპისკოპოსო საჯდომი იყო (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, მე; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *652-*653, გვ. 439); **"წურწყაბი"** საეპისკოპოსო საყდარი[120] და "**ყუელი"** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450, *495, და *502-*503, გვ. 227, 267 და 273; ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *513, გვ. 282) მაგარი ციხე იყო, რომელიც არსიანის გზას უდარაჯებდა, ამასთანავე ერისთავის საჯდომადაც ითვლებოდა; ეს ციხე იხსენიება ბერძნულს წყაროებში, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში. დასასრულ ჯავახეთსავე იყო "სოფელი **ტონთიო"**[121]**,** რომლის მდებარეობა ვერ გავარკვიე.

არა ჩანს, სახელდობრ სად მდებარეობდა "დლივი"(მტ˜ნე ქ˜ჲ, *494, გვ. 266)? მატიანე მოგვითხრობს მხოლოდ: «შეიპყრეს დლივს ლიპარიტ» (იქვე). სომეხთა ისტორიკოსის ასოღიკისაგან მარტო ის ვიცით, რომ ეს "დლივი", ანუ როგორც იგი უწოდებს "დლივეკ", ჯავახეთში ყოფილა (გვ. 252).

ჯავახეთს სამხრეთით "**არტაანი", "ხევი არტანისაჲ"** (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *122, გვ. 19; მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218; სუმბატის, ც˜ა და უწ˜ყბა, 60), "ქუეყანა არტანისა" (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *682, გვ. 476), "**არტაჰანი"** (იქვე, *706, გვ. 509) ეკრა, ამიტომ ჯავახეთის სამხრეთის საზღვარი არტაანის ჩრდილოეთის საზღვარი იქმნება. როგორც აღნიშნული გვქონდა, ნაქალაქევი უკვე არტაანისა იყო (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *122, გვ. 19); დასავლეთით არტაანის საზღვარი არსიანის მთა იქმნებოდა. არტაანის საზღვრებში დიოდა მტკვარი და ამ მდინარის ორთავ მხრივ იყო "ქუეყანა არტანისა " იმიტომ რომ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, რაკი მოხსენებულია "მტკუარს აქეთი არტაანი", უეჭველია იქმნებოდა "მტკუარს იქითი"-ც. მტკვარზე იდო თვით ქალაქი არტაჰანი, "ქალაქი არტანისა" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *105, გვ. 7). "ხევსა არტანისასა" იყო "**სოფელი მგლივანი"** (სუმბატის, ც˜ა და უწ˜ყბა, 60), რომლის მდებარეობის გამოსარკვევად ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. სამხრეთით არტაანს კოლა საზღვრავდა. ეს ნათლადა ჩანს სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავართა სამრევლოების აღწერილობითგან, სადაც ნათქვამია: «სულა არტანი კოლას სამზღურამდინ»-ო[122]. ხოლო რაკი მტკვარს სათავე კოლაში ჰქონდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს საზღვარი მტკვრის ძალიან სამხრეთით არ უნდა ყოფილიყო. ვახუშტის სიტყვით არტაანს საზღვრავდა: «აღმოსავლით მთა ამასა (არტაანსა) და ფოსოს შორისი: სამხრით - მთა ამასა (არტაანსა) და კოლას შორისი; დასავლით არსიანი და აწ ქვაყრილად წოდებული. სადაც გარდავალს გზა არტანუჯს; ჩრდილოთ მთა მცირე ამასა და ერუშეთს შორისი»-ო (გგ˜რფა, 223).

არტაანში მოხსენებულია "**ნაქალაქევი"**, რომელსაც ლეონტი მროველის სიტყვით «ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური»-ო (ც˜ა მფ˜თა, *122, გვ. 19); **ს.**

---

[119] სამცხე-საათაბგ. მღუდელმთ.; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81, შეცდომით დაბეჭდილია "ხვეთამდი"; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 76.

[120] სამცხე-საათაბაგ. მღუდელმთავ.; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81,

[121] მლ˜ქზკ კ˜ზს 1020 წ. სიგ., ქკ˜ბი, II, 33.

[122] **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81, **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 77.

მგლინავი (სუმბატი, ცˆა და უწˆყება, 60) და **ტლაოში,** ანუ **ტალაშო**[123], რომელთა მდებარეობა ვერ გამოვარკვიე.

”**კოლაჲ**[124], ანუ ”კოლა”[125], როგორც აღნიშნული იყო, არტაანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო სამხრეთით. ხევი კოლაჲსი მტკვრის სათავე იყო[126]. ლეონტი მროველიც ადასტურებს. რომ კოლა შეიცავდა ქვეყანას «თავადმდე მტკურისა» (ცˆა მფˆთა, *129, გვ. 21). დასავლეთით კოლას ტაო საზღვრავდა, აღიმოსავლეთით-კი ამ ქვეყნის მოსაზღვრედ პალაკაციო ითვლებოდა; ”პალაკაციო კოლას საზღურამდი”-ო, ნათქვამია მაგ. სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავართა სამრევლოების აღწერილობაში[127]. სამხრეთით, ალბათ, კარის სანახები ექმნებოდა. კოლას საზღვრები ვახუშტს ასე აქვს აღწერილი: «აღმოსავლეთით მთა ყარსისა, რომელი მდებარეობს ყალნუს მთიდამ ნიალის ყურის მთამდე, დასავლეთს-სამხრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის... დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა და აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას... ჩრდილოთ მზღვრის კოლას არტან-კოლას შორისი მცირე მთა»-ო (ggˆრფა, 224).

კოლაში მოხსენებულია ”სოფელი დიდი **ოროტანი**[128], რომელიც, ალბათ, თანამედროვე ”ურუტს” უდრის; **დადაშო და ხორცევანი,** ანუ **ხორტევანი**[129]**;** ”ლავრა ოთხთა ეკლესიათა” (ცˆჲ იეˆსი და ეფˆთმსი, 6), რომელიც უდრის, ალბათ, თანამედროვე ”დორთ კილისას”[130].

თვით **”ქუეყანისა პალაკაციოს”**-ს (ისტˆნი და აზˆმნი, *637, გვ. 418), ანუ ”პალაკაციო” –ს საზღვრების გამორკვევა ცნობების უქონლობის გამო ჯერ-ჯერობით არ შეიძლება. ვიცით მხოლოდ, რომ დასავლეთისაკენ ”პალაკაციო კოლას საზღვრამდი” უწევდა[131]; მაშასადამე, მისი მდებარეობა კოლას გასწვრივ უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, აღმოსავლეთით.

ვახუშტსაც ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება ამ ქვეყნის შესახებ; ერთგან იგი მაგ. ამბობს: «პალაკაციოსა და აბოცს შორის არის მთა აღაბაბასი და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა» (ggˆრფა, 48); მეორეგან ნათქვამი აქვს: «რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს, ზამთარ ამ ადგილებთა შინა და ზაფხულ აღვლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა»-ო (იქვე, გვ. 67). **ბროსეს** ვახუშტის გეოგრაფიის თავის გამოცემაში, სარჩევში, ნათქვამი აქვს: ”პალაკაციო, ქვეყანაა, წინათ ცნობილი ძაღლის ჴევად[132]; მაგრამ თვით ვახუტს ამის შესახებ არაფერი უწერია. ბროსეს თავისი აზრი დამყარებული ექმნება თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაზე, მაგრამ იქაც მˆმ დფˆს ქცˆის-და თანახმად ნათქვამია: «მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქმანნი ქუეყანისა პალაკაციოს და

---

[123] სამცხე-საათაბ. მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, აპგა;** 81, **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

[124] წˆმჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ; **ნ. მარი, TP** ^{v}**,** გვ. 55.

[125] მლˆქზდკ კˆზს 1020 წ. სიგელი; ქˆკბი, II, 33; ლეონტი მროველი, ცˆა მფˆთა, *129, გვ. 21; ცˆა მˆსა დთˆსი, *543-*544, გვ. 310- ისˆტრნი და აზˆმნი, *706 და *710, გვ. 509 და 515.

[126] წˆჲ ცხრა ყრმათა კოლაელთაჲ; **TP,** ^{v,} 55.

[127] **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 77.

[128] მლˆქზდკ კˆზს 1020 წ. სიგ.; ქკˆბი, II, 33.

[129] სამცხე-საათაბ. მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

[130] თურქულად ნიშნავს ოთხ ეკლესიას.

[131] ისტˆრნი და აზˆმნი, *682, გვ. 476; სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81 და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 77.

[132] იხ. Index, გვ. 525.

ძაღლის ხევად წოდებულისასა»-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *637, გვ. 418); და ისე გამოდის, თითქოს პალაკაციო და ძაღლის ხევი მაინც ერთი და იგივე არ ყოფილიყოს.

სამცხის გასწვრივ, მხოლოდ დასავლეთით, მდებარეობდა **"აჭარა"**[133]. აჭარა ეწოდებოდა ქვეყანას **"ნოსტის თავითგან ზღუამდის"** (ლეონტი მროველი, *129, გვ. 21); ეს, რასაკვირველია, აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვრებია; სამწუხაროდ არა ჩანს, სად იყო ნოსტე; ეხლა ამგვარი სახელი 5-ვერსიან რუკაზე, არც სხვა წყაროებში მოხსენებული არ არის. რაკი აღმოსავლეთით აჭარას სამცხე ეკრა, ამიტომ ნოსტეს გარდა არსიანის მთები უდარაჯებდნენ. ჩრდილოეთით ქვეყანას, რასაკვირველია, აჭარის მთები საზღვრავდნენ, ხოლო სამხრეთით ჯერ შავშეთის ქედი, ხოლო მერე სამხრეთ-დასავლეთით მდ. ჭოროხი. აჭარის მოსახლეობის შესახებ ჯერ-ჯერობით მეტად მცირედი ცნობები მოგვეპოვება; მოხსენებულია მხოლოდ **"დანდალო"**[134].

"შავშეთი"[135] აჭარის სამხრეთით და ჯავახეთის გასწვრივ მდებარეობდა. ამიტომ აჭარის სამხრეთი საზღვარი, შავშეთის ქედი, მისთვის ჩრდილოეთის საზღვარი იყო, ხოლო აღმოსავლეთით იგივე მთა არსიანი საზღვრავდა; სამხრეთის საზღვრად, რასაკვირველია, უნებლიედ უნდა შავშეთის წყალი, ანუ იმერხევი ჩაგვეთვალა. გრიგოლ ხანძთელიც ამბობს, რომ კლარჯეთს, უეჭველია ჩრდილოეთით, შავშეთის საზღვარზე «ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ»-ო (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, კდ). აღმოსავლეთ სამხრეთით ასეც ყოფილა, მაგრამ, დასავლეთისაკენ რომ მივიწევთ, საზღვარი, როგორც ეტყობა, უკვე მდინარეს ჰშორდებოდა და წყალ-წყალ არ მიდიოდა. მაგ., სოფ. ნორგიალი, რომელიც შავშეთის წყლის სამხრეთით მდებარეობს და კლარჯეთს უნდა ჰკუთვნებოდა, თურმე შავშეთად ყოფილა ცნობილი; აი რას ამბობს გიორგი მერჩული: «იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ სოფლისა ნორგიალისაჲ»-ო (ც˜ა გგ˜ლ ხნძ˜თლს, ლწ), ოპიზა-კი, რომელიც შავშეთის წყლის ჩრდილოეთ-დასავლეთით იყო, კლარჯეთს ეკუთვნოდა; ბასილი ზარზმელი მაგ. ამბობს: «მოიწივნეს... უდაბნოსა კლარჯეთისასა ოპიზას»-ო (ც˜ჲ სპ˜პნ ზრზ˜მლსჲ, 30).

დასავლეთით შავშეთი შავ ზღვას აღწევდა, თუ არა, არა ჩანს: ვიცით მხოლოდ "მიჭიხიანი", ანუ მაჭახელი შავშეთის საზღვრებში[136]. მაშასადამე, ჭოროხამდე შავშეთი ყოფილა; ჭოროხს გაღმა ზღვამდე შავშეთსვე ეკუთვნოდა, თუ არა, ამის გამოსარკვევად ჯერ-ჯერობით გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ვახუშტი ბუნდოვნად ამბობს: «დასავლით – მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორის» (გგ˜რფა, 230).

მერვე-მეცხრე საუკუნეში შავშეთი სრულებით აოხრებულ-მივიწყებული კუთხე იყო: "ჴევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა... და კუალად... სლვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი... და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ"-ო (სუმბატის ც˜ა და უწ˜ყბა, 52). მეცხრე საუკუნითგან მოყოლებული აქ ჩნდება აღმოსავლეთითგან გადმოსულ ქართველთა ახალშენები, თან-და-თან ქვეყანა აშენდა და აყვავდა.

---

[133] ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *129, გვ. 21; მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218; ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *514, გვ. 282; სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

[134] სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

[135] ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, ია, იწ; კბ, ლწ; მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218; სუმბატის ც˜ა და უწ˜ყბა, 52; ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *514 გვ. 282; სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 77.

[136] სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

”ქუეყანა კლარჯეთისა” (ცˆა სრˆპნ ზრზმˆლსჲ, 4), ანუ ”კლარჯეთი”[137] შავშეთს სამხრეთით ეკვროდა; ამიტომ შავშეთის სამხრეთის საზღვარი კლარჯეთისათვის ჩრდილოეთის საზღვარი იყო. ამავე ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვრები ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობებით ირკვევა; პირველი ამბობს ფარნავაზ მეფემ ერისთავად «ერთი გაგზავნა კლარჯეთს, მისცა არსიანითგან ზღუამდე»-ო (ცˆა მფˆთა, *129, გვ. 21); მეორის სიტყვებითგანაც მტკიცდება, რომ «კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდის» (ცˆა ვხˆტნგ გრგˆსრსა, *358, გვ. 156-157), «კლარჯეთი ზღვის პირამდის» (ცˆა მფˆსა დთˆსი, *514. გვ. 282) მიდიოდა. სამხრეთის საზღვარი ძველს წყაროებში არ არის აღნიშნული; როგორც ეტყობა, არც ვახუშტსა სცოდნია დანმდვილებით ეს საზღვარი: «სამჴრით - ფანასკერტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალმუს მთიდამ დასავლეთად ვიდრე ჭოროხამდე»-ო, ამბობს, იგი (გგˆრფა, 234); მაგრამ არტანუჯსა და ფანასკერტს შუა კარგა მანძილია. აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრივ კლარჯეთს საზღვრავს კოლა; ხოლო სამხრეთით საზღვარი უნდა **ხეკრებულთას** ჩრდილოეთით ყოფილიყო, იმიტომ რომ ” მტˆნე ქˆჲ” ამბობს: «მომავალი იყო მეფე **ტაოთ,** დადგრომილ იყუნეს **ხეკრებულთას**»-ო (*497, გვ. 268). ეხლა ამგვარი ადგილი არა ჩანს ტაოში, თუ რომ მისი დამახინჯებული სახე არ არის მთა ”**ხეკერთი”** (ხეკერთ-დაღ). თუ ეხლანდელი ხეკერთი უდრის ძველს ქართულს ”ხეკრებულთას”, მაშინ სამხრეთით კლარჯეთი ჩვენ უფრო ზედმიწევნით განსაზღვრული გვექნება.

კლარჯეთი მეტად კლდოვანი, დაბურული ტყით მოცული ქვეყანა იყო; გარშემო მთები ჰქონდა შემორტყმული, ”კლარჯეთის ტყენი” (სუმბატის ცˆა და უწˆყბა 53). ”ურიცხჳ მაღნარნი” და ღრმა ხეობები მას თითქმის მიუვალადა ხდიდნენ. რაკი ბარი-ადგილი სრულებით არ მოიძებნებოდა და ნიადაგიც კლდოვანი იყო, ამიტომ იქ «არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჴნავი»; მხოლოდ «მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვი». დანარჩენი ყველაფერი ადამიანს დიდის შრომითა და მედგარის მხნეობით უნდა მოემონარა; ამიტომ იქ იყო «მცირედ ვენახნი... და ეგრწთვე მტილები». მაგრამ იგიც მცხოვრებთ დიდითა «ჭირითა და ურვითა დაუნერგვიან»-ო (ცˆჲ გგˆლ ხნმთˆლსჲ, კდ).

მაინც ქართველ ახალშენთა გასაოცარმა შრომისმოყვარეობამ და ჭირნახულობამ ეს მკაცრბუნებოვანი ქვეყანა მშვენიერ აყვავებულ ადგილად აქცია. რომლის დიდებული ნაშთები ეხლაც აკვირვებს ადამიანს[138]. ბუნებამ კლარჯეთს მშვენიერი ჰავა მიანიჭა, «კეთილად შეზავებული მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიად სიცხწ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივწ შეაურვებს მყოფთა მისთა» (ცˆჲ გგˆლ ხნმˆთლსჲ, კდ). ნიადაგი ზომიერად მშრალი იყო: ”უხორშაკოჲ”, ”უნოტიოჲ” და ”მზვარეწ”, ისე რომ «კაცთა ნახჭნი ფერხთანი არაოდეს თიჴიან იქმნებიან სლვასა მათსა»-ო (იქვე), მშვენიერი ცივ-ცივი მთის წყაროები, «სიმრავლწ წყალთაჲ ჰამოთაჲ» (იქვე) ახარებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა და მოგზაურთა გულს.

სომხური უსახელო გეოგრაფიითგანა ჩანს, რომ კლარჯეთის გვერდით ”**ეგრი”** მდებარეობდა, ეგრზე მიმდინარეობდა ჭოროხი, კლარჯეთს რომ გასცილდებოდა და ნიგალის ხეობაში შევიდოდა (-სომხური----------?)გვ.63[139]

---

[137] ცˆჲ გგˆლ ხნმთˆლსჲ, ცˆა სრˆპნ ზრზˆმლსჲ, 30; ლეონტი მროველი, ცˆა მფˆთა, *129, გვ. 21; ჯუანშერი, ცˆა ვხტˆნგ გრგˆსრსა, *358-359, გვ. 157; მტˆნე ქˆჲ, *441, გვ. 218; სუმბატის ცˆა და უწˆყბა, 53; ცˆა მფˆსა დთˆსი, *514, გვ. 282; მრავალგან სხვაგანაც.

[138] იხ. **ნ. მარი,** TP,წ. VII, დღიური.

[139] Geograhie de Moïse de Corène, par **A. Soukry**, ვენეტიკი 1881, გვ. 35.

რაკი ქართულ წყაროებში სრულებით გარკვევითა სწერია, რომ კლარჯეთი ზღვამდის აღწევდა, ამიტომ ისე გამოდის, რომ "**ჴევი ნიგალისა**" (სუმბატის, ცˇა და უწˇყბა 53), ანუ "**ნიგალი**" (მტˇნე ქˇჲ, *441, გვ. 218; სუმბატის ცˇა და უწˇყბა, 68-69) კლარჯეთის ერთი ნაწილთაგანია; თუმცა ნიგალი ცალკეც იხსენიება. მაგ. სუმბატის სიტყვით, როდესაც არაბებმა მოჰკლეს აშოტ დიდი კურაპალატი, «იყუნეს ჴარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჴევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი»-ო (ცˇა და უწˇყბა, 55). ნიგალისავით ეგრიც კლარჯეთის საზღვრებს უნდა ჰკუთვნებოდა.

შავშეთისა და კლარჯეთის მოსახლეობა საკმაოდ ვრცლად არის აწერილი გიორგი მერჩულის და სხვათა თხზულებებში. დავიწყოთ აღმოსავლეთითგან და დასავლეთისაკენ გავყვეთ. ძველს წყაროებში მოხსენებულია: **მერე** (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, ივ, მა, მბ), "სოფელი დიდი **სხლობანი**"[140], "ციხე **გარყლობისა**" (მტˇნე ქˇჲ, *481, გვ. 254-255); **ტბეთი**, სადაც ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა ააგო საეპისკოპოსო საყდარი და დააწესა საეპისკოპოსო სამწყსო (სმბˇტი, ცˇა და უწˇყბა, 61); აქვე «აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარმა ეპისკოპოსმა მახლობელად ტბეთისა ეკლესიასა და სახელ სდვა მას სვეტი» (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა; 76), ეს იყო «ციხე თავსა ზედა ტბეთისასა» (მტˇნე ქˇჲ, *481, გვ. 255); ტბეთს, როგორც ჩანს, ძველად მარტივად "ტბას" ეძახდნენ (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, ჲე, ივ); "**გუნათლეჲ**" (იქვე, ნა); "ციხე **ცეფთისა**" (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 76), ანუ "**წეფთისა**" (მტˇნე ქˇჲ, *466 და *481, გვ. 241 და 255); სოფელი **ნორგიალი** (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, ლწ); **მიძნაძორი** (იქვე, ლგ, �lწ); **წყაროჲს-თავი და ბარეთელთაჲ** (იქვე, ლა – ლბ, ლგ); **ანჩა** (იქვე, ჲე, იზ) საეპისკობოსო საყდარი იყო; **ოპიზა** (იქვე, ვ); **ჯმერკი, ბერთა, დაბა** (იქვე, ლა), **დოლის ყანაჲ** (იქვე, ლა; სუმბატი,ცˇა და უწˇყბა, 54); **ბერთისა პარეხნი** (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, ლზ-ლწ); ნაღუარევი და ჴერთჯსი (ჯუანშერი, ცˇა ვხტˇნგ გრგˇ სრსა, გვ. 152). „თავსა შავშეთისას" ყოფილა „გარდათხრილთა" (მტˇნე ქˇჲ, *466,გვ.241).

კლარჯეთში იყო "დიდებული ლავრა **შატბერდი**" (ცˇჲ გˇი მთˇწმდლსჲ, 320; ცˇჲ გგˇლ ხნმთˇლსჲ, კთ და სხვაგანაც). **ხანძთა** აშენებული იყო ისეთს კლდეზე, რომელიც «უფიცხლწს არს უფროჲს ყოველთა მათ უდაბნოთა კლარჯეთისა უდაბნოთა» (იქვე, ია); იგი მდებარეობს კარჩხალის წყალზე და ეხლა ხოსტად იწოდება[141]; "უდაბნოჲ კლარჯეთისაჲ **ოპიზას**" (ცˇჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 30); "ხანძთასა და ოპიზას შუა **დახატულა**"[142], "შუა კლარჯეთს" კლდეზე სოფელსა, "რომელსა ერქუა **არტანუჯი**", ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგ გორგასარმა ააგებინა "არტანუჯისა ციხე", იქვე მახლობლად იყო "**ახიზისა** ციხე"-ც (ცˇა ვხˇტნგ გრგˇსრსა, *358-*359, გვ. 157); ტყეში მყოფი არტანუჯი შემდეგ აოხრებულა და განაახლა და ხელმეორედ «აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა, ქუეშეთ აღაშენა ქალაქი» აშოტ დიდმა კურაპალატმა (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 53). გიორგი მერჩულის სიტყვით, «აღაშწნა ციხწ არტანუჯისაჲ საცხოვრებლად დედუფლისა მეუღლისა თჯსისა და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა» (ცˇჲ გგˇლ ხნმˇთლსჲ, ნვ); მაგრამ, როგორც **კონსტანტინე პორფიროგენეტი** მოგვითხრობს, არტანუჯი დიდი სავაჭრო ცენტრიც ყოფილა, სადაც თავს იყრიდნენ მრავალი ვაჭრები ტრაპეზუნტითგან, ქართლითგან, აფხაზეთითგან, სომხეთითგან და ასურეთითგანაც; დიდი აღებმიცემობა ყოფილა გაჩაღებული; ამას

---

[140] მლˇქზდკ კˇზს 1020 წ. სიგ., ქკˇბი, II, 33.

[141] იქვე..

[141ა] **ნ. მარი,** TP,წ. VII, დღიურის გვ. 152-153.

[142] სამცხე-საათაბ. მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, АПГА,** 81

გარდა არტანუჯის ციხე საქართველოს ზღუდე და კარი იყო[143]. დასასრულ კლარჯეთშივე იყო სოფელი **სხულოვანი**[144]**;** ეხლა ამგვარი სოფელი აღარ არსებობს, თუ რომ მის სომხურს თარგმანს არ წარმოადგენს **ტანძოტი**?

"ტაო"[145] კლარჯეთის სამხრეთით მდებარეობდა, რომლის სამხრეთი საზღვარი, მაშასადამე, ტაოს ჩრდილოეთის საზღვარი უნდა ყოფილიყო. ტაო ორად იყოფებოდა; ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, რომ დავით კურაპალატს მეფე «ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *463, გვ. 239); არსებობდა "**იმიერ-ტაო** (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 65) და რასაკვირველია, ამიერიც იქმნებოდა; იყო **"ქუემო ტაო"** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218) და უეჭველია ზემო ტაოც იქმნებოდა. სუმბატი ამბობს: «გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი... და არა ესუა ძე და აოჴრდა იმიერ-ტაო და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე... და დაიპყრა მამული დავით კურაპალატისა... გარდაიცვალა... გურგენ მეფეთ მეფე... და დაუტევა ძე... ბაგრატ აფხაზთა მეფე... და ეუფლა ტაოს, მამულსა თჳსსა»-ო (ც˜ა და უწ˜ყბა, 65). ამ ამონაწერითგანა ჩანს, რომ დავით კურაპალატს **"იმიერ-ტაო**" სჭერია, **"ამიერ-ტაო"**-კი გურგენ მეფეს. რაკი ბერძენთა მეფემ დაიპყრო "იმიერ-ტაო", ალბათ, იმიერ-ტაოდ ტაოს სამხრეთის ნაწილი იწოდებოდა, ის, რომელიც საბერძნეთს ეკრა; ხოლო "ამიერ-ტაო" ჩრდილოეთს ნაწილს ერქვა ალბათ. რაკი ქვეყანას ზემოთ და ქვემოთ ქართულად მდინარის მიმართულებისდაგვარად უწოდებენ ხოლმე, ამიტომ იქნებ ბანა-ოლთისის წყალი ჰყოფდა ტაოს ორ ნაწილად, ამავე წყლების აქეთ-იქითი ნაპირები იქმნებოდა ალბათ "ამიერ"-"იმიერ-ტაოც".

რომ სწორედ ასედაც უნდა ყოფილიყო და ბანის წყალი ჰყოფდა ტაოს ორ ნაწილად იმიერ-ამიერ-ტაოდ, ეს სუმბატ დავითის ძის მოწმობითაც მტკიცდება. ბანას თავდებოდა ქართველთა მეფის სამფლობელო და სამხრეთით იწყებოდა ბერძენთა მეფის საბრძანებელი, აქ ყოფილა საზღვარი XI საუკუნეში. ბაგრატონიანთა მემატიანე მოგვითხრობს, რომ მძევლობისაგან განთავისუფლებული «მოიწია ბაგრატ ტაოს შევიდა თჳსსა მამულს ბანას თანამყოლითა მისად კატაბანისათა[სა] ზღურამდე ბაგრატის მამულისა»-ო (ც˜ა და უწ˜ყბა, 74). მაშასადამე, ბანასთან თავდებოდა ქართველთა მეფის ხელთ მყოფი ტაოს ნაწილი "ამიერ-ტაო" და სამხრეთით იწყებოდა "იმიერ-ტაო", რომელიც ბერძენთა მეფემ ბასილმა დაიპყრა დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ.

რაკი ძველს ქართულს თხზულებებში ტაოს საზღვრები არსად არის აღნიშნული, ამიტომ ამ ქვეყნის აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის საზღვრები შეიძლება მხოლოდ დაახლოებით იყოს განმარტებული. ჩვენ ვიცით მაგ. რომ **"ფანასკერტი"** ტაოს ეკუთვნოდა; მტ˜ნე ქ˜ჲ, ამბობს: სულტანი ალფარსლანი შემოესია საქართველოს, სხვათა შორის «გარდავიდა... ტაოს ვიდრე ფანასკერტადმდე»-ო (*497, გვ. 268).

რაკი აღმოსავლეთით პატარა მანძილს შემდგომ კოლას მთები იწყებოდა, ალბათ ფანასკერტი ტაოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვართან ახლოს უნდა ყოფილიყო. ამავე ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის გამორკვევას მელქიზედეკ კათალიკოზის 1020 წ. სიგელის ცნობა გვიშველის; ქართლისა პატრიარქი ამბობს:

---

[143]. Constantine Porphyrogénète, De admin. imperio. cap. 46, ed. Bonnae გვ. 207-208.

[144] მლ˜ქზდკ კ˜ზს 1020 წ. სიგ., ქკ˜ბი, II, 33.

[145] ც˜ა გგ˜ლ ხანძ˜თლსჲ, ით; მტ˜ნე ქ˜ჲ *441, *497, გვ. 218 და 268, ბევრგან სხვაგანაც, სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 65, 67, სხვაგანაც; ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *512, გვ. 281 და სხვაგანაც.

«ტაოს ვიყიდე **სოფელი ზედკარეკი** ხოთითა აგარათა»-ო[146]. ქართულს ზედკარეკს ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ვგონებ "ზადგერეხი" უდრის. თუ ჩვენ არა ვცდებით, მაშინ აქ, ან ამის აღმოსავლეთით იქმნებოდა ტაოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი. სადამდის აღწევდა დასავლეთით არა ჩანს, მხოლოდ ცხადია, რომ "**იშხანი**" ტაოს ეკუთვნოდა; გიორგი მერჩული მოგვითხრობს: გრიგოლ ხანძთელი და მისი თანამგზავრი «მოიწივნეს ტაოს... მახლობელად იშხანთა, გამოეცხადა... იშხნისა პირველი დიდებულებაჲ»-ო (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, ით). ტაოს ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვარზე "ციხე თუხარისი"-ც (ჯუანშერი, ც˜ა ვხტ˜ნგ გრგ˜სრსა, *358, გვ. 156-157; მტ˜ნე ქ˜ჲ, *486, გვ. 260) იყო, რომელიც ჯუანშერის დროს ქართლის სამეფოს საზღვრად ითვლებოდა. თუხარისი ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე იყო. სომხური უსახელო გეოგრაფია მაგ. ამბობს: მდ. ჭოროხი თუხარისის ციხის მახლობლად კლარჯეთში შედისო[147]. ტაოს დასავლეთ-სამხრეთის საზღვრებში შედიოდა ვგონებ **"ოლთისნი"**-ც (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *512, გვ. 281). ტაოსვე ეკუთვნოდა ციხე "კალმახი" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *491, გვ. 264; *494, გვ. 267); სუმბატს ნათქვამი აქვს: «გურგენ კურაპალატი წარვიდა **ტაოთ კალმახით,** მამულით თჳსით, ცხორებად შავშეთს და არტანს»-ო (ც˜ა და უწ˜ყბა, 59).

ვახუშტსაც, როგორც ეტყობა, ტაოს საზღვრები მხოლოდ დაახლოებით სცოდნია; იგი ამბობს: «მზღვრის მას აღმოსავლით ჭოროხის მდინარე, სამჴრით-თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე, დასავლით თორთომის მთა. ჩრდილოთ – ჭოროხი და ისპირის მთა»-ო (გგრ˜ფა, 236).

შავშეთ-კლარჯეთსავით ტაოც VIII-IX ს. სრულებით აოხრებული, უშენი და უმკვიდრო იყო, ისე, რომ როდესაც ქართველი ბერები ამ ქვეყანაში თავიანთ ნაყოფიერს მოღვაწეობას შეუდგნენ, მაშინ "მსოფლიონი ერის კაცნი" იქ ჯერ ცოტანი იყვნენ; საზოგადოდ «კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშჳნებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ» (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, ია). იქ, სადაც ოდესღაც ცხოვრება სდუღდა და ხელოვნების დიდებული ნაშთები იყო აგებული, მაშინ დაბურული უგზო-უკვლო ტყე იყო ამტყდარი. გიორგი მერჩული მოგვითხრობს, რომ იშხანიც-კი, რომლისა «პირველი დიდებულებაჲ» თავის დროს აცვიფრებდა გრიგოლ ხანძთელსა, «მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი» და, როდესაც როგორც იყო მაინც გზას მიაგნეს, «ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ»-ო, დასძენს ისტორიკოსი (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსა, ით). ახალმა ქართლით გადმოსულმა მოსახლეობამ თავისი მხნეობითა და ნიჭით კვლავ ააყვავა ეს კუთხე, დიდებული ეკლესია-მონასტრებით მოჰფინა და ქართული მწერლობის ერთ გამოჩენილ სადგურთაგანად შეჰქმნა.

ტაოს სამხრეთ-დასავლეთით საზღვრავდა "**ბასიანი**", "**ქუეყანა ბასინისა**" (სუმბატის, ც˜ა და უწ˜ყბა, 68, 73; ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *543-*544, გვ. 311; ისტ˜რნი და აზ˜მნი, *682 და *702, გვ. 476 და 502). ბასიანის საზღვრების შესახებ ძველს ქართულს მწერლობაში თითქმის არაფერი მოიპოვება, ამიტომ მისი ნამდვილი მდებარეობის გარკვევა ძნელია. ვიცით მხოლოდ, რომ მისი სამხრეთ-დასავლეთი ისპირს აღწევდა; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: მეფემ «ლაშქრითა განვლო... ბასიანნი სპერამდინ» (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *543-*544, გვ. 310-311). თამარ მეფის

---

[146] ქრონიკები, II,33.

[147] Geograhie de Moïse de Corène, par. **A. Soukry,** გვ. 35.

ისტორიკოსსაც აქვს ერთი ცნობა, რომელშიაც მოხსენებულია ბასიანის ერთი ადგილი; სულტანი რუქნადინი «დაბანაკებული იყო ბასიანისსა ადგილსა **ბოლოტკედ** (ქ˜ცა ბოლოსტიკედ) წოდებულისა»-ო, ამბობს იგი (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *702, გვ. 502). ამ ადგილის სახელი, უფრო რომ მისი ბოლო, ცოტა დამახინჯებული უნდა იყოს გადამწერთაგან; პირველი ნაწილი არის "**ბოლ**" ანუ "**ბოლო**" და უდრის ბერძნულს "ბოლო"-ს[148], ხოლო სომხურს "ბოლ-ბერდ"-ს[149]; სომხური სახელის მეორე ნაწილი ციხესა ჰნიშნავს, პროკოპი კესარიელიც მას ციხედა სთვლის; ამიტომ შესაძლებელია ამ ადგილის ქართული სახელის მეორე ნაწილი "ტიკე" გადამწერისაგან დამახინჯებული "ციხე" იყვეს? მაშინ თავდაპირველად იქმნებოდა "ბოლოსციხე".

ვახუშტის სიტყვით «მზღვრის ამას ბასიანს: აღმოსავლით მთა ჩამოსული სამჴრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით – მთა ირიჯლუდევაბოინისა; ჩრდილოთ – მთა ირიჯლუ-ყალნუსი; სამჴრით – მთა დევაბოინიდამ წამოსული სომხითის მთა» (გგ˜რფა, 237).

ტაოს მოსაზღვრედ სამხრეთ-დასავლეთისაკენ ბასიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით "**თორთომი**"[150] იყო. მისი სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი იყო **"გზა ქართლისა"** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *398, გვ. 184), ანუ "**საქართველოს ყელისა"** (ვახუშტი, გგ˜რფა, 243), რომელსაც თურქებმა "გურჯიბოღაზი" უწოდეს. სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავართა სამრევლოების აღწერაში ნათქვამია: «გურჯი ბოღაზს აქეთი სულ თორთომი»-ო[151].

ვახუშტის სიტყვით «მზღვრის თორთომის ჴეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა (ეს მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველს ღეოღრაფიათა შინა მოსხის მთად, რომელნი არიან მესხის მთანი ირიჯლუსი, თორთომისა, შიფაქლუსი და დევაბოინისა და ისპირისა), თორთომისა და ტაოს შორისი, რომელი მდებარეობს სიგრძით სამჴრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის, გამოვალს ირიჯლუს მთიდამ და მიადგების ისპირის მთას... გარდავლენან გზანი ტაოს შინა; ხოლო სამჴრით მზღვრის მთა ირიჯლუ-დევაბოინისა... დასავლით მთა შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლის ყელს შორისი; რომელი მდებარეობს სამჴრიდამ ჩრდილოდ, გამოვალს დევაბოინის მთიდამ და მიადგების ისპირის მთას»-ო (გგ˜რფა, 242-243).

ტაოში იყო **"ტაოს კარი"**[152]**; ვაშლოვანი** (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *657-*658, გვ. 444); ციხე **ფანასკერტისა** (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 67): **ქორთა** (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, ჲ8), რომელიც იქნება ეხლანდელს **ქურთს** უდრის; **ს. ზედკარეკი**[153]**; ხეკრებულთა** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *497, გვ. 268); ქალაქი **ოლთისნი** (სუმბატი, ც˜ჲ და უწ˜ყბა, 68-69; ც˜ა მ˜სა დვ˜თსი, *512, *543-*544, გვ. 281 და 310-311; სხვაგანაც ხშირად); **ბანა** (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 59, 74; ც˜ა მ˜სა დთ˜ი, *512, გვ. 281) განთქმულია თავისი დიდებული რგვალი საყდრით, რომელიც ააშენა ადარნასემ დავით კურაპალატის ძემ და საეპისკოპოსო საჯდომად გახდა (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 59). ტაოშივე იყო განთქმული ციხე **კალმახი** (იქვე, 59), **თუხარისი** (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგს˜რსა, *358, გვ. 156), **იშხანი**

---

[148] პროკოპი კესარიელი, De bello pers, I,15.

[149] ლაზარე ფარპელი ----------?,**გვ.67**. ვენეტიკის გამ. 1891, გვ. 543.

[150] სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81 და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 76.

[151] **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81 და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზაურ., 76.

[152] ისტ˜რნი და აზ˜მნი, *657-*658, გვ. 444; სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი; **დ. ბაქრაძე, აპგა,** 81; **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 77.

[153] მლქ˜ზდკ კ˜ზს 1020 წ. სიგ., ქკ˜ბი, II, 33.

დიდებული საეპისკოპოსო ტაძრითურთ (ცˇჲ გგˇლ ხნძთˇლსჲ, ით, ლ), საუცხოო ძეგლი ხელოვნებისა **ოშკის** მონასტერი და განთქმული **ხახულის** მონასტერი (ცˇჲ გˇი მთწˇმდლსჲ, 288).

შავი ზღვის ნაპირი, ეხლანდელი ჭანეთი, ანუ ლაზისტანი, ეკუთვნოდა ქვეყანასა "**ქალდიაჲსა"** (ცˇჲ აბო ტფˇლსჲ, 19), მას უწოდებდნენ "ქუეყანასა ხალდიასა" (სუმბატის, ცˇა და უწˇყბა, 69); მისი მდებარეობა იმით შეიძლება გამოირკვეს, რომ «ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს» (ცˇჲ აბო ტფˇლსჲ, 19); ბაგრატონიანთა მემატიანე სუმბატიც ამბობს: ბასილ კეისარმა «იზამთრა ქუეყანასა ხალდიასა ქალაქსა ტრაპეზუნთას»-ო (ცˇა და უწˇყბა, 69). მერვე საუკუნეში ეს «ადგილები საბრძანებლად ქრისტწს მსახურისაჲ იონთა მეფისაჲ» იყო (ცˇჲ აბო ტფˇლსჲ, 19). ამ ქვეყანასვე ეკუთვნოდა "ადგილი **ხუფათ** წოდებული", რომელიც მთელ ქალდიასთან ერთად IX-XI ს. კვლავ ბერძენთა ქვეყანად ითვლებოდა (ცˇაჲ სრˇპნ ზრზმˇლსჲ, 42; სუმბატის ცˇა და უწˇყბა, 69). ქალდიას ჩრდილოეთით კლარჯეთი საზღვრავდა, ხოლო აღმოსავლეთით – ტაო, ბასიანი და სპერი.

გ ზ ე ბ ი

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღდგენისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, რასაკვირველია, მიმოსვლაცა და ურთიერთი გავლენაც გაცხოველდა. მიმოსვლისა და აღებმიცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთის მხრივ საქართველოს მრავალს კუთხეს ერთიერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე. ამიტომ ამ გზების მიმართულებისა და მდებარეობის ცოდნაა საჭირო. თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება.

რაკი საისტორიო გეოგრაფია უკვე შესწავლილი გვაქვს, გზების მდებარეობის გამორკვევა ძნელი არ იქნება. საქართველო შეერთებული იყო გზებით როგორც ჩრდილოეთთან, ისე, რასაკვირველია, უფრო სამხრეთთანაც; ამგვარადვე გზებს აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენაც ჰქონდათ მიმართულება.

ჩრდილოეთთან საქართველოს და კავკასიას აერთებდნენ «ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღუის კარი – **დარუბანდი** და არაგუის კარი, რომელ არს **დარიალანი**» (ლეონტი მროველი, ცˇა მფˇთა, *108, გვ. 8-9). დარიალანს რომელსაც აქ "**არაგუის კარი"** ეწოდება, სხვა სახელიცა ჰქონია. იოანე საბანის ძე ამბობს: ნერსე ქართლისა ერისთავმა «განვლო კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის»-ო (ცˇჲ აბო ტფˇილსჲ, 17). არაგვისა და თერგის ხეობებზე მიმავალს გზას ეწოდებოდა "**გზა დარიელისაჲ"** (მტˇნე ქˇჲ, *439, გვ. 216) ანუ უფრო სწორად "გზაჲ დარიალანისაჲ". არაგვის გზას დასაწყისში ეწოდებოდა "**გზა წილკნისა"** (მტˇნე ქˇჲ, *502-*503, გვ. 273), რომელშიაც მგზავრი შედიოდა მას შემდგომ, როდესაც გასცილდებოდა "იწროსა ღართისასა" (იქვე); არსებობდა "**წილკნის კარი"**-ც[154]. არგვის გზით მიმავალს შეეძლო "ნარღუევთა გზით" (მტˇნე ქˇჲ, *502-*503, გვ. 273) ერწოში გადასულიყო; გაქცეულმა

[154] VII საუკ. უსახ. სომხ. გეოგრ., **პატკანოვის** გამ., 16.

ფალდონმა მაგ. «წარვლო გზა წილკნისა და მიეხვია პირსა არაგვისასა და გაჰვდა ნარღუევთა გზით ერწოდ» (იქვე).

ამ არაგვის, ანუ ოსეთის კარს გარდა არსებობდა კიდევ სხვა "გზანი მიმყვანებელნი" (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზ˜მლსჲ, 12) საქართველოთგან იმიერკავკასიაში. სახელდობრ, კარნი "**ორნი დვალეთს** და ერთი **პარჭუანს დორძოკეთისასა**" (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, Опис., II, 724).

უკვე სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ არაგვის კარს ბოლოში ციხე უდარაჯებდა[155]. ჩვენი მატიანე "მქ˜ცჲ ქ˜ჲ," მოგვითხრობს, რომ სპარსელებმა აღმოსავლეთს საქართველოში მეფობა მოსპეს თუ არა, მაშინვე ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზების გამაგრებას შეუდგნენო: «კარნი ოსეთისანი აიგნეს» და სხვაგანაც დვალეთს და დურძუკეთშიაო (Опис., II, 724); ამასთანავე, რომ სპარსეთი უფრო უზრუნველი ყოფილიყო «იგი მთეულნი **გომარდად** დაადგინეს» (მქ˜ცჲ ქ˜ჲ, იქვე). გომარდი სპარსულ-ფაჰლაური სიტყვაა და ნიშნავს დადგენილს მოხელეს, მისანდობელს[156]; ისინი, მაშასადამე, სპარსეთის ერთგული მცველები იქმნებოდნენ. როდესაც არაბებმა სპარსეთი გაანადგურეს, რასაკვირველია, სპარსელების ხსენება არაგვისა, ანუ ოვსეთის და დურძუკეთის კარებთან მოისპო. ფეხი რომ მტკიცედ მოიკიდეს, არაბები ცდილობდნენ დარიალანიც ხელში ჩაეგდოთ და იქ თავისი მეციხოვნენი დაეყენებინათ; რამდენჯერმე დაიპყრეს კიდეც, მაგრამ ხანგრძლივ იქ მაინც ვერ გამაგრდნენ. როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, დარიალანს გარდა კიდევ არსებობდა ორი კარი დვალეთს; ამ კარებისადმი მიმყვანებელს გზას ეწოდებოდა "**გზაჲ დუალეთისაჲ**". ლეონტი მროველი მაგ. ამბობს: «გარდამოვიდეს ოვსნი დიდნი სპანი გზასა დუალეთისას»-ო (ც˜ა მფ˜თა, *164, გვ. 40), ან კიდევ ნათქვამია, მირიანი ოსეთით «მოიწია ხაზართადმდე, რამეთუ გარდამოვლო გზა დუალეთისა»-ო (იქვე, *185, გვ. 52).

ოსებს საქართველოში დასავლეთ-ჩრდილოეთითაც შეეძლოთ შემოსვლა, ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ გადმოელახათ "**გზა თაკუერისა**" (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *168, გვ. 42). "მქ˜ცჲ ქ˜ჲ,"-ს მოხსენებული აქვს ამას გარდა "**ხაზარეთისა კარნი**"; ჰერაკლე კეისრის კავკასიაში ძლევამოსილ ლაშქრობას შემდგომ «სპარსთა ხაზარეთისა კარნი შე˜ქმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს»-ო (Опис., II, 724). რაკი ეს სახელი იმავ თხზულებაშია მოხსენებული, რომელშიაც მოიპოვება ცნობები ოვსეთისა და დვალეთის კარების შესახებ, ალბათ, იგი სხვა რომელსამე კარს უნდა რქმეოდა, მაგრამ არა ჩანს სახელდობრ რომელს, დარუბანდის კარს თუ კიდევ სხვას?

ჩრდილოეთითგან საქართველოში მგზავრს გადმოიყვანდა აგრეთვე "**გზა ლეკეთისა**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *439, გვ. 216). რომელიც უეჭველია დაღესტანზე უნდა გადმოსულიყო.

ჩრდილოეთ კავკასიითგან იყო პირდაპირი გზა აფხაზეთში, რომელსაც რქმევია "**გზაჲ აფხაზეთისაჲ**" ჯუანშერი მაგ. ამბობს, რომ ვახტანგ გურგასარი ოვსეთით «წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *324, გვ. 135); ან კიდევ "მტ˜ნე ქ˜ჲ" მოგვითრობს: სდარბაზოდ მომავალი ოვსთა მეფე «წარმოემართა, პოვა გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს»-ო (*506, გვ. 276). იოანე საბანის ძის თხზულებითგანა ჩანს, რომ იმიერ-კავკასიითგან, ხაზარეთითგან, მერვე საუკუნეშიც

[155] იხ. ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 58.

[156] Hübschmann, Armenische Grammatik, [Leipzig, 1897], გვ. 130.

არსებობდა გზა აფხაზეთში, მაგრამ ძალიან გრძელი გზა ყოფილა, ისე რომ მოგზაურნი თურმე «ვიდოდეს დღჱ და ღამჱ სამ თთჳსა (?) გზასა»; მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც უნდა გადაელახა ადამიანს, ყოფილა «ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ», მაგრამ იქ სრული მშვიდობიანობა სუფევდა, და უცხონიც «უშიშად ვიდოდეს» (ც˜ჲ აბო ტფ˜ლსჲ, 18) ხოლმე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმავალი უნდა დასდგომოდა ”**გზასა ქართლისასა**” (ჯუანშერი, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *398, გვ. 184); ეს სახელი ჰქონდა ამ გზას მარტო ქართულად-კი არა, არამედ სომხურადაც[157] და აწინდლამდისაც შენახულია მხოლოდ თურქულად ნათარგმნი ”**გურჯი ბოღაზ**”-ის სახით; სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხაში ქართული სახელის მაგიერ უკვე ეს თურქული თარგმანია ნახმარი[158].

”გზასა ქართლისასა”-ს რომ გაივლიდა მოგზაური მიაღწევდა ”**გზასა კლარჯეთისასა**” (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜თა, *147, გვ. 30); აქ კლარჯეთში არტანუჯსა იყო განთქმული სააღებმიცემო ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ მრავალი სოვდაგრები სხვადასხვა მახლობელ და შორეულ ქვეყნებითგან (იხ. თავი I). ხოლო შავშეთ-კლარჯეთითგან აღმოსავლეთისაკენ ჯავახეთში გადასვლა შეიძლებოდა **არსიანის კარით,** ეს ერთადერთი ხეირიანი გზა იყო. ამიტომაც არის, რომ როდესაც «გარდავლეს მთა იგი არსიან წოდებული» მაშინვე «მივიდეს ჴევსა ყველისასა» (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზ˜მლსჲ, 32). ეს ჴევი არსიანის კარის პირდაპირი გაგრძელება იყო. ჯავახეთითგან ადამიანს შეეძლო წასულიყო აღმოსავლეთისაკენ და მაშინ ქართლს მიადგებოდა, შეეძლო ჩრდილოეთისაკენაც გამგზავრებულიყო სამცხეში, ხოლო იქითგან ლიხთიმერეთში მისულიყო.

საზოგადოდ, საქართველოს ჩრდილოეთს ნაწილში ლიხთიმერეთსა და აფხაზეთში სამხრეთითგან გადასვლა თითქმის მხოლოდ სამცხის გზით შეიძლებოდა; ეს იყო ერთადერთი, თუმცა ძნელი, მაგრამ მაინც მოხერხებული გზა. ასეც მოგზაურობდნენ ძველად ყველანი; მაგ. ნასრ «მოვიდა აფხაზეთს... მუნით გარდამოვიდა სამცხეს» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58).

ლიხთიმერეთისა და მესხეთის შემაერთებელს გზას ეწოდებოდა ”**გზა რკინის-ჯუარისა**”; როდესაც სულამ, კალმახის ერისთავმა, და გრიგოლ, არტანუჯის ერისთავმა, საჩქაროდ მოუხმეს მეფე ბაგრატს, მან აფხაზეთით მომავალმა «გარდმოვლო გზა რკინის-ჯუარისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *491, გვ. 263); განდევნილი გიორგი რუსი რომ კვლავ შემოიჭრა საქართველოში, მან და მისმა მომხრეებმაც «გარდაიარეს რკინის-ჯუარი და ჩავიდეს ციხის-ჯუარს, დაწვეს ქალაქი ოძრჴე» (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *651-*652, გვ. 437).

მესხეთის სამხრეთ-დასავლეთითგან აღმოსავლეთ საქართველოში მოკლე გზითაც შეიძლებოდა გადასვლა; ტაოთგან პირდაპირ კახეთში ჩადიოდნენ ისე, რომ ზემო ქართლს აუხვევდნენ ხოლმე; მაგ. დავით კურაპალატი ტაოთ «მოვიდა თრიალეთს შთასლვად კახეთად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *462, გვ. 238); მაშასადამე ტაოთგან კახეთში გზა თრიალეთზე მიდიოდა და, რასაკვირველია, ჯავახეთზეც. უფრო ზედმიწევნითი ცნობებიც მოიპოვება ამ გზის შესახებ; ერთხელ, როდესაც ბაგრატ კურაპალატი იდგა «დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა... წარემართა... გაიარა **თრიალეთი**, განვლო **ჴიდი მცხეთისა**... დადგა თიანეთს და იწყო

[157] **ნ.მარი,** Пленение Иерусалима, ТР, წ. IX, გვ. 58.

[158] **დ. ბაქრაძე, АПГА, 81** და **ე. თაყაიშვილი,** არხ. მოგზ., 76.

შემუსრა კახეთისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *468, გვ. 242). სად იყო ნიშანდობლივ დლივი არა ჩანს, მხოლოდ ასოღიკის სიტყვით იგი ჯავახეთის სოფელი ყოფილა[159]. ამგვარად, ვისაც ტაოთგან კახეთში ჩასვლა სურდა, უნდა ჯავახეთში გადმოსულიყო, იქითგან თრიალეთს მივიდოდა, გაივლიდა ამ ქვეყანას, მცხეთას ჩავიდოდა, მცხეთის ჴიდს გაივლიდა და კახეთის სამეფოს საზღვრებს მიადგებოდა, აქეთგან თიანეთში შეიძლებოდა მისვლა.

რასაკვირველია, ვინც ტაოთგან ჯავახეთში მოკლე გზით მოდიოდა, იმას უნდა უეჭველად კოლა-არტაანი გადაელახა და სწორედ ასეც მოიქცა ბასილი კეისარი, რომელიც ოლთისითგან ჯერ "მოვიდა არტანს", მერე ჯავახეთით თრიალეთს გადავიდა (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, *584-585, გვ. 355).

არტაანითგან სამცხეშიც შეიძლებოდა მისვლა "ნიალით კერძო" (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, *584-*585, გვ. 355), მაშასადამე, მგზავრს ხინგრის წყალი უნდა გაევლო.

ვისაც დასავლეთ საქართველოთგან აღმოსავლეთში მოკლე გზით და პირდაპირა ჰსურდა გადმოსვლა, მას უნდა გადმოევლო ლიხის მთა; ასე მოიქცა მაგ. გიორგი რუსი, რომელიც თავის მომხრეებითურთ «გარდმოვიდეს **მთათა ლიხისათა**» (ისტ˜რნი და აზ˜მნი, *651-652, გვ. 437); ზამთარში აქ თუმცა ხშირად დიდი თოვლი იცის ხოლმე, მაგრამ თუ ადამიანს ეჩქარებოდა, ამ გზას მაინც ვერ აუქცევდა; როდესაც დავით აღმაშენებელი «წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა», მან «გარდაათხრევინა ლიხნი» და მოვიდა ქართლს, სადაც მას «დახუდა მზად სპა მისი ქართლისა» (ც˜ა მ˜სა დთ˜სი, *538, გვ. 305). ამ გზას თურმე რქმევია "**გზა დასავალისაჲ**"; ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ბუღა თურქისაგან ძლეული თევდოსი აფხაზთა მეფე ქართლითგან «წარვიდა მეოტი გზასა დასავლისასა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443-*444, გვ. 221).

სომხეთითგან საქართველოში გზა სამშვილდეზე იდო, მაგრამ ქართულს იმდროინდელს წყაროებში ამ გზის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. აღმოსავლეთს კავკასიასთან საქართველოს აერთებდა "**გზა ჰრანისა**" (ჯუანშერი ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *373, გვ. 167).

საბერძნეთითგან საქართველოში მოსვლა შეიძლებოდა მაშინაც ან ზღვით, ან ხმელეთით; ხმელეთის გზა ბასიანზე და ტაოსაკენ მოდიოდა; მოგზაურობდნენ იმ ქართლის გზით, რომელიც ზემოთ იყო აწერილი. გიორგი მთაწმიდელის მოწაფე მოგვითხრობს: «გამოვედით ანტიოქიით და მოვიწიეთ ვიდრე დიდად მდინარედ ევფრატად» (ც˜ა გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 319), იქითგან უნდა მოსულიყვნენ საქართველოს საზღვრამდე. გრიგოლ ხანძთელიც საბერძნეთითგან კლარჯეთში ზღვით-კი არა, ხმელეთით მოსულა და ტაოზე გამოუვლია (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, ით).

ზღვით მოგზაურობა უფრო ძნელი იყო ძველს დროში. თუ მგზავრი მცირე აზიითგან მოდიოდა, მაშინ ირჩევდა, ალბათ, იმ გზას, რომელიც აწერილი აქვს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების შემდგენელს. იგი მოგვითხრობს: რაკი ხმელეთით თურქების გამო მოგზაურობა საშიში იყო, ზღვის გზას დავადექით და «მოვიწიენით **სამისონს,** ქალაქსა ზღვის-კიდისასა, და მუნ განვყიდენით საჴედარნი ჩუენნი და ესრეთ **ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა,** კეთილითა და ჰამოთა **ნიავითა მივიწიენით ფოთს და მიერ საჴედრითა ქუთათისს**»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 319).

---

[159] -სომხური----------, ? **გვ. 252**.

მაშასადამე, ფოთი მაშინ, საქართველოს მახლობელი ნავთსადგური ყოფილა. ხოლო იქითგან ქუთაისამდე საჴედრით უმოგზაურნიათ. სამისონითგან ფოთში ნავით წასვლა ეხლაც ადვილი საქმე არ არის და მაშინ ხომ, ალბათ, მხოლოდ როცა დარი ხელს უწყობდა ადამიანს შეეძლო გაეგზედნა ზღვით მგზავრობა. მაშინ აფხაზეთში ზღვით კონსტანტინეპოლითგან პირდაპირაც მიდიოდნენ თურმე; მაგ. ბაგრატს აფხაზთა მეფის ძეს კონსტანტინეპოლში «მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი და გამოგზავნა ზღვით და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 225).

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

არაბების შემოსევა და მათი ბატონობა
პირველ ორ საუკუნეში

პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წ. ქ. შ. მას შემდგომ, როდესაც ადარბაგანი უკვე საბოლოოდ დაპყრობილი ჰქონდათ. ამირამ რამდენიმე სარდალი შეჰყარა და თითოეული ცალკე ჯარითურთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ქვეყნის დასაპყრობად; საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამა გამოისტუმრა, რომელიც საჩქაროდ თბილისისაკენ გამოემართა[160]. ამ ჰაბიბს, ანუ აბიბოსს იხსენიებს ბიზანტიელი მემატიანე თეოფანეც.

645 წ. ქ. შ. არაბთა სარდალმა აბიბოსმა სომხითში გაილაშქრა. შეეყარა ბიზანტიელს სარდალს მავრიანოსს და კავკასიის უღელტეხილამდე სდია, ხოლო ქვეყანა დაიპყრაო[161].

მაშასადამე, არაბთა ლაშქრობა საქართველოში 643-645 წლებში უნდა მომხდარიყო.

საბედნიეროდ არაბთა ისტორიკოსებს, **ბელაძორსა** და **ტაბარის,** თვით ის ბრძანება, რომელიც გაუცია არაბთა სარდალს, როდესაც იგი საქართველოში შემოსულა, და არაბ-ქართველთა ხელშეკრულებაც მორჩილების შესახებ შენახული აქვთ. ერთისაცა და მეორის თხზულებაში საბუთები დამახინჯებულად არის შენახული და ზოგიერთში ერთიერთმანერთისაგანაც განსხვავდებიან, მაგრამ საერთო აზრის გაგება მაინც ადვილად შეიძლება. მოვიყვანთ ორთავ ავტორის ცნობებს. ბელაძორის სიტყვით არაბთა სარდალს მიუწერია: ”ჩემთან და ჩემს გვერდით მყოფ კეთილმორწმუნეებთან თქვენი მოციქული მოვიდა და მოგვახსენა, რომ ჩვენ სწორედ ის ერი ვართ, რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურაო. ჭეშმარიტად, ესე იყო ნება მისი, მადლობა ღმერთსა, - ღმერთმა დალოცოს მუჰამმედ, მოციქული თვისი და ყოველთა ქმნილებათაგან მისთა ურჩეულესი! ნეტარ არს იგი! – მერე, გვიამბეთ, რომ თქვენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას გვთხოვთ. თქვენი საჩუქრები დავთვალე და თქვენ ხარაჯად ჩაგითვალეთ გიგზავნით ხელშეკრულებას, რომელშიაც პორობები ჩამოთვლილი მაქვს; თუ მიიღებთ იმას და აასრულებთ ხომ კარგი, თუ არა და ღვთისა და მის მოციქულის სახელით ომი გამოგეცხადოთ. ნეტარ არიან რომელნი გზასა მართალთასა ადგიან”[162]. იგივე საბუთი ტაბარის სხვა სახით აქვს შენახული: ”სახელითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისაჲთა. ჰაბიბისაგან ძისაგან მასლამაჲსსა ტფილისის მცხოვრებთა მიმართ ქართლში (ჯურზან) სანახებსა ჰარმაზისისა (ჰარმაზ[163]), მშვიდობა თქვენდა! დიდებასა აღვავლენ ღმრთისა მიმართ, რომლის გარდა სხვა ღმერთი არა არს! მოვიდა ჩვენთან თქვენი მოციქული (სახელი დამახინჯებულია), თქვენი ნალაპარაკევი მოგვახსენა, მოგვართვა თქვენი ძღვენი და გვიამბო, გეთქვათ: «თქვენ ერი არ ხართო». მართალია, ასე ვიყავით ჩვენ ვიდრე

---

[160] **M. Ghazarian,** Armenien unter der arabischen Herrschaft, [Marburg, 1903]17.

[161] Theophanis Chronographia, I, 345.

[162] **M. Ghazarian,** Armenien. 22-23.

[163] იხ. M. C. D'Ohsson. Des peuples du Caucase, Paris, 1828, გვ. 168, სადაც უკვე ეს საგეგრაფიო სახელი სწორად არის წაკითხული და განმარტებული სწორად არის წაკითხული და განმარტებული და **J. Marquart** Streifzüge, გვ.186, შენ. 3.

მაღალმა და ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ხელითა მუჰამმედისათა, - აკურთხოს და ულხინოს მას ღმერთმან, - გზად მართლისად მიგვიყვანა და უძლურებისა, სიმდაბლისა და უვიცობისაგან (ამოყვანილნი) ისლამით ძლიერ გვყვნა. მერე – თქვენმა მოციქულმა სთქვა, რომ ჩვენგან მშვიდობიანობას ითხოვთ. არც მე, არც ჩემთან მყოფ კეთილმორწმუნეთ ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს რა; გიგზავნით აბდურაჰმანს ჯაზისძეს სულამიელს, ჩვენს საუკეთესო სჯულის-მეცნიერთა და კურანის მკითხველთაგანს და თან ვატან ჩემს წიგნს თქვენის უზრუნველყოფისა და მფარველობის შესახებ. თუ მოინდომებთ, ის მოგცემთ ამ წიგნს, თუ არა და, იგი პირდაპირ და პატიოსნებით ომს გამოგიცხადებთ, რამეთუ ურწმუნონი არა სთნავს ღმერთსა!" (იქვე, 25-26). მეორე ამ საბუთთაგანი უფრო წესიერად არის დაწერილი და აქ პირვანდელი, არაბთა ეპისტოლეების ჩვეულებრივი სახე უკეთ უნდა იყოს შენახული; თუმცა არც პირველშია რაიმე ეჭვის აღმძვრელი, პირველ საბუთში რომ მოხსენებულია, ქართველმა მოციქულმა სთქვა: თქვენ, არაბები ის ერი ხართ, რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურაო, გასაოცარი არ არის და შესაძლებელია ქართველთა დესპანს მართლაც ეთქვას ამის მზგავსი რამ; იმიტომ, რომ, როგორც ჯუანშერის თხზულებითგანა ჩანს, ამგვარი აზრი ხალხში ტრიალებდა თურმე; ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, ვითომც აღმოსავლეთში მყოფ ჰერაკლე კეისრისათვის რომელსაღაც ღვთისნიერს მონაზონს ეთქვას: «ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *417, გვ. 198).

ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს სიმკაცრითა და სარწმუნოებრივ მძულვარებით მობეზრებული და უკმაყოფილონი აღმოსავლეთის ბევრი ერები არაბებს თავდაპირველად სიხარულით ეგებებოდნენ და ბერძენთა მონობისაგან განმათავისუფლებლადა სთვლიდნენ[164]. ამგვარი შეხედულების დამყარებას ხელს უწყობდა და ამტკიცებდა, რასაკვირველია, ის უტყუარი გარემოება, რომ თავდაპირველად არაბები სხვა ხალხთა სარწმუნოებას (კერპთაყვანისმცემელთა გარდა), მეტადრე-კი ქრისტიანობას, თავისუფლებას ანიჭებდნენ და ლმობიერად ეპყრობოდნენ, ოღონდ-კი დაწესებული გადასახადი სვინდისიერად გადაეხადათ[165]. არც გასაკვირველია, რომ ამგვარი სიძულვილის ნიადაგზე აღმოცენებული იყო იმნაირი აზრი, რაც გამოუთქვამს არაბთა სარდლის წინაშე ქართველთა მოციქულს და რანაირიც მოყვანილი აქვს ჩვენს მემატიანეს **ჯუანშერს.**

არაბთა სარდლის ზემომოყვანილი საბუთი ამტკიცებს, რომ, როდესაც ძლევამოსილი მტერი საქართველოს საზღვრებს მოსდგომია, ქართველებს გადაუწყვეტიათ, რომ ბრძოლით ვერას გახდებოდნენ, და ისევ მშვიდობიანი მოლაპარაკება და ზავი უმჯობინებიათ. **ტაბარის** მიერ შენახულს საბუთში ქართველთა მოციქული ქ. თბილისის მცხოვრებთა წარმომადგენლად არის დასახელებული, მაგრამ ამასთანავე ნათქვამია, ვითომც ეს ქალაქი არმაზის სანახებში ყოფილიყოს. თვით ხელშეკრულებაში-კი, რომლის თარგმანი მთლად ქვემოთ იქნება მოყვანილი, იგივე თბილისი მანგლისის სანახებშია მოხსენებული. ვგონებ ორსავ შემთხვევაში შეცდომა უნდა იყოს და თავდაპირველად საბუთებში შესაძლებელია ნათქვამი ყოფილიყოს, რომ მოციქული მარტო ქ. თბილისის მცხოვრებთა წარმომადგენელი კი არ იყო, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებისაც,

---

[164] **P. J. Pargoire**, L'eglise Byzantine de 527 ъ 847, 2-me éd., [1905], გვ.. 147-149.

[165] Prof. **J.Goldziher,** Vorlesungen über den Islam, Heidelberg, 1910, გვ 38.

მაგ., მანგლისისა, არმაზისა და სხვათა. შემდეგ რაკი გადამწერმა არაბებმა ამ სახელების მნიშვნელობა არ იცოდნენ, ალბათ, თვით სახელებიც დამახინჯდა; ზოგი გამოტოვებულ იქმნა და ზოგი აირია; ამიტომ არის, ალბათ, რომ თბილისი ხან მანგლისის სანახებშია, ხან არმაზისაში, ხან ორთავეში.

ჩვენამდის მოაღწია თვით იმ ხელშეკრულებამაც, რომელზედაც არაბები და ქართველები შეთანხმებულან. **ბელაძორის** სიტყვით იგი ასე ყოფილა დაწერილი:

"სახელითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისაჲთა.

ესე არს წიგნი ჰაბიბისა მასლამას ძისაჲ მცხოვრებთა მიმართ ქალაქისა თბილისისათა სანახებსა მანგლისისასა ქართლში (ჯურზან), არმაზში (დამახინჯებულია, ალბათ იქნებოდა "მცხოვრებთა მიმართ ქ. თფილისისათა და სანახებისა მანგლისისათა და არმაზისათა ქართლში") სიცოცხლისა მათისა და ეკლესიებისა მათისა და მონასტრებისა მათისა და სამლოცველოებისა მათისა და სარწმუნოებისა მათისა უვნებლობისათვის, მორჩილებისა მათისა და ხარაჯისა მათისა სანუქფოდ: რომელ არს თვითოსა სახლსა ზედა დრაჰკანი (დინარი) ერთი. თქვენ უფლება არა გაქვთ რამდენიმე სახლობა შეაერთოთ, რომ ამ გზით ხარაჯა შეიმციროთ; მაგრამ არც ჩვენა გვაქვს უფლება ერთი სახლობა რამდენადმე გავყოთ, რომ ამ გვარად ხარაჯა გავიმრავლოთ. თქვენ მოვალენი ხართ რჩევით, თუ თანადგომით შეძლებისდა გვარად მოგვეშველოთ ღმრთისა და მის მოციქულის, - სიწმიდე და წყალობა ღმრთისა იყავნ მასთან, - მტრების წინააღმდეგ (საბრძოლველად). ამას გარდა თქვენ მოვალენი ხართ გაჭირვებულს მუსლიმანს ერთის ღამით თავშესაფარი მისცეთ და გაუმასპინძლდეთ ისეთის საჭმელებით, რომელიც (საღმრთო) წერილის მქონე ერებს (ე.ი. ქრისტიანებსა და ებრაელთ) და ჩვენც გვეჭმევა. თუ ვინიცობაა რომელიმე მუსლიმანი თქვენში (თავის რაზმს) ჩამორჩა, ჩქვენ მოვალენი ხართ მიაცილოთ იგი კეთილმორწმუნეთა მახლობელ რაზმის (სადგურამდის). თუ რომ მოიქცევით (ისლამისადმი) და ლოცვას აასრულებთ, თქვენ ჩვენი სარწმუნოებისა-მიერ ძმები იქმნებით, თუ არა და თქვენ მოვალენი ხართ ხარაჯა გადაიხადოთ ხოლმე. მაგრამ თუ მუსლიმანებს რაჲმე დააბრკოლებს, რომ თქვენზე ზრუნავდნენ, თქვენი მტერი-კი თქვენ გმძლავრობდეს, თქვენ ეს არ გეკითხოსთ და ამით თქვენი ხელშეკრულება არ დაირღვეს. ეს გეკუთვნით თქვენ და გაწევთ ვალად. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ანგელოზნი მისნი"[166].

ტაბარის მიერ შენახული საბუთი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იქ, სადაც თავდება წინადადება ისლამისადმი მიქცევის შესახებ, დამატებულია კიდევ მხოლოდ შემდეგი სიტყვები: "ვინც (უარყოფს მოქცევის შემდგომ) ღმერთსა, მოციქულსა მისსა, წერილსა მისსა და კრებულსა მისსა, მას ჩვენ პირდაპირ და პატიოსნად გამოვუცხადებთ ომსა, არიან ამისი მოწმენი აბდურაჰმან იბნ ხალიდ, ჰაჯაჯ და გიაზ; დაუწერია ესე რაბაჰს. ღმერთი იყოს ამის მოწამე, ანგელოზნი მისნი და მორწმუნენი; კმა არს მოწმობა ღმრთისა" (იქვე, 26).

ბელაძორის სიტყვით, იმავ პირობით, რომელიც ზემოაღნიშნულ საბუთებშია მოყვანილი, დაჰმორჩილებიან არაბებს საქართველოს სხვა კუთხეებიც: ხერკი, ქსოვრისი, ქსანი[167], ხუნანი, სამცხე, გარდაბანი, კსტსჯი (?), შავშეთი, ბაზალეთი,

---

[166] **M. Ghazarian,** Armenien, 23-24.

[167] დ'ოსონი და ღაზარიანი ამ სახელებს სხვანაირად კითხულობენ: ჯავახეთი, ხევსურეთი, კისალ, მაგრამ მგონია სცდებიან, მაინც-და-მაინც შეუძლებელია ხევსურეთი დაეპყრათ არაბებს. არაბულად ეს

კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, არტაჰანი, დარიალანი, წანარნი და დიდოელნი[168]. როგორც ამ ნუსხითგანა ჩანს, არაბებს დაუპყრიათ მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო.

აღმოსავლეთს საქართველოში არაბები ბატონობდნენ 657 წ-დე ქ. შ., როდესაც არაბთა შორის დაიწყო შინაური არეულობა და ბრძოლა, რომელიც გათავდა მხოლოდ 661 წ., მას შემდგომ, როცა მუავიამ მოჰკლა ხალიფა და თვით დაჯდა მაჰმადიანთა ერთადერთ მბრძანებლად. ამ დროს განმავლობაში არაბებს დაპყრობილი ქვეყნებისათვის არა სცალოდათ. თვით მუავია იძულებული იყო ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე III დაჰზავებოდა და ხარკიც-კი მიეცა, რომ თავისი თავი ბერძენთა მტრობისაგან უზრუნველ ეყო და გულდამშვიდებული, მთელის თავისის ძალღონით თავის მოწინააღმდეგეს შეჰბმოდა. ამ დროს აღმოსვლეთი საქართველოც უეჭველია არაბთა ბატონობას თავს დააღწევდა და ცოტადაც არის თავისუფლად ამოისუნთქავდა.

მუავიამ რომ ძალა მოიკრიბა, 672 წ. კვლავ განაახლა ბრძოლა ბიზანტიის კეისართან და 677 წლამდე მედგრად ეომებოდა მას; მაგრამ მაინც ვერას გახდა და იძულებული იყო ზავი შეეკრა, იმიტომ რომ კეისარმა ლიბანითგან მარდაიტების მერძოლი ტომი მიუსია ხალიფას სამფლობელოს და არაბ-მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯით სიცოცხლე გაუმწარა. ხელშეკრულება **თეოფანეს** სიტყვით 678 წ. იყო დადებული და შემდეგს პირობებს შეიცავდა: 1) კეისარი მარდაიტების წაქეზებას და არაბებზე მისევას თავს დაანებებდა, ხოლო არაბები ბიზანტიელებს ფულად, ცხენად და ყმებად საზღაურს მისცემდნენ; 2) კვიპრი, სომხითი და **იბერია მათ საერთოდ თანასწორად ექმნებოდათ**[169]. ეს ხელშეკრულობა ცხადად გვიჩვენებს, რომ არაბების ბატონობა აღმოსავლეთს საქართველოში ამ დროს შერყეული ყოფილა და ბიზანტია მათ ისევ შესცილებია.

685 წ. ქ. შ. კავკასიას, **ასოღიკისა და ღევონდის** სიტყვით, მოულოდნელად დიდი უბედურება ეწია: ჩრდილოეთით ხაზართა ძლიერი ლაშქარი შემოესია საქართველოს, ალბანეთსა და სომხეთს. ბრძოლაში ქართველთა და სომეხთა ერისთავნი ამოხოცეს და ქვეყანა ააოხრეს[170].

ბიზანტიელებსა და არაბებს ისეთი მეტოქეობა ჰქონდათ, რომ ვერც 678 წ. ხელშეკრულებას ჩამოუგდია არაბთათვის სასურველი მშვიდობიანობა; მემატიანე **თეოფანეს** სიტყვით, კეისარს იუსტინიანე მცირეს (II) თავისი სარდალი ლეონტი ჯარითურთ სომხეთში გამოუგზავნია, დაუხოცინებია იქ მყოფი არაბები, ხოლო სომხეთი, იბერია და ალბანია აგრეთვე სხვა ქვეყნებიც კეისრისათვის

სახელები მერმინდელ გადამწერთაგან დამახინჯებულია და ასე სწერია: 1) (**არაბული**) აგრეთვე (**არაბული**) იწერება. უნდა წერებულიყო თავდაპირველად (**არაბულად**) რაც უდრის "ხერკ"-ს, მცხეთის მახლობლად მდებარე ადგილს. 2) (**არაბული**) თავდაპირველად ეწერებოდა (**არაბული**) რაც უდრის "ქსოვრის"*-ს 3) (**არაბული**) თავდაპირველად იქმნებოდა(**არაბული**) ანუ "ქსანი" და ეს გზა ხერკსა, ქსოვრისზე და ქსანზე უფრო ბუნებრივია აღმოსავლეთით მცხეთის დასავლეთისაკნნ მიმავალ არაბთა ლაშქრობისათვის.

[168] **M. C. D'Ohsson,** Des peuples du Caucase, გვ. 53-54 და **M. Ghazarian,** Armenien, გვ. 27 და მეტადრე, 80-82.

[169] Chronographia I, 363.

[170] **სომხური** (პეტერბურგის გამ 1885 წ., 100). **სომხური** პეტერბურგი, 1887. გვ. 15-16).

დაუმორჩილებია[171.] ასოღიკის სიტყვით იუსტინიანე II ლაშქრობა კავკასიაში მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონსა ყოფილა[172,] ესე იგი 688 – 689 წ.

მართლაც, როგორც ჩანს, აღმოსავლეთს საქართველოს მაშინ არაბთა ბატონობისაგან ცოტა მოუსვენია. ამ მხრივ ყურადღების ღირსია იოანე კათალიკოზის ცნობა, რომ **ნერსემ**, **ქართლის ერისთავმა** (-------?), არაბთა სარდალი ვინმე ბარაბა დაამარცხა და განდევნაო[173.] ეს ნერსე ქართლის ერისთავი მოხსენებულია აგრეთვე **სოკრატეს** საეკლესიო ისტორიის სომხური თარგმანის წინასიტყვაობაში და მას უცხოვრია მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში[174.]

მაგრამ მაინცა-და-მაინც როგორც ჩანს, არც თუ იმიერი ქართველები ყოფილან ბერძნების მადლიერნი. მემატიანე **თეოფანე** მოგვითხრობს მაგ., რომ 689 წელს **ლაზიკის პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე** ასჯანყებია ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებია[175.]

ასეთი ხელსაყრელი გარემოებისდა მიუხედავად თვით არაბები ჰგრძნობდნენ, რომ თუ ჩრდილოეთის მცხოვრებთ, იმიერ-კავკასიის მკვიდრთ, ხაზარებს, როგორმე არ დაიმორჩილებდნენ, მათი მდგომარეობა კავკასიაში არას დროს უზრუნველყოფილი არ იქმნებოდა: იმათითაც ჰქონდათ ხშირად ქართველებს ზურგი გამაგრებული; ამასთანავე, მას შემდგომ, რაც არაბთა პირველი ლაშქრობა არაბების დამარცხებით დამთავრდა, გათამამებული ხაზარნი არაბთათვის მუდმივი საფრთხე იყვნენ. ამიტომაც იყო, სხვათა შორის, რომ VIII საუკ. მიყოლებული არაბები ასეთის სიმედგრით ებრძოდნენ ხაზარებს.

717 წ. ხალიფა ვალიდის ძმას მასლამას, სომხეთისა და ადარბაგანის ამირას, გაულაშქრია და დარუბანდი აუღია[176,] მაგრამ ხაზარები 717-718 წ. სწრაფად გადმოეშვნენ შურის საძიებლად და შირვანში და ადარბაგანში შეიჭრნენ; მათ გადაეღობნენ არაბები და ზოგი დახოცეს, ბევრი კიდევ ტყვედ წაასხეს[177.]

სამაგიერო ხაზარებმა არაბებისაგან 722-723 წ. მიიღეს, როდესაც მაჰმადიანთა ჯარი შეესია ხაზარეთს და იქ საშინლად დამარცხდა[178]. განრისხებულმა ხალიფამ ჲაზიდ II (720-724) ამირად ჯარრაჰი აბდალლაჰის ძე დააყენა და დიდის ლაშქრით ხაზართა ჯარის წინააღმდეგ გაისტუმრა. ხაზარებს თვით ხაკანის შვილი წინუძღოდა. ჯერ კიდევ ხაზარეთში მისული არ იყვნენ, რომ ალაზნის პირას მოპირდაპირენი ერთი ერთმანეთს შეებრძოლნენ; გამარჯვება არაბებს დარჩათ; ძლეულს მტერს კვალ-და-კვალ მიჰყვნენ, შევიდნენ ხაზარეთში და დიდძალი დავლა იშოვნეს[179].

ხალიფა ჰიშამის (724-743) ბრძანებისამებრ ამირა ჯარრაჰმა 729-730 წ. ქ. შ. ტფილისის სანახებზე გაიარა, კვლავ ხაზართა ქვეყანას შეესია და ერთი ქალაქიც აიღო[180].

ქართველი ისტორიკოსი **ჯუანშერი** მოგვითხრობს: «მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ ძე მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშიმს

---

171 Chronographia I, 363.

172 . **სომხური,** გვ. 100.

173 **სომხური,** ტფილისის 1912 წ. გამოცემა, 93.

174 **J. Marquart,** Streifzüge, 402, შენ

175 Chronographia I, 370.

176 **D'Ohsson.** Des peuples du Caucase, 55-56.

177 იქვე, 56.

178 იქვე. 56.

179 იქვე. 57.

180 იქვე, 59.

(=ჰიშამს) ამირ მუმნსა ძესა აბდალმელიქისასა ნათესავთაგან ამათისა... და ყოველნი მთავარნი, პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი შევიდოდეს კვკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა და მოვლო ყრუ მურვან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალ[ან]ისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღუართა ქართლისათა... და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანი»-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრ˜გსრსა, 200-201. შედარ. უძველეს ხელნაწერს). ქართველს ისტორიკოსს ეს ლაშქრობა არაბთა თითქოს პირველ ლაშქრობად აქვს წარმოდგენილი კავკასიაში, მაგრამ ეს შეცდომაა. როგორც ჩვენს მატიანეში ნათქვამია "მურვანი ძე მომადისი" წარმოუგზავნია ამირ ალმუნ მინინას ჰიშამს ძესა აბდალმელიქისასა და ეს სარდალი ყოფილა "ნათესავთაგანი" ამირთ ამირასი. ჩვენ ვიცით, რომ ჰიშამი ძე აბდალმელიქისა ხალიფად იჯდა 724-743 წ. ქ. შ.; მურვანი არის მერვან II, რომელიც მართლაც მოჰამედის შვილი იყო[181]. არაბთა ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, მურვანი 114 წ. ჰიჯრ. (= 729-730 წ. ქ. შ.). ყოფილა გამოგზავნილი[182]. ცნობა იმის შესახებ, რომ მურვან, მაჰმედის ძე, ჰიშამ ხალიფას მიერ სომხეთში იყო გაგზავნილი, სომეხთა ისტორიკოსს ასოღიკსაც მოეპოვება, მაგრამ მას იგი მშვიდობიან მმართველად ჰყავს გამოხატული[183]. პირიქით, **იოანე კათოლიკოზი** მურვანს მეტად მკაცრ მეომრადა და მმართველადა სთვლის: მას მთელი სომხეთის ციხეები აუღია და დაუქცევია, მცხოვრებნი ზოგი დაუტყვევებია, ზოგი კიდევ დაუწიოკებია და გაუძარცვია[184]. მაშასადამე, **იოანე კათოლიკოზის** დახასიათება მშვენივრად უდგება მურვანის მოქმედებას, როგრც იგი არის ჯუანშერის მიერ აღწერილი.

ამგვარად, ცხადია, რომ **ჯუანშერის** ცნობა ეხება მერვე საუკუნის პირველი მეოთხედის ამბებს და არა არაბთა პირველი ლაშქრობის ისტორიას საქრთველოში, რომელიც მოხდა მეშვიდე საუკუნეში, როგორც შეიძლებოდა თითქოს გვეფიქრა ჩვენის მემატიანის მოთხრობის მიმდინარეობისდა მიხედვით[185].

ჯუანშერის სიტყვით, როგორც აღნიშული იყო, მურვანს მოუვლია «ყოველი კვკასია და დაიპყრა კარი დარიალანისა და დარუბანდისა». ქართველი მემატიანის სიტყვები არაბ ისტორიკოსთა (**ბელაძორის**) ცნობებითაც მტკიცდება; მურვანს ხალიფა ჰიშამის ბრძანებისამებრ მთელის თავის მხედრობით ქსნით დარიალანის ხეობა და კარი გაუვლია და ხაზარნი დაუმარცხებია, იმიერ-კავკასიითგან ერთი ტომი გადმოუყვანია და კახეთში დაუსახლებია[186]; ხოლო 737-742 წლებში ძლევამოსილი ლაშქრობა ჰქონია კვკასიაში და იმიერ-კავკასიაში, ისე რომ დაუმორჩილებია და გაუმაჰმადიანებია, რასაკვირველია იძულებით, ხაზარნი, აუღია დაღესტნის მთელი ქვეყანა, სამურის სანახები და შაბირანი, ლეკეთი, ტაბასარანი და დიდოელნი[187].

ჯუანშერი ამასთანავე ამტკიცებს, რომ მურვანს დაუპყრია აგრეთვე ეგრისის ციხეები და აიღო «კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი, მოადგა ციხესა ანაკოფიისასა...

---

[181] **Стенли Лен-Пуль**, Мусульманские династии, **ვ. ბარტოლდის** რუს. თარგმანი, 1899, გვ. 7-8.

[182] **M. Ghazarian,** Armenien, გვ. 46, შენ. 2.

[183] პეტრ. გამ., გვ. 130.

[184] ----------?, გვ. 93-94. **გვ.79-ზე**

[185] საფუძვლიანი ეჭვი ამის შესახებ უკვე **მ. ბროსეს** ჰქონდა (იხ. Histoire de la Géorgie, I partie, თარგმანი, გვ. 245-246).

[186] **D'Ohsson.** Des peuples du Caucase, 64-65.

[187] იქვე, 65-69.

და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისსა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა და ვერავინ შემძლებელ იყო წყობად» მისაო (ცˇა ვხˇტნგ გრˇგსრსა *419-420, გვ. 201). სამწუხაროდ არც არაბ, არც სომეხ, არც ბიზანტიელ ისტორიკოსებს მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, ეგრისსა და აფხაზეთში, არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო, რამდენად სამართლიანია ზემომოყვანილი ამბავი. თავისთავად-კი ისეთს არაფერს შეიცავს, რაც ან დასაჯერებელი არ იყოს, ან მტკნარს შეცდომას წარმოადგენდეს; მხოლოდ ამ ლაშქრობის დასასრულში (გვ. 202-204) ჩართულია ზოგიერთი ვითომც სასწაულებრივი შემთხვევანი.

ჯუანშერი მოგვითხრობს: მურვანის შემოსევამ ისე გაანადგურა და იქმნა ”განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა”, რომ «არღარა იპოებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე»-ო და ბერძენთა კეისარს შველა სთხოვესო (იქვე, *424, გვ. 405). იმავ მემატიანის სიტყვით, მურვანის ამირობას ისეთი საშინელი დაღი დაუსვამს საქართველოზე და ქვეყანა ისე აოხრებულა, რომ თუმცა შემდგომ «გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშვიდობით», მაგრამ მაინც «არღარა მოგებულ იყო კუალსა თჳსსა»-ო (იქვე, *433, გვ. 212), მაინც ვერ გამობრუნდაო.

ბელაძორის სიტყვით ხალიფა მანსურის დროს (754-775) მისმა ამირამ დაიპყრა არაგვის ხეობა, დაიმორჩილა წანარნი და ხარკი დაადო[188]. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 754-764 წლებს შუა.

764 წელს ხაზარებმა ქართლი ააოხრეს; ქართველი ისტორიკოსიც მოგვითხრობს ხაზართა შემოსევას და ამ შემოსევის მიზეზად ”მატიანეჲ ქართლისაჲ” შემდეგს გარემოებას ასახელებს: **ქართლის ერისთავს ჯუანშერს** ერთი სილამაზით განთქმული და ჰყოლია, რომელსაც სახელად შუშანი რქმევია. «მიესმა მისი ხაზართა მეფესა ხაკანსა, მოგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და უქადა შუელა სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკნისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა და დედასა თჳსსა; ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: ”უკუეთუ უღონო იქმნას ყოფაჲ ჩუენი, უმჯობეს არს რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე-ღა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ, და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა”-ო (ცˇა ვხˇტნგ გრˇგსრსა, *438, გვ. 216). ეს უნდა მომხდარიყო 761 წელს. თუმცა პოლიტიკურად ქართველებისათვის ხაზართა ხაკანის სიძობას და მისს პირობას, რომ იგი ქართველებს სარკინოზთა, ანუ არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში უშველიდა, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარწმუნოებრივს სიძულვილს წარმართთადმი დაუხშვია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი.

ქართველთა უარით შეურაცყოფილმა «შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბულჩან, გამოვლო გზაჲ ლეკეთისაჲ და შემოვიდა კახეთად, მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყუნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირეთა დღეთა წარიღო და ტყუე ყუნა იგინი; **შემუსრა ქალაქი ტფილისი**, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანაჲ; და ვითარცა წარემართა გზასა დარიალანისასა», შუშანმა თავი მოიწამლა და მოკვდა; «წამოვიდა ბულჩან ხაკნისა, მიგუარა ჯუანშერ და მიუთხრა სიკუდილი დისა მისისაჲ... მაშინ შეიპყრეს ბულჩან და მოაბეს ყელსა საბელი და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა ამიერ და იმიერ და მოსწყჳდეს თავი მისი ბოროტად; და ვითარცა დაჰყო[ჯუანშერ მუნ] წელიწადი შჳდი, განუტევა

[188] **D'Ohsson**. Des peuples du Caucase, 69-70.

ნიჭითა დიდითა»-ო (იქვე, *439, 216-217). მაშასადამე, ტყვეობითგან ჯუანშერი 771 წელს დაბრუნებულა.

ქართული მატიანის ზემომოყვანილს ცნობას ქ. ტფილისის თურქების ანუ ხაზართა მიერ აღების შესახებ არაბი ისტორიკოსებიც ემოწმებიან, რომელნიც მოგვითხრობენ, რომ 147 წ. ჰიჯრ. (764 წ. ქ. შ.) თურქები დარუბანდით გამოვიდნენ და ტფილისში შეიჭრნენ, ხოლო შემდეგ სომხეთიც ააოხრეს; ხალიფა მანსურმა თავისი ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაბები დამარცხდნენო[189]. ეს ცნობა მშვენივრად უდგება ქართული წყაროს ცნობას ხაზართა ლაშქრობის გზის შესახებაც: ჩვენი მემატიანე ამბობს, რომ ხაზარნი ლეკეთის გზით შემოვიდნენ, - არაბული წყაროს ცნობითაც ისინი დარუბანდით შემოჰსევიან; შემდეგ, ქართული მატიანისაებრ, კახეთში შემოსულან და იქითგან ტფილისში, ხოლო რაკი არაბი მემატიანეც ადასტურებს ტფილისის აღებას, თავის-თავად ცხადია, რომ ხაზარებს დარუბანდით კახეთზე უნდა გამოეარნათ[190].

ცუდი დრო დაუდგათ ქრისტიანებს საზოგადოდ და ქრთველებსაც მათ შორის აბბასელ გვარის პირველი ხალიფების მეფობაში; მათ შემოიღეს მკაცრი სარწმუნოებრივი, მაჰმადიანური მიმართულება პოლიტიკაში; ომაჲაელთა ხალიფების წინანდელი პოლიტიკა-კი უღმერთოებადა და ურწმუნოებად იყო ცნობილი[191]; მათ დროს ხალხი, დიდი და პატარა, შევიწროებული იყო, ქვეყანა მძიმე ტვირთ ქვეშ იჭყლიტებოდა. ამ მკაცრ მმართველთა გუნდს ხალიფა მანსურიც ეკუთვნოდა. მისი ხალიფობის მეორე ნახევარში ქართლის ერის-მთავრად ყოფილა «ნერსეჲ ძჳ ადარნერსე კურაპალატისა და ერის მთავრისაჲ». 772 წელს[192] იგი «მიწოდებულ იქმნა ქუეყნად ბაბილოვანისა მფლობელისა მის გან ჟამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲს გან (=მანსურს), რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა» (ც˜ა აბო ტფ˜ლსჲ, 15). ტყუილად-კი არ იყო იგი ამ სიშორეზე დაბარებული: არაბთა მბრძანებელი უწყრებოდა ქართლის ერისთავს და აკი მისვლისთანავე «შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა შთააგდო საპყრობილესა მან ნერსე ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილა ამირამუმნი და დაჯდა მის წინ ძჳ მისი მაჰდი» (იქვე, 15); ესე იგი 775 წლამდე ნერსე საპყრობილეში ყოფილა დამწყვდეული. ხალიფა მაჰდიმ (775-785) «გამოიყვანა იგი მწარისა მის გან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა ქუეყანადვე თჳსად» (იქვე, 15). ნერსე ერისთავს მაინც დიდხანს ვერ უსიამოვნებია არაბებისათვის და ბოლოს მაინც «კუალად იყო განრისხებაჲ ჴელმწიფეთა მათ

---

[189] **D'Ohsson**. Des peuples du Caucase, 70.

[190] **მ. ბროსემ** არ იცის ხაზართა რომელს შემოსევას დაუკავშიროს ეს ამბავი და დაახლოვებით თარიღად 731-738წ., ან 758-760 წ., (Histoire de la Géorgie, I partie, გვ. 257-258, შენ. 1), ხოლო **მარკვარტი** ამ შემოსევის თარიღად 799-800 წ. სთვლის (Streifzüge, 416-419), მაგრამ ვგონებ ნიჭიერი გერმანელი მეცნიერი ამ შემთხვევაში უნდა სცდებოდეს; იმიტომ რომ ამ ლაშქრობის დროს, როგორც **ტაბარისა** და **ჲაკუბის** აღწერილობითგანა ჩანს, ხაზარებს ტფილისი არ აუღიათ (იხ. იქვე, გვ. 418), ქართულ წყაროში-კი ნათლად არის ნათქვამი, რომ ამ დროს ხაზარებს ტფილისი დაუპყრიათ. ამიტომ ქართველი მემატიანის მოთხრობას უდგება მხოლოდ ხაზართა 764 წ. შემოსევა, როდესაც თურქები მართლა ტფილისში ძლევამოსილნი შევიდნენ.

[191] Prof. **J. Goldziher,** Vorlesungen über den Islam, გვ. 49.

[192] ეს თარიღი ამგვარად არის გამოანგარიშებული: ნერსე ერისთავი ბაღდადში მისვლისთანავე ხალიფას დაუჭერინებია და 3 წლის განმავლობაში, სანამ ხალიფა არ მოკვდებოდა (+775), იგი საპყრობილეში ყოფილა, მაშასადამე ნერსე მისულა ბაღდადში (775-3=) 772 წ.

სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა» (იქვე, 17). ეს დაახლოვებით 780-781 წ. უნდა მომხდარიყო. რაკი ეხლა მას კარგადა ჰქონდა გამოცდილი, რაც მოჰყვებოდა ხოლმე არაბთა უკმაყოფილებას, ამასთანავე «სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი» და საშინლად ემტერებოდნენ, ამიტომ «ივლტოდა იგი» ჩრდილოეთისაკენ; უვნებლად გადაურჩა მტრებს და «განვლო მან კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალანი ერქუმის». (იქვე, 17). თვითონ თუ იმიერ-კავკასიისაკენ გაიხიზნა, თავისიანები დასავლეთს საქართველოში გაუსტუმრებია: «პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი» აფხაზეთში, «რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისა გან სარკინოზთაჲსა» (იქვე, 18). ნერსე ერისთავი ლტოლვილი ხაზარეთში მივიდა.

ქართველი ისტორიკოსის **იოანე საბანისძის** სიტყვით, თუმცა არიან «ხაზარნი კაც ველურ, საშინელნი პირითა, მჴეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან», მაგრამ ქართლის ერისთავს მაინც, ვითარცა უცხო სტუმარს, კარგად დაჰხვედრიან; «რაჟამს მივიდა ნერსეჲ ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათჳს და ლტოლვისათჳს მტერთა მისთა გან და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელ და სასუმელ» (იქვე, 17). ნერსე ერისთავის ღირსეულად მიღება და შენახვა ადვილი-კი არ იქმნებოდა, იმიტომ რომ ნერსეს თან დიდი ამალა გაჰყოლია; იოანე საბანისძის სიტყვით «იყო მის თანა ერისა გან მისისაჲ ვითარ სამას ოდენ მამაკაც» (იქვე, 17).

ხაზარეთითგან ნერსე გადასულა აფხაზეთს, სადაც მას მთელი მისი სახლობა დახვდა (იქვე, 18-20). როცა ნერსე ერისთავი გაქცეულა, არაბებს იმის მაგიერ სხვა დაუყენებიათ; მემატიანის თქმით «შემდგომად სივლტოლისა მის ნერსწსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა **სტეფანოზ ძე გურგენისი ერისთავისაჲ** დისწული ნერსწსი, ნაცვლად დედის ძმისა თჳსისა ნერსწსა ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად» (იქვე, 20). ეს ამბავი გაჰხარებია ნერსეს და დამშვიდებულა იმიტომ, «რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისა გან არა განაშორა ღმერთმან» (იქვე). თუმცა მისი დისწული ნამდვილად მის სახლის შვილად ვერ ჩაითვლება, თუ რომ მისი სიძე გურგენ ერისთავი მისი გვარიშვილი არ იყო, მაგრამ შეიძლება აქ საზოგადოდ ნათესავობა იყოს ნაგულისხმევი, ან მართლაც გურგენი და ნერსე შორეული სახლისკაცები ყოფილიყვნენ. ყურადღების ღირსია ის შიში, რომელიც ნერსეს ჰქონია: მას ჰგონებია, რომ არაბებს შეეძლოთ ქართლის ერისთავობის უფლება მისი სახლისათვის ჩამოერთმიათ და სხვისთვის გადაეცათ.

რაკი ნერსეს შიში არ გაუმართლდა, მან უფრო გაბედულად დაიწყო მოქმედება და «წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა ჴელმწიფეთა გან ამირათა ამის ქუეყანისათა, რათა უშიშ ყონ იგი ბოროტისა გან და გამოვიდეს ჴსნილად ყოვლით ერითურთ მისით» (იქვე, 20); უვნებლობის სიმტკიცე და სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების ნებართვა უთხოვნია. არაბ ამირამ ნერსეს სურვილი აუსრულა და ქართლში და ტფილისში დაბრუნების ნება მისცა (იქვე, 21). ამ ნებართვით გახარებული ნერსე (782-783 წ. ქ. შ.[193]) მოვიდა. მაშინ იგივე **სტეფანოზი ძე გურგენისი** ერისთავობდა ქართლში, ხოლო ნერსე ხელისუფლებას მოკლებული იყო. სტეფანოზი ქართლის ერისთავად ყოფილა «სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა

[193] ეს თარიღი ამგვარად არის გამოანგარიშებული: როგორც ჩანს ნერსესთან ერთად ჩამოსული აბო ტფილელი 3 წელიწადს დადიოდა თავისუფლად ტფილისში, მერე მოკლეს (იქვე, 22). მაშასადამე, ნერსე დაბრუნებულა (785-3) 782 წ. ქ. შ. «----------? (223-784): ----------?-»: (---------?): გვ.83-ზე

ძისა მაჰდისა» დროს, ესე იგი 785-786 წ. ქ. შ., იმ 785 წელიწადს, როდესაც არაბებმა აბო ტფილელი აწამეს (იქვე, 22). ნერსე ქართლის ყოფილი ერისთავი მარტო აბო ტფილელის ცხოვრებაში არ არის მოხსენებული: მას იცნობს **გიორგი მერჩული**, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დამწერი; იგი მოგვითხრობს: გრიგოლ ხანძთელი, რომელიც დაიბადა 759-760 წ., «სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსწ ერისთავისასა აღზრდილი იყო ჴელითა კეთილად-მსახურისა დედოფლისა ნერსწს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი»-ო (ც˜ა გგ˜ლ ხნძ˜თსჲ, გვ. ბ). ნერსეს, რომელიც უკვე 772 წლამდე ქართლის ერისთავად ყოფილა და შემდეგ 775-781 წლების განმავლობაში კვლავ ერისთავობა ეპყრა, რასაკვირველია შეეძლო თავისთან აღეზარდა 759-760 წ. დაბადებული თავისი ცოლის ძმისწული.

ამავე დროს VIII საუკ. ბიზანტიის ქრისტიან კეისრების მფარველობის ქვეშე მყოფ დასავლეთს საქართველოში მშვიდობიანობა და მყუდროება იყო, ისე რომ მათს აღმოსავლეთის თანამოძმეებს მათი მდგომარეობა სანეტაროდ ეჩვენებოდათ. მარტო ის რადა ღირდა, რომ აფხაზეთში მაშინ მყუდროება სუფევდა «კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისა გან სარკინოზთაჲსა» (ც˜ა აბო ტფ˜ლსჲ, 18), - არაბთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იყო ისე, რომ როდესაც ქართველებს ქართლ-კახეთში მეტის-მეტად გაუჭირდებოდათ ხოლმე, დასავლეთს საქართველოში, ეგრისში და აფხაზეთში, გადიხიზნებოდნენ და იქ ეძიებდნენ მყუდრო თავშესაფარს. ამ დროს, იოანე საბანისძის, ცოტა არ იყოს გაზვიადებული, სიტყვით იყო «ქუეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტწს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრ იპოებსი საზღუართა მათთა»-ო (იქვე, 19). მთელი ამ ქვეყნის საზღვრად «არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ... მისაზღურადმდე ქალდიაჲსა», სადაც ქ. ტრაპიზონი და აფსარტაჲ დევს, აქ უკვე ბერძენთა, ან როგორც იოანე საბანისძე ამბობს, ”იონთა მეფისა” საბრძანებელი იწყებოდა (იქვე, 19). ამ საზღვრებს შუა მთელი მიწა-წყალი მაშინ უკვე ყოფილა «სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ» (იქვე, 19). თვით აფხაზეთის მთავარმა თუ ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა, ან «კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთის მსახურებაჲ და ლოცვაჲ» იცოდნენ (იქვე, 18).

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა არაბთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში

643-645წ. დადებული ხელშეკრულებით ქართველებმა არაბთა ბატონობა იცნეს და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრეს. ხარკი კომლობრივი ყოფილა და როგორც არაბებს ისე ქართველებსაც ამ ხარკისათვის უმთავერსი ყურადღება მიუქცევიათ. არაბები ცდილან, რომ ქართველებს არ ესარგებლათ კომლობრივი წესით და ხარკის შესამცირებლად რამდენიმე ოჯახი ერთად არ შეყრილოყო და ერთ კომლად არ ქცეულიყო; მაგრამ ქართველებიც საგონებელს მისცემიან, ვაი, თუ არაბებმა ხარკის გასამრავლებლად მეკომურთა ოჯახების დაყოფა მოგვთხოვოს და ერთი კომლი რამდენადმე სახლობად აქციოსო და თითოეულს მათგანს ცალკე გადაახდევინოს ხარაჯაო; ამიტომ ქართველებსაც თავის მხრივ მოუთხოვიათ, რომ არაბებსაც ხელშეკრელებაში მკაფიოდ გამოეცხადებინათ, რომ სამაგიეროდ არც არაბებსა ჰქონოდათ უფლება ქართველი მეკომურნი დაეყოთ და ამ გზით ხარაჯა გაედიდებინათ. ხელშეკრულება ცხადად გვიჩვენებს, რომ ამ საგანს ორივე მოპირდაპირე მხარე მეტად ფრთხილად და ფხიზლად მოჰპყრობია.

თავისდა თავად ამ ისედაც საგულისხმიერო ხელშეკრულების ეს მუხლი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ შედეგის გამო, რომელიც მის განხორციელებას ცხოვრებაში უნდა მოჰყოლოდა: ამიერითგან ქართველთა ბუნებრივი საზოგადოებრივ-ოჯახობრივი ზრდა და დანაწილება უნდა შეფერხებული ყოფილიყო; ხარაჯა რომ არ გადიდებულიყო და მძიმე ტვირთად არ დასწოლოდათ, ქართველი მეკომურნი თავს შეიკავებდნენ და გაყრას ყოვლის ღონისძიებით მოერიდებოდნენ. დიდ ოჯახთა რიცხვი გამრავლდებოდა და საგვარეულო წესწყობილება და ყოფა-ცხოვრება ხელოვნურად შეინახებოდა.

ხელშეკრულების დადების დროს, როგორცა ჩანს, ორთავ მხარეს დიდი ყურადღება აგრეთვე სარწმუნოებისათვის მიუქცევიათ: ქართველებს უზრუნვიათ, რომ მათი ეკლესიები, მონასტრები და სამლოცველოები ხელუხლებელი ყოფილიყო, მათი, ქრისტიანეთა, სიცოცხლე უზრუნველი ყოფილიყო; ხოლო არაბები ამის თანახმანი იყვნენ, ოღონდ-კი ქართველებს მათთვის მორჩილება გამოეცხადებინათ და ყოველწლიური ხარკის ძლევა ეკისრათ. არაბების გულის ნადები და ნატვრა, როგორც ყოველთვის და თვით მუჰამმედის მიერაც იყო დაკანონებული, მაინც რასაკვირველია ისლამის გავრცელება იყო. მუსლიმანად ქცეულებს ყოველგვარი უპირატესობა და შეღავათი ენიჭებოდათ; მაგრამ ამასთანავე ვინც ერთხელ გამაჰმადიანდებოდა, იმას ისლამის დატოვება აღარ შეეძლო, თორემ ისლამის მოღალატე სიკვდილით დაისჯებოდა.

ყურადღების ღირსია, რომ მოპირდაპირე მხარეებს პოლიტიკური საკითხისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ: ხელშეკრულებაში აღნიშნულია მხოლოდ, რომ ქართველები არაბთა პოლიტიკურ ყმობას ანუ ქვეშევრდომობას კისრულობდნენ; მაგრამ რა დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო საქართველოსა და არაბთა სახელმწიფოს შორის, - იქ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. პირობა ისე იყო მხოლოდ დადებული, რომ ქართველები არაბთა ქვეშევრდომნი უნდა ყოფილიყვნენ და მათი ქვეშევრდომობა გამოიხატებოდა

ლაშქრის მიშველებით, როცა არაბები ”ღმრთის მტრებს” ეომებოდნენ, და ხარკის ძლევით. სამაგიეროდ არაბებს ქართველები მტრების შემოსევისა და მძლავრებისაგან უნდა დაეფარათ; ხოლო შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში საქართველო დამოუკიდებელი იქმნებოდა თუ არა, ან ვინ უნდა გასძღოლოდა წინ შინაურ საქმეებს, ამაზე ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ომში ძლევამოსილი არაბები თავდაპირველად სამოქალაქო და სახელმწიფო ცხოვრებაში სრულებით გამოუცდელნი და უძლურნი იყვნენ და ამის გამო ყველგან, სადაც-კი ისინი გაბატონდნენ, პირველ ხანებში მაინც, სახელმწიფოს შინაური მართვა-გამგეობისათვის ხელი არ უხლიათ და ისევ ძველებური წესი დასტოვეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირადვე მოიქცეოდნენ არაბნი საქართველოშიაც მეტადრე იმიტომ, რომ ქართველები მათ თავისით დაჰნებდნენ და ქვეყანა ძალით არ დაუპყრიათ.

ქართველი მემატიანე ჯუანშერი ამბობს: «დააცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად» და ვითომც მურვანის «წარსვლითგან (743 წ.) წელიწადსა ორმეოცდა ათსა არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან»-აო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სრსა, *432, გვ. 211). აქ-კი ცხადი შეცდომა უნდა მოსვლოდეს ქართველს მემატიანეს, რახან ეს ამბავი მურვანის დროისათვის მიუკუთვნებია, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ სწორედ მურვანის შემდგომ გამეფდა აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მკაცრი მმართველობა. სწორედ ამ დროს შემოიღეს საშინელი მეხარკეობა. ჯუანშერს ეს შეცდომა იმიტომ მოსვლია, რომ იგი მურვანის ლაშქრობას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არაბთა პირველ ლაშქრობათა სთვლის საქართველოში, ნამდვილად-კი იგი მერვე საუკუნეში იყო კავკასიასა და საქართველოში. თუ ჩვენის მემატიანის ამ მთავარს შეცდომას გავითვალისწინებთ და შესაფერისად შევასწორებთ, მაშინ ჩვენ შეგვრჩება ძვირფასი ისტორიული ცნობა, რომელიც მურვანის შემდეგ დროინდელ ამბებს-კი არ ეხება, არამედ საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარების პირველს ხანას. იგი მოგვითხრობს, მაშასადამე, რომ როდესაც არაბები ქართლ-კახეთში პირველად შემოვიდნენ და ქართველებთან ზავის და ხელშეკრულების დადების შემდგომ უკან წავიდნენ, «დააცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად» და მათის «წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდაათსა არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან»-აო. ესე იგი 645 წლითგან მოყოლებული 695 წლამდე არაბები თითონ კი არ მოდიოდნენ ხარკის ასაკრეფად, არამედ ქართველი ერისთავები თითონა ჰკრეფდნენ და თვითვე აბარებდნენ არაბებსაო. ვგონებ სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს. შინაური ომები და ბიზანტიასთან უნაყოფო ბრძოლა ხელს არ უწყობდა არაბებს, რომ იმ ქვეყნებშიაც, რომელნიც თავისით დაჰნებდნენ მათ, მტკიცედ მოეკიდათ ფეხი და ხარაჯას აკრეფაც თითონ ჩაეგდოთ ხელში, მეტადრე რაკი მაშინ ჯერ მთელი აღმოსავლეთი საქართველო არა ჰყავდათ დამორჩილებული.

თანდათან ვითარება შეიცვალა: არაბებმა დარიალანი და აღმოსავლეთ კავკასიონის სხვა კარები და ქვეყნებიც დაიჭირეს და თავისი თავი ჩრდილოეთით უზრუნველ ჰყვეს. მათი მმართველობა მკაცრი გახდა; მათი ამირები და თვით ხალიფებიც ქვშევრდომ ქვეყნების შინაურ საქმეებში ერეოდნენ. ამას თან დაერთო სარწმუნოებრივი და ეკონიმიური შევიწროება.

ზევით (თავი II) საკმაო მაგალითები იყო მოყვანილი, თუ რანაირად ავიწროებდნენ და აწიოკებდნენ ხოლმე არაბები აღმოსავლეთ საქართველოს. ტყუილად-კი არ ამბობს ჩვენი მემატიანე «მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანაჲ ჟამით

ჟამად რბევასაო» (მტ˜ნეჲ ქ˜ჲ, *440, გვ. 217); დიდიცა და პატარაც, ერიცა და მთავარნიც განსაცდელში იყვნენ ხოლმე; მაგრამ არაბები განსაკუთრებით ერისთავებს ემტერებოდნენ. არაბებს ამ ბრძოლაში ისიც ხელს უწყობდა, რომ «იქმნა სიმრავლე მთავართაჲ ქუეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას» (იქვე, *440, გვ. 217). ამით სარგებლობდნენ არაბები და «უკუეთუ ვინმე გამოსჩნდის რომელიმცა ღირს იყჳს მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან» (იქვე). ზემოთ მაგალითები იყო მოყვანილი, როდესაც არაბებს ერისთავები საპყრობილეშიაც-კი ჩაუსვამთ, ან მეტის შევიწროებითა და დევნით მობეზრებულნი ისინი იძულებულნი იყვნენ სამშობლოთგან გადახვეწილიყვნენ. პოლიტიკურ დევნას გარდა ქართველთ სიცოცხლეს სარწმუნოებრივი და ეკონომიური შევიწროება უმწარებდა; ამ საშუალებით არაბებს ჰსურდათ, რომ მათი გულის-ნადები, ქრისტიანეთა გამაჰმადიანება, თავისთავად განხორციელებულიყო. არც თუ იმის თქმა შეიძლება, რომ არაბებს ქართველი ქრისტიანები სარწმუნოებისათვის განცხადებულად ედევნათ; მაგრამ ისე კი «სასტიკებისა და სივერაგისა მანქანებითა» მათ «მრავალნი შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისა გან სიმართლისა» (ც˜ჲ აბო ტფ˜ლსჲ, 7); ზოგნი «მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუარებით»-ო (იქვე 8). ვინც ყველა ამას უძლებდა და მტკიცედ იყო, ისინი «მძლავრებასა ქვეშე დამონებულ» იყვნენ და მძიმესა «ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი» სულს ითქვამდნენ «ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა»-ო (ც˜ჲ აბო ტფ˜ლსჲ, 8). ქართველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში მეტისმეტ ხარკისაგან ხალხი გაღატაკებული და შეწუხებული იყო, სომეხთა ისტორიკოსების **ღევონდისა** და **ასოღიკის** მოწმობითაც მტკიცდება; ისინიც უჩივიან ამ აუტანელს ტვირთს. მაგ. ასოღიკის სიტყვით პირველ აბბასელ ხალიფასვე გახალიფების უმალ (750 წ. ქ. შ.) ისეთი უგუნური სიმკაცრე გამოუჩენია, რომ ხარკს იგი თურმე ხალხის აღწერის დავთრებისდა მიხედვით ახდევინებდა ცოცხლებისაგანც და მკვდრებისაგანაც; დავთრები, ალბათ, ძველი ყოფილა. ამასთანავე ამ ხარკს ხალიფა ისეთის ძალდატანებითა და ძალმომრეობით აკრეფინებდა, რომ ხალხი გააღარიბაო[194]. ამ ხალიფას საარაკო მტარვალობას უცხო ქვეყნელი მემატიანენიც ადასტურებენ[195]. იგივე **ასოღიკი** მოგვითხრობს: იეზიდის ამირობისას სომხეთში ხარკი ისე გაადიდეს, რომ ხარაჯას კომლზე-კი არ იღებდნენ, არამედ კაცის თავზეო და ამის გამო ნახარარები (აზნაურნი) და დიდებულნიც-კი დიდს სიღარიბეში ჩაცვივდნენო (იქვე, 133-134). მცხოვრებნი ამ აუტანელ მოხარკეობას გაურბოდნენ და მრავალი სული სომეხი ბიზანტიაში გაიხიზნა (იქვე, 134), ვინც დარჩა აჯანყდაო. ამგვარად, **იოანე საბანისძის** ზემომოყვანილი სიტყვები და მის მიერ დახატული ქვეყნის საზოგადო გაჭირვების სურათი საუცხოოდა მართლდება. იხიზნებოდა ხალხი ქართლიდანაც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, თუ საითკენ იხიზნებოდა და სად ჰპოულობდა თავშესაფარს ქართველობა, როდესაც მას განსაცდელი და გაბატონებული მტრის მიმძლავრება აიძულებდა საკუთარი მიწა-წყალი დაეტოვებინა. თავთავის ადგილას აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ სასანელთა ბატონობის დროს დევნილნი, თუ ლტოლვილნი, ქართლ-კახეთითგან

---

194 ----------?, **გვ.88**. გვ. 131-132.

195 **M. Ghazarian.** Armenien, 48, შენ. I.

დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში, გადადიოდნენ და იქ ეგრისში, თუ აფხაზეთის მთებში ჰპოულობდნენ თავშესაფარს. მცხოვრებთა გახიზნვა და გადასახლება მეტის-მეტად გახშირდა არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც სარწმუნოებრივი შევიწროება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო ხარკი წინანდელთან შედარებით გაორკეცებული და გასამკეცებული იქმნა. ამ დროსაც ქართველთათვის ჩვეულებრივი თავშესაფარი და კერა დასავლეთი საქართველო ყოფილა; თუმცა ჩრდილოეთშიაც შეიძლებოდა ადამიანს არაბთა დევნისაგან თავი დაეხწია, მაგრამ ხაზარეთი დროებითი სადგური იყო. საგულისხმოა, რომ ერთბაშად მრავალი სული იყრებოდა და მიდიოდა, მეტადრე თუ ვინმე დიდებული ხელისუფალთაგანი გაიხიზნებოდა; ნერსე ქართლის ერისთავს მარტო თვითონ 300 მამაკაცი გაჰყოლია; რამდენი გაჰყვებოდა ახლა მის სახლობას, რომელიც ნერსემ პირდაპირ აფხაზეთში გაისტუმრა? უეჭველია ყველანი არა ბრუნდებოდნენ უკან; რაკი მათს სამშობლოს დიდხანს დაწყნარება არ ჰღირსებია, ისინი იძულებულნი იყვნენ იქ დარჩენილიყვნენ და მკვიდრობა მოეკიდებინათ. აი რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო ქართების მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში.

ამ საკითხის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ამ თხზულების პირველს წიგნში (იხ. თავი პირველი) და იქვე აღნიშნული იყო, რომ რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა V-VI ს. ჯერ კიდევ თითქმის უკარციელი იყო. VI საუკ. მოყოლებული, VII საუკუნეში და მეტადრე-კი VIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოთგან მტრებისაგან შევიწროებული მცხოვრებნი, ჯერ სპარსთაგან, მერე განსაკუთრებით-კი არაბთა მტარვალობისა და ეკონომიურ შევიწროებისაგან ილაჯ-გაწყვეტილნი, იხიზნებოდნენ და ვინც იქ დარჩებოდა უეჭველია დაეშენებოდა ამ უკაცრიელს ადგილებში.

როდესაც არაბებმა საქართველოსა და კავკასიაში ფეხი მაგრად მოიკიდეს, «დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგრიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თჳსად [და] მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამის გან, რომელსა ჰრქჳან ხარაჯა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *440, გვ. 217); თვიანთ უმთავრეს სადგურად, ზღუდედ და თავშესაფარად თბილისი გაუხდიათ; იქვე იჯდა ხალიფას წარმომადგენელი ამირა (ც˜ჲ აბო ტფლ˜ჲ, 20, 23, 29, 30 და მტ˜ნჲ ქ˜ჲ, გვ. 218-223 ხშირად). არაბები და მათი ხალიფა იყვნენ აღმოსავლეთ საქრთველოს **"ზედამდგომელნი მფლობელნი** (ც˜ჲ აბო ტფ˜ლსჲ, 7), «**სოფლის მპყრობელნი ზედამდგომელნი**» (იქვე, 17), ხოლო ამირა იყო **"ჴელმწიფე ქუეყანისა"** (იქვე, 20) და **"მსაჯული ამირაჲ"** (იქვე, 23 და 29). ხალიფანი იმას-კი აღარ სჯერდებოდნენ, როგორც თავდაპირველად იყო, როცა მარტო ხარაჯის აღებითა და მეშველი ჯარის გამოყვანით კმაყოფილდებოდნენ, არამედ უკვე ქვეყნის უზენაეს მართა-გამგეობაშიც ერეოდნენ: ისინი ნიშნავდნენ ერისთავებს, როგორც მგალითად, ნერსე ერისთავის ქართლითგან გაქცევის შემდგომ «წარმოავლინა მაჰდი ამირა-მუმნმან ბრძანებითა ღმთისაჲთა სტეფანოზ ძე გურგენისი... ერისმთავრად ქვეყანას ამას ქართლად» (ც˜ჲ აბო ტფ˜ლსჲ, 20) ხალიფავე ან იბარებდა თავისთან ერისთავს, ან სხვაგვარ გამოიძიებდა ხოლმე მის მოქმედებას და თუ დამნაშავედ სცნობდა, სჯიდა, ან არა და გაუშვებდა, როგორც მაგ. მაჰდიმ საპყრობილეში მჯდომი ნერსე «განუტევა კუალად ერისმთავრობით აქა ქუეყანადვე თჳსად» (იქვე, 15). ერთი სიტყვით, **ერისთავების დანიშვნა და გადაყენება ხალიფას ხელთა ყოფილა.**

მას შემდგომ, რაც არაბებმა საქართველოს დედაქალაქი თბილისი «შეიქმნეს სახლად საყოფელად თჳსად» და მათი უზენაესი დაწესებულებანი, თვით ამირაც იქ

იყო დაბინავებული, რასაკვირველია, არაბთა და მაჰმადიან მცხოვრებთა რიცხვი თანდათან უნდა გამრავლებულიყო; უკვე მერვე საუკუნეში თბილისში არაბ მაჰმადიანთა მოსახლეობა არსებობდა (ცˇ ᲐᲑᲝ ტფˇლსᲘ, 21, 22, 23); მაგრამ ქართველი ქრისტიანები იქ მაინც ძლიერნი ყოფილან; თვით **ქართლის ერისთავსაც მუდმივი ბინა თბილისში ჰქონია** (იქვე, 21 და 23); «ქალაქსა მას შინა და გარემოᲘს ყოველსა სოფლებს განცხადებულად ქრისტიანედ» და უშიშრად შეეძლო ეარა აბო ტფილელს (იქვე, 22), სანამ თანამოძმეებმა მაჰმადიანებმა არ დაასმინეს ამირასთან, გაქრისტიანებული მაჰმადიანი და ჩვენი სჯულის მოღალატეა, «იტყვის თავსა თჳსსა ქრისტიანედ და უშიშრად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავეს ჩუენგანთა ქრისტიანედ ყოფად»-ო (იქვე, 23). **ქრისტიანებს შიგ ქალაქ თბილისში ბევრი ეკლესიები ჰქონიათ** (იქვე, 26). არაბ-მაჰმადიანთა ბატონობისდა მიუხედავად მაინც წინანდებურად «ხიდთა მათ ქალაქისათა... ზედა აღმართულ იყო პატიოსანი ჯუარი ხიდისაᲘ» (ცˇ ᲐᲑᲝ ტფˇლსᲘ, 32) იქ, სადაც ეხლანდელი ავლაბრის ორი ხიდია, მაშინაც VIII ს. ხიდები ყოფილა და ხიდებზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ქართველ ქრისტიანებს თბილისში რომ ძალა არა ჰქონოდათ, უეჭველია მაჰმადიანები მოსპობდნენ ქრისტიანობის ამ სიმბოლოს.

მაგრამ ამ დროს საზოგადოდ მაინც დიდს გაჭირვებაში და განსაცდელში იყო ქართველობა და ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში. არაბები ყოველგვარს უპირატესობას ანიჭებდნენ და მფარველობას უწევდნენ იმას, ვინც ქრისტიანობას უარჰყოფდა და მაჰმადიანობას მიემხრობოდა; რაკი ამასთანავე ქრისტიანები მძიმე ხარკით იყვნენ დატვირთულნი, არც გასაკვირველია, თუ რომ სულიერად სუსტნი და მხდალები ”მფლობელთა ზედამდგომელთა” ბანაკში გადავიდოდნენ. იოანე საბანისძეს მწუხარებით აღნიშნული აქვს: «აღვერიენით ერსა უცხოსა (არაბებს)... ნათესავსა საწუთროᲘსა ამის მოყვარესა... სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთა გან ვისწავეთ საქმენი მათნი და ვმონებდით გულის თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა»-ო (იხ. ჩემი ”ისტორიის მიზანი და მეთოდები”, იოანე საბანისძის შესახებ). მაგრამ ასეთია ადამიანის სულიერი ბუნება, რომ იგი ყოველს ძალმომრეობას და ძალდატანებას, დევნას და ტანჯვას, თუნდაც განცხადებულად, ძალღონით არ იყოს, უხილავად მაინც, სულიერად წინააღმდეგობას უწევს და მაგრდება. მაშინაც სწორედ ამ დევნამ გამოაფხიზლა ქართველობა. ამ შევიწროებამ ჩაახედა ღრმად ცხოვრებაში და შექმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარს ფიზიკურ ღონეზე უძლიერესია. სწორედ ამ დროს გაისმა მჭერმეტყველებით აღსავსე ქადაგება ქართველ ერში: დროა გონს მოვიდეთ და სარწმუნოებრივ-ეროვნული თვითცნობიერება გავაცხოველოთ. ასეთ ნიჭიერ მქადაგებლად იყო **იოანე საბანისძე**, აბო ტფილელის მეგობარი და მისი მარტვილობის ხელოვანი აღმწერი. თავის ღრმა დაკვირვების უნარის წყალობით მან ცხოვრების კერძო შემთხვევაში, აბო ტფილელის მარტვილობაში, მის ქრისტეს სჯულისათვის მოწამებრივს სიკვდილში, საზოგადოებრივ მნიშვნელოვანი მოვლენა ჰპოვა თვით და სხვებსაც, თავის თანამოძმეებს, დაანახვა. იოანე საბანისძემ თანამედროვე ქართველ საზოგადოებას ყურადღება იმ გარემოებაზე მიაქცევინა, რომ VIII საუკუნეში, არაბების ბატონობის დროს, ტომითვე არაბმა და ჩამომავლობით მაჰმადიანმა აბომ თავისი სარწმუნოება უარჰყო და დასთხია უმანკო სისხლი. ამავე დროს-კი თვით ქართველნი, რომელთაც ხუთას წელიწადზე მეტია რაც ქრისტიანობა მიღებული ჰქონდათ, არაბთა მძლავრობით თავზარდაცემულნი «**შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა**»-ო!.. განა დამაფიქრებელი არ

იყო ასეთი მდგომარეობა, როდესაც არაბობა ქართველობას დიდს განსაცდელს უქადდა?. აკი, ამიტომაც იყო, რომ იოანე საბანისძე გულმოდგინედ უხსნიდა, თუ რა დიადი მნიშვნელობა და ღრმა აზრი უნდა ჰქონეს აბოს თავგანწირულს სიკვდილს, იმდროინდელი ქართველობისათვის. «შენთჳს ფრიად დამიკვირდების ჩუენ, მიჰმართავს იგი აბოს, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებისა – შენ ნებსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთვის აღირჩიე და მახჳილითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე»-ო

განა ეს ქრისტიანობის ზნეობრივი ძლიერების საუცხოო დამამტკიცებელი საბუთი არ იყო, თუ რომ თვით არაბმა თავისით, ძალდაუტანებლივ მაჰმადიანობა ქრისტიანობაზე გასცვალა? მაჰმადიანობას-კი არაბები ძალით ავრცელებდნენ, ამიტომაც იგი ”მახჳლითა პყრობილი შჯული იყო; და თუ აბოს მისთვის მაინც თავი დაუნებებია, ეს იოანე საბანისძის აზრით, ცხადად გვიჩვენებს, რომელი სარწმუნოებათაგანი იყო ”ჭეშმარიტი”. აბო ტფილელის თავგანწირულს მსხვერპლს უნდა გაემხნევებინა დევნილი ქრისტიანენი, სულის სიმტკიცე მიეცა და იოანე საბანისძის სიტყვით მართლაც «სიყვარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მის მიმართ კუალად განახლდა»-ო; ეს განახლება აბო ტფილელის ღვაწლმა წარმოშვა, ამ გარემოებამ ”სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ” ჰყო და ჩააფიქრა, ”შერყეულნი უფროჲს განამტკიცა” და გაამხნევა, ხოლო ”განმტკიცებულნი” გაამხიარულა და გაახარა.

იოანე საბანისძისათვის ეს საკმარისი არ იყო: განახლებულს სარწმუნოებრივს გრძნობას ქართველებისათვის უნდა ჩაენერგა **ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე,** რომ მარტო ბერძნებს-კი არა, არამედ «ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა რომელთამე თჳთ აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა, სხვით მოსრულთა ჩუენ შორის, ჟამად-ჟამად ჩუენს შორის გამოჩინებულთა»; საჭირო იყო მხოლოდ, რომ ამ პირველ ადგილობრივ ქართველ მოწამეებისათვის ქართველებს სათანადო პატივი ეცათ და «ხილულისა ამისგან ახლისა მოწამისა პირველთაჲცა იგი გურწმენჱს». წინათ ეროვნულ წმიდანებს საქართველოში ჯეროვანი პატივი არა ჰქონია, არამედ საბერძნეთისა და მსოფლიო წმიდანთა თაყვანისცემა ყოფილა გავრცელებული; იოანე საბანისძე-კი ქართული ეროვნული მიმართულების მქადაგებელი ყოფილა ეკლესიასა და სარწმუნოებაში; ეს-ეს იყო დროებით მიბნედილი ეროვნული თავმოყვარეობა და მიმართულება იღვიძებდა და იოანე საბანისძე მისი პირველი და ნიჭით აღსავსე მქადაგებელი ყოფილა!...

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

უცხოელების ხანგრძლივი ბატონობის შემდგომ, VIII საუკუნის მეორე ნახევარითგან მოყოლებული, საქართველომ გამოცოცხლება დაიწყო და მოსულიერდა. ამ მოძრაობას ხელს უწყობდა, რასაკვირველია, თვით არაბების თანდათანი დასუსტება. ჩვენი ქვეყნის გამოცოცხლება ერთბაშად და უცბად არ მომხდარა; საქართველოს ყველა კუთხეში ერთ დროს ვერ ამოძრავდებოდნენ; ზოგმა უფრო ადრე დაიწყო მოღონიერება, ზოგ მხარეს-კი მცხოვრებთა მოქმედებას გარეშე, განსაკუთრებით პოლიტიკური, გარემოებანი აფერხებდნენ. ამიტომ, ვიდრე გამოფხიზლებული საქართველოს ყველა ნაწილები თანაბრად ღონეს მოიკიდებდნენ და წელში იმდენად გამაგრდებოდნენ, რომ სრულიად საქართველოს სამეფოს მტკიცედ დამყარება შესძლებოდათ, დიდი დრო იყო საჭირო. IX საუკუნითგან მოყოლებული ვიდრე XI საუკუნის დასასრულამდე გასტანა ამ საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების ხანამ. დიდი ბრძოლა და განსაცდელი გამოიარა საქართველომ ამ სამი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე ახალი გაერთიანებული სახელმწიფოს მომავალი უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამ ხანგრძლივ ბრძოლას მუდამ ერთგვარი მიმართულება და ხასიათი არა ჰქონია: პირველი ორი საუკუნის განმავლობაში რაკი საქართველო დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სამთავროებადა და სამეფოებად და, მემატიანის სიტყვისამებრ, «იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა». ამის გამო «შეერიათ ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *440, გვ. 217).

პირველად თავი დასავლეთ-სამხრეთ საქართველომ წამოყო, სახელდობრ VIII საუკუნის მეორე ნახევარში. აფხაზეთი არაბთა ბატონობას იმთავითვე გადაურჩა და კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრისაგან იყო დამოკიდებული; მაგრამ სწორედ VIII საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლითა და შინაური საეკლესიო უთანხმოებისა და გამწვავებული ბრძოლისა გამო ხატების თაყვანისმცემლებსა და უარმყოფელთა შორის. ამით უსარგებლია აფხაზეთის იმდროინდელ ერისთავს. მემატიანის სიტყვით: «რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით **ლეონ,** ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი; ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, **დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხადმდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა**»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 218).

ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი და გამოცემული ბაგრატ III ”დივანი მეფეთა”-ს ქართული დედანი საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, როდის უნდა მომხდარიყო ლეონის აფხაზთა მეფედ დაჯდომა. თუმცა აქამდისაც მოგვეპოვებოდა იგივე ცნობები, მაგრამ მხოლოდ დოსითეოს პატრიარქის ბერძნულად დაწერილ წიგნში ნათარგმნი. რაკი აქამდის მისი დედანი არა ჩანდა, ამიტომ თვით ამ წყაროს ცნობებით მკვლევარს ფრთხილად უნდა ესარგებლა. ეხლა გამოირკვა, რომ თარგმანი დედანს უდგება. ბაგრატ III ”დივანი მეფეთა” ამტკიცებს, რომ ლეონ «დაყო მეფობასა შინა თჳსსა წელიწადი ორმეოცდახუთი»[196]. მეფეთა ინდიქტიონების საშუალებით ე. თაყაიშვილმა, როგორც თავის დროზე **ბროსემაც,** სცადა ბაგრატ III მოყოლებული

[196] ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 21.

უკუქცევითი გამოანგარიშებით გამოერკვია აფხაზთა მეფეების თარიღები, და ლეონ პირველი გამეფებულია 746 წელს და უმეფია 791 წლამდე[197].

როგორც ზემოთ (თავი II) აღნიშნული იყო, ამ დროის განმავლობაში ქართლში არაბთა მკაცრი ბატონობის ქვეშე ერისთავობდნენ ჯერ ნერსე, ხოლო მის შემდგომ სტეფანოზი, ძე გურგენისა. მერვე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში-კი ერისთავად ქართლში **აშოტ დიდი** ყოფილა. მაგრამ რაკი ქართლში არაბები ხანგრძლივ მშვიდობიანად არავის აბოგინებდნენ, ვერც ქართლის ერისთავმა **აშოტ კურაპალატმა** (786-826) გაუძლო არაბების ეჭვს. «იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერა უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან და წარემართა რათა წარვიდეს საბერძნეთად» (**სუმბატი,** ც˜ა და უწ˜ ყბა, 51). იგი დაესახლა არტანუჯში და «მისცა ღმერთმა გამარჯვება და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა»; ხოლო აქ «განემტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა» (იქვე 53). თავისი კეთილი განწყობილება და მფარველობა კეისარმა იმითაც დაამტკიცა, რომ «ბერძენთა მეფემან **მიუბოძა კურაპალატობა აშოტსა**» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 219).

VIII ს. დასასრულს თვით მაჰმადიანნიც ისე საშიშარნი აღარ იყვნენ, «მოძლურებულ იყვნეს სარკინოზნი» და «ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგან თჳნიერ ალი შუბის ძისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *441, გვ. 219). თანდათან თბილისის ამირები ცდილობდნენ ხალიფასაგან დამოუკიდებლობა მოეპოვათ.

ქართლი ცარიელი დარჩა; აქ მტკიცედ ფეხის მოკიდება ჯერჯერობით კიდევ არ შეიძლებოდა; თბილისში მჯდომი არაბი ამირა რაც უნდა იყოს ქართლის ერისთავის მუდმივი მეტოქე იქმნებოდა. ამიტომ აშოტისათვის ბედნიერება იყო, რომ იგი მესხეთში გაიხიზნა და იქ ბიზანტიის კეისრის მფარველობის წყალობით მაგარი ბინა გაიჩინა. როგორც თავის დროზე ბიზანტიის მფარველობის ქვეშე მყოფმა ლეონ ერისთავმა ზურგი გაიმაგრა და შემდეგ წელში ადვილად გასწორდა, ისე რომ მეფის სახელიც კი მოიხვეჭა, - ამგვარადვე, რაკი მოღონიერდებოდა, ბერძნების მფარველობა აშოტს არას დაუშლიდა, არაბებისაგან-კი ცოტადაც არის დაფარული იქმნებოდა. ამგვარად დამყარდა შავშეთ-კლარჯეთის საერისთავო.

აშოტ კურაპალატის (786-826) დროსვე ცხოვრობდა **გრიგოლი,** რომელიც **"მთავრობდა კახეთს"** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 219). მემატიანე სდუმს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იყო კახეთი წინათ, ან რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა გრიგოლი და როდის გამოცოცხლდა კახეთი. ამიტომ მკვლევარი იძულებულია კახეთის მაშინდელ მდგომარეობაში წარსული დროის ამბავი ამოიკითხოს. კახეთი სახელდობრ გრიგოლის დროს იმდენად ძლიერი იყო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომ უეჭველია იქ ხალხი გრიგოლზე უწინ უნდა ამოძრავებულიყო.

VIII საუკუნის დასასრულს, მაშასადამე, საქართველოს მიწაწყალი ოთხს სხვადასხვა მფლობელს ეჭირა: თბილისი მისი მიდამოებით და ქართლის სამხრეთი ნაწილი, ანუ საქართველოს შუაგული, არაბ ამირას ალი შუაბის ძეს ჰქონდა; საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი კახთა მთავარს ეპყრა, რომელსაც **"ქორეპისკოპოსი"** ეწოდებოდა (იხ. ამის შესახებ, თავი I); დასავლეთი ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთის მხარე აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა, სამხრეთი აშოტ კურაპალატსა და მის ჩამომავლობას. ამათ გარდა საქართველოს სამხრეთით, მოსაზღვრე სომხეთშიაც აღმოცენდა თანდათან ადგილობრივი სამთავროები.

[197] იქვე, გვ. 28.

სწორედ ამ მთავრებს შორის იყო გამწვავებული ბრძოლა უპირატესობისა და ბატონობის გამო; თითოეული მათგანი ყოველ ღონეს ხმარობდა, სულ იმის საგონებელში იყო, თუ როგორ გაეფართოვებინა თავის სამფლობელო და სხვისი ხელში ჩაეგდო, როგორ შეეერთებინა სხვადასხვა სამთავროები და თითონ ერთადერთ ბატონად გამხდარიყო; თითოეული მთგანი ცდილობდა თავისთვის და სხვის მოქმედებას აფერხებდა; კახეთის ქორეპისკოპოზი, ტაოკლარჯეთისა და ”ქართველთა მეფეები”, აფხაზთა მეფეებიც და სომეხთა მეფეებიც ამისათვის იბრძოდნენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულნი და თანდათანობით, მაგრამ მედგრად ამ მიზნის განხორციელებასა ცდილობდნენ. დიდი ყურადღების ღირსია ეს შეუჩერებელი, ზოგჯერ ჩუმი, ზოგჯერ პირდაპირი ბრძოლა ბატონობის მოპოების და ქვეყნის გაერთიანების გულისათვის!..

ამ მისწრაფებისა და მოვლენის ხასიათისა და ისტორიის შესასწავლად აუცილებლად საჭიროა თითოეულ ზემოჩამოთვლილ ქართული სამფლობელოს მაშინდელი საზღვრები მხედვლობაში გვქონდეს.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ლეონმა, აფხაზთა პირველმა მეფემ, აფხაზეთის გარდა დაიპყრა აგრეთვე ”ეგრისი ვიდრე ლიხადმდე”; აფხაზთა მეფის სამფლობელო ჩრდილოეთისაკენაც გადაფენილი ყოფილა; ჯიქეთიც მაგალითად უეჭველია აფხაზთა მეფესა სჭერია, ეს იქიდგანა ჩანს, რომ გიორგი მეფემ კახეთის ერთ-ერთ ციხეში შეპყრობილი ხახუა ”წარსცა პყრობილად ჯიქეთსო”-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *455, გვ. 232).

კახთა ქორეპისკოპოზების სამფლობელოს ჩვეულებრივ დასავლეთის საზღვრად არაგვი ითვლებოდა; როგორც უკვე (თავი I, საისტორიო გეოგრაფია) აღნიშნული იყო, მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი კახეთის მფლობელსა ჰკუთვნებია და საზღვრად არაგვის დასავლეთით მდებარე ქვეყანა ყოფილა, კახეთს ეკუთვნოდა ამ დროს აგრეთვე გარდაბანი; გარდაბანელნი საზოგადოდ კახეთის იმდროინდელ საქმეებში დიდს მონაწილეობას იღებდნენ. კახეთის აღმოსავლეთის საზღვრის გამორკვევა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება, იმიტომ რომ მემატიანეს პირდაპირი ცნობები ამის შესახებ მოყვანილი არა აქვს; ვიცით მხოლოდ, რომ ვეჟინის ციხე უკვე კახეთს არ ეკუთვნოდა; ისტორიკოსი მაგალითად მოგვითხრობს, რომ ”უჴმო კჳრიკე ქორეპისკოპოზმან (კახთა მეფემ) კონსტანტინე აფხაზთა მეფესა: ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა”-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228); მაშასადამე, ვეჟინის ციხე ჰერეთში მყოფი მაშინ კახთა მეფეს არა სჭერია. დაახლოვებით შეიძლება ამიტომ ჭერმის ხეობა კახეთის აღმოსავლეთის საზღვრად ჩავთვალოთ.

იმ თავითვე აფხაზთა მეფეები გაერთიანების გზას დაადგნენ და თავიანთი სამფლობელოს გაფართოებასა ცდილობდნენ; უკვე პირველმა მეფემ აფხაზეთი არ იკმარა და თავისი საბრძანებლის აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის მთამდე გადასწია. ამგვარსავე გზას მისდევდნენ კახეთის მთავრები, რომელთაც ქორეპისკოპოსებს ეძახდნენ” სწორედ იმ დროს, როცა არაბებისაგან დევნილი **ქართლის ერისთავი აშოტი,** შემდეგ კურაპალატად სახელდებული, იძულებული იყო ქართლისათვის თავი მიენებებინა და კლარჯეთში დაბინავებულიყო, სწორედ ამ დროს, როგორც ეტყობა, **კახეთის მთავარი გრიგოლი** დაძრულა და ქართლის ერთი წილი, ქსნის ხეობა და ქსნის დასავლეთით მდებარე დანარჩენი შიდა ქართლი, დაუპყრია (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 219); სანამ აშოტი ახალ ადგილას ზურგს გაიმაგრებდა გრიგოლს უკვე ეპყრა «ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან» (იქვე). კახთა ბატონის საბრძანებლის ასეთი გაფართოება და ქართლის ერთი წილის დაჩემება, რასაკვირველია, არაფრად

მოეწონებოდა აშოტ კურაპალატს, რომელიც თავის თავს ქართლის კანონიერ მთავრად სთვლიდა. არც მაშინდელს აფხაზთა მეფეს თეოდოსის (791-818) მოსვლია ჭკუაში კახთა ქორეპისკოპოზის გაძლიერება. ამიტომ «გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან და უშველა **თეოდოსი, აფხაზთა მეფემან,** ძემან მეორის ლეონისამან, რომელი იგი იყო სიძე აშოტ კურაპალატისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 219). კახთა ბატონმა გრიგოლმა ჩინებულად იცოდა, რომ ეს შეერთებული ლაშქრობა მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული და თითონაც დაუყოვნებლივ კახეთით ჩამოვიდა; ამას გარდა «გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილისისამან» (იქვე); ტფილისის მფლობელის გულში, მაშასადამე, აშოტისადმი სიძულვილი და მტრული გრძნობა არ დამცხრალა; ხოლო კახეთის ქორეპისკოპოზის გაძლიერებას, როგორც ჩანს, იგი მოწყალის თვალით უცქეროდა და მფარველობას უწევდა. «შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, გააქციეს მთავარი კახეთისა და დააყრეინეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთით გან ვიდრე ქსანამდის»-ო (იქვე). რაკი ამ ბრძოლაში აფხაზთა მეფეს თეოდოსის მიუღია მონაწილეობა, მაშასადამე, ეს ამბავი 791-818 წ. შუა უნდა მომხდარიყო. კახთა ბატონის დაწყებული საქმე, ამგვარად, ჩაიშალა; შეერთებულმა ძალამ, რომელსაც იგივე განზრახვა ჰქონდა, კახეთის ქორეპისკოპოზი თავის ქერქში ჩააყენა და წინანდებურ, ჩვეულებრივ საზღვრებში შემოზღუდა. გამარჯვებულმა აშოტ კურაპალატმა თავისი საბრძანებელი გააფართოვა და თავისი წინანდელი სამფლობელოს ერთი ნაწილი ქსნის ხეობამდის დაისაკუთრა.

მაგრამ არც აშოტ კურაპალატის გამარჯვება და ბატონობა ყოფილა ქართლში ხანგრძლივი: «მოვიდა ხალიდ იაზიდის ძე არაბი[198] და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 220). მალე ჯერი აშოტზედაც მიდგა.

იმ დროს როცა იგი ცდილობდა «რათამცა შეიკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 53) და ომის სამზადისში იყო, «დაესხნენ მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი» (იქვე); გაქცეულს კურაპალატს არაბები კვალ-და-კვალ დაედევნენ, მოეწივნენ და 29 იანვარს 826 წელს ეკლესიაში ზედ საკურთხეველზე მახვილით მოჰკლეს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 220 და სუმბატის, ც˜ა და უწ˜ყბა, 54).

მოკლული კურაპალატის მცირეწლოვან შვილებს «რომელ გარეთ-ქუეყანა ჰქონდა წაუღეს სარკინოზთა» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 55); ხოლო გარეთ-ქუეყანად აქ ქართლი იგულისხმება, იმიტომ რომ შავშეთ-კლარჯეთის მფლობელებს წინათ არა ჰკუთვნებია და ამ საერისთაოს საზღვრებს გარეშე იყო; მეორე მატიანე პირდაპირ ამბობს კიდეც: «ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *442, გვ. 220). არც ეს იკმარეს არაბებმა და ქართლს ზედ აშოტის საკუთარი სამფლობელოც მიაყოლეს «და იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჴევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 55); ამიტომ აშოტის სამივე შვილს იმდენად შეუმცირდათ სამფლობელო, რომ მათ «ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს... ნაქონები იგი მამისა მათისა» (იქვე 55). მაშასადამე, არტანუჯის აღმოსავლეთით ყველაფერი ჩამოსცლიათ.

არაბების ჩარევამ შეაჩერა რამდენიმე ხნით დაწყებული საქმე, როცა მოკლული აშოტის შვილები წამოიზარდნენ, ბიზანტიის კეისარმა **კურაპალატობა შუათანა ძმას**

---

[198] ხალიდ იაზედის ძე, ანუ ხალიდ იბნ იაზიდ, სომხეთში ამირად იყო ხალიფა ალ-მამუნის დროს (813-833 წ.), იხ. **M. Ghazarian,** Armenien, გვ. 50.

ბაგრატს უწყალობა; ხოლო «ძმანი მისნი ყოველნი და დიდებულნი ჴელმწიფენი ადარნერსე, უხუცჷსი, და გუარამ, მრწემი, მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნნეს საღმთოჲსა ძმობისა სიყუარულითა» (ც˜ა გ˜გლ ხანძ˜თლსჲ, კჷ). თანდათან შვილები იბრუნებდნენ მამის შეძენილ სამფლობელოს; მემატიანე ამბობს: «ხოლო რაჟამს სრულ ჰასაკ იქმნეს იგინი, კუალადცა მისცა ღმერთმან მათვე იგი ნაქონები მამისა მათისა»-ო (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 55). ქართველი მთავრების მდგომარეობა ისე ძნელი აღარ იყო.

ხალიფას ბრძანებისამებრ რომ «დაჯდა ამირად ტფილისსა საჰაკ ისმაელის ძე» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443, გვ. 220) და გაძლიერდა, ხალიფა ვასიკს (842-847) იგი არაფრად აგდებდა და ურჩობა დაუწყო[199]; თავგასულ ამირას დასასჯელად ხალიფამ ისევ ხალიდ იაზიდის ძე გამოგზავნა[200]; ეს მისი მესამე მოსვლა იყო საქართველოში და ამასთანავე უკანასკნელი; ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: «ხალიდ მოვიდა მესამედ და მოჰკლეს ჯავახეთს»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443, გვ. 220); სომეხთა მემატიანის **ასოღიკის** სიტყვით ხალიდ იაზიდის ძე საქართველოში 841-842 წელს მოსულა[201] და «მომკვდარა[202] ჯავახეთში, სოფელში, რომელსაც ჰქვიან ხოზაბირ». ქართველისა სომეხი მემატიანეების ცნობას არაბი ისტორიკოსი **იაკუბიც** ემოწმება და ადასტურებს, რომ ხალიდი კავკასიაში მესამეჯერ მოსვლისას მომკვდარა მხოლოდ ავადმყოფობისგანო[203].

მამის მაგიერ მოვიდა "ძე მისი მოჰამედ"[204]. ამ არაბთა შორის ჩამოვარდნილი მტრობითა და აჯანყებით ისარგებლეს ქართველმა მთავრებმა; ერთმა ერთის მხარე დაიჭირა, მეორემ მისი მოწინააღმდეგისა. მოვიდა თუ არა მოჰმად ძე ხალიდისა, მას დაუყოვნებლივ «მოერთო ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443, გვ. 220) და ძალიანაც მოიგო, იმიტომ რომ მადლიერმა არაბთა სარდალმა «მისცა მას ქართლი» (იქვე). გამოვიდა თუ არა მათ წინააღმდეგ ურჩი თბილისის ამირა საჰაკი, «მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისსა» (იქვე, 220-221). ვიდრე კახელები მოუსწრობდნენ, მოჰმედმა და ბაგრატ კურაპალატმა საჰაკს უფლისციხე წაართვეს. მოკავშირეთა ბრძოლა არაფრით დაბოლოვდა: «არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს»-ო, მოგვითხრობს მემატიანე. ეს უნდა მომხდარიყო 842 წელს შემდგომ, ესე იგი იმავე წლის ახლო ხანებში, როცა მოჰმედი მამის სიკვდილის შემდგომ საქართველოში მოვიდოდა. არაბ მემატიანეს **იაკუბის** ცოტა სხვანაირად აქვს ეს ამბავი მოთხრობილი: თუმცა ისიც ამბობს, რომ თბილისის ამირას კახელნი, ანუ "წანარნი" ეშველებოდნენ, მაგრამ იგი ამტკიცებს, ვითომც გამარჯვება მოჰმედს დარჩენოდეს და მას საჰაკი გაექციოს[205]. მაგრამ რომ ქართველი მემატიანის ცნობა უფრო სწორია და თბილისის ამირა დამარცხებული არა ყოფილა, ამას ბუღა თურქის ლაშქრობაც ამტკიცებს. ამირა საჰაკი რომ დამარცხებული ყოფილიყო, მისი საგანგებოდ დამორჩილება საჭირო აღარ იქნებოდა.

---

[199] **M. Ghazarian,** Armenien, 50.

[200] იქვე, 50.

[201] ----------?, **გვ.97**. 1885, პეტერბურგის გამოცემა, გვ. 106.

[202] ასოღიკს არა აქვს აღიშნული , თავისით მოკვდა თუ მოჰკლეს, როგორც მოგვითხრობს ქართველი მემატიანე.

[203] J. **Marquart,** Streifzüge, გვ. 410, 411.

[204] იქვე, გვ. 441 და **M. Ghazarian,** Armenien, გვ. 50

[205] **J. Marquart**, Streifzüge, 441.

რაკი თბილისის გამდგარი ამირა დაუსჯელი გამოვიდა ბრძოლითგან, ხალიფა მუტევაკკილმა საგანგებოდ სარდალი გამოგზავნა, რომელსაც სომხეთის ერისთავებისა და თბილისის ამირა საჰაკ ისმაელის ძისათვის ჭკუა უნდა ესწავლებინა. მოვიდა ეს მხედართმთავარი «ბუღა, თურქი მონა, ბაღდადით, რომელიც გამოეგზავნა ამირ მუმნსა, სპითა დიდითა, შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყუნა იგი ყოველი მთავარნი მათნი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443, გვ. 221). იქ რომ მორჩა მონდობილ საქმეს, ახლა საქართველოსაკენ იქცია პირი და 835 წ. «მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა ამირა საჰაკ; მოკლა საჰაკ. შემუსრა ქალაქი ტფილისისა, დაწუა ცეცხლითა და მოაოჴრნა ყოველნი არენი მისნი»-ო (იქვე).

ბაგრატ კურაპალატი აქაც წინანდებურად მოიქცა და ბუღას მიემხრო, **თეოდოსი აფხაზთა მეფე** კი ბუღას წინააღმდეგ წამოვიდა; მაგრამ ბუღამ «ვითარცა ცნა წარავლინა ზირაქ, სპასალარი თჳსი და ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა შეებნეს და გააქცივნეს აფხაზნი»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *443-*444, გვ. 221). უეჭველია, ბაგრატი ამ შემთხვევაშიც დახმარებისათვის არაბ სპასალარისაგან ღირსეულს ჯილდოს მიიღებდა და თავის მდგომარეობას უფრო განამტკიცებდა. ყურადღების ღირსია, რომ ”მტ˜ნე ქ˜ჲ”-ში ”მ˜მ დ˜ფს ქ˜ც”-ის ხელნაწერში სწერია: «**თეოდოსი** მეფე აფხაზთა გამოვიდა»-ო მაგრამ 835 წ. როგორც ბაგრატ III-ის ”მეფეთა დივანი”-თგან ჩანს, თითქოს დემეტრე II (818-845) უნდა მჯდარიყო და არა თეოდოსი II (791-818), რომელიც ამ დროს ამ წყაროსდა მიხედვით დიდის ხნის მკვდარი იყო[206]. თუმცა შემდეგში ”მტ˜ნე ქ˜ჲ” ეთანხმება ”მეფეთა დივანს” და აფხაზთა მეფედ ასახელებს გიორგის თეოდოსისა და დიმიტრის ძმას, ლეონის ძეს (*446, გვ. 223), როგორც იგი მოხსენებულია ”მეფეთა დივან”-ში[207], - მაგრამ რაკი ქრონოლოგიურად ”მეფეთა დივანის” ცნობები სხვა შემთხვევაშიაც არ უდგება არც ”მტ˜ნე ქ˜ჲ”-ის, არც სუმბატის თხზულების ცნობებს და თვით ნუსხაც ისეა შედგენილი, თითქოს არავითარი არეულობა არ უნდა მომხდარიყოს, გამოტოვებულია იოანეს და ადარნასეს მეფობა (იხ. მტ˜ნე ქ˜ჲ, *446, გვ. 223-224), არაფერია ნათქვამი აგრეთვე გიორგისა და ბაგრატის სამეფო ტახტის გამო ბრძოლის შესახებ (იქვე, *451, გვ. 228), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ”მეფეთა დივანს” არამცთუ ცნობები აკლია, არამედ თვითონ მეფობათა ინდიქტიონეში აქა-იქ, იქნებ გადამწერთა წყალობით, შეცდომები უნდა იყოს შეპარული.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ უცვლელად ვტოვებთ ”მტ˜ნე ქ˜ჲ”-ის ცნობას იმიტომ, რომ როგორც ხანგრძლივმა და ყოველმხრივმა კრიტიკულმა განხილვამ დაგვარწმუნა, იგი უმაღლესი ნდობის ღირსია.

ბუღა თურქის ლაშქრობას კავკასიაში, სომხეთში, და საქართველოში, უცხოელი ისტორიკოსებიც მოგვითხრობენ, სომხური და არაბულიც, და მათი მოთხრობა საზოგადოდ ადასტურებს ქართველი მემატიანის ცნობებს. დასასრულ, იგივე შემთხვევა აღნიშნულია ატენის სიონის სამხრეთ-დასავლეთის შიგნითი კედლის წარწერაში, რომელიც ამასთანავე ქრონოლოგიურს ცნობებსაც შეიცავს.

ეს შესანიშნავი წარწერა მოგვითხრობს:

> ”თთოჴესა აგოჴისტოსსა ე˜სა[208]: დღესა შაბათსა
> ქორონიკონსა ო˜გსა[209]; ისმაიტელთა წელსა სლ˜თსა[210]:

---

[206] იხ. ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 28.

[207] იქვე, გვ. 21.

[208] = ხუთსა

ქალაქი ტფილისი დაწოჳა ბოჳღა და შეიპყრა
ამირაჲ საჰაკ და მოკლა: და მასსვე თთოჳესა
აგოჳსტოსსა კ˜ესა[211] დღესა შაბათსა-ვე ზირაქ
შეიპყრა კახაჲ და ძჳ მისი თარჴოჳჯი”[212].

მაშასადამე, ქ. ტფილისის აღება მომხდარა 853 წ. 5 აგვისტოს შაბათს დღეს; ბუღამ ტფილისი დაწვა და ამ დაწვის დროს არაბ ისტორიკოსის ატ-ტაბირის სიტყვით, დაღუპულა 50000-მდე მცხოვრები ორთავე სქესისა[213]. კახაჲ ერისთავი და ძჳ მისი თაჴუჯი, რომელიც ზირაქ სპასალარს იმავე წელს იმავ თვესვე 26-სა აგვისტოს ტყვეთ შეუპყრია, ალბათ, აფხაზთა მეფის მხედრობაში იქმნებოდა და არაბ-აფხაზთა ლაშქრობის ბრძოლის დროს იქმნებოდა დაჭერილი. არაბებმა კახა აწამეს; **თომა არწრუნი** მას წმიდანს უწოდებს[214].

ქართლში რომ გული მოიოხა, ბუღა ჭართალეთს გაემგზავრა და «აღიყუანა მთეულთაგან მძევალი კაცი: - ტ:» (300), უნდოდა ოსეთში შესულიყო, ცხავატამდის მიღწია, მაგრამ აქ მცხოვრებლებმა აბულაბაზ სომეხთა ერისთავისა და გუარამ მამფლის, აშოტ ძის, ჩაგონებით არაბებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ბუნებამაც ქართველებს ხელი შეუწყო, დიდი თოვლი მოვიდა და ისედაც გაჭირვებულს არაბს სარდალს საქმე უფრო გაუძნელა. არაბებმა ძალიან იზარალეს: «მოკუდა სარკინოზთა გან ურიცხვი». მეტი გზა რომ არა ჰქონდა, ბუღა უკან დაბრუნდა და დაიზამთრა ბარდავს. აქეთგან მან შემუსრა გარდაბანი და შეიპყრა გარდაბანის მთავარი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *444, გვ. 221-222; თომა **არწრუნი** და **ატ-ტაბირი,** იხ. ჩემი ზემოაღნიშნული წერილი, იქვე, 283).

შემდეგ ბუღამ «განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყუანნა ხაზარნი სახლი სამასი და დასხნა იგი შანქორს; დარიალანით გამოიყუანნა ოვსნი, ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *444-*445, გვ. 222). ჩვენი ისტორიკოსის ცნობას ბუღას მიერ შანქორში ხაზართა გადმოსახლების შესახებ ადასტურებს არაბი ისტორიკოსი **ბელაძორიც**, რომელიც ამ შემთხვევის თარიღად 854-855 წ. სთვლის[215]. იმიერ-კავკასიელთა ჩასახლებით ბუღას ამიერკავკასიაში, ალბათ, არაბთათვის და თავისთვის ერთგული ახალშენებისა და სანდო თავშესაფრის შექმნა ჰსურდა. მაგრამ ხალიფებს მუდამ ხაზარების შიში ჰქონდათ და თავისი მხედართმთავრის ბუღას მოქმედებას ეჭვის თვალით შეჰხედეს. «ამირა მუმნმან ვითარ ცნა, ვითარმედ ხაზართა ტომთა მისთა ზრახავს, მოუვლინა ბუღას, რათა დაუტევოს ქართლი მუჰმედს ხალიდის ძესა, და წარვიდა ბუღა» კავკასიითგან (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 222). არაბი მემატიანე **იაკუბიც** ემოწმება ქართველს მემატიანეს და მოგვითხრობს, რომ წანართა ანუ არაგვის მთეულთა მიერ უკუქცეული ბუღა ხალიფა მუტევაკკილმა კავკასიითგან გაიყვანა და მის მაგიერ ქვეყნის მართა-გამგეობა მართლაც მუჰამმად ბენ ხალიდს ჩააბარაო[216].

---

[209] = სამეოც და ათსამეტსა.
[210] = ორას ოც და ათცხრამეტსა.
[211] = ოც და ექუსსა
[212] იხ. ჩემი, К вопросу о времени постр. груз. храма в Атени, «Христ. Восток», т. I, вып. III, გვ. 279.
[213] იქვე, გვ. 284.
[214] იქვე, გვ. 283.
[215] **J. Marquart**, Streifzüge, 24 და 413.
[216] იქვე, 413-414.

855 წ., მაშასადამე, ქვეყნის გამგეობა მუჰმედ ხალიდის ძის ხელში გადასულა. მერე «გარდაადგინა ამირა (მუმნ) მან მუჰმედ და დაადგინა ისე შიხის ძე, ნათესავი მუჰმედისავე»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 222). ეს ისე შიხის ძე მოხსენებულია სომხურს წყაროებშიაც სომხური--------?[217]გვ.100. და არაბულშიაც მისი სრული სახელი იყო ისა ბენ აშ-შეიხ აშ-შაიბანი და სომხეთის ვალიდ დანიშნული იყო 870 წელს[218]. ამავე დროს იგი აღმოსავლეთ საქართველოს მმართველადაც იქნებოდა დადგენილი.

ისე შიხის ძის შემდგომ «მოვიდა სხვა ამირა აბრაჰამ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 222-223), რომელიც იქნებ ის იბრაჰიმ იყოს, რომელიც ბუღას დროს სომხეთის ათასისთავად და სამეფო ხარჯის გამგედ იყო[219], ხოლო შემდეგ ნახჭევანის ამირად ჩანს[220]. რამდენს ხანს დაჰყო აბრაჰამმა, ნათქვამი არ არის, მხოლოდ აბრაჰამის შემდგომ «მოვიდა კუალად ამირად ხალიდის ძე მუჰმედ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 223). თომა არწრუნი მოგვითხრობს, ვითომც ხალიფას მუჰმედ ხალიდის ძე, რომელსაც იგი ”აჰმათ ჰალთის ძე ”-ს უწოდებს, კავკასიაში სომეხთა თხოვნისაებრ გამოეგზავნოს; ეს ამბავი მას 878 წლის შემდგომ აქვს მოთრობილი (გვ. 248), მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი, მუჰმედის მოსვლაც ამ თარიღის შემდგომ მოხდა, თუ არა? მუჰმედმა ძლიერება გამოიჩინა და «უფროს ნებიერად დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა, სომხითი, ქართლი და რანი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 223).

ამ დროსვე ცხოვრობდა ქორეპისკოპოზი **გაბრიელ დონაური**, ძმა სამოელ ქორეპისკოპოზისა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 222).

როგორც ზემოთ აღნიშნულ იყო, ბაგრატ კურაპალატი მოხერხებულად იქცეოდა და არაბების ურთიერთ შორის მტრობით და უთანხმოებით თავისთვის სარგებლობდა. მაგრამ თუ არაბების ძალის დახმარებითა და მფარველობით ბაგრატ კურაპალატი კარგად აფართოვებდა თავის სამფლობელოს და ამავე დროს აფხაზთა მეფის მოძრაობას აღმოსავლეთისაკენ გზაზე ეღობებოდა, ცალკე, თითონ შავშეთ-კლარჯეთის ბატონს მისი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. აკი ამიტომაც იყო, რომ «მას ჟამსა გამოვიდა იგი **აფხაზთა მეფე გიორგი,** ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხა ძე დიმიტრისი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *446, გვ. 223) და ბაგრატი იძულებული იყო გაჩუმებულიყო.

ყურადღების ღირსია, რომ შავშეთ-კლარჯეთის ბატონთაგან მარტო ბაგრატი იყო რომ ცდილობდა თავის სამფლობელოს გაფართოვებას; მისი უმცროსი **ძმა გუარამ მამფალიც** (+882 წ.) გულხელდაკრეფილი არა მჯდარა; პირიქით, მან თავისს უფროსს ძმას ვგონებ გადააჭარბა კიდეც; მემატიანის სიტყვით იგი მუდამ «ჰბრძოდა სარკინოზთა, ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა»; და თავის მედგარის ბრძოლის წყალობით მას თურმე დაუპყრია «ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445, გვ. 223).

ამასობაში «შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა, იპატრონა **დავით ძე ბაგრატისამან**» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *446, გვ. 224). ჩვენ ვიცით, რომ თრიალეთი გუარამ მამფალს ეკუთვნოდა; მაშასადამე, როცა დიპარიტმა თრიალეთში კლდეკარის ციხე ააგო და თავის პატრონად დავით ბაგრატის ძე გაიხადა, ერთიცა და მეორეც გუარამის მფლობელობის უფლებას არღვევდნენ და

---

[217] **იოანე კათალიკოზის** --------?**გვ.100.** ტფილისი, 1912, გვ. 139 და **თომა არწრუნის** ----------?, პეტერბურგის გამ., 1887, გვ. 215, 218, 221, 231 და 236.

[218] **Thopdschian,** Die inneren Zusi3nde,[von Armenien unter Ashot, Berlin, 1904], გვ. 23

[219] **თომა არწრუნი,** 191.

[220] იქვე, 195 და 196.

დავითი თავისი ბიძის წინააღმდეგ მოქმედებდა, რასაკვირველია, როცა ლიპარიტს მფარველობა გაუწია. ალბათ, სწორედ ამის გამო «ამას დავით კურაპალატსა აღუდგა მტრად **ნასრ ძე გუარამ მამფლისა**» (იქვე, შენიშვნ. 4) და მამის შელახული უფლების აღდგენა მოისურვა. რაკი აქ დავით კურაპალატად არის წოდებული, მაშასადამე ეს ამბავი უნდა 876 წ. შემდგომ მომხდარიყო, იმიტომ რომ ამ წელს მამის სიკვდილის შემდეგ დავით "კურაპალატ ჰყუეს" (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 57).

ამ დროს სომხეთშიაც მოიკრიბეს ძალა ადგილობრივმა ერისთავებმა: სხვებზე უფრო ძლიერი იყო ერისთავთ-ერისთავი **აშოტ ბაგრატუნი,** რომელსაც როგორც ეტყობა, თავისი სამფლობელოს გასაფართოებლად ჩრდილოეთისაკენ გამოულაშქრია და ქართლის დაპყრობა დაუპირებია. ხოლო ქართლში მაშინ აფხაზთა მეფე ბატონობდა და სომეხთა ერისთავთ-ერისთავს ჯერ აფხაზები უნდა დაემარცხებინა. აშოტ ბაგრატუნის მოქმედება, რასაკვირველია, არც გუარამ მამფალსა და მის შვილს ნასრს მოეწონებოდათ იმიტომ, რომ თუ იგი აფხაზებს ქართლს წაართმევდა, მაშინ იგი აბოცსა და ტაშირსაც ადვილად ჩაიგდებდა ხელში; ამის გამო, რასაკვირველია, მამაშვილნი სომეხთა ერისთავთ-ერისთავის წინააღმდეგ იქნებოდნენ; სწორედ ამიტომაც «ნასრ ძე გუარამისი და გურგენ იყუნეს აფხაზთა კერძ» (მტˇნე ქˇჲ, *446, გვ. 224). რაკი სომეხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, დავით კურაპალატი, ბაგრატის შვილი, რასაკვირველია, აფხაზთა მეფის მტერს მიემხრობოდა და ხელს შეუწყობდა, რომ ამგვარად თავისი მუდმივი მეტოქე და ქართლის მიმტაცებელი დაეუძლურებინა; მით უმეტეს რომ ნასრ, გუარამის ძე, აფხაზთა მეფეს ეხმარებოდა; სწორედ ამიტომ «დავით ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა» (იქვე).

ამგვარად, საქმე უფრო გართულდა; მებრძოლთ კიდევ ერთი მონაწილე მოემატათ. თუ აქამდის ერთიერთმანეთს მხოლოდ ქართველი მთავრები ეცილებოდნენ, ამიერითგან სომეხთა მთავრის ჩარევამ ბრძოლის საზღვრები და ასპარეზი გააფართოვა; თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, ამიერითგან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოსი და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა. ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა, ამ შემთხევაშიაც «იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი **ქართლსა ზედა**» (იქვე). რით დაბოლოვდა ეს ბრძოლა, ამის შესახებ არც ქართულსა და არც სომხურს წყაროებში ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ, როგორც ეტყობა, გამარჯვება სომეხთა ერისთავთერისთავს აშოტს დარჩენია; ეს იქითგანა ჩანს, რომ აშოტს "სომეხთა და ქართველთ ერისთავთ-ერისთავის" სახელი მიუღია[221].

რაკი ნასრმა, გუარამის ძემ, პირდაპირ ვერა დააკლო-რა თავის მტერს, თავისი ბიძაშვილი დავით ბაგრატის ძე შეიტყუა და 881 წელს მოჰკლა (მტˇნე ქˇჲ, *447. გვ. 224 და სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 57). მემატიანე მოგვითხრობს, რომ მკვლელის მამა გუარამ მამფალი «უბრალი იყო სისხლისა გან დავით კურაპალატისათა»-ო (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 57), ამ საზარელს ბოროტმოქმედებაში არავითარი, არც სულიერად და არც ხორციელად, მონაწილეობა არ მიუღიაო. თავისი მომხრის სისხლის შურის საძიებლად მოკავშირენი «ნასრას შეუკრბეს მტრად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი და აშოტ ძმა დავითისი და მათთან სარკინოზნი და გააქციეს და

[221] **ასოღიკი,** გვ. 158.

მიუხუნეს ციხენი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 224). დევნილი ნასრა გუარამის ძე კონსტანტინეპოლში გადაიხვეწა (იქვე და სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 57). ერთი წლის შემდგომ, 882 წელს, გარდაიცვალა ნასრის მამა გუარამ მამფალი (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58) და რაკი მას მემკვიდრე არ ჰყავდა, მთელი მისი სამფლობელო, ანუ ჯავახეთი, არტანი და ტაშირი დავითის შვილებს უნდა რგებოდა, აბოცს გარდა, რომელიც გუარამმა იმთავითვე «განუყვნა... ძმათა თჳსთა, ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმა თჳსთა სომეხთა მეფესა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *445-446, გვ. 223).

შვიდი წლის განმავლობაში ნასრი ბიზანტიაში იმყოფებოდა; იქვე იყო დემეტრე აფხაზთა მეფის შვილი ბაგრატი; დაიპყრა თუ არა ბაგრატმა აფხაზეთში სამეფო ტახტი, მაშინვე «გამოიყუანა ბაგრატ, მეფემან აფხაზთა[მან], ნასრ ცოლის ძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 225 და სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა 58); ამგვარად, აფხაზთა მეფემ ნასრი ტაო-კლარჯეთის მფლობელთა წინააღმდეგ აამხედრა, აფხაზთა ჯარს გარდა ნასრის ოსებიც შველოდნენ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 225), «შეიკრიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხვი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58). შეერთებული მხედრებითურთ აფხაზეთითგან «გარდმოვიდა ნასრ საცხეს» (იქვე, 58) და "შეიპყრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჯე, ჯუარის ციხე და ლომსიანთა", რომელიც მისივე მამის გუარამის აგებული იყო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 225). თავისი მამის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდა ადარნასე დავით მოკლულ კურაპალატის ძე და «მიჰყუა მის თანაშეწევნად... გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58); როგორც ნასრის აფხაზები ეხმარებოდნენ, ისე ნასრის მოწინააღმდეგეებს «უშუელეს სომეხთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, 448, გვ. 225); ამგვარად, ნასრისა და დავითის მემკვიდრეებს შორის ხერხიანად მოწყობილი ბრძოლა ნამდვილად აფხაზთა და სომეხთა ბრძოლა იყო და ეს ცხადად ჩანს მემატიანის სიტყვებითგანაც; მოპირდაპირენი მტკვრის პირას შეიბნენ, მაგრამ «იძლივნეს აფხაზნი, ნასრ და ბაყათარ ოვსი და ერისთავი აფხაზთა» (იქვე); გაქცეულ ნასრას დაედევნენ და სამცხეში, ს. ასპინძასთან 888 წელს მოჰკლეს (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58-59).

რაკი ეხლა ნასრი წუთისოფელს გამოასალმეს და მას «არა დაუშთა შვილი» (იქვე, 59), გამარჯვებულ მოკავშირეებს შეეძლოთ მისი მემკვიდრეობა საბოლოოდ გაეყოთ; სწორედ ასეც მოიქცნენ და «ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა» (იქვე, 59); თითოეული მონაწილეთაგანი თავის კერძს მიიღებდა: «გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ კალმახით, მამულით თჳსით, ცხორებად შავშეთს და **არტანს**» (იქვე, 59); ნასრას სამკვიდრებლითგან გურგენს ბრძოლაში მოხმარებისათვის ჯილდოდ, ალბათ, არტანი არგუნეს; აიღეს თუ არა რაიმე წილი თავისთვის სომხებმა და თუ აიღეს სახელდობრ რომელი ქვეყანა შეხვდათ, მემატიანე არას ამბობს.

ზემომოყვანილს ამბებში აფხაზთა მხრივ მონაწილედ ჩვენი მემატიანეები ასახელებენ **ბაგრატ მეფეს** (მტ˜ნე ქ˜ჲ, *447, გვ. 225; სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 58), მაგრამ "მეფეთა დივანის" და მიხედვით[222] 888 წ. აფხაზთა მეფედ ბაგრატ I კი არ იყო, რომლის მეფობას 861-873 წ. ერგება, არამედ კონსტანტინე III (873-912). მაგრამ რაკი "მტ˜ნე ქ˜ჲ" და **სუმბატის** თხზულება სხვაფრივ მეტად სანდო საისტორიო წყაროებია და ამასთანავე "მტ˜ნე ქ˜ჲ"-ში უფრო მეტი და ზედმიწევნითი ცნობები მოიპოვება, ვიდრე "მეფეთა დივანში", ამიტომ იძულებული ვართ უპირატესობა ზემოაღნიშნულს ორს თხზულებას მივანიჭოთ. საგულისხმოა, რომ ბროსეს მიერ

[222] ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 53.

გამოანგარიშებული ბაგრატ I სიკვდილის თარიღი 906 წ.[223] კარგად უდგება, მაინცა-და-მაინც არ ეწინააღმდეგება არც "მტ˜ნე ქ˜ჲ"-ს, არც სუმბატის ცნობებს. ამიტომ, უეჭველია, "მეფეთა დივანს" ან რამე უნდა აკლდეს, ან მეფობათა ინდიქტიონები აქა-იქ, მერმინდელ გადამწერთაგან, დამახინჯებული იქნება .

როდესაც **ადარნასე კურაპალატმა და ქართველთა მეფემ** 891 წელს თავისი მოკავშირის სომეხთა მეფის აშოტის (მეფედ აღიარებული იყო 887 წ.) სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე სომხეთში გაეშურა, რომ განსვენებულის შვილის სუმბატისათვის სამძიმარი ეთქვა. გზაზე ქ. კარში შეუხვია და იქ მყოფს სუმბატის ბიძას აბასს სადარბაზოდ ეწვია. რაკი აბასი თავისი ძმის უფლების დამკვიდრებას ფიქრობდა, ადარნასეს სუმბატთან გამგზავრება არაფრად მოეწონა, ვაი თუ ჩემ ძმისწულს მიემხროსო. ამის გამო აბასი ადარნასეს სუმბატთან არ უშვებდა, სანამ მან ამგვარ ძალადობას წინააღმდეგობა არ გაუწია. მივიდა თუ არა ადარნასე სუმბატთან და სამძიმრის თქმას მორჩა, მაშინვე მან სუმბატს თალხები გაახდევინა და სამეფო პატივის სამკაული ჩააცმევინა. ამგვარად, აბასის ეჭვიანობა სამართლიანი და საფუძვლიანი გამოდგა. გაბრაზებულმა აბასმა შინისაკენ წამოსული ადარნასე შეიპყრა და დაამწყვდია. სომეხთა მეფემ სუმბატმა თავისი დატყვევებული მომხრე ძვირფასი სასყიდლით გამოიხსნა: იგი იძულებული იყო ადარნასეს მაგიერ აბასისათვის თვისი შვილი აბასი და ძმისწული აშოტ შაპუჰის შვილი მიეცა მძევლებად[224] სომეხთა მეფის სუმბატისა და ადრნასე ქართველთა მეფის მეგობრობასაც გარკვეული მიზანი ჰქონდა.

904 წელს გამოვიდა «**კონსტანტინე[225] აფხაზთა მეფე**» და "დიპყრა ქართლი", რომელიც ამ დროს ქართლის აზნაურების ხელთ იყო. ამის გამო «დაემტერა სომეხთ მეფე სუმბატ ტიეზერაკალი და მოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლის-ციხესა... და წარიღეს ციხე ჴერჴითა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *448, გვ. 225-226); სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის სიტყვით, სუმბატ სომეხთა მეფეს ბრძოლაში აფხაზთა მეფის წინააღმდეგ **ქართლის მეფე ადარნესე** (888-923) ეხმარებოდა, თუმცა აფხაზთა მეფე ადარნასეს სიძე იყო[226]. ასე იქცეოდნენ ხოლმე, როგორც ვიცით, ყოველთვის ტაო კლარჯეთ-შავშეთის ბატონები, აწ უკვე "ქართველთა მეფედ" წოდებულნი, ოღონდ-კი როგორმე აფხაზთა მეფეების გაძლირება შეეფერხებინათ.

კონსტანტინე აფხაზთა მეფე მეტოქეების შემოსვლისთანავე ქართლითგან გავიდა და მიუვალ ადგილებში შეიხიზნა; მაგრამ რაკი მოკავშირენი მის საბრძანებელს აოხრებდნენ, ისევ დაზავება ირჩია და სუმბატს მოციქულები მიუგზავნა. სომეხთა მეფემ თავის მხრივ წარმომადგენლებად ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლად სომეხი დიდებულები გაგზავნა. როცა აფხაზთა მეფე კონსტანტინე მათთან საუბრით გართული იყო, სომეხთა დიდებულები ადარნასე ქართველთა მეფის ბრძანებისამებრ მოულოდნელად მისცვივდნენ კონსტანტინეს და დაატყვევეს. უეჭველია, ამ ვერაგი განზრახვის მონაწილე სომეხთა მეფეც უნდა ყოფილიყო. სომეხთა მეფემ იგი ანისში გაგზავნა. ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა "მეგრელები", რომ კონსტანტინეს მაგიერ გადაწყვიტეს სხვა უფრო მხნე და გულადი კაცი დაესვათ მეფედ. ეს რომ სუმბატმა შეიტყო, შეფიქრიანდა, ვაი თუ ახალი მეფე

---

[223] **Brosset**, Additions, გვ. 175.

[224] **იოანე კათალიკოზი,** ----------? **გვ.103**., ტფილისი, 1912, გვ. 144-146. **Brosset**, Additions, 162.

[225] ბაგრატ III-ის "მეფეთა დივან"-ის მიხედვით კონსტანტინეს უმეფნია 873-912 წ. (ძველი საქართველო, II, 53), მაგრამ აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს იმიტომ, რომ კონსტანტინე ცოცხალია 914 წ. შემდგომაც.

[226] **იოანე კათალიკოზი,** გვ. 200-201; **Brosset,** Additions, 163-164.

საშიში მეტოქე აღმოჩნდესო და ამიტომ ოთხი თვის შემდგომ ისევ კონსტანტინეს განთავისუფლება არჩია და აასრულა კიდეც[227]. გუშინდელი მტრები მეგობრებად და ნათესავებად გადაიქცნენ: «კეთილად იმზახნეს სუმბატ და კონსტანტინე და უკუსცა უფლისციხე და ქართლი»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *448, გვ. 226).

როცა ადარნასე ქართველთა მეფემ სომეხთა მეფისა და კონსტანტინე აფხაზთა მეფის, თავისი დაუძინებელი მეტოქის, დამეგობრების ამბავი გაიგო, საშინლად განრისხდა: ამიერითგან სომეხთა მეფესთან კავშირს მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და, რამდენადაც წინათ იგი სუმბატის ერთგული მომხრე იყო, იმდენად ეხლა იგი მას გადაემტერა და სულ იმის საგონებელში იყო, რომ სომეხთა მეფისათვის ევნო როგორმე[228].

ამიტომ, შემოესია თუ არა სომხეთს ამირა აბულ კასიმ ძე იუსუფ აბუსაჯისი, სუმბატის მტრობით, რომ მისი გაძლიერება შეეფერხებინა, ადარნასე დაუყოვნებლივ არაბთა სარდალს მიემხრო; რაკი ადარნასე ქართველთა მეფე, გაგიკი ვასპურაკანის მთავარი და სუმბატ სომეხთა მეფის ძმისწული აშოტი თავიანთი მხედრობითურთ სომეხთა მეფის მტერს მიეშველნენ, მას რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და ”მიმართა მთათა აფხაზეთისათა”. უკან დადევნებულმა ამირამ როგორც იყო სომეხთა მეფე სუმბატი შეიპყრა და 914 წელს ქ. დვინში ”ჩამოჰკიდა ძელსა”; მაგრამ თუ სომხეთი დაზიანდა, არც ქართლსა, სამცხესა და ჯავახეთს დაჰყრია არაბების ლაშქრისაგან ხეირი[229].

არაბთა სარდალი მივიდა თბილისში, სადაც მაშინ ამირად იყო ჯაფარ ძე ალისა; შემდეგ კახეთს გაემგზავრა და იქ არაბებმა უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები აიღეს. რაკი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსმა დაზავება არჩია, «მიენდო ფიცით, მივიდა და ნახა» არაბთა სარდალი, რომელმაც მშვიდობით ”განუტევა”, და ყველაფერი დაუბრუნა, მხოლოდ «ბოჭორმა თვით დაიჭირა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *449, გვ. 226-227).

კახეთში რომ საქმეები მოაგვარა, აბულ კასიმ ძე აბუსაჯისი «შემოვიდა ქართლად»; აქ მას უფლისციხის ზღუდენი მორღვეული დახვდა; მცხოვრებლებს დაერღვიათ, რომ არაბებმა იგი «არა დაიჭირონ»-ო. ქართლითგან არაბთა სარდალი სამცხეში გადავიდა, «მოაოჯრა სამცხე და ჯავახეთი»: მიადგა თმოგვის ციხეს, მაგრამ ვერა დააკლო რა, აიყარა და გარემოიცვა ყუელის ციხე, რომელიც აიღო; აქვე აბულ კასიმმა შეიპყრა მხედარი გობრონ, რომელიც არაბებმა ”აწამეს”[230]

თუმცა სომეხთა მეფობისა და სამეფოს ზრდა ამ არაბთა შემოსევამ შეაფერხა და ადარნასემ ჯავრი იყარა, მაგრამ სომეხთა მეფობის მარცხით ქართველთა მეფემ-კი ვერ ისარგებლა, არამედ აფხაზთა მეფემ, როცა «გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა», **კჳირიკე კახთა ქორეპისკოპოზმა** მოიხმო კონსტანტინე აფხაზთა მეფე და შეერთებულის ჯარითურთ ჰერეთში გაილაშქრეს. კახთა ბატონი ბრძნულად იქცევოდა და მარტოდ თავის სამფლობელოს გაფართოებას ვერა ბედავდა, რომ აფხაზთა მეფის შური არ აღეძრა; გამარჯვების შემდეგაც მან დათმობილი ქვეყნის მხოლოდ ერთი წილი აიღო, ორი წილი კი აფხაზთა მეფეს დაუთმო: კვირიკეს ერგო ციხე ორჭობი, კონსტანტინეს-კი არიში და გავაზნი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *450-*451, გვ. 228).

---

[227] **იოანე კათალიკოზი,** გვ. 201-202; **Brosset,** Additions, 164.

[228] **ასოღიკი,** გვ. 163.

[229] მტ˜ნე ქ˜ჲ, *448-*451, გვ. 225-228; წამება წ˜სა გობრონისა: ს˜ქს სამოთხე, 394-397 და 398-400; **ასოღიკი** 164-165.

[230] იქვე, *449-*450, გვ. 227; წამება წ˜ისა გობრონისა : ს˜ქს სამოთხე, 394-400.

ამგვარად, აფხაზთა მეფეს ეხლა ქართლს გარდა ჰერეთშიაც ჰქონდა ფეხი შედგმული.

ამიერითგან საქართველოში უპირატესობა და მეთაურობა აფხაზთა მეფეების ხელთ იყო.

ამის შემდგომ («შემდგომად მცირედთა დღეთა») კონსტანტინე მეფეც მალე გარდაცვლილა. მის სიკვდილს არეულობა მოჰყვა, «იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *451, გვ. 228) და ვიდრე უმცროსი ძმა ბაგრატი არ მიიცვალა, მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილა. ძმის სიკვდილის შემდეგ ერთადერთ მემკვიდრედ დარჩა კონსტანტინეს უფროსი შვილი, «სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმჴნითა და ახოვნებითა», გიორგი (იქვე, *452, გვ. 229).

გული რომ უფრო დამშვიდებული ჰქონოდა, **გიორგი მეფემ** ქართლის გამგეობა თავის უფროს ძეს კონსტანტინეს მისცა; მაგრამ იმედი გაუცრუვდა: სამი წლის შემდეგ ბატონიშვილმა «იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა»[231], მომხრედ მას «ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი» ჰყავდა (იქვე, *453, გვ. 230). ყურადღების ღირსია ეს უკანასკნელი გარემოება. დიდებული აზნაურები, უმეტესი ნაწილი მაინც, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ; თითოეული კუთხის აზნაურები თავიანთ მეფისა და მთავრის დამოუკიდებელი არსებობის მონატრულნი იყვნენ იმიტომ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ კვლავინდებური ძალა და გავლენა დაეკარგებოდათ და მეფეს წინანდებურად თავის ნებაზე ვეღარ ათამაშებდნენ. თუ აქამდის საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების უმთავრეს მოვლენად ქართველ მეფეთა ერთიერთმანეთთან ბრძოლა იყო ბატონობისა და მეთაურობის მოსაპოვებლად, ამიერითგან, როცა გამარჯვება აფხაზთა მეფეებს ერგოთ, ამ მეფეთა შორის ბრძოლაში დიდებული აზნაურებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ, განსაკუთრებით უმეფობას მიჩვეული **ქართლის აზნაურები,** და უმეტეს შემთხვევაში **აფხაზთა მეფეების გაერთიანების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგილობრივი მეფის დამოუკიდებელი არსებობის დასაცავად ირჯებოდნენ.**

კონსტანტინე ბატონიშვილის განდგომილებაშიც მამის წინააღმდეგ ”მრავალნი აზნაურნი” ქართლელნი იღებდნენ მონაწილეობას, რასაკვირველია, იმავე მიზნითა და განზრახვით. გიორგი აფხაზთა მეფემ «მოიყუანნა ტაოელნი მეფენი და **ფადლა ქორეპისკოპოზი**» და მედგარის ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *454, გვ. 231).

ამგვარადვე აფხაზთა მეფის საზიანოდ და მისი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მოქმედებდნენ ქართლის აზნაურნი, როცა **კჳრიკე ქორეპისკოპოზის** წინააღმდეგ «გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა» და აფხაზთა მეფემ ერთგზობით კახეთის აოხრების შემდეგ, მეორედ თვით კჳრიკე შეიპყრა; გიორგი მეფის შვილს ლეონს, რომელიც ქართლის ერისთავად იყო დანიშნული, უნდოდა კახთა ბატონის სახლობაც ხელთ ეგდო, მაგრამ ვიდრე იგი თავის წადილს აასრულებდა «აცნობეს **აზნაურთა ქართლისათა** და გარდაეხუეწნეს» (იქვე, *455, გვ. 231). მაგრამ სამაგიეროდ კჳრიკე კახთა ქორეპისკოპოზს მისმა ძმამ შურტამ უმტყუნა, გიორგი აფხაზთა მეფეს მიემხრო და უჯარმის ციხე გადასცა. ამის შემდეგ გიორგი მეფის მხედარნი «ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა, თჳნიერ სამთა ციხეთა ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა» (იქვე, *455, გვ. 231-232).

---

[231] “მეფეთა დივანი”-სდა მიხედვით გიორგი მეფობდა 912-957 წ., მაგრამ რომ გამეფების თარიღი მაინც სწორი არ არის, ეს ცხადია: ამ დროს ჯერ მისი მამა ცოცხალი იყო.

ერთი სიტყვით, გამარჯვება მაინც აფხაზთა მეფეს დარჩა. ამის მცნობელმა «იხილა კჳრიკე ქორეპისკოპოზმან, არღარა იყო ღონე მისი, ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა» (იქვე, გვ. 232). გიორგი მეფემ მართლაც კჳრიკე განათავისუფლა, ხოლო მძევლად უმცროსი შვილი ჩამოართვა იმ პირობით, რომ იგი აღვსების შემდეგ თავისი ნებით ბოჭორმის ციხეს მოშორებოდა. სწორედ ასეც აპირებდა კჳრიკე, მაგრამ «შეეზრახნეს **აზნაურნი ქართუელნი** და მათთანა კახნი: გოდერძიანი მგდეური, ყანჩაელი მამა, დაჩი კორინთალი, დაჩი და იოვანე სხუილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხვენელნი და მათთანა ორმეოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კჳრიკეს და უწყეს ბრძოლად ციხეთა და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი» (იქვე, *456, გვ. 232-233).

ამ შემთხვევაშიც მეთაურებადა და კახეთში ამბოხების ამტეხად ქართლელი აზნაურები იყვნენ, კახელები მერე მიემხრნენ: რასაკვირველია, ქართლელ აზნაურებს კახეთის დამოუკიდებელი მეფობის მოსპობა პირადად არ შეეხებოდათ და, ეს შემთხვევა რომ მარტოოდენ კახთა ცხოვრების მოვლენად ჩაეთვალათ, მაშინ ისინი თავიანთ ქერქში იქნებოდნენ; მაგრამ კახეთის დამოუკიდებლობის მოსპობა მათ, რასაკვირველია, არ ენდომებოდათ; ეს ხომ აფხაზთა მეფის გაძლიერებას მოასწავებდა! ხოლო, რაკი იგი იმავე დროს ქართლის ბატონიც იყო, მისი უფლების გაფართოება და განმტკიცება ქართლის დიდებულ აზნაურთა წინანდელი პარპაშობისა და თვისნება მოქმედების ფრთების შეკვეცას უქადდა; ამიტომაც იყო, რომ ქართლის აზნაურებმა იმის მაგიერ რომ თავიანთი მეფისათვის ხელი შეეწყოთ და კახეთის შემოერთებაში მოჰხმარებოდნენ, იმათ, პირიქით, მოწყობილი და გათავებული საქმე ხელმეორედ ჩაუშალეს, კახთა ბატონი აფხაზთა მეფის საწინააღმდეგოდ წააქეზეს და თითონაც ატეხილ ამბოხებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

თუმცა გიორგი აფხაზთა მეფემ კახეთის ხელმეორედ დასამორჩილებლად თავისი შვილი ლეონი გაგზავნა, მაგრამ ლეონს კახეთში ლაშქრობის დროს უცბად მამის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა და კჳრიკე კახთა მეფეს დაეზავა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *457, გვ. 233). ”მეფეთა დივანი”-საებრ გიორგი მეფე გარდაცვლილა 957 წ., მაშასადამე, ამავე წელს მომხდარა აფხაზ-კახთა დაზავებაც. ამგვარად, თუმცა კახთა ქორეპისკოპოზი იძულებული იყო აფხაზთა მეფის ბატონობა აღეარებინა, მაგრამ ქართლის აზნაურთა გულმოდგინებით კახეთის განცალკევებული არსებობა კვლავ განახლდა და საქართველოს საბოლოოდ გაერთიანების საქმე კარგა ხნით შეფერხდა.

მისწრაფებათა წინააღმდეგობის გამო შეუძლებული იყო კახ-აფხაზ ბატონთა შორის ზავი ხანგრძლივი ყოფილიყო. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა **ლეონ მეფის** ასული, რომელიც კჳრიკე ქორეპისკოპოზის შვილს თანამეცხედრედა ჰყავდა, მაშინ ლეონმა «კუალად იწყო მტერობად კახეთისა და ძებნად, გაილაშქრა სპითა დიდთა, ჩადგა არაგვის პირსა, ასწყჳდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *458, გვ. 234).

როცა შემდეგ, გარდაცვალებული ლეონის (957-967) მაგიერ, ტახტზე **დემეტრე** (967-975) დაჯდა, მის საწინააღმდეგოდ და ტახტის მოსაპოვებლად ბიზანტიით დემეტრეს ძმა თეოდოსი მოვიდა; მაგრამ მოულოდნელი თავდასხმით დემეტრე მეფის ლაშქარმა ბატონიშვილი გააქცია. «წარვიდა **ქართლს** და მიმართა ადარნასეს ძამელსა მთავარსა, შეიყუანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თჳსსა» (*458-*459, გვ. 234); ერთი სიტყვით, აქაც ქართლის აზნაურებმა აფხაზთა მეფის მეტოქესა და მტერს ხელი შეუწყეს და თავშესაფარი მისცეს, რომ

ამით თავიანთი ბატონი დაეუძლურებინათ, ან არა და თავიანთი მომხრე აეყვანათ სამეფო ტახტზე.

თუმცა ფიცით მინდობილი თეოდოსი მისმა ძმამ დემეტრემ შეიპყრა და თვალები დასწვა, რომ მეფობა ვეღარ შესძლებოდა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *459-*460, გვ. 235-236), მაგრამ რაკი დემეტრე მეფე უძეო იყო და მისი სიკვდილის შემდეგ «აღარა დარჩა მკჳდრი აფხაზეთისა და ქართლისა», ''მკჳდრნი ქვეყნისანი'' იძულებული იყვნენ ისევ **თეოდოსი** (975-978) დაესვათ მეფედ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *460-*461, გვ. 236). რასაკვირველია, უსინათლო მეფე დიდებულ აზნაურთა სათამაშოდ უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. ქვეყანა აიშალა და წესიერება შეირყა. ეხლა-კი საქართველოს მომავალი განსაცდელში იყო და უსინათლო თეოდოსის მეფობა ქვეყანას კეთილს არ უქადდა. კახთა მეფე გამხნევდა, ქართლის წართმევა განიზრახა და ჯარითურთ უფლისციხეს მოადგა (იქვე). ერთი სიტყვით, საქმე ისე დატრიალდა, თითქოს საქართველოს გაერთიანება ხელახლად უნდა დაწყებულიყო.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

საქართველოს მდგომარეობა VIII-X ს.

მოსულიერებულს საქართველოს ორი უმთავრეს უცხო სახელმწიფოსთან ჰქონდა დამოკიდებულება: აღმოსავლეთ-სამხრეთით არაბთა სახალიფო და მისი წარმომადგენელნი, ადგილობრივი ამირები იყვნენ, - დასავლეთ-სამხრეთით ბიზანტიის კეისარი და მისი მთავრები იჩენდნენ თავიანთ მზრუნველობას. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, ბერძენთა მეფე ამ დროს, ვითარცა ქრისტიანე ხელმწიფე, ქართველთა მფარველად და მეშველად გამოდიოდა; არაბთაგან დევნილმა ქართლის მთავრებმა ბიზანტიის კეისრის ძლიერს მფარველობას მიჰმართეს და ამოეფარნენ.

მაგრამ ბერძნები არას დროს გულუბრყვილო და გულჩვილი პოლიტიკოსები არა ყოფილან და მათს მფარველობას ყოველთვის მათის საკუთარის საქმისთვისაც სარგებლობა უნდა მოეტანა. ამიტომ ქართველ-ბიზანტიელთა დამოკიდებულება მარტო ქრისტიანულს სიყვარულს და ძმობაზე არ იყო დამყარებული; მას თავისი უფლებრივი ნიადაგიცა ჰქონდა; და სწორედ იმის გამორკვეაა საჭირო, თუ რა უფლებრივი დამოკიდებულება არსებობდა მესხეთისა და აფხაზეთის ბატონთა და ბიზანტიის კეისარს შორის.

ეს დამოკიდებულება მეტად რთული იყო და ცვალებადი სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით; მაგრამ ერთი რამ-კი ყოველთვის შეურყეველი იყო: საქართველოს მთავართა და მეფეთა სახელწოდებაში ბერძნები მტკიცედ იცავდნენ ერთხელ მიღებულს წესს; უეჭველია, მათის აზრით ამ წესს თავისი უფლებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, პოლიტიკურ დამოკიდებულებათა თვისებებისა და ხარისხის სხვადასხვაობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ, ბიზანტიის მთავრობა ცნობილია თავისი მედიდურობით და თავის მიწერ-მოწერაში ყოველთვის ცდილობდა მეზობელი მფლობელებისათვის, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშიაც და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ, მეფის სახელი არ ეწოდებინა. ქართველთა და სომეხთა მეფეების შესახებაც ამ ხანის ბიზანტიელი მწერლები არას დროს არა ხმარობენ სახელწოდებას "**მეფე**" (ბაზილევს), არამედ მხოლოდ ან "**მთავარი**" (არხონ) ან არა და "ექსუსიას ტეს", ესე იგი "**მფლობელი**"-ო. სომეხთა მეფეებს ბერძნები უწოდებდნენ "არხონტეს არხონტონ", რაც უდრის ერისთავთერისთავს, ან სომხურს "იშხანაც იშხან"-ს, და არა მეფეს[232]. საქართველოს მეფეთაგან-კი ამ დროს მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს ღირსი "ექსუზიასტეს"-ის სახელწოდებისა[233]. მესხეთის მფლობელს მარტივად მთავარს, "არხონ"-ს უძახდნენ[234].

ბიზანტიელების მედიდურობას საუცხოვოდ ის გარემოებაც ახასიათებს, რომ ბერძენი ისტორიკოსი გიორგი კედრენი და მისი წყარო გაერთიანებულ საქართველოს მეფეებს, "აფხაზთა და ქართველთა" მეფეებსაც, წინანდებურად "არხონტად"

---

[232] A. Rambaud, L᾽Empire grec au dixième siècle. Constantine Porphyrogénèté, პარიზი, 1870, გვ. 506.

[233] **Constantine Porphyrogénèté**, De administrando imperio, cap. 45 და 46. ed. Bonnae, 206 და **A. Rambaud**, იქვე. 524.

[234] იქვე და **G. Cedrini**, Histor. compend. ed. Bonnae, II, 431, 446 და სხვა.

სთვლის; გიორგი I მაგ. იწოდება აფხაზეთის არხონტად[235]. ბაგრატ IV იბერიის "არხეგოს"-ად[236], ხოლო ერთგან "ექსუზიასტ"-ადაც[237].

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ბიზანტიის მთავრობა განზრახ იქცეოდა ასე; ამით მას სურდა ეთქვა, რომ ბიზანტიასთან შედარებით საქართველოს და სომხეთის სამეფოებს საერთაშორისო ცხოვრებაში უფრო დაბალხარისხოვანი ადგილი ეკავათ. ამავე დროს, ამგვარად, ამ სამეფოთა და ბიზანტიას შორის არსებულ პოლიტიკური განწყობილების პატრონყმური დამოკიდებულების გამოხატვა სურდათ. რომ ქართველ მეფეთა "არხონ"-ად წოდებით ბიზანტიელ მწერლებსა და მთავრობას ამ დროს მართლაც გარკვეული პოლიტიკურ-უფლებრივი აზრის გამოთქმა სურდათ, იმითაც მტკიცდება, რომ წინანდელი ისტორიკოსები, როგორც მაგ. **პროკოპი კესარიელი და აგათიასი.** იბერთა და ლაზთა მეფეებს "ბაზილევს"-ად იხსენიებენ.

"ექსუზიასტ"-ი ღირსებით "არხონ"-ზე მაღლა იდგა და მჭიდრო პოლიტიკური დამოკიდებულების გამომეტყველი იყო, მას ბერძნები თითქოს ბიზანტიის კეისრის წარმომადგენლად სთვლიდნენ მისს სამეფოში[238]. პირველ ხანებში მართლაც ასეთი განწყობილება არსებობდა. მემატიანე სუმბატიც მოგვითხრობს, რომ აშოტ დიდმა კურაპალატმა შავშეთ-ტაო-კლარჯეთში «განმტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა»-ო (ცˇა და უწˇყბა, 53). გიორგი მერჩულის სიტყვებითგანაც ნათლადა ჩანს, რომ აშოტის შვილების უფლების განმტკიცებაში სხვათა შორის კეისარიც მონაწილე იყო: «მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა»-ო, ნათქვამია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (გვ. კᲩ). გიორგი მერჩულს აქ ტყუილად-კი არა აქვს ნახმარი სიტყვა «ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა»-ო; ბრძანება უდრის ბერძნულს სიტყვას "კელეუსის" და ბიზანტიის საერთაშორისო დამოკიდებულებაში წესად იყო მიღებული, რომ კეისრის ეპისტოლეები მოყმე სამეფოებისა, მეფეებისა და მთავრებისადმი ბრძანებად (კელეუსეᲲს) ითვლებოდნენ და იწოდებოდნენ[239]. მართლაც, როგორც ქართველი ისტორიკოსის ზემომოყვანილი წინადადებითგან და კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებითგანა ჩანს, აფხაზთა და ქართველთა მეფეების მიმართ დაწერილს კეისრების ეპისტოლეებს ბერძნები "ბრძანება"-ს უწოდებდნენ[240].

დამოკიდებულება ქართველ ამდროინდელ მეფეთა და ბიზანტიის კეისარს შორის გამოიხატებოდა იმითაც, რომ **კეისრები მეფეებს თავის საკარისკაცო პატივს უწყალობებდნენ ხოლმე**. ბაგრატონიანთა საგვარეულოს მემატიანის სუმბატის თხზულება მრავალს ცნობებს შეიცავს ამის შესახებ და ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ამასვე მოგვითხრობენ. მაგისტროსობა, ანტიპატოსობა, პატრიკობა ხშირად ჰქონიათ მესხეთის ბაგრატონიანთა გვარის შვილებს, ხოლო **კურაპალატობა** აუცილებელი სამკაული იყო ამ საგვარეულოს უფროსის წევრისა და ქართველ მეფეთათვის, ისე,

---

[235] **G. Cedrini**, Hist. comp. II, 477.

[236] იქვე, II, 572.

[237] იქვე, II, 519.

[238] **A. Rambaud**, L' Empire grec. გვ. 524.

[239] იქვე, 438.

[240] იხ. **Constantine Porphyrogénèté** De administrando imperio, cap. 46. მაგ. დავით მაგისტროსის შესახებ, . ed. Bonnae, 210, და В. Латышев, К истории христианства на Кавказе, 12, შენ, 3.

რომ თითქმის მემკვიდრეობით კუთვნილებად გახდა[241]. "მტ˜ნე ქ˜ჲ"-ც პირდაპირ ამბობს, რომ «ძებნა პატივისა კურაპალატობისა... არს ჩვეულება და წესი სახლისა» ქართველ ბაგრატონიანთაო (*482, გვ. 256).

ზემოჩამოთვლილ ბიზანტიურ საკარისკაცო თანამდებობათა და პატივთა შორის უმაღლესად კურაპალატობა ითვლებოდა, მაგისტროსობაზე უფროსად იყო მიჩნეული; ჯერ მაგისტროსობას აძლევდნენ, მერე კურაპალატობას, როგორც მაგ.: ადარნასე «შემდგომად მამისა თჳსისა მაგისტროს იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატ იქმნა»[242]. რამდენად მიჩვეული იყვნნე კურაპალატობას თვით ქართველივე ბატონები იმითაცა მტკიცდება, რომ, როგორც თავის დროზე უკვე სამართლიანად აღნიშნა **ა. რამბომ**, მათთვის კურაპალატობამ მეფობის პატივის თითქმის თანასწორი მნიშვნელობა მიიღო[243]; ამ მხრივ საგულისხმიეროა რომ შაორის 1014 წ. ხალნაწერში ბაგრატ III ნათქვამია: ბაგრატ აფხაზთა მეფე და **ქართუელთა კურაპალატი"** -ო[244].

საკარისკაცო პატივის წყალობისთანავე კეისრები დანიშნულს პირს საგანგებო მიციქულის ხელით შესაფერისს ტანისამოსსა, სამკაულსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ ხოლმე[245].

მაგრამ თავისთავად კეისრის მიერ კურაპალატობის, მაგისტროსობის ან სხვა ბიზანტიური საკარისკაცო პატივის წყალობა, რასაკვირველია, ყმობის დამამტკიცებელი არ იყო იმიტომ, რომ იგივე პატივი ბერძენთა მეფეებს არა ერთხელ მიუნიჭებიათ ფრანგების, ბურგუნდების, ოსტგუთებისა და სხვათა მეფეებისათვისაც[246], თუმცა ისინი კეისრის ყმებად არ ითვლებოდნენ.

იშვიათს შემთხვევაში კეისრები თავიანთ მოყმე უცხო მთავრებსა და მეფეებს ყოველწლიური ჯამაგირით ("როგა") ეხმარებოდნენ, როგორც მაგ. ტარონის ერისთავს გრიგოლს; მაგრამ დანარჩენს სომეხს და ქართველს მეფე-მთავრებს ჯამაგირი თურმე არ ეძლეოდათ, თუმცა ყველას რომანოზ კეისარისათვის სამდურავი შეუთვლიათ: ეს უსამართლობაა, რაღა მარტო გრიგოლ ტარონელს აძლევთ "როგას"-ს, თუ მოცემაა ყველას მოგვეცითო[247].

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქართველ მეფეთა და ბიზანტიის კეისართა შორის დამოკიდებულება, რასაკვირველია, ყოველთვის ერთნაირი არა ყოფილა და სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით ხან უფრო მჭიდრო იყო, ხან უფრო გარეგნული; მაგრამ, როგორც ჩანს, **კეისრის უფლება საქართველოში არას დროს მაინც უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში გარევის უფლება არა ჰქონია.** ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის, რაც მომხდარა არტანუჯის ციხის ბერძენთა ხელში გადაცემის გამო. კონსტანტინე პორფიროგენეტი სახელდობრ მოგვითხრობს, რომ პატრიკიოზმა აშოტ კისკასმა გურგენ მაგისტროსის

---

[241] **A. Rambaud**, L' Empire grec. 513. იხ. აგრეთვე ბაგრატიონიანთა საგვარეულო შტო.

[242] **სუმბატი,** ც˜ა და უწ˜ყბა, 62; შეად. Н. Скабаланович, Византийское государство и церковъ в XI в., პეტერბურგი, 1884, გვ. 151-155.

[243] **A. Rambaud,** L' E opire grec, 507.

[244] **ა. ცაგარელი,** Сведения, I, 83.

[245] . **Constantine Porphyrogénètè** De administrando imperio, cap. 46, იხ. გურგენ მაგისტროსის შესახებ ed. Bonnae, p. 208 და **ეაჰეა ანტიოქელი, В. Розен,** Император Василий Болгаробойца, გვ. 27 დავით დიდ კურაპალატის შესახებ.

[246] **A. Rambaud**, L' Empire grec., 300.

[247] იქვე, 515.

მტრობით გადასწყვიტა და გადასცა კიდეც არტანუჯის ციხე რომანოზ კეისარს (920-944)[248]. როდესაც კეისარის მოციქულმა ციხე ჩაიბარა და არტანუჯის დასაკუთრების ნიშნად ციხის ზღუდეზე კეისრის დროშა ააფრიალა, ხოლო თავის მბრძანებელს დიდება შეასხა, არტანუჯის ბერძენთა ხელში გადასვლის ამბავი ყველამ შეიტყო და საქართველოს სწრაფად მოედო. ყველა აღშფოთებული იყო ბერძენთა ამგვარი კადნიერებით. გურგენ მაგისტროსმა და აშოტ კურაპალატის ძმამ დავით მაგისტროსმა კეისარს საჩქაროდ წერილი გაუგზავნეს და მუქარა შეუთვალეს: თუ რომ თქვენ ამას ჩაიდენთ და ჩვენის ქვეყნის შუაგულში შემოიჭრებით, იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენ ყმობისაგან გამოვალთ და სარკინოზებს (არაბებს) მივემხრობით; ჩვენ იმდენი ძალა შეგვწევს, რომ ჰრომაელებს (ესე იგი ბიზანტიელებს) ვებრძოლოთ და თუ იძულებული ვიქნებით, არამცთუ არტანუჯის ციხესა და მის სანახებს ჯარით მივადგებით, თვით თქვენის სამეფოს წინააღმდეგაც გამოვილაშქრებთო. მუქარით შეშინებულმა კეისარმა აღშფოთებულს ქართველს მთავრებს შემოუთვალა: არა ვიცოდი რა, ჩემდა დაუკითხავად მომხდარა ეგ ამბავი, მე არაფერი მაგის მსგავსი არა მიბრძანებია რა ჩემის მოხელისათვის და სულ მაგისი ბრალიაო, - გადააბრალა რამანოზმა თავისს უდანაშაულო მოხელეს; თანაც საჩქაროდ ბრძანება გამოუგზავნა მას: ამ წამსვე არტანუჯს თავი დაანებე, ციხე ადარნასე კურაპალატის შვილს აშოტს გადაეცი და მისთვის კურაპალატობაც მიმინიჭებიაო[249]. ზემომოთხრობილი ამბავი ქართველ-ბიზანტიელთა სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებათა საუცხოვო და უტყუარი სურათია! კეისარი ქართველთა მფარველი იყო და არა ბატონი, მას საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არ შეეძლო და თუ ამას, თუნდაც ერთის რომელისამე ბაგრატონიანის ნებაყოფლობით, მოისურვებდა, ქართველ მთავართა ერთობლივი წინააღმდეგობა ეღობებოდა მისი განზრახვის განხორციელებას. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ისინი მოურიდებლად ემუქრებოდნე, თქვენ გიღალატებთ, თქვენს დაუძინებელს მტერს მივეშველებით და ქვეყანას აგიოხრებთო, მაშინ ჩვენთვის სრულებით ნათელი იქნება, რომ ამ დროს ქართველთა ყმობა მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმცროს სამეფოთა შორის კავშირს უფრო უდრიდა, ვიდრე ნამდვილს პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

ვინც ბაგრატონიანთა მემატიანის სუმბატის ცნობებს დაჰკვირვებია და იმისდა მიხედვით შთამომავლობითი შტო შეუდგენია, ის უეჭველია შეამჩნევდა რომ მატიანისებური მოთხრობის წესის გამო იმდროინდელი მესხეთის სამეფო წესწყობილებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების გამორკვევა ძალიან ძნელია: ჩამოთვლილია ვინ და როდის იყო ერისთავად, ერისთავთ-ერისთავად, პატრიკიოსობა ან მაგისტროსობა, ანდა კურაპალატობა როდის მიიღო, აღნიშნულია ვინ როდის დაიბადა, ან გარდაიცვალა, ზოგჯერ ისიც, ვინ ვის ებრძოდა, მაგრამ რანაირი დამოკიდებულება არსებობდა ამ ერისთავ-მამფალ-კურაპალატ მეფეთა შორის, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. იქ მკითხველს თვალწინ წარმოუდგება საგვარეულო მატიანის საკუთარი სახელებისა, თანამდებობათადა ქრონიკონების თავბრუ-დამსხმელი თაიგული; მაგრამ თუ მკითხველი ჩააკვირდება, უეჭველია აქაც

---

[248] რაკი არტანუჯის ციხეზე ბიზანტიის დროშის აფრიალება რომანოზ კეისრის (920-944) და აშოტ კურაპალატის (923-954) დროს მომხდარა, ამიტომ, ეს ამბავი შეუძლებელია 923 წ. უწინარეს მომხდარიყო, რადგან მხოლოდ ამ წელს მიიღო აშოტმა კურაპალატობა, და 944 წ. უგვიანეს, რადგან ამ წელს რომანოზ კეისარი გარდაიცვალა. ამგვარად, ეს შემთხვეულება 923-944 წ. შუა უნდა ვიგულისხმოთ (იხ. კოსტ. პორფიროგენეტის თხზულება).

[249] De administrando imperio, cap. 46, ed. Bonnae, p. 210-214.

რამდენსამე გარკვეულს აზრს შეამჩნევს (იხ. შტო). პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ აშოტ დიდ კურაპალატის რიცხვმრავალ ჩამომავლობაში ცხადად ემჩნევა ორი უმთავრესი შტო: ერთს ეკუთვნოდნენ "**კლარჯნი ჴელმწიფენი**" (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 66), რომელნიც როგორც მოსალოდნელი იყო, **ამავე დროს არტანუჯელნი ყოფილან** (იქვე); თუ უკანასკნელ კლარჯ ჴელმწიფეთა წინაპრების შტოს დავაკვირდებით, სწორედ ამ შტოს წევრები იწოდებიან არტანუჯელებად; და ამასთანავე, გვარამ აშოტ დიდის ძის გარდა, მხოლდ ამავ არტანუჯელ-კლარჯ "ჴელმწიფეებს" უტარებიათ "**მამფალი**"-ს სახელწოდება (იხ. შტო). კონსტანტინე პორფიროგენეტმაც-კი იცის ამ სახელი "მამფალი"-ს არსებობა და ამტკიცებს კიდეც, ვითომც იგი ყოვლადწმიდას ჰნიშნავდეს[250], მაგრამ ეს რასაკვირველია შეცდომაა. მამფალი იმგვარადვე არის ნაწარმოები, როგორც დედოფალი; მხოლოდ, რითი განსხვავდებოდა "მამფლობა" სხვა სახალისუფლო სახელისაგან, ან რად იყო განსაკუთრებით არტანუჯელ-კლარჯ მთავრების სახელწოდება, არა ჩანს.

მეორე უმთავრესს შტოს ეკუთვნოდნენ "**მეფენი ტაოსნი**" (მტˇნე ქˇჲ, *461, გვ. 237), რომლის საუკეთესო წარმომადგენელთაგანად დავით დიდი კურაპალატი იყო. ეს შტო აშოტ დიდ კურაპალატის ძის ბაგრატ კურაპალატის შთამომავლობისაგან შესდგებოდა; თუმცა თვით ბაგრატ კურაპალატი აშოტის მეორე შვილი იყო, მაგრამ უფლებით იგი თავის უხუცეს ძმაზე ადარნესეზე მაღლა იდგა იმიტომ, რომ სწორედ მან «მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა ფლობაჲ ჴელმწიფებისაჲ ზეგარდამო» (ცˇჲ გგˇლ ხნძˇთჲ, კˇწ). ამიტომ მისი შთამომავლობა უფროს შტოდ იყო და ამიტომაც არის, რომ ამ შტოის წევრებმა მიიღეს მეფობის უფლებაც. **პირველ "ქართუელთა მეფე"-დ იყო ადარნასე ძე დავით კურაპალატისა** და შვილისშვილი ბაგრატ კურაპალატისა, და **მეფედ "დასუეს" 888 წელს** (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 59).

თუმცა იმთავითვე უზენაესი უფლება აშოტის მთელ შთამომავლობას ეკუთვნოდა, აშოტის შვილები ერთად განაგებდნენ საქვეყნო საქმეებს, და იმ დროს იყო «მეფობაჲ სამთა ძმათა ჴელმწიფეთაჲ»; მაგრამ მაშინაც უკვე ერთი ამ სამთაგანი, სახელდობრ შუათანა, უფროსად ითვლებოდა და «ძმანი მისნი... ადარნერსე უხუცესი და გუარამ მრწემი მშუვალსა მას ძმასა მორჩილ ექმნეს» (ცˇჲ გგˇლ ხნძˇთლსჲ, კˇწ). მერეც, შემდეგს თაობაში ერთი წევრი საგვარეულოში ყველაზე უფროსად ითვლებოდა და სანამ მეფობა დაწესდებოდა, ანუ 888 წლამდე, როგორც ჩანს, უფროსად ის იყო, ვისაც კურაპალატობა ჰქონდა. ამ უფროსს, ჯერ კურაპალატად, ხოლო მერე მეფედ წოდებულს, სხვები ემორჩილებოდნენ ვითარცა ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავი.

როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებითგანა ჩანს, უკვე **პირველ ქართველთა მეფეს თავის ხელქვეით ოთხი მავარი (არხონ), ანუ ერისთავი ჰყოლია;** ამათგან ერთი ყუელის ციხისა, ანუ ჯავახეთის გამგედ ყოფილა, მეორე აჭარის მთავრად ითვლებოდა; ორის დანარჩენის სახელები სამწუხაროდ დამახინჯებულია და გაგება შეუძლებელია; ერთი ვითომც "ბერიასახ" (ანუ "ვერიასახ")-ის ერისთავი ყოფილა, ერთიც კიდევ "კარნატაეს"-ისა; **ა. რამბო** ცდილობდა როგორმე გაეგო ამ საგეოგრაფიო სახელების ნამდვილი სახე; პირველს იგი სთვლის ან დამახინჯებულ ბერციხედ, რომელიც იმერეთში იყო, ან ბერშოეთად (ქართლშია), მეორე იქნებ

[250] **იქვე,** გვ. 206.

დამახინჯებული ქართლი იყოსო?[251] მაგრამ იმერეთი ამ დროს აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა და ბერციხის ერისთავიც რომ ყოფილიყო კიდეც, ის რასაკვირველია ქართველთა მეფის ხელქვეითი არ იქმნებოდა. უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ რომ, როგორც პირველს ორს შემთხვევაში მესხეთის ქვეყნებია დასახელებული, აჭარა და ჯავახეთი (ყუელის ციხე), ისე დანარჩენს შემთხვევაშიაც მესხეთისავე სხვა თემების (ან შავშეთის, ან ტაოს, ან კოლას) რომელისამე ციხეების დამახინჯებული სახელები იქნება. მაინცა-და-მაინც გვირგვინოსან ბიზანტიელ ისტორიკოსის ზემოაღნიშნულ ცნობითაც ცხადადა მტკიცდება, რომ თუმცა აშოტ დიდ კურაპალატის შთამომავლობა მრავალრიცხოვანი იყო, რომელთა შორის ბევრი ერისთავთ-ერისთავობის, მაგისტროსობის და სხვაგვარი ღირსებით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ყველას თანასწორი უფლება არა ჰქონია და მათ შორის **ერთი ყოველთვის სხვებზე უფროსად ითვლებოდა;** მას ემორჩილებოდნენ, ან უნდა დამორჩილებოდნენ დანარჩენი გვარიშვილები.

მაშინდელი სახელმწიფო წესწყობილების შესასწავლად თუმცა ჯერ კიდევ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის ორიოდე მაგალითიც, რომლის შესახებაც ჩვენ ცნობები გვაქვს შენახული, გვიჩვენებს, რომ ამ მხრივაც ქართველობა სრულებით ჩამორჩენილი არ ყოფილა. ჯერ კიდევ ფრანგმა მეცნიერმა **ალფრედ რამბომ** განცვიფრებით აღნიშნა, რომ ისეთს ძველს სახელმწიფოში, როგორიც იყო ბიზანტია, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს თურმე სახელმწიფო დავთარხანები არ არსებობდა, საქრთველოში-კი დავთარხანები ჰქონიათ და საბუთებს ინახავდნენ[252]. მეორე ამგვარივე საგულისხმიერო მაგალითი ბაგრატ კურაპალატის (+ 876 წ.) მიერ გლახაკთა და უძლურთა სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადის "**გლახაკთა ნაწილის"**-ს დაწესებაა, როდესაც, მაშასადამე, ღარიბ-უძლურთა შესახებ ზრუნვა სახელმწიფოს მოვალეობად იყო ცნობილი[253].

დამოკიდებულებამ და განწყობილებამ ქართველებსა და არაბებს შორის ამ ხნის განმავლობაში თავისი პირვანდელი ხასიათი დაჰკარგა და შეიცვალა; თანდათან არაბებს კავკასიაში ფეხებითგან ნიადაგი ეცლებოდათ და წინანდებურად ბრძანებლობა აღარ შეეძლოთ. მაგრამ ძალა მათ ერთბაშად არ დუკარგავთ, ზოჯერ ისევ კვლავინდებურად მოღონიერდებოდნენ და კავკასიის გამოცოცხლებულ სამთავროებს თავიანთ სუსხს უჩვენებდნენ ხოლმე. ხოლო არაბების ამგვარი მოღონიერება კავკასიაში არას დროს ხანგრძლივი აღარა ყოფილა. მათს ბატონობას ფესვები გამოუფხრა თვით არაბთავე კერძოობამ, რომელმაც სხვათა შორის თბილისის დამოუკიდებელ საამიროს დაარსებაშიც თავი იჩინა. რაკი ხალიფა და თბილისის ამირა ამიერითგან ერთიერთმანეთის ცხადი მტრები უნდა გამხდარიყვნენ და გახდნენ კიდეც და მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებს ამიერითგან ხშირად თვით არაბთა ერთ-ერთი მოპირდაპირე მხარე ჰყავდათ ხოლმე მოკავშირედ და მეშველად. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართველ-არაბთა დამოკიდებულება ცვალებადი იყო და ჯერ კიდევ საკმაო ცნობები არ მოიპოვება, რომ მისი ყოველგვარი ცვლილების აღნუსხვა შეიძლებოდეს.

---

[251] L᾽Empire grec, 511 და შენ. 3.

[252] **A. Rambaud**, L᾽Empire grec., გვ. 497.

[253] იხ. ჩემი ქ˜ლი სამართლის ისტორია, [II, 2, გვ. 105].

მასსუდი გვარწმუნებს მხოლოდ, რომ **აფხაზები და ქართველები** (გურზ), **ტფილისის დაპყრობითგან მოყოლებული ვიდრე ხალიფა მუტევაკკილამდე** (847-861), **ტფილისის ამირას ხარაჯას აძლევდნენო**[254]**.** მართლაც სწორედ ამ უკანასკნელის დროს იყო საჰაკ ამირას განდგომა (იხ. თავი მეოთხე) და თბილისის ამირების სახალიფოსაგან თანდათან ჩამოშორება. რომ ქართლი და კახეთი ხარაჯას იხდიდნენ, ეს ჩვენ ისედაც ვიცოდით, მაგრამ პირველად ამ არაბ ისტორიკოსისაგან გვესმის, ვითომც აფხაზთა მეფეებსაც არაბებისათვის ხარაჯა ეძლიოთ. ვგონებ, აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს. სუმბატის სიტყვებითგანა ჩანს, რომ მესხეთში გადასული და დამკვიდრებული აშოტ დიდი კურაპალატი და მისი საბრძანებელი არაბთა მძლავრობისაგან და, ალბათ, ხარაჯისაგან თავისუფალი ყოფილა; მხოლოდ მას შემდგომ რაც უცბად შემოსეულმა არაბებმა 826 წ. იგი ვერაგულად მოჰკლეს და ქვეყანა დააწიოკეს, «იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ჴევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 55); მაშასადამე, ქართლს გარდა მესხეთის მოზრდილს ნაწილსაც ხარაჯის მძიმე ტვირთი დასწოლია. მაგრამ, არაბთა ბატონობა იქ ხანგრძლივი არა ყოფილა. როდესაც აშოტის შვილები წამოიზარდნენ, მათ «ჴრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი» (ც˜ა გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, კჳ). რაკი არაბები განუდევნიათ, ალბათ, ხარაჯის ძლევასაც მოუსპობდნენ და არაბთა მძლავრებისაგან განთავისუფლდებოდნენ.

რა უფლებრივი და ეკონომიკური დამოკიდებულება დაამყარა აღმოსავლეთ საქართველოში ბუღა თურქის გამოლაშქრებამ, არა ჩანს, მაგრამ ერთი-კია, რომ ვერც ამან შეაჩერა თბილისის საამიროს ჩამოშორება სახალიფოსაგან; ამიტომ საფიქრებელია, რომ მის ლაშქრობას, ალბათ, არც საქართველოზე ექნებოდა ხანგრძლივი გავლენა.

თუმცა თავისდათავად თბილისის დამოუკიდებელი საამიროს დაარსება არაბთა ძლიერების აუცილებელი დამხობის მომასწავებელი იყო, მაგრამ მაინც თბილისის საამირო კიდევ კარგა ხანს საკმაოდ ძლიერი იყო, რომ მასაც თავისი პოლიტიკა ეწარმოებინა და ატეხილ ბრძოლაში მუდამ მონაწილეობა მიეღო.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თბილისის ამირას სამფლობელო მაშინაც მარტო ქ. თბილისით არ განისაზვრებოდა. მართლია, აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივი ბრძოლის გამო საამიროს საზღვრები ყოველთვის ერთი და იგივე არ ყოფილა და ჯერ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება, რომ ამ საზღვრების თითოეული ცვლილება აღვნუსხოთ; მაგრამ ბაგრატ IV დროსაც-კი თბილისის ამირას ჰკუთვნებია თბილისს სამხრეთით მდებარე ციხეები ბირთვისი, ორბეთი და ფარცხისი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *484 და *485, გვ. 258 და 259). რასაკვირველია, გაცილებით უფრო მეტი ეჭირებოდა მას წინათ, იმ ხანში, რომელსაც ჩვენ ეხლა ვეხებით.

მაგრამ რამდენად ცვალებადი იყო პოლიტიკური მდგომარეობა და თვით სამფლობელოების საზღვრებიც, ქ. სამშვილდის ბედ-იღბალიც მშვენივრად გვისურათებს. როგორც სამშვილდის ტაძრის წარწერითგანა ჩანს, ეს ქალაქი მეათე საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს და იმავ საუკუნის მესამე მეოთხედში აფხაზთა და ქართველთა მეფეთა კონსტანტინესი და ლეონის ხელში ყოფილა[255]. ხოლო ამავე საუკუნის დამლევს იგივე ქალაქი სომეხთა მეფეს დავით გურგენის ძეს ჰკუთვნებია და თავის საჯდომადაც-კი გაუხდია[256].

---

[254] J. Marquart, Streifzüge, 175.

[255] **ე. თაყაიშვილი,** Арх. экс., II, 42-43.

[256] **ასოღიკი,** 256.

* *
*

VIII და IX-Xს. საქართველოს სულიერი ცხოვრებისათვის მეტად დასმახასიათებელი და განსაკუთრებით ელფერის მიმცემი ძლიერი სამონასტრო მოძრაობა და ეკლესიის ბატონობა არის; წინათაც არსებობდნენ საქართველოში მონაზონები; უკვე **პროკოპი კესარიელის** დროს ქართველებს პალესტინაში ორი, ლაზებისა და იბერთა, უდაბნო ჰქონიათ; მაგრამ ძველ დროს გავრცელებული იყო მარტომყოფელობა და მეუდაბნოეობა, როდესაც თითოეული ცალ-ცალკე მოღვაწეობდა; ყველანი "იზრდებოდეს მძოვართა სახედ მწუანილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე პურითა"; ზოგი მათგანი, ვისაც ძალა შესწევდა და რაიმე ხელობა იცოდა, თავისი შრომით და ხელობით ირჩენდა თავს; მაიგნცა-და-მაინც თითოეული მათგანი სულ იმის ცდაში იყო, არავინ შევაწუხო "სიკუდილამდჱ თჳთ ვმსახურო თავსა ჩემსა"-ო.

მაშასადამე, იმ დროს ბერები მართლაც გაურბოდნენ "მაცდურს" ქვეყანას, სიმდიდრეს და კერძო საკუთრებას, რომელიც ყოველგვარი სიბოროტისა და უსამართლობის დედაბუდედ მიაჩნდათ: სრული სიგლახაკე, უპოვარებაჲ და საკუთარის შრომით პურის ჭამა, ზნეობრივი სისპეტაკე და განვითარება მათს დაუცხრომელს მისწრაფებას შეადგენდა. ეს **თავისთავად,** მაღალ-ზნეობრივ მისწრაფებით აღსავსე და მიმზიდველი მიმართულება, ერთობლივ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თითქმის უნაყოფო და უსარგებლო მოვლენა იყო. სულ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა იმ ძლიერს სამონასტრო მოძრაობას, რომელიც დაიწყო უკვე მერვე საუკუნის დასასრულს და მთელს მეცხრე საუკუნეში და მეათეშიაც გაცხოველებული იყო. შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში ამ მოძრაობის მოთავედ და განმახორციელებლად გამოჩენილი ქართველი საკლესიო მოღვაწე **გრიგოლ ხანძთელი** (759-861 წ.) ყოფილა, რომელსაც მრავალი მოწაფე და მიმბაძველი ჰყავდა, მისის მისწრაფებათა მოტრფიალენი და განმახორციელებელნი. ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოსათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ ქართველ ბერებს უდაბნო ადგილების ძებნაში ყურადღება უნებლიედ საქართველოს აოხრებულ, უშენ და უღვაწ კუთხეებისათვის უნდა მიექციათ და მიაქციეს კიდეც, მათმა იქ დაშენებამ უდაბური ტყეებით მოცულსა და მტრისაგან განადგურებულს ადგილებში კვლავ სიცოცხლისა და კულტურის კერა შეჰქმნა; უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკეთდა, გაუვალ ტყეებში მშვენიერი შენობები აიგო, დიდებული ნანგრევები, მიტოვებული ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა. გასაოცარი მოვლენა-კი არის, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ სწორედ ეს ქვეყნისაგან ლტოლვილნი, ცოდვილი ცხოვრების უარისმყოფელნი ბერები "უდაბნოთა ქალაქ მყოფელნი" (ც˜ჲ გგ˜ლ ხნმთ˜ლსჲ გვ. ბ) იყვნენ, ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი და ახალ მოშენეთა თავგანწირული წინამორბედნი.

თუ გავიხსენებთ, რომ VIII-IX ს. სამცხე, შავშეთ-კლარჯეთ-ტაო და მესხეთის უმეტესი ნაწილი თითქმის სრულებით უკაცრიელი იყო და "უშენებელ გარეშე მცირედთა სოფელთასა", IX-X ს.-კი იქ უკვე მრავალი მონასტრები დაი ეკლესიები აშენდა, უდაბურს, უტყვს ქვეყანაში ადამიანთა ცხოველი სიტყვა გაისმა, დაბა-ქალაქებით მოიფინა, მიუდგომელ ადგილებზე მონაზონთა და ახალშენთა მედგარის შრომის წყალობით ნახნავები გაკეთდა და მშვენიერი მტილ-ვენახები გაშენდა, მაშინ ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება ის დიადი ღვაწლი, რომელიც ჩვენ ბერებსა და

სამონასტრო მოძრაობას საქართველოს წინაშე მიუძღვის. ამ მოძრაობის მოთავენი და მთავარი მოღვაწენი შეუდრეკელის ხასიათისა და ნების პატრონები იყვნენ, გასაოცარის მხნეობით აღჭურვილნი, თავგანწირულის სულისკვეთებით აღფრთოვანებულნი. მათ უღვიოდათ გულში იმგვარი «**მდუღარებაჲ სულისაჲ**» (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზ˜მლსჲ, 20), რომელიც ადამიანს გმირადა ხდის და მის მოღვაწეობას მომხიბლავ მშვენიერებას ანიჭებს, არა ერთხელ აიძულებს ხოლმე მას განზრახული საქმისათვის «დადებად სულისა», ახალ გზასა და მიმართულებას აძებნინებს და იწვევს «უღაღთა და უვალთა გზათა სლვად» (იქვე). ამ რჩეულ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც სხვათა შორის მესხეთის დასახლებას და მის აყვავებას ხელი შეუწყვეს, ეკუთვნოდნენ **გრიგოლ ხანძთელი,** ხანძთისა, შატბერდისა, გუნათლეს, მერის და უბეს მონასტრების ამშენებელი, **სერაპიონ ზარზმელი**, ზარზმის მონასტრის დამფუძნებელი, **მიქელ პარეხელი, საბა** დიდებულ "იშხნისა მორედ მაშჩნებელი" (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, ვ, კ, ლ), **დავით მიძნაძორელი, ილარიონი,** წყაროსთავის აღმშენებელი, და მრავალნი სხვანი[257].

ვითარცა ამ საეკლესიო მოღვაწეთა შეუდრეკელს ხასიათსაც შეეფერებოდა, მათი გავლენა მთელს იმდროინდელს ცხოვრებას ატყვია; მათის წყალობით მაშინ მონაზონობა და ეკლესია იყო გაბატონებული; იგი თავისებურს ელფერს ანიჭებდა იმ ხანის აზროვნებასაც. შეურყეველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული, რომ თავი და თავი ამ ცოდვილს ქვეყანაში მღვდელობა არის, იგი «უფროჲს არს ყოველთა დიდებათა, სულიერთა და ჴორციელთა» იმიტომ, რომ მღვდელი ქრისტეს წარმომადგენელია, ხოლო მღვდელობა «ქრისტჱს ნაცვალობაჲ არს»[258]. საერო ეკლესიების მღვდლებზე გაცილებით უფრო მაღალი ხარისხი ეპყრათ მონაზონებს, რომელნიც თავიანთ თავს სახელმწიფო და საერო მთავრობისაგან სრულებით დამოუკიდებლადა ჰგრძნობდნენ. «**ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან**»-ო, ამბობდა თურმე გრიგოლ ხანძთელი (იქვე); და მართლაც იმ დროს ბერს სრულებით დაუსჯელად შეეძლო მთავრის ბრძანებისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცია; ხოლო თუ გულმოსული ჴელმწიფე წყრომით მოაგონებდა: ბერო, «ჯერ არს ხელმწიფეთა მორჩილებაჲ»-ო, იგი უკმეხად პირში ეტყოდა: «**შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ,** ხოლო ქრისტჱ - ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ», «შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ საუკუნოჲ მეუფე», ხოლო რაკი «ვერვის ჴელეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ», ამიტომ მე შენ ბრძანებას არ ვემორჩილებიო (იქვე).

მარტო თითოეული მონაზონი და სამღვდელო პირი-კი არ იყო ცალ-ცალკე დამოუკიდებელი საერო მთავრობისაგან, მთელი სამღვდელოება ერთობლივ და ეკლესიაც სრულებით თავისუფალი იყო და დამოუკიდებელი. თუნდაც რომ ცამდის მართალი ყოფილიყო მთავარი, ან სხვა ვინმე ერისკაცი ჩარეულიყო საეკლესიო საქმეში და სამართლიანი მსჯელობა გამოეთქვა, მაშინვე მას თავის ქერქში ჩააყენებდნენ, ეგ შენი საქმე არ არის, შენი არ გეკითხებაო, შენი ჩარევა «შჯულისა და მღვდელთ-მოძღუართა შეურაცხებაჲ არს»-ო, იმიტომ, რომ საეკლესიო «კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესის წინამძღუართა

[257] იხ. ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, TP, VII, ნ. მარის წინასიტყვაობა და დღიური.

[258] იხ. ჩემი "ისტორიის მიზანი და მეთოდები", გ. მერჩული.

მამათა განსაგებელისა შჯულის მოძღუარებასა იკადრებდა, გინა ახალსახიობასა მოიღებდა, დაღაცათუ სამართლად საგონებელი იყო»[259].

მაგრამ თუ სამღვდელოება და მონაზონები ერისკაცებსა და მთავრობას საეკლესიო საკითხებში ჩარევის ნებას არ აძლევდა, თითონ ისინი თავიანთ ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოვალეობადა სთვლიდნენ ადამიანთა ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ ყოველთვის, როდესაც ღვთაებრივი შჯული და საეკლესიო კანონი მათის აზრით დარღვეული იყო. ამისთანა შემთხვევაში ისინი მოურიდებლად და უშიშრად მოქმედებდნენ და თუ საჭირო იყო თვით ქვეყნის უზენაეს გამგეს, ძლიერს მთავარს წინააღუდგებოდნენ და ამხილებდნენ ხლომე. ამ მხრივ იმდროინდელი ეკლესიის ძლიერების დამახასიათებელია ის ორი ამბავი, რომელიც მოთხრობილი აქვს **გიორგი მერჩულეს**. განსაკუთრებით საგულისხმიერო არის პირველი მათგანი და მხოლოდ მას შევეხებით. გრიგოლ ხანძთელმა შეიტყო თურმე, რომ აშოტ კურაპალატს შეუყვარდა ერთი ქალი, რომელიც თავისთან მიიყვანა. რაკი აშოტს ცოლი ჰყავდა, ეს მისი საქციელი მრუშებად იყო ჩათვლილი და «ამხილა პირის-პირ ჴელმწიფესა მას». აშოტმა აღუთქვა, რომ საყვარელს თავს დაანებებდა და შინ გაისტუმრებდა; მაგრამ ისე ძლიერად და გულწრფელად უყვარდა ის ქალი, რომ თავისი დანაპირი ვერ აასრულა. მაშინ გრიგოლმა იდროვა, როდესაც აშოტ კურაპალატი არტანუჯითგან სხვაგან იყო წასული, მივიდა მის სასახლესთან და მისი საყვარელი წამოიყვანა, და დედათა მონასტერში დააბინავა. უკან დაბრუნებულმა აშოტმა რა ეს ამბავი შეიტყო, ერთხანს ითმენდა, მაგრამ მერე თავი ვერ შეიკავა და მივიდა იმ მონასტერში, სადაც მისი გულის სატრფო იყო; დედათა მონასტრის წინამძღვარმა დაუმალა იგი და არ აჩვენა. ამის შემდგომ წინამძღვართან ლაპარაკის დროს მის საუგო საქციელს ისე მოურიდებლად და "მკუეთრ" ამხელდნენ, რომ აშოტი «სირცხჳლეულ იქმნა მართლმხილებისა მის გან კდემული და მყოვარ ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული» (ც˜Ა გგ˜ლ ხნძთ˜ლსᲐ, ნᲬ). გონებით იგიცა გრძნობდა, რომ მისი საქციელი შეუფერებელი იყო მეუღლის წინაშეცა და ხალხის წინაშეც, მაგრამ გული არა სცხრებოდა და ტრფობის გრძნობა გონებას არ ემორჩილებოდა. "გულის შეჭირვებისაგან" აღშფოთებულს, ვნებათა ღელვით შეურვებულს მას იმ წამს სიკვდილი სანატრელად ეჩვენა და გულის სიღრმითგან წარმოათქმევინა: «ნეტარ მას კაცსა, ვინც არღარა ცოცხალ არს»-ო (იქვე), მას ხომ გული გაციებული აქვს და იმ სულიერს ტანჯვას მაინც ვერ იგრძნობდა, რომელმაც აშოტის მთელი არსება ასე აღაშფოთა და თავმოყვარეობა, "თავმოთნეობაᲐ"-ც-კი დაავიწყა. კურაპალატი იძულებული იყო დაეთმო. გიორგი მერჩული ძლევამოსილის კილოთი მჭერმეტყველებით დასძენს: «**ჴორციელად ძლიერსა ჴელმწიფესა სულიერად ძლიერთა კაცთა სძლეს**»-ო (იქვე).

ქართული ეკლესია ამ დროს მართლაც ძლიერი იყო; მას ბევრი გამოჩენილი მოღვაწე და საეკლესიო მწერალი, მთარგმნელი, საგალობლების მწერლები, საეკლესიო ისტორიკოსები და სხვ. ჰყავდა. მაშინ უკვე ღირსეულად იყო დაფასებული **წ˜ა ნინოს** მოციქულთა სწორი მნიშვნელობა ქართველთათვის; მისი "ცხორება" «ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული» თითქოს «შემდგომად მრავალთა ჟამთა და ხანთა» პოვნილი იყო. ამ აღმოჩენამ, წ˜ა ნინოს ქადაგების ღირსეულმა დაფასებამ, იმდროინდელი ქართველები დაარწმუნა, რომ მათს წინაპრებს საკუთარი, სომხეთისა და გრიგოლ პართელისაგან დამოუკიდებული,

[259] იხ. ჩემი "ქ˜ლ სამართლის ისტორია", წ. II, ეკლესია.

განმანათლებელი ჰყავდათ, რომელმაც ქრისტიანობის ქადაგება იერუსალიმით მოუტანა, ხოლო ნათლის მცემელი სამღვდელოება საბერძნეთით მოიწვია. ამ დედააზრის გამომსახველი იყო შატბერდისეული წ˜ა ნინოს ცხორება[260].

ამავე ხანაში დაწერილი იყო **არსენი კათალიკოზის** მიერ თხზულება "განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა", რომელშიაც მოთრობილი არის ქართველ-სომეხთა ეკლესიების განხეთქილებისა და საღვთისმეტყველო პაექრობის ამბავი. რაკი განხეთქილების შემდგომაც ამ საგანზე სჯა-ბაასი და კამათი არ დამცხრალა, რამდენჯერმე სეკლესიო კრებაც-კი იყო მოწვეული, რომელსაც ვითომც მოპირდაპირეთა შორის თანხმობა და სიყვარული უნდა დაემყარებინა, ამიტომ საჭირო იყო რომ ქართველი სამღვდელოება პაექრობისათვის მუდამ მზადა ყოფილიყო, საბუთებით და ცოდნით აღჭურვილი. ეს დანიშნულება ჰქონდა არსენი კათალიკოზის თხზულებას, რომელშიაც საზოგადოდ საგულისხმიერო ცნობებია შენახული და თვით მოვლენაც თავისებურის თვალსაზრისით არის ახსნილი[261].

სწორედ ამავე ხანაში, 843-859 წწ., **ქართულმა ეკლესიამ იმდროის შესაფერისად დიდი უფლება და უპირატესობა მიიღო.** "დიდი ეფრემი" იყო ამ ჩვენის ქვეყნისათვის "მრავლის კეთილის" მომნიჭებელი უფლების მომპოვებელი. წინათ «პირველად აღმოსავლეთისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჩმით მოჰყვანდა»; ამ მხრივ სხვებსავით ქართული ეკლესიაც იერუსალიმის მამამთავრისაგან იყო დამოკიდებული, მაგრამ **ეფრემმა** ისე მოახერხა, რომ «მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალჩმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა»[262]. ამიერითგან საქართველოს ეკლესია ამგვარ დამოკიდებულებისაგანაც განთავისუფლებული იყო.

ქართული ეკლესიის და სამწყსოს გასაოცარ ზრდას ამ ხნის განმავლობაში მჭერმეტყველად მოწმობენ ის "**სამღუდელმოძღურონი**" (მტ˜ნე ქ˜ჲ, 495, გვ. 267), რომელიც მაშინ სრულებით ახლად იყო დაარსებული. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი, თუნდ ის, რომ ბაგრატ კურაპალატმა შექმნა იშხანში საეპისკოპოსო და პირველად «იქმნა საბა ებისკოპოს **იშხანსა** ზედა» (ც˜ჲ გგ˜ლ ხნმთ˜ლსჲ, ლ); რომ ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა «აღაშენა **ტბეთი** შავშეთს... და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ბა, 61); რომ მეფე ადარნასემ (887-923) დავით კურაპალატის ძემ «აღაშენა **ბანა** ჴელითა კჳრიკე ბანელისათა, რომელი იქმნა პირველი ეპისკოპოზ ბანელ» (იქვე, 59); რომ გიორგი აფხაზთა მეფემ «აღაშენა საყდარი **ჭყონდიდისა**, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *452, გვ. 229), და ჩვენ ქართველობის მაშინდელი სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა ნათლად წარმოგვიდგება თვალწინ. სხვაც რომ არაფერი შენახულიყო, ბანის განმაცვიფრებელი რგვალი ტაძარი სრულებით საკმარისი იყო, რომ იმდროინდელი ცხოვრების მაღალხარისხოვანი განვითარება ჩვენთვის ცხადი გამხდარიყო.

საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ რომ კიდევ ერთს ფრიად მნიშვნელოვანს და საყურადღებო საკითხს არ შევეხეთ.

---

[260] იხ. ჩემი "ისტორიის მიზანი და მეთოდები" (თბ., 1945 წ.), გვ. 94-102) [III გამოცემის რედაქტორის შენიშვნა- რედ.].

[261] იხ. ჩემი "ისტორიის მიზანი და მეთოდები" (წიგნი I) [III გამოცემის რედაქტორის შენიშვნა- რედ.].

[262] ც˜ჲ გგ˜ლ ხნმთ˜ლსჲ, **ნ. მარი,** Истор. очерк. груз. церк. [Церковные ведемости, № 3, 1907], გვ. 126.

მსოფლიო და განსაკუთრებით, საბერძნეთის ეკლესიის მყუდროება ერთის საუკუნის განმავლობაში, 725-843 წწ., შერყეული იყო მედგარის ბრძოლით ხატების თაყვანისმცემელთა და ხატებისმერძოლთა შორის. ხატების თაყვანისცემა კერპთთაყვანისცემად იყო გამოცხადებული და ბიზანტიის კეისრებისა და უმაღლესი სამღვდელოების მიერ აკრძულული იყო. ხატების მებრძოლნი თავიანთ მოწინააღმდეგეებს დაუნდობლად სდევნიდნენ: საპყრობილე და ექსორია, სიკვდილიც-კი იშვიათი ხვედრი არ იყო ხატების თაყვანისმცემელთათვის; თვით ხატები გაანადგურეს და მოსპეს სადაც-კი შეიძლებოდა. საბერძნეთის ეკლესიაში მონაზონები და გამოჩენილი საეკლესიო მწერლები ხატებისმებრძოლთა წინააღმდეგნი იყვნენ, დასავლეთის ეკლესიას-კი ამ მოძრაობაში თითქმის მონაწილეობა არ მიუღია და ხატების თაყვანისმცემელთა მხარე ეჭირა. რომის ეკლესიასავით **საქართველოს ეკლესიაც ხატების მებრძოლთა წინააღმდეგი ყოფილა და აღმოსავლეთში მაშინ თითქმის ერთად-ერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველს წესს. იცავდა და ხატების თაყვანისცემა არ უარყვია.** ამის გამო იმ საეპისკოპოსო სამწყსოებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არ ეთანხმებოდნენ და ხატებს თაყვანსა სცემდნენ, უნებლიედ ან ახალ ეპისკოპოსთა ბიზანტიაში ხელდასხმაზე უნდა უარი ეთქვათ, ან არა და იერარქიულად საბერძნეთს უნდა ჩამოჰშორებოდნენ და თავიანთვის საეპისკოპოზოდ არჩეული იქ გაეგზავნათ, სადაც ეკლესიაში ხატების მებრძოლნი არ იყვნენ გაბატონებულები. სწორედ ასედაც მოქცეულან გუთები, რომელთაც ეპისკოპოსი იოანე ჯერ საბარძნეთში წასული, იძულებული იყო უკურთხებელი გამობრუნებულიყო; მერე იგი იბერიაში ანუ საქართველოში წასულა და აქ კათალიკოზისაგან მიუღია ხელდასხმა; ამას მოგვითხრობს თვით იოანე გუთელ ეპისკოპოსის ბერძნული ცხორებავე[263]. იოანე გუთელი ეპისკოპოსი ლეონ ისავრიელისა (717-741) და კონსტანტინე (741-775) კეისრების თანამედროვეა. თავის დროს ამ ცნობით ისარგებლა გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ **გიორგი მთაწმიდელმა**, როდესაც იგი ანტიოქიის სამღვდელოებას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებებს უმტკიცებდა. ანტიოქიის პატრიარქს მან სხვათა შორის უთხრა: «იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბარძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა. და **იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად**, ვითარცა სწერია დიდსა სჳნაქსარსა»-ო (ცˇჲ გˇი მთაწმˇდლსჲ, 316).

ჩვენ ვიცით, რომ VII ს. **ლაზიკის სამიტროპოლიტო ფაზისში და აფხაზეთის ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ**; ამას ამტკიცებს VII ს. დასასრულს შედგენილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამრევლოს ნუსხა, ეგრეთწოდებული "Notitiae episcopatuum", რომელშიაც სხვათა შორის ზემოაღნიშნული ორი სამღვდელმთავროც არის შეტანილი[264].

მერე, როგორც ცნობილია, სამეგრელო და აფხაზეთიც საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრივაც შეერთებული იყო სრულიად საქრთველოს ეკლესიასთან

---

[263] Acta Sanctorum, ბოლანდისტების გამ, წ. YII, გვ. 168 B.

[264] Ed. **G. Parthey,** Hieroclis Synecdemus et notitiae graecae epicopatuum, ბერლინი, 1866, **Georgii Cyprii** Descriptio orbis Romani, Ed. **H. Gelzer**, ლაიპციგი 1890 წ, **De Boor**, Nachtr3ge zu den Notitiae episcopatuum; Zeittschrift f. Kirchengeschichte XII; **ნ.მარი**, Доклад в предсоборном Присутствии: Церковные ведомости 1907 წ. № 3, გვ. 121; **R. P. I. Pargoire**, L'Eglise Byzantine de 527 a 847, 1905, გვ.187-188; **В. В. Латышев**, К истории христианства на Кавказе, 1911, გვ. 9-10.

ქართლის კათალიკოზისა და პატრიარქის ხელქვეით. როდის მოხდა ეს შეერთება, ამის შესახებ ჯერჯერობით პირადაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც-და – მაინც მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ეტყობა, აფხაზეთის ეკლესია უნდა შემოერთებული ყოფილი ყოფილიყო, ეს იქითგანა ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის, ანუ "**თჳთმწყსობის**" უფლებას სხვათა შორის შემდეგი საბუთითაც ამტკიცებდა: «ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების»-ო (ც˜ᲐᲒ Გ˜ი მთაწმ˜დლსᲐ, 315). ამ დროს რომ აფხაზეთის ეკლესია საქართველოს საერთო ეკლესიას არ ჰკუთვნებოდა, გიორგი მთაწმიდელი ასეთს საბუთს ვერ მოიყვანდა იმიტომ, რომ მას უპასუხებდნენ, თქვენ ამით არავითარი უფლება არ მოგენიჭებათ, რათგან აფხაზეთი საბერძნეთის ეკლესიას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ეკუთვნის და არა მცხეთის საკათალიკოზო საყდარსაო. საქართველოს ეკლესიის დასავლეთ-აღმოსავლეთის ნაწილების დაახლოვება შესაძლებელია VIII-IX ს. მომხდარიყოს, იმ დროს, როდესაც საბერძნეთის სამღვდელმთავრო საყდრები ხატისმებრძოლ პატრიარქებს ეპყრათ და როდესაც მცხეთაში მოდიოდნენ ხელდასხმისათვის ისეთი შორეული ქვეყნითგანაც, როგორც იყო გუთეთი. მით უფრო მოსალოდნელია, რომ ლაზიკის მიტროპოლიტს ხელდასხმა ქართლისა კათალიკოზისაგან მიეღო, ხოლო აფხაზეთის ავტოკეფალს არქიეპისკოპოზს საქართველოს მამამთავართან მჭიდრო კავშირი დაედო. მაგრამ თუ კონსტანინეპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსთა IX ს. ნუსხები იმდროინდელ მდგომარეობას სწორედ გვისურათებს, ირკვევა, რომ აფხაზეთის ერთი საარქიეპისკოპოსო საყდარი სებასტოპოლში მაშინაც კონსტანტინეპოლის მამამთავრის სამწყსოს ეკუთვნოდა ვითარცა ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი[265].

[265] **В. Латышев**, К истории христианства на Кавказе, 10-11.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

საქართველოს გაერთიანება

1. მეფე ბაგრატ III და დავით დიდი კურაპალატი

საქართველოს სამეფოს იმ აშლილობის დროს, რომელიც დამკვიდრდა უსინათლო თეოდოსის მეფობაში, მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წადიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი **იოანე მარუშის ძე** ყოფილა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რამდენად საუბედურო იქნებოდა საქართველოსათვის უსინათლო, უძლური კაცის მეფობა და ამიტომ «ამან წარავლინა მოციქული წინაშე **დავით კურაპალატისა,** აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *461, გვ. 236). იოანე მარუშის ძეს საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აარჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეძლო ეს განეხორციელებინა: იგი სახელგანთქმული იყო ყველგან, როგრც შინ საქრთველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებითა და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით; ამასთანავე მტკიცე და ძლიერი ხასიათის პატრონი იყო და თავის თავს არავის დააჩაგვრინებდა. რაკი მას შვილი არ ებადა, ამიტომ თავისი მახლობელი ნათესავი «ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თჳსად» (იქვე, *461, გვ. 237); მაშასადამე, იგი არამც თუ ქართველთა მეფეთა სამფლობელოს მემკვიდრე იყო, არამედ ტაოსიც; ხოლო თუ აფხაზთა მეფეების ტახტზე მართლაც ბაგრატს დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა თითქმის მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფედ, კახეთისა და ჰერეთის ერთ ნაწილს გარდა. სწორედ ამიტომაც იოანე მარუშის ძე «ეძებდა მეფედ ბაგრატს» (იქვე, *461, გვ. 236).

დავით დიდ კურაპალატს მოეწონა იოანე მარუშის ძის წინადადება და თავის ჯარითურთ საჩქაროდ ქართლისაკენ გამოეშურა. ეს რომ კახელებმა გაიგეს ქართლს უჩუმრივ თავი მიანებეს და როცა დავით კურაპალატი მობრძანდა და ქუაჴრელთან დადგა, იოანე მარუშის ძე მიეგება და უფლისციხე მას გადასცა, ხოლო დავითმა «მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს»-ს; მაგრამ რაკი ბაგრატი ჯერ სრულწლოვანი არ იყო, ამიტომ "თანაგამგებელად" მამა მისი გურგენი დაუნიშნა (იქვე, *461-462, გვ. 237).

დავით კურაპალატმა ქართლითგან წასვლის წინათ შეკრიბა ადგილობრივი აზნაურები და გამოუცხადა: «ესე (ბაგრატ) არს მკჳდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი»-ო (იქვე, *462, გვ. 237-238). მაგრამ ქართლის აზნაურთაგან ყველა დიდებული აზნაურები ხომ იოანე მარუშის ძესავით საქართველოს საზოგადო საქმეზე და გაერთიანებაზე არა ფიქრობდნენ; პირიქით, პირადი და წოდებრივი გამორჩენისა და სარგებლობის წყურვილი სრულებით უხშავდა მათ ფართო საზოგადოებრივ გრძნობას და ქვეყნის ბედ-იღბალს თავიანთ

წოდებრივ თავმოყვარეობას უქვემდებარებდნენ. აკი ამიტომაც დიდხანს ვერ მოითმინეს ქართლის დიდებულმა აზნაურებმა და «იწყეს კუალად მედგრობით ზაკულება»: «შეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა და მოიყუანნეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლის ციხე და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ და წარიყუანეს კახეთად» (იქვე, *462, გვ. 238). დავით კურაპალატმა, ჩამოვიდა თუ არა ქართლში, ხელად გაარიგა საქმეები და წეს-რიგი დაამყარა; კახელებმა დატყვევებულნი განათავისუფლეს, ქართლის ყველა დაპყრობილი ადგილები დააბრუნეს წირქუალის ციხესა და გრუას გარდა (იქვე, *463, გვ. 238).

იოანე მარუშის ძის გეგმა და ნატვრა, რომ ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს მეფედ გამხდარიყო, მალე განხორციელდა. აფხაზეთში უსინათლო თეოდოსის წყალობით ისე აიწეწა საქმეები და გაირყვნა ქვეყანა, რომ «შეიცვალა ყოველი წესი მისი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული» (იქვე, 238); ხალხი შეწუხდა; აფხაზეთის დიდებულ აზნაურებმაც დაინახეს, თუ რამდენად საზარალოა ხოლმე ქვეყნისათვის სუსტი ადამიანის მეფობა. აფხაზეთის ამისთანა მდგომარეობით ისარგებლა შორსგამჭვრეტელმა იოანე მარუშის ძემ და «ინება რათა მოიყუანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამიოთხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისა გან» (იქვე, *463, გვ. 239). დავით კურაპალატი ფრთხილად მოიქცა და ვიდრე მძევლები არ ჩამოართვა, თხოვნა არ აუსრულა. ახალგაზრდა ბაგრატი აფხაზეთში ჩაიყვანეს და «დალოცეს მეფედ» (იქვე, *464, გვ. 239).

როდის უნდა მომხდარიყო ეს შემთხვევა, რომელ წელიწადში გამეფდა **ბაგრატ III** საქართველოში, ამ საკითხზე შეიძლება ორგვარი პასუხი იყოს: იგი ორჯერ გამეფდა, პირველად თითქოს ქართლში, მეორედ აფხაზეთში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ლიხთ-იმერეთში. როდესაც დავით დიდმა კურაპალატმა ქართლი ბაგრატ გურგენის ძეს გადასცა, იგი მაშინ «ჯერე ჰასაკს თჳსსა ზედა უსრულ» იყო და ამიტომ «თანაგამგებლად დაუტევა მამა მისი გურგენ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *462, გვ. 237). ქართლში დამკვიდრების შემდგომ «ვითარ გარდაჴდა წელიწადი ამას შინა სამი» (იქვე, *463, გვ. 238), ბაგრატი მიიყვანეს აფხაზეთს «დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა, რამეთუ განსრულებულ იყო ჰასაკითა»-ო (იქვე, *464, გვ. 239). “მტ˜ნე ქ˜ჲ” მოგვითხრობს, რომ ბაგრატ III «მეფობდა ოცდათექუსმეტ წელს და გარდაიცვალა მჴცითა შუენიერითა შემკული ქორონიკონსა: - ს˜ლ˜დ: - (234) თუესა მაისსა შვიდსა, დღესარ პარასკევსა»-ო (*473, გვ. 246). ქორონიკონი უდრის 1014 წ. ქ. შ., მაშასადამე **ბაგრატ III გამეფებულა (1014-36) 978 წელს.** ამგვარივე თარიღი ჩანს ათონის მონასტრის ერთს ხელნაწერში შენახულ ანდერძისდა მიხედვით; იქ სწერია: «ღმერთო, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი... რომელმან ინება აღწერაჲ წმიდისა ამისა წიგნისა წმიდათა მოწამეთაჲ ინდიკტიონსა მეფობისა მათისასა: კე:» (25) დასაბამით განწელთა ხქზ: (6607). ქორონიკონსა: სკბ:» (222)[266]. რაკი 1002 წ. ყოფილა ბაგრატ III მეფობის 25 ინდიქტიონი, ანუ წელიწადი, მაშასადამე იგი გამეფებულა 977 (1002-25) წელს; ხოლო თუ დასაბამითგან ავიღებთ თარიღს, მაშინ გამოვა 978 (6607-5604-25) წელიწადი. ამგვარად **ბაგრატ III გამეფების თარიღად უნდა 977-978 წ. ვიცნათ**[267] და არა 980 წ. როგორც აქამდის იყო მიღებული. მაგრამ აქ

[266] **А. Цагарели,** Сведени I, [СПБ., 1886], გვ. 83.

[267] იგივე თარიღი მიღებული და იმავე საბუთებზე დამყარებული აქვთ **თ. ჟორდანიას** (ქ კბი, I, გვ. LVII) და **ე. თაყაიშვილსაც** (იხ. საისტორიო მასალანი, ძველი საქართველო, II, 53). მხოლოდ თ. ჟორდანია 977

იბადება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: 977-978 წ. ბაგრატ III ქართლში თუ აფხაზეთში გაბატონების თარიღი იყო? უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბაგრატი ქართლში 3 წელიწადია უკვე დამკვიდრებული იყო, როდესაც იგი აფხაზეთში მეფედ მიიყვანეს, მაშასადამე, ზემომოყვანილს საკითხს ქრონოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ ათონის ხელნაწერის ზემომოყვანილ ანდერძის შინაარსს ჩავუკვირდებით , ამ საკითხის გადაწყვეტაც ადვილია. 1002 წ. ბაგრატი ყოფილა «აფხაზთა მეფე და ქართუელთა კურაპალატი», მაშასადამე, მაშინ იგი მხოლოდ აფხაზთა მეფედ ითვლებოდა, ქართლში-კი ჯერ არა, იქ მას კურაპალატობის პატივი ჰქონია; თუ გავიხსენებთ, რომ ბაგრატის მამა **გურგენი** ამ დროს, 1002 წ., ჯერ კიდევ ცოცხალი (+ 1008 წ.) იყო, და 994 წ., როდესაც «გარდაიცვალა **ბაგრატ II რეგუენი** ქართუელთა მეფე», მან «დაუტევა ძე თჳსი უხეცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა მეფე» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 64), მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ იმ დროს, 1002 წ., ქართველთა მეფედ ბაგრატ III მამა გურგენი ითვლებოდა და იმიტომაც არის, რომ ბაგრატს მხოლოდ "ქართუელთა კურაპალატი" ეწოდებოდა. ბაგრატიონთა მემატიანე სამართლიანად ამბობს, რომ «ვიდრე გურგენის გამეფებადმდე (994 წ.) ესე ბაგრატ მეფე იქმნა (978 წ.) აფხაზეთს»-ო (ც˜ა და უწ˜ყბა, 64) **მაშასადამე, 977-978 წ. ბაგრატ III აფხაზეთში გამეფების თარიღია და არა ქართლში.** ამისდა მიხედვით ცხადია, რომ მცირეწლოვანი ბაგრატი ქართლში 974-975 წ. გადმოუყვანიათ.

ახლად გამეფებული ბაგრატი მაშინვე არ შესდგომია ქვეყნის მოწესრიგებას, ჯერ საქმის მდგომარეობისა და ცხოვრების ვითარების გაგება იყო საჭირო. ამიტომაც არის, რომ მხოლოდ «ვითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი ორი, იწყო განგებად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *464, გვ 239); ესე იგი მხოლოდ 979-980 წ. შესდგომია ბაგრატ III სახელმწიფო საქმეების განმართვას. რასაკვირველია, პირველად მას უნდა იმ ორჭოფი მდგომარეობისათვის მიექცია ყურადღება, რომელმაც სახელმწიფო მართვა-გამგეობა ასე არივ-დარია. შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორი მეფე ყოფილიყო გამგედ, რომელთაგან ერთი უსინათლო იყო. ვითარცა უსინათლო იგი თვით-ნება მოხელეთა სათამაშოდ იყო ქცეული და მისი მოქმედება წინ გადაეღობებოდა ბაგრატის გარკვეულს პოლიტიკას. ამიტომ, რომ იგი ქვეყნის ერთადერთი ბატონი ყოფილიყო და «ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილი, გინა თუ შიში უწესობისა თჳს მისა მიმართ აქუნდეს» (იქვე), მეფე ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა, მეფე თეოდოსი, ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და თითონ ქართლისა და აფხაზეთის ერთადერთ ბატონად გახდა. **ეს მომხდარა მაშასადამე, 980წ.** ამიერითგან საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელის ნების პატრონს მეფეს ჩაუვარდა ხელში; დაუღალავად მუშაობდა იგი სამეფოს კეთილდღეობისათვის და არას დროს გარკვეულს გზას არ გადაუხვევდა, არც დაბრკოლების წინ შეჩერდებოდა და უკან დაიხევდა. აფხაზეთშიაც და ქართლშიაც ბაგრატი წესრიგის დამყარებას შეუდგა. ცდილობდა დიდებული აზნაურები თავიანთ ქერქში ჩაეყენებინა. ოღონდაც რომ ეს არაფრად მოეწონებოდათ ქართლის აზნაურებს, იმიტომ რომ თუმცა ისინი ქართლში მცხოვრებს ბაგრატის დედას, გურანდუხტს, ემორჩილებოდნე, მაგრამ თავისუფლად იყვნენ და «თჳთეულად განაგებდნენ საქმეთა ქართლისათა»; ასეთს გათამამებულ აზნაურებს ან

წელს ქართლში გამეფების თარიღადა სთვლის, ხოლო ე. თაყაიშვილს აღნიშნული არა აქვს ქართლში თუ აფხაზეთში გამეფების თარიღად მიაჩნია.

რა გასაკვირველია თუ «არა ენება გარდმოსვლა» ბაგრატისა ქართლში (იქვე, *464, გვ. 239). ამის გამო ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის წინამძღვრობით მეფეს მოღრისის თავს დაუხვდნენ და მისი ქართლში გადმოშვება არ სურდათ. ბაგრატი შეება თავხედ აზნაურებს და დაამარცხა; მერე უფლისციხეში მივიდა, «აღიღო ციხე დედისაგან თჳსისა» და ქართლის გამგეობა ჩამოართვა, რომ იქაური თავგასული აზნაურობა თავის ძლიერ ხელს ქვეით და მორჩილებაში ჰყოლოდა (იქვე, *464-*465, გვ. 239-240). ამის შემდეგ ბაგრატმა თბილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანას მიაქცია ყურადღება. «ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ჴევი და სკორეთი», აგრეთვე ატენის ციხეც ამ დროს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავს რატს ეჭირა და «არა მორჩილებდა ბაგრატ მეფესა» (იქვე, *465, გვ. 240). მეფემ რომ ამ დიდებულ მოხელისა და ქვეყნის დამორჩილება დააპირა და ლაშქრის შეკრებას შეუდგა მისმა მოწინააღმდეგებმა დავით კურაპალატს ჩააგონეს ბაგრატს შენი მოკვლა სწადიანო, ამით რასაკვირველია შვილობილის წინააღმდეგ აამხედრეს. ბაგრატ III უნდა მიჰშველებოდა თავისი ლაშქრით მისი მამა გურგენი; ამ მზადებას **ბაგრატ II ქართუელთა მეფეც** (937-994), გურგენის მამა და ბაგრატის პაპა, რეგუენად წოდებული, შეუშინებია; ვაი თუ ამ ბრძოლაში მეც რამეს მიპირებდნენო, «ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისასა»; ამიტომ იმანაც არჩია, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა დავით კურაპალატს მიჰმხრობოდა და კიდეც «მივიდა დავით კურაპალატისა წინაშე». ამას გარდა დავით «უჴმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *466, გვ. 240-241).

ქართველი მემატიანის ამ უკანასკნელს ცნობას სომეხთა ისტორიკოსი **ასოღიკიც** ადასტურებს; დავით კურაპალატს და ქართუელთა მეფეს ბაგრატს (II, რეგვენს) მეშველად ასოღიკის სიტყვით მოუწევიათ სუმბატ სომეხთა მეფე, რომელიც წასულა მთელის თავის მხედრობითა და ძმითურთ გაგიკით, ამას გარდა თანა ჰყოლია აგრეთვე კარის მეფე აბასი; ამგვარად, ბაგრატ III და მის მამის წინააღმდეგ იდგა შეერთებული მხედრობა ქართველთა, გვასპურაკანელთა, სივნიელთა და ალბანთა[268]. ეს შეერთებული ლაშქარი დაბანაკებული იყო დლივს ჯავახეთში (მტ˜ნე ქ˜ჲ, *466, გვ. 241; ასოღიკი, გვ. 252). აქეთგან დავით კურაპალატმა მთელი ჯარი გურგენის წინააღმდეგ გაგზავნა, ბრძოლა მოხდა «გარდათხრილთა თავსა შავშეთისასა» და ძლეული გურგენი გაიქცა და წეფთის ციხეში შეიხიზნა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *466, გვ. 241). ამ დროს ბაგრატ III თავის ლაშქრითურთ თრიალეთში მივიდა და ს. კარუშეთში დადგა. გაგზავნა მზვერავი, რომელმაც მიციქულის სახით «განიცადა ლაშქარი», დაათვალიერა შეერთებული მხედრობა და მოტანილი ცნობებისდა მიხედვით მეფემ «იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა დავით კურაპალატისა», და ისევ მშვიდობიანი მოლაპარაკება ირჩია; იგი მარტოდ-მარტო მივიდა დავით კურაპალატთან «ითხოვა შენდობა» და «აუწყა ვითარმედ სხუასა არა რომლისა თჳს მოვედ, გარნა არა მორჩილებისა თჳს რატისა»-ო; მაგრამ ქართველი მემატიანის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ბაგრატ III, შეერთებულს მხედრობას რომ არ დაეფიქრიანებია, უეჭველია დავით კურაპალატსაც შეებმოდა. დავით კურაპალატმა თავის შვილობილს მიუგო: მე-კი «ესრეთ მითხრეს, რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვცან მართალი, რომელ უბრალო ხარ, ...მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე ვითაცა სახით გწადიან»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *466-*467, გვ. 241).

---

[268] **ასოღიკი,** გვ. 252.

ასოღიკის სიტყვით დავითს ბაგრატ III-ისგან მხოლოდ "ციხე საკურეთი" (=სკორეთი? საქორეთი?) მოუთხოვნია, რომ სუმბატ სომეხთა მეფისათვის მიეცა დახმარებისათვის; ბაგრატს აუსრულებია ეს თხოვნა და ციხე გადაუცია სუმბატისათვის, რომლის სიკვდილის შემდგომ ქართველებს სომხებისათვის იგი ისევ წაურთმევია. ასოღიკის სიტყვით მთელი ეს ამბავი მომხდარა 988 წელს[269] და ეს თარიღი კარგად უდგება. ქართველი მემატიანის ცნობას, რომ წინამოთხრობილ თეოდოსის გამეფებისა (980 წ.) და გურანდუხტ დედოფლისაგან ქართლის ჩამორთმევის შემდგომ «გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენიმე»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *465, გვ. 240).

ბაგრატმა რომ დავით კურაპალატის თანხმობა მიიღო, მეორე წელსვე მოულოდნელად რატს მიადგა და ადვილად დაიმორჩილა; ურჩმა ყმამ მეფეს ციხე კლდეკარი მისცა და თითონ «დაჯდა მამულსა თჳსსა არგვეთს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *467, გვ. 241-242); მაშასადამე, სკორეთისა, თრიალეთისა და მანგლისის ხევის დამორჩილება 989 წელს მომხდარა.

1001 წელს გარდაიცვალა **დიდი დავით კურაპალატი** (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 65). ყველა იმდროინდელი ისტორიკოსები დიდი ქებით იხსენიებენ მას. სომეხი მემატიანე ასოღიკი მაგ. მოგვითხრობს, რომ იმის წყალობით მთელ აღმოსავლეთის, მეტადრე სომეხთა და ქართველთა, მშვიდობიანობისა და აღშენების ხანა დამყარდა, იმიტომ რომ მან დააწყნარა ყველა ქვეყნებში მედგარი ომები, სძლია ყველა მეზობელ ერებს და ყველა მეფეები მას თავის ნებით დაემორჩილნენო[270].

ტაოს სამხრეთ ნაწილს გარდა (ჩრდილოეთის ნაწილი გურგენ მეფეთ მეფეს ეკუთვნოდა), რომელიც მას მემკვიდრეობით ეჭირა, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში 977 წ. მოშველიებისა და სახელოვან გამარჯვებისათვის «მისცნეს მეფეთა (ბიზანტიისათა) ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ» (ც˜ჲ იე˜სი და ეფ˜სი, 11-12). **ასოღიკის** სიტყვით, როდესაც ბიზანტიის კეისარს დავით კურაპალატისათვსი შველა უთხოვნია, შველისათვის დაჰპირებია ხალტოჲარიჭის, კელასურის, ჩორმაირის, კარინისა, ბასიანისა, ციხე სევუკისა (მარდალში იყო), ჰარქისა და "აპაჰუნის" დათმობას და თავის დაპირება აუსრულდებია კიდეც[271], ამ სახელოვანს ომს იხსენიებს და გიორგი მთაწმიდელის ზემომოყვანილს ცნობას ადასტურებს ზარზმის წარწერაც, სადაც სხვათა შორის ნათქვამია... «ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი, ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა, სკლიაროსი გავაქციეთ»-ო[272]. ქართველ რჩეულ მხედრობის მთავარსარდლად, როგორც გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, განთქმული, უკვე ათონის ივერთა მონასტერში ბერად შემდგარი, იოანე-თორნიკე ყოფილა.

მაგრამ რაკი შემდეგ დავით კურაპალატი აჯანყებულ ბარდა ფოკას მიეშველა, როცა ფოკას მოულოდნელმა სიკვდილმა 989 წელს კეისარი ბასილი განსაცდელისაგან გადაარჩინა, გარისხებულმა ბასილმა არაბ მემატიანის **ჲაჰჲა ანტიოქელის** სიტყვით დავითის დასჯა დააპირა. დავითმა კეისარს შენდობა სთხოვა და თავი მხოლოდ იმით იხსნა, რაკი კულავ მორჩილება აღუთქვა და დაჰპირდა, რომ

---

[269] იქვე, გვ. 252-253.

[270] **ასოღიკი,** გვ. 275; იხ. აგრეთვე არისტაკეს ლასტივერელის ისტორია, ტფილისის 1912 წლის გამოცემა, გვ. 3.

[271] იქვე, გვ. 192.

[272] **ე. თაყაიშვილი,** Авх. экс, [Тифлис, 1905], გვ. 18.

მის სიკვდილის შემდგომ მთელ თავის სამფლობელოს, ვითარცა უძეო და უმკვიდრო, ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა[273].

ვითარცა ძლიერმა ნების პატრონმა, გულადმა მეომარმა და მეტად ბრძენმა და შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკოსმა დავით დიდმა კურაპალატმა ყველას პატივისცემა დაიმსახურა და სახელი გაითქვა. იგი მუდამ დაუცხრომელად ცდილობდა, რომ თავისი საბრძანებლის საზღვრები გაეფართოვებინა და როდესაც კი მოხერხებული ხელშემწყობი გარემოება იყო ხოლმე, მაშინვე მაჰმადიანთა ამირებს, მეტადრე ბადის, მოსაზღვრე ქვეყნებს გამოჰგლეჯდა ხლომე. როდესაც მადაფარკინის და სხვათა მფლობელი ბადი გარდაიცვალა და მის მაგიერ ამირად დადგა მისი დისწული აბუალი ძე მერვანისა, დავით კურაპალატი მიადგა ქ. მანაზკერტს და გარემოიცვა. დავითმა ქართველთა მახვილით და შიმშილით შეწუხებული ქალაქი აიღო და იქითგან მაჰმადიანნი განდევნა, ხოლო მათ მაგიერ ქალაქი ქართველებითა და სომხებით აავსო და თავის საბრძანებელს შემოუერთა. ამ გაბედულმა საქციელმა სპარსელები და არაბები აღაშფოთა და მათ დავით კურაპალატს მოციქული მიუგზავნეს, ან ეხლავე ქალაქი დაგვიბრუნე, ან არა და შენს წინააღმდეგ გამოვილაშქრებთო. რაკი ამ მოლაპარაკებით ვერა გააწყეს რა, ადარბაგანის ამირა მამლანი და სხვა ამირები შეერთებულის მხედრობითურთ დავით კურაპალატის წინააღმდეგ წამოვიდნენ. დავითიც მარტოკა არ დაჰხვედრია. მან მეშველად მოიწვია ბაგრატ II ქართველთა მეფე, გაგიკ სომეხთა მეფე და აბასი, ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ჯარმა ბაგრევანდის სანახებში ქ. ვალაშკერტში დაიბანაკა. სპარსელებმა შებმა ვერ გაბედეს და შეუბრძოლებლივ შინისაკენ გაბრუნდნენ (ასოღიკი 266-267). რაკი ბადი 990 წ. მოკვდა და იმავე წელიწადს მისი ტახტი მართლაც მისმა დისწულმა აბუ ალი ბენ მერვანმა დაიჭირა, რომლის ამირობამ 997 წლამდე გასტანა[274], ამიტომ ეს შემთხვევა 990 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო. ამის შემდგომაც მამლანის გულის წყრომა არ დამცხრალა; 998 წ. მან ხელმეორედ შეკრიბა ლაშქარი, მეშველად ხორასნის ამირა და სპარსეთის სხვა მფლობელები მოიხმო და შეერთებულის დიდის ჯარითურთ ტაოს ასაოხრებლად წამოვიდა. ამ დროს დავით კურაპალატი უკვე ძალზე მოხუცებული იყო, და ბრძოლის ველზე თითონ არ წასულა, მაგრამ მთელი თავისი მხედრობის წინამძღოლობა და მთავრობა სპასალარს გაბრიელს, ოჩოპენტრეს ძეს, ჩააბარა. ამასთანავე დავითმაც მოკავშირენი მოიწვია და გურგენმა ქართუელთა მეფემ თავისი 6000 რჩეული მეომარი მოაშველა ფერის ჯოჯიკის ძის მეთაურობით, ამდენივე გამოგზავნა გაგიკ სომეხთა მეფემ; ჯარით მოეშველა აგრეთვე ვანანდის მეფე აბასი. **ასოღიკის** სიტყვით სპარსთა შეერთებულ ლაშქარში-კი 100000 მეომარი ყოფილა. რაკი ასეთი ძლიერი სპის წინააღმდეგ ქართველებსა და სომხებს მეტად მცირერიცხოვანი მხედრობა ჰყავდათ, ისინი შებმას ვერა ბედავდნენ. სპარსელებმა რომ ეს შეამჩნიეს, გათამამდნენ, და ერთს დღეს საბრძოლველად მოემზადნენ. შეშინებულმა ქართველებმა და სომხებმა მტერს შეუთვალეს: დღეს-კი არა ხვალ შევებრძოლოთ ერთიერთმანეთსო. იმათ უარი თქვეს, მაგრამ რაკი ქართველებიდა სომხები ბანაკითგან გარეთ არ გამოსულან, ომის დაწყება ვერც იმათ გაბედეს, მარტო ფალავნები იბრძოდნენ ორთავ მხრივ, ქართველთაგან ხუთი კაცი მოკვდა. სპარსელებმა იფიქრეს, დღეს ალბათ არაფერი იქნებაო, და აქეთ-იქით გაიფანტნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა და სომხებმა, სწრაფად

[273] **В. Розен**, Импер. Василий Болгаробойца, 27.

[274] იხ. **С. Лэн-пуль,** Мусульм. династии, перев. **В. Бартольда**, 1899, გვ. 96.

აღიჭურვნენ, უეცრად სპარსელებს თავს დაეცნენ და მუსრი გაავლეს. ქართველთაგან ამ ბრძოლაში თავი ისახელეს მესხებმა, ძმებმა გამრეკელებმა. ამირა მამლანი გაიქცა, მაგრამ მას უკან დაედევნენ, ქ. არჭეშამდის მიჰყვნენ და მრავალი ჯარის კაცი დაუხოცეს. მერე უკან გამობრუნდნენ და მტრების მთელ ბანაკსა და განძს დაეპატრონნენ[275].

თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, დავით კურაპალატი იძულებული იყო აღთქმა დაედო, რომ მთელ თავის საბრძანებელს კეისარს უანდერძებდა, მაგრამ დავით კურაპალატს, როგორც ეტყობა, მაინც იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ მამაპაპეულს სამფლობელოს მაინც თავის შვილობილს დაუტოვებდა. ქართლის აზნაურთა წინაშე მან ბაგრატი ტაოს მემკვიდრედ გამოაცხადა. მაგრამ, გაიგო თუ არა ბასილ კეისარმა მხცოვან კურაპალატის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე, იმავ, 1001 წელს[276] ტაოსაკენ გამოეშურა; მას მიეგებნენ მეფენი გურგენ და მისი შვილი ბაგრატ. ალბათ დავით კურაპალატის სამფლობელოს მიღების იმედით; კეისარმა დიდის პატივით მიიღო აფხაზთა მეფე ბაგრატ III და კურაპალატობა მისცა, ხოლო მის მამას, ქართუელთა მეფეს, გურგენს მაგისტროსობა[277]; დავით კურაპალატის საბრძანებლის გამგეობა-კი ერთს ბერძენს მოხელეს ჩააბარა[278]. მაშასადამე, ბაგრატ III კურაპალატობის პატივი, ხოლო გურგენს მაგისტროსობა 1001 წ. მიუღიათ; ამგვარად, ბაგრატ III ამიერითგან იყო აფხაზთა მეფე და ქართუელთა კურაპალატი, როგორც იგი იწოდება ზემომოყვანილს შაორის 1002 წ. ხელნაწერში. რაკი ამ დროს ქართუელთა მეფედ მისი მამა გურგენი ითვლებოდა, მას შეეძლო ყოფილიყო მხოლოდ "ქართუელთა კურაპალატი". მაგრამ ბასილ კეისარმა მის მამას გურგენ მეფეთ მეფეს და ქართუელთა მეფეს მაგისტროსობის პატივი მიანიჭა. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა (თავი V გვ. 108), რომ კურაპალატობა მაგისტროსობაზე უფრო მაღალ საკარისკაცო პატივად ითვლებოდა. ამიტომ კეისრის საქციელი უცნაური იყო და ქართველი მემატიანის სიტყვით ბოროტი განზრახვით უნდა ყოფილიყოს ნაკარნახევი; იგი ამტკიცებს, რომ ბასილმა მამას მაგისტროსობა, ხოლო შვილს კურაპალატობა იმიტომ მისცა, «რათამცა ვითარ მტერი ყუნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე და მით ღონითა იძმაცვა» (ც˜ა და უწ˜ყბა, 65).

მაგრამ ბასილმა თავის წადილს ვერ მიაღწია: «გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა ამით მიზეზითა და ვერა უძლო [ვერას]ღონის ძიებითა»[279] (იქვე).

ცბიერმა კეისარმა არამც თუ თავის იდუმალი განზრახვის აღსრულებას ვერ მიაღწია, პირიქით, გურგენ მეფე ტყუილუბრალოდ გადითკიდა. გულნაწყენი ქართუელთა მეფე შეურაცხყოფისათვის შურის საძიებლად იმავე 1001 წელს თავისი მხედრობითურთ ბიზანტიის ხელმწიფის ხელში მყოფ ტაოს შეესია და ოლთისის ციხეს მიადგა, მაგრამ ვერც ის აიღო, ვერც სხვა რომელიმე ციხე. კეისრის გამოგზავნილმა სარდალმა კანიკლ მაგისტროსმა აღუთქვა გურგენს, რომ კეისარი მის

---

[275] **ასოღიკი,** გვ. 296-274.

[276] **არისტაკესი,** გვ. 3.

[277] სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 65; **არისტაკესი,** 5; **ასოღიკი,** 276.

[278] **ეაჰეა ანტიოქიელი, В. Розен.** op. cit., 41.

[279] **ნ. მარს,** რომელიც ამავე ამბებს ეხება (TP, წ. X [СПБ., 1907], გვ. 35-36), ჩვენის აზრით სწორად ვერა აქვს გათვალისწინებული ის მიზეზი, რამაც ბაგრატ III და გურგენი აიძულა ბასილ კეისარს დაჰხვედროდნენ; იმათ იმედი ჰქონდათ რომ დავით კურაპალატის სამკვიდრებელს ტაოს ნაწილს მიიღებდნენ. ამას გარდა შესწორებული უნდა იყოს ერთი კალმის შეცდომა, სადაც ნათქვამია, ვითომც გურგენს მეტსახელად "რეგვენი" რქმეოდეს (იქვე, გვ. 36), ასეთი მეტი სახელი ბაგრატ II ეკუთვნოდა.

სურვილს აასრულებდა, თუ რომ მშვიდობიანობას ჩამოაგდებდა. ამის შემდგომ გურგენი და ბერძნები დაზავდნენ[280].

ამგვარად, ბაგრატ მეფეს იმედი გაუცრუვდა და იმიერ-ტაოს, ბასიანისა და სხვა მიწების შემოერთება ვერ მოხერხდა. 1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფე და ბაგრატი «ეუფლა ტაოს»-აც (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 65). ეხლა-კი ბაგრატ III გახდა მეფეთ-მეფედ, აფხაზთა და ქართუელთა მეფედ.

ამის შემდეგ ჯერი კახეთსა და ჰერეთზედაც მიდგა. ბაგრატ მეფემ თავდაპირველად **კახეთის ქორეპისკოპოზს დავითს** შეუთვალა, მარტო ქართლის ციხეები, რაც მიტაცებული გაქვს, დამიბრუნეთო; მაგრამ იქითგან ცივი უარი მოუვიდა; ისევ ძალით ურჩევდნენ დაპყრობას: «უკუეთუ იძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ჰომი»-ო, დაცინვით შემოუთვალა დავითმა. ბაგრატმაც შეკრიბა ჯარი, მოკლე გზით ჯავახეთითგან კახეთში ჩავიდა, დაიპყრა ჰერეთი და იქ თავისი მთავარი აბულალი განაჩინა. გაემგზავრა თუ არა ბაგრატი შინისაკენ, მაშინვე ჰერეთი გადაუდგა ახალს ბატონს და დავით ქორეპისკოპოზს მიემხრო. ბაგრატი იძულებული იყო კვლავ მოსულიყო კახეთის დასაპყრობლად. აქ გარდაცვალებულ დავითის მაგიერ მეფობდა მისი შვილი **კვირიკე.** მეფემ ხელმეორედ დაიპყრა ჰერეთი, დაიჭირა დინარ დედოფალი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა. ორის წლის განმავლობაში ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდო, ხოლო ბოჭორმის ციხეში "წლითი წლამდისი" მომწყვდეული კჳრიკეც იძულებული იყო ბაგრატს დამორჩილებოდა. მეფემ კახეთითგან «წარმოიყუანა კჳრიკე და (და)იმჭირა თჳსსა კარსა ზედა». ამგვარად, ბაგრატ მეფემ ორი წლის განმავლობაში მთელი კახეთ-ჰერეთი დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *468-*469, გვ. 242, 243). კახეთის შემოერთება, მაშასადამე, დაახლოვებით 1001 წ. ახლო ხანებში მომხდარა.

ეხლა-კი თითქმის მთელი საქართველო გაერთიანებული იყო: ქ. თბილისისა და შულავერ-ბოლნისის ხეობათა და ტაშირის გარდა ერთეულს სახელმწიფოს შეადგენდა.

ტაშირი და "ქართველთა ველი" (-სომხური--- ----?)**გვ.131,** ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთა ხელში იყო და დავით გურგენის შვილს ეპყრა; ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო[281]. თუმცა გაგის ციხის მფლობელი, დემეტრე მარზპანი, ქართველებს მიემხრო, ხელმეორედ მოინათლა და თავისი შვილი, ტაშირის "მამფალი" ჰჳნენეს ვანში დაადგინა, მაგრამ დავით გურგენის შვილმა განდევნა იგი გაგითგან[282]. 1001 წ. გურგენის ძე მისმა ბიძამ გაგიკ სომეხთა მეფემ დაიმორჩილა[283].

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების განსამტკიცებლად ბაგრატ III ერთხელ უკიდურესს საშუალებასაც-კი მიმართა, რომ კლარჯეთში მშვიდობიანობა უზრუნველი ყოფილიყო და მოსალოდნელი განდგომის შიში მოესპო, ბაგრატმა «მოიყუანნა კლარჯნი ჴელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესი შინა ფანასკერტისასა»; მაგრამ დარბაზობისა და პატივისცემის მაგიერ, მეფემ «შეიპყრნა იგინი და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი», ხოლო თვით «იგინი პატიმარ ყუნა

---

[280] **ასოღიკი**, გვ. 278-279.

[281] იქვე, 256.

[282] იქვე, 25.

[283] იქვე, 279-280.

ციხესა შინა თმოგვისასა»; სანამ ცოცხლები იყვნენ, ისინი იქითგან არ გამოსულან; 1011-1012 წ. «ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი» და მისი ძმა გურგენი. მათმა შვილებმა ბაგრატმა, სუმბატის ძემ, და დემეტრემ, გურგენის ძემ, განსაცდელს თავი დააღწიეს, კონსტანტინეპოლში გაიქცნენ და ბასილ კეისარს შეეფარნენ; ხოლო სხვა «შვილნი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამას ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 66-67).

ბაგრატ მეფე იძულებული იყო რანშიც გაელაშქრა იმიტომ, რომ «მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, აწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად [და] ტყუენვად ადგილითი ადგილად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *469, გვ. 243).

ფალდონის ამგვარი მოქმედება და "კადნიერება მისი" უნდა უეჭველად აელაგმა მეფეს და, თავისი განზრახვა რომ უფრო ადვილად განეხორციელებინა, მოკავშირე იშოვა; «წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა, აწვია რათა იძიოს შური ფადლონისა გან» (იქვე). გაგიკმა რასაკვირველია ამის გაგონებაზე "განიხარა სიხარულითა დიდითა" (იქვე) იმიტომ, რომ ფადლონი მასაც ეცილებოდა და ემტერებოდა ხოლმე[284], და საჩქაროდ ლაშქარი შეაგროვა. ორნივე მოკავშირე მეფეები ზორაკერტს შეიყარნენ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *469, გვ. 243) და ფადლონის საბრძანებელს შეესივნენ. ბაგრატ მეფემ «წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორს... და მცირეთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი» (იქვე, *470, გვ. 244). შეშინებულმა ფადლონმა მოციქული მოუგზავნა და «ითხოვა შენდობა, აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლისა თჳსისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა ფიცითა [სპითა] თჳსითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა» (იქვე). მეფე ბაგრატმა პასუხის გაცემამდე «შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა» და ჰკითხა, როგორ ემჯობინება რომ მოვიქცეთო? დიდებულთა ბჭობამ დაზავება ურჩია და მეფეც დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას, გააბრუნა ფადლონის მოციქული და იმის პირით განძის ამირას «აუწყა ზავის დასტური».

რაკი ფადლონმა სიტყვიერად დანაპირები საქმით აასრულა, ამიტომ გამარჯვებული ბაგრატ მეფე საქართველოში დაბრუნდა (იქვე, *470-471, გვ. 244). როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ეს ლაშქრობა ფადლონისაგან კახეთის დარბევას გამოუწვევია, მაშასადამე, იგი უნდა მომხდარიყო 1010-1014 წ.

ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა გაულადობამ და შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მისს ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა. არც გასაკვირველია, თუ რომ იმროინდელი ქართველი ისტორიკოსები მისი მოღვაწეობით აღტაცებულნი ცოტა არ იყოს გაზვიადებით გვისურათებენ მისის მეფობის ნაჭირნახულევს: ბაგრატ მეფემ, მოგვითხრობს მაგ. სუმბატი, «დაიპყრა ყოვლი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგანადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფობათა ნებიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე» (ც˜ა და უწ˜ყბა, 65-66).

"მატიანე ქართლისაჲ"-ც ცხოველის მჭერმეტყველებით გვიხატავს დიდებული მეფის სურათს: «ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართუელთა მეფე წარემართა ყოველთავე

[284] **ასოღიკი,** გვ. 288.

ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისად მოაჯედ და შემპოვნედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი და მოლაშქრედ, ვითარცა თჳსნი დიდებულნი და მისანდობელნი, დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მწვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა»-ო (*472, გვ. 245-246) თავის აღფრთოვანებულ დახასიათებას ისტორიკოსი შემდეგის საზოგადო დასკვნით ათავებს: «ვსთქუთ ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასარისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისა დიდებითა და ძალითა ყოვლითა განგებითა»-ო (იქვე, *472, გვ. 246). მეფე ბაგრატი «მეფობდა ოცდა ათექუსმეტ წელ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *473, გვ. 246). სახელოვანი მეფე უკვე ხანში შესული იყო, «მჴცითა მშვენიერითა შემკული», როდესაც ტაოში, ციხესა ფანასკერტისასა, მყოფი გარდაიცვალა 1014 წ. მაისის 7, დღესა პარასკევსა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *473, გვ. 246 და სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 67). იგივე 1014-1015 წ. აღნიშნული აქვს **არისტაკეს ლასტივერელსაც** ბაგრატ III გარდაცვალების თარიღად[285]. ზვიად ერისთავთ-ერისთავმა მეფე ბაგრატის გვამი წამოიღო ფანასკერტითგან და "დამარხა ბედიას" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *473, გვ. 246).

2. მეფე გიორგი I

ბაგრატ III რომ მიიცვალა, მისი შვილი გიორგი ჯერ კიდევ სრულჰასაკოვანი არ ყოფილა, რომ «ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა» სამეფო ტახტზე ასვლა მოხდომია (მტ˜ნე ქ˜ჲ, *473, გვ. 247). ახალგაზრდა მეფე მაშინ "წლისა ათექუსმეტისა" ყოფილა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *473, გვ. 247 და სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 67); "მატიანე ქართლისაჲ"-ს ანა დედოფლისეულს ხელნაწერში 16 წლის მაგიერ **თორმეტი** წლისა სწერია კიდეც. თუ უანასკნელი ცნობაა სწორე, მაშინ გიორგი I დაბადებულა 1002 წელს, ხოლო თუ სიმართლე სუმბატისა და მ˜მ დ˜ფს ქ˜ცის ხელნაწერშია შენახული, მაშინ იგი უნდა 998 წელს დაბადებულიყო. მცირეწლოვან გიორგის მეფობა კახეთის განდგომით დაიწყო, «განდგა... ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 67). არც სხვაფრივ ყოფილა ახალგაზრდა მეფე ბედნიერი. თითქმის მთელი თავის მეფობა და ძალღონე მან ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. არაბ ისტორიკოსის **ჲაჰჲა ანტიოქიელის** სიტყვით, როდესაც ბასილი კეისარი ბულგარელებს ეომებოდა და აღმოსავლეთისათვის არა სცალოდა, გიორგი მეფემ ამით ისარგებლა, შეესია საბერძნეთის საზღვრებს და ადვილად დაიპყრო ყველა ის ქვეყნები, რომლებიც კეისარმა დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ დაისაკუთრა[286]. მაშასადამე, ეს უნდა დაახლოებით1014-1016 წ. მომხდარიყო.

როდესაც ბასილი ბულგარეთითგან ძლევამოსილი შინ დაბრუნდა (იქვე), **არისტაკეს ლასტივერელის** სიტყვით, მას გიორგი მეფისათვის მოუწერია, თავი დაანებე იმას, რაც მამაშენს დავით კურაპალატის მემკვიდრეობითგან ვაჩუქე, და შენის საკუთარის მამულით კმაყოფილი იყავიო; მაგრამ მას უარი შეუთვლია[287]. ჲაჰჲა ანტიოქელი ამბობს: გიორგი მეფეს არამცთუ კეისრისათვის შენდობა არ უთხოვნია და მის წინაშე ქედი არ მოუხრია, პირიქით, ალჰაქიმს საიდუმლოდ მისწერა,

---

[285] **არისტაკესი,** ისტორია გვ. 7.

[286] **В. Розен,** Василий Болгаробойца, გვ. 61.

[287] **არისტაკესის** ისტორია, გვ. 7.

ბერძნების საწინააღმდეგოდ ერთი-ერთმანეთს დავეხმაროთ და თანხმობით ვიმოქმედოთო, ისე-კი, რომ თითოეული ჩვენგანი კეისრის საბრძანებელს თავის სამეფოთაგან შეესიოსო[288]. ალბათ, გიორგი მეფეს ორის მხრით ატეხილი ომით უნდოდა ბასილი კეისარი განსაცდელში და გაჭირვებაში ჩაეგდო.

მაგრამ ბერძენთა მეფემ ამ მიწერმოწერის ამბავი შეიტყო, გაიგო რასაც უპირებდა გიორგი მეფე, და საშინლად განრისხდა. მან გადასწყვიტა თავისი მეტოქე სამაგალითოდ დაესაჯა; მხოლოდ თავის განზრახვას საიდუმლოდ ინახავდა და არავის უმჟღავნებდა. პირიქით, რომ ქართველებისათვის თვალები აეხვია, საქვეყნოდ ამბობდა ასურეთში მივდივარ საომრად და იმიტომ ვამზადებ ჯარსაო; სურსათიც-კი განგებ ანტიოქიაში გაგზავნა. ყველანი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბერძენთა მეფე მართლაც ასურეთს მიემგზავრებოდა; მაგრამ სწორედ უკანასკნელს დროს პირი საქართველოსაკენ იბრუნა და გიორგი მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა[289]. ქართველ მემატიანეთა სიტყვით ბასილი კეისრის გამოლაშქრება მომხდარა «გიორგის მეფობისა მეშვიდესა წელსა» (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 67; მტˇნე ქˇჲ, *473, გვ. 247) ანუ 1020-1021 წელს. ამავე 1021 წ. სდებს არისტაკეს ლასტივერელი ბასილ კეისრის გიორგის წინააღმდეგ გამოლაშქრების თარიღად[290]. როდესაც მოვიდა «ბასილი მეფე ბერძენთა... ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა [და] უცხოელითა ურიცხვითა… გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა». მოპირდაპირენი ჯერ კარგა ხანს ერთიერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედების დაწყებას ვერა ბედავდნენ; მერე ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს, «მოერიდა გიორგი და მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისნი» (მტˇნე ქˇჲ, *473, გვ. 247), ხოლო იქითგან გადავიდა კოლას. მას უკან დაედევნა ბერძენთა მეფე და დაეწია; ქართველთა ჯარის "უკანმავალნი" და ბერძენთა "წინმავალნი" შეეყარნენ ერთიერთმანეთს და ბრძოლა მოხდა სოფელსა, რომელსაც ერქვა შირიმნი. ამ ბრძოლაში დაიხოცნენ დიდებულნი ერისთავნი რატი ძე ლიპარიტისა და ხურსი. რაკი მებრძოლთ ორთავე მხრივ მთავარი ნაწილებიც მიეშველნენ, ფიცხელი ომი ატყდა; აქაც საბოლოოდ გამარჯვება კეისარს დარჩა, რომელიც ამის შემდგომ არტანში მივიდა, ქალაქი გადასწვა და მცხოვრებნი ტყვედ წაიყვანა. გიორგი მეფე ნიალის გზით სამცხეში გადავიდა, ხოლო ბასილი "ჯავახეთით კერძო" დაედევნა და ყოველივე ააოხრა. ქართველთა მეფე თრიალეთში გადავიდა; აქ მას მოუვიდნენ მეშველნი წანარნი და შაქნი, მაგრამ კეისარი უკან გაბრუნდა, გზა და გზა ისევ საშინლად მოაოხრა ჯავახეთი და არტაანი და ზამთარს დასადგომად მივიდა «ქუეყანასა ხალდიისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა» (მტˇნე ქˇჲ, *475, გვ. 248).

აქ ბასილი ისევ სამზადისს შეუდგა, რომ გიორგის წინააღმდეგ ზღვით აფხაზეთში ხომალდები გაეგზავნა და საქართველოს მეფის საბრძანებელი დაეწიოკებინა[291]. მაგრამ სწორედ ამ დროს გიორგი მეფისაგან მოციქული მოვიდა და მოლაპარაკება დაიწყო: «ვიდოდეს მათ შორის მოციქულნთი ზავისა და სიყუარულის თჳს» (მტˇნე ქˇჲ, *475, გვ. 248; სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 69-70). როგორც **ეაჰეა ანტიოქიელი** ამბობს, ზავი და სიმტკიცის წერილი დაუდვიათ კიდეც; ამ ცნობის სიმართლეს ქართველი მემატიანის მოთხრობაც ამტკიცებს, სადაც ის ამბობს, რომ

---

[288] **В. Розен,** იქვე, 61.

[289] იქვე, 62.

[290] **არისტაკესის** ისტორია, გვ. 11.

[291] **ეაჰეა ანტიოქიელი, В. Розен,** იქვე, 62.

გიორგის ვერაგული ქცევით აღშფოთებულმა ბერძენთა მეფემ უბრძანა, რომ ქართველთა მიერ დაწერილი პირობა შუბზე ჩამოეცვათ და საჯაროდ ეჩვენებინათო (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 72).

ამ დროს, როდესაც უკვე დაზავებული იყვნენ, ბასილ კეისარს განუდგა ქსიფე (სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 70; მტˇნე ქˇჲ, *475, გვ. 248-249). გიორგი მეფემ და ქართთვეებმა რომ ამ განდგომილების ამბავი შეიტყეს, კვლავ გამხნევდნენ და პირობაზე უარი სთქვეს. მაგრამ ბასილ კეისარმა სძლია აჯანყებულს ქსიფეს და ფოკას და მაშინვე ფოკას თავი გიორგი მეფეს გამოუგზავნა, რომ ეჩვენებინა, შენს ქცევას მიხვედრილი ვარ, ყველაფერი მშვენივრად მესმის და სრულებითაც არ გენდობიო, ამბობს ჲაჰჲა ანტიოქიელი[292]. ბასილი კეისარი მოვიდა ბასიანს და «ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა»; ხოლო გიორგი მეფემ «წარავლინა ზჯადი ერისთავი სპითა და უბრძანა, რათა ზავის მიპყრობითა მცირედ ხან დამჭირვად ადგილსა», რომ ამგვარად საკმაო დრო ჰქონოდა და ჯარი შეეყარა. მეფე «განიზრახვიდა ესრეთ: უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკუეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მის თჳს».მაგრამ დიდებულები ზავის ჩამოგდებას იმ პირობით; რასაც კეისარი უდებდა ქართველებს, ალბათ არა სთანხმდებოდნენ და ზემოაღნიშნულის ხერხით შეიძლებოდა კეისარი მახეში გაებათ[293].

კეისარმა შეიტყო რასაც უპირებდნენ ქართველები და მაშინვე ომი აუტეხა. ქართველები იძლივნენ: «მეოტ იქმნეს სპანი საქართველოსანი... და მოისრეს ურიცხუნი პირითა მახვილისათა». მაშინ-კი ზავის მეტი სხვა გზა აღარ იყო. გიორგი მეფემ მისცა «მძევლად ძე თჳსი ბაგრატი წლისა სამისა და ციხენი, რომელნი-მე პირველ გაეცნეს აზნაურთა დაულოცნა, სხუანიცა ციხენი პირველ მოცემულნი და უკანის ათოთხმეტნი და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოს, კოლა-არტანს და ჯავახეთს» (მტˇნე ქˇჲ, *476-*477, გვ. 250-251; სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 72) ზავის პირობა მეტად სამძიმო იყო, მაგრამ სხვა ღონე არ იყო. გიორგი მეფეს შეეძლო თავის თავი მით ენუგეშებინა, რომ კეისარმა მას «რომელნი-მე ამათ ქუეყანათა განეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა» (მტˇნე ქˇჲ, *477, გვ. 251). ეს ზავი **ჲაჰჲა ანტიოქიელის** სიტყვით 1023-1024 წ. ყოფილა დადებული[294]. ქართველი მემატიანის სიტყვებითგანაცა ჩანს, რომ ზავი დადებული ყოფილა 1023 წელს[295]. დადებული პირობისამებრ მცირეწლოვანი მძევალი კეისარს მესამე წელს უკან უნდა გამოეგზავნა მშობლებისათვის. თავის აღთქმა ბასილმა პირნათლად აასრულა და 1025 წელს შინ გამოისტუმრა. მალე, იმავ წელსვე, ბასილი კეისარიც გარდაიცვალა და

---

[292] **В. Розен,** იქვე, 66.

[293] მტˇნე ქˇჲ, *476, გვ. 249-250; სუმბატი, ცˇა და უწˇყბა, 71-72, ჲაჰჲა ანტიოქიელი; **В. Розен,** იქვე, 65. **ჲაჰჲა ანტიოქიელი** ამბობს, რომ ამგვარ ხერხს გიორგი მეფეს მისი ვაზირი "რ-ფად-ს" ურჩევდა. **ვ. როზენი** ფიქრობს, რომ ამ მოხელეს სახელი "ლიპარიტი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ დედანში თავდაპირველად "ზჯადი" ეწერებოდა: რომ აქეთგან "რფად"-ი წარმომდგარიყო, ამისთვის საკმარისი იყო პირველ ასოს წერტილი მერმინდელს გადამწერს მეორე ასოზე გადაეტანა, მაშინ ორთავ ასოების გამოთქმა შეიცვლებოდა. ვინც არაბული ანბანი იცის, იმას ამგვარი შეცდომა არ გააკვირვებს.

[294] მატიანე, გვ. 66.

[295] თუმცა "მტˇნე ქˇჲ"-ს ეს თარიღი პირდაპირ დასახელებული არა აქვს, მაგრამ იქ აღნიშნულია, რომ ამ ზავის ჩამოგდეის დროს მძევლად წაყვანილი ბაგრატ უფლისწული კეისარს საქართველოში 1025 წელს დაუბრუნებია (*479, გვ. 253); ამასთანავე იმასვე მოხსენებული აქვს, რომ ბაგრატი კეისარს კონსტანტინეპოლითგან სამშობლოში გამოუსტუმრებია «წელსა მესამესა» (იქვე, *477, გვ. 251); მაშასადამე, უფლისწულს ბიზანტიაში დაუყვია სრული 2წელიწადი და რამდენიმე თვე. თუ ამ 2წელიწადს მისი დაბრუნების თარიღს 1025 წ. გამოვაკლებთ, ჩვენ დაგვრჩება 1023 წ., მისი კონსტანტინეპოლში წაყვანისა და ზავის ჩამოგდების თარიღი.

მის მემკვიდრეს კონსტანტინე მეფეს უნდოდა გაგზავნილი ქართველი უფლისწული უკან მოებრუნებინა, საგანგებოდ მოციქულიც-კი აფრინა, რომ დასწევოდა, მაგრამ გვიანღა იყო: ბაგრატი უკვე სამშობლოში იყო მისული (მტ˜ნე ქ˜ჲ, *477-*479, გვ. 251-253). ორის წლის შემდგომ, 16 აგვისტოს 1027 წ. ჯერ კიდევ თითქმის ჭაბუკი მეფე გარდაიცვალა თრიალეთში, «ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი, გინა იწრონი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *479, გვ. 253; სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 75). ისტორიკოსი ამბობს, რომ გიორგი მეფე გარდაიცვალა «ჟამსა ოდენ სიყრმისასა» (მტ˜ნე ქ˜ჲ *479, გვ. 253), მართლაც 1027 წელს იგი იქმნებოდა ან 25, ან 29 წლისა. უდროოდ გარდაცვლილი მეფე დაასაფლავეს ქუთაისის საყდარში (იქვე, *480, გვ. 253).

3. მეფე ბაგრატ IV

გიორგი I სულ წვრილშვილები დარჩა, ორი ვაჟი იყო: ბაგრატ და დემეტრე, და ორი ასული: გურანდუხტ და კახაჲ (კატაჲ?); მამის გარდაცვალების ჟამს მესამე ცოცხალი აღარა ყოფილა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *480, გვ. 253-254). ყველაზე უფროსი განსვენებული მეფის შვილებში ბაგრატი იყო და ისევ ავიდა ამავე წელიწადს საქართველოს სამეფოს ტახტზე. გამეფების დროს ბაგრატი ყოფილა «წელიწდისა ცხრისასა»[296]; მაშასადამე, მცირეწლოვანი მეფე დაბადებულა 1020 წ., იგივე თარიღი გამოდის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაგრატონიანთა მემატიანის სუმბატის სიტყვით 1023 წ., როდესაც ბაგრატი მძევლად წაიყვანეს კონსტანტინეპოლში, "სამისა წლისა ყრმა ჩვილი" ყოფილა (ც˜ა და უწ˜ყბა, 73)[297].

ცუდს დროს მოუხდა მცირეწლოვანს მეფეს სახელმწიფო ტახტზე ასვლა: ქვეყანა მოქანცული იყო იმ გამანადგურებელი ხანგრძლივი ომით, რომელიც საქართველოს გიორგი I დროსა ჰქონდა ბიზანტიის კეისართან; აოხრებული გადაბუგული მესხეთი და მრავალი დაკარგული მიწები მძიმე მემკვიდრეობა იყო გამოუცდელი ყრმა ბატონისათვის. ამასთანავე სწორედ ბაგრატ IV თანამედროვე კეისარმა კონსტანტინემ ბიზანტია – საქართველოს საზღვრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დაუცხრომლად ცდილობდა თანდათანობით როგორმე გამოეგლიჯა საქართველოსათვის მონაპირე ქვეყნები. მან დააარსა ივერის თემი – საკატაპანო, რომელიც თავდაპირველად დავით კურაპალატის სამფლობელოსაგან შესდგებოდა, მაგრამ მერე სხვა მიწებიც მიემატა. ბერძნები არავითარს საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც, არ ზოგავდნენ, რომ ქართველი დიდებულები თავიანთი მეფის წინააღმდეგ აემხედრებინათ და კეისრის მხარეზე გადმოებირებინათ .

თავიანთი ვერაგულის ქცევით და ცბიერებით ბიზანტიელებმა წადილს ადვილად მიაღწიეს. ბაგრატ IV გამეფების პირველსავე წელს «წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *480, გვ. 254), ზოგი მათგანი ციხიანნი ყოფილან, ზოგი კიდევ უციხონი; ყველა ეს აზნაურები «განუდგეს ბაგრატს და

[296] მტ˜ნე ქ˜ჲ, *480, გვ. 254. შეცდომით სწერია "ათისა", უძველესს ანა დედოფლისეულს ხელნაწერში სწერია "ცხრისასა".

[297] შეად. გვ. 134, შენიშვნა, საითგანაც ჩანს, რომ ბაგრატი 3 წლისა ყოფილა, როცა მძევლად წაუყვანიათ 1023 წელს და იქ 3 წელი დაუყვია, ე.ი. 1025-26 წ. დაბრუნებული 5-6 წლისა იყო, ხოლო 1027 წელს შვიდი წლისა იქნებოდა.

მიერთნეს კონსტანტინეს» კეისარსა (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 75). 1028 წ., ანუ როგორც "მტ˜ნე ქ˜ჲ" ამბობს "მოქცევასა ოდენ წელიწადისასა" (*480, გვ. 254), თავისი მეფობის «წელსა მეორესა გამოგზავნა კოსტანტი მეფემან პარაკიმანოსი თჳსი მიუწდომელისა ძალითა, ლაშქრითა თჳსითა და განძითა ურიცხვითა. ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისასა მოვლო და მოაოჴრნა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოხრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა და უმეტესცა» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 75-76); თრიალეთში კლდეკარის ციხესაც-კი მიადგა, მაგრამ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმა ლიპრიტის ძემ შეკრიბა "სხუანიცა აზნაურნი", ერთად მტერს წინააღმდეგობა გაუწიეს და "დაუდგეს განძთა" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *480, გვ. 254). რაკი ნიკიტა პარაკიმომენმა კლდეკარს ვერა ავნო რა, უკან გაბრუნდა; მაგრამ ის-კი მაინც მოახერხა, რომ ზოგიერთი ქართველი დიდებულები კეისრის მხარეზე გადიბირა. მისის ჩაგონებით «განდგეს კუალად აზნაურნი» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 76) და «წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა და არჯევან ჰოლოლას ძემან გასცა ბერძენთა ციხე წერეფთისა»[298] (მტ˜ნე ქ˜ჲ, *481, გვ. 254-255). ბერძენთა მეფის სარდლის ზემომოყვანილი ლაშქრობა საქართველოში და მისი მოხერხებული გაიძვერაობა, აგრეთვე ქართველ აზნაურთა გადაბირება და ღალატი აღწერილი აქვს სომეხთა ისტორიკოსს **არისტაკეს ლასტივერელს,** რომელიც ამ ამბის თარიღად აგრეთვე კონსტანტინე კეისრის მეფობის მეორე წელიწადს ასახელებს[299], ესე იგი 1028წ.

რაკი სხვა ღონე აღარ იყო, და დიდებული აზნაურები თავიანთი ღალატითა და ვერაგობით სხვებსაც რყვნიდნენ და სამშობლოსაც ღუპავდნენ, ამ საქმეში ტბეთის ეპისკოპოსი ჩაერია: «აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ებისკოპოსმან მახლობელად ტბეთისა ეკლესიასა და სახელ სდვა მას სვეტი და შეკრიბა მაშინ მან იერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა, მტბევარი ებისკოპოსი, და ეზრა, ანჩელ ებისკოპოსი, და შავშეთისა აზნაურნი და განძლიერდა მას შინა» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 76). მღვდელმთავარი სამშობლოსა და სამეფოს დამცველად გამოვიდა, უნებლიედ სამხედრო ხელისუფლად, გულად მეომრად და ქვეყნის გამგედ გახდა; მან «დაიმჭირა ქუეყანა შავშეთისა» და «ქმნა დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისა თჳს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *481, გვ. 255). მედგარმა და მხნეობით აღსავსე მოქმედებამ თავისი ნაყოფი გამოიტანა და სტეფანე მტბევარმა შავშეთი ბერძენთა მიტაცებისაგან დაიცვა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *481, გვ. 255).

აქამდის თუ განდგომილების მოთავენი და მოღალატენი მარტო დიდებული აზნაურები იყვნენ, ეხლა ცბიერმა ბიზანტიელმა მოხელემ ისე მოაწყო საქმე, რომ **ერიც ააღელვა და აამოძრავა.** რომ თავიანთი მტაცებლობისათვის რაიმე გარეგნობით საპატიო მიზეზი შეექმნათ და ამით ადგილობრივ მკვიდრთათვის თვალები აეხვიათ, ბერძნებმა თავიანთ სარდალსა და ჯარს გამოატანეს «ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 76-77; მტ˜ნე ქ˜ჲ, *481, გვ. 255). ეს ის დემეტრეა, რომელიც ბაგრატ III დროს მისის მამის ციხეში ჩამწყვდევის შემდგომ, 1012 წ. კონსტანტინეპოლში გაიქცა და ამით სიკვდილს გადაურჩა (იხ. აქვე, 132 და ბაგრატონიანთა შთამომავლობითი შტო). როდესაც ბიზანტიის მთავრობამ თავის ლაშქარს ეს დემეტრე გამოატანა, ამით ქართველებისათვის, მეტადრე კლარჯთათვის, უნდა ეჩვენებინა, ვითომც იგი საქართველოს მეფის მიერ შელახული სამართლისა და

[298] ანა დფ˜ლს ხელნაწერში სწერია "წერბეთისა", სუმბატსა აქვს "ციხე ცეფთისა" (ც˜ა და უწ˜ყბა, 76).
[299] -------, 31. **გვ. 138**.

დათრგუნვილი უფლების აღსადგენად იღვწოდა მხოლოდ. ქართველი მემატიანენი არა სცდებოდნენ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ დემეტრე მარტო კლარჯეთის მცხოვრებთა მისაზიდავად გაბმული მახე იყო, «შესატყუევნელად ქუეყანისა მკჳდრთა» მიჰმართეს ასეთს ხერხსაო (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 77; მტ˜ნე ქ˜ჲ, *481, გვ. 255). აკი ბერძნებს წადილი აჰსრულებიათ კიდეც: «ამით მიზეზითა მიიქციეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან»-ო, მოგვითხრობს "მტ˜ნე ქ˜ჲ", (*481, გვ. 255); «ექმნა ესრეთ, რამეთუ **მიიქცეს ერნი სოფლიონი**, უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა»-ო, ამბობს აგრეთვე სუმბატ დავითის ძე (ც˜ა და უწ˜ყბა, 77). მაშასადამე, ბერძნებს ამ შემთხვევაში ისე მოხერხებულად მოუწყვიათ საქმე, რომ ხალხიც-კი შეუცდენიათ და აუჯანყებიათ. რაკი ამას გარდა ბერძნები თავისი ჩვეულებრივი იარაღით, მოსყიდვითაც მოქმედებდნენ და «ლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილთა და საფასეთათა» (იქვე, 77), ამიტომ საქართველო შეიძლებოდა დიდს განსაცდელში ჩავარდნილიყო. მაგრამ იმავ 1028 წ. გარდაიცვალა კეისარი კონსტანტინე VIII და ჩვენმა ქვეყანამ ცოტას ხნით მაინც თავისუფლად ამოისუნთქა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *482, გვ. 255-256; სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 78).

ასეთი გამწვავებული მტრობის დასაცხრომელად და თითქმის შეუწყვეტელ ომიანობის ქართველ-ბერძენთა შორის მოსასპობად, რაკი სხვა საშუალება არ მოიპოვებოდა, ბაგრატის დედამ, მარიამ დედოფალმა, «შეიმოსა სიმჴნე და ახოვნება» და კონსტანტინეპოლში წავიდა[300]. ეს მომხდარა ზემოაღნიშნულ ამბების «შემდგომად წელსა მესამესა» (იქვე), ესე იგი 1030-131 წ. მარიამ დედოფალი ბიზანტიის ბატონს სთხოვდა, რომ «არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართუელთა და გლახაკნი დაწყნარუბულ და მყუდრო იყუნენ» (სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 79); იგი კეისართან წასული იყო საქართველოსათვის «ძებნად მშვიდობისა და კუალად ძებნად პატივისა კურაპალატობისასა ძისა თჳსისა» ბაგრატისათვის და მისთვისვე «მოყუანებისა თჳს ცოლისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *482, გვ. 256). ბაგრატი კარგა ხანია მაგისტროსად იყო; ბიზანტიელი მემატიანე **გიორგი კედრენის** სიტყვით ბაგრატს ეს პატივი ნაწყალობევი ჰქონდა უკვე 1023 წ., როდესაც იგი მძევლად ნამყოფი კონსტანტინეპოლითგან შინ გამოუშვეს[301] მაშასადამე, მას მხოლოდ კურაპალატობა აკლდა.

თავისი მოციქულობა და განზრახვა მარიამ დედოფალს ბრწყინვალედ აუსრულებია: კეისარმა მას «აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით, მისცნა ფიცნი და სიტკიცენი ერთობისა [და] სიყუარულისათჳს დაუწერა ოქრობეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატის თჳს ელენე დედოფალი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *482, გვ. 256-257). ქართველი მემატიანის ცნობას ადასტურებს ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი **გიორგი კედრენი;** რომელიც ელენეს ბაგრატზე გათხოვების თარიღად 1029-1030 წ. სდებს[302]. დედამ თავის შვილს თანამეცხედრე მოჰგვარა და ქვეყანას მშვიდობა მოუტანა. დაწიოკებული და ხშირის ომებით მოქანცული ქვეყნისათვის კეისრის მოყვრობა და მეგობრობა ნამდვილი სალბუნი იყო. გახარებულმა დედამ შვილს «აღუსრულა ქორწილი, უკურთხნეს გვირგვინნი» ბანას დიდებულს ტაძარში (მტ˜ნე ქ˜ჲ, *482-483, გვ. 257).

სამწუხაროდ ელენე დედოფალს დიდხანს არ უცოცხლია, იგი მიიცვალა ქუთაისში (იქვე, *483, გვ. 257) და მისი სიკვდილის შემდგომ შესწყდა აგრეთვე ის

---

[300] სუმბატი, ც˜ა და უწ˜ყბა, 78; მტ˜ნე ქ˜ჲ, *482, გვ. 256 და **ჲაჰჲა ანტიოქიელი, В. Розен, 70.**

[301] **Georgii Cedreni,** Historiarum compendium, ad. Bonnae, t. II, 478.

[302] **Скабаланович,** Визант. Госуд, 13.

ნათესაობრივი კავშირი, რომელიც დამყარდა საქართველოს მეფესა და ბიზანტიის კეისარს შორის. ბაგრატმა შეირთო «ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფეთა ასული, დაჲ დურღულელისა» (იქვე, *483, გვ. 257).

ბაგრატ IV ჰყავდა ნახევარ-ძმა დემეტრე, რომელიც ეყოლა გიორგი მეფეს «ოვსთა მეფეთა ასულსა, მეორესა ცოლსა თანა» (იქვე, *483, გვ. 257); ამ მეორე ცოლს, **გიორგი კედრენის** სიტყვით, ალდე რქმევია[303]. გიორგის გარდაცვალების შემდგომ დედა და შვილი ცხოვრობდნენ ციხე ანაკოფიაში. როგორც წინათ არა ერთხელ მომხდარა საქართველოში, ეხლაც აზნაურები შეუჩდნენ დემეტრე უფლისწულს და უნდოდათ ბაგრატ IV წინააღმდეგ აემხედრებინათ: «აზნაურთაგან იყო მთა შუა მი-და-მო საუბარი» მაგრამ ამ მოლაპარაკებითგან არა გამოვიდა რა: დემეტრე «ვერცა გაამეფეს, თუ-ცა ვის გულს ედვა».

მეფე ბაგრატი და მისი მომხრე დიდებულებიც ცდილობდნენ, რომ საქმე დემეტრესთან შეთანხმებით გაეთავებინათ, მაგრამ «ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან და ვერცაღა თავადთა დიდებულთა». დემეტრე თავის გვირგვინოსანს ნახევარს-ძმას არ ენდობოდა და რაკი თავის წადილს ვერ მიაღწევდა ამიტომ «წარვიდა... მიმართა ბერძენთა მეფესა და წაუტანა თანა ანაკოფია აფხაზთა მეფეთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *483, გვ. 257). ბიზანტიელი ისტორიკოსიც ადასტურებს და მოგვითხრობს, რომ მალე დედოფალსა და მის შვილს დემეტრეს კეისრისათვის ანაკოფია გადაუციათ; ეს მომხდარა 1032 წ.[304]. ამგვარად, ბერძნებმა ეხლა მარტო საქართველოს დასავლეთ-სამხრეთის ნაწილი-კი არ ჩაიგდეს ხელში, არამედ ჩრდილოეთითგანაც მოუარეს და საზღვარზე ფეხი ჩადგეს. მაგრამ დემეტრეს გახიზვნა საბერძნეთში ბაგრატისათვის იმ მხრივ იყო მაინც ხელსაყრელი, რომ ამით საქართველოთგან მას გაეცალა საშიშარი მეტოქე. ეხლა მას ცოტადაც არის შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო; მართლაც ბაგრატ მეფე «შემდგომად ამისსა მოირჭუნა და დაეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავისსა მამულსა ზედა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *483, გვ. 257).

ბაგრატ IV მეფობაში იწყება ბრძოლა თბილისის ამირას წინააღმდეგაც; პირველად ქართველთა დიდებულებმა «ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბასას ძემან ქართლისა ერისთავმან მუხათგუერდს გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ და შეიპყრეს და დიდი ხანი დააყენეს პატიმრობასა და წაუღეს ბირთვისი»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *483, გვ. 258). ეს ამბავი მომხდარა «სიყრმესავე შინა ბაგრატ მეფისასა» (იქვე). მემატიანის ზემომოყვანილს ცნობას ამტკიცებს ერქუშაანთ სოფლის (ამბარლო) ეკლესიის წარწერა, რომელშიაც ნათქვამია: «ქორონიკონი იყო სმიბ (252)... ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა. მას ჟამსა მიწყია ბალავარი, ოდეს **შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთ ერისთავმან ამირაჲ[305].** მაშასადამე, ლიპარიტსა და აბასას ძეს თბილისის ამირა ჯაფარ შეუპყრიათ 1032 წელს. მაშინ ბაგრატ მეფე მხოლოდ თორმეტი წლისა იყო და მემატიანეს მართლაც შეეძლო ეთქვა, რომ ეს ამბავი მოხდა «სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა».

მას შემდგომ, როდესაც ამირას ბირთვისი წაართვეს ქართველებმა, მცირეწლოვან გვირგვინოსანსაც შებრალებია ტფილისის მფლობელი, «შეიწყალა აფხაზთა მეფემან და განუტევა ტფილისს ზედა ამირად». არც გასაკვირველია, თუ

---

[303] Histor. comp., Bonnae, t. II, 503.

[304] იქვე.

[305] **ე. თაყაიშვილი,** Арх. экс., [Тифлис, 1913, IV], გვ. 101.

რომ «მიერითგან დარჩა მტერობა ლიპარიტსა და ამირას შუა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *484, გვ. 258).

თუმცა თვით ბაგრატ მეფემ განათავისუფლა ამირა ჯაფარი, მაგრამ როგორც ჩანს, მერე თითონვე დარწმუნებულა, რომ საქართველოს დედაქალაქი ტფილისი მაჰმადიანი მფლობელისათვის არ უნდა დაებრუნებინა. «შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ წაღება ტფილისისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *484, გვ. 258). მეფეს მოსწონებია ეს განზრახვა და მის განსახორციელებლად ბაგრატ IV კახთა მეფე მოუწვევია მეშველად. ამ დროს კახეთში დავით მეფის მაგიერ, რომელიც მოკლა შურის ძიებით ერთმა ოსმა მონამ, მეფობდა კჳრიკეს დისწული **გაგიკი,** სომეხთა მეფის, სამშვილდისა ზორაკერტის მფლობელის, დავითის შვილი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *484-*485, გვ. 258). როდესაც კახნი მოვიდნენ, ქართველთა შეერთებული მხედრობა და მოკავშირენი "მოადგეს ტფილისსა", მებრძოლი ჯარი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: ერთის მხრით «მტკუარსა იმიერით, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი» იდგა, მეორე მხრით, «წყალსა ამიერით, ჰისნით კერძო, მოდგინნა ლაშქარნი კახნი და ჰერნი» (იქვე, *484, გვ. 258). თუ არ გარემოცვით ისე ტფილისის აღება, ძალიან ძნელი იყო. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ქართველები «ჰბრძოდეს ორი წელ ტფილისს» (იქვე, *485, გვ. 258). ქართველთ გარდა ტფილისის ამ გარემოცვის ამბავი აღწერილი აქვს არაბ მემატიანეს **იბნ ალ-ასირს;** მას, სხვათა შორის თარიღიცა აქვს შენახული. გარემოცვა ქართველებს 1037-1038 წ. (429 წ. ჰიჯრ.) დაუწყიათ; ტფილისის ამირას და მკვიდრთ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მაგრამ რაკი გარემოცვა გაგრძელდა, ქალაქში მყოფნი ძალიან შეწუხდნენო[306]. რაკი არაბი მემატიანეც ადასტურებს, რომ გარემოცვა ხანგრძლივი იყო, ამიტომ ქართველი მემატიანის ცნობა, რომ გარემოცვამ სახელდობრ ორ წელიწადს გასტანა, მართლი უნდა იყოს, მაშასადამე დაწყებულა 1037-1038 წ. გათავებულა 1039-1040 წ.

ამ ხანგრძლივმა გარემოცვამ «ესრე შეაჭირვეს ტფილელთა, რომელ ლიტრა ვირის ჴორცი ხუთას დრამად იყიდდეს და ვერღარა დაუდგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 259). იბნ ალ-ასირიც ადასტურებს, რომ მაშინ ტფილისში სურსათის დიდი ნაკლებობა ყოფილა[307]. ამ გარემოცვის დროსვე ქართველებმა ამირას წაართვეს და «წარტყუენეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 259). ასეთს განსაცდელში ჩავარდნილმა ამირამ ჯაფარ ალის ძემ საგანგებო მოციქული აახლა ადერბეჯანში და სთხოვდა, მიშველეთ და დამიფარეთ[308], ქართველები მაჰმადიანებს გვაწიოკებენო. ქართველი მემატიანის სიტყვით, როდესაც ტფილისის საამიროს არსებობის დღენი დათვლილი იყო და სასოწარკვეთილი ამირა უკვე გაპარვას აპირებდა ისე, რომ ამირამ «შეჰმზადა ტივები და ნავები, ღამით წარსულად განძას» ფიქრობდა, უცებ ქართველები აჩქარდნენ და კარგად დაწყებული საქმე თითონვე ჩაშალესო. ასეთი უცნაური საქციელის მოთავედ ზოგიერთი დიდებულები ყოფილან, რომლებმაც «ლიპარიტისაგან ფარულად განაზრახეს მეფესა არა განძევებად ამირასი და ფარულად ლიპარიტისაგან... ზავი ამირას გამოუცხადეს და დაამკჳდრეს ამირა ტფილისსა-ვე ზედა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 259). თუ ამ მოთხრობას დავუჯერებთ, მაშინ ისე გამოდის, თითქოს მთელი ეს საქციელი დიდებულებს ლიპარიტის მტრობით ჩაედინოთ. ასე შეუხედავს ამ ზავისათვის თვით ლიპარიტსაც, მხოლოდ იგი უმთავრესს ბრალს მაინც მეფესა

---

[306] **Defremery**, Frag., გვ. 483.

[307] იქვე.

[308] იქვე.

სდებდა, რომელმაც დიდებულებს დაუჯერა და მისგან ფარულად ასეთი ძნელი საქმე გადასწყვიტა; «მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავისა პატრონისა გან» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *485, გვ. 259). **იბნ ალ-ასირს** შენახული აქვს ერთი ძვირფასი ცნობა, რომელიც ქართველთა უცნაური აჩქარების ალბათ ერთ-ერთ მიზეზად უნდა ყოფილიყო. არაბი მემატიანე ასე მოგვითხრობს: ქართველებმა შეიტყეს, რომ სელჩუკიანნი ამირას მოსაშველებლად მოდიოდნენ, რომ მათ გზა და გზა სომხეთი უკვე აეოხრებინათ; ამიტომ ქართველებმა სელჩუკიანთა შიშით ქალაქ თბილისს სწრაფად ალყა მოხსნესო[309]. ეს გარემოება სრულებით ახალ შუქსა ჰფენს ქართველ დიდებულთა და ბაგრატის საქციელს. ალბათ, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ სელჩუკიანთა შემოსევა ქართველებს კეთილს არაფერს მოუტანდა და ქვეყნის აოხრებას ისევ ნებაყოფლობით დაზავება არჩიეს. ამ მხრივ ბაგრატისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონივრული და ფრთხილი იყო. ვგონებ სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო.

თბილისის ამირას რომ ზავით შეეკრა, ბაგრატ მეფემ თავის გუშინდელ მოკავშირის კახთა მეფის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. მან საიდუმლო მოლაპარაკებით "იბირნა", მიიმხრო "მთავარი მარილელი" და სხვები; გაილაშქრა კახეთს, «შეება და შეუჴდა მთასა ზედა მიქელ გაბრიელთასა და წყობასა შინა შეიპყრეს სტეფანოს ვარჯანის ძე, პანკისისა ერისთავი, და ვაჩე ძე გურგენისა, ხორნაბუჯისა ერისთავი, და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა, და გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი კჯრიკე მეფისა აგებული» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *486, გვ. 259). კახთა სამეფოს დაპყრობის საქმე, ასე კარგად დაწყებული, ბაგრატმა მაინც ბოლომდის ვერ მიიყვანა, «ვერღარა ჩავიდეს კახეთს» და შინაურმა მტრებმა და განდგომამ აიძულა კახეთისათვის საჩქაროდ თავი დაენებებინა; მეფე "შემოიქცა", დაბრუნდა თავის სამფლობელოში (იქვე).

ბაგრატზე გადამტერებულმა ლიპარიტმა მეფის წინააღმდეგ ცხადი ბრძოლა დაიწყო. კახეთში გალაშქრების «შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყუანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, სამეფოდ ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩავიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *486, გვ. 260). ყურადღების ღირსია, რომ აქაც გაერთიანებული საქართველოს მეფის წინააღმდეგთა ჩვეულებრივ მოკავშირეებად ბერძნები არიან; მოთავეებად როგორც ყოველთვის, რასაკვირველია, ქართლის დიდებული აზნაურები იყვნენ. მათ მეშველად «ჰყუეს... კახნი და ბერძენნი» (იქვე). ლიპარიტსა და ქართლის აზნაურებს ვითომც დემეტრეს გამეფება ჰსურდათ; ბერძნებისა და კახთათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა დემეტრეს ტახტზე აყვანა იმიტომ, რომ იგი უნებლიედ მათი მომხრე და მორჩილი იქნებოდა. ატენის ციხის აღება მოკავშირეებმა ვერ შესძლეს, «რამეთუ ციხის უფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისასა», მხოლოდ ფარსმან თმოგველმა და თუხარისის ერისთავმა ბეშქენ ჯაყელმა უღალატეს მას. შეუდგნენ «ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო». რაკი ზამთარი მოახლოვებული იყო, ბერძნებს შინ დაბრუნება ჰსურდათ «ენება შეღმართ წასულა»; რათგან უიმათოდ ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო, ამიტომ «დეაზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა». მაგრამ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ლიპარიტი,

[309] Defremery, Frag., გვ. 483.

ისიც გვიჩვენებს, რომ თავის გუშინდელს მტერსა და მოღალატეს მეფემ «უბოძა ქართლის ერისთავობა» (იქვე, *487, გვ. 260). ესეც-კია, რომ ბაგრატ მეფე არც თუ ძალიან ენდობოდა თავის გულფიცხს ქვეშევრდომს; დაზავების დროს მას, როგორც ეტყობა «ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად» (იქვე, *489, გვ. 262) ჩამოურთმევია მამისათვის.

მაინცა-და-მაინც ამ დაზავებით არც ბაგრატს უზარალია; რაც უნდა იყოს შინაური მტრები დააშოშმინა, ხოლო გარეულები თავითგან მოიშორა: «წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა» (იქვე, *487, გვ. 260). ამის შემდგომ მეფეს შეეძლო კვლავინდებურად შესდგომოდა სამეფო საქმეებს; მართლაც «კუალად განძლიერდა, მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა» (იქვე). ლიპარიტ ერისთავის ეს პირველი განდგომა უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1047 წ., დაახლოვებით 1044-1045 წ.

ლიპარიტთან მორიგების უმალ «იგდო სუემან ბაგრატისამან ჟამი, მოერთო ვესტი თ˜(9) ციხითა ანისისათა თჳნიერ ამბერდისათა და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულ ეყოდეს სომეხნი, სენაქერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *487, გვ. 260). ამ ამბავის მსგავსი ცნობა **არისტაკეს ლასტივერელსაც** მოეპოვებოდა. როდესაც ბიზანტიის კეისარმა სომეხთა მეფე გაგიკი მოტყუებით თავისთან მიიწვია და შემდეგ თავის სამეფოში აღარ გამოუშვა, 1045 წ. ქ. ანისი უმეფოდ დარჩა, სომხებმა, მეტადრე ქალაქის ბერებმა გადასწყვიტეს ანისი ან დავით დვინელისათვის, ან არა და «ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის» მიეცათ[310]. დედოფალს ანისში ერისთავი აბუსერი დაუდგენია გამგედ (მტ˜ნე ქ˜ჲ, *489, გვ. 262).

დემერტე უფლისწულის კვლავ საბერძნეთში წასვლის შემდგომ, ბაგრატ მეფემ აფხაზეთის მიტაცებული ციხის დაბრუნება მოიწადინა: «იყო ჟამი გაზაფხულისა», როდესაც აფხაზეთში მყოფი მეფე ბაგრატი «მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებლად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *487, გვ. 260). თუ გავიხსენებთ, რომ 1044-1045 წ., როდესაც ბაგრატი და ლიპარიტი შერიგდნენ, «არე ზამთრისა მოწევნილ იყო» (იქვე, *486-487, გვ. 260), ხოლო როდესაც ბაგრატს ანისი შეაძლიეს, რომ იმ დროს 1045 წ. იყო, მაშინ ირკვევა, რომ ანაკოფიის ციხის გარემოცვა და «მიწურვა ასაღებად» 1046 წლის გაზაფხულის ჟამს უნდა მომხდარიყო.

რაკი ამაზე უწინ, "მის ჟამისა პირველ", თბილისის ამირა ჯაფარი გარდაცვლილიყო, ქალაქის ბერებმა ქართველთა მეფეს «უქადაგეს ქალაქი და უჴუმეს». ბაგრატმა "სასწრაფოდ დააგდო" ანაკოფია ((მტ˜ნე ქ˜ჲ,, *487, გვ. 260). თავის მაგიერ მიუყენა ქუაბულელ ჭაჭას ძე უთაღო, თითონ-კი საჩქაროდ გადმოვიდა ქართლს. აქ მასთან «მოვიდეს სხუანი მჴმობელნი ბერნი ტფილელნი» და კვლავ ქალაქის ჩაბარება სთხოვეს. მეფე ტფილისისაკენ წარემართა; მას «მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა», ხოლო «ყოველი ერი ქუეითი, დაკაზმული უმედეულსა»; დანარჩენნი მცხოვრებნი-კი, "დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანსა", მეფე ბაგრატი დიდის ამბით საქართველოს დედაქალაქში შეაბრძანეს: «იყო ჴმობა ბუკთა დაუდუმებელთა ორკერძოვე» და «იყო სიხარული ორკერძოვე განსაკვირვებელი»; მეფე ქალაქში შემოატარეს და «ასხმიდეს დრაჰკანსა»; შემდეგ «მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი» და ყველა უმაღლესი პირნი «შეიყარნეს საამიროსა დარბაზსა»; იქ «დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად», აიღო «აღიხუნა კოშკნი

---

310 ----------?60-61.**გვ. 143**.

კართანი», ამასთანავე «აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორისანი და დაადგინა შიგა ერისთავნი თჳსნი». მთელი ქალაქი დაემორჩილა ისანს გარდა, «ისნელთა ჩააგდეს ჴიდი და არა მისცნეს ისანი». რაკი თავისი ნებით არ დაემორჩილნენ, ისანს «დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს ისნთა და ესროდეს ისარსა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *488, გვ. 261).

როდესაც ბაგრატ მეფე ისანს ებრძოდა, «ისნისა ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავი გოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად». მეფემ მიიღო სადარბაზოდ მოსულნი კახელები და «მისცა მშვიდობა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *488, გვ. 261); რაკი ბაგრატმა კახეთის მეფეს და დიდებულებს მშვიდობიანობა აღუთქვა, რასაკვირველია ამით კახეთის სამეფოს არსებობა, დროებით მაინც, უზრუნველყოფილი იყო. სხვაფრივ ბაგრატს არც შეეძლო მოქცეულიყო: ჯერ თბილისის გარეთუბანს ისანს ებრძოდა და მერე ლიპარიტის მხრივაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი; ასეთს მდგომარეობაში კიდევ კახელების მომდურება არაფერი ჭკუა იქმნებოდა.

მთელი ზაფხული ბაგრატმა ისნის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა და მაინც ვერ აიღო.

«ვითარ გარდაჴდეს ამას შინა დღენი **ზაფხულისანი**», ლიპარიტმა ბაგრატ მეფეს ისევ მტრობა დაუწყო: გამოტყუებით მან «გამოიყუანნა ანისით [დადგენილი] აბუსერი ერისთავი არტანუჯისა, ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი და იოვანე ერისთავ დადიანი და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *489, გვ. 262, შეად. ანა დფ˜ს ქ˜ცას). ამ ამბავმა ისე შეაწუხა მეფე, რომ მან ისანს თავი დაანება და «დააგდო ტფილისი მეფემან და გავიდა ჯავახეთს» (იქვე, *489, გვ. 262). ამგვარად, თბილისი ქართველთა მეფეს ისევ ხელითგან გამოეცალა. იგივე ბედი ეწია ქ. ანისსაც; **არისტაკეს ლასტივერელის** სიტყვით სომეხთა კათალიკოზს პეტროსს ანისი ანგაარებით ბერძნებისათვის გადაუცია[311].

თბილისითგან წასული ბაგრატ მეფე ღრტილას დადგა; მაწყვერელმა მეფეს მესხნი მოაშველა; ლიპარიტს მიემხრნენ, როგორც მოსალოდნელიც იყო, კახნი და შეერთებულის ძალით ლიპარიტ ბაგრატ მეფეს ფოკათა მხრივ მიადგა. მაგრამ სწორედ ამ დროს მაწყვერელმა მეფეს უღალატა და «შეეზრახა ლიპარიტს». ეს რომ ბაგრატმა შეიტყო, მორიდება არჩია: "**ზამთრისა** ბუქთა საშინელთა", მაშასადამე, 1046 წ. დამლევს, ან 1047 წ. დამდეგს, დაიძრა და ქართლში ჩავიდა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *489, გვ. 262). ლიპარიტმა მეფე ბაგრატის დასაუძლურებელად საბერძნეთითგან მისი ძმა დემეტრე გამოიყვანა; ამასთანავე «ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო» (იქვე). ამას გარდა ჩვეულებისამებრ ლიპარიტის მომხრედ და მეშველად «იყუნეს თანამდგომნი კახნი ძალითა მათითა და დავით, სომეხთა მეფე, ძალითა მისითა ამის კერძოსა ქართლისათა» (იქვე, *490, გვ. 262-263). ბაგრატისათვის მეტად სახიფათო იყო ლიპარიტის უკანასკნელი ხერხი; როგორც პირველად, ეხლაც საქართველოს მკვიდრთაგან ბევრნი მეფის მეტოქე ბატონისშვილს მიემხრობოდნენ, მეტადრე მდაბიო ხალხი. მართლაც მეფის ძმის მოსვლამ «განხეთქნა ამისსა მეფობისა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *489, გვ. 262). რაკი ბაგრატ მეფეს ლიპარიტის შვილი ივანე მძევლად ჰყავდა, ხოლო ერისთავი აბუსერი ლიპარიტთან იყო დატყვევებული, ამით ისარგებლა ლიპარიტმა და თავისი შვილი იხსნა განსაცდელისაგან: მან თავისი

311 ---------?, 60-61. **გვ. 145**.

შვილი «ითხოვა ბაგრატისაგან და ნაცვლად გაუშუა აბუსერი თავისა ციხითა» (იქვე, *489-490, გვ. 262).

ამით მაინც ბრძოლა არ შეწყვეტილა, ბაგრატი და ლიპარიტი «შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა». ამ ომში ლიპარიტისა და ბერძენთა შეერთებულმა მხედრობამ «კულა შეიპყრნეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *490, გვ. 263). თუმც «მომკუდარ იყო ძმა ბაგრატისი დემატრე», მაგრამ ლიპარიტის მტრობამ მეფე, მაინც დიდს საგონებელში ჩააგდო, საქმე გაუჭირა იმიტომ, რომ «შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისისა განხეთქილებასა». რაკი თავისი ქედფიცხელი და ძლიერი მოყმის დამარცხება არ შეეძლო, «უქმნა მუდარა ლიპარიტს და მცირედითა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა ხოვლესა». მაგრამ ლიპარიტს შერიგება არ ჰსურდა, არც უნდოდა რომ ბაგრატი თვალით დაენახა. ამიტომ «რა ცნა ლიპარიტ მოსულა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით, შეიქცა და წარვიდა აფხაზეთს» (იქვე).

თუ ბიზანტიელს ისტორიკოსს **გიორგი კედრენს** დავუჯერებთ, არც გასაკვირველია, რომ ლიპარიტს მეფის ნახვა არ უნდოდა და ბაგრატის დაუძინებელ და შეურიგებელ მტრად გადაქცეულა. ბიზანტიელ მემატიანეს 1048 წ. ქვეშე მოთხრობილი აქვს, რომ ბაგრატ მეფეს თავისი ურჩი მოყმის დასამცირებლად ყოვლად საზიზღარი საქციელი ჩაუდენია: პირადად რომ ლიპარიტს ვერა დააკლო რა, ბაგრატმა ლიპარიტის ცოლს პატიოსნება აჰხადაო[312]. ამგვარი ბარბაროსული შურისძიება და მტრობა ბიზანტიაში მიღებული ყოფილა[313]. საქართველოს შესახებ ეს ერთადერთი ცნობილი მაგალითია. ამის ჩამდენს ბაგრატ მეფეს ან რა პირით უნდა ენახა ლიპარიტი, ან რა გასაკვირველია, თუ ლიპარიტმა შესარიგებლად მიმავალს მეფეს ზურგი შეაქცია და ბაგრატთან ლაპარაკი არ ჰსურდა. იგივე ბიზანტიელი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ლიპარიტმაც იმგვარივე სამარცხვინო სამაგიერო შურისძიება ჩაიდინა: მეფე აფხაზეთში განუდევნია, სამეფო სასახლეს თავს დაეცა და ბაგრატის დედა გააუპატიურაო[314]. ამ ორივე საზიზღარი საქციელის შესახებ არც ქართველი, არც სომეხი ისტორიკოსები არას ამბობენ.

რაკი პირადის მოლაპარაკებით მშვიდობიანობა ვერ ჩამოაგდო, სულა, კალმახის ერისთავისა და არტანუჯის ერისთავის გრიგოლ აბუსერის ძისა და სხვა მესხ-აზნაურთა თხოვნის გამო ბაგრატ მეფე ერთხელ კიდევ შეებრძოლა ლიპარიტს; მეფემ ლაშქრითურთ «გარდამოვლო გზა რკინის ჯუარისა» და თავის ერთგულს ყმებს არყის ციხესთან შეეყარა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *490-491, გვ. 263). როდესაც ლიპარიტმა ეს ამბავი შეიტყო, თავისი ჯარი შეკრიბა, მეშველად ისევ კახნი, სომეხნი და ბერძენნი მოიწვია. სანამ ბაგრატი თავისიანებით სამზადისში იყო, ლიპარიტი სწრაფად «მიუჴდა უგრძნეულოდ არყის ციხეს და შეიბნეს; სძლია ლიპარიტმა და გააქციეს მეფე» (იქვე, *491, გვ. 264). ამ ბრძოლითგანაც გამარჯვებული ლიპარიტი გამოვიდა; მას ძლევამოსილს ტყვედ ჩაუვარდა ხელში მისი მტრები "სულა კალმახისა პატრონი" და გრიგოლ ძე აბუსერისი; ლიპარიტმა და მისმა მოკავშირეებმა სულას «მრავლითა ტანჯვითა და ძელისა გასუმითა სთხოვეს კალმახი», მაგრამ მან არ დაუთმო; გრიგოლსაც «სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა» და ამან-კი ვერ გამოიჩინა შესაფერისი გულადობა და მისცა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *491, გვ. 264).

---

[312] **Georgii Cedreni,** Hist. comp. ed. Bonnae, t. II, 572.

[313] **Скабаланович,** О правах византийского общества, გვ. 66.

[314] **Georgii Cedreni,** Hist. comp. ed. Bounae, t. II, 572-573.

იმას გარდა რომ ლიპარიტი თვით იყო ერმრავალი, ძლიერი და მდიდარი – მას ბიზანტიის კეისრისგანაც ზურგი ჰქონდა გამაგრებული; ესეც-კია, რომ ბერძნებისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო ლიპარიტის მეგობრობა. თითქმის ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც-კი ბერძნებს აღმოსავლეთში შემთხვევიათ, ბიზანტიელების მოკავშირედ ლიპარიტი იყო. 1047 წელს მაგ. «წარვიდა ლიპარიტ დვინად და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *491, გვ. 264). ერთი წლის შემდგომ, «შემდგომად წელიწადის მოქცევისა», როდესაც სულტანი იბრაჰიმ ალიმიანი შეესია ბასიანს და მის წინააღმდეგ ბერძენთა მხედრობამ გამოილაშქრა, ბერძნებმა «უჴმეს ლიპარიტს და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა». ამ ბრძოლითგან გამარჯვებული თურქები გამოვიდნენ: «გააქციეს ყოველი სპა საბერძენეთისა და ლიპარიტისა», დიდძალი ხალხი დახოცეს თურქებმა და შეიპყრეს ლიპარიტ და წარიყუანეს ხუარასანს სულტანსა თანა», (მტ˜ნე ქ˜ჲ, *492, გვ. 264). ეს ბრძოლა 1048 წელს ენკენისთვეში მომხდარა[315].

ბაგრატ მეფისათვის ლიპარიტის დატყვევება სასიხარულო ამბავი იქმნებოდა; იმის შიშით მას მეფობა აღარ შეეძლო და მიუვალს ადგილებში გახიზნული იყო. რაკი მისი მოსისხლე მტერი თურქებს ტყვედ ჩაუვარდათ, ამიერითგან ბაგრატს საფრთხე თავითგან მოცილებული ექნებოდა. იმიტომაც იყო, რომ «დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნია-ნია, იძებნეს უშიშოება და გამოიყუანეს მეფედ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *492, გვ. 264). ბაგრატი კვლავ განძლიერდა და ურჩი დიდებულების წვრთნა დაიწყო: «შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისნი, აღიღო უფლისციხე და გაუშვა ივანე» (იქვე); ნია-ნია, ალბათ, მძევლად შეუნახავს.

რომ ბიზანტიის კეისრის გული მოეგო, ბაგრატ მეფემ ბერძნებს უშველა თურქთა წინააღმდეგ, ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ როდესაც თურქებს განძის აღება ჰსურდათ და «წასაღებად მიეწურა განძა, გამოგზავნა თავის ნაცულად ბერძენთა მეფემან ლიხუტი ლაშქრითა დიდითა და აწუიეს ბაგრატს ლაშქრითა მისითა და წაჰყუა თანა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *492, გვ. 264-265). ბერძენ-ქართველთა მხედრობის მიშველებამ თურქები შეაფიქრიანა და «მორიდეს თურქთა», განძა გადარჩა და მოკავშირენი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.

ამ ლაშქრობის შემდგომ «კუალად უჴმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი ბაგრატსა და შეიყუანეს შინა და იყო სიხარული და მშვიდობა დიდი» (იქვე, *492, გვ. 265). მხოლოდ ბაგრატ მეფის ბატონობა თბილისში არც ამ შემთხვევაში ყოფილა ხანგრძლივი. ლიპარიტის ტყვეობითგან განთავისუფლება და მეფის ტფილისითგან გაქცევა ერთი იყო. მემატიანე ამბობს: «ეჴსნა ლიპარიტ თურქთა და შემოვიდა ანისსა, დააგდო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა და აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს» (იქვე, *492, გვ. 265).

იმ წლითგან მოყოლებული, როცა ლიპარიტი სულტანმა ტყვედ წაიყვანა, ბიზანტიის კეისარი ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა, რომ თავისი ერთგული და ძლიერი ქართველი მოკავშირე ტყვეობითგან დაეხსნა. ჯერ კიდევ 1048 წ. კეისარმა ნოტარი გეორგი დროზი საგანგებო საჩუქრებითა და ფულით სულტანს მიუგზავნა, რომ მას ლიპარიტი განეთავისუფლებინა[316].

---

[315] **იქვე,** 575-580; **არისტაკესი ლასტივერელი ,** ----------?, 86-88; **მათე ურჰაელი,** ----------?, **გვ.146**. იერუსალიმის 1869 წ. გამ., გვ. 119-128; მათე ურჰაელს ამ ბრძოლის თარიღად შეცდომით 1049-1050 წ. აქვს დასახელებული.

[316] **Georgii Cedreni,** Hist. comp. ed. Bonnae, t. II, გვ. 580-581.

მათე ურჰაელის სიტყვით, ლიპარიტი სულტან ტოღრულბეგთან ტყვეობაში ორს წელიწადს ყოფილა[317] და ეს ცნობა უახლოვდება ლიპარიტის განთავისუფლების თარიღს. როგორც სინას მთის მონასტრის ერთი ქართული ხელნაწერის (№38) მინაწერითგანა ჩანს, ლიპარიტი ტყვეობითგან 1051 განთავისუფლებულა; «კ˜ე ოკმელი სახელით ოდენ ხუცესი» თავის მინაწერში ამბობს სახელდობრ: სინას მთის ქართველთა მონასტერში მე «მოვიწიე ქორონიკონსა ს˜ოა, **მას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თორქთა გაუშვეს**»-ო. მაშასადამე, ლიპარიტი სულტანს 1051 წ. განუთავისუფლებია და ტყვეობაში ყოფილა 3 წელიწადს. განთავისუფლებული ლიპარიტი ანისს მოვიდა თუ არა, ბაგრატმა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ტფილისი მიატოვა "ლიპარიტის გზითა" და ჯავახეთში გადიხიზნა; ეტყობა ბაგრატი ისე ყოფილა დაშინებული ლიპარიტისაგან და მისი ძლევის იმედი გადაწყვეტილი ჰქონია, რომ უბრძოლველად გაცლასა რჩეობდა.

საქართველოში დაბრუნებული ლიპარიტი "განძლიერდა", რომ თავისი მდგომარეობა უფრო განემტკიცებინა, იგი საბერძნეთში წავიდა და «მოირთო ბერძენთა მეფისა გან ძალი», ან რა გასაკვირველია, რომ ბიზანტიის კეისარს ლიპარიტისათვის ხელი გაემართა? ქართველი მემატიანე სამართლიანად ამბობს, რომ ლიპარიტი «მსახურებისა მისისათჳს ტყუე ქმნილ იყო» (მტ˜ნე ქ˜ჲ, იხ. ანა დფ˜სი ქ˜ცა, შეად. მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა, *493, გვ. 265) და მეტის მეტი უმადურობა იქმნებოდა, რომ ესოდენ ერთგულს მოკავშირეს არ დაჰხმარებოდა.

ბაგრატ მეფეს ისედაც წინააღმდეგობა ვერ გაეწია ლიპარიტისათვის და კეისრის დახმარებით ხომ ლიპარიტი სრული მბრძანებელი გახდებოდა. აკი ასეც მოხდა: «ვერღარა დაუდგა ბაგრატ» ლიპარიტს; თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი უფლისწული «დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493, გვ. 265). ამაზე მეტი გამარჯვება შეუძლებელი იყო: ქვეშევრდომმა მეფე იძულებული ჰყო საკუთარი სამეფოთგან უცხოეთში წასულიყო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბაგრატმა, ბიზანტიაში გამგზავრებამდე, თავისი შვილი გიორგი მთელ საქართველოს, ქართლისა, მესხეთისა და აფხაზეთის მეფედ-კი არ დასვა, არამედ მარტო «სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა». როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტსა სჭერია და ბაგრატს კი ხელი არ მიუწვდებოდა.

როდესაც ბაგრატი საბერძნეთში გამგზავრებულა, «მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე [კოსტანტი] მონომახი და [შემგომად] მიხაელ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493, გვ. 265, შეად. ანა დფ˜სი ქ˜ცა)[318]. რაკი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, რომ ბაგრატი საბერძნეთში 3 წელიწადს დარჩა, ხოლო მიხაელ VI სტრატიოტიკოსი 1056-1057 წ. მეფობდა, კონსტანტინე მონომახი-კი 1054 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ირკვევა, რომ საბერძნეთში ბაგრატი წასულა კონსტანტინე მონომახის მეფობის უკანასკნელს წელიწადს, ანუ 1054 წ. და სამი წელიწადი დარჩენილა, ესე იგი საქართველოში 1057 წ. მიხაელ სტრატიოტიკოსის მეფობის დროს დაბრუნებულა. რომ ბაგრატ IV ბიზანტიაში კონსტანტინე მონომახის კეისრობაში მისულა, ეს ალავერდის სახარების შემდეგის

---

317 ----------?, 127. **გვ.147.**

318 "ანა დფ˜ლს ქ˜ცა"-ში სწერია "მიხაელ: მონა: მოტი: (<მონომახი)" "მ˜მ დფ˜ლს ქ˜ცა"-ში "მიიახლა: მონა: მეოტი: (<მონომახი)", ქ˜ცა-ში "კონსტანტინე". მონომახი მართლაც კონსტანტინე (1042-1054) იყო, მაგრამ რაკი უძველეს ხელნაწერებში "მიხაელ"-ი სწერია, მხოლოდ მიხეილი სტრატიოტიკად იწოდებოდა, მონომახად-კი კონსტანტინე, ამიტომ თავდაპირველად დედანში ალბათ ორივე სახელი იქმნებოდა მოხსენებული. მერმინდელი გადამწერისაგან დამახინჯებული უნდა იყოს.

წარწერითგანაც ნათლადა ჩანს: «დაიწერა კალიპპოს ლავრასსა... მეფობასა კონსტანტი მონომახისასა... და ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა»[319].

ბიზანტიელი მემატიანე **გიორგი კედრენი** მოგვითხრობს, რომ ბაგრატი ჯერ ტრაპიზუნტში მივიდა, იქითგან კეისარს მოციქული გაუგზავნა და დარბაზობა სთხოვაო[320] როგორც იმედი ჰქონდა ისე მალე თავის საქმეს ვერ მორჩა: ლიპარიტის წყალობით «სწრაფით ვერღარა მოიქცა თავისსა მამულსა ზედა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493, გვ. 265). როდესაც ბაგრატი კეისარმა სადარბაზოდ მიიღო, მან კეისარს უსაყვედურა, მე მეფე ვარ და არა-მცირედის ქვეყნის, - აფხაზეთის, - მფლობელი და მაინც ლიპარიტს, ჩემს მეამბოხე ყმასა და ქვეშევრდომს, უპირატესობას აძლევთო. თანა სთხოვა შეგვარიგეთო. კეისარმაც მოწინააღმდეგენი დააზავა და ამგვარად შეათანხმა: ბაგრატი იქმნებოდა მთელი იბერიისა (ქართლ-მესხეთის) და აფხაზეთის პატრონადა (“კჳრიონ”) და მეფედ (“არხეგონ”), ხოლო ლიპარიტი სანამ ცოცხალი იყო მესხეთის ნაწილის მთავრად (“არხონ”) იქმნებოდა და ბაგრატს პატრონადა და მეფედ მიიჩნევდა[321].

სანამ ბაგრატი ბიზანტიაში იყო, «ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი გიორგი მეფედ და მოსცა იგი დედამან და დიდებულთა მის ქუეყანისათა». მცირეწლოვანი უფლისწული, მამის მიერ უკვე ერთხელ ქუთაისში სამეფო ტახტზე დასმული, «მოიყუანეს საყდარსა რუისსა, აკურთხეს მეფედ და მოიყუანეს მზრდელად მისსა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გურანდუხტ დედოფალი, კაცი სრული და უნაცვალო» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493, გვ. 265-266). ეხლა-კი მთელ სამეფოს ნამდვილ ბატონ-პატრონად ლიპარიტი უნდა გამხდარიყო.

გიორგის მეფედ კურთხევის «შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა გურანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან». კეისარმა მეფე გამოისტუმრა «დიდითა დიდებითა, ნიჭითა განძითა მიუწდომელითა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *493, გვ. 266). რაკი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, ბაგრატ მეფემ საბერძნეთში «დაყო... სამი წელიწადი დაბასა ბერძენთასა»-ო (იქვე, *493, გვ. 265), ამიტომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცხადია, რომ ბაგრატი საქართველოში 1057 წ. დაბრუნებულა. სამშობლოში დაბრუნებული მეფე დიდის ამბით მიიღეს, «მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა ხუფთას»; იქითგან ბაგრატი გადავიდა «სახლად თჳსად ქუთათისს». შეთანხმების ძალით მეფე «ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთ კერძი»; დანარჩენი სამეფო ლიპარიტს ეჭირა; «მოირჭუნა ზემო კერძო დაუკლებელად» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *494, გვ. 266, შეად. ანა დფ˜სი ქ˜ცა); ამასთანავე იგი «ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა».ლიპარიტი კვლავინდებურად ძლიერი იყო და გავლენიანი, «იყო მოყუარედ მისსა ხურასანს დოღრულბეგ სულტანი და საბერძნეთს მეფე ბერძენთა» (იქვე).

მაგრამ ლიპარიტის ბატონობა არაფრად მოსწონდათ დიდებულებს და «მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი». ამიტომ სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა «შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაიხუეწა» და რაკი კლდეკარში მისის მამის ციხოვანთა არ შეუშვეს, ანისში გაიქცა (მტ˜ნე ქ˜ჲ, *494, გვ. 266). სულა კალმახელმა შეპყრობილი ლიპარიტი და მისი შვილი ივანე კალმახის ციხეში წაიყვანა და მეფე ბაგრატს სასიხარულო ამბავი აცნობა და მიიწვია. ამ ამბავის

---

[319] ქრონიკები, II, 203.

[320] **Georgii Cedreni,** Hist. comp. ed. Bonnae, t. II, გვ. 572.

[321] იქვე, 573.

შეტყობაზე ღრტილაში მყოფნი გურანდუხტ დედოფალი და უფლისწული გიორგი ძე ბარატისა ახალქალაქს წავიდნენ და იქ «მოილოდინეს ბაგრატ» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *494-495, გვ. 267). ბაგრატი საჩქაროდ მივიდა და თავისი ერთგული მოყმე სულა კალმახელი ღირსეულად დაასაჩუქრა: «ამის მსახურებისა ნაცულად მეფემან უბოძა მამულობით ციხისჯუარი და ოძრჯე, ბოდო კლდითა და სხუაცა მრავალნი საქონელნი და სამღუდელთ-მოძღურონი და რაცა უნდოდა» (იქვე, *495, გვ. 267).

სულა კალმახელმა მეფეს შეპყრობილნი ჯავახეთში მოჰგვარა. ბაგრატმა ჩამოართვა, «აიხუნა ლიპარიტისაგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთჳსი». კლდეკარი ლიპარიტის ციხოვანთა მეფეს მანამდის არ დაუთმეს, სანამ «შემდგომად დღეთა მრავალთა მოიმტკიცნეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი... მშვიდობით გაშუებისათჳს ლიპარიტისა და ივანეს თჳს» (იქვე, *495, გვ. 267). როდესაც ბაგრატმა უვნებლობის პირობა მისცა, კლდეკარი მეფეს დაუთმეს.

ლიპარიტმა კლდეკარითგან «გამიოღო თჳსი ხუასტაგი და ჩაიცუნა ჩუხანი», ბერად შედგა, ხოლო თავისი შვილი ივანე მეფეს შეავედრა და «დარჩა არგუთის მამული ივანეს» (იქვე). მონაზონად აღკვეცილი ლიპარიტი საბერძნეთში წავიდა; იქვე გაიპარა «შემდგომად მცირედისა ჟამისა» ივანეც (იქვე), მაგრამ მერე მისმა მამამ, ლიპარიტ ყოფილმა, ანტონმა ბაგრატს სთხოვა, რომ ივანესთვის სამშობლოში უვნებლად დაბრუნების ნება მიეცა. ამას თვით მეფეც იყო მოწადინებული და რასაკვირველია თანხმობა გამოაცხადა, «გამოიყუანა ამას სამეფოსა». ბაგრატმა დაბრუნებულს ივანეს «უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა» (იქვე, *496, გვ. 268). ეს ამბავი, ივანე ლიპარიტის ძის სამშობლოში დაბრუნება, მომხდარა 1059 წ., კაცხის მონასტრისათვის შეწირულს ერთს ხელნაწერში შემდეგი ცნობა მოიპოვება ამის შესახებ: «ესე ანდერძი მე, ივანე პროედროსმან. ძემან ლიპარიტის[მან] ერისთავთა ერისთავმან, პროედროსისა და პროტოარხონისამან, დავწერე მას ჟამსა ოდეს... ძლიერმან აფხაზთა და ქართუელთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან კონსტანტინოპოლით მომიყვანეს და მოვედ კაცხს»-ო[322]. ამავე ხელნაწერში ივანეს ყმებს დაუწერიათ «ქ. ადიდენ ღ˜ნ, ძლიერი და უძლეველი ბაგრატ, აფხაზთა და ქართუელთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან, გამოიყუანა კონსტანტინეპოლით იოვანე პროედროსი, ძე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა... და მოიყუანეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა ია (11) დღესა ახალკჳრიაკესა...». როდესაც «ესე წყალობაჲ მოიწია ღმრთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა... ქორონიკონი იყო სოთ» (279) ანუ 1059 წ.[323] საქართველოში დაბრუნებული ივანე ლიპარიტის ძე ბაგრატ მეფეს სპასალარად დაუდგენია (მტ˜ნე ქ˜ჲ, *496, გვ. 268).

ბაგრატ-ივანეს შერიგების შემდგომ მეფე ბაგრატი «განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა ამის ქუეყანისათა» და დაიპყრა «ციხენი ყოველნი ჰერეთისა და კახეთისანი თჳნიერ კუეტარისა და ნახჭევანისა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *496, გვ. 268). ამასთანავე 1060 წელს მას კეისრისაგან სევასტოსობა მიუღია[324]. საქართველოში ერთხნობით მყუდროება და მშვიდობა დამკვიდრდა.

მაგრამ ეს მყუდროებაც მალე დაირღვა: მცირე აზიასა და საბერძნეთის საზღვრებზე ამ დროს «იქმნეს დიდნი საქმენი, აღძრვანი დიდითა მეფეთანი» (იქვე). ტოღრულბეგს დარჩა მემკვიდრედ მამაზე, ჩაკირ-ბეგზე, და ბიძაზე უფრო გამბედავი

---

[322] **თ. ჟორდანია,** Опис. рук. церк. муз., II, 50, №484.

[323] იქვე, გვ. 50-51.

[324] იხ. ჩემი К вопросу о времени построения груз. храма в Атени, «Христ. Восток», წ. I, გვ. 291.

და გულადი შვილი ალფარსლანი, რომლმაც მცირე აზიაში ბევრი სახელოვანი ომი გადაიხადა. ვერც საქართველო გადაურჩა მის შემოსევას. «გამოვიდა სულტანი ალფარსლან, მეფე სპარსეთისა, დასხმის გუარად, უგრძნეულად... შემუსრა კანგარი და თრიალეთი» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *496-497, გვ. 268). აქეთგან სულტანმა ერთბაშად «მარბიელი» ჯარები დაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და «დღესა ერთსა მარბიელმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს ვიდრე ფანასკერტადმდე და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღუიის ჴევს», თითონ სულტანი «დადგა თრიალეთს სამ დღე». მეფე ბაგრატი თავისი ცოლშვილითურთ ტაოში იყო და იქითგან მომავალი ხეკრებულთას ძლივს გადაურჩა სულტანის მდევრებს და ქართლში გადმოუსწრო (იქვე, *497, გვ. 268-269).

სულტანი ალფარსლანი თავის ლაშქრითურთ «წავიდა ჯავახეთს და მოადგა ახალქალაქს» (იქვე, *497, გვ. 269). თუმცა ჯავახეთის ახალქალაქი ჯერ კიდევ მთლად არ იყო «ზღუდითა მტკიცითა» გამაგრებული, მაგრამ «მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს» და მტერს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ. თურქებიც სასტიკად «ჰბრძოდეს სამ დღე» ახალქალაქს. რაკი ქართველებმა იცოდნენ, რომ უზღუდო ქალაქში მტრისათვის ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა, ამიტომ ისევ ხელჩართული და პირდაპირი ომი ირჩიეს: «აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი და შეიბნეს ძლიერად». გამარჯვება, რასაკვირველია, თურქებს დარჩათ: მათ ქართველნი მებრძოლნი «მოსრნეს პირითა მახვილისათა», ხოლო შემდეგ «შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყურეს ურიცხვი ერი ქრისტიანეთა» (იქვე, *497, გვ. 269). გიორგი მთაწმიდელის «ცხოვრების» დამწერი მოგვითხრობს, რომ ამ ქალაქის აღების დროს «არათუ (მხოლოდ) ახალქალაქისა მკჳდრნი მოისრნეს, არამედ (აგრეთვე) დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი ძჳრ-ძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 329). ამ ბრძოლაში ისეთი საშინელი სისხლის ღვრა იყო, რომ ქართველი ისტორიკოსის სიტყვით «შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა»-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ, *498, გვ. 269), ხოლო სომეხი ისტორიკოსი **მათე ურჰაელი,** რომელიც ქართველი მემატიანის ყველა ცნობებს ადასტურებს, მოგვითხრობს «მთელი ქალაქი სისხლით აივსო»-ო[325]. დიდძალი ტყვე, «ურიცხვი ერი ქრისტიანეთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *497, გვ. 269) ორისავე სქესისა[326] წაასხეს თურქებმა სპარსეთში და თან წაიღეს დიდი "განძი" ნატყვენავი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *497, გვ. 269), "ურიცხვი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი"[327]. "მტ˜ნე ქ˜ჲ"-ს ცნობითგანა ჩანს, რომ სულტან ალფარსლანის საქართველოში მეორე დიდი შემოსევა მისის საქართველოში პირველის გალაშქრების «შემდგომად სამისა წლისა» ყოფილა (*499, გვ. 270), ხოლო რაკი ამავე მატიანისაგან ვიცით, რომ მეორე დიდი ლაშქრობა ყოფილა ქრონიკონსა 288 ანუ 1068 წელს (იქვე, *500, გვ. 271), მაშასადამე, ალფარსლანის პირველი შემოსევა და ქ. ახალქალაქის აოხრება 1065 წელს იქნებოდა. **მათე ურჰაელის** სიტყვითაც ეს ამბავი 1064-1065 წ. მომხდარა[328]; ამასთანავე ესევე თარიღი გიორგი მთაწმიდელის ცხორებასაც კარგად უდგება. ამ მოულოდნელისა და საშინელი სისხლის ღვრის და ქვეყნის დაწიოკების გამო «მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა» (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 329).

---

[325] ----------?**გვ.151**, მათე ურჰაელისა, იერუსალემის 1869 წ. გამოც., გვ. 175.

[326] **მათე ურჰაელის** ისტორია იქვე, 175.

[327] **მათე ურჰაელის** ისტორია ,იქვე, 175.

[328] იქვე, გვ. 173.

სულტანმა ბაგრატ მეფეს "სთხოვა დისწული ცოლად", ხოლო თვით წავიდა და ქ. ანისისაკენ გაემგზავრა, «წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყუნა ურიცხუნი სულნი»; ამასთანავე მან ეს ქალაქი წაართვა, «წაუღო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ძესა აბულსავარისასა»[329]. ბაგრატ მეფის დისწული, რომელსაც სულტანი ითხოვდა ცოლად, სომეხთა მეფის კჳრიკეს ასული იყო. ამიტომ ბაგრატმა შეუთვალა თავის სიძეს, შენი ქალი სულტანს მიათხოვეო; მაგრამ "არა მოსცა სომეხთა მეფემან". რაკი ამ გზით თავისი წადილი ვერ განახორციელა, მან კჳრიკე მეფს საიდუმლო მინდობილობით თავისი ერისთავი ვარაზბაკურ გამრეკელი მიუგზავნა, რომელმაც სომეხთა მეფის კაცები გადმოიბირა ისე, რომ «სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ[330] შეიპყრეს ქუეშის ჭალას», მხოლოდ მათმა ძმამ ადარნასემ შეასწრო სამშვილდეში.

ეს ამბავი უმალ ბაგრატ მეფეს აცნობეს, რომელიც მაშინვე ქუაჴრელითგან აიყარა და კლდეკარს რომ მოუახლოვდა, იქ «მოგუარნეს პყრობილნი». თუმცა თავდაპირველად შეპყრობილნი სამშვილდის მიცემაზე უარს ამბობდნენ, მაგრამ მერე იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ და «მოსცეს სამშვილდე» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *498, გვ. 269-270). ამავე დროს ბაგრატთან მოვიდნენ «ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი, ლოკის[331] ერისთავი და კაქვაქარისა», ისინი კიდევ სამს ციხეს აძლევდნენ ბაგრატს: ოფრეთს, "კობას" (=კობა[ირ]ს?) და ვარზაქარს, მაგრამ «შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა» სომეხთა მეფე კჳრიკე და მისი ძმა და სამშვილდის გარდა არაფერი არ ჩამოურთმევია; საქართველოს ბატონმა «ოდენ სამშვილდე იპყრა სახლად თჳსად და ეგრეთვე **მონებდეს სომეხნი**» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *499, გვ. 270). ამასთანავე მან თავისი სიძე დაიყოლია და დისწული მოაცემინა და «შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა» (იქვე).

მეფე კჳრიკეს ასულის სულტანზე მითხოვება **მათე ურჰაელსაცა** აქვს მოთხრობილი, მაგრამ სხვაგვარად: მისი სიტყვით ვითომც ეს ამბავი სულტანის საქართველოში შემოსევის უწინარეს მომხდარიყოს; ამას გარდა იქ ნათქვამია, სულტანმა სთხოვა კჳრიკეს ქალი ცოლადა და მან მისის შიშით უარი ვერ უთხრა და მისცაო; ბაგრატ მეფე ამ საქმეში და მოლაპარაკებაში მონაწილედ მოხსენებული არ არის[332]. სელჩუკიანთა ამ ლაშქრობის შესახებ საქართველოში სპარსულს საისტორიო მწერლობაშიაც არის შენახული ცნობები. სახელდობრ ისტორიკოსი **ჰამდალაჰ მუსტოუფი ყაზვინი** თავის განთქმულს თხზულებას "ტარიხი გუზიდე"-ში მოგვითხრობს: "სულტანი ალფარსლანი საქართველოს (გურჯისტან) დასაპყრობად გაემგზავრა; ბრძოლის შემდგომ ამ ადგილის მმართველმა ბაგრატ გიორგის[333] ძემ სულტანთან ზავი დასდო. საქრთველოს ზოგიერთი ერისთავთაგანი (ამირათაგანი) სულტანმა ტყვედ წაასხა, ზოგი მათგანი მუსლიმანად იქცა... (შემდეგ) სულტანი სომეხთის დასაპყრობად წავიდა და იმ ადგილის მეფესთან ზავი დასდო და მისი ასული ცოლადა სთხოვა. შემდეგ მან იგი განუტევა (გაეყარა) და (თავისს ვაზირთა

---

[329] მტ˜ნე ქ˜ჲ, *498, გვ. 269, და **მათე ურჰაელი,** 176-180.

[330] საფიქრებელია, რომ ეს **"სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ"** არიან სანაჰინის აღმაშენებელნი და მათი ქანდაკებაა შენახული სანაჰინის ეკლესიის კედელზე. იხ. **ნ. მარის** Санахинская скулптурная группа ктиторов; «Христ. Восток», წ. I, III, გვ. 350 და სურათი XX.

[331] ასეა ანა დ˜ფს ქ˜ცა-ში (მ˜მ დ˜ფს ქ˜ცა-ში "ლუკის") = ვახუშტის ლოქის ხეობას.

[332] --------?, **გვ. 174.**

[333] სპარსულ დედანში სწერია შეცდომით "გრიგორის".

უპირველესს) ნიზამ ულ-მულკს უბრძანა ცოლად აეყვანა”-ო[334]. თუ ქართულ-სომხურ-სპარსულ ცნობებს ამ ლაშქრობის შესახებ ერთიერთმანეთს შევადარებთ, გამოირკვევა, რომ ქართველი ისტორიკოსების მოთხრობა ჯავახეთში საშინელი სისხლის ღვრის შესახებ მტკიცდება მათე ურჰაელის მოწმობით: ჰამდალაჰ ყაზვინის ამ ომის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა აქვს, მაგრამ ისიც ადასტურებს, რომ ქართველები დამარცხებულები იყვნენ და ზოგიერთი დიდებულთაგანი ტყვედ იყვნენ წასხმული. სპარსელი ისტორიკოსის მოთხრობა ახალს ცნობას შეიცავს იმის თაობაზე, რომ სულტანმა ალფარსლანმა საქართველოს მიწაწყალი მიატოვა მხოლოდ ბაგრატ მეფესთან ზავის ჩამოგდების შემდგომ. “მტ˜ნე ქ˜ჲ”-ც ამბობს, «მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმან ბაგრატ მეფესა, და აჰკიდა მზახობა, სთხოვა ასული მისის დისა და მიიქცა სულტანი ანისად» (ანა დფ˜სი ქ˜ცა, შეად. მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა, *498, გვ. 269), - და ამ სიტყვებითგანაც ჩანს, რომ სულტანს ელჩის პირით მზახობაზე, მაშასადამე მშვიდობიანობაზე, ჩამოუგდია ლაპარაკი; მაგრამ მაინც ქართველი მემატიანის ცნობა მეტად მოკლეა და ამ მხრივ სპარსელი მემატიანის სიტყვები ჩვენს ცნობებს ავსებენ.

ამას გარდა **ჰამდალაჰ ყაზვინის** მოთხრობა ქართული მატიანის ამ ცნობასაც, რომელიც ალფარსლანის სომხეთში ლაშქრობას შეეხება, ადასტურებს: ქართველი ისტორიკოსსავით იმასაც სულტანის გალაშქრება სომხეთში საქართველოს აოხრების ამბავის შემდგომ აქვს აღწერილი; ამ მხრივ, მაშასადამე, ქართული მატიანის მოთხრობა მათე ურჰაელისაზე უფრო სწორია. პირიქით, სომეხთა მეფის ასულის სულტანზე გათხოვების ამბავში მათე ურჰაელსავით არც სპარსელს მემატიანესა ჰყავს საქართველოს მეფე მონაწილედ დასახელებული. მაინც “მტ˜ნე ქ˜ჲ”-ს ეს შემთხვევა ისე დაწვრილებით და ზედმიწევნით აქვს მოთხრობილი, რომ უპირატესობა აქაც ვგონებ ქართველი ისტორიკოსის ცნობას უნდა მიენიჭოს.

მაგრამ, ვიდრე თავის დისწულს ალფარსლანს ცოლად მისცემდა, ბაგრატმა თავისი ასული მართა ბერძენთა მეფეს (მტ˜ნე ქ˜ჲ, *498, გვ. 269) მიათხოვა. ამაზე უფრო ვრცელი ცნობები გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში მოიპოვება. ეს ამბავი თურმე ასე მომხდარა: «მი-რა-იცვალა თეოდორა დედოფალი (+1056) მეყსეულად მართა, ასული ბაგრატისი, სამეუფოდ შემოიყვანეს... ხოლო მაშინ დაყო მცირედი ჟამი და კუალად ზემოვე წარიყვანეს მართა; ხოლო, ოდეს მოიწია ჟამი, კუალად მოსთხოვა დუკიწმან და სძლად თჳსად სამეფოსა ამას ქალაქსა შემოიყვანა» (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 306-307). მაშასადამე, თავდაპირველად, ალბათ, ნიშნობა ყოფილა მხოლოდ.

ამ ორს ზემოაღნიშნულს ცნობას საქართველოს ისტორიისათვის მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სპარსეთის სულტანისა და ბიზანტიის კეისრის ბაგრატ მეფესთან დამოყვრებას საქართველოსათვის მშვიდობიანობა და მყუდროება უნდა მოეტანა და ძლიერ მეზობელ სახელმწიფოთა შემოსევისაგან უნდა უზრუნველ ეყო.

მაგრამ მომავალმა ეს იმედიც გააქარწყლა. 1067-1068 წ., როდესაც გარეშე მტრებისგან დამშვიდებული მეფე ბაგრატი იყო «გალაშქრებული აღებად კახეთისა» და ძლევამოსილი საქართველოს მეფის წინაშე კახთა მეფემ აღსართან გაგიკის ძემ და «ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი და ივლტოდეს კავკასიად», სრულებით მოულოდნელად “უგრძნეულად” სპარსეთის სულტანი შევიდა ჰერეთად,” რომლის დიდებულნიც ბაგრატის ერთგულნი იყვნენ. სულტანის შემოსვლისთანავე ბაგრატ

[334] **Tarikhe Gozide,** გამოცემა **J. Gantin**-ისა, t. I, 1903, I, გვ. 210-212. შემდეგში, როდესაც აღნიშნული იქმნება ჰამდალაჰ მუსტოუფი ყაზვინის “ტარიხი გუზიდე”, ყოველთვის ეს გამოცემა არის ნაგულისხმევი.

მეფის მეწინავე მხედრობამ დაპყრობილს ციხეებს თავი მიანება, უკან დაიხია და «შემოიქცეს მშვიდობით»; ბაგრატ მეფეს პირველად სწორედ ამ მეომრებმა «უამბეს შემოსულა სულტანისა» (*499-*500, გვ. 270). მეფეც სწრაფად აიყარა და ქართლში გადავიდა.

კახთა მეფე აღსართანი მიერთო სულტანს, ქრისტიანობა უარჰყო, წინადაიცვითა და სულტანს «აღუთქვა ხარაჯა». სამაგიეროდ მან კახთა ბატონს დაუბრუნა ყველა ის ციხეები, რომლებიც ბაგრატ მეფის ლაშქარს დაპყრობილი ჰქონდა და სულტანის შემოსევის დროს «აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს» (იქვე, *500, გვ. 271). კახეთში სულტანი სამს კვირას დარჩა.

«შემდგომად სამისა კჳრისა» სულტანმა გამოილაშქრა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. მას მოკავშირედ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰყვანდნენ კახთა მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კჳრიკე და თბილისის ამირა. შეერთებული მხედრობა შემოსევია ქართლს «თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა შაბათსა, ქრონიკონი იყო ორას ორმოც და რვა» (იქვე, *500, გვ. 271) ანუ 1068 წ. ქ. შ. სულტანმა და მოკავშირეებმა "გაუშვეს მარბიელი" რაზმები, რომელთაც მოაოჴრეს ჯერ ქართლი, მერე გადავიდნენ არგუეთს და დაარბიეს ქვეყანა ვიდრე სუერის ციხემდე. იმ დროს სწორედ «იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი» და იმ ექვსი კვირის განმავლობაში, როდესაც სპარსეთის სულტანისა და მის მოკავშირეთა მხედრობა საქართველოში დანავარდობდა, ქვეყანა სანოვაგისაგან დაცარიელდა; თანაც «მოისრა ურიცხჳ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა», «მოოჴრდეს ყოველნი ეკლესიანი» და «იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა» იმიტომ, რომ «სიმრავლითა მძორისათა არა დაედგმოდეს ქეუყანასა თუალნი». ამასთანავე სწორედ იმ დროს სასტიკი ზამთარი და ყინვები დაიჭირა ისე, რომ ვინც მტერს გაექცა და მთებში გაიხიზნა, იმათგანიც ბევრი «მოსწყდა... სიფიცხისაგან ზამთრისა» (იქვე, *501, გვ. 271). ქართლი მტრის ლაშქრით იყო მოფენილი; თვით სულტანი იდგა კარებს, მერე ჩამოვიდა შერთულთა; მაგრამ «სიძნელემან ზამთრისამან და ბუქთა ძლიერთა» თავისი სუსხი სულტანს აქაც აგრძნობინეს. ამიტომ, როდესაც აფხაზეთში შეფარებულმა ბაგრატ მეფემ სულტანთან «მიგზავნა მოციქულად ივანე ძე ლიპარიტისი» "ძიებად მშვიდობისა", სპარსეთის ძლევამოსილი მბრძანებელი მოხარული იყო. მოლაპარაკების შემდგომ სულტანმა მეფის მოციქული თავის პასუხითურთ აფხაზეთში გაისტუმრა. მან «ბაგრატს სთხოვა ხარაჯა და უქადა მშვიდობა». მაშასადამე, სულტანს ჰსურდა, რომ საქართველოს მეფე თავის მოხარკედა და ყმად გაეხადა; მხოლოდ ამ პირობით იყო იგი თანახმა ზავი და მშვიდობა ჩამოეგდო. მაგრამ მოუდლოდნელად მოლაპარაკება მოპირდაპირეთა შორის შესწყდა: სულტანმა «სიფიცხისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა» ბაგრატ მეფის პასუხი და «წარვიდა ქართლით» (იქვე, *501, გვ. 272).

შინისაკენ მიმავალმა სულტანმა ჩამოაშორა, «მოსწყჳდა ტფილისი და რუსთავი ამას სამეფოსა» და «მისცა ფალდონს, განძისა პატრონსა» (იქვე, *501-*502, გვ. 272). მკაცრს თოვლიან ზამთარს გაზაფხულზე მოჰყვა «სიმდიდრე წყალთა ძლიერი» და წყალდიდობისა გამო მოზღვავებული მდინარეები, განსაკუთრებით-კი მტკუარი, მონდორ-ველებს მოეფინნენ და იმსხვერპლეს «მრავალი სული, რომელი დარჩომილ იყო სულტანისა» აოხრების შემდგომ (იქვე, *502, გვ. 272); ამგვარად, ისედაც დაზარალებულს საქართველოს ბუნებამაც აუნაზღაურებელი ვნება მოაყენა.

რაკი გათამამებულმა ფადლონმა თბილისში და მის მიდამოებში პარპაშობას ხელი მიჰყო, გაზაფხულზე მეფე ბაგრატი ქართლში გადმოვიდა და "ჩადგა დიდგორთა", მეფეთა საზაფხულო სადგომ ადგილში. ამ გარემოებისათვის

თავგასულს ფალდონს ყურადღება არც-კი მიუქცევია, «არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა» და 33000 მეომარით თბილისში მოვიდა. თავის ჯარითურთ მან კარავებში დაიბანაკა ისნის ველზე (იქვე, *502, გვ. 273), ხოლო იქითგან მუხნარისაკენ გაემგზავრა და «არბივნა ქართლისა ნაპირნი». ეს რომ ბაგრატ მეფემ შეიტყო, ერისთავი ივანე ძე ლიპარიტისი და ნიანია ძე ქუაბულისი და ერისთავი ყუელისა მურვან ჯაყელი და სხვანი აზნაურნი რჩეულის ლაშქრითურთ ფალდონს უკან დაადევნა. მაგრამ ამ ჯარმა ფალდონს ქართლში ვეღარ მიუსწრო; იგი თავისის მარბიელი ლაშქრითურთ უკან გაბრუნებულიყო. ქართველებმა მტერს კვალ-და-კვალ მისდიეს და წილკნის კართან ფადლონის "უკანაკერძს", უკანმავალს ლაშქარს დაეწივნენ და მტერს შეებნენ. «პირველსავე ჴრმლის მოკიდებასა» ფადლონი და მის მხედრობა გაიქცა. ლტოლვილ მტერს ქართველთა ჯარი უკან მისდევდა და «მიჰჴოცდეს». ფადლონის გაქცეული ლაშქარი წააწყდა ნარეკუავის ხრამს, რომელიც "აღმოეგო" თავზარდაცემულ ოტებულ ლაშქრის "ცხენითა და კაცითა" ისე, რომ «ზედა ლაშქარმან მეოტმან გასულა იწყო»; ამასთანავე გზა-და გზა ქართველი მეომრები ტყეებში მიმალულს ფადლონის ჯარის კაცებს იჭერდნენ და ტყვედ მოჰყავდათ. ქართველთა მხედრობის მეორე რაზმმა მზირი უყო და ფადლონის გადარჩენილს ლაშქარს წინ გადაეღობა, «შემოუსწრეს წინა იწროსა ღართისასა» და გზა შეუკრეს; იმ მცირეოდენ მტერს, რომელმაც გაუსწრო და სანამ გზას შეუკრავდნენ გაქცევა მოასწრო, მათ «სდევნნა ლაშქარმან ბაგრატისამან ვიდრე მთადმდე ხერკისა» და აქ ყველანი ამოხოცეს.

თვით ფადლონმაც თხუთმეტის ცხენოსნითურთ ქართველთა მდევარს რაზმს ძლივს გაუსწრო, წილკნის გზას მიჰყვა, არაგვის პირს მიადგა, გაღმა გავიდა და ნარღუევთა გზით ერწოში მივიდა (იქვე, *503, გვ. 273). გზა-და-გზა ფადლონი თავის თავს ფადლონის მოციქულად აცხადებდა, ბაგრატ მეფე გააქცია ფადლონმა და აღსართანთან მივდივარ მახარობლადაო. მაგრამ ერთმა კაცმა, რომელიც ფალდონს იცნობდა, მისი ვინაობა გამოამჟღავნა და დაიჭირა. ფადლონი გაჩუმებისათვის დიდძალს ფულსა და საჩუქარს შეჰპირდა, მაგრამ იმ კაცმა დატყვევებულს ამირას უარი უთხრა: «ვერ ვიქმ საქმესა მაგას, რამეთუ მკჳდრი ვარ მე ამის სოფლისა»-ო. დაჭერილი ფადლონი მან ჟალეთში მიჰგვარა აზნაურსა მესხსა ისაკ თოლობელის ძესა. ამ აზნაურმა «გაძარცუა ერი ფადლონისი» და თვით ფადლონი «შესუა ჯორსა ზედა»; მაგრამ იმის მაგიერ, რომ «აფხაზთა მეფისა გან გაქცეული ფადლონ შეეპყრა და შეეგუარა ბოჭორმას ბაგრატისად», მან თავისი მოვალეობა დაივიწყა, «არ იჴსენა მკჳდრობა აფხაზთა მეფისაგან» (იქვე, *504, გვ. 273-274) და ფადლონი საჩქაროდ აღსართანს მიჰგვარა თელავში; ხოლო კახთა მეფემ აღსართანმა ფადლონი სწრაფად ხორნაბუჯში წაიყვანა.

ამ ამბავის გამგონეს ბაგრატს შეეშინდა, ვაი-თუ კახთა ბატონმა ფადლონი განათავისუფლოსო, და აღსართანთან მოლაპარაკება გააბა. მეფემ აღსართანს «მისცა ბოჭორმა და უჯარმო კახთა» და სამაგიეროდ კახთა ბატონისაგან მიიღო ტყვე ფადლონი. როდესაც ბაგრატს მტერი ხელში ჩაუვარდა, იგი მაშინვე შეეცადა თბილისი კვლავინდებურად ხელში ჩაეგდო. რაკი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თბილისი სპარსეთის სულტანმა ფადლონს გადასცა და იმ დროს მის ხელში იყო, ამიტომ ფადლონი «გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა», რომ ფადლონის მიერ დაყენებული ტფილისის მოხელეები დარწმუნებულიყვნენ, რამდენად უნაყოფო და უგუნური იქნებოდა მათი წინააღმდეგობა. მაინც თბილისის დაპყრობა ქართველებისათვის ადვილი არ იყო და თბილისი «აიღეს ჭირვეულად» იმიტომ, რომ

ფადლონის მოხელე თბილისში, «თვით გაამირებასა ლამობდა» (იქვე, *505, გვ. 274). თბილისი რომ ბაგრატ მეფემ აიღო "თჳსად"-კი არ დაიჭირა, საქართველოს სრულ და განუსაზღვრელ კუთვნილებად-კი არ აღიარა, არამედ თბილისი მისცა საგამგეოდ ვიღაც სითილ, ანუ სილილ არაბს, რომელიც "მემამულე", ესე იგი თბილისის ამირათა ჩამომავალი ყოფილა. თავისთვის ბაგრატ მეფემ აიღო «ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი და ქავაზნი»; ამას გარდა ყოველწლიურ ხარკად საქართველოს მეფისათვის უნდა ეძლია «მარადის ორმეოცდაოთხი ათასი დრაჰკანი»; თანაც მძევლები ჩამოართვა როგორც ფადლონს, ისე სითილ არაბს; მეფეს სახელდობრ წაუყვანია «მძევლად ძმისწული მისი, ძე მანუჩასი და [ძენი] სამთა თავადთა განძისათა[ნი]».

დატყვევებული ფადლონის გაშვებას ბაგრატ მეფეს სპარსეთის სულტანი შეეხვეწა და სწორედ «შუამდგომლობითა და სიტყჳთა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონი და გაგზავნა საჴელმწიფოსა თჳსსა განძას» (იქვე, *505, გვ. 275).

ფადლონმა დიდის ხნით ვერ მოისვენა და მაინც «გატეხნა ფიცნი და შუამდგომელობანი დიდისა სულტანისანი»; ისევ საქართველოს სამეფოს მიადგა და ჯერ «მოიპარა ქავაზნი», მერე აგარათაკენ გაილაშქრა; აგარათა ციხისთავმა აგარანი მიატოვა და გასცა. აფხაზეთში მყოფმა ბაგრატ მეფემ რომ ეს ამბავი შეიტყო, საჩქაროდ გადმოვიდა და აგარანი მტერს ისევ გამოჰგლიჯა ხელითგან. ამასთანავე მეფემ თავისი ცოლის ძმა ოსთა მეფე დორღოლელი მეშველად მოიხმო. დორღოლელი ორმოცი ათასითა მხედრითა გადმოვიდა საქართველოში. თავისი შვილის, უფლისწულის გიორგი კარაპალატის, წინამძღოლობით ბაგრატ მეფემ შეერთებული ქართველ-ოსთა ლაშქარი ფადლონის დასასჯელად და სამაგიეროს გადასახდელად გაგზავნა. ამგვარად, მეფემ «მოაოჴრა განძა და აღიღო ტყუე და ნატყუენავი მისი ურიცხვი» და საქართველოში მოიტანა (იქვე, *506, გვ. 275); ომითგან შემობრუნებულმა ოსთა მეფემ «ითხოვა დარბაზობა, ხოლო ბაგრატ ნება სცა» (იქვე, *506, გვ. 276, შეად. ანა დ˜ფს ქ˜ცა-ს). ოსთა მეფემ ნახა თავისი და, დედოფალი, და სიძე, ბაგრატ მეფე, რომელიც იმ დროს «ტინისჴიდს, ჭალასა ნადარბაზევისასა» მდგომი დიდის ამბით მიეგება თავის მეშველსა და ცოლისძმას. რადგან «მიზეზითა ზამთრისათა» ოსთა მეფეს და დიდებულებს ეშურებოდათ, ბაგრატმა 12 დღეს გამასპინძლების შემდგომ თავისი სტუმრები უხვად დაასაჩუქრა და სამშობლოში გაისტუმრა (იქვე, *506-*507, გვ. 276).

რაკი სულტანის მეგობარი და მოკავშირე ფადლონი თავხედობისათვის ბაგრატ მეფემ სამაგალითოდ დასაჯა, ეხლა საქართველოს ბატონი უფრო უზრუნველყოფილი იყო აღმოსავლეთის მხრით და უფრო გაბედულად შეეძლო ემოქმედა. ამიტომაც იყო როდესაც «შემდგომად ამისსა არონიებდა სულტანი მოციქულთა» ბაგრატ მეფესთან «და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა», თანაც «ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა», საქართველოს მბრძანებელიც თავის მხრივ სულტანს ზრდილობიანად ექცეოდა, «ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა და იყო მათ შორის სიტყუათა სიყვარული», მაგრამ მორჩილების ნიშანი-კი იუკადრისა და «არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *507, გვ. 276), - საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულება არ შეალახინა.

ამის შემდგომ ბაგრატ IV დიდხანს აღარ უცოცხლია: «შემდგომად მცირედთა წელიწადთა სამშვილდისა ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა»; ავდმყოფი ჴელმწიფე «ჩადგა მარაბდათა», მაგრამ არამცთუ აქ უკეთობა არ

დასტყობია, პირიქით "უფრო გაუძნელდა სალმობა". მაშინ მძიმე ავადმყოფი მეფე "ტახტითა წამოიყვანეს" (მტ˜ნე ქ˜ჲ, *507, გვ. 276) ქართლში; მისი შვილი უფლისწული გიორგი კურაპალატი "თანა ჰყუა". აქ მას მიეგებნენ «ყოველნი დიდებულნი მისნი» და «დედა მისი მარიამ დედოფალი და ცოლი მისი ბორენა და ასული მისი მარიამ». რაკი თანდათან მეფე სულ უკან და უკან მიდიოდა და სიკვდილის მოახლოვებას ჰგრძნობდა, ამიტომ ბაგრატ IV «შემდგომად მცირედთა დღეთა მიუთუალა ძე მათი გიორგი კარაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოსათა ამის სამეფოსათა», ხოლო მეორე მხრივ «ყოველნი შეჰვედრნა მას» თავის მემკვიდრეს და 292 ქრონიკონსა ანუ 1072 წ. 24 ნოემბერს. გარდაიცვალა (იქვე, *507-508, გვ. 277). მომაკვდავმა 56 წლის მეფემ თავის უბედურს დედას მარიამ დედოფალს გულმტკივნეულობით უთხრა: «დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინა და ეგრეთ-ღა შენ მოჰკუდებიო».

ბაგრატ მეფე მემატიანის სიტყვით «იყო კაცი უშუენიერესი ყოველთა კაცთასა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *508, გვ. 278) და, მართლაც, ატენის სიონისა და ზარზმის მონასტრის ეკლესიების კედლებზე შენახულ მის სურათებზე იგი ლამაზი სახის კაცად ჩანს. გარეგან სილამაზესთან ერთად იგი გონებრივადაც უხვად ყოფილა დაჯილდოვებული, ფხიზელისა და სკეპტიკოსის მსჯელობით აღჭურვილი[335], «სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა» (იქვე, - გულუხვი და მოწყალეც იყო; მაგრამ ბედმა მას ბევრი გასაცდელი არგუნა და თითონაც მან დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობისა და წინააღმდეგობის ალაგმვა ვერ შეძლო და თითქმის გამუდმებულს ბრძოლაში დალია თავისი დღენი. ხასიათის სიმტკიცე აკლდა, თუ სხვა რაიმე მიზეზი იყო, არა ჩანს, მაგრამ ეს-კია, რომ თუმცა მეფე ყოფილა გულკეთილი, «მოწყალე და განმკითხველი გლახაკთა» (იქვე), მაგრამ მაინც მემატიანე ჩივის, «ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არ აქუნდა, ეკლესიანი და გლეხნი[336] [და] აზნაურნი[337] ვერ იკითხებოდეს»-ო (იქვე). ეს ცნობა გიორგი მთაწმიდელის "ცხოვრების" მოწმობითაც მტკიცდება. გიორგი მთაწმიდელის მოწაფე მოგვითხრობს, რომ როდესაც ჩვენი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი ბაგრატ IV თხოვნისაებრ საქართველოში მივიდა, «პირველად ყოვლისა აღლესა მახჳლი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათათჳს უშიშად და თვალუხავად... კუალად ეტყოდა მსჯავრთათჳს და სამართალთა სამეუფოთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურივთა... რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ გინა მცირისა და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობაჲ შეიტკბოს»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწმდ˜ლსჲ, 321). როგორც ჩანს, ბაგრატ IV დროს მართლმსაჯულება და მიუდგომელობა მართლაც არა ერთხელ ყოფილა შელახული.

გარდაცვალებული ბაგრატ მეფე «დიდითა დიდებითა და პატივითა წარიყუანეს და დამარხეს ჭყონდიდს» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *508, გვ. 278). მეფეს წინდაწინვე «თჳსი საფლავი მუნ განემზადა, რათა რაჟამს აღესრულოს მუნ დაემარხოს» (ც˜ჲ გ˜ი მ˜თწმდ˜სჲ, 305), და მისგანვე შემზადებულს საფლავში ჩაასვენეს.

4. გიორგი II

საქართველოს სამეფო ტახტზე დაჯდა ბაგრატის შვილი გიორგი კურაპალატი (მტ˜ნე ქ˜ჲ, *508, გვ. 277). თუმცა ახალგაზრდა მეფე სათნო ხასიათის ადამიანი იყო,

---

[335] «ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა მრწამს»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜ლსჲ, 304).

[336] ასეა ანა დ˜ფს ქც˜ა-შ.

[337] ანა დ˜ფსი ქც˜ა+ ყოვლად.

მოწყალე, გულუხვი და პურადი ისე, რომ მემატიანის სიტყვით იგი ყოფილა «უუხვესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა და პურად უკეთესი ყოველთა კაცთასა» (იქვე, *509, გვ. 278), პირადადაც კარგ რაინდად ითვლებოდა, «ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული» (იქვე), - მაგრამ მეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცადა ჩანს. ამასთანავე მას ჰკლებია ის სიდინჯე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონისათვის აუცილებლად არის საჭირო (ამის დამამტკიცებელი მაგალითი იხ. ქვემოთ გვ. 163). ვერც თავგასულს დიდგვარიან აზნაურებს უწევდა ღირსეულს წინააღმდეგობას, ვერც გათამამებულ გარეშე მტრებს იგერებდა.

მისის მამის სიკვდილის შემდგომ გასული იყო მხოლოდ «ზამთარი ერთი მშვიდობით და ზაფხულისა ნახევარი», ესე იგი 1073 წლის ზაფხული იყო, რომ დიდგვარიანი მოხელეები ნიანია ქუაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი განუდგნენ ყრმა მეფეს და «აუშალეს ქუეყანა»; ნიანია ქუაბულის ძე ამასთანავე იმდენად გაკადნიერდა, რომ «წაიღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა»; ვარდანმა სვანები ააჯანყა და დაარბია და აიკლო საეგრო; ხოლო ივანე ლიპარიტის ძემ კახნი მოიშველია და ქსნის პირი დაიპყრა. თუმცა გიორგი მეფემ განმდგარნი დაიმორჩილნა, მაგრამ, როგორც მემატიანე ამბობს, «სიკეთითა სიბრძნითა» დასჯის მაგიერ მეფემ ივანეს, ლიპარიტის ძეს, უბოძა სამშვილდე, ხოლო მის შვილს ლიპარიტს რუსთავის ნაცვლად, რომელიც მეფემ კახთ მისცა, ლოწობანი უწყალობა; ნიანიამ თმოგვი «და სხუანი საქონელნი რჩეულნი» მიიღო; ვარდანს-კი ასკალანა უწყალობა (იქვე, *509-*510, გვ. 278-279).

როდესაც დამნაშავენი ასე უხვად იყვნენ დასაჩუქრებულნი, ან რა საკვირველია, რომ ისინი კვლავ აჯანყებულიყვნენ. მართლაც, მალე ივანე ლიპარიტის ძე ისევ განდგა. ამის გაგონებაზე გიორგი მეფე ქუთაისითგან სამცხეში გადავიდა და შემდეგ მესხთა ლაშქრითურთ სამშვილდეს მიადგა, სადაც გიორგი მეფეს კახთა მეფე აღსართანი მოუვიდა მეშველად. ივანე შეერთებულს ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ამიტომ გაიქცა, «მირიდა მთათა სომხითისათა» (იქვე, *510, გვ. 279). გიორგი მეფემ ამის შემდგომ წაართვა, «წაიხუნა ლოწობანნი ლიპარიტისაგან» და ჯავახეთში გადავიდა. აქ შეთანხმება მოხდა, «დაიფიცნეს ეკრანთას და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და სამშვილდეს ზედა» მაგრამ არც ეს შერიგება ყოფილა ხანგრძლივი: ეხლა-კი ივანემ ისეთი თავხედობა ჩაიდინა, რომ «გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა» (იქვე); ამაზე მეტის კადნიერებისა და აღვირახსნილობის წარმოდგენაც-კი ძნელია, მაგრამ მან არც ეს იკმარა. მოვიდა თუ არა სულტანი მელიქშაჰი «მტერობად ყოველთა ქრისტიანეთა», ივანემ «მიაგება ძე მისი ლიპარიტ წინა»; სულტანმა, რასაკვირველია, სიხარულით "შეიწყნარა", მაგრამ მცირედი ხნის შემდგომ ივანეს შვილი იქითგან გამოიპარა. მაშინ სულტანი დაიძრა, «მოადგა სამშვილდესა და წაუღო სამშვილდე». ამ ქალაქის აღების დროს ივანე თავისი ცოლ-შვილითა და შვილის-შვილითა და მისის ხელქვეით აზნაურთა სახლობითურთ სულტანს ტყვედ ჩაუვარდა (იქვე). სულტანმა «დაიჭირა სამშვილდე» და იქითგან მოარბია ქართლი, ბევრი ტყვე წაასხა და ნატყვენავი წაიღო და უკან წავიდა (იქვე, *511, გვ. 279 და ცˇა მˇფსა დˇთსი, *512, გვ. 281).

იმავე წელიწადს მოვიდა სარჰანგი სულტანის ლაშქრითურთ და სამშვილდის ბარს დაიბანაკა; გიორგი მეფის მხედრობაც იქითკენ გაეშურა და ბრძოლა ფარცხისს მომხდარა. ქართველმა ჯარმა დიდად გაიმარჯვა და მტერი განდევნა (ცˇა მˇფსა დთˇსი, *512, გვ. 281).

გიორგი მეფე აქეთგან წავიდა «მამულსა თჳსსა ტაოს» და ბანაში დაბინავდა. იქვე მოვიდა და მეფეს ეახლა «ზორავარი აღმოსავლისა» გრიგოლი, ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის ძე, განთქმული ქართველი მოღვაწე, პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი, ბიზანტიის კეისრის სამსახურში მყოფი. ამ გრიგოლ ბაკურიანის ძეს ჰქონდა ოლთისნი, კარნო-ქალაქი და კარი. მეფეს ძალიან იამა გრიგოლის მოსვლა და ნახვა. გრიგოლმა «მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა». გახარებულმა მეფემ კარში მცველად შავშელი აზნაურნი ჩააყენა და თითონ შინისაკენ გამოემგზავრა.

ამავე დროს თურქები ისე გაძლიერდნენ, რომ «დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი, ციხენი და ქალაქნი მათნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს» (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი, *512, გვ. 281). ბერძენთაგან დატოვებული ქვეყნები დაიპყრეს, «აიხუნეს თურქთა და დაემკჳდრნეს» (იქვე, *513, გვ. 282). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს ცნობა სრულებით ჭეშმარიტია: 1074 წ. დადებული ხელშეკრულებისაგან ბერძნებმა თურქებს აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები დაუთმეს[338].

თუ თურქების მიერ ბიზანტიის სამფლობელოს აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა 1074 წ. მომხდარა, მაშ მელიქშაჰის მიერ სამშვილდის აღება და ქართლის აოხრება, შემდეგ სარჰანგის შემოსევა და მისი დამარცხება 1073 – 1074 წ. უნდა მომხდარიყო.

1074 წ. შემდგომ საქართველო დიდს განსაცდელში ჩავარდა: ეხლა მას ორთავ მხრივ მტერი ერტყა, წინათ თუ მარტო აღმოსავლეთით საზღვრავდა მაჰმადიანთა სამფლობელო, ამიერითგან თურქები დასავლეთითაც მოადგნენ საქართველოს. «მეზობლობით მოეახლნეს საზღუართა ჩუენთა» და თანაც «განმრავლდა შიში და ჭირი», ქვეყნის აოხრება და ტყვევნა. თურქებმა თურმე ჯერ ქ. კარი აიღეს და შემდეგ ისე გათამამდნენ, რომ ა[ჰ]მად ამირას მეთაურობით ისინი გიორგი მეფეს «ყუელსა გარე მდგომსა» მოულოდნელად "უგრძნეულად" დაეცნენ. მათი გაბედულობა გაორკეცდა თურმე «შინაგაცემითა ქრისტიანეთათა» ღალატით, რომელსაც მათი განზრახვის განხორციელება უნდა გაეადვილებინა. გიორგი მეფე შემოსევას არ მოელოდა და, რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო; «აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი». გამარჯვებულს მტერს დიდძალი დავლა ჩაუვარდა ხელში: "საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი ოქროსა და ვერცხლისანი ბაგრატეულნი, სასმურნი და სამწდეონნი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი" (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი, *513, გვ. 282). გიორგი მეფე აჭარითგან აფხაზეთში გაიქცა. ამ მაგალითით სხვა თურქებიც წაქეზდნენ და ვინმე იასისა და ბუჟდობის მეთაურობით საქართველოს მოადგნენ: «მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი» და «დღესა ივანობასა» ასისფორი, კლარჯეთი ზღვამდის, შავშეთი აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი თურქებით აივსო; მაშინვე დაწვეს ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბნონი (იქვე, *513-*514, გვ. 282). თურქები საქართველოში თოვლის მოსვლამდე დარჩნენ, «მოჭამეს ქუეყანა და მოსწყჳდეს», დიდძალი ტყვე წაასხეს და წავიდნენ. «ესე იყო **პირველი დიდი თურქობა**»-ო, ამბობს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი და მაშინ «ქრონიკონი იყო: - ტ:-» (300)-იო (იქვე, *514, გვ. 283) ანუ 1080 წ.; მაშასადამე,

---

[338] იხ. **H. Gelzer**-ის ნაწარმოები **K. Krumbacher**-ის [წიგნში] Geschichte d. Byzantinischen, Litteratur, [München 1897], გვ. 1013.

თურქების მიერ ქართველთა მეციხოვნეთა და მონაპირის ქ. კარითგან განდევნა და გიორგი მეფის ოტება ყუელის ციხითგან 1074-1080 წ. შუა უნდა მომხდარიყო.

მკაცრმა ზამთარმა, რომელიც ამ აოხრებას თითქოს განგებ მოჰყვაო, მთიულეთში შეხიზნული ქართველი ხალხი შეაწუხა და «უსახლობითა შიმშილობით» ბევრი დახოცა. უბედურება ის იყო, რომ თურქები მიეჩვივნენ საქართველოში თარეშს და «არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთა იქმოდიან და ზამთრის წავიდიან» (იქვე), ყოველ წლივ საქართველოს აწიოკებდნენ. რასაკვირველია, ასეთს გარემოებაში, როდესაც მიწისმოქმედის სიცოცხლე ყოველს წამს განსაცდელში იყო, მეურნეობა შეუძლებელი იქნებოდა; ამიტომაც «არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, ნაცულად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა» (იქვე). მოსახლეობა მოიშალა, «ეკლესიანი შეიქმნეს სახლად ჰონეთა მათთა» (იქვე, *515, გვ. 283); ერთი სიტყვით, საქართველო საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა. სომეხი ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ სწორედ ამავე დროს 1079-1080 წ. სომხეთიც თურქთაგან აკლებული იყო, ხვნა-თესვა მოისპო და ქვეყანას შიმშილისაგან ძალა ჰქონდა მიხდილი[339]. როგორც ეტყობა, სადაც-კი თურქები გაჩნდებოდნენ, ყველგან მათის მოღვაწეობის ძეგლად უაღრესი ბარბაროსობა, გაოხრებული და გადაბუგული ქვეყნები რჩებოდა...

«ხედვიდა მეფე გიორგი... რამეთუ არა სადათ იყო ღონე ჴსნისა და შეწევნისა»; თითონ მარტო თურქების წინააღმდეგ ვერა გაეწყო რა, ხოლო ბერძნები, რომელნიც კვლავ ამისთანა შემთხვევაში მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველებთან ერთად იბრძოდნენ, თითონაც განსაცდელში იყვნენ. ამ დროს «ძალი ბერძენთაცა შემცირებული იყო და, რომელნი ქუეყანანი აღმოსავლეთს ჰქონდეს, ზღუასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა»-ო, მოგვითხრობს ქართველი იმდროინდელი ისტორიკოსი (ცˇა მˇსა დˇთსი, *516, გვ. 284) და ეს ცნობა სამართლიანია[340]. მაშინ გიორგი მეფემ სახელმწიფოს გაჭირვებულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად შეჰყარა თავისი თანამშრომელნი და «იყო განზრახვა დიდებულთა თჳსთა თანა»; ამ საგანგებო ბჭობის დროს «დაამტკიცეს წარსვლა მაღალსა სულტანსა მელიქშაჰს წინაშე» (ცˇა მფˇსა დთˇსი, *516, გვ. 284).

გიორგი მეფემ აასრულა ეს გადაწყვეტილება და «წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი» (იქვე). მელიქშაჰმა «ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის» და საქართველო «განათავისუფლა ზედა მარბეველთაგან»; ამასთანავე სულტანმა გიორგი მეფეს «მოსცა კახეთიცა და ჰერეთიც» (იქვე, *516, გვ. 284). ეს ორი ქვეყანა სულტანს არ ეკუთვნოდა და თავისი უხვი წყალობით არაფერს ჰკარგავდა. მელიქშაჰის საქციელი, რასაკვირველია, არც "ქრისტიანეთა სიყვარულით", არც მისის "მართლმსაჯულებით" არის ნაკარნახევი, როგორც ქართველი ისტორიკოსი გულუბრყვილოდ ფიქრობდა (იქვე), არამედ უბრალო ანგარიშით. მან ზემოაღნიშნულ "წყალობათა" სამაგიეროდ «**ხარაჯა ითხოვა სმეფოსა მისისა**» (იქვე, *516, გვ. 285). ყოველწლიური ხარკი სულტანისათვის ოღონდაც რომ ცარცვა-გლეჯით შეძენილსა სჯობდა იმიტომ, რომ ჯერ ერთი ნატყვენავის რაოდენობა ცვავლებადი იყო და განუსაზღვრელი, - მეორე ისა, რომ ნადავლითგან სულტანს მარტო[1\5] ერგებოდა, დანარჩენი [4\5] ლაშქრისა იყო;

[339] **მათე ურჰაელის** ისტორია, იერუსალემის გამოც., გვ. 261-262.

[340] იხ. **H. Gelzer**-ის თხზულება **კ. კრუმბახერის** ზემოაღნიშნულს წიგნში გვ. 10-12.

ხარაჯა-კი მთლად სულტანის საჭურჭლეში შევიდოდა. მაშასადამე ის, რაც ითაკილა ბაგრატ IV და არას გზით ხარკზე არ დასთანხმდა, მისმა შვილმა გიორგიმ და იმდროინდელმა ქართველებმა თითქმის სიხარულით შეიწყნარეს და დაიდეს, - ამდენად ილაჯ-გაწყვეტილი იყო მაშინ საქართველო თურქების გამუდმებული ცარცვა-გლეჯისაგან! დადებულს ხარაჯას თურქები ქართველებისაგან «აიღებდეს ჟამთა მრავალთა» (იქვე).

რაკი მელიქშაჰმა საქმე ასე კარგად მოაგვარა, გიორგი მეფისათვის რატომ არ უნდა ეცა პატივი; მართლაც, საქართველოს ბატონი სულტანმა «განდიდებითა დიდითა გამოგზავნა სამეფოდ თჳსად»-ო, ამბობს ქართველი ისტორიკოსი (იქვე) და ადასტურებს სომეხი ისტორიკოსი ვარდანი[341].

“განდიდებული” გიორგი მეფე შინ დაბრუნდა; საქმე “ნაწყალობევი” ჰერეთ-კახეთის აღება იყო; კახთა მეფე ხომ ნებაყოფლობით არ დაუთმობდა თავის სამფლობელოს? მელიქშაჰმა გიორგი მეფეს «წარმოაყოლნა სპანი დიდნი”, რომ მათის დახმარებით კახთა ბატონს «წაართუან კახეთი». გიორგი მეფეს უნდა მოეფიქრა, რომ ამგვარი ხერხი და საშუალება საქართველოს გასაერთიანებლად სრულებით უვარგისი იყო და სახიფათო; მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ამ ბრძოლაში უცხო სახელმწიფოს გარევა ქვეყანას ხეირს არ დააყრიდა, ამგვარისავე იარაღით კახთა მეფესაც შეეძლო აეტეხა გაერთიანებული საქართველოს ბატონისათვის ომი და ძმათა შორის მტრობა და სიძულვილი ჩამოეგდო. გიორგი II ამ უგუნურმა საქციელმა ისედაც მოქანცული საქართველო დიდს განსაცდელში ჩააგდო.

«ჟამსა სთვლისასა» გიორგი მეფე თავისისა და თურქთა მეშველ ჯარითურთ კახეთს მივიდა და ვეჟინის ციხეს მიადგა. მთელმა შემოდგომამ ისე გაიარა, რომ გარემოცული ციხე მეფემ ვერ აიღო. მოვიდა თოვლიც. აქ-კი გიორგი II გასაოცარი დაუდევრობა და ქარაფშუტობა გამოიჩინა: მას «მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდა სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისასა» (ცˇა მფˇსა დთˇსი, *517, გვ. 285). თითონ ყველაფერს თავი დაანება, ხოლო «ლაშქართა თურქთა, რომელიც ჰყუეს, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირისა კახეთი». რასაკვირველია ეს თურქთათვის შესაჭმელად მიცემული საქართველოს კუთხე გატიალდებოდა; მემატიანე მოგვითხრობს, ეს ქვეყანა იმ დროითგან «მოოჴრდა დღეინდელად დღემდე»-ო (იქვე); მაშასადამე, დავით აღმაშენებლის მეფობაშიაც ვეღარ გამობრუნებულა. გიორგი მეფის პოლიტიკურმა სიბეცემ თავისი შხამიანი ნაყოფი გამოიღო. თუ საქართველოს ბატონს კახეთ-ჰერეთის დაპყრობა მელიქშაჰის წყალობითა ჰსურდა, კახთა მეფემაც იმავე გზით თავისი საქმის გამოკეთება მოინდომა; ადვილადაც მიაღწია თავის წადილს, მას მხოლოდ უფრო მეტი მსხვერპლის შეწირვა დასჭირდა, - და ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი ქართველმა მოქიშპე მეფეებმა ასეთი სახიფათო გზა აირჩიეს. გიორგი II-ისაგან შევიწროებული კახთა მეფე აღსართანი მელიქშაჰთან წავიდა და იქ, იქნებ იმიტომ, რომ თავისი ერთგულება დაემტკიცებინა, უფრო-კი იმიტომ, რომ სელჩუკიანთა სულტანმა, ალბათ, ამგვარი პირობა დაუდვა, აღსართანმა «დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი» (იქვე). ასეთს გარემოებაში მყოფს საქართველოში, რასაკვირველია, «არავე დამშუიდნა ქუეყანა, არცა-ღა იქმნა ლხინება კაცთა» (იქვე).

---

[341] ----------?, **გვ. 162** მოსკოვის 1861 წ. გამ., გვ. 141.

ამ ძმათაშორისს მტრობასა და ბრძოლას, თურქთა ნავარდობას, ბუნების მრისხანებაც ზედ დაერთო. 1088-1089 წელს[342] საშინელი მიწისძვრა იყო; მემატიანე ამბობს: «უფალმან... შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაითქუნეს და დაირღუნეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა, რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ» (ცˇა მფˇსა დთˇსი, *518-*519, გვ. 286-287). ეს საშინელი მიწისძვრა, რომელმაც მრავალი ხალხი იმსხვერპლა, არ დამცხრალა «განსრულებადმდე წელიწადისა» (იქვე, *519, გვ. 287). ყველა ამ უბედურებათა გამო თავზარდაცემულმა, თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზის გამო, გიორგი II მეფობაზე უარი სთქვა და სახელმწიფო თავის ჭაბუკს შვილს დავითს დაულოცა (იქვე).

[342] **თ. ჟორდანია,** ქკˇბი, I, 233 და ცˇა მფˇსა დთˇსი, *518-*519, გვ. 286-287.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

საქართველოს სოციალური და კულტურული მდგომარეობა გაერთიანების ხანაში

როგორც უკვე გამორკვეული იყო, ბაგრატ III მეფობით საქართველოს გაერთიანების ხანა იწყება და თუმცა გაერთიანება ჯერ კიდევ მთლად დამთავრებული არ იყო, მაგრამ, როგორც თავ-თავის ალაგას აღნიშნულია, თბილისის საამირო ბაგრატის IV დროს უკვე საქართველოს მოხარკედ გადაიქცა და მისი არსებობის საბოლოვო აღსასრულის დღეც მოახლოვებული იყო; კახთა მეფეებიც იძულებულნი იყვნენ გაერთიანებულ საქართველოს ხელმწიფის უზენაესი ბატონობა ეღიარებინათ და მისი სამუდამო შემოერთებაც მალე უნდა განხორციელებულიყო, რომ გიორგი II წინდაუხედავს საქციელს საქმე არ გაერთულებინა. შირვანის შაჰმაც ბაგრატ III დროს უნებლიედ ყოველწლიური ხარკის გამოღება იკისრა და ბაგრატ IV ხომ ორჯერ დაამარცხა განძის პატრონი და ციხეები წაართვა.

უკვე ბაგრატ III უბრალო მეფე-კი არ იყო, არამედ მეფეთა მეფედ იწოდებოდა; ხოლო ბაგრატ IV მოხსენებულია მეფედ «აფხაზთა, ქართუელთა... და რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად»[343]; გიორგი II თავის თავს უწოდებდა მეფედ აფხაზთა და ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ, შარვანშად და შაჰანშად და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელად[344].

მაგრამ ქართველთა პოლიტიკურს ძლიერებას წინ ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება ეღობებოდა და აფერხებდა. რასაკვირველია **ა. მკლერი** მართალია, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროსი ველური ტომების გადმოსახლება აღმოსავლეთში თითქმის არ შეწყვეტილაო; არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები[345]. ასეთი ქარტეხილი დასავლეთის და ევროპელ ერებს თავს არ დასტყდომიათ; იქ ერთხელ იყო ერთა დიდი გადმოსახლება; აღმოსავლეთში-კი მრავალჯერ და აყვავებული ქალაქ-სოფლები და მდიდარი ქვეყნები მრავალგზის ყოფილა განადგურებული და მირეგვ-მორეგვილი. ეს უდებურება ქართველების უბედურებაც იყო. მართალია, აღორძინებულ საქართველოს, როგორც დავინახეთ, სელჩუკიანთა სულტანების და ლაშქრის ნავარდობაც აფერხებდა; ბიზანტიის კეისრების ახალი პოლიტიკაც ქართველთათვის სახიფათო იყო; მაგრამ მაინც საქართველოსათვის იმდენად გარეშე მტერი არ იყო საშიში და არც ესა ყოფილა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მის გაძლიერებას აფერხებდა. ქართველებს აუძლურებდა შინაური ბრძოლა მეფეთა და დიდგვარიან აზნაურთა შორის.

გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად, როგორც მეექვსე თავითგანაც ნათლად ჩანს, უნდა ჩაითვალოს სწორედ ეს მედგარი ბრძოლა მეფეთა და დიდგვარიან აზნაურთა შორის. **სამეფოს სოციალურ-უფლებრივი წესწყობილების ქვაკუთხედად პატრონყმობა იყო:** ხელმწიფე პატრონი იყო, მისი ქვეშევრდომნი-კი ყმები, წოდებათა მიუხედავად, დიდებული აზნაურები

---

[343] კაცხი: **Brosset,** Voyage, XII rapp., გვ. 95.

[344] 1082 წ. შიომღ. სიგ., **თ. ჟორდანია,** შიომღ. ისტ. საბ., 13.

[345] **A. Müller**, Der Islam im Morgen-und Abendlande, წ. II, 1887, გვ. 71-72.

იქმნებოდნენ ისინი, თუ უბრალო სოფლელი გლეხები. მაგრამ დიდებული მოხელე, რომელიც მეფის ყმა იყო, თავის მხრივ თავისი ხელქვეითებისათვის პატრონად ითვლებოდა; ხოლო ხელქვეითნი მის ყმებად იწოდებოდნენ, რომელნიც შეიძლება პატრონებად ყოფილიყვნენ და ყმები ჰყოლოდათ: აქ, მაშასადამე, ჩვენ თვალწინ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სამართლის მოვლენაა.

მაგრამ პატრონყმობა ამასთანავე სოციალური და კერძოუფლებრივი ცხოვრების მოვლნაც იყო. პატრონი კერძო მესაკუთრესა და მფლობელსაც, მფარველსაც ჰნიშნავდა; ხოლო ყმად იწოდებოდა ისიც ვინც რომელისამე მებატონის, აზნაურის თუ სხვა წოდების კაცის მიწაზე იჯდა ან ვითარცა ნასყიდი, უმამულოდ თუ მამულიანად, ან ვითარცა თავის საკუთარის მამულით და ნებაყოფლობით ამა თუ იმ ძლიერი მებატონის მფარველობას ქვეშე მყოფი. ამგვარ ყმად დიდებულ აზნაურს შეიძლებოდა აზნაურებიც ჰყოლოდა. გელათში დაცულ ერთს სახარების ანდერძში მაგ. ნათქვამია: «ღ˜თო შეიწყალენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთა-ერისთავისა მაგისტროზისა ლიპარიტისანი»[346]. მათაც, რასაკვირველია, თავიანთი ყმები ჰყავდათ, რომელთათვის ისინი პატრონები იქმნებოდნენ. ერთი სიტყვით, პატრონყმობა ორგვარი თვისებისა იყო და გაბატონებული იყო როგორც სახელმწიფო წესწყობილებაში, ისე საზოგადოებრივში.

დიდებული აზნაურები, რომელთაც დიდ გვარიშვილობას გარდა უმაღლესი თანამდებობაც ჰქრნდათ ხოლმე, მეტად თვალსაჩინო და მეფისათვის საშიში ძალით იყვნენ აღჭურვილნი: მათ ჰყავდათ "სიმრავლე ერისა", ერთგული ყმები, რომელნიც ყველგან სამსახურს გაუწევდნენ თავიანთ პატრონს, და ქონებრივადაც ღონიერნი იყვნენ. უმეფობის დროს ბატონობას მიჩვეულთ, გაერთიანებული საქართველოს მეფის უფლების გაძლიერება არაფრად მოსწონდათ და, როგორც ზევითაც არა ერთხელ ვნახეთ, მეფეებს წინააღმდეგობას უწევდნენ.

უკვე სრულიად საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III დიდებულ აზნაურთა თვითნებობას ყურადღება მიაქცია და ორგული მოხელე აზნაურები გადააყენა: «ურჩნი თჳსნი შეცუალნა დიდებისა-გან, ადგილთა მათთა გაადიდნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა» (მტ˜ნე ქ˜ჲ, *467, გვ. 242; ამგვარივე ცნობა იხ. აქვე, *465, გვ. 240), და ეს ერთადერთი საშუალება იყო მათ ასალაგმავად. მაგრამ ყველას არ შეეძლო ასე პირდაპირ ემოქმედა; ზოგჯერ, თუ თვით მეფე სუსტი ხასიათისა ან ჭაბუკი იყო, დიდგვარიანი აზნაურები სახელმწიფო საქმეებს თავის ნებაზე ატრიალებდნენ და მეფეს იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ მათი თავგასულობა შესაფერისად აელაგმა. ამნაირს მდგომარეობაში იყვნენ მაგ. გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ბაგრატ IV დაუცხრომელი ძლიერი მეტოქის ლიპარიტის შესახებ იმდენი იყო უკვე ნათქვამი (თავი VI), რომ ამ მძლავრი ყმის პიროვნება საკმაოდ არის დასურათებული. ყურადღების ღირსია, რომ იგი ძლიერებით მეფეს თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა; ბიზანტიელებიც მას იმგვარსავე საპატიო სახელს უწოდებნენ, რასაც საქართველოს მეფეს ("არხეგოს"); სპარსეთის სულტანსაც მასთან მეგობრული განწყობილება ჰქონდა; ხოლო სამშობლოში ერთს დროს მხოლოდ მეფედ ცხება-ღა აკლდა, თორემ ისე სამეფოს ნამდვილი ბატონ-პატრონი ბრძანდებოდა (იხ. თავი VI).

[346] ქკ˜ბი, II, 191, იხ. ამგვარივე ცნობა Опис. рук. церк. Музея, II, გვ. 50-51.

ლიპარიტს გარდა ბაგრატ მეფეს სხვა "წინააღმდგომნი"-ცა ჰყავდა, სახელდობრ განთქმული ხუთნი აბაზაᲘს ძენი; ერთი მათგანი ქართლის ერისთავადაც იყო. ეს აბაზაᲘს ძენი «კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზევებულნი» იმდენად გაკადნიერდნენ, რომ «**შეპყრობაᲘ მეფისაᲘ ეგულებოდათ**».

უბედურება ის იყო, რომ ერთგულებისა და მორჩილებისათვისაც მეფეს, როგორც ეტყობა, თავისი დიდგვარიანი მოხელეები აუცილებლად უნდა დაესაჩუქრებინა ისე, რომ ერთგულებას მათთვის სარგებლობა მოეტანა; როდესაც მაგ. სულა კალმახელმა ბაგრატ მეფის მეტოქე ლიპარიტი შეიპყრა, ისტორიკოსის სიტყვით, მას «ამის მსახურებისა ნაცულად მეფემან უბოძა მამულობით ციხისჯუარი და ოძრჯე, ბოდო კლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთმოძღურონი და რაცა უნდოდა»-ო (მტ˜ნე ქ˜Ი, *495, გვ. 267). უკანასკნელი ორი სიტყვა ნათლად გვიჩვენებს, რომ რაც სულა კალმახელს თავისი ღვაწლისათვის ჯილდოდ სდომებია მეფისათვის თითონ მოუხსენებია.

გიორგი II უფრო უარესს მდგომარეობაში იყო; რაკი მას თავისი ურჩი ქვეშევრდომების ალაგმვა არ შეეძლო, მან იმაზე უკეთესი ვერა გამონახა რა, რომ «ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა» და ამ საშუალებით «დაიწყნარა მეფობა თჳსი»-ო, მოგვითხრობს მემატიანე. ეს-კი ცხადი უილაჯობისა და უძლურების პოლიტიკაა. გასაკვირველიც არათფერია, რომ ივანე ლიპარიტის ძე, რომელიც ბაგრატ IV ერთი სიგელის ბოლოს თავის თავს «**მიწას მეფობისა მათისას**» და «**მონას**» (შიომღ. ისტ. საბ., 5) უწოდებს, გიორგი II სამჯერ ზედიზედ განუდგა. რაკი ორგულობისათვისაც წყალობა იყო ჯილდოდ დაწესებული, თითოეული ეცდებოდა თავისი ორგულობა რაც შეიძლება უფრო ძვირად დაეფასებინა.

მაშასადამე, **დიდგვარიან აზნაურთა და მეფეების ბრძოლა იმდროინდელ საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო.** როგორც ვნახეთ (თავი IV), გამარჯვება ყოველთვის მეფეებს არა რჩებოდათ; პირიქით, აზნაურები ძლიერნი იყვნენ და მედგარნი. ეს ბრძოლა, რასაკვირველია, ქვეყანას აუძლურებდა; მშვიდობიანობა და მყუდრო მოქალაქეობრივი ცხოვრება ირღვევოდა ხოლმე ძმათა სისხლის ღვრით; ამიტომ «ქუეყანასა დაწყნარება არა აქუნდა» და ამიტომაც იყო, რომ ქართული ეკლესია უცხოეთშიაც-კი მხურვალედ ღმერთს შესთხოვდა ხოლმე, რომ ჩვენს სამშობლოში თანხმობა და სიყვარული დამყარებულიყო; «**ქართლისა მშვიდობისა,** საზღუართა განმაგრებისა (გ˜ნგებისა), **მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა,** მტერთა გარემიქცევისა, ტ˜ყთა მქ˜ცვისა, ჟამთა დაწყნარებისა, ქრისტეანობისა დამტკიცებისა თჳს» უფლისა მიმართ ვილოცოთო, - ნათქვამია სინას მთის ერთს ქართულს ხელნაწერში[347].

მაგრამ ძალიან შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ყველა მეფეთა წინააღმდეგი დიდებული აზნაურები მხოლოდ სამხედრო, ფიზიკური ძალის მოტრფიალენი იყვნენ, რომ ისინი პირად გამარჯვებას გარდა საზოგადო ქართულს საქმეზე და კულტურაზე სრულებით არა ფიქრობდნენ. იმ აზნაურთ გარდა, რომელნიც ბიზანტიის ოქროთი იყვნენ მოსყიდულნი და მართლაც საკუთარი ჯიბის და გამორჩენის გარდა არა აწუხებდათ რა, დანარჩენებს მეფეებთან პოლიტიკურ ბრძოლისდა მიუხედავადაც ქართული მწერლობისა და წარმატებისათვის მაინც

[347] ხელნაწ. № 54, იხ. Предварительный отчет, გვ. 49 [Н. Я. Марр, Описание груз. рук. Синайского монастыря, М. – Л., 1940, გვ. 85] [III გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.- რედ].

გული შესტკივოდათ. მაგ. თრიალეთისა და სხვა ადგილების ნაშთები, რომელიც-კი დიდი ლიპარიტისა და მისი შვილებისა და შვილიშვილების ხელთ-ქვეით იყო, დუმილით გვაუწყებენ მათს მზრუნველობასა და ღვაწლს, მათის ბრძანებითა და თაოსნობით გადაწერილი იყო სხვადასხვა წიგნებიც[348]; გიორგი ხუცესმონაზონიც მოგვითხრობს, რომ როდესაც გიორგი მთაწმიდელმა წიგნების თარგმნა დაამთავრა და «ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს», თურმე «უფროს ყოველთასა დიდად იღვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტ ყოფილმან, და თჳსისა მონასტრისა ბარლამ-მწინდისათჳს დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა (გიორგი მთაწმიდელს) დიდად პატივი უპყრა და ნუგეშინისცა, თჳსისა მის მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თჳსითა ჴელითა, და შუენიერი ქებაჲ და მადლობაჲ დაწერა მას შინა ღვაწლთა და შრომათა მისთათჳს»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწმ˜დლსჲ, 316). ეს ის ანტონია, რომელიც ერისკაცობაში ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავად, მაგისტროსად და «**ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღუარ**»-ად იწოდებოდა[349] და ბაგრატ IV დაუცხრომელი მეტოქე იყო. მას ათონის მონასტრის წინაშეც ისეთი ღვაწლი მიუძღვის, რომ მისი სახსენებლის შესახებ ამ მონასტრის აღაპებში ნათქვამია: «აღესრულებოდის ყოვლითავე მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთაჲვე»-ო[350].

ერთი სიტყვით, თუმცა მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანი აზნაურები თავის სამშობლოსათვისაც ზრუნავდნენ, მაგრამ მაინც მათთვის პირადად და წოდებრივის თვალსაზრისითაც სრულიად საქართველოს მეფის უფლების გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო და ამ ნიადაგზე აღმოცენებული იყო გამწვავებული ბრძოლა მეფეთა და დიდებულ აზნაურთა შორის. სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქართველოს ბედიღბალი, დიდებულ აზნაურებს რომ ძლიერი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშემეცნება და შეგნება ჰქონოდათ და პირადი თავმოყვარეობა და წოდებრივი სარგებლობა საქართველოს საზოგადო კეთილდღეობისათვის შეეწირათ. ვინ მოსთვლის რაოდენი ძალა იკარგებოდა მაშინ ტყუილ-უბრალოდ და უნაყოფოდ ამ ძმათა შორის ბრძოლაში! გავიხსენოთ, რომ ბაგრატ IV ლიპარიტის შიშით ორჯერ თავი მიანება საქართველოს დედაქალაქ თბილისს და ისევ მტრების ხელში დასტოვა და მაშინ ჩვენ ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რამდენად დამღუპველი იყო საქართველოსათვის დიდებულ აზნაურთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ. უბედურება ის იყო, რომ ამ ბრძოლის დროს დიდებული აზნაურები არავითარ საშუალებას არა ზოგავდნენ, უცხო სახელმწიფოს, საქართველოს მეტოქე სამეფოს დახმარებასაც-კი არ თაკილობდნენ, ოღონდ თავიანთი საქმე გაეკეთებინათ. რომ ასეთი საქციელი სამშობლოს და საქართველოს ღალატი იყო, ამაზე ბევრი მათგანი, როგორც ეტყობა, თავს არ იწუხებდა. მეტად დამახასიათებელია, რომ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეც-კი, როგორიც იყო ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი, ბერძენთა კეისრის მეშველი ჯარით ებრძოდა ბაგრატ მეფეს და სამშობლო ქვეყანას აოხრებინებდა!..

ეს იყო, ეს მეფე-აზნაურთა ბრძოლა ასუსტებდა მხოლოდ გაერთიანებულს საქართველოს, თორემ ისე ამ დროს ქვეყანასა და ერს დიდი წარმატება ეტყობოდა, დიადი საკულტურო მუშაობა იყო გაჩაღებული, ისტორიული თხზულებების სიმრავლე ამ ხანაში, რომელთა შორის ისეთი საუცხოო ნაწარმოებები არის, როგორც "ც˜ჲ ი˜ესი და ეფთ˜სი", "ც˜ჲ გ ი მთაწმიდელისაჲ", "მატიანჱ ქართლისაჲ" და "ც˜ა და

[348] ქრონიკები, II, 190-194.
[349] იქვე, 192.
[350] ათონის კრებული 1072 წ. საეკ. მუზ. გამ., გვ. 224, § 34.

უწ˜ყბა”, საზოგადოებრივი აზრის მომწიფებას და გაღრმავებას ნათლად ამტკიცებს. როგორც ლეონტი მროველის თხზულებითგანა ჩანს, ქათველთა განათლებულ წრეებში უკვე მოთხოვნილება არსებობდა და უნდოდათ გაეგოთ ქართველების ძველის-ძველი ისტორია, თუ რა ეროვნული მონათესავეობა ჰქონდათ მათ სხვა ერებთან, რა დამოკიდებულება ჰქონდა ქართულს ენას სხვა ენებთან, როგორ და როდის დამყარდა საქართველოში წოდებრივი უსწორმასწორობა? ამ უკანასკნელ საკითხს იმ ბრძოლის გამო, რომელიც იმ დროს მეფე-აზნაურებს შორის იყო ატეხილი, მაშინდელი საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც-კი, ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული. ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და გამოკვერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთისას და პალესტინისას, შავი მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას, მის დამაარსებელებს იოანეს და ექვთიმეს, და გიორგი მთაწმიდელს.

მართლაც, ქართული ეკლესიისა და მწერლობის წინაშე **იოანე მთაწმიდელს** და იმის შვილს **ექვთიმეს** დიდი ღვაწლი მიუძღვით. მათ მიერ დაარსებული მონასტრის მრავალ-მხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნისათვის არ შეწყვეტილა დამფუძნებელთა სიკვდილის შემდგომაც; იგი შიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთებდა. მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ი˜ე და ექვთიმის დიდის ღვაწლისდა მიუხედავად, ჩვენ მწერლობაში ჯერაც ხეირიანად შესწავლილი არ არის მათი ცხოვრება, ჯერაც სავსებით გამორკვეული და დაფასებული არ არის ათონის მონასტრის მნიშვნელობა; თუმცა ჩვენამდის მოაღწია საუცხოვოდ დაწერილმა მათმა ცხოვრებამ; საბუთებიც ბლომად მოიპოვება ამისათვის. ჩამომავლობით იოანე დიდებული და წარჩინებული კაცი იყო. მხნე და ბრძოლაში განთქმული, იგი დავით კურაპალატის მთავართა შორის შესანიშნავ პირად ითვლებოდა და მეფესთან დაახლოვებული იყო. მაგრამ იოანემ უცბად რაღაც მიზეზების გამო თანამდებობას თავი დაანება, ჩუმად ცოლშვილს და ნათესავებს მოშორდა და ფარულად ოთხთა ეკლესიის დიდებულ ლავრაში შევიდა ბერად; გამომჟღავნდა თუ არა სად იყო იოანე, მან კვლავ ლავრას თავი მიანება და საქართველოს სამუდამოდ მოშორდა. იგი ულუმბოს ქართველთა მონასტერში მივიდა საბერძნეთში, მაგრამ შემდეგ ულუმბოც მიატოვა, წავიდა მთაწმიდას ათონში და დიდი ათანასის ლავრაში დაემკვიდრა. სამწუხაროდ, მასალები არავითარ ცნობებს არ გვაძლევენ, თუ რა იყო იმის ბერად აღკვეცის მიზეზი, მისი ბუნებრივი სარწმუნოებრივი სულისკვეთება თუ შინაური ცხოვრების და გარემოების უკმაყოფილება[351], ამის შესახებ გადაჭრით, არაფრის თქმა არ შეიძლება. “ცხორები”-თგან არც ისა ჩანს, ჰქონდა თუ არა იოანეს იმთავითვე, როდესაც იგი სამშობლოს მოშორდა და საბერძნეთისაკენ იბრუნა პირი, გარკვეული სურვილი და განზრახვა უცხოეთში ქართველებისათვის განსაკუთრებული მონასტერი დაეარსებინა. ერთი მონასტრითგან მეორეში გადასვლა მოწმობს

[351] იოანე რომ თავისიანების მაინცა-და-მაინც კმაყოფილი არა ყოფილა, ეს ჩანს იმ საყვედურით აღსავსე სიტყვებითგან, რომლითაც მას თავის სიმამრისათვის მიუმართავს (ც˜ა იე˜სი და ეთ˜მსი, 7).

მხოლოდ, რომ იგი ისეთ ადგილს და გარემოებას ეძებდა, რომელიც მის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა; იგი ხელშემწყობ პირობებს დაეძებდა. ეს კი ცხადია, რომ ამ ძებნის დროს იგი ყოველთვის იმით ხელმძღვანელობდა, თუ სად იმყოფებოდნენ და ბინადრობდნენ ქართველი ბერ-მონაზონები; არც როდის საბერძნეთშიაც მას აზრად არ მოსვლია თავის სამშობლოსთან კავშირი შეეწყვიტა.

ერთადერთი შემთხვევაა, რომელიც თითქოს ზემოგამოთქმულ აზრს ეწინააღმდეგება, როდესაც იოანე მთაწმიდელმა ესპანიაში გამგზავრება განიზრახა; მან ათონშიც-კი ვერ გასძლო და შორეულ ქვეყანაში ისურვა დაბინავება; მაგრამ თუ ამ ამბავსაც ჩავუკვირდებით, მაშინ უფრო მეტად დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა სამართლიანი იყო. გიორგი მთაწმიდელი ასე მოგვითხრობს ამ საგულისხმიერო ამბავს: «შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად:-რამეთუ პირველითგანვე უძნდა შუღლიანობაჲ და შფოთი... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართუელნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსადმდე» (ცˇჲ იეˇსი და ეფˇმსი, 19).

მაშასადამე, თუმცა იოანე ათონითგან იმიტომ მიდიოდა ესპანიაში, რომ ათონში მცხოვრებ ქართველი ბერების შუღლისა და შფოთისათვის როგორმე თავი მოერიდებინა და დამშვიდებული მყუდრო ადგილი ეპოვა, მაგრამ მაინც იგი თავის დასამკვიდრებლად ესპანიას ირჩევდა იმიტომ, რომ «ასმიოდა, ვითარმედ ქართუელნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ»-ო; ცხადია, იოანეს იმედი ჰქონია, რომ ესპანიაში ვითომც მცხოვრები ქართველნი იმ ქართველებზე უკეთესნი იქნებოდნენ, რომელნიც ათონის მთაზე შეკრებილი იყვნენ; მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც იოანე ადგილის ამორჩევის დროს თანამოძმეებს ეძებდა და ქართველებს. თვით იოანეს და თორნიკეს მიერ აგებული და დაარსებული მონასტერიც-კი იმ აზრით და განზრახვით იყო დაფუძნებული, რომ მხოლოდ საქართველოს მკვიდრთათვის ყოფილიყო თავშესაფარად. «პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა», მოგვითხრობს გიორგი ათონელი, «და აღაშენეს მონასტერნი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთის-მშობლისა სახელსა ზედა და წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა... ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს... მონაზონნი ჩამოიტანნა სიმრავლე არა მცირედი და ენება, რათა ქართუელნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკჳდრნი ყოველნი»-ო (ცˇჲ იეˇსი და ეფˇსი, 13).

იოანეს, ექვთიმეს და განსაკუთრებით მათ მემკვიდრე ქართველ მოღვაწეთა ეროვნული გრძნობა საბერძნეთში უფრო უნდა განმტკიცებულიყო, დიდის ხნის მოგზაურობას სხვადასხვა ადგილას და მონასტრებში ცხოვრებას უნდა ნათლად დაენახვებინა, რანაირი განწყობილება და ურთიერთობა სუფევდა ბერძენთა და ქართველთა შორის. ბერძნები მართლმადიდებლობას თავისი პოლიტიკური ბატონობის გავრცელების იარაღადა ხმარობდნენ და ზოგჯერ ბიზანტიელი ბერები ერთი მუჭა მიწების და მამულების დაპატრონების იმედით თვით ერთმორწმუნე ქართველების საბერძნეთითგან განდევნას ცდილობდნენ. საბერძნეთის მძლავრება და ცბიერება კარგად იცოდნენ ქართველებმა სამშობლოშივე, ტაო-კლარჯეთსა და მესხეთში საზოგადოდ ამ ხანაში ერთხელ და ორჯერ არ უნახავთ ქრისტესმოსავი ბერძენი მხედრობის პარპაშობა. მაგრამ ის ქართველი, რომელიც სამშობლოში ცხოვრობდა, საითგან წარმოიდგენდა, რომ თვით ბერძენ ბერებსაც ბატონობის დიდი მადა ჰქონდა და ერთმორწმუნე ქართველთა წარმატებას შურის და მტრობის

თვალით დაუწყებდნენ ყურებას. ორიოდე ქვემომოყვანილი მაგალითი ცხოვლად დაგვისურათებს ქართველ-ბერძენ მონაზონების ურთიერთ-შორისს გამწვავებულს დამოკიდებულობას.

ექვთიმეს მოადგილეს, მამასახლისს გიორგის, ბერძნებმა რომანოზ მეფის წინააღმდეგ განდგომილება და ღალატი დასწამეს; მართალი იყო თუ არა, ეს შეწამება არა ჩანს, ქართველები-კი დარწმუნებულები იყვნენ, რომ გიორგი უბრალო იყო; მაინც და მაინც თუნდაც რომ იგი დამნაშავე ყოფილიყო, ამის პასუხის მგებელი გიორგი უნდა ყოფილიყო მხოლოდ; მაგრამ გიორგი მთაწმიდელის სიტყვით «ვინაჲთგან ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ჴელყვეს ყოვლითა ღონის ძიებითა, რათამცა ქართუელნი ამის მონასტრისა-გან აღმოჰფხურნეს; და ამის პირისა-თჳს მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ ყოველი თანაშეიწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს, და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუდუნებაჲ ჩუენზედ მოაწიეს და, რათა მოკლედ ვთქუა, რამეთუ არა თუმცა ოჴფალი შეწეული იყო ჩვენდა... დღეს არცამცა ერთი ქართუელი არა. იპოვების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართულთა-თჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ» (ც˜ჲ იე˜სი და ეფ˜სი, 61).

«რამეთუ სამგზის დაიტყუევნა მონასტერი და რაჲცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში» (იქვე, 60). გაიხსენეთ, რომ ეს მართლმადიდებელ საბერძნეთში მოხდა და მთელი ათონელი ბერძენი ბერები «მოსწრაფებით და თანაშეწევნით» ხელს უწყობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა მონასტრის გაცარცვაში!...

მაგრამ არც შემდეგ დამცხრალა სიძულვილი; ისევ «ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითა ცეცხლნი აღეგზნნეს ჩუენ-ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკჳდრებელისა ჩუენისაჲ... დიდსა ჭირსა შინა ვიყვენით და საწუნელ და საძულელ მათდა და თითოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ რამდენნი გინებანი, რამდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენზედა დღითი დღჱ, და ცემითა და გუემითა და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით; და ესეცა ენება, რათამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰჴოცეს» (იქვე, 63). უკეთესს მდგომარეობაში არც ამ მონასტრის წარმომადგენელი ნეტარი არსენი ყოფილა, რომელიც თავის თანამოძმეთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა ცდილობდა და მეფეთა წინაშე შუამდგომლობდა; იგიც «იგუემა-ცა და მრავალი შრომაჲ დაითმინა, და საპყრობილედ შეწყუდევაჲ და კიცხვაჲ და ბასრობაჲ...» (იქვე, 64). ცხადია, რომ ეს იყო მხოლოდ აღგზნებული სიძულვილის ზვირთების ცემა, დიდი ხნის მტრობისა და შურის შედეგი; უეჭველია, ეს გრძნობა წინათაც არა ერთხელ იჩენდა თავს, არა ერთხელ აგრძნობინებდა ქართველებს თავიანთ ობლობასა და უცხოობას მართლმადიდებელ ბიზანტიაში. ადამიანის სულიერი ბუნება იმგვარია, რომ ეროვნული გრძნობა უცხოობაში უფრო ცხოველდება ხოლმე; ხოლო საღს ეროვნულს სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო ბევრი ბრძოლა მოუხდება სხვათა ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშემეცნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნულთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შეერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად. სწორედ ამიტომაც იყო, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბერები ცდილობდნენ ერთი-ერთმანეთთან დაახლოვებას და ერთ ადგილას თავის მოყრას.

გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ იოანე გრძელის ძემ და არსენი ნინოწმინდელმა «განიზრახეს, რათა წარვიდეს უცხოსა ქუეყანასა, რომლისა-თჳსცა წარვიდეს კერძოთა პონტოჲსათა, უდაბნოთა ადგილთა... ეუწყა მამათა ჩუენთა მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან და წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები, ვითარმედ: წმიდანო მამანო! გუეუწყა სიწმიდისა თქუენისა-თჳს და ვცანთ მანდა ყოფაჲ თქუნი და ფრიად გულკლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამასა წმიდასა და სახელოვანსა მთასა მოსლვაჲ, რათამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუეღო; აწ ვევედრებით სიწმიდესა, თქუენსა, რათა მოხჳდეთ და ერთგან ვიყოფებოდეთ, ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ» (იქვე, 22).

მტრული განწყობილება ქართველებთან ბერძნებს მარტო ათონის მთაზე-კი არა, არამედ სხვადასხვა მონასტრებშიაცა ჰქონდათ. გიორგი მთაწმიდელის "ცხორების" დამწერი, მაგალითად, მოგვითხრობს: «მრავლით ჟამით-გან (ვიდრე გიორგი მთაწმიდელის დრომდე) ქართველი ხუცესი სჳმონ წმიდასა ჟამსა ვერ წირვიდა ამის მიზეზისა-თჳს, რამეთუ რომელსამე ჟამსა სოფლური ვინმე ხუცესი ახლად ჩამოსული წმიდისა სჳმეონის სუეტსა ზედა გასულ იყო ჟამის წირვად ქალამნითა და საბეჭურითა, თჳნიერ სამღვდელოსა შესამოსლისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩუენი, და ამისათჳს არა უტევებდეს ქართველსა ხუცესსა ჟამის წირვად»-ო (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდსჲ, 313). სწორედ იმ დროს, როცა გიორგი მთაწმიდელი ათონის მონასტერში დაემკვიდრა და ჯერ კიდევ არავითარი განსაკუთრებული თანამდებობა მიღებული არა ჰქონდა, ქართველთა და ბერძენთა ბრძოლამ და სიძულვილმა უკიდურესს ხარისხს მიაღწია. ბერძნების გამწვავებული, დაუზოგავი მტრობა მით უფრო საშიშარი გახდა, რომ თითოოროლა ქართველი ბერთაგანნიც-კი თავიანთ თანამოძმეთა მტრების მხარეს იჭერდნენ და თავისიანებს გადუდგნენ. საშინელი მდგომარეობა იყო, ყველგან საბერძნეთში, შავ მთას თუ ათონს, რომანას თუ იერუსალიმს, ქართველ ბერებს ბერძენ მონაზონებთან უნდა ებრძოლათ.

ამ საერთო განსაცდელმა და საზრუნავმა ყველა უცხოეთში მყოფი ქართველი ბერები შეაერთა და დააკავშირა: შავმთელი, თუ ათონელი, იერუსალიმელი თუ სხვა რომელიმე ადგილითგან ყველანი გრძნობდნენ, რომ წერილობითი საბუთები უნდა დაეტოვებინათ, რომ თუ ვინიცობაა ქართველები ძლეულ იქმნებოდნენ ქართველი შესანიშნავი მოღვაწეების სახსენებელი და მათის ღვაწლისა და გამწვავებული ბრძოლის კვალი არ დაკარგულიყო შთამომავლობისათვის. «ამისა ყოვლისა-გან შეგუეშინა და მოსაჴსენებელი ესე დავწერეთ და დავდევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთა-თჳს, რათა არა დავიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევითარი ესე მრავალფერი ღელვაჲ. და ერთითა ერთობითა ამას ვიტყჳთ, ვითარცა ერთისა პირითა ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღმოსავლისათა და შავისამთისათა და იერუსალჷმისათა და სადაცა არიან ძმანი ჩუენნი: "უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუენისისა-გან კაცი – გინა მამასახლისი, გინა იკონომისი, გინა სხუაჲ ვინ. – და რაჲთაცა ღინითა, ანუ მანქანებითა, ანუ საფასისა სიხარბითა, ანუ სიყუარულითა ბერძენთაჲთა, ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა, ანუ სხჳთა რაჲთმე ზაკუვითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა, გინა განსცეს მიწაჲ მთასა გინა გარე, ანუ ქართუელთა შინაგამცემელ ექმნეს და ასწყჳდნეს და ესე ადგილი ქართუელთა თავისა რაჲთმე საქმითა გამოუგდოს და გინა გაასხნეს და ჩუენი საჴსენებელი ამოსწყჳდოს, ყოველთა წმიდათა ჯუარითა და მადლითა კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ და განკუეთილ წესისა-გან ქრისტიანეთაჲსა» (ც˜ჲ იე˜სი და ექ˜თსი 66). აქ საყურადღებო და შესანიშნავი ის არის, რომ ქართველი ბერები აუცილებლად

საჭიროდა სთვლიდნენ დაეტოვებინათ ჩამომავლობისათვის თავიანთი შევიწროებული მდგომარეობის და ბერძნების მიერ ქართველების დევნის შესახები ცნობები, რომ შთამომავლობას ეს არას დროს არ დავიწყებოდა, ამდენად გამწვავებული ურთიერთობა სუფევდა მაშინ ქართველთა და ბერძენთ შორის! მეორე წინადადება ზემომოყვანილ ნაწყვეტითგან უფრო ცხად ჰყოფს ამ მტრულ განწყობილებას: "ბერძენთა სიყვარულიც"-კი გმობილი იყო, და ვინც თუნდ "სიყვარულისა" გამო ბერძნებს მიწას გასცემდა, ისიც-კი "წყეულ და შეჩვენებულ"-ი უნდა ყოფილიყო. რაკი სხვა გზა აღარ იყო თავდაცვისათვის, ქართველ ბერებს უცხოეთში ამ საშუალებისათვის უნდა მიემართნათ. სწორედ ქართველთა ამ გრძნობის გმომხატველია გამოჩენილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის მკაცრი დადგენილება, რომელიც მან თავის მიერ დაარსებულს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიბიკონში შეიტანა, რომ მონასტერში ბერძენი არასდროს არ შეეშვათ ბერად, შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ბერძენი ყოფილიყო, ისიც მხოლოდ ბერძნულის მწერლად[352].

მაგრამ საბერძნეთში ცხოვრებას იოანე მთაწმინდელზე და ყველა ქართველ ბერებზე სხვა მხრივაც უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც გავლენა; იოანე მთაწმინდელი, მისი დიდებული შვილი ექვთიმე და დანარჩენი ქართველები უცხოეთში მყოფი მოღვაწეები თავის თვალით ხედავდნენ, რამდენად მდიდარი იყო ბერძენთა მწერლობა, რამდენად ძლიერი იყო ბიზანტია მაშინ თავის სწავლა-განათლებით, იმ დროს, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ ამ მხრივ ნაკლულევანება იყო.

მერე სწორედ ამ დროს ბიზანტიაში დიდი კულტურული მუშაობა იყო გაბმული, ბერძნულის მწერლობისა და განათლების განახლების ხანა სუფევდა მაშინ[353]და განახლებულ საქართველოს შვილებს როგორ არ გაიტაცებდა და არ მოჰხიბლავდა ეს დიადი საკულტურო მოღვაწეობა? მათს სამშობლოშიაც ამ დროს დიდი გონებრივი და სახელმწიფოებრივი მუშაობა იყო ბერძნულ განათლებისა და მეცნიერების კერასთან ახლო ყოფნას მათთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. რასაკვირველია ამ გარემოებაში ბრძოლა თანასწორი არ იქმნებოდა, ძლევამოსილება ყოველთვის ბერძნების მხარეზე უნდა ყოფილიყო: მართლმადიდებლობის დამცველის სახელი, საეკლესიო მწერლობის სიმდიდრე, უძველესი, თვით მოციქულთა-დროინდელი გადმოცემანი და თხრობანი, რომელნიც უფრო აცხოველებდნენ საბერძნეთის ეკლესიის სიდიადეს, ერთის მხრით,– და მეორე მხრით ერთი მუჭა ბერები, განსხვავებული, უცნაური ჩვეულებებით, რომელთა ქვეყნის ქრისტიანობის დამფუძნებლად არც ერთი ბრწყინვალე მოციქულის სახელის მოყვანა არ შეეძლოთ ქართველებს... ასეთს გარემოებაში იყვნენ ქართველები და იოანე მთაწმინდელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა მოქმედების ხასიათი და მიმართულება ამის გამო ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო: ქართული მწერლობის გამდიდრება და აყვავება იყო საჭირო, ქართული ეკლესიის სახელი და პატივი ბერძნებისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო; ამისათვის-კი საჭირო იყო, 1) რომ ქართული მწერლობა ბერძნულზე და რომაულზე ჩამორჩენილი არ ყოფილიყო, 2) ძველი ქართული საეკლესიო წესები და წიგნები ბერძნულ

---

[352] იხ. ამ ტიბიკონის ბერძნული დედანი Typicon de Gregoire Pacourianos pour le monastere de Petritzos, texte original publle par R. P. Louis Petit, Визант. Врем., წ. XI, დამატება № 1, გვ. 44.

[353] იხ. K. K r u m b a c h e r , Die griechishe Literatur des Mittelalters, Kultur der Gegenwart I Theil VIII Abt. Die Griechische und Lateinische Literatur und Sprache, 2 Auft., გვ. 273-276.

დედნებთან შეთანხმებულ-შესწორებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ უცხოელთ არავითარი საბუთი არა ჰქონოდათ მწვალებლობის სამარცხვინო სახელი ეწოდებინათ ქართველებისათვის და სამშობლო მწერლობაში არავითარი "ღვარძლი" აღარ შერჩენილიყო და სპეტაკი, ანკარა წყარო საქრისტიანო სარწმუნოებისა საქართველოში აუმღვრევლად დენილიყო.

ათონის მონასტერმა განსაკუთრებით, უპირველესად-კი მისმა დამაარსებლებმა იოანე მთაწმინდელმა და ექვთიმემ და საზოგადოდ ყველა უცხოეთში მდებარე ქართულმა მონასტრებმა აასრულეს ეს მოვალეობა.

ამ მიზნის განსახორციელებლად სხვათა შორის იოანე მთაწმინედელმა თავისი ერთადერთი შვილი ექვთიმე, რომელსაც ბედმა მამასავით მონაზონებრივი მოღვაწეობა არგუნა წილად, მთარგმნელად გამოზარდა. პატარაობითგანვე მამამ ექვთიმეს ქართული შეასწავლა შესაფერისად და მერე ბერძნულზე გადავიდნენ. ხშირად არიგებდა ხოლმე და აგონებდა მამა ექვთიმეს:» შვილო ჩემო! ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთა-გან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა; აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღუთისა-გან!» (ც᲼ ᲘᲔᲾᲡᲘ და ᲔᲥᲡᲾᲡᲘ, 26).

საბერძნეთი და რომი სავსე იყო საეკლესიო წიგნებით, საუკეთესო თხზულებები ამშვენებდნენ მათ მწერლობას. რამდენად ღარიბად უნდა სჩვენებოდა იოანეს სამშობლო ქვეყნის მწერლობა იმ სიმდიდრესთან შედარებით! იოანე ოქროპირის სახარების განმარტების ქართულს თარგმანში იოანე მთაწმინდელს ცხოვლად გამოხატული აქვს თავისი გულითადი მწუხარება და ქართული მწერლობის განმდიდრების წადილი: »ენასა ამას ᲩᲾᲜᲡᲐ ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქომამდე, რათამცა გამოეხვნეს წᲾᲜᲘ ესე წიგნნი თარგმანებანი წᲾᲘᲡᲐ სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამათგან: ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი ნაკლულევან, და არა ესე ოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არმედ სხუანიცა მრავალნი. ამისათჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისა-თჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲᲾ წიგნთა-გან და დიდი ხარკებაჲ და მოღვაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა: ბერძულისა-გან ქართულად. და აღიწერნეს ჩუენ მიერ... წიგნი, რაოდენიცა უძლეთ წერად»[354]. მართლაც, რა დიდი გავლენა ჰქონდა იოანე მთაწმინდელს თავის შვილზე, რამდენად, მაშასადამე, თვით იმასაც უძევს წილი ამ შრომებში, იქითგან ჩანს, რომ ექვთიმემ »უმრავლესნი... წიგნთაგანნი თარგმნნა, ვიდრე-ღა მამაჲ მისი იოანე ცოცხალ იყო» (ᲪᲾ ᲘᲔᲾᲡᲘ და ᲔᲥᲾᲛᲡᲘ 30).

საქმის ვითარება მამა-შვილს თვით აჩვენებდათ, რა და რა თხზულებანი უნდა აეღოთ სათარგმნელად. ორი უმთავრესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო საჭირო და ამის გამო ათონის მონასტრის საეკლესიო-სამწერლობო მოღვაწეობას ორმხრივი მიმართულება ეტყობა. თავდაპირველად საჭირო იყო, რომ უმთავრესი, საბერძნეთის განთქმული სასულიერო თხზულებები ქართულად ნათარგმნი ყოფილიყვნენ; ამის საჭიროებას საქართველოშიც კარგადა გრძნობდნენ; წერილებით, თუ სიტყვიერად სამშობლოთგან სთხოვდნენ ხოლმე ათონელ მოღვაწეებს, რომ მათ დაუცხრომელად ეთარგმნათ წიგნები. უეჭველია, ამასთანავე ისიც იქმნებოდა ხოლმე აღნიშნული, თუ რომელი წიგნის გადათარგმნა იყო უფრო სასურველი და საჭირო.»

[354] ჟორდანია, ᲥᲙᲾᲑᲘ, I, 141.

ზედაჲსზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს; და იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნინ... და მრავალნი წიგნნი წარსცნეს წინაშე დავით კრაპალატისა»-ო (ც ́ ჲ იე ́ სი და ექ ́ თსი, 27).

პირად მოღვაწეობას გარდა, თვით ამ მონასტრის წესდებაც მის დამფუძნებელთა და წინამძღვართა სურვილისამებრ ისე იყო შედგენილი, რომ ლავრა ქართულ სამეცნიერო დაწესებულებად იქცა. მონასტრის დამაარსებელნი იმთავითვე ეცადნენ, რომ ათონის ქართველთა მონასტრის არსებობა უზრუნველი ყოფილიყო და მტკიცე ნიადაგზე დაემყარებინათ. ამისათვის მათ »ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა... ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოის დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღვადმდე თ ̓ჯსითა საფასითა იყიდნეს»(ც ́ ჲ იე ́ სი და ექ ́ სი და ექ ́ მსი,13). მონასტერს მომხიბლავი მდებარეობა ჰქონდა: წინ თვალგადაუწვდენელი ზღვის სივრცე, გარშემო საუცხოვო მცენარეულობა და ტყე, დედა-მიწის მშვენიერება, ზღვის სიდიადე და ჰაერის სამფლობელოს დაუსრულებელი სასუფეველი ერთად იყო ჰარმონიულად შეთანხმბელი, და გიორგი მთაწმინდელის სიტყვისამებრ »შუენიერ არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად» (იქვე).

მაგრამ ამგვარი მომხიბლავი, მდიდარი ადგილების ყიდვა ხომ არა კმაროდა; ძველ დროს უცხოეთში ძლიერი მფარველი იყო საჭირო, რომ მამულის პატრონის უფლებები არ შეელახათ. იოანემაც სწორედ ამიტომ თავისი დაფუძნებული მონასტრის »განმგებლად და ეპიტროპად თვით-მპყრობელნი მეფენი განაწესნა და თქუა, ვითარმედ...მწყალობელი ვინმე და ჯელის-ამპყრობელი და გამგებელი საჯმარ არსო» (იქვე,23). ქონებრივად მტკიცე ნიადაგზე დამყარებულს ათონის მონასტერს დამფუძნებლებმა მკაცრი სამონასტრო წესი მისცეს; ბერების მუდმივს მინდვრად თუ ბაღში სამეურნეო მუშაობას მოსდევდა ხოლმე ხანგრძლივი ღვთისმსახურება, რომლის დროსაც ისედაც ქვეყნიერებას დაშორებული ბერები ფიქრითაც დედამიწას უნდა გაჰყროდნენ და ოდენ ზეციურს თვალშეუდგამს სასუფეველზე ეფიქრათ. მაგრამ ათონის მონასტერს დამფუძნებელთა მიმართულების წყალობით ამასთანავე განსაკუთრებული ელფერი დაედო, იგი სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად გახდა; იქ მწერლობითს მოღვაწეობას დიდი პატივი ედო და სხვანაირ მონაზონებრივს სათნოებას გვერდს ედგა და სჭარბობდა კიდეც. თვით წესდებითგანაც-კი ჩანს, რამდენად ხელშემწყობი პირობები იყო ათონში სწავლულთათვის. მხოლოდ იმათ შეეძლოთ ზეთის სყიდვა: »რომელნი მკთხველნი იყვნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერელად აინთიან, სხუაჲ კულა არა იყო წესი, რათამცა... კანდელსა ინთებდეს»-ო (იქვე, 45). მთელი მონასტერი ღამღამობით წყვდიადით იყო ხოლმე მოცული, ღამის მყუდროება და სიჩუმე სუფევდა ხოლმე მონასტერში, ოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ სენაკებში მოწმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელ ეკლესიისათვის თავგანწირული გონებრივი მუშაობა იყო; აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი,გამოჩენილი მეცნიერი ბერები... დიადი ის იყო ნაყოფი, რომელიც ამ გულის სიღრმითგან მომჩქეფარე გრძნობამ სამშობლოს შესძინა!...გამოჩენილი ქართველი ბერები მთელს თავისს თავისუფალს დროს ამ კეთილშობილურს სამწერლობო მოღვაწეობას ანდომებდნენ; მაგ. დღე-და-ღამ, შინ მონასტერშიაც, მგზავრობის დროსაც-კი ეფთვიმე ათონელი, ყველგან, სადაც გარემოება ხელს შეუწყობდა სთარგმნიდა ხოლმე ბერძნულითგან ქართულად. “არათუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა”-ო, მოგვითხრობს

გიორგი ათონელი... » არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა»-ო (იქვე, 27). თუმცა სამას ბერზე ზრუნვა და სამონასტრო საქმეების მართვა დღისით ძალიან ბევრს დროს აკარგვინებდა, მაგრამ ეფთვიმე მაინც არა »სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი სანთლითა უთარგმნიან, ფრიადისა უცალობისა-გან და საურავთა»-ო, მოგვითხრობს გიორგი მთაწმიდელი (იქვე, 36). მართლაც და, თვით ეფთვიმე ერთგან ამბობს: »აღესრულა ესე ნუსხაჲ თარგმანებისა მათეს თავისაჲ ჴელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ეფთვიმისათა: ვინცა იკითხვიდეთ შრომისათჳს ლოცვა ყავთ, და ზომად წერისა-თჳს შემინდევით: უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მიწერია»-ო.[355]

თვით მონასტერიც გამსჭვალული იყო ამგვარი მისწრაფებით და მწერლობითს მოღვაწეობას დიდად აფასებდა. როცა, მაგ. ათონელი ქართველი ბერები დარწმუნდნენ, რომ ეფთვიმე მამასახლისობისა და სამონასტრო დიდი ჯაფის გამო წიგნების თარგმნას ვეღარ ასწრებდა, ბერებმა ურჩიეს წინამძღვრობისათვის თავი დაენებებინა »რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალთა ფერთა ზრუნვითაჲთა დაეხწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა»-ო[356] ცხადია, მაშასადამე, რომ წიგნის თარგმნას და თარგმანებას, ათონელ ბერთა შეხედულებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მონასტრის გამგეობას და მამასახლისობასა, იმიტომ რომ მაშინ მთარგმნელობა უფრო საჭირო იყო სამშობლოსათვის.

გასაკვირველიც არა არის რა, რომ სვიმონ წმინდის ლავრაში ქართველი ბერი გიორგი დაყუდებული, კაცი »ვითარცა გვრიტი უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა», ექვთიმეს გარდაცვალების (+1028 წ.) შემდგომ მის დანაკლისს მწვავედა გრძნობდა და გულით ჰსურდა ისეთი კაცი გამოჩენილიყო, რომელსაც დაწყებული საქმის დასრულება და განხორციელება შეეძლო. »სურვიელ იყო», მოგვითხრობს გიორგი მთაწმიდელის მოწაფე, »წმიდაჲ ესე ბერი, რათამცა კუალად გამო-ვინმე-აჩინა მოწყალებამან ღმრთისამან ნათესავსა შორის ჩუენსა კაცი, რომელმანცა სრულ ყო ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისა, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳ მისა-გან დაშთომილ იყო»[357]. მისი და სხვა ქართველთა საერთო ნატვრა აღსრულდა კიდეც. გიორგი მთაწმიდელის განსაკუთრებულმა ნიჭმა უნებლიედ მისი მოძღვრის გიორგი დაყუდებულის ყურადღება მიიპყრო; მან შეამჩნია, რომ »ნებითა ღუთისაჲთა პოვა, რომელსა იგი ეძიებდა» (იქვე, 293). გამოჩენილმა მოძღვარმა განსწავლის შემდგომ გიორგი მთაწმიდელი ყველა საუკეთესო უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტრებში გაგზავნა. როდესაც გიორგი მთაწმინდელმა თავისი მიმოსვლა და მონასტრების მოხილვა დაასრულა და ისევ შავ მთას დაბრუნდა, მისმა მოძღვარმა თავისს განსწავლილ მოწაფეს ჩააგონა, რომ მას ბერძნულითგან ქართულად საღმრთო წიგნები ეთარგმნა. გიორგი მთაწმიდელმა ტვირთის სიძნელე მოაგონა თავის მოძღვარს და საქმის დაწყებას ვერა ბედავდა; მაშინ მასწავლებელმა შეურყეველის რწმენითა და სასოებით გამსჭვალულის სიტყვებით გაამხნევა თავისი ახალგაზრდა მოწაფე და უთხრა: »შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი (ეფთვიმე) სიკუდილისა-გან იხსნა და ქართული ენა განუმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალოს და უყვარს

[355] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 139.
[356] იქვე, 66.
[357] ც ́ ჲ გ ́ ი მთწ ́ დლსჲ,203.

ნათესავი ჩუენი; და თ̓ჯთ მას წმიდასა მამასა ეფთ̓ჯმეს ვევედრნეთ, რათა შეგეწიოს, რომელ ნეშტი, დარჩომილი მისი, შენ სრულ ყო მადლითავე მისითა ვითარცა პავლე ქრისტესი»-ო (იქვე,294). ასე ამხნევებდა და დაიყოლია მან თავისი ნიჭიერი მოწაფე და ათონს მთაწმიდას გაგზავნა, »რათა ვინა იგი წყაროს თუალი სიბრძნისა აღმოეცენა მომრწყველად ნათესავისა ჩუენისა, მიერვე აღმოივსნეს ნეკტარი გულის-ჯმის-ყოფისანი კაცმან ამან ღმრთისამან და მდიდრად დაათროს სამყარო ეკლესიათა ჩუენთა»-(იქვე, 294).

თუმცა გიორგი დაყუდებული მოწაფეზე დაშორებული იყო, მაგრამ მაინც მუდმივ თვალ-ყურს ადევნებდა მას და წერილით, თუ სიტყვის შეთვლით დარიგებას აძლევდა ხოლმე (იქვე, 297).

ასეთს მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ყველა გამოჩენილი ქართველი ბერები ამ საერთო ეროვნულს საქმეში, და ყველანი დიდად აფასებდნენ მწერლობითს მოღვაწეობას და მშვენივრად შეგნებული ჰქონდათ მთარგმნელობისა და შემსწორებლობითი მუშაობის საჭიროება და აუცილებლობა.

სანამ თავის საქმეს შეუდგებოდა, გიორგი მთაწმიდელმა ჯერ გადაიკითხა ეფთვიმეს თხზულებები. შემდეგ მისივე შემოღებული სამონასტრო წესწყობილება შეისწავლა და ამგვარი მომზადების შემდგომ მან იოანე და ეფთვიმეს თვით ცხოვრების წერას შეუდგა და ბრწყინვალედ დაასრულა კიდეც. ეფთვიმის და იოანეს ნაწერ ანდერძების და სამონასტრო წესების შესწავლამ გიორგი მთაწმინდელს ამ ორი შესანიშნავი მოღვაწის საზოგადო მიმართულება გაუთვალისწინა და ნათლად დაანახვა, რის გაკეთება მოასწრეს მათ და რა რჩებოდა კიდევ გასაკეთებელი, რომ საქმე სრულებით დამთავრებულიყო. ამგვარმა მომზადებამ გიორგი მთაწმიდელის მერმინდელს მოღვაწეობას გარკვეული ხასიათი მისცა, და ამიტომაც იყო, რომ თითოეულს მის მოქმედებას მის მოქმედებას ნაყოფიერი და სასარგებლო შედეგი მოსდევდა ხოლმე.

როცა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელობას შეუდგა, მან პირველად იმ წიგნების დასრულება დაიწყო, რომელნიც »დაღაცათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ეფთ̓ჯმესა... გარნა ფრიად სულ მცირედ აღწერა სხუათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა, რომ უკეთუმცა ყოველნი დღენი მისნი სხმოდესცა, სრულებით თარგმნიდა»-ო (იქვე, 297, 298, აგრეთე 310). გიორგის მიერ ნათარგმნი წიგნების მეორე ჯგუფს ისეთი თხზულებანი შეადგენენ, რომელნიც წინათ არა ყოფილა თარგმნილი (იქვე,310). ამგვარი იყო გიორგი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ამით მან ქართული საეკლესიო მწერლობა გაამდიდრა და ქართველობას თანამედროვე საუკეთესო თხზულებები შესძინა.

გიორგი მთაწმიდელის სხვაგვარი მუშაობა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომელიც თუმცა ეფთვიმის დროსაც და წინათაც არსებობდა, მაგრამ გიორგი მთაწმიდელის დროს მეტად გამწვავდა; ეს მიზეზი ბერძნების და ქართველების ბრძოლა და ამ ბრძოლით გამოწვეული მწვალებლობის ბრალდება გახლავთ. გიორგის მოღვაწეობის მესამე ჯგუფს ეკუთვნიან ისეთი წიგნები, რომელნიც **დიდი ხნის წინათ** იყვნენ ნათარგმნი, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნილებას აღარ აკმაყოფილებდნენ იმიტომ, რომ ბერძნულ **მაშინდელ** დედანთან შედარებით განსხვავება მოიპოვებოდა; ამისთანა თხზულებები »ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისა-გან განასრულნა და სიტყუა-დუხჭირობისა და ვერაგობისა-გან განაშუენა და განაბრწყინვნა, ვითარცა თ̓ჯთ თავადი სახარებაჲ და პავლე» (იქვე,310). მეოთხე ჯგუფს შეადგენენ გიორგის მიერ **ხელმეორედ** თარგმნილი წიგნები,

რომელნიც »ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთა-გან დაგესლილნი იყვნენ» (იქვე,310). ზემომოყვანილი ამონაწერითაგანა ჩანს, მაშასადამე, რომ მაშინ ჩვენში თურმე ისეთი წიგნები მოიპოვებოდა, რომელნიც ბერძნული დედნებისაგან განსხვავდებოდნენ, რომელთაც "სიტყუა-დაუხჭირობაჲ და ვერაგობა" ემჩნეოდათ და გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების დამწერის აზრით "დაგესლილნი"-ც-კი იყვნენ. საყურადღებო ის არის, რომ ამგვარ წიგნთა ჯგუფს თურმე სახარება და სამოციქულოც ეკუთვნოდნენ! ეს "საშინელი" ბოროტმოქმედება ბრალად ედოთ ზოგ ძველ მთარგმნელთ, რომელთაც კეთილად ვერ გადმოიღეს, და შემდეგ წიგნების "უცებ და უგუნურ" მხმარებელთ.

სახარებასაც-კი "ნაკლულევანება" და "სიტყუა-დუხჭირებაჲ" ჰქონდა მერე რა დროს?- როდესაც ბერძნები ქართველებს მწვალებლობასა სწამებდნენ! განა ბერძნებს მეტი-ღა უნდოდათ, ეს "საკვირველი" ამბავი რომ როგორმე გაეგოთ?... მაგრამ რა "სიტყუა-დუხჭირობაჲ" უნდა ჰქონოდათ სახარებას და სამოციქულოს? თუმცა უძველეს დროსვე სახარების დედანს მტკიცე და გარკვეული სახე ჰქონდა, მაინც აქა-იქ, თითო-ოროლა უმნიშვნელო სიტყვათა სხვაობას მკითხველი სახარებაში ყოველთვის შეხვდებოდა; თან-და-თან ეს სიტყვათა სხვაობაც მოისპო საბერძნეთში და რომის ეკლესიაში და საყოველთაო სახმარებლად სახარების ერთი მტკიცე სახე დამკვიდრდა; თუმცა აქა-იქ იშვიათად, შემთხვევით, შეიძლებოდა ძველებური სახარებაც შეხვედროდა ადამიანს. უძველეს დროს ნათარგმნი ქართული სახარება საუკუნეთა განმავლობაში წინანდებურადვე იწერებოდა, მცირედი სიტყვათა-სხვაობაც ბერძნულ მერმინდელ მტკიცე დედანთან შედარებით არსებობდა წინანდებურად და ეს გარემოება თვით საქართველოში არავის ყურადღებას არ იპყრობდა. ქართველ ბერების უცხოეთში, მეტადრე პალესტინაში, ათონსა და შავს მთაზე დასახლებამ, ბერძნული ენის და მწერლობის ზედმიწევნით შესწავლამ და, დასასრულ, ამ ორ ერთა გამწვავებულმა ბრძოლამ საქმე სულ სხვანაირად დაატრიალა. სახარების დედნის ყოველი განსხვავებისათვის, თვით უმნიშვნელოსათვისაც-კი, მაშინდელ ქართველებს ეჭვის თვალით უნდა შეეხედათ იმიტომ, რომ საბერძნეთში სახარების თითოეული სიტყვა წმიდად ითვლებოდა; მიერითგან ქართული სახარების განსხვავება თვით ქართველებსაც მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ; ხოლო იმ გამწვავებული ბრძოლის დროს, როდესაც ბერძნები ქართველებს მწვალებელთა სახელსაც-კი უწოდებდნენ ხოლმე, ამ სიტყვათა სხვაობის ამბავი რომ შეეტყოთ ქართველთა მტრებს, მაშინ ხომ ეს საშიშარ იარაღად იქცეოდა, დასამტკიცებლად შეეძლოთ გამოეყენებინათ. რამდენად ჰშინებიათ მაშინდელ ქართველებს სარწმუნოების "უწესობისა", იქითგანაც ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელმა »სწავლანი ღუთივ სულიერნი მცნებანი სამღთონი აღწერნა და მისცა (გიორგი უფლისწულს), რათა სამარადისოდ იკითხვიდეს და წურთიდეს და რათა უწესოთა კაცთა უჯერო რაჲმე და დრკუ არა ასწაონ»-ო (იქვე, 320).

სახარების ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარება ნაწილ-ნაწილ ჯერ კიდევ იერუსალიმსა და სინას მთაზე მყოფ ქართველ ბერებს დაუწყიათ[358], მაგრამ მთლად ამგვარი მუშაობა ათონელმა მოღვაწეებმა ითავეს და ბრწყინვალედ დაამთავრეს კიდეც.

---

[358] იხ.Предварительный отчет о работах на Синае, ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილისა, сообш. правл. палест. обш., წ.XIV, ნაწ.II,1903, გვ. 26.

საბერძნეთში ცხოვრებამ ქართველ ბერებს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი წამოუყენა წინ. მართლმადიდებლობაზე გადარეულმა ბიზანტიელმა სამღვდელოებამ ქართველთა ზოგიერთს საეკლესიო წესებისა და ჩვეულებათა სხვაობას ეჭვის თვალით შეჰხედა. ამის გამო ბერძნები ზოგჯერ ქართველებს მწვალებლებადაც-კი სთვლიდნენ. ამ გარემოებამ უცხოეთში მცხოვრების ქართველი ბერებიცა და ქართველი სამღვდელოებაც აიძულა გადაესინჯათ ყველა თავიანთი საეკლესიო წიგნები და წესები, შეედარებინათ ბერძნულ იმდროინდელ სამღვდელმსახურო წიგნებთან და წესებთან, რომელნიც მაშინ თუმცა-კი ხშირად უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც ერთადერთ სიმართლის წყაროდ მიაჩნდათ; ამ მიმართულებამ საქართველოს ძველი საეკლესიო წესები დაარღვია, შესცვალა და ბერძნული გააბატონა; ამასთანავე იგი მკაცრი მართლ-მადიდებლობის წესების დამყარებას ცდილობდა და თითქმის ყოველს განსხვავებულს ჩვეულებას ბერძნულისდა გვარად ასწორებდა; ამ დროს გადაშინჯეს და ბერძნულსავე შეათანხმეს აგრეთვე ბევრი უძველეს დროს ნათარგმნი საეკლესიო წიგნები. ეს გახლდათ უძველესი საეკლესიო ცენზურა; მკაცრი, ულმობელი მართლმადიდებლობა გაბატონდა. თუ როგორა ცდილობდნენ საქართველოში საეკლესიო წესების ბერძნულთან შეთანხმებას, სხვათა შორის კარგად გვიჩვენებს ეფთვიმეს ის საპასუხო წერილიც, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია. ამ წერილში ათონელი მამა თავის შემკითხველს პასუხს აძლევს, თუ რა და რა წიგნია ეკლესიის მიერ შეუწყნარებელი და მწვალებელთა მიერ დაწერილი, ამასთანავე რა და რა წესი იყო მიღებული მაშინ საბერძნეთში საუფლო დღესასწაულთა წირვის დროს, რომელთა შემოღება საქართველოშიაც სასურველი იყო. იმავე წერილში აღნიშნულია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ბერ-მონაზონები და ერისკაცნი მარხვისა და ხსნილის დროს. დასასრულ, ეფთვიმეს საგანგებოდ აღნიშნული აქვს და მამა გიორგის, რომლისადმიც მისი წერილია მიმართული, სწერს:»გუესმა, ვითარმედ ყურძენსა გამოსწურვენ ქართუელნი და მით ტკბილითა წირვენ ჟამსაო; ამისა-თჳს ფრიად განუკჳრდა ესე ყოველთა მკჳდრთა ამის ქუეყანისათა რომელსა ფრიადი ვნებაჲ და უწესობაჲ შეუთქს და ყოვლადვე უცხო არს წესისა-გან ქრისტიანეთასა»-ო[359]. ასეთი კითხვები იყო, ალბათ, თვით იმ ვიღაც გიორგის ეფთვიმესადმი მიმართულს წერილში და მასაც სდომებია, რომ ქართული წესები ბერძნულთან შეეთანხმებინა! მიწერ-მოწერა და მიმოსვლა უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტრებსა და სამშობლო ქვეყანას შორის ხშირი იყო და ამგვარი წერილები იშვიათი არ იქნებოდა; თვით ეფთვიმეც მოწმობს თავის ზემოაღნიშნულს წერილში, რომ "ევსები პამფილის" წიგნის შესახებ, რომელიც " უწინარეს მრავლისა ჟამისა" ქართულად იყო ნათარგმნი, »სიცოცხლესავე მამისა ჩემისა მოეწერა მუნით სტეფანე ეპისკოპოსსა და ეკითხა, თუ შესაწყნარებელ არს»-ო[360]. ის ეჭვი, რომელიც ბერძენთა სამღვდელოებას ქართველთა ზოგიერთ განსხვავებულ საეკლესიო ჩვეულებათა გამო აღეძრათ, შემდეგში, ეფთვიმე მთაწმიდელის შემდგომ არამც თუ არ გაქარწყლებულა, პირიქით, გაცხოველდა კიდეც. შავს მთას, სჳმონწმიდელის მონასტერში, როგორც ზემოთაც მოხსენებული გვქონდა, დიდი ხანია ქართველი ბერები შევიწროებულნი იყვნენ. ბერძნები ქართველ ხუცესს სვიმეონის სვეტზე წირვის ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ მაინც მათ მდგომარეობას არა უჭირდა რა. თეოდოსი პატრიარქის დროს-კი საქმე უფო ცუდად დატრიალდა: სიძულვილმა და ეჭვიანობამ იქამდე მიაღწია, რომ

[359] ქკ´ბი,II, 83-87.

[360] იქვე,83

»კაცნი ვინმე სᲔმონ- წმიდელნი შურითა საეშმაკოთა აღიძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა და ენებაჲ, რათამცა ნათესათი ჩუენი ძირითურთ აღმოფხვრეს სᲔმონ-წმიდით და განიზრახეს გულარძნილობით, რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი რაჲმე დასწამონ და ესრეთცა სრულიად აღმოგუფხურნეს დიდებულისა ამისა-გან ლავრისა პირველითგან თᲔთ წმიდსა სᲔმონის მიერ დამკᲔდრებულნი და ესრეთ ბოროტად შეიზრახნეს»[361].

ბიზანტიელ ბერებს საზოგადოდ არაფრად ეჭაშნიკებოდათ ხოლმე, როცა მათ უცხოეთითგან ბერ-მონაზონები ემატებოდნენ, და სᲔმონ-წმიდელმა ბერძენმა ბერებმა კათალიკოზს თეოდოსის სთხოვეს თურმე: »განგვათავისუფლენ კაცთა-გან ამათთა და უცხოთა თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა ჩუენსა ვითარ სამოცი კაცი, ქართველად სახელსდებენ თავთა თᲔსთა და არა უწყით, თუ რაისა ზრახვენ, ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი»-ო (იქვე, 312-313). ამ შემთხვევაშიც ის არის საყურადღებო, თუ რა იარაღით ებრძოდნენ ბერძნები ქართველ ბერებს. კანონის მხრით ქართველებს სრული უფლება ჰქონდათ ამ მონასტერში ეცხოვრათ, რადგან ისინი »პირველითგანვე თᲔთ წმიდისა სᲔმონისა მიერ დამკᲔდრებულნი იყვნენ» იქ. ბერძნები ამ საკითხს არც შეჰხებიან; ისინი თავიანთ ჩვეულებრივს გზას დაადგნენ; ამ შემთხვევაშიც ძველებურს, მაგრამ მკვეთრ საშუალებას მიჰმართეს. მათ »განიზრახეს... რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი რაჲმე დასწამონ და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფხურნეს»-ო; მაშასადამე, აქაც მწვალებლობის ბრალდება იყო წამოყენებული; ამით სურდათ ფონს გასულიყვნენ ანტიოქელი ბერები!... პატრიარქის პასუხი უფრო ნათლად გვიხატავს, რამდენად გავრცელებული ყოფილა მაშინდელ ბიზანტიის საზოგადოებაში ხმა, ვითომც ქართველები მწვალებლები ყოფილიყვნენ. მოახსენეს თუ არა მას სᲔმონ- წმიდელებმა თავიანთი გული ტკივილი, პატრიარქმა განცვიფრებით ჰკითხა თურმე: »ვითარ ეგების ესე, რომელმაც ქართველნი არა მართლ-მადიდებელნი იყვნეს?»-ო (იქვე, 313).

ამიტომაც იყო, რომ გიორგი მთაწმიდელმაც თავისი ნიჭი და ცოდნა სხვათა შორის ისეთი წიგნების გადმოთარგმნას მოანდომა, რომელნიც საეკლესიო მღვდელმსახურებას შეეხებოდა, როგორც მაგ., "დიდი სᲔნაქსარი, საფუძველი ეკლესიათა", "სტრიქონი თᲔთ ავაჯნი უძლის-პირონი, ვითარცა არიან ბერძნულად", "დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათა" და სხვანი (იქვე, 311). ამასთანავე იგი ქართული ეკლესიის ჩვეულებათა და წესის სხვაობას აკვირდებოდა და მის საფუძველსა და მნიშვნელობას არკვევდა.

ბერძენთა და ქართველების ბრძოლამ, დასასრულ, ერთი ისეთი საკითხი წამოაყენა, რომელსაც ანტიოქელი სამღვდელოების აზრით ქართველები სრულებით უნდა დაემარცხებინა და მათთვის დაემორჩილებინა. ეს საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის და თვითმმართველობის უფლებას შეეხებოდა. რასაკვირველია, პირველად გიორგი მთაწმიდელის დროს არ დაიბადებოდა ეს საკითხი; უცბად ამგვარ საგანზე სჯა-ბაასის დაწყება შეუძლებელია; როდესაც ანტიოქელ სამღვდელო პირთ ამ საკითხზე კამათის ჩამოგდება სურდათ, უნდა სცოდნოდათ უეჭველია, რომ სწორედ ეს საკითხი იყო ქართველებისა და მათის სამღვდელობისათვის საშიშარი, რომ სწორედ ამ მხრივ შეიძლებოდა მათი ჯობნა და საბოლოო დამარცხება. სამწუხაროდ, ჯერ არა ჩანს, თუ ვინ და როდის ჩააგონა ეს აზრი ანტიოქელ საპატრიარქოს. ისტორიული ცნობები ჩვენ უკვე გამწვავებულ ბრძოლას გვისურათებენ. გიორგი მთაწმიდელის დროს თურმე "კაცთა ვიეთმე

[361] ცᲔ ᲒᲔ ი.მთწᲔმდლისა, გვ.312.

მრავალ-ღონეთა და მანქანათა მოაკსენეს და დაუწყეს პატრიარქსა, ვითარმედ: »ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელ-მოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა კელმწიფობასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თჳთ დაისხმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა, და **არა მართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქუეყანასა მათსა,** და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღუთისასა და საყდართა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამის კელმწიფობასა ქუეშე იყვნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსო მცირე და ჩუენდა მახლობელად არიან, და ჯერ არს, რათა კელმწიფობასა ქუეშე ანტიოქიისა პატრიარქისასა იმწყსებოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი»-ო (იქვე-314). მაშინდელ ანტიოქიის პატრიარქს მოსწონებია, რასაკვირველია, ეს წინადადება; სამწყსოს გაფართოვებისა და შემოსავლის გადიდებას რომელი მწყემსთ-მთავარი დაიწუნებდა მაშინდელ დროს? საქმე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პირველ ხანებში ისე უნდა წაეყვანათ საქმე, რომ საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებითა, ჩაგონებითა და რჩევით ანტიოქიისათვის კეთილად დამთავრებულიყო. ამისათვის პატრიარქმა მიჰმართა გიორგი მთაწმიდელს როგორც სწავლულსა და მეცნიერებით განთქმულს, და ურჩია: »ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღვარნი თქუენნი კელსა ქუეშე სამოციქულოსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ»-ო; ესე »შენ-გან შესაძლებელ არს, რამეთუ ვუწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი უკეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი»-ო (იქვე). მაგრამ, თუ რომ მისი დარიგება და რჩევა არ გასჭრიდა და ქართველთა მეფე და სამღვდელოება ქედს არ მოიხრიდა და ანტიოქელი პატრიარქის წადილს უარს ჰყოფდა, მაშინ პატრიარქი დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებდა ქართველებს და უკიდურესს, მაგრამ ჩვეულებრივ საშუალებას მიჰმართავდა: »ხოლო უკეთუ არა ისმინოს»-ო, აშინებდა ანტიოქიის მამათმთავარი გიორგი მთაწმიდელს, »მიუწეროთ ოთხთავე პატრიარქთა საყდრის-მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთ-რჩულებაჲ და ქედფიცხელობაჲ თქუენისა ნათესავისა და ვითარმედ თჳნიერ სამოციქულოსა კანონისა თჳთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა»-ო (იქვე,315). ეს მუქარა ანტიოქელს პატრიარქს ბაქიობად არ ჩამოერთმეოდა; მას შეეძლო ადვილად აესრულებინა თავისი ნათქვამი და საქართველო განსაცდელში ჩაეგდო. უარის შემოთვლის შემდგომ პატრიარქი მისწერდა ყველა თავის თანამოსაყდრეებს, ოთხ მსოფლიო პატრიარქს, რომ ქართველები, თუმც იმათ ქვეყანაში არც ერთი მოციქულთაგანი არა ყოფილა და არ უქადაგნია, მაინც "სამოციქულო კანონების"-და წინააღმდეგ "თვით იმწყსებიან, და ანტიოქელ პატრიარქისდა უკითხავად და ხელდაუსხმელად თითონვე ირჩევენ კათოლიკოზს: ხოლო ეს "თჳთ-რჩულობაჲ და ქედფიცხელობა" იყო და ერთ უსაშინელეს ცოდვად ითვლებოდა, იმიტომ, რომ ის ვინც "სამოციქულო კანონებს" დაარღვევდა, ის ხომ მაშინ "მწვალებელად" ჩაითვლებოდა და არა მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის შვილად. ამგვარად, ანტიოქიელმა საპატრიარქო ტახტმა ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ საშუალებას მიჰმართა, "მწვალებლობის" სახელით ემუქრებოდა და აშინებდა; ხოლო "მწვალებლობის" დაწამებას, ეროვნული თავმოყვარეობის და თვითშემეცნების შელახვისა და დამცირების გარდა, ქართველებისათვის შეეძლო გზა შეეკრა საბერძნეთში, რომელიც იმ დროს მეცნიერების კერა იყო. რასაკვირველია, საქართველო რომ მაშინ ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყო, ამგვარ მუქარას ნახევრად მაინც მნიშვნელობა დაეკარგებოდა; თუმცა ისტორიის არა ერთხელ ახსოვს, რომ მძლავრ ხელმწიფესაც

პატრიარქისა, თუ რომის პაპის წინაშე თავისი ფიცხი ქედი მოუხრია. მაგრამ საქართველო მაშინ ჯერ ძალას იკრებდა და მტრები გარშემო მოსვენებას არ აძლევდნენ; ამასთანავე სწორედ ამავ დროს საქართველოს ბიზანტიასთან პოლიტიკური მეტოქეობაცა და ბრძოლაცა ჰქონდა; ამას დაუმატეთ შინაური ბრძოლა დიდგვარიან აზნაურებსა და მეფეს შორის და მაშინ ადვილად წარმოიდგენთ, რომ საქართველოსათვის ამისთანა გარემოებაში კიდევ "მწვალებლობის" თავობაზე აურზაურის ატეხა სახეირო არ იქნებოდა. პატრიარქი კარგადა გრძნობდა თავის ძალას და ამიტომაც აგონებდა გიორგი მთაწმიდელს, თუ არ დამემორჩილენით »ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე, ვიდრე არა თᲜთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და Ჯელმწიფობასა ჩუენსა დაემორჩილოს»-ო (იქვე, 315).

თავის გასამართლებლად ქართველებს ანტიოქელი პატრიარქისათვის შეეძლოთ ის მოეგონებინათ, რაც შემდეგში ეფრემ მცირემ მართლაც საბუთად გამოიყენა: რომ საეკლესიო თვითმართველობა ქართველებს თვით ანტიოქელმა მამამთავარმა მიანიჭა იმიტომ, რომ გზის სიშორისა და არაბთა ბატონობის გამო საკათალიკოზოდ საკურთხს მღვდელმთავრებს არ შეეძლოთ ანტიოქიის პატრიარქის საჯდომამდე უვნებლად მისულიყვნენ. მაგრამ მაშინ ეს ქართველ განათლებულ პირთ როგორც ეტყობა დავიწყებული ჰქონიათ, ხოლო ბერძნული მატიანე, რომელშიაც ეს ამბავია მოთხრობილი, ჯერ შესწავლილი არ იყო.

ხოლო, თუნდაც რომ ქართველებს პატრიარქისათვის ეს ამბავი გაეხსენებინათ, მას შეეძლო ქართველებისათვის ეპასუხა: ეს დროებითი, განსაკუთრებული პირობებით გამოწვეული, საშუალება იყო; ეხლა მიმოსვლა ისე საშიში აღარ არის და წინანდელი კანონიერი დამოკიდებულება ისევ აღდგენილი უნდა იყოსო. ამიტომ ქართველებისათვის შეურყეველი საბუთი იყო საჭირო, რომ იმით ბერძნებისათვის სამუდამოდ კრიჭა შეეკრათ. ასეთ საბუთად, როგორც ანტიოქელ სამღვდელო პირთა ზემომოყვანილი სიტყვებითგანაცა ჩანს, მხოლოდ ისეთი ისტორიული ცნობა გამოდგებოდა, რომლითაც ცხადად დამტკიცდებოდა, რომ ქრისტიანობას საქართველოში ერთ-ერთი მოციქულის ქადაგებამ დაუდვა საფუძველი. მაშინ ანტიოქიელი სამღვდელოება იძულებული იქნებოდა გაჩუმებულიყო და ქართული ეკლესიის დამორჩილების იმედი გაუცრუვდებოდა.

გიორგი მთაწმიდელის მარად მადიდებ ელი უნდა იყოს საქართველო, რომ მან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა და ბერძენთა სამღვდელოების მიმტაცებლობისაგან იხსნა. გიორგი მთაწმიდელს როგორც ეტყობა, ამ საგანზე თვითონაც ხშირად უფიქრია და ამიტომ მშვიდად, მაგრამ გაბედულად უპასუხა პატრიარქს: »მე მოგცე მათ ყოველთა (ქართველ სამღვდელოებისა და მეფის) წილ პასუხია»; მხოლოდ »მოღებად ეც. წიგნი მიმოსლვა[თა] ანდრია მოციქულისა[თა] და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი»-ო (ცᲔ გᲔ ი მთწმᲔდლსᲐ, 315). როდესაც პატრიარქმა უბრძანა და ეს წიგნი გიორგი მთაწმიდელს მოუტანეს, სანამ იგი შესაფერისს ადგილს წაიკითხავდა, პატრიარქს უთხრა: »შენ იტყᲜ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა, თᲜსისა მწოდებელისა (ანდრიას) ნაწილნი ვართ და სამწყოსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი; და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი,- სიმონ ვიტყᲜ კანანელსა,- ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების; ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებული ვართ»-ო (იქვე).

გიორგი მთაწმიდელის საბუთიანობის გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ სახარებაში იესო ქრისტეს პირველ მოციქულად ანდრია არის დასახელებული; ამიტომაც მას ჩვეულებრივ "პირველ-წოდებული" ეწოდებოდა; იქვე მოთხრობილია, რომ პეტრეს მისმა ძმამ ანდრიამ მოუწოდა და იესოს მოწაფედ გახადა. გიორგი მთაწმიდელიც ამისდა მიხედვით ანტიოქელს მამამთავარს ეუბნებოდა: თქვენ თუ პეტრე მოციქულის მიერ დაფუძნებულ სამწყსოს ტახტზე ზიხართ და ამიტომ დამოუკიდებლობის უფლება გაქვთ, ჩვენ, როგორც ანდრია მოციქულის მიმოსვლათა წიგნში სწერია, პეტრეზე უფროსის მოციქულის პირველწოდებულის ანდრიას მიერ დაარსებულს სამწყსოს ვეკუთვნითო. მართლაც, ანდრია მოციქულის "მიმოსვლანი" სრულებით ამართლებდნენ ჩვენს გამოჩენილს საეკლესიო მოღვაწესა და ისტორიკოსს. რასაკვირველია, ეხლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ავტოკეფალიისათვის საეკლესიო კანონებისდა მიხედვით ერთ-ერთი მოციქულის ქადაგება სრულებით საჭირო არ იყო, არამედ ეკლესიათა დამოუკიდებლობა ან პოლიტიკურ, ან სხვა ისტორიულ პირობებისაგან იყო წარმომდგარი და და მსოფლიო კრებების მიერ დამოუკიდებელ ეკლესიათა უფლების ძალმომრეობით გაუქმება იყო მხოლოდ სასტიკად აღკრძალული[362]. ამ მხრივ ჩვენთვის ეხლა ცხადია, რომ ანტიოქიელი სამღვდელოების მოთხოვნილება, თუ დამოუკიდებლობა გაქვთ, რატომ ერთი მოციქულთაგანი არ ყოფილა თქვენის ეკლესიის დამაარსებლადაო, **სრულებით უსაფუძვლო იყო;** მაგრამ მაშინ ასეთი შემცდარი აზრი გავრცელებული ყოფილა და ამ მხრივ გიორგი მთაწმიდელმა სამშობლოს ეკლესიას დიდი სამსახური გაუწია, რომ ბერძენთა "საძიებელს" იმ დროისათვის შესაფერისად დასაბუთებული პასუხი გასცა. ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ ანდრიასი და სხვა მოციქულთა "მიმოსვლანი" ეჭვმიუტანელ საისტორიო წყაროდ ვერ გამოდგებიან და თვით თქმულება მოციქულთა მიერ "წილხდომისა" და სხვადასხვა ქვეყნებში ქადაგების შესახებ ისტორიულად არა მტკიცდება[363]; მაგრამ მაშინ ყველას, ბერძნებსაცა და ქართველებსაც მტკიცედა სწამდათ, რომ "მიმოსლვანი" მოციქულთა მოწაფეებისა და თანამგზავრების მიერ იყვნენ აღწერილნი და უაღრესი ნდობის ღირსი წყაროები იყო. ამიტომაც არის, რომ გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი საქართველოსწინაშე ამ მხრივ ფასდაუდებელია. რასაკვირველია, ანდრია მოციქულის მიმოსლვაი წინათაც და სხვა ქართველ საეკლესიო მოღვაწეებსაც არა ერთხელ ექნებოდათ წაკითხული, მაგრამ ადამიანის გონებას ასეთი თვისება აქვს, რომ თუ გულისყური რაზედმე საგანგებოდ მიპყრობილი არა აქვს, ხშირად ჩვეულებრივს და თვალსაჩინო მოვლენას ვერ ამჩნევს ხოლმე; როდესაც ბერძენთა სამღვდელოებამ ქართველთა ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების "საძიებელი" წამოაყენა, მაშინ მოწინავე ქართველთა აზრი იმ საკითხით იყო გართული და გიორგი მთაწმიდელმაც მშობელი ეკლესიისათვის ასე მარტივად და ადვილად საბუთები აღმოაჩინა.

როცა ანტიოქელ სამღვდელოებას ამ პაექრობაში გიორგი მთაწმიდელმა ასე სწრაფად სძლია, ეხლა მან ხუმრობით "განცხრომით" თვით მიიტანა იერიში ბერძნებზე და პატრიარქს უთხრა: რაკი თქვენ სიტყვა დამორჩილებაზე ჩამოაგდეთო, »შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემრჩილოს მწ҃ოდებელსა თ҃ჯსსა და ძმასა ანდრიას და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ»-ო (ц҃ѳ г҃і мѳтѡм҃длсѳ,315); თქვენ ეხლა თავი

[362] იხ. ჩემი წერილი Автокефалия, Полити. Энциклопедия-ში.

[363] იხ. ამ თხზულების I წიგნი, გვ. 237-240 და ჩემი გამოკვლევა "ანდრია მოციქულისა და წ҃ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", მოამბე, 1900, № V და VI.

მოგაქვთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ »იყო ჟამი. რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა» და მართლმადიდებლობის კერად მხოლოდ ქართლისა საკათალიკოზო და საყდარი ითვლებოდა, ისე რომ თვით »იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა» (იქვე, 316) იმიტომ, რომ საბერძნეთის საყდრები მაშინ მწვალებელთ ჰქონდათ დაპყრობილიო.

ამგვარად ცხადია, რომ საბერძნეთში ყოფნასა და ბრძოლას ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევია და ნაყოფიერი შედეგი მოჰყოლია: საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართველთა მონასტრების წყალობით ქართული მწერლობა გამდიდრდა, საეკლესიო წესები, სადაც საჭიროდ დაინახეს, ბერძნულის მსგავსად შეასწორეს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობის უფლება გამოირკვა და ეროვნული თვითშემეცნება გამოიკვერა და განმტკიცდა.

ამ ბერძენ-ქართველთა ბრძოლამა და პაექრობამ ქართულს იმდროინდელს მწერლობაში და საზოგადოებაში ამასთანავე ერთგვარი იდეალური თვითშემეცნება და ეროვნული თავმოყვარეობა დაჰბადა, რომელიც ზოგიერთს შემთხვევაში ეხლაც იმავე სახით არის გაბატონებული. ქართველები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ ბერძნები მედიდურები და ამაყნი იყვნენ, ხოლო ქართველებს შესაფერისი პატივით არ ეპყრობოდნენ; აკი გიორგი მთაწმიდელიც ეუბნებოდა მათ: »ჩუენ უმეცრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან» (იქვე,315), »უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართუელთა»-ო (იქვე). რასაკვირველია, ქართველებს ეს სწყინდათ და დარწმუნებულებიც იყვნენ, რომ ბერძნები, სცდებოდნენ და "ნათესავი ქართუელთა წრფელი და უმანკო"[364] არის, ჭკვითაც ბერძნებს არ ჩამოუვარდებოდა; გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიელ თავმომწონე სამღვდელოებას მაგ. უთხრა კიდეთ: თუმცა ჩვენ ქართველები თქვენ " უგუნურად" გგონივართ, მაგრამ »აჰა, ესე რა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა», სხვებზე უმდარესი ვარ, მაგრამ »მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი» (იქვე) და ვნახოთ მტყუანი და უგუნური ვინ გამოდგებაო. თუ ბერძნები ქართველებს ხშირად კარგად ვერ ეპყრობოდნენ, სამაგიეროდ ქართველობაში თანდათან ერთი აზრი იკიდებდა ფეხს, რომ თვით ღვთაებას, ღვთისმშობელს »დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენ» (ცაგი მთწმიდლსჲ, 294); განა იგი არ იყო, რომ ავადმყოფს ყრმა ექვთიმე მთაწმიდელს ესაუბრა "ქართულითა ენითა" და გაამხნევა: »აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჯხსნილად უბნობდი» (ცაიესი და ექთმსი, 46), ამიერითგან ქართულად თავისუფლად ილაპარაკეო?

ღვთაების უაღრესი წყალობა ქართველებისადმი ხომ იმითაც მტკიცდებოდა, რომ საქართველოს პირველ განმანათლებელად და მქადაგებელად ანდრია პირველწოდებული მოციქული იყო. ამასთანავე ქართველები იმთავითვე წრფელი მართლმადიდებელი ღვთისმოსავნი იყვნენ და არას დროს "მართლისა" სარწმუნოებსათვის არ უღალატნიათო. გიორგი მთაწმიდელი მაგ. ბიზანტიის კეისარს ეუბნებოდა: »ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ» და ისინი »მრავალ-გზის მიდრეკს»-ო (ცაგი მთწმიდლსჲ, 332), ჩვენ ქართველებს-კი »რაჟამს ერთგზის გჯცნობიეს არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს»-ო (იქვე); ანტიოქიელ პატრიარქსაც მან იგივე უთხრა: მას შემდგომ რაც ჩვენ ქართველებს »ერთი ღმერთი გჯცნობიეს, არღარა

[364] იქვე და გვ. 295, პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონი, L . P e t i t , Typicon de Gregoire Pacourianos, გვ. XIV.

უვარ გ̈ყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი»-ო (იქვე,315). ეს მტკიცედ სწამდათ ქართველებს, თავიც მოჰქონდათ ამით და ამაყობდნენ.

თანამედროვე მეცნიერება რასაკვირველია მწვალებლობაზე სულ სხვა აზრისაა და მწვალებლობა ხშირად ღრმა და ცხოველ სასოებისა და სარწმუნოებრივი შემოქმედების ძლიერების დამამტკიცებელია. ამიტომ იქ, სადაც სარწმუნოების სიმბოლოსა და წესის შესახებ ცილობა და ბრძოლა არ ყოფილა, იქ ცხადია სარწმუნოებრივი აზრი დაძაბუნებული უნდა ყოფილიყო და სიცოცხლე აკლდა. თუმცა, როგორც **პროკოპი კესარიელი** მოწმობს, ქართველებს ძველადაც გულმოდგინე და სასოებით აღსავსე ქრისტიანების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი; ხატების მებრძოლთა მწვალებლობისათვის წინააღმდეგობაც გაუწევიათ და ქართული ეკლესია კვლავინდებურად ხატების თაყვანისმცემელთა ხელში ყოფილა, მაგრამ მაინც ჩვენ ეხლა დანამდვილებით ვიცით, რომ თავის დროს ქართველთა შორისაც იყვნენ ნესტორიანნი და მონოფიზიტები; მხოლოდ სარწმუნოებრივმა ბრძოლამ და მეტოქეობამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ერთგვარი იდეალური და განყენებული აზროვნება წარმოშვა და განამტკიცა საქართველოში.

ამ უმწიკვლო მართლმადიდებლობის სურათს ცოტა არ იყოს აფუჭებდნენ ქართველ-სომეხთა თავდაპირველი სარწმუნოებრივი ერთობა და სხვაობანი, რომელიც ქართულს საეკლესიო მწერლობასა და წესს უძველესი დროითგან ჰქონდა შერჩენილი, განსაკუთრებით-კი სომეხ-ქართველთა ოდინდელი კავშირის ის უტყუარი ძეგლი, რომ ქართველებს »რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან (სომეხთაგან) თარგმნილნი» (იქვე,295). მაგრამ ამ მოვლენასაც მაშინ ვითომც თავისი მიზეზი მოუძებნეს; ეს იმიტომ მოხდა, რომ ძველად »ქუეყანა ჩვენი შორს იყო ქუეყანისა-გან ბერძენთასა», ხოლო იმავე დროს »ვითარცა ღუარძლნი რაჲმე დათესულ იყუნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი» (იქვე,295) და სწორედ »ამის მიერ ფრიად გუევნებოდა»-ო, ამბობს გიორგი ხუცეს-მონაზონი, იმიტომ რომ ქართველი ერი, »ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი (სომხები) რეცა მიზეზითა წესიერებისათა ცთუნებად გუაზმნობდეს»-ო (ცჲ ჲ გ̈ ი მთწმ̈ დლსჲ, 295). ექვთიმე დ გიორგი მთაწმიდელებმა ყველა ამგვარი წიგნები ზოგი შეასწორეს, ზოგი ხელახლად გარდმოსთარგმნეს და ამ მხრივაც ქართველები უკვე უზრუნველყოფილი იყვნენ.

გიორგი მთაწმიდელის დიადი ღვაწლი საქართველოს წინაშე მარტო ზემოაღნიშნულით არ განისაზღვრება. იგი მარტო მეცნიერი მთარგმნელი და ისტორიკოსი-კი არ იყო, არამედ ამასთანავე გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეც, დემოკრატიული მოძღვრების მქადაგებელი და ქართული ეკლესიის განახლების წინამორბედი. ბაგრატ IV დიდად მოწადინებული ყოფილა, რომ გიორგი მთაწმიდელი, მაშინ უკვე განთქმული ქართველი მთარგმნელი და შესანიშნავი ისტორიკოსი, საბერძნეთითგან საქართველოში დაბრუნებულიყო, და სამშობლოში ემუშავა. »წმიდაო მამაო, ეუბნებოდა მას მეფე, »შავსა მთასა მცირედნი არიან მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანა არს უცხო, ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ და ეკლესიანი, სამღდელთმოძღვრონი დ მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ», ამიტომ გთხოვ საქართველოში დაბრუნდე, რომ ჩვენც ”განვნათლდეთ” და ჩვენი ეკლესიებიც თქვენის წიგნებით აივსნენო (იქვე,317). მაგრამ გიორგი მთაწმიდელი შიშობდა, ეპისკოპოსობა არა მთხოვონო. ხოლო რაკი იგი მეტად თავდაბალი იყო და »ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა

და შფოთსა სოფლისას», უარზე იდგა (იქვე,317). მეფის დიდის ხნისა და მრავალგზისის ხვეწნის შემდგომ, გიორგი მთაწმიდელი მაინც დათანხმდა და სამშობლოში მოვიდა (იქვე, 317-319). სამისონითგან ნავით ფოთში მოსული გიორგი მთაწმიდელი "საკედრითა" ქუთაისისაკენ გაემგზავრა და საქართველოს მაშინდელს სატახტო ქალაქს ქუთაისს მიაღწია "ჟამსა სთულისასა" (იქვე,319). მოახსენეს თუ არა მეფე ბაგრატს განთქმული მოღვაწის მოსვლის ამბავი, მან »მეყსეულად წარმოგზავნა მწიგნობარი თ·ესი და უბრძანა დიდითა პატივითა წარყვანებაჲ ბერისა». რაკი ბაგრატი ამ დროს »ზემოთა ქუეყანათა იყო», ამიტომ გიორგი მთაწმიდელი "ქუთათისისა" მღდელთ-მოძღუარის თანხლებით ქართლში გადმოვიდა მეფის სანახავად. ბაგრატ IV დიდის პატივით და მოწიწებით მიიღო სახელოვანი სტუმარი: როდესაც იგი მეფის სადგომს მიეახლა »სამ ჟამისა სავალ-ოდენ გამოგზავნა მგებრად», დასახვედრად »მღდელთმოძღუარნი და დიდებულნი თ·ესნი, ხოლო თჳთ ღმრთისმსახური მეფე კართა-თანა კარვისათა წინა მოეგება... იკურთხაჲ მის-გან და კელპყრობით შეიყუანა კარვად და ინაკით დასუა მახლობელად თ·ესა» (იქვე,319).

ამ დროს უკვე »მოწევნულ-ცა იყო ჟამი ზამთრისა» და მეფე ამის გამო »ჩვეულებისა-ებრ თ·ესისა წარვიდა აფხაზეთად» და გიორგი მთაწმიდელიც თან წაიყვანა, რომ ზამთარი ტფილ ადგილას გაეტარებინათ; გიორგი ჭყონდიდში თავის მოწაფესთან ჭყონდიდელ ეპისკოპოსთან დარჩა, ხოლო ბაგრატი აფხაზეთში ჩავიდა. გაზაფხულზე მეფეც ისევ ქართლში გადმოვიდა და გიორგი მთაწმიდელსაც »მისცა ადგილნი შუენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასუენებლად და საყოფელად მისად: პირველად ნეძ·ჴ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა კლარჯეთს შინა» (იქვე,320).

გიორგი მთაწმიდელს ცუდს დროს მოუხდა სამშობლოში მოსვლა. სწორედ მაშინ საქართველოში დიდი შიმშილობა იყო; გაჭირვებული ხალხი ყველაფერს "არაწმიდა" საჭმელს სჭამდა, რომ სიკვდილისაგან თითონაც გადარჩენილიყვნენ, თავისი შვილებიც გადაერჩინათ (იქვე, 325). კიდევ კარგი, რომ იმ დროისათვის შიმშილობა თანდათან სუსტდებოდა (იქვე,326) და საქართველოს მცხოვრებნი »საზარელსა ბოროტსა მძლე ექმნნეს» და როგორც იყო »სიყმილისა სიკუდილსა დაუშთეს» (იქვე, 325). მაგრამ თუმცა »მცირედ უმოლხინეს ქმნილ იყო ჟამი», მაინც ნეშტი განსაცდელთა იწროებისათა სრულიად არა თანაწარსულ იყო» და ხალხში ყველანი »მრავალითა ჭირითა ცხოვნდებოდეს და შორის სიკუდილისა და ცხოვრებისა მყოფი იყო» (იქვე,326).

ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელს სამშობლო ისეთს გაჭირვებაში და განსაცდელში დახვდა, იმოდენი უბედურება ნახა თავისი თვალით, რომ ფაქიზმა გულმა ვერ გაუძლო »სულთ ითქუნა მწუხარებით დ ცრემლით იტყოდა: »ჰოჲ-მე, რასათ·ს მოვიწიე ამას ქუეყანასა ხილვად ამას ესევითართა ამათ ბოროტთა»-ო (იქვე, 326).

ამ საშინელს გაჭირვებაში მყოფ ქართველ ხალხს გიორგი მთაწმიდელმა მამობრივი მზრუნველობა გაუწია და, რითაც კი შეეძლო, დამშეულთ ეხმარებოდა, დიდებს ამას გარდა სულიერადაც ამხნევებდა, უმწეოდ დარჩენილს ბავშვებს ჰკრებდა, ჰკვებდა და ასწავლიდა (იქვე, 326-327). მაგრამ რას გააწყობს მარტოდ-მარტო თუნდაც თავგამოდებული და მხნე ადამიანი ისეთს საერთო სტიქიური უდებურების დროს, როგორც შიმშილობაა? ამისთანა შემთხვევებში შეერთებული, მწყობრი მუშაობა არის ხოლმე საჭირო, რომ საზოგადოებრივი განსაცდელის სიმკაცრეს ატანა ცოტადაც მაინც ხალხს შეუმსუბუქდეს. ამგვარი დახმარებისათვის

ხელმძღვანელობა მაშინ სამღვდელოებას შეეძლო გაეწია; იმ დროს მას დიდი გავლენა ჰქონდა, მის მოწოდებას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა და შეძლებულთა წრეებს ქველმოქმედების სურვილს გაუცხოველებდა. მაგრამ ჩვენი სახელოვანი მოღვაწე თავის თვალით ხედავდა, რამდენად გულცივი იყო მაშინდელი უმაღლესი წოდებითგან გამოსული სამღვდელოება და როგორ გულ-ხელდაკრეფილი შესცქეროდა ქვეყნის ტანჯვას. ზოგნი ეპისკოპოზთაგანნი, რომელნიც იყვნენ »მდიდარი ფრიად და წარჩინებული» მარტო იმაზე ფიქრობდნენ, რომ »სიმდიდრითა საფასეთა თჳსთაჲთა ეკლესიანი შეამკუნეს და განაშუენნეს», რომ მათი სახელი განთქმული ყოფილიყო და საუკუნო სახსენებელი მოეხვეჭათ, ამიტომაც იყო რომ გულმოდგინედ ცდილობდნენ, »რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას» მათს სახელობაზე (იქვე,323). რომ ამავე დროს ხალხი მშიერი და ღატაკი იყო და საშინელს გაჭირვებაში ჩავარდნილს არსაით მშველელი არა ჰყავდა, ამგვარს მღვდელ-მოძღვრებს ეს არ აწუხებდათ; ამ ჯურის ეპისკოპოსი »გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა» (იქვე, 323). ამნაირებს კიდევ მაინც-და-მაინც არა უჭირდათ რა; ისეთი მღვდელთ-მოძღვარნი და ხუცესნი იყვნენ, რომელთაც სხვა არა აფიქრებდათ რა და არც თავს იწუხებდნენ, მარტო თავიანთვის »ჰკრებდნენ ოქროსა და ვერცხლსა» (იქვე.321).

მაგრამ არც მოსალოდნელი იყო, რომ იმდროინდელი ეპისკოპოსები უმეტეს შემთხვევაში მაინც სხვანაირად მოქცეულიყვნენ. ამ წრეში წოდებრივობა და სიმდიდრე გაბატონებული იყო: საეპისკოპოსო ხარისხი მაშინ დიდებულ აზნარუთა გვარის შვილებს ეპყრათ; ამ თანამდებობას მეფე ბაგრატ IV თურმე ჰყიდდა და, რაკი ეკლესიას ასეთი უკანონობა შემოეპარა, რასაკვირველია ეპისკოპოსობას ღირსეული კი არ მიიღებდა, არამედ ვინც უფრო მდიდარი იქმნებოდა. ეს საშინელი, გამანადგურებული უწესობა ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყო, და გიორგი მთაწმიდელმა აქ დიდი გამბედაობა გამოიჩინა. მან ისარგებლა ბაგრატ მეფის თხოვნით, რომლითაც საქართველოში მოსვლისთანავე დიდებულს ბერს მიჰმართა: »წმიდაო მამაო», იმიტომ შეგაწუხეთ, »რათა ნაკლულევანებაჲ და ცთომა უწესო აღმოჰფხურა სრულიად სულთა-განჩუენთა, დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თუალ-უხვად განგჳმარტე»-ო და რასაც მიბრძანებ მე »ესრეთ შევიწყნარო ვითარცა პირისა-განწმიდათა მოციქულთასა»-ო (იქვე,320). იქნებ თვით მეფე არც-კი მოელოდა, რომ გიორგი მთაწმიდელი ამ წინადადებით ისარგებლებდა და “პირველად ყოვლისა” მას, მეფეს, მოუხდებოდა საყვედურისა მოსმენა,– მაგრამ საქმე- კი სწორედ ამგვარად დატრიალდა.

რაკი გიორგი მთაწმიდელი დარწმუნდა, თუ სად იყო ქართული ეკლესიის უმთავრესი წყლული,» პირველად ყოვლისა აღლესა მახჳლი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესობათა თჳს უშიშად და თვალ-უხვად, სიბრძნით და გონიერად, რომელ არა ჰყიდდეს საეპისკოპოზოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსლვათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონებათა შინა აღზრდილთა და ღმრთივ-სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა» (იქვე,321). ამ ცნობაში განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ საეპისკოპოსო ტახტი თურმე უმეტეს შემთხვევაში »უწესოთა და უსწავლელთა (რასაკვირველია ღვთისმეტყველებაში) და ყოველითურთ სოფლისა შემსჭვალულთა... მიმოსლვათა შინა აღზრდილთა» ხელში გადადიოდა; ალბათ, ეს პირნი დიდებულ აზნაურთა წრითგან გამოსულები იქმნებოდნენ. საერისკაცო

ცხოვრებასა და მიმოსვლას მიჩვეულნი ყოფილან და მონაზონობაში წესიერი გაწვრთნა ჰკლებიათ. გიორგი მთაწმიდელს, მაშასადამე, საჭიროდ მიაჩნდა, რომ მეფეს საეპისკოპოსოების “ გაყიდვა” ამოეკვეთა და შელახული საეკლესიო მსოფლიო კრებებისა და “მოციქულთა” კანონები აღდგენილი ყოფილიყო; ამას გარდა რომ საეპისკოპოსო კაცი მეფის არჩევანზე-კი არა ყოფილიყო დამოკიდებული, არამედ, როგორც წესი და კანონი ითხოვდა, “ღვთივსულიერთა მოძღუართა” აზრსა და თანხმობაზე.

მაგრამ გიორგი მთაწმიდელის მკვეთრი »მახვილი მხილებისა” მარტო მეფეს არ მოხვედრია; ეპისკოპოსებმაც, რასაკვირველია, ბევრი სამართლიანი საყვედური მოისმინეს; მათგან იგი თხოულობდა, რომ მიდგომილებით »თუალღებით კელთ-დასხმასა არა ჰყოფდენ და უღირსთა მღდელთა არ აკურთხევდნენ», ხოლო თითონ »არა შეჰკრებდენ ოქროსა და ვერცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა» (იქვე, 321).

მაგრამ გიორგი მთაწმიდელმა არც ეს იკმარა და გაუმაძღარს სიმდიდრის მომხვეჭელობას და გლახაკთადმი გულქვავობას მკაცრად ჰგმობდა და »უმეტეს ყოვლისა გლახაკთა წყალობასა ამცნებდა» (იქვე,323). იგი ამის გამო იმასაც-კი არ შეუშინდა და ეპისკოპოსებს აფრთხილებდა ეკლესიათა გამშვენიერებასა და შემკობაზე ბევრს ფულს ნუ ხარჯავთო; როდესაც ცხოველი ეკლესია, ხალხი, გაჭირვებაში იყო, გლახაკთა დახმარება, დავრდომილთა წამოყენება და შეწყალება უნდა ყოფილიყო მოძღვართა საზრუნავი და არა ეკლესიათა შემკობა. აი მაგ. რა უთხრა ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ერთს ეპისკოპოზს, რომელიც »მდიდარი ფრიად და წარჩინებული» იყო და იმაზე ზრუნავდა მარტო, რომ »სიმდიდრითა საფასეთა თ-ჯსთათა ეკლესიანი შეამკუნეს და განაშუენნეს და რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას, და ამით მიზეზითა სცჯდა სიმდიდრესა თ-ჯსსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა»: მეუფეო, ეს შენი საქციელი ეშმაკის მანქანებითა და შთაგონებით არის ნაკარნახევი. »ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს», ეშმაკი გაცდუნებს და მას უნდა »რათამცა ეკლესიათა დ აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალობასა შინა მოგკლა». რომ ეს ღვთისნიერი საქმე-კი არ არის, არამედ ეშმაკის-მიერი ცხადია, »რამეთუ არა თუ ამას გეტყჯს ღმერთი, ვითარმედ ეკლესიანი შეამკუენითო, არამედ რამეთუ »მშიოდა და არა მიეცით მე ჭამადი», ვითარცა იტყჯს იოანე ოქროპირი»-ო (იქვე, 323-324). ამაზე უკეთესად შეუძლებელი იყო ქრისტეს ცხოველ-მყოფელი ზნეობრივი მოღვრებისა და საშუალო საუკუნეების გულცივი გარეგნული საეკლესიო მორწმუნეობის ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირდაპირება და პირველის მომხიბლავი უპირატესობის ნათელ-ყოფა, როგორც სახარებითგანა ჩანს, იესოს მართლაც არას დროს სამლოცველო შენობების შემკობა-გამშვენიერებაზე არ ულაპარაკია, არამედ მისი ერთადერთი საზრუნავი ცხოველი ეკლესია იყო, მორწმუნეთა კრებული, ადამიანის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი განსპეტაკება. იგი მუდამ მოყვასისადმი კაცთმოყვარეობას. ხოლო გლახაკთა და დავრდომილთადმი მოწყალებას და სიბრალულს ასწავლიდა ყველას, რომ კაცის უზენაესი და უწმიდესი მოვალეობა იყო მშიერ-წყურიელთათვის დახმარება გაეწია, და გაჭირვებულს მიჰშველებოდა. მაშასადმე, იმ დროს, როდესაც ხალხი განსაცდელში იყო და რაიმე უბედურება ეწვევოდა, სიმდიდრის დაუნჯება და ეკლესიების შემკობა-გამშვენებაზე ფულის დახარჯვა, ხოლო გლახაკთა “უწყალობა”, ეშმაკის უკეთურ “ბრძოლად” და “ბოროტი სულის” ნაკარნახევად უნდა ჩათვლილიყო!.. საშუალო საუკუნეებში შეუძლებელი იყო ამ საგანზე ამაზე უფრო

გაბედულის, ზნეობრივად სპეტაკისა და მომხიბლავის აზრის გამოთქმა!.. მაგრამ გიორგი მთაწმიდელი მარტო მმართველთა წრეების ბრალმდებლად არ გამოსულა, მარტო ღრმად დამაფიქრებელი ქადაგება და მკვეთრი სიტყვები არ იკმარა; მან საქმითაც განახორციელა თავისი დემოკრატიული და ზნეობრივი მოძღვრება და იმდროინდელი ქართული ეკლესიის წოდებრივობა დაარღვია. წინათ თუ ჩვეულებრივ მღვდლობა და სხვა უფრო მაღალი საეკლესიო პატივი აზნაურთა გვარისშვილების ხელში იყო, გიორგი მთაწმიდელმა შიმშილობის დროს სხვადასხვა ადგილას »შეკრიბა, რომელნიმე ქალაქთა-გან, რომელნიმე დაბათაგან, სხუანი უდაბურთა ადგილთა პოვნა, სხუანი მონებისაგან გამოიყუანნა, ხოლო სხუანი უმწარესისა ცხოვრებისა-გან იკსნნა» (იქვე,326), შეასწავლა რაც-კი რამ საჭირო იყო, გაანათლა, აღზარდა და »ესე ვითართა შეურაცხთა საქმეთა-გან მღვდელად უბიწოდ, მნედ სარწმუნოდ ქრისტესა შეწირნა» (იქვე,326). მონებისა და ყმების მღვდლად კურთხევა იმ დროისათვის დიდი გამბედავობა იყო. ამიტომაც იყო, რომ »ყოველსა აღმოსავლეთს (ანუ საქართველოს) განეფინა საქმე ესე საკჳრველი» (იქვე). რამდენად გაბედული და განმაცვიფრებელი უნდა ყოფილიყო ჩვენი სახელოვანის მოღვაწის მოქმედება, იქითგანაც ნათლად ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელის სიკვდილის შემდგომაც მისს მოწაფეს და ცხოვრების აღმწერს გიორგი ხუცეს-მონაზონს საჭიროდ მიაჩნდა თავისი დიდებული მასწავლებლის ამ მოქმედების გამართლება: »ესე ნუ ვის უკჳრს, რამეთუ მამამთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქნების, რომელი იგი უკანასკნელ მეფე იქმნა ეგჳპტისა, ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყუნესა, რომელი იგი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინსწარმეტყველ და რათა არა თითოეულსა ვიტყოდი?»-ო (იქვე,326).

გიორგი მთაწმიდელმა, მაშასადამე, **ქართული ეკლესის წოდებრივობა დაარღვია, წოდებრივი უპირასეობა საეკლესიო საქმეში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა.** საშუალო საუკუნეებში ყველგან, მეტადრე-კი საქართველოში, ასეთი მოღვაწეობისათვის დიდი გამბედაობა იყო საჭირო; თვით დასავლეთს ევროპაშიაც-კი ეკლესიასა და მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება XIII საუკ. დაიწყო მხოლოდ: რომ ის მსოფლიო ეკლესიის წოდებრივ-პატრონყმური წესწყობილება, როგორც ცნობილია, პირველად წ´ა ფრანცისკმა დაარღვია[365]. საკმარისია მარტო ეს გარემოება გავიხსენოთ, ჩვენთვის სრულებით ცხადი გახდეს რაოდენი ღვაწლი მიუძღვის გიორგი მთაწმიდელს ამ მხრივაც საქართველოს წინაშე. რასაკვირველია მას, უბრალო ბერს, არ შეეძლო არც უფლება ჰქონდა მთელი ქართული ეკლესიის წოდებრივი წესწყობილება შეეცვალა და თავითგან ბოლომდის ქრისტიანულ-დემოკრატიული მიმართულება გაებატონებინა, მაგრამ საქმე დაწყებაა და გიორგი მთაწმიდელმა აქ შემოქმედებითი თავოსნობაც გამოიჩინა, შესაფერისი გამბედაობაც და ხასიათის სიმტკიცეც. გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწყებული საქმე იმდენად დიადი იყო, რომ იგი არ გამქრალა, თუმცა თვით მოთავე, ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე, ხუთის წლის განუწყვეტლივ მუშაობის შემდგომ, მეფეს, სამღვდელოებას და ერს გამოეთხოვა და შიმშილობის დროს შეგროვილი 80 მოწაფითურთ ათონისაკენ გაემგზავრა. ჯერ კიდევ ათონში მისული არ იყო, რომ გზაზე, კონსტანტინეპოლში, მოულოდნელად გარდაიცვალა 29 ივნისს ოთხშაბათს დღეს 1065 წელს[366].

---

[365] A. Harnack , Das Mönchthum, Aufl., გვ. 49-50.

[366] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 209, ცხ. გიორგი მთაწმიდელისაჲ, გვ. 336, 347.

გიორგი მთაწმიდელი შესანიშნავი მწერალი-მთარგმნელი და მეცნიერი ისტორიკოსი, იყო, თანაც დიდებული, სწორუპოვარი საეკლესიო მოღვაწე; ამასთანავე იგი მომხიბლავი და მიმზიდველი პიროვნება ყოფილა, ღარიბ-ღატაკთა მფარველი, დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა გამამხნევებელი, მწუხარეთა თანამგრძნობელი და დამამშვიდებელი. მისი კეთილშობილური გული მარტო ადამიანისადმი სიყვარულით-კი არ სძგერდა, არამედ იგი ჰგრძობდა და ესეც კარგად იცოდა, რომ »ღმრთის მსგავსი მოწყალებაჲ ესე არს, რათა კაცი არა ხოლო თუ ზიართა ბუნებისა თ·ჯისათა (ესე იგი ადამიანს) სწავლობდეს, არამედ რათა პირუტყუთათა ზედა მისწუდეს მოწყალებითა» (იქვე, 303).

ვისაც მაშინდელი საქართველოს სულიერი და გონებრივი კულტურის წარმოდგენა სურს, მან უნდა გაიხსენოს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელნი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, მისი ეროვნულის სინდისის და კეთილშობილურის თავმოყვარეობის და თვითშემეცნების გამომხატველნი. ხოლო ვისაც უნდა იმდროინდელი საქართველოს დაწინაურებული ცხოვრება გაითვალისწინოს, მან ქართული ხელოვნების იმდროინდელი ძეგლები ნახოს, მაგ. სამთავისის, ბოჭრომისა და სხვა ტაძრები, შესანიშნავი ბედიის საყდარი, ბაგრატ III აგებული, რომელიც აღმაშენებელმა »განასრულა ყოვლითა განგებითა» და »შეამკო ყოვლითა სამკაულითა»; თანამედროვენი განცვიფრებულები იყვნენ ამ ეკლესიის მორთულობით და ქართველი მემატიანე აღტაცებით ამბობს: »უკუეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულის·ჯმისყოფად სიმაღლისა-თ·ს დიდებისა მეფობისა მისისა (ბაგრატ III), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისაჲ და მის-აგნ გულის·ჯმაყოს»-ო (მტ´ ნე´ ქ´ ჲ,•471, გვ.245). მაგრამ ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ყოველთვის იქმნება განთქმული ბაგრატ III ტაძარი ქუთაისში. მაშინაც, როდესაც იგი ააგეს, თანამედროვენი ჰგრძნობდნენ, რომ ეს ეკლესია შესანიშნავი იყო თავის "მიუწვდომელითა" თვისებებით; მისი კურთხევა არაჩვეულებრივ დღესასწაულად აქცია ბაგრატ მეფემ და ამ ტაძრის სატფურებაზე (კურთხევაზე) მან »შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჯელმწიფენი, კათალიკოზნი, მღდუელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულსა და სამეფოსა მისსა მყოფნი და სხუათა ყოველთა საჯელმწიფოთანი» (იქვე,●471– 472, გვ. 245).

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანა

1. მეფე დავით აღმაშენებელი

ა) დავით აღმაშენებლის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა

როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. გვ. 163), გიორგი II თავი დაანება მეფობას და «მარტოდ შობილსა» შვილს დავითს «თჳთ მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა» (ც´ ა მფ´ სა და´ თსი, •519, გვ. 287). ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი «მას ჟამსა იყო ჰასაკით: ი´ ვ — (16) წლისა, ხოლო ქორონიკონი: —ტ´ თ:» (309)[367]. მაშასადამე, დავით II გამეფებულია 1089 წელს და ტახტხე ასვლის დროს თექვსმეტი წლის ჭაბუკი ყოფილა. აქედგან ცხადია, რომ იგი უნდა 1073 წ. დაბადებულიყო.

დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანა თურქების თარეშგისაგან მოქანცული იყო «მოოჯრებულ იყო ქართლი» ისე, რომ მემატიანის სიტყვით «თჳნიერ ციხეთასა სადმე არა იყო კაცი სოფელსა შინა. არცა რა შენებულობა» (ც´ ა მფ´ სა დთ´ სი, • 520, გვ. 288). ამასთანავე «ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხეთი ყოველი, სამშუილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს» (იქვე,•529, გვ. 295). მხოლოდ «თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი ქუეყანა მათი ლიპარიტს» ეჭირა და საქართველოს «მეფეს დავითს წინაშე იყჳს რეცა ერთგულად» (იქვე,•520, გვ. 288). რაკი ქვეყანა აოხრებული იყო, ქართლის ჭალაკები და ნაჭარმაგევი ნადირთ ბუნაგად იქცა, «აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ» (იქვე,•520—521, გვ. 288). ამასთანავე ქართლში თურქები დაძრწოდნენ, ხოლო «ზამთრისავე მოწევნისა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღუამს ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი» (იქვე,•522, გვ. 289). ამიტომ, როდესაც დავით აღმაშენებელი გამეფდა, «მაშინ საზღაური სამეფოსა» აღმოსავლეთით ნამდვილად თითქმის მარტო «მთა მცირე ლიხითა და სადგომი სამეფო წაღულისთავი» იყო, ხოლო ამაზე შორს აღმოსავლეთისაკენ მეტადრე სადაც ჭალაკები მოიპოვებოდა ცალკე. ნადირისაგან, ცალკე მტრისაგან საშიში იყო და ისე არავინ ბედავდა ჩასვლას, «ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მჯედართა მიერ მოინახიან და მაშინღა ჩამოვიდიან ვაკესა» (იქვე,• 521, გვ. 288).

ამას გარდა, თბილისის საამიროს და თრიალეთს გარდა, მთელი სამხრეთ აღმოსავლეთი საქართველო მათ ეპყრათ და თავისუფლად დანავარდობდნენ; მოახლოვდებოდა თუ არა შემოდგომა, «სთუელთა» თურქები «ყოვლითა ფალანგებითა მათითა» და ხარგებითა, აუარებელის წვრილფეხა და სხვილფეხა საქონლით «ჩამოდგიან გაჩიანთა პირსა მტკურისასა ტფილისით-გან ბარდავადმდე და იორის პირთა, ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთრითოთა». სადაც ზამთარში მშვენიერი საძოვრები და სანადირო მოიპოვებოდა და ბველაფერი უხვობით იშოვებოდა; ხოლო გაზაფხულის დამლევს საზაფხულოდ სომხეთის მთებში მიდიოდნენ და იქაურს გრილს ადგილებში ცხოვრობდნენ (იქვე,•529 — •530, გვ. 296—297). აღმოსავლეთი საქართველო გაოხრდა და მოიჭამა თურქთაგან.

---

[367] ანა დ´ ფს ქც´ ის ხელნაწერში ამ ადგილას სრულებით გამოტოვებულია დავით აღმაშენებლის წლოვანება, ხოლო ქრონიკონიც შეცდომით სწერია «სამოცდა ცხრა» — «სამას ცხრა»-ს მაგიერ.

ესოდენ დაუძლურებული სამეფო ერგო დავით აღმაშენებლს და თავდაპირველად გაბნებული და დაქსაქსული ქვეშევრდომების შეგროვებას შეუდგა; მან «ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ მცირედ შემოკრიბნა სადმე დაშთომილნი»; ნელ-ნელა «სოფელთავე-ცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად», ქვეყანა დაშოშმინდა და მოეშენა (იქვე,●521, გვ. 288). ამასობაში ოთხმა წელიწადმა გაიარა. «ამას შინა გარდაკდა წელიწადი ოთხი, მოკუდა სულტანი მალიქში» (იქვე,• 521, გვ. 288) და თურქთა ძლიერებაც ამიერთაგან თანდათან სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მალიქშა, ანუ მელიქშაჰ I მოკვდა 1092 წელს, ხოლო დავით აღმაშენებლის მეფობის 4 წელიწადი 1093 წ. შესრულდებოდა. მაშასადამე, 1093 წლამდე დავით მეფე საქართველოს მოშენებისათვის და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნავდა. ძლიერი სულტანის სიკვდილს საქართველოში მშვიდობანობის დამყარებისათვის ხელი უნდა შეეწყო. ხოლო თურქეთის თანდათანი დაუძლურება საქართველოს დიდებული მეფის მოღვაწეობას ვეღარ შეაფერხებდა. როდესაც გარეშე მტერი ზურგს არ უმაგრებდა, მაშინ შინაური ურჩი გვარიშვილებიც საშიშარნი არ იყვნენ. იმავე 1093 წელს «ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკჯდა წინაშე მისსა» იმიტომ რომ, თუმცა «ქრისტიანე იყო სახითა. გარნა ორგულობა და სიძულილი პატრონთა გუარისა-გან მოაქუნდა გონებითა»-ო, ამბობს მემატიანე (იქვე,•521, გვ. 288).

დავით აღმაშენებელი თავის მამასავით სუსტი ხაისათის კაცი არ იყო, რომ მას ლიპარიტის ორჭოფობა «წყალობით დაეფარა». რაკი მეფე დარწმუნდა, რომ არ იქმნა და არ გასწორდა იგი, «ინება გაწურთა მისი, ამისთჳსცა პყრობილ ყო იგი ჟამსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე» (იქვე,•521, გვ. 289). ეხლა-კი ლიპარიტმა მოინანია და მეფეს შუამდგომელნი მიუგზავნა; მეფემ შეიწყნარა თხოვნა, დიდხანს აღარ დასტოვა საპყრობილეში და «მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ განუტევა»; ამასთანავე არც თანამდებობა ჩამოართვა (იქვე). მაგრამ ლიპარიტმა თავისი სიტყვა და ფიცი მაინც ვერ აასრულა, ისევ ორგულობა დაიწყო. მაშინ-კი მეფე დარწმუნდა, რომ ლიპარიტს ვერაფრით მოარჯულებდა და როგორც «კუდი ძაღლისა არა გენემართების» და «არცა კირჩხიბი მართლად ვალს», ისე იგი თავისას არ მოიშლიდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა «მეორესა წელსა» ანუ (1093+1) 1094-5 წ. «კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნა» (იქვე,•522, გვ. 289). მაშასადამე, მეფეს ლიპარიტი საპყრობილეში 1096-1097 წ. ჰყოლია და 1097 წ. საქართველოთგან განუძევებია. დავით აღმაშენებელის ამგვარი მტკიცე და გარკვეული მოქმედება ურჩი დიგვარიანი მოხელის წინააღმდეგ უეჭველია სხვებისათვისაც კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო.

საქართველო ეხლა-კი ძლიერი და ნიჭიერი პიროვენების ხელში ჩავარდა. მისი მოღვაწეობის ნაყოფიერებას, როგორც აღნიშნული იყო, იმ დროისათვის დამკვდრებული პოლიტიკური მყუდროებაც ხელს უწყობდა: მაჰმადიანობა აღმოსავლეთსა და პალესტინეში ეცემოდა; «ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია»-ო, ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (იქვე), და მართლაც ანტიოქია და იერუსალმი ფრანგებმა 1097 წ. აიღეს.

მაჰმადიანთა იმდროინდელი დაუძლურება სპარსეთის სელჩუკიანთა თურქებს უფრო დაეტყოთ. ხოლო ამავე დროს გარეშე მტრის შემოსევისაგან მოსვენებულმა საქართველომ ზურგი გაისწორა, «მოეშენა ქუეყანა ქართლისა განძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა». (იქვე). მაშასადამე, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა 1097 წ. მომხდარა; რაკი ამდროითგან მოყოლებული საქართველომ სულტანს ყოველ-

წლიური ხარაჯის ძლევა მოუსპო, ამასთანავე გაჰქრა აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური დამონების ის ნიშანიც, რომლის დადებასაც თავის დროს ბაგრატ IV ისე თაკილობდა. მაგრამ ამ დროის შემდგომ საქართველო მარტო თურქთა ხარაჯობას - კი არ დააღწია თავი არამედ მათი დაუპატიჟებელი სტუმრობისგანაც განთავისუფლდა და ამიერითგან «თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლსა» (იქვე).

რაკი თურქების თვითნებობა ალაგმული იყო, დავით აღმაშენებელს შეეძლო სამეფო საზღვრების გაფართოებაზე ეფიქრა. მარტო კახეთი და თბილისის საამირო-ღა იყო სრულიად საქართველოს სამეფოს გარეშე და მათი შემოერთება-ღა აკლდა. დავით აღმაშენებელმა კახეთით დაიწყო. ამ დროს იქ მეფედ იჯდა კჯრიკე. დავითმა შეურჩია დრო და «წარუღო კჯრიკეს ციხე ზედაზენი, ქ რ ო ნ ი კ ო ნ ი ი ყ ო ს ა მ ა ს ო ც დ ა ს ა მ ი (იქვე • 522, გვ. 289 — 290; შიად ანა დ´ ფს ქც´ ას)[368]. მაშასადამე, ეს ამბავი მომხდარე 1101 წელს. «შემდგომად წელიწადისა ერთისა», ანუ 1102 წ., მიიცვალა კჯ რიკე მეფე და მის მაგიერ მეფედ დასვეს მისი წმისძული აღსართან, «რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშანნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და ყოვლად უმეცრად უსამართლო» (იქვე)• 523, გვ. 290; შიად. ანა დ´ ფს ქ´ ცას). როდესაც დავით აღმაშენებელს ასეთი მოწინააღმდეგე ჰყავდა, კახეთის საბოლოვო შემოერთება, რასაკვირველია. ძნელი არ იქნებოდა.

მაგრამ სანამ ამის განხორციელებას შეუდგებოდა, მეფემ მთელი თავისი ყურადღება საეკლესიო საქმეებს მიაქცია და დიდი ცვლილება მოახდინა, რომლის შესახებაც საუბარი დაწვრილებით ქვემოთ იქნება.

რაკი საქართველოს საეკლესიო ცვლილება სასურველად განხორციელდა და ეპისკოპოსებად ღირსეული და არა ორგული, დიდგვარიან აზნაურთა მიმკერძოებელი, მღვდელ-მთავრები იყვნენ, დავით აღმაშენებელს უფრო გულდამშვიდებით შეეძლო საქართველოს საბოლოვო გაერთიანებას შესდგომოდა. მეფემ კვლავ კახეთს მიაქცია თავისი ყურადღება. ამას გარემოებაც ხელს უწყობდა: კახთა მეფე აღსართან «შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა არიშიანმან... და ბარამ და დედის ძმამან მისმან ქავთარ, ბარამის ძემან და მოსცეს მეფესა» დავითს (ც´ ა მ´ ფსა დ´ თსი,•524, გვ. 292). დავით აღმაშენებელმა ამით ისარგებლა და ჰერეთ-კახეთი საქართველოს შემოუერთა (იქვე). ამას, როგორც ჩანს, განძის პატრონის წყრომა აღუძრავს და ომი ატეხილა. ბრძოლა ერწუხში (თუ ერტოხში) მომხდარა და ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგედ ყოფილან «სულტანისა იგი სპანი ურიცხუნი, ათაბაგი განძისა და... კახთა ქუეყანისა ერი მტერთავე- თანა გარემოდგომილი» (იქვე,•524—525, გვ 292). თუმცა დავით მეფის მოპირდაპირედ შეერთებული მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო, მაგრამ თავგანწირულის ბრძოლითგან იგი მაინც ძლევამოსილი გამოვიდა. ერწუხის წყობაში ხელ-ჩართული ომის დროს ისეთი საშინელი სისხლის ღვრა ყოფილა, რომ თვით მეფის ტანისამოსი მტრის სისხლით იყო მოსვრილი, ხოლო «მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს (მეფეს) და მეოთხესა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი»-ო, ამბობს ისტორიკოსი (იქვე,•526,გვ.293). გამრაჯვებულმა მეფემ საბოლოვოდ დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და «ნებიერად აიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი» და «მიჰფინა წყალობა

[368] ზედაზენის ციხის აღების თარიღი მოიპოვება ანა დ´ ფს ქ´ ცაში, მაშასადამე თვით დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ეკუთვნის; მაინცა - და - მაინც შემცდარი არიან ბბ. თ. ჟორდანია, (ქ´ კბი, I, 238) და ე. თაყაიშვილი (Опиз. рук. об. распр. грам. წ. II. 88, § 22), როდესაც ამტკიცებენ, ვითომც ეს ქრონიკონი და სხვანი ამგვარნი პირველად ვახტანგისეულს ქ´ ცა - ში ყოფილიყოს შეტანილი.

ყოველთა ზედა მკჯდრთა ქუეყანისათა» (იქვე). რაკი ეს ამბავი გელათის მონასტრის აგების უწინარეს მომხდარა, ხოლო, როგორც შემდეგ აღნიშნული იქმნება, გელათის აშენება 1106 წ. იყო დაწყებული, ამიტომ ცხადია, რომ ერწუხის ომი და კახეთ-ჰერეთის შემოერთება 1104—1105 წ. უნდა მომხდარიყო.

ჰერეთ-კახეთის დაპყრობის შემდგომ დავით აღმაშენებელმა შინაურს საკულტურო მოღვაწეობას მიჰყო ხელი, რომლის შესახებაც განსაკუთრებით ქვემოთ გვექმნება საუბარი, და რამდენსამე წელიწადს, როგორც ეტყობა, სამხედრო მოქმედება შეუჩერებია, საიმისო თვალსაჩინო ლაშქრობა მაინც არა გადაუხდია რა.

ეხლა საკუთრივ საქართველოთგან შემოუერთებელი-ღა იყო მარტო «ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშვილდე, აგარანი», რომელნიც «ჰქონდეს თურქთა» (ცა მფსა დთსი, •529, გვ. 295). ქართველთა მთელი სამხედრო ხელოვნება და ნიჭი სწორედ ამ ქვეყნის დაბრუნებისათვის უნდა შეელიათ. ასეც მოხდა სწორედ. თრიალეთი და კლდეკარი მაშინ ეჭირა გიორგი მწიგნობართ-უხუცესისა და ჭყონდიდელის დისწულს თევდორეს. როდესაც «მეფე გარდავიდის აფხაზეთად» და მახლობლად არ ეგულებოდათ, უფრო უდარდელად იყვნენ, «უმცრო-რე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა»; და ქართველებმა მტრის შესაცდენად სწორედ ასეთს სამხედრო ხერხს მიჰმართეს: «მეფე გარდავიდა» ლიხთიმერეთს, ხოლო ამავე დროს ამერეთში ქართველები სამზადისს შეუდგნენ, »შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯუით მოიპარეს სამშუილდე» (იქვე,●529, გვ. 296; შეად. ანა დფსა ქცსა). ასე ადვილად და ხერხიანად მოაწყეს ეს საქმე. «ოდეს სამშუილდე და ძერნა აიღეს (ქართველებმა) ქრონიკონი იყო ს ა მ ა ს ო ც - დ ა - ა თ ი» (იქვე, ანა დფსი ქცა, შეად. ममदफ्स ქ ცას, •530, გვ. 297, მეტადრე შენ. 5) ანუ 1110 წ.

სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ძლიერი ციხე იყო და სამხრეთით ტფილისს ამაგრებდა; სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე მიდიოდა; ამას გარდა, როცა ქართველები ჩრდილოეთით და დასავლეთით მიმდგარნი ტფილისის საამიროს სამხრეთითგანაც შემოერტყმოდნენ, მაშინ ტფილისის აღება ისე ძნელი აღარ იქნებოდა. თურქებსაც ამ ამბავმა თავზარი დასცა: «ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე მეოტ იქმნნეს» (იქვე,•529, გვ. 296). ქართველები ამ მოულოდნელმა გარემოებამ ძალზე გაახარა და მტრისაგან მიტოვებული ციხეები სიამოვნებით «ჩუენ თანა მოითუალნეს» (იქვე). ამგვარად, 1110 წელს საქართველოს შემოუერთდა ქ. სამშვილდე და სომხითის ციხეების მომეტებული ნაწილი.

თურქები თავის დამარცხებას, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ დასთმობდნენ და ამიტომაც იყო, რომ შურის საძიებლად «მოვიდა ძალი სულტნისა და ყოველი თურქობა კაცი ვითარ ასი ათასი» (იქვე, •530, გვ. 297). ისინიც უჩუმრივ, «უგრძნეულად», შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მაინც შეუტყეს და დავით აღმაშენებელს, რომელიც მაშინ ნაჭარმაგევს იდგა, მოახსენეს. მეფემ ეს ამბავი რომ შეღამებისას, «მიმწუხარ», შეიტყო, დაუყოვნებლივ იმ 1500 ჯარისკაციოთურთ, რომელიც-კი იმჟამად შეესწრო იქვე, თრიალეთისაკენ გაემგზავრა და მთელ ღამეს გზაში იყო. ცისკარს თურქების მეწინავე რაზმიც მოვიდა. ისინი არ მოელოდნენ, რომ ქართველთა მხედრობა მათ საბრძოლველად მზად დაჰხვდებოდა. «იქმნა ბრძოლა ძლიერი მას დღესა»; თუმცა ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს: «მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სივლტოლად» თურქებიც და გაიქცნენ (იქვე, •530, გვ. 297). თურქების მრავალრიცხოვანი მხედრობის გაქცევა იმდენად გასაოცარი და გაუგებარი იყო, რომ ქართველებს არა სჯეროდათ, აქ რაიმე ვერაგობა არ იყოსო; «მეფე

და სპანი მისნი ესეოდენ ურწმუნო იქმნეს, ვიდრემდის არავინ სდევნა ყოვლა, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა»-თ და ფრთხილობდნენ (იქვე, •531, გვ. 297). ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო ალბათ 1110-1112 წ.

რაკი თურქები ასე თავზარდაცემულები იყვნენ, გიორგი ჭყონდიდელმა და მწიგნობართუხუცესმა, ალბათ დავით აღმაშენებელთან შეთანხმებით, კვლავ განაგრძო თავისი სამხედრო მოქმედება და ხერხი: »მეფისა მუხნარსა ყოფასა» მან მტერს რუსთავიც წაართვა. ეს ამბავი მომხდარა 335 ქრონიკონს (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა, შეად. მ᾽ მ დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ს, • 531, გვ. 297, მეტადრე შენ. 14), ესე იგი 1115 წ.

თუ აღმოსავლეთ-სამხრეთით თურქებს ქართველებისა უკვე ეშინოდთ, ეხლა დასავლეთის მხრით მოიტანეს იერიში და «ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი»; მათ იმედი ჰქონდათ, რომ უვნებლად იქმნებოდნენ: ტაოს «ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს» (იქვე, •531 გვ. 298). რომ მტერი მოეტყუებინა და გაეთამამებინა, დავით აღმაშენებელმა აქაც თავის ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართა: «თჳთ ქუთათისს გარდვიდა», რომ ამგვარად თურქები «უეჭველ» ეყვნა, ხოლო საიდმულოდ დანიშნულ ვადისათვის «სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა» (იქვე). თებერვალში 336 ქრონიკონს (ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცა, შეად. მ᾽ მ დ᾽ ფსა ქ᾽ ცა-ს, •531, გვ. 298, შენ. 7) ანუ 1116 წელს მეფემ მესხებსა და ქართლელებს აცნობა, რომ დანიშნულს დღეს «პაემანსა» კლარჯეთში დახვდომობდნენ. ხოლო თითონ დანარჩენის სპითურთ ფრთხილად «ხუფთითა ჭოროხის პირი წარვლო». ორივე ქართული მხედრობა ერთად შეიყარა და უდარდელს მტერს უცბად, «უგრძნეულად», თავს დაესხა; ქართველებმა თურქები დაამარცხეს და დახოცეს; ქართველთა ლაშქარს მრავალი საქონელი და დიდძალი ნატყვენავი დარჩა (იქვე, •531-•532, გვ. 298).

იმევე 1116 წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ასული კატაჲ საბერძნეთის მეფის რძლად ”გაგზავნა”, ხოლო ამაზე უწინარეს ”პირველ ამისსა” თავისი უფროსი ქალი თამარი შირვანშაჰს მიათხოვა (იქვე, •532, გვ. 298). ორსავ შემთხვევას საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობაზე ძალიან კარგად უნდა ემოქმედა: შირვანის და საბერძნეთის მხრით საქართველო უზრუნველყოფილი იქმნებოდა და დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ძალ-ღონე სამეფოს შინაური საქმეებისათვის, თურქების სრულიად განდევნისა და საქართველოს საბოლოვო გაერთიანებისათვის მოეხმარებინა.

მართლაც «მეორესა წელსა», ანუ 1117 წელს მეფემ «დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასად და შოთა და აღიღო ციხე გიში» (იქვე, •532, გვ. 299); თავისი შვილი უფლისწული დემეტრე ლაშქრითურთ შირვანს გაგზავნა და მან აიღო ციხე ქალაძორი (იქვე).

ზემოაღნიშნული ამბის «მეორესა წელსა», ესე იგი 1118 წელს ბზობას მეფე ღანუჰით გაემგზავრა რაჭის პირს; ნაჭიდურში მას მოახსენეს, რომ ბეშქენ ჯაყელი თურქებმა ჯავახეთში მოკლეს და ამის გამო მეფეს თურქებზე გალაშქრებას უშლიდნენ; მაგრამ დავით აღმაშენებელი ამ სამწუხარო შემთხვევამაც ვერ შეაშინა და მაინც თავისი არ დაიშალა, დაესხა რაჭის პირს მდგომ თურქებს და ზოგი დახოცა, ზოგი ტყვედ წამოიყვანა (იქვე).

ამავე 1118 წელს მეფემ «აღიღო სომხითის ციხე ლორე» (იქვე). «მაშინვე» 1118 წ. «ივლისსა» დავით აღმაშენებელმა აგარანიც დაიპყრა (იქვე). საქართველო იზრდებოდა და ფართოვდებოდა; მტერი თანდათან უკან იხევდა და ძლევამოსილს მეფეს დაპყრობისლ ქართველთა მიწა-წყალს უთმობდა.

მაგრამ საქმე მარტო დაპყრობა ხომ არ იყო; თავი და თავი დაპყრობილის შენარჩუნება იყო, თორემ სამშვილდეც, ბევრი სხვაც, თვით თბილისიც დავით აღმაშენებელის წინაპართა ხელში გადავიდა რამდენჯერმე, მხოლოდ იმათ

ხანგრძლივ ვერ შეინარჩუნეს და ისევ მტერი დაეპატრონა. დავით აღმაშენებელი ხედავდა, რომ «ირი იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამაც ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად»-აც ყოფილიყო და ამას გარდა გასალაშქრებლად და საომრადაც ცალკე რაზმები ჰყოლიყო (იქვე, •533, გვ. 300). ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწუნა, რომ «არა კმა იყუნეს (ლაშქარნი) სამეფოსა მისისანი თან მიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა» (იქვე), მისი მაღალხარისხოვანისა და შორსგამსჭვრეტავი სახელმწიფო გეგმის განსახორციელებლად. ამასთანავე ადგილობრივი, დიდგვარიან აზნაურთა ყმებისაგან შემდგნარი მხედრობა ზოგჯერ, თუ მათი პატრონები განდგომილნი იყვნენ, არამც თუ მეფეს არ ეხმარებოდა, პირიქით, მეფის წინააღმდეგ მოქმედებდა კიდეც. ამგვარს გარემოებაში მყოფს საქართველოს მეფეს ყოველთვის არ შეეძლო სახელმწიფო გარეშე მტრებისაგან უზრუნველ ეყო. ყოველთვის მოსალოდნელი განსაცდელის გასაქარწყლებლად საგანგებო ღონისძიება იყო საჭირო და დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ მ ა « გ ა ნ ი ზ რ ა ხ ა ს ი ვ რ ც ი თ ა გ ო ნ ე ბ ი ს ა თ ა » რ ო მ ა მ ა ი რ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა დ მ უ დ მ ი ვ ს ა მ ე ფ ო ლ ა შ ქ რ ი ს შ ე მ ო ღ ე ბ ა უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო . მეფემ გადასწყვიტა ამგვარი ლაშქარი ყივჩაყთაგან შეედგინა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი მეუღლე გურანდუხტ დედოფალი იყო ასული «ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა» და ამის გამო ისინი მისი ერთგული იქმნებოდნენ; მეორე იმიტომ, რომ მან «უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმჯნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დამჭივრელობა და ყოვლითურთ მომზავებულობა ნებისა თჳსისა» (იქვე,• 534, გვ. 300).

თავისი აზრის განსახორციელებლად დავით აღმაშენებელმა ყივჩაყეთში «კაცნი სარწმუნონი» გაგზავნა და ყივჩაყნი საქართველოს სამეფო ლაშქარში მიიწვია. ყივჩაყებმა და მისმა სიმამრმა სიხარულით მოისმინეს ეს მოწოდება და დათანხმდნენ; მხოლოდ რომ საქართველოში გადმოსულიყვნენ, ამისათვის ქართველებს უნდა უზრუნველ ეყოთ «გზა მშვიდობისა ოვსთაგან». დავით აღმაშენებელი ამის გამო გაემგზავრა ოსეთში და თან წიაყოლია თავისი განთქმული მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონიდელი. ოსეთში შემავალს საქართველოს ბატონს «მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა». დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი და ოსები შეათანხმა, ჩამოართვა «მძევალნი ორგნითვე ოვსთა და ბივჩაყთა და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი და ყო შორის მათსა მშვიდობა და სიყუარული» (იქვე, •534, გვ. 301). ამას გარდა მეფემ ჩამოართვა მათ «ციხენი დარიალ[ან]ისნი და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიის მთისანი» და ასე «შექმნა გზა მშვიდობისა» ყივჩაყთა იმ ლაშქრისათვის, რომელიც საქართველოს სამსახურში აპირებდა შემოსვლას (იქვე • 535, გვ. 301). ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო: მარტო ის რადა ღირდა, რომ ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ყ ვ ე ლ ა კ ა რ თ ა ც ი ხ ე ნ ი ა მ ი ე რ ი თ გ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ხ ე ლ შ ი ი ქ მ ნ ე ბ ო დ ა ? ამასთანავე ოს-ყივჩაყთა შერიგება დაქართველთა მეფის ყმად გახდომა საქართველოს ჩრდილეთით ზურგს უმაგრებდა და უზრუნველჰყოფდა ისე, რომ დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ყურადღება და საქართველოს შეერთებული მხედრობა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავეთ-დასავლეთისაკენ მიემართა.

დავით აღმაშენებელმა თავდაპირველად სულ 40000 «წყობად განმავალი რჩეული» მხედარი გადმოიყვანა «დედაწულითა მათითა» (იქვე,• 535, გვ. 302). ოჯახობით. ამას გარდა 5000 კაცი მონა-სპაში იყო, «ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი,

მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა (იქვე). მეფემ გადმოყვანილი ყივჩაყნი ყველანი ”განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა”; მისცა მათ დასახელებული ადგილი, ”დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა” (იქვე) და მათთვის განსაკუთრებული მართვა-გამგეობის წესი დასდვა: «დააწყუნნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი მმართებელნი» (იქვე •536, გვ. 302). ასე მოაწყო დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამხედრო საქმე: ამიერითგან მას ჰყავდა 45.000 მუდამ მზად მყოფი, გაწვრთნილი ცხენოსანი ჯარი; ხოლო როდესაც საჭირო იქმნებოდა მას შეეძლო აგრეთვე მოეწვია და შეეყარა «თჳისისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი»; (იქვე). ამგვარი მხედრობა სრულებით საკმარისი იყო, რომ საქართველო გარეშე მტრის შემოსევისაგან უზრუნველი ყოფილიყო და დიდებულს მეფეს საქართველოს საბოლოვო გაერთიანება განეხორციელებინა. ყივჩაყთა ლაშქრის გადმოყვანა, მათი დაბინავება საქართველოში, გაწვრთნა და დაწყობა უნდა 1118-1120 წ. მომხდარიყო. 1120 წელს საქართველოს ახალი სამხედრო ძალა ბრძოლისათვის უკვე მზად იყო და ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო კიდეც.

რაკი თავის წადილს მიაღწია და მუდმივი ჯარი გაიჩინა, დავით აღმაშენებელი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. თავი-და-თავი საქმე თურქების სრულიადი დამარცხება და განდევნა იყო. თურქების დასამარცხებლად მეფე თავის ნაცადს ხერხსა ხმარობდა: განზრახ, «განგებულებითა გარდავიდის აფხაზეთად და ჩამოიტყუვნნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკუარის პირისათა» (იქვე,•537 გვ. 303). და მერე უდარდელს მტერს უცბად თავს დაესხმოდა და მუსრს გაავლებდა ხოლმე.

ამასთანავე დავით აღმაშენებელმა ამიერითგან თვით ომიანობის წესიც შესცვალა და მოსაგერებელი ომის მაგიერ თითონ დაიწყო მტერზე იერშის მიტანა.

ყივჩაყების ლაშქრის მოწვევამ და მათმა დასახლებამ საქართველოში, საგანგებოდ გაწვრთნამ და მოწყობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს; სახელმწიფო მეტად გაამაგრა და გააძლიერა. როგორც ერთი არაბი ისტორიკოსის სიტყვებთგან ჩანს, დავით აღმაშენებლის გაწვრთნილი ყივჩაყთა ლაშქრის ნავარდობა მეზობლებს შიშის ზარსა სცემდა თურმე. მუდმივი ჯარის შემოღებას დავით აღმაშენებელს, მაშინ დიდგვარიან აზნაურთაგან ბევრი უწუნებდა, მაგრამ ვისაც ყივჩაყთა მუდმივი ჯარის მნიშვნელობის სრული და ჭეშმარიტი დაფასება სურს,იმას უნდა ისტორიკოსის სიტყვები მოვაგონოთ: «განიცადეთ ღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი» (იქვე, •537, გვ. 303), იმ ოთხი წლის სამხედრო ღვაწლი და ძლავემოსილება, რომელიც ყივჩაყთა ლაშქრის 1120 წ. გამოყვანის შემდგომ დავით აღმაშენებელმა 1125 წ-დე მოიხვეჭა.

1120 წელს, როდესაც «ქრონიკონი იყო 340» (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა, შეად. მ᾽მ დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ს, •537, გვ. 303, მეტადრე შენ. 12), დავით აღმაშენებლის გეგუთს გადავიდა, ხოლო იქითგან ხუფათს. თურქები შესცდნენ და «ცნეს რა სიშორე მისი» (იქვე,• 537, გვ. 303), იფიქრეს ეხლა-კი არა დაგვიშავდება რაო და «ჩამოდგეს ბორტიას»[369]. მეფეც ამას ელოდა: «ფებერვალსა იდ (14)-სა» საჩქაროდ გადმოვიდა «უცნაურად დაესხა მათ

[369] ასეა ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცის ხელნაწერში, მ᾽ მ დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ში სწერია «ბოტორიას», ქ᾽ ცა-ში «ბოტორას».

ზედა» ვინც გაიქცა, მხოლოდ ის გადარჩა; ქართველებმა «აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხუი» (იქვე, •537, გვ. 303-304).

გამარჯვებული მეფე აქეთგან აიყარა და სწრაფად მივიდა ღანუჯს და «მასვე შვიდეულსა, პირმარხუასა დღესა აღიღო შარვანის ქალაქი კაბალა»[370]. აქაც ქართველებს დიდძალი ოქრო-ვერცხლი და ყოველგვარი სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში (იქვე).

კაბალთაგან ქართლში დაბრუნებულს დიდხანს არ დაუსვენნია: «მაისსა შუიდასა» ის უკვე ხელმეორედ «ჩავიდა შარვანს» და მოარბია «ლიჟათით ქურდევანამდე და შიშტალანთადმდე»[371]. აქაც დიდი დავლა ერგოთ ქართველებს (იქვე, • 537-• 538, გვ. 304).

იმავე 1120 წ. «თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა» და დიდძალი ნატყვენავი წამოიღო შინ, მაგრამ საქართველოში მიმავალი «მგზავრ დაესხა სევგელმეჯს თურქმანთავე» და საშინლად დაამარცხა (იქვე, • 538, გვ. 304).

დადგა ზამთარი და დავით აღმაშენებელი «ჩავიდა აფხაზეთს ბიჭუინტადმდე და განაგნა საქმენი მანდაურნი». მეტად მკაცრი და თოვლიანი ზამთარი დაიჭირა; რაკი მოვიდა «თოვლი ფრიადი», თურქებს ისევე გაუხარდათ, მეფე შორს არის და ვერას დაგვაკლებსო. გათამამებულთ ძველი დრო მოიგონეს და «გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა» (იქვე). დავით აღმაშენებელს ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს. შეტყობისთანავე მეფე თვით აიყარა და აფხაზეთითგან წამოვიდა. თუმცა ლიხის გადმოსავალზე საშინელი თოვლი იდვა, მაგრამ არც ამ ბუნებრივმა დაბრკოლებამ შეაყენა სახელოვანი გვირგვინოსანი: მან «გარდაათხრევინა ლიხნი», გზა გააკეთებინა და საჩქაროდ ქართლში ჩავიდა, სადაც მას «დახუდა მზად სპა მისი». თავისი ერთგული მხედრობითურთ ხუნანში ქრონიკონსა 341 (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა), 1121 წელს, მარტში მტერს მიადგა და სადაც- კი დახვდა ყველგან ამოწყვიტა (იქვე, • 538 გვ. 305).

იმავე წელს, გაზაფხული რომ დადგა და მტკვარი მეტად მოდიდდა ისე, რომ წყალი «ნადინებსა ვეღარ დაეტია», ამ წყალდიდობის იმედით «ჩადგეს თურქმანნი ბარდავს» გულდამშვიდებით; მაგრამ მეფე დავითი არც წყალდიდობას შეუშინებია და ივნისში «ალონს მტკუარსა გაცურდა» ყივჩაყთა ლაშქრიურთ, თურქნი დაამარცხა და ძლევამოსილი დიდის ალაფით დატვირთული შინ დაბრუნდა (იქვე), •539, გვ. 305).

როცა დავით აღმაშენებელმა საქართველოში და მის მახლობლად მცხოვრები თურქმანები მრავალგზის ზედიზედ დაამარცხა და მათ ნავარდობას ბოლო მოუღო, «ამათ ესე ვითარცა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძა-ტფილელ-დმანელნი წავიდეს სულტნისა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა... და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღზრნეს წყალობად თჳსა და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა. მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს სადაყას ძესა და მოსცა ძე თჳსი მალიქი და ძალი მისი (იქვე,•539, გვ. 305).და აჩინა სპასალარად ელღაზი[372] ძე არდუხისი... და უბრძანა თურქმანობასა, სადაცა-ღა ვინ იყო - დამასკოით და ჰალაბით-გან ამოღმართ ყოველსა მკედრობად

[370] ასეა მ᾽მ დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ში, ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცი-ში სწერია «ყაბა», ქ᾽ ცა-ში «ყაბალა».

[371] ეს სახელები ყველა ხელნაწერებში დამახინჯებულია: ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ში სწერია «არბიალით: ჟაით... ხიტალანთამდე».

[372] ასე სწორად სწერია ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ში, მ᾽მ დ᾽ფს ქ᾽ცა-ში შეცდომით «ელიაზი».

შემძლებელსა, ამათთანა ათაბაგსა განძ[ის]ასა მისითა ძალითა ყოვლითა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმ(ე)ოცდა ერთი[373]. შეკრბეს ეს ყოველნი, შეითქუნეს და შემტკიცდეს სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანა, და აგვისტოსა თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა» (იქვე),• 539, გვ. 306). ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობები ყოველმხრივ საუცხოვოდა მტკიცდება არაბი ისტორიკოსის იბნ ალასირის მოწმობით. არაბი ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ ქართველები მაჰმადიანთა ქვეყანას არბევდნენ, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც სულტანი მუჰამმედი გადაიცვალაო. 514 წ. ჰიჯ. (1120-21 წ.) ისინი ყივჩაყებითურთ თავს დაესხნენ მაჰმადიანებს. ქართველთა მეზობელმა ამირებმა ერთიერთმანეთს დახმარება სთხოვესო[374]. მაშასადამე, იბნ ალასირიც ადასტურებს რომ, რაკი თურქები ქართველების მიერ დამარცხებული და შევიწროებული იყვნენ, მათ და ქართველთა მოსაზღვრე მაჰმადიანებმა პირი შეჰკრეს, რომ მაჰმადიანთ ერთი-ერთმანეთის დახმარებით საქართველოზე გამოელაშქრათ. არაბ ისტორიკოსის მოწმობითაც მტკიცდება, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის მოთხრობა მაჰმადიანთა ამ შეერთებული ლაშქრობის მონაწილეთა შესახებ სწორია; მართლაც, ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღიათ დუბეიზს სადაყას ძეს (II, 1108-1135), ამირა ელღაზის, სულტანს მელიქ-თოღრილს მუჰამმედის ძეს და ათაბაგს: შეერთებული ლაშქარი, რომლის რაოდენი 30000[375] უწევდაო, თბილისს მიუახლოვდა (იქვე, 479).

მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ც მაჰმადიანთა ამ შეერთებული ლაშქრობის მონაწილედ იხსენიებს სულტანს მელიქს (**სომხური**), ღაზი არდუხის ძეს[376] (**სომხური**), დუბეიზს სადაყას ძეს. მოკავშირეთა ძლიერი და მრავალრიცხოვანი (მათე ურჰაელის სიტყვით მაჰმადიანებს ვითომც 400000 ჰყოლიათ) ლაშქარი შემოესია საქართველოს თბილისის სანახებში და სომეხთა მემატიანის სიტყვითაც დიდგორის მთაზე დაიბანაკა[377].

მათე ურჰაელის სიტყვით დავით აღმაშენებელმა მტერს მიაგება ქართველთა გულად და გამოცდილ მეომართაგან 40000 მხედარი, ყივჩაყთაგან 15000, ალანთა ჯარითგან 5000 და 1000 ფრანგი მეომარი (იქვე გვ. 438); მაშასადამე, ქართველებს სულ ჰყოლიათ 61000 ჯარისკაცი.

ქართველი ისტორიკოსის ამ ლაშქრობის დასასრულის აღწერილობაც მთლადა მტკიცდება იბნ ალასირის მოთხრობით. მაჰმადიანთა მხედრობის წინააღმდეგ "მეფემან დავით, უ შ ი შ მ ა ნ დ ა ყ ო ვ ლ ა დ უ ძ რ ა ვ მ ა ნ გ უ ლ ი თ ა ...წინაგანაწყო სპა თ·ჯსი და ... ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო,... რომე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო და... პირველსავე ომსა სივლტოლად მიდრკიან... და მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი,... მეოტთა ვითარ სიმარჯ·ჯთა და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღრენი მძორებითა"(ც᾽ა მ᾽ფსა

---

[373] ეს ქრონიკონი ანა დ᾽ ფს ქ᾽ ცა-შია, მ᾽მ დ᾽ ფს ქ᾽ ცა-ში არ არის.

[374] M. Defremery, Frag., გვ. 478-479

[375] არაბულს დედანში ნათქვამია მხოლოდ ათასი, ხოლო ათასის რაოდენობა აღნიშნული არ არის; დ ე ფ რ ე მ ე რ ი ს 30000 აბულ ფარაჯისდა მიხედვით აქვს აღდგენილი (Frag, გვ. 483, შენ. 7), მაგრამ თავდაპირველს იბნ ალასირის დედანში იქნებ 300.000, ან 400.000 იყო, როგორც მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ს ა აქვს მოხსენებული.

[376] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ს ისტორიაში შეცდომით ნათქვამია (სომხური) ამ შეცდომის შესახებ იხ. სამართლიანი შენიშვნა 266 (ისტორიის, გვ. 575).

[377] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ს ისტორია, გვ. 437-438. სომხურად სწერია (სომხური) (გვ. 438), მაგრამ ცხადია, რომ თავდაპირველად ეწერებოდა (სომხური) და მერმინდელ გადამწერებს დაუმახინჯებიათ.

დ᾽სი,●539—●540,გვ.306). არაბი ისტორიკოსიც ამბობს, რომ ბრძოლა თბილისის მახლობლად მომხდარა. ორივე მოპირდაპირე მხედრობა რომ საომრად გამწკრივდა, ქართველთა მხრით 200 ყივჩაყი წამოვიდა თურმე და მაჰმადიანთ რაზმისკენ გაემართა; მაჰმადიანი ეგონათ, ყივჩაყნი ალბათ შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. მაგრამ ისინი უეცრად მაჰმადიანთა ჯარში შეიჭრნენ და ხოცვა დაუწყეს[378]. სწორედ ეს გაბედული სამხედრო ხერხი, რომლის მოწყობისა და განხორციელებისათვის დიდი ხასიათის სიმტკიცე იყო საჭირო, აქვს ალბათ ნაგულისხმევი დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს, როცა იგი მეფეზე ამბობს "უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა" საქმე "წყნარად და უშფოთველად" განაგოო. ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ც არა მალავს, რომ მაჰმადიანნი მართლაც, როგორც ქართველ ისტორიკოსსა აქვს ნათქვამი, "პირველსავე ომსა სივლტოლად მიდრკიან" და გაქცეულთაგან მრავალი დაიხოცა, და ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს, ხოლო ქართველთა მხედრობამ 10 ფარსახის მანძილზე უკანა სდია თავზარდაცემულ მტერს და ამ დროს მაჰმადიანთა უმეტესი ნაწილი დაიღუპა, 4000 კაცი-კი ქართველებს ჩაუვარდათ ტყვედ[379].

მათე ურჰაელის სიტყვით იმ საშინელს ბრძოლაში და ომში, რომელიც 15 აგვისტოს მომხდარა, დახოცილ-დატყვევებულ თურქთა რიცხვი დიდძალი ყოფილა[380].

საყურადღებოა რომ ქართველი ისტორიკოსიც (1121წ.), იბნ ალასირიც (1120-1121 წ.)[381], მათე ურჰაელიც (1121 წ.)[382], ერთხმივ, 1121 წელს სდებენ თარიღად. ამასთანავე, როგორც ჩანს, მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქარი დიდგორში 12 აგვისტოს მოსულა, ხოლო 15 აგვისტოს მომხდარა ის ომი, რომელშიც მეფე დავით აღმაშენებელმა გაიმარჯვა.

ქართველებს ამ გამარჯვების შემდგომ დიდძალი დავლა ერგოთ: "ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა და სარა-ფარდებითა და სხუითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თ᾽ჯთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკვანთათა, სასმურთა ტურფათა და სა[ნ]ადიმოთათა საბანელთა და სამზარეულოთათა, (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსი,●540,გვ.307).

ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრის დამარცხებამ დაამტკიცა რამდენად გამაგრდა და გაძლიერდა საქართველო; ამასთანავე რაკი თურქები ასე ბრწყინვალედ ძლეულ იქმნენ, მტრები წინანდებურად საქართველოს აბუჩად აგდებას ვეღარ გაბედავდნენ.

რაკი მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობა დამარცხებული იყო, ეხლა თბილისის ამირას ყოვლის მხრით სახსარი მოსპობილი ჰქონდა. ამიტომ "მეორესა წელსა (1122წ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა"-ო (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსი,●541,გვ.308) და იბნ ალასირიც მოწმობს, რომ ქართველებმა მაჰმადიანთა დამარცხებული და ოტებული ლაშქრის უკან დევნას თავი დაანებეს და ქალაქ თბილისს გარშემოერტყნენ. ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა მეტად მძიმე შეიქმნა. ტფილისის გარემოცვა 515 წლამდე ჰიჯ. გაგრძელდა, როდესაც ქალაქი აღებული იქმნაო, მოგვითხრობს არაბი მემატიანე[383].

---

[378] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 479.
[379] იქვე. 479-480.
[380] მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი ს ისტორია, გვ. 438-439.
[381] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag ., 479-480.
[382] ისტორია, გვ. 436.
[383] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 480.

ქართველს ისტორიკოსს აღტაცებით და სიამაყით აღნიშნული აქვს, რომ მეფემ საქართველოს დედაქალაქი "ოთხას წელქონებული სპარსთა" მტერს ხელითგან გამოჰგლიჯა და "დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ, ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი"[384] (ცა მ´ფსა დ´თსი,●541,გვ.308) ანუ 1122 წ. რაკი ტფილისელები გაშმაგებით მეფეს წინააღმდეგობას უწევდნენ, იგი თურმე გაჯავრებულ გულზე ჯერ მკაცრად მოჰპყრობია ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ მერე, როდესაც გულის წყრომა დაუცხრა, ტფილისის მკვიდრთათვის ბევრი წყალობა უქმნია.

დავით აღმაშენებელმა თურმე მაჰმადიანებს სხვადასხვა უპირატესობა მიანიჭა: ბრძანება გასცა რომ ტფილისში ღორი არავის დაეკლა, მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსარების სრული თავისუფლება მიანიჭა და დააწესა, რომ საზოგადო აბანოში იმ დროს, როდესაც მაჰმადიანები იქ იყვნენ, ქართველები არ შესულყვნენ[385]; მაშასადამე, ქ.თბილისი საქართველოს კვლავ შემოუერთდა 1122 წელს; არაბი ისტორიკოსებიც, მათე ურჰაელიც (გვ. 436, 439)) ამავე (1121–1122 წ.) თარიღს ასახელებენ.

1123 წელს მეფე დავითს უნებლიედ შირვანში გალაშქრება მოუხდა. თბილისის აღების "მეორესა წელსა (1123 წ.) მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვან-შაჰი, აიღო შამახია, მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, ეყუედრა წიგნითა ვითარმედ: "შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერაოდეს გამოხუალ ველთა; მე ესე რა შარვან-შაჰ შევიპყარ და ხარაჯასა ჩემსა ვითხოვ, შენ თუ გენებოს ძღუენი გამოგზავნე[თ] თქუენ და სამალავთათ გამოსრულმან მნახე". (ცა მ´ფსა დ´თსი,●541-●542, გვ. 308) ესე რა ესმა მეფესა, მყის ჴმა უყო ყოველთა სპათა თჳსთა და უმყისს სიტყჳსა მოვიდეს ყოველნი წინაშე სამეფოსა მისისანი და წარმოემართა სულტანსა ზედა. ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყუნეს მაშინ და იპოვა მ´ი ჩ´ სი (50000). ეუწ.ა რა სულტანსა ზედა-მისვლა, ძალი და სიმრავლე სპათა, განკრთა და აიყარა ველთათ, სადა დგა, და შეივლტოდა ქალაქად და გარემოიზღუდა... ესე რა ცნა მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა მისლუა მტოლვარისა... და ადგილობანსა დადგა. მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა... არღარა ძღუენი და ომი ითხოვა (იქვე,●542,გვ.309), არამედ გზა სავლტოველად ფრიად რამე სიმდაბლით და არა-სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურვილითა... მასვე ღამესა გაიპარა და ... სხვით გზით წარვიდა სოფლად თჳსად. ესრე ძლევა-შემოსილი... შემოიქცა მეფე"-ო (იქვე,542–●543, გვ.310). ამავე ამბავს არაბი ისტორიკოსი ასე მოგვითხრობს: იბნ ალასირის სიტყვით როცა სულტანი ქართველების წინააღმდეგ წამოსულა, ვითომც ქართველები უკვე შამახიაში ყოფილიყვნენ. მაგრამ აღნიშნული აქვს, რომ სულტანმა დაიბანაკა იქვე ქალაქის მახლობლად ერთს ბაღშიო. ქართველები მას წინ დაუდგნენ და მუსულმანთა ლაშქარი დიდმა შიშმა მოიცვაო. ვაზირმა შემს-ულ-მულკ ოსმანმა, ნიზამ ულ-მულკის შვილმა, სულტანს ურჩია ზღუდეში შესულიყო და ისე დაეწყო ომი. როცა ეს შარვანელებმა შეიტყეს, სულტანთან მივიდნენ და უთხრეს: "ჩვენ ვიომებთ იმ პირობით-კი. თუ შენ ჩვენს გვერდით იქნები; მაგრამ თუ შენ მიგვატოვებ, მუსულმანები სასოებას წარიკვეთენ და დაიღუპებიანო". სულტანმა შეისმინა მათი ვედრება და ადგილითგან არ დაიძრა. მაჰმადიანთა ლაშქარმა ღამე დიდ შიშში გაათენა, თუმცა გადასწყვიტეს მტერს შეჰბმოდნენ. მაგრამ ღმერთმა

[384] ეს თარიღი მხოლოდ ანა დ´ფს ქ´ცა-შია.

[385] იხ. არაბ ისტორიკოსთა ცნობები ამის შესახებ დეფრემერის Frag.,გვ. 480 და 484—486.

განსაკუთრებული სიხარული მოუვლინა: მან ქართველთა და ყივჩაყთა შორის უთანხმოება და უსიამოვნება ჩამოაგდო, და სწორედ იმ ღამეს ერთი-ერთმანეთს დაერივნენ და იქითგან ვითარცა ოტებულნი აიყარნენ. ამგვარად ღმერთმა იხსნა მუსულმანები ომისაგან. სულტანი ცოტა ხანს დარჩა შარვანში, ხოლო მერე ჰამადანისაკენ გასწია და თვესა ჯუმადს მეორესა (აგვისტოს 1123 წ.) მივიდა იქ[386].

იბნ ალასირის აღწერა ბუნდოვანია და ამის გამო ძნელი გასაგებიცაა. ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს, რომ სულტანის ჯარს ეშინოდა ქართველთა მხედრობისა, არც თითონ სულტანი და მისი ვაზირი ყოფილან გულადები. ამიტომ ქართველი ისტორიკოსის ცნობა, რომ სულტანი "აიყარა ველთათ, სადა იგი დგა, და შეივლტოდა ქალაქად და გარემოიზღუდა", ვგონებ უფრო სიმართლეს უნდა უახლოვდებოდეს. ამას გარდა თუ იბნ ალასირის სიტყვით სულტანს ვაზირი ურჩევდა თავის ადილითგან აყრილიყო და ზღუდეში შეხიზნულს ეომნა, ეს ამტკიცებს, რომ შამახიას ზღუდეები სულტანის ხელში ყოფილა; მაშასადამე, ამით მტკიცდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობის სიმართლე, რომ სულტანმა ჯერ შამახია აიღო, ხოლო მერე განიზრახა ქართველებთან ომი, როგორც ქართველისა, ისე არაბ ისტორიკოსის აღწერითგან ჩანს, რომ ომი არ მომხდარა: პირველი ამბობს შეშინებული სულტანი შევიდა შამახაიში და შემდეგ ილაჯგაწყვეტილი ჩუმად გაიპარა სპარსეთშიო; მეფე დავითი საქმის ასე დაბოლოვებისათვის ღვთისადმი მადლობის შემწირველი სამშობლოში დაბრუნებულა, არც მტერს გამოსდგომია, არც შამახიის აღებასა ცდილა. მეორე ავტორიც თავის მხრივ ამბობს თავზარდაცემული მაჰმადიანთა ლაშქარი ღმერთმა ომს გადაარჩინა, ქართველ-ყივჩაყთა უთანხმოების გამო ჯარი აიყარა და თავის ქვეყანაში წავიდაო. არც სულტანი გამოჰკიდებია მიმავალს მხედრობას, თუმცა იგი ქართველების დასამხობად იყო მოსული და ამგვარი შეუბმელობა სულტანს და იბნ ალასირს მაჰმადიანთ გამარჯვებად მიაჩნიათ.

ამ ორნაირი მოთხრობის შეთანხმება მხოლოდ ასე შეიძლება: არაბ ისტორიკოსის ცნობა, რომ ამ დროს ქართველთა და ყივჩაყთა შორის უსიამოვნება ჩამოვარდნილა, შეიძლება მართალი იყოს; იქნება სწორედ ამით აიხსნება, რომ 50000 ჯარის კაცის პატრონი დავით მეფე ქართველი ისტორიკოსის მოწმობითაც სულტანს არ შეებრძოლა, არ დაედევნა და ქ. შამახიას აღებას არ შეეცადა; იქნებ ამითვე უნდა აიხსნებოდეს, რომ დავითს ამ ქალაქის ასაღებად ხელმეორედ მოუხდა შარვანში გალაშქრება. ცხადია მხოლოდ, რომ ქართველთ-ყივჩაყთა უთანხმოება იმდენად დიდი არა ყოფილა, რომ შეშინებული სულტანი და მისი ლაშქარი გაემხნევებინა და გამბედაობა ჩაენერგა. ქართველი ისტორიკოსის დაწვრილებითი აღწერილობითა მტკიცდება, რომ არაბ მემატიანეს თავის მოთხრობაში ორ-სამ ლაშქრობის ამბავი აქვს შეერთებული და გადახლართული. იბნ ალასირის ცნობითგანა ჩანს, ვითომც სულტანის ლაშქრობა მომხდარიყოს1123 წ. აგვისტოში. ქართველი მემატიანე-კი ამბობს სულტანმა აიღო შემახია და ქართველების დამარცხებას აპირებდა 1123 წ. მაისში, მაგრამ ამაოდო; მეორედ დავითმა შარვანში გაილაშქრა და გულისტანი აიღო ამავ წლის ივნისში (ცა მ ფსა დ სი,●543;გვ.310), ხოლო მესამედ იმავ წლის აგვისტოს დამლევს "აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბიკირტი და სრულიად ყოველი შარვანი" (ცა მ ფსა დ თსი,●544,გვ.311), თვე აგვისტო იბნ ალასირის თარიღს უდგება, მაგრამ ამ დროს სულტანი არ ყოფილა.

დავით აღმაშენებელი თავის მეფობის უკანასკნელს წლებში თითქმის განუწყვეტლივ ომობდა, თითქოს ცდილობდა რომ საქართველოს სრულიადი

[386] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 487–488.

გაერთიანება და გაძლიერება საჩქაროდ დაემთავრებინა. იმავე 1123 წ. დაუღალავი მეფე "მარტო გადავიდა ქართლად და აღიღო ქალაქი დმანისი და აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა და ამოსწყჳდნენ ქურდნი ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აიხუნეს შარვანისა ციხენი ღასოსნი (ანა დ᾽ფს ქ᾽ცა-ში "ღასანნი") და ხოზორდი (ანა დ᾽ ფს ქ᾽ცა, ხოზაონდი) და მიმდგომი მათი ქუეყანა"-ო (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსი,●543,გვ. 310). დმანისის აღებას მათე ედესელიც იხსენიებს (გვ. 447); იგივე ამბობს, რომ საქართველოს მეფემ შაქი და შირვანი დაიპყრაო (იქვე); დარუბანდელი მთავრის დამარცხება და შარვანის 2 ციხის აღება ქართველთა მიერ მოთხრობილი აქვს იბნ ალასირსაც: 517 წ. ჰიჯ-(1123 წ.) ქართველებმა წინანდელზე ერთი-ორად უფრო მეტი ზარი მიაყენეს მუსულმანთა ქვეყანას. ეს ძნელი ასატანი იყო ხალხისათვის, განსაკუთრებით დარუბანდელთათვის შირვანშიო, მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი[387].

შირვანში და რანში რომ ლაშქრობას მორჩა, დავით აღმაშენებელმა იმავე 1123 წ. "მაისსა აიხუნა სომხითისა ციხენი" გაგნი, ტერუნაკალი, ქავაზნი, ნორ [ა]ბე[რ]დი, მანასგომნი და ტალინჯაქარი და ივნისს წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა-კარნიფორი, ბასიანნი სპერამდინ და რაცა პოვა თურქმანნი მოსრნა და ტყუე ყო, ჩამოვლო ბუიათაყური და დაწუნა ოლთისნი და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა" (ც᾽ამ᾽ფსა დ᾽თსი,●543–544, გვ.310-311).

ამ ცნობასაც ამოწმებენ სომეხი ისტორიკოსები ვ ა რ დ ა ნ ი დ ა ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი; პირველი სახელდობრ ამბობს, რომ დავითმა თავისი საბრძანებელი გააფართოვა ოლთისისა და მის მიმდგომ ქვეყნის გაგისა, ტერუნაკანისა, მანკაბერდისა და სომხითის უმეტეს ნაწილის დაპყრობითა[388]; ხოლო მეორე ტავუშის, გაგისა, ტერუნა-კანის და ლორეს და ანი. შემოერთებას იხსენიებს[389].

ახლად დათხოვნილს ჯარს ჯერ კიდევ ხეირიანად არც-კი დაესვენა, რომ იმავე 1123 წელს "აგვისტოსა კ(20)მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთანი, მოაკსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა"; მეფემ საჩქაროდ ლაშქარი შეჰყარა და სამს დღეში მას უკვე "სამეოცი ათასი წინაშე უდგა; წარემართა, მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად... წარმოიყუანა (ა)ბულასვა (რ) რვათა ძეთა მისთა თანა... და ჩაგზავნა აფხაზეთს და ანისის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი»-ო (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსა,●544,გვ.311). ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობაც საუცხოოდა მტკიცდება სომეხთა ისტორიკოსების მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ს ა დ ა ვ ა რ დ ა ნ ი ს მოწმობით; მათე ამბობს, რომ ქართველთა მეფემ დავითმა «აიღო სომეხთა სამეფო ქალაქი ანისი და მანუჩეს შვილები წამოიყვანა ანისითგან ტფილისში და განათავისუფლა სამეფო ქალაქი ანისი, რომელიც 60 წლის განმავლობაში მონობაში იყო»-ო[390], ვარდანის მოთხრობა უფრო ვრცელია და ქართველი ისტორიკოსის ცნობებს უკეთ ამოწმებს: «ამ დროს (ე. ი. დავით აღმაშენებელის მეფობაში) რაკი ანისის ამირა მანუჩე მოკვდა, ქალაქს ჰფლობდა მისი შვილი აბლსოვარ, მხდალი და ლაჩარი ადამიანი, რომელსაც უნდოდა ანისი კარის ამირასთვის მიეყიდნა 60000 დინარად; აგრეთვე ხლათითგან ერთი ძვირფასი და საუცხოო ნალი (მთვარის სახე)

---

[387] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 487. გასაოცარია, რომ ბ რ ო ს ე ს დეფრემერის აზრი, რომელიც არაბ ისტორიკოსის ამ ცნობის მიხედვით ამტკიცებდა დავით აღმაშენებელს დარუბანდში ძლევამოსილებით უომნიაო, საეჭვოდ მიაჩნია და ამბობს, შესაძლებელია, მაგრამ ქართველი მემატიანე ამაზე არას ამბობსო (Addit., 243).

[388] **(სომხური)** მოსკოვის 1865 წ. გამოცემა გვ. 157.

[389] მოსკ. გამ., 277.

[390] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი , ისტორია, იერუსალიმის 1869 წ. გამ., 451.

მოატაინა, კათოლიკე-ეკლესიითგან ჩამოაღებინა წინაპართა მიერ აღმართული (ჯვარი) და გუმბათზე გააკეთებინა. ამით გულმოსულმა ქრისტიანებმა დავით მეფე მიიწვიეს და ქალაქი ანისი მისცეს... მეფემ ანისში აბულეთი და მისი შვილი ივანე დაუტევა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ხოლო აბლსოვარი შვილებითურთ თან წაიყვანა»-ო[391]. მათე ურჰაელი ანისის დაპყრობის თარიღად შეცდომით 1124 წელსა სდებს (გვ.448 და 451), სტეფანოს ორბელიანი-კი ქართველ ისტორიკოსსავით 1123 წელს (გვ.277).

ქ. ანისის მაჰმადიანთა ბატონობისაგან განთავისუფლება დავით აღმაშენებელს დიდის ამბით უდღესასწაულია. მათე ურჰაელის სიტყვით, როდესაც საქართველოს მეფემ მეფეთა საჯდომი ქალაქი ანისი, რომელიც სამოცის წელიწადის განმავლობაში მონობაში იყო, და ანისის სახელოვანი და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, რომელიც მიზგითად იყო ქცეული, განათავისუფლა, მან სომეხთა ეპისკოპოსნი და ხუცესნი და მოწესენი შეკრიბა და აკურთხა წმიდა კათოლიკე დიდის ზეიმითა»-ო[392]. ამგვარივე, მაგრამ უფრო ვრცელი მოთხრობა შენახულია ამ საგანზე ერთს ქართულს საისტორიო წყაროში, რომელიც სხვადასხვა ძველი თხზულებებითგან ამოკრეფილ ცნობებს შეიცავს. იქ სახელდობრ ნათქვამია: »ამავ ქრონიკონსა სამას ორმოცდა სამს (=1123 წ.) წაუღო მანვე (დავით) აღმაშენებელმან ანის(ის) ქალაქი ალფარსლანიანთა და მოსწყვიტნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მიძგითად მოეკაზმა და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ. იმუქაფა ღმრთის-მოყვარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო, საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს კატრონიტეს, და იქი ესაფლავა. მივიდეს მეფე და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი. დედოფლისა საფლავსა, ახლად წესი აუგეს და თვითან მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახნა: »გიხაროდენ, შენ დედოფალო, რამეთუ იკსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჯელთაგან»[393].

ანისის აღების შემდგომ დავით მეფემ «ანისის მცუელად დაუტევნა აზნაურნი მესხნი და წამოვიდა ქართლად» (ცა მ´ფსა დ´თსი,●544,გვ. 311). აქ ცოტას ხანს თავისი ჯარი დაასვენა და მერმე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, »წარემართა შარვანს, აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბიკირტი და სრულიად ყოველი შარვანი». დაპყრობილი ქვეყნის მცველად «დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი ჰერნი და კახნი»; ხოლო «გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ ჭ.ონდიდელი მთავარეპისკოპოსი მაშინ ბედიელ-ალავერდელი» (იქვე,●544,გვ.311).

ამას რომ მორჩა ეხლა «ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთრო სადგური და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი» (იქვე●544-●545, გვ.312) და სამზადისში იყო იმიტომ, რომ «ეგულებოდა გაზაფხული (1124 წ.) ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა» (იქვე ●545. გვ.312)[394]. საქართველოს მეზობლებს ეს არ

---

[391] ვ ა რ დ ა ნ ი , მსოფლიო ისტორია, მოსკ. გამ.,1861, გვ. 156-157.

[392] მ ა თ ე უ პ ჰ ა ე ლ ი ს ისტორია, 451-452.

[393]“მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან”, ე. თაყაიშვილის გამოც., იხ. ძველი საქართველო, II, [ტფილისი], 62.

[394] ამიერ-კავკასიითგან საქართველოში რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ჯარის შესაქმნელად ყივჩაყნი გადმოასახლა, საისტორიო წყაროებში მათი დაბინავების ადგილი არსად აღნიშნული არ არის. ამიტომ ასეთი დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი გამოურკვეველია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი გაკვრით მოყვანილი ცნობა ამ საკითხის გამორკვევის საშუალებას გვაწვდის. მას ნათქვამი აქვს: მეფე «მოვიდა ქართლად და ყივჩაყთა თჳსთა უჩინა

გამოეპარებოდათ და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ, რომ განსაცდელი თავითგან აეცდინათ: «ამისთ᲼საცა ზედას-ზედა წარმოავლენდეს მოციქულთა ძღუენითა მომშუიდებად პირსა მისსა და წარმოცნის საჭურჭლენი მძიმენი ტურფანი მრავალ-ფერნი, მფრინველნი და ნადირთა უცხონი და ძვირად საპოვნელნი და ეძიებენ მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთა- გან არა რბევასა» (იქვე). ამ სამზადისში და მეზობელ ხელმწიფეთა მოციქულთა და მეძღვნეთა მიმოსვლაში დაილია 1124 წ. და საქართველოს მბრძანებელს «აქუნდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა» (იქვე,●564, გვ.332). დადგა 1125 წელიც, როდესაც დიდებული მეფე ალბათ იმ «დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა» განხორციელებას უნდა შესდგომოდა, რომელთა ქმნაც «ეგულებოდა», მაგრამ «დიდმან წინაგამგებელმან ცხოვრებისა ჩუენისამან... რომელი მან უწყის და განაწესებს ჟამთა წელთა ჩუენთა». სხვაფრივ განაგო და «ჟამსა ზამთრისასა არა გარეგან სადმე ნაკიდურსა, არამედ საშუალ თ᲼სთა სამეფოთა ადგილთა» (იქვე) ქ. ტფილისში[395] საქართველოს გმირის მრავალნაყოფიერი და მშვენიერი ცხოვრება შესწყდა: «იყო მაშინ თთუე იანვარი: კ᲼დ:—(24) და დღე შაბათი ოდეს ქრონიკონი იყო:—ტ᲼მ᲼ე:»—(345) ანუ 1125 წ. ქ. შ. (იქვე ●566, გვ.334).

ბ) დავით აღმაშენებლის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტურო მოღვაწეობა

საზამთრო სადგური და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი და განაგო ყოველი საქმე ქართლისა»-ო (ც᲼ა მ᲼ფსა დ᲼ვთსი, ●544-●545, გვ. 312). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაყებისათვის საზამთრო სადგომი ქართლში მიუჩენია. ისტორიკოსისაგან ნახმარი გამონათქვამი »ს ა ზ ა მ თ რ ო სადგური» გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყებს «საზაფხულო სადგური»-ც უნდა ჰქონოდათ. ეს გარემოება არც გასაკვირველია, რათგან ყივჩაყნი, ვითარცა უმთავრესად მესაქონლეობას მიმდევარი ხალხი სამშობლოშიაც საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს იქმნებოდნენ მიჩვეულნი. ამიტომ სანამ საქართველოში მიწათმოქმედებას გაიხდიდნენ თავიანთი არსებობის მთავარ წყაროდ და მკვიდრ ბინადრობას მიეჩვეოდნენ, მანამდის მათთვის ზამთრისა და ზაფხულისათვის ცალცალკე სადგომები აუცილებელი იქმნებოდა. მაგრამ რაკი საზამთრო სადგურისათვის მოსახლეს შენობები სჭირდება, ამიტომ სწორედ ეს საზამთრო სადგომი ხდება ხოლმე თანდათანობით მკვიდრ მოსახლეობის წესის შემთვისებლისათვის მის მუდმივ სამოსახლო ადგილად. ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელს ჩრდილოეთითგან გადმოყვანილი ყივჩაყნი ქართლში დაუსახლებია.

ბაგრატ IV მეფობის ბოლოს და გიორგი II მთელი მეფობის განმავლობაში გარეშე მტრის, სელჩუკიანი თურქების, შემოსევის წყალობით აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობა ძალზე დაზიანდა და შეთხელდა, მეტადრე ქართლი იყო აოხრებული ამიტომ დავით აღმაშენებლის მხრით სრულებით ბუნებრივი იყო, რომ იმიერ-კავკასიითგან გადმოყვანილი ყივჩაყნი სწორედ იქ დაესახლებინა, სადაც საქართველოში ბინადრობის ნაკლებობა ყველაზე უფრო საგრძნობი იყო. მარტო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც რომ შეეხედა ადამიანს, ქართლში მოსახლეობის შეთხელება დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. იმას გარდა, რომ ეკონომიურ-ფინანსურადაც საქართველოს სახელმწიფოსათვის ეს გარემოება მეტად საზარალო იყო, ზემო აღნიშნულ გარემოებათა გამო, საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებლისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის მოსაზრებასაც უნდა ეკარნახა, რომ ჩრდილოეთითგან გადმოყვანილი ყივჩაყები სწორედ ქართლში დაესახლებინა. ამით საქართველოს ამ შუაგულის ნაოხარი ადგილების გაკაცრიელება შეეძლო და ბრძენი მეფის ისტორიკოსსაც დავითის მრავალ სხვა ღვაწლთა შორის აღნიშნული აქვს, რომ მან მაშინდელ საქართველოში «აღაშენა ყოველი ოჯერ-ქმნილი» (ც᲼ა მ᲼ფსა დ᲼თსი, ●545, გვ. 312; ანასეული ქ. ცხ.,გვ. 221).

[395] ვ ა რ დ ა ნ ი ს ისტორია, მოსკ. გამ., 1861, გვ. 157.

დავით აღმაშენებელს თავისი თავი «უსწავლელ», «მსოფლიონ» და «მკედრობათა შინა აღზრდილ» კაცად მიაჩნდა (ცა მფსა დთსი,●559, გვ. 326—327), მაგრამ რასაკვირველია ეს თავდაბლობით მოსდიოდა, თორემ ნამდვილად იგი ნასწავლი და განათლებული ადამიანი ყოფილა; მხოლოდ როგორც მას შეჰშვენიდა კიდეც საეკლესიო ღვთისმეტყველების მაგიერ საერო მეცნიერება ჰქონია შეთვისებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელი, როგორც მისი საკუთარი სიტყვებითგანაც ნათლადა ჩანს, თურმე სხვათა შორის ვარსკვლავთ-მრიცხველობის მცოდნე ყოფილა. ერთს თავის თხზულებაში დიდებული გვირგვინოსანი ამბობს: »ზენაჲსა მოძრაობისა ასურასტანელი ზმნობაჲ და ცთომილთა ვარსკვლავთა და უცთომელთა კრებაჲ (და) განყრაჲ, სუᲑ და ბედი და შობის დღე» ვიციო[396]. შავთელსაც მეფე დავითის შესახებ ნათქვამი აქვს:

იკითხვენ, სწერენ
თაყუმსა სჩხრეკენ
რომლს ჰკვრენ, არჩევენ
ბედთა მათთა-გან[397].

მეფემ

უწყის ყოველნი
ჟამნი და წელნი,
შეყინვა ნივთთა
ცით მომგვრგვლებულთა[398].

იგი ბუნებითაც უხვად ყოფილა დაჯილდოვებული და მთელს თავის თავისუფალს დროს სიკვდილამდე წიგნების კითხვას და გონებრივ მუშაობას ანდომებდა. კითხვა ფიქრი იყო «მისსა საზრდელ... შუება და განცხრომა, საწურთელ და სარგებელ» (ცა მფსა დთსი,●547, გვ.314—315). დიდებულ მეფისათვის წიგნები აუცილებელი სულიერი საზრდო იყო; »შემდგომად სერობისა ნაცულად ძილისა ანუ სხუასა რასამე საქმისა» ჩვეულებად ჰქონდა «კითხუა წიგნთა»; ამასთანავე წიგნები ყველგან თან დაჰქონდა ხოლმე «დღე და ღამე მიმოსვლათა შინა მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტᲯრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და, სადა გარდაკდის ჰონესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან კელითა» (იქვე, ●547, გვ.315). ნადირობის დროსაც-კი საკითხავი წიგნები თან ჰქონია (იქვე,●548, გვ.315). არამცთუ ქართული საერო მწერლობა, არამედ მან «საღმრთონი წერილნი»-ც... «მდიდრად შეიკრიბნა რაოდენნი პოვა გარდამოღებულად ენასა ქართულსა სხუათა ენათა-გან ძუელნი და ახალნი ვითარცა სხუამან პტოლემეოს» (იქვე,●547,გვ.314) და სტკბებოდა მათის კითხვით.

გასაოცარი ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს საუცხოვოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც. მუჰამმედი ალ-ჰამავი ამბობს, რომ მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც-კი ეკამათებოდა, თუ კურანი როგორ და საითგან წარმოსდგაო[399].

---

[396] «გალობაი სინანულისანი», ქკბი, II, 104.
[397] ნ . მ ა რ ი , TP, IV, [СПб., 1902], გვ. იბ, 17.
[398] ი ქ ვ ე , გვ. მგ, 69.
[399] Brisset, Additions, 237 დ ა მ ა რ ი , древне-грузинские одописцы, T P , I V , გ ვ . 1 9 .

დავით აღმაშნებელს ჩვეულებად ჰქონია, წიგნს რომ წასაკითხავად აიღებდა თურმე, «რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა» და ამ ნიშნების მიხედვით შეიძლებოდა ადამიანს გამოერკვია ან რომელი წიგნი, ან რამდენჯერ ჰქონდა წაკითხული. ზოგიერთი თხზულება, რომელიც უფრო საგულისხმიეროდ მიაჩნდა, თურმე რამდენჯერმე ჰქონია გადაკითხული და შესწავლილი. დავით აღმაშენებელის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს მაგ., რომ სახელოვან გვირგვინოსანს ერთ-ერთ ამგვარ საყვარელ წიგნად «წიგნი სამოციქულო» ჰქონია და მას, ისტორიკოსს, ამ წიგნის ბოლოში დასმული ნიშნები ერთხელ დაუთვლია და გამორკვეულა, რომ «მოქცევასა წელიწადისა», ერთს წელიწადში მეფეს ეს თხზულება თურმე «ოცდა-ოთხ-ჯერ წარეკითხა» (იქვე,●548,გვ.316). როდესაც თითონ დაიღლებოდა და ”თუალნი დაშურნიან, სასმენელნი ანაცვალნის» და სხვას გადასცემდა ხოლმე ხმა-მაღლა წასაკითხავად (იქვე, ●547. გვ.315).

საგულისხმიეროა, დავით აღმაშენებელი წიგნების კითხვას გასართობად-კი არა სთვლიდა, არამედ წანაკითხს უფიქრდებოდა და აკვირდებოდა, ხოლო როდესაც სხვას აკითხებდა ხოლმე, მაშინ «ფრიადცა ფრთხილად ისმენენ წინაშე თ-ჯსსა მკითხველისასა, გამოეძიებდენ, ჰკითხვენ და უფროს-ღა თ-ჯთ განმარტებენ ძალსა დ სიღრმესა» წაკითხულისასა (იქვე,●547—●548, გვ.315); საუბარი და კამათი, მსჯელობა და განმარტება თან სდევდა მეფის ამ მაღალს გონებრივს სამუშაოს.

შავთელიც ამასვე ამტკიცებს და ამბობს:

შე მეფევ

მოგვფენ სიბრძნესა
თვით განგვიმარტებ
მოგვფენ სიბრძნესა
მადლთა მთხრობელი[400].

ქართველი მეომარნი დავით აღმაშენებელს »ფრიად აბრალებდეს» (იქვე, ●550,გვ.318), რომ მეფეს ასე თავდავიწყებამდე უყვარდა წიგნების კითხვა და მუდამ კითხვით იყო გართული, მაგრამ მის მაბრალობელთ ვერ გაეგოთ დიდებული მეფის გულის წადიერებანი და მაღალის სულის კრთომანი. ჩვენს გვირგვინოსანს განსაკუთრებით საისტორიო თხზულებების კითხვა ჰყვარებია, რომლებშიაც «გარდასრულთა საქმეთა... და პირველ ყოფილთა მეფეთა...შემთხუეულნი» ამბები იყო მოთხრობილი (იქვე,●550,გვ.318). ამ საისტორიო თხზულებებში საქართველოს სახელოვანს მეფეს თურმე თანამედროვე ცხოვრებისათვის «წინაგანსაკრძალებელად და სახედ» გამოსადეგარი მაგალითები ამოუკითხავს იმიტომ, რომ იქ მოთხრობილი და აწერილი იყო «პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილძღუანებულთა”, და ქვეყნის გამაბედნიერებელთა ცხოვრებაც, და «ვერას წარმართებულთა», ბედუკუღმართ მმართველთა «შემთხუეული» თავგადასავალიც, და ეს წარსულის გაკვეთილი ზოგი გასაფრთხილებელად «წინაგანსაკრძალებელად», ზოგი კიდევ სამაგალითოდ და «სახედ» გამოუყენებია. მაშასადამე, დავით აღმაშენებელი ცდილობდა წარსულის ცოდნისდა მიხედვით ბრძნულად «გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი» განეჭვრიტა, ისტორიულის მაგალითით და გამოცდილებით ესარგებლნა

[400] ნ. მარი, TP, IV, გვ. მგ, 63.

და იმისდა გვარად ემოქმედნა. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს გონებრივი მუშაობა და საისტორიო თხზულებების შესწავლა, »წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი» ჰშველიდა სახელოვანს მეფეს და იმდენი შეაძლებინა, რომ «კუერთხი მეფობისა, საქართველოში «ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნამდვილ-ვე დიდი განსაგებელი, ეპყრა ესრეთ მაღლად» და სახელმწიფო უაღრეს ძლიერებასა და აყვავებამდე მიიყვანა (იქვე,●550—551, გვ. 318). ამ მხრივ დავით აღმაშენებელი მართლაც რომ ბრძენი და განათლებული მმართველი, შეგნებული და შორსგამსჭვრეტავი პოლიტიკოსი იყო.

დავით აღმაშენებელის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალური წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წესწყობილების ის დიადი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. ხანგრძლივმა გამოცდილებამ მეფე დაარწმუნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმდროინდელი საეკლესიო წესწყობილება იყო, რომლის წყალობითაც საქმე ისე დატრიალდა, რომ «უფროსნი საეპისკოპოსონი», სამღვდელმთავროთა მომეტებული ნაწილი უღირს მამათ-მთავრებს ჩაუვარდათ ხელში, »მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს» (იქვე ●523. გვ. 290). წოდებრივობა გაბატონებული იყო და უმთავრესი მნიშვნელობა პირადს ღირსებას კი არ ჰქონდა, არამედ ჩამომავლობას. რა გასაკვირველია, რომ ამ ეპისკოპოსებს «მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოზნი დაედგინნეს» (იქვე, ●523, გვ. 291). ამ წესის ამოკვეთა იყო საჭირო იმიტომ, რომ იგი ეკლესიისათვისაც და სახელმწიფოსათვისაც მეტად მავნელი იყო. ჩვენ ვიცით, რომ ამის წინააღმდეგ უკვე ბაგრატ IV დროს გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ამხედრდა და თვით წესიც დაარღვია (იხ. გვ. 190—191) მისმა ქადაგებამ, რასაკვირველია, ნიადაგი მოუმზადა, რომ ქართული ეკლესიის წესწყობილება ამ მხრივ შეცვლილიყო, მთელი სამღვდელოებისათვის სავალდებულო გამხდარიყო და ადამიანის პირადს ღირსებას სათანადო უფლება მიჰნიჭებოდა. მაგრამ ამის განხორციელება და დაკანონება მხოლოდ ადგილობრივს საკლესიო კრებას შეეძლო. მეფე დავითმაც მოიწვია[401] საეკლესიო კრება, რომელიც შეიკრიბა 1103 წ. «სანახებთა ქართლისათა მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისათა»[402]. ამ კრების «ძეგლის წერაში» ნათქვამია, რომ კრების მონაწილედ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკონნი, მონაზონნი, დაყუდებულნი და მეუდაბნოენი ყოფილან; მაგრამ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს უფრო ვრცელი და უეჭველია უფრო სწორი ცნობები აქვს. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა თურმე «ერი მრავალი» და ზემოჩამოთვლილ პირთა გარდა მონაწილედ ყოფილან «კათალიკოზნი», მოძღუარნი და მეცნიერნი» (ცა́მ́ფსა დ́თსი, ●524, გვ. 291).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისათვის უმთავრეს გასარჩევ საკითხად წამოყენებული იყო სწორედ წოდებრივობის უპირატესობის მოსპობა ეკლეასიაში და პირადის ღირსებისდა მიხედვით ეკლესიისათვის მღვდელმსახურთა არჩევა. თვით «ძეგლის წერაშიც» ნათქვამია: «პირველად ეპისკოპოსნი [ვინმე ვერ] ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელთმთავრობისასა... განვკუეთენით»-ო[403]. დავით

[401] ძეგლის წერა, ქ́კბი, II, 56.
[402] იქვე, II, 61.
[403] ქ́კბი, II, 62.

აღმაშენებელის ისტორიკოსიც ამბობს: »უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართაგან»-ო (ცა მ´ფსა დ´ თსი, ●524, გვ. 291). მაგრამ ვიდრე ამას დაადგენდნენ, დიდი ბრძოლა და მხნეობა შეალიეს ამ საკითხის მომხრეებმა, ამას ბევრი დრო და ხერხი დასჭირდა და მხოლოდ «მრავალ დღე გამოწულილვითა ფრიადითა» შესძლეს ამ საქმის დაგვირგვინება. თუმცა «ძეგლის წერაში» ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველი ისტორიკოსი არა მალავს, რომ უღირს ეპისკოპოსთა გადაყენება «არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა»-ო (იქვე,●524, გვ. 291) იმიტომ, რომ უღირსი ეპისკოპოსები, «მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით» მჯდომარენი სამღვდელმთავრო საყდარზე, «იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები» (ანა დ´ფსი ქ´ცა; შეად. მ´მ დ´ფს ქ´ცა, ●524, გვ. 291). რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მაშასადამე, გადააყენა უღირსი მღვდელმთავარნი მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიისმსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა. ამგვარად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა და დაკანონა ის, რასაც ორმოცის წლის წინათ ჰქადაგებდა ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი.

მაგრამ ამ გადაწყვეტილებას მეფისა და სახელმწიფოსათვის მარტო საეკლესიო ცხოვრების მხრივ არა ჰქონია მნიშვნელობა, არამედ იგი იმდროინდელს ქართულს საზოგადოებაში წინამორბედსავით იმ აზრის განმტკიცებას მოუმზადებდა ნიადაგს, რომ სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში პირად ღირსებას გვარიშვილობაზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რაკი საეკლესიო სფეროში პატრონყმური და წოდებრივი წესი ძლეული იყო, დავით აღმაშენებელს უფრო ადვილად შეეძლო მეორე დიადი ცვლილება შეეტანა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივს წეს-წყობილებაში: სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მემკვიდრეობით მოხელეთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმა, ხოლო სამოხელეო წეს-წყობილებაში წოდებრივი უპირატესობა მოესპო და მოხელეთა პირად და არა ”მამულობით” ღირსებისათვის შესაფერისი პატივი დაედო.

ავიდა თუ არა დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე, იმთავითვე მან ხასიათის დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და, როგორც უკვე აღნიშნული იყო (გვ.195), ლიპარიტ ამირა ორგულობისათვის ჯერ საპყრობილეში ჩასვა, მერე ხელმეორედ დანაშაულისათვის «ორ წელ პყრობილ ყო», შემდეგ საქართველოთგან ექსორია ჰყო და საბერძნეთში წასვლის ნება მისცა.

მაგრამ დავით აღმაშენებელის სახელმწიფო სიბრძნე და შორსგამჭვრეტელობა იმითა მტკიცდება, რომ მან აზნაურთა ურჩობის ჭეშმარიტი ბუნება და თვისებები შეიგნო. ძველი ქართული მატიანეების გადაკითხვამ და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებამ დიდებული მეფე დაარწმუნა, რომ «ნათესავი ქართუელთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თჳსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოვონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა». სახელოვანი მეფე მაშასადამე დარწმუნებულა, რომ დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ურჩობა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ საზოგადო. მართლაც, დიდებული აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი უპირატესობა შეენარჩუნებინათ. ხოლო რაკი სრულიადი საქართველოს მეფის უფლებების გაძლიერების შედეგად მათი ბატონობისა და გავლენის შეზღუდვა მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომ დიდგვარიანი აზნაური-მოხელეები ცდილობდნენ, რომ მეფე მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო და მუდამ მათი ნების ყურისმგდებელი ყოფილიყო.

დავით აღმაშენებელი ხედავდა, რომ ურჩი აზნაური-მოხელეები ხშირად შეერთებულის ძალით ებრძოდნენ საქართველოს ბატონს და მეფის ლაშქრის წინააღმდეგ თავიანთ შეერთებულს ჯარს წამოაყენებდნენ ხოლმე და ამგვარს გარემოებაში მეფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაემარჯვა, თუ რომ ძლიერს საკუთარს და მუდმივს მხედრობას გაიჩენდა. რაკი დიდებულმა მეფემ ეს შეიგნო, ის ამ აზრის განხორციელებას შეუდგა. სხვათა შორის ამისათვის შემოიღო დავით აღმაშენებელმა საქართველოში 40000 ყივჩაყთა მუდმივი მხედრობა. როდის და როგორ გადმოიყვანა მეფემ ყივჩაყთა ლაშქარი საქართველოში ამაზე ზემოთ იყო უკვე საუბარი (გვ. 199-200) და აქ საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მუდმივი ჯარის შემოღება დავით აღმაშენებლისათვის მარტო გარეშე მტერთან საომრად არ იყო საჭირო, არამედ შინაურ მტერთან, ურჩ და თვითნება აზნაურებთან საბძოლველად და ასალაგმავადაც. თავისი მუდმივი ჯარის დახმარებით მეფემ ქედფიცხელ და მოღალატე დიდგვარიან მოხელეებს შეერთების ნება არ მისცა და შეთქმულების მოწყობის საშუალება მოუსპო: "არა ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად... ანუ შეკრებად ერთად და ქმნად რასამე ესე ვითარისა».მეფე დიდებულ აზნაურთა მოძრაობას გულდასმით თვალყურს ადევნებდა და, როდესაც-კი საჭირო იყო, სწრაფად გაუმკლავდებოდა ხოლმე მათ. ისტორიკოსი ამბობს კიდეც, რომ «მრავალნი განპატიჟებულცა იყუნეს და მხილებულ ესე ვითართათჳს»-ო. დავით აღმაშენებელს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე, რომ მან დიდებულ აზნაურთა შეერთებული წინააღმდეგობის დასამხობად გარკვეულს, ტაქტიკურს ბრძოლას მიჰმართა, თავის წინაპრებსავით შემთხვევითი საშუალებით არ დაკმაყოფილდა და ძალას შეგნებულად შესაფერისი ძალა დაუპირისპირა. ამასთანავე მეფე ყოველთვის ცდილობდა, რომ თავგასული დიდებული მოხელეებისათვის თანამდებობა ჩამოერთმია და მათ მაგიერ პირადის ღირსებით და ერთგულის სამსახურით განთქმული «უგვარო» დაეწინაურებინა. ერთის სიტყვით მეფე სამოხელეო წესწყობილებაში იმავე მოძღვრების განხორციელებას ცდილობდა, რაც მან რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დახმარებით საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილებაში განახორციელა[404].

ყივჩაყთა მოწევა საქართველოში თუმცა შეიძლება ადამიანს მეტად გაბედულ საშუალებად ეჩვენოს, მაგრამ სხვა მხრივაც ბრძნული და სასარგებლო ზომა იყო. ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი ნაქირავებ ლაშქარსავით კი არ მოიწვია, არამედ მთელის ოჯახობით «დედაწულითა მათითა» გადმოასახლა საქართველოში და დააბინავა, «დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა». ხოლო ეს ლაშქრის დაქირავება-კი არ არის, არამედ გადმოსახლებაა. თუ სათვალავად ოჯახზე სულ ცოტა 5 კაცს მივიღებთ და გავიხსენებთ, რომ «წყობად განმავალი რჩეული» 40000 და 5000 მონა-სპა ოჯახობას მოკიდებული მხედარი იყო. გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს საქართველოში გადმოუსახლებია სულ ცოტა 225000 სულ ყივჩაყი ორთავე სქესისა. ამოდენა უცხო ტომის ხალხის ჩათესლება საქართველოში დიაღაც რომ გაბედული საშუალება იყო. მაგრამ ამასთანავე «სამეფოთა გონებითა" ნააზრევი «სივრცითა გონებისათა» განზრახული, მეტად ბრძნული და გმირული საშუალება გახლდათ! ქართველობისათვის 225000 სულის შეძენა იმ დროს, როდესაც იგი დიდბუნებოვანი სარდლისა და მეფის წინამძღოლობით

[404] იხ. ჩემი «ქ´ლ სამართლის ისტორია», წ. 1.

შეუჩერებლივ წინ მიისწრაფოდა და იზრდებოდა, დიაღაც რომ დიდ შემატებად ჩაითვლებოდა. ქართველთ კულტურა მაშინ იმდენად ძლიერი იყო, რომ ამოდენა უცხო თესლის ერთბაშად ჩასახლებაც ეროვნულს საფრთხეს არ წარმოადგენდა: თანდათან გადმოსახლებულებმა ქრისტიანობა მიიღეს: მონა-სპის 5000 კაცი «ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი» იყვნენ, ხოლო «თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე Იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა» (ცᲐ მᲾფსა დᲾ თსი, ●535, გვ. 302); თანაც ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ. გაქართველებული ნაყივჩაყარნი შემდეგში ზოგნი სახელმწიფო მოღვაწედაც იყვნენ. ხოლო იმ 225000 გადმოსახლებულ ყივჩაყთაგან არც ერთი მათი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალდაუტანებლივ, უნებლიედ გაქართველდნენ, საქართველოს კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის იღვწოდნენ. აი ამ მხრივაც დავით აღმაშენებელის გაბედულმა საშუალებამ და მოქმედებამ სამშობლოს ფასდაუდებელი, საშვილიშვილო სამსახური გაუწია.

დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორსგამსჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უებრო სარდალი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი. ზევით ორიოდე მაგალითი იყო დასახელებული, რომელნიც დიდებული მეფის გასაოცარს პირადს განათლებას ცხად ჰყოფენ; მაგრამ როგორც სახელმწიფოს მოურნესა და მოამაგეს შეეფერებოდა, იგი ცდილობდა რომ ერის განათლებისა და დაწინაურებისათვისაც ხელი შეეწყო. ამისათვის მან ზოგი ახალი დაწესებულება შეჰქმნა და ამასთანავე მუდამ ძველს დაწესებულებასაც ეხმარებოდა და ხელს უწყობდა.

დავით აღმაშენებელმა ამ მიზნით ქრონიკონსა 326[405] ანუ 1106 წ.» მოიგონა აღშენება მონასტრისა» და «ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა» გელათს ტაძარი ააგო, »აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა», განთქმული თავის «სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შესწორებულობითა» (ცᲐ მᲾფსა დᲾთსი, ●526-●527, გვ. 293—294). ამ შესანიშნავს მონასტერში დავით აღმაშენებელმა საქართველოს და უცხოეთში მყოფ ქართულ სხვადასხვა მონასტრებითგან «შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა», რომელთა შესახებ «სადათცა ესმა ვიეთიმე სიწმიდე, სიკეთე და სისრულე, სულიერითა და ჴორციელთა სათნოებითა აღსავსეობა» და ახლად აგებულს გელათის მონასტრეში დაამკვიდრა (იქვე, ●527, გვ. 294). ამასთანავე დიდებულმა მეფემ თავისი ლავრა ქონებრივადაც უზრუნველჰყო. ასე შეჰქმნა დავით აღმაშენებელმა გელათი «ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, ს ა ს წ ა უ ლ ა დ ყ ო ვ ლ ი ს ა კ ე თ ი ლ ი ს ა, მ ო ძ ღ უ რ ა დ ს წ ა ვ ლ უ ლ ე ბ ი ს ა დ, ს ხ უ ა დ ა თ ი ნ ა დ, ფ რ ი ა დ უ ა ღ რ ე ს მ ი ს ს ა» (იქვე, ●528, 295). ისედაც არამცთუ თვით საქართველოში, არამედ ყველგან უცხოეთში სადაც-კი ქართული მონასტერი იყო საბერძნეთში, ბოლღარეთში, ასურეთში, თუ კჳპრში, შავს მთას თუ პალესტინაში, მეფე თავის უხვს წყალობას არ აკლებდა; ხოლო თვით «მთასა სინასა ზედა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი, დამოსაკიდელნი ოქსინონი და წიგნები საკლესიონნი სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა» (იქვე, ●553, გვ. 321).

მაგრამ დავით მეფე მარტო ქართველ მწერლებსა და მეცნიერებზე ხომ არა ზრუნავდა, მარტო თავის თანამოძმეებს ხომ არ ეხმარებოდა და ამხნევებდა. საგულისხმიერო ეს არის, რომ დიდებული გვირგვინოსანის სულიერი თვისება ყოველ-მხრივი და ფართო ყოფილა; თვით მეფე ხომ კეთილმორწმუნე და უერთგულესი

[405] იხ. შემოქმედის კჳნკლოსი, დ. ბ ა ქ რ ა ძ ე , АПГА, გვ. 151.

მართლმადიდებელი იქრისტიანე იყო; მაგრამ მაინც მას სხვა მოძღვრებისა და სჯულის კაციც უყვარდა და პატივისცემა იცოდა. ამიტომაც იყო რომ მაჰმადიან ისტორიკოსთა სიტყვით იგი უცხო ეროვნების შვილებსაც თავის განათლებულს და ძლიერს მფარველობას არ აკლებდა; მას, ქრისტიანეს. მაჰმადიანთა პოეზიისა და მეცნიერებისადმიც უძგერდა სიყვარულით გული.

დავით აღმაშენებელის იმ დროისათვის გასაოცარი და მრავალმხრივი განათლება სხვათა შორის იმითაც კარგადა მტკიცდება, რომ არაბ ისტორიკოსის ი ბ ნ ა ლ - ჯ ა უ ზ ი ს მოწმობით მას სუფიებისა და პოეტებისათვისაც თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა[406].

დავით აღმაშენებელის მადლიანი გავლენა მარტო სოციალურ და სახელმწიფო წესწყობილებას ან ერის სწავლა-განათლებას არ დასტყობია; ქართული სამართლის მდგომარეობასაც მან ყურადღება მიაქცია, განსაკუთრებით უმაღლეს სასამართლოს წარმოებას. წინათ საქართველოში უზენაეს მსაჯულად თვით მეფე იყო; მას უნდა გაერჩია ყველა საქმეები, რომელიც კი უმაღლეს სასამართლოში იყო შეტანილი. რასაკვირველია, ამგვარი მარტივი წესი მანამდის იქმნებოდა გამოსადეგი, სანამ საქართველო პატარა სამეფო იყო; მაგრამ როდესაც საქართველო გასაოცრად გაიზარდა და დიდ სახელმწიფოდ იქცა, საქართველოს მეფეს მრავალი განსაგებელი საქმეები გაუჩნდა და საჩქარო სამხედრო საქმეების გამო მეფე იძულებული იყო ხოლმე ხშირად ხანგრძლივ მოჰშორებოდა თავის სატახტო ქალაქს და სამეფოს ხან ერთ კუთხეში, ხან მეორეში, ხან მესამეში წაბრძანებულიყო. რა გასაკვირველია, თუ ასეთს გარემოებაში უზენაესი სასამართლოს წარმოება შეფერხებულიყო და მომჩივარნი იძულებული ყოფილიყვნენ მეფისათვის ეცადნათ ყველგან, საცა კი იმ ჟამს ეგულებოდათ, და ხან გორაკებზე «ბორცუსა ზედა რასამე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა ხესა» ასულიყვნენ, რომ ამნაირად მეფის ყურადღება როგორმე მიეპყრათ და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თჳსი», თავისი გაჭირვება ეცნობებინა და საჩივარი ან არზა მიერთმია. რომ მომავალში ამგვარი რამ აღარ მომხდარიყო დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული უზენაესი სამოსამართლო დაწესებულება შეჰქმნა და დაადგინა «კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა». ამ ახალი დაწესებულების შექმნას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა: იმას გარდა რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უზენაესს საფეხურშიც მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს[407].

დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკონომიურს წარმატებაზეც დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აღებმიცემობა გაცხოველებულიყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს; მაჰმადიანებს საზოგადოდ ხომ საქართველოში ისეთი ხელშემწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოს ქრისტიანე მეფე[408]. პარასკევობით იგი ზოგჯერ თვით და შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში ჯამეში შედიოდა. ლოცვას, კორანის კითხვას და

---

[406] დ ე ფ რ ე მ ი , Frag., 486.

[407][407] იხ. ჩემი ქ᾽ლ სამართლის ისტორია, წ. 1.

[408] [ს ი ბ ტ] ი ბ ნ ა ლ - ჯ ა უ ზ ი , დეფრემერი, Frag., გვ. 486.

ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელობას ბევრს ოქროს უწყალობებდა ხოლმე[409]. ჩვენი დიდებული გვირგვინოსანი სომხებსაც მფარველობას უწევდა; მან სხვათა შორის ქ. გორი ააშენა და შიგ სომხები დაასახლა[410].

მიმოსვლა რომ გაეადვილებინა. დავით აღმაშენებელმა ააშენა მრავალი «ჴიდი მდინარეთა სასტიკთა ზედა» და «გზანი საწყინოდ სავალნი ქუაფენილ ყუნა»[411] და გზის პირას ქარვასლები და თავშესაფარები ააგო[412].

დავით აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი მხედართმთავარი იყო: მას მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო მოქმედება უყვარდა, მაგრამ ომში უშიშარი იყო და თავის ჯარს ყოველთვის თავგანწირულად წინ მიუძღოდა ხოლმე და პირადის მაგალითით ამხნევებდა და ჰხიბლავდა ყველას. ამიტომაც არის რომ მისი თანამედროვე ისტორიკოსი აღტაცებით ამბობს» თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა. ანუ შორით უზახებდა ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა-უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მიდამო-იქცეოდა და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა ძლიერითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინადამთხუეულთა ყოველთა»-ო (ცა მ´ფსა დ´თსი, ●525, გვ. 292—293, შეად. ანა დ´ფს ქ´ცას).

დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარე და გულშემატკივარი ადამიანი ყოფილა; იგი ავადმყოფთა და დავრდომილთა შესახებაც ზრუნავდა და განუკურნებელი სენით შეპყრობილთათვის მან «აღაშენნა ქსენონნი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითო-სახითა სენითა განცდილნი» და ამ სასნეულოში «მოუმზადა ყოველი საჴმარი მათი უნაკლულოდ და უხუებით, განუჩინნა შესავალნი და საღუაწენი მათნი», თანაც მომვლელები და «ზედამდგომელნი» მიუყენა (ცა მ´ფსა დ´თსი, ●528, გვ. 295). სახელოვანი მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ კაცთმოყვარეობით ნაკარნახევს დაწესებულებას, რომელიც დავით აღმაშენებელს შემოუღია გელათის მონასტრის აგების შემდგომ, სანამ სამშვილდეს აიღებდა ანუ 1106-1110 წ., იგი ხშირ-ხშირად მიდიოდა და ათვალიერებდა ხოლმე თავის დაწესებულებას: «მონახის თჳსითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საჴმარი მათი», რომ ავადმყოფებს ყველაფერი სუფთა და შესაფერისი ჰქონდათ და თავისი თვალით დარწმუნებულიყო სვინიდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას «ზედამდგომელნი» თუ არა. ყოველთვის, როდესაც მეფე ქსენონში მივიდოდა ხოლმე, ავადმყოფებსაც «მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყჳს თჳთეულსა», კეთილის სიტყვითა და თანაგრძნობით ანუგეშებდა და ამხნევებდა, «განამჴნის მოთმინებისა მიმართ» (იქვე).

დავით მეფე კერძო ქველმოქმედებასაც ძალიან მისდევდა და ამისათვის განსაკუთრებული ქისა, »კისაკი მცირე» ჰქონდა და მას «აღავსებდის დრაჰკნითა დღე სარწმუნოთა ჴელითა თჳსითა», გავიდოდა და საღამოთი «სამწუხროდ ცარიელი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა». თუ ოდესმე მთელს ქისას ვერ დაურიგებდა და ან «ნახევარი წარაგის მისი», ან «ოდესმე არავინ პოვნის», შეწუხდებოდა ხოლმე და იტყოდა: «დღეს ვერ მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათა»-ო და დაურიგებელს ფულს მეორე დღისათვის დასარიგებლად შეანახვინებდა (იქვე, ●554, გვ. 321-322). საყურადღებო და საგულისხმიერო ის არის, რომ დავით აღმაშენებელი ქველმოქმედებას თურმე სახელმწიფო საჭურჭლითგან აღებულ ფულითგან-კი არ ეწეოდა,

---

[409] იქვე.

[410] მათე ურჰაელი, გვ. 447—448.

[411] იხ. ჩემი «ს´ქს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 23.

[412] [ს ი ბ ტ] ი ბ ნ ა ლ - ჯ ა უ ზ ი , დეფრემერი, Frag., გვ. 486.

«არამედ ჴელთა თჳსთა ნადირებულითა», საკუთარის შრომით შეძენილ ქონებითგან (იქვე).

საზოგადოდ ეტყობა, რომ მეფე ზნეობრივად მეტად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანი ყოფილა და უსამართლობის ჩადენასა და მიმძლავრებას ერიდებოდა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებელი, საქართველოს სამხედრო ძლიერების შემქმნელი და მისი საზღვრების გამაფართოვებელი, თავისს მშვენიერს «გალობანი სინანულისანი»-ში ჰგოდებს: «ვერ მაძღარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზღუართა ვაბრალებდი ვითარცა მცირეთა... ბოროტად გარდავჴედ საზღუართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხუჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა. ვითარცა მარტოჲ მე ვმკჳდრობდ ქუეყანასა ზედა»[413]; იგი, მაშასადამე, სწუხს, რომ თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში მეზობელთა ქვეყნები დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა. მეტად დამახასიათებელია ჩვენის სახელოვანის მეფის დიდებულის სულისა და ფაქიზის სვინიდისისათვის, რომ ასეთს გმირსა და რაინდს-მეომარს გულის სიღრმეში თურმე ამგვარი ფიქრები აწუხებდნენ!..

ყურადღების ღირსია, რომ მეფე დავით აღმაშენებელს რაღაც «სიჭაბუკისა» ცოდვა ჰქონია ჩადენილი (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსი, ●552, გვ. 320). თავის «გალობანი სინანულისან»-ში მეფე ამბობს სხვათა შორის «მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქ ო რ წ ი ლ [ი] თ ა - მ ი ე რ ხ ე ნ ე შ [ი] თ ა ვ მ ძ ლ ა ვ რ ე ს ა წ ო ლ ს ა ჩ ე მ ს ა და სახეთა-მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერის ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელიო»[414]. ამ წინადადებითგანა ჩანს, რომ ჩვენს გვირგვინოსანს რაღაც უწესოება ჩაუდენია ქორწინებაში. მის ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს მხოლოდ ერთი მისი თანამეცხედრე, ჩივჩაყთა მთავრის ასული; მაგრამ სომეხი ისტორიკოსის მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი ს სიტყვებითგან ირკვევა, რომ მეფეს სხვა ცოლიცა ჰყოლია, სომხის ქალი, რომლისაგანაც დაჰბადებია უფლისწული და ტახტის მემკვიდრე დიმიტრი[415]. იქნებ იგი დავით აღმაშენებელის ისტორიაში იმიტომ არ არის მოხსენებული, რომ მეფე მას გაეყარა და მეორე ცოლი, ყივჩაყთა მთავრის ასული,შეირთო? იქნებ სწორედ ეს საქციელი იყოს დავითის «ბრალნი სიყრმისა» და «სიჭაბუკისა»-ნი? ასეა თუ ისე,—სინამდვილე ჯერ საიდუმლოებით არის მოცული,—დავით აღმაშენებელი მთელ თავის სიცოცხლეში ამ ცოდვის მონანიებაში იყო შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულს ანდერძში ბერებს საგანგებოდ ავალებდა კიდეც, რომ ყოველ დიდმარხვას მისთვის ასე ელოცნათა: »უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი»-ო[416]. საზოგადოდ სახელოვანი მეფე, რომელსაც ეგოდენი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე, თავისი თავის მკაცრი მსაჯული ყოფილა და «გალობან»-ში თავის თავს ყოველგვარს ბრალსა სდებს და მართოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობის იმედი-ღა აქვს; როდესაც ჩემი აღსასრულის წამი დადგესო, მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით აქვს ნათქვამი «გალობანი სინანულისან»-ში, და «ჟამი რაჲ წულილთა ამოფშჳნვათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო! განრაჲეღოს წიგნი დღესა-შინა სასჯელისასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული

[413] თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები, II, 105.

[414] იქვე.

[415] მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი ს ისტორია. გვ. 448.

[416] შიომღვ. ისტ. საბ. 17 და თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა , ქ᾽ბი, II, გვ. 105, შენ.

მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუაჲ ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,—მაშინ შემიწყალე იესო ჩემო!»[417].

მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდიხანია უკვე რაც თავისი პირუთნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებელის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობის და ძლიერების სიმბოლოს.

2. მეფე დემეტრე I

ლაშა-გიორგის დროინდელი ერთი უცნობი ქართველი მემატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა «სიცოცხლის შინა დასუა მეფედ დემეტრე და დაადგა გჯრგჯნი თჯთ მისითა ჴელითა»-ო (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ცა, გვ. 237[418]). დემეტრე მეფეს ყველა ისტორიკოსები ერთხმივ გულად და სახელოვან გვირგვინოსნად სთვლიან; ზემოდსახელებული ქართველი მემატიანე მაგ. ამბობს: დემეტრე I «იპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა» და «ყოვლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ძესა ღმრთივ-დანერგულსა და ცხებულიანსა» (იქვე); მამაცს უწოდებს, მას ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც[419], ხოლო მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ამბობს, რომ იგი ძგულადი და ღვთის მოყვარე და ყოვლითურთ თავის მამის დავითის მსგავსი იყოო»[420].

სამწუხაროდ რაკი არც ერთი მემატიანის ნაწარმოები დემეტრე I შესახებ «ქ᾽ცის» კრებულში შეტანილი არ არის, ამიტომ მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით[421]. ამის გამო ხეირიანად არც-კი ჩანს, რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი. როგორც ეტყობა, და დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებაშიც არის ამაზე ცნობა შენახული, დემეტრე I ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში უფლისწულობის დროს მოუხვეჭია გულადი მეომრისა და ხელოვანი მხედართმთავრის სახელი, როდესაც 1117 წ. მეფე დავითმა «გაგზავნა ძე თჯსი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი საკჯრველნი, რომელთა განაკჯრნა მხილვენი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევა-მოსილი მოვიდა წინაშე მამისა თჯსისა სავსე ალაფითა და ტყჯთა ურიცხვითა» (ც᾽ა მ᾽ფსა დ᾽თსი, ●532, გვ. 299). ლაშა-გიორგის დროინდელი უსახელო მემატიანეც ამბობს: დემეტრე «ოდეს ჯერ არ მეფე იყო დიდმან დავით შარვანს გაგზავნა,

---

[417] ქ᾽კბი, II, 106.

[418] ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების გვერდები დამოწმებულია 1942 წლის გამოცემის მიხედვით ისევე, როგორც «ქართველი ერის ისორიის» II წიგნის 1965 წ. გამოცემაში.—რედ.

[419] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 277.

[420] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი , ისტორია. 449.

[421] დიმიტრი I დახასიათება «ღ᾽ნ მომცა პირუელად შჯლი ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმჯნითა უმჯობესი ჩემსა: და ნამდჯლ ესევითარი ჯერ-იყო მეფე მოცემული ღმრთისა მიერ მკჯდრთათჯს სოფლისათა მართლმორწმუნეთა» (დ᾽თ აღმაშენ. ანდერძი ბერის პირით, ქკ᾽ბი, II, 55).

ქმნა ომნი და ბრძოლანი. რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკუირვნა და აღიღო ციხე ქუელაძორი, აღივსო ალაფითა და ტყუითა ურიცხუითა»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა. გვ. 237-238).

დემეტრე მეფე მხნედ იცავდა მამის მემკვიდრეობას და საქართველოს ფართო საზღვრებს; თანაც ცდილობდა როდესაც კი შეიძლებოდა, სამეფო გაეფართოვებინა. თავდაპირველად მან «დმანისი და ქალაქი ხუნანი სპარსელებს წაართვა»[422]. ამ ცნობას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. ერთს ძველ ხელნაწერებისდა მიხედვით შედგენილ კჯნკლოსში მაგ. ნათქვამია: იმავე წელს, როდესაც დემეტრე გამეფდა და «დაიჭირა ყოველი სამეფო, ამასავე ქრონიკონსა სამას ორმოცდა ხუთსა მიუხდა დმანისს, წაუღო ციხე»-ო[423]. მაშასადამე, დმანისის ციხე დემეტრე მეფეს 1125 წელსვე შემოუერთებია. ხოლო ქ. ხუნანის შესახებ სტეფანოს ორბელიანს მოთხრობილი აქვს, რომ დემეტრეს მეფობაში ივანე და სუმბატ ორბელებმა მრავალ წელს მაჰმადიანთა ხელში ნამყოფი ხუნანი აიღეს სომეხთა წელთაღრიხვით 577-ს[424], ანუ 1128 წელს, ესე იგი, დმანისის ციხის დაჭერის სამი წლის შემდგომ. ყურადღების ღირსია, რომ სტეფანოს ორბელიანის სიტყვით პირიქით დმანისის აღება თითქოს ქ. ხუნანის დაპყრობის შემდგომ მომხდარიყოს და დმანისის დაპყრობის ღვაწლი ვითომც ივანე აბულეთის ძეს მიუძღოდეს[425].

ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანე ამბობს, რომ დემეტრე მეფემ «გააქცივნა სუქმეთნი. ოდეს სუქმეთნი გააქცივნა დემეტრემ ქრონიკონი იყო სამას ორმოცდა ათი. თავ[ნ]ი ყოვლისა სპარსეთობისა დაჴოცნა და ამოსწყუიდნა, აღავსნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 238). ქრონიკონი 350 უდრის 1130 წ., მაშასადამე სუქმეთად აქ შეიძლება ნასირადდინ სუკმან II (1128-1183 წ.)[426] იყოს ნაგულისხმევი. არც ერთს სხვა წყაროში ამ ბრძოლის შესახებ არაფერი მოიპოვება.

დემეტრე მეფე იძულებული იყო ქ. ანისი წინანდელ მეპატრონე მანუჩეს შვილებისათვის დაეთმო იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, ქ. ანისი სპარსთა ლაშქარმა მეტის-მეტად შეაწუხა. საქართველოს მეფემ ყმობისა და მორჩილების დიდი ფიცი და სიმტკიცე ჩამოართვა მანუჩეს შვილებს და მხოლოდ ამის შემდგომ გადასცა მათ ქ. ანისი. მათ აასრულეს პირობა და მთელ თავის სიცოცხლეს საქართველოს ბატონის მორჩილნი იყვნენ.[427]

ვარდანს ეს ამბავი ცოტა სხვანაირად აქვს მოთხრობილი: «ამ დროს აბლსოვარის ერთმა შვილმა, რომელიც ხორასანში იყო, მამისა და ძმების თავგადასავალისა და დავით მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო თუ არა, მამეულ ქალაქ ანისის სათხოვნელად მოვიდა და ვედრებით შეეხვეწა აბულეთსა და ქალაქის მთავრებს. რაკი ქალაქი თურქთაგან დიდს გაჭირვებაში იყო, ამიტომ აბულეთმა გადასცა მას (ანისი), შეიწყალა ქრისტიანენი, უფრო კი თავისი შვილი ივანე, რომ იგი მუდმივ ომებში არ დაღუპულიყო, და გადასცა მას» ქალაქი ანისიო[428]. არსებითად ვარდანსაც აღნიშნული აქვს, რომ ქ. ანისი ქართველებს ისევ წინანდელი მმართველის ერთ-ერთი მემკვიდრისათვის გადაუციათ,რომ თუმცა ეს ნებაყოფლობით მომხდარა, მაგრამ მაინც მაჰმადიანთა მედგარს იერიშს გამოუწვევია, რომელიც თურმე განუწყვეტლივ მიჰქონდათ ანისზე. ვარდანი არა სცდება, როდესაც ამ

---

[422] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 157.

[423] იხ. «მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან» ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამ., ძველი ს᾽ქრთლო, II, 63, ამგვარივე ცნობა არის მაისურაძისეულს ქ᾽ცაში, იხ. მ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომი, [ტფილისი, 1907], გვ. 13.

[424] ისტორია. 278.

[425] იქვე.

[426] იხ. ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი ს თარგ. ს . ლ ე ნ - პ უ ლ ი ს Мусульм. династии, 1899 წ. გვ.143.

[427] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი , ისტორია, 459.

[428] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 157—158.

საქმის მონაწილედ აბულეთს ასახელებს იმიტომ, რომ, როგორც თავის დროზე უკვე აღნიშნული იყო, დავით აღმაშენებელმა ახლად დაპყრობილ ანისში მმართველად მართლაც აბულეთი დანიშნა (იხ. აქვე, გვ. 208). ვარდანის სიტყვებითგან მხოლოდ ნათლად არა ჩანს, ანისის დათმობა აბულეთის პირად, მეფის დაუკითხავად გადაწყვეტილ და ანგარებით ნაკარნახევ, მოქმედებად მიაჩნია, თუ აბულეთი აქ საგანგებოდ დასახელებული ჰყავს მხოლოდ ვითარცა ქ. ანისის გამგე და მონაპირე მთავარი?

1138—1139 წ.[429] როდესაც ადარბაგანსა და რანში საშინელი მიწისძვრა მოხდა, ქ. განძა (განჯა) დაინგრა და მრავალი მცხოვრები დაიღუპა[430], იმავ 1138-1139 წელს დემეტრე მეფეს ქ. განძის წინააღმდეგ გაულაშქრია და იქითგან საქართველოში ძლევამოსილი დაბრუნებულა. მეფეს თან ქ. განძის კარები წამოუღია[431]. ეს კარი ეხლაც გელათის მონასტერში ინახება და ზედ ამ ამბის დამამტკიცებელი დაზიანებული ქართული წარწერა აქვს[432]. ამ წარწერაში ნათქვამია რომ დემეტრე მეფეს ეს კარი მოუტანია "[წე] ლსა მეფ [ო] ბის… იგ: (13) ხ᾽ დასაბამითგან"... (იქვე) ანუ მართლაც 1138—1139 წ.

1130 წ. ქვეშე სომეხთა ისტორიკოსს ვარდანს შემდეგი ამბავი აქვს მოთხრობილი: «უფლის წულს [და] ივანე აბულეთის ძეს უნდოდა[თ] დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა. მაგრამ ივანეს მამამ აბულეთმა თავის (შვილის) წინაშე ჭაღარა გაიშალა და (განზრახულის აღსრულება) დაუშალა. ძმათა შორის (ჩამოვარდნილ) მზაკვრობის წყალობით ორივენი დმანისის ციხეში დაამწყვდიეს. როდესაც დემეტრე (მეფემ) ეს (ამბავი) შეიტყო, (მივიდა დმანისის ციხეში და) ივანეს (დაცინვით) უთხრა: "აჰა შემიპყარ!"-ო. ხოლო მან სინანულით უპასუხა: «არა მეფევ, მე ხელთ მოგეცით თქვენი ძმა, რომელიც თქვენს მეფობას ეძიებს». (მეფემ) შეიპყრა იგი (ძმა?), «(თვალი) დაუბნელებინა და გაანთავისუფლა»-ო[433]. იმავე მემატიანის სიტყვით ივანე აბულეთის ძემ 1131 წ. გაილაშქრა და გარნისი აიკლო, ხოლო «მეორე წელიწადის დამდეგს (ანუ 1132 წ.) დემეტრე (მეფემ) გულადი ივანე ვერაგობით მოაკვლევინა. მისი შვილი თირქაში ამირთ-ამირა შაჰი-არმენთან წავიდა, მისგან (საგამგეოდ) არშარუნის (ქვეყანა) მიიღო და (იქითგან) დიდის თავგამოდებით აოხრებდა საქართველოს»[434]. როგორც თვით ვარდანისავე სიტყვებიდან ჩანს, დემეტრე მეფეს თირაქში მაინც ხელში ჩაუგდია და საპყრობილეში ჩაუმწყვდევია[435]. ვარდანის მოთხრობა მეტად მოკლე და ბუნდოვანია, მაგრამ არსებითად მართალი უნდა იყოს. რომ ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯა ნამდვილი ამბავია, ეს ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანის თხზულებითგანაცა ჩანს; იგი ამბობს: «დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოკუეთა ჩხერესმერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა[436] მისსა და მეტეხთა დადვა ფიცისა არ გატეხისათჳს»-ო (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა, გვ. 239). თავის მოკვეთა ცხადად ამტკიცებს, რომ ივანე აბულეთის ძე რაღაც პოლიტიკური დანაშაულობისათვის (ალბათ ღალატისათვის) უნდა ყოფილიყო დასჯილი. მაგრამ მემატიანის სიტყვებითგანა ჩანს, რომ მეფეს დამნაშავისათვის წინათ რაღაც «ფიცი» მიუცია და სწორედ «ფიცისა არ გატეხისათჳს» მეტეხში დაუმარხავს. ცხადაი, რომ «ფიცი» და სიმტკიცე შეუძლებელია

---

[429] იბნ ალასირი თარიღად 534 წ. ჰიჯ. (1139—1140) სდებს, მაგრამ სხვა მემატიანენი, როგორიც იყვნენ მაგ. სიბტ იბნ ალ-ჯაუზი. აᲥნი, ბარ ჰებრაᲥო, 533 წ. ჰიჯ. (1138-1139) თვლიან (დეფრემერი, (**Frag**., 490) ვარდანის სიტყვითაც ეს მიწისძვრა 1139 წ. ყოფილა (ისტ., 162).

[430] ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი , დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 489—490.

[431] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს ისტორია, ტფილისის 1910 წ. გამ., გვ. 108.

[432] Brosset, Histoire de la Georgie, I parties, თარგმანი, გვ. 368-369, შენ. 3; Voyages, rapp. XI, 41 და თ. ჟორდანია, ქ᾽ კბი, I, 248.

[433] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 160—161.

[434] იქვე, 161-162.

[435] იქვე, 165.

[436] ხელნაწერში შეცდომით ნათქვამია «მეფობისა».

დამარხვის თაობაზე ყოფილიყო დადებული და დემეტრე მეფის უკანასკნელი საქციელი, ალბათ, მხოლოდ გატეხილი ფიცის დასაფარავად მოგონილი გარეგნული თვალთმაქცობა და ხრიკი იქმნებოდა. ვარდანი და ქართველი მემატიანე ივანე აბულეთის ძის დასჯის თარიღის თაობაზე ერთიერთმანეთზე შორი-შორს არიან, ვარდანი 1132 წ. ასახალებს, ქართველი მემატიანე კი 1145წ.

თვით დანაშაულობის შესახებ ჩვენ ვარდანის მოთხრობის მეტი სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, რომ ვარდანის მოკლე და ბუნდოვანი აღწერილობა შეგვევსო და საქმის ნამდვილი ვითარება გაგვეგო. ცხადია მხოლოდ, რომ ივანე აბულეთის ძეს დემეტრე მეფის ღალატი განუზრახავს, მაგრამ პირადის განზრახვით კი არა, არამედ დემეტრე მეფის ძ მ ი ს ა თ ვ ი ს, რომელიც თურმე ე ძ ი ე ბ დ ა მ ე ფ ო ბ ი ს ა. დავით აღმაშენებელის. «ცხორებაში» დემეტრეს გარდა დიდებული მეფის სხვა შვილი მოხსენებული არ არის. მაგრამ არც ის არის ნათქვამი, რომ დემეტრე მხოლოდშობილი ძე იყო, მაშასადამე შესაძლებელია დემეტრეს ძმები თუ არა, ერთი ნახევარ-ძმა, ყივჩაყთა მთავრის ასულისაგან შობილი, მაინც ჰყოლოდა. ან იქნებ განდგომის მოთავე უფლისწული დემეტრეს ძმად წოდებული, დემეტრეს ბიძაშვილი ყოფილიყო, დავით აღმაშენებელის იმ ძმის შვილი, რომელსაც მათე ურჰაელის სიტყვით «თოტორმე» რქმევია[437]. დასასრულ, შეიძლება ამ ადგილას ვარდანის ტექსტი დამახინჯებული იყოს, აკლდეს კიდეც და თავდაპირველად ასე წერებულიყოს: «ივანე აბულეთის ძემ და დავით (უფლისწულმა) განიზრახა მოკვლა დემეტრესი (მამისა) და თავის ძმის (გიორგისა)»? თუ უკანასკნელი აზრი სწორია, მაშინ ვარდანსაც ამ ადგილას დავით უფლისწულის იმ შეთქმულებაზე უნდა ჰქონდეს საუბარი, რომლის შესახებაც თამარ მეფის ისტორიკოსს გაკვრით მცირეოდენი ნათქვამი აქვს (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●595 დ ა●613, გვ. 364 და 386). მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ვარდანის ის ცნობა, რომ დემეტრეს თავისი წინააღმდეგი და მოღალატე დაუტყვევებია და დაუბრმავებია. დავით უფლისწული კი, შემდეგ ცოტას ხნობით მეფედაც ნამყოფი, არც ერთს ისტორიკოსს უსინათლოდ მოხსენებული არა ჰყავს.

«ქრონიკონსა: ტო: (370) დასაბამით-გან: ხღნდ: (6754) აქა დ᾽თ (დავით) დ[ემეტრე]ს გაადგა»-ო, ნათქვამია ერთს კჯნკლოსში[438]. თამარ მეფის ისტორიკოსს, იქ სადაც დემნა უფლისწულის განდგომაზეა ლაპარაკი გიორგი მეფის წინააღმდეგ, ნათქვამი აქვს, რომ «დავით-ცა მამამან მისმან ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყჯდნა ამის სამეფოსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია ქმნილნი, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა»-ო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●613, გვ. 386). მაშასადამე, დავით უფლისწულის განდგომა თავისი მამის დემეტრე მეფის წინააღმდეგ უტყუარი ამბავი ყოფილა და 1150 წელს მომხდარა. ამ აჯანყების მიზეზად როგორც ეტყობა ის უნდა ყოფილიყო, რომ დემეტრეს ორი შვილი ჰყავდა, — უფროსი დავით და უმცროსი გიორგი, — და დემეტრე მეფე ყოფილა «მარჩეველი ძისა უმცროსისა» გიორგისა (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●595, გვ. 364). ამ განდგომილებაშიც, როგორც ჩვეულებრივ, »ამის სამეფოს დიდებულნიც» იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას; მაგრამ დემეტრე მეფეს მოღალატეთათვის უჯობნია და მონაწილენი დაუსჯია ზოგი გაძევებით, »ექსორიით», «რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა». თვით მოთავე უფლისწულის დავითის დასჯის შესახებ ისტორიკოსი არას ამბობს და როგორც ეტყობა მამას თავისი ურჩი შვილი მეამბოხე ბატონიშვილებისათვის დაწესებულ სასჯელისაგან განუთავისუფლებია.

---

[437] ისტორია, 448.

[438] ქ᾽კბი, I, 250.

1153—54 წ. «მოუხდა სა[ლ]დუხ ამირა[439] ანის [ის]ქალაქსა, მოადგა; აქათ დემეტრე მეფე მოვიდა; შეიბნეს, ნებითა ღმრთისაჲთა მეფეს გაემარჯჳა, დაჴოცნა და ამოსწყვიტნა»-ო, ნათქვამია ერთს კჳ ნკლოსში[440] და ეს ცნება მართლდება თამარ მეფის ისტორიკოსის მოწმობითაც, არაბ მემატიანის ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ს სიტყვებითაც. იბნ ალასირი სახელდობრ ამბობს, «548 წ. ჰიჯრ. (1153—54) ქართველებსა და არზრუმის მთავრის სალიხს (=სალდუხს) შორის სომხითში სასტიკი ბრძოლა მოხდა. ქართველებმა სალიხი უკუ აქციეს და დაატყვევეს, მაგრამ მერე განათავისუფლეს»-ო[441]. თამარ მეფის ისტორიკოსსაც ერთ ალაგას ნათქვამი აქვს: მუტაფრადინის »პაპაი სალდუხ ეზდინი პაპასა მათსა (თამარისას) დემეტრეს, ჴელმწიფესა დიდსა და სახელოვანსა, ჭაბუკსა გურგასლიანსა, ძალითა და ღუაწლთა სიმრავლითა ჴელთ ეგდო და მოეყვანა»-ო (ის´ტრნი და აზ´მნი, ●643, გვ. 426).

თუ ამ სამს საისტორიო ცნობას ერთიერთმანეთს შევადარებთ, ეს ამბავი ამგვარად წარმოგვიდგება: ამირა სალდუხი 1153—1154 წ. ქ. ანისს მოსდგომია და ალყა შემოურტყამს. ანისს, რომლის მმართველიც საქართველოს მეფის ყმად იყო ნაფიცი და თვით ქალაქიც მას ქართველთა მეფისაგან ჰქონდა გადაცემული, დემეტრე მეფე ძლიერის მხედრობით მიშველებია. ანისთან სასტიკი ბრძოლა მომხდარა, რომლის დროსაც «ღუაწლთა სიმრავლითა» მტერი დამარცხებული და უკუქცეული იქმნა და თვით სალდუხი დატყვევებული საქართელოს მეფემ თან წაიყვანა, მაგრამ მერე განათავისუფლა. ყურადღების ღირსია, რომ ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ს უძველეს ხელნაწერში, დეფრემერის სიტყვით, იმირას სახელი «სალიკ»-ად კი არ სწერია, არამედ «სალტუკ»-ად[442], რაც ქართველი ისტორიკოსის მართლწერას «სალდუხ»-ს კარგად უდგება.

თუმცა როგორც აღნიშნული იყო დემეტრე მეფე იყო «მარჩეველი ძისა უმცროსისა» გიორგისა და ამის გამო განდგომილებაც კი მოუწყო უფროსმა შვილმა დავითმა, რომელსაც მამამ სძლია, მაგრამ დავითს მაინც თავისი გაუყვანია: დემეტრე მეფემ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, «შეიმოსა ჩოჴა და სქემა», ბერად შედგა და «დასუა ძე მისი დავით მეფედ, იმეფა ექუს თუე და მოკუდა» (ანა დ´ფსი ქ´ცა, გვ. 238). უეჭველია, ამ დროს საქართველოს მეფის სახლობაში რაღაც უნდა მომხდარიყო და თუმცა ზემოაღნიშნული მემატიანე გაიძახის, დემეტრე მეფემ «წარვლო ცხორება და მიიწია სრულქმნილი სიბერესა»-ო (იქვე), მაგრამ მ. ბ რ ო ს ე სრულებით მართალი იყო, როდესაც ეჭვი გამოსთქვა და ფიქრობდა, რომ დემეტრე მეფე, ალბათ, იძულებული უნდა ყოფილიყო ბერად შემდგარიყოო[443]. რომ დავით III გამეფება მაინც და მაინც მისი მამის დემეტრე მეფის თანხმობითა და ნებაყოფლობით არ მომხდარა, ეს თამარ მეფის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვებითგანაც ნათლადა ჩანს; იგი ამბობს: დემეტრე მეფის «ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულყო პირველ მამისა»-ო (ის´ტ´რნი და აზ´მნი,●595,გვ.364). მაშასადამე, დემეტრე არამც თუ თავის უფროსის შვილის კმაყოფილი და მადლიერი არა ყოფილა, არამედ თურმე ღმერთს ევედრებოდა, რომ ურჩი შვილისაგან ეხსნა. ისტორიკოსი ფიქრობს კიდეც, რომ ღმერთმა შეისმინა მამის ვედრება, დავითს სიცოცხლის დღენი შეუმცირა და მამაზე უწინარეს გამოასალმა წუთისოფელსაო. დავით III მხოლოდ ექვსი თვე უმეფნია და გამეფებისთანავე

---

[439] ხელნაწერში და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემაში შეცდომით «ყაენი» სწერია; ყაენობისა მაშინ ჯერ ხსენებაც-კი არ იყო მცირე აზიაში.

[440]იხ. "მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან", ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., ძველი საქ´ლო, II. გვ. 63.

[441] დეთრემერი, Frag., 491.

[442] ქვე. გვ. 498.

[443]Histoire de la Georgie, I partie, გვ. 398, შენ. 2 შეად. აგრეთვე თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ქ´კბი, I, 252—253.

მან თურმე დემეტრე მეფისაგან საპყრობილეში ჩამწყვდეული თირქაში განათავისუფლა და ამირსპასალარად დანიშნა[444]. იგივე ისტორიკოსი, რომელსაც ეს ცნობები აქვს შენახული, ამბობს, რომ ზოგნი იძახიან კიდეც ვითომც დავით III სუმბატ და ივანე ორბელთაგან ყოფილიყოს მოკლული იმიტომ, რომ მან მხედართმთავრობის უფლება ჩამოართვა და მათ მაგიერ თირქაში დააყენაო; ვითომც ამასთანავე მათ გიორგი III სიტყვა ჩამოერთვათ, რომ იგი ამირსპასალარობას მათ მისცემდა (იქვე). მაგრამ უკანასკნელი ცნობა საეჭვოა იმიტომ, რომ ივანე ორბელი დავით III შვილის დემნას მომხრედა ჩანს.

დავით III გარდაცვალების დროს დემეტრე ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და დავითის სიკვდილის შემდგომ «მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა და მამან თავისა-თანა და თჳსსა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●595, გვ.364). მაშასადამე, შემონაზონებულს დემეტრეს პირი კვლავ სამეფო ცხოვრებისაკენ უბრუნებია და თავის თანამოსაყდრედ სახელმწიფო ტახტზე თავისი საყვარელი შვილი გიორგი III დაუსვამს. ამის შემდგომ დემეტრეს დიდხანს აღარ უცოცხლია. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე ამბობს: «დემეტრე მეფე ბელტის ციხესა მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მის-გან-ვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა. ქრონიკონი იყო სამას სამ(ე) ოცდა(ა) თოთხმეტი»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 239). ქრონიკონი 1154 წ. უდრის. თარიღი მემატიანეს ორგან აქვს აღნიშნული, ორგანვე სხვადასხვანაირი: პირველად ნათქვამი აქვს, გიორგი III რომ მეფედ დაჯდა «ქრონიკონი იყო სამას სამ[ე] ოცდა [ათ]ხუთ[მეტი]ი[445]. მასვე წელსა მოკვდა დემეტრე მეფე»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ ცა, გვ. 238, 17—19); მეორედ-კი ზემოაღნიშნული ცნობა არის მოყვანილი; მაშასადამე, ერთხელ 1154, მეორეჯერ 1155 წ. არის დასახელებული; უეჭველია, გადაწერის დროს შეცდომა უნდა იყოს შეპარული. ამასთანავე თუ გავიხსენებთ, რომ სტეფანოს ორბელიანი დემეტრე მეფის სიკვდილის თარიღად 1158 წ. სდებს[446], ვარდანის სიტყვით-კი დემეტრე I ვითომც 1157 წ. უნდა გარდაცვლილიყოს, ხოლო გიორგი III გამეფების თარიღად იგი 1156 წ. სთვლის[447], თანაც ქართულს კჳნკლოსებშიც სხვადასხვა თარიღებია აღნიშნული,— ხან 1150 წ.[448], ხან 1156წ.[449], ჩვენთვის ცხადი გახდება რამდენად არეული უნდა იყოს ცნობები ამ ისტორიული მოვლენის შესახებ. ცნობათა ამგვარი სხვაობის გამო სიმართლის გაგება ძნელია. ამ თარიღის გამოსარკვევად გამოსადეგია და ყურადღების ღირსი, რომ სამთავისის საყდრის კედელზე ამოჭრილს ასომთავრულს წარწერაში ნათქვამია: «ხატო ღ᾽თაებისაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული და უძლეველი ღვთივ გჳრგჳნოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე გიორგი. მე იოვანე სამ(თავნელმა)ნ... აღვაშენე კარიბჭე ესე... ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს ა მ ე ფ ო ბ ი ს ა მ ა თ ი ს ა ს ა : ი ბ : (1 2) ქ რ ო ნ ი კ ო ნ ი ი ყ ო : ტპ᾽:(388)». თუ ეს წარწერა სწორად არის წაკითხული და შესწორებული თ. ჟორდანიას მიერ[450], მაშინ ირკვევა რომ 1168 წელს გიორგი III მეფობის 12 ინდიქტიონი ყოფილა; მაშასადამე, იგი 1156 წელს გამეფებულა. ამგვარად მართლდება ვარდანის თარიღი და საეკ. მუზ. ხელნაწერის № 85 მინაწერის ცნობა, ხოლო ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თარიღი ალბათ გადამწერისაგან უნდა იყოს დამახინჯებული

---

[444] ვარდანი, ისტორია, 165.

[445] ხელნაწერში, რასაკვირველია, გადამწერის დაუდევრობით შეცდომით სწერია: »სამას სამოცდა ხუთი».

[446] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, გვ. 278.

[447] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, გვ. 165.

[448] «მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან» ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამ., ძველი საქ᾽ლო, II, 63, ბატონიშვილს ვახუშტსაც იგივე წელიწადი აქვს მიღებული.

[449] საეკ. მუზ. ხელნაწერი № 85, ქ᾽კბი, I, 255.

[450] ქ᾽კბი, I, 259.

და თავდაპირველად ეწერებოდა «ქრონიკონი იყო სამას სამეოცდა ათექუსმეტი», ესე იგი «ტოვ» და არა «ტოე», ან «ტოდ».

თუ საბოლოოდ ამ თარიღს დავემყარებით, მაშინ დემეტრე მეფის შემონაზონება მომხდარა 1154—1155 წელს; იმავე წელს გამეფებულა დავით III, რომელსაც 6 თვე უცოცხლია; დავით III სიკვდილის შემდგომ დემეტრე მეფეს თანამოსაყდრედ გიორგი III გაუხდია, რომელიც სამეფო ტახტზე 1155—1156 წ. ასულა. თუ ჩვენ დემეტრე I შენახულ ცნობებს თავს მოვუყრით და დავაკვირდებით, უნებლიედ შევამჩნევთ, რომ იგი უფრო მტერ იგერებდა, ვიდრე დავით აღმაშენებელსავით თვით მიჰქონდა მტერზე იერიში, იგი უფრო თავისი მამის ნაანდერძევ სახელმწიფოს დაცვისათვის ზრუნავდა, ვიდრე საქართველოს ზედმეტს გაფართოებისათვის. მაინც-და-მაინც დემეტრეს მეფობაში საქართველოს დიდი არაფერი შეჰმატებია.

3. მეფე გიორგი III

1155-1156 წელს[451] საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დემეტრე I უმცროსი შვილი გიორგი III. თუ მის მამას გულადი მეომრის სახელი ჰქონდა, მით უმეტეს მამაცობა მას მიეკუთვნებოდა. როგორც აღნიშნული იყო, დემეტრე I უფრო რომ იცავდა თავისი დიდებული წინამორბედის დავით აღმაშენებელის ნაანდერძევ მემკვიდრეობას, გიორგი III კი კვლავ განაახლა საქართველოს საზღვრების გაფართოვება. მისი სამხედრო მოქმედება განსაკუთრებით სამხრეთისაკენ იყო მიმართული და შაჰარმენსა და სხვა ამირებს, რომელთაც წინანდელი სომხეთის სამეფოს მიწები ეჭირათ, აცლიდა ხელითგან სამფლობელოს. თუმცა მაჰმადიანი მმართველნი გიორგი III ერთსულოვნად მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მისი იყო: იგი კვალდაკვალ მისდევდა მტერს და მათს ქვეყნებს იპყრობდა.

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით მეფეს პირველად ქ. კაღზევანზე გაულაშქრია, როდესაც მან «წარმოტყუენა ყოველი ციხენი კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა», რომელიც შაჰარმენის ხელთ იყო (ისტ´რნი და აზ´მნი,●597,გვ.366). მაგრამ გიორგი III განსაკუთრებულს ყურადღებას ქ. ანისს აქცევდა.

მან გადასწყვიტა ქ. ანისი, რომელიც დემეტრე მეფემ ისევ ყმად ნაფიცს მაჰმადიან მმართველს დაუბრუნა, კვლავ საკუთრივ დაეპყრა. ამისათვის მან «ინება შეყრად და გალაშქრებად და მიჰმართა დიდად ქალაქად ანისად[452] რომელი ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო», ხოლო «მორიდებითა ბერძენთასა და მიმო[ც]ვ[ა]ლებითა ჟამთა დიდ[453] გურიანთა ვიეთმე შედად[ი]ანთა[454] გ[ამგ]ეთა და [დ]გუმულთა»[455] ხელთ იყო «ამას ზედა მყის მიმ´ჯდომმან, სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და

---

[451] თუ რაიმე შეცდომა არ არის პაღარწინის წარწერაში გიორგი III უკვე 1155 «აფხაზთა მეფედ» არის წოდებული (**სომხური**) 31 a); მაგრამ სამთავისისზემო მოყვანილს წარწერასა და საეკ. მუზ. №85 ხელთნაწ. მინაწერს გარდა გიორგი III გამეფების თარიღად სტ. ორბელიანსაც 1156 წ. მიაჩნია: იგი ამბობს 1177 წ. გიორგის მეფობის 21 ინდიკტიონი იყოო (ისტორია 280). ამას გარდა ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანეც ამბობს: გიორგი III 28 წელი იმეფაო; თუ 1154 წ. მიუმატეთ 28 წ., გამოვა 1182 წ., გიორგი III-კი 1184 წ. გარდაიცვალა; ხოლო თუ 1184 წ. 28 წ. გამოვაკლებთ, გიორგი III გამეფების თარიღად აქაც 1156 წ. გამოვა.

[452] ქალაქ დ´დ ანისად <ქ´ლქ დ´ანისად.

[453] დიდად.

[454] ბადადანთა, ქ´ცა შანშე დადიანთა.

[455] და გულმულთა, ქ´ცა განდგომილ იყო.

ძგერა ჰუნეთა... გარდახვეწასა შინა შადიანისა[456] ჴელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თჳსისა, და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა [მანდატურთა-უხუცესისა] და ამირსპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მჯარგრძელისათა და სხუათა თემის[ა] დიდებულ აზნაურთათა [მო]ურავ [მ]ქმნელმან[457]», შინ დაბრუნდაო (ისტ´რნი და აზ´მნი,●598—599, გვ.367—368)[458]. ქართველი ისტორიკოსის აღწერილობა მშვენივრადა მტკიცდება უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებით. ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი სახელდობრ ამბობს: «თვესა შაბანს 556 წელს (აგვისტოს 1161 წ.) ქართველები თავიანთ მეფის წინამძღოლობით შეიყარნენ და ქალაქ ანისისაკენ, რომელიც არანშია, გაემგზავრნენ, აიღეს იგი და დიდძალი ხალხი დახოცეს»-ო[459]. ამგვარადვე მოგვითხრობენ სომეხთა ისტორიკოსები მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი[460], ვ ა რ დ ა ნ ი[461] და ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი[462]. სამივენი ერთხმივ თარიღად 1161 წ. ასახელებენ; ამასთანავე მათე ურჰაელის სიტყვით ეს ამბავი ზაფხულში მომხდარა და ამით არაბ მემატიანის ცნობას ადასტურებს. ვარდანს აღნიშნული აქვს, რომ ამ დროს ანისი შადადის ძმის ფადლუნის ხელში იყო (გვ.165) და ისედაც ცნობილია, რომ ანისის მმართველნი შედადიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ: ამითაც ქართველი ავტორის სიტყვები, რომ ანისის გამგედ შადადიანი იყო, მშვენივრადა მტკიცდება. ამას გარდა მათე ურჰაელი ამბობს, რომ როცა გიორგი მეფე ანისში მივიდა იყო «დღე ორშაბათი, ერთი დღე გაატარა და დილა-ადრიან ქალაქი ძალით აიღოო» (გვ.543) და ამნაირად თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვას, რომ გიორგიმ «ს ა მ დ ღ ე ყ ო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა... და ჴელთ იგდო ქალაქი»-ო, საუცხოვოდ ამოწმებს. მათე ურჰაელის სიტყვით ანისის აღების დროს ქრისტიანი და უცხოთესლი ათასი კაცი დაიხოცა[463]. დასასრულ, სტეფანოს ორბელიანსაც ქართველ ისტორიკოსსავით აღნიშნული აქვს, რომ მეფემ დაპყრობილი ანისი ივანე ამირ სპასალარს ჩააბარა (გვ. 279); თანაც ქალაქის მცველად 2000 რჩეული მეომარი დაუტოვებია[464].

ანისის დაკარგვა მაჰმადიანი მთავრებისათვის მეტად ძნელი საქმე იყო, რომ თავიანთი მარცხი ასე ადვილად დაეთმოთ გიორგი მეფისათვის. მართლაც «ჯავრისაგან აღ[ი]ძრა ნაღუელფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა და შაჰიერ[მან][465] სულტანად [მ]წოდებელმან[466] თავისამან, მწ[ვე]ველ[467] იქმნა ყოვლისა

---

[456] შანშე დადიანისა: < შა დადიანისა, გადამწერს «შა» ქარაგმიანი ჰგონებია.

[457] ურავ ქმნილმან, ქ´ცა ამიერ უზრუნველი ქნილმან.

[458] მ ე ფ ე თ მ ე ფ ე დ ი მ ი ტ რ ი «მ კ ჳ დ რ ც ა ა რ ს მ ა რ ჯ უ ე ნ ი თ ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ს ა დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ ი დ ა მ ი ა ნ ი ჭ ა ღ მ ე რ თ მ ა ნ ძ ესა მათსა გიორგის მ ე ფ ო ბ ა ჲ, ლ ო მ თ ა უ მ ჴ ნ ე ს ს ა დ ა ა რ წ ი ვ თ ა უ მ ა ღ ლ ე ს ს ა და მისცა ღმერთმან ურიცხჳ ძლევაჲ და გამარჯვებაჲ ყოველთა წინააღმდეგომთა მისთა ზედა. მ ე ხ უ თ ე ს ა წ ე ლ ს ა ა ი ღ ო ა ნ ი ს ი... აგარიანთაგან... ტყუჱთა... ანისასა... [ს ა მ ი] ა თ ა ს ი თ ა კ ა ც ი თ ა . . . და ეზომი ღმრთის წყალობაჲ და მტერთა [ზედა]იყო გამარჯვებაჲ მისი რომელ... მ ც ი რ ი თ ა ე რ ი თ ა ს ძ ლ ო უ რ ი ც ხ უ ს ა მ ა ს ს ი მ რ ა ვ ლ ე ს ა ბ ა რ ბ ა რ ო ზ თ ა ს ა და მოკლვით და ტყეუობით მოსწყჳდეს ო ც დ ა ა თ ე ქ უ ს მ ე ტ ი ა თ ა ს ი კ ა ც ი, დაუტევეს საჭურჭლე ურიცხჳ კარვები, ცხენი, აბჯარი, და ყოველი ნაქონები მათი. დაიპყრეს თავადი ამირაები სუქამნის ძე ძლივს წავიდეს დაკოდილ-ჩამოგდებული» (XIIIს-ს ტბეთის სახარების ანდერძი, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, MAK, XII [M., 1909], გვ.154—155).

[459] დ ე ფ რ ე მ ე რ ი, Frag ., 499.

[460] ისტორია, 542—543.

[461] იქვე,167.

[462] იქვე, 279.

[463] მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი, ისტორია, 543.

[464] მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი, ისტორია, გვ. 543.

[465] შარიარმან.

შამისა[468] ჯაზირისა[469] და დ[ი]არბაგისა, თურქთა თანა გარმ[ი]ანისათა[470] არდოხის ძე[471] სალდუხი სალჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსა ტომობდა[472], მრავალთა დიდთა მ[ე]პა[ტ]რ[ონე]თა[473] და ფადაშაჰთა[474] სპარსეთისათათანა... უჰამრავითა[475] ხალხითა და ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა; ყოველთა დღეთა კართა ზედა მებრძოლი, მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა. ხოლო ცნა ესე მეფემან მეფეთამან... იჴმნა დასნი და დასნი»; მაგრამ სანამ მთელი მჴედრობა შეიყრებოდა მეფე «არღა[რა]»[476] დამხედველი მცირეთა, დ ყოვლისა არღა მომლოდ[ინე] ექმნა სახელგანთქმულთა ჭაბუკთა ლიხთიმერით და ვიეთ(თა) მე ამერთაცა», შესწრებული ჯარითურთ «შთავიდა შირაკად», (ისტ᾽რნი დ აზ᾽მნი, ●599—369). გიორგი მეფეს თან ახლდნენ «თანა-ვაზირობდეს იოვანე მწიგნობართ-უხუცესი და სუმბატ სვიმონ ქმნილი» (იქვე, ●600, გვ. 370) და გამოჩენილი მეომარნი, ამირახორი სუმბატის ძე ლიპარიტ, ბექა სურამელი, ქირქიში აბულეთის ძე (იქვე, ●601—602, გვ. 371—372). გამწვავებული ომი შეწყდა მხოლოდ მზის ჩასვლისას. თავგანწირული ბრძოლითგან მეფე გიორგი და მისი მხედრობა ძლევამოსილი გამოვიდა, საშინლად დამარცხებული მტერი უკუქცეული იყო. როდესაც გაქცეულ მტერს საკმაოდ სდიეს და შემდეგ უკან გამობრუნდნენ, ქართველებს ბრძოლის ველზე დახვდათ «სიმრავლე (დატყვევებულ) ჴელმწიფეთა და დიდებულთა აზნაურთა, ყმათა და მონათა, სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა და სიმდიდრეთა სოფლისათა (იქვე, ●602—603. გვ. 372—373). მეფე, ჴელისუფალნი და მხედრობა გახარებული იყო ამ დიდებული გამარჯვებით, რომ ბევრად ძლიერს და მრავალრიცხოვანს მტერს სძლიეს. ასეთ ფიცხელ «ომმოხდილნი ქართველები «იშვებდეს ფრიად მპოველნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თჳსი[სა და] ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა გამარჯვებულნი და აღვსილნი ყოვლითა» (იქვე, ●603. გვ. 373). მეფე გიორგიმ სამ დღეში ანისის საქმეები მოაწყო და ქ. ანისში «დამყენებელმან ამირისა[477] და ლაშქართა-მან» ტფილისში «წარმოავლინა მახარობელი» და თითონაც სახელოვანის მხედრობითურთ საქართველოში დაბრუნდა (იქვე, ●604, გვ. 374).

არაბი და სომეხი მემატიანენი ადასტურებენ ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობასაც. ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ ქართველთა გამარჯვების შემდგომ ანისში 1161 წ. აგვისტოში, »შაჰარმენი, იბრაჰიმის ძე სუკმანი, ხლათის მთავარი მოწვეულ იქმნა ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად; მან თავისი ლაშქარიც შეჰყარა და დიდძალი მოხალისეც შემოუერთდა. შაჰარმანი ქართველების წინააღმდეგ წავიდა. ისინი დაუხვდნენ მას და დაამარცხეს. მუსლიმანები უკუქცეულ იქმნენ, მომეტებული მათგანი დაიღუპა და

---

[466] წოდებულმან.

[467] მცველ.

[468] ბამისა.

[469] ჯაზარისა.

[470] გარდმანისათა (იხ. ამის შესახებ ბროსეს შენიშვნაHist. I, Georgie, I 387, შენ. 5).

[471] ადროტის რე.

[472] გუარ სატომობდა.

[473] ამპარტიანთა.

[474] ფათაშაბთა.

[475] აჰა ქმარვითა.

[476] არია.

[477] ვ ა რ დ ა ნ ი ს სიტყვითაც მტკიცდება, რომ ანისში ქართველ მეფეებსაც არ მოუსპიათ ამირობა და ამირები უდგენიათ (ისტორია, 170). ამ დროს გიორგი III თურმე ჯერ სადუნი დაუნიშნია, მერე ღალატისათვის გადაუყენებია და მის მაგიერ სარგისი დაუდგენია (იქვე 166).

ბევრიც დაატყვევეს (ქართველებმა). დამარცხებული შაჰარმენი უკან დაბრუნდა და მტერს გადურჩა მხოლოდ 400 მხედრითურთ»[478].

უფრო ვრცელი აღწერილობა მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ს ა აქვს შენახული. ქართველებმა რომ 1161 წ. ანისი აიღეს «ხლათის მთავარმა, რომელსაც შაჰარმენს უწოდებენ, 80000 კაცი შეკრიბა, მოვიდა და ქალაქი ანისი გარემოიცვაო,— ამბობს სომეხი ისტორიკოსი; ამის გამგონე ქართველთა მეფე მათ წინააღმდეგ წამოვიდა, დაამარცხა და ყველანი უკუაქცია. ამ დღეს (ომში) დაიხოცა 7000 კაცი; ხოლო ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ 2000 ყმა და 6 მთავარი, 150 დიდი ამირა; (დავლად ერგოთ) უამრავი ცხენები, ჯორები, აქლემები» და სხვა[479]. მათე ურჰაელის სიტყვით ქალაქ ანისის მცხოვრებნი ამ ბრძოლის კარგა ხნის შემდგომაც ბალახებში თურმე მეომართა ჯავშანს პოულობდნენ[480]. ვარდანისა[481] და სტეფანოს ორბელიანის [482] აღწერილობა არსებითად ახალს არაფერს შეიცავს; უკანასკნელი ისტორიკოსის სიტყვით მხოლოდ მაჰმადიანთა ლაშქრის რაოდენობა 40000 აღემატებოდა[483] და ალბათ ეს ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს.

ამგვარად, ყველა ადგილობრივი და უცხო ისტორიკოსები ერთხმივ ამტკიცებენ, რომ ანისის დაპყრობა და იქ ქართველების გაბატონება მაჰმადიან მოსაზღვრე მთავრებს ძალიან სწყენიათ და შაჰარმენის მეთაურობით შურის საძიებლად და ანისის დასაბრუნებლად შეერთებულის ლაშქრით ანისს მისდგომიან. ქართველი ისტორიკოსი ამ ლაშქრობის უმთავრეს მონაწილედ ასახელებს: 1) შაჰარმანს, ანუ შაჰარმენს, რომელიც ხლათის მმართველი იყო. როგორც იბნ ალასირის სიტყვებითგანა ჩანს, ეს შაჰარმენი ყოფილა იბრაჰიმის შვილი, ესე იგი, ნასირ ადდინ სუკმან II 1128—1183 წ.[484]; ყურადღების ღირსია, რომ ქართველი ისტორიკოსის სიტყვით შაჰარმენი თავის თავს თურმე «სულტანს» უწოდებდა. ლაშა-გიორგის დროინდელს ქართველს მემატიანესაც აღნიშნული აქვს, რომ გიორგი III «ხ ლ ა თ ი ს ს უ ლ ტ ა ნ ი გ ა ა ქ ც ი ვ ნ ა» (ანა დ´ფს ქ´ცა, გვ. 239); 2) არდოხის ძეს, რომელიც უნდა უდრიდეს დიარბეკრის მმართველს მარდანაში კუტბ ად-დინ ილ-ღაზის (1152-1176 წ.); იგი მართლაც ორტოკის გვარის შვილი იყო[485]; საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ შაჰარმენმა გიორგი III საწინააღმდეგო ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება და დახმარება სხვათა შორის «დიარბაგრისა» მმართველსაც სთხოვაო; და 3) სალდუხი, რომელიც უნდა იყოს არზრუმის მთავარი ალ-მელიქ სალიკ ანუ სალტუხი; იგი უკვე 1153—54 წ. ამირად იყო და ჯერ კიდევ 1164—1165 წ. ცოცხალი ყოფილა[486].

ძლევამოსილმა გიორგი მეფემ, მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ს სიტყვით, ქ. ანისის მცხოვრებელებს ეროვნებისდა განურჩევლად თურმე დიდი წყალობა უყო და 40000 დრაჰკანი მისცა და ანისითგან ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და უცხო თესლი (მაჰმადიანი) ტყვეობითგან გამოისყიდა[487].

---

[478] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 499

[479] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი , ისტორია, 543.

[480] იქვე, 543-544.

[481] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია,165—166.

[482] სტ. ორბელიანი, ისტორია, 277—280.

[483] იქვე, 280.

[484] ს. ლენ-პული, Мусульманские династии, ვ. ბარტოლდის თარგმ., გვ. 143.

[485] იქვე, გვ. 151.

[486] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 498.

[487] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი , ისტორია, გვ. 544.

რაკი ანისი მტრისაგან უზრუნველჰყო, ეხლა გიორგი მეფემ უფრო სამხრეთისაკენ გაილაშქრა და «მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად დ[ვინ]ა[დ][488], აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღუარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა» (იქვე, ●597, გვ. 366); მეფე «წინამსრბოლობითა» მტერს მიადგა და «რომელნი მოამწყვდივნა ქალაქსა გარეთ» იმათ ეკვეთა; თვით ქალაქი-კი აიღო, »გამოიღო და წარმოტყუენა», დიდძალი დავლა და ნატყვენავი ჩაუვარდა ქართველებს ხელში (იქვე, ●597, გვ. 366—367). ეს ლაშქრობა ქართველ ისტორიკოსს ანისის აღებამდე აქვს მოთხრობილი და სწორედ ამ ამბავს მისდევს ანისის დაპყრობის აღწერილობაც (იქვე, ●598, გვ. 367); მაგრამ უცხოელ მემატიანეთა თხზულებები ამაზე სხვაგვარ ცნობებს გვაძლევენ, მაგ. მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი მოგვითხრობს: «ამავ (1162—1163) წელს სახელოვანი ქალაქი დვინი აღებულ იქმნა ქართველთა მეფის გიორგის[489] მიერ. იგი უცხო თესლთა უკუქცეულს ლაშქარს, რომელიც ქალაქითგან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსული იყო, კვალ-და-კვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა და ხოლო გადარჩენილთ, რომელთაც პირი ქალაქისაკენ იბრუნეს, მისდია და ჯარითურთ ქალაქის კარითგან ძალით შიგ ქალაქში შეიჭრა. (ქართველებმა) ყველანი უწყალოდ ამოხოცეს, დაატყვევეს და მათი მოსახლეობა აიკლეს და დიდის იავარითა და ნატყვენავით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდენ»-ო[490]. ვ ა რ დ ა ნ ს ა ც დვინის აღება და აოხრება ქართველთაგან მოთხრობილი აქვს ანისის აღების შემდგომ 1163 წელს. ვარდანის აღწერილობა საერთოდ მათე ურჰაელისას ეთანხმება: ვარდანს მხოლოდ საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ ქართველებს დვინის აღების დროს იქაურ ქრისტიანებისათვის ხელი არ უხლიათ და არა უვნიათ-რა[491]. დასასრულ, არაბი მემატიანე ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ც ადასტურებს სომეხ ისტორიკოსთა ცნობას; მას ეს ამბავი ამნაირად აქვს აწერილი: “557 წელს (ჰიჯრ:) თვეს შაბანს (=ივლისს-აგვისტოს 1162წ.) დიდძალი ქართველობა შეიყარა (მეომართა რიცხვი 30000 უწევდა) და მუსულმანთა ქვეყანაში შეიჭრა და ადარბაგანში ქალაქ დვინისკენ გაემგზავრა. ქართველთა მხედრობამ გაცარცვა იგი და 10000-მდე მოქალაქე და ამ სანახების მცხოვრები მოჰკლა, მრავალი ტყვე ქალი და კაცი წაასხა»-ო[492]. ზემომოყვანილ არაბ-სომეხ მემატიანეთა ერთხმივი მოწმობა გვაფიქრებინებს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს დვინის აღების დრო სწორად არა აქვს ნაგულისხმევი და დვინი ნამდვილად ქართველებს ანისის შემდგომ უნდა აეღოთ, სახელდობრ 1162 წ. ივლისს-აგვისტოში. ქართულ-სომხურ-არაბული დანარჩენი საისტორიო ცნობები ერთი-ერთმანეთს ეთანხმება და ავსებს. თამარ მეფის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ქართველთა მხედრობას ბრძოლა ჯერ ქალაქ დვინის წინა ჰქონია იმ რაზმთან, რომელსაც გიორგი მეფისათვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია. ქართველთა მეფემ ეს ჯარი «მოაწყუდივნა ქალაქსა გარეთ» და თითქმის სულ მთლად გააწყო, ხოლო უკუქცეულს გადარჩენილს მტერს თავისი ჯარითურთ კვალ-და-კვალ ქალაქის კარამდის მიჰყვა და თავზარდაცემულს ლაშქარს ძალით შიგ დვინში შეჰყვა, მთელი ქალაქი აიღო და ყველა მცხოვრებნი, ქრისტიანებს გარდა, დააწიოკა. მრავლის ნადავლითა და ტყვეებით დატვირთული ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა შინ დაბრუნდა.

---

[488] მ´მ დ´ფს ქ´ ც-ის ხელნაწერში ქალაქის სახელი არა ჩანს, იმის მაგიერ შერჩენილია «და», რომელსაც ამ ადგილას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მ . ბ რ ო ს ე მსჯელობდა იმაზე, თუ რა ქალაქი უნდა ჰქონიყო ისტორიკოსს ნაგულისხმევი და ვგონებ სამართლიანად გადასწყვიტა, რომ ან დვინი, ან განძა უნდა ყოფილიყო Histoire de la Georgie, I, 385, შენ. 1).

[489] სომხურად სწერია «გორგის».

[490] მათე ურჰაელი, ისტორია, 546—547.

[491] ვარდანი, ისტრია, გვ. 166.

[492] დეფრემერი, Frag., 500.

ანისთან დამარცხებამ და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები და მთავრები საშინლად განარისხა. ქართველები მათს საგამგეო მიწა-წყალს კვალდა-კვალ იჭერდნენ და განსაცდელი კარზე ჰქონდათ მიმდგარი. ამიტომ ეხლა უფრო მეტის მხნეობითა და ერთსულოვნობით შეჰკრეს პირი და გადასწყვიტეს ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებულის ძალით გაეწიათ და ანის-დვინის დამარცხებისათვის მაგიერი გადაეხდეინებინათ. მართლაც, თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით[493], როდესაც «გ[ან]ესმა ამოწყუეტა შამისა და ჯაზირისა, სომხითისა და არზრუმის ლაშქართა, ჴელმწიფეთა და დიდებულთა, მ[ი]ესმა სულტანსა ხუარასნისა და ერაყისა[სა], ხალიფას, მპყრობელსა დიდისა ბაბილოვნისასა და ცრუ-სჯულისა მდებელსა სარკინოზობისასა და ელდიგუზ[494] ათაბაგსა სპარსეთისასა; მწუევართა და შემკრებელთა ისლემობის[ა]თა.. შეიყარნეს ერანს და მ ო მ ა რ თ ე ს ქ უ ე მ ო - კ ე რ ძ ო ს ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ს ო მ ხ ი თ ი ს ა ს ა და მ ო ა დ გ ე ს ც ი ხ ე ს ა გ ა გ [ი ს] ა ს ა , ა ი ღ ე ს ი გ ი და მ ო ა ო ჯ რ ნ ე ს ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ნ ი . ცნა ესე სახელგანთქმულმან, უძლეველმან მჴედარმან და უებრომან ჭაბუკმან გიორგი მეფემან და, მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა; იმერთა და ამერთამან[495], გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელ[ი]თა და უ[ა]მრავითა[496] ლაშქრითა, რამეთუ იყუნეს აქეთცა სიკეთე და სისირულე დაუსრულებელი. ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქუეს ვითარმედ: [არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა, მივრიდოთ თავი და ვეფაროთ]. დამყრელთა ყოვლისა სანოვაგის[ა]თა და უფროს-ღა გაგის[497] შინა მყოფთა განვლე[ს]წყალი ეკლეციისა[498]... ესე ვინაითგან ცნა ხელმწიფემან... მიუტივა[499] სახედ მხეცისა, გარნა უქმ იქმნ[ა]ვე ესე ვითარ[ი] ძლევად განმზადებულება: ანტაკრა[500] ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანნი... არა-მიმშვებელთა მეტყუელთა ამისთა: [ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნუღარა აღზავებული მკადრ[ებლ]ობ[501] ღუთისა]... ვინათგან მეფე ცნობითა ბრძენი და მომსმენი იყო დამორჩილებული კუალად ეგო, გამყრელი ლაშქართა»-ო, მოგვითხრობს ისტორიკოსი (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●604 — ●607, გვ. 375 — 377). ამ აღწერითგანა ჩანს, რომ მაჰმადიანთა შეერთებულს მხედრობას აუღია ციხე გაგი და აუოხრებია მისი მიდამოები და უვნებელი გაბრუნებულა უკან, ხოლო ქართველთა ჯარის მეთაურებს უკან დადევნება ვერ გაუბედიათ. მართლაც, სპარსელს ისტორიკოსს ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი ს მოთხრობილი აქვს: »არრანის მხრითგან აფხაზთა მეფე შეესია ისლემობის მიწა-წყალს, სულტანი არსლანი და ილდიგუზ ათაბაგი მის წინააღმდეგ საომრად წავიდნენ, გაგის ციხის საზღვარზე შეებრძოლნენ მას და გაიმარჯვეს. აფხაზები უკუქცეულნი დაბრუნდნენ

---

[493] თამარ მეფის ისტორიკოსის პირუთვნელობას და მისი ცნობების სიმართლეს განსაკუთრებით და უფრო მეტად ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ იგი მარტო ძლევამოსილებას არ აქცევს ყურადღებას, არამედ ქართველთა მარცხსაც იხსენიებს, როგორც მაგ., ამ შემთხვევაში.

[494] ქ᾽ცა ვარაზგ, მ᾽მ დ᾽ფს ქ᾽ცა — ”ვარგაზ». ლაშა-გიორგის დროინდელ ქართველ მემატიანეს ნათქვამი აქვს: «მოვიდა ილღზუზი (sic)=ილდგუზის) სპარსეთისა დიდითა ლაშქრითა» რომ აქ თავდაპირველად დედანში «ელდგუზ»-ი უნდა წერებულიყო, ეს ნათლადა ჩანს ამავე თხზულების მეორე ადგილითგან (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●610, გვ. 382), სადაც სწერია: «ელადგუზ (sic) ათაბაგი».

[495] + და.

[496] უმრავლითა.

[497] უფროს ლ᾽თნ გაის.

[498] ელიაკაცისა.

[499] მიეტევა.

[500] წინააღმდეგ.

[501] = მკჯდრობა.

თავიანთ ქვეყანაში მუსულმანებს ბევრი ტყვე ჩაუვარდათ ხელში. არას დროს ისლემობას აფხაზებთან ასეთი ბრძოლა არა ჰქონიათ და ამოდენა დავლა არ დარჩენიათ. ამ ომის შემდგომ კუბას (სპარს. კუბან) ქვეყანაც ისლემობის მფლობაში გადავიდა»-ო[502]. ამგვარად, ქართველთა ისტორიკოსის ცნობა გაგის ციხის აღებისა და მიდამოების აოხრების შესახებ მართლდება. ისიც მტკიცდება, რომ ქართველებმა მტერი დაუსჯელი გაუშვეს. მცირეოდენი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ვითომც ჯერ ქართველი ჯარი მეფის მეთაურობით გამზადებულიყოს მაჰმადიანთა სამფლობელოს ასაწიოკებლად და ამის გამო დაძრულიყვნენ სულტანი და ათაბაგი; მაგრამ რაკი ომიც გაგთან მომხდარა, ე.ი. საქართველოს სამეფოს საზღვრებში, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა, რომ მაჰმადიანნი უეცრად დაესხნენ ქართველებს, სიმართლეზე უფრო ახლო უნდა იყოს. ქართველი ისტორიკოსის ცნობას იმის შესახებ, რომ ელდიგუზ ათაბაგისა და მის მოკავშირეთა ლაშქარი გიორგი მეფის მხედრობის მოახლოვებისათანავე გაიქცა, ვ ა რ დ ა ნ ი ც ადასტურებს და თანაც დასძენს, რომ გაქცეულმა მტერმა დასტოვა ჭურჭელი და ტყვეებიო[503].

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ამტკიცებს კიდეც ვითომც ელდიგუზ ათაბაგი თავის შეერთებულ 100000[504] მეომარისაგან შემდგარი ლაშქრითურთ გაგითგან იმიტომ გაქცეულიყოს და დიდძალი კარვები, საჭურველი და სხვაგვარი იარაღი დაეტოვებინოს, რომ ივანე ამირსპასალარს ათაბაგი თავის გულადობით ვითომც დიდს გაჭირვებაში ჩაეგდოს[505]. მაგრამ სხვა ისტორიკოსები და მათ შორის ქართველიც ამაზე არას ამბობენ.

რაკი ელდიგუზ ათაბაგმა და მისმა მოკავშირეებმა გაგითგან უკან დაიხიეს, მეფე გიორგის და მის ვაზირებს საქმე გათავებული ეგონათ. მეფე უდარდელად ისვენებდა და ლორესა და დმანისის მთებში ნადირობდა (ისტ ́ რნი და აზ ́ მნი, ●607, გვ. 378). ელდიგუზსა და მის მეშველ მთავრებს კი ლაქშრობის შეჩერება ფიქრადაც არ მოსვლიათ. პირიქით, ხლათის სულტანმა თვალების ასახვევად მეფეს ვითომც მოციქული მიუგზავნა, ნამდვილად კი ის «მოციქული სულტანისა» საქართველოში მხოლოდ იმიტომა ყოფილა წარვლენილი, რომ ყოფილიყო «ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა» (იქვე, ●607, გვ. 378). რა წამს საჭირო ცნობები მიიღეს, გაგის აღებით გათამამებული «სულტანი[506] [და] ათაბაგი ყოვლითა ძალითა მათითა და სპითა აღვიდა გელაქუნად, მოვიდა და მოადგა კართა ანისისათა და ზემოთ (მოჴსენებული) შაჰარმენი და ყოველი ჴელმწიფე არაბეთითგან მომტყუებელ (იქმნა) ძალისა; მას ჟამსა შინა ანისსა გან [ამტ]კიც[ებ]და თორელი, დიდი და სახელ-განთქმული მოლაშქრე და გან[ა]მზად[ნ]ა საბრძოლველი მანქანანი, [და]მრღუეველმან და მარბიელმან და ამაოჴრებელმან გარე [შემო]თა ქუეყანათამან; ესე ამბავი ვითარ მოისმა ქუეყანასა ამას და მოიწია წინაშე მეფისა, რომელი მცირედითა ლაშქრითა მონადირე და მხიარული დგა შორის მთათა ლორისა და დმანის[ისა]თა, რომელსაც წინაშე მოსრულ იყოცა მოციქული სულტნისა, კაცი მოგჯ და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა... ვინათგან იხილა მცირედითა მდგომი, განლაღებული ამას ზედა.. ღამესა მას, ჟამსა განთიადისასა, მძინარეთა ზედა-დამსხმელ ექმნეს ესრეთ, რომელ [მეფემან] ძლითღა იჴუმია სწრობა შეჭურვისა და [ა]მჴედრებისა ჰუნესა ზედა; ივანე ამირ-სპასალარმან და სხუათა დიდებულთა კნინღა და შეპყრობისა სახედ წარმოიყუანეს, მეტყუელთა ამისთა:

---

[502] “Tarikhe Gozide”, განტენის გამოცემის გვ. 293-300.

[503] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 167.

[504] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 280.

[505] იბნ. ალ-ასირის თქმით ილდიგუზს მხოლოდ 50 000 კაცი (დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 50).

[506] თამარ მეფის ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს ქართველთა ეს დამარცხებაც და ესეც საუცხოოდ ამტკიცებს მის პირუთვნელობას.

«მეფეო, ოდესმე ალექსანდროსცა იძლივა დედაკაცისა მიერ და ეგრეთვე სამბსონ სიბილასა-გან [და] ს ხ უ ა ნ ი ს ა ხ ე ნ ი ჴ ე ლ მ წ ი ფ ე თ ა ძ ლ ე უ ლ ე ბ ი ს ა ნ ი [წინა უყვნეს]... ვინათგან იგი[ცა] (დავით ჰურიათა მეფე) ს[ა]ულისაგან იდევნე[ბ]ოდა მეფე და წინასწარმეტყველი, უფროს-ღა მამად ძისად ღ᾽თისა[დ]განჩინებული; აწ ჩუენცა თავს-მდებელთა ვიჴმიოთ სივლტოლა და კუალად შემძლებმან ძლევათამან ჩვეულებითავე მოგუაგოს უძლეველობა». იძ[უ]ლებითა წარმოყუანილი და გამომ[ა]რთებული მრავალ-გზის იგი და მისნი მოყმენი რაზმსა-ვე შინა იპოვნეს, გარე-უკუნ-მქცეველ[ნ]ი და დამჴოც[ნ]ი და დამჴოც[ვ]ელნი სპათა მისთანი (ე. ი. სულტნისა), რომელთა ესე-ვითარი სიმჴნე, უცხო და განსაკრთომელი საქმე (აჩუენეს, რომელ) არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქ[ა]რთა შინა. თჳნიერ ერთისა ჯუარის-მტვირთ[უე]ლისა და ერთისა ბ᾽ედითის კაცის აზნაურის კიდე, გარნა ჯუარი წარმოყუანებულ იქმნა მშვიდობით» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●607—●609, გვ. 377—380).

თამარ მეფის ისტორიკოსის ზემომოყვანილი ცნობა მტკიცდება ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ს მოწმობით, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქართველთა მიერ 1162 წელს ქ. დვინის აღების შემდგომ შემსედდინი ილდიგუზმა, ადერბეჯანისა, ჯებელისა, და ისპაჰანის პატრონმა თავისი ლაშქარი შეჰყარა; მას მიუდგნენ შაჰარმენი იბნ სუკმან ალხოტბი ხლათის მმართველი, აყსანკორის ძე, მარაღას მთავარი, და სხვა მთავრები და შეერთებულის დიდის მხედრობითურთ, რომელთა რიცხვი 50000 აღემატებოდა, 1163 წ. საქართველოს მიადგნენ, აიკლეს და ტყვედ წაიყვანეს მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები. მოპირდაპირეებს ცხარე ბრძოლა მოუხდათ, რომელმაც ერთს თვეზე მეტს გასტანა, მუსულმანებმა გაიმარჯვეს. ქართველების დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ ერთი მათგანი მივიდა ელდიგუზთან, მაჰმადიანობა მიიღო და ერთს წინათვე დანიშნულს დღეს მაჰმადიანთა რაზმითურთ ქართველთა ბანაკს უკანითგან მოექცა, როცა წინითგან ერთბაშად მტრის მთავარი ლაშქარი მიადგა საბრძოლველად; ამ დროს უეცრად ქართველი მოღალატე ჩასაფრებულ რაზმითურთ უკანითგან დაეცა და ზურგითგან დაუშინა ქართველებს, რომელნიც დამარცხდნენ[507].

იბნ ალასირისა და ქართველი ისტორიკოსის ცნობები მხოლოდ წვრილმანებით განსხვავდებიან ერთიერთმანეთისაგან. არაბი ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, ვითომც ბრძოლა თვეზე მეტს გაგრძელბულიყოს[508], მაგრამ ამასთანავე მისივე სიტყვებითგანა ჩანს, რომ ბედ-იღბალი ერთს ბრძოლას, ისიც უეცარს, ღალატზე დამყარებულს, გადაუწყვეტია. ყურადღების ღირსია, რომ თამარის მემატიანეც იხსენიებს სულტანის მოციქულს-ჯაშუშს, რომელსაც სულტნისათვის ქართველი ჯარის ბინა შეუტყობინებია და რომლის წყალობითაც შესძლებიათ ქართველებს მოულოდნელად, დილა-ადრიან თავს დასხმოდნენ. თამარის მემატიანე მხოლოდ არას ამბობს ამხილველი გამაჰმადიანებული ქართველი მოღალატე იყო, თუ მკვიდრი მაჰმადიანი. მაინცა-და-მაინც თამარის ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ მაშინ ქართველები ძლეულნი იყვნენ და «სივლტოლამ» თვით მეფეც დიდს განსაცდელს გადაარჩინა.

იბნ ალასირის სიტყვით ელდიგუზ ათაბაგისა და მისი მოკავშირეების ხლათის სულტანის, შაჰარმენ იბნ სოკმან ალხოტბისა და მარაღას მმართველ აყსანკორის [ძის—

---

[507] დ ე ფ რ ე მ ე რ ი , Frag., 500—501.

[508] ვგონებ ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ს ამ აღწერილობაში გაგის ციხის აღებაც აქვს ნაგულისხმევი, თუმცა თვით გაგი მოხსენებული არ არის. თუ ჩვენ არა ვცდებით, მაშინ შესაძლებელია, რომ ელდიგუზ ათაბაგისა და მისი მოკავშირეების ორივე შემოსევა საერთოდ მართლაც ერთს თვეს გაგრძელებულიყოს.

რედ შენ.] ლაშქრობა საქართველოში მომხდარა 558 წ. ჰიჯ. თვესა სეფერს ანუ 1163 წ. იანვარ-თებერვალში[509].

როგორც უკვე დავინახეთ მაჰმადიანთა ამირები, ათაბაგი და სულტანი თავგამოდებით ებრძოდნენ საქართველოს ანისის გამო: მეტად ძნელი იყო მისი დათმობა და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ანისი კვლავ ჩაეგდოთ ხელში. ვ ა რ დ ა ნ ს ნათქვამი აქვს, რომ 4 წლის განმავლობაში ქ. ანისს მტრის გამუდმებული იერიშისაგან მოსვენება არა ჰქონდაო. გიორგი მეფესაც თანდათან უძნელდებოდა მოზღვავებულ მაჰმადიანობასთან ანისის გამო ბრძოლა[510]. ამიტომ როდესაც არა ნაკლებ მობეზრებული «თჳთ შემოეხვეწა ელდიგუზ ათაბაგი» და შუაკაცად «ჩამოდგა შუა სულტანსა და [ქართუელთა] და ითხოვა ზავი და აქეთ», შერიგების მთხოვნელად გამოვიდა «დედოფალი რუსუდან დაჲ” გიორგი მეფისა, «სულტნის ცოლ ყოფილი», მეფე გიორგი გულში მაინც, ალბათ, გახარებული იქმნებოდა. მოპირდაპირენი შერიგებულან. საქართველოს მეფემ «უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ი თ ა ყ უ ა ნ ა თ ა ვ ი ს ა თ ჳ ი ს ი ს ა ყ მ ა დ ა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●610, გვ. 381-382). მაშასადამე, ანისის ახალი მაჰმადიანი მმართველი უწინდელ მფლობელთა ნათესავი და «მემამულე» უეჭველად საქართველოს მეფის ბატონ-პატრონობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ვითარცა მისი ყმა და ხელქვეითი. ვარდანი ადასტურებს ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობას და თანაც დასძენს რომ გიორგი მეფემ მოიწვია მაჰმუდის შვილი არსლანი და ანისი სახელდობრ მას უწყალობაო[511]. რაკი ვარდანი ამბობს, რომ არსლანი ანისს ოთხი წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდაო (იქვე), მ. ბ რ ო ს ე ს თ ა ნ ერთად უნდა დავასკვნათ, რომ გიორგი მეფეს არსლანისათვის ანისი 1165 წ. (1161+4) უწყალობებია. რასაკვირველია ანისის ისევ დაბრუნება და წყალობა თუნდაც ყმადნაფიცისათვის ქართველებისათვის მარცხი იყო, მაგრამ როგორც ეტყობა სხვა საშუალება არ ყოფილა და მხოლოდ ამ გზით «შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ რაოდენიმე» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ● 610, გვ. 382).

თუმცა საქართველოში დამყარდა, მაგრამ ქართველი მეომარნი ისე იყვნენ ომსა და ლაშქრობას მიჩვეულნი, რომ ზავის დადების შემდგომ «უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი» და მეფეს გულახდილად მოახსენეს: ”არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა»-ო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●610, გვ. 382). მეფეს როგორც ეტყობა შინაური მტრები ეგულებოდა და მხოლოდ მას შემდგომ დათანხმდა, როდესაც «წარსცა ზავნი და ფიცნი შინა» (იქვე). რაკი ამნაირად თავისი თავი შინაური შუღლისა და მტრებისაგან უზრუნველ ჰყო, გიორგი მეფემ თავისი ლაშქრის სურვილი აასრულა და მეზობლების დარბევის ნება მისცა: «უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა — კარისა და აშორნისა, ა მ ი ე რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი ს ა და ს ო მ ხ ი თ ა რ თ ა — მ ტ კ უ ა რ ს ა ქ ე თ ვ ი დ რ ე გ ა ნ ძ ა მ დ ი ს, თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთიმერთა და ქართუელთა — განძას დამართებით მტკუარის პირი იმიერ და ამიერ ხლათამდის, ჰერთა და კახთა ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის; იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა»-ო (იქვე, ●610—●611, გვ. 382—383). თუმცა ამ მართლადაც და «უცხო» ლაშქრობის ყველა კუთხეების შესახებ კი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ რომ ეს ამბავი მართალი უნდა იყოს იმითაცა მტკიცდება, რომ ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ ი ქართველთა ძლევამოსილს ლაშქრობას რანში ადასტურებს. მას მოთხრობილი აქვს, რომ 561 წ. ჰიჯრ. ანუ 1165—1166წ. ქ.შ. ქართველთა დიდი მხედრობა შ ე ე ს ი ა რ ა ნ ს და გ ა ნ ძ ა მ დ ი ს მ ი ა ღ წ ი ა, მრავალი მაჰმადიანი დახოცა და

[509] დ ე ფ რ ე მ ე რ ი, Frag., 501.
[510] ვ ა რ დ ა ნ ი, ისტორია, 167.
[511] იქვე.

ტყვედ წაასხაო[512]. მორბეული ქვეყნის საზღვარიც, თარიღიც მშვენივრად უდგება ქართველი ისტორიკოსის ცნობას. ლაშქრობის დანარჩენი კუთხეების შესახებ არაბულ-სპარსულ მწერლობაში შემთხვევით ცნობები არ არის შენახული, თორემ უეჭველია ამ მხრივაც თამარ მეფის ისტორიკოსის სიმართლე დამტკიცდებოდა.

ამავე ხანებში გიორგი მეფეს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ შარვანში მოუხდა გალაშქრება. მაშინ შარვანში მეფედ დისწული აღსართანი ყოფილა (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●612, გვ. 384), რომელიც იმდროინდელ არაბ-სპარსულ მწერლობაში იწოდება აბუ-ლ-მუზაფფარ მანუჩაჰრ-ახისტან ბენ-კესრან-ად[513]. ეს აღსართანი «მეფე იყო შარვანისა და ზღვის-პირისა დარუბანდით ხა[ლ]ხ[ა]ლამდის» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●612, გვ. 384). რაკი შარვანშა საქართველოს მეფის ყმად ითვლებოდა და ჰყავდა «ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი», ამიტომ როდესაც «ესე შარვანშა შემოეხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან», გიორგი მეფე ჯარით მიეშველა და თან საქართველოში, 1167წ. სტუმრად მოსული[514] »ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე წარიყუანა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●612, გვ. 384). ქართველთა მხედრობითურთ მეფე «მივიდა ვიდრე კართამდის დარუბანდისათა, მოაოჯრა ქუეყანა მუსკუტისა[515] შარაბამისა[516] და აიღო ქალაქი შაბურანი» და თვით ქალაქი თავის დისწულს შარვანშას უწყალობა (იქვე, ●612, გვ. 384—385). ეს ლაშქრობა, დარუბანდამდის და შაბურანის აღება 1167 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

თუმცა როგორც აღნიშნული იყო (გვ 237) გიორგი მეფემ 1165 წ. ანისი მაჰმადიან მმართველს ყმად-ნაფიცს არსლანს დაუთმო, მაგრამ მეფეს მაინც ანისი ხანგრძლივ არ დაუტოვებია სხვათა ხელში. ვ ა რ დ ა ნ ი ს სიტყვით, 1173 წელს გიორგი III ანისი კვლავ აიღო, ქალაქის ამირა მეფემ თან წაიყვანა და უკან აღარ გამოუშვა[517]. როდესაც ეს ამბავი თურქებმა შეიტყვეს, სწრაფად პირი შეჰკრეს და შეერთებული ძალით კვლავინდებურად ანისის დაბრუნება ჰსურდათ, მიადგნენ ქალაქს და შირაკის სანახები ააოხრეს. ვარდანის სიტყვით ივანე ამირსპასალარს ანისის თურქთათვის დათმობა ჰსურდა, მაგრამ ქალაქმა შეუტყო და ეს საქმე ჩაფუშა, მტერი-კი ცარიელი გაბრუნდაო[518]. გიორგი მეფეს ანისის ეპისკოპოსის ბარსეღის თხოვნით ანისის ამირად დაუნიშნა მისი ძმა აპირატი[519].

იმ დროს, როდესაც გიორგი მეფე თავის ძლევამოსილებით მეზობლებშიც კი სახელი გაითქვა, შიში და პატივისცემა დაიმსახურა, თვით საქართველოში მას საშინელს განსაცდელს უმზადებდნენ. როგორც უკვე აღნიშნული იყო, თუმცა გიორგი დემეტრე I უმცროსი შვილი ყოფილა, მაგრამ სამეფოდ თურმე უფროსს დავითს კი არ ამზადებდა, არამედ მას, უმცროსს. საქართველოს წარსული ისტორიითგან ნათლადა ჩანს, რომ სამეფო უფლების დამკვიდრება IX საუკ. მოყოლებული პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშოობაზე იყო დამოკიდებული. ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი-უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე. მაშასადამე, წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი, დემეტრე I შემდგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა, მაგრამ მისს მამას სხვანაირად განუსჯია. მომავალი აღმოაჩენს, როდესაც ახალი და საკმაო

---

[512] დეფრემერი, Frag., 506-507.

[513] დორნი, მ . ბ რ ო ს ე Hist. de la Georgie, I, 697, შენ. 3 და ს . ლ ე ნ - პ უ ლ ი ს «Мус. династии» -ს თარგმანის დამატება ვ. ბარტოლდისა, გვ. 295.

[514] Lebau, Histoire du Bas-Empire, წ.XVI ,გვ.230; ბროსე, Hist. De la Georgie, I, 396. შენ.4.

[515] მ᾽მ დ ფს ქ᾽ცა—მუსკურისა.

[516] ასეა ქ᾽ცა-ში, მ᾽მ დ ფს ქ᾽ ცა-ში «შარმბმისა».

[517] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, გვ. 169.

[518] იქვე,170.

[519] იქვე.

ცნობები გამოქვეყნდება, ჰქონდა დემეტრე I რაიმე კანონიერი საბუთი, როდესაც თავისს უფროსს შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევდა, თუ მარტო პირადი გრძნობა და მიკერძოებითი სიყვარული ამოქმედებდა მას? იქნებ უფლისწულს ისეთი ნაკლი ჰქონდა, ან ისეთი დანაშაული მიუძღოდა მამის წინაშე, რომელიც მას კანონიერ უფლებას თავისთავად აკარგვინებდა? მაინცა-და-მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ მშობელმა მამამ თავისს უდანაშაულო უზადო პირმშოს მართოდენ პირადის გრძნობის გამო მეფობის დამკვიდრების უფლება მოუსპოს. რამდენად ძლიერი და ბრმა უნდა ყოფილიყო მამის სიძულვილი უფროს შვილისადმი ისიც ამტკიცებს, რომ მისის სიკვდილის შემდგომაც მან არ აპატია და მის მაგიერ განსვენებული დავითის მცირეწლოვანი შვილი დემეტრე კი არ გამოაცხადა მეფედ, არამედ, როგორც წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ისევ თავისი საყვარელი უმცროსი ძე გიორგი მეფედ და თანამოსაყდრედ დასვა. როგორც ეტყობა დავითს მამა მოღალატედა და მიმტაცებლადა სთვლიდა და ამის გამო არც დავითის შვილს არგუნა მემკვიდრეობის უფლება.

სრულებით ცხადია, რომ ამგვარ ნიადაგზე ყოველთვისშეიძლებოდა ამბოხება აღმოცენებულიყო, მეტადრე საქართველოში, სადაც დიდებული აზნაურები მეფის წინააღმდეგ განდგომას დიდის სიამოვნებით მხარს დაუჭერდნენ ხოლმე. ამიტომაც იყო რომ, როდესაც «მოიწიფა ძმისწული [მისი, შვილი] დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●613, გვ. 386), ამ დემეტრე-დემნას[520] სიმამრმა, ამირსპასალარმა ივანე ორბელმა[521], გიორგი მეფის წინააღმდეგ განდგომილება მოაწყო, რომ თავისი სიძე გაემეფებინა. თამარ მეფის ისტორიკოსი არა მალავს, რომ პირადად ჭაბუკი უფლისწული იყო «სახე-კეთილი და ყოვლით ჴელით მარჯჯ და ნასწავლი», მაგრამ მისმა განდგომილებამ მისი სწავლულობაცა და ჭაბუკობაც ფუჭად ჩაატარაო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●613, გვ. 386). ივანე ორბელს მხარი დაუჭირეს ყველა «ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა სამცხელთა, ჰერთა, კახთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●614, გვ. 386—387). ამ განდგომილებისა და ამბოხების მთავარ მონაწილეებად ივანე ამირსპასალარს გარდა ყოფილან ივანე ვარდანისძე, შოთა ძე ართავაჩოს ძისა, რომელნიც ღალატის »განზრახ-გამგებელნი» და თანაც «შინათგამცემელნი» ყოფილან (იქვე, ●615, გვ. 388), «ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი» (იქვე, ●615, გვ. 389). განდგომილთ ჰსურდათ გიორგი მეფე შეეპყრათ და დემნა უფლისწული გაემეფებინათ, ხოლო გიორგისგან ფიცისა და სიმტკიცის წიგნი ჩამოერთმიათ, რომ იგი ამას დაჰმორჩილებოდა და თავისი საკუთარი კერძო საუფლისწულო მამულით დაკმაყოფილდებოდა[522]. ზემოდასახელებული გარდა შეთქმულთ მიემხრნენ «სარგისი მჴარგრძელი შვილითა და ძმისწულითა მისითა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●614, გვ. 387), ჯავახნი კახაჲ შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენისა პატრონი და გრიგოლ ანელი აპირატის ძე[523]. განდგომილთა ჯარი, სტეფანოს ორბელიანის სიტყვით, 30 000 აღემატებოდა[524].

ამ დროს გიორგი მეფე, ვარდანისა და სტ. ორბელიანის სიტყვით, მცირე ამალითურთ თურმე არხეინად სახატეს მდგარა[525]; განდგომილების ამბავი შეიტყო თუ

---

[520] სტეფანოს ორბელიანი და ვარდანი მას დემნას უწოდებენ, ალბათ მისი საალერსო სახელი იქმნებოდა, და ჩვენც შემდეგში ასე ვუწოდებთ ხოლმე.

[521] ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 285.

[522] იქვე, 281.

[523] იქვე.

[524] იქვე, 281.

[525] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 170; ს ტ ე ფ . ო რ ბ ე ლ ა ნ ი , ისტორია,280.

არა, მეფე მაშინვე საჩქაროდ თბილისში წავიდა და იქითგან დაუწყო ლაშქარს შეგროვება[526]. მეფე დიდს განსაცდელში ჩავარდებოდა რომ ხასიათის სიმტკიცე და შორსგამჭვრეტელობა არ გამოეჩინა. გიორგი მეფემ მაშინვე ყუბასარ ყივჩაყს მოუხმო, რომელიც მეფეს 500 მხედრითურთ ეახლა[527]. თანდათან სხვებიც მივიდნენ მეფესთან მისაშველებლად. მეამბოხეებმა რომ გაიგეს მეფე თბილისში შეიხიზნა და მაგრდებაო, თითონ პირდაპირ მისვლა ვეღარ გაბედეს; ამასთანავე მათმა წინანდელმა მომხრეებმაც ყოყმანი დაიწყეს და ნანობდნენ, რომ ასეთს საქმეში გაებნენ. პირველად დიდი გამრეკელი ჩამოეცალა განდგომილთ და გიორგი მეფეს მიემხრო; იმის წახედულობით გრიგოლ ანელიც გადაუდგა დემნას და ორბელთა და გიორგის მხარეზე გადავიდა; მერე ხომ მათს მაგალითს ბევრმა მიჰბაძა. დემნას მომხრეთა ჯგუფი თანდათან მცირდებოდა, გიორგი მეფეს-კი უკვე მოზრდილი მხედრობა ჰყავდა (იქვე). რაკი გაძლიერდა, მეფემ «შემყრელმან ლაშქართამან ტფილისით ქალაქით მიმართა სომხითის მთასა». მეამბოხენი «აოტნა, გააქცივნა, შეიხუეწნეს ციხესა ლორისასა»[528] ივანე ამირსპასალარის ბრძანებით ლორითგან "წარსულ იყუნეს სპარსეთს ქართლისა ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე ... და ანანია დვინელი ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდიგუზის ძეთა თანა» დახმარების სათხოვნელად[529]. რაკი თითონ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ, ასეთის საზიზღარის საშუალებით, — ქართველთა დაუძინებელი მტრის დახმარებით,— უნდოდათ თავიანთი გაეყვანათ და გაემარჯვათ, მაჰმადიანთა მხედრობისათვის საქართველოს მიწა-წყალი უნდა აეოხრებინებინათ და თანამოძმენი დაეწიოკებინათ!..

მაგრამ გამოკეთების მაგიერ განდგომილთა საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა. მეფე გიორგიმ მეამბოხეთ წაართვა, «მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი». მაშინ დემნას თავი მიანება და «წამოუვიდა... სარგისი მჯარგძელი შვილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და დაჲ საყუარელი ორბელთა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●614, გვ. 387). მეფე გიორგიმ ყველას ვინც მას მიემხრო დიდი პატივი სცა, დაასაჩუქრა, და წყალობა უყო[530]. მჯარგრძელიც რასაკვირველია «შეიყუარა და შეიტკბო მეფემან და მისცა მისანდობლობა გვარისშვილობისა მისისა მსგავსად» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●614, გვ. 387). ეხლა კი მეფე სამხედრო მოქმედებას შეუდგა და «მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა!» ხოლო იქითგან ლორეს ციხეში შეხიზნულ მეამბოხეებზე «გაგზავნა ლაშქარნი რომელნი დარჩომილ იყუნეს ერთგულად მისად და სხუანი თემისა და თემისა მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თჳთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერი» (იქვე,●614, გვ. 388). ჰერეთში რომ მივდინენ, მათ შეუერთდნენ «ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასიითა» (იქვე). გარემოცულ მეამბოხეთ უცხოეთით, სპარსეთით, შველისა და დახმარების იმედიც გაუცრუვდათ (იქვე,●615, გვ.389). მედგარი და ხშირი ომებისა და კვეთების დროს შეიპყრეს ორი მთავარი დამნაშავე ივანე ვარდანისძე და შოთა ძე ართავაჩოს ძისა (იქვე, ●615, გვ. 388). ამის შემდგომ თვით მეფეც «აღვიდა და მოადგა ლორესა». ციხეში შემწყვდეულთ სასოება წარიკვეთეს «დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი», მეტადრე დემნა, და რაკი ხსნის იმედი გადიწყვიტა «დემეტრე გარდამომბმელი საბლისა

---

[526] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია; ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია; ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●614, გვ.387.

[527] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 281.

[528] ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●614, გვ. 387; ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 170; ს ტ ე ფ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 282.

[529] ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●615, გვ.389; ვარდანი, ისტორია, გვ. 170 და ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, გვ.282.

[530] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 282.

გარდამოკდა ციხისა-გან და მომართა თავისსავე ბიძასა» (იქვე,●615—616,გვ.389). სტ. ორბელიანის სიტყვით დემნა ლორეს ციხითგან ღამე ჩამოშვებულა და ბიძასთან რომ მისულა თურმე მუხლმოდრეკით ემუდარებოდა მას შეებრალებინა და მისთვის მხოლოდ-ღა სიცოცხლე ეჩუქებინა[531]. ამის შემდგომ ამბოხების დანარჩენი მონაილენიც, «ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს გამოასხეს» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●616, გვ. 389). დანაშაულობისდა მიხედვით თითოეული მონაწილეთაგანი შესატყვისი სასჯელით იყვნენ დასჯილნი: დემნას, ვითარცა განდგომილს უფლისწულს, თვალები დასთხარეს და გამოასაჭურისეს, რომ ჩამომავლობა არა ჰყოლოდა[532]. ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანე გამოსაჭურისებაზე არას ამბობს; მისის᾽ სიტყვით ჯერ «დემეტრე (დემნა) კლდეკართა დასუეს, უკან თუალნი დასწუნეს» (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა, გვ. 238—239). როგორც ეტყობა, საბრალო ბატონიშვილს ეს საშინელი სასჯელი ვერ აუტანია; იგივე მემატიანე ამბობს: «მოკუდა და მცხეთას დამარხეს»-ო (იქვე); ბიძას დამნაშავე ძმისწული მეფეთა საგვარეულო სამარხ მონასტრის გელათის ღირსიც კი არ გაუხდია. ივანე ამირსპასალარს თვალები დასთხარეს[533], ხოლო დანარჩენი მთავარი მონაწილენი ორბელთა გვარისანი სიკვდილით იყვნენ დასჯილნი (იქვე). ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც ადასტურებს ამას: «ორბელნი მეფემან დაიპყრნა და დაკოცნა»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ.238). ასე სასტიკად და შეუბრალებლივ დასაჯა გიორგი III ამ განდგომილების მოთავენი და მონაწილენი. ლაშა- გიორგის დროინდელი მემტიანის სიტყვით «ოდეს ორბელნი გა[ნ]დგეს ქრონიკონი იყო სამას ოთხმ[ე]ოცდა ათშჯდმეტი»[534] (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 240), ანუ 1177 წ. და იგივე თარიღი აღნიშნული აქვს სტეფანოს ორბელიანსაც[535].

---

[531] ი ს ტ ო რ ი ა , 284.

[532] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია,285.

[533] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 170-171; ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 285.

[534] ხელნაწერში სწერია «ჩუიდმეტი».

[535] ისტორია, 285. სტ. ორბელიანი ამბობს, ვითომც გიორგი III უფროსს ძმას დავითს სიკვდილის წინ თავისი მცირეწლოვანი შვილის დემეტრე-დემნას პატრონად დაენიშნოს და მისთვისვე ჩაებარებინოს დემნას სრულასაკოვანობამდე სამეფოს მართვა-გამგეობა, ვითომც შემდეგ მეფობა დემნასთვის უნდა დაეთმო, თითონ კი თავის ხვედრს საუფლისწულო მამულს დასჯერებოდა; იმავე ავტორის სიტყვით ამ ანდერძის დამსწრედ ვითომც ყოფილიყვნენ ქართველი დიდებულებიც, მათ შორის ამირსპასალარი ივანე ორბელიც, რომელსაც დავითმა თავისი შვილი დემნა ჩააბარაო. გიორგი III მეფობის უფლება გაუტკბა და არამცთუ ნაანდერძევი მეფობის დათმობა ემძიმებოდა, პირიქით მან გადასწყვიტა თავისი თავი სახელმწიფო გვირგვინით შეემკოო. შეკრებილ დიდებულებს, შორის ივანე ორბელს, თანხმობა გამოუცხადებიათ ვითომც იმიტომ, რომ გიორგი III ყველანი დაერწმუნებინოს, რა წამს დემნა სრულჰასაკოვანი შეიქმნება, მეფობას დავუთმობო. გიორგი მეფემ თავისი სიტყვა არ აასრულა და იმიტომ მოხდა ამბოხებაო (ისტორია, 278—281). მთელი ეს მოთხრობა იმ სახით, როგორც იგი სტეფანოს ორბელიანს აქვს ნაამბობი, ყოვლად შეუწყნარებელი რამ არის. ჯერ ერთი ის, რომ დავითს და დემეტრე I- გიოგის ისეთი უთანხმობეა ჰქონიათ ერთმანეთში რომ შეუძლებელია დავითს გიორგი თავის ანდერძის აღმასრულებლად დაენიშნოს; მეორე ისა, რომ როგორც დავინახეთ გიორგი სამეფო ტახტზე მისმავე მამამ დემეტრე I აიყვანა და დააგვირგვინა; მესამე ისა, რომ დავითს მიმძლავრებელად სთვლიდა მისივე მამა და გიორგი მიაჩნდა თავის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ. დასასრულ, რომ დემნა სამეფოდ არ ემზადებოდა, ეს ყველასათვის უნდა ცხადი ყოფილიყო, მით უმეტეს ივანე ორბელისათვის, იმიტომ, რომ დემნას ცოლად ივანე ორბელის ქალი, მაშასადამე ქვეშევრდომის და არა სამეფო გვარის ასული, შერთეს. მაშინ სამეფოდ გამზადებული უფლისწულისათვის ეს შეუწყნარებელი საქციელი იყო (იხ. ჩემი «ქ᾽ლი სამართლის ისტორია», სახელმწიფო სამართლის კარი). ამას გარდა რა დასაჯერებელია, რომ დიდებულებს ივანე ორბელთან ერთად გიორგი III დაგვირგვინების თანხმობა ვითომც იმიტომ გამოეცხადებინოთ, რაკი დამსწრენი გიორგის დაერწმუნებინოს ჩემი ძმისწული სრულწლოვანი გახდება თუ არა, მშინვე სამეფო ტახტს იმას დავულოცავო? ქართველი დიდებულები და ივანე ორბელი უსუსური ბალღები ხომ არ იყვნენ, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, როდესაც მეფის მოადგილე და აღმზრდელი თვით დაგვირგვინებას ჰბედავს, ის მომავალში მეფობის დამთმობი იქმნებოდა თუ პირიქით საბოლოვოდ მიმტაცებელი?!

გიორგი მეფემ დემნას განდგომილებით ისარგებლა და ვაზირებად დიდგვარიან ორგულ მოხელეთა მაგიერ ერთგულნი დანიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ივანე ორბელის ადგილას სრულიად საქართველოს ამირსპასალარად სრულებით უგვარო კაცი ნაყივჩაყარი ყუბასარი დააყენა[536].

გამარჯვებული და მხიარული მეფე გიორგი რომ საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდა, მას შეყრილი სამღვდელოება დახვდა. სამღვდელოების კრებას როგორც ეტყობა მეფის ცოტა არ იყოს გაჭირვებული მდგომარეობით უსარგებლია და მეფისათვის მოუთხოვია, რომ მას ეკლესია «ყოვლისა ბეგარისა-გან» განეთავისუფლებინა. მეფე გიორგიმ, რასაკვირველია, საეკლესიო კრების სურვილი დაუყოვნებლივ აასრულა[537]. დემნას განდგომამ, თუმცა ძლეულმა და დათრგუნვილმა, ძლიერი გავლენა იქონია გიორგი მეფეზე. მომხდარმა ამბოხებამ შეარყია სამეფოს მყუდროება და თვით მეფეზეც ძალიან უმოქმედია. ამიტომაც იყო რომ «შემდგომად ამისსა მეორესა წელიწადსა... შემოქცეული ღანუყით ნაჭარმაგევსა შემყრელმან შვიდთავე სამეფოთა მისთამან... განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა... მეფე ყო (თამარ) თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა» და «დაადგა გჯრგჯნი ოქროსა თავსა მისსა» (ისტ´რნი და აზ´მნი, ●616—●617, გვ. 390—391).

მაშასადამე გიორგი მეფეს თავისი ასული, დიდებული თამარი, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე 1178—1179 წ. დაუსვამს.

თავისი ქალის თანამოსაყდრედ დასმის შემდგომაც გიორგი მეფე, როგორც ჩანს, სახელმწიფო საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. 1179 წ. მან საგანგებო საკანონმდებლო კრება მოიწვია, რომელსაც რამე უნდა ეღონნა, რომ საქართველოში გახშირებული პარვა და ავაზაკობა ძირიან-ფესვიანად ამოეფხვრა. ამ კანონმდებელმა კრებამ ქურდობისა და ავაზაკობისათვის საშინლად მკაცრი და ულმობელი სასჯელი—ჩამოხრჩობა—დააწესა. საგულისხმეროა, რომ ამ სასჯელს თურმე ყველას განურჩევლად, აზნაურსაცა და უაზნოსაც ,ადებდნენ და ამ ულმობელი საშუალებით, ვარდანის სიტყვით, ეს ორი ბოროტმოქმედება საქართველოში აღმოუფხვრიათ[538].

თამარის სამეფო ტახტზე აყვანის შემდგომ გიორგი III სამხედრო მოღვაწეობისათვის, როგორც ეტყობა, თავი დაუნებებია, ალბათ თავის გვირგვინოსან ასულს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ეხმარებოდა და ასწავლიდა. ესეც-კია რომ გიორგი მეფეს დიდ ხანს აღარც უცოცხლია. ლაშა- გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანის სიტყვით გიორგი III «იმეფა ოცდა რვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა ოცდაშუიდსა სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას ჟამისა სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წაიყვანეს»-ო (ანა დ´ფსი ქ´ცა, გვ. 240). თუ 1156 წელს გიორგი III მეფობის 28 ინდიქტიონს მივუმატებთ, გამოვა, რომ გიორგი მეფე გარდაცვლილა 1184 წელს. მართლაც სწორედ ამ 1184 წ. 27 მარტი ვნების კვირის სამშაბათს მოდიოდა. თამარ მეფის ისტორიკოსიც ადასტურებს ქართველი მემატიანის იმ ცნობას, რომ გიორგი III ვნების კვირას მიიცვალა; იგი რიტორულად ამბობს მეფე «მასვე მსგეფსსა (ე.ი. შვიდეულს) მის (იესო ქრისტეს) ვნებისასა ივნო»-ო (ისტ´რნი და აზ´მნი, ●620, გვ.

---

[536] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 286.

[537] იხ. ჩემი «ს´ქს ეკონომიური ისტორია»,I,1908, გვ. 54.

[538] იხ. ჩემი «ქ´ლ სამართლის ისტორია», სისხლის სამართლის კარი.

395)[539]. გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად 1184 წ. სდებენ აგრეთვე ვარდანი[540], სტეფანოს ორბელიანი[541] და სხვადასხვა ქართული კჳნკლოსებიც[542]. დასასრულ, გიორგი III გარდაცვალების 1184 წ. ადასტურებს სანაჰინის მონასტრის სომხური წარწერაც[543].

ლაშა-გიორგის დროინდელ ქართველ მემატიანეს ნათქვამი აქვს: გიორგი III კახეთში სტაგირს გარდაიცვალაო და თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანაც ნათლადა ჩანს, რომ მეფე მართლაც ქალაქ თბილისს გარეთ გარდაცვლილა და ეს სამწუხრო ამბავი «თამარსა ქალაქსა შინა ტფილისსა საჯდომსა მათსა ციხესა ისანსა» მოახსენეს (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●621, გვ. 395).

4. თამარ მეფე

თამარი, წინათაც თავისი მამის თანამოსაყდრე და გვირგვინოსანი, გიორგი III გარდაცვალების შემდგომ, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე უნდა აბრძანებულიყო; სხვა მემკვიდრე და მეტოქე არ არსებობდა და იგი იყო საქართველოს ერთადერთი იმედი და სიამაყე. მაგრამ იგი მაინც მაშინვე არ ასულა სამეფო ტახტზე. მწუხარებასა და გლოვას რომ მორჩნენ, დიდებულნი «შვიდთავე სამეფოთანი» შეიყარნენ და მისის მამიდის დედოფალ რუსუდანის პირით თამარ მეფეს მოახსენებს, რომ მან «ჴელ-ყოს ჴელითა მეფობასა და კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად, აღვიდეს, ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თჳსთა მამათასა»-ო. რუსუდანმა ეს თხოვნა თავის ძმისწულს გადასცა და თამარი «დამორჩილდა პირველსავე ბრძანებასა აწ კადრებულსა დიდებულთა შვიდთავე [სამ]მ[ე]ფოთასა». ამგვარად, ერთხელ უკვე აყვანილი მამის მიერ თამარი ხელმეორედ უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე. არც გასაკვირველია: მაშინ იგი მხოლოდ თანამოსაყდრე იყო, მას მუდამ გვერდით ჰყავდა მამა, გამოცდილი სარდალი და მმართველი; ამიერითგან კი იგი უნდა საქართველოს ერთადერთ უზენაეს გამგედ და წინამძღოლად გამხდარიყო. ადვილი და უმნიშვნელო საქმე ხომ არ იყო გადასაწყვეტი: საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში და სხვათა ცხოვრებაშიც იშვიათი მოვლენა იყო, იმ დროს სხვაგანაც მაგალითი არ ყოფილა, რომ მეფედ და სახელმწიფოს მმართველად ქალი გამხდარიყო. საქართველო მაშინ უკვე ძლიერ, სახელგანთქმულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მრავალ და ვრცელ ქვეყნების ბატონად, სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხის მბრძანებლად, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელთათვის იმ დროს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა, სიბრძნე და შორს-გამსჭვრეტელობა იყო საჭირო, რომ ქვეყნისათვის ღირსეული მეფე აერჩიათ.

საგანგებოდ შეკრებილმა საქართველოს დიდებულთა ბჭობამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და თამარი—ქალი მამაკაცის თანასწორ უფლების

---

[539] განსვენებული ჩვენი სახელოვანი მეცნიერი მ. ბროსე შესცდა და თუმცა «მსგეფსის» ნამდვილი მნიშვნელობა იცოდა, მაგრამ გადასწყვიტა, აქ ისტორიკოსს უნდოდა ეთქვა: გარდაიცვალა «პარასკევს აღდგომის შემდგომ»-ო Hist. De la Georgie, I, 402, შენ. 3 გაგრძელება). შემდეგ მ. ბროსე დასძენს: »მაინც-და-მაინც 1184 წ. აღდგომა 1 აპრილს მოდიოდა ისე, რომ გიორგის სიკვდილი მოხდა 6 აპრ». (იქვე). როგორც უკვე დავინახეთ, ეს შეცდომაა.

[540] ვ ა რ დ ა ნ ი , ისტორია, 173.

[541] ს ტ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ისტორია, 286.

[542] ქ᾽კბი, I, 268..

[543] **(სომხური)(Bibl. Armeno- Georgikca , II,**, II, 35.

ღირსად სცნო. უეჭველია, ყველა არ იქმნებოდა ამის მომხრე და მომავალში იქნებ უფრო მეტი და საგულისხმიერო ცნობები აღმოჩნდეს ამ საისტორიო თათბირის შესახებ; მაგრამ მაინც ცხადია, რომ უმრავლესობა თამარის გამეფების მომხრე ყოფილა.

დიდის ამბით და ზეიმით იყო თვით დაგვირგვინების წესი მოწყობილი. რაკი საქართველოში მეფე ამასთანავე სახელმწიფო ჯარის უზენაეს ბრძანებელად და სარდლად ბრძანდებოდა, ამ მბრძანებლობის ნიშნად მას დაგვირგვინების დროს სახელმწიფო ხმალს შემოარტყამდნენ ხოლმე. თამარი თუმცა ქალწული იყო, მაგრამ მაინც «ერმა» და "ლაშქარმა» სამხედრო ძლიერებისა და უფლების სიმბოლო მასაც გადასცა და ამისთვის «დალოცეს კვირიკეს ძე კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკუერისა და სრულ ყუეს მოკელეთა სუიანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებად და დადებად ჯრმლისა». ამავე დროს «ჰკრეს სპერჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეჰიმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება» და მაშინვე "დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოთათა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●625, გვ. 400—401).

ქალწულ გვირგვინოსნის მეფობა მეტად ხელსაყრელი დრო იყო, რომ დიდგვარიან აზნაურებს არ ესარგებლათ და არა ცდილიყვნენ ბედის ტრიალი თავიანთკენ მოებრუნებინათ. მართლაც, დიდგვარიანმა მოხელეებმა მალე ისარგებლეს იმით, რომ სამეფო ტახტზე ახალგაზრდა ქალწული იჯდა მეფედ და ეცადნენ უმაღლესი თანამდებობანი ხელში ჩაეგდოთ. ამისათვის »დიდებულთა ვიეთმე ჴელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ ვითარმედ «აღარ ვეგებით ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უპატიოდ გასულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულვართ უგვაროთა და უჴმართაგან»-ო.

გაფიცულ მოხელეთა მოთხოვნილებას და გულისწადილს თუ ჩავუკვირდებით, ცხადადა ჩანს, რომ მ ა თ ს უ რ დ ა თ ძველისძველი წოდებრივი უპირატესობა განეახლებნათ და კვლავინდებურად წ ო დ ე ბ რ ი ვ ი და ჩ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი პ ი რ ა დ ღ ი რ ს ე ბ ა ზ ე მ ა ღ ლ ა დ ა ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა თ. ეს ე იგი მათ უნდოდათ მ ო ე ს პ ო თ ი ს, რ ა ც დ ი დ ი ს ხ ნ ი ს ა და მ ე დ გ ა რ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს ა და წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს თ ა მ ა რ ი ს წ ი ნ ა პ რ ე ბ მ ა შ ე ჰ ქ მ ნ ე ს. გამოუცდელ ქალწულ-მეფეს და მის მთავრობას ეს გაფიცვა ისე სწრაფად და მოულოდნელად დაატყდათ, რომ თავზარდაცემულებმა ვერაფერი მოახერხეს ურჩ დიდგვარიან მოხელეთა საწინააღმდეგოდ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ გაფიცულ აზნაურებს ნიშანში ამოუღიათ ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი ყუბასარი და მსახურთ უხუცესი აფრიდონი და ორივეს სამსახურითგან გადაყენებას თხოულობდნენ: პირველი მათგანი იყო უ გ ვ ა რ ო ნაყივჩაყარი «ერთგული და მოყმე და ჭაბუკი», ამასთანავე «გაზრდილი პატრონთაგან», მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია გიორგი III დემნას განდგომილების დროს (იხ. გვ. 241); ხოლო მეორეც უაზნო-კაცად ითვლებოდა, წინათ «აზ ნ ა უ რ ი ს ყ მ ო ბ ა შ ი» ყოფილა, მაგრამ გიორგი მეფისავე წყალობით «კაც-ქმნილი» მსახურთ-უხუცესობამდის მიაღწია ვგონებ იმავ დემნას განდგომილების შემდგომ; მაშასადამე, ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღვოდათ თამარ მეფის მამის წინაშე და მათი ჩამოგდება დიდგვარიან მეამბოხეებს ტყუილ-უბრალოდ არ ექმნებოდათ განზრახული.

თამარ მეფისათვის, რასაკვირველია, გაფიცულთა სურვილის მოსმენა არაფერი სასიამოვნო იქმნებოდა; მათ უნდოდათ, რომ ორივეს თანამდებობა ჩამოერთმეოდა და ამასთანავე «აწვიეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა». ყუბასარის საწინააღმდეგოდ მათ შეეძლოთ კიდევ ეთქვათ, რომ იგი მაშინ ავადმყოფი იყო, ფილენჯის სენი სჭირდა და სიდამბლე მოსდიოდა, «მოეღებოდა ენა, ჴელი და ფერჴი» (ისტ´რნი და აზ´მნი, ●628, გვ. 405). მაგრამ აფრიდონზე მაგგვარს ვერას იტყოდნენ.

თამარ მეფეს არავითარი წინააღმდეგობის გაწევა რა შეეძლო გაფიცულ დიდგვარიან მოხელეთათვის და იძულებული იყო მათი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. თუმცა კი ყუბასარს მაინც ყველაფერი არ ჩამოართვა, როგორც ისინი მოწადინებულები იყვნენ, არამედ «თჳნიერ ჴელისუფლობისა და ლორესაგან კიდევ არა დააკლო და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდე მიცვალებისა» მისისა იმიტომ, რომ თამარ მეფეს კარგად ახსოვდა ყუბასარის «სიყუარული და სამსახური», რომელიც მას მისი მამის გიორგი III წინაშე მიუძღოდა. აფრიდონი-კი მთლად «მოიშალა და დაიმჴო» დიდგვარიან გაფიცულთა «ნებითა». როდესაც მათ თავიანთ წადილს მიაღწიეს და უგვარო და უაზნო ვაზირები დაამხეს, «ბრძოლ[ის]ა მყოფთა ჴელისუფლობისა-თჳს და დიდებისა-თჳს ურთი-ერთას დაუწყეს ზიდვა», ერთი მეორეს მოხელეობას ეცილებოდნენ. მაშასადამე, დიდგვარიანმა მოხელეებმა, რომელთაც მხოლოდ კერძო წოდებრივი უპირატესობის მოპოვება ჰსურდათ და მართ-ოდენ თავისთვის ზრუნავდნენ, ამ გაფიცვის წყალობით გაიმარჯვეს. ეს, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალური წარმატებისათვის მეტად საზიანო იყო: შეილახა საქართველოს მოწინავე მოღვაწეებისა და მეფეების თავგამოდებული და მედგარი ჭირნახულობით მოპოებული შეგნება, რომ ადამიანის პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი უნდა ჰქონოდა ცხოვრებაში და ყველაფერი გვარიშვილობით არ განისაზღვრებოდა. ეხლა კი დიდგვარიანობამ და აზნაურობამ კვლავ წამოყო თავი.

ჯერ კიდევ გადაყენებული ვაზირების ყუბასარისა და აფრიდონის მოადგილეები დანიშნული არ იყვნენ, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესმა ყუთლუარსლანმა საერთო პოლიტიკური მოთხოვნილება წამოუყენა თამარ მეფეს; მან სახელდობრ «ითხოვა კარავი დადგმად ველსა ჰისანისასა და სანახებსა საგოდებლისსა და თქუა: «დასხდომილნი მუნ შიგან, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა [და] მაშინ-ღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი»-ო. ყუთლუ-არსლანი მარტოკა არა ყოფილა; მას მომხრეები და თანამოაზრენი ჰყოლია და, როდესაც ზემო-აღნიშნული გაბედული და საგულისხმიერო მოთხოვნილება წამოუყენებია, მას დახმარების იმედი ჰქონია «ლაშქართა [თანაშე] ფიც [ულ]თა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა»-თა ყუთლუ-არსლანსა და მის თანამოაზრეებს საგანგებო ხელშეკრულებაც, «სიმტკიცე»-ც-კი ჰქონიათ დადებული.

გასაოცარი კია, მაგრამ ჩვენის წარსულის ამ საგულისხმიერო ამბის შესახებ ამაზე მეტი ცნობები არც თამარ მეფის ისტორიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში არ მოიპოვება. იქნებ მომავალში ამის თაობაზე ახალი რაიმე მასალა აღმოჩნდეს და მაშინ ყველაფერი დაწვრილებით გამოირკვეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უნებლიედ ამით უნდა დავკმაყოფილდეთ. რაკი სხვა საშუალება არ არსებობს, უნდა ისევ ქართველი

ისტორიკოსის ზემომოყვანილ სიტყვებს ჩაუკვირდეთ და ამ გზით ცოტა რამ მაინც გამოვარკვიოთ.

ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთ-უხუცესი, ანუ ვაზირი ყოფილა; მაშასადამე, შეუძლებელია იგი გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა იმ ჯგუფში ყოფილიყო, რომელიც თავის თავს «უპატივოდ და უსახელოდ გასულად» სთვლიდა და გულნატკენი იყო, უმაღლეს მოხელეობას არ გვაღირსესო. მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუარსლანი თავისი შესანიშნავის მოთხოვნილებით მაშინ გამოსულა, როდესაც გაფიცულმა დიდგვარიანმა აზნაურებმა მისი თანამოსამსახურენი ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთ უხუცესი დაამხეს და მათი ადგილის დაჭერის გამო მეამბოხეებს ჯერ კიდევ ცილობა ჰქონიათ. გაფიცულ დიდგვარიანთა ჯგუფს მიემხრო, თუ მარტო თავის პოლიტიკურ თანამოაზრეთა დახმარების იმედით ჰქონდა გული მაგარი — არა ჩანს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ იგიც თურმე «აწ თავის ამირსპასალარად და სომხითის მეფისა ადგილსა ლორესა დაჯდომად განმზადებული» ყოფილა.

სამწუხაროდ, ყუთლუ-არსლანის წოდებრივ ჩამომავლობაზე გარკვეული ცნობები არ არის შენახული; უძველეს (მ´მ დ´ფს) ხელნაწერში თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ამ ალაგას დამახინჯებულია, მაგრამ იქაც ყუთლუარსლანი «ბიჭა»-დ არის წოდებული და ეს გარემოება, მაინც-და-მაინც მის მაღალწოდებრიობას არ ამტკიცებს. ქ´ცის შესწორებულს და სრულს ხელნაწერებში ხომ ყუთლუ-არსლანი «გვარითა უაზნოთა» იმ წრის წევრად არის მოხსენებული, რომელსაც «აღამაღლებს სიმდიდრე», მაშასადამე, დაბალი წოდებითგან გამოსული სიმდიდრით განდიდებულად არის ცნობილი. ამას გარდა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყუთლუ-არსლანი გიორგი III გაავეზირა და მეჭურჭლეთ-უხუცესობა მისცა. განსაკუთრებით საგულისხმიეროა, რომ იგი ვაზირად დემნას განდგომის დათრგუნვის შემდგომა ჩანს; ალბათ იმ დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა, რომელმაც ივანე ორბელის მეთაურობით დემნას განდგომა მოაწყო; პირიქით, იგი გიორგი III პოლიტიკის მომხრე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამასთანავე არც ის უნდა გადაგვავიწყდეს, რომ დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა გაფიცვის დროს ყუთლუ-არსლანი დასამხობ ვაზირთა სიაში მოხსენებული არ არის, მაშასადამე, იგი გაფიცულთათვის იმდენად საძულველი არა ყოფილა და ჭიაბერსავით მასაც თავისი თავი უზრუნველუყვია.

რაც უნდა იყოს **ერთი რამ სრულებით ცხადი და უცილობელია: ყუთლუ-არსლანისა და მისი თანამოაზრეების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში განსაკუთრებულ და მეტად საგულისხმიერო მოვლენად უნდა ჩაითვლოს; რამდენადაც ვიცით, არას დროს არავისგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს «თვითმპყრობელობით» და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არა ჰქონდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრებულს უზენაესს დაწესებულებას მიჰნიჭებოდა, მეფეს კი მარტო ამ დაწესებულების გადაწყვეტილების «განგებულის» აღსრულების, «სრულქმნის» უფლება შერჩენოდა.** მაშასადამე, აქ საუცხოვოდ არის ერთიერთმანერთ შორის განსაზღვრული კანონმდებლობისა და განგების უფლება ერთის მხრით და სრულყოფის უფლება მეორე მხრით. მარტო ეს განსაზღვრა ქართული სახელმწიფო სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამამტკიცებელია. მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-

არსლანისა და მის თანამოაზრეთა წადილი ისა ყოფილა, მაშასადამე, რომ საქართველოს მეფეს მხოლოდ სრულყოფის უფლება შერჩენოდა და კანონმდებლობისა და განგების უფლება ჩამორთმეოდა. მაგრამ თავიდათავი ის არის, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო კანონმდებლობისა და განგების უფლება? სამწუხაროდ ამის შესახებ თამარ მეფის ისტორიკოსს გარკვევით არაფერი აქვს ნათქვამი. **ვახუშტს** ამიტომ უფიქრია კიდეც, რომ ამ უფლების მიხვეჭა თითონ ყუთლუ-არსლანს ჰსურდა[544], მაგრამ ეს თვით ყუთლუ-არსლანის სიტყვებს ეწინააღმდეგება იმიტომ, რომ იგი ამ უფლებით აღჭურვილთათვის განსაკუთრებულ «კარავსა» თხოულობდა, რომელიც ჰისანში სამეფო სასახლის მახლობლად, საგოდებლის სანახებში, უნდა დადგმულიყო; ამ დაწესებულების წევრები უნდა ყოფილიყვნენ «დასხდომილნი მუნ შიგან» და საკანონმდებლო და სახელმწიფო საქმეები გაერჩიათ და განეგოთ. ვის უნდა ჰქონოდა ყუთლუ-არსლანის აზრით ამ «კარავში» სხდომისა და განგების უფლება? უეჭველია, ყუთლუ-არსლანს ან ვაზირები ეყოლებოდა მხედველობაში, ან არა და უფრო რომ «დიდებულნი» და «დარბაზის ერნი», ანუ დარბაზის წევრნი. ვაზირთა საბჭო მეტად მცირერიცხოვანი იყო, რომ ყუთლუარსლანს გაებედა მისთვის ეგოდენ რთული და უზენაესი უფლება, როგორიც ქვეყნის კანონმდებლობისა და განგების საქმე არის, მიენიჭებინა. სახელმწიფო «დარბაზი» კი მრავალრიცხოვანი დაწესებულება იყო და ჩვეულებრივ, როდესაც დიდმნიშვნელოვანი და რთული სახელმწიფო ან სამოსამართლო საქმეები იყო, საქართველოს მეფეები წინათაც "დარბაზს" და «დარბაზის ერს» დაეკითდებოდნენ ხოლმე. მაგრამ მას ყოველთვის სამეფო სასახლეში «დარბაზში» ჰკრებდნენ და «დარბაზის ერის» მოწვევა და მის აზრის დაკითხვა მეფისათვის ვალდებულება კი არ იყო, არამედ ჩვეულებასა, საჭიროებასა და მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული. ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა სურვილით ამიერითგან **სამუდამო** დაწესებულებად უნდა ქცეულიყო, რომელსაც ბინა სასახლეში კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ ცალკე, სასახლის მახლობლად, სადაც წევრები «თავისუფლად მსხდომარენი» სახელმწიფო საქმეებს გაარჩევდნენ და განაგებდნენ და მეფე თვით ამ დაწესებულების კრებებს არ უნდა დასწრებოდა. **მეფეს ამ დაწესებულების გადაწყვეტილებას, «განგებულს» მხოლოდ აცნობებედნენ და მას ეს განგებული უნდა «სრულექმნა».** ვახუშტი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, ყუთლუ-არსლანს ჰსურდაო, რომ მეფეს ამ «განგებულის» უარყოფის უფლება არა ჰქონოდა, არამედ «ენებოს თუ არა ენებოს» მაინც მოვალე ყოფილიყო რომ «დაამტკიცოს» და აასრულოსო. ერთი სიტყვით **მეფის უფლება მეფის უფლება საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდულიყო და ჩამორთმეოდა, მას მხოლოდ აღმასრულებლობითი უფლება რჩებოდა. უმაღლეს დაწესებულებას, «კარავში დასხდომილთ» კი სრული უფლება ენიჭებოდა: მათ ექმნებოდათ უფლება «მიცემისა და მოღებისა», ალბათ ბრძანებისა, ხარჯებისა და მოხსენებისა, ამასთანავე «წყალობისა და შერისხვისანი», ანუ უზენაესი მართლმსაჯულების უფლებაც.**

ვინ იყვნენ «დიდებულნი» და «დარბაზის ერნი», რომელთა ხელშიაც ყუთლე-არსლანისა და მის თანამოაზრეთა ფიქრით საქართველოს სახელმწიფო უზენაესი უფლება უნდა გადასულიყო? დიდებულნი ორგვარნი იყვნენ: დიდებულნი მოხელენი და აზნაურნი; თვით აზნაურთა დიდებულებაც უმაღლეს მოხელეობაზე იყო დამოკიდებული. ხოლო უკვე XI ს. მოყოლებული ამ ორი ჯგუფითგან საქართველოში წარმოიშვა და ცალკე გამოიყო და განსაკუთრებული საზოგადოებრივ

[544] საქართ. ისტორია. 197.

ერთეულად იქცა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიჭირა, აზნაურებზე უფრო მაღლა იდგა.

«დარბაზის ერნი» კი იმ პირებს ერქვათ, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს საბჭოში მონაწილე წევრებად ითვლებოდნენ. დარბაზის ერნი, რომლითგანაც შემდეგ წარმოსდგა სიტყვა «დარბაისელი», ორ ჯგუფად იყოფოდნენ; «დარბაზის ერნი, იყვნენ "ჴელოსანნი" და «უჴელონი»; «ჴელოსანთა» ჯგუფში ითვლებოდნენ ვაზირები და «საგამგეო» უწყების მოხელენი, მაგ. ერისთავთ-ერისთავნი, ამირები და სხვანი. "უჴელოთა" ჯგუფი შესდგებოდა მაღალ წოდებათა წარმომადგენელთაგან. სამღვდელოებისა და დიდ-ვაჭართა წარმომადგენელნი ჩვეულებრივ «უჴელოთა» ჯგუფში შედიოდა თუ არა, ამის შესახებ ჯერ ცნობები არ მოიპოვება.

ამგვარად ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო, რომელშიაც «დიდებულები» იქმნებოდნენ «განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი». რასაკვირველია, ამ დაწესებულებაში უმთავრესი ადგილი დიდ მოხელეობას და მაღალ წრეებს ექმნებოდათ დაპყრობილი, მაგრამ **თავიდათავი ამგვარი უფლებოსანი დაწესებულებისა და წესწყობილების შემოღება იყო, მერე** რაკი **საქართველოში,** როგორც დავინახეთ, დემოკრატიულს მოძღვრებას თავისი მქადაგბლები ჰყავდა, საქართველოს ბუნებრივი სახელმწიფოებრივი განვითარება გარეშე ძალას რომ არ შეეფერხებინა, **საუკუნეთა განმავლობაში ამ დაწესებულების შემადგენლობაც თანდათან შეიძლებოდა შეცვლილიყო.**

ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა მოთხოვნილებანი თამარ მეფეს არაფრად მოეწონა. მან დაინახა, რომ აღარავითარი უფლება არა რჩებოდა და **ამ მოთხოვნილების განხორციელება "დასასრულისა ჴელმწიფობისა პატრონისსა მიმცემელი", იქმნებოდა, მის სამეფო უფლების გაუქმებას უქადდა.** ამიტომ ისტორიკოსის სიტყვით «ესე ვითა საწყინელ იყო ... ესრეთ იწყინა და გაიკჳრვა»-ო; თანაც გადასწყვიტა ამ დასის თვით მოთავე ხელში ჩაეგდო,» მოიღონა-ჴელთ-გდება თავისა მის მოქმედთასა». ამის თაობაზე მოილაპარაკა თავის ერთგულ მოყმეებთან და «თანა-მზრ[ახუ]ელ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთა-მან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ უხუცესი». ეს რომ ყუთლუ-არსლანის თანამოაზრეებმა შეიტყეს, «შეიყარნეს და უკუ-ადგეს» თამარ მეფეს, თანაც «და[ა]დგ[ინ]ეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებ[უ]ლობისა [და] არა მ[ი]შუებისა (ვნებად)». მათ გადასწყვიტეს, რომ თუ საჭირო იქმნებოდა თვით სასახლის წინააღმდეგაც გაელაშქრათ და ამიტომ «განემზადეს ისნისაცა შემობმად». ამ საშინელი განსაცდელის დროს თამარ მეფემ დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა და თავის მოწინააღმდეგეებს ლაშქარი კი არ მიაგება საბრძოლველად, არამედ ეცადა საქმე მშვიდობიანი შეთანხმებით დაებოლოვებინა. ამიტომ თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანის ერთგულ თანამოაზრეებს მოსალაპარაკებლად მიუგზავნა. ორი საპატიო მანდილოსანი «ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი» და «კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა». თავის მოციქულებს დააბარა, რომ აჯანყებულნი მეფის ფიცით მონდობოდნენ და მაშინ მან აღუთქვა ყუთლუ-არსლანის მეტი «სხუისი არა ვისი ბრალობა». საპატიო მანდილოსნებმა თამარ მეფის მონდობილობა ბრწყინვალედ აასრულეს და განდგომილნი მეფის სურვილზე დაიყოლიეს: «მოჰყუეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე-მოსრულთა

თაყუანისცეს», ამასთანავე თითონაც პირობისაებრ «აღიღეს ფიცი პატრონისა-გან და მისცეს მათ [პირი] ერთგულობისა და ნებისმყოფლობისა მათისა».

ამგვარად დაბოლოვდა ეს გასაოცარი და საგულისხმიერო პოლიტიკური მოძრაობა: თანამოაზრეებმა თავიანთი მეთაური დასთმეს და თითონ დაწყნარდნენ. ყუთლუ-არსლანი დამარცხდა, მაგრამ რომ მის ცდას მაინც სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ეს იქითგანაც ცხადადა ჩანს, თუ როგორ უმოქმედია თამარ მეფეს ახალი ვაზირების დანიშვნის დროს. ყუთლუ-არსლანის დასის დაშოშმინების შემდგომ თამარი გადაყენებული ვაზირების მოადგილეთა არჩევას შეუდგა და ისტორიკოსის სიტყვით «გამოჩენასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა **თანადგომითა და ერთ-ნებაობითა დიდებულთა შჳდთავე სამეფოთათა**[545] **ბრძანა დამტკიცებად** ჭყონდიდლად, მწიგნობართა-უხუცესად [და]ვ[ა]ზ[ი]რ[ა]დ (ანტონ)ი გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთა-თჳს სვიანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა და გა[ნ]აჩინა ამირსპასალარად სარგის მჯარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა [და] ჭაბუკობათა... განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ჴელთა მისთა და შთააცვეს სკარამანგი ტანსა მათსა [და] დასუეს სელებითა ოქროჭედილ[ებ]ითა რომელ[ნ]იმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით და კუალად უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა ვარდანის ძესა და მსახურთ-უხუცესობა ვარდანს(დადიანსა), ჩუხჩერახობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩერახისასა... და დასხნა სასთაულითა უბოძა ამირახურობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირ-სპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მჯარგრძელისა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●631—●632, გვ. 409—410). ისტორიკოსის ზემომოყვანილს ცნობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ ახალ ვაზირთა და სპასპეტთა არჩევაზე ამბობს: თამარ მეფემ «**თანა-დგომითა და ერთ-ნებაობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთათა ბრძანა დამტკიცებად**»-ო. ერთ-ნებაობა საერთო სურვილსა ნიშნავს, ხოლო თანადგომა—შველას; მაშასადამე, ახალი **ვაზირები და სპასპეტნი**, მეფის მიერ დამტკიცებულნი, **არჩეული ყოფილან ყველა დიდებულთა დახმარებით, სურვილისა და ნებისაებრ, ხოლო მეფემ «ბრძანა დამტკიცებად» ამ «ერთ-ნებაობისა»** (იხ. აგრეთვე ქვემოთ ცნობები დიდ ლაშქრობათა გამო დიდებულთა ბჭობისა და განგების შესახებ). ამგვარად, თუმცა ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა მოთხოვნილებასა და მეფის მიერ დიდებულთა ერთ-ნებაობის დამტკიცებას შორის **არსებითი განსხვავება არის** იმიტომ, რომ **ყუთლუ-არსლანის დასის აზრით «ერთ-ნებაობისათვის» მეფის «დამტკიცება» სრულებით საჭირო არ იყო,** არამედ **მეფისათვის ეს «ერთნებაობა» უნდა მხოლოდ ეცნობებინათ** («ვკადრებდეთ და ვაცნობებედეთ»), **ხოლო მას უნდა განგებული «სრულ-ექმნა», — თამარ მეფეს კი** ახალ ვაზირთა დანიშვნის დროს უბრძანებია «ერთ-ნებაობის» «დამტკიცება» მაშასადამე, მას **დამტკიცებისა და უარყოფის უფლება თავისთვის შეუნარჩუნებია**; მაინც თუ საქმეს ჩავაკვირდებით, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ზემოაღნიშნულს ცნობაში დიდებულთა «თანადგომისა და ერთ-ნებაობის» დამტკიცების საგანგებოდ მოხსენება ყუთლუ-არსლანის დასის წადიერებათა შედეგი უნდა იყოს. იქნებ სწორედ ამ პირობით დაიყოლია და დაითანხმა თამარ მეფემ ყუთლუ-არსლანის თანამოაზრენი. მაინც-და-მაინც ყურადღების ღირსია, რომ თუმცა ამ მოძრაობის ატეხისათვის ბრალი მარტო ყუთლუ-არსლანს დასდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის მაინც არც ერთი იმ სასჯელთაგანი (სიკვდილი, ან თვალთ-დაბნელება), რომელიც კანონით ამგვარი

[545] ვახტანგისეულს ქ᾽ცა-შიც ასე სწერია.

დანაშაულობისათვის (აჯანყება) მოთავისათვის იყო დაწესებული, ყუთლუ-არსლანისათვის არ მიუსჯიათ[546]; ალბათ მას მსუბუქი რამ სასჯელი, იქნებ ექსორია, აკმარეს.

როდის იყო ან დიდგვარიან აზნაურ-მოხელეთა გაფიცვა, ან ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა პოლიტიკური მოძრაობა, ამის შესახებ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გარკვევით არაფერია ნათქვამი მაგრამ მაინც-და-მაინც ცხადია, რომ თამარის მეფობის მეთორმეტე ინდიქტიონზე ანუ 1196წ. ადრე; თარიღის განსაზღვრა უფრო ზედმიწევნითაც შეიძლება: რაკი მოთხრობითგანა ჩანს, რომ მაშინ მას ჯერ ქმარი არა ჰყოლია და ამ ამბებში ქმარი არსადა ჩანს, ამიტომ ცხადია, რომ ეს ამბები უნდა მომხდარიყო თამარის მეფობის პირველსავე წლებში, ჯერ კიდევ პირველი ქმრის შერთვამდე ანუ 1184—1186წ.[547].

როგორც უკვე აღნიშნული იყო, თამარ მეფემ სრულიად საქართველოს დიდებულთა თანადგომითა და ერთნებაობით ახალი ვაზირები და სპასპეტნი დანიშნა. მეტად საგულისხმიერო არის თვით ახალ დადგენილ მოხელეთა თვისებები და დახასიათება. **მწიგნობართ-უხუცესად** არჩეულ იქმნა **ანტონი «გაზრდილი მამისა მათისა» და "პატრონთა თჳს** სვიანი და **ერთგული",**—მაშასადამე, გიორგი III პოლიტიკისა და მიმართულების მომხრე. **ამირ-სპასალარად** დააყენეს **სარგის მხარგრძელი**, ადამიანი, რომელმაც აგრეთვე **გიორგი III დემნას განდგომის დროს დიდი სამსახური გაუწია;** მის შესახებ იტორიკოსი თუმცა ამბობს, რომ იგი იყო «კაცი გუარიანი», მაგრამ ვითარცა ახლად გამოსული სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გასომხებული ქურთი მაინც-და-მაინც უფრო საქართველოს გვირგვინოსნის ერთგული იქმნებოდა, ვიდრე დიდგვარიან აზნაურებისა. ყურადღების ღირსია, რომ სარგის მჴარგრძელს მის წინამოადგილე ყუბასარსავით კი ერთად არ მისცეს ამირსპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა, არამედ მარტო ამირსპასალარობა ჩააბარეს, ხოლო მანდატურთ-უხუცესობა ჭიაბერს უწყალობეს. **ამ ჭიაბერსაც გიორგი III წინაშე დიდი სამსახური მიუძღვოდა და დემნას განდგომის დროს სამაგალითო ერთგულება გამოუჩენია;** ამასთანავე იგი იყო გიორგი მეფის «გაზრდილი», მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც თამარს და დიდებულებს მანდატურთუხუცესობა მეფის პოლიტიკისა და მიმართულების თავგამოდებული მომხრისთვის მიუნიჭებიათ. **ამირახურად** დანიშნული **გამრეკელი თორელიც** ხომ **გიორგი III ერთგული კაცი იყო;** მან პირველმა მისცა სხვებს მაგალითი, აჯანყებულს დემნას გადუდგა და გიორგი მეფეს მიემხრო მხოლოდ **მეჭურჭლეთ-უხუცესის კახაბერ ვარდანისძის და მსახურთ-უხუცეს** ვარდან **დადიანის** წინანდელი მოღვაწეობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ ვარდან დადიანის მამასაც იგივე თანამდებობა ეჭირა და დამსახურებულ კაცად ითვლებოდა (ისტ´რნი და აზ´მნი, ●632, გვ. 410). მაინც-და-მაინც **ახალ გავაზირებულთაგანთა უმეტესობა გიორგი III ნაცადი და ერთგული მოხელეები იყვნენ,** მისი პოლიტიკისა და მიმართულების მომხრენი. ამგვარად ირკვევა, რომ დიდგვარიანმა გაფიცულმა აზნაურ-მოხელეებმა მხოლოდ ყუბასარისა და აფრიდონის დამხობა შესძლეს, მაგრამ

---

[546] აზნაურ მოხელეთა გაფიცვისა და ყუთლუ-არსლანის მოქმედების შესახებ იხ. ჩემი «ქ´ლ სამართლის ისტორია», I, სახელმწიფო სამართლის კარი [= ქართული სამართლის ისტორია, II,[1], გვ. 155—186].

[547] ეს იქითგანა ჩანს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით (იხ. ჩემი «ქ´ლ სამარ. ისტ»), გუზანის გარდა თამარის დროს არავინ ყოფილა დასჯილი არც სიკვდილით, არც მბნელობლობით, არც ასოთამოღებით.

თავიანთ გულითადს წადილს, რომ გადაყენებულთა მაგიერ უეჭველად მარტო თითონ დამსხდარიყვნენ, მაინც ვერ მიაღწიეს.

თამარ მეფემ ფრთხილი და ხერხიანი მოქმედებით აღელვებული სამეფო დააწყნარა და საქართველოში მშვიდობიანობა დამკვიდრდა. ეხლა მმართველი წრეების საზრუნავ საგნად თამარისათვის ქმრის შოვნა იყო. ამიტომ საგანგებო ბჭობაც ყოფილა და «ლაშქართა სპათა მისთა ზედა-შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყუეს ძებნა[დ]... და მოყუან[ებ]ად ქმრისა» თამარ მეფისათვის (იქვე, ●634, გვ. 413). ბევრი უცხოელი უფლისწული იყო სილამაზით განთქმული თამარის შერთვის მონატრული. თამარის მიმზიდველ თვისებებს გარდა მათთვის ისიც იყო სანუკვარი, რომ თამარის ქმრობა მათ ძლიერ საქართველოს მეფის სახელსაც მიანიჭებდა. ერთ იმ კრებათაგანზე, რომელზედაც თამარისათვის ღირსეულ საქმროზე იყო ბჭობა, წამოდგა **აბულასანი** «მკჳდრთა ტფილისისათაგანი თავადი...და **ამირა ქართლისა დატფილისისა**» და დამსწრეთ მოახსენა: »მე ვიცი შვილი ჴელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი... იგი მცირე დარჩომილი მამისა-გან, ექსორია ქმნით დევნული გარდამო[ი]ხუეწა ბიძისა სავალათად სახელ-წოდებულისა-გან და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სუნჯისა ქალაქსა» (იქვე, ●635, გვ. 415), და თამარის საქმროდ ის იქმნება შესაფერისიო. საგანგებოდ შეკრებილს საბჭოს, როგორც ეტყობა, ეს წინადადება მოსწონებია ალბათ იმიტომ, რომ რუსები ქართველებსავით მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და თანაც სასიძო თუმც გადმოხვეწილი, მაინც ძლიერ ხელმწიფის შვილად ჰყავდათ წარმოდგენილი, — მაშასადამე, თამარის საკადრისად ეჩვენებოდათ. მაგრამ მაინც სასიძოს გასინჯვა არჩიეს და ამიტომ «უჴმეს ერთი მკჳდრთაგანი დიდ-ვაჭარი [სახელით]ზანქან ზორაბაბელ» და რუს დიდ-მთავრისშვილის ჩამოყვანა მიანდეს. მან «მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰონეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარეს[ს] პაემნისა» (იქვე, ●635, გვ. 415). სასიძო აღმოჩნდა «მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და... საჩენი», ამასთანავე «გვარისშვილად»-აც მოიწონეს მისმა გამსინჯველებმა. ამიტომ «ამისთა მნახველთა და გამცდელთა პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა მოახსენეს თამარს» საქმროს მოწონების შესახებ (იქვე, ●635, გვ. 416). თამარ მეფე ყოყმანობდა და თანხმობას არ აცხადებდა, მაგრამ მახლობელნი და ქვეშევრდომნი არ ეშვებოდნენ. «არა [მო]მშვებელმან დედოფალმან და სპათა აიძულეს» (იქვე, ●636, გვ. 416—417); ისე რომ თითქმის ძალად, მაინც-და-მაინც **«მათ-გან (თამარისაგან) ნება-დაურთავი** განმზადნეს **ქორწილ[ნ]ი»** (იქვე, ●635, გვ. 416). საქართველომ თავის სათაყვანებელს გვირგინოსანს დიდებული ქორწილი გადაუხადა; თვით თამარ მეფემაც უხვი საბოძვარი და წყალობა გასცა ისე რომ «იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგლიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერელთანი, მსგეფსამდი სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემა» (იქვე, ●636, გვ. 417)[548].

თამარ მეფის ისტორიკოსს ამ პირველი ქმრის რუსის სახელი აღნიშნული არა აქვს, მაგრამ სტეფანოს ორბელიანის სიტყვით მას გიორგი რქმევია[549].

---

[548] რუსთა ჩამოყვანილი უფლისწული საქართველოს მაშინდელი მმართველი წრეებისათვის გაუცვნიათ, ვითარცა «კაცი დიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა და სახითაცა არა უმარჯუი» (ბასილი ეზოს-მოძღუარი [გამოც.თბილისი, 1944, გვ.16. 16—18] [III გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:—რედ.].

[549] სტ. ორბელიანი, ისტორია, 286.

ქართული ისტორიკოსის ცნობა თამარ მეფისათვის საქმროს ძებნაზე და რუს მთავრისშვილის დაქორწინებაზე მტკიცდება სხვადასხვა მხრივ. აბულასანის პიროვნებისა და თანამდებობის შესახებ მოიპოვება ორი წარწერა,—ერთი თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის კედელზე[550], მეორე ერთ ხატის მოჭედილობაზე[551], — და იქითგანა ჩანს, რომ აბულასანი მართლაც თბილისისა და ქართლის ამირად ყოფილა.

დამატებითი ცნობები ბასილი ეზოს-მოძღვრის შრომიდან:

1.

რუსუდან დედოფალთან შეკრებილთ **«განზრახვითა ყოველთათა** წარავლინეს **კაცი ვინმე** რუსთა სამეფოდ **ქრისტიანობისა** და მართლმადიდებლობისათუის მათ ნათესავთასა»-ო (იქვე,[გვ.16, 11—13].

2.

ბასილი ეზოს-მოძღვრისა და უეჭველია მისი მიმართულების სიტყვით რუსთა უფლისწულის მოყვანის შესახები გადაწყვეტილება «ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს»-ო.

3.

ბასილი ეზოს-მოძღვრის სიტყვით გიორგი რუსი «იხილეს რა ყოველთა კაცთა სთნდა», მაგრამ ისტორიკოსის განმარტებით, მოწონება გარეგნულობის მიხედვით და ზერელე მსჯელობის ნაყოფს წარმოადგენდა «რამეთუ არა რას მეცნიერ იყუნეს ჩუეულებისათვის მისისა”-ო.

4.

თვით თამარიც თურმე ამ არჩევანის წინააღმდეგი ყოფილა და საერთოდ სიფრთხილესა და წინდახედულებას ურჩევდა. როდესაც მას ქორწილს აჩქარებდნენ, მას უთქვამს: ასეთი შეუფერებელი საქმის ჩადენა როგორ შეიძლება «ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჯედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა»-ო (ბ.ეზ.მ. [გვ. 10,22—24].

5.

[550] ე. თაყაიშვილი,Арх, экскурсии IV.149.[Тифлис,1913], გვ.149.
[551] იქვე, II, 70.

თამარი მოცდასა და რუსთა უფლისწულის გამოცდას ურჩევდა, რომ მისი თვისების გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო: «მაცადეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე გინდა სიდრკუე მისი»-ო.

6.

საქართველოს მმართველი წრეები კი ჩქარობდნენ, რათგან სამეფო ტახტის უმემკვიდრეობა აწუხებდათ და თანაც «წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს» და ამის გამო მეტად ასწრაფებდნენ თამარს და, ბასილი ეზოს-მოძღვარის სიტყვით, «ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს»-ო.

7.

ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს წარჩინებულნი თამარ მეფეს ამ საქმის გამო მოსვენებას არ აძლევდნენ და მისი დაყოლიება უნდოდათ საჩქაროდ, ისე, რომ «ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა»-ო, (ბასილი ეზოს-მოძღ. [გვ. 16,28]).

თვით გიორგი რუსის შესახებაც მოიპოვება ცნობები რუსულს მატიანეებში[552]; ამას გარდა იგი მოხსენებულია აგრეთვე სტ. ორბელიანის ისტორიაშიცა (გვ. 286) და **ვარდანის** ისტორიაშიც (გვ.174), თუმცა-კი ვარდანს რუსი მთავრიშვილის სახელი სწორად არა აქვს აღნიშნული.

ეხლა ქართველები გულდამშვიდებულები იყვნენ და კვლავინდებურად ლაშქრობას შეუდგნენ. ჯერ კიდევ «ამისგან უწინ[არეს] მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა და თურქმანნი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის ჴევად წოდებულსასა». გათამამებულ «მომრბეველთა ზედა გამრეკელი კახას ძე მიუჴდა», თამარის ბედზე გაიმარჯვა და მტერი გააქცია (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●637, გვ. 418).

იმავ ხანებში «მასვე ჟამსა მოვიდეს კარნუ-ქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმ[ია]ნისანი ცხენოსანნი, ქუეითნი და აივსო შავშეთისა ქუეყანა». შემოსეულს მტერს სწრაფად მიეგება გუზან აბულასანის ძე ტაოელი და ბოცო ჯაყელი მესხთა ჯარითურთ. «ბედმან... თამარისმან სძლია» აქაც და ძლევამოსილმა ქართველებმა მტერი უკუაქციეს (იქვე, ●637—●638, გვ. 418—419).

ალბათ გათამამებული მეზობლების ასალაგმავად «გავიდა ტფილისით მეფე რუსთავს» და «ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა და მოარბიეს ვიდრე ბასიანადმდის» და იქითგან გამარჯვებულები დაბრუნდნენ და «მოვიდეს წინაშე პატრონსა მას ღმრთივ განათლებულსა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●637, გვ. 418).

მერე ჯერი მჴარგრძელებზე მიდგა: «ამისდა შემდგომად წავიდეს მჴარგრძელნი ძენი საღირისნი და ვარამისნი... უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცუილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი და ილაშქრეს ქუეყანასა დვინისასა» და ალაფით დატვირთულნი, ძლევამოსილები საქართველოში დაბრუნდნენ (იქვე, ●638, გვ. 419).

«შემდგომად ამისა გამოსულასა ხანისასა ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ და ზემონი ზემოთ და შუანი შუათ და ყო[ვე]ლგან ძლევამოსით და გამარჯუებით» მოქმედებდნენ ქართველები (იქვე, ●638, გვ. 420). მერე «ბრძანებითა თამარისითა»

[552] იხ. ბროსე, Adittions et eclairc., გვ. 288—296..

მეფე ჯარითურთ გაემგზავრა და «მოაოჴრა ქუეყანა პართთა», და იქითგან დიდძალი საუნჯე და ტყვე წამოასხა (იქვე).

როდესაც ლაშქრობისაგან ისვენებდნენ მეფე და მეფეთა მეფე თამარი, სამეფო სახლი ხან იმიერ საქართველოში გადავიდოდა ხოლმე, ხან ამიერში იმყოფებოდა, ხან «ჟამსა ოდესმე ჩავიდა შარვანის ზღურამდის და მოვიდის შარვანში დიდითა ნიჭითა და ძღუნითა» და ერთად ნადირობდნენ და შემდეგ უხვად დასაჩუქრებულს შარვანშას, რომელიც საქართველოს გვირგვინოსანს ემსახურებოდა «მონებითა ყმებრივითა», შინ ისტუმრებდნენ ხოლმე (იქვე, ●638—●639, გვ. 420).

ამავე ხანებში დიდძალი მხედრობითურთ მეფე გაემგზავრა გელაქუნისაკენ და «თურქმანთა დაესხნეს, ამოსწყჳტეს და აღიღეს დიდძალი ნატყუენავი და იავარი». უკან გამობრუნებულს ქართველთა ლაშქარს «ყოველი თურქმანობა» შეეხეჩა «წინაძღომითა შამელთა დიდებულთა როსტომ და იალღუს ალფესითა», რომელნიც ყიზილ-არსლან ათაბაგს დაუქირავებია; მოულოდნელად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა (იქვე, ●639, გვ, 420—421). ამ შეტაკებითგანაც ქართველები გამარჯვებულები გამოვიდნენ.

ამის შემდგომ «წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა» ქართველებმა განძას ილაშქრეს ბელაყონამდის, მერე მოარბიეს «ზემო კერძო რაჴსისა პირი მასისადმდე, სადაც მსახურთ-უხუცესმა ვარდან დადიანმა, «ოთხთავე მჴარგრძელთა და სხუათა დიდებულთა აზნაურთა დიდი დაჭირვებული ომი გარდაიჴადეს» და გააქციეს მტერი (იქვე, ●639—640, გვ. 421—423).

ამ მშვიდობასა და მარჯვებაში რომ იყო ქართველობა, მოულოდნელად ისეთი რამ გამოაშკარავდა, რომ ყველანი აღაშფოთა. თამარის ქმარს გიორგის, »უბედურს რუსს, სოდომური ცოდვა და ქცევა აღმოაჩნდა. თამარ მეფეს იმთავითვე შეუტყვია ეს უკეთურება და «ორ წლამდის გინა უმეტეს იყო განსაცდელსა უცხოსა», სანამ დაფარული ჭირი გამომჟღავნდა და «უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა» (იქვე, ●640, გვ. 422).

რაკი ეს სააუგო ამბავი გამოაშკარავდა, გიორგი რუსის ბედიც გადასწყდა და თუმცა «მოწყალისა და გაურისხებელის» გულის პატრონს თამარს ეცოდებოდა «უბედური რუსი», მაგრამ მაინც «ცრემლ-მდინარეობასა შინა თამარისა» იგი მაინც საქართელოთგან გააძევეს და «წარიყვანეს ექსორია ქმნად» (იქვე, ●641, გვ. 423). თამარ მეფემ «აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა» დატვირთული გაისტუმრა იგი საქართველოთგან, საითგანაც «ჩასმული ნავითა ზღუად მიიწია კონსტანტინეპოლედ» (იქვე, ●641, გვ. 424).

ეხლა საქმე თარიღების გამორკვევაა, ან როდის შეირთო თამარმა პირველი ქმარი, ან როდის გაეყარა მას? მკვლევართა შორის აქ დიდი უთანხმოება სუფევს. **მ.ბროსე** ვახუშტს მისდევს იმ მხრივ, რომ მასავით ისიც თამარის გამეფებასა და პირველ ქორწილს შორის სამ წელიწადსა სდებს[553], პირველი ქორწინების თარიღად იგი 1187 წ. სთვლის[554]. **დ. ბაქრაძე** ბროსეს ანგარიშს ემხრობა და იმეორებს[555]. **თ. ჟორდანია** იმ თარიღისდა მიხედვით, რომელიც მოიპოვება ერთს კჳნკლოსში თამარის მეორე ქორწინებისა და დავით სოსლანის გამეფების შესახებ, სრულებით

[553] Histoire de la Georgie, , I, 413. შენ.3.

[554] იქვე და Histoire de la Georgie, გვ. 296.

[555] ვახუშტი, საქა.ისტორია, 216, შენ.1.

უარყოფს ბროსეს ქრონოლოგიას და იმის აზრით «რუსის შერთვა უნდა ყოფილიყო 1184 წლის დამლევს, ანუ გაზაფხულს 1185 წლისას»[556].

მართლაც, მეორე ქორწინების შესახებ ცნობას, რომელიც კჯნკლოსში აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს თარიღების გამორკვევისათვის. კჯნკლოსში სწერია «ქრონიკონსა :უთ: (409) დასაბამით-გან ხღჟგ: (6793) აქა მეფედ დაჯდა დავით ოსი»[557]. ორივე თარიღი თანხმობით 1189 წ. უდრის მაშასადამე, თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ თამარ მეფეს მეორე ქმარი დავით სოსლანი უკვე 1189 წ. შეურთავს. ამისდა მიხედვით ბროსეს ანგარიში, რომელიც მეორე ქორწინებისათვის თარიღად 1193 წ. სდებდა[558], სრულებით შემცდარი გამოდის. მაგრამ ამასთანავე შეუძლებელია თ. ჟორდანიას ანგარიშიც მთლად და შეუსწორებლივ მიღებულ იქმნას, თუმცა იგი სინამდვილეს ძალიან უახლოვდება. პირველი ქორწინების თარიღის გამორკვევის დროს უნდა გავიხსენოთ, რომ თამარის მამა მეფე გიორგრი III გარდაიცვალა 1184 წელს «თუესა მარტსა ოცდაშუიდსა» (იხ. გვ. 244). როგორც ვიცით საქართველოში წესი იყო, რომ ერთი წლის განმავლობაში ჭირისუფალნი მგლოვიარედ ითვლებოდნენ და, სანამ წლის წირვას არ გარდიხდიდნენ, მანამდისინ იმ სახლში ლხინი არ შეიძლებოდა[559]. მაშასადამე, ფიქრადაც წარმოუდგენელია, რომ 1185 წლის 27 მარტამდის ქმრის შერთვაზე ლაპარაკი ყოფილიყო; ამ ხნის განმავლობაში თამარი მგლოვიარედ იქმნებოდა. ამიტომ საქმროს ძებნა და **პირველი ქმრის შერთვა შეიძლება დაახლოვებით 1185 წლის დამლევს მომხდარიყო**. როგორც ქართველი ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, თამარ მეფეს პირველ ქმრის უკეთური ქცევა ორ წლამდის «გინა უმეტეს» უთმენნია. რაკი შესაძლებელია თამარს ეს ზნე ქმრისათვის პირველითგანვე არ შეემჩნია, ამიტომ შეიძლება პირველი ქმრობისათვის დაახლოვებით ორ ნახევრითგან სამ წლამდის ჩავაგდოთ. მაშასადამე, პირველი ქმრის საქართველოთგან განდევნის თარიღად 1187—1188 წ. ვიანგარიშოთ. პირველი ქმრის დროინდელი ზემომოთხრობილი ლაშქრობანი ამგვარად ორის წლის (1186 წ. დამდეგ, — 1187 წ. დამლ.) განმავლობაში უნდა მომხდარიყო. გელაქუნითგან კი თურქმანებზე თავდასხმა და შამელ დიდებულებთან შეტაკება შეუძლებელია 1186 წ. ადრე ყოფილიყო, იმიტომ რომ ამ ამბავში მოხსენებულია ყიზილ არსლან ათაბაგი, რომელიც მმართველად იყო მხოლოდ 1186 წლითგან[560].

როგორც სანაჰინის მონასტრის ჯვარიანქვის წარწერითგანა ჩანს 1187 წ. გარდაიცვალა ამირსპასალარი სარგისი მჭარგრძელი[561], თამარ მეფის თქმით სარნისის მაგიერ ამირსპასალარად დაუდგენიათ ამირახური გამრეკელი თორელი (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●631—632, გვ. 409—410), რომელსაც ამირსპასალარობა, მაშასადამე, 1187 წ. მიუღია.

«უბედური რუსი» გააძევეს თუ არა, კვლავ გამოჩდნენ თამარ მეფის ქმრობის მონატრულნი, მახლობელ და შორეულ ხელმწიფეთა შვილები, ქრისტიანე და მაჰადიანი უფლისწულები, მაგრამ ეხლა ფრთხილობდნენ და მაგრე რიგად უცნობს არ ეტანებოდნენ. ბევრმა მიიღო უარი: ზოგმა «უღირსობისა» გამო, ზოგმა კიდევ

---

[556] ქ᾽კბი, I, 276.

[557] იქვე, I, 275.

[558] Adittions…, გვ. 296.

[559] იხ. ჩემი «ქ᾽ლ სამართლის ისტორია». სახელმწიფო სამართლის კარი, «გალოვის წესი» (=ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 236), [III გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.— რედ.].

[560] სტ. ლენ-პული,Мусульм. династии ვ. ბარტოლდის თარგმანის გვ. 144.

[561] **(სომ ხური) Bibl. Armenj-Georgica** II, გვ.36.

იმიტომ, რომ დაწუნებულ იქმნა. თამარის ქმრობის ერთმა მონატრულთაგანმა «სალდუხის ძის ძემან სახელით მუტაფრადინმან» თავი ვერ შეიკავა და თითონ მოვიდა საქართველოში, რომ საქმე თავისთვის გაერიგებინა. მას ისე დაუხვდნენ, როგორც მის გვარიშვილობას შეეფერებოდა, ბევრის ასიამოვნეს. როგორც ჩანს, მოტრფიალე უფლისწული **შემოდგომის დამლევს** მოსულა. ამ დარბაზობასა და ნადიმობა-გართობაში **ზამთარიც დამდგარა**. თამარ მეფეს «**ჟამი ზამთრისა** სომხითს» გაუტარებია. ხოლო სტუმარი «სანადიროთა ქვეყანათა» წაუყვანიათ. **გაზაფხულზე** «ჟამსა ღანუყობისა» უჩვნებიათ კახეთისა და რანის საუცხოო სანადირო ადგილები (ის´ტრანი და აზ´მნი, ●643—●644, გვ. 425—427). ასე პატივსა სცემდნენ, ასიამოვნებდნენ და ართობდნენ მუტაფრადინს, მაგრამ თამარის ღირსად კი მაინც არა სცნეს და, როცა ისევ «ქალაქად სამეფოდ» ტფილისში მოიყვანეს, «დაამჴუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისა» და თამარის მაგიერ შერთეს თმარის ნახევარ-და, გიორგი III უკანონო შვილი, «ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი რეცა სახელდებული შვილად მეფისა» (იქვე, ●644, გვ. 427—428). ამასობაში, მაშასადამე, **გაუვლია შემოდგომას, ზამთარს და გაზაფხულს.**

მუტაფრადინი რომ ცოლითა და დიდის ზითვითურთ სამშობლოში გაისტუმრეს, »შემდგომად ამისა» ვითომც სტუმრად «რეცა დარბაზობისა სახედ» ეხლა შარვანშა ახსართანი მოვიდა, რომელიც «რჯულისა დაგდებად განმზადებელი» იყო, თუ კი რომ მას თამარის ქმრობის შესაფერისად სცნობდნენ. თავის წადილის მისაღწევად მან დიდი საჩუქრებიც კი არ დაიშურა, «მოქენე იქმნა ყოველთა საქმის მოქმედთა», თვით «მოძღუარისა და კათალიკოზისა მიუწდომელისა ქრთამითა მძებნელი», მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო იყო (იქვე, ●645, გვ. 428). ვისაც-კი ქრთამმა სძლია და თამარს ახსართანი ურჩიეს, მათ «ყოველთა მამონისა-გან ძლეულთა და ქმნად მაწვეველთა (ე.ი. ახსართანის შერთვის) მკიცხველი» იყო და უბრძანა, «მისცა მცნება: »კუალად აღარა შესძინოთ ესევითართა თქუმად» (იქვე, ●654, გვ. 429), ამგვარი რამ აღარ გამაგონოთო. ამ ახსართანის ამაო ცდაშიც ზაფხული გაივლიდა.

საქართველო გიორგი რუსის განდევნის შემდეგაც წინანდებურად ძლიერი და ძლევამოსილი იყო, ამ მხრივ ქვეყანა უზრუნველ-ყოფილი იყო. ქართველ ერს ერთადერთი საზრუნავი აწუხებდა: თამარის უშვილობა და სამეფო ტახტის უმემკვიდრეობა. «შვილისა უსმელობისა» ფიქრმა «მოიცვა შვიდივე ესე სამეფო» (იქვე, ●646, გვ. 430). შორეულ და უცხო ქვეყნებში უფლისწულების ძებნის მაგიერ, ეხლა აზრად მოუვიდათ საქმროდ აერჩიათ ოსთა უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც იზრდებოდა ვითარცა ნათესავი «სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისასა», თამარის მამიდასთან. იგი სახელოვანი «მოყმე იყო, ნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გვართაგან საჴელმწიფოთა» ჩამომავალი (იქვე, ●646, გვ. 430—431), დედით ბაგრატონიანი, მამით ოსთა მეფეთა ძე. რაკი წუნი არაფერი ედო «მოაჴსენეს [დედოფალსა რუსუდანს] მკჴდრთა ამის სამეფოსათა» ამის თავობაზე. თამარის მამიდაც დათანხმდა და «ნებისა დამრთავი, ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე ქმნითა, მომჴსენებელ და მოაჯე ექმნეს თამარს», რომ ქმრად თუ მოეწონებოდა დავით სოსლანი შეერთო (იქვე, ●646—●647, გვ. 431). როცა თამარი დაითანხმეს, «წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი და წარმოიყუანეს დედოფალი (რუსუდანი) და გაზრდილი მისი დავით (სოსლანი)... და მოვიდეს სრასა დიდუბისასა სანახებსა ტფილისისასა [და] მუნ ქმნეს ქორწილი შესატყჴსი და შემსგავსებული ჴელმწიფობისა და სახელ-ზეობისა მათისა» (იქვე, ●647, გვ. 432). ეს დიდებული და სახელოვანი ქორწინება, როგორც აღნიშნული იყო, უნდა 1189წ. მომხდარიყო. მართლაც, ზემოთ თავ-თავის ადგილას გამოირკვა, რომ

პირველი ქმრის განდევნის შემდგომ (1187—1188 წ.) თამარ მეფეს უქმროდ დაახლოვებით დაუყვია შემოდგომას, ზამთარს, გაზაფხულს და ალბათ კიდევ შემოდგომას, სულ დაახლოვებით ერთ წელიწადს, ან წელიწად ნახევარს.

დავით სოსლანი «წელიწადის მოქცევამდე», ანუ უკვე 1190 წ. საქებურ ჭაბუკად გამოდგა და მშვილდოსნობაში, ცხენოსნობაში, ცურვაში და მოასპარეზობაში სახელი გაითქვა, მწიგნობრობასა და მეცნიერებაშიც დიდად დაწინაურებული აღმოჩნდა (იქვე, ●648, გვ. 433).

«შემდგომად ამისსა» ალბათ 1190—1191 წ. გიორგი რუსი კონსტანტინეპოლითგან კარნუ-ქალაქში მისულა (იქვე, ●648, გვ. 433—434). იმ დროს კარნუ-ქალაქში «მოციქულად... საქმისა რასათჳსმე» საგანგებო მინდობილობით საქართველოთგან გაგზავნილი იყო «ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისა». გიორგი რუსმა ნახა ეს დიდი მოხელე და მას გაუმხილა თავისი გულის წადილი, რომ კვლავ საქართველოში გამეფებულიყო. როგორც კი მოციქულმა «ამის სამეფოსა კაცთა» შეატყობინა, გიორგი რუსს დახმარება აღუთქვეს. პირველი გუზანი მიემხრო «პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა», მერე სამცხის სპასალარი ბოცო, ივანე-ყვარყვარე ციხისჯუარელი, მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი, «პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობელად» მქონებელი (იქვე, ●649—●650, გვ. 434—435). ვარდან დადიანმა ამ საქმისათვის მიიმხრო «ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი» და «აფიცა რუსისა გამეფებისა და მისისა მეფე ყოფისა-თჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყნისანი», (იქვე, ●650, გვ. 435). უეჭველია, გიორგი რუსს რაიმე პირობები ექმნებოდა დადებული, ალბათ რაიმე ან პოლიტიკური უფლებების დათმობას იქნებოდა დაპირებული და ან კერძოდ სარგებლობას მოელოდნენ, თორემ ისე ტყუილ-უბრალოდ სოდომური ქცევისათვის განდევნილ გიორგი რუსისათვის თავს რად გამოიდებდნენ?

ვარდან დადიანმა გუზანთან «გაგზავნა ლაშქარნი ქუეყანისანი», რუსიც წამოვიდა და ყველა მეამბოხენი შეერთებულის ძალით სამცხისაკენ გამოემართნენ; აქ მათ «მიეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო» და აქეთგან გეგუთში გადავიდნენ (იქვე, ●650, გვ. 435—436). როდესაც თამარმა ეს მოულოდნელი ამბავი შეიტყო, ”განკვირვებული” იყო. მაშინვე «მბრძანებელ ექმნა ყოველთა ერისთავთა», რომ საჩქაროდ შეყრილიყვნენ. სწრაფად «შემოკრბეს სპანი და დიდებულნი ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით». შეგროვილებმა თამარ მეფე დაამშვიდეს და «ჰკადრეს ფიცით არა მათგან ნებადართულობა საქმისა» (იქვე, ●650—●651, გვ. 436—437), რომ ისინი ამ განდგომილებას არ თანაუგრძნობდნენ და მისი ერთგული იყვნენ. მომხდარი ამბებით გაოცებული ვერ მიმხვდარიყო, თუ რად გადუდგნენ მას და მიერმხრნენ მის გაძევებულს და გაყრილს ქმარს გიორგი რუსს. ამიტომ იგი «**იკითხავდა მიზეზსა** მკჳდრთა მისთა-გან», პატრიარქისა და ანტონ ქუთათელისაგან უნდოდა გაეგო ნამდვილი მიზეზი. ჯერ თამარ მეფეს უნდოდა მშვიდობიანად გაეთავებინა ჩამოვარდნილი განხეთქილება; ამისათვის ხან ანტონ ქუთათელსა და «სხვათა ებისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა», მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, «მათ-გან ვერას პირის მპოვნელი» იქმნა. პირიქით, მეამბოხენი ორად გაიყვნენ: ერთმა ნაწილმა ლიხის მთა გადმოლახა და გზა-გზა ქართლში ნაჭარმაგევამდისა და გორამდის ყველაფერი ააოხრა, მეორე ნახევარმა დადიანის წინამძღოლობით რკინის ჯუარი გადაიარა, ციხის-ჯუარს მივიდა და «დაუწუეს ქალაქი ოძრხე» (იქვე, ●651, გვ. 437). აქვე მეამბოხეებს სამხედრო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად ბჭობა ჰქონდათ და «გააგეს პირველად აღება

ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა» (იქვე, ●651, გვ. 438—439). მეამბოხეთა ეს სამხედრო გეგმა თამარ მეფის ერთგულ მოყმეებს, როგორც ჩანს, შეუტყვიათ. ამიტომ თამარ მეფემ «უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მჯარგრძელთა და სხუათა თორელთა ზემოთა და ქუემოთა წასულა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა». იქ უნდა გამორკვეულიყო მეამბოხეთა ნამდვილი ძალაც (იქვე). როდესაც თამარ მეფის მხედრობა ჯავახეთში მივიდა, მას «მიერთნეს მესხნიცა ერთგულად დარჩომილნი». მეამბოხენიც მოსულიყვნენ. ორ მოპირდაპირე ჯარს მტკვარი ჰყოფდა: «აქით ესენი მისრულნი მტკუარსა ზედა და იგინი მუნითა». სწორედ ამავ ალაგას «ჴიდსა ზედა შეიბნეს და შეიქმნა ომი და სროლა». საღამომდის ვერ გამოირკვა გამარჯვება ვის დარჩებოდა: «მას დღესა სიღამემან და წყლის შუა-ყოფამან გაჰყარნა «მტრები (იქვე, ●652, გვ. 438—439). შუაღამებისას მეამბოხეებს და მათ მოპირდაპირეებს ისევ სამხედრო ბჭობა ჰქონდათ და მეამბოხეებმა «სიმაგრისაკენ» დახევა გადასწყვიტეს, ხოლო თამარ მეფის ლაშქარმა — «გულ-უყოვნელ ქმნა შებმისა და დევნა-ყოფისა». თავისი გადაწყვეტილების განსახორციელებლად თამარის მხედრობა გაღმა გავიდა. »გამვლელთა ჴიდისათა» მეამბოხეებმა რასაკვირველია წინააღმდეგობა არ გაუწიეს, არამედ «მიმართეს მთასა ტორნაძიად სახელდებულსა», რომ იქ გამაგრებულიყვნენ («ღონედ სიმაგრისა საძებნელად»). მაგრამ ვერც აქ გაუწიეს მათ თამარის ლაშქარს რაიმე წინააღმდეგობა და ისევ უკან დაიხიეს, «გარიდეს» და მხოლოდ ნიალის ველზე ხინგრის წყალთან შედგნენ. აქ «თმოგუსა და ერუშეთს შუა შეიქმნა ომი», რომელსაც მოპირდაპირეთა ბედი უნდა გადაეწყვიტა (იქვე, ●653, გვ. 439). მედგარ და ფიცხელ ბრძოლაში «მიეცა ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისათა». ისტორიკოსის სიტყვით მათ ვითომც «არა ევნო არცა სიკუდილითა, არცა დაკოდითა», ივანე სარგისის ძის გარდა, რომელიც ამ ომში დაიკოდა. ძლეული მტერი გაიქცა, მაგრამ ბევრიც დაიხოცა და დატყვევებულ იქმნა (იქვე ●653, გვ. 439—440). თამარის ძლევამოსილმა ჯარმა მახარობელი გამოუგზავნა თავის გვირგვინოსანს და თითონაც მეფეს ეახლნენ.

მოიტანა თუ არა მახარობელმა მეამბოხეთა დამარცხების სასიხარულო ამბავი, მაშინვე თამარ მეფემ და ვაზირებმა «ზრახუა ყუეს». ამ საგანგებო სამხედრო ბჭობაში მონაწილეობა მიიღეს იმათ, «რომელნი მყოფ იყუნეს მის (თამარის) წინაშე: ჭიაბერი მანდატურთ-უხუცესი, ჰერნი და კახნი დიდებულნი და აზნაურნი» (იქვე, ●654, გვ. 440).

თმოგვსა და ერუშეთს შუა დამარცხდა მეამბოხეთა მხოლოდ ერთი ნახევარი; ეხლა მეამბოხეთა მეორე ნაწილთან ბრძოლის გეგმა უნდა გადაეწყვიტათ. დაადგინეს მტერს დაუყოვნებლივ შეჰბმოდნენ: ჰერ-კახთა «თანა-დართვითა ყივჩაყთათა და შეყრილთა ქართლისა ერისთავისა და ქართველთა დიდებულთა წინაძღუანვითა დავით მეფისათა» გადასწყვიტეს თავ «დასხმა ქართლს მყოფთა» მეამბოხებზე (იქვე, ●654, გვ. 440—441). მეფის შეერთებული ლაშქარი გაემართა კიდეც ქართლში მოთარეშე მეამბოხეებზე, რომელთაც «მიერთნეს ვიეთნიმე ქართლელნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა»,მაგრამ მეამბოხეებს შეეტყოთ თუ არა მათ თანამოაზრეთა დამარცხების ამბავი ჯავახეთში, მაშინვე გაქცეულიყვნენ (იქვე, ●654, გვ. 440—441). დავით მეფე მხედრობითურთ უკან დაბრუნდა და ეს სასიხარულო ამბავი თამარ მეფეს მოახსენა. მეამბოხეებმა გამარჯვების იმედი და სასოება წარიკვეთეს და გონს მოსულთ დამორჩილება ირჩიეს. სრულის მორჩილების ნიშნად «რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმით» (იქვე, ●655, გვ. 442); მაგრამ ყველა არ მოსულა ასე ქედმოხრილი. ბევრს სასჯელისა ეშინოდა და უშუამავლოდ

დანებებას ვერა ბედავდნენ. ლიხთიმერეთის დიდებულთ, რომელთაც უფრო მეტი და მძიმე დანაშაული მიუძღოდათ, «შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა», მაგალითად, «ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თჳთ დედოფალი მათ შუა საყოფელად, კათოლიკოსი, მანდატურთ-უხუცესი და სხუანი ეპისკოპოზნი». მხოლოდ როდესაც ამ შუამყოფთა მიერ გული დაიმშვიდეს, მაშინ «გარდამოვიდეს სვიანნი დიდებულნი და მოჴელენი და გარდამოიტანეს რუსი მეფე-ყოფილი» (იქვე, ●656, გვ. 443). დამორჩილებულ მეამბოხეთა თხოვნისაებრ «მისცა დედოფალმან (თამარ) სიმტკიცე პირველად რუსისა უ[ვ]ნებელად გაშუებისა-თჳს და მერმე მის ჟამისა შეცოდებისათჳს» რომ არ დასჯიდა (იქვე). ამ პირობით მეამბოხენი თამარ მეფეს დანებდნენ და «დედოფლისათა [ნა]მოვიდეს ნაჭარმაგევად». თამარ მეფემ გიორგი რუსი გაუშვა, რომელიც «მასვე მისსა სუე-უბედურსა გზასა გაემართა», ალბათ ისევ ბიზანტიაში დაბრუნებულა. დაპირებისამებრ თამარს, როგორც ეტყობა, მეამბოხენი არ დაუსჯია ისე, როგორც კანონით მეამბოხეთათვის იყო დაწესებული; მაგრამ მეამბოხე ვაზირებისა და მოხელეებისათვის თანამდებობა მაინც ჩამოურთმევია, მაგ. ვარდან დადიანისათვის წაურთმევია მსახურთ-უხუცესობა და მის მაგიერ დაუდგენია თავისი ერთგული და თავგამოდებული ყმა სარგისის ძე ივანე, რომლისათვისაც ამასთანავე უწყალობებია «საპატიო კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხუათა მრავალთა სახარჯოთა ქალაქითა და ციხითა» (იქვე, ●656, გვ. 442). რასაკვირველია სხვა ყველა ერთგული მოყმეებიც იყვნენ უხვად დაჯილდოვებულნი, მაგ. «შეიწყალა ზაქარია ვარდანისძე და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა» (იქვე, ●655, გვ. 442); თანაც «შეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი» (იქვე, ●656, გვ. 442). «ამას შინა», მაშასადამე, ალბათ 1190—1191წ. «მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი» და რაკი მას დიდი სამსახური მიუძღოდა სამეფო გვარეულობისა და საქართველოს წინაშე ”თმოგვისა-გან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა” (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●657, გვ. 444). გამრეკელის მაგიერ «მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფეთა ადგილსა, პატრონსა ლორისასა»: მას ამას გარდა «მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი» (იქვე). ეს უნდა იმავ 1191 წ. მომხადრიყო და მართლაც სანაჰინის მონასტრის 1191 წ. წარწერაში ზაქარიას ამირსპასალარობა არის მოხსენებული[562].

იმავე დროს, როდესაც ზაქარიამ ამირსპასალარობა მიიღო, სხვა ერთგულ ვაზირებსა და მოხელეებს მოჰფინა თამარ მეფემ სხვადასხვა წყალობა: «ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ქალაქი ჟინვანი და ციხე მრავლითა მთიულეთითა»; აგრეთვე სარგის ვარდანის ძე «დალოცეს და უბოძეს თმოგვი»; ხოლო წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, მახატლის ძენი და «თავნი კახეთისანი თორღაოს ძენი შეიწყალნეს თუითოელი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა». ქართლელნი, სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნიც, რასაკვირველია, არ იყვნენ წყალობას მოკლებულნი (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●657, გვ. 444).

---

[562] **(სომხური)** ,გვ. 37. გასაოცარია, რომ ჰორომაირის 1187 წ. წარწერაში ზაქარია თავის თავს ამირსპასალარად ასახელებს (კონსტანიანცი, 36); მაგრამ თარიღში, ალბათ, შეცდომა უნდა იყვეს: იმას გარად რომ ეს ეწინააღმდეგება თამარ მეფის გარკვეულს ცნობას ორ ალაგას, თვით სანაჰინის მონასტრის 1187 წ. სარგის ამირსპასალარის საფლავის ქვა-ჯვარზე ზაქარია ამირსპასალარად არ არის წოდებული (კ. კონსტანიანცი, იქვე, 36).

ამ დროს გუზანმა ისევ თავისი ორგულობა გამოიჩინა: შაჰარმენთან წავიდა და თანაც საქართველოს ჩამოაშორა ტაოსკარი, ვაშლოვანი და მრავალი სხვა ციხეები (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●657, გვ. 444). მას ორიოდე სხვა აზნაურიც მიემხრო. მოღალატენი «გავიდეს მთასა კოლისასა». მათ დახვდნენ ზაქარია ფანასკერტელი, ძინიელნი და კალმახელნი. მათ შეიტყეს, რომ განდგომილთა ჯარში იყო გუზანის შვილი, რომელიც შაჰარმენის ლაშქრითურთ მოსულიყო გუზანის ცოლ-შვილის წასაყვანად, ამასთანავე «ციხეთა შინა თურქთა შესაყენებლად». მოღალატეებს მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყოლია. მათ საწინააღმდეგოდ კი იმჟამად მცირედი მხედრობა იყო გამოსული. ამიტომ ზაქარია ფანასკერტელსა და მის მეშველებს ბრძოლა მეტად გაუძნელდათ, «დიდად დაჭირვებული ომი გადაიხადეს», მაგრამ მაინც გაიმარჯვეს და გუზანის ცოლშვილიც ხელთ იგდეს; ამასთანავე უკან «შემოქცეულთა აიხუნეს ციხეები და სიმაგრენი» და ისევ საქართველოს შემოუერთეს (იქვე, ●658, გვ. 445). ძლევამოსილი მოყმენი თამარ მეფემ შესაფერისად დააჯილდოვა (იქვე, ●658, გვ. 446).

ამ ძლიერებისა და მარჯვების დროს ქართველებს ის აწუხებდა, რომ თამარი ისევ უნაყოფოდ იყო. ამიტომ «ილოცვიდეს მოქენენი ღ᾽თისა და წმიდათა ხატთა მომჴსენენი», რომ თამარს საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს გასჩენოდა. მაგრამ მალე მემკვიდრე დაიბადა. ტაბახმელას «შვა ძე», რომელსაც «უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თჳსისა» გიორგი (ისტ᾽ნი და აზ᾽მნი, ●658—●659. გვ. 446). თამარ მეფის ისტორიკოსს სამწუხაროდ ლაშა-გიორგის დაბადების წელიწადი აღნიშნული არა აქვს. სამაგიეროდ ორი მატიანისებური ცნობა მოიპოვება. ერთს კჳნკლოსში სახელდობრ ნათქვამია: **«ქრონიკონსა: უიბ**: (412), **დასაბამით-გან: ხღჟვ**: (6796), აქა შარვანს შამახაჲ დაიქცა და **თამარს ძე მიეცა გიორგი ლაშა**»[563]. ქრონიკონი და დასაბამითგანი წელიწადი თანხმობით 1192 წ. უდრის. თვით თარიღი არ ეწინააღმდეგება წინამავალ და მიმდინარე ისტორიულს ამბებს, ხოლო შამახაჲს დაქცევა არის შემაფერხებელი გარემოება: თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანა თითქოს ჩანს, რომ შემახა მიწის-ძვრისაგან დაქცეულა შანქორის ომის რამდენიმე ხნის წინათ[564]. ზემომოყვანილს კჳნკლოსის თარიღს უახლოვდება ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანის ქრონოლოგიური ცნობაც. მემატიანეს სახელდობრ ნათქვამი აქვს: «ოდეს (ლაშა-გიორგი) **დაიბადა ქრონიკონი იყო ოთხას და ცამეტი»-ო** [565] (ანა და᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 243). 413 ქ᾽კნი უდრის 1193 წელს. რაკი ორი დამოუკიდებელი ისტორიული წყარო ასე ახლო უდგებიან ერთი-ერთმანეთს, ამიტომ ლაშა-**გიორგის დაბადების თარიღად შეიძლება** 1192—1193 **წ. ვიცნათ.**

ტახტის მემკვიდრის დაბადება მეტად სასიხარულო ამბავი იყო საქართველოსთვის და სამეფომ შესაფერისად იდღესასწაულა (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი ●659, გვ. 447). ჩველებისაებრ «იქმნა გალაშქრება... ბედსა და სუესა ზედა ლაშასა». ქართველთა მხედრობა გაემგზავრა «ბარდავად დიდად და ძუელად ქალაქად», სადაც დიდად გაიმარჯვეს. მრავალი ტყვითა და ნადავლით დატვირთულნი შინისაკენ გამობრუნდნენ, მაგრამ აქ, ისტორიკოსის სიტყვით, «**ათავისუფლეს სამ ბევრობა (ანუ 30000) ტყუეთა დღეგრძელობისათჳს თამარისა და ძისა მისისა»** (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●660, გვ. 448).

---

[563] **თ. ჟორდანია**, ქ᾽კბი, I, 280.

[564] **თ. ჟორდანია** შანქორის ომისა და შემახას დანგრევის შუა სრულს3 წელიწადს სთვლის (ქ᾽კბი, I, 284—285)

[565] ხელნაწერში შეცდომით სწერია «რვა-ას და ცამეტი», ესე იგი «უიგ» გადამწერს წაუკითხავს «ყიგ»-ად. რაც. რასაკვირველია, ადვილი ასახსნელია. 813 ქრონიკონი ამასთანავე არც შეიძლება რომ იყოს.

ბარდავითგან მოსულთ «არცა თუ თვისა ერთისა გამომსვენებელთა» ისევ «ილაშქრეს არზრუმს კართა კარნუქალაქისათა». კარნუქალაქელთა «მეშუელად იყუნეს სურმანელი, კარელი და სალდუხის ძე ნასრადდიან და ორნი ძენი მისნი» (იქვე, ●660—●661, გვ. 448). დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ლაშქრობა იბრძოდა და ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული: «ცისკრისა ბინდსა მის დამწყებელთა ომისათა ღამისა ბინდმან ულხინა გაყრად» მებრძოლთ. იმ დღეს გამარჯვება უკვე ქართველებისაკენ იყო გადახრილი და მტრის დიდძალი ქონება და ტყვეები ხელში ჩაუვარდათ. იმ ღამეს კარნუქალაქელებმა და მათმა მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ქართველებისათვის მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ. მართლაც, »ვითარცა განთენდა ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა და... დამასკუნელნი სისხლთა მათთა დათხევისანი გამოვიდეს ბჭეთა ქალაქისათა, გააწყუეს რაზმი ქუეთისა და ცხენოსანისა, წამოდგეს ბანსა ზედა და შუკათა შინა ისრის ამსროლელნი და ქჯს-მსროლელნი» (იქვე, ●661, გვ. 449). რაკი მეფე დავითმა და ქართველობამ დაინახა რა თავგამოდებით ემზადებოდნენ მათი მოწინააღმდეგენი საბრძოლველად, თითონაც აიღეს «საჭურველი» და «ჰოროლნი» (გრძელი შუბი), ცხარი ომის შემდგომ მტერი საბოლოოდ დაამარცხეს და გამარჯვებულნი შინ დაბრუნდნენ (იქვე, ●661—●662, გვ. 449—450).

ამავე დროს «ესე ვითართა ოდესმე ჟამთა» გაილაშქრეს გელაქუნისაკენ. «ჩაიარეს ხაჩიანი და ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისასა და მიუწიეს ბალყუნამდის», მოარბიეს არეზის პირი, შემდეგ «ამოიარეს კარი განძისა» და აქ დიდი შეტაკება მოუხდათ; მერე უკან გამოემგზავრნენ; «ყარყრით შანქორამდის ექუსი დღე იარეს» და ძლევამოსილნი შინ დაბრუნდნენ (იქვე, ●662, გვ. 450—451).

ლაშქრის ერთი რაზმი კიდევ ზაქარია ამირსპასალარისა და ივანე მსახურთ-უხუცესის მეთაურობით ლორიდან წავიდა «მორბევად რაჭსის პირისა». მათ გზაზე შეხვდნენ მტრის ლაშქარნი დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდელნი, რომელნიც თავის მხრივ «მუნით წამოსრულ იყვნეს... მეკობრობად და მზირად ქარავნისა». შუა გზაზე, »საშუალობასა გზისასა», მოპირდაპირე რაზმები ერთიერთმანერთს ეკვეთნენ. ქართველებმა გაიმარჯვეს და დავლით «ავსებულნი და სახელოვანნი» თამარ მეფესა და დავით მეფეს ეახლნენ (იქვე, ●663, გვ. 451).

«შემდგომად ამისა» კაენის პატრონის ივანე მსახურთ-უხუცესის თაოსნობით გაემგზავრნენ «მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსი-ბაზარისა და გორალაუქისა». აქაც გამარჯვება ქართველებს დარჩათ ისე, რომ ქართველმა მეომრებმა «სპარსი-ბაზარის სულტნის მოედანს შინა ჴელყუეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელ ესეცა არაოდეს ვისგან ქმნილ იყო» (იქვე, ●663, გვ. 451—452).

დასასრულ, დაახლოვებით მაშინვე («ოდესმე») გიორგი რუსმა კვლავ მოიწადინა ბედის ჩარხი თავისკენ მოეტრიალებინა. ამისათვის კონსტანტინეპოლითგან ათაბაგთან მივიდა და იქ ათაბაგისაგან საცხოვრებლად აიღო არანში ერთი ადგილი. აქეთგან იგი ლაშქრითურთ შემოესია «ქუეყანასა კამბეჩ[ან]ისასა და შიგნით მინდორნი მოარბია» და ბევრი ტყვე და ნატყვენავი ჩაიგდო ხელში. მაგრამ ხორნაბუჯის პატრონი საღირ მახატლის ძე მცირედის ლაშქრითურთ საჩქაროდ უკან დაედევნა და თავგანწირული კვეთების შემდგომ გაიმარჯვა, ამის შემდგომ თვით რუსიც გაიქცა და «გარდაიხუეწა» (იქვე, ●664, გვ. 452—453).

მაგრამ ყველა ზემოაღწერილი ლაშქრობანი მხოლოდ ნავარდობა იყო და მეზობელთა ქვეყნის დარბევა. ნამდვილი დიდი და ძლიერი ომი შემდეგ მოხდა. ამ ბრძოლაში საქართველო ჩაერია ვითარცა მფარველი სახელმწიფო შემდეგი მიზეზი

გამო: «ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზ[ილ]არსლან ათაბაგი, და აწ განსვენებული, მუჰლიდთა მიერ». მემკვიდრედ «დარჩეს სამნი შვილნი ფალავანდისანი მპყრობელი ყოვლისა სპარსეთისა», რომელთაც «მამისაგან და ბიძისაგან გაჰყოფოდეს ქუეყანანი ესრეთ: უფროსსა ხუტლუ-ინანჩის ერაყით ხუარასნამდის და ბაბილოვნამდის, და შემდეგსა ამირა [ა]ბუბაქარს ადარბაგანი სომხეთამდის, და უმცროსსა[566]... გურგანის ზღვით გელაქუნის ზღვამდის». ძმებში მტრობა ჩამოვარდა და ერთმანერთის წინააღმდეგ ამხედრდნენ. ატეხილ ბრძოლაში «სძლია [შუალმან] ამირა აბუბაქრ» და უფროსი ძმა (ესე იგი ხუტლუინანჩი) [აოტა] და თჳთ «დაჯდა ათაბაგად» (ის ́ტრნი და აზმ ́ნი, ●665—●666, გვ. 455). ამირ-მირანი (მირმანი), რომელიც აგრეთვე მუჰამედ ფალავანის ჩამომავლად ითვლებოდა იმიტომ, რომ «დედა მისი იყო ასული ინანჩისი, ხუარასნის მემამულისა» (იქვე, ●669, გვ. 459), მაშასადამე ინანჩის ქალიშვილი ყოფილა[567], «შეესიძა შარვა[ნ]შას,» მაგრამ ვერც ამან უშველა: აბუბაქრ ათაბაგი «თჳთ შარვა[ნ]შაჰს და მას»-აც დაესხა და გააქცია, ხოლო «თჳთ დარჩა გადიდებული და გალაღებული» (იქვე, ●666, გვ. 445).

თამარ მეფის ისტორიკოსის მოთხრობა სრულს ჭეშმარიტებას შეიცავს და თვით ამბავის განსაზღვრაც შეიძლება ქრონოლოგიურად. ადარბაგანის ამირთ-ამირამ ყიზილ-არლსან ათაბაგმა, მართლაც, 1191 წელს სულტანად გამოაცხადა თავისი თავი, მაგრამ მალე მოკლულ იქმნა მუჰლიდთა მიერ[568]. ამგვარად, ქართველი ისტორიკოსის სიტყვები ყიზილ-არსლანის შესახებ, რომ იგი «მოიკლა..., აწ გასულტნებული, მუჰლიდთა-მიერ», საქმის ვითარებას საუცხოვოდ გვიხატავს. მოკლული ათაბაგის მემკვიდრედ იყვნენ მისი ძმის მუჰამმედის ალფაჰლავანად წოდებულის[569] შვილები აბუ-ბაქრი, ყუთლუღ-ინანჩი და უზბეგი[570].

გათამამებულ აბუ-ბაქრს შარვანშამ და მისმა სიძემ ამირმირანმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს «რამეთუ მას ჟამსა შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა» — საშინელი მიწის ძვრა, რომელმაც «დასცნა ზღუდენი და ციხენი შამახისანი და უჩინო იქმნეს ყოველნი მას შინა მყოფნი, რომელსა შინა წარწყმდეს შარვაშეს ცოლი და შვილნი» (ის ́ტრნი და აზ ́მნი,●666,გვ.445). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთს ქართულს კჳნკლოსში შამახიის დაქცევა მოხსენებულია 1192 წელს; ხოლო რაკი ყიზილ-არსლანი 1191 წ. მოჰკლეს, მაშასადამე, მთელი ეს ამბავი 1191—1192 წ. უნდა მომხდარიყო. შარვანშა უკვე დავით აღმაშენებელის დროითგან საქართველოს მეფის ყმად-ნაფიცი იყო და საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; ამიტომ მან და მისმა სიძემ დახმარება სთხოვეს აბუ-ბაქრის წინააღმდეგ. თამარ მეფემ და დავით სოსლანმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, «უბრძანეს იმედი შველისა და ჴელის-აპყრობისა» (იქვე,●666—●667, გვ.455—456). რაკი ასეთი გამამხნევებელი ამბავი შეიტყეს, «მაშინ მოვიდეს» საქართველოში თვით ამირ-მირანი და ახსართან შარვანშა ამალითურთ და საქართველოს მეფეს ეწვივნენ. თამარ მეფე და დავით სოსლანი ბრძანდებოდნენ «ჭალასა აგარათასა» და ყმადნაფიცი სტუმრები და ნათესავები სადარბაზოდ «ეწუივნეს» (იქვე,●667, გვ. 457).

---

[566] უმცროსი მ ́მ დფ ́ს ქ ́ცა-ში ხან «ამირ-მირან», ხან «ამირ-მირმან»-ად იწოდება მაგრამ აქ რაღაც არეული უნდა იყოს; უმცროსს როგორც ცნობილია უზბეგი ეწოდებოდა **(ლენ-პული, Мусульм. династии,**144**).**

[567]«მამულად»: ამირმირანის ნათესავობა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გადამწერთაგან ისეთ რიგად არისდამახინჯებული, რომ არაფრის გაგება არ შეიძლება.

[568] ს . ტ . ლ ე ნ - პ უ ლ ი ს Мусульман. династии-ს თარგმანი, 144 დაშენ.1.

[569] ი ბ ნ ა ლ - ა ს ა რ ი , დეფრემერი, Frag.,., გვ. 507.

[570] ს ტ . ლ ე ნ - პ უ ლ ი , Мусульман. династии-ს თარგმანი,144.

საქართველოს მბრძანებლებმა და მთავრობამ მოსულნი ბრწყინვალედ და დიადის ზეიმით მიიღეს, თითქოს მთელის სახელმწიფოს ძლიერებისა და სიმდიდრის ჩვენება უნდოდათ მოყმე შარვანშაჰისა და მისი სიძისათვის. «შეიქმნა დარბაზობა და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თჳთ თამარ, დავით და ძე მათი» (იქვე, ●668, გვ. 468), ხოლო სტუმრებს «მიაგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და შემდგომად მესხნი და თორელნი შავშ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი თან რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თჳთ კარვის კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი» (იქვე, ●669, გვ. 458—459). საქართველოს ხელმწიფის ეგოდენ ბრწყინვალე ამალის გვერდით უნდა გაევლოთ ახსართანსა და ამირ-მირანს, სანამ თვით მეფეს წარუდგებოდნენ. »ვინათგან შინაური და თჳსი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იგი და თაყვანისმცემელი მოიკითხეს წესისაებრ და დასვეს თჳსსა ადგილსა», ხოლო «შემდგომად ამისა ამირ-მირან... და მოიყუანეს პატივითა და... მომკითხველთა [და]სუეს... და შეიტკბეს ვითარცა შვილი მოყმე კარგი». ამის შემდგომ ჯერი ამალაზე მიდგა და შემოიყვანეს «დიდებულნი ზოგნი ელდიგოზისნი, ზოგნი შვილთა მისთანი, ათაყუანეს და მოიკითხეს შესაფერითა პატივითა» (იქვე, ●669, გვ. 459). დარბაზობას ზედ მოჰყვა «პურობა» და «ნადიმი», შემდეგ ყოველგვარი გასართობი. ამგვარს ლხინში ჰყავდათ ქართველებს სტუმრები ერთი კვირის განმავლობაში (იქვე, ●670, გვ. 460), მაგრამ «დამყოფელთა მსგეფსისა ერთისათა» (იქვე) ამ სიხარულსა და გართობაში, მაინც მთავარი საქმე არ დავიწყებიათ და ლაშქრობისთვის «ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამასკუნელნი შუღლისანი» (იქვე, ●671, გვ. 461).

ქართველთა მზადება აბუ-ბაქრ ათაბაგს არ გამოჰპარვია, ჯაშუშებმა «აცნობეს ათაბაგს» და იგიც დიდის ომისთვის აეკაზმა და მოკავშირენი და მეშველნი მოიხმო «ნახჭვანიდაღმან ყოვლისა სპარსეთისა შეყრითა». აბუ-ბაქრი მოვიდა არანს. მისთვის «წარმოეგზავნა ხალიფას დროშა მისი და ლაშქარნი», ამასთანავე «ხალიფური ოქროც» მოუშველებია (იქვე).

ეხლა კი საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო და ამიტომ «მაშინ შეკრბეს თამარის წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი, თჳთ შარვანშა»-ც (იქვე ●671, გვ. 461). ამ საგანგებო საბჭომ გადასწყვიტა ათაბაგისათვის ომი გამოეცხადებინა და «დამასკუნელთა მიმართებისათა» (იქვე) საქართველოს მთავრობამ «განსცა ბრძანება და წარავლინა შიკრიკნი და მალემსრბოლნი წუევად ლაშქრისა იმერეთად და ამერეთად» (იქვე, ●667, გვ. 456). ამავე დროს «მას ჟამსა ძმა ყივჩაყთა მეფისა... აქა იყო სამსახურად დიდითა ლაშქრითა» (იქვე, ●667, გვ. 456—457). დანიშნული დროისათვის «პაემანს» იმდენად მრავალრიცხოვანი ჯარი შეიყარა, რომ მათის «სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, [ქციის პირი და ქურდვაჭრის პირი], **ესე ოთხნივე** მდინარენი ტფილისით ყარალაჯამდის, (მ᾽მ დ ფს ქ᾽ცა «ყარჩლამდის») მოფენილი იყვნენ ქართველთა მხედრობით (იქვე, ●667, გვ. 457). ქართველები უყოვნებლად საომრად გაემგზავრნენ და «დაიბანაკეს წყალსა ზედა ელეკეცისა და მუნით აყრილნი მოვიდეს სახლსა შანქორისასა» (იქვე, ●671. გვ. 462—463).

ქართველებმა საომრად «დააწყუეს რაზმი წესისაებრ» (იქვე, ●673, გვ. 465) აგრეთვე «შეიჭურვა მეფე და შეჯდა ზერდაგსა» (იქვე, ●672, გვ. 464). საომრად გამზადებული რაზმითურთ «წარემართნეს და წავიდეს ს[ი]ახლ[ე]სა შანქორისასა». ქალაქს რომ მიუახლოვდნენ რაზმი ორად გაჰყვეს და ომი დაიწყეს (იქვე, ●673, გვ. 465—466). მეფემ დიდი რაზმითურთ შანქორი მხარმარჯვნივ დააგდო და «მოსწრაფე

იქმნა განსლუად წყლისა შანქორისასა კერძოსა», ხოლო ქართველთა უმცირესმა რაზმმა დაიწყო ომი «კართა ზედა და ჯიდთა». ქართველებმა მთელი თავიანთი სამხედრო ძალა-კი არ მოიხმარეს, «არა თუ სრულობითა წარმოღურითა რაზმისათა» მიეტივნენ მტერს, არამედ მარტო «წინამსრბოლთა» მიანდვეს კვეთების დაწყება. ქართველებს ვარაუდი არ გაუმართლდათ და «გაგრძელდა ომი გზისა სიგრძისაგან» იმიტომ, რომ «მეფე და რაზმნი მისნი მიზეზითა ბეღთა[571] და კაპანთათა[572] დაყოვნებული იყუნეს» და დროზედ ვერ შეასრულეს განზრახული საქმე. ომი შენივთდა და მეტად გახურდა:» მოუკლეს ცხენი ზაქარია ვარამის ძესა და დაუკოდნეს სხუათა მრავალთა დიდებულთა». როდესაც ქალაქის კართან მებრძოლ ქართველთა რაზმის გაჭირვება «ცნეს მჯარგრძელთა, ძეთა სარგისისათა, ზაქარია ამირსპასალარმან და ივანე მსახურთ-უხუცესმან, წარმოემართნეს» მათ მოსაშველებლად (იქვე, ●674 გვ, 466—467). იმდენად ფიცხელი ომი იყო, რომ მჯარგრძელთ «მოსრულთა წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი”, მაგრამ ათაბაგი თავისი ჯარითურთ მაინც მაგრა იდგა (იქვე,●674—●675, გვ. 467). ამ დროს გამოჩნდა მეფეც თავისი რაზმითა და სახელმწიფო დროშითურთ. მაშინ კი მთელის თავიანთი სამხედრო ძალით ქართველებმა მტერს შეუტიეს და მტერიც შედრკა: «ვიდრე მეფისა მოსულამდი გამაგრდა რაზმი ათაბაგისა და რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხუა ღმრთისა» და გაიქცა (იქვე). გაქცეულს მტერს ქართველებმა ორ რაზმად მდევარნი მიაყოლეს და «მიუწია მდევარმა ერთკერძომან განძის შუალმთამდი, ერთკერძომან მთამდი გელაქუნისა» (იქვე, ●675, გვ. 467).

ამ დიდ და ფიცხელ ომში გამარჯვებულ ქართველებს მრავალი ტყვე და ნატყვენავი ერგოთ: სხვათა შორის მათ ხელში ჩაუვარდათ» დროშა ხალიფასაგან ღაზოდ წარმოგზავნილი» (იქვე, ●675, გვ. 468). სიხარულისაგან აღტაცებულნი «თჳთ შარვანში და ამირ-მირან პირითა მხიარულითა გარდამოჯდეს და თაყუანისცეს, დალოცეს და ქება შეასხეს [მეფესა და] ბუმბერაზთა მისთა» (იქვე, ●676, გვ. 469).

იმ ღამეს კი «დაიბანაკეს სადგომსა მათსა», ხოლო «ვითარცა განთენდა მოვიდეს შანქორელნი და მოართვეს კლიტენი» მცხოვრებლებმა ამ გზით საქართველოს მეფეს თავიანთი მორჩილება გამოუცხადეს და ქ. შანქორი გადასცეს. მეფემ აიღო მარტო ქალაქი კი არა, არამედ იგი ამასთანავე «ყოველთა მისთა მიმდგომთა ქალაქთა და ციხეთა» პატრონად გახდა. მაგრამ საქართველოს მეფეს დაპყრობილი ქვეყანა თვით არ დაუჭერია; მან «ითაყუანა ამირ-მირან და უბოძა მას»; თითონ-კი მთელის თავის მხედრობითურთ «გაემართა განძას» და მივიდა თუ არა «სიახლოესა ქალაქისასა» გამოეგებნეს დიდებულნი და დიდ-ვაჭარნი, ყადი» და სხვები და «დავრდომით მიწისა ზედა თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეავედრნეს თავნი [თჳსნი] და შვილნი» (იქვე, ●676, გვ. 469—470). ამგვარად, განძაც უბრძოლველად დამორჩილდა ქართველებს. ქალაქის წარმომადგენლებმა, პირიქით, თითონვე «განუხუნეს კარნი ქალაქისანი» და საქართველოს ძლევამოსილს მეფესა და მხედრობას «მიუფენდეს სტავრას კართა სრამდი სულტნისა და გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვერცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა» (იქვე, ●676, გვ. 470).

ქართველთა ძლევამოსილების აღსანიშნავად მეფე დავით სოსლანმა განძის სულტნის სასახლეში დიდი და ბრწყინვალე დარბაზობის მოწყობა ბრძანა. იგი შებრძანდა სასახლეში, »აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტნისასა. შეიქმნა დარბაზობა

---

[571] ბეღო— საძნე სახლი (საბა ორბელიანი).

[572] კაპანი— ქვაღოჯი (იქვე).

და დასხნეს ამირ-მირან და შარვანშა თჳთეული თჳსსა ადგილსა; ეგრეთვე ვაზირ[ნი], მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელთაცა აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისა [და]სუეს» (იქვე, ●676—●677, გვ. 470). როდესაც დარბაზობას მორჩნენ, «შეიქმნა, პურობა [და]ნადიმობა შესატყვისი ჟამთა» სადღესასწაულო (იქვე).

იმავე დღეს, რასაკვირველია, საქართველოში «წარგზავნეს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი», რომელიც «მოვიდა ტაბაჴმელას და ჰკადრა თამარსა საქმე აღსავსე სიხარულითა გამოუთქმელითა» (იქვე). მახარობელს შემდგომ მალე თვით ძლევამოსილი მეფე დავითი და მთელი მხედრობაც მოვიდა და თამარ მეფეს მოართვეს «ნიჭი არმაღანი და განძი აურაცხელი მრავალი ტყვე ნატყვენავი»[573] (იქვე, ●677, გვ. 471). თამარმა უმთავრესი ნატყვენავი «დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღ´თის მშობელისასა» (იქვე, ● 678, გვ. 472). და მას შესწირა.

თამარ მეფემ უხვად დაასაჩუქრა გულადი მეომარნი და «მადლისა და წყალობისა გარდამჴდელმან გაჰყარნა ლაშქარნი» (იქვე, ●679, გვ. 474) და დაითხოვა. სამწუხაროდ, შანქორის სახელოვანი ომის თარიღი სრულად არ არის შენახული. თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს: «თუესა ივნის´ა, დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად, რომელსა შინა ქრისტემან ღ´თნ ჩუენმან შემუსრა ძლიერება მჴდომისა და დათრგუნა ორთავი იგი ვეშაპი» (იქვე, ●671, გვ. 463). არც ქრონიკონი, არც თვის რიცხვი აღნიშნული არ არის. შესაძლებელია ერთიცა და მეორეც გადამწერთაგან იყოს გამოტოვებული. თარიღის დაახლოვებით გამოსაანგარიშებლად ჩვენ ორიოდე ცნობა მოგვეპოვება. რაკი, როგორც ეტყობა, თამარ მეფის ისტორიკოსი მოთხრობის დროს ქრონოლოგიურ წესს მისდევს და შანქორის ომს ჯერ ამირ-მირანის მოწამვლვა, შემდეგ კი დვინის აღების ამბავი მიჰყვება, ამიტომ საფიქრებელია,რომ შანქორის ომი მაინც-და-მაინც დვინის აღებამდე უნდა მომხდარიყო, ესე იგი, 1202—1203 წლამდე. ამგვარად **მ.ბროსეს** აზრი, რომ შანქორის ომი 1203 წ. უნდა მომხდარიყოო შემცდარია[574]. მეორე მხრით შანქორის ომი შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ჯერ ერთი ყიზილ-არსლან ათაბაგის სიკვდილისა და იმ საშინელ მიწის-ძვრის შემდგომ, რომელმაც ქ. შამახია დააქცია. ამას გარდა, როდესაც შარვანშა და მისი სიძე საქართველოს ეწვივნენ და თამარ მეფემ მათ დიდი დარბაზობა გაუმართა, ამ დარბაზობას მათი ძე ლაშა-გიორგიც დასწრებია (ისტ´ნი და აზ´მნი, ●668, გვ. 458), მაშასადამე, სულ ცოტა ორი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. რაკი ლაშა-გიორგი 1192—3 წელს დაიბადა, ამგვარად ირკვევა, რომ შანქორის ომი შეუძლებელია 1194 წ. ადრე მომხდარიყო. ამას ისიც ამტკიცებს, რომ აბუ-ბაქრისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფნი შარვანშა და ამირ-მირანი თამარ მეფეს სთხოვდნენ, სპარსეთი დაიპყარ და «მაშინ დასუით ასული თქუენი... პატრონად ყოვლისა სპარსეთისა» და ჩვენ მოგვათხოვეთო. თამარმა «არა მღირსმან სიძობისამან» ამ პირობაზე უარი შეუთვალა, მაგრამ დახმარება მაინც აღუთქვა (ისტ´რნი და აზ´მნი, ●667, გვ. 456). რასაკვირველია, შარვანშას და ამირ-მირანს რუსუდანის «დაწინდვაზე» ექმნებოდათ ლაპარაკი, მაგრამ ესეც ამტკიცებს, რომ მაშინაც, როცა მათ თამარ მეფეს დახმარება სთხოვეს, რუსუდანი დაბადებული ყოფილა. ხოლო რუსუდანი, შესწორებულ ქ´ცის ცნობით, ლაშა-გიორგის დაბადების

[573] ისტორიკოსის სიტყვით, ტყვე სულ 1, 200, ავაზა 40, ცხენი 20.000,ჯორი 7000, აქლემი 15.000.
[574] **Adittions,** 296.

ერთი წლის შემდგომ ეყოლა თამარ მეფეს[575], ესე იგი 1193—1194 წ. მაშასადამე, შანქორის ომი შეუძლებელია 1194 წ. ადრე და 1202 წ. გვიან მომხდარიყო.

ბ. **თ. ჟორდანიას** შანქორის ომის თარიღის გამოსარკვევად შემდეგი გონებამახვილი მოსაზრება აქვს მოყვანილი. იგი ამბობს: «თვით მატიანე გვიჩვენებს, რომ შანქორის ომი მოხდაო: »თუესა ივნის᾽ა: დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად». რაკი მემატიანეს ესრე დაწვრილებით უჩვენებია თვე, დღე ხუთშაბათი, ძნელი დასაჯერებელია, რომ თვის რიცხვიც არ ეჩვენებინოს. ალბად ეწერებოდა: «ივნისსა :ა:» და გადამწერს ალბად ბოლო ანი გამორჩენია, რადგან ეს ასო ორჯერ გამეორებული ყოფილა... ხოლო პირველი ივნისი 1193—1204 წლებს შუა ხუთშაბათს მოდიოდა მხოლოდ 1195 და 1200» (ქ᾽კბი,I, 282). ადვილად შესაძლებელია გადაწერის დროს ამგვარი შეცდომა («ა» გამოტოვება) მომხდარიყო და, თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ 1195 წ. ვგონებ უფრო მისაღებია შანქორის ომის თარიღად იმიტომ, რომ ყიზილ-არსლანის სიკვდილზედაცა და მიწის ძვრაზეც უფრო ახლოა[576].

ქართველთა ჩარევამ შარვანის საქმეებში შარვანშაჰის შელახულ უფლებათა აღსადგენად და შანქორის ომმა ქართველები თანდათან ხანგრძლივს და დიდს ომებში ჩაითრია. მოწინააღმდეგენი ქართველთ ბრძოლას ველზე ხშირად შეერთებულის ძალით უხვდებოდნენ და თვით ხალიფაც ეხმარებოდა მაჰმადიან ამირებსა და სულტნებს, ასე იყო შანქორის ომშიც და **ქართველთა გამარჯვებას შანქორთან ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს ეგოდენ მკვიდრი სამხედრო ძლიერება გამოააშკარავა, რომელსაც მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრისათვის ჯეროვანი პასუხის გაცემა შეეძლო.** განსაკუთრებით სასახელო იყო ქართველებისათვის ხალიფას მიერ უძლევლობის ნიშნად (ღაზოდ) წარმოგზავნილ დროშის წართმევა. ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფემ ქართველთა ძლევამოსილების ეს ძვირფასი ნიშანი ხახულის დიდებულს ტაძარს შესწირა.

აბუ-ბაქრი «ათაბაგ ყოფილი» დამარცხების შემდგომაც არა სცხრებოდა. «ნახჭავანს გარდახვეწილმან» მაინც თავისი მეტოქე ამირ-მირანი წუთისოფელს გამოსალმა. მისმა მოსყიდულმა კაცებმა «მისცეს წამალი სასიკუდინე», რომლისაგანაც დასნეულდა და მოკვდა. აბუ-ბაქრი მაშინვე მოვიდა და განძა დაიჭირა და «მოიფიცა». მეფე დავითს რომ ამირ-მირანის დასნეულების ამბავი შეატყობინეს, მცირედის ჯარით «გაემართა და მივიდა შანქორამდი», სადაც მას მოეგებნენ ამირ-მირანის დიდებულნი «მტირალნი» და «ჰკადრეს ჟამად აღარა იქმნების»-ო ესე იგი, ამირ-მირანის სიკვდილი გაუმჟღავნეს. მეფე საქართველოში დაბრუნდა და ეს ამბავი თამარს მოახსენა, რომელიც «შავითა შეიმოსა» და «დიდითა ცრემლითა მოიტირნა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,●679—●680, გვ. 474—475).

სანამ მეფე დავითი მზადებაში იყო, ივანე მჯარგრძელი «გავიდა გელაქუნად მცირედითა ლაშქრითა», სადაც მას შეხვდა მტრის დიდი ლაშქარი მომავალი განძით და მიმავალი ქუეყანასა დვინისა[სა] სურმანს». თუმცა მტერი ათჯერ მეტი იყო, ივანე მჯარგრძელი მაინც შეებრძოლა და გაჰფანტა (იქვე, ●680—●681, გვ. 475). **ვარდანის** სიტყვით 1196 წ. მჯარგრძელთ საქართველოს ამბერდი შემოუერთეს [577]. გელაქუნისა

---

[575] იხ.**ზ. ჭიჭინაძის** გამ. [ტომი პირველი, წიგნი მეორე, ტფილისი,1898], გვ. 433.

[576] ლაშა-გიორგის დროინდელ ქართველ მემატიანეს განძის ათაბაგის გაქცევის (= შანქორის ომს) თარიღი ჰქონია, მაგრამ ანა დ᾽ფს ქ᾽ცა-ში ცალკე გადამწერისაგან არის დამახინჯებული და ქრონიკონის უკანასკნელი რიცხვებიც ვიღაცას არშიის მოჭრის დროს ჩამოუცლია ისე, რომ სრულებით გამოუსადეგარია.

[577] **ვარდანი**, ისტორია, 181.

და ამბერდის აღებას ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანეც ადასტურებს (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 241, 8). იმავე ვარდანის ცნობით 1201 წ. ბიჯნისი იყო დაპყრობილი[578] და ბიჯნისის აღებას იგივე ქართველი მემატიანეც ამტკიცებს (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 241, 8).

თავხედი აბუ-ბაქრის დასასჯელად ქართველებმა ორ მხარეს მოაწყეს ლაშქრობა: ჯარის ერთი წილი მეფე დავით სოსლანის მეთაურობით გაემგზავრა «ქუეყანასა განძისასა», მეორე კი თამარ მეფეს გაჰყვა, რომელიც «ჩავიდა დვინადმდი» (იქვე,●681, გვ.476). ქართველებმა დვინი აიღეს. დვინის დაპყრობა ქართველების მიერ დაწვრილებით აღწერილი აქვს **იბნ ალასირს**. არაბ ისტორიკოსის სიტყვით დვინი ეკუთვნოდა ამირა აბუ-ბაქრს, ალ-ფაჰლავანის შვილს. აბუ-ბაქრი თურმე მეტის-მეტი ლოთი კაცი ყოფილა, დღე-და-ღამ სულ სმაში იყოო. როდესაც ქართველები 599 წ. ჰიჯრ. (1202—1203) ქალაქ დვინს მიადგნენ და გარემოიცვეს, მცხოვრებთ თურმე აბუ-ბაქრს დახმარება სთხოვეს, მაგრამ იმან ყურადღება არ მიაქციაო. დვინის გარემოცვამ დიდ ხანს გასტანა და მოქალაქეთ ქართველებისათვის წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ, ქართველებმა ქალაქი აიღეს და ბევრი მცხოვრებნი უწყალოდ ამოხოცეს; მაგრამ **მერე როდესაც დვინში ფეხი მკვიდრად მოიკიდეს, გადარჩენილ მცხოვრებთ კარგად ეპყრობოდნენო[579].**

სომეხთა ისტორიკოსებს დვნის დაპყრობა უთარიღოდ აქეთ მოხსენებული, მაგრამ არავითარი აღწერილობა შენახული არა აქვთ[580]; თარიღი მხოლოდ ვარდანსა აქვს აღნიშნული და ისიც ადასტურებს, რომ დვინი 1204 წ. იყო აღებული[581]. დვინითგან თამარი და გამარჯვებული ქართველი ჯარი უკან დაბრუნდა; თამარ მეფე «დადგა აგარათა მორჭმითა» (ის᾽ ტრნი და აზ᾽ მნი, ●681, გვ. 476).

ქართელთა მხედრობის მეორე ნაწილი, რომელიც დავით სოსლანის მეთაურობით გაემგზავრა, განძის კარს მიადგა, სადაც ქართველები აბუ-ბაქრის მომხრეებს სასტიკად ებრძოდნენ. «დაყუეს კარსა ქალაქისასა დღე ოცდახუთი», და ალაფით დატვირთულნი შინ მოვიდნენ (იქვე, ●681—●682, გვ.476).

როდესაც აბუ-ბაქრი საკმაოდ დასაჯეს და სამეფო სახლობა ლიხთიმერეთს იყო გადასული, «ქუეყანა არტანისა, ძაღინის (თუ ძაღლის) ჴევისა, პალაკაციო წაეღო თურქთა». ამიტომ თამარის ბრძანებით ქართველთა ლაშქარი შეესია თურქების სამფლობელოს და «მიუწია მარბიელმან ბასიანადმდის» (იქვე,●682, გვ. 476), ქართველთა ჯარის ბასიანამდე ძლევამოსილს ლაშქრობას სომეხთა ისტორიკოსი **სტეფანოს ორბელიანიც** ადასტურებს[582].

ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი ამბობს, რომ თამარ მეფის დროს ქართველებს «ხახული, ოშკი და ბანა წაეღოთ»-ო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 241, 22—23), მაგრამ სამწუხაროდ დრო აღნიშნული არა აქვს; ეს ამბავი მას კარის, კარნიფორის, ვანანდისა და რაჭისიპირის ციხეების აღების შემდგომ აქვს მოხსენებული, მაგრამ თანაც ნათქვამი აქვს, ეს მოხდა «წინ ამისსაო» (იქვე).

ამ ხანებში მომხდარა ქართველ-სომეხთა პაექრობაც, რომლის შემდგომაც მსახურთ-უხუცესმა ივანე მჭარგრძელმა გრიგორიანობას თავი დაანება და «ნათელ იღო სარწმუნოებასა ზედა [ჩუენსა] იოვანეს მიერ ქართლისა კათალიკოზისა და მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად და იქმნა დიდი სიხარული»

---

578 იქვე.

579 **დეფრემერი** , Frag., 507-508.

580 **კირაკოზ განძაკელი,** ტფილისის გამ., 1910, გვ. 154; **სტ. ორბელიანი,** 287.

581 **ვარდანი**, ისტორია, 181.

582 სტ. **ორბელიანი**, ისტორია, 287.

(ის᾽ტნი და აზ᾽მნი,●697, გვ. 494), ამ ამბავს ადასტურებენ სომეხთა ისტორიკოსები **კირაკოზი განძაკელი**[583] და **ვარდანი**[584].

1204 წ. ქართველი მემატიანის სიტყვით თამარ მეფემ, ბერძენთა მეფის ანგარებითა და მტაცებლობით განრისხებულმა, რაკი მან ბერებს თამარ მეფის ბოძებული ოქრო წაართვა და მიითვისა, ბერძენთა კეისრის სამაგალითო დასჯა გადასწყვიტა და ამ მიზნით მან «წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთა იქითნი და წარუღეს ლაზი[კ]ა. ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, სინოპი, კერ[ა]სუნდი, კოტიორა[585]. ამასტია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფეზლაღონიისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა ანდრონიკეს შჳლსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარისსა შემოხვეწილიო[586]. ქართველი მემატიანის ზემომოყვანილს ცნობას ბიზანტიელი მემატიანე **მიხეილ პანარეტიც** ადასტურებს. მას ამასთანავე თარიღიცა აქვს შენახული. იგი ამბობს, რომ დიდმა კომნენოსმა ალექსიმ 1204 წ. თავის მამის ძალუის დახმარებით და ქართველი (იბერიის) ჯარით ტრაპიზონი დაიპყრაო[587].

1204—1205 წ. (601 წ. ჰიჯრ.) ქართველები ჯერ ადარბაგანში შევიდნენ, ააოხრეს და დიდძალი ტყვე წამოასხეს, მერე ხლათის სულტანის ქვეყანას მიადგნენ და მანაზკერტამდის მიაღწიეს. არავის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, მაჰმადიანთა ლაშქარი ყველგან ქართველთა მხედრობის წინაშე უკან იხევდა. ტყვითა და დავლით აღვსილი ქართველები უკან გაბრუნდნენ[588].

ხლათითიგან ქართველები იმავე წელს არჭეშისაკენ გაემგზავრნენ, ქვეყანა დაარბიეს და მცხოვრებნი დაატყვევეს: ხოლო იქითგან მანაზკერტის ციხისაკენ გაემართნენ, რომელიც ხლათის სულტანს ეკუთვნოდა, თუმცა არზრუმის მახლობლად იდო. ხლათის სულტანმა არზრუმის მმართველს დახმარება სთხოვა და შეერთებული ლაშქრითურთ ქართველებს წინააღმდეგობა გაუწია, დაამარცხა და უკუაქციაო, ამბობს **იბნ ალასირი** [589].

იმავე ისტორიკოსის სიტყვით ქართველებს 1205—1206 წ-აც (602 წ. ჰიძრ.) ხლათში გაულაშქრიათ და მაჰმადიანთა ჯარს ქართველთა მხედრობა მთებით გარემოზღუდულ მინდორში შეუტყუებია. მერე თავს დასცემიან, გასავალი შეუკრავთ და ქართველები ამოუხოციათ[590].

თამარ მეფის ისტორიკოსი არც ხლათის და არც მანასკერტის შესახებ არას ამბობს, არც სომეხ ისტორიკოსებს აქვთ რამე ამის მსგავსი[591].

1206 წ. ქალაქი კარიც საქართველოს შემოუერთდა. «აქამდისინ კარი თურქთა ჰქონდა». თამარ მეფემ «წარავლინნა ლაშქარნი გარე[მო]დგომად; ცნეს თურქთა, დააგდეს კარი და ივლტოდეს». მეფემ მტრისაგან დატოვებული კარი დაიპყრო და «დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე», რომელიც მეფემ დანიშნა «მონაპირედ

---

583 **კირაკოზ განძაკელი**, ისტორია, 157.

584 **ვარდანი**, ისტორია, 181-182.

585 ხელნაწერშია: კერსუნდი, კიტორა, არაკლია.

586 შევსებული ქ᾽ცა, იხ. მ᾽მ დ᾽ფსი ქ᾽ცა გვ. 507, შენ. და ქ᾽ცა ზ. **ჭიჭინაძის** გამ. [ტომი პირველი, წიგნი მეორე] გვ. 473.

587 იხ. ა. ხახანაშვილის გამოცემული Трапезундская хроника, გვ. 1 და დ. **ბაქრაძის** გამ. ვახუშტის ისტორია, გვ. 213, შენ.2.

588 **იბნ ალასირი,** დეფრემერი, Frag., 509.

589 იქვე, 510. Frag., 510.

590 იქვე, Frag., 511-513.

591 სტ. ორბელიანი იხსენიებს მხოლოდ მიჯნაკერტის დაპყრობას (ისტორია 287), იქმნება იქ შეცდომაა და უნდა მანაზკერტი წერებულიყო?

და უბოძა ... ამირთ-ამირობა». ივანე ახალციხელი მხნედ შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას და თანაც «წაუღო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი» და საქართველოს შემოუერთა. ამ გამარჯვების საცნობელად მონაპირემა და ამირთა ამირამ «წარმო[უ]გზავნა მახარობელი მეფეს», რომელმაც ახლადდაპყრობილი ქვეყნებიც მას უწყალობა საგამგეოდ (ის´ტრნი და აზ´მნი,●699, გვ. 495—496).

კარის გარემოცვის ამბავი უფრო ვრცლად **იბნ ალ-ასირსა** აქვს მოთხრობილი. იგი ამტკიცებს, რომ ქართველებს ქ. კარი დიდის ხნის განმავლობაში ჰქონდათ გარემოცული ისე, რომ რამდენსამე წელიწადს მცხოვრებნი ძალზე შეავიწროვეს და იმ ქვეყნის შემოსავალი მოუჭრეს. რაკი კარი ხლათის მმართველს ეკუთვნოდა, კარელი ამირა ემუდარებოდა მას მოჰშველებოდა ხლათითგან და ქართველთა გარემოცვითგან ეხსნა, მაგრამ ამაოდ, ამიტომ უკიდურესად გაჭირვებულმა კარის ამირამ ქართველებს ზავი სთხოვა და ციხექალაქი ქართველებს გადასცა, რისთვისაც საკმაო ფული მიუღია. იბნ ალასირის სიტყვით ეს მომხდარა 603 წ. ჰიჯრ. ანუ 1206—7 წელს[592]. **ვარდანიც** კარის აღების თარიღად 1206 წ. სდებს[593].

როდესაც რუმის სულტანმა რუქნადდინმა კარისა და მისი სანახების აღების ამბავი შეიტყო, მან ეს იწყინა, «მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპისა მისსა და შეკრბა კაცი ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი» და თამარ მეფეს საგანგებო მოციქულის ხელით უკმეხად შედგენილი წერილი გამოუგზავნა (ის´ტ´რნი და აზ´მნი, ●699—●700, გვ.496—497),— წერილში სხვათაშორის ნათქვამი იყო: «შენ გიბრძანებია ქართველთა-თჳს აღებად ჴრმალი მუსულმანთა ჴოცად»; ამიტომ «აწ მე წარმომივლენია ყოველი მჴედრობა ჩემი [და] აღვჴოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქუეყანისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა-მომეგებოს, თაყუანისცეს ჩათრსა ჩემსა... ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მაჰმადი აღიაროს»-ო (იქვე,●700, გვ.498). ამ სიბრიყვითა და თავხედობით აღსავსე წერილით რუქნადინის მოციქული საქართველოში მოვიდა და «შეიყუანეს თამარს წინაშე»; მიართვა გამოტანებული წერილი და სიტყვიერადაც «იწყო არა-საკადრებელთა სიტყუათა თქუმა», ბატონსავით უზრდელმა და ბრიყვმა მოციქულმა წამოიძახა: «უკუეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა». ამგვარი შემაძრწუნებელი კადნიერებისათვის ზაქარია ამირსპასალარმა მოციქულს «უხეთქა ჴელითა პირსა» ისე ძლიერად, რომ მოციქული «ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა». წაქცეული წამოაყენეს და გონზე მოსულს ამირსპასალარმა გამოუცხადა: »თუ მოციქული არა იყავ. პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმე-ღა თავისა»-ო (იქვე,●700—●701. გვ. 499—500). ამ უკმეხ წერილზე თამარ მეფემ მოციქულს სიტყვიერად უპასუხა: «ჩუენ მზა ვართ წყობად და წინა-მოგებებად. სამართალი ღმრთისა იყავნ!» (იქვე,●701, გვ. 500) და წერილითაც შეუთვალა რუქნადდინს:» ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯვარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი... რუქნადინო და ვცან სიცრუვენი შენნი, რამეთუ ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე! აწ წარმომივლენია ყოველი [მ]ჴ[ე]დ[რ]ობა ჩემი წინა-მოგებებად შენდა»!-ო (იქვე,●700, გვ. 498—499). როდესაც თამარ მეფის წერილი მზად

[592] **დეფრემერი**. Frag., 515—516.

[593] **ვარდანი,** ისტორია, 181.

იყო, ბრიყვი მოციქული მაინც «შემოსეს და ნიჭი უბოძეს [და] წარგზავნეს პასუხითა მწვავითა» (იქვე,●701, გვ. 500).

იმავე დროს მთელ საქართველოს სამეფოთაგან «ნიკოფსით დარუბანდამდის» საჩქაროდ ჯარი შეჰყარეს და ჯავახეთში შეკრიბეს. თვით თამარ მეფე მივიდა ვარძიას და «ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი და დროშა» სამეფო (იქვე). ვარძიითგან საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ბასიანს გაემგზავრა მტრისაკენ, თუმცა «მანდატურთ-უხუცესი იყო ჭიაბერი», მაგრამ რაკი ძნელი და ფიცხელი ომი იყო მოსალოდნელი, ამიტომ ისიც წავიდა საომრად. საქართველოს ლაშქრის «წინა-მებრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე» (იქვე●701, გვ. 500—501). თამარ მეფე ოძრჯეს წარბძანდა და დაუცხრომელ ლოცვა-კურთხევაში იყო თითონაც და ”ყოველგან საყდართა; მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა» (იქვე,●701—●702, გვ. 501—502). მეფე დავითს ისეთი საომარი გეგმა ჰქონდა განზრახული, რომ მტერს თავის ბანაკშივე თავს დასხმოდა: »უნდოდა რამეთუ ზედა-მიჰმართა სადა დაბანაკებულ იყო ბასიანისსა ადგილსა ბოლოსტიკედ წოდებულისა». ამიტომ ქართველები «ეახლნეს ბანაკსა სულტანისასა». ქართველმა მზვერავებმა დაინახეს, რომ მტრის აუარებელი ჯარი მრავალის კარვებითა, ცხენებითა, ჯორებითა და აქლემებით უდარდელად, «წყნარად და უკადრად მდგომარე იყო». მტერი ქართველებზე მეტი აღმოჩნდა, »უმეტეს ქართუელთასა» იყვნენ. რუქნადდინი ისე იყო გათამამებული, რომ «დარაჯნი არა უდგეს სულტანსა». ამ ცნობების მიღების შემდგომ ქართველებმა დააწყეს რაზმები და მტრისაკენ გაემართნენ, ჯერ წინამებრძოლად მყოფნი ამირსპასალარი ზაქარია მჯარგრძელი, ახალციხელნი შალვა და ივანე და თორელნი დაიძრნენ. მთავარი ჯარი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: »ერთ-კერძო აფხაზნი და იმერელნი» იყვნენ, «ერთკერძო ამერელნი». ქართველები ჩუმად, «წყნარად ვიდოდეს». ქართველი მხედრობის მოულოდნელმა მოსვლამ მტერი შეაკრთო. საჩქაროდ უკან დაიხია და შეიარაღდა. როდესაც «ეახლნეს წინა-მებრძოლნი ორთავე» მოპირდაპირე ჯარისა, დაიწყო «ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძველ ოდესმე ქმნილა... ეგევითარი ომი» (იქვე,●702, გვ. 502). ორთავე მხრით მრავალი მეომარი დაიხოცა. ქართველთა მხედრობა დიდ განსაცდელში ჩავარდა ისე, რომ «**კნინღა სივლტოლად მოიდრიკნეს**» (იქვე, ●703, გვ. 503). ბრძოლის დროს მსახურთ-უხუცესს ივანეს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანეს ახალციხელთ, თაყაიადინ თმოგველს და მრავალ სხვა მხედართ-მთავრებს ცხენები მოუკლეს და «ქუეითად დარჩეს რაზმსა შინა». ამის გამო დანარჩენნი მეომრებიც იმ რაზმში «ჩამოჯდეს ცხენისა-გან და ქვეითად» იბრძოდნენ. სხვა ცხენოსანი რაზმები ქართველებმა ქვეითა რაზმებს მოაშორეს, «რათა არა ცხენითა მათითა დაითრგუნნა ქუეითნი ქართუელნი». ქართველთა ცხენოსანმა ლაშქარმა ორ ნაწილად გაყოფილმა მეფე დავითისა და ზაქარია ამირსპასალარის მეთაურობით მტერს სხვა ადგილას შეუტია (იქვე,●708, გვ.503). ამ ახალმა შეტევამ მტერი შეაშინა და «პირველსავე მოკიდებასა და ხეთქებასა ჯმალთასა» შედრკა და გაიქცა; «ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა ლტოლვილი» (იქვე,●703—●704, გვ. 503—504).

როდესაც რუქნადდინის უზარმაზარი ლაშქარი გაიქცა, მაშინ ქართველთა დაქვეითებული რაზმებიც ამხედრდნენ, »აღსხდეს ჰუნეთა და ვიდრე ღამემდე დევნა უყუეს და ჴოცეს». მტრის მლტოლვარე ჯარში ისეთი ვიწროობა იყო და ისეთი უწესობა სუფევდა, რომ «ურთიერთას დასთრგუნვიდეს» (იქვე,●704. გვ. 504). ძლევამოსილს საქართველოს სამეფოს ლაშქარს დიდძალი ოქროვერცხლი, ჭურჭელი, სახედარი, საქონელი, კარვები და მრავალი სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილები და

შესამოსელი ერგო დავლად (იქვე,●704—●706. გვ. 504—505). რაკი ქართველები მტერს სწრაფად და მოულოდნელად დაეცნენ, ამიტომ მტერთან შედარებით ქართველებს ნაკლები ზარალი მოსვლიათ და მხედართ-მთავართაგან ისტორიკოსის სიტყვით «არცა ერთი ვარგი მეფისაგან შესწავლილი კაცი მოკუდა» (იქვე,●704, გვ. 504).

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა ამ სახელოვანი ომისა და რუქნადდინის დამარცხების შესახებ მთლადა მტკიცდება სპარსელ ისტორიკოსთა ცნობებით. **ჰამდალლაჰ ყაზვინი**, მაგ., ამბობს: რუქნადდინი «გაემგზავრა აფხაზთა და საქართველოს (გურჯისტან) წინააღმდეგ, მაგრამ, რაკი იგი ფრთხილად არ მოიქცა, დამარცხებულ იქმნა, რუმში (თავის სამფლობელოში) დაბრუნდა და უნდოდა (ქართველებისათვის) შური ეგო, მაგრამ არ დასცალდა» და 602 წ. ჰიჯრ. (18 აგვისტ. 1205 წ. აგვ.1206 წ. ქ. შ.). გარდაიცვალაო[594].

უფრო ვრცელი ცნობებით **ჰაუცმას**[595] მიერ შეგროვილს წყაროებში. რუქნადდინს თურმე მეშველად ჰყოლია მუიზ-ადდინი აბულისტანელი, სულტნის სიძე ფახრადდინ ბაჰრამ-შაჰ ერზინჯანის მფლობელი: არზრუმის მფლობელ ალა ადდინისათვისაც უთხოვნია დახმარება, მაგრამ ის არ მიჰშველებია. პირველ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მეორეში კი საბოლოოდ რუქნადდინი დამარცხდა. დროშა მიწაზე დაეცა. ფახრადდინი ქართველებმა ტყვედ წაიყვანესო. რუქნადდინი ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ გარდაიცვალაო. **მირხონდს** ამ ომის ამბავი ჰამდალლაჰ ყაზვინისავით აქვს მოთხრობილი[596].

ამგვარად ირკვევა, რომ რუქნადდინი მარტო კი არა ყოფილა, არამედ მას მოკავშირეთა ჯარიც ჰყოლია. ამიტომაც იყო, რომ რუქნადდინის ლაშქრაში 400.000 მეომარი ყოფილა. ყურადღების ღირსია, რომ როგორც ზემოაღნიშნული მაჰმადიანი მემატიანე რუქნადდინის მეშველად და მოკავშირედ ერზინჯანის მფლობელს ასახელებს, ისე ლაშა-გიორგის დროინდელ ქართველ მემატიანესაც აღნიშნული აქვს, რომ ამ ბრძოლაში ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ «ე[რ]ზინკიელი» (=ერზენჯანის მმართველი) ამირაო (ანა დ᾽ფსი ქ ცა, გვ. 241, 15). იმავე ქართველს მემატიანეს ტყვედ მოხსენებული ჰყავს «სულტანნი და ამირანი ...შამელი (ასურეთის მფლობელი) და ბირიტელი»[597] (იხ.იქვე). როგორც მაჰმადიანთ მემატიანე ამბობს, რომ პირველად ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენო, თამარ მეფის ისტორიკოსიც არა მალავს და არ უარჰყოფს, რომ ქართველები ისეთს გასაჭირში იყვნენ, «კნინღა სივლტოლად მოიდრიკნესო»[598]; მაგრამ ქართველთა საბოლოო ბრწყინვალე გამარჰვებას მაჰმადიანთა ისტორიკოსებიც ადასტურებენ. ყურადღების ღირსია, რომ **ჰამდალლაჰ ყაზვინისა და მირხონდის** სიტყვით რუქნადდინის დამარცხების მიზეზად მისი გაუფრთხილებლობა და დაუდევრობა ყოფილა და ქართველი ისტორიკოსიც ხომ ამბობს, რომ უდარდელს სულტანს «დარაჯანი არა უდგეს»-ო. ამიტომაც იყო, რომ ქართველებს მოულოდნელად შეეძლოთ მტერს თავს დასხმოდნენ.

საგულისხმიეროა, რომ ზემოაღნიშნული მაჰმადიანთა მემატიანე ამბობს, მეორე ბრძოლის დროს მაჰმადიანთ შეერთებული ლაშქრის დროშა მიწაზე დაეცაო, და ქართველი ერთი მემატიანეც პირდაპირ ამბობს: როდესაც მშვიდობა დაბრუნდა

---

[594] **ჟ. განტენის** გამ. Tarikhe Gozide, წ., I, გვ. 344—345.

[595] თუ არა ვცდები; სამწუხაროდ, ეს წიგნი ეხლა ხელთ არა მაქვს და ამიტომ უფრო ზედმიწევნით აღნიშვნა არ შეიძლება . Th. Hauthma, Recueil de textes relatife a j' histoire des Seldjoucides.

[596] **დეფრემერი** Frag., 495. შენ.1.

[597] ხელთნაწერში შეცდომით სწერია «შამბელი და ბივრტელი». ბივრიტელი იქ=ბურიდს?

[598] ეს გარემოებაც საუცხოვოდ ამტკიცებს თამარ მეფის ისტორიკოსის მაღალ ღირსებას.

«შეიღეს დროშა რუქნადდინისა»[599] და თამარ მეფეს მიართვესო, ხოლო ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანეც ქართველთა სამხედრო დავლაში «დროშათა სასულტანოთა»-ც იხსენიებს (იხ. ანა დ´ფსი ქ´ცა, გვ. 241,17). მაშასადამე, ქართველებს ის დროშა მტრისათვის წაურთმევიათ.

როგორც ჰამდალლაჰ ყაზვინის სიტყვებითგანა ჩანს, რუქნადდინის უზარმაზარი ლაშქარი 1205—1206 წ. დაუმარცხებიათ. ხოლო რაკი ქართველი ისტორიკოსისა და იბნ ალასირის, მოწმობით ეს ბრძოლა კარის აღებისა და დაპყრობის შემდგომ მომხდარა, ამიტომ უეჭველი ხდება, რომ რუქნადდინთან ომი ქართველებს 1206 წ. უნდა ჰქონოდათ. თუმცა ლაშა-გიორგის დროინდელს ქართველს მემატიანეს ნათქვამი აქვს: «მოვიდა რუქ[ნ]ადინი[600]... (ქართველებმა) გააქციეს, ჴოცეს და ამოსწყუიდეს... ქრონიკონი იყო [ოთხ]ას ოცდა თხუთმეტი»-ო (ანა დ´ფსი ქ´ცა, გვ. 241, 19), მაგრამ 435 ქ´კნი უდრის 1215 წ., რაც შეუწყნარებელია, ამიტომ უეჭველია ქა გადამწერს შეცდომა მოსვლია; დედანში ეწერებოდა «უკვ» **(სომხური)** ანუ 426 ქ´კნი, რაც 1206 წ. უდრის. რაკი «ე» და «ვ» ქართულში ერთიერთმანეთს ძალიან წააგავს, ამიტომ ძველ ქართულს მწერლობაში ხშირად მომხდარა, რომ გადამწერებს ერთიერთმანეთის მაგიერ დაეწეროთ.

რუქნადდინ სულტანის საქართველოში შემოსევის ამბავი თამარ მეფის დროს მოკლედ აღწერილია ამირა **ნასირ ედდინ ჲაჰჲას** მიერ ნაშრომს «სელჯუყ-ნამე»-ში, რომლის ნაწყვეტი Ch. Schefer-მა გამოაქვეყნა. ამ ავტორის სიტყვით რუქნადდინი საქართველოში შესევას დიდი ხანია აპირებდა და სულტნად გახდა და მისი აზრით მარჯვე შემთხვევამ თავისი გეგმის განხორციელების საშუალება მისცა. მაშინვე მეზობელ მფლობელებსა და თავის ძმებს შიკრიკები მიუგზავნა საქართელოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. ყველაზე უწინარეს აბულუსტანის მბრძანებელი მუღის ედდინ ტოღრულ შაჰი მიემხრო. მის მაგალითს მელიქ ფახრედდინ ბაჰრამ შაჰმაც მიჰბაძა. პირობისამებრ მოკავშირეთა ჯარებმა ყოველ მხრითგან ერზინჯანში მოიყარეს თავი. არზრუმის მბრძანებელმა ალა ედდინ სალიყი-მ სხვადასხვა მიზეზის მომიზეზებით ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება არ მოისურვა. ამით განრისხებულმა რუქნადდინმა ის გადააყენა და მის მაგიერ მუღის ედდინ ტოღრულ შაჰი დასვა. «მთასავით მაღალ» საომარ ცხენზე შემჯდარი რუქნადდინი მოკავშირეთა «ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვან» ლაშქარს გაუძღვა წინ და საქართველოს (ტექსტში «აბხაზთა ქვეყანას») შეესია.

მომხდარ ბრძოლაში მოპირდაპირენი ისეთი გაშმაგებით იბრძოდენ, რომ ყოველგან დახოცილთა გორები იდგა. საგონებელი იყო, რომ მაჰმადიანებს დიდი გამარჯვება უნდა რგებოდათო. მაგრამ სულტანის საჩრდილობელის მჭირავი მსახურის ცხენს ფეხი ერთი (Gerboise) ცხოველის სოროში ჩაუვარდა, მხედარი ჩამოვარდა და საჩრდილობელიც მიწაზე დაეცა. მაჰმადიან ჯარისკაცებს ეგონათ, რომ თვით სულტანს მტრისაგან უბედურება შეემთხვევა და მაშინვე შეშინებულნი გაიქცნენ ბრძოლის ველითგან. საქმე უკუღმა მოტრიალდა და ამირები ტყვედ იქცნენ. მელიქ ფახრ ედდინ ცხენთაგან ჩამოგდებული თავის მონასპათა ერთი მწყობრითურთ დატყვევებულ იქმნა. რუქნადდინმა და მუღისედდინმა მოლაშქრეთა ერთი წილითურთ არზრუმში გაქცევა მოახერხეს. ცოტა დასვენებისა და ჭრილობათა მოვლის შემდგომ, რუმის გზით იკონიაში გაემგზავრა. ის საქართველოში მეორე

[599] შევსებული ქ´ცა, მ´მ დ´ფსი ქ´ცა, გვ. 505, შენ. 4.
[600] ხელნაწერში სწერია მუქადინი (**სომხური).**

ლაშქრობის მოწყობას ოცნებობდა, რომ ავად გახდა და 601 წელს (1204 წ. ჩვ. წ. აღ-ით) გარადიცვალაო[601].

რუქნადდინისა და მის მოკავშირეთა დამარცხებას შანქორის გამარჯვებასავით ქართველთა სახელისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მტერი თითონ აპირებდა იერიშის მოტანას, თითონ იყო აზვავებული და სრულის გამარჯვების მოიმედემ ქართველთა მეფეთ-მეფისა და ერის შეურაცხყოფაც-კი გაბედა. მაჰმადიანთა შეერთებულს მრავალრიცხოვანს ლაშქარს საქართველოს მხედრობამ ისე სძლია, რომ თვით ზოგიერთი მოკავშირენი ტყვედ ჩაუვარდა ხელში და სამხედრო დროშა წაართვა. ამ ომმაც ქართველთა ძლევამოსილების განთქმულს სახელს კვლავ უძლევლობის შარავანდედი მოჰფინა. **ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამხრეთის საზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით, არც დასავლეთით საშიშარი მეტოქე აღარა ჰყავდა.**

რუქნადდინის დამარცხების შემდგომ მალე მიიცვალა მეფე დავით სოსლანიც, «კაცი აღსავსე ყოვლითა კეთილითა საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშვენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მჴნე... უჴვი და მდაბალი [და სხვითა ყოვლითა] სიკეთე-აღმატებული» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●706, გვ. 509—510). რაკი ისტორიკოსი რუქნადდინზე გამარჯვების აღწერილობას ზედ-ურთავს წინადადებას: »ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება»-ო (იქვე, ●706, გვ. 509) და ამ სიტყვებს პირდაპირ დავით სოსლანის სიკვდილის ამბავი მიჰყვება,—აქეთგანა ჩანს, რომ დავით მეფეს ამ გამარჯვების შემდგომ დიდ ხანს აღარ უცოცხლია. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი 1207 წ. უნდა გადაცვლილიყო.

დავით სოსლანის სიკვდილის თარიღი ცხადად არსად არის აღნიშნული, მაგრამ სხვადასხვა წყაროში მოიპოვება ერთი ქრონოლოგიური ცნობა, რომელიც უეჭველია დავით სოსლანის სიკვდილს უნდა ეხებოდეს. ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს «თამარის ქმარი დავით»-ის სათაურის ქვეშე ნათქვამი აქვს: »**მეფობასა შინა დაჰყო ოცდა-სამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა... თუესა იანვარსა თორმეტსა დღესა ოთხშაბათსა აგარათა სომხითისათა ქრონიკონსა ოთხას[602] ოცდა-შუიდსა»** (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 242). ქრონიკონი 1207 წ. უდრის. მაგრამ ვის ეხება ეს ცნობა? იგი მოყვანილია ისეთ სათაურს ქვეშე, რომ დავით სოსლანს უნდა ეხებოდეს; მაგრამ იმავე დროს გარდაცვალებულის შესახებ ნათქვამია, მეფობდა 23 წელიწადსაო. როგორც ვიცით, დავით სოსლანი თამარმა შეირთო 1189 წელს. ხოლო თუ ამ თარიღს 23 წელიწადი მივუმატეთ, მაშინ გამოვა 1212 წ., რაც ძალიან შორს არის ზემოდასახელებულ ქრონიკონსა და 1207 წელიწადზე. მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ, რომ აქ ნაგულისხმევია დავით სოსლანის მეფობის წლები კი არა, არამედ მემატიანეს უნდოდა ეთქვა თამარის მეფობის 23 წელიწადს მოხდა ეს ამბავიო და ამისდა გვარად 1184 წ. 23 წელიწადი მივუმატეთ, მაშინ ქრონიკონისდა თანახმად მართლაც 1207 წ. გამოვა, ეს-კია, რომ მემატიანის სიტყვების ამგვარად ახსნა ნაძალადევი იქმნებოდა და შეუსაბამოც. ამასთანავე, თუ ეს ცნობა დავით სოსლანის სიკვდილს შეეხება, მაშინ ისე გამოდის, რომ ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი სრულებით არ აღუნიშნავს, დავით სოსლანისა, ლაშა-გიორგისა, გიორგი III და დემეტრე I კი ვრცლად არის მოყვანილი. ეს ყოვლად

---

[601] **Charles Schefer, Quelques chapitres de L' abrege du Seldjoug Nameh. Compose par L' emir Nassir eddin Yahia: Recueil de texts et de traduetions publie par les professeurs de L'ecole des Langues orientales vivantes a L' occasion du VIII –e Congres international des orienalistes tenu a Stokholm en 1889, Paris MDCCCIX, tome premier,** სპარს. ტექსტი გვ. 79—81, ფრანგული თარგმანი გვ. 38—42.

[602] დედანში შეცდომით სწერია «რვაას», ესე იგი გადამწერს «უ»-ნი «ყ»-ად წაუკითხავს.

დაუჯერებელი რამ იქმნებოდა. ამიტომ უნებლიედ აზრი იბადება, ეს თარიღი თამარ მეფის სიკვდილს ხომ არ ეხება? მაგრამ 1207 წ. თამარის გარდაცვალების თარიღად სრულებით შეუსაბამო რამე არის და სხვა მტკიცე ისტორიულს ცნობებს (თუნდ სპარსეთში ქართველთა ძლევამოსილს ლაშქრობას) ეწინააღმდეგება. ამისდა მიუხედავად არა ერთი და ორი წყარო არსებობს, სადაც 1207 წ. პირდაპირ თამარის გარდაცვალების თარიღად არის დასახელებული, მაგ. ერთს კჯნკლოსში ნათქვამია: »ქრონიკონსა: უკზ: (427) დასაბამით-გან: ხყია: (6811) **ამას წელსა** კარი აიღ[ეს] **და თამარ დედოფალი გარდაიცვალა. მაშინ ძე მისი ლაშა თორმეტის წლისა იყო** ლაშქრის პირველსა გალაშქრებასა»[603]. ამგვარი ცნობა სხვაც არსებობს: «ქრონიკონსა: უკვ: (426) აქა მიიცვალა თამარ და მეორესა წელსა [დაჯდა] მეფედ გიორგი»-ო[604]. გასაოცარია პირველი კჯნკლოსის ცნობა, რომ «მაშინ (ესე იგი 1207 წ.) ძე მისი ლაშა თორმეტისა წლის იყო». ყურადღების ღირსია, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც ამბობს: «ათორმეტისა წლისა [იყო] ოდეს მეფე[დ] დაჯდა» გიორგი ლაშაო (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 243, II) და, თუ 1207 წ. 12 წელიწადს გამოვაკლებთ, მართლაც 1193 წ. დაგვრჩება,— ლაშა-გიორგის დაბადების თარიღი. სრული სიმართლეა, რომ 1207 წ. ლაშა-გიორგი 12 წლის ყმაწვილი იყო. ამგვარად, ზემომოყვანილს ცნობებში რასაკვირველია ჭეშმარიტებაც მოიპოვება. მაგრამ მაინც ცხადია, რომ 1207 წ. თამარი არ გარდაცვლილა და ამის შემდგომაც რამდენსამე წელიწადს კიდევ ცოცხალი იყო. ხოლო იგივე 1207 წ. დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღად უნდა იყოს ცნობილი[605].

იბნა ალასირის სიტყვით ქართველთა მრავალრიცხოვან ჯარს 1208—1209 წ. (605 წ. ჰიჯ.), კვლავ ხლათის ქვეყანაში გაულაშქრია და ქ. არჭეში გარემოუცვია, აუღია და რაც კი რამე დახვედრია დავლად წამოუღია; ჯარმა მრავალი ტყვეც წამოასხა, ხოლო თვით ქალაქი თურმე გადასწვა. ისე რომ ეს ძველი, მდიდარი და კარგი ქალაქი გაოხრდა და გაპარტახტდაო. შაჰიარმენი ნეჯმ ადდინ აიუბ, რომელიც ხლათში იჯდა და დიდი ლაშქარიცა ჰყავდა, თავის ადგილთაგან არ დაძრულა და ქართველების წინააღმდეგ არ გამოულაშქრია, იმიტომ რომ ქართველთა მრავალრიცხოვანი მხედრობისაც ეშინოდა და თავისი ქვეშევრდომებისაც, რომელთაც მეტად ცუდად და სასტიკად ეპყრობოდა. მას ეგონა რომ თუ იგი ქ. ხლათითგან გავიდოდა, ხლათში უკან დაბრუნება აღარ ეღირსებოდა და შაჰიარმენის ტახტს დაჰკარგავდა. რაკი

---

[603] ქ᾽კბი, I, 294.

[604] საეკ. მუზეუმის 1233 წ. ეტრატის ხელნაწერი № 85, ქ᾽კბი, I, 297.

[605] თ. ჟორდანიას, რომელსაც მარტო ზემომოყვანილი კჯნკლოსისა და მინაწერის ცნობები ჰქონდა, ჰგონია «თამარის და დავითის სახელის გადარევა ამგვარად მოხდებოდა: პირველს ძველს ქრონიკაში, საიდამაც მოხსენებულს ქრონიკებს გადმოუწერია ეს ცნობა, ეწერებოდა ესრე: « აქა (1207 წელს) დავით მეფე მოკვდა და დაჯდა მეფედ გიორგი». რაკი გადამწერს ეცოდინე ბოდა, რომ გიორგი მეფობდა თამარის სიკვდილის შემდეგ, ამის გამო შეცდომად ჩასთვლიდა სიტყვას «დავით» და მის მაგიერ დასწერდა თამარ-დედოფალს» (ქ᾽კბი I, 296—297). შეიძლება ზემომოყვანილს ცნობებში შეცდომა მართლაც ასე მომხდარიყოს, მაგრამ ლაშა-გიორგის დროინდელს მემატიანესაც იგივე თარიღი აქვს და მის ცნობას მკვლევარი ასე მარტივად და ადვილად ვერ გაასწორებს, ამიტომ შესაძლებელია, რომ ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს თავდაპირველად ორი თარიღი ჰქონდა: ერთი დავით სოსლანის გარდაცვალების, მეორე თამარ-მეფის გარდაცვალების შესახებ და მერმინდელს გადამწერს შეცდომა მოუვიდა და ორი თარიღითგან ერთი წარმოსდგა და ქრონიკონი დავით სოსლანს ეხება, დანარჩენი ცნობა კი თამარ მეფეს?

ქართველებს მოწინააღმდეგე არავინ უჩანდათ, დავლითა და ტყვეებით დატვირთულნი საღად და უვნებლად შინ დაბრუნდნენ[606].

რაკი არჭეში აღებული იყო, ეხლა ხლათს მიადგნენ ქართველები. **კირაკოზ განძაკელის** სიტყვით მას შემდგომ, რაც ქართველებმა ხლათის მფლობელი შაჰიარმენ სულტანი დაამარცხეს, თვით ქ. ხლათის აღებაც მოიწადინეს; ამიტომ ჯარი შეკრიბეს და ხლათს გარშემოერტყნენ. უკვე ქალაქის აღებამდის იყო მიწურული, რომ ივანე მსახურთ-უხუცესის ცხენს ხლათის კედლების დასათვალიერებლად სეირნობის დროს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და ივანე გადმოაგდოო. ხლათელებმა ამას ციხითგან თვალი მოჰკრეს და ფითხლავ გამოცვივდნენ, დაიჭირეს და ქალაქში ტყვედ შეიყვანეს. ხლათელები ამ ამბავმა დიდად გაახარა. ივანეს შეპყრობა დიდს სულტანსაც კი აცნობს. მას, რასაკვირველია, ეს სასიამოვნოდ დარჩა და შემოუთვალა დატყვევებული მომგვარეთო. როდესაც ივანეს ძმამ, ამირსპასალარმა ზაქარიამ, ეს შეიტყო, განრისხებულმა ხლათელებს შეუთვალა: თუ თქვენ გაგიბედიათ და ჩემი ძმა ან ქალაქითგან გაგიყვანიათ, ან მისთვის რამე დაგიშავებიათ, თქვენი ქვეყნის მიწასაც კი საქართველოში წავაღებინებ და თქვენც ყველას გაგწყვიტავთო. ამ მუქარით შეშინებულმა მოქალაქეებმა დატყვევებული ივანე დამასკოსისა და ეგვიპტის სულტნებს აღარ გაუგზავნეს. მოლაპარაკების შემდგომ ხლათელებმა და ქართველებმა დაზავება ირჩიეს და ამგვარად შეთანხმდნენ: ივანე მსახურთ-უხუცესს ხლათელები განათავისუფლებდნენ, თუ რომ მის ასულს თამთას სულტანს ცოლად მისცემდნენ. ივანემ ამ პირობაზე თანხმობა გამოაცხადა და მძევლების ჩამორთმევის შემდგომ ივანე ხლათითგან განათავისუფლეს. შინ დაბრუნებულმა ივანე მჯარგრძელმა თავისი ქალი სულტანს გაუგზავნა.

ამის შემდგომ დამასკოსისა და იერუსალემის მმართველთა და ქართველებს შორის მშვიდობიანობა და სიყვარული დამკვიდრდაო[607]. ივანე მსახურთ-უხუცესის დატყვევებას და შემდეგ ტყვეობითგან დახსნას **ვარდანიც** იხსენიებს[608].

ამ ამბავის შესახებ არაბულ საისტორიო მწერლობაშიც არის ცნობები შენახული. აბულფედას სიტყვით, ეს მომხდარა 1210—1211 წ. (607 წ ჰიჯრ.) ქართველებმა ხლათისაკენ გაილაშქრეს და გარშემოერტყნენ. ხლათში მელიქ აუჰადი იჯდა. ქართველთა მხედართმთავარმა[609] ივანემ ღვინო დალია და შეზარხოშდა. შეხურებული ოცის ცხენოსნით გაემართა ხლათისაკენ. მუსულმანები ხლათითგან გამოცვივდნენ, დაატყვევეს და მელიქ აუჰადს მიჰგვარესო. ივანემ დაუბრუნა რამდენიმე ციხე, 5000 ტყვის განთავისუფლება და 100000 დინარის მიცემა აღუთქვა ფულად. ხელშეკრულობა და ზავი დასდეს 30 წლით ქართველთა და მაჰმადიანთა შორის. ივანე თავის ქალის ცოლად მიცემას შეჰპირდა მელიქ აუჰადს. ამ პირობის დადების შემდგომ იგი განთავისუფლებულ იქმნაო[610]. XIII საუკ. გეოგრაფი **ზაქარია ყაზვინი** კი ივანეს დატყვევების მიზეზად იმ სამხედრო ხერხს ასახელებს, რომელიც უხმარიათ ხლათელებს. მათ თურმე იმ მდინარეზე, რომელიც ხლათს ჩამოუდის, იდუმალ ხიდი ჩატეხეს, მაგრამ ზედ თივა მიაფარეს ისე, რომ ზიანი არაფერი არ ეტყობოდა. ცხენოსანს ივანე მსახურთ უხუცესს შეუდგამს თუ არა ფეხი ხიდზე, ჩავარდნილა და მტერს ხელთ ჩავარდნია[611]. მე მგონია ეს მოთხრობა უფრო სწორი

---

[606] **დეფრემერი,** Frag., 517—157.

[607] **კირაკოზ განძაკელის** ისტორია, 155—157.

[608] **ვარდანი,** ისტორია, 181—182.

[609] არაბი ისტორიკოსი შეცდომით მას მეფეთა სთვლის.

[610] **დეფრემერი** Frag., 520.

[611] იქვე, გვ. 521.

უნდა იყოს. როგორც აღნიშნული იყო, ეს უბედური შემთხვევა 1210—1211 წ. მომხდარა.

ქართველთა სრული ძლევამოსილობის დროს, დიდმარხვაში, როდესაც თამარ მეფე გეგუთში ბრძანდებოდა და «მჴარგრძელნი ორნივე მეფეს წინაშე იყუნეს», არდაველის (=არდებილის) სულტანმა ამით ისარგებლა «რამეთუ უწყოდა მჴარგრძელთა შინა-უმყოფლობა» და თავის სპითურთ ჩუმად საქართველოს სამეფოში შემოვიდა. ანისამდის ისე მიაღწია, რომ «გზა-გზა არავის ავნო». არდაველის სულტანი განგებ მოიქცა ასე და არც წააგო იმიტომ, რომ «უგრძნობლად მოვიდა ანისსა». ყველანი დამშვიდებულები და არხეინად იყვნენ. სწორედ «დიდისა შაბათისა მწუხრი» იყო. სულტანმა ქალაქ გარეთ დაიბანაკა. როდესაც ცისკარი მოახლოვდა და დარეკეს, «ჰკრეს ძელსა» და ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრებნი ეკლესიაში ლოცულობდნენ, გააღეს თუ არა ქალაქის კარნი, სულტანი თავის სპითურთ მსწრაფად შეესია ქალაქს და ხალხის ჟლეტა დაიწყო, 12000 კაცი მარტო «ეკლესიათა შინა ვითარ ცხვარი დაკლეს» იმას გარდა, რაც «უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა». ანელთაგან მხოლოდ ის გადარჩა, რომელიც «შეივლტოდა დარბაზოანთა და მუნ გამაგრდა», ან «ქუაბოანსა» და ციხეში შეეფარა. ასე «მძვინვარედ მოაოჴრეს» ანისი (ისტ᾽ორნი და აზ᾽მნი, ●707—●708, გვ. 510—511). ქალაქის აკლების შემდგომ არდაველის სულტანი უკან გაბრუნდა.

ანისის აოხრების ამბავი «გეგუთს ახალ კჳრიაკეს აცნობეს ამირსპასალარსა ზაქარიას და მსახურთ-უხუცესსა ივანეს». ამ გარემოებამ ყველანი დიდად შეაძრწუნა. «მეფე და ყოველნი სპანი მისნი, მწუხარებითა და გულისწყრომითა მიერ მოცულ[ნ]ი, სპარსთა მიმართ ბრძოლისა ყოფად აღემზადნეს», მჴარგრძელთ მოაჴსენეს თამარ მეფეს: »შური ვაგოთ[და] ნ[ა]ცვლისა ქმნად განვემზადნეთ»-ო (იქვე,●708, გვ. 511—512). სამხედრო მოქმედების გეგმა ამასთანავე ამგვარად იყო განზრახული: მეფეს უნდა საიდუმლო ბრძანება გაეცა, რომ საქართველოს ლაშქარი «მზა» ყოფილიყო «არდაველის სულტანსა ზედა», ხოლო მჴარგრძელნი «მცირეთა ლაშქრითა» ანისს წავიდოდნენ და იქ მზადებაში იქმნებოდნენ. დიდი ჯარის ეხლავე წაყვანა იმიტომ არ უნდოდათ, რომ თუ «დიდნი წავალთ, სცნობენ და სიმაგრეთა შევლენ»-ო. საერთო სამხედრო მოქმედება მაჰმადიანთა მარხვას რამაზანში უნდა დაეწყოთ ქართველებს. მჴარგრძელთა ეს სამხედრო გეგმა «სთნდა მეფესა», ამიტომ «უბრძანა მეფემან, რათა მზა იყუნეს სპანი მისნი», მჴარგრძელნი ანისში წავიდნენ და «იწყეს კაზმად». როდესაც «მოეახლა... სჯულისა მათისა მარხვა რამაზან», ამერეთის თითქმის მთელი მხედრობა გაემგზავრა ქართველებს გარდა, «ქართველნი არა წარიტანეს» იმიტომ, «რათა არა აგრძნან არდაველს მყოფთა». ქართლელები რომ დაეძრათ, მათი მოძრაობა მტერს ვეღარ გამოეპარებოდა და ციხეებში შეიხიზნებოდა.

როდესაც ომში მიმავალმა ქართველთა ჯარმა თავი მოიყარა, საჩქაროდ «წარემართნეს არდაველს, გარდავლეს გელაქუნი და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ჴკუაფრიდი ჴკიდსა და მიმართეს არდაველს». ქართველები ისეთ დროს მივიდნენ, როდესაც მაჰმადიანთა უმთავრესი დღესასწაული «აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი» და, როგორც არდაველის სულტანი არ მოიქცა ანისში, ისე ქართველები «მას ღამესა მოადგეს არდაველს და ვითარ ჴმა ყო ქადაგმან... და გახშირდა მუყრთა ყივილი, ყოველგნით ცხენი შემოუტიეს მჴარგრძელთა, შეუჴდეს და უომრად ჴელთ-იგდეს ქალაქი, თჳთ სულტანი, ცოლი და შვილი მისი და ყოველი სიმდიდრე სულტნისა» (იქვე, ●709, გვ. 512—513). თვით არდაველითგანაც, «ეგოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა»-განაც, ქართველთა ლაშქარს დიდძალი თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი და სხვაგვარი განძეულობა ერგო დავლად (იქვე, ●709—

●710, გვ. 513—514). «ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუედ ჰყუეს და წამოასხეს, ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიზგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყუეს ანის[ის]ა ეკლესიათა შინა, სხუა უმრავლესი ერი მოსწყვიტეს და სხვა ტყუე ჰყუეს» (იქვე, ●710, გვ. 514). ასე იძიეს შური ანისში ჩადენილი სიმხეცისათვის და საქართველოში დაბრუნდნენ.

სპარსეთში ლაშქრობამ ამირსპასალარს ზაქარიას, მსახურთ-უხუცესს ივანეს და სხვა სარდლებს სპარსეთის ნამდვილი ვითარება დაანახვა, მისი უძლურება და დაქსაქსულობა. ამიტომ «მოვიდეს მჯარგრძელნი ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი მეფეს წინაშე და მოაჴსენეს»: შენ ძლიერი სახელმწიფოს და ქველი მხედრობის მბრძანებელი ხარ, «მრავალნი ახოვანნი, მჴნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმჴნე სპათა შენთა, არამედ აღვამხედროთ ერაყს [და] რომგურსა ზედა რომელ არს ხორასანი და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთით ძალი და სიმჴნე ჩუენი: აწ უბრძანე სპათა საქართველოსათა მზა იყუნენ ლაშქრობად ხვარასანს. დაღაცათუ არავინ ქართუელთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს, არამედ ბრძანე რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნეს და მზა იყუნეს» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, ●711, გვ. 515—516). თამარ მეფემ ვაზირების მოხსენება და მეტად გაბედული წინადადება უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას გადასცა განსახილველად. ამიტომ მან «მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა იმერთა და ამიერთა [და] აუწყა თქმული მათი». ბჭობის შემდგომ "სთნდა ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა". რაკი საქართველოს უმაღლესმა დაწესებულებამ მჯარგრძელთა სამხედრო გეგმა მოიწონა, ყველანი მზადებას შეუდგნენ.

შემოდგომა იყო, «მოიწია არე სთვლისა», როდესაც სალაშქროდ მოკაზმულნი ქართველთა მეომარნი «მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე». თამარმა, როგორც წესია, გაშინჯა, «განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათი» (იქვე, ●711, გვ. 516). რაკი ჯარი საუცხოოდ გამოწყობილი და შეიარაღებული აღმოჩნდა, თამარ მეფემ «მოიღო დროშა სვიანად ჴმარებული გორგასლიანი და დავითიანი» და ეს სახელმწიფო დროშა ვარძიის ღ᾽თის მშობელს შეავედრა, ომში მიმავალი «ლაშქარი დალოცა», ძლევამოსილობა უსურვა, ხოლო შემდეგ «მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა» და საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობაც გაემგზავრა სპარსეთისაკენ (იქვე, ●712, გვ. 516). ჯერ «ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯუღასა და რაჴსსა და შევლეს ვიწრო იგი ჴევი დარადუზისა და აღვიდეს მარანდსა». მარანდელებმა ქართველთა ჯარის მოახლოვების ამბავი შეიტყეს თუ არა კლდეებში მიიმალნენ. რაკი ქართველებს მარანდს არავინ დახვდათ, იფიქრეს მარანდის მთაში იდგება მტრის ჯარიო. ამიტომ «დაარჩიეს ხუთასი მჴედარი რჩეული დიდებული და აზნაური, უჩინეს მჴედართმთავრად თაყაიადინ თმოგველი» და წინამებრძოლად გაგზავნეს, ხოლო თითონ უკან მიჰყვნენ. ზაქარია ამირსპასალარმა წინამებრძოლთა მჴედართ-მთავარს უბრძანა, რომ მან «არავის ბრძოლის მიღმართ, სანამდის არა მივიდეს იგი და სრულიად ლაშქარი მთასა მას ზედა; თუ დიდი ლაშქარი ნახონ» მას აცნობოს «და რაცა (მან) რქუას, ყოს» და აასრულოს. წინამებრძოლთა რაზმი წავიდა და მარანდის აღმართი ავლო, ავიდა ვაკეზე, რომელიც იყო «თავსა მარანდისასა» და როგორც ამირსპასალარისაგან ნაბრძანები ჰქონდა, აქ შედგა (იქვე, ●712, გვ. 517). მაღალ კლდეებში შეხიზნულ მარანდელებს არ გამოჰპარვიათ, რომ ქართველებმა მცირერიცხოვანი რაზმი წინ გაგზავნეს და 500 წინამებრძოლს უეცრად თავს დაეცნენ;

ეგონათ ცოტანი არიან და ადვილად მოვსპობთ მთელ რაზმსაო. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. წინამებრძოლთ ისეთის ძლიერებით შეუტიეს მარანდელებს, რომ ყველანი გააქციეს; გაქცეულთ უკან დაედევნენ და მარანდელთა მომეტებული ნაწილი დახოცეს. ქართველთა წინამებრძოლი რაზმი მტრის უკან დევნამ ისე გაიტაცა, რომ იმ ვაკეს ძალზე მოშორდა. როდესაც ქართველთა მთელი მხედრობა მარანდის მთის თავზე ავიდა. ყველანი გაშტერებულნი იყვნენ: «იხილნეს ნაომარი ადგილი მკუდრითა კაცითა და ცხენითა სავსე და ქართუელთა კაცი არცა ერთი იპოვებოდა. ესოდენი ძლევა მოეცა ღმერთსა, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესვა». რაკი წინამებრძოლთა რაზმი არსადა ჩანდა, ამიტომ «უღონო ქმნილ და მწუხარე ზაქარია» ამირსპასალარს შავი ფიქრი აწვებოდა გულზე. მაგრამ როდესაც «დევნისაგან შემოქცეული ლაშქარი» დაბრუნდა, მაშინ ყველაფერი გამოირკვა (იქვე, ●713, გვ. 518). თუმცა ყველანი გახარებულები იყვნენ, რომ წინამებრძოლნი გამარჯვებულნი და უვნებლად ნახეს, მაგრამ ამირსპასალარი წინამებრძოლთა რაზმის მხედართ-მთავარს თაყაიდინს «აბრალობდეს», მკაცრად ამხილებდა და უჯავრდებოდა «ამბის უცნობელად შებმისა-თჳს» (იქვე, ●713, გვ. 519).

აქეთგან საქართველოს მხედრობა გაემგზავრა «ქალაქსა თავრეჟსა (=თავრიზსა) ზედა, გარდავლეს მთა დევსოფნად წოდებული». ქართველთა ლაშქრის მოახლოვების ამბავმა თავზარი დასცა თავრეჟის მცხოვრებთ. რაკი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, "ყოველნი მკუიდრნი თავრეჟისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი და მიმდგომნი თავრეჟისანი" იმ აზრს დაადგნენ, «რათა ხარკის მიცემითა [და] ძღუენისა, შევრდომისა და ზენარის თხოვნითა დაამშვიდნეს ქართუელნი თავადნი და სპანი». ამიტომ თავრეჟელებმა «წარმოავლინეს მოციქული. [ი]თხოვეს მშვიდობა [და]არა მო[ო]ჴრება ქალაქისა მათისა» თანაც მოციქულებმა «აღუთქუეს ძღუენი, ოქრო და ვეცხლი, სხუა მრავალი თვალი პატიოსანი, მარგალიტ[ნ]ი ძვირფასნი». გაკვირვებულმა ქართველთა მხედართმთავრებმა «აღუთქუეს მშვიდობა და უ[ვ]ნებელ განვლა ქუეყანისა მათისა». თავრეჟელებმა ეს აღთქმა «მო[ი]მტკიცეს ფიცისა მიერ». ამის შემდგომ უშიშრად «მოვიდნენ ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი [და] ყოველნი თავადნი თავრეჟისანი» და დიდძალი ძვირფასი ძღვენი მოართვეს ქართველებს (იქვე, ●713—●714, გვ. 519) მოიტანეს აგრეთვე სურსათიც, საზრდელი კმა-საყოფელი ლაშქართა-თჳს». ქართველმა მხედართ-მთავრებმა თავრეჟში დასტოვეს «ქალაქისა მცველნი» და თითონ ისევ სალაშქრო გზას გაუდგნენ (იქვე, ●714, გვ. 520).

თავრეჟითგან წასული საქართველოს ჯარი მიადგა მიანას (= მიანეს) ცნა მელიქმა[ნ] მ[ი]ანისამან მისვლა ქართველთა და ქმნულნი თავრეჟისა» და იმანაც გადასწყვიტა თავრეჟელთათვის მიებაძნა. ამიტომ "ითხოვა მანცა მშვიდობა და აღუთქუეს მოცემად ურიცხვი საქონელი». ამირსპასალარი, რასაკვირველია, სიამოვნებით დათანხმდა. მიანელებმა თავიანთი სიტყვა პირნათლად აასრულეს და ქართველებმა მშვიდობით მიატოვეს მიანა და ქ. ზანგანისაკენ (=ზენჯანს) გაემგზავრნენ (●714, გვ. 520). ზანგანი «მცირე ქალაქი» იყო. "ალიზის ზღუდითა განმაგრებული". ქართველთა მოახლოვება რომ შეიტყეს მცხოვრებლებმა «ქალაქი ძლიერად გაამაგრეს». ზანგანი სხვებსავით ნებაყოფლობით დამორჩილებას არ აპირებდა. ბრძოლა დაიწყო. რაკი გარემოცვა «გაგრძელდა, განყუეს (საქართველოს ჯარის) თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შეთხარონ». თითოეულს თემს თავისთვის მიჩნეული ჰქონდა შესათხრელად ადგილი. "დაიწყეს თხრად ზღუდეთა, უწინარეს მარჯუენესა მხარესა მესხთა შეჴურიტეს ზღუდე" და ქალაქში შევიდნენ და

იქ დაიწყეს ფიცხელი ომი (იქვე, ●715, გვ. 520). მესხებს, როდესაც შემოჴურიტ[ეს] «ყოველგნით». დანარჩენი ლაშქარიც მიეშველა და ქალაქი აიღეს.

ზანგანში ქართველები «დადგეს და მცირედ განისვენეს». შემდეგ ისევ აიყარნენ და ხორასნისაკენ გასწიეს. იმ დღეს «მწუხრსა მივიდეს მცირესა სოფელქალაქსა... რომელი მოაოჴრეს». როგორც ეტყობა, ჯარი ძალზე მოქანცული ყოფილა, რომ აქაც «განისვენეს». აქეთგან «ყაზმინს მიიწივნეს». ყაზმინელნი ქართველებს «ვერ წინა-აღუდგეს, მოარბიეს და აღივსნეს საქონლითა», მაგრამ მცხოვრებნი არ დაუხოციათ: «კაცთა არა ავნეს, ტყუედ წარმოიყუანდეს კაცთა» (იქვე, ●715, გვ. 521).

ყაზმინითგან საქართველოს ძლევამოსილი მხედრობა წავიდა «უშინაგანესისა რუმ-გურის მიმართ, რომელ არს «ხორასანი» და მიიწივნეს გურგანისად ქალაქად» და «მოაოჴრეს ქუეყანა» (იქვე, ●715—●716, გვ. 521—522).

რაკი დიდძალი ალაფისაგან წინსვლა განძნელდა, «ვერ-ღა ძალ-ედვა წიაღსვლად ალაფისა-გან», ქართველებმა უკან დაბრუნება ირჩიეს და «შემოიქცეს გამარჯვებულნი და ძლევაშემოსილნი» (იქვე, ●716, გვ. 522).

იმ დროს, როდესაც ქართველები ამ სიშორეზე წავიდნენ, ხორასნისაკენ იყვნენ და «ამბავი ქართუელთა უცნაურ ქმნილ იყო ყოველთა»-თვის, ჩრდილოეთს სპარსეთში ხმა გავრცელდა, ქართველებს ერთის მხრით მიადგა «თვით დიდი სულტანი», მეორე მხრით გილანელნი და «ყოველგნით გზა შეუკრეს ქართუელთა» და მთლად ამოხოცეს ისე, რომ «არცა ერთი კაცი განერა ეგოდენისა სიმრავლისაგან»-ო (იქვე, ●716, გვ. 522). მიანის მელიქსა და მიანელებს ეგონათ, რომ ეს ხმა მართალი იყო და ძალზე «განიხარნეს». თანაც ისე გათამამდნენ, რომ «ქართუელთაგან დატევებულნი მცველნი მ[ი]ანისანი დაჴოცეს და ძელსა ზედა ჩამოჴკიდეს. მცველთაგან მარტო ერთი მიიმალა და სიკვდილს გადაურჩა. მალე გამოირკვა, რომ ქართველთა გაწყვეტის ამბავი ტყუილი იყო და «მოვიდეს ქართუელნი გამარჯვებულნი მ[ი]ანს». შეშინებული «წინა-მიეგება მ[ი]ანის სულტანი» და ქართველებს კვლავ ძღვენი მიართა, «ძღვენითა ნაქმრისა მათისა დაფარვა ეგონა». მაგრამ ამირსპასალარმა ზაქარიამ «იკითხ[ნ]ა მცველნი მისგან დატევებულნი». მიანელებმა იცრუეს, თავრეჟს წავიდნენო (იქვე, ●716, გვ. 523), მაგრამ ამ დროს ერთადერთი გადარჩენილი დამალული მცველი მოვიდა და ქართველებს ყველაფერი აუწყა. როდესაც ამ კაცმა «შესწამა მელიქს პირისპირ», ისინი თავზარდაცემულნი «იდგეს უსიტყუელ». ამ ამბავმა საქართველოს ჯარის მხედართ-მთავარნი საშინლად განარისხა, «ძლიერად გამწარდეს და ბოროტად აღუჩნდა»; მაშინვე «შეიპყრეს მელიქი, თჳსნი მისნი და ყოველნი სიკუდილად დასაჯეს და მოაკუდინეს თჳთ იგი და შვილნი მისნი» და «საყივარსა, რომელსა მენარა[612] უწოდ[დ]ეს, ზედა-ჩამოჴკიდეს», თითონ ქალაქი-კი «მოაოჴრეს მოწუეს [და] ტყუე ყუეს».

რაკი ამოწყვეტილ მცველთათვის შურისძიებით გული მოიოხეს, საქართველოს ჯარები ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ, უკან დაბრუნდნენ. გზა-გზა მათ «მოეგებნეს პირველად უჟენით (=უჩენს) და მერმე თავრეჟელნი» დიდძალის ძღვენით, «გამოვლეს მშვიდობით ქალაქნი ადარბაგანისანი, გამოვლეს რაჴსა და შემოვლეს პირი ნახჭევნისა და მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე» (იქვე, ●717, გვ. 523—524).

თავის ძლევამოსილს მხედრობას თვით «მეფეთ-მეფე მმადლობელი ღმრთისა მხიარულითა პირითა გაეგება ზეიმითა და დიდებითა, იყო ჴმა ბუკთა და [დ]უმბულთა» (იქვე, ●717, გვ. 524). ისნის სასახლეში ამ გამარჯვების გამო დიდი

[612] ხელნაწერში შეცდომით «მენდრა» სწერია, მენარა=მინარეტს.

დარბაზობა გაიმართა: «დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა, შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დასდვეს მეფესა წინაშე» (იქვე, ●718, გვ. 524—525). საგანგებო ძღვენი საქართველოს მხედრობამ თამარ მეფეს სპარსეთითგანვე მიართვა: «წარმოგზავნეს თვალნი დიდფასისანი, ძვირად საპოვნელნი და საჭურჭლენი უცხონი» (იქვე, ●717, გვ. 524). ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ იმ დავლით, რომელიც ქართველთა ჯარმა თან მოიტანა. თამარ მეფემ მხედართ-მთავარნი უხვად დაასაჩუქრა და თანაც «მრავალი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი» (იქვე, ●718, გვ. 525).

ამ ლაშქრობამ სპარსეთში და მეზობლებშიც ქართველებს, რასაკვირველია, დიდი სახელი მოუხვეჭა. ქართველები თითონაც ამაყობდნენ იმიტომ, რომ აქამდისინ «ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნულიყო ლაშქრად (ხვარასნამდის) **არ[ც]ა მეფე, არ[ც]ა მთავარი და ვერავინ წინააღუდგა სპარსეთს შესულთა ვერ[ცა] ხვარასნის სულტანი, ვერ[ცა] ერაყისა და ვერ[ცა] რომელი თემი»** (იქვე, ●716, გვ. 521). ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანეც ამბობს: ქართველებმა «დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუიდეს და ერანის ქვეყანა. **ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა»-ო** (ანა დ᾽ ფსი ქ᾽ ცა, გვ. 242).

ზაქარია მჯარგრძელის მეთაურობით საქართველოს ჯარისაგან არდაველის აოხრებას სომეხთა ისტორიკოსი **ვარდანიც** ადასტურებს; იგიც ამ ლაშქრობას შურისძიებად სთვლის, მხოლოდ ანისისათვის კი არა, არამედ ნახჭავნის აოხრებისათვის. ვარდანის სიტყვით ეს ამბავი 1210 წ. მომხდარა[613]. **კირაკოზ განძაკელს** კი ნათქვამი აქვს, რომ საქართველოს მხედრობამ ჯერ ქ. მარანდი აიღო, მერე ქ. არდაველი და სწორედ ამ ლაშქრობასა სთვლის იგი ნახჭავნისათვის შურისძიებად. კირაკოზს სამწუხაროდ თარიღი აღნიშნული არა აქვს[614]. დასასრულ, საქართველოს ჯარის სპარსეთში ძლევამოსილი ლაშქრობა და ქ. არდაველის მახლობლად ქართველთა გამარჯვება მოხსენებული აქვს **იბნ-ხალიკანსაც**, რომელიც, ამ ამბავს 602—603 წ. ჰიჯრ. ანუ 1206-1207 წ. მიაწერს, მაგრამ თვით ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ მას მემატიანე იბნ-ბატიშის თხზულებითგან ჰქონია ამოღებული, რომელიც თავის მხრივ თარიღად 606 წ. ჰიჯრ. ანუ 1209—1210 წ. ქ. შ. სთვლის[615].

ვარდანს, კირაკოზს და იბნ-ხალიკანს როგორც ეტყობა ორი ლაშქრობა უნდა ჰქონდეთ ერთი-ერთმანეთში არეული: პირველი, რომელიც თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით არდაველის სულტანის დასასჯელად იყო მოწყობილი, და მეორე, რომელიც მოწყობილი იყო მაშინ, როდესაც არავინ იყო «წინააღმდგომი» და იმისთვის, «რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სიმჯნე სპათა» საქართველოსთა პირველად ლაშქრობა, როგორც განზრახულიც იყო, არდაველის აკლებითა და დასჯით დამთავრდა, მეორე ლაშქრობის დროს კი საქართველოს მხედრობამ რომ-გურამდის მიაღწია. შესაძლებელია კიდეც, რომ იბნ-ბატიშის ცნობა, რომელიც ქართველთა ლაშქრობის თარიღად 1209—1210 წ. სდებს, სწორედ ამ მეორე ლაშქრობას ეხებოდეს, ხოლო თვით იბნ-ხალიკანის თარიღი 1206—1207 წ. პირველ ლაშქრობას შეეხებოდეს. დაახლოებით ვგონებ ასეც უნდა ყოფილიყო და პირველი ლაშქრობა 1207—8 წ., ხოლო მეორე 1210 წ. უნდა მომხდარიყო.

---

[613] **ვარდანი,** ისტორია, 183.

[614] **კირაკოზ განძაკელი**, ისტორია. გვ. 175.

[615] **დეფრემერი,** Frag., 510, შენ. I.

სპარსეთითგან დაბრუნების შემდგომ ამირ-სპასალარს ზაქარიას დიდ ხანს აღარ უცოცხლია და ეს გულადი და გამბედავი მეომარი, «კაცი დიდად განდიდებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯვებული, მჯნე და ძლიერად მბრძოლი მჴედართა» გარდაცვლილა. მისმა სიკვდილმა ყველანი შეაწუხა და «იგლოვა მეფემან და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან» (ისტ´რნი და აზ´მნი, ●718, გვ. 525). **კირაკოზ განძაკელი** ამბობს, რომ ზაქარია გზაშივე გახდაო ავად, როდესაც სპარსეთითგან უკან ბრუნდებოდა მას ტანზე განუკურნებელს წყლულებს აყრიდა, ერთგან რომ მორჩებოდა, მეორეგან გამოაჩნდებოდა ხოლმე და სტანჯავდა. რამდენისამე დღის შემდგომ ამირსპასალარი გარდაიცვალაო[616]. ვარდანიც ადასტურებს, რომ ზაქარია სპარსეთითგან დაბრუნების შემდგომ მალე მოკვდა, მაგრამ მაინც კირაკოზსავით რამდენსამე დღეს კი არა სდებს, არამედ თითქმის ორს წელიწადს: ზაქარია ამირსპასალარი მისი სიტყვით 1212 წელს გარდაიცვალა[617].

სამწუხაროდ, არც სომხური წარწერები გვაძლევენ გარკვეულს ცნობას ზაქარიას სიკვდილის თარიღის შესახებ. როგორც თავის დროზე განსვენებულმა აკადემიკოსმა მ. ბროსემ აღნიშნა, წარწერებითგან ცხადადა ჩანს მხოლოდ რომ 1211 წ. ამირსპასალარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო[618]; ჰაღბატის 1211 წ. წარწერაში მაგ. ზაქარიასთვის ვისმე ნოშმადინს «მზეგრძელობა» უსურვებია[619], ხოლო ხწკონქისა და ფარპის იმავე წლის წარწერებში თვით ზაქარია არის მოქმედ პირად მოხსენებული და ნათქვამია: «მე ზაქარია ამირსპასალარმა» ეს და ეს გავაკეთეო[620].

საღმოსავანქის 1215 წ. წარწერაში კი ამირსპასალარის ზაქარიას უკვე «სახსენებელი» არის აღნიშნული[621]. მაშასადამე ამ დროს მაინც-და-მაინც იგი მკვდარი ყოფილა. მაგრამ უკვე 1213 წ. წარწერებში ზაქაია ცოცხლად არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი, როგორც ვარდანიც ამბობს, სწორედ 1212 წ. გადაცვლილიყოს. სტეფანოს ორბელიანიც ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების თარიღად 1212 წ. სთვლის[622].

თამარ მეფემ ზაქარიას მაგიერ მის ძმას მსახურთ-უხუცესს ივანეს "უბოძა ამირსპასალარობისა პატივი", ივანემ მეფესა სთხოვა მისთვის ათაბაგობა ეწყალობებინათ (ისტ´რნი და აზ´მნი, ●719, გვ. 526). ათაბაგობა წინათ «არა ყოფილიყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ჰბოძებოდა» (იქვე, ●719. გვ. 527). იმიტომ რომ «სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი» (იქვე, ●719, გვ. 526—527) ივანემ კი სთხოვა თამარ მეფეს; «განადიდე წყალობა შენი ჩემზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძოო» (იქვე ●719, გვ. 526) თამარმა თავის ერთგულს ყმას თხოვნა აუსრულა და მისცა ამირსპასალარობა და ათაბაგობა, ხოლო მის მაგიერ მსახურთ-უხუცესობა უბოძა «ვარამს ზაქარია გაგელისა ძესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯვებულსა» (იქვე, ●719, გვ. 527).

«ამათ უკუე ჟამთა» რაღაც მიზეზის გამო «იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა» და «იწყეს რბევად და ხოცად, ტყვენვად ცხადად და ღამით»

---

[616] **კირაკოზ განძაკელი,** ისტორია, 175.
[617] **ვარდანი,** ისტორია, გვ. 183.
[618] **Additins**, 275-276.
[619] **(სომხური)** ,51.
[620] იქვე, 52 i და 53 i.
[621] იქვე, 58 e.
[622] სტ. ორბელიანი, ისტორია, 292.

(ის᾽ტრნი და აზ᾽მნი ●719—●720, გვ. 527). თამარ მეფემ მათი დამორჩილება ივანე ათაბაგს მიანდო და საგანგებო ჯარი შეჰყარა: «მოუწოდა მეფემან ათაბაგსა [და] ყოველთა მთეულთა — დვალთა, ცხრაზმელთა, მოჯევეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა... და წარავლინა მათ ზედა». განდგომილთ მიუვალი ადგილები ეჭირათ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ «ივანემ გონიერად ყო», ბრძნულად მოიქცა და ჯერ უმთავრეს ქედზე ავიდა, «აღვიდა მთასა ჯადისასა და წარვლო წვერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა». აქეთგან იგი აჯანყებულებს ზევითგან დაჰყურებდა, ერთის მხრით დურძუკეთი იყო, მეორე მხრით დიდოეთი და ფხოეთი, და ამნაირად სამხედრო მოქმედება გაიადვილა. ივანე ათაბაგთან «მოვიდეს ძღუენითა მეფენი დურძუკეთი[სანი], მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა». ათაბაგის მეთაურობით ლაშქარმა დაიწყო «ზეიდაღმან ბრძოლა», რომელმაც სამს თვეს ივნისს, ივლისს და აგვისტოს გასტანა, «მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდი და ფხოი». აჯანყებულებმა «შეიწრებულთა» ზავი ითხოვეს: «მოსცეს მძევლები და აღუთქვეს მსახურება და ხარაჯა და პირი სიმტკიცისა», ზავი დადებულ იქმნა, წამოასხეს მძევლები და ლაშქარი უკან დაბრუნდა (იქვე, ●720, გვ. 527—528).

საქართველოში სრული მშვიდობიანობა სუფევდა, «სპანი მისნი განსვენებასა, ნადირობასა და ბურთაობასა» ანდომებდნენ დროს. ხოლო «წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იყუნიან, განისვენებდიან და აღივსებოდიან საბოძვრითა მეფისა»-თა (ის᾽ტრნი და აზ᾽მნი, ●721, გვ. 529). ასეთი საერთო მხიარულების დროს «მოხედა რისხვითა მოწყალემან ღმერთმან სამკვიდრებელსა თჳსსა და მიიცვალა მეფე თამარ ჴმელსა დგომასა შინა, მოიწია მწუხარება [დიდი] და მიუთხრობელი [ყოველთა] მკჳდრთა საქართველოსათა» (იქვე, ●721, გვ. 530—531).

შევსებულს ქ᾽ცა-ში ამაზე უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება[623]. თამარ მეფე დიდებულთა და წარჩინებულთა თანხლებით თურმე ნაჭარმაგევსა მდგარა, როდესაც «გამოაჩნდა სენი გამაოჴრებელი ჩუენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა». რომ არავინ შეეწუხებინა, თამარი ითმენდა სანამ სენმა არ სძლია. რა ავადმყოფობა იყო ეს სენი, აღნიშნული არ არის. მემატიანე ამბობს მხოლოდ, რომ «დედობრივმან უძლურებამან განგრძნობილთა შინა მჴედრობათა არა თავს-იდვა შეუმთხვევლად მიშვება აგებულებისა»-ო. ავადმყოფი თამარ მეფე ნაჭარმაგევითგან «წარმოიყვანეს კუბოთა[624] ტფილისს», მაგრამ «შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ და ისწრაფდეს ჩვეულებისაებრ, რათა დასოს (მაღნარს) განვიდნენ». არც ამან შეუმსუბუქა ავადმყოფობა, პირიქით «დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო» და იქითგან «წამოიყვანეს აგარათა ციხესა». რაკი ყოველი «გამომეძიებლობა მკურნალთა ჴელოვნებისა» ამაო აღმოჩნდა, მთელ საქართველოში იყო «ლიტანიობანი და ღამის-თევანი მიმდებნი»; მხურვალე გულით შესთხოვდნენ ყველანი ღვთაებას დაავადებული მეფისათვის განკურნება მიენიჭებინა, «გარნა განჩინებანი წინა-

[623] ეხლა, როდესაც ანა დ᾽ფს ქ᾽ ცა-ს ხელნაწერმა დაგვანახვა, რომ დიმიტრი I მეფობის შესახებ ცნობები ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანის თხზულებითგანა ყოფილა ამოღებული და სხვა შემთხვევებშიაც ქ᾽ცის შემავსებელი ძველის წყაროებით უსარგებლიათ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თამარ მეფის ისტორიის ბოლოც შევსებულს ქ᾽ცაში რომელისამე ძველი ქართველი მემატიანის თხზულებითგან უნდა იყოს ამოღებული.

[624] «ეს არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატრებელი» (საბა ორბელიანი).

აღუდგომელი იყო» და «მწოდებელი კართა ზედა დგა»[625]. დიდებული თამარ მეფე გარდაიცვალა.

მაგრამ როდის? მ´მ დ´ფს და თეიმურაზისეულ ქ´ცა-ში თარიღი არ არის, შევსებულს ქ´ცა-ში ნათქვამია «თთუესა იანვარსა იზ», (18), ბარათაშვილისეულში სეწრია «ქორონიკონსა ულ» (430=1210 წ. ქ. შ.), ხოლო «ქორონიკონსა უია» (411—1191 წ.) სამეგრელოს მთავრისეულსა და საეკლ. მუზ. ხელნაწერებში (მ´მ დ´ფსი ქ´ცა გვ. 532, შენ. 7). როგორც ამ მოყვანილ ცნობებითგანა ჩანს, თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ მტკიცე და ერთხმივი ცნობები არ მოგვეპოვება: ერთი წყარო თარიღად 1210 წ. სთვლის, მეორე 1191 წ., სხვა წყაროებში კიდევ 1207 წ. (იხ. ზევით, გვ. 280). სიმართლის გამორკვევა წყაროების ასეთი უთანხმოების დროს ადვილი საქმე არ არის. 1191 წ. თავისდა თავად იმდენად შეუსაბამოა, რომ ამ თარიღზე ლაპარაკიც კი არა ღირს. 1207 წ., როგორც უკვე აღნიშნული იყო (გვ. 280-281), გამოსადეგარი არ არის: თამარ მეფე არდაველისა და სპარსეთის ლაშქრობათა და ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილს შემდგომ გარდაცვლილა, მაშასადამე, არა უადრეს 1212 წლისა. ამავე მოსაზრებით შეუწყნარებელია 1210 წ. თარიღიც თამარ მეფის სიკვდილის წელიწადის დაახლოვებით გამორკვევისათვის ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალებისა და ივანეს ათაბაგად დანიშვნის შემდგომ ქართველი ისტორიკოსის სიტყვით «მეფე თამარ ზამთარს დვინს იყჳს და ზაფხულს კოლას და წელის (ცელის, თუ წედის) ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს, გეგუთს და ცხუმს»-ო (ისტ´რნი და აზ´მნი, ●719, გვ. 527); ხოლო მარტო მთეულთა აჯანყების ჩაქრობას, როგორც დავინახეთ, სრული სამი თვე ივნისი, ივლისი და აგვისტო მოანდომა ივანე ათაბაგმა.ზემომოყვანილ პირველ ცნობითგან კი ნათლადა ჩანს, რომ 1212 წ. შემდგომ გაუვლია ზამთარს და ზაფხულს, მაშასადამე, გაზაფხულსაც, ვგონებ არა ერთს; მეორე ცნობითაც ირკვევა, რომ ზაფხულს გაუვლია. ამგვარად ცხადია, რომ 1212 წ. შემდგომ თუ ორს არა, სულ ცოტა ერთს წელიწადს მაინც უნდა გაეარნა თამარ მეფის გარდაცვალებამდე; მაშასადამე, თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად უნდა 1213—1214 წ. ვცნათ. ამ თარიღს თითქოს ჰაღბატის მონასტრის 1210 წლის სომხური წარწერა ეწინააღმდეგება. რომელიც ზაქარია ამირსპასალარის სახელით ამოჭრილია «წელთა ღმრთივ-ცხებულისა მეფეთ მეფისა გიორგისა, დიდისა მეფისა თამარის ძისათა», სადაც ამირსპასალარი ამბობს შესწირა «მეფისა (და არა მეფეთა) დღეგრძელობისათვის»[626]. მაგრამ როგორც ირკვევა წარწერები ამ მხრივ მეტად სახიფათო წყაროდ უნდა ჩაითვალოს. წარწერებისათვის რომ ყური გვეგდო, მაშინ 1206 წ. უნდა ლაშა-გიორგის მეფობისა და თამარის გარდაცვალების თარიღად გვეცნა: მარმეთის 1206 წ. სომხური წარწერა ამოჭრილია «მეფობასა ლაშაჲსა» (იქვე, 47 e). როგორც ეტყობა მას შემდგომ, რაც ლაშა-გიორგი თამარის თანამოსაყდრედ გახადეს, იგი მისი დედის თამარის დროსაც მეფედ იწოდებოდა, ისე რომ ზოგჯერ წარწერებში თამარი აღარც კი მოუხსენებიათ.

შევსებულ ქ´ცისავე სიტყვით გარდაცვლილი თამარ მეფე აგარის ციხითგან «მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს და მერმე უკანასკნელ თჳთ მუნვე გელათს დაამკვიდრეს თჳსსა შინა სამარხოსა»[627]. თამარ მეფის ისტორიკოსი კი მცხეთაში დროებით დასვენებაზე არს ამბობს, არმედ ნათქვამი აქვს მარტო: «წარიყუანეს

---

[625] მ´მ დ´ფსი ქ´ ცა გვ. 503—531, შენ და ქ´ცა ზ. ჭიჭინაძის გამ, გვ. 486—487,

[626] (**სომხური)** , 50 c.

[627] მ´მ დ´ფსი ქ´ცა გვ. 533, შენ და ქ´ცა ზ. ჭიჭინაძის [ტ.I ,წ. II], გვ. 489.

სამკჳდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა»-ო (ის᾽ტრნი და აზ᾽მნი,* 722, გვ. 533).

საქართველომ დაჰკარგა დიდებული მეფე და მოამაგე. თავისი საუკეთესო მშვენება და სიამაყე. იგი თუმცა ქალი იყო და მეუღლე ჰყავდა, მაგრამ ნამდვილი ქვეყნის გამგე იყო, სახელმწიფო მართვა გამგეობაში აქტიურს მონაწილეობას იღებდა და სახელმწიფოს საჭე მტკიცედ ეპყრა ხელთ. თამარს გვერდს ედგნენ დიდებულნი, რომელთა ერთნებაობითა და თანადგომით იგი ხელმძღვანელობდა ხოლმე. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ქმარი ჰყავდა, დავით სოსლანი, ყველაფერი, რაც ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოში, მისის სახელითა კეთდებოდა ხოლმე: ჯარის შეყრა, ომისათვის მომზადება და ლაშქრობაც-კი ყოველთვის მომხდარა «ბრძანებითა თამარისთა» (ის᾽ტრნი და აზ᾽მნი, *638, გვ. 380). თამარი, მაშასადამე, ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწედ და ხელმძღვანელად უნდა ჩაითვალოს. დავით სოსლანი კი მხოლოდ ქმარი იყო მეფისა და მხოლოდ ამის გამო მეფეც.

თამარ მეფე შესანიშნავი პიროვნება ყოფილა, მაგრამ იმ მხრივ კი არა, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ ხოლმე. საქართველოს სამხედრო ძლევამოსილებამ შთამომავლობის ხსოვნაში თამარის ნამდვილი ღვაწლი და თვისებანი დაჩრდილა. მართალია, თამარის დროსაც საქართველომ ბევრი ახალი მიწები შეიძინა და შემოიერთა, დაიპრყრო სამხრეთით მდებარე ხლათის სულტნისა, რუმის სულტნისა და კარის მფლობელის ქვეყნები, თურქ-სპარსთა შეერთებული ჯარები მრავალგზის დაამარცხა, სპარსეთში რომ-გურამდის გამარჯვებით ილაშქრა, მაგრამ ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი: მუდმივმა ნაყივჩაყართა ჯარმა და საქართველოს მხედრობის გაწვრთნამ შეაძლებინეს მას და მის მხედართმთავრებს ქართველთა იარაღისათვის უძლევლობის სახელი მოეხვეჭათ.

თამარი პირადად **შესანიშნავი იყო უპირველესად ვითარცა კარგი პოლიტიკოსი.** შინაურისა[628] თუ გარეულის მტრების წინააღმდეგ იგი გასაოცარ ხასიათის სიმტკიცეს დ სიდინჯეს იჩენდა. თამარ მეფე ყოველთვის მოწინააღმდეგეთა შეთანხმებას და მშვიდობიანის მოლაპარაკებით დაყოლიებას ცდილობდა. ისტორიკოსიც ამბობს, რომ მისი პირადი ხასიათის გასაოცარი თვისება ის იყო, რომ «**კაცთა უნებლობასა შინა უნებლად და მშვიდობით დაჭირვა [და] მოწურთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონებაურჩებისა» იცოდაო** (ის᾽ტრნი და აზ᾽მნი, * 633, გვ. 413). თამარის მეფობის პირველს ხანაში რამდენიმე მეტად სახიფათო მოძრაობა და განდგომა იყო და ყოველთვის თამარმა თავისი წინდახედულობითა და ფრთხილის მოქმედებით განსაცდელს კეთილად სძლია და სქართველოში მშვიდობიანობა დაამყარა. თავისი ბრძნული განურისხველობითა და ჩაგონებით მან იმდენი შესძლო, რომ გიორგი რუსის პირველი შემოსევის უკუქცევის შემდგომ საქართელოში შინაური მყუდროება აღარ დარღვეულა და ყველანი ერთსულოვნად საქართველოს დიდებისა და ძლიერებისათვის იღვწოდნენ: ჩვეულებრივი

---

[628] **ს. კაკაბაძემ** დაუსაბუთებლად ერთი აზრი გამოსთქვა, ვითომც თამარ მეფე «სომხის დიდგვარიან არისტოკრატიის დაწინაურებით ცდილობდა ქართველ დიდებულთა დაშომმინებას და ამავე დროს თავისი ტახტის საქმის მოგებას»-ო (თამარ მეფე, 10), მაგრამ ეს სრულებით უსაფუძვლო აზრია, იმიტომ რომ მჴარგრძელნი პირველად გიორგი III დააწინაურა და არა თამარმა. ამას გარდა მჴარგრძელთა დანიშვნის დროს, რასაკვირველია, თამარი ეროვნული თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდა. ივანე მჴარგრძელმა ამასთანავე მართლმადიდებლობაც მიიღო და თვით სომხებსაც ხომ იგი ქართველთა მიერ გადაბირებულად მიაჩნდათ, თამარს რომ ქართველ-სომეხთა წინააღმდეგობით ესარგებლა, მაშინ არც თამარს, არც მჴარგრძელთ ქართველებში ეგოდენ სიყვარული მოხვეჭილი არ ექნებოდათ.

უთანხმოება მეფესა და დიდგვარიან აზნაურთა შორის თითქოს მოისპო. აკი ლაშა-გიორგის დროინდელს ქართველს მემატიანეს თამარ მეფის განსაკუთრებულ ღვაწლად აღიარებული აქვს, რომ მან «**სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველნივე შეიტკბნა და მშვიდობა ყო ყოველთა-თუის»-ო** (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 242, 18). დიდებული მეფის ფასდაუდებელი ღვაწლი ამ მხრივ და მისი ნაყოფიერი შედეგი ჩვენთვის სრულებით ცხადი გახდება, თუ მონღოლთა დროინდელ უმეფობის ხანას გავიხსენებთ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს ყველა დიდებულნი (ქართველნიც და სომეხნიც) განუხეთქლობისა და ერთობისათვის თანხმობითა და ერთსულოვნობით იღვწოდნენ. განსაკუთრებით საგულისხმიერო ის არის, რომ თამარ მეფე მშვიდობიანობას არას დროს სიმკაცრითა და მარტო ძალით არ ამყარებდა საქართველოში; იგი მეტად ლმობიერი და სათნო პიროვნება იყო, მოწყალე და განურისხებელი, ძალმომრეობისა და მიმძლავრების წინააღმდეგი. თამარ მეფის მამა გიორგი III თუ სასტიკ მმართველადა ჩანს და მის დროს შეკრებილმა სამეფოს წარმომადგენლების კრებამ ერთნებაობით მეკობრებისა და ავაზაკთათვის სასჯელად სიკვდილი დააწესა და ამ საშუალებით ბოროტმოქმედება ამოფხრა, მისი ასული თამარი «მშვიდი და მშვიდობისა მყოფელი» იყო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, * 634, გვ. 412). მას ჭირივით ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა დამასახიჩრებელი სასჯელები. ამიტომაც იყო რომ თ**ამარი «კიდემქონებელი ყოვლისა მესისხლეობისა და მბნელობლობისა და ასოთა-მიღებისა» იმდენად დიადი სულის პატრონი იყო, რომ თავისი ხანგრძლივი მეფობის დროს «არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვისადმე დაკვრად».** რაკი კანონით ყოველთვის, როდესაც დამნაშავე სიკვდილით, ან თვალდაბნელებით, ან ასოთ-ამოღებით უნდა დასჯილიყო, განაჩენის აღსრულებისათვის მეფის თანხმობა და დამტკიცება იყო საჭირო, **თამარ მეფე ამ თავის უფლებით სარგებლობდა, სასამართლოს განაჩენს «მოწყალებით» არ ამტკიცებდა და ამ გზით ყველა ამგვარი სასჯელები გააუქმა და მოსპო,** «შეწყალებულნი» დამნაშავენი კი მსუბუქად ისჯებოდნენ[629]. რასაკვირველია, ეს მის პირად ღირსებადა და ღვაწლად უნდა ჩაითვალოს.

თუმცა თამარის მეფობის დროინდელი მრავალი ლაშქრობის შემდგომ ადამიანს ცოტა არ იყოს შეიძლება ეუცხოვოს კიდეც, მაგრამ საერთაშორისო საქმეებშიაც იგი მარტო ძალითა და სამხედრო გავლენით არ მოქმედებდა, მიმძლავრების მიმდევარი არ იყო და სამართლიანობის აღსადგენად იღვწოდა ხოლმე; «წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა»-ო, ამბობს მემატიანე, «თუ რაოდენი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნსცა სამეფოჲ თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კვალად აგნა... ამისი მოწამე არს სახლი შარვაშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთა-გან უზრუნველობასა»-ო[630].

თამარ მეფე გულმოდგინე მართლმადიდებელი იყო და «ღამე᾽-ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთდრეკა და ცრემლით ვედრება» ჰყვარებია (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, * 684, გვ. 478). თვით სამეფო კარის ეკლესიაში «საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის [ვითარ] ტიბიკონი მოასწავებდა განწესება[სა] პალესტინისასა» (იქვე,* 685, გვ. 480) და თითონ ხომ ყოველთვის წირვა-

[629] იხ. ჩემი ქ᾽ლ სამართლის ისტორია, I, სასამართლოს წარმოება და მისაგებელი.

[630] ქ᾽ცა, ზ. **ჭიჭინაძის** გამ., გვ. 490.

ლოცვას ესწრებოდა, მაგრამ დარბაზის კარს მყოფიც «წირვად ვერვინ, დააკლდებოდა» (იქვე).

ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფე ამგვარი გარეგნული მორწმუნოებით არა კმაყოფილდებოდა და ქველმოქმედებას უმთავრესს ყურადღებას აქცევდა. დავით აღმეშენებელსავით ისიც ქველმოქმედებას საკუთარის შრომით შენაძენი ფულით ეწეოდა თურმე. ამასთანავე მეტად საგულისხმიეროა თამარ მეფის ფაქიზი სინიდისისა და ზნეობის დასახასიათებლად, რომ იგი «ამასცა შურებოდა, რომელ **მის დღისა საჭამადი მისი და [ა]ფას[ისდა.] რაოდენ დღივ შეჭამის, ჴელით-საქმარი მისი განყიდა და ეგოდენ ფასი გლახაკთა აჴელსაქმრა [და] მისცნა არა სამეფოთა შემოსავალთაგან»** (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, *685, გვ. 480). როგორც ეტყობა, მას უნდოდა, რომ თავის თავზეცა და ისეთ წმინდა საქმეზეც, როგორც არის ქველმოქმედება, საკუთარის შრომით შეძენილი ფული დაეხარჯა.

თამარის პირადს მიმზიდველ თვისებას ისიც შეადგენდა, რომ იგი თავისი გასაოცარი ძლიერებისა და სიმდიდრისდა მიუხედავად მეტად თავდაბალი და სათნო ადამიანი იყო. ქართველი ისტორიკოსი ამბობს: გასაოცარია, რომ თამარ მეფე «ვერ შეიტყუა საშუებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გჳრგჳნისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არც სპათა სიმრავლემან და ესოდენმან სიმხნემან», ვერაფერმა ვერ შესცვალა მისი მარტივი და მიმზიდველი ქცევა. ძლიერება და სიმდიდრე ხშირადა რყვნის ხოლმე ადამიანს, მედიდურად და გულქვადა ხდის, მაგრამ თამარ მეფე «არა მიდრიკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან»-ო (ისტ᾽ტრნი და აზ᾽მნი, * 683, გვ. 477—478).

ვინ არ იცის, რომ ბუნებამ გასაოცარის სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართული განთქმული სილამაზის საუკეთესო, სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისთვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერესს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოსში დამნაშავეთა სიკვდილად დასჯა ამოჭკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო! ამის შემდგომ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართელოში «სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს» და «ყრმანი... თამარის ქებათა მელექსეობდიან»; ხოლო უცხოეთშიც მისი სახელი განთქმული და საქებური იყო: «ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყოდიან»![631] თუ რომ რუსეთის მეფეს იოანე მრისხანესაც კიდევ ახსოვდა თამარის დიდებული მოღვაწეობა და ბრძოლის ველზე მისის მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს[632], განა გასაკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი იმდროინდელ ფრანგ და ბერძენ მეზღვაურებს შეექოთ და ერაყის მომღერლებს ედიდებინათ?...

[631] ქ᾽ცა, ზ. ჭიჭინაძის გამ.,489 მ᾽მ დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 533.
[632] მ. ბროსე, Histoire de la Georgie, I, 445. შენ. 3.

საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება ძლიერებისა და აყვავების ხანაში

მერვე თავში ჩვენს თვალწინ საქართველოს თანდათანობით პოლიტიკრი ზრდისა და ძლიერების სურათი გადაიშალა. ბაგრატ III და ბაგრატ IV დროს საქართველო თუმცა უკვე ღონიერ სამეფოდ ჩანს და მეზობლებზეც ცდილობდა თავისი პატრონობა გაევრცელებინა და ავრცელებდა კიდეც, მაგრამ მაინც საქართველო მაშინ ჯერ მთლად და საბოლოოდ გაერთიანებული არ იყო, ხოლო გიორგი II დროს მოზღვავებულმა თურქობამ სამეფო ისე დაჯაბნა, რომ ხარკიც კი აკისრებინა და საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი თითქმის მთლად თურქთა ლაშქრის სადგომად გახდა, გაოხრდა და გაპარტახდა. დავით აღმაშენებელმა ბრძნულად და შორსგამსჭვრეტელობით ხელშემწყობი პოლიტიკური პირობებითაც ისარგებლა, მუდმივი მრავალრიცხოვანი და კარგად გაწვრთნილი მხედრობის შექმნითაც, მტკიცე და გარკვეული შინაური და საგარეო პოლიტიკის საშუალებითაც არამც თუ საქართველო სელჩუკიანთა მეხარკეობას გადაარჩინა, არამედ მისი სრულიადი და მკვიდრი გაერთიანება შესძლო და ქართველთა მოსახელობის საზღვრებსაც გადასცილდა; თურქებს იგი ფეხდაფეხ მისდევდა და სომეხთა ყოფილი სამეფოს მიწებს, რომელიც მათ დაპყრობილი ჰქონდათ, თანდათან ხელითგან აცლიდა. შარვანშაჰებიცა და იმიერ-კავკასიის მთეულთა მეფენიც ყმად-ნაფიცად გაიხადა. ამგვარად, **დავით აღმაშენებელმა საქართველო იმდენად დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია, რომ თანდათან საქართველომ მცირე აზიის საერთაშორისო პოლიტიკურს ცხოვრებაში გავლენა მოიპოვა.** დავით აღმაშენებელის ღირსეულ მემკვიდრეთა მეფობაში, განსაკუთრებით III და თამარ მეფის დროს საქართველოს პოლიტიკური ზრდა, როგორც უკვე ვნახეთ, შეუჩერებლივ წინ მიდიოდა. საქართველოს ძლევამოსილების წინაშე ქედი მოიხარა არა ერთმა და ორმა მაჰმადიანმა მთავარმა, ამირამ და სულტანმა; შაჰარმენი იყო თუ რუმის სულტანი, დარუბანდის მფლობელი თუ არზრუმის მბრძანებელი,— ყველანი იძულებულნი იყვნენ საქართველოს მხედრობის უძლეველობა ეღიარებინათ. სომეხთა მეფეთა ოდინდელი სამფლობელო, რომელიც შაჰარმენებად წოდებულთ ხლათის და სხვა მაჰმადიან ამირთ-ამირაებს ეპყრათ, საქართველომ წაართვა და თავის სახელფმწიფოს შემოუერთა. მაშინ საქართველოს სახელმწიფოს უფლება უკვე იმიერ-ამიერ კავკასიას სწვდებოდა; ყივჩაყთა, ოსთა და დურძუკთა მეფენი ყმადა ჰყავდა, ხოლო შარვანშა და ათაბაგის ძე ქართველთა მეფის წყალობით ისხდნენ ტახტზე. ქართველთა განთქმულმა ლაშქრობამ დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ სპარსეთშიაც საქართველოს ღირსეული მოპირდაპირე და შემბმელი არა ჰყავდა. ერთი სიტყვით XII საუკ. საქართველომ აქტიური პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი და ამდროინდელი მცირე აზიის ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიჭირა, საერთაშორისო მნიშვნელოვან ძალად იქცა.

რამდენად საგულისხმიერო იყო ან დავით აღმაშენებელის ის დიადი დემოკრატიული ცვლილებანი, რომელნიც მან საზოგადოებრივსა და სახელმწიფო ცხოვრებაში განახორციელა, ან ის შესანიშნავი პოლიტიკური მოძრაობანი, რომელიც თამარ მეფის დროს იყო, ამაზე თავ-თავის ალაგას არის ნათქვამი (გვ. 213—216) და აქ აღარ გავიმეორებთ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ საქართველოში პოლიტიკური ძლიერების დროსაც საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების

განვითარება შეჩერებული არა ყოფილა და ქართველობა თავისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების შეცვლასა და დაწინაურებასა ცდილობდა.

მეთორმეტე საუკუნეში რაკი ქვეყანა გარეშე მტრის შემოსევისა და აოხრებისაგან უზრუნველ-ყოფილი და მოსვენებული იყო, საქართველო მოეშენა და მოეწყო; ამასთანავე ძლევამოსილმა მრავალმა ლაშქრობამ საქართველოში ნადავლისა და ნატყვენავის სახით დიდძალი ქონება და სიმდიდრე დაატრიალა. ქვეყანა გაღონიერდა და გამდიდრდა[633].

მაგრამ მშვიდობიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, რასაკვირველია, მარტო გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფა კი არა კმარა, არამედ საჭიროა შინაური ცხოვრების მყუდროება, მტკიცე წესი და კანონი. საქართველომ ამასაც მიაღწია. თუ გიორგი III მეფობაში, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით დემნას განდგომილების შემდგომ, მეკობრეობა და ავაზაკობა გავრცელებული ყოფილა და მისი ამოფხვრისათვის საქართველოს კანონმდებელმა კრებამ საგანგებო მკაცრი სასჯელი შემოიღო კიდეც და ამით თავის მიზანს მიაღწია, — თამარ მეფის დროს საქართველოში სრული წესიერება და მყუდროება სუფევდა ისე, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანის ცოტა არ იყოს გაზვიადებული **სიტყვით მაშინ საქართველოში «მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო; თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის, დროშათა ქუეშე დადვის: ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა»-** (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, გვ. 241, 28).

მეტად დამახასიათებელია და საგულისხმიერო აგრეთვე ის მაღალი ზნეობრივი მოძღვრება, რომელიც გავრცელებული ყოფილა მაშინ საქართველოში და რომლის გულმოდგინე მიმდევარნიც ყოფილან ჩვენი დიდებული გვირგვინოსნები დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე (ი ხ. გვ. 218—219 და 293). ეს ის მოძღვრება იყო, რომელიც ადამიანს უკარნახებდა, რომ მხოლოდ საკუთარის, პირადის შრომითა და მუშაობით შეძენილი ფული იყო უმწიკვლო და წმინდა, რომ მხოლოდ ამ გზით მონაგები ქონება შეიძლებოდა ღვთისათვისაც სათნო ყოფილიყო. როდესაც ადამიანს ჰსურდა თავისი დავრდომილი მოყვასისათვის ხელი გაემართა და ქველმოქმედებით წრფელის გულით დახმარება გაეწია, მას უეჭველად ამ ფაქიზი გზით შეძენილი ფული თუ ქონება უნდა მოეხმარა. მაშასადამე, იმდროინდელი შეხედულებით მხოლოდ ხელსაქმესა და ნაჭირნახულევს თან ახლდა სრული ზნეობრივი სიფაქიზე და თვით მეფეებიც კი საქართველოში ცდილობდნენ თავიანთ თავზე და ქველმოქმედებისათვის საკუთარის შრომით შეძენილი ფული დაეხარჯათ. ცხადია, რომ ეს მშვენიერი და მომხიბლავი აზრი მუშა-კაცის, მიწისმოქმედებისა და ხელოსნის ცხოვრების მძიმე ტვირთს აკეთილშობილებდა და ზნეობრივ სიწმიდის შარავანდედსა და მიმზიდველობას ანიჭებდა[634].

ამიტომ, რაკი ლაშქრობასაც დიდძალი ქონება შემოჰქონდა და მიწისმოქმედისა და ხელოსანის სინდისიერი შრომის ნაყოფიც გარეშესა და შინაურს მტერს, ან ბოროტმოქმედს აღარ უვარდებოდა ხელში და თვით პატრონსა რჩებოდა, არც გასაკვირველია, რომ საქართველოში გასაოცარი სიმდიდრე დატრიალებულიყოს. აკი თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით საქართველოში ისეთი კეთილ-დღეობა სუფევდა, რომ «გააზნაურდეს ქვეყანისა-მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი»-ო (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,* 632—633. გვ 411), ხოლო ლაშა-გიორგის დროინდელს ქართველს მემატიანეს ეს მდგომარეობა უფრო მხატვრულად აქვს დახასიათებული. იგი ამბობს: **თამარის დროს «იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდესო»** (ანა დ᾽ფსი ქ᾽ცა, 241, 32). **ხოლო ვინც მაინც ცხოვრებისა, ან ბუნებისგან დაჩაგრული და დაგლახაკებული იყო, იმაზე თვით**

---

[633] იხ. ჩემი «სქ᾽ს ეკონომიური ისტორია», I, 73 და 81.

[634] იხ. ჩემი «ქ᾽ლ სამართლის ისტორია», I.

სახელმწიფო ზრუნავდა. თამარ მეფის დროსაც «ყოვლისა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა». გლახაკთა დახმარებისათვის საზრუნავად და დახმარების გასაწევად საქართველოში განსაკუთრებული მოხელეები იყვნენ, «განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი», რომელნიც ამ წმინდა საქმეს უძღვებოდნენ»[635].

ის ბრწყინვალე მდგომარეობა და პოლიტიკური ძლიერება, რომელსაც საქართველომ XII საუკ. მიაღწია ნამდვილ სასწაულთ-მოქმედებად გვეჩვენებოდა, ჩვენ რომ არა გვცოდნოდა, რაოდენი საკულტურო ეროვნული მუშაობა წინუძღოდა საქართველოში ამ ძლიერების ხანას. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ქართველმა მოღვაწეებმა და მწერლებმა IX—XI საუკ. თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობით იმდენი შესძლეს, რომ თავიანთი ერი და ქვეყანა იმდროინდელი ერებისა და ქვეყნების დაწინაურებული ყოფაცხოვრებისა და გონებრივი საუნჯის თანამოზიარედ გახადეს, ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება განავითარეს და ძლიერი ეროვნული თვითშემეცნება შეჰქმნეს. ეს მდიდარი საკულტურო მემკვიდრეობა მეთორმეტე საუკუნის ქართველმა მოღვაწეებმა უფრო გაამდიდრეს და გააძლიერეს. მეთერთმეტე საუკუნეს თუ ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელთა მოქალაქეობა და სამწერლობო ნამუშავარი ამშვენებდა, — დავით აღმაშენებელისა, დემეტრე I, გიორგი მეფისა და დიდებული თამარის მეფობაში ისეთი გამოჩენილი მეცნიერ-ფილოსოფოსნი ბრწყინავდნენ, როგორც იყვნენ თუნდ მარტო ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე და იოანე პეტრწი. ეფრემ მცირეც რომ ავიღოთ, ისიც საკმარისი იქმნება, რომ ქართული ამდროინდელი მწერლობის დიდი დაწინაურება ჩვენთვის ცხადი ყოფილიყო. ეფრემ მცირე შესანიშნავი მეცნიერი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი იყო და მისი ღრმა და გასაოცარი სწავლულობა თანასწორად ჩანს ყოველ დარგში, რომლისათვისაც კი მას თავისი მადლიანი ხელი მოუკიდნია. ეფრემ მცირე მუშაობდა ისე, როგორც დახელოვნებულს, მკაცრი და მკვეთრი სამეცნიერო მეთოდებით აღჭურვილს, მკვლევარს შეჰშვენის: მან მშვენივრად იცოდა, რა არის დამახინჯებული დედნის აღდგენა; მას ისიც კი ჰქონდა შეგნებული, რომ ძველ თხზულებებში სიტყვებს ხშირად სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა და ვისაც ამგვარი ნაწარმოების უტყუარი შინაარსის გაგება ჰსურს, მან უნდა თავდაპირველად თხზულების ენისა და სიტყვათა იმდროინდელი მნიშვნელობა გამოარკვიოს და გაითვალისწინოს და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირე პირველხარისხოვანი მეცნიერი იყო და იმ დროისათვის გასაოცარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს[636].

მაშინდელს ქართულ საისტორიო მწერლობას ამშვენებენ ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორიც არის ეფრემ მცირის საისტორიო გამოკვლევა ბერძნული წყაროებისდა მიხედვით დაწერილი «უწყებაჲ მიზეზისა ქართუელთა მოქცევისაჲ თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების»[637] ან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოები «ცა́ მეფეთ მეფისა დავითისი», ან თუნდ «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი», რომელიც თამარ მეფის ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის.

მაგრამ **საქართველოს ძლიერების ხანა იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალესს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწაფა.**

---

[635] იხ. ჩემი «სა́ქს ეკონომიური ისტორია», I, 56-57 და «ქა́ლ სამართლის ისტორია», I.

[636] იხ. ჩემი «ისტორიის მიზანი «და მეთოდები», I, ეფრემ მცირე და ნ. მარის, отчет о работах на Синае и в Иерусалиме. 31.

[637] იხ. ჩემი «ისტორიის მიზანი და მეთოდები».

მართალია, ქართველი მკითხველი არც წინათ ყოფილა ფილოსოფიური შინაარსის თხზულებებს მოკლებული; ქართველ მწერლობას ამშვენებდნენ ასეთი შესანიშნავი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმანები, როგორიც იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი, კჳრილე ალექსანდრიელის «განძი», ბასილ დიდის «ექუსთა დღეთა», გრიგოლ ნოსელის «კაცისა შესაქმისათჳს», იოანე დამასკელის «გარდამოცემაჲ», ანუ «უცილობელი ღვთისმეტყველება» და სხვანი[638]. გრიგოლ ნოსელის შესანიშნავი ნაწარმოების «კაცისა შესაქმისათჳს» ძველი ქართული თარგმანის საუცხოვო ენა[639], რომელიც შატბერდისეულს კრებულში არის შენახული, ნათლად ამტკიცებს, რომ **ქართული სამეცნიერო და საფილოსოფიო ტერმინოლოგია და ენა უკვე მეათე საუკუნეზე უწინარეს ყოფილა შემუშავებული.** მაგრამ მაშინ, როგორც ეტყობა, ქართულად **მარტო ნათარგმნი საფილოსოფიო თხზულებები** მოიპოვებოდა, ამასთანავე თვით ნაწარმოებნიც განსაკუთრებით საღვთისმეტყველო-ფილოსოფური იყო. ეფრემ მცირე და მეტადრე იოანე პეტრიწი კი წმინდა საფილოსოფიო მწერლობას ეტანებოდნენ სათარგმნელად, როგორიც იყო მაგ. «პროკლე დიადოხოსი პლატონურისა ფილოსოფოსისაჲ «კავშირნი ღ´ის მეტყველებითნი», არისტოტელის «პერი ერმინიას» და «ტატოპიკა», ან კიდევ «ნემესიოს ემესელ მთავარ ეპისკოპოსისაჲ «ბუნებისა-თჳს კაცისა»[640]. მაგრამ თავი-და-თავი ის გარემოება არის, რომ ეფრემ მცირეცა და იოანე პეტრიწიც თავიანთ თავს ფილოსოფიაში იმდენად დახელოვნებულადა გრძნობდნენ, რომ ნათარგმნს თხზულებებს მრავალს საკუთარს საფილსოფიო განმარტებასა და მსჯელობას ურთავდნენ; მაშასადამე, ამ დროს **ქართული ორიგინალური საფილოსოფიო მწერლობაც ჩნდებოდა. როგორც პროფ. ნ. მარმა** თავის საუცხოვო გამოკვლევაში «Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века» დაამტკიცა, პეტრიწი ნეოპლატონური ფილოსოფიის მოძღვრების აღმსარებელი ყოფილა. სხვა ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად მასაც ბიზანტიის ფილოსოფიურ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და ამ საფილოსოფიო მოძღვრების გამო იგი თურმე საბერძნეთითგან განუდევნიათ[641].

იმდროინდელი სამღვდელოების გავლენიანი ნაწილი წმინდა საფილსოფიო მოძღვრებათა დიდი წინააღმდეგი იყო, მეტადრე ნეოპლატონური ფილოსოფიისა იმიტომ, რომ მან გამოაღვიძა ცნობისმოყვარეობა ძველი წარმართობის დროინდელი ელინური საფილოსოფიო მწერლობისადმი. ამგვარნი მკაცრნი და თავისუფალი აზროვნების დამხშველნი პირნი სამღვდელოებაში საქართველოშიც ყოფილან; ეფრემ მცირეც ემდურებოდა მათ და იოანე პეტრიწიც უჩივის, რომ მას მარტო ბერძნები კი არა სდევნიდნენ, არამედ «ამის ჟამისა» ქართველნიც. იგი გულწრფელად სწუხს, რომ «ქართველი თანადგომისა წილ» და დახმარების მაგიერ, რომ გაჰხარებოდათ და ეფიქრათ: «წმიდასა **განგებასა** ღმრთისასა **კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია ჴელოვნებათაგან სული[ს ა]თა დაჴელოვნებული და ჴედვათაგან გონებისათა გაგონებული»-ო,** მოდით მივეშველოთ «თანადაუდგეთ» მას და საშუალება მივცეთ, როგორმე «მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოთ»-ო; ქართველებმა ეს ვერ შეიგნეს და_იოანეს საშუალება არ მისცეს თავისი

---

[638] იხ. ჩემი, Материалы для истории груз. патристической литературы, «Христ, восток», I, გვ. 9, 11, 12, 15, 16.

[639] იხ. **მ. ჯანაშვილის** გამო. «ქართული მწერლობა IX—X სს. [ტფილისი, 1909].

[640] პროკლე დიადოხოსის იოანე პეტრიწის თარგმანი სხოლიებითურთ და გამოკვლევით სანიმუშოდ გამოსცა ნ. მარმა Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (Записки Вост. отд. рус. арх. обш. т. XIX) რადმენიმე ნაწყვეტი დაბეჭდილი აქვს მ. ჯანაშვილსაც (ქართული მწერლობა, II წ., [ტფილისი , 1909], გვ. XXXIII—XXXVIII). ნემესიოს ემესელის თხზულება »ბუნებისათვის კაცისა», გამოსცა ს. რ. გორგაძემ (გამოცემა საეკ. მუზეუმისა № 17 [ტფილისი, 1914].

[641] **ნ. მარის** აღნიშნული თხზულება, 44—57.

დიდი ნიჭი და ცოდნა სავსებით გაეფურჩქნა. იოანე პეტრიწი ამბობს: მე რომ ხელშემწყობს გარემოებაში ვყოფილიყავ, «თუმცა მე რაჲვე თანსიყუარული და შეწევნაჲ მჩუენებოდა მათგან» ჩემ თანამემამულეთაგან, მაშინ «ვფუცავ სურვილსა, რომელ ენაჲცა ენისადა გამეწყო და ხედვაჲცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა» [642]. ქართულ საფილოსოფიო ენასაც უმწვერვალეს განვითარებამდის მივიყვანდი, ისე როგორც თვით ბერძნული დედნის_ენაო გაწყობილი და საფილოსოფიო განცდის თეორიაც შემეძლო არისტოტელურად შემემუშავაო. იოანე პეტრიწს მაინც ქართველთა შორის მხნედ უმუშავნია და "წყალობითა ღმრთისათა, **დავითის** გამგებლობისა და წყალობათა და თანადგომის მინდობილმან»[643] მან არა ერთი დ ორი საფილოსოფიო თხზულება სთარგმნა ბერძნულითგან და თავისი განმარტებებით ქართველს მკითხველს მათი შინარსის შეთვისება გაუადვილა. დავით აღმაშენებელი იყო, თუ არა ის დავითი, რომლის წყალობისა და თანადგომის იმედითაც იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა ქართველთა შორის, ამ ნაწყვეტითგან ნათლად არა ჩანს იმიტომ, რომ ეს დავითი მეფედ არ არის წოდებული, მაგრამ მაინც ცნობაა შენახული, რომ იოანე პეტრიწს ზოგი თავისი საფილოსოფიო თხზულება დავით აღმაშენებლის მიერ აგებულს გელათის მონასტერში დაუწერია[644]. თუ პირველ ხანებში თავისუფალი ფილოსოფიური მსჯელობისათვის საქართველოში ჯერ კიდევ ნიადაგი შესაფერისად მომზადებული არ იყო, მერე თანდათან ამ მხრივაც მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო თამარ მეფის დროს, როდესაც საერო პოეზიამაც საეკლესიო სქოლასტიკურს აზროვნებას საბოლოვოდ სძლია, თავისუფალი ფილოსოფური მუშაობისათვის ფართო ასპარეზი იყო დატოვებული. მეტად საგულისხმო და საყურადღებოა, რომ **მაშინდელ საქართველოში საფილოსოფიო ნეოპლატონური მწერლობა გაჩნდა და ქართველი მეცნიერები იმგვარივე რთული საფილოსოფიო საკითხებით იყვნენ გატაცებულნი, რომელიც მაშინდელ მოწინავე ქრისტიანთა ერებს აღელვებდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მაგრამ ამავე დროს ქართველებს,** როგორც სამართლიანად ამბობს პროფ. **ნ. მარი, ისე უპირატესობა ჰქონდათ, რომ ქართველები სხვებზე, მაგ. ევროპიელებზე, უფრო ადრე ეწაფებოდნენ ხოლმე საფილოსოფიო აზრის ყოველს უახლესს მიმართულებას და იმ დროისათვის სამაგალითო სამეცნიერო მეთოდებით აღჭურვილნი პირადაპირ ბერძნული დედნების შესწავლაზე ამყარებდნენ თავიანთ ნაყოფიერს მუშაობას[645].**

ბერძნულ საფილოსოფიო თხზულებებში ქართველმა მოწინავე წრეებმა ელინური საწარმართო მწერლობის ნიმუშები ნახეს; ხოლო ამ საფილოსოფიო ნაწარმოებებს საწარმართო საერო ელინური პოეზიაც მოჰყვა; ქართველებმა გაიცნეს **ჰომიროსის** დიდებული ქმნილებანი «ილიადა» და «ოდჳსეჲა», განსაკუთრებით პირველი; იმდროინდელი ისტორიკოსები და მეხოტბენი «ილიადის» შინაარსით და შედარებებით სარგებლობდნენ თავიანთი ღრმა ცოდნისა და რიტორული ხელოვნების დასამტკიცებლად[646]. ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმამა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ეგრეთწოდებული «რენესანსი» წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკ. დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა.

---

[642] **ი. პეტრიწის** ბოლოსიტყვაობა, იხ. ნ. **მარის** Иоанн Петрицский, 44—45: **მ. ჯანაშვილის,** ქართული მწერლობა II, გვ. XXXVII—XXXVIII.

[643] იხ. იგივე ბოლოსიტყვაობა, **მ. ჯანაშვილის** ქართ. მწერლობ, II გვ. XXXVIII.

[644] ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი, გვ. XIV.

[645] **ნ. მარი,** Иоанн Петрицский, 61.

[646] იხ. **ნ. მარი** Древнегрузинские одописцы. ТР, IV, გვ. III და ჩემი «ისტორიის მიზანი და მეთოდები «, I, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები.

იმ მაღალს და ნაყოფიერს გონებრივს განვითარებას, რომელიც მეცნიერების აყვავებით და საერო პოეზიის წარმოშობით დაგვირგვინდა, ქართული ხელოვნების (ხუროთმოძღვრებისა, ქანდაკებისა, ოქრომჭედლობისა და მხატვრობის) სამაგალითო და საუცხოვო ქმნილებანიც მჭერმეტყველებით ამტკიცებენ. ამ დროს მაგ. ააგო დავით აღმაშენებელმა დიდებული **გელათის** ტაძარი და თამარის დროს აშენებული იყო **ვარძიის** განმაცვიფრებელი, კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, რომლის მშვენირებით აღტაცებული იყო შაჰაბაზის დროსაც-კი გამოჩენილი სპარსეთის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში და თვით ირანის მბრძანებელი.

ამავე ხანას ეკუთვნის **ხახულის** განთქმული ხატი, ხოლო თამარ მეფის დროს ცხოვრობდნენ სახელოვანნი ქართველი ოქროსმქანდაკებელნი ბექა და ბეშქენ ოპიზარნი, ტბეთისა და გელათის სახარებათა შესანიშნავი ყდებისა და ანჩის განთქმული კარედი ხატის სამოსელის შემქმნელნი[647].

გაძლიერებული **საქართველო აღმოსავლეთში თავის თავს**, მეტადრე თამარ მეფის დროს, **ქრისტიანეთა მფარველადა ჰგრძნობდა**. შევსებული ქ´ცა ამბობს, რომ თამარის მეფობაში «**არაოდენ თჳსსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა მიუმცნო რათა აზატად იყუნენ და... დამორჩილდენ**»-ო (მ´მ დ´ფსი ქ´ცა, გვ. 506—507, შენ.; **ზ. ჭიჭინაძის** გამოც. 472). ქართველი მემატიანის ამ ცნობას სომეხი მემატიანე **კირაკოს განძაკელიც** ადასტურებს და ამტკიცებს, რომ მას შემდგომ რაც სულტანსა და ქართელებს შორის ზავი და ხელშეკრულება დაიდვა და პირობისაებრ მას ცოლად მსახურთუხუცესის ივანეს ქალი მიათხოვეს, ქრისტიანე ქვეშევრდომთა მდგომარეობა სასულტნოში შემსუბუქდა, მონასტრებს ხარკი ნახევრად შეუმცირდა და იერუსალემში მიმავალ მლოცავთა სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყო[648]. საქართველოს სახელმწიფოს მარჯვებასა და ძლევამოსილებას თამარ მეფის დროს სომეხთა ისტორიკოსი ვარდანიც ქრისტიანეთა გაძლიერებადა სთვლის; «თამარის მეფობის ჟამს ქრისტიანენი გაძლიერდნენ»-ო ამბობს იგი[649].

რაკი საქართველო XII საუკ. ქართველთა მოსახლეობის საზღვრებს გადასცდა და შარვანშაჰი და ათაბაგის ძე ქართველთ მეფეების წყალობის შემაცქერალნი იყვნენ, საქართველოს ხელმწიფეებმა «გამოუთქმელი» დ «მიუწდომელი» დიდება მოიხვეჭეს იმიტომ, რომ საქართველოს მეფეთ-მეფეს გარდა სხვა რომელი მეფე დაიკვეხებდა «მეფობისა და სულტანობისა ერთად მქონებლობასა, ათაბაგის ძისა და შარვანშას ყმად ყოლასა» (ისტ´რნი და აზ´მნი,* 677, გვ. 470). ასეთის მარჯვებითა და ზეობით მაშინ აჭურვილი იყო მხოლოდ «**ღ´თივ-დაცული მეფობა თამარისი**» (იქვე,* 721, გვ. 529) და ღვთისმშობლისადმი «**შევედრებული ერი ქართუელთა**» (იქვე * 704, გვ. 504).

რაკი ქართელებს ამგვარი ეროვნული შეგნება ჰქონდათ და ეგოდენს სიამაყეს ჰგრძნობდნენ. არც გასაკვირველია, რომ ამ დროს საქართველოს მეფეები უცხო-ქვეყნელ ხელმწიფეებს თავის სწორად აღარა სთვლიდნენ, თვით ბიზანტიის კეისრის სახლისშვილებსაც კი. წინათ მაგ. X—XI საუკუნეებში თვით ქართველთა მეფეებისათვს ბიზანტიის მეფის საკარისკაცო პატივი დიდ წყალობად ითვლებოდა, დავით აღმაშენებელითგან მოყოლებული კი საქართველოს მბრძანებელნი ამ საკარისკაცო პატივს აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ და აღარც უტარებიათ. დავით აღმაშენებელი უფლისწულობის დროს და მეფობის პირველ ხანებში კიდევ იწოდება «სევასტოს»-ად და

---

[647] დაწვრილებითი ცნობები იხ. ჩემს «ქ´ლ ხელოვნების ისტორია»-ში.

[648] **კირაკოზ განძაკელი**, ისტორია, 157.

[649] **ვარდანი**, ისტორია, 183.

«პანიპერ-სევასტოს»-ად[650]. მაგრამ მერე ყველა ამგვარი ბიზანტიური საკარიკაცო სახელწოდებანი ჰქრება. თუ წინათ ბერძენთა მეფე და კეისარი სათაყვანებელ და სამაგალითო ხელმწიფედ მიაჩნდათ, ეხლა გიორგი III დროს კეისრის ძმისწულს უკვე თავის სწორად აღარა სთვლიდნენ და დარბაზობის დროს მას მიანიჭეს «პატივი შესატყჳსი სახლისაშვილობისა მისისა», მაგრამ მაინც მეფეს თავის გვერდით არ დაუსვამს, არამედ «დაუდგა საჯდომი სიახლესა სადრისა თჳსისასა, პირისპირ დისწულისა მისისა აღსართანისასა, რომელი მეფე იყო შარვანისა და ზღვის პირისა დარუბანდით ხალხალამდის» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, * 612, გვ. 384). რაკი შარვანშა საქართველოს ყმადნაფიცი მეფე იყო, მაშასადამე, კეისრის ძმისწულისათვის თუმცა პატივი უციათ, მაგრამ მაინც ყმადნაფიცი მეფის პატივზე მეტის ღირსად არ უცვნიათ.

რაკი საქართველოს სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით X—XI ს. მაჰმადიანთა სამფლობელოები იყო და თვით საქართველოსაც წინათ ჯერ არაბები, შემდეგ სპარს-თურქები ჰმძლავრობდნენ ისე, რომ საქართველოს აღორძინების და გაერთიანების დროსაც, შემდეგ საქართველოს ძლიერების ხანაშიც, მაჰმადიანთა სამეფოებთანა, სამთავროებთანა და ძალასთან უხდებოდა ბრძოლა, ამიტომ ისე გამოდიოდა, თითქოს ქართველები საზოგადოდ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ყოფილიყვნენ ამხედრებულნი. თვით მაჰმადიანთა სულტნებსა და ამირებსაც ასე ეჩვენებოდათ. რუმის სულტანი რუქნადდინი თავის თამარ მეფისადმი მიმართულს წერილში აკი თამარს უსაყვედურებდა კიდეც: შენ «გიბრძანებია ქართუელთათვის აღებად ჴრმალი მუსულმანთა ჴოცადო» (ისტ᾽რნი დ აზ᾽მნი * 700, გვ. 498). არაბთა ისტორიკოსს **იბნ ალ-ასირსაც** ხომ ქართველთა თითქმის ყოველი ბრძოლა შირვანელთა, შაჰარმენთა, არზრუმელ და სხვა მფლობელებთან ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც ქართველთა ბრძოლა მუსულმანების წინააღმდეგ. ამიტომაც იყო რომ მაჰმადიანი მფლობელნი ქართველებს, ვითარცა მუსულმანთა საერთო მტერს, შეერთებულის ძალით ებრძოდნენ; ხალიფაც ზოგჯერ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა განზე-გამდგართა მიშველებას ურჩევდა, მონაწილეთ კურთხევას უძღვნიდა, უძლეველობის ნიშნად თავის დროშას ღაზოდ უგზავნიდა, ხან ფულითაც ეხმარებოდა. თვით ქართველებსაც, როგორც ეტყობა, ზოგჯერ ასევე ეჩვენებოდათ ხოლმე. როდესაც მაგ. შანქორთან ქართველებმა ადარბაგანის სულტანი ათაბაგი აბუ-ბაქრი ხალიფას დროშით დალოცვილი და მისი მოკავშირენი საშინლად დაამარცხეს და დიდძალი მტრის ჯარი ტყვედ წამოიყვანეს, თმარ მეფის ისტორიკოსი ამას ძყოვლისა მუსულმანობისა ტყუექმნას» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი,* 677, გვ. 470) უწოდებს.

საქართველოს ძლევამოსილებამ ქართველებს აზიაში სახელი და პატივისცემა მუპოვა. **კირაკოს განძაკელის** სიტყვით ქართველთა სამეფოსა და სულტანთა სამფლობელოს შორის სიყვარული და ერთობა ჩამოვარდა, ქართველებს მეტად პატივსა სცემდნენ ისე, რომ სულტანთა საბრძანებლის ყველა ქალაქებში და თვით იერუსალემშიაც კი ხარკს არ იხდიდნენ[651]. ალბათ, ამ დროითგან უნდა ყოფილიყო დარჩენილი ის განკარგულება, რომ იერუსალემში მიმავალ ქართველ მლოცავებს ჰალაბში (ალეპოში) საგანგებო არაბი მოხელე უნდა დაჰხვედროდა, იერუსალემში და უკანაც გაჰყოლ-გამოჰყოლოდა და ქართველი მლოცვანი ყოველგვარი განსაცდელისაგან დაეცვა[652]. ამავე დროის ნაშთად უნდა ჩაითვალოს, ალბათ, ის უპირატესობაც, რომელიც მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ მინიჭებული, რომ იერუსალემში შესვლის დროს ქართველს მლოცავებს უფლება ჰქონდათ გაშლილი ეროვნული დროშით ხელში ზეიმით შესულიყვნენ წ᾽ა ქალაქში.

---

[650] ქ᾽კბი I, 232, 236.

[651] **კარაკოზ განძაკელი**, ისტორია, 157.

[652] **ნ. მარი,** Отчет о работах на Синае и в Иерусалиме, 51.

სამწუხაროდ, ძლევამოსილებამ და დიდძალმა დავლამ, რომელიც მოჰქონდათ ხოლმე ქართველ მეომრებს მტრის ქვეყნითგან, იმდენად გაიტაცა და წაახალისა საქართველოს მხედრობა, რომ სულ ლაშქრობის ნატვრაში იყვნენ. ჯარი და მხედართმთავარნი ომიანობას ისე მიეჩვივნენ, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის მოთმენა არ შეეძლოთ და მეფე გიორგის ერთხელ გულახდილად შესჩივლეს კიდეც: «არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა»-ო. ამიტომაც იყო, რომ ქართველები ზოგჯერ სრულებით უმიზეზოდაც აუტეხავდნენ ხოლმე ომს, როგორც მაგ. გიორგრი III დროს, როდესაც ლაშქრის დაჟინებითი თხოვნის გამო მეფე იძულებული იყო თითქმის ყველა მეზობლებისათვის ომი გამოეცხადებინა. ომიანობას ქართველები ზოგჯერ ისე უყურებდნენ, როგორც გასართობსა და საჭაბუკო საქმეს. როდესაც მაგ. ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგი დაიბადა «იქმნა გალაშქრება... ბედსა და სუესა ზედა ლაშასა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, *660, გვ. 448). ხოლო როდესაც ამგვარი «მიზეზი უმიზეზო»-ც არ არსებობდა და სახელმწიფოში სრული მშვიდობიანობა სუფევდა, მაშინ ლაშქრობის საჭიროების დასასაბუთებლად ისეთს უცნაურს მოსაზრებასაც კი ებღაუჭებოდნენ, რომ ომიანობა საჭიროა, «რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმჴნე სპათა» საქართელოსათაო (იქვე,*711, გვ. 515).

რამდენად გათამამებულები იყვნენ საქართველოს მხედართმთავარნი და ომი გასართობად მიაჩნდათ, იქითგანაც ნათლადა ჩანს, რომ ლაშა-გიორგის დაბადების დროს ჯერ ტახტის მემკვიდრის ბედზე არანში ილაშქრეს ბარადავამდის, მრავალი ტყვე და საუნჯე ჩაიგდეს ხელში, მერე კი «ათავისუფლეს სამბევრობა ტყუეთა დღეგრძელობისათუის თამარისა და ძისა მისისა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, * 660, გვ. 448). თუმცა 30000 ტყვის განთავისუფლება დიდი სიკეთე და ბედნიერებაა, მაგრამ რა საჭირო იყო არანელთა დაწიოკება, თუ ამგვარი სათნოებით აღჭურვილნი იყვნენ საქართველოს მმართველნი?

ქართველთა ამგვარი ქცევა, მეზობლების ქვეყნებში შეჭრა და ხშირი ლაშქრობა, ერთი სიტყვით ამნაირი **აგრესიული მოქმედება დიდი შეცდომა იყო იმიტომ, რომ ტყუილ-უბრალოდ მეზობლებში სიძულვილს იწვევდა** და ქართველ-მაჰმადიანთა ურთიერთობას მეტად ამწვავებდა. რასაკვირველია, სანამ ქართველთ ძლევამოსილება ხელთა ჰქონდათ, მეზობლებს სხვა რაღა დარჩენოდათ, თუ არ ძღვენი და პირმოთნეობა. ამიტომაც იყო, რომ «ყოველნი გარემოს [მყოფნი] მეფენი, ქალაქნი და ამირანი ძღუნითა და ხარკითა მოამშვიდებდეს პირსა მჴნეთა სპათასა» (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, *698, გვ.495). მაგრამ როდესაც კი მოხერხებულ დროს და გარემოებას მოესწრებოდნენ, მაშინ უეჭველია მთელ თავის ჯავრს ამოიყრიდნენ.

გრძნობათა გამწვავება ტყუილ-უბრალოდ მით უმეტეს არ იყო სასურველი, რომ ნამდვილად ქართველები მოსაზღვრე თურქ **მმართველებს** და სამფლობელოებს ებრძოდნენ, მათ ქვეყნებს იპყრობდნენ, მაგრამ **მაჰმადიანობასთან და მათ სარწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ. ქართველ-მაჰმადიანთა ბრძოლას არასდროს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არა ჰქონია.** საქართველოს სახელმწიფოში მაჰმადიანი ქვეშევრდომებიც არა მცირედნი იყვნენ, მაგრამ მთავრობას ისინი არამცთუ არ შეუვიწროებია, არამედ როგორც თვით მაჰმადიანი მემატიანეებივე გვაუწყებენ, ზოგჯერ სულტანებზე და ამირებზეც კი მეტს მზრუნველობას იჩენდნენ, მათს სარწმუნოებრივ გრძნობას ანგარიშს უწევდნენ და არც მფარველობა მოუკლიათ. არდაველის მესგითში (მეჩითში) მლოცავ მაჰმადიანთა ამოხოცვა სათვალავში მისაღები არ არის ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს სპარსეთში ომიანობის დროს მოხდა და არა საქართველოში, მეორე იმიტომ, რომ ეს საქართველოს მხედართმთავრებისაგან მხოლოდ საპასუხო შურისძიება იყო იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც არდაველის სულტანმა ანისში ჩაიდინა, როდესაც ეკლესიებში მლოცავი 12000 «ვითარ ცჴვარნი დაკლეს». ჩვეულებრივ კი თვით მტერსაც კი,

როდესაც იგი მედგარი წინააღმდეგობის შემდგომ დანებდებოდა ხოლმე, დამორჩილებულთ ლმობიერად ეპყრობოდნენ. ასე რომ არა ყოფილიყო და ქართველები მაჰმადიანობის მტრად გამოსულიყვნენ, განა შარვანშაჰი და მისი ქვეშევრდომები ქართველთა ერთგულ მოკავშირეებად იქმნებოდნენ?

ამას გარდა საქართველოში არაბული კულტურაც, მწერლობა და მეცნიერება, უცხო რამ ხილი ხომ არ იყო; ქართველმა საერო საზოგადოებამ იცოდა იგი და აფასებდა. რამდენად დახელოვნებული ყოფილა დავით აღმაშენებელი არაბულ-სპარსულს მწერლობაში, უკვე თავის ალაგას იყო მოთხრობილი, ხოლო შემდეგშიაც ქართველებს კულტურული დამოკიდებულება მაჰმადიანობასთან არ შეუწყვეტიათ. სპარსთა ისტორიკოსი **აბულ-ჰასან ბეიხაკი მაგ.** მოგვითხრობს, რომ 543 წ. ჰიჯრ. (1148 წ.ქ.შ.). საფარის თვეში აფხაზთა მეფემ დემეტრემ, დათივის ძემ, მელიქშაჰის შვილს სულტანს სინჯარს არაბულად და ასურულად დაწერილი ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიაც რამდენიმე საკითხი იყოო. საპასუხო ეპისტოლის შედგენა სულტანს ისტორიკოს ბეიხაკისათვის მიუნდვია და აგრეთვე არაბულად და ასურულად დაწერილი სამაგიერო ეპისტოლე დემეტრე მეფისათვის გამოუგზავნია[653].

არაბულ მწერლობაზე უფრო მეტად საქართველოში სპარსულ-მაჰმადიანური მწერლობა იყო გავრცელებული. ამ ახალ სპარსულს პოეზიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე და მისი საგმირო და სააშიკო სიტყვიერება ქართველობას უყვარდა და შეჰხაროდა იმგვარადვე, როგორც თვით სპარსელები შეჰხაროდნენ. თუმცა «შაჰნამე» (როსტომიანი) **ფირდოუსისა,** «ვისრამიანი», «ქილილა და დამანა», «ლეილ-მეჯნუნიანი» სპარსელი მაჰმადიანი მგოსნების დაწერილი იყო, მაგრამ ქრისტიანე ქართველებიც გატაცებით კითხულობდნენ, მათთვისაც ეს თხზულებები ხელოვნების ძვირფასი განძი იყო. სხვათა შორის, ხომ სპარსული მწერლობის გავლენის წყალობით აღორძინდა ქართული საერო პოეზიაც. **თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა, მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა**. ქართველებისათვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არა ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივსა სცემდნენ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქრისტიანობის აღმსარებელი საქართველო, საბერძნეთის და ელინური კულტურის მიმდევარი, იმავე დროს არაბულ-სპარსული მაჰმადიანური კულტურისა და პოეზიის თაყვანისმცემელი იყო. მაშასადამე, აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის, ქრისტიანული დ მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. ამ ორი დიადი მიმართულებით გაპოხიერებულს ქართულ ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებული იზრდებოდა და იფურჩქნებოდა საქართველოს მაშინდელი კულტურა.

რომ საქართველოში მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება სუფევდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის და სარწმუნოებრივ სიძულვილს სახელმწიფო ცხოვრებაში არამცთუ არავითარი ძალა არა ჰქონდა, არამედ, პირიქით, სარწმუნოების სხვადასხვაობისადა მიუხედავად საერთო საკულტურო მუაობა სუფევდა, ამას საუცხოვოდ სხვათა შორის ის საგანგებო სასამართლოც ამტკიცებს, რომელიც ივანე ათაბაგის ბრძანებით მოწვეული იყო სომეხთა მონასტრებს შორი ჩამოვარდნილი დავის გასარჩევად. დავა ატეხილი იყო ძვირფასი ჯვარის გამო, რომელსაც ერთი-ერთმანეთს ეცილებოდნენ იმის გადასაწყვეტად, თუ ვის საკუთრებად უნდა ყოფილიყო ცნობილი ეს ჯვარი, ივანე ათაბაგმა ქ. დვინში განსაკუთრებული სასამართლო მოიწვია, რომლის

[653] ნ. მარი, Дровнегрузинские одописци: ТР, IV [СПб., 1902], გვ.. 25, შენ. 1.

წევრებადაც იყვნენ: დიდებულნი, მარზპანი ივანე ტბელი, მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელიც ვითარცა მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი სამეფოს წარმომადგენლად იყო ამ სასამართლოში, ვარძიისა და და პღნძა ვანქისა წინამძღვარნი, დიდი მამამთავარი გარესჯისა (?), გაგელი და მაწნაბერდელი და სხვანი დიდებულნი, ამას გარდა **ყადი ტფილისისა, ყადი ანისისა და ყადი დვინისა,** ამასთანავე სურმანის განთქმული შეიხი, რასაკვირველია, აგრეთვე ანისის არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსნი ბიჯნისისა და ჰაღბატისა. **ამ საგანგებო სასამართლოში ის არის გასაოცარი და გასახარელი, რომ საქართველოს სახელმწიფოში მაშინ სამი რჯულის სამღვდელოების წარმომადგენელთ—ქართველ მართლმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანებისა და მაჰმადიან ყადიებისა და შეიხის — საერთო მოქმედება და თანხმობრივი მშვიდობიანი თანამშრომელობა შესაძლებელი ყოფილა.** რომ ამგვარი მოვლენის მარტო შესაძლებლობასაც კი დიადი მნიშვნელობა ქავს, ეს ჩვენთვის უფრო ცხადი იქმნება, თუ გავიხსენეთ, რომ დავა ქრისტიან სომეხთა ეკლესიას შეეხებოდა, მაგრამ ამ დავის გარჩევაში მოსამართლეებად სომეხთა სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად მარტო ქართველთა დიდებულნი და სასულიერო პირნი კი არა, არამედ **მაჰმადიანთა მოსამართლეებიც განთქმული ყადიები და შეიხი** იღებდნენ მონაწილეობას და ამგვარმა სასამართლომ დავა საბოლოვოდ გადასწყვიტა. მეტად საგულისხმიეროა, რომ მაჰმადიანთა მონაწილეობას ამ საქმეში ქრისტიანეთა სარწმუნეობრივი გრძნობა არ შეუძრწუნებია![654].

აი ეს არის საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის დამამტკიცებლი საბუთი, საერთაშორისო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი!.. **ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილებას გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ. სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ.** სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი.

მეტად საგულისხმიეროა, დასასრულ, რომ ქართველობამ ძლიერების ხანაში შეჰქმნა საერო მხატვრული პოეზიაც. **ყურადღების ღირსია, რომ საქარისტიანო აღმოსავლეთში საშუალო საუკუნეებში ქართველებს გარდა არც ერთს ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია:** არც ასურებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. **ეს გარემოება რაც უნდა იყოს, რა ხელშემწყობი მიზეზებიც უნდა გამოვძებნოთ მის ასახსნელად, მაინც თავისთავად ქართველი ერის ძლიერის მხატვრულის ნიჭისა და შემოქმედების დამამტკიცებელია.**

თავდაპირველად საერო მწერლობა საქართველოში სპარსული პოეზიის გავლენითა და თარგმანებით დაიწყო. მაგრამ მალე ქართულს ნორჩს მხატვრულ სიტყვიერებას თვით ცხოვრებამ შეუქნა შესაფერისი ნიადაგი ეროვნული მიმართულების განსავითარებლად. მაშინდელ სპარსულ-არაბულ საკარისკაცო ცხოვრებაში წესად იყო გადაქცეული, რომ ქვეყნის მმართველს თავისი მაქებელი მელექსე და მეხოტბე ჰყოლიყო. ხშირად თვით პოეზიისა და მეცნიერების გულწრფელი მოტრფიალე სულტნები და შაჰებიც მარტო ხოტბის შემასხმელ პოეტებს კი არ უწევდნენ მფარველობას, არამედ საზოგადოდ ყოველს ნიჭიერს მგოსანს ეხმარებოდნენ. რაც უფრო მეტი განთქმული და ნიჭიერი მწერლები გარს ეხვივნენ ხელმწიფეს, მით უფრო მეტი სახელი და პატივისცემა ჰქონდა ხოლმე მას. საქართველოშიაც ამავე ნიადაგზე აღმოცენდა თავდაპირველად ორიგინალური მელექსეობა

[654] იხ. ჩემი ქ´ლ სამართლის ისტორია, I.

და მეხოტბეობა. რაკი «შესხმა» დიდი დარბაზობის დროს უნდა ყოფილიყო წარმოთქმული, მგოსანს თავისი ლექსისათვის უნებლიედ საქართველოს ცხოვრებითგან დღესასწაულისათვის შესაფერისი თემა უნდა აერჩია. როგორ დაიწყო ქართული პოეზიის ეს დარგი, ჩვენ არ ვიცით იმიტომ, რომ ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ მცირეოდენმა ნაწარმოებებმა და ისიც, რაც შენახულია, ქართული პოეზიის უკვე განვითარებულ მდგომარეობას გვიხატავენ. მაგრამ ერთი რამე მაინც სრულებით ცხადია: ჯერ კიდევ ქართველ სასულიერო მგოსნებს ქართული ხალხური სიტყვიერების ლექსწყობითა და ენით უსარგებლიათ და შეუთვისებიათ. ჩვენამდისინ მოაღწია ჯერ-ჯერობით მხოლოდ **შავთელის** «აბდულმესია»-მ და ჩახრუხაძის ხოტბებმა, დანარჩენი **«მლექსავები»**-ს თხზულებანი (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი*596,გვ. 365), მათ შორის «იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა», როგორც ეტყობა დიდი ისტორიული პოემა დემეტრე I შესახებ (იქვე,*595, გვ. 364), ჯერ-ჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. «აბდულმესია»-ში, როგორც პროფ. **ნ. მარმა** გამოარკვია, ლექსად აღწერილია დავით აღმაშენებელის ცხოვრება და მოღვაწეობა. თხზულება დაწერილია დიდის მელექსეობითის ხელოვნებით, შედარება და პოეტური სურათები განსაკუთრებით დაბადებითგან აქვს ავტორს ამოღებული და საზოგადოდ ოდნავ საეკლესიო ელფერი გადაჰკრავს, სპარსული გავლენაც ნაკლებად ემჩნევა[655].

ჩახრუხაძის შესხმა ძალიან დამახინჯებული იყო გადამწერთაგან და მხოლოდ მას შემდგომ, რაც პროფ. **ნ. მარმა** დიდის გონებამახვილობით მათი პირვანდელი სახე აღადგინა და თვით ნაწარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო, მარტო ამის შემდგომ ჩახრუხაძის საგულისხმიერო ქმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა. **ნ. მარმა** დაამტკიცა, რომ ჩახრუხაძის თხზულებაში ერთი მთლიანი პოემა კი არ არის შენახული, არამედ რამდენიმე სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა გამარჯვებისა და დღესასწაულის გამო დაწერილი შესხმაა. ჩახრუხაძე სწორუპოვარი მელექსე იყო, მისი ხელოვნება ზოგჯერ თვალთმაქცობასა ჰგავს და ყოველთვის გასაოცარია, მდიდარი და შეუდარებელი სამაგალითო ლექსთწყობა, მშვენიერი მუსიკალური რითმები ამშვენებენ მის რიტორულის მჭევრმეტყველებით დატვირთულს თხზულებებს. ჩახრუხაძის ერთადერთს ნაკლს სწორედ ეს გადამეტებული რიტორული ენაწყლიანობა შეადგენს. ჩახრუხაძე მრავალმხრივ და ღრმად განათლებული მწერალი ყოფილა და მისი თხზულებების ზოგიერთი ადგილების გაგებას ის აძნელებს, რომ მომეტებულს იმ თხზულებათაგანს რომელთა გმირებსაც იგი გაკვრით, თითო-ოროლა სიტყვით იხსენიებს თავის ხოტბებში, ჩვენამდის არ მოუღწევია და ამის გამო არც მათი შინაარსი ვიცით. ჩახრუხაძე კი ქართული განათლებული წრეებისათვისა სწერდა თავის ლექსებს, რომელთაც ყველა ეს თხზულებები წაკითხული ჰქონდათ და თითოეული იქითგან დასახელებული გმირი მათ თვალწინ მთელ სურათს უხატავდა. **მარტო ის გარემოებაც, რომ ქართველ იმდროინდელ საზოგადოებას ჩახრუხაძის თხზულებების გაგება და დაფასება შეეძლო, უტყუარის მჭევრმეტყველებით ამტკიცებს, რადმენად ღრმად განათლებული და უაღრესად განვითარებული ყოფილა იგი[656].**

თამარის მეფობის ქართული პოეზიის მშვენებას მაინც **შოთა რუსთაველის** უკვდავი «ვეფხის-ტყაოსანი»[657] შეადგენს. შოთას სხვა თხზულებებიც ჰქონია, განსაკუთრებით თამარ მეფის ხოტბანი, მაგრამ დიდებულს მგოსანს სახელი მაინც მისმა პოემამ მოუპოვა. თავისი

---

[655] იხ. ნ. მარის საუცხოვო გამოცემა და გამოკვლევა Древнегрузинские одописцы, ТР. IV.

[656] იხ. **ნ. მარის** საუცხოვო გამოკვლევა Древнегрузинские одописци, ТР, IV, გვ. 28—76. განსაკუთრებით 48—51.

[657] იხ. ამ თავის ბოლოში.

ნაწარმოების შესანიშნავს წინასიტყვაობაში რუსთაველს საგულისხმიერო აზრი აქვს გამოთქმული პოეზიისა და სიყვარულის შესახებ. შოთას სიტყვით «**შაირობა** პირველადვე **სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო** საღმრთოდ გასაგონი, **მსმენელთათვის დიდად მარგი»**. მაგრამ მისი გეგმა ყველას არ შეუძლია, საჭიროა რომ თვით მკითხველი ანუ მსმენელი მომზადებული «კაცი ვარგი» იყოს. ლექსი და შაირობა იმიტომაც არის კარგიო, რომ «გრძელი სიტყუა (ესე იგი აზრი) მოკლედ ითქმის». შოთას სიტყვით მოშაირობა სამ დარგად იყოფოდა: ერთს დარგს შეადგენს «ლექსი ცოტაი», პატარა, მოკლე ნაწარმოებნი, რომელთაც «არ ძალუძს სრულქმნა სიტყუათა გულისა გასაგმირეთა»; მეორეს ეკუთვნის «სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად» დაწერილი მსუბუქი პოეზია; «ჩუნ მათიცა გუიამების»-ო, ამბობს დიდებული მგოსანი, თუ კი თავიანთი აზრი გამოსთქვეს «ნათელად»; მესამე და ნამდვილი მოშაირბა არის სიბრძნის სამსახური, როდესაც მელექსეს დიდი პოეტური თხზულებების წერა შეუძლია. «მელექსეთა კარგთა სწორი» ის არის, თავის ლექსს «იტყუის ვინცა გრძელად», როდესაც «მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქუევა» შეუძლია, მაგრამ კი რომ თანაც «არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყუა-მცირობა». ასეთი ჭეშმარიტი მგოსანი, რუსთველის სიტყვით, თავისს ნიჭს და შემოქმედებას «ცუდად არ აბრკმობდეს», არამედ იგი ამასთანავე უნდა მიჯნურიც იყოს ისე, რომ «ერთი უჩნდეს სამიჯნურო» და «ყოვლსა მისთჳს ჴელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს... ყუელას მისთჳს მუსიკობდეს». ამგვარად, შოთას აზრით ნამდვილი ბრძენი პოეტი იმავე დროს მიჯნური უნდა ყოფილიყო, სიყვარულით აღფრთოვანებული. დ აქ შოთა უხსნის მკითხველს, თუ რა არის და როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მიჯნურობა. აკად. **ნ. მარმა თავის შესანიშნავს გამოკვლევაში დაამტკიცა, რომ შოთა რუსთაველი რაინდობისა და რაინდული სიყვარულის მქადაგებელი იყო[658].** შოთა ამბობს სიყვარული არის «ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი». ნამდვილი მიჯნურობისათვის სატრფოს ერთგულება იყო საჭირო, რომ «თავის წინა იგონებდეს ნიადაგმცა» და ჰქონოდა «შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა». მიჯნური უნდა ყოფილიყო სატრფოს ერთგული «ხანიერი» თაყვანისმცემელი, «არ მეძავი ბილწი მრუში», მან უნდა თავის «გულსა ერთი დააჯეროს». ამასთანავე რაინდს მიჯნურს "თვალად სიტურფე ჰმართებს» და «სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა». ყველა ეს თვისებები შეადგენდნენ «მიჯნურთა ზნეობის» აუცილებელს კუთვნილებას. როგორც **ნ. მარმა გამოარკვია**, აქ დასურათებულია რაინდული სიყვარული და **საყურადღებო ის არის, რომ სწორედ ამგვარი თვისებები იყო საჭირო რაინდული სიყვარულისათვის დასავლეთს ევროპაშიც[659]. რაინდული მიჯნურობა ისე, როგორც მას შოთა ჰქადაგებდა, ნამდვილი პლატონური სიყვარული არის, განყენებული, მაღალი და უანგარო** და სწორედ ამგვარი სიყვარული არის დასურათებული თვით პოემაში. როგორც დაამტკიცა **ნ. მარმა**, რაინდული მიჯნურობა და კარგი მოყმეობა, ჭაბუკობა და ძმადნაფიცთა გმირული ქცევა-ზნე არის აღწერილი თვით «ვეფხის-ტყაოსან»-შიაც[660]. შოთა რუსთაველმა, როგორც თვით ავტორი ამბობს, თავისი პოემისათვის აიღო სპარსული ამბავი, რომელიც «ქართულად ნათარგმანები» ყოფილა.

ეტყობა ეს ამბავი დიდის ხნის ნათარგმნი ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პოემაში სპარსული საკუთარი სახელები დამახინჯებული ყოფილა და თვით რუსთაველსაც ამ სახით სცოდნია ეს სახელები. შოთას შეიძლება მისი მთარგმნელის ვინაობა, მაინცა-და-მაინც თვით სპარსული დედანი არც კი სცოდნოდა და იგი ამბობს ეს ნათარგმნი ამბავი

---

[658] Вступительные и заключительные строфи вирязя в барсовой коже Шоты из Рустава, ТР, IV.

[659]Вступительные и заключительные строфи вирязя в барсовой коже Шоты из Рустава, ТР, IV. გვ. VIII.

[660] იქვე, გვ. VIII—XXXVII.

«ვპოვე»-ო რუსთველს მოსწონდა ეს ამბავი და «ობოლ მარგალიტად» სთვლიდა, მაგრამ თავისი თხზულების ღირსებისათვის ეს დამამცირებელ გარემოებად არ მიაჩნდა იმიტომ, რომ თავისი თხზულების მაღალ ღირსებას კარგადა ჰგრძნობდა აკად. **ნ. მარმა** თავის ზემოაღნიშნულს შესანიშნავს შრომაში-დაგვანახვა, თუ რა შინაარსი მისცა შოთამ თავის პოემას, რომ იგი მაღალი პლატონური, რაინდული სიყვარულისა და ქალის თაყვანისცემის მქადაგებლად გამოვიდა.

უეჭველია აგრეთვე რუსთაველს შემთხვევით არ ექმნება თავისი ქმნილების არაკად ისეთი ამბავი აღებული, სადაც მოთხრობილია, რომ **«სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული»** და სადაც შეიძლებოდა ნათქვამი ყოფილიყო და შოთამ სთქვა კიდეც **«ლეკური ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხუადია»-ო** XII საუკ., როდესაც საქართველოს სამეფო ტახტზეც გიორგი III მხოლოდ შობილი ასული დიდებული თამარი იჯდა, «ვეფხის-ტყაოსანი»-ს ეს გარემოება ყოველი ქართველის გულს მოჰხვდებოდა[661].

რაკი გამოირკვა, რომ დიდებული შოთა ქალის თაყვანისცემისა და რაინდული სიყვარულის მქადაგებელი იყო, საკითხი უნებლიედ იბადება, თუ როგორ და რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ამგვარი მოძღვრება. ცხადია რასაკვირველია, რომ ქალის სიყვარული «ტურფა» და მაღალ სათნოებად ყოფილიყო აღიარებული, ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართველოში ყმაწვილ ვაჟს უფლება ჰქონოდა თავისი გულის სატრფო საცოლოდ თითონ აერჩია, რომ ძლიერი საცოლქმრო სიყვარული არსებულიყო. სადაც ეს ჯერ არ არსებობდა, რასაკვირველია, იქ შეუძლებელია თავისუფალს მიჯნურობას თავისთვის გზა გაეკაფა, ჩვენ ეხლა შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საქართველოში ერთიცა და მეორეც უკვე IX საუკ. არსებობდა: აი მაგ. მთავარი გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც თავისი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდგომ **«სხჳსა მეუღლისა შეერთებაჲ არღა ოდეს თავს იდვა»** და სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩა; ან თუნდა გიორგი მთაწმიდელის მამა, რომელიც ქალის სილამაზით და სათნოებით მოხიბლული თავისთვის საცოლოს თავისუფლად ირჩევს[662].. ამგვარ ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო შოთა რუსთაველის ქადაგებაც ქალის თაყვანისცემისა და მიჯნურობაზე. ქალ-ვაჟის სწორ-უფლებიანობის ის აზრი, რომელიც შოთა რუსთაველის უკვდავს თხზულებაში არის გამოთქმული, მეტად დამახასიათებელია XII საუკ. ქართული აზროვნების მაღალ-განვითარებისათვის. მაგრამ ის არის საყურადღებო, რომ ქალთა სწორუფლებიანობის აზრი ქართულს მწერლობაში წინათაც ტრიალებდა; უკვე წ᾽ა ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, ქართველთა განმანათლებელს თვით ღვთაებისაგან მოევლინა ზეციერი მოციქული, რომელმაც ათ მცნებასავით დაწერილი «წიგნი» მისცა; იქ სხვათა შორის ნათქვამი იყო: **«არცა მამა-კაცებაჲ, არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ»-ო[663].** ხოლო ქართულს არქიჰიერატიკონში სწერია: **«წმიდა და ერთსწორ ჰყავი მამაკაცი და დედაკაცი, ვითარცა სათნო გინდა შენ არა ხოლო თუ მამათა, არამედ დედათაცა მოეც მადლი სულისა შენისა წმიდისა»-ო[664].**

მეთორმეტე საუკუნეში ხომ ზოგიერთი ქალები, როგორც მაგ. ხუაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი, საქართველოში სახელმწიფო საქმეებშიც კი მონაწილეობას იღებდნენ და ეს მონაწილეობა უშედეგო და უნაყოფო არ ყოფილა. პირიქით, ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი საგულისხმიერო ცნობა, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ ქალთა გავლენას მამაკაცთა

---

[661] ლაშა-გიორგიმ სიკვდილის წინ წარჩინებულთ უთხრაო:... «ნათქვამი არის ძველითა» ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ჴვადია. და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედაც ითქვა. აწ მე მოგაჴსენებ დასა ჩემსა რუსუდანს»... (ფ. გორგიჯანიძე) **MSC**. Georg., № 6, გვ. 101).

[662] იხ. ჩემი «ქ᾽ლ სამართლის ისტორია», I.

[663] ჭელიშისეული წ᾽ა ნინოს ც ა, იხ. **ე. თაყაიშვილის** Опкс., рук. общ. распр. грамот., წ. II, გვ. 749.

[664] არქიჰიერატიკონი, **კ. კეკელიძის** გამოცემა, გვ. ჟ ᲬᲔ.

მკაცრი მოქმედება მოურბილებია და კეთილშობილური იერი მიუცია. არაბი მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1162 წ., როდესაც ქართველებმა დვინში გაიმარჯვეს და ძლევამოსილნი ნადავლითა და ტყვეებით დატვირთულნი შინ ბრუნდებოდნენ, მაჰმადიანი ტყვე მამაკაცები სააუგოდ სულ მთლად გააშიშვლეს და ისე წამოასხესო; მაგრამ ქართველმა ქალებმა ეს შეიტყეს თუ არა, მაშინვე თავიანთ ქმრებს ეს საქციელი დაუწუნეს და უსაყვედურეს, რომ ისინი მაჰმადიანთ ასეთ ცუდს მაგალითს აძლევენ, რომელიც მათ შეიძლება ქართველებზე გამოიყენონ და ამ საქციელით ქართველ ქალთაც სირცხვილი აჭამონო. **იბნ ალასირის** სიტყვით, ქართველებმა ქალების ამ საყვედურის შემდგომ ტყვეებს თავიანთი ტანისამოსი დაუბრუნეს და ჩააცვეს[665]. ქართველმა ქალებმა, მაშასადამე, ის მაღალლმობიერება და სიბრალული გამოიჩინეს, რომელიც ასე საგრძნობელი და საჭიროა ომიანობის საშინელს სიმკაცრის დროს.

ამ მოკლე და მკრთალ საზოგადო მიმოხილვითგანაც, რომლის დაწერაც ჩვენ შევძელით საქართველოს კულტურული მდგომარეობის შესახებ XII საუკ., მგონია ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველო მაშინ მარტო სამხედრო უძლეველობით კი არ ყოფილა მოსილი, არამედ კულტურულადაც ძლიერი იყო და აყვავებული ცხოვრება, მდიდარი და მრავალმხრივი მწერლობა და დაწინაურებული ხელოვნება ამშვენებდა[666]!..

---

[665] დეფრემერი, **Frag.,** გვ. 500.

[666] ბ.ს. კაკაბაძე თავის «ვეფხის-ტყაოსანი»-ს გამოცემაში შოთა რუსთაველის დროის შესახებ ძველი შეხედულების დარღვევას ლამობდა და ამტკიცებდა, რომ დიდებული მგოსანი XV საუკ. ცხოვრობდა (იხ. გვ. 50). ის ვითომცდა საისტორიო საბუთები, რომელიც ხუხულასავით აგებული აქვს ავტორს, უმეტეს შემთხვევაში სრულებით საძიებელს საგანს არ ეხება და უმთავრესად «ვეფხის-ტყაოსნის»-ს ყალბ ხანებზე არის დამყარებული, რომელთაც არავითარი ღირსება არა აქვთ, როგორც მაგ. ტაეპი, სადაც საბრალო ყალბისმქნელს ყველაფერი (ავტორი და მისი თხზულება) ერთიერთმანერთში აურევია,

« ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა,

* * * * *

ტარიელ მისსა რუსთველსა მისთუის ცრემლ-დაუშრომელსა»

(იხ. გვ. 37).

საითგანაც ისე გამოდის, თითქოს ამირან დარეჯანის ძე ავტორის სახელი და გვარი ყოფილიყოს, მოსე ხონელი კი მის თხზულების გმირი, და ტარიელი ავტორი, ხოლო რუსთაველი მის თხზულების გმირი ყოფილიყოს! სრულებით გამოუცდელ მკითხველისათვისაც კი ცხადი იქმნება, რომ ს. კაკაბაძეს ისტორიულ საბუთებს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მათ შესახებ ლაპარაკიც კი საჭირო არ არის, მისმა მეორენაირმა საბუთიანობამ კი შეიძლება ბევრი მკითხველი შეაფიქრიანოს, ამიტომ სწორედ მათის ღირსების განხილვას უნდა შევუდგეთ, მაგრამ ვიდრე ამ საგანს მივყოფდეთ ხელს, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ს. კაკაბაძეს ზოგჯერ თავის წყაროს შინაარსი სწორად ვერ გაუგია და ამ თავის გაუგებრობაზე ამყარებს იმ დასკვნას, რომელიც მას შეურყევლად მიაჩნია. სხვათა შორის, თავისი აზრის დასამოწმებლად, რომ «შოთა არ შეიძლება თამარ მეფის დროის მწერალი იყოს» (გვ. 31), მას მოჰყავს არჩილ მეფის თხზულებითგან მეფე თეიმურაზის შემდეგი სიტყვები:

«მეფე — ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ-თქმასა,
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?!
ვეჭვ მას დარჩეს პირველობა...
თორემ ვკითხოთ ქორანიკონს»…

ამაზე ს. კაკაბაძე დასძენს: «აქ არჩილ მეფე გადმოგვცემს ცნობას იმის შესახებ, რომ ჩახრუხაძე «ქორანიკონით» შოთაზე უფრო ადრინდელი მწერალი ყოფილა»-ო და შემდეგ ამტკიცებს, მაშასადამე, შოთა თამარის თანამედროვე არ იქმნებოდაო (გვ. 31). ნამდვილად კი ზემომოყვანილითგან არას გზით ამგვარი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება: იქ ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, თუ პირველად ვინა სთქვა ლექსი და რუსთველის სიტყვებზე «მე ვარ ძირი ლექსის თქმისა მელექსენი ჩემზედ შენობს»-ო, არჩილი უპასუხებს, არა, ჩახრუხაძემ შენზე უწინ არ თქვა», მაშასადამე, «პირველ-თქმასა» ტყვილად იჩემებო. ამგვარად, აქ ცხოვრებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე — პირველად ვინა თქვა. ჩახრუხაძესა და რუსთაველს არჩილი — თეიმურაზი ერთიერთმანერთისა და თამარის თანამედროვედა სთვლიდნენ, მხოლოდ ამტკიცებენ, რომ ჩახრუხაძემ ლექსი შოთაზე «უწინა» სთქვა

და მელექსეობის პირველობა მას ეკუთვნის. თავისი აზრის დასასაბუთებლად არჩილი «ქორანიკონს» ასახელებს, რასაკვირველია, ჩახრუხაძის და შოთას მხოლოდ თხზულებათა დაწერის თარიღებს და არა დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ცნობებს! მაშასადამე, ბ. კაკაბაძეს თითონ ვერ გაუგია არჩილის სიტყვები და თავის შეცთომას თავზე ახვევს. რაკი პოემის სხვა ადგილას არჩილ მეფეს ნათლადა აქვს ნათქვამი, რომ შოთა თამარის თანამედროვე იყო, ამიტომ ამ თავისი თეორიის გამაბათილებელი გარემოების გასაქარწყლებლად ბ. კაკაბაძე იძულებული იყო ეთქვა, რომ XV II საუკუნეში კიდევ ყოფილა ბუნდოვნად ცნობა დარჩენილი იმის შესახებ, რომ შოთას თამარ მეფის შემდეგ უნდა ეცხოვრა, მაგრამ მხოლოდ ბუნდოვნად, ვინაიდგან თვით არჩილი იმავე «გაბაასების» სხვა ადგილას შოთას სთვლის თამარ მეფის თანამედროვედ»-ო (გვ. 31). ბ. კაკაბაძე რომ არჩილის სიტყვებს კარგად ჩაჰკვირვებოდა, დაინახავდა, რომ იქ ბუნდოვანი არაფერია და სრულებით ნათელია, რომ არჩილს შოთა რუსთაველი მხოლოდ თამარის თანამედროვედ მიაჩნია.

ახლა დავუბრუნდეთ ბ. კაკაბაძის სხვაგვარ საბუთებს, რადგან სწორედ აქ არის შეგროვილი ისეთი მოსაზრებანი, რომელნიც შეიძლება ბევრს შეურყევლად ეჩვენოს. «ყოველდღიური ცხოვრების ნორმების განხილვითაც» ბ. კაკაბაძეს ჰსურს დაამტკიცოს თავისი აზრი რომ «ვეფხის-ტყაოსანი» XV საუკ. ნაწარმოებია და არა XII საუკ. შემდეგ იგი აკვირდება ჯდომის წესს შოთას თხზულებაში და არკვევს, რომ «ვეფხის-ტყაოსანის» გმირნი ჯდებიან «სკამზე» და «ბალიშზე» (გვ. 51). მერე ბ. კაკაბაძე «ამირან-დარეჯანიანს» და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებას აკვირდება ამ მხრივ და შემდეგ ამბობს: »ამ ადგილებიდან ცხადად ჩანს, რომ XII ს. დასასრულ საქართველოში ჯდებოდნენ სელზე, სასახლეში ოქროჭედილ სელზე... »ამირან-დარეჯანიანის» გმირნიც სხედან ოქროჭედილ სელებზე ანდა ოქროქსოვილ საჯდომზე... »ვეფხის-ტყაოსნის» გმირთა ჯდომის წესი მიეკუთვნება შემდეგდროინდელ ხანას... »ვეფხის-ტყაოსანში» მოხსენებული «სკამი» XIII საუკ. დასასრულს და XIV ს. დასაწყისს... ამგვარად «ვეფხის-ტყაოსანში» სკამის მოხსენება ცხადად გვიჩვენებს პოემის წარმოშობას შემდეგ XII საუკუნისა»-ო (გვ. 52). ყოფა-ცხოვრების, ანუ რეალიების აღწერილობის მიხედვით დროის განსაზღვრა მკვეთრ სამეცნიერო მეთოდად მხოლოდ მაშინ გამოდგება, როდესაც ხელოვნებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების ისტორია კარგად არის შესწავლილი, თორემ ეს მეთოდი შეიძლება იმ მკვეთრ სამართებლად იქცეს, რომელიც თვით მკვლევარს ყელს გამოსჭრის. როგორც ბ. კაკაბაძის წიგნითგანა ჩანს, მას ქართული რეალიების შესახებ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია და არც გასაკვირველია, თუ რომ ეს მეთოდი მხოლოდ ავტორის უცოდინარობას ამტკიცებს. ბ. კაკაბაძეს ისე ჰგონია, თითქოს «სკამი, საქართველოში და ქართულს მწერლობაში პირველად XIII—XIV საუკ. შემოსულიყოს, მაგრამ დიდად შემცდარი არის. მას რომ მთელი ქართველი მწერლობა გადაკითხული და ამ მხრივ შესწავლილი ჰქონდეს, რასაკვირველია, ეცოდინებოდა, რომ «სკამი» XIII—XIV საუკ. კი არ შემოვიდა, არამედ ამაზე წინათაც დიდი ხანი არსებოდა ქართულს მწერლობაში, უკვე XI საუკ. იგი ჩვეულებრივი სიტყვაა და გიორგი მთაწმიდელი ხმარობს თავის თხზულებაში; თვით თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს «სკამი» ერთხელ ნახმარი; მ´მ დ´ფს ქ´ცა-ში იმ ადგილას შეცდომაა, რომელიც უეჭველია გადამწერს მოსვლია ქარაგმის გახსნის დროს, იქ სწერია, თამარ მეფემ სიზმარში ნახა, რომ სამოთხეში იდგა «შესწორებული საყდრები და სარკმელები პატიოსნად შემკული... იხილა ესე საჯდომები» და საუკეთესოზე დაჯდომა მოიწადინაო (*684, გვ. 478—479); ცხადია აქ დედანში წერებულა «სკამები», ს´კმები და გადამწერს ქარაგმის გახსნის დროს «სარკმელებად» წაუკითხავს და უგუნურება ჩაუდენია, ამას გარდა მას ისიც ეცოდინებოდა, რომ სელი და სკამი ერთი-და-იგივე არ არის, არამედ თითოეულს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ამის შესახებ საბუთები და ცნობები შეკრებილი მაქვს ჩემს «ქ´ლ ხელოვნების ისტორიაში»). მაშასადამე, ბ. კაკაბაძის მთელს მსჯელობას ამის თაობაზე არავითარი ფასი არა აქვს, იგივე შეიძლება ითქვას ბ. კაკაბაძის დანარჩენ საბუთებზეც მაგ. მოლარის შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ «ეს ტერმინი უდრის მეჭურჭლეს. შოთამ იცის ტერმინი საჭურჭლე, ჭურჭელნი, მაგრამ არ იცის მეჭურჭლე, მაშინ როდესაც «ამირან-დარეჯანიანში» პირიქით მოლარე უცნობია და იხმარება მეჭურჭლე, მოლარე მეჭურჭლის მაგივრად საქართველოში შემოდის დაახლოვებით XIII საუკუნიდან... ეს გარემოება ერთხელ კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ «ვეფხის-ტყაოსანი» XIII საუკუნეზე ადრინდელ დროს არ ეკუთვნის და დიდ თამარ მეფის შემდეგ არის დაწერილი»-ო (გვ. 54). აქაც ავტორს დიდი და ამასთანავე მოუტევებელი შეცდომა მოსდის. თავისი ნაწერი რომ ზეპირად არ შეეთხზა და სხვათა აზრისათვისაც ყურადღება მიექცია და, თუ თვით საბუთები შესწავლილი არა აქვს, ჩემს გამოკვლევაში «საქ´ლოს ეკონომიური ისტორია»-ში I, 46 ჩაეხედნა, იქითგან მაინც ეცოდინებოდა, რომ «მოლარე» საქართველოში XIII საუკ. კი არ შემოდის პირველად, არამედ უკვე X საუკ. იხმარებოდა. ამას გარდა, როდესაც ჩემი «ქ´ლ სამართლის ისტორია» გამოვა, ბ. კაკაბაძე დარწმუნდება, რომ მოლარე და მეჭურჭლე სრულებით ერთი-და-იგივე არ არის, როგორც იგი თავის წიგნში ამტკიცებს.

დამატებანი

დამატება პირველი

<u>მოკლე მიმოხილვა XI—XII სს. ისტორიისა</u>

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და კულტურული გაძლიერების ხანა

ბაგრატ III (975, 980 -1014) და საქართველოს საბოლოო გაერთიანება

ქართველთა სამეფოებს შორის X საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა ეგრეთწოდებულ აფხაზთა მეფის, დასავლეთ საქართველოს მფლობელის გამარჯვებით დამთავრდა: მან აგრეთვე აღმოსავლეთ

დაუსაბუთებელი და ზერელე მსჯელობა სხვა შემთხვევებშიც ბ. კაკაბაძის საბუთებს ფასს და მნიშვნელობას უკარგავს, მას მაგ., ჰგონია, რომ სიტყვა «ხანი» მას უფლებას აძლევდეს შემდეგს დასკვნას დაადგეს, რომ «ვეფხის-ტყაოსანი» ყოველ შემთხვევაში თათრების ეპოქას არ წინაუსწრობს, «ეს ჩანს სხვათა შორის სხვადასხვა თურქულ-თათრულ სიტყვებისაგან, რომელიც ჩვენში მხოლოდ XIII საუკ. მეორე ნახევრიდან ხდება ცნობილი. ასეთია, მაგალითად, ტერმინი ხანი: 387[2] «რამაზის კაცი მემთხვია ვინ ხატაეთის ხანია» (გვ. 55). ბ. კაკაბაძეს რომ დაემტკიცებინა, რომ «ვეფხის ტყაოსან»-ში ხანი ჩვეულებრივი სიტყვა არის, კიდევ შეიძლებოდა ამ გარემოებას დიდი საბუთის მნიშვნელობა მიჰნიჭებოდა, მაგრამ მან იცის, რომ ეს სიტყვა ამ თხზულებაში ერთხელ მეტად ნახმარი არ არის; ამიტომ მას უნდა კარგად მოეფიქრა და მიმხვდარიყო, რომ აქ მსჯელობის დროს განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო. შოთას სიტყვებს რომ ჩაჰკვირვებოდა და თვით სიტყვა «ხანი»-ს სხვადასხვა მნიშვნელობა რომ სცოდნოდა ბ. კაკაბაძეს, მაშინ უეჭველია თავითგან აიცდენდა ამ შეცდომასაც, ამ შემთხვევაში ხანი სრულებით თანამდებობას არა ჰნიშნავს, არამედ მხოლოდ თურქს. პროფ. **ნ. მარის** გამოკვლევითგან ბ. კაკაბაძემ უნდა იცოდეს, რომ სიტყვა «ხანი» «ამირან-დარეჯანიან»-ში ჩვეულებრივ თურქის აღსანიშნავად იხმარება (იხ. Древнегруз. одописцы, TP, IV, გვ. 32, შენ. 4). აქაც შოთას ქმნილებაშიც ხატაეთის თურქზეა ლაპარაკი, რომლისათვისაც ხატაეთის მეფეს ვითარცა მოციქულისათვის, წერილი გაუტანებია. თვით ხატაეთის მბრძანებელი ხანად კი არა, მეფედ არის წოდებული. მაგრამ თუნდ რომ წარმოვიდგინოთ კიდეთ, რომ აქ ხანი მმართველსა ნიშნავს და არა თურქს, მაშინაც ქრონოლოგიურ საბუთად ბ. კაკაბაძეს ეს სიტყვა ვერ გამოადგებოდა იმიტომ, რომ მერე ვითარცა განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი სამოხელეო ტერმინი, სიტყვა ხანი კანტი-კუნტად მონღოლებზე წინათაც იხმარებოდა, მაგ. თურქისტანში XI—XII საუკ. ცნობილნი იყვნენ «ილეკ-ხანები» (**იხ. ლენპული,** Мусульм династии, გვ. 110-112).

ზემომოყვანილი მაგალითებითგან მგონია ნათელი უნდა იყოს, რომ ბ. კაკაბაძემ ვერ შესძლო იმის დასაბუთება, რის დამტკიცებაც ჰსურდა. «ვეფხის-ტყაოსანი», რასაკვირველია, დიდებულ თამარ მეფის ხანას ეკუთვნის; მხოლოდ ამ დროს შესაძლებელი იყო რომ წარმოშობილიყო ეგოდენ მაღალის აზრებითა და გრძნობით გამსჭვალული, ხელოვნების უმწვერვალეს განვითარების გამომხატველი და უკვდავი პოეტური ქმნილება. ვისაც თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება გულდასმით გადაუკითხავს, ის უეჭველია შეამჩნევდა, რომ თვით ეს საისტორიო თხზულებაც კი გამსჭვალულია იმ აზრებით სიყვარულზე და ჭაბუკობაზე, რომლის უებრო მგოსნადაც შოთა ყოფილა, იმდენად ძლიერი და საყოველთაო ყოფილა მაშინ ეს ორი საკითხი. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი დრო და გამოკვლევა არის საჭირო, სანამ «ვეფხის-ტყაოსანი» ღირსეულად და სასურველის სისრულით იქმნება შესწავლილი, და ყველასათვის ცხადია ამ შესწავლის დროს თავისუფალი მსჯელობის სრული უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, მაგრამ ამასთანავე თითოეულს მკვლევარს და მეტადრე ბ. კაკაბაძეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სამეცნიერო მუშაობაში თავი-და-თავი მსჯელობის საბუთიანობა და შესაფერისი სიდინჯე არის საჭირო!

საქართველოს, ქართლის თემის, უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდება შესძლო. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზთა სამეფო ტახტზე უსინათლო თევდოსი ავიდა პოლიტიკური საქმეების სრული არევდარევის გამო, დიდგვარიან აზნაურებმაც-კი შეიგნეს, რომ სუსტი მმართველი ქვეყანას უბედურების მეტს არაფერს უქადდა. ამიტომ, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის **იოანე მარუშის ძის** თაოსნობით, მათ მიმართეს ტაოს თემის იმდროინდელს განთქმულ მბრძანებელს დავით დიდ კურაპალატს თხოვნით, რომ ან მას საქართველოს მართვა-გამგეობის ტვირთი თვითონ ეკისრა, ან არა და აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ტახტზე თავის მახლობელი ნათესავი, შვილობილი ბაგრატ მესამე, დაესვა.

დავით დიდი კურაპალატი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო: მისი სამფლობელოს მთავარ ნაწილს ტაო შეადგენდა, მაგრამ მას სხვა მიწებიც ეკუთვნოდა. მაგრამ დავით კურაპალატმა პირადად ასეთი მოვალეობის თავის თავზე აღება არ მოინდომა, არამედ დათანხმდა, რომ სამეფო ტახტზე ბაგრატ მესამე დაესვა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს საქართველოს გააერთიანებდა: 974—975 წელს დავით დიდი კურაპალატი თავისი ჯარით ქართლში მოვიდა და თან ბაგრატ მესამეც მოიყვანა. ხოლო რაკი ის იმ დროს ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ იყო და თვითონ ქვეყნის მართვა-გამგეობა არ შეეძლო, ამიტომ მას მზრუნველად მისივე მამა გურგენი დაუნიშნა.

იოანე მარუშის ძის პოლიტიკური გეგმა იმაზე იყო დამყარებული, რომ ბაგრატ III მამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედის მხრით-კი ის «აფხაზთა მეფეების» მემკვიდრედ ითვლებოდა. უსინათლო მეფე თევდოსის-კი შთამომავლობა არა ჰყავდა და, ამგვარად, ერთადერთი პირი, რომელსაც იურიდიულადაც უფლება ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს სამეფოები გაეერთიანებინა, მართლაც მხოლოდ ბაგრატ მესამე იყო.

თვით ბაგრატ მესამის, მისი დედისა და მამის საჯდომ ქალაქად იმ დროს **უფლისციხე** იყო. უსინათლო თევდოსი, რომელიც ამის შემდგომაც მეფობის მოვალეობის ასრულებას ისევე განაგრძობდა, დიდგვარიან აზნაურთა სათამაშო ბურთად იქცა: ქვეყანა იმდენად აირია, რომ სახელმწიფო საქმეების წესიერად მართვა-გამგეობა სრულებით შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ აფხაზეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა სთხოვეს ბაგრატ III -ს, აფხაზეთში გადასულიყო და აქაური საქმეების მოწესრიგებაც მასვე ეკისრა. 978 წ. მართლაც ის დასავლეთ საქართველოში მივიდა, თავისი უსინათლო ბიძა მეფე თევდოსი თავის პაპა დავით დიდ კურაპალატთან გაგზავნა, დედა-კი აღმოსავლეთ საქართველოში, უფლისციხეში, დასტოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების განსაგებლად. მაგრამ მხოლოდ 980 წლის შემდეგ, როდესაც ის სრულწლოვანი შეიქნა, მას საშუალება ჰქონდა მთლიანად მეფური მოვალეობის ასრულებას შესდგომოდა.

სანამ ქვეყანაში უწესობა მძვინვარებდა, დიდგვარიანი აზნაურები მოწადინებული იყვნენ, რომ ძლიერ ხელისუფლებას საქართველოში წესიერება დაემყარებინა, მაგრამ, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ბაგრატ მესამე იმდენად მტკიცე ნებისყოფის პიროვნება აღმოჩნდა, რომ მათ თვითნებურ მოქმედებას უმალ საზღვარს უდებდა, მაშინ-კი ამ დიდგვარიან

აზნაურთ თავიანთი მოქმედების წინანდელი თავისუფლება ისევ მოენატრათ და პრივილეგიების დათმობა უკვე აღარ სურდათ. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მესამემ საქმეების მოსაწესრიგებლად აღმოსავლეთ საქართველოში მოინდომა გადმოსვლა, ქართლის დიდგვარიანი აზნაურები მას საზღვარზე დაუხვდნენ, რომ მისთვის გზა შეეკრათ და აღმოსავლეთ საქართველოში აღარ გადმოეშვათ. ქართველი დიდგვარიანი აზნაურები უმეფობის ხანაში თვითნებურ მოქმედებასა და თავისუფლებას იმდენად იყვნენ მიჩვეულნი, რომ მათთვის პარპაშის უწინდელი შესაძლებლობის შეზღუდვა, რასაკვირველია, ძალიან უსიამოვნო იყო და ის საქციელიც, რომელსაც მათ მიჰმართეს , სწორედ ამითვე აიხსნება.

ბაგრატ მესამე ისეთი ადამიანი არ იყო, რომ ამნაირი დაბრკოლების წინაშე უკან დაეხია: ის მაშინვე თავის ჯარითურთ დაიძრა, დიდგვარიან აზნაურებს შეებრძოლა, დაამარცხა ისინი, ქართლში გადმოვიდა და ქალაქ უფლისციხიდან თავისი დედა გამოიყვანა და იმ დროიდან მოყოლებული ქვეყნის მართვა-გამგეობას ქართლშიც უკვე თვითონ შეუდგა. ამრიგად, აფხაზეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს, და აღმოსავლეთ საქართველოს შუაგულის, ქართლის, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის გაერთიანება ამიერითგან ბაგრატ III-ს უკვე მთლიანად განხორციელებული ჰქონდა.

მხოლოდ ქართლში იყო კიდევ ერთი უძლიერესი ფეოდალი, ეგრეთწოდებული კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი დარჩენილი, რომლის სამფლობელო თრიალეთიდან მოყოლებული მანგლისის ხეობამდე იყო გადაჭიმული: თრიალეთი, ატენის, სკვირეთისა და მანგლისის ხეობანი მის საგამგეოს წარმოადგენდა. კლდეკარის ერისთავმა რომ იგრძნო ის განსაცდელი, რომელიც მას ბაგრატ III-საგან მოელოდა, მაშინვე ისეთ საშუალებას მიჰმართა, რომელიც, მისი წარმოდგენით, მას ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებდა. დავით დიდ კურაპალატს ჩააგონა, ვითომ ბაგრატ მესამე სწორედ პირადად მასთან საბრძოლველად ემზადებოდა. დავით კურაპალატმა ეს ამბავი დაიჯერა და თვითონაც ჯარშეყრილი ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა იმ დროს, როდესაც ბაგრატი კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად მოდიოდა. ამით უკვე მდგომარეობა იმდენად გართულებულა, რომ შესაძლებელი იყო ნაშვილიშვილებსა და პაპას შორის შეტაკება მომხდარიყო, მაგრამ ბაგრატ მესამემ ბრძნული წინდახედულებით სისხლის ღვრა თავიდან აიცილა: ის მარტოდმარტო წარუდგა დავით კურაპალატს და საქმის ნამდვილი ვითარება, თავისი შეიარაღების მიზეზი, მოახსენა. მან განუმარტა, რომ მის ერთადერთ მიზანს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის თვითნებობის ალაგმვა წარმოადგენდა. მაშინ დავით კურაპალატმა შვილობილს დაუჯერა. ურჩ მოხელეზე მიანება და დასახული ამოცანის შესრულებისათვის სრული საშუალება მისცა. ამგვარად, 989 წელს ბაგრატ მესამემ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის დამორჩილებაც შესძლო.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა, დავით კურაპალატის სამფლობელოს, ტაოს, რომელიც ქართველ ტომთა მოსახლეობის განფენილობის უკიდურეს სამხერეთ-დასავლეთ სანაპიროს წარმოადგენდა, თავისთავად ცხადია, საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით კურაპალატს იმედი ჰქონდა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ ეს მისი საბრძანებელიც საქართველოს შეუერთდებოდა. ბაგრატ მესამე,

ვითარცა მისი შვილობილი, მისი მფლობელი გახდებოდა. მაგრამ, გაიგო თუ არა ბიზანტიის კეისარმა ბასილ II ბულგართ-მმუსვრელმა დავით კურაპალატის სიკვდილის ამბავი, მაშინვე მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ტაოსკენ წამოვიდა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთ პოლიტიკურ წადილს მიაღწევდნენ და დავით კურაპალატის მემკვიდრეობას მიიღებდნენ. ამიტომაც ბიზანტიის კეისარს საზღვარზე დახვდნენ და მიესალმნენ.

თუმცა ბასილმა ორივენი პატივისცემით მიიღო, მაგრამ, ვერაგული განზრახვით, ბაგრატ მესამეს **კურაპალატობის** წოდებულობა მიანიჭა, მის მამას გურგენ მეფეს-კი, დასამცირებლად და მამაშვილს შორის უსიამოვნების ჩამოსაგდებად, ბიზანტიის უფრო დაბალი საკარისკაცო წოდებულობა, **მაგისტროსობა** მისცა. ბიზანტიის კეისარს იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით ის მამაშვილს შორის ისეთს შუღლს ჩამოაგდებდა, რომელიც თავის მიზნის მიღწევას გაუადვილებდა. ბიზანტიის კეისრის მიზანი-კი იმაში მდგომარეობდა, რომ თავის სამფლობელოებისათვის საქართველოს თემებიც შეეერთებინა. რაკი საქართველოს პოლიტიკური მისწრაფებანი და ბიზანტიის პოლიტიკური გეგმა ერთიერთმანეთს ძირითადად ეწინააღმდეგებოდნენ, თუ არა შებრძოლებით, სხვა არავითარი საშუალებით ამ ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო წადილის მოგვარება არ შეიძლებოდა. ამიტომაც ამ მემკვიდრეობის გამო საქართველოს და ბიზანტიას შორის შემდეგშიც კარგა ხნის განმავლობაში იყო კიდევ ბრძოლა.

1008 წელს ბაგრატ მესამის მამა, **გურგენ მეფე**, გარდაიცვალა, მის უშუალო გამგებლობაში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ე. ი. შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი იმყოფებოდა. ამიერიდან ბაგრატ მესამე საქართველოს ამ ნაწილის უშუალო გამგედაც იქცა.

რაკი სამხრეთის ამ თემების შემოერთებაც უკვე განხორციელებული ჰქონდა, ერთადერთი თემიღა დარჩა, რომლის ხელში ჩაგდებაც ბაგრატ III-ს საშუალებას მისცემდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ტომობრივი განფენილობის აღმოსავლეთის კიდემდე მიეყვანა: კახეთ-ჰერეთი იმ დროს ისევ ცალკე სამეფოს წარმოადგენდა. ბაგრატ მესამე 1010 წლის ახლო ხანში ჯარითურთ კახეთს შეესია, მისი მეფე დაიჭირა, აფხაზეთში წაიყვანა, თვით ჰერეთსა და კახეთში-კი თავისი მოხელე აზნაურები ჩააყენა. ამგვარად, კახეთიცა და ჰერეთიც უკვე შემოერთებული იყო. საქართველოს კიდევ მხოლოდ თბილისის საამიროღა აკლდა, მაგრამ მისი დაპყრობისათვის ჯერ კიდევ შესაფერისი პოლიტიკური პირობები არ იყო.

მართალია, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთს კუთხეშიც, კლარჯეთშიც, ადგილობრივი მთავრების წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყვნენ, სახელდობრ, ე. წ. «კლარჯთა ხელმწიფენი» სუმბატ და გურგენი, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, მაგრამ რაკი ბაგრატ მესამეს კარგად ესმოდა, რომ, სანამ საქართველოს თითოეულ თემში მმართველთა ცალ-ცალკე წარმომადგენლები იქნებოდნენ, გინდ იბოგინებდნენ, საქართველოს საბოლოო პოლიტიკური გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ 1011 — 12 წ. მან კლარჯთა ეს ხელმწიფენი, სუმბატ და გურგენი ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, ფანასკერტის ციხეში მიიწვია, და იქვე დააჭერინა. ორივე სიკვდილამდე მას ციხეში ჰყავდა, სამფლობელო-კი ჩამოართვა.

ამგვარად, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმის უდიდესი ნაწილი უკვე განხორციელებული იყო. მხოლოდ განძის ამირა **ფადლონი** არ აძლევდა საქართველოს მოსვენებას: დროგამოშვებით ის კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შემოესეოდა და აოხრებდა ხოლმე. ამიტომ ბაგრატ მესამემ მისი სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა: 1011 — 12 წ. მან ფადლონის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ წინასწარ სომეხთა მეფეს გაგიკს მიჰმართა, რომ ამ ლაშქრობაში მასაც მიეღო მონაწილეობა. სომეხთა მეფე გაგიკი თვითონაც იყო მოწადინებული, რადგან არც სომხეთს ჰქონდა მისგან მოსვენება. ბაგრატ მესამე და გაგიკი შეერთებული ძალით ფადლონის სამფლობელოს, რანს, შეესივნენ, ქალაქს, შანქორს, მიადგნენ, ეს ქალაქი აიღეს და თვით ფადლონი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა და ზავი ეთხოვა. ბაგრატ მესამე თავის სამხედრო საბჭოს შეეკითხა, მიეღო თუ არა ეს წინადადება და, დასტურის შემდეგ, ფადლონთან ზავი შეჰკრა: ფადლონმა სრული მორჩილება და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრა.

ამრიგად, არამც თუ ბაგრატ მესამემ თბილისის საამიროს გარდა მთელი საქართველოს გაერთიანება მოახერხა, არამედ მან განძის ამირას ყმადნაფიცად ქცევაც შესძლო. თბილისის საამიროც, მართალია, ჯერ კიდევ დაპყრობილი არ იყო, მაგრამ, მტრით გარშემორტყმული ციხის მსგავსად, მისი საბოლოო ბედი მაინც უკვე განწირული იყო.

36 წლის მეფობის შემდეგ, საქართველოს ამ ენერგიულმა პირველმა გამაერთიანებელმა ბაგრატ მესამემ 1014 წელს თავისი დღენი ფანასკერტის ციხეში დალია. მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა და საქართველოს განთქმულმა სარდალმა ზვიად ერისთავმა ბაგრატ მესამის ცხედარი იქითგან წაასვენა და ბაგრატ მესამისგანვე აგებულს ბედიის ტაძარში მიაბარა მიწას.

გიორგი I (1014—1027)

შინაური და საგარეო ბრძოლა საქართველოს და ბიზანტიას შორის დავით კურაპალატის სამფლობელოს გამო

გიორგი I მცირეწლოვანი იყო, როდესაც მას ბედმა სამეფო ტახტი არგუნა. გაერთიანებული საქართველოს მეფის ხელისუფლების ტვირთის ასაღებად ის, რასაკვირველია, შესაფერისად მომზადებული ვერ იქნებოდა. ქართლ-კახეთის აზნაურებმაც უმალ ამ გარემოებით ისარგებლეს და აუჯანყდნენ: კახეთიდან გააძევეს ბაგრატ მესამის დაყენებული აზნაური მოხელეები და თავიანთი წინანდელი მმართველი მოიწვიეს. ამგვარად კახეთიც და ჰერეთიც გაერთიანებულ საქართველოს ისევ ჩამოჰშორდნენ.

ასეთ პირობებში გიორგი I-მა გადასწყვიტა, რომ ის, რაც მის მამას ბაგრატ მესამეს გაუერთიანებელი დაურჩა, იმისი დასაკუთრება მაინც მოეხერხებინა. მან ისარგბლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი II , ბულგართამ-მუსვრელად წოდებული, 1014 წ.-დან 1016 წლამდე ბულგარელებს ეომებოდა და იმ მიზნით, რომ დავით დიდი კურაპალატის ყოფილი სამფლობელო საქართველოსათვის შემოეერთებინა, ბიზანტიის საზღვარი გადალახა და ტაო დაიპყრო.

როდესაც ბასილ II ბულგარელთა წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობიდან ძლევამოსილი დაბრუნდა, გიორგი I-ს შემოუთვალა, დაპყრობილი ქვეყანა თავისივე ნებით დაეტოვებინა და იმ სამფლობელოთი დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მას პირადად ეკუთვნოდა. გიორგი I-მა ეს წინადადება უარყო, ამაზე მეტიც, მან მაჰმადიან მფლობელ ალ-ჰაქიმთან საიდუმლო მოლაპარაკებაც-კი დაიწყო, რომ მათ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბასილ II კეისარს არც ეს საიდუმლოება და არც სამზადისი არ გამოჰპარვია, ამიტომ 1021 წელს მან თითონვე საპასუხო ლაშქრობა მოაწყო, მაგრამ ისე-კი, რომ გიორგი I-ს წინასწარ არავითარი ეჭვი არ აღუძრა, რომ სწორედ საქართველოში შემოსასევად ემზადებოდა.

ლაშქრის შესაფერისად მომზადების შემდგომ, თავისი მრავალრიცხოვანი ჯარითურთ ის უეცრად დაიძრა. გიორგი I იძულებული იყო, საჩქაროდ მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ბრძოლა ბასიანში მოხდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ქართველები და ბიზანტიელები ერთი-ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, მაგრამ არც ერთი მხარე ბრძოლის დაწყებას არ აპირებდა, ბოლოს ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს და გიორგი I-მა ოლთისში მოსვლის შემდგომ, ოლთისი დასწვა, ხოლო იქიდან კოლას გადავიდა. რაკი ბიზანტიის კეისრის ჯარი უკან მოსდევდა, სოფელ შირიმნში დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში ბევრნი დაიხოცნენ, მათ შორის ქართველთა გამოჩენილი სარდლები **რატი** ძე ლიპარიტისა და **ხურციც**. კეისრის ჯარმა გაიმარჯვა, ქართველები-კი დამარცხდნენ.

გიორგი პირველმა აქედანაც დაიხია, ქალაქ არტაანში მივიდა, მაგრამ კეისარიც კვალდაკვალ დადევნებული მისდევდა მას. მან ქალაქი არტაანი გადაწვა. ამის შემდგომ გიორგიმ სამცხეში დაიხია. ბასილი II ჯავახეთის გზით ცდილობდა მას დასწეოდა და გზადაგზა გავლილ ქვეყანას აოხრებდა. ამის შემდგომ გიორგი იძულებული იყო უკვე თრიალეთში გადასულიყო. აქ მას წანართა და შაქელთა მეშველი ჯარი მოუვიდა და ეხლა-კი ბრძოლის განახლება შეეძლო, მაგრამ მაშინ უკვე ბიზანტიის კეისარმა გადაწყვიტა უკან დახევა და შინ დაბრუნება. ზამთარი მოახლოვებული იყო და საზამთროდ იგი თავის სამფლობელოში, ხალდიაში, გადავიდა და ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა. ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად მდგომი ბიზანტიის კეისარი დიდ სამზადისში იყო: მას გადაწყვეტილი ჰქონდა, აფხაზეთში შესასევად ხომალდები გაეგზავნა.

გიორგი I-მა რომ ეს ამბავი გაიგო, გადასწყვიტა საზავო მოლაპარაკება განეახლებინა და კეისარს ამ მიზნით დაზავების პირობების გამოსარკვევად თავისი მოციქული მიუგზავნა კიდეც. მაგრამ იმავე დროს, როდესაც გიორგი I-ის დესპანები ბიზანტიის კეისართან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, **ქსიფემ** ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ამით გიორგის I-მა უმალ ისარგებლა და აჯანყებულ ქსიფესა და ფოკასთან მოლაპარაკება გააბა, ბიზანტიის კეისარს-კი ზავზე უარი შეუთვალა. მაგრამ ბასილ II-მ აჯანყების ჩაქრობა მოახერხა და გიორგი I-ს დამარცხებული ფოკას მოჭრილი თავი გამოუგზავნა, რათა მისთვის ეგრძნობინებინა, რომ მისი ყველა საიდუმლოება მან კარგად იცოდა. კეისარმა ამასთანავე შემოუთვალა, რომ დაპყრობილი ქვეყანა უკან დაებრუნებინა.

გიორგი I-მა ბიზანტიელებთან მოსალაპარაკებლად **ზვიად ერისთავი** წარგზავნა, მაგრამ ამავე დროს ის ცდილობდა, მოლაპარაკება როგორმე გაეჭიანურებინა. მაშინ ბიზანტიის კეისარმა დაასწრო და კვლავ ომი ატყდა. ომის დროს ქართველები დამარცხდნენ და 1023 წელს გიორგი I იძულებული გახდა უკვე მეტად მძიმე ზავის პირობებს დასთანხმებოდა. ამ ზავის პირობების მიხედვით, გიორგი I-ს უნდა დავით კურაპალატის ნაქონები მთელი ქვეყანა, ყველა ციხეებითურთ, ტაოსა, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში დაებრუნებინა; ამას გარდა, იგი იძულებული იყო თავისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატიც მძევლად მიეცა, რომელიც ზავის დაურღვევლობის საწინდრად სამი წლის განმვლობაში ბიზანტიაში უნდა ყოფილიყო.

ბასილ II-მ მცირეწლოვანი ბაგრატი თან წაიყვანა და სამი წლის შემდგომ, 1025 წელს, მართლაც მამას უკან დაუბრუნა. ამ წელს თითონ ბიზანტიის კეისარიც გარდაიცვალა და, თუმცა კონსტანტინე კეისარმა, სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, მცირეწლოვან ბაგრატის დასაბრუნებლად თავისი მოხელეები დაადევნა, მაგრამ ბაგრატი უკვე საქართველოში იყო შემოსული და მისი უკან წაყვანა შეუძლებელი შეიქმნა. გიორგი პირველი 1027 წელს გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატი იქმნა აყვანილი.

ბაგრატ IVV (1027 —1072)

ბრძოლა საქართველოს გაერთიანების დასამთარებლად,აგრეთვე გარეშე მტრის და დიდგვარიანი აზნაურების წინააღმდეგაც

ბაგრატს მძიმე სახელმწიფო ტვირთი ერგო მემკვიდრეობად: დამარცხებული ქვეყანა და შინაურობაში აწეწილ-დაწეწილი საქმეები. ყველა ამის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო ძლიერი ხელისუფლების პატრონი მეფე-მმართველი. იმ დროს მცირეწლოვანი ბაგრატი-კი, რასაკვირველია, ასეთი მოვალეობის ასრულებას ვერ შესძლებდა. საქართველოს მაშინდელ მეფეს საქმეს ის გარემოებაც ურთულებდა, რომ ბიზანტია თავისი საზღვრების გასაფართოებლად აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა და საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური მიზნები ამ მხრივ ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ამავე დროს დიდგვარიან აზნაურთა ორჭოფული და ვერაგული მოქმედება ისედაც რთულ მდგომარეობას უფრო აუარესებდა. ტაოელი აზნაურნი პირდაპირ განდგომილებასაც კი არ უკადრისობდნენ. 1027 წელს ისინი ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და მათ ხელში მყოფი ყველა ციხეები გადასცეს.

1028 წელს საქართველოს ბიზანტიის სარდალი შემოესია დიდი ჯარითურთ და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთი განსაცდელის დროსაც აზნაურებმა თავიანთი ორჭოფული მოქმედებით ბიზანტიელებს საქმე გაუადვილეს: ბიზანტიის სარდალმა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება იმდენად სამხედრო მოქმედებით არა, რამდენადაც აზნაურთა გადაბირებით მოახერხა. მათი მოქმედებით ქვეყანა და ბაგრატ IV დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და მხოლოდ **საბა მტბევარის** თავგამოდებულმა მოღვაწეობამა და შავშეთის ენერგიულმა დაცვამ გადაარჩინა მთელი ეს კუთხე ბერძენთა

მძლავრობისაგან. მან თავისი საეპისკოპოსოს მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და ბიზანტიელთა და მოღალატე აზნაურთა სამხედრო ძალას თავისი სამშობლოს ერთგული, ქართველი ხალხის სამხედრო ძალა დაუპირისპირა. ამან ბაგრატ IV-ს ბრძოლა გაუადვილა. რაკი ამ გზით მიზნის მიღწევა უკვე შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ ბიზანტიის მთავრობამ მდაბიო ხალხის შესაცდენად და გადასაბირებლად **დემეტრე უფლისწული** შემოიყვანა საქართველოში. ბიზანტიის მთავრობას უნდოდა ამით ხალხისათვის მოეჩვენებინა, ვითომცდა მას დამპყრობელობითი მიზანიკი არ ჰქონდა დასახული, არამედ მხოლოდ ქართველი უფლისწულის გამეფება სწადდა.

კონსტანტინე კეისრის 1028 წ. გარდაცვალებამ საქართველოს საშუალება მისცა ოდნავ დამშვიდებულიყო. ბიზანტილების მხრით მაინც ასე მედგრად მოტანილი იერიშები ოდნავ შესუსტდა. ბარატ IV-ის დედა მარიამი, ასეთი დამღუპველი ბრძოლა, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ამდენის ხნის განმავლობაში იყო ატეხილი, შემდეგშიც რომ აღარ განმეორებულიყო, 1030—1031 წ. ბიზანტიაში გაემგზავრა და ბიზანტიის კეისართან ბერძენთა და ქართველთა შორის მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდებაზე დაიწყო მოლაპარაკება. დასახული მიზნის მიღწევა მან მოახერხა კიდეც: ზავი დადებულ იქმნა. საზავო პირობები და მშვიდობიანი ურთიერთობა რომ განმტკიცებულიყო, მან ბიზანტიის კეისარს ბაგრატისათვის საცოლოდ ბერძენთა უფლისწული **ელენე** სთხოვა, რაზედაც თანხმობა მიიღო კიდეც. ამას გარდა ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ მეოთხეს **კურაპალატობის** პატივიც მისცა. ამ გარემოებამ, დაზავებამა და დამოყვრებამ, ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა.

სამწუხაროდ, ამ ელენე დედოფლის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. ის მალევე გარდაიცვალა. ბაგრატმა მეორე ცოლად **ბორენა** შეირთო. ელენეს გარდაცვალება და ბიზანტიის აქტიური პოლიტიკის განახლება თითქოს ერთი და იგივე იყო. 1032 წელს ბიზანტიელებმა დაიწყეს ინტრიგები ბაგრატის ნახევარძმის დემეტრეს ასაჯანყებლად: ის კეისართან გაიქცა და ანაკოფიის ციხე აფხაზეთში ბერძნებს გადასცა. ეს გარემოება იმას უდრიდა, რომ აქამდის სამხრეთიდან მეზობლად მყოფ ბიზანტილებს, ამდროიდან საქართვლოსათვის ჩრდილოეთიდანაც ალყის შემორტყმის საშუალება მისცემოდათ. ბაგრატს უფლება არ ჰქონოდა ამისათვის პასუხი არ გაეცა, მაგრამ მას საამისოდ მაშინ არ ეცალა, რადგან იმ დროს მას თბილისის ამირას ჯაფარის წინააღმდეგ ჰქონდა ბრძოლა დაწყებული.

ლიპარიტ ერისთავისა და ქართლის ერისთავის ივანე აბასაისძის თაოსნობით დაწყებული ეს ბრძოლა თბილისის საამიროს მოსასპობად ამირა ჯაფარის შეპყრობით დამთავრდა. 1032 წელს ლიპარიტმა და ივანე აბასაისძემ მისი ხელში ჩაგდება და ბირთვისის წართმევა მოახერხეს. მაგრამ ამ დროს ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიანი აზნაურები ბაგრატ IV-ს შეუჩნდნენ და მაშინ ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა ბაგრატ IV-მ ამირა განათავისუფლა. ამგვარად, ქართველთაგან ხელში ჩაგდებული თბილისი ისევ თბილისის საამიროდ დარჩა.

მხოლოდ 1037 წ. კვლავ შესაძლებელი გახდა, რომ თბილისის დაპყრობის გეგმის განხორციელებას ისევ შესდგომოდნენ. ბაგრატ IV-მ ამისათვის კახთა მეფეც მოიშველია თავის ჯარითურთ და თბილისს ორი მხრით ალყა ჰქონდა ორი წლის განმავლობაში შემორტყმული. თბილისელები

საშინელ გაჭირვებაში იყვნენ ჩავარდნილი: სიძვირე და შიმშილობა მძვინვარებდა ქალაქში. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ თბილისის ამირას გადაწყვეტილი ჰქონდა, ან დაჰზავებოდა, ან გაქცეულიყო, მაგრამ სწორედ ასეთ გარემოებაში ბაგრატმა 1039—40 წ. მოულოდნელად ამირასთან ზავი დასდო, ისე-კი, რომ ლიპარიტ ამირასათვის ამის შესახებ წინასწარ არც-კი შეუტყობინებია. რასაკვირველია, ამ მოქმედებას შეუძლებელია ლიპარიტის უკმაყოფილება არ გამოეწვია, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაშიც ბაგრატ IV-ის საქციელი ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფის იონებისა და გავლენის შედეგი ყოფილა.

ცხადია, რომ ასეთს პირობებში დამოკიდებულება ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის უნდა გამწვავებულიყო. მართლაც, თუმცა ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთში გაილაშქრა და იქ ძლევამოსილი ომი გადაიხადა კიდეც, მაგრამ, შინაური მტრების შიშით, ბაგრატი იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაეხია, რადგან სწორედ იმ დროს 1044—5 წ. ბაგრატ-ლიპარიტს შორის დაუნდობელი ბრძოლა ატყდა, რომლის დასასრული საქართველოს მხოლოდ თვით ლიპარიტის შეპყრობამ აღირსა. ლიპარიტი უკმაყოფილო იყო იმ დამოკიდებულებით, რომელიც ბაგრატს ჰქონდა მასთან.

ლიპარიტი ამირა, როგორც ძლიერი პიროვნება საქართველოში და განთქმული სარდალი, კარგად იყო ცნობილი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში: ბიზანტიელებიც, მაჰმადიანი მმართველებიც მას დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ, მაგრამ ბიზანტიის მთავრობა ცდილობდა, რომ ის თავის სასარგებლოდ და საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა, მეტადრე მას შემდგომ, რაც გამოირკვა, რომ ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის ესოდენ დიდი პოლიტიკური უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. ამის გამო ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ატეხილ ბრძოლაში ბიზანტიელები ლიპარიტის მხარეზე იყვნენ. ბიზანტიელებთან შეთანხმებით ლიპარიტმა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბიზანტიიდან **დემეტრე უფლისწული** გამოიყვანა გასამეფებლად.

ასეთ პირობებში ბაგრატმა გადასწყვიტა, რომ სჯობდა ლიპარიტს შეჰრიგებოდა და ამ გზით მშვიდობიანობა დაემყარებინა. ის მართლაც შეურიგდა ლიპარიტს, ქართლის ერისთავად დანიშნა და ამ დროიდან მოყოლებული მასა და ამ ძლიერ ერისთავს შორის მცირე ხნით მაინც ნორმალური ურთიერთობა დამყარდა.

1045 წელს ქალაქ ანისის «ბერებმა» (მოქალაქეთა უფროსებმა) ბაგრატსა და მის დედას, სომეხთა მეფის ასულს, ანისი და ცხრა ციხე შესთავაზეს. ბაგრატი დაიძრა თავის ჯარითურთ, სომხეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი ანისი ცხრა ციხითურთ ჩაიბარა და სათანადო ხელისუფლების მეთაურობით ანისში თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა.

ბაგრატმა გადაწყვიტა, რომ ამის შემდეგ მას უკვე შეეძლო ბიზანტიისათვის ანაკოფიის ციხეც წაერთმია. 1046 წელს ის თავისი ჯარითურთ გაემგზავრა და ანაკოფიის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ სწორედ ამ დროს თბილისის ამირა გარდაიცვალა და ქალაქ თბილისის წარმომადგენლებმა ბაგრატს მოციქული მოუგზავნეს, რომ თბილისში ჩამობრძანებულიყო და საქართველოს დედაქალაქი ჩაებარებინა. ეს წინადადება იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ ბაგრატ IV-მ გადასწყვიტა ანაკოფიის ციხისათვის დროებით თავი მიენებებინა და უმალ თბილისისაკენ

გამოეშურა. ქალაქ თბილისის წარმომადგენლები დიღომთანვე დახვდნენ და დედაქალაქში დიდის ამბით შეიყვანეს. მხოლოდ ისნის ციხეში გამაგრებულნი უწევდნენ წინააღმდეგობას. ამგვარად, თბილისი საქართველოს შემოუერთდა. ესოდენ აღზევებულს ბაგრატ IV-ს კახთა მეფე გაგიკიც-კი ეწვია სადარბაზოდ, მაგრამ სწორედ იმ დროს ლიპარიტი კვლავ ბაგრატ IV- ს აუჯანყდა და ბაგრატის მიერ ანისის მმართველად დანიშნული **ერისთავი აბუსერიძე**, უეჭველია, ბიზანტიელთა ინტრიგების წყალობით, შეიპყრო. ლიპარიტის ამ მოღალატურმა მოქმედებამ საქართველოს ანისიც დააკარგვინა და თბილისიც უნდა ხელიდან გამოსცლოდა.

მეფესა და ლიპარიტს შორის გაჩაღდა დაუნდობელი, გამწვავებული ბრძოლა, რომელიც მთელი 1046-1047 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც კახეთისა და ქართლის დიდგვარიანი აზნაურებიცა და დიდი სამღვდელო პირებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. რაკი ლიპარიტს ბიზანტიის მთავრობა უჭერდა მხარს, ბაგრატი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამიტომაც ბაგრატმა სცადა, თავის ძლიერ ქვეშევრდომს როგორმე შეჰრიგებოდა, მაგრამ ლიპარიტმა ეს წინადადება უარჰყო. ამის შემდეგ ბაგრატი ლიპარიტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადბას შეუდგა, მაგრამ ლიპარიტმა დაასწრო და მეფე დაამარცხა.

ლიპარიტმა გამარჯვება უმთავრესად ბიზანტიის მძლავრი დახმარების წყალობით შესძლო. ბიზანტიის დახმარება-კი ორი გარემოებით აიხსნებოდა: ლიპარიტი განთქმული მოლაშქრე იყო და მას, როგორც ცნობილ სარდალს, მტრებიცა და მოწინააღმდეგეებიც აფასებდნენ. ბიზანტიისათვის ის ძვირფასი იყო აგრეთვე, როგორც საქართველოს შინაურობაში შუღლიანობის ჩამოსაგდებად მათთვის გამოსადეგი საუკეთესო იარაღი. ლიპარიტმა სამაგიეროს გადასახდელად ბიზანტიელებთან ერთად თურქების წინააღმდე ლაშქრობა იკისრა ამას მათთვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ სამსახურსაც წარმოადგენდა.

სწორედ ერთს ასეთ ლაშქრობაში ლიპარიტი თურქებმა 1048 წელს დაატყვევეს და საქართველომაც ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტრის თავხედური და მოღალატური ქცევისაგან ოდნავ მოისვენა. ბაგრატ IV- ს ამ ტყვეობამ საშუალება მისცა გაძლიერებულიყო, ძალა მოეკრიბა და შინაურობაში წესიერების დამყარებას შესდგომოდა.

ბიზანტიელებისათვის ცხადსაყოფელად, რომ ულიპარიტოდაც მას მატო პირადადაც მათთვის ძვირფასი დახმარების გაწევა შეეძლო, ბაგრატი ბიზანტიელებს თურქების წინააღმდეგ მიეშველა ბრძოლაში. საქართველოს მეფის ისევე გაძლიერების გამო და ამ ხელსაყრელ პირობებში თბილისელებმა ბაგრატს საქართველოს დედაქალაქი კვლავ შემოსთავაზეს და ბაგრატმა შემოიერთა კიდეც თბილისი.

ამრიგად, საქართველოს სრულიადი გაერთიანება თითქმის უკვე დამთავრებული იყო, რომ 1051 წელს, ბიზანტიის მთავრობის გულმოდგინე ცდით, ლიპარიტი თურქთა ტყვეობიდან განთავისუფლდა. მის მოსვლისთანავე მდგომარეობა საქართველოში ძირიანად შეიცვალა: ბაგრატმა მაშინვე თბილისი მიატოვა და წავიდა, დაბრუნებული ლიპარიტი კვლავ გაძლიერდა, ბაგრატ მეფე-კი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას სხვა აღარავითარი საშუალება არ ჰქონდა იმას გარდა, რომ ბიზანტიაში წასულიყო

და ბიზანტიის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით თავისი და ლიპარიტის გამწვავებული ურთიერთობის მოწესრიგება ეცადნა.

1054 წელს ბაგრატ IV მართლაც ბიზანტიაში გაემგზავრა, მაგრამ ლიპარიტს ბიზანტიის სამეფოს კარზე იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა, რომ ბაგრატ IV-ს კარგა ხანს დასჭირდა მოცდა, სანამ მას საქართველოს საზღვარს იქით მყოფს, ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში ჩასვლის ნებართვა მოუვიდოდა. ბიზანტიის მთავრობას ცხადად ლიპარიტის მხარე ეჭირა და ის არ მალავდა, რომ ბაგრატის უკმაყოფილო იყო. როდესაც ბაგრატმა კონსტანტინოპოლში ჩასვლა მოახერხა და მოლაპარაკება დაიწყო, ბოლოს როგორც იყო დაზავების პირობების დადება მოხერხდა. ეს მხოლოდ ბიზანტიის კეისრის უშუალო მონაწილეობით მოხერხდა. ბაგრატ-ლიპარიტს შორის ასეთი შეთანხმება იყო დადებული: ლიპარიტი სცნობდა ბაგრატის მეფობას მთელ საქართველოში, ლიპარიტი-კი, სანამ ცოცხალი იქნებოდა, უნდა მესხეთის ნახევრის მთავარი ყოფილიყო. ამგვარად, ბაგრატის ურჩი ფეოდალი, მაგრამ კეისრის პოლიტიკურ ზრახვათა ერთგული განმახორციელებელი ბიზანტიის მთავრობის წყალობით უხვად იქმნა დაჯილდოებული.

როდესაც ბაგრატ IV ჯერ კიდევ ბიზანტიაში იმყოფებოდა, ლიპარიტი მცირეწლოვანი **გიორგი უფლისწულის** აღმზრდელად იყო დანიშნული. გიორგი უფლისწული მეფედაც-კი აკურთხეს, ლიპარიტი-კი მის მზრუნველად იქცა. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა მთლიანად ლიპარიტს ჩაუვარდა ხელში.

ბიზანტიის სატახტო ქალაქში ზავის დადების შემდგომ, ბაგრატ მეფეს საშუალება ჰქონდა 1057 წელს საქართველოში დაბრუნებულიყო. ამ დროიდან მოყოლებული ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობა გარეგნულად მაინც მოწესრიგებული ჩანდა, მაგრამ ასეთი გზითა და ასეთი საშუალებით დადებული შეთანხმება, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა ვერც ხანგრძლივი და არც სახეირო. ბოლოს ლიპარიტის ბატონობასა და მედიდურს მოპყრობას მისი ქცევით მობეზრებულმა თვითვე დიდებულმა აზნაურებმა დაუდეს საზღვარი. გათამამებულმა ლიპარიტმა თავისი კადნიერი ქცევით ისეთი დიდგვარიანი აზნაურებიც-კი ააღელვა, რომლებიც წინათ მისი მომხრენი იყვნენ და მას თანაუგრძნობდნენ. ამ უკმაყოფილოთა მეთაურმა **სულა კალმახელმა** ლიპარიტ ამირა შეიპყრო და ბაგრატს შეუთვალა, რომ მისი დაუძინებელი მოწინააღმდეგე მის ხელთ იმყოფებოდა. ბაგრატი მივიდა და დატყვევებული ლიპარიტი ჩაიბარა. მაგრამ ლიპარიტის დაჭერა და მისი სამფლობელოს ხელში ჩაგდება ერთი და იგივე არ იყო; მას ერთგული მომხრენი ჰყავდნენ:—მისი მეციხოვნენი, რომლებიც მის სამფლობელოში იმყოფებოდნენ, არ აპირებდნენ დათმობას და მანამდე უწევდნენ წინააღმდეგობას ვიდრე მეფისაგან ლიპარიტის უვნებლად გაშვების აღთქმა არ მიიღეს. მხოლოდ ამის შემდეგ ლიპარიტის მეციხოვნეებმა კლდეკარი გადასცეს.

ბაგრატის ტყვეობაში მყოფი ლიპარიტი იძულებული იყო პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობისათვის საბოლოოდ თავი დაენებებინა: ლიპარიტმა აღთქმა დასდო, რომ საქართველოდან წავიდოდა და ბერად შედგებოდა. მართლაც, მან თავისი სამშობლო მიატოვა და ათონის ქართველთა მონასტერში, **ანტონად** სახელდებული, ბერად აღიკვეცა.

ბიზანტიაში წასული იყო ლიპარიტის ვაჟიშვილი ივანეც. მისი იქ ყოფნა საქართველოს პოლიტიკური მიზნებისათვის სახიფათო იყო. მისი მამა ლიპარიტიც მოწადინებული იყო და მით უმეტეს ბაგრატ IV-ც, რომ ის თავის სამფლობელოში დაებრუნებინა. 1059 წელს ის მართლაც საქართველოში ჩამოვიდა და ბაგრატ IV-მ მას საგვარეულო მამული მთლიანად დაუბრუნა. ბაგრატ IV-ის მიზანი იყო, რომ ბიზანტიის მთავრობას საშუალება არ ჰქონდა მძლავრი ლიპარიტის შვილი ივანე თავისი მიზნებისათვის საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა.

რაკი ლიპარიტი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებული იყო და ათონის მონასტერში მწიგნობრობის მოღვაწეობას შეუდგა, ბაგრატს ასეთი უძლიერესი მეტოქე და მოწინააღმდეგე ჩამოსცილდა, მას შეეძლო პოლიტიკური გეგმის განხორციელებას უკვე თავისუფლად შესდგომოდა. მართლაც, 1060 წელს მან კახეთის დაპყრობაც მოახერხა, ბიზანტიის კეისრისაგან **სევასტოსის** წოდებულება და პატივი მიიღო. ეს ბაგრატის საგარეო ურთიერთობაშიც გაძლიერების ცხადად მომასწავებელი გარეგნული ნიშანი იყო.

საქართველოში მშვიდობიანობის დამყარებამ ბაგრატს საშუალება მისცა წესიერების დამყარებას შესდგომოდა, მაგრამ ეხლა განსაცდელი უკვე სხვა მხრიდან მოადგა ქვეყანას: 1065 წელს **ალფარსლან სულტანი** დაიძრა და საქართველოს შემოესია. სელჯუკიანელთა საგვარეულოს ამ ძლიერმა წარმომადგენელმა საქართველოს აოხრება შესძლო და ჯავახეთის ახალქალაქი აიღო. გაცარცვა და დიდძალი ამოხოცა. საქართველო უნდა დაჰზავებოდა შეომსეულ მტერს. ზავის ერთი პირობათაგანის თანახმად, ბაგრატ IV-ის დისწული კეთილმეზობლობის დასამყარებლად ალფარსლან სულტანზე იქნა მითხოვებული. ამავე დროს 1065 წ. ბაგრატის ასული **მართა** ბერძენთა მეფეზე გათხოვდა და ამ მხრივაც ბიზანტიასთან ურთიერთობა გაუმჯობესდა.

რაკი, ამრიგად, ალფარსლანთანაცა და ბიზანტიასთანაც დამოკიდებულება გამოკეთდა, შესაძლებელი იყო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა კვლავ განახლებულიყო და ბაგრატიც 1068 წელს კახეთს შეესია. მაგრამ გარეშე პოლიტიკურმა გარემოებამ ბაგრატ IV ისევ განსაცდელში ჩააგდო: სულტანი კვლავ შემოესია საქართველოს, კახთ ბატონი მტერს მიემხრო და ბაგრატი იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაეხია. 1068 წელს სულტანმა ჯერ ქართლი ააოხრა, შემდეგ არგვეთიც. აოხრების გამო საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდა. მხოლოდ ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულტანი ზავის დაუდებლივ საქართველოდან წასულიყო, მაგრამ სულტანმა წასვლის წინ თბილისი და რუსთავი განძის პატრონს **ფადლონს** მისცა. გათამამებული ფადლონი საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ ბაგრატმა თბილისის სანახებში მოთარეშე ფადლონს ჯარი მიუსია. აქ დამარცხებული და გაქცეული ფადლონი ჟალეთის მახლობლად შეპყრობილ იქნა.

ამის შემდეგ ბაგრატ IV თბილისს მიადგა და აიღო, საამიროს ციხეებიც ჩამოართვა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ თბილისი მთლიანად შემოეერთებინა საქართველოსათვის, მან ქალაქი და საამირო თბილისის ამირების ერთ

მემკვიდრეთაგანს გადასცა იმ პირობით, რომ ის ვითარცა ყმადნაფიცი წლიურად 44000 დრაჰკანს გადაიხდიდა.

ბაგრატ IV-მ დაჭერილი ფადლონი, დიდი ხვეწნისა და დიდი სულტანის შუამდგომლობის შემდგომ, განათავისუფლა, რასაკვირველია, სამაგიეროდ გაგიკეთისა და გაგის მიღებით, მაგრამ, ტყვეობითგან თავის დახწევის უმალ, ფადლონმა მაშინვე თავისი უპირობო გამოიჩინა და დადებული ფიცი გასტეხა. ამის საპასუხოდ ბაგრატმა განძა ააოხრა.

ასეთ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ერანის მმართველი სულტანი ყოველნაირად ცდილობდა, რომ საქართველო, რომელიც მან ორჯერ ააოხრა, იურიდიულადაც, ხელშეკრულებითაც, დაემორჩილებინა. ის სთხოვდა ბაგრატ IV-ს, რომ საქართველოს ხარკის გადახდა ეკისრა ყოველწლიურად, მაგრამ ბაგრატი არას გზით ამაზე არ თანხმდებოდა. ამის მაგიერ მეფე ყოველწლივ ძღვენს უგზავნიდა, ხარკის დადებაზე-კი უარს ამბობდა, ასეთი დიპლომატიური ხერხით ბაგრატი საქმეს აჭიანურებდა ისე, რომ ხარკის დადება საქართველოზე ვერც სულტანმა მოახერხა და ასეთი მონობის იურიდიულად დაკანონება არც ბაგრატმა მოისურვა.

ორმოცდახუთი წლის განმავლობაში მღელვარებითა და ბრძოლით სავსე მეფობის შემდეგ ბაგრატი 1072 წელს ავად გახდა და გარდაიცვალა. ბაგრატი რთული პიროვნება იყო და ამიტომაც მისი მოღვაწეობის პირუთვნელად დახასიათებაც ადვილი არ არის. პირად ღირსებასთან ერთად, რომელიც მას, როგორც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჰქონდა, არაერთი დიდი ნაკლიც მოეპოვებოდა. მართალია, ბაგრატ IV-ის დროს საქართველოს გარეშე მტრებისაგან მოსვენება არ ჰქონდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი შედარებითი სისუსტის მთავარ მიზეზს მაინც ის შინაური ბრძოლა წარმოადგენდა, რომელიც იმ ხანაში საქართველოში დიდგვარიან აზნაურთა წყალობით წარმოებდა.

გიორგი II (1072—1089)

ბაგრატ IV-ის მაგიერ სამეფო ტახტზე საქართველოში 1072 წელს ჭაბუკი ვაჟიშვილი გიორგი II ავიდა. პირადად მას არაერთი კარგი თვისება ჰქონდა: რჩეულ ცხენოსან-შვილდოსნად ითვლებოდა, უხვ მწყალობელადაც იყო ცნობილი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისათვის მესაჭედ არ ვარგოდა. მას უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა. ამავე დროს მის მეფობაში საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო ამბები მოხდა, რომელთათვის სწორედ ძლიერი ნებისყოფის პატრონი და კარგი სახელმწიფო მოღვაწე იყო საჭირო.

გიორგი II-ის ხასიათის სისუსტით უპირველესად, რასაკვირველია, საქართველოს დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს, რომელთა თვითნებობის ალაგმვა მან სრულებით ვერ მოახერხა. უკვე ერთი წლის შემდგომ, 1073 წელს, **ნიანია** ქვაბულის ძე, **ივანე** ძე ლიპარიტისა და **ვარდან** სვანთა ერისთავი განუდგნენ მეფეს და ქვეყანა არიეს. ნიანიამ ხომ იმდენი კადნიერება გამოიჩინა, რომ სატახტო ქალაქი ქუთაისიც-კი დაიპყრო და სახელმწიფო საჭურჭლე ჩაიგდო ხელში. ვარდანმა სვანები ააჯანყა, მათთან

ერთად საეგროს შეესია და მის დარბევას შეუდგა. თუმცა გიორგი II-მ აჯანყებულნი დაიმორჩილა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ სხვებისათვის სასწავლებლად სამაგალითოდ დაესაჯა, მაინც მან ყველანი წყალობით დაფარა: თითოეულს მათგანს სამფლობელო გაუდიდა.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ადვილად შეეძლოთ დაესკვნათ, რომ მათთვის ურჩობა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე მორჩილება, რადგან ასეთი ურჩობა მათ სამფლობელოს გადიდებას უქადდა. მართლაც, ივანე ძე ლიპარიტისა გიორგი მეფეს ისევ აუჯანყდა. თუმცა გიორგი II-მ ივანე მეორეჯერაც დამარცხა, მაგრამ საქმის გათავება ამისდა მიუხედავად მაინც შეთანხმება- შერიგებით ირჩია. იმავე ივანე ლიპარიტის-ძემ შემდეგ გიორგი მეფის ციხოვანიც კი მოატყუა, ამნაირად გაგის ციხე ხელში ჩაიგდო და საქართველოს დაუძინებელ მტერს, განძის პატრონს ფადლონს, მიჰყიდა. ასეთი კადნიერებისათვის, ცხადია, ის სამაგალითოდ უნდა ყოფილიყო დასჯილი; მაგრამ გიორგი II-მ ვერც ამ შემთხვევაში გამოიჩინა გამბედაობა.

სულტან **მელიქ-შაჰი** რომ 1073 წელს საქართველოსაკენ გამოემგზავრა, იმავე ივანემ გზაზევე თავისი შვილი **ლიპარიტი** მიაგება. ამგვარად, საქართველოს ერთი უძლიერესი ფეოდალთაგანი საქართველოს მოსისხლე მტერს მიემხრო. ივანე ლიპარიტის-ძემ მელიქ-შაჰთან მაინც დიდხანს ვერ შესძლო დარჩენა და იქიდან გამოიპარა. ამის საპასუხოდ მლიქ-შაჰმა გამოილაშქრა და **სამშვილდე**, რომელიც ივანე ლიპარიტის ძეს გიორგი მეორისაგან ჰქონდა ნაწყალობევი, წაართვა, მთელი ეს ქვეყანა ააოხრა და შემდეგ უკან გაბრუნდა.

1073—74 წ. უკვე მელიქ-შაჰის სარდალი მოვიდა, მაგრამ მას გიორგი მეფე დახვდა საქართველოს ჯარითურთ და **ფარცხისთან** დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა გაიმარჯვა და მელიქ-შაჰის სარდალი დამარცხებულ იქმნა.

ამის შემდეგ გიორგი მეფე ტაოში გადავიდა. აქ ტაოში, როგორც ჩანს, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, მას ბიზანტიის სახელმწიფოს დიდი მოხელე, აღმოსავლეთის, ანუ ანატოლიის მხედართმთავრისა და ერისთავთ-ერისთავის თანამდებობის მქონებელი გრიგოლ **ბაკურიანისძე** ესტუმრა. იგი საქართველოს ისტორიაშიც განთქმულია იმ თავისი ღვაწლით, რომელიც მას მიუძღვის პეტრიწონის ქართველთა მონასტრის დაარსებით. პეტრიწონის მონასტერი ცნობილი იყო, როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების კერა და იოანე პეტრიწის სავანე. გრიგოლ ბაკურიანისძის მოსვლა უბრალო დარბაზობას არ წარმოადგენდა; გიორგი მეფეს გრიგოლ ბაკურიანისძემ მის განკარგულებაში მყოფი კარის ციხე გადასცა ყველა მისი მიმდგომი ქვეყნებით, ე. ი. მახლობელი სანახებით. გიორგი II-მ გადმოცემული ტერიტორია, რასაკვირველია, სიხარულით მიიღო და კარის ციხე-ქალაქში შავშელ აზნაურთაგან მეციხოვნე ჯარი ჩააყენა.

გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი შემთხვევითი არ იყო; სწორედ ამ ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში დაიწყო თურქების დიდი გაძლიერება და ის ბრძოლა, რომელიც უკვე კარგა ხანია ბიზანტიასა და თურქებს შორის მიმდინარეობდა, 1074 წელს ბიზანტიასა და თურქებს შორის დადებული ხელშეკრულებით დამთავრდა. ამ შეთანხმების ძალით ბიზანტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნის უდიდესი ნაწილი, რომელიც

მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, დასთმეს. ეს, რასაკვირველია, უპირველესად ბიზანტიის დაუძლურების მაჩვენებელი იყო, მაგრამ ამავე დროს საქართველოსათვისაც ეს ფრიად სამწუხარო მოვლენა იყო, რამდენადაც ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს, წინანდელ ბიზანტიის მაგიერ, სამხრეთ-დასავლეთითაც მოსაზღვრედ უკვე თურქთა სამფლობელო აღმოუჩნდა.

ამ პოლიტიკური ცვლილებების შედეგი საქართველოსათვის მალევე საგრძნობი გახდა: თურქებმა კარის ციხე-ქალაქი ჩაიგდეს ხელში, რომელიც საქართველოს გრიგოლ ბაკურიანისძისაგან ჰქონდა მიღებული. ასეთ განსაცდელის ჟამს, ზოგ დიდგვარიან აზნაურთა შინათგამცემლობით, სხვა თურქმა ტომებმა დასავლეთ საქართველოში შეჭრა შესძლეს და ყველის ციხეში მდგომ გიორგი II-ს თავს დაესხნენ. მტრის ეს შემოსევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გიორგი II მას სრულებით მოუმზადებელი დახვდა, ამის წყალობით თურქებმა ადვილად მოიპოვეს გამარჯვება. მათ დიდძალი ქონება ჩაუვარდათ ხელში, მათ შორის ძვირფასი ოქროს და ვერცხლის ჭურჭელიც, რომელიც ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს იყო გაკეთებული. დამარცხებული გიორგი II იძულებული იყო აჭარიდან აფხაზეთში გადასულიყო.

თურქების გათამამებას უკვე აღარავითარი საზღვარი არ ჰქონდა და 1080 წელს მათი დიდი შემოსევა დაიწყო, რომელსაც ქართულს საისტორიო იმდროინდელს წყაროებში **«დიდი თურქობა» ეწოდებოდა.** ამ დიდი შემოსევის დროს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, შემდეგ სამოქალაქო, არგვეთი და თვით ქართლიც-კი დარბეული და აოხრებული იქმნა. იმას გარდა, რომ მტერთან ბრძოლაში დიდძალი ხალხი დაიხოცა, სოფლები და ქალაქები განადგურებული იყო, ქვეყანა მტრის თარეშისაგან აოხრდა და ნორმალური სასოფლო-სამეურნეო მუშაობაც სრულებით შეუძლებელი შეიქმნა: სადაც კი მტრებს ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან ხვნა და თესვა შესწყდა.

ამ თურქების შემოსევამ საქართველო საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო და ხალხი უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. გიორგი II-ს არავითარი არც ნებისყოფა და არც გამბედაობა არ აღმოჩნდა, რომ გათამამებული მტრისათვის სამხედრო წინააღმდეგობა გაეწია. გიორგი II-მ გადასწყვიტა, რომ დამორჩილების გარდა მას სხვა არავითარი გამოსავალი არ ჰქონდა. დიდგვარიან აზნაურებთან ბჭობის შემდგომ, მეფემ ეს სართო გადაწყვეტილება განახორციელა კიდეც; მელიქ-შაჰთან წავიდა და მასთან დაზავებაზე დაიწყო მოლაპარაკება.

თუმცა მელიქ-შაჰმა გიორგი II დიდი პატივისცემით მიიღო, მაგრამ ყველაფერი, რაც კი მას თავისი მიზნის მისაღწევად საჭიროდ მიაჩნდა, გამოიყენა. კერძოდ, მან გიორგი II-ს კახეთი და ჰერეთი შეაძლია, რომელნიც მის სამფლობელოს არ შეადგენდნენ და რომელთა მიცემაც ამიტომ მას არც შეეძლო. მაგრამ მელიქ-შაჰს ეს ხერხი პოლიტიკური ვერაგობის მიზნით ჰქონდა გამოყენებული, რომ ერთი მხრით ამ გზით საქართველოში უთანხმოება და მტრობა ჩამოეგდო, მეორე მხრით-კი ასეთი უხვი «საჩუქრით» გიორგი მეორე ყოველწლიური ხარკის გადახდაზე დაეთანხმებინა. პოლიტიკური სიბეცით გიორგი II-ს მართლაც მოსჩვენებია, რომ კახეთისა და ჰერეთის გადმოცემა ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა.

როდესაც მელიქ-შაჰმა, საზავო პირობების მიღების შემდგომ, ჰერეთისა და კახეთის საქართველოსთან შესაერთებლად მას თავისი საკუთარი ჯარი გამოაყოლა, გიორგი II-ს ეგონა, რომ ამით მართლაც მიზანი მიღწეული იქნებოდა. ამ მტრის ჯარი და ქართველთა შეერთებული ძალა მართლაც კახეთის და ჰერეთის სამეფოს შეესია და გიორგი II-მ **ვეჟინის** ციხის გარემოცვა დაიწყო, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ იქ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხედრობა იდგა, გიორგი II-მ ამ ციხის აღება მაინც ვერ მოახერხა. ამავე დროს უკვე შემოდგომა დაიწყო და დაზამთრდა, თოვლიც მოვიდა. დადგა, როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, ნადირობის ხანა და გატაცებულმა მონადირემ გიორგი II-მ ამ ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს თავი მიანება და სანადიროდ გაეშურა, ვეჟინის გარემოცვის დამთავრება-კი თავის ხელქვეით მოხელეებს და სამხედრო პირებს მიანდო.

ამ ცხადი პოლიტიკური ქარაფშუტობის წყალობით, კახთა მეფეს აღსართანს სრული საშუალება ჰქონდა გიორგი II-ს უსუსური ზრახვა გაექარწყლებინა იმავე გზით, რომლითაც გიორგი II-ს თავისი პოლიტიკური გეგმის განხორციელება ჰსურდა, აღსართანმა მისთვის სამაგიეროს გადახდა გადასწყვიტა. კახთა მეფე აღსართანი მელიქ-შაჰთან წავიდა და შეეკედრა, კახთა სამეფო კვლავ მის ხელში დაეტოვებინა. ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა მელიქ-შაჰისათვის ფრიად ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა, რადგან ამ შემთხვევაშიც პირობის დამდები ის უნდა ყოფილიყო; თუ გიორგი II-ს მან ყოველწლიური ხარკი გადახდა მოსთხოვა, აღსართანს ამის საფასურად წინასწარ პირობად დაუდო, გამაჰმადიანებულიყო. აღსართანმაც ეს პირობა მიიღო, გამაჰმადიანდა და იმავე სულტან მელიქ-შაჰის დასტურითა და ბრძანებით გაძლიერებული ისევ თავის სამფლობელოში დაბრუნდა. ამით გიორგი II-ს გულუბრყვილო პოლიტიკური გეგმა მთლიანად ჩაიშალა.

შინაურ უმწეო პოლიტიკურ მდგომარეობას, საქმეების ასეთს აწეწ-დაწეწას ზედ სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1088 წელს საქართველოში კატასტროფიული მიწისძვრა დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ კატასტროფიულმა მიწისძვრამ დიდძალი ციხე-ქალაქები და სოფლები იმსხვერპლა. ამ დროს მთლიანად დაინგრა განთქმული **თმოგვი** ციხითურთ, მრავალი ხალხიც დაიღუპა და გადარჩენილნიც უსახლკაროდ დარჩნენ. ამას ჯერ ზედ მკაცრი ზამთარი, ხოლო შემდეგ, გაზაფხულზე, საშინელი წყალდიდობა მოჰყვა, რომელმაც ქვეყანას აგრეთვე შემდეგ დიდი ზიანი მიაყენა. ყველა ამ თავზე დამტყდარი უბედურების ზეგავლნით, თუ ეგების აგრეთვე სხვა, ჩვენთვის ჯერ უცნობი, მიზეზების გამო, გიორგი II გადადგა, მეფობას თავი დაანება და 111089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ჭაბუკი ვაჟიშვილი **დავითი**, შემდეგ აღმაშენებლად წოდებული, ავიდა.

საქართვლეოს სოციალური და კულტურული ვითარება XI—XII საუკუნეში

შესაძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ ბაგრატ მესამიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფოებრიობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ბაგრატ III-მ პირველმა შეიგნო ის სახელმწიფოებრივი ამოცანა, რომლის გადაუჭრელადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იყო. ბაგრატ III-მ, როგორც ვიცით, თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა; თბილისის საამიროს გარდა, სუყველაფერი შემოერთებული იყო. მაგრამ მის მომდევნო მეფეებმა გიორგი I-მა, ბაგრატ IV-მ და გიორგი II-მ ამ საქმის განხორციელება და ბოლომდის მიყვანა ვერ მოახერხეს და არამც თუ საქართველოს მთლიანობა სრულიად ვერ აღადგინეს, არამედ ისიც-კი ვერ შეინარჩუნეს, რაც საქართველოს ბაგრატ მესამემ შესძინა.

ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ისეთს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელსაც ბაგრატ III აწარმოებდა, ღირსეული განმაგრძელებელი საქართველოში აღარ აღმოჩნდა.

საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება XI—XII საუკუნეებში **პატრონყმობაზე** დამყარებული წესწყობილება იყო (ფეოდალიზმი), იმდროინდელი მთელი საქართველო პატრონებად და ყმებად იყო დაყოფილი. **პატრონი** ერთსადაიმავე დროს მზრუნველსაცა და მფლობელსაც, კერძო მესაკუთრესაც ნიშნავდა. მაგრამ ამასთანავე პატრონი მეფესაც ეწოდებოდა, ხოლო მის ქვეშევრდომებს ყმები ერქვათ, თუნდაც-კი ისინი ძლიერებითა და ქონებრივი სახსრით უხვად აღჭურვილი დიდგვარიანი აზნაურები ყოფილიყვნენ.

ამ დიდგვარიან აზნაურ მეფის ყმებსაც თავიანთი ყმები ჰყავდათ, რომელთათვის ისინი პატრონნი იყვნენ. ეს მათი ყმები მათგან უფლებრივად და ქონებრივად იყვნენ დამოკიდებულნი. ამ ყმებსაც თავიანთი მხრით შესაძლებელია ჰყოლოდათ და ჩვეულებრივ ჰყავდათ კიდეც ყმები, რომელთათვის ისინი პატრონები იყვნენ. ამრიგად, მთელი ქვეყანა თითქოს პატრონყმობის უღელში იყო შებმული. ეს სოციალური მოვლენა როგორც კერძო ურთიერთობაში, ისე მაშინდელი სახელმწიფოებრიობისათვისაც იყო დამახასიათებელი.

ყმობა და პატრონყმობა სხვადასხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგ. **ტყვედ ჩავარდნილი** პირი შესაძლებელია ყმად გამხდარიყო. მისი მდგომარეობა უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვა ყმებზე უარესი უნდა ყოფილიყო. **ნასყიდ ყმათა** კატეგორიაც არსებობდა, ყმათა ერთს ჯგუფს ისინი შეადგენდნენ, რომელნიც, როგორც **შეუძლებელნი მოვალენი**, სასამართლოსაგან ვალის გადახდამდე იყვნენ ყმად მიცემულნი. მათი მდგომარეობაც, რა თქმა უნდა, მძიმე იყო. მაგრამ იყვნენ ყმები, რომელთა პატრონყმური ურთიერთობა ნებაყოფლობითს შეთანხმებაზე დამყარებული იყო. ასეთ ყმებს და ასეთ ყმობას **ნებიერი ყმა** ეწოდებოდა. ასეთი ყმობის მთავარ მიზანს გავლენიანი და ძლიერი მფარველ-დამცველის მოპოვება შეადგენდა. როდესაც ასეთი ნებაყოფლობითი შეთანხმება წერილობითი საბუთითაც იყო აღბეჭდილი, რომელსაც მაშინ სიგელი ეწოდებოდა, ასეთ ყმას **სიგლოსანი** ერქვა. ისეთი ყმებიც იყვნენ, რომელნიც ამა თუ იმ პატრონის თავიანთ ყმობას ხალხის აღწერის დავთარის შედგენის დროს განაცხადებდნენ და ჩააწერინებდნენ. ასეთ ყმას თავდაწერილი ეწოდებოდა.

სრულებით ცხადია, რომ ნებაყოფლობით ყმობაზე დამყარებული ურთიერთობა გაცილებით უკეთესი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, ვიდრე

სხვა კატეგორიის ყმებისა, ამ შემთხვევაში პატრონყმური ურთიერთობა ორგვარი გზით იყო ხოლმე მოწესრიგებული: ან ზნე-ჩვეულებაზე დამყარებული პატრონყმობის პირობებით, ან და წერილობით საბუთში საგანგებოდ აღნიშნული პირბებით. ასეთი უპირატესი მდგომარეობა **სიგლოსნებსა** ჰქონდათ, ხოლო **ნებიერთა და თანასწორთა** პატრონყმური დამოკიდებულება ზნეჩვეულებას ემყარებოდა. სიგლოსნებსა და ნებიერთ გარკვეულ პირობებში პატრონისაგან წასვლის უფლება ჰქონდათ.

ყმას თავისი მიწა ჰქონდა, თავისი ფუძე მოეპოვებოდა, რომელზედაც ის იჯდა და რომელიც მის საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ იყვნენ ისეთი ყმებიც, რომელთაც პატრონისაგან ჰქონდათ მიწა მიღებული და რომელნიც პატრონის მიწაზე ისხდნენ; რა თქმა უნდა, თავისუფალი გლეხებიც იყვნენ, რომელნიც არავის ყმად არ ითვლებოდნენ და უშუალოდ სახელმწიფო დაწესებულებებს ექვემდებარებოდნენ.

პატრონი ვალდებული იყო თავისი ყმა და საყმო პირადადაც და ქონებრივადაც დაეცვა ყველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც-კი მისი დახმარება საჭირო იყო. ყმის მოვალეობას პატრონის ერთგული სამსახური, მასთან და მის საყმოსათვის ერთად საბრძოლველად გასვლა, საპატრონყმო გადასახადების გამოღება და სამუშაოდ გამოსვლა შეადგენდა. თითოეული ამ მოვალეობათაგანის სიდიდე და რაოდენობა ყმობის პირობაზე იყო დამოკიდებული. ყმათა სხვადასხვა კატეგორიების ქონებრივი მდგომარეობაც ამისდა მიხედვით განსხვავდებოდა. ყველაზე უკეთესად ისინი გრძნობდნენ თავს, რომელთაც **შეუვალობა** ანუ იმუნიტეტი ჰქონდათ მინიჭებული, ე. ი. რომელნიც გადასახად-ბეგრისაგან განთავისუფლებულები იყვნენ.

ყმები მეფესაც ჰყავდა, რომელთაც სამეფო ანუ სახელმწიფო ყმები ეწოდებოდათ, აზნაურებსა დასხვა წოდების წევრებსაც, — დასასრულ, **საეკლესიო ყმებიც** არსებობდნენ, რომელნიც მონასტრებისა და ეკლესია-საეპისკოპოსო საყდრების ყმებად ითვლებოდნენ და უმეტეს შემთხვევაში მეფე-დიდებულთაგან გადაცემულნი, **ნაწყალობევი** უნდა **შეწირულები** იყვნენ ხოლმე იმ პირობით, რომ შემწირველის სულის მოსახსენებლად და აღაპის გადასახდელად ასეთ ყმებს მონასტრისა, თუ ეკლესიისათვის ყოველწლიურად სანთელ-საკმელი და სანოვაგე უნდა მიეცათ.

საქართველოს მოსახლეობა **წოდებრივ ფენებადაც** იყო დაყოფილი. უმაღლეს წოდების წევრს **აზნაური** ეწოდებოდა. **აზნაურნი** იყვნენ **მემამულენი,** ანუ მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა **მოსაკარგვენი**, ე. ი. რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, **ციხიანნი** და **უციხონი**, რომელთაგან პირვლენი აზნაურთა უფრო გავლენიანსა და ძლიერ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

მეორე წოდებრივი ფენა შესდგებოდა **ვაჭრებისაგან.**

მესამე ფენას **მსახურნი** წარმოადგენდნენ.

მეოთხე ფენა სოფლის მოსახლეობისა, **გლეხობისაგან** შესდგებდა.

აზნაურთა წოდება შთამომავლობისა, სამსახურისა და ქონებრივი სახსრისდა მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფებოდა. რაკი სამსახურს მაშინ **დიდება** ერქვა, რომელ აზნაურსაც სამსახური ჰქონდა, **დიდებული** ერქვა. ამგვარად **დიდებული აზნაურნი** ერთდაიმავე დროს წოდებრივი უპირატესობის მქონებელნიც იყვნენ და სამსახურებრივი უპირატესობითაც მოსილნიც.

მაგრამ წოდებრიობა საქართველოში მკაცრად განკერძოებულ დახშულ სოციალურ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლებელი იყო ადამიანი დაბალი წოდებითგანაც აღზევებულიყო, ისევე როგორც მაღალი წოდების წრითგან ჩამომცრობილიყო. **აღზევება** ორგვარი გზით იყო შესაძლებელი: ან მეფის წყალობით, ან პირადი ღირსებითა და სამსახურით შეეძლო ადამიანს აღზევების უფლება დაემსახურებინა და მეფეს ის თავის უფრო დაბალი წოდებითგან უფრო მაღალ წოდებრივ ფენაში აეყვანა.

მაგრამ ყოველი წოდებრივი ფენისათვის შესაფერისი **ეკონომიური საფუძველიც** იყო საჭირო: ყოველ წოდებას სახელმწიფოს წინაშე თავისი **სამსახური** ჰქონდა **სამხედრო ბეგრის** სახით, რისთვისაც გარკვეული **ქონებრივი სახსარი** უნდა ჰქონოდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. ამიტომ თუ ამა თუ იმ წოდების წარმომადგენელს სამი თაობის განმავლობაში თავისი წოდების მოვალეობის პირნათლად ასრულების ძალა აღარ ჰქონდა, ის თავის წინანდელ წოდებას ჰკარგავდა და უფრო დაბალ წოდებრივ ფენაში გადადიოდა. ვერავითარი ძალა მას იმ წოდებრივ ღირსებას, რომელიც მის საგვარეულოს ჰქონდა, ვეღარ შეუნარჩუნებდა. ამგვარადვე, თუ ერთხელ აღზევებულის მემკვიდრენი სამი თაობის განმავლობაში ამ აღზევებით მოპოვებულს ღირსებას შეინარჩუნებდნენ, ისინი წინანდელ თავის თავის წოდებითგან გამოდიოდნენ და უფრო ზემდგომ წოდებაში გადადიოდნენ ხოლმე.

ჯერ კიდევ IX საუკუნეში ისეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, რომ წოდებათა შორის არსებული განსხვავება ცხოვრების ყველა სფერში არ ჩანდა. ამ მხრივ დამახასიათებელი ვითარება იყო სამონასტრო და საეკლესიო წესწყობილებაში. ამ ხანაში სამონასტრო ძმობაში დიდგვარიანი აზნაურების გვარიშვილობის წარმომადგენელნი და გლეხობითგან გამოსული პირები თანასწორუფლებიან წევრებად ითვლებოდნენ: უბრალო მეცხვარე მონასტერში შესვლის, სათანადო განათლებისა და განსწავლის შემდგომ, შესაძლებელი იყო მაღალი თანამდებობის პირი გამხდარიყო, მონასტრის უფროსადაც ყოფილიყო დადგენილი და ეპისკოპოსადაც-კი აერჩიათ. ამის მაგლითები იმდროინდელს საისტორიო თხზულებებში არაერთი მოგვეპოება.

მაგრამ IX საუკუნის შემდეგ მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა და აზნაურთა წოდებამ ყველა სხვა წოდებებთან შედარებით განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვა. X საუკუნეში იგი იმდენად გაბატონდა, რომ მონასტრებშიც კი თითქმის არავის შეეძლო შესულიყო ბერად, თუ რომ ის აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდა. ასეთი გამონაკლისი-კი, როდესაც დაბალი წოდებითგან გამოსული პირები მონასტრებში ძმებად იყვნენ ხოლმე მიღებული, უმთავრესად საქართველოს გარეშე მდებარე მონასტრებში გვხვდება. თვით საქართველოში-კი სამონასტრო ძმობის შემადგენლობა, თუ მთლიანად არა, მისი დიდი უმრავლესობა მაინც აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა.

ამ მომხდარს ცვლილებას მარტო სამონასტრო წესწყობილებისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ გარკვეულ გავლენას ის აგრეთვე მთელ სახელმწიფოზედაც ახდენდა, რადგან, საეკლესიო კანონების ძალით, ეპისკოპოსად შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პირი კურთხეულიყო, რომელიც წინათ ბერმონაზონი იყო და სამონასტრო ცხოვრების ყველა საფეხური გავლილი ჰქონდა. რაკი მონასტრის ძმობა ამ ხანაში, აზნაურთა

წოდების შვილებისგან შესდგებოდა, ამიტომ ეპისკოპოსადაც ამავე ხანში აზნაურთა წოდებითგან გამოსულ პირებს აყენებდნენ და ქართული ეკლესიის მესაჭეობაც დიდგვარიან აზნაურთა წოდებას ჩაუვარდა მთლიანად ხელში. ცხადია, რომ რადგან მღვდლების კურთხევაც უმთავრესად ეპისკოპოსის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული, დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსული ეპისკოპოსებიც უპირატესობას თავიანთ წრის წევრებსვე მისცემდნენ და მღვდელებად, ხუცესებად, მათ აკურთხებდნენ. ამას საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ერისკაცობაში დიდგვარიანი აზნაურობა იყო გაბატონებული და, ამრიგად, ეკლესიის მღვდელთმსახურნი დ ერისკაცობის მაღალი ფენა წოდებრივად უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი. ამავე დროს საქართველოში ძლიერი სახელმწიფოებრიობის შექმნა სრულებით შეუძლებელი იყო, თუ რომ დიდგვარიან აზნაურთა წოდებრივი უპირატესობა-თვითნებობა ალაგმული არ იქნებოდა და ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალება არ მიეცემოდა, დიდგვარიან აზნაურთა ურჩობა საერთო სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით აელაგმა.

საქართველოს მეფეთაგან პირველად ბაგრატ III -მ შეიგნო, რომ საქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრიობის დამყარება და ქვეყნის გაერთიანება მანამდე შეუძლებელი იქნებოდა, სანამ უფლისწულთა და დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობა ულმობლად არ აილაგმებოდა. ამით აიხსნება, რომ ბაგრატ III-მ თავისი მეფობის პირველი წლებითგანვე მოყოლებული დიდგვარიან აზნაურთა ყოველ ურჩობასა და თვითნებობას მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია. დასავლეთ საქართველო იქნებოდა, თუ აღმოსავლეთი, მისი ისტორიკოსის ცნობით, ბაგრატ III ყველგან და ყოველთვის ერთნაირად იქცეოდა ხოლმე, ურჩ და მოწინააღმდეგე მოხელე აზნაურებს უყოყმანოდ გადააყენებდა ხოლმე და მათ მაგიერ თავის ბრძანებათა მორჩილ აღმასრულებლებს ნიშნავდა. ბაგრატ III-ს საქართველოს ასე სწრაფად გაერთიანება და მტკიცე სახელმწიფოებრიობის შექმნა სწორედ ამან შეაძლებინა.

მისი შვილი გიორგი I, სამწუხაროდ, ამ მხრით სრულებით უმწეო პიროვნება გამოდგა, მაგრამ ბიზანტიასთან ბრძოლაში მისი უმწეობის ერთ მიზეზთაგანს სწორედ დიდგვარიან აზნაურთა ორგულობა შეადგენდა.

ბაგრატ IV უფრო ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა: მას ისეთივე ამოცანა ჰქონდა მიზნად დასახული, როგორიც ბაგრატ III-ს, მაგრამ მის მეფობაში საგარეო პოლიტიკული ვითარება გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ბაგრატ III-ს დროს და ამასთანავე, როგორც სახელმწიფო მოღვაწეც, ბაგრატ IV, თავის პაპას ღირსებითაც ძალიან ჩამოუვარდებოდა.

ბაგრატ IV-ის მეფობის უდიდესი ძალა და დროც აგრეთვე თვითნება დიდგვარიან აზნაურებთან ბრძოლას შეეწირა: დაუნდობელი ბრძოლის წარმოება მას ჯერ ლიპარიტთან უხდებოდა. საქართველოს პოლიტიკურ საქმეთა მიმდინარეობა ხშირად სწორედ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა განწყობილება არსებობდა ბაგრატ მეოთხესა და მის ამ ვითომცდა ყმას, ნამდვილად-კი ყოვლად შემძლე მბრძანებელს ლიპარიტ ამირას შორის. როდესაც ბაგრატ IV-მა ბოლოს ლიპარიტის თავითგან მოშორება შესძლო, აიძულა ის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და

საქართველოთგან გახიზნული ათონის ქართველთა მონასტერში უბრალო ბერად შემდგარიყო, შინაურობაში თითქოს მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ ამ ერთი უკვე დამორჩილებული და უვნებლად ქცეული ყმის მაგიერ სხვები გამოჩნდნენ: ხუთნი ძმანი **აბაზას-ძენი,** რომელთაგან ერთი ქართლის ერისთავთ-ერისთავი იყო, სხვებსაც სათანადო მაღალი ხელისუფლება, ანდა სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ. მათ ბაგრატ IV-ის შეპყრობაც-კი ჰსურდათ.

ბაგრატ IV-მ გადასწყვიტა საქართველოში განთქმული ქართველი მოღვაწე **გიორგი მთაწმიდელი** მოეწვია. მისი სახელგანთქმულობა მას იმედს აძლევდა, რომ საქართველოში მისი ჩამოსვლა დიდ სარგებლობას მოუტანდა და მშვიდობიანობის დამყარებასა და კულტურულ წარმატებას ხელს შეუწყობდა. გიორგი მანამდე ათონის მთაზე მოღვაწეობდა.

ათონის მონასტრის დაარსებას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმიტომ რომ სწავლა-განათლების კერა საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც-კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე.

უცხოეთის ქართულს სავანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ ხანაში **ათონის მონასტერს** მიუძღვის. იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების მიერ დაარსებულს ამ სავანეში, რომელშიც 300 ქართველი ბერი იყო თავმოყრილი, X საუკუნის დამლევითგან მოყოლებული ორ მთავარ ამოცანას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. იოანე მთაწმინდელისაგან დასახულ მიზნის თანახმად ეს სავანე ქართული კულტურის ცენტრად უნდა ქცეულიყო. ყველაფერი, რაც ქართულ მწერლობას, მსოფლიო ლიტერატურასთან შედარებით, აკლდა, აქ უნდა ყოფილიყო შევსებული. ამისათვის მან თავისი ვაჟიშვილი ეფთვიმე საგანგებოდ განსწავლა და მან ისე ზედმიწევნით შეითვისა ბერძნული, რომ ისევე თავისუფლად შეეძლო წერა, როგორც თავისი დედა-ენაზე. მის კალამს მრავალი ქართულად დაწერილი ნაშრომი ეკუთვნის და ბერძნულადაც რამდენიმე მოეპოვება. ეფთვიმეს ღვაწლია, რომ პირველად მან მისცა საშუალება საბერძნეთის მწერლობას აღმოსავლეთში გაჩენილი ვარლაამისა და იოდასაფის თქმულება, ეფთვიმეს მიერ ქართულად «**სიბრძნე ბალავარისა**»-დ სახელდებული, გაეცნო და იქითგან დასავლეთი ევროპის საზოგადოებრიობაც მას ხარბად დასწაფებოდა. მის კალამსვე ეკუთვნის «აბუკურა», რომელიც ქართულითგან აგრეთვე მანვე გადაიღო ბერძნულად.

ეფთვიმე მთაწმიდელი შესანიშნავი იყო აგრეთვე, როგორც სოციალურ პრობლემებზე მოაზროვნე პიროვნება და როგორც სამართლის თეორიის გამოჩენილი მკვლევარი, დიდი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ათონის ქართველთა სავანის სამონასტრო წესწყობილება მას დამყარებული ჰქონდა ორ ძირითად პრინციპზე, რომელთა თანახმად სავანეში შემავალთათვის წოდებრიობა და კერძო საკუთრება მკაცრად იყო უარყოფილი. ეს ორი დებულება უნდა ყველას უცილობლად მიეღო და სიტყვის შეუბრუნებლივ დაეცვა და იმ სასტიკ წესებს დაჰმორჩილებოდა, რომელიც ათონის ქართველთა მონასტერში იყო შემოღებული. ტანისამოსიცა და საცვალიც-კი არ შეიძლებოდა, რომ ვისმე თავის საკუთრებად მიეჩნია და ყველაფერი საერთო უნდა ყოფილიყო! ამგვარადვე ყველანი ვალდებულნი იყვნენ სამონასტრო ფიზიკურს სამუშაოში მონაწილეობა მიეღოთ.

დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსულ პირთათვის, რომეელნიც ათონის ქართველთა მონასტერში ბერად აღკვეცის მიზნით იყვნენ საქართველოთგან ჩამოსულნი, ქართველთა ძმობისათვის ზემოაღნიშნული სოციალურ-ეკონომიური მოძღვრების თანახმად სავალდებულოდ ქცეული მკაცრი მოთხოვნილების ასრულება ადვილი არ ყოფილა. გიორგი მთაწმინდელის მოწმობით, ბევრი ასეთი დიდგვარიანი აზნაურის შვილი, ან არ მიუღია ეფთვიმეს, ან გაუძევებია, იმიტომ, რომ მათ ამ მოთხოვნილებასთან შეგუება ვერ შესძლებიათ.

ძველი დროითგან მოყოლებული სამონასტრო იერარქიული წესწყობილება საქართველოში მონარქიულს პრინციპზე იყო დამყარებული, ე.ი. მონასტრის მამასახლისი სამონასტრო დაწესებულებებში ყველა მოხელეებს თვითონ ნიშნავდა, სიკვდილის წინ თვითონ ასახელებდა იმ პირსაც, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისად უნდა გამხდარიყო.

ასეთ პირობებში მყოფ მონარქიულ წესწყობილებაზე დამყარებულს მონასტერს შემდეგში ღირსეული მემკვიდრეები მამასახლისთა შორის ვერ აღმოჩნდნენ. ქართველთა ათონის მონასტრის დიდი გავლენის გამო, რომელიც მას ათონის სხვა მონასტრებს შორისაცა და ბიზანტიის კეისრის სამეფო კარზეც ჰქონდა, შავ-გიორგად წოდებული ათონის ქართველთა მონასტრის მამასახლისი ბიზანტიის კეისრის სასახლეშიც გავლენინი პირი იყო. მას კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ საკარისკაცო პოლიტიკურ შეთქმულებაში გარეულობა დაჰბრალდა და იგი დასჯილ იქმნა. მაგრამ ამ მამასახლისის დასჯასთან ერთად, ქართველთა მონასტერიც განსაცდელში ჩავარდა: ათონის ქართველთა მონასტერი სამჯერ გაჩხრეკილი და გაძარცული იყო. ბერძენ ბერებს ქართველების ათონითგან მთლად გაძევებაც-კი ჰქონდათ განზრახული. მათ უნდოდათ, რომ ეს დიდი და მდიდარი სავანე მთლიანად ჩაეგდოთ ხელში.

ათონის მონასტრის ძმობა დარწმუნდა, რომ სავანეზე თავსდამტყდარი განსაცდელი წესწყობილების იმ დებულების შედეგი იყო, რომლითაც ძმობას საშუალება ჰქონდა მოსპობილი მამასახლისობისათვის შესაფერისი პირი შეერჩია და რომელიც მონასტერს უფროსად მემკვიდრეობით დანიშნულს პირს უგდებდა ხელში. ამის შეგნებამ სამონასტრო წესწყობილების ამ ძირითადი დებულების შეცვლის აუცილებლობა ცხად-ჰყო. ძმობა იმ აზრს

დაადგა, სავანეს ბედ-იღბალი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს უზრუნველყოფილი, თუ დანიშვნაზე დამყარებული მონარქიული წესის მაგიერ მთელი ძმობის ნებაზე დამყარებული არჩევანის წესწყობილება იქნებოდა შემოღებული. სწორედ არჩევანი იყო მიღებული იმ წესად, რომელსაც წინანდელი ერთპიროვნული მართვა-გამგეობის წესი უნდა შეეცვალა. ათონის ქართველთა მონასტერში 1031 წლისათვის, უცხოეთში მყოფი ყველა ქართველთა სავანეების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მონასტრის თანამდებობის პირად დადგენისათვის არჩევაზე დამყარებული წესი იქმნა შემოღებული. სამ დასახელებულ კანდიდატიდან მამასახლისად ის პირი ითვლებოდა ხოლმე არჩეულად, რომელსაც ამ სამთაგანს წილგდებით ერგებოდა.

ამგვარად, ძველად არსებული მონარქიული წესწყობილების მაგიერ, ქართველთა ჯერ უცხოეთში მყოფსა და შემდეგ თვით საქართველოს მონასტრებშიც დამყარდა რესპუბლიკური წესწყობილბა, მთელი ძმობის მონაწილეობით მომხდარი არჩევანისა და საქმეთა განხილვის პრინციპზე დაფუძნებული. ამას უაღრესი მნიშვნელობა მარტო საქართველოს ეკლესიისათვის-კი არ ჰქონდა, არამედ ქართული სახელმწიფო წესწყობილებისათვისაც.

ასეთს სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებათა სფეროში იყო აღზრდილი გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ეფთვიმე მთაწმინდელის მოღვაწეობის გამგრძელებელი იყო, როგორც სალიტერატურო ისევე აგრეთვე სამონასტრო ასპარეზზედაც. მისი მრწამსიც წოდებრიობისა და კერძო საკუთრების უარყოფა იყო, რომლისათვისაც თავგამოდებული ბრძოლა მას საჭიროდ მიაჩნდა კიდეც.

როდესაც ბაგრატ IV-მ გიორგი მთაწმიდელს მეორეჯერ სთხოვა საქართველოში დაბრუნებულიყო და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა უცხოეთითგან მთლიანად საქართველოში გადმოეტანა, ყოყმანის შემდგომ მან თანხმობა განაცხადა და 1060 წელს საქართველოში მოვიდა.

გიორგი მთაწმიდელს საქართველოში დიდი ამბით დახვდნენ. თვით ბაგრატიცა და მისი ყველა ხელისუფლები და დიდებულები, იმგვარადვე როგორც ხალხიც გახარებული იყო. ასეთი საზეიმო დახვედრისდა მიუხედავად, გიორგი მთაწმიდელის ფხიზელ გონებას და კარგად მჭრელ თვალს საშუალება ჰქონდა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის უარყოფითი მხარეებიც დაენახა. სწორედ ამ ხანაში საქართველო განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ერთი მხრით იმის გამო, რომ შიმშილობა მძვინვარებდა, მეორე მხრით აგრეთვე იმ შინაური ბრძოლის წყალობითაც, რომელიც საქართველოში წინათ ხშირად არღვევდა ხალხის მყუდროებას და იმ დროისათვის მხოლოდ ოდნავ ჩანდა მინელებული.

გიოგი მთაწმიდელთან, როგორც გამოჩენილ მოღვაწესთან, საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები მრავლად მოდიოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომელიც შიმშილობასთან დაკავშირებული იყო. გიორგი მთაწმიდელი რწმუნდებოდა, რომ ის თანამდებობის პირნი, რომელნიც მოვალენი იყვნენ გაჭირვებულ ხალხზე ეზრუნათ, ამ სტიქიურსა და შინაური უწესოებით გამოწვეულ უბედურებას სრულებით გულგრილად ეკიდებოდნენ: ხალხს დამხმარე არ უჩანდა, გულშემატკივარი თითქოს არ იყო. თვით სამღვდელო პირებიც-კი,

რომელთაც ამ შემთხვევაში თავიანთ სამრევლოსადმი გულშემატკივრობა ყველაზე მეტად უნდა გამოეჩინათ, ამ გაჭირვებას სრულებით გულგრილად ეპყრობოდნენ. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფს მოთხრობილი აქვს, რომ სწორედ იმ ხანაში, როდესაც საქართველოში ისეთი საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა, რომ მშობლებიც-კი თავიანთ შვილებს უპატრონოდ სტოვებდნენ, რაკი გამოკვების საშუალება სრულებით მოსპობილი ჰქონდათ, ასე მიტოვებული ობლად დარჩენილი ბავშვებისა და მოზრდილების დამხმარეც-კი არავინ ჩანდა.

მაშინ გიორგი მთაწმინდელმა მათი შეგროვება და მათზე მზრუნველობა თვითონ იკისრა: 80-მდე ასეთი სხვადასხვა ჰასაკის, უმთავრესად-კი მცირეწლოვანი გაჭირვებული, შიმშილისაგან განსაცდელში ჩავარდნილი სული მოკრიფა თავის გარშემო და მათს გამოკვებასა და მათთან მუშაობასაც-კი შეუდგა.

როდესაც გიორგი მთაწმინდელი დარწმუნდა, რანაირი დამოკიდებულება ჰქონდა უმაღლეს სამღვდელოებას თავის თანამოძმეებისადმი, აღშფოთებულმა მათ პირში მხილება დაუწყო. ის განცვიფრებული იყო იმ გულქვაობით, რომელსაც ზოგი ამ მღვდელმთავარ-ეპისკოპოსთაგანი ადამიანისადმი იჩენდნენ, იმ დროს როდესაც თავიანთი პატივმოყვარეობისა და სახელის მოხვეჭის გულისათვის არაფერს არ იკლებდნენ და თავიანთ მოღვაწეობას განაგრძობდნენ წინანდებურად. ერთ მათგანს გიორგი მთაწმიდელმა პირში უთხრა: შენ რომ სახელის მოსახვეჭად დიდებულ ტაძრებს აშენებ, განა ეს გვაქვს მცნებად და ანდერძად მოცემული? რასაც შენ სჩადიხარ, ეშმაკის შთაგონების შედეგია. განა მოძღვარმა არ თქვა: მე მშიერი ვიყავი და თქვენ პური არ მეცითო?!

გიორგი მთაწმიდელი რომ ამ 80 სულის განსწავლას და სამღვდელ-მსახურო სამსახურისათვის მომზადებას შეუდგა, ვინც ასაკად მოსული შეიქმნა და უკვე საკმაოდ განსწავლული აღმოჩნდა, სოციალურ წარმოშობისდა მიუხედავად, იმ ხელისუფლების ძალით, რომელიც მას ჰქონდა, ისინი მღვდლებად აკურთხა. იმ დროისათვის საქართველოში ეს სრულებით გაუგებარი ნაბიჯი იყო, რადგან, როგორც ვიცით, უკვე X საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ყველგან წოდბრიობა იყო გაბატონებული, მათ შორის ეკლესიაშიც, და ეპისკოპოსებიც ხუცესებადაც მხოლოდ მაღალი წოდებითგან, ე. ი. აზნაურთა წოდებითგან გამოსულ გვარიშვილებს აყენებდნენ. გიორგი მთაწმიდელმა-კი გუშინდელი ყმები და გლეხთა წოდებითგან გამოსულნი, განსწავლის შემდგომ, ხუცესებად აკურთხა, რა თქმა უნდა, ეს მაშინდელი პატრონყმურ-წოდებრივი რწმენის ცხადსა და კადნიერს შებღალვას წარმოადგენდა და ამიტომაც საქართველოში მაღალ წრეში დიდი განცვიფრებაცა და უკმაყოფილებაც გამოიწვია.

გიორგი მთაწმინდელმა ბაგრატ მეოთხეც-კი, რომელმაც ის მოიწვია და რომლის წინადადებითაც მას ჭყონდიდის საეპისკოპოსო საყდრის მესაჭეობა უნდა ეკისრა, არ დაინდო. მართალია, გიორგი მთაწმიდელი დიდგვარიან აზნაურთა წოდებრიობის უპირატესობის აშკარად წინააღმდეგი იყო და ადამიანის აღზევებისათვის უმთავრეს მნიშვნელობას პირადს ღირსებას ანიჭებდა, მაგრამ ის დარწმუნდა, რომ საქართველოში არსებული უწესოება ნაწილობრივ თვით ბაგრატის მოქმედებითაც იყო გამოწვეული. ბაგრატს უჩიოდნენ, რომ მართლმსაჯულებას ვერ იცავდა, ყოველთვის პირუთვნელი,

მიუდგომელი მოსამართლე არ იყო, რომ თითონ ის საეკლესიო ხელისუფლების განაწილების დროსაც უანგარო სახელმწიფოებრივი მოსაზრებით-კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ საეპისკოპოსო საყდრებს ისეთ პირებს აძლევდა ხოლმე, რომელთაც მეფისათვის უფრო მეტი ძღვენის მირთმევა შეეძლოთ. ამიტომაც გიორგი მთაწმიდელმა უშიშრად დაიწყო ბაგრატის მხილება.

ის დამოკიდებულება, რომელიც ამ მხილების გამო, როგორც საქართველოს ეკლესიის უმაღლესი სამღვდელოების წარმოადგენლებს, ისევე ბაგრატ IV-სა და გიორგის შორის დამყარდა, როგორც ჩანს, თითონ გიორგი მთაწმიდელისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ იმისდა მიუხედავად, რომ გიორგი მთაწმიდელი საქართველოში საბოლოოდ დასარჩენდა იყო ჩამოსული და თავისი შემდეგი მოღვაწეობა უნდა სამშობლოში განეგრძო, 1065 წელს საქართველოთგან ისევ წავიდა.

საქართველოთგან ათონის მთაზე დაბრუნების მიზეზი სწორედ ის გამწვავებული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო, რომელიც გიორგი მთაწმიდელის დემოკრატიული მიმართულებისა და დემოკრატიული მოქადაგეობის გამო საქართელოში დამყარებულა. დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსულ გვარიშვილებისათვის, რა თქმა უნდა, უსიამოვნო გარემოება იყო მისი ასეთი საჯარო მხილებაცა და მისი გაბედული მოქმედებაც, როდესაც მის მიერ განსწავლული დაბალი წრითგან გამოსული პირები ხუცესებად აკურთხა და ამით ის სოციალური წესი დაარღვია, რომელიც საქართველოში ერთი საუკუნის განმავლობაში მაინც განმტკიცებული იყო. გიორგი მთაწმიდელი ათონის მთაზე დასაბრუნებლად გზად მიმავალი კონსტანტინოპოლში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ამისდა მიუხედავად, მის მოღვაწეობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. თუმცა გიორგი მთაწმიდელი თავის სამშობლოში მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში იყო, მაგრამ ასეთი მცირე ხნის განმავლობაში მან პირველხარისხოვანი პრობლემის წამოყენება და ნაწილობრივ გადაჭრაც მოახერხა. ეს ამასთანავე ისეთი ამოცანა იყო, ურომლისოდაც ვერც საქართველოს სახელმწიფოებრიობა განმტკიცდებოდა, ვერც მისი კულტურული წარმატებისა და განვითარებისათვის შეიქმნებოდა მთლიანად ხელსაყრელი პირობები. მისი უცილობელი ღვაწლია, რომ დემოკრატიული პრინციპი და პირადი ღირსების უპირატესობა საგვარეულო და წოდებრივ უპირატესობასთან შედარებით პირველად მან წამოაყენა საქართველოში. როგორც მხოლოდ მონასტრის მამასახლისს, გიორგი მთაწმიდელს, რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი სოციალური მრწამსი მთლიანად განეხორციელებინა, მას ხომ ამის საშუალება და კანონიერი უფლება ჰქონდა, მაგრამ ამ საკითხის წამოყენებით მისი მერმინდელი განხორციელებისათვის მან უკვე საკმაოდ მოუმზადა ნიადაგი და ამით სახელმწიფო ხელისუფლებას გაუადვილა დემოკრატიზაციისათვის უფრო ფართოდ მოეკიდა ხელი და განეხორციელებინა.

XI საუკუნის განმავლობაში, როგორც თვით საქართველოში, ისევე უცხოეთში მყოფ ქართულ ცენტებშიც დიდი კულტურული მუშაობა მიმდინარეობა. ამ დროისათვის მომწიფდა ქართველთა ეროვნული თვითშემეცნებაც. უცხოეთში მყოფს ქართველებს მრავალჯერ ჰქონდათ

საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე არ იყო, როგორც მათ წინათ ეგონათ. მაშინდელი წარმოდგენით ქრისტიანი მართლმადიდებელი თავის თავს მართლმადიდებლად სთვლიდა, ეროვნება მას თითქოს დავიწყებული ჰქონდა ხოლმე. სხვა სარწმუნოების წარმომადგენელს-კი, მეტადრე მაჰმადიანს, თითქმის თავის მტრად სთვლიდა, ან არადა ყოველ შემთხვევაში მოწინააღმდეგედ. საბერძნეთში ყოფნამ ქართველები დაარწმუნა, რომ, იმის მიუხედავად, რომ ისინიცა და ბერძნებიც მართლმადიდებელნი ქრისტიანენი იყვნენ, მეტოქეობა მათ შორის, როგორც პოლიტიკურს, ისევე ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული, იმაზე მაინც ნაკლები არ იყო, ვიდრე ე. წ. «ურწმუნო» და უცხო თესლთა და ქართველებს შორის არსებობდა. ამ მეტოქეობას ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური გეგმების წინააღმდეგობა აღვივებდა. იმ გამწვავებულმა ბრძოლამ, რომელიც ბერძნებსა და ქართველთა შორის ათონის მთაზედაცა და სხვაგანაც ბიზანტიის საკეისროში წარმოებდა, უკიდურესობამდიც-კი მიიყვანა, რომ ათონის ქართველთა მონასტერში ისევე, როგორც პეტრიწონის ქართველთა სავანეში სამონასტრო წესდებაში საგანგაშო მუხლიც-კი იყო შეტანილი, რომ არც ერთი ბერძენი მონასტერში წევრად მიღებული არ ყოფილიყო, ეს მონასტრები მხოლოდდამხოლოდ ქართველთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, ის ბრძოლაც, რომელსაც, საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ანტიოქიის საპატრიარქო აწარმოებდა. საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა გაძლიერებამ ქართული ეკლესიის დაპატრონება ძალიან ხელსაყრელ და მიმზიდველ ამოცანად აქცია. ამიტომ ანტიოქიის საპატრიარქომ გამოქექა ძველი, უკვე დიდი ხანია სრულებით მივიწყებული, ცნობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსაგან დამოკიდებულების შესახებ და მოისურვა, რომ საქართველოს ეკლესია წინანდებურად ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ყოფილიყო დამოკიდებული. იქვე, ანტიოქიის ეკლესიის მესვეურთა წრეში შემუშავდა დებულება, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა უკანონოდ ყოფილიყო ცნობილი და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს უნდა წინადადება მისცემოდა, ან ანტიოქიის პატრიარქს დაჰმორჩილებოდა, ან-და ამ ურჩობის გამო, მსოფლიოს დანარჩენ პატრიარქებთან შეთანხმებით, შესაფერისი მსჯავრი და სასჯელი უნდა დასდებოდა.

რასაკვირველია, ანტიოქიის საპატრიარქოს აქ უმთავრესად ეკონომიური გამორჩენის იმედი ალაპარაკებდა: საქართველოს ეკლესია რომ მას დაჰმორჩილებოდა, საქართველოს ანტიოქიის საპატრიარქოსათვის უნდა ყოველწლიურად გარკვეული გადასახადი ეძლია და, ცხადია, რომ იმ დროს უკვე გამდიდრებული საქართველოთგან, შესაძლებელია, საკმაოდ დიდი შემოსავლის მოლოდინი ჰქონდა, რომ ამ მომხიბლავი მიზნით გატაცებული ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ანტიოქიის საპატრიარქოს გაბატონების შესაძლებლობა საქართველოსათვის ორი თვალსაზრისით იქნებოდა უსიამოვნო. ერთი მხრით ის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის უკვე განმტკიცებული დამოუკიდებლობისათვის სახიფათო და თავმოყვარეობის შემლახველ გარემოებას, მეორე მხრით ეკონომიურადაც საზიანო იქნებოდა.

ბრძოლა ამის წინააღმდეგ მხოლოდ იმ ნიადაგზე იყო შესაძლებელი, რომელზედაც მაშინდელი მსოფლმხედველობისა და მოძღვრების მიხედვით უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამისათვის-კი უნდა საქართველოში ქრისტიანობის დამყარების ისტორია ყოფილიყო გამოკვლეული, სახელდობრ, ქართული ეკლესია მართლაც თავითგანვე ანტიოქიისაგან იყო დამოკიდებული, თუ არა? ამ ისტორიული ამოცანის გამორკვევის მოვალეობა მაშინდელმა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა თავს იდვეს: პირველად **ეფთვიმე მთაწმიდელმა,** ხოლო შემდეგ ქართული ეკლესიის დამოკიდებლობის უფლება საჯაროდ სწორედ **გიორგი მთაწმიდელმა** დაასაბუთა, რომელმაც არამც თუ ანტიოქიის საპატრიარქოს მესვეურთა მიერ ყველა წამოყენებული დებულებანი გააბათილა, არამედ ცხადჰყო, რომ, თუ უფლებებზე მიდგებოდა საქმე, საქართველოს ანტიოქიის საპატრიარქოზე ნაკლები უფლებები არ ჰქონდა და უფრო ანტიოქიას ჰმართებდა დამორჩილება, ვიდრე საქართველოს.

საბერძნეთისა და მახლობელ აღმოსავლეთის განათლების მნიშვნელოვან ცენტრებში სავანეების ქონებამ საქართველოს საშუალება მისცა ყველაფერი სცოდნოდა, რაც-კი რამ საუკეთესო იყო მაშინდელს მსოფლიოში, და ამ გარემოებამ შეაძლებინა თავისი კულტურული წარმატება სწრაფად და შეუჩერებლივ განევითარებინა თვით საქართველოშიც და საქართველოს გარეშე მდებარე ცენტრებშიც. ამ ხანაში ბევრი სხვადასხვა თხზულება დაიწერა. ქართული იმდროინდელი კულტურის აყვავებისათვის ყველაზე დამახასიათებელია **ქართული საისტორიო მწერლობის** დიდი წარმატება. ამ ხანაში არა ერთი ისეთი საისტორიო საუცხოვო თხზულება იყო დაწერილი, რომელნიც ყოველი ერის საუკეთესო საისტორიო თხზულებათა კრებულს დაამშვენებდნენ. მათ შორის გიორგი მთაწმიდელის საისტორიო ნაშრომია აღსანიშნავი, რომელიც ათონის სავანის დაარსებისა და საქმიანობისა და საქმიანობის ისტორიას მოგვითხრობს. მისი შინაარსი ფრიად მნიშვნელოვანს სოციალ-ეკონომიურსა და კულტურულ პრობლემებსაც გვისურათებს. სოციალური მოძრაობის ისტორიის გასაშუქებლად საქართველოში საყურადღებოა და ძვირფასი აგრეთვე თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგი **ხუცესმონაზონის** მიერ დაწერილი თხზულება. ამავე ხანითგან გადარჩენილია საერო საისტორიო მწერლობა, რომელთა შორის «მატიანე ქართლისაი»-ა მნიშვნელოვანი.

მაშინდელი ქართული საისტორიო მწერლობის ყველაზე უფრო საყურადღებო თვისებას ის წარმოადგენს, რომ იმდროინდელს ქართველ ისტორიკოსებს თავიანთს თხზულებებში, პოლიტიკურ ამბებს გარდა, რომელთა შესახებაც იმ ხანის მემატიანეებსა და ისტორიკოსებს ჩვეულებრივ ჰქონდათ ხოლმე საუბარი, სოციალური, ეკონომიური და კულტურული პრობლემების გაშუქებისათვისა და ისტორიისათვისაც აქვთ უხვად დათმობილი ადგილი.

ქართული იმდროინდელი მეცნიერების დიდი წარმატების დამამტკიცებელია ეფთვიმე მთაწმიდელის ფილოლოგიური ნაშრომი, მეტადრე-კი მისი მოღვაწეობა სამართლის თეორიის სფეროში. მას ორი თხზულება ეკუთვნის: ერთი მათგანი «მცირე სჯულის კანონია», რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარს ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ეფთვიმე მთაწმიდელს

ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბოროტმოქმედების შესახებ, კერძოდ მკვლელობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია და ზოგადი ცნებების განმარტება მოეპოვება. ეს საყურადღებო ძეგლია, ქართული იმდროინდელი იურიდიული აზროვნების მაღალი დონისა და თვით ეფთვიმეს შემოქმედებითი დიდი ნიჭის ცხადი დამამტკიცებელი.

მაშინდელი ქართული კულტურის მიღწევად უნდა ის დიდი ძირითადი ცვლილებაც ჩაითვალოს, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამონასტრო წესწყობილებაში მოხდა, სახელდობრ მონარქიული წესწყობილების უარყოფა და ყველა მონაწილეთა თანადგომითა და ერთნებაობით არჩევაზე და რესპუბლიკური მართვა-გამგეობის წესზე დამყარებული წყობილება. ამ გარემოებას საქართველოს მერმინდელი ისტორიისა და განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აგრეთვე ქართული ხელოვნების დარგებითაც იმ ხანაში კულტურის დიდი წარმატება მჟღავნდება: იმდროინდელმა ხუროთმოძღვრებამ მშვენიერი ძეგლები დაგვიტოვა, რომელთაგან შესაძლებელია ბაგრატ III-ის მიერ აგებული ქუთაისის დიდებული ტაძარი, ბედია და სხვაც მრავალი იყოს დასახელებული. ქუთაისის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების იმდენად მომხიბლავს ძეგლს წარმოადგენდა, რომ ამის შეგნებით თვით ბაგრატმაც მის კურთხევაზე ყველა მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლები მოიწვია და დიდი ზეიმით აკურთხა.

ამრიგად, იმ შინაგანი და გარეშე მტერთან ბრძოლისდა მიუხედავად, რომელიც საქართველოში წარმოებდა, წინა საუკუნეებში დაწყებული კულტურული მუშაობა მაინც შეუჩერებლივ მიმდინარეობდა და საქართველო წარმატების გზაზე მტკცედ იდგა. ამიტომაც მისი ნაყოფი უფრო მეტად მომდევნო ხანაში გახდა საგრძნობი, როდესაც ამ კულტურის სრული გაფურჩქვნისა და აყვავებისათვის პოლიტიკური პირობებიც შესაფერისი შეიქმნა.

საქართველო, ვითარცა მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე და უძლიერესი სახელმწიფო

დავით II აღმაშენებელი (1089—1125)

დავით მეორე, შემდეგში აღმაშენებლად წოდებული, გამეფებისას 16 წლის ყმაწვილი კაცი იყო. პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო საქართველო მაშინ საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დავითის მამა, გიორგი II, როგორც დავრწმუნდით, თავისი მოვალეობის ღირსი ვერ გამოდგა. ამას გართულებული მძიმე საერთაშორისო პირობებიც დაერთო ზედ: სელჯუკიან თურქთა იერიშები და თარეში, რომელიც წლების განმავლობაში წარმოებდა. მტრის გამუდმებული თავდასხმისაგან აღმოსავლეთი საქართველო იმდენად იყო აოხრებული, რომ ქართლის შუაგული ტყით დაბურულ ქვეყნად იქცა და საუცხოვო სანადირო ადგილადაც-კი გახდა. ისტორიკოსის ცნობით, ამ შუაგულ ქართლში ნადირობაც-კი საშიში ყოფილა, თუ რომ წინასწარ არ დარწმუნდებოდნენ, რომ ნადირს გარდა, იქ მოთარეშე მტერიც არ იყო დამალული.

დავითის გამეფებამ ცხადჰყო, რომ იმ მძიმე პირობებშიც, რომლებშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა, შესაძლებელი ყოფილა ბევრი რამ გაკეთებულიყო, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულიყო, ქვეყანას რომ ღირსეული მესაჭე ჰყოლოდა.

დავით აღმაშენებელმა უპირველესად სცადა, დაშინებული გაბნეული ხალხი დაემშვიდებინა. ზოგის გამხნევებით, ზოგის დარცხვენით მან გაქცეულ-გაფანტული ხალხის დაბრუნება მოახერხა. საბედნიეროდ ამავე დროს თვით თურქთა ძლიერების შესუსტებაც ცხადად გამომჟღავნდა, 1092 წელს რომ მელიქ-შაჰი სულტანი გარდაიცვალა. თურქთა დიდს საბრძანებელში შინაური უთანხმოების ნიადაგზე აღმოცენებულმა ბრძოლამ მათი ხელისუფლებაც დაამცირა.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ღვაწლს მაინც უფრო ის შეადგენს, რომ დიდგვარიან აზნაურებს მალე აგრძნობინა, რომ წინანდელი უსუსური ხელისუფალის მაგიერ სამეფო ტახტზე უკვე ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც არც ერთს მათგანს თვითნებობას და ურჩობას არ აპატიებდა. როცა 1093 წ. **ლიპარიტ ამირამ,** მაგალ., თავისი მამაპაპისეული მიმართულების გზაზე დადგომა დაიწყო და დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას შეუდგა, ამბის გაგებისთანავე, დავითი მოულოდნელად მას თავს დაეცა, შეიპყრო და ციხეში დაამწყვდევინა. ამით მან ყველას აგრძნობინა, რომ თავისი მამის პოლიტიკის მაგიერ, რომელიც აჯანყებულ დიდგვარიანი აზნაურების საჩუქრებით მომადლიერებას ცდილობდა, ის ასეთი ურჩობის განზრახვისათვის დაუყოვნებლივ მკაცრ პასუხს გასცემდა.

ხვეწნა-ვედრების შემდგომ დავითმა ლიპარიტი ციხითგან გამოუშვა და აპატია, თანამდებობაც და ყველაფერი დაუბრუნა, რაც მას წართმეული ჰქონდა, მაგრამ ლიპარიტმა მაინც თავი დიდხანს ვერ შეიკავა და კვლავ წინანდელი ზრახვის განხორციელებას შეუდგა. შეიტყო თუ არა ეს, დავით აღმაშენებელმა 1094—1095 წწ. ლიპარიტი ისევ დაიჭირა და ეხლა უკვე ორი წლის განმავლობაში ციხეში დაპატიმრებული ჰყავდა, შემდეგ 1097 წელს, მეფემ გადასწყვიტა, რომ ლიპარიტის გამოსწორება შეუძლებელი იყო, და ამიტომ მისი საქართველოთგან სამუდამოდ მოშორება არჩია: გააძევა საქართველოთგან და თვით მასაც და მის შვილსაც მთელი ქონება ჩამოართვა.

ორი წლის შემდგომ ცხადი შეიქმნა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში მაჰმადიანთა წინანდელი ძლიერების თუ დასასრული არა, დასუსტების ხანა მაინც უკვე დაწყებული იყო: 1097 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმის აღება შესძლეს, რამაც ამ მაჰმადიანთა უძლეველობას, რასაკვირველია, სახელი გაუტეხა. რამდენადაც საქართველოსაც მაშინ უმთავრესად ამ მაჰმადიან სახელმწიფოებთან და სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან უხდებოდა ბრძოლა, საქართველოსათვის ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელი იყო: დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებელმაც სწორედ ამის შემდგომ სელჯუკიან სულტნებისათვის ხარკის ძლევა შესწყვიტა და ამით საქართველოს სრული დამოუკიდებლობა აღადგინა.

მაგრამ საქართველოს აღდგენილი დამოუკიდებლობის განმტკიცება, რასაკვირველია, მარტო ამ საშუალებით არ შეიძლებოდა: მტერს ჯერ კიდევ ბევრი რამ ეკავა საქართველოში. მისი მამის დროითგან მოყოლებული, საქართველოს მიწა-წყლის არაერთი მნიშვნელოვანი ადგილი მტერს ჰქონდა შენარჩუნებული და ვიდრე ეს ადგილები განთავისუფლებული არ იქნებოდა,

მანამდის საქართელოს დამოუკიდებლობის შემდეგშიც დაცვა შეუძლებელი იქნებოდა. იმის გარდა, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი წინანდებურად მტრის ხელში იმყოფებოდა, ისეთი მნიშვნელოვანი ციხეც, როგორიც სამშვილდე იყო, ხომ აგრეთვე მტერს ეკავა. ამიტომ დავით აღმაშენებლის უახლოეს მიზანს საქართველოს გარეშე მტრის ნაშთებისაგან განთავისუფლება შეადგენდა.

დავით აღმაშენებლის მოქმედების გეზი და ტაქტიკის დამახასიათებელი თვისება მტერზე მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა იყო. რაკი საქართველოს ჯერ კიდევ მცირე სამხედრო ძალა მოეპოვებოდა, მხოლოდ ამგვარი მოულოდნელი თავდასხმით შეეძლო მრავალრიცხოვან მტერს, რომელიც თვით საქართველოში იყო შემოჭრილი, შედარებით უფრო ნაკლები მსხვერპლითა და იმედიანად გაჰმკლავებოდა. ჩვეულებრივ, როდესაც ის გალაშქრებას აპირებდა, წინასწარ სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა ხოლმე, რომ მტრის ჯაშუშებს საშუალება არ ჰქონოდათ თავიანთ მბრძანებლებისათვის სწორი ცნობა მიეტანათ. მოულოდნელი თავდასხმის წყალობით დავით აღმაშენებელმა თანდათანობით, მაგრამ მოკლე ხანში, მტრისაგან დაპყრობილი მნიშვნელოვანი ადგილების უკან დაბრუნება შესძლო.

მაინც მთავარს ამოცანას, რასაკვირველია, ბაგრატ III-ის შემდეგ გაუარესებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება შეადგენდა: საქართველოს უნდა დაჰბრუნებოდა აღმოსავლეთით მდებარე ისეთი მნიშვნელოვანი თემიც, როგორიც იყო კახეთი, რომელიც, როგორც ვიცით, უკვე ბაგრატ III-მ შემოიერთა, მაგრამ გიორგი I-ის დროს კვლავ ჩამოჰშორდა; კახეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთით **ზედაზნის ციხე** იყო, რომელიც კახთა მეფეებს ეკუთვნოდათ. 1101 წელს დავით აღმაშენებელმა ეს ზედაზნის ციხე კახთა მეფეს წაართვა, ხოლო 1102 წელს რომ კვირიკე კახთა მეფე გარდაიცვალა და მის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი უნიჭო დისწული აღსართანი იქნა აყვანილი, კახეთის დამოუკიდებელ არსებობასაც აღსასრული მოუახლოვდა. მაინც ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებლი არ აჩქარებულა, რამდენადაც ამის მოგვარება მაინც და მაინც დიდ სიძნელეს უკვე აღარ წარმოადგენდა, სამაგიეროდ მან მთელი თავისი ყურადღება ამაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას მიაქცია.

იმ შემთხვევითი და განცალკევებული ბრძოლის მაგიერ, რომელსაც მისი წინამორბედი საქართველოს მეფეები, თუნდაც ისეთი ძლირი პიროვნება, როგორც ბაგრატ მესამე იყო და შემდეგ ბაგრატ მეოთხეც, აწარმოებდნენ, დავით აღმაშენებელმა გეგმიანი, სისტემური პოლიტიკის წარმოება დაიწყო. დავით აღმაშენებლის ღვაწლია, რომ მან შეიგნო, რომ მთავარი ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ კარგად მოფიქრებული, მიზანშეწონილი, ზოგადი პოლიტიკის წარმოებით შეიძლებოდა. დავით მეფემ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დიდგვარიანი აზნაურები მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მარტონი არ იყვნენ, რომ მათ ძალას მარტო მათი საპატრონყმო ჯარი არ შეადგენდა, რომელიც მათთან ერთად გამოდიოდა საბრძოლველად და რომლის საქართველოს მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში მეფის ჯართან ერთად მონაწილეობა მხოლოდ მათ პირად ერთგულებაზე იყო დამოკიდებული: თუ ესა თუ ის დიდგვარიანი აზნაური მეფეს განუდგებოდა, მისი ჯარიც, უეჭველია, მეფესთან ერთად

საბრძოლველად არ გამოვიდოდა; პირიქით, შესაძლებელი იყო, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩენილიყო და მეფეს შეჰბრძოლებოდა კიდეც.

დავით აღმაშენებელს ისიც კარგად ესმოდა, რომ მაინც მთავარ უბედურებას ის შეადგენდა, რომ დიდგვარიან აზნაურებს ზურგს ისეთი ძლიერი ორგანიზაცია უმაგრებდა, როგორც მაშინ ეკლესია იყო, რომლის მესვეურნი და მაღალი ხელისუფალნი, ეპისკოპოსებიც, ყველანი დიდგვარიან აზნაურთა წრის შვილნი და წარმომადგენლები იყვნენ. ყოველი უთანხმოების დროს, რომელიც დიდგვარიან აზნაურებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ჩამოვარდებოდა, ეკლესიის მეთაურნი, ვითარცა წოდებრივი შთამომავლობით დიდგვარიან აზნაურებთან დაკავშირებულნი, თავიანთი წოდებრივი სულისკვეთებით უფრო იყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებით. ამიტომაც ზოგიერთი მათგანნი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ, თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებს უჭერდნენ მხარს. დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ სანამ ეკლესიის მესაჭეობა და თანამდებობის მიღება პირად ღირსებაზე-კი არა, არამედ წოდებრივ შთამომავლობაზე იქნებოდა დამყარებული, მანამდე შესაძლებელი იყო ეკლესია დიდგვარიან აზნაურთა მოკავშირე და, მაშასადამე, სახელმწიფო მეთაურის მოწინააღმდეგე აღმოჩენილიყო.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა ასეთი შესაძლებლობისათვის ბოლო მოეღო, ამისთვის-კი დიდგვარიან აზნაურთა წრითგან ღირსებით-კი არა, არამედ მაღალი შთამომავლობის გამო ეკლესიის მესვეურებად ქცეულთა შეცვლა იყო საჭირო. ამის განხორციელება მეფეს პირადად არ შეეძლო, რათგან ქართულ ეკლესიას შინაგან წესწყობილებაში დამოუკიდებლობის უფლება ჰქონდა და მეფე მის შესშყობილებაში ვერ ჩაერეოდა. ეკლესიის წესწყობილების დემოკრატიზაციის განხორციელება მხოლოდ საეკლესიო კრების საშუალებით შეიძლებოდა: მარტო მას ჰქონდა უფლება მთელი ეკლესიისათვის სავალდებულო და უცილობელი დადგენილება მიეღო. დავით აღმაშენებელს ამ ამოცანისათვის ბრძოლა შედარებით ოდნავ გაადვილებული ჰქონდა, ნიადაგიც მისთვის ნაწილობრივ **გიორგი მთაწმიდელის** მიერ საქართველოში 1060-1065 წ. გაწეული ქადაგებითა და პრაქტიკული საქმიანობით იყო მომზადებული. მაგრამ ის, რაც გიორგი მთაწმიდელმა გააკეთა, მხოლოდ პირველ ცდას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა გადსწყვიტა, გიორგი მთაწმიდელის კერძო თაოსნობა და მაგალითი მთელს საქართველოში გამოეყენებინა და ქართული ეკლესიის სრული დემოკრატიზაცია განეხორციელებინა.

წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით და საეკლესიო კრებისათვის ხელმძღვანელთა მარჯვედ შერჩევის შემდგომ, დავით აღმაშენებელმა 1103 წელს ე. წ. **რუსი-ურბნისის საეკლესიო კრება** მოიწვია. ამ კრებისათვის მონაწილედ მან ყველა გამოჩენილი სამონასტრო მოღვაწეები გამოიხმო. მას სამართლიანად ჰქონდა იმედი, რომ სწორედ ამ დემოკრატიულად განწყობილ სამონასტრო მონაწილეების საშუალებით შეეძლო მას დიდგვარიან აზნაურთა-ეპისკოპოსთა მოწინააღმდეგე ძლიერი ჯგუფი შეექმნა.

დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებელმა ამ საეკლესიო კრების განსახილველი საკითხების პირველ მუხლად სწორედ ეს ამოცანა წამოაყენა,

რომ ეპისკოპოსნი, რომელნიც «მამულობით» (ე. ი. მემკვიდრეობით) უფრო, ვიდრე ღირსებით საეკლესიო თანამდებობის მფლობელად იქცნენ, რომელთაც თავიანთი ეპისკოპოსობა მაღალი წოდებრივი შთამომავლობის წყალობით ჰქონდათ მიღებული და არა პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო, რომ ყველა ასეთი პირები გადაყენებული ყოფილიყვნენ და მათ მაგიერ, წოდებრივი შთამომავლობისდა მიუხედავად, ამ დიდი თანამდე ბობისათვის პირადი თვისებებით ღირსნი და განსწავლულნი აერჩიათ.

რუის-ურბნისის კრებისათვის წინასწარი სამზადისისდა მიუხედავად მაინც ძალიან გამწვავებული ბრძოლა გაჩაღდა. პირველ მუხლში აღნიშნული დებულების განხორციელება, მხოლოდ ხანგრძლივი კამათისა და მოწინააღმდეგეთა დაუნდობელი ბრძოლის შემდგომ, უეჭველია, სახელმწიფო ხელისუფლების ძლიერი გავლენის წყალობითაც მოხერხდა; დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსული ეპისკოპოსნი გადაყენებულ იქმნენ და მათ მაგიერ, შთამომავლობისდა მიუხედავად, ისეთი პირები აირჩიეს, რომელნიც შესაფერისად განსწავლულნიცა და განათლებულნიც იყვნენ და თავისი ზნეობრივი თვისებებითა და მსოფლმხედველობითაც ამისათვის გამოსადეგად უნდა ყოფილიყვნენ მიჩნეულნი.

ამრიგად ის, რის ქადაგებაც პირველად გიორგი მთაწმიდელმა გაბედა, დავით აღმაშენებელმა განახორციელა: **ქართული ეკლესიის დემოკრატიული წესწყობილება უკვე დამყარებული იყო**. ამან დავით აღმაშენებელს საშუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთათვის ისეთი ძლიერი მოკავშირე ჩამოეშორებინა, როგორიც მაშინდელი ეკლესია იყო. მოგვეპოვება ცნობა, რომ დავით აღმაშენებლისა და დიდგვარიან აზნაურთა წრითგან გამოსულ ეპისკოპოსების ბრძოლაში შიომღვიმის მონასტერმა დავით აღმაშენებელს დაუჭირა მხარი და ურჩი ეპისკოპოსი შეაპყრობინა. საქართველოს მერმინდელმა ისტორიამ ცხადჰყო, რომ ამ სოციალურს რეფორმას ეკლესიაში საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვისაცა და კულტურული წარმატებისათვისაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დავით აღმაშენებელს თავისი შემდომი პოლიტიკური და სოციალური პროგრამის განხორციელება უკვე გაბედულად შეეძლო განეგრძო. ეხლა უკვე კახეთის შემოერთებაც შეიძლებოდა. 1104 წელს ე. ი. ერთი წლის შემდგომ, უეჭველია, დავითთან წინასწარი შეთანხმებით, ჰერეთის დიდებულმა საგვარეულოებმა **არიშიანების** მეთაურობით **აღსართან მეფე** შეიპყრეს და დავითს გადასცეს. ჰერეთ-კახეთი, ამრიგად, შემოერთებული იყო, და მისი დამოუკიდებელი არსებობა მოისპო. მაგრამ განძის ათაბაგმა ეს სამტრო ნაბიჯად მიიჩნია: მისთვის, რასაკვირველია, უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მეზობლად დაქუცმაცებული საქართველო ჰყოლოდა, ვიდრე გაერთიანებული და ძლიერი. ამიტომ 1104-1105 წ. განძის ათაბაგსა და დავით აღმაშენებელს შორის ბრძოლა წარმოებდა. დავით აღმაშენებელმა განძის ათაბაგის დამარცხება შესძლო და ამ გამარჯვებამ მას საშუალება მისცა კახეთის შემოერთება საბოლოოდ განემტკიცებინა.

შემდეგ დავით აღმაშენებელი ქართული კულტურის და განათლების ცენტრის შექმნას შეუდგა, მან **გელათის** მონასტრის აგება გადასწყვიტა, რომელშიც მისი გეგმით საქართველოში და საქართველოს გარეშე მყოფი ყველა გამოჩენილი მოღვაწე მეცნიერი პირები უნდა ყოფილიყვნენ თავმოყრილნი. 1106 წელს მან, მართლაც, გელათის მონასტერი ააგო,

გამოჩენილი ქართველი ფილოლოგოსები და მეცნიერი ბერები შემოიკრიბა, უზრუნველჰყო ისინი ქონებრივადაც და ყველა სხვა მხრივაც და ისეთი პირობები შეუქმნა, რომ გელათი, ისტორიკოსის სიტყვით, მეორე ათინად ქცეულიყო. ამგვარად, გელათში ქართული მაშინდელი კულტურისა, განათლებისა და მეცნიერების დიდი კერა, პირველი **აკადემია,** შეიქმნა.

დავით აღმაშენებლი მარტო იმ ცვლილებით, რომელიც მან ეკლესიაში მოახდინა, არ დაკმაყოფილდა. დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად საჭირო იყო, რომ ეკლესია სახელმწიფოს დაჰმორჩილებოდა, რომ, ეკლესიის შინაგანი ავტონომიისდა მიუხედავად, სახელმწიფოს საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც ეკლესიაში ხდებოდა, რომ მისი დასტურის გარეშე არაფერი არ გაკეთებულიყო. ამგვარად უნდა ეკლესიაში სახელმწფოს პოლიტიკური კონტროლის მეთვალყურეობის შესაძლებლობაც შექმნილიყო. ამ მიზნის მიღწევა პირდაპირი ჩარევით არ შეიძლებოდა და დავით აღმაშენებელმაც იმას მოხერხებული და მარჯვე საშუალებით მიაღწია: ეკლესიას უფლებრივად დამოუკიდებლობა უნდა შენარჩუნებული ჰქონოდა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა ისეთი საშუალების გამონახვა მოახერხა, რომ ეკლესიის წიაღში მიმდინარე ყოველგვარი მოძრაობა და ცვლილება მისთვის უცნობი არ დარჩენილიყო.

სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში და მეფის შემდგომ პირველი მოხელე საქართველოში ძველი დროითგან მოყოლებული, **მწიგნობართ-უხუცესი** იყო, მაგრამ ეს მეფის მოადგილე მწიგნობართ-უხუცესი დავით აღმაშენებლამდე და დავით აღმაშენებლის დროსაც ერისკაცი იყო. ამ ერისკაც-ხელისუფალს საშუალება არ ჰქონდა, როგორც შინაურს, ეკლესიისათვის თვალყური ედევნებინა და დავით აღმაშენებელმა წესად შემოიღო, რომ მწიგნობართუხუცესი იმავე დროს **ჭყონდიდელ** მთავარ ეპისკოპოსად ითვლებოდა: ამიერითგან ჭყონდიდლობა მწიგნობართ-უხუცესის კუთვნილებად იქმნა ქცეული. ჭყონდიდში საქართველოს ერთი უდიდესი და უგავლენიანესი საეპისკოპოსო იყო. მწიგნობართ-უხუცესს, როგორც ვაზირთა საბჭოს თავჯდომარეს, სახელმწიფო საქმეებით დატვირთულს, რასაკვირველია, სად შეეძლო საეპისკოპოსო მოვალეობის ასრულებისათვის ასრულებისათვის მოეცალა. ეს დავით აღმაშენებელს არც აინტერესებდა. მას უნდოდა მხოლოდ, რომ მწიგნობართ-უხუცესისათვის ასეთი ხელისუფლების გადაცემით საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა და ჩარევის კანონიერი უფლება და საშუალება ჰქონოდა. როგორც ეკლესიის წევრს, მას ეცოდინებოდა, რაც-კი ეკლესიაში ხდებოდა, ყველა საეკლესიო საკითხები, რომელიც მთავრობასა და მეფეს უნდა მოჰხსენებოდა, სწორედ მწიგნობართ-უხუცესის პირით უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ამგვარად, **მწიგნობართ-უხუცესი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო ეკლესიაში და ეკლესიისა მთავრობაში**. ხოლო, რაკი ის უპირველესად საერო ხელისუფალი და იმავე დროს მეფის მოადგილე იყო, ამ გარემოების მარჯვედ გამოყენებით, დავით აღმაშენებელმა ეკლესიის დამორჩილება უმტკივნეულოდ მოახერხა.

რაკი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და სახელმწიფო პრობლემები მოგვარებული ჰქონდა, დავით აღმაშენებელი

თავისი პოლიტიკური და სამხედრო გეგმის განხორციელებასაც უკვე გაბედულად შეუდგა. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა ქვეყნის მმართველს აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრების გამაგრებას უკარნახებდა: საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი ბუნებრივად დაცული არ არის, მტრის შემოსევის შესაფერხებლად ისეთი დაბრკოლება და ისეთი ბუნებრივი ზღუდე, როგორიც საქართველოს ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოეპოვება, არ არსებობს, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა დიდი შემოსევა საქართველოში, ან აღმოსავლეთის ანდა სამხრეთ-აღმოსავლეთის გზით ყოფილა. ამასთანავე X და XI საუკუნეებში საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე წინადელი ალბანეთის ტერიტორია თურქ ტომების მიერ იყო წალეკილი და ოდინდელი ქრისტიანული ალბანეთის მაგიერ აქ უკვე მაჰმადიანთა სამფლობელოები გაჩნდა, რითაც საქართელოს პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა და გაუარესდა.

დავით აღმაშენებლის ამოცანას წარმოადგენდა, რომ მას შემდგომ, რაც მან საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა, საქართველო მომავლისათვისაც მტრის ყოველგვარი შემოსევისაგან უზრუნველეყო. ამ დროს-კი საქართველოს დაცვა აღმოსავლეთით თუნდაც იმიტომაც იყო გაძნელებული, რომ უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქები ჯერ კიდევ მტრისგან ჩამორთმეული არ იყო. ამიტომ 1110 წელს მეფემ გაილაშქრა და **სამშვილდის** ციხეს მიადგა. სამშვილდის ციხე-ქალაქი უძლიერესი სიმაგრეთაგანი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. რასაკვირველია, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მიუვალად მიჩნეულ ციხეს, მაგრამ აგრეთვე, როგორც სავაჭრო გზაზე მდებარე ქალაქსა და ეკონომიურ ცენტრსაც. დავით აღმაშენებელმა სამშვილდის აღება მოახერხა და ეს უკვე თავისთავად მისთვის იმდენად დიდი გამარჯვება იყო და ამავე დროს თურქ ტომთათვის იმდენად დიდ დამარცხებას წარმოადგენდა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა სომხითის ციხეები თითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. დავით აღმაშენებელს ამის შემდგომ მხოლოდ მათი დაპყრობა-ღა დარჩენოდა.

თავის სამხედრო ტაქტიკის წყალობით ე. ი. მტერზე უეცარი თავდასხმით, მოკლე ხნის განმავლობაში მან შეუჩერებლივ წინსვლა და ახალახალი ადგილების დაპყრობა მოახერხა. 1115 წელს დავითმა თურქებს თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი - ქალაქი **რუსთავი** წაართვა, რომლის შემოერთებაც საქართველოსათივს ყოველმხრივ დიდი შენაძენი იყო.

1116 წელს დავით აღმაშენებელმა უკვე დასავლეთ საქართველოსაკენ, შავი ზღვის სანაპიროზე მოთარეშე თურქ ტომების ასალაგმავად გაილაშქრა და იქაც იმავე თავის სამხედრო ხერხის საშუალებით ძლევამოსილება მოიპოვა.

1117 წელს მეფეს თავისი სამხედრო მოქმედება ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოაქვს და ამ დროს ციხე **გიშის** - აღება მოახერხა. შემდეგ დავით აღმაშენებელმა თავისი უფლისწული დემეტრე შირვანში გაგზავნა სალაშქროდ. დემეტრემ ამ ლაშქრობაში დიდი გულადობა და გამჭრიახობა გამოიჩინა და გამარჯვებული დაბრუნდა იქითგან. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარე უძლიერესი სიმაგრე **ლორის ციხე და აგარანი** აიღო. ლორის ციხის აგებას იმ მხრივ

ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მომავალი მტრისათვის გზა შეეკრა. ლორის ციხის ესოდენის სამხედრო მნიშვნელობის გამო, ეს სიმაგრე საქართველოს ჯარის მხედართმთავარს, ამირსპასალარს ჰქონდა ხოლმე ჩაბარებული.

დავით აღმაშენებელმა ამაზე უფრო ფართო გეგმა დაისახა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ უფრო ფართო პოლიტიკური გეგმის განხორციელებისათვის შესაფერისი სამხედრო ორგანიზაციის შექმნაც იყო საჭირო. თვით საქართველოშიც შინაურობაშიც, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენდა. ქართველ მეფეთა შორის პირველმა დავით აღმაშენებელმა მიაქცია ყურადღება იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს მეფე იმყოფებოდა. მის განკარგულებაში მხოლოდ პატრონყმობის წესწყობილებაზე დამყარებული ჯარი და მხედრობა იყო. მართალია, მასაც თავისი საკუთარი სამფლობელო ჰქონდა, მაგრამ თითოეულ დიდგვარიან აზნაურს ასეთივე საპატრონყმო სამფლობელო მოეპოვებოდა და მისი საპატრონყმოს ყველა ყმა მოლაშქრენიც მასთან ერთად, ვითარცა ბატონთან, გამოდიოდნენ საბრძოლველად. სანამ მეფის ქვეშევრდომი ძლიერი ყმა ერთგული იყო, მისი მონაწილეობა ლაშქრობაში საქართველოს მეფეს უზრუნველყოფილი ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო მეფესა და დიდგვარიან აზნაურს შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, რომ მას ამ ჯარის არამც თუ მონაწილეობის, არამედ ერთგულების იმედიც უნდა გადაეწყვიტა: შესაძლებელი იყო ის მოწინააღმდეგესაც-კი მიჰმხრობოდა. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო, რომ საქართველოს მეფის შინაური პოლიტიკაც-კი დიდგვარიან აზნაურთა ნება-სურვილისაგან მთლად დამოუკიდებელი ყოფილიყო. საგარეო პოლიტიკის ყველა ამოცანების განსახორციელებლად ხომ მუდამ მზადმყოფი სანდო სამხედრო ძალა უნდა ჰყოლოდა თავის განკარგულებაში.

დავით აღმაშენებელმა ეს გარემოება კარგად შეიგნო და იცოდა, რომ სანამ მას დიდგვარიან აზნაურთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი, კარგად გაწვრთნილი სახელმწიფო ჯარი არ ეყოლებოდა, მანამდის მას არც დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობის ალაგმვისა და თავისი სახელმწიფოებრივი გეგმების განხორციელების აღმასრულებლად ქცევა შეეძლებოდა, არც ისეთი გაბედული საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება ექნებოდა, რომელიც საქართველოს გარეშე მტრის შემოსევისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფდა. დავით აღმაშენებელმა, თავის განთქმულ მწიგნობართ-უხუცესსა და ვაზირთა ყოველთა უპირველეს **გიორგი ჭყონდიდელთან** შეთანხმებით, გადასწყვიტა, დიდგვარიან აზნაურთა საპატრონყმო ჯარს გარდა, დამოუკიდებელი, მხოლოდ მის განკარგულების ქვეშე მყოფი საქართველოს **სახელმწიფო მუდმივი ჯარი შეექმნა**.

დასახული მიზნისათვის ნაქირავები ჯარი არ ვარგოდა: მის განსახორციელებლად ხალხი იყო საჭირო, ისეთი მოსახლეობა, რომელიც დიდგვარიან აზნაურებთან პატრონყმური ურთიერთობით არ იქნებოდა დაკავშირებული, რადგან იმდროინდელ საქართველოში ასეთი მოსახლეობის დიდი რაოდენობით შოვნა არ შეიძლებოდა, მან გადასწყვიტა, რომ ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაყთა ტომები გადმოესახლებინა, რომელთაც წინათაც ნაქირავებ ჯარად საქართველოში არა ერთხელ უმსახურიათ. მათი მეთაურის ასულიც თვით დავით აღმაშენებელს ჰყავდა თანამეცხედრედ (ე. ი. მეუღლედ) მოყვანილი. უკანასკნელი გარემოება მას აიმედებდა, რომ,

საქართველოში გადმოსახლებისას, ყივჩაყები მასთან უფრო იქნებოდნენ დაკავშირებული, ვიდრე დიდგვარიან აზნაურებთან, რომლებთანაც მათ არავითარი, არც ნათესაური და არც ტომობრივი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

დავით აღმაშენებლის ანგარიში აგრეთვე იმ გამოცდილებაზედაც იყო დამყარებული, რომ ყივჩაყები კარგ სამხედრო მებრძოლ ძალას წარმოადგენდნენ: გამბედავი და გულადი მეომრები, თანაც თავიანთ სიტყვის და აღთქმის ერთგული აღმასრულებელი იყვნენ. **შთამომავლობით თვით ყივჩაყები თურქები იყვნენ, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში მყოფი ყივჩაყები, რასაკვირველია, მოსახლეობის ტომობრივი მიკუთვნილებით უკვე ნამდვილ თურქულ მოსახლეობას აღარ წარმოადგენდნენ, არამედ მებრძოლთა ის მთავარი ძალა, რომელიც საქართველოში გადმოყვანილი იყო, საფიქრებელია, უმთავრესად ჩრდილო კავკასიელ ტომთაგან იქნებოდა შემდგარი.**

დავით აღმაშენებლის გეგმა რთული გეგმა იყო: მას დიდი ჯარის შექმნა ჰქონდა განზრახული: 40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი. 40 ათასი მხედარი რომ მარტოდ-მარტო გადმოსულიყო, მათ საქართველოში ცხოვრება, რასაკვირველია, გაუძნელდებოდათ და ისინი მკვიდრ მოსახლეობადაც ვერ იქცეოდნენ, ამიტომაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი თავიანთ ოჯახებითურთ გადმოასახლა.

ამრიგად, დავით აღმაშენებელს ისეთი რთული ამოცანა ჰქონდა განსახორციელებელი, როგორიც იმ დროისათის 45 ათასი ოჯახის სხვა ქვეყნითაგან გადმოყვანა, დასახლება, მიწითა და სხვა ყველა საჭირო სახმარით უზრუნველყოფა უნდა იყოს მიჩნეული. ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელს მარტო სამხედრო მიზანი არ ჰქონდა დასახული. ეს იქიდანაც ჩანს ცხადად, რომ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსაყვან ყივჩაყთა მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად მან ადგილი სწორედ შუაგულ ქართლში შეარჩია და იქ დაასახლა ყივჩაყები. შუაგული ქართლი-კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის დროს თურქთა მრავალგზისი შემოსევის გამო საშინლად აოხრებული იყო. მოსახლეობა იქ, ან ათხელებული ანდა სრულებით მოსპობილი იყო. ამიტომ ყივჩაყთა ოჯახების გადმოსახლება და იქ დამკვიდრება ქართლის შეთხელებული მოსახლეობის გამრავლებასაც უდრიდა და ამ მხრივ, მაშასადამე, ეს საშუალება მარტო სამხედრო მიზნებით ნაკარნახევი ღონისძიება-კი არ იყო, არამედ ამავე დროს პოლიტიკური ამოცანის, საახალშენო პოლიტიკის, განხორციელებასაც წარმოადგენდა.

წინასწარი მოლაპარაკების შემდგომ 1118 წელს დავით აღმაშენებლი თავისი მწიგნობართ-უხუცესის თანხლებით ჩრდილო კავკასიისაკენ გაემგზავრა. ყივჩაყთა გადმოსახლება ადვილი განსახორციელებლი საქმე არ იყო იმიტომაც, რომ თვით ყივჩაყები საქართველოს მოსაზღვრენი არ იყვნენ, არამედ საქრთველოსა და ყივჩაყეთს შუა მდებარე ქვეყანაში ოსები ცხოვრობდნენ. ოსებსა და ყივჩაყებს შორის-კი მტრობა იყო ჩამოვარდნილი და ოსებს არ ჰსურდათ, რომ ისინი საქართველოში გადმოეშვათ.

ამგვარად, დავით აღმაშენებელს უნდა ისე მოეწყო საქმე, რომ ყივჩაყთა და ოსთა შორის არსებული მტრობა და შუღლი დაეცხრო, მათი მშვიდობიანი შეთანხმება მოეხერხებინა. მან ეს შესძლო. დავით აღმაშენებლის ჩრდილო კავკასიის საზღვარზე გამოჩენისთანავე, მასთან ოსთა ყველა სამფლობელობის

უფროსები მივიდნენ მორჩილებისა და ერთგულების გამოსაცხადებლად. მეფემ მათ ყივჩაყებთან ფიცისა და ზავის წიგნი დაადებინა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ყივჩაყებს საქართველოში გადმოსასახლებლად მშვიდობით გამოატარებდნენ. როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ მარტო ეს საკმარისი არ იყო; ამ ხელშეკრულების ასრულების უზრუნველსაყოფად, მან ოსთა მთავრებს მოსთხოვა, რომ გზაზე მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ციხეები საქართველოსათვის ყოფილიყო გადმოცემული. ეს პირობა მათ აასრულეს და დავით აღმაშენებელმა ყველა ამ ციხეებში საქართველოს მეციხოვენე ჯარი ჩააყენა. ამის შემდგომ ოსები თავიანთ სიტყვას ვერ დარღვევდნენ და საქართველოში მომავალ ყივჩაყებს ვერ დაეცემოდნენ.

ამგვარი სიფრთხილით მოწყობილი გეგმის საშუალებით დავით აღმაშენებელმა საქართველოში 45 ათასი ყივჩაყთა ოჯახი გადმოასახლა, რომლითგანაც 45 ათასი ჯარის კაცი უნდა გამოსულიყო. დასახლებისას მათ მიწა ჰქონდათ მიჩნეული და მიეცათ ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ: ცხენები, იარაღი და სხვაც. მერმე დავით აღმაშენებელი ამ ყივჩაყთა ჯარის გაწვრთნასა და ორგანიზაციას შეუდგა. ორი წლის განმავლობაში ამ საქმეს მან მთელი თავისი ენერგია მოანდომა და უკვე ორი წლის შემდეგ საქართველოს საუკეთესოდ გაწვრთნილი პირველხარისხოვანი 45 ათასი ცხენოსანი ჯარისკაცის შემცველი ლაშქარი მოეპოვებოდა.

მუდმივი ჯარის შექმნა მარტო საგარეო პოლიტიკის მიზნებით არ იყო ნაკარნახევი: ამიერიდან დავით აღმაშენებლის განკარგულებაში დიდი სამხედრო ძალა იყო, რომლითაც მას სწრაფად შეეძლო ურჩობისა და ღალატის ყოველი განზრახვა თავშივე ჩაეხშო, რომელსაც-კი დიდგვარიან აზნაურთა წრე დააპირებდა. მართლაც, ისტორიკოსის ცნობითგან ირკვევა, რომ ამ მხრივ დავით აღმაშენებელს სამაგალითოდ ჰქონია საქმე მოწყობილი: დიდგვარიანი აზნაურების ურჩობა თუნდაც რომ განზრახული ყოფილიყო, მეფეს ყოველთვის დროზე გაუგია და უმალ მოუსპია.

რაკი შინაურობაში დავით აღმაშენებელმა სრული მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ხელისუფლება განამტკიცა, თავისუფლად შეეძლო უკვე იმ დიდი საგარეო პოლიტიკური ამოცანის განხორციელებასაც შესდგომოდა, რომელიც მას დასახული ჰქონდა. მეფეს ესმოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებათა და მტრის შემოსევისა და თარეშისაგან უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა, სანამ მას და საქართველოს მთავრობას საქართველოსაკენ ყველა მნიშვნელოვანი გზების შეკვრის საშუალება არ ექნებოდა. ამიტომაც დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ ისეთი ადგილები დაეპყრო, საიდანაც საქართველოს მუდამ საფრთხე მოელოდა ხოლმე.

უკვე 1120 წელს დავითმა აღმოსავლეთისაკენ, **შირვანში**, გაილაშქრა და იქ ქალაქი **კაბალა** აიღო. ამ გამარჯვებამ მახლობელი აღმოსავლეთიც შეაძრწუნა და თვით საქართველოში მყოფი მაჰმადიანებიც, რომელთაც საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება თავიანთთვის საზიანოდ ჰქონდათ მიჩნეული. განჯა-თბილის-დმანელი ვაჭრები, რომელთა ხელშიც აღმოსავლეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ საქართველოს მსხვილი ვაჭრობა იყო, მახლობელი აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ძლიერ სულტნებთან და

მთავრებთან გაემგზავრნენ და სთხოვეს . რომ შეერთებული ძალით მათ საქართველოს ძლევამოსილი წინსვლისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და მისი პოლიტიკური გაძლიერება შეეჩერებინათ.

მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან სულტან-მთავრებმა და ათაბეგებმა ეს თხოვნა შეისმინეს და 1121 წელს 300 ათასი მეომრისაგან შემდგარი ჯარითურთ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, ჰქონდა, თუ არა დავით აღმაშენებლის დროინდელს საქართველოს უკვე იმოდენა ძალა მოკრებილი, რომ მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებულ მხედრობას გაჰმკლავებოდა. სწორედ ამ ბრძოლამ დაამტკიცა, რომ მუდმივი ჯარი და საპატრონყმო ლაშქრობის შეერთებული გაწვრთნილი სამხედრო ძალა ამაოდ არ იყო დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი: ამ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მან მოიპოვა. ყველა მახლობელ აღმოსავლეთის მფლობელებს ამ გამარჯვების შემდგომ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ დროითგან მოყოლებული ყოველი მათი შემოსევისათვის საქართველოში სამაგიეროდ ყოველთვის ღირსეულ პასუხს მიიღებდნენ.

დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა, რომ ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ შესაძლებელი იყო საქართველოს დედაქალაქიც საბოლოოდ შემოერთებული ყოფილიყო. 1122 წელს ის მიადგა თბილისს და ალყა შემოარტყა, თბილისში მყოფმა მაჰმადიანებმა მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ: დავით აღმაშენებელმა თბილისი ძალით აიღო. წინააღმდეგობით გაჯავრებულ გულზე, მეფემ პირველ დღეს მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ შემდეგ მალე თავისი მრისხანება წყალობად შესცვალა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნეობისდა მიუხედავად, ისეთ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ ყოფილიყო.

ამიერიდან დავით აღმაშენებელმა საქართველოს სახელმწიფო ცენტრი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და დედაქალაქად აქცია. **400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში მყოფი საქართველოს დედაქალაქი ქართველობას დაუბრუნდა**. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც დიდი სახელგანთქმულობა მოუპოვა.

თბილისის დაკარგვა მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანებისათვის ადვილი ასატანი მარცხი არ იყო. ამიტომაც მათ სცადეს საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ. მართლაც, 1123 წელს სულტანი გამოემართა. როდესაც სულტანი შირვანში მოვიდა, შირვანშაჰი შეიპყრო, შამახია აიღო და დავით აღმაშნებელს მუქარით აღსავსე წერილი გამოუგზავნა, რომ შენ დაბურულ ტყიან ქვეყანაში იმალები და, თუ გინდა, გამოდი შემებრძოლეო. დავით აღმაშენებელი თავის ჯარით დაიძრა. გაიგო თუ არა ეს ამბავი სულტანმა, მაშინვე მთელი თავისი ჯარითურთ გაიქცა. დავით აღმაშენებელმა ქალაქი **შამახია** აიღო და მთელი მისი სანახები, **შირვანიც** დაიპყრო. ამას გარდა დარუბანდის მმართველსაც ქალაქი **შაბურანი** წაართვა.

1123 წელს დავით აღმაშენებელს უკვე შეეძლო სომხეთის მრავალი ციხე-ქალაქიც ჩაეგდო ხელში. ხოლო ამის შემდეგ ამავე წელს კოლა-ბასიანის

თურქების წინააღმდეგ გალაშქრებასაც შესდგომოდა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ამ თემებშიც თურქები განადგურებული იყვნენ.

ჯერი უკვე ციხე-ქალაქ ანისზეც მიდგა. ქალაქი **ანისი** მანუჩეს შთამომავალ **შედადიანთა** გვარის წარმომადგენელს აბულ-სუვარს ეპყრა. მართალია, ის საქართველოს ყმადნაფიცად ითვლებოდა, მაგრამ მის ქცევას არ შეიძლება აღშფოთება არ გამოეწვია ანისის სომეხთა მოსახლეობაშიცა და სხვა ქრისტიანებშიც მან გადასწყვიტა, ციხე-ქალაქი ანისი კარის ამირასათვის 60 ათას დინარად (ოქროს ფულია) მიეყიდა. ამავე დროს განთქმული ანისის ეკლესია მიზგითად გადააკეთა. აბულ-სუვარის ასეთი საქციელით აღშფოთებულმა ანისის ქალაქის მესვეურებმა დავით აღმაშენებელს შემოუთვალეს, რომ მათთვის დახმარება გაეწია და ქალაქი ანისი მაჰმადიან მფლობელებისაგან გაენთავისუფლებინა.

1123 წელს 20 აგვისტოს დავით აღმაშენებელი მართლაც 60 ათასი ჯარისკაცითურთ ქალაქს მიადგა და, სამი დღის მედგარი ბრძოლის შემდგომ, ანისი აიღო. ამ გამარჯვებას საქართველოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი რომ ანისი ერთ უძლიერეს ციხეთაგანს წარმოადგენდა, რომლის მფლობელობა საქართველოს საშუალებას აძლევდა სამხრეთითგან მომავალ მტრებისათვის გზა შეეკრა. ამას გარდა ანისი სამხრეთის სავაჭრო გზაზე იყო და მდიდარი ქალაქიც იყო, ამიტომაც მისს საქართველოსთან შემოერთებას ეკონომიური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სომხებისათვისაც ეს ფრიად სასიხარულო ამბავი იყო, რადგან ანისის მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, — ანისი ხომ წინანდელი სომხეთის სამეფოს დედაქალაქი იყო,— ანისის საქართველოსთან შემოერთება იმავე დროს სომეხთა მაჰმადიანთა მონობისაგან განთავისუფლების დასაწყისი იყო და სომხებს საშუალება ეძლეოდათ მშვიდობიანს ცხოვრებას შესდგომოდნენ და ყოველმხრივი წარმატება დაეწყოთ. ყველა ეს გარემოება, რასაკვირველია, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დავით აღმაშენებელს არ შეეძლო ანისის საქმეების მოგვარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია: ანისი მას არავისთვის არ გადაუცია, არამედ მან უშუალოდ სახელმწიფო დარბაზს დაუმორჩილა, ხოლო ანისის გამგედ **აბულეთი** და მისი შვილი **ივანე** დანიშნა, მეციხოვნე ჯარად-კი იქ მესხი აზნაურები და მათი ლაშქარი ჩააყენა.

ასევე მოიქცა ის იმავე 1123 წელს, როდესაც შირვანი დაიპყრო: შირვანში მან ქვეყნის მცველად ჰერეთ-კახეთის დიდი მოლაშქრენი დასტოვა, ამ ქვეყნის გამგებლად-კი საქართველოს სამეფოს მთავრობის თავმჯდომარე, მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი, გიორგი ჭყონდიდელის ძმა დანიშნა.

დავით აღმაშენებელი ზემოაღნიშნულითაც არ დაკმაყოფილებულა: მას უკვე ამაზე ფართო პოლიტიკური გეგმა ჰქონდა შედგენილი და 1123 წლითგან მოყოლებული უკვე ამ გეგმის განხორციელებისათვის მზადებაში იმყოფებოდა. ეს გარემოება მახლობელ აღმოსავლეთის მფლობელებს არ გამოჰპარვიათ და, რაკი ისინი დარწმუნდნენ, რომ, დავით აღმაშენებლის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, საქართველო იმდენად გაძლიერებული იყო, რომ მათ შორის მას მოწინააღმდეგე უკვე აღარავინ უჩანდა, ამიტომ ცდილობდნენ, უხვი ძღვენისა და საჩუქრების მირთმევით დავით აღმაშენებელი მოემშვიდობებინათ და თავითგან აეცდინათ ის განსაცდელი, რომელიც მათ მოელოდათ. დავით აღმაშენებელი ამ მზადებაში იყო, რომ 1125

წელს 24 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდგომ, თბილისში გარდაიცვალა.

დავით აღმაშენებლის პიროვნება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

იმისდა მიუხედავად, რომ დავით აღმაშენებელს სამეფო ტახტზე ასვლა და საქართველოს მესაჭეობის ხელში აღება 16 წლის ჭაბუკს მოუხდა, მან მმართველის გასაოცარი თვისებები გამოიჩინა. დავითი ფართო და მრავალმხრივი განათლების პატრონი იყო: ქართული მწერლობას გარდა, რომლის საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა შეგნება მას მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში კარგად ეტყობოდა, მან აგრეთვე მეზობელთა ერების ენები, არაბული და სპარსულიც, საფუძვლიანად იცოდა. იმის შესახებ თვით მაჰმადიან მწერლებისაგანაც უცილობელი ცნობები მოგვეპოვება: ის თურმე ურთულეს საკითხებზე თავისუფლად ეკამათებოდა სპარსელ და არაბ მეცნიერებსა და ღვთისმეტყველებს. ამასთანავე დავით აღმაშენებელს ფართო მრავალმხრივი ცოდნა და მსოფლმხედველობა ჰქონდა: ვარსკვლავთმრიცხველობაც-კი მისს ცნობისმოყვარეობას იზიდავდა.

დავით აღმაშენებლის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა იყო. ვითარცა მწერლობის ძეგლებით გატაცებულ მკითხველს, მას დიდი და ძვირფასი წიგნთსაცავი მარტო თავის სასახლეში კი არ ჰქონდა, არამედ გზაში და ლაშქრობაში სატარებელი, «სათანაო» წიგნთსაცავიც მოეპოვებოდა: ყველგან, საცა ის მიდიოდა, თან საგზაო წიგნთსაცავიც მისდევდა და როდესაც-კი მას მოცლა ამის საშუალებას აძლევდა უმალ კითხვას იწყებდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მისი სახელმწიფო პოლიტიკაც სწორედ ამ საისტორიო თხზულებათა შინაარსის ღრმა ცოდნაზე იყო დამყარებული. წარსულის ძლიერი ერების ბედიღბალის და თავგადასავალის ცოდნა მას საშუალებას აძლევდა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში გამოეყენებინა. სახელდობრ, ამავე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ სწორედ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცოდნამ დაარწმუნა მეფე, რომ დიდგვარიან აზნაურთა ურჩობა და მოღალატური ქცევა საქართველოს მეფეების წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ იყო, და ამანვე შეაგნებინა, რომ ამის მოსპობა მხოლოდ შესაფერისი სამხედრო ძალის შექმნით შეიძლებოდა. საქართველოში მუდმივი ჯარის დაწესების აუცილებლობის გადაწყვეტილებაც სწორედ ამაზევე იყო დამყარებული.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებლი უპირველესად თავისი ქვეყნისა და სახელმწიფოს პოლიტიკურსა და კულტურულ აღორძინებაზე ზრუნავდა. ამით იყო გამოწვეული მისგან **გელათის დაარსება**, რომელიც მას თავისი გეგმის თანახმად ჰსურდა მეორე ათინად და აკადემიად ექცია. ამისვე გამომჟღავნებელია გამოჩენილ მაშინდელ მეცნიერ-ფილოსოფოსების მისი მფარველობაც, მათ შორის **არსენ იყალთოელის**, მაგრამ ამავე დროს ის საჭიროდ სცნობდა, რომ მფარველობა უცხო ქვეყნის მაჰმადიან პოეტებისა, სუფიებისა და მეცნიერებისათვისაც გაეწია. იქაურივე წყაროებითგან ვიცით ჩვენ, რომ გამოჩენილ მაჰმადიან პოეტებისა და მეცნიერებისათვის თბილისში მან საგანგებო თავშესაფარი დააარსა, სადაც ისინი თავისი მოღვაწეობისათვის საუკეთესოდ იყვნენ უზრუნველყოფილნი.

დავით აღმაშენებლის ღვაწლია, რომ მან, ვითარცა სახელმწიფოს ბრძენმა მესაჭემ, საქართველოს სოცლიალური და სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო. პირველი მისი დიდი სახელმწიფო გეგმიანი ნაბიჯი ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის განხორციელება იყო: პირადი ღირსებისათვის უპირატესობის მინიჭება წოდებრიობასთან შედარებით. ის, რაც პირველად გიორგი მთაწმიდელმა წამოაყენა და ნაწილობრივ მისი განხორციელებაც-კი სცადა, დავით აღმაშენებელმა ქართულ ეკლესიაში მთელი სახელმწიფოს საზომითა და მთელი სახელმწიფოს სივრცეზე განახორციელა.

მეორე მის უდიდეს ღვაწლს საქართველოს წინაშე მუდმივი ჯარის დაწესება შეადგენს. საქართველოს მეფეებს ამან საშუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთა თვითნებოდა და ურჩობა აელაგმათ და სახელმწიფო განემტკიცებინათ.

დავით აღმაშენებლის მესამე დიდ ღვაწლად უნდა ის ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მან საქართველოში **მართლმსაჯულების სფეროში** შეიტანა. წინათ სასამართლოს უმაღლესი საფეხური, უზენაესი მართლმსაჯულება, მეფის ხელში იყო. ამგვარად, მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა შეერთებული იყო. სანამ საქართველო შედარებით პატარა სამეფოს წარმოადგენდა, ასეთი შეერთება შესაძლებელი იყო ასე-თუ-ისე უზიანოდ განხორციელებულიყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველო ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და მახლობელი აღმოსავლეთის სადარაჯოზე მდგომს იმოდენა საქმეები გაუჩნდა, რომ მას სრულებით საშუალება არ ჰქონდა ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის, უზენაესი მართლმსაჯულების, არსულებასაც გასძღოლოდა და ქვეყნის მართვა-გამგეობის ყოველდღიური საკითხებისათვისაც ეზრუნა, ამიტომ დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა უზენაესი სასამართლო შეექმნა და ეს გადაწყვეტილება განახორციელა კიდეც: კოლეგიურ წესზე აგებული, სამი მსაჯულისაგან შემდგარი საქართველოს **უზენაესი სასამართლო** დააარსა. ეს სასამართლო ყველა იმ საკითხებს არჩევდა და სწყვეტდა, რომელნიც წინათ მომჩივართა მიერ აჯა-მომხსენებლის სახით მეფისათვის იყო ხოლმე წარდგენილი.

როგორც დავით აღმაშენებლის ფართო განათლებასა და მსოფლმხედველობას შეეფერებოდა, ის სარწმუნოებრივი და ეროვნული საკითხის სფეროშიც ფართო პოლიტიკის მიმდევარი იყო: ყოველთვის ცდილობდა ყველასათვის დაენახვებინა, რომ ის ყველა სარწმუნოების და ეროვნების წარმომადგენელს თანაბრად ეპყრობოდა. მაჰმადიან ისტორიკოსების ცნობით, თავისი ამგვარი დამოკიდებულების დასამტკიცებლად ის მაჰმადიანთა მიზგითებშიც შედიოდა. ამავე დროს ქართულს საისტორიო წყაროში ისეთი ცნობაც მოგვეპოება, რომლითაც ზოგიერთი ქრისტიანული გარდმოცემებისადმი მისი სკეპტიკური დამოკიდებულებაც ცხადად მტკიცდება. მაგალითად, ვიცით, რომ მას საეჭვოდ მიაჩნდა გადმოცემა სვეტიცხოველში უფლის კვართის დაცულობის შესახებ.

როგორც არაბი და სპარსელი მაჰმადიანი ისტორიკოსების, ისევე სომეხთა ისტორიკოსების ცნობებითგან ჩანს, რომ ასეთი ბრძნული წინდახედული პოლიტიკით დავით აღმაშენებელმა საერთო პატივისცემა და

სიყვარული დაიმსახურა, როგორც საქართველოში ისევე აგრეთვე მაჰმადიან, სპარსელ, თურქ და სომეხთა მოსახლეობაშიც. მათ აღნიშნული აქვთ, რომ მაჰმადიანთა არც ერთს საბრძანებელში მაჰმადიანები ისე კარგად არ გრძნობდნენ თავს, როგორც საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს.

დავით აღმაშენებელი, რა თქმა უნდა, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი მმართველიც იყო. მას კარგად ესმოდა, რომ მარტო სამხედრო გამარჯვებით სახელმწიფოებრივი ეღმშენებლობა ვერ განხორციელდებოდა, ამიტომაც ყოველნაირად ეცადა, რომ გზები და ხიდები საქართველოში შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. იქ, სადაც მანამდე ნიადაგის ბუნებრივი თვისებების გამო მოგზაურობა გაძნებული იყო, მან გზები შეაკეთებინა და ქვაფენილყვნა, ე.ი. ქვებით მოაფენინა, ხოლო გიჟმაჟ ჩქარ მდინარეებზე ხიდები ააგებინა, გზებზე ფუნდუკები, ანუ მგზავრთათვის განკუთვნილი სასტუმროები ააშენებინა. თითქოს იმის საპასუხოდ, როცა განძელ-თბილელ-დმანელმა მაჰმადიანმა ვაჭრებმა, უეჭველია, თავიანთი კომერციული ინტერესების შელახვის შიშით, მახლობელ აღმოსავლეთ მაჰმადიან მფლობელებს სთხოვეს, საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ, დავით აღმაშენებელმა ყოველი ღონისძიება იხმარა ამ მაჰმადიან სოვდაგრებისათვის ეჩვენებინა, რომ მათთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობა არაფრით საზარალო არ იქნებოდა: ვაჭრობა-აღებმიცემობისათვის ყოველნაირად ხელშემწყობი პირობების შექმნით მეფემ მათ საშუალება მისცა თავიანთი მოღვაწეობა წინანდებურად თავისუფლად განეგრძოთ.

ვითარცა ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველს, დავით აღმაშენებელს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ჰქონდა ყურადღება მიქცეული, ამისათვის მან საგანგებოდ **ქსენონი** ააგებინა, უზრუნველჰყო ყველაფრით და იქ სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფები მოათავსებინა. დროდადრო მიდიოდა ხოლმე ქსენონში, რომ შეემოწმებინა, თუ რამდენად პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ის თანამდებობის პირნი, რომელთაც ამ ავადმყოფებზე მზრუნველობა და მათი მოვლა ჰქონდათ დავალებული.

დავით აღმაშენებლის მოსიყვარულე გული, თავისთავად ცხადია, ხელოვნების დარგშიც ჩანდა: მხატვრული მწერლობა იყო ის თუ სამეცნიერო, პოეზია თუ მუსიკა, თითოეული დარგი მას აინტერესებდა და ყველგან ცდილობდა, რომ ახალ-ახალი ნაწარმოები შექმნილიყო. ჩვენამდის მოაღწია ერთმა ცნობამ, რომლითგანაც ირკვევა, თუ რამდენად მაღლა იდგა უკვე დავით აღმაშენებლის დროს ქართული მუსიკის განვითარების დონე: სამუსიკო ნაწარმოების ტექსტსა და მუსიკის ჰანგს მაშინ თურმე სხვადასხვა პირები სწერდნენ. მაშასადამე, ამ ხანაში უკვე ჰანგის დამწერი **კომპოზიტორები** იყვნენ საქართველოში. თვითონ დავით აღმაშენებელს მიუნდვია ასეთი პირებისათვის სათანადო საგალობლის ჰანგის დაწერა უკვე არსებული ტექსტისათვის.

დასასრულ, ქართული სააღმშენებლო ხელოვნების ძეგლური სიდიადეც კარგად არის აღბეჭდილი მისი დროის ნაგებობაში, მათგან საკმარისია თუნდაც დასახელებული იყოს ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისეთი მშვენიერი ძეგლი, როგორიც **გელათის მონასტერია**.

მოკლედ, შესაძლებელია ითქვას, რომ ქართული იმდროინდელი კულტურის არცერთი დარგი არ იყო, რომელშიც დავით აღმაშენებელს თავისი მზრუნველობა არ გამოეჩინოს და რომლისათვისაც თავისი ძლიერი გამამხნევებელი მფარველობა არ გაუწიოს. ამიტომაც დავით აღმაშენებელს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და სოციალური წესწყობილების ისევე კულტურული აღორძინების წინაშე.

დემეტრე I (1125—1155)

დემეტრე I უკვე თავისი მამის დავით აღმაშენებლის დროსვე იყო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული. შირვანში სალაშქროდ გაგზავნილს, მას საშუალება ჰქონდა თავის მამისა და თავის სამშობლოსათვის დაემტკიცებინა, რომ ის თავის დიდებული მამის ღირსეული შვილი იყო. მართალია, მას გულადი და თავგამოდებული მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, წინდახედული და ბრძენი პოლიტიკოსის თვისებებიც ჰქონდა, მაგრამ მაშინდელი საქართველო იმდენად დიდ სახელმწიფოდ იქცა და ისეთი რთული ამოცანები გაუჩნდა, რომ მათი გადაჭრა მხოლოდ დავით აღმაშენებელივით დიდი ნიჭითა და სახელმწიფოებრივი უნარით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო.

დავით აღმაშენებლის დროს რომ საქართველო განმაცვიფრებელი სისწრაფით პატარა სამეფოთგან დიდ სახელმწიფოდ იქცა, მის საზღვრებში უკვე მარტო ქართველები აღარ იყვნენ მოქცეული, არამედ ამ დროს საქართველო სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა სარწმუნეობის აღმსარებელ მოსახლეობისაგან შესდგებოდა. მას ყველა მახლობელ დიდ სახელმწიფოებთან ჰქონდა ურთიერთობა და თვითონაც მახლობელ აღმოსავლეთის ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალად იყო ქცეული. მისი სამხედრო ძლიერების სწრაფი ზრდა და მრავალი ქვეყნების შემოერთება, მათს პოლიტიკურს მომტკიცებასა და მართვა-გამგეობის ამა თუ იმ წესით მოწყობას პირველხარისხოვან გადაუდებელ ამოცანად ხდიდა. დავით აღმაშენებელს ბედმა არ დააცალა, რომ ეს ამოცანა თვითონვე საბოლოოდ გადაეწყვიტა. ეს მოვალეობა მემკვიდრეობით დემეტრე I-ს უნდა ეკისრა, მაგრამ დემეტრე I-ს ისეთ მდგომარეობაში მოუხდა მოღვაწეობა, რომ ამნაირი ისტორიული ამოცანის განხორციელების საშუალება არ ჰქონდა.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანმა მმართველებმა გადასწყვიტეს, ყოველნაირი ღონისძიება გამოეყენებინათ, რომ დაკარგული სამფლობელოები და ქვეყნები ისევ მაჰმადიანთა საბრძანებლად ექციათ. უპირველესად ბრძოლა ქალაქ ანისის წინააღმდეგ დაიწყო: იერიში იერიშს მოსდევდა და ქალაქ ანისის ხელში ჩასაგდებად გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა. ანისის ყოფილ ამირას აბულ-სუვარის ხორასანში გაქცეული ერთი შვილთაგანი ცდილობდა ყოველნაირად, რომ ანისი კვლავ საბრძანებლად მიეღო. დემეტრე I მტრის იერიშს ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა ხანგრძლივი ბრძოლით შექმნილი დამძაფრებული მდგომარეობა მშვიდობიანი შეთანხმებით დაეცხრო: აბულ-სუვარი შვილს

ქალაქი ანისი დაუბრუნა, მაგრამ როგორც დამოუკიდებულ მმართველს-კი არა, არამედ, ვითარცა საქართველოს ყმადნაფიცს. ეს პირობა მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პირნათლად აასრულა კიდეც.

შესაძლბელია ითქვას, რომ დემეტრე I -ის ასეთი უფრო მოგრიებითი, ვიდრე აქტიური, მისი მამისაგან დაწყებული პოლიტიკის წარმოების წესი, მთლიანად ნებაყოფლობითი არ უნდა ყოფილიყო. დემეტრე I-ის მოქმედება იმ შინაგანი გამწვავებული მდგომარეობით იყო გამოწვეული, რომელიც მთელი მისი მეფობის განმვლობაში ასე საგრძნობი ყოფილა. უკვე 1130 წელს დემეტრე I-ის უფროსმა ვაჟიშვილმა, დავით უფლისწულმა, და ივანე აბულეთისძემ დემეტრე I-ისა და მისი უმცროსი ვაჟიშვილის გიორგის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს. ამგვარად, მეფე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას მარტო დიდგვარიან აზნაურებთან-კი არ უხდებოდა ბრძოლა, როგორც წინათ იყო ხოლმე, არამედ ის თავის საკუთარ შვილსაც-კი უნდა შებრძოლებოდა. ივანეს მამამ, მოხუცებულმა აბულეთმა, ამ შეთქმულების ამბავი დემეტრე I-ს აცნობა. დემეტრემ დავით უფლისწული და ივანე აბულეთის ძე დმანისის ციხეში შეამწყვდია, მაგრამ შემდეგში, 1131 წელს მეფემ ივანე აბულეთისძე განათავისუფლა და საშუალება მისცა მას თავისი დანაშაული სამხედრო მოქმედებით გამოესწორებინა. მართლაც, მან ამავე წელს გაილაშქრა და **გარნისი** აიღო.

დემეტრე I-ის მეფობის მთელს განმავლობაში 1130 წელს გამომჟღავნებული ამ შეთქმულების ანარეკლი მაინც ჩნდა და ეს, რასაკვირველია, ბორკავდა დემეტრე I-ის საგარეო მოქმედების თავისუფლებას და მტრების წინააღმდეგ ბრძოლას უნელებდა.

1138 წელს დემეტრემ განძაში გაილაშქრა, **განძა** აიღო და მისი ქალაქის კარები გამარჯვების ნიშნად საქართველოში ჩამოიტანა. ეს კარები მან გელათის მონასტერს შესწირა, სადაც შესაფერისი ქართული წარწერითურთ ის დღემდე დაცულია.

1138 და 39 წ. წ. განმავლობაში რანში საშინელი კატასტროფული მიწისძვრა მოხდა, როდესაც ქალაქი განძა დაინგრა და მცხოვრებნიც მრავალნი დაიღუპნენ.

დავით უფლისწულის პირველი შეთქმულება უკანასკნელი შეთქმულება არ იყო. ლმობიერება, რომელიც მამამ თავის შვილისადმი გამოიჩინა, ამაო გამოდგა და მის გამოსწორებას არაფერი უჩანდა. 1145 წელს დავითმა თავის მამისა და ძმის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულების მოწყობა დაიწყო. დამახასიათებელია, რომ ამ შემთხვევაშიც შეთქმულებაში მხურვალე მონაწილეობას იგივე ივანე აბულეთის-ძე იღებს. დემეტრე პირველმა ივანე აბულეთის-ძე შეიპყრო და სასტიკადაც დასაჯა, თავისი უმადური შვილი-კი ამ შემთხვევაშიც დაინდო.

გასაკვირველი არაფერია, რომ დემეტრე I-ს, დავით უფლისწულის ასეთი მოღალატური მოქმედების შემდეგ, უპირატესობა თავისი მეორე ვაჟიშვილის გიორგისათვის მიენიჭებინა. ცხადად ჩანდა, რომ თავის მემკვიდრედ მამას გიორგი ჰყავდა განზრახული და არა დავითი. დავითის პატივმოყვარეობა-კი იმდენად დიდი იყო, რომ არამც და არამც დათმობა არ სურდა და მესამეჯერაც კვლავ სცადა, სახელმწიფო ხელისუფლება ჩაეგდო ხელში,

მაგრამ ეს მესამე შეთქმულებაც გამომჟღავნდა და შეთქმულების მონაწილე მოღალატე დიდებულები სასტიკად დაისაჯნენ.

რასაკვირველია, საქართველოს მეფის შინაურობაში ასეთი მდგომარეობის ამბავი შეუძლებელია მეზობლებს არ სცოდნოდათ და სრულებით ბუნებრივია, რომ მათ ამ გართულებული მდგომარეობით ესარგებლათ. მართლაც, 1153—54 წ. არზრუმის ამირა **სალდუხმა**, ანუ სალიხმა ანისზე იერიში მიიტანა. მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა: ის დამარცხდა და თვითონაც დატყვევებულ იქნა. ასეთი გამარჯვებისდა მიუხედავად, დემეტრე I-მა არზრუმის ამირა განათავისუფლა და შინ გაუშვა. შესაძლებელია, რომ ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკა ამ შემთხვევაშიც ან შინაური გართულებული მდგომარეობით იყო გამოწვეული, ან მისი შესაძლებლობის შიშით იყო ნაკარნახევი.

დემეტრე I-მა 1154—55 წ. მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა, რაც მოულოდნელ და გაუგებარ ამბავად გვეჩვენება, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ეს ნაბიჯიც შესაძლებელია უნებლიეთი და იძულებითი ყოფილიყო. სამეფო ტახტზე **დავით მესამედ** წოდებული მისი მოუსვენარი შვილი ავიდა, მაგრამ ექვს თვეზე მეტი მეფობა მას არ დასცალდა.

დავითის პირველივე განკარგულება მისი ერთგული დასჯილი მომხრის, ივანე აბულეთის ძის, შვილის **თირქაშის** განთავისუფლება და ამირსპასალარად დანიშვნა იყო.

თავისით გარდაიცვალა, თუ არა დავითი, გამორკვეული არ არის, მაგრამ ისტორიკოსი არ მალავს, რომ მამაც-კი ევედრებოდა ღვთაებას, მისი უმადური და უღირსი შვილისათვის სიცოცხლე შეემოკლებინა. დემეტრე I-ის მოქმედება ცხადად ამჟღავნებს იმ ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს სამეფო სახლი მაშინ იმყოფებოდა; გარდაიცვალა თუ არა დავით III, დემეტრე კვლავ მონასტრიდან გამოვიდა, თვითონაც კვლავ გამეფდა და თავისი საყვარელი შვილი გიორგი მესამეც 1156 წელს თვითონვე აიყვანა სამეფო ტახტზე.

ამრიგად, დემეტრე I-ის პირადი მამაცობისა და მხნეობისდა მიუხედავად, თავის ოჯახშივე შექმნილი უთანხმოების გამო, უნდა უეჭველად სიფრთხილე გამოეჩინა, რომ ამ შინაური ბრძოლით გარეშე მტერს არ ესარგებლა და საქართელოსათვის ზიანი არ მიეყენებინა. ასეთ პირობებში მისი მოქმედების გეზად, აქტიური პოლიტიკის მაგიერ, რომელსაც მისი მამა აწარმოებდა, უნებლიეთ მოგერიებითი უნდა ყოფილიყო. მას ის მაინც უნდა შეენარჩუნებინა, რაც საქართველოს დავით აღმაშნებელმა შესძინა. მაგრამ დემეტრე I-მა ამის მთლიანად განხორციელებაც-კი ვერ მოახერხა. თუ დავით აღმაშენებელმა ანისი მთლიანად შემოუერთა საქართველოს, დემეტრე I იძულებული იყო დამოკიდებულება ყმადნაფიცობად შეეცვალა. რასაკვირველია, ეს ქვეყნის დაკარგვას არ უდრიდა, მაგრამ რომ ეს მაინც მარცხი იყო, ამის უარყოფა მაშინაც არავის შეეძლო.

ამგვარად, გამწვავებული შინაგანი მდგომარეობის გამო, დემეტრე I-ის დროს არამც თუ საქართველოს პოლიტიკური ზრდა შეფერხდა, არამედ წინანდელი მონაპოვრის შენარჩუნებაც-კი ძნელი გახდა.

გიორგი III (1156—1184)

დემეტრე პირველის უმცროს ვაჟიშვილს უპრველესად უნდა მამის 30 წლის მეფობის განმავლობაში და ძმის ხანმოკლე ბატონობის დროს საქართველოს მოდუნებული ძლიერების კვლავ აღდგენაზე ეზრუნა. ცხადია, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ შინაურობაში მშვიდობიანობა დამყარდებოდა და ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავ განმტკიცდებოდა. დავით მესამის სიკვდილმა საქართელოსაცა და გიორგისაც საშუალება მისცა რომ მყუდროება დაემყარებინა. მარტო ეს გარემოებაც უკვე ცხადყოფს, რომ გართულებული შინაური მდგომარეობა, რომელიც დემეტრე I-ის დროს საქართველოში იყო, უფრო თვითონ დავით უფლისწულის პატივმოყვარეობითა და მოღალატური ქცევით იყო გამწვავებული, ვიდრე სხვა რომელიმე მიზეზით.

გიორგი III ისეთივე აქტიური საგარეო პოლიტიკის მიმდევარი გამოდგა, როგორისაც მისი პაპა იყო. რაკი გარეშე მტრებს იერიში საქართველოს წინააღმდეგ ჩვეულებრივ აღმოსავლეთითა და სამხრეთითგან მოჰქონდათ ხოლმე, ამიტომ გიორგი მესამის დროსაც საქართველოს მთავრობას თავის უპირვლეს ამოცანად უნდა სახელმწიფოს საზღვრის უშიშროება მიეჩნია და სწორედ ამ ორი მხრით უზრუნველეყო. ეს გარემოცვა ქვეყნის მესაჭეს იმავე პოლიტიკის წარმოებას ავალებდა, რომელსაც უკვე დავით აღმაშენებელი დაადგა: მაჰმადიანთა გაერთიანებული ძალის იერიშები, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთის მუსლიმან მმართველებს მოჰქონდათ, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში ყოფილიყო შეჩერებული, თუ ის გზა, რომლითაც მათ საქართელოში შემოჭრის საშუალება ჰქონდათ, ან მთლად შეკრული, ანდა გაძნელებული მაინც ექნებოდათ.

ისევე, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ანისის ციხე-ქალაქის ხელში ჩაგდებას მიაქცია და იქ საქართველოს მეციხოვნე ჯარი ჩააყენა, ეხლაც, ყველაზე უწინარეს, უნდა დემეტრე I-ის მეფობაში მომხდარი მარცხი ყოფილიყო გამოსწორებული. ამიტომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ გიორგი III-მ თავისი პირველი ლაშქრობა **ანისისაკენ** მიმართა. 1161 წელს ზაფხულში 3000 ცხენოსან ჯარისკაცითურთ ის ანისის მაშინდელი მმართველის ყმადნაფიცი **ფადლონ შედადიანის** შესაპყრობად და ანისის შემოსაერთებლად მოულოდნელად ანისისაკენ გაემართა, მაგრამ ფადლონმა გაქცევა მოასწრო. გიორგი III-მ ანისი აიღო და საქართველოს ჯარის მხედართმთავარს ამირსპასალარ **იოანე ორბელს** ჩააბარა. მის თანაშემწედ სარგის მხარგრძელი და საქართველოს სხვა თემის დიდებული მოხელეები დანიშნა, თვით ქალაქი და ანისის სანახები-კი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილდა. ანისის ციხეში მეფემ 2.000 რჩეული მეციხოვნე ქართელი ჯარისკაცი დასტოვა.

ქართველთაგან ანისის კვლავ დაპყრობამ ყველა მეზობელ და მახლობელ მაჰმადიან მმართელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შაჰარმენად წოდებული ხლათის მფლობელი იბრაჰიმ ნასირ-ადდინ-სუკმან II, დიარბექირის მმართველი კუტბ ად-დინ ილღაზი არდოხის-ძე და არზრუმის მთავარი ალ-მელიქ სალტუხი, ანუ სალიკი, ურთიერთთან შეთანხმების შემდგომ, იმავე წელს მრავალრიცხოვანი შეერთებული ლაშქრითურთ ქალაქ ანისს მიადგნენ იმ მიზნით რომ ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი ისევ

საქართველოს ხელითგან გამოეგლიჯათ. გიორგი III-მაც სწრაფად მოუყარა სამხედრო ძალას თავი და მტერთან შესაბრძოლებლად გაემართა. ანისთან მომხდარ ბრძოლაში გიორგი III-მ და საქართველოს ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს შემოსეული მტრის შეერთებული ლაშქარი დამარცხებულ იქნა, ორი ათასი მოლაშქრე ტყვედ ჩაიგდეს, რომელთა შორი 6 მთავარი და 150 ამირა იყო. საქართველოს სახელგანთქმულობისათვის ამ გამარჯვებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც გიორგი III-ს მაჰმადიანთა შეერთებულ სამხედრო ძალის წარმომადგენლებთან მოუხდა ბრძოლა და ამ ბრძოლამ ერთხელ კიდევ საქართველოს ძლევამოსილება გამოამჟღავნა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად გიორგი III-მ ანისის მცხოვრებლებს, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა განურჩევლად, 40.000 დრაჰკანი (ოქროს ფული) უწყალობა და გაუნაწილა, ამავე დროს ანისითგან წინათ ტყვედ წაყვანილი ქრისტიანი და მაჰმადიანი მცხოვრებნიც ტყვეობითგან გამოისყიდა.

ანისის შემდეგ ჯერი უფრო სამხრეთით მდებარე მეორე ფრიად მნიშვნელოვან ქალაქ დვინზე მიდგა, რომელიც სომხეთისა და ერანის აზერბაიჯანის მაშინდელ საზღვარზე იყო. ანისის მსგავსად, **დვინიც** დიდი სავაჭრო გზის პირას იდო და მდიდარ საკომერციო ცენტრად ითვლებოდა. გიორგი III-ს მეთაურობით 30 ათას საქართველოს მხედრობასა და დვინის მფლობელის ლაშქარს შორის 1162 წელს ივლისსა და აგვისტოს განმავლობაში წარმოებდა ომი. ბრძოლა ქალაქის წინ დაიწყო. საქართელოს ჯარმა გაიმარჯვა და მტერი ლტოლვილ-ჰყო. გაქცეულ მტერს კვალდაკვალ დადევნებულმა ქართველმა ჯარმა დვინის ქალაქის კარებამდე მიაღწია და, როდესაც დამარცხებული მტრის ჯარი ქალაქ დვინში შეიჭრა, მას თან კვალდაკვალ საქართველოს ჯარიც შეჰყვა და ქალაქი დვინი აიღო.

ქართველთაგან დვინის დაპყრობის საპასუხოდ ილდიგუზ ათაბაგმა და სულთან არსლანმა თავიანთი შეერთებული მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ 1163 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს, გაგი აიღეს და მთელი სანახები ააოხრეს. გიორგი III-მ მაშინვე ჯარის შეყრა დაიწყო, მაგრამ, სანამ ის ლაშქრითურთ იქამდის მიაღწევდა, შემოსეული მტერი ნაძარცვითა და ტყვეებითურთ უკან გაეშურა. ქართველებს ეს შემოსევა უბრალო თარეში ეგონათ და მტერს აღარ დასდევნებიან, შესაძლებელია იმიტომაც, რომ შესაბრძოლველად საკმაოდ მომზადებული არ იყვნენ. მაგრამ არც ამის შემდგომ მოპყრობიან ამ საქმეს სათანადო სიფხიზლით. მტრის ერთმა მოკავშირეთაგანმა კი, ხლათის სულტანმა, გიორგი III-ის შესაცდენად თავისი ელჩი აახლა, ვითომცდა მშვიდობიანობაზე მოსალაპარაკებლად, ნამდვილად-კი, როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს ელჩი საჯაშუშოდ ყოფილა წარმოვლენილი. მას საქართველოს ჯარის ბრძოლისათვის მზადყოფის გაგება და დაბანაკების ადგილის გამორკვევა ჰქონდა დავალებული.

როდესაც ელჩად მოვლენილმა ამ ჯაშუშმა ყველა საჭირო ცნობები შეაგროვა და დარწმუნდა, რომ გიორგი მეფე სრულებით უდარდელად იდგა სანადიროდ გამზადებული, წავიდა და თავის მბრძანებლებს მოახსენა. რაკი მაჰმადიან მახლობელ სამფლობელოების მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ

გიორგი III-ს ჯარი შეყრილი არ ჰყავდა, მათ, მოღალატეებთან წინასწარი შეთანხმებით, ისე უეცრად მოახერხეს საქართველოში შემოჭრა, რომ სანადიროდ მდგომა გიორგი III-მ და მისმა ამალამ გასწრება და ტყვეობიდან თავის დაღწევა ძლივს მოახერხეს.

ამ დროითგან მოყოლებული მაჰმადიან მმართველთა შეერთებული სამხედრო ძალა გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდა ანისის უკან დასაბრუნებლად. ბოლოს, როდესაც ამ ბრძოლით ორივე მხარე საკმაოდ მოიღალა, ელდიგუზ ათაბაგი და გიორგი III-ის და, რუსუდანი, სულტანის ცოლ-ყოფილი ქვრივი, მოწინააღმდეგეთა შორის შუამავლად გამოვიდნენ და 1165 წელს გიორგი III შეთანხმებაზე დაიყოლიეს: მან წინანდელი მაჰმადიანი მფლობელის მემკვიდრე, **არსლანი**, საქართველოს ყმადნაფიცად შეიწყნარა და ანისი გადასცა. მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, გიორგი III-ისაგან გადადგმული ეს ნაბიჯი მხოლოდ მოზღვავებულ მტერთან ბრძოლისაგან მოქანცულ ქვეყნის დასასვენებლად გამოყენებული დროებითი საშუალება იყო.

ანისის საკითხის მშვიდობიანი შეთანხმებით მოგვარებამ, დიდგვარიან აზნაურ მხედართმთავრებს საშუალება მისცა, რომ გიორგი მეფისაგან სხვა მიმართულებით სამხედრო მოქმედების წარმოება მოეთხოვათ. 1166 წელს მათ გიორგი მეფეს გამოუცხადეს, რომ ერთსადაიმავე დროს სხვადასხვა მიმართულებით მას მეზობლებისათვის ომი გამოეცხადებინა. ამ შემთხვევაში ისინი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ უომრად დარჩენა მათთვის ხელსაყრელი არ იყო: ძლევამოსილმა ბრძოლამ და ომიანობამ ისინი ამ ხელობას მიაჩვია და ყოველი ასეთი ლაშქრობა ხელსაყრელ საქმედ აქცია. გიორგი III-ს აფიქრებდა ის, რომ ამგვარი ომის წარმოებისათვის ძალის დიდი დაძაბულებაც იყო საჭირო და შინაური წესიერების თვალსაზრისითაც სახიფათო იყო. ამიტომ დასტურის მიცემამდე მან ყველას ფიცი ჩამოართვა, რომ საქართველოში მშვიდობიანობა იქნებოდა დაცული. დაწყებულ ომში უმთავრესი ყურადღება მაინც აღმოსავლეთის საზღვარს ჰქონდა მიპყრობილი და მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედება სწორედ **რანში** იყო. საქართველოს ჯარი ამ ქვეყანაში შეიჭრა და განძამდის მიაღწია.

ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფს მაჰმადიან მფლობელებს დარუბანდის გზით იერიში მოჰქონდათ შირვანშაჰზე, რომელიც საქართველოს ყმადნაფიცი იყო. შირვანშაჰად ამ დროს გიორგი III-ის [მამის] დისწული **აღსართანი** იყო, რომელსაც მანუჩაჰრ ახისტან (=ქართულს აღსართანს) ბენ-კესრანი ეწოდებოდა სახელად. საქართველო ვალდებული იყო, ვითარცა შირვანის მფარველი, გაჭირვებაში მყოფი მისი ყმადნაფიცი შირვანშაჰისათვის დახმარება გაეწია, და სწორედ ამით აიხსნება, რომ გიორგი III-მ 1167 წ. თავის ჯარითურთ იქითკენ გაილაშქრა, ქალაქი **შაბურანი და დარუბანდი** აიღო და შირვანშაჰის სამფლობელო ჩრდილოეთის მტრის საშიშროებისაგან უზრუნველჰყო. დარუბანდი მან საქართველოს ყმადნაფიცს თავის დისწულს შირვანშაჰს გადასცა.

როდესაც საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი ამგვარად სრულებით უზრუნველყოფილი იყო და ამ დროითგან მოყოლებული საქართველოს ჯარის მიერ დაპყრობილი დარუბანდიც მისი ყმადნაფიცი შირვანშაჰის ხელში იმყოფებოდა, ეხლა უკვე გიორგი III-ს ანისის

ბედიღბლის საბოლოდ გამოსწორებაც შეეძლო. იმ ნებითსა, თუ უნებლიეთს დათმობას, რომელსაც შუამავალთა თხოვნით გიორგი III უნდა დასთანხმებოდა, მან 1173 წელს ბოლო მოუღო. ანისში გალაშქრების შემდგომ, იქ მყოფი ამირა გიორგი III-მ საქართველოში წამოიყვანა და ოდინდელი სომხეთის სამეფოს დედაქალაქი, შემდეგში მაჰმადიან ამირას საჯდომად ქცეული ანისი, საქართველოს შემოუერთა.

ანისის უაღრესი სამხედრო მნიშვნელობის გამო, საქართველოს მთავრობის ამ ნაბიჯის შემდეგ, მაჰმადიანი მფლობელნიც საპასუხოდ დაირაზმნენ. მათ წინანდელი მდგომარეობის აღდგენა სწადდათ, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო გამოდგა. ამგვარად სამხრეთით მდებარე უაღრესად მნიშვნელოვანი ეს ციხე-ქალაქი კვლავ საქართველოს სახელმწიფოს უცილობელ კუთვნილებად იქცა და, რასაკვირველია, ამიერითგან ამ ციხე-ქალაქს ძლიერი სამხედრო მეციხოვნე ჯარი იცავდა.

მოსალოდნელი იყო, რომ ეხლა მაინც საქართველოში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო. გარეშე მტერს ყოველ შემთხვევაში აღარ შეეძლო იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს საზღვრის გადმოლახვა დაუსჯელად ჩაუვლიდა, მაგრამ 1177 წელს მოულოდნელად სამაგიეროდ შინაური ბრძოლა ატყდა და აჯანყება დაიწყო ისე უეცრად, რომ გიორგი III-ს ამის მსგავსი ამბის შესაძლებლობის ეჭვიც კი არ შეჰპარვია. ის მცირე ამალითურთ თბილისის გარეთ ისვენებდა. სწორედ ამ დროს სომხეთში მყოფმა საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა **იოანე ორბელმა** მოულოდნელად აჯანყება დაიწყო. მიზნად მას გიორგი მეფის დატყვევება და მის მაგიერ საქართველოს სამეფო ტარხტზე გიორგი III-ის უფროსი ძმის დავითის ვაჟიშვილის, **დემნა უფლისწულის** აყვანა ჰქონდა დასახული. დემნა იოანე ორბელის სიძე იყო.

იოანე ორბელს დიდგვარიან აზნაურ ხელისუფალთაგან ბევრნი მიემხრნენ, ისე რომ მეამბოხეთ შეუგროვდათ 30.000 მებრძოლიც. ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, იოანე ორბელს უფლება ჰქონდა, როგორც ამირსპასალარს, ჯარი შეეყარა და ამითვე უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ გიორგი III იოანე ორბელის იდუმალ ზრახვას სრულებით ვერ მიუხვდა და ეჭვიც-კი არ შეჰპარვია, თუ სამხედრო ვარჯიშობის გარდა რისთვის უნდა ყოფილიყო ეს ჯარი შეყრილი.

გიორგი III განსაცდელში ჩავარდებოდა, მას რომ ხასიათის სიმტკიცე არ გამოეჩინა: ის უმალ თბილისში მივიდა და მონასპების უფროსი, ნაყივჩაყარი **ყუბასარი** დაიბარა თავისთან და სამხედრო ძალის მოკრებას შეუდგა. ამ გარემოებამ მეამბოხეთა ბანაკში მყოფ დიდგვარიან აზნაურ ხელისუფალთაგან ბევრნი გამოაფხიზლა. პირველმა გამრეკელმა-თორელმა მიატოვა დემნა უფლისწული და იოანე ორბელი და მორჩილების მოსახსენებლად გიორგი მეფესთან გამოცხადდა. მას სხვებმაც მიჰბაძეს, მათ შორის მხარგრძელებმაც. როდესაც იოანე ორბელმა და მეამბოხეებმა დაინახეს, რომ გიორგი III ჯარს თავს უყრიდა, ლორის ციხეში შესვლა გადასწყვიტეს და იქ გამაგრება ამჯობინეს. ამავე დროს მეზობელ მაჰმადიანთა სამფლობელოში მათ თავიანთი თანამოაზრე დიდგვარიანი აზნაურები გიორგი მეფის საწინააღმდეგოდ მაშველი ჯარის სათხოვნელად აფრინეს. მაგრამ საბედნიეროდ საქართველოს სამხედრო ძალის ყოფილი

მთავარსარდალის იოანე ორბელისა და მის თანამოაზრე მეამბოხეთა ეს მოღალატური მცდელობა ამაო გამოდგა.

გიორგი მეფეს უკვე საკმაო სამხედრო ძალა ჰქონდა მოკრებილი, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ მოკლე ხანში აქტიური მოქმედება დაეწყო. ის ლორის ველს მიადგა, შემდეგ ლორის ციხეც გარემოიცვა და აჯანყებულთა ზრახვების გასაქარწყლებლად ბრძოლა დაიწყო. საქმის ასეთი მიმდინარეობით აღშფოთებული მეამბოხეთა ბანაკი თანდათან ილეოდა. ბოლოს ასეთი მდგომარეობა დემნა უფლისწულმაც კი ვეღარ აიტანა. ციხითგან საბლით ჩამოეშვა და თავის ბიძას წარუდგა, პატიების მთხოვნელი. შემდეგ თვით ამ აჯანყების მომწყობი იოანე ორბელიც იძულებული იყო მეფეს დაჰმორჩილებოდა. ამგვარად აჯანყება ჩაქრობილ იქმნა. გიორგი III-მ დამნაშავენი სასტიკად დაასჯევინა: საქართველოში მოქმედი მაშინდელი სისხლის სამართლის ძალით, თითოეულს მათგანს დანაშაულისდა მიხედვით კანონით განკუთვნილი სასჯელი დაუნიშნეს და იოანე ორბელი და აჯანყების სხვა მეთაურნი სიკვდილით იქნენ დასჯილნი. დაისაჯა დემნა უფლისწულიც, რომელმაც კანონით განკუთვნილი სასჯელი ვერ აიტანა და გარდაიცვალა.

ამ აჯანყებამ გიორგი III დაარწმუნა, რომ დიდგვარიან აზნაურთა გულის მოგება ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა და მათს ურჩობასა და მოღალატურს მემკვიდრეობას, ზოგად უკიდურეს ღონისძიებათა გარდა, ვერაფერი შეაჩერებდა. ამიტომ მან გადასწყვიტა, მარჯვე შემთხვევით ესარგებლა და შეთქმულებაში და აჯანყებაში გარეული ყველა დიდგვარიანი მოხელეები, რომელნიც-კი სასჯელს გადაურჩნენ, თანამდებობითგან გადაეყენებინა, ხოლო, დასჯილთა და გადაყენებულ დიდგვარიან აზნაურთა მაგიერ, პირადი ღირსებით დაწინაურებული ხელისუფლები დაენიშნა. ასეც მოიქცა სწორედ და ამირსპასალარის იოანე ორბელის მაგივრად საქართველოს ჯარის მხედართმთავრად ნაყივჩაყარი ყუბასარი დანიშნა, რომელმაც გიორგი III-ს იოანე ორბელის და დემნას აჯენყების დროს თავისი ერთგულებითა და სწრაფი მოქმედებით განსაკუთრებული სამსახური გაუწია. ამგვარადვე მან აზნაურთა ყმობიდან აღზევებული მისგანვე აღზრდილი **აფრიდონიც.** დააწინაურა და მსახურთუხუცესის თანამდებოდა მისცა. **ჭიაბერიც,** რომელიც ამ აჯანყების დროს აგრეთვე მისი ერთგული აღმოჩნდა, ასევე დაწინაურებულ იქნა. **გამრეკელი-თორელიც,** რომელიც იონე ორბელის ჯგუფითგან პირველი მიემხრო გიორგი მეფეს, ამგვარადვე მაღალი ხელისუფლების მინიჭებით დააჯილდოვა. ასევე და ამავე დროს ჩანს **ყუთლუ-არსლანიც** დაწინაურებული.

ამრიგად, დემნა-იოანე ორბელის აჯანყების ჩაქრობის უმალ, გიორგი მესამემ სახელმწიფო აპარატის იმგვარივე რეფორმა განახორციელა, როგორიც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების საშუალებით, ეკლესიაში მოახდინა. როგორც მაშინ ქართული ეკლესიის მღვდელთმსახურთა დემოკრატიზაცია მოხდა,ისევე ეხლაც საქართველოს დარბაზის კარსა მდგომ მოხელეთა **დემოკრატიზცია იქმნა განხორციელებული.** პირად ღირსებას ამ შემთხვევაშიც წოდებრიობის წინაშე უპირატესობა მიანიჭა და ისეთი მაღალი თანამდებობის პირნი, როგორიც საქართველოს სახელმწიფო სათავეში მდგომი ვაზირთა საბჭოს წევრები და მათი თანაშემწერი იყვნენ, წინანდელი წესის მიხედვით

დიდგვარიან აზნაურთა წრითგან-კი არ იქმნენ შერჩეულნი, და მათი შთამომავლობისა და წოდებრივი მიკუთვნილობის გამო-კი არ იყვნენ დანიშნულნი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებისა და სამსახურით მოპოებული უფლების წყალობით. ამას საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავიანთი უპირატესობის დაკარგვას, დიდგვარიან აზნაურთა წოდების წარმომადგენლები, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ: მომავალში, ადრე თუ გვიან, ბრძოლის ატეხა ამის გამო იყო მოსალოდნელი, მაგრამ ძლევამოსილი და გამარჯვებული გიორგი III საკმაოდ ღონივრად გრძნობდა მაშინ თავის თავს, რომ ასეთი წინააღმდეგობისა არ შეჰშინებოდა.

როდესაც აჯანყების ჩამქრობი მეფე საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდა, მოულოდნელად აქ მას საეკლესიო კრება დახვდა, რომლის დადგენილებაც ამ კრების მესვეურებმა წარუდგინეს. თუმცა საეკლესიო კრება მეფეს მტრებზე გამარჯვებას ულოცავდა, მაგრამ იმავ დროს თხოულობდა, რომ საეკლესიო ქონებაზე და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადები მოსპობილი ყოფილიყო და ეკლესიის შეუვალობა მეფეს ისევე აღედგინა, როგორც წინათ იყო. მოლოცვასთან ერთად თანდართული მოთხოვნა გიორგისათვის, უეჭველია, არაფერს სასიამოვნოს არ წარმოადგენდა, რამდენადაც ეკლესიის ქონებაზე სახელმწიფო გადასახადების შემოღება სახელმწიფო საჭიროებით იყო გამოწვეული, მაგრამ ასეთი განსაცდელისა და აჯანყების თავითგან აცილების შემდგომ, მას, რასაკვირველია, არ შეეძლო ამგვარი საკითხის გამო ეკლესიასთან უთანხმოება ჩამოეგდო და გიორგი III-ც დათანხმდა. ჩვენამდე მოღწეულს ამის მაუწყებელ სიგელში მას აღნიშნული აქვს, რომ ეკლესიაზე არსებული სახელმწიფო გადასახადი მას ვითომც თვითონაც უნდოდა მოესპო და ამიტომაც ეკლესიის შეუვალობა აღადგინა.

დემნა უფლისწულის სიკვდილის მერმე საქართველოში სამეფო გვარის მამრობითი შთამომავალი აღარავინ დარჩა: გიორგი III-ს, ქალიშვილის თამარის მეტი, არავინ არ ჰყოლია. აჯანყებამ გიორგი მესამე დაარწმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შინაგანი უთანხმოებისა და ბრძოლისაგან უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, თუ რომ ტახტის მემკვიდრეობის საკითხი მისი სიცოცხლის დროშივე არ გადაწყდებოდა.

სამეფო ტახტზე საქართველოში ქალი არასდროს არ მჯდარა, მახლობელ აღმოსავლეთისათვისაც ასეთი მოვლენა უცნობი იყო. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი სამზადისი სჭირდებოდა. 1178 წ., წინასწარ ნიადაგის შემზადების შემდგომ, გიორგი III-მ სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, შესაძლებელი იყო, თუ არა, რომ თამარი მას თავის თანამოსაყდრედ დაესვა. გიორგი მეფეს თანამოსაყდრეობის წესი ამ შემთხვევაში სრულებით შეგნებულად ჰქონდა არჩეული: სანამ ის ცოცხალი იყო, მას ამ საკითხის გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენა შეეძლო, ხოლო ეს საკითხი რომ პირველად მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ გამხდარიყო გადასაწყვეტი, დიდგვარიან აზნაურებს შეეძლოთ სრულებით დამოუკიდებლად ემოქმედნათ.

ქალიშვილის თანამოსაყდრედ დასმაზე დაყოლიება გიორგი მესამისათვის და სახელმწიფო დარბაზისაგან დასტურის მიღება ადვილი საქმე არ იყო, რადგან ეს ერთი მხრით ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხზე იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრით იმაზედაც, თუ რამდენად შესაძლებელი

იყო, რომ ყმაწვილ ქალს ისეთი დიდი სახელმწიფოს ბედ-იღბალი ჩაჰბარებოდა ხელში, როგორიც მაშინ საქართველო იყო.

ქალაქისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი ქართული მწერლობისათვის მაშინაც მთლად უცნობი საკითხი არ იყო. ამაზე წინათაც არა ერთხელ ყოფილა მსჯელობა, თუმცა მართალია, უმთავრესად სარწმუნოებრივ საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ ქართველთა განმანათლებელი მამაკაცი-კი არა, არამედ ქალი იყო, მაგრამ მაინც ამ სარწმუნოებრივ საფარველს ქვეშ მამაკაცისა და ქალის თანასწორობის ზოგადი საკითხის ანარეკლი ჩანდა. ქართულ საეკლესიო-საისტორიო მწერლობაში ეს საკითხი, ქალის თანასწორობის პრობლემა, მოციქულთა-სწორობის თვალსაზრისით იყო განხილულ-გადაწყვეტილი. მაგრამ მაშინ ეს იმდენად პრაქტიკული საკითხი არ იყო, რამდენადაც თეორიული, აქ-კი იგი უკვე უაღერსად პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენდა.

მეფედ კურთხევის საკითხი მაშინ ორი თვალსაზრისით წყდებოდა: ერთი სახელმწიფო თვალსაზრისი იყო, მეორე საეკლესიო-სარწმუნოებრივი. მეფის კურთხევის წესიც ორგვარი არსებობდა - სახელმწიფო-საეროცა და საეკლესიო. პირველისათვის დარბაზის დასტური იყო საჭირო, მეორეს, რასაკვირველია, ეკლესიის თანხმობა სჭირდებოდა. რამდენადაც მაშინდელი წესით მეფეს, სამოქალაქო კურთხევის გარდა, მეფედ ცხება და საეკლესიო კურთხევაც სჭირდებოდა. რომ კანონიერ მეფედ ყოფილიყო ცნობილი, იმდენად, ეკლესიის დასტურის გარეშე, ქალის თანამოსაყდრედ დასმაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა. ამგვარად, გიორგი მესამეს უნდა უნებლიედ ეკლესიის მესვეურთათვის მიემართა და ცდილიყო, რომ უპირველესად მათგან მიეღო თანხმობა, რადგან ყველაზე მეტი წინააღმდეგობა სწორედ ამ საეკლესიო წრეებითგან იყო მოსალოდნელი.

ვიდრე ეს საკითხი საჯაროდ იქნებოდა გატანილი, გიორგი მესამეს ის. რასაკვირველია, უნდა კერძო მოლაპარაკებისა და დათანხმების გზით მოეხერხებინა. ამ დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელად **ნიკოლოზ გულაბერისძე** იყო- პროგრესული მიმართულების წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი, რომლის მომხრეობა ამ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილი იქნებოდა, მაგრამ, რომელსაც ძალიან საეჭვო იყო ამ შემთხვევაში კონსერვატორთა წრეებში გავლენა ჰქონდა. ამ წრეების მეთაური **მიქელ მირიანისძე** იყო და გიორგი III-ს, მისი გავლენიანობის გამო, სწორედ მასთან მოუხდა მოლაპარაკება. რა პირობები იყო შეთანხმებისათვის წარდგენილი არ ვიცით, მაგრამ 1178 წელს გიორგი III-მ თამარის თანამოსაყდრედ დასმისათვის ეკლესიისაგან დასტური მიიღო.

ამავე დროს საქართველოს ეკლესიაში ცვლილება მოხდა: ნიკოლოზ გულაბერის-ძე კათალიკოსობითგან გადადგა და მის მაგიერ კათალიკოსად მიქელ მირიანის-ძე იყო დასმული. საფიქრებელია, რომ ეს ჯილდო იმ მომხრეობისა და იმ ღვაწლისათვის უნდა ჰქონდეს მიღებული, რომელიც მას გიორგი მესამის წინაშე მიუძღოდა საეკლესიო კონსერვატიულ წრეებში თამარის თანამოსაყდრეობის საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებით. ამნაირად, თამარი თავისი მამის თანამოსაყდრედ იქცა და 1178 წლითგან მოყოლებული მას საშუალება ჰქონდა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის წესები შეეთვისებინა და ქვეყნის მესაჭეობის ხელოვნებაში გაწვრთნილიყო.

1184 წელს მარტში რომ გიორგი III გარდაიცვალა, თავის ნორჩ ქალიშვილს მან დიდი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და სხვადასხვა ეროვნების

წარმომადგენელთა შემცველი სამეფო დაუტოვა. მას საქართველოს ისტორიამაც დიდი და უაღრესი პასუხსაგები ამოცანები და მოვალეობაც დააკისრა.

თამარ მეფე (1184—1213)

ამ ხანის პოლიტიკური და სოციალური მოძრაობანი. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა. შინაური და საგარეო პოლიტიკა და საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოდ ქცევა.

დავით აღმაშენებლის მეფობითგან მოყოლებული საქართველო ისეთი სისწრაფით გაიზარდა და იმდენად დიდ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი მესაჭეობა კარგად გამოცდილსა და გამობრძმედილი სახელმწიფო მოღვაწისათვისაც-კი ძნელი განსაგებელი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ძნელი იქნებოდა ნორჩი ქალისათვის, რომელსაც მხოლოდ ექვსი წლის გამოცდილება ჰქონდა. უეჭველია, საქართველოს მმართველთა წრის არა ერთს წარმომადგენელთაგანს შესაძლებელი იყო გულწრფელად შეჰპარვოდა ეჭვი, თუ რამდენად მოახერხებდა თამარი თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებას. საყურადღებოა, რომ, მამის სიკვდილის შემდეგ, თამარი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობას არ შესდგომია, თითქოს ის ამისათვის საქართველოს სახელმწიფო დარბაზის სათანადო დასტურს უცდიდა.

ამ დროს ქვეყნის მესაჭეობა თამარის მამიდის, რუსუდანის ხელში იყო. ეტყობა თვით დარბაზის წევრთა შორისაც-კი საცილობლად იყო ქცეული თამარის საქართველოს ერთადერთ მეფედ დასმის მიზანშეწონილობა. ამიტომ ისევ იმავე საკითხის გარჩევას შეუდგნენ, რომელზედაც ჯერ კიდევ მისი მამის გიორგის სიცოცხლის დროს ჰქონდათ მსჯელობა.

უეჭველია, ამ შემთხვევაშიც უნდა გადაეწყვიტათ, ჰქონდა, თუ არა ქალს უფლება, რომ სახელმწიფოს მესაჭედ გამხდარიყო და მიზანშეწონილი იყო, თუ არა რომ ასეთი პასუხსაგები მოვალეობა მას ჩაჰბარებოდა. ცხადია, რომ მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თამარის მამის სიცოცხლის დროს. ამიტომ თამარისათვის სამეფო ტახტზე ასვლისა და გამეფებისათვის დასტურის მისაღებადაც წინანდელზე გაცილებთი მეტად სჭირდებოდა ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობა. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა წინასწარს საიდუმლო მოლაპარაკებას უნდა ჰქონოდა და მისთვის ხომ გავლენიანი შუამავლები იყვნენ საჭირო. ასეთ შუამავლად ამ შემთხვევაშიც, როგორც ირკვევა, იგივე, გიორგი მესამის მეფობის უკანასკნელ წლებში კათალიკოსად ქცეული **მიქელ მირიანიძე** გამოსულა.

დარბაზმა მსჯელობის შემდეგ თამარს დასტური მისცა.

ისევე როგორც თანამოსაყდრედ დასმისათვის დასტურის მისაღებად ამ საქმის მომგვარებლის დაჯილდოება გახდა აუცილებელი, ამ შემთხვევაშიც იმავე პირს თავისთვის გარკვეული პირობის წამოყენება არ დაჰვიწყებია და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი მიქელ მირიანისძე სწორედ ამ ხანაში საქართველოს სახელმწიფოს ვაზირთა საბჭოს თავჯდომარედ ხდება, მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირთა ყოველთა უპირველესადაც იქცა და სწორედ ეს იყო ნაკისრი საქმის მოგვარებისათვის მიღებული ჯილდო, რომელიც თამარის მამიდას, რუსუდანს, მიქელმა დასტყუა.

ამრიგად, მიქელი ერთსა და იმავე დროს ქართული ეკლესიის მესაჭეც იყო და ვაზირთა ყოველთა უპირველესად და მწიგნობართუხუცესადაც იქცა. ეს საქართველოს ისტორიაში არამცთუ არაჩვეულებრივი, არამედ სრულებით გაუგონარი ამბავი იყო. ამასთანავე იმით დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული რეფორმა, რომლითაც მან ქართული ეკლესიის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამორჩილება მოახერხა, სრულებით გაბათილებულ იქმნა. მიქელ კათალიკოსმა ამაზე მეტიც მოახერხა: მან ამ საქმის სრული მოტრიალებაც-კი შესძლო, რკი ამიერითგან ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს საშუალება მიეცა ერთსა და იმავე დროს საქართველოს მეფის თანაშემწე და მოადგილეც ყოფილიყო, ე. ი. უზენაესი საეკლესიო ხელისუფლების მქონებელს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მესაჭეობაც ჩაუვარდა ხელში.

საკლესიო წრეებთან ამ საკითხის მოგვარების შემდგომ და სახელმწიფო დარბაზის დასტურის მიღების უმალ, თამარი საქართველოს მეფეთ-მეფედ იქნა კურთხეული და როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მესაჭე სამეფო ტახტზე ავიდა. ის ცვლილება, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების კათალიკოსისგან მიტაცების წყალობით მოხდა, ვერაფრად ესიამოვნა. ამიტომაც თამარი პირველად სწორედ ამ მარცხის გამოსწორებისათვის ზრუნვას შუდგა. ამ შემთხვევაში მას თავისუფლად მოქმედება არ შეეძლო, რადგან მიქელ კათალიკოსს მწიგნობრათუხუცესობა და ვაზირთა უპირველესობა მისივე მამიდისაგან ჰქონდა მიღებული. რაკი თამარს არ შეეძლო პირდაპირ ემოქმედა და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობა წაერთმია, პატივმოყვარე მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ წამოყენებულ იქმნა მხოლოდ საეკლესიო ბრალდება, რომელიც უკეთუ დამტკიცდებოდა, მას საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელობას დააკარგვინებდა და ამის შემდგომ, რასაკვირველია, ის ვეღარც მწიგნობართუხცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის ხელისუფლებას შეინარჩუნებდა.

ასე მოფიქრებული გეგმის განსახორციელებლად საეკლესიო კრების მოწვევა იყო საჭირო, რათგან ეკლესიის საჭეთმპყრობელის გადაყენება მხოლოდ საეკლესიო კრებას შეეძლო.

კათალიკოსის გადასაყენებლად საეკლესიო კრებისაგან დასტურის მიღება ადვილი არ იყო, რამდენადაც მიქელ კათალიკოსს მრავალრიცხოვანი მომხრენი ჰყავდნენ, რომელნიც საეკლესიო ხელისუფლების საერო ხელისუფლებაზე გაბატონების მის წადილსა და პოლიტიკას ცხადად თუ იდუმალად თანაუგრძნობდნენ.

ცხადია, რომ თამარ მეფესაც უნდა თავისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მომხრენი დაერაზმა. ამიტომაც მან უცხოეთითგან ყველა გამოჩენილი საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწენი დაიბარა, მათ შორის პალესტინიდან მიქელ კათალიკოსის უწინარეს ქართული ეკლესიის მესაჭედ ნამყოფი ნიკოლოზ გულაბერისძეც. ლიხთიმერეთითგან ამავე მიზნით გადმოიყვანა ანტონ საღირისძე. როცა პროგრესულად განწყობილი და მოაზროვნე ყველა მოღვაწენი ჩამოვიდნენ, თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელიც თვითონვე გახსნა და რომელსაც სთხოვა მიქელ კათალიკოსის საეკლესიო მოღვაწეობის კანონიერება გაერჩია: საეკლესიო კრებას ბრალდების საფუძვლიანობა და დანაშაულების სიმძიმე უნდა გადაეწყვიტა. ხოლო შემდეგ შესაფერისი განაჩენიც დაედო.

საეკლესიო კრების თავმჯდომარედ თამარმა ნიკოლოზ გულაბერისძე დანიშნა, კრების მდივნობა-კი ანტონ საღირისძეს დაევალა. უკვე ეს გარემოებაც იმ

იდუმალ ზრახვას ამჟღავნებდა, რომელიც თამარის მეთაურობით საქართველოს მმართველ წრეებს ჰქონდათ. ამას კრების თავმჯდომარისა და მდივნის საქართველოს ეკლესიის კათალიკოსის მიქელისადმი წარგზავნილი მიმართვაც დაერთო ზედ, რომ მათ საეკლესიო კრებაზე მისი დასწრება სასურველად არ მიაჩნდათ, თუმცა ის ამ საეკლესიო კრებას, რომელიც მის მოქმედებას არჩევდა, უნდა როგორც ბრალდებული მაინც დასწრებოდა.

ყოველგვარი ცდისა და ხანგრლივი გამოძიების მიუხედავად, საეკლესიო კრების მონაწილეთ კათალიკოსის მოქმედებაში ვერაფერი ისეთი საეკლესიო ხასიათის დანაშაულება ვერ აღმოაჩინეს, რომ მისი გადაყენებისათვის კანონიერი საფუძველი ყოფილიყო. ამიტომ საეკლესიო კრებამ მიქელის გადაყენების დასტური თამარსა და მთავრობას არ მისცა. ახალგაზრდა მეფისათვის, რომლის პირველივე ნაბიჯი ასეთი მარცხით დამთავრდა, ეს მეტად უსიამოვნო გარემოება იყო.

რაკი მიქელ კათალიკოსის წინააღმდეგ საეკლესიო ხასიათის ბრალდება ვერ დადასტურდა და მისი ამ გზითა და ამ საშუალებით გადაყენება ვერ მოხერხდა, თავისთავად უკვე უხერხული იყო, რომ თამარს მისთვის მწიგნობართუხუცესობა წაერთმია, რადგან ეს თანამდებობა მას მისივე მამისაგან სწორედ სამეფო ტახტზე მის ასაყვანად ხელის შეწყობისათვის ჰქონდა ჯილდოდ მიღებული. ამრიგად, საქმე ისე დატრიალდა, რომ მეფისა და კათალიკოს-პატრიარქ მწიგნობართუხუცესს შორის სრული უსიამოვნება უნდა დამყარებულიყო და მისი გადაყენება-კი შეუძლებელი შეიქმნა.

ამ მარცხმა, რომელიც იმავე დროს ეკლესიის კონსერვატიული წრეების გამარჯვებას წარმოადგენდა, აგრეთვე დიდგვარიანი აზნაური მოხელეებიც გაათამამა, რომელთაც თავიანთი თანამდებობა დარბაზის კარსა მყოფ და უმაღლეს სხვა დაწესებულებებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. ის ცვლილება, რომელიც გიორგი III-მ იოანე ორბელ-დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში მოახდინა, როდესაც მან დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ვაზირობა და მათი თანაშემწეობა წაართვა და მათ მაგიერ პირადი ღირსებითა და სამსახურით დაწინაურებულ-აღზევებული უგვარონი დანიშნა, მაშინაც, რასაკვირველია, ამ დიდგვარიან აზნაურთა წრეში აღშფოთებას გამოიწვევდა, მაგრამ დამარცხებულთ თავიანთი ბრაზი და ბოღმა უნდა უნებლიეთ გულში ჩაეკლათ. ეხლა-კი როდესაც სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგიერ უკვე ნორჩი ქალიშვილი იჯდა, როცა იმავე დროს კათალიკოს-პატრიარქთან შებრძოლების დროს მას მარცხიც მოუვიდა, დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებმა გადასწყვიტეს, რომ მათ უკვე დრო დაუდგათ და წინანდელი უპირატესობის დასაბრუნებლად სრული საშუალება მიეცათ. ეს მოხელეები გაიფიცნენ და თამარ მეფეს კოლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელშიც აღნიშნული ჰქონდათ, რომ ამიერითგან ისინი უგვარო და უხამსი ხელისუფლების ბრძანებასა და განკარგულებას, რომელთა ხელქვეშეთაც ეს მსახურეული და ძველი საგვარეულობის წარმომადგენლების შვილები იმყოფებიან, აღარ დაემორჩილებოდნენ. ამასთანავე მათ გარკვეული პირებიც დაასახლეს, რომელთა დაუყოვნებლივ გადაყენებასაც გადაჭრით მოითხოვდნენ.

გადასაყენებლად დასახელებულთა შორის პირველი ამირსპასალარი **ყუბასარი** აღმოჩნდა, შემდეგ მსახურთუხუცესი **აფრიდონი** და სხვები, რომელთა სახელებიც საისტორიო წყაროში აღნიშნული არ არის. თავიანთი მოქმედებისა და მოთხოვნილებისათვის გარეგნული კანონიერების მისანიჭებლად, ყუბასარის

წინააღმდეგ მოსაზრება იყო წამოყენებული, რომ მას ფილენჯად წოდებული სნეულებისაგან დროგამოშვებივ მოძრაობისა და მეტყველების უნარი ეკარგებოდა ხოლმე, მაგრამ აფრიდონის წინააღმდეგ მათ ასეთი ბრალდება ვერ მოსძებნეს და მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ ის აზნაურის ყმობისაგან მეფის წყალობით მსახურთუხუცესობამდე იყო აღზევებული, სწორედ აქ გამომჟღავნდა მათი ნამდვილი გულისტკივილი.

თამარს რომ გაფიცვით გაძლიერებული ეს პოლიტიკური მოთხოვნა წარუდგინეს, რასაკვირველია, მას ადვილად შეეძლო მიმხვდარიყო, თუ რით იყო დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ეს ულტიმატუმი გამოწვეული: ყუბასარს ისინი იმიტომ-კი არ ებრძოდნენ და მისი თავითგან მოშორება იმიტომ-კი არ ჰსურდათ, რომ მას სნეულებისაგან მოქმედების უნარი ეკარგებოდა ხოლმე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის ყუბასარი როგორც იოანე ორბელ-დემნას აჯანყების ჩაქრობის პირველი მეთაური ყველაზე საძულველი პიროვნება იყო. აფრიდონიც ნიშანში ამოსაღებ მოხელედ იმიტომ იქცა, რომ ის დაბალი წოდებითგან, აზნაურთა ყმობითგან, გამოსული და აღზევებული იყო, პიროვნება, რომელიც მათ, როგორც დიდგვარიან აზნაურებს, დამორჩილებული უნდა ჰყოლოდათ; ეს ადამიანი-კი მათ ეხლა ბატონად ჰყავდათ დასმული.

საქართველოს ჯერედ გამოუბრძმედელ ქალიშვილ მმართველზე ამ გაუგონარმა ამბავმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა თამარმა გადასწყვიტა, რომ დათმობის გარდა, სხვა არავითარი საშუალება უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ იმავე დროს მას არ ჰსურდა. რომ მისი მამისა და სახელმწიფოს ისეთი ერთგული მოხელე, როგორიც ყუბასარი იყო, გაეწირა: მისი ღვაწლის დავიწყება მას არასგზით არ შეეძლო, მაგრამ, რადგან ყუბასარი ამ დროს მართლაც ავადმყოფობდა, მან გადასწყვიტა ეს მონათხოვნი დაეკმაყოფილებინა და ამირსპასალარის თანამდებობითგან განეთავისუფლებინა. გაფიცული დიდგვარიანი აზნაურების მოთხოვნის მეორე ნაწილზე-კი, სახელდობრ, რომ ყუბასარს, მთელი ქონებაც ჩამორთმეოდა, უარი განუცხადა და არ შეასრულა: ამირსპასალარობასთან დაკავშირებულს სამოხელეო სამფლობელოს გარდა, მთელი დანარჩენი ქონება შეუნარჩუნა და, როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, ამ დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწეს სიკვდილამდე დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობოდა. აფრიდონიც ამგვარადვე დაემხო და თანამდებობაც დაკარგა. ამრიგად, ორი ისეთი მნიშვნელოვანი ხელისუფლება როგორიც სრულიად საქართველოს მთელი ჯარის მეთაურობა, ამირსპასალარობა, და მსახურთუხუცესის თანამდებობა იყო, უგვაროთა ხელითგან იყო გამოგლეჯილი და განთავისუფლებული.

თამარის უნებურად მომხდარი ეს ცვლილება საქართველოს ახალგაზრდა მეფის მეორე დიდი მარცხი იყო. მეტის თქმაც შეიძლება: ის მარტო თამარის მარცხს-კი არ წარმოადგენდა, არამედ დავით აღმაშენებელისაგან, მეტადრე-კი მისი მამის გიორგის დროს მოპოვებული გამარჯვების მთელი შედეგის გაქარწყლებასაც უდრიდა.

რამდენადაც ბრძოლის მოსაგებად წარმოებული იერიში თანხმობრივ იყო მოწყობილი, იმდენად გამარჯვებით მოპოებული დავლის განაწილებისას ატყდა გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა შორის გამწვავებული ბრძოლა. თითოეულს მათგანს უნდოდა, რომ ამირსპასალარობა, ანდა მსახურთუხცესობა სწორედ თვითონ მიეღო და სხვას არ ჰრგებოდა.

გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა შორის ატეხილი ამ ბრძოლით მეჭურჭლეთუხუცესმა **ყუთლუ-არსლანმა** ისარგებლა, რომელსაც პოლიტიკური გეგმის თანამგრძნობთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი აღმოაჩნდა. ისინი ერთად შეიყარნენ და ფიცის წიგნი დასდეს, რომ თამარ მეფეს მონათხოვნი წარუდგინონ და მისი ასრულებისათვის ერთსულოვნად იბრძოლონ. პირველი შემთხვევა გვაქს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველს საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება.

თამარისათვის წარმოდგენილი მონათხოვნი შემდეგს პოლიტიკურ დებულებას შეადგენდა: ისანში, სამეფო სასახლის მახლობლად უნდა დადგმული ყოფილიყო «კარავი», რომელშიც თავისუფლად მსხდომარენი მოხსენებას მიიღებდნენ და ბრძანებას გასცემდნენ. წყალობის ღირსთ წყალობას მიჰფენდნენ, დასასჯელს რისხვას მიაგებდნენ: ეს ჩვენი დადგენილება მეფეთ-მეფესა და დედოფალს თამარს მოხსენდეს ხოლმე და სრულ იქმნეს ხოლმე განგებული ჩვენიო.

ისანში იყო მოთავსებული საქართელოს მეფეთ-მეფის სასახლე და საქართველოს უმაღლესი დაწესებულება — სახელმწიფო დარბაზი. დარბაზი თვით მეფის სასახლეში იყო. დარბაზის წევრთ მეფე იწვევდა ხოლმე და სახელმწიფოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეები შესახებ ეკითხებოდა რჩევას. მაგრამ დარბაზის მოწვევა მხოლოდ და მხოლოდ მეფის ნებაყოფლობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული, ეხლა-კი ყუთლუ-არსლანის დასი თხოულობდა, რომ სასახლის გვერდით კარავი ყოფილიყო დადგმული იმ მიზნით, რომ იქ მეფისაგან დამოუკიდებლივ და მეფის დაუსწრებლივ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საქმეები განეხილათ. ამ დაწესებულების გადაწყვეტილება უნდა მეფისათვის ეცნობებინათ, რომელსაც ამ გადაწყვეტილების მხოლოდ ასრულების უფლება ჰქონდა დატოვებული. ცხადია, რომ აქ «კარავი» ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ დარბაზის მსგავს დაწესებულებად.

ამგვარად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მონათხოვნი, მოკლედ რომ გამოისახოს, იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეს კანონმდებლობითი ხელისუფლება უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.

ცხადია, თუ რა დიდი განსხვავება ამ მონათხოვნსა და იმ მონათხოვნს შორის, რომელიც თამარ მეფეს გაფიცულმა დიდგვარიანმა აზნაურ-მოხელეებმა წარუდგინეს ამ უკანასკნელთა წადილი იყო მხოლოდ თავიანთი წინანდელი წოდებრივი უპირატესობა დაებრუნებინათ. ყუთლუ-არსლანის დასს-კი რაიმე წოდებრივი უპირატესობის მოპოვება მიზნად დასახული არ ჰქონია, არამედ უნდოდა, რომ სახელმწიფო წესწყობილება ისე შეცვლილიყო, რომ ქვეყნის მართვ-გამგეობა და მართლმსაჯულება მარტო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ყუთლუ-არსლანის დასის მონათხოვნი, რა თქმა უნდა, დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა მონათხოვნზე ბევრად უფრო მოულოდნელი იყო. მეფეცა და მისი მრჩევლები განცვიფრდნენ, როდესაც გაიგეს, რასაც ეს დასი თხოულობდა. თამარი უმალ მიხვდა, რომ მისი ასრულება მეფის ხელისუფლების თითქმის მოსპობას უდრიდა. სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურთა რჩევით, თამარმა

განკარგულება გასცა, რომ ამ პოლიტიკური დასის მეთაური დაეჭირათ. თამარის მრჩეველთ ეგონათ, რომ მეთაურის დაჭერა ამ მოძრაობას ჩააქრობდა და დასიც თავისთავად დაიშლებოდა, მაგრამ ეს მოლოდინი სრულებით არ გამართლდა.

ყუთლუ-არსლანის დაჭერის უმალ, მისი თანამოაზრენი კვლავ შეიკრიბნენ და ხელმეორედ ფიცის წიგნი დასდეს, რომ მათ მეფეს გადაჭრით თავიანთი მეთაურის, ყუთლუ-არსლანის, უვნებლობა და განთავისუფლებაც მოსთხოვონ და იმ პოლიტიკური მონათხოვნის ასრულებაც, რომელიც წინათ ჰქონდათ წარდგენილი. ხოლო, თუ ყველა მათი მონათხოვნი შეწყნარებული არ იქნებოდა, გადასწყვიტეს, სასახლის წინააღმდეგ გალაშქრების წინაშეც არ შეჩერებულიყვნენ. ამ გეგმის და გადაწყვეტილების განხორციელებისათვის მზადებასაც-კი შეუდგნენ.

ამგვარად, ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ საქმე სამხედრო ძალას უნდა გადაეწყვიტა. ესოდენ პასუხსაგებ დროს თამარმა ბრძნული წინდახედულობა გამოიჩინა და თავის ჩვეულებრივ მრჩევლებს ორი გამოჩენილი ქართველი მანდილოსანი ამჯობინა, რომელნიც სიბრძნითა და გავლენიანობით იყვნენ ცნობილნი მაშინდელ საქართველოში: ამ უთანხმოებისა და განხეთქილების მშვიდობიანად მოგვარება მათ დაავალა. ყუთლუ-არსლანის აჯანყებულ პოლიტიკურ დასს მოსალაპარაკებლად თამარმა **კრავაი ჯაყელი.** დედა სამძივართა, და **ხვაშაქ ცოქალი**, დედა ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატისა, მიუგზავნა. ამ ორმა მანდილოსანმა უაღრესად პასუხსაგები პოლიტიკური დავალებისა და კონფლიქტის მოგვარება მოახერხეს. შეთანხმება ურთიერთ დათმობით გახდა შესაძლებელი. თამარმა შეუთვალა, რომ, ყუთლუ-არსლანს გარდა, დატრიალებული ამბის პასუხს ის არავის მოსთხოვდა. ამასთანავე თამარი დათანხმდა, რომ ამიერითგან მას საქართველოს დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით გადანაწყვეტი წარსდენოდა ხოლმე დასამტკიცებლად. დასის წარმომადგენლებმა თავიანთ მხრივ აღიარეს, რომ ისინი ერთგულებას განუცხადებენ თამარ მეფეს, დაემორჩილებიან და მის ხელისუფლებას სცნობენ.

ამგვარად, თამარ მეფემ დარბაზის თანადგომის, ე.ი. სახელმწიფოს საქმეების განხილვა-გადაწყვეტის მონაწილეობის უფლება აღიარა, მაგრამ სამაგიეროდ უარყო, რომ მეფეს ამ დადგენილების ასრულების გარდა სხვა აღარვითარი ხელისუფლება არ ჰქონოდა: თავისთვის მან დამტკიცების უფლება შეინარჩუნა. მართლაც, ამ დროითგან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში ყოველ ცნობას დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ ისეთი გამონათქვამები ახლავს, რომელთა კვალი წინანდელ საისტორიო ძეგლებში არსად ჩანს: ასეთ შემთხვევაში უკვე ნათქვამია ხოლმე «თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა» თამარმა დაამტკიცაო ესა და ეს პირიო.

საკმარისია XI საუკ. დამდეგს ქართულს სამონასტრო წესწყობილებაში მომხდარი ცვლილება გავიხსენოთ, როდესაც წინანდელი მამასახლისისაგან თანამდებობის პირთა დანიშვნის მონარქიული წესი რესპუბლიკურ წესად შეიცვალა და მონასტრებში ძმობის ყველა წევრთა «თანადგომითა და ერთნებობით» მოწყობილი არჩევნები იქმნა შემოღებული, რომ თამარის დროს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოძრაობის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ცვლილების იდეური სათავის სადაურობა ცხადი შეიქმნეს. უეჭველია, აქ იმავე მოძღვრებისა და იმავე პროგრამის ანარეკლი გვაქვს, რომელთაც XI საუკუნეში ქართული მონასტრების მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურ წესწყობილებად შეცვალეს.

ამგვარად, ამიერიდან საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის თანდგომითა და ერთნებობით იყო შეზღუდვილი. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საგულისხმო და წინამორბედ ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც XIII საუკ. დამდეგს ინგლისში, როგორც ცნობილია, მოხდა, და «მაგნა ხარტა ლიბერტატუმ»-ის შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა.

ამ შეთანხმებამ საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური მყუდროება მიანიჭა. მართალია, დიდგვარიანი აზნაურები შემდეგშიც რამდენჯერმე შეეცადნენ მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ გამოესწორებინათ, მაგრამ მათი ყოველი ასეთი მცდელობა ამაო გამოდგა და პოლიტიკური მყუდროება საგრძნობლად აღარ შერყეულა.

შეთანხმების შემდეგ ახლად შემოღებული წესის თანახმად, თამარ მეფემ ისეთი პირები დაამტკიცა ვაზირებად და მათ თანაშემწეებად, რომელნიც თამარის მამის, გიორგი III-ის, გაზრდილნი, ანდა შეზრდილნი იყვნენ, და რომელთა ერთგულებაც იოანე ორბელ-დემნას აჯანყების დროს გამომჟღავნდა.

ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემის მოგვარების შემდგომ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარისათვის ქმრის მოძებნა წარმოადგენდა, რადგანაც მას, როგორც ქალს, არ შეეძლო საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ეკისრა, როგორც ამას ჩვეულებრივ მეფეები ასრულებდნენ.

იმ დროს მეფის პირად მონაწილეობას ომში ფრიად დიდი გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა. 1185—86 წ., სახელმწიფო დარბაზის წევრთა გადაწყვეტილებით, რუსეთიდან ჩამოყვანილი იყო უფლისწული **გიორგი რუსი**, რომელთანაც ქორწინება მოხდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც უარყოფითი მხარეები გამომჟღავნდა, ის საქართველოთგან გააძევეს. მას ნება დართეს კონსტანტინოპოლში გამგზავრებულიყო.

1189 წელს თამარისათვის საქმროდ ოსთა მეფის შთამომავალი, დედით ქართველ მეფეთა ბაგრატიონთა ასულის შვილი **დავით უფლისწული** იყო დასახელებული. ის თამარი მამიდასთან, რუსუდანთან იზრდებოდა და მისი ხასიათის თვისებებიც, სიმამაცე და განსწავლულობაც, ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც ეს არჩევანი დარბაზის ერმაც და თვით თამარმაც მოიწონეს.

1190-91 წ. გიორგი რუსმა, უეჭველია, დიდგვარიან აზნაურებთან წინასწარ შეთანხმებით, დაკარგული ხელისუფლებისა და საქართელოს მეფეთ-მეფის ქმრობის კვლავ დაბრუნება სცადა. სახელმწიფოს დავალებით ბიზანტიაში წარგზავნილი მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი აღმოჩნდა სწორედ იმ შუამავლად, რომელიც დიდგვარიან აზნაურთა წრის დავალებით გაძევებულ გიორგი რუსთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. გიორგი რუსს ისეთი გავლენიანი და დიდი პოლიტიკური მოღვაწენი მიემხრნენ, როგორიც გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი, ბოცო სამცხის სპასალარი, ციხისჯვარელი-ჯაყელი და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი იყვნენ.

გიორგი რუსი ჯერ **მესხეთის** თემში შემოიჭრა, შემდეგ-კი იქითგან დასავლეთ სქართველოში გადაიყვანეს და **გეგუთში** მეფედ დასვეს. მარტო მის მომხრეთა სოციალური სადაურობა, დიდგვარიან აზნაურთადმი მიკუთნილებაც ცხადჰყოფდა, რომ ეს გეგმა მთლიანად დიდგვარიან აზნაურთა მიერ წინანდელი პოლიტიკური უპირატესობის დასაბრუნებლად მოწყობილს მცდელობას

წარმოადგენდა: უეჭველია, მათ ან იმედი ჰქონდათ, რომ გიორგი რუსს თავიანთ სათამაშო ბურთად აქცევდნენ, ანდა დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ გიორგი რუსი წოდებრივ უპირატესობათა შენარჩუნების მომხრე იყო.

ამ ამბით შეშფოთებულმა თამარმა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დიდი ხელისუფლები მოიწვია, რომელთაგან ყველამ განდგომილებაში გაურევლობა და მისი ერთგულება შეჰფიცეს. თამარმა სცადა, დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფის ეს უგუნური საქციელი მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეეჩერებინა, რომელიც ძმათა შორის სისხლის ღვრით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა. გიორგი რუსის მომხრე აჯანყებული დიდგვარიანი აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერთი ჯგუფი თავის ლაშქრითურთ აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში გადმოვიდა და თემის აოხრება დაიწყო, მეორე ჯგუფი კიდევ ციხისჯვრის გზით სამცხეში გადავიდა და ქალაქი ოძრხე გადასწვა.

თამარის ერთგულმა აღმოსავლეთ საქართველოს მოხელეებმაც ჯარს თავი მოუყარეს და ჯავახეთში გაემგზავრნენ საბრძოლველად, სადაც აჯანყებულთა მთავარი ძალა იმყოფებოდა. ამ თემში, თმოგვსა და ერუშეთს შუა, მეამბოხეთა და საქართველოს მთავრობის ჯარს შორის დიდი ბრძოლა მოხდა. თამარის მომხრე ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, აჯანყებულები-კი დამარცხდნენ და გაიფანტნენ. მართალია, ეს მეამბოხეთა უკვე მნიშვნელოვანი ძალის განადგურებას წარმოადგნდა, მაგრამ ქართლში შეჭრილი მეორე ნაწილი ჯერ კიდევ გასანადგურებელი იყო და ეხლა ჯერი მათზედაც მიდგა. როდესაც ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა ჯავახეთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს უბრძოლველად გაიქცნენ.

გიორგი რუსის მომხრეთა რიცხვი ეხლა უკვე შემცირდა და მათ ბრძოლა აღარ შეეძლოთ. ამიტომ ამ დიდგვარიანმა აზნაურებმა თამარს შუამდგომლები მიუგზავნეს, რომ თავიანთთვის უვნებლობის ფიცი მიეღოთ; მაშინ ჰპირდებოდნენ, რომ გიორგი რუსს დაჭერილს მიჰგვრიდნენ. თამარმაც უვნებლობა უწყალობა. აჯანყებულები გადმოვიდნენ და ერთგულება შეჰფიცეს და გიორგი რუსიც მოჰგვარეს. დადებული აღთქმის თანახმად, თამარმა გიორგი რუსი კვლავ გაამევა, აჯანყებაში გარეულ ყველა მომხრეებს-კი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული ხელისუფლები დანიშნა.

გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი, რომელიც გიორგი რუსის აჯანყებაში იყო გარეული, შემდეგშიც თავისას არ იშლიდა, მან წინანდელზე მეტი ღალატიც-კი იკადრა: ის შაჰ-არმენთან წავიდა და ტაოს, კარისა, ვაშლოვანისა და სხვა ციხეების მტრისათვის გადაცემას შეჰპირდა. შაჰ-არმენმა გუზანის ცოლშვილის წასაყვანად და გადმოცემულ ციხეებში მეციხოვნეთა შესაყენებლად მრავალრიცხოვანი თურქი მოლაშქრენი გამოგზავნა. მაგრამ დიდგვარიან აზნაურის ამ მოხელეს ასეთმა მოღალატურმა ქცევამ და ოინმა მაინც ტყუილად ჩაუარა, რადგან გუზანის ცოლშვილის წამყვან შაჰ-არმენის ლაშქარს ზაქარია ფანასკერტელი დაედევნა, დაამარცხა კიდეთ და გუზანის ცოლშვილიც ჩაიგდო ხელში.

1192 — 93 წ. თამარის პირმშო ვაჟიშვილი **გიორგი-ლაშა დაიბადა**. ამის აღსანიშნავად ლაშქრობა იყო მოწყობილი ერთი მხრით არზრუმის, კარნუ-ქალაქის მიმართულებით და მეორე მხრით საქართველოს არეზის სანაპიროებისაკენ.

1193 წელს გიორგი რუსმა ხელმეორედ სცადა თავისი ბედი ისევ წაღმა მოეტრიალებინა; კონსტანტინოპოლიდან რანში მოვიდა ათაბაგთან და იქითგან

კამბეჩოვანში, ე. ი. ქიზიყში შეიჭრა, მაგრამ ეს მეორე მცდელობა პირველზე უარესად დამთავრდა: ის უმალ დამარცხებულ იქმნა და უკვალოდ გადაიხვეწა.

როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ნორჩი ქალიშვილი თამარი ავიდა, ყველა მეზობლებს ეგონათ, რომ ეხლა-კი სამაგიეროს გადახდის დრო დაუდგათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ; საქართველოს სამხედრო ძლიერება ოდნავადაც არ შესუსტებულა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგიერ ქალი იჯდა. თამარს ხასიათის დიდი სიმტკიცე და მამაცური ნებისყოფა ჰქონდა; ქვეყნის მესაჭეობასაც კარგად ახერხებდა, იმისდა მიუხედავად, რომ მას მაინც-და-მაინც საშუალება არ ჰქონდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებში ხანგრძლივი გამოცდილება მოეპოვა.

მეზობელი მაჰმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ აქ-თუ-იქ, ამათუიმ მხრითგან იერიში მოეტანათ და საქართველოსაგან შემოერთებული ადგილები ისევ უკან დაებრუნებინათ. ერანის აზერბაიჯანის ამირთ-ამირას ყიზილ-არსლანის ათაბაგის შვილი აბუ-ბაქრ ათაბაგი 1192 წელ შირვანს შეესია, რაკი ის საქართველოს ყმადნაფიცი იყო. ამ დროს შირვანში საშინელი მიწისძვრა მოხდა, შამახიის ზღუდეები დაინგრა. ამ მიწისძვრის მსხვერპლად, აღსართან შირვანშაჰმა და მისმა სიძემ ამირ-მირმანმა აბუ-ბაქრ ათაბაგის შემოსევას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საქართველოს მთავრობას და თამარს სთხოვეს, მათთვის დახმარება გაეწიათ და აბუ-ბაქრის ძალმომრეობისაგან დაეცვათ. საქართველოს მთავრობამაც თავისი მოვალეობის ასრულება აღუთქვა და დიდ სამხედრო სამზადისს შეუდგა.

1195 წელს საქართველოს მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა დაიძრა. შანქორთან დიდი და სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც მტერი საშინლად დამარცხდა, ისე რომ ათაბაგმა თავისთავი ლტოლვით გადაარჩინა მხოლოდ. ძლევამოსილ ქართველთა ჯარს თვით მაჰმადიანთა ხალიფასაგან უძლეველობის მოსანიჭებლად გამოგზავნილი ღაზო-დროშა ჩაუვარდა ხელში და დიდძალი დავლაც ერგო. მაშინვე ქალაქ შანქორითგან მცხოვრებნი გამოეგებნენ, ქალაქის კლიტე-გასაღები მოართვეს და მეფე დავითსა და ქართველთა ჯარის მხედართ მთავრებს შიგ შებრძანება სთხოვეს.

შანქორი და მისი სანახები კვლავ დაპყრობილ იქნა, მაგრამ საქართველოს მთავრობას იგი თავის უშუალო მფლობელობად არ უქცევია, არამედ ამირ-მირმანს გადასცა, ვითარცა მის ყმადნაფიცს. მერმე ქართულმა მხედრობამ განზედაც გაილაშქრა, მაგრამ განძასთან მიახლოვებისთანავე განძელებმა თავიანთი წარმომადგენლები მოაგებეს და უბრძოლველად დამორჩილება მოახსენეს. საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ჯარითურთ განძაში შევიდა და, მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, განძის მმართველის სასახლეში დიდი დარბაზობა გადაიხადა.

მაინც აბუბექრ ათაბაგი, რომელიც დატყვევებას და სიკვდილს ლტოლვით გადაურჩა, არ ისვენებდა, და, რაკი სამხედრო ძალით შირვან-შაჰისა და მისი სიძის მოსპობა ვერ მოახერხა, მან მოსყიდული მომწამვლელების მიგზავნით ამირ-მირმანს მოუღო ბოლო და მოაკვლევინა.

საქართველოს სამხედრო ძლიერება ამ დროითგან მოყოლებული თანდათან სულ უფრო და უფრო მატულობს. მისი სამხედრო მოქმედების ასპარეზად საქართველოს სამხრეთით და დასავლეთით მდებარე სანაპიროები იქცნენ. 1196 წ. გელაქუნი და ამბერდი იყო აღებული. 1201 წელს ბიჯნისი იქნა შემოერთებული. რაკი აბუბექრ ათაბაგი მაინც წინანდებურად არ ისვენებდა, მის დასასჯელად

კვლავ იყო ლაშქარი გაგზავნილი და 1203—1204 წ. სამხედრო მოქმედება დვინამდის და მის სანახებამდის წარმოებდა.

ამავე ხანაში დასავლეთის თურქობამაც დაიწყო იერიშის მოტანა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემების წინააღმდეგ. ამიტომ მათ ასალაგმავად და გასანადგურებლადაც საქართველოთგან გაგზავნილი იყო ჯარი, რომელმაც გაიარა პალაკაციო, არტაანი და სხვა თემები, დაიპყრო ხახული, ოშკი და ბანა.

1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს სამხედრო მოქმედება უფრო შორეულ მანძილზედაც-კი გადაეტანა. უცხოეთითგან ჩამოსულ ქართული სავანეების წარმომადგენლებს თამარ მეფემ 1204 წელს დიდი ქონებრივი შეწირულობა გადასცა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ამ მონასტრების წარმომადგენლებს ბიზანტიის კეისარმა ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი გაუგონარი საქციელისა და კადნიერების დასასჯელად, თამარმა საქართველოს მხედრობა წარგზავნა და ბიზანტიის სახელმწიფოს იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველთა მონათესავე ლაზებისა და ჭანების ტომები ცხოვრობდნენ.

ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო, ტრაპიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნი, კოტიორა აიღო და ერაკლიამდის მიაღწია. მთელი ეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართელოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე საკეისრო შექმნა. ამ საკეისროში მან შთამომავლობით ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი გაამეფა, რომელიც დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატონიანთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი იყო.

ამნაირად, საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები.

ბიზანტიის საკეისროს დაარსების შედეგაც, ქართული ჯარი იქითგან მთლად არ წამოსულა, რადგან თამარისა და საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული მოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის გეზისა, რომლის ანარეკლი შემდეგშიც ჩანდა და რომლის გარშემო ბრძოლაც ბიზანტიასა და საქართველოს შორის მთელი XIII და XIV საუკუნის განმავლობაში წარმოებდა.

მომდევნო, 1204—05 წელს საქართველოს ჯარი ჯერ ხლათში და შემდეგ მანასკერტამდე და არჭეშამდე შლიდა თავის მოქმედებას. 1205 წელს საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა დაეპყრო ის ერთადერთი სამ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქთაგანიც, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ შემოერთებული არ ჰქონდა და რომლის ფლობა მას სამხრეთითგან მომავალი გარეშე მტრის საშიშროებისაგან უზრუნველჰყოფდა. თამარმა თავისი ჯარი კარის ციხე-ქალაქის ასაღებად წარგზავნა. კარის-ციხე კარის ამირას ეჭირა, რომელიც ხლათის მმართველს შაჰ-არმენს ემრჩილებოდა. საქართველოს ჯარის მოახლოვებისთანავე კარის ამირამ შაჰ-არმენს დახმარება სთხოვა, მაგრამ შაჰ-

არმენი არც დაძრულა და არც აღმოუჩენია დახმარება. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონებელი ანისისა და დვინის შემდეგ უდიდეს ციხეთაგანი ეს ციხე-ქალაქი კარიც საქართველოს საზღვრებში მოექცა. თამარ მეფემ, კარის მცხოვრებთ თხოვნის თანახმად, კარის ციხე-ქალაქი არავის არ გადასცა, არამედ უშუალოდ სახელმწიფო ტახტს დაუმორჩილა. როგორადაც კარის ციხის აღებას საქართველოს ძლევამოსილებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ისევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში.

საქართველოს ამ გამარჯვებით ყველაზე მეტად რუმის სულტანი რუქნადინი იყო აღშფოთებული, რომელმაც კარის აღების უმალ მეზობელ ყველა მაჰმადიან სამფლობელოების უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებული ძალის საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ და, არამცთუ კარისციხე-ქალაქი უკან დაებრუნებინათ, არამედ საქართველოც-კი გაენადგურებინათ.

მოკავშირეებმა რომ 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუქნადინმა თამარ მეფეს მუქარითა და უკმეხი გამონათქვამებით სავსე ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევდა უბრძოლველად დაჰმორჩილებოდა. ასეთი უკმეხი მომართვის მიღებისთანავე, თამარ მეფემ 1206 წელს ბრძანება გასცა, რომ საქართველოს მხედრობას თავი მოეყარა. ეს განკარგულება ისეთი სისწრაფით იქმნა ასრულებული, რომ მას საშუალება ჰქონდა უკან მიმავალი რუქნადინის ელჩისათვის საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაედევნებინა. ვარძიაში მისვლის შემდეგ, თამარმა ესოდენ გადამწყვეტ ომში მიმავალი საქართველოს მხედრობა დალოცა და გამარჯვება უსურვა.

საქართველოს მხედრობამ რუქნადინთან ბრძოლა მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო. რუქნადინს არ ეგონა, რომ საქართველოს ჯარი ასეთი სისწრაფით ამხედრებას მოახდენდა და ბრძოლას შეუდგებოდა. რუქნადინის ჯარი სასტიკს ბრძოლაში საშინლად დამარცხდა, ისე რომ თვით რუქნადინი და მისი მოკავშირე აბულუსტანის მფლობელი მუღის-ედინ-ტოღრილ-შაჰი ტყვეობას ძლივს გადაურჩნენ. მათი დროშები, მთელი მათი ქონება რაც-კი თან ჰქონდათ, საქართველოს ძლევამოსილ ლაშქარს ჩაუვარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს სამხედრო ძალის სამხრეთ-დასავლეთითაც სრული უძლეველობა გამოამჟღავნა და, რა თქმა უნდა, ამას შეუძლებელია მახლობელ აღმოსავლეთში უდიდესი შთაბეჭდილება არ მოეხდინა.

დამარცხებული, შორეულ თემში გახიზნული რუქნადინი მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ საქართელოს სამაგიეროს გადაუხდიდა, მაგრამ ამისათვის მზადებაში გარდაიცვალა და განზრახვა აუსრულებელი დარჩა.

1207 წელს თამარის მეუღლე **დავითი გარდაიცვალა** და მის მაგიერ თამარმა სამეფო ტახტზე თანამოსყდრედ თავისი თორმეტი წლის ვაჟიშვილი **გიორგი ლაშა** აიყვანა. დავითის სიკვდილის მიუხედავად საქართველოს სამხედრო ძლიერება მომდევნო წლებში არამცთუ შესუსტებულა, არამედ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა.

1208 და 1209 წელს **არჭეში** იქნა აღებული. მართალია, 1208 წელსვე მოულოდნელად საქართველოს ერანითგან არდაველის სულტანი შემოესია. მან იმ გარემოებით ისარგებლა, რომ აღდგომა დღეს ქრისტიანთა წესით ქალაქის კარები დილა ადრიანი იღებოდა ხოლმე და ყველა მორწმუნენი ეკლესიებში იყვნენ

სალოცავად. საიდუმლო მზადების შემდგომ, არდაველის სულტანი ამ წელს თავისი ლაშქრითურთ ანისს ღამიანად თავს დაესხა და იმ დროს, როდესაც რიჟრაჟზე ქალაქის კარები გაღებული იყო, შეესია, ეკლესიებში მყოფი ხალხი ამოხოცა და ისევე სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ერანში დაბრუნდა.

მოახსენეს თუ არა თამარს ამ კადნიერი შემოსევის ამბავი, საპასუხო დამსჯელი ლაშქრობის მოწყობა უმალვე გადაწყდა. იმ დროს, როდესაც მაჰმადიანთა დიდი დღესასწაული იყო, როცა მაჰმადიანებმაც დასვენება-განცხრომა იცოდნენ ხოლმე ასევე სასწრაფოდ საქართველოს მხედრობაც არდაველის სულტანისა და მისი მოსახლეობის დასასჯელად არდაველში გაეშურა. იმავე წესით, როგორც ანისი იყო დარბეულ-დაწიოკებული, დარბეულ და დაწიოკებულ იქნა არდაველიც, ხოლო არდაველის სულტანი სიკვდილით დასაჯეს.

ერანში გალაშქრებამ ქართველ მხედართმთავრებს ერანის სრული პოლიტიკური უმწეობის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ერანის დაპყრობა ძნელი საქმე აღარ იყო, ხოლო, რაკი ერანის სხვადასხვა ცალკეული ამირებისა და მფლობელების მეკობრული, ყაჭაღური თავდასხმისაგან საქართველოს მყუდროება ირღვეოდა ხოლმე, ამიტომ 1210 წელს საქართველოს ჯარის მხედართმთავარმა, ამირსპასალარმა **ზაქარია მხარგრძელმა** და სხვა მაღალმა ხელისუფლებმა თამარს გეგმა წარუდგინეს, რომ ერანში დიდი ლაშქრობა მოწყობილიყო. ამ საკითხის გადაწყვეტა თამარმა სახელმწიფო დარბაზს გადასცა, რომელმაც, მსჯელობის შემდგომ, დასტური მისცა და თამარ მეფემაც ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

სათანადოდ მომზადების შემდგომ, საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ერანისაკენ გაემართა. პირველად მარანდი იყო აღებული. მარანდის აღებამ თავრეჟზე (უდრის ახლანდელ თავრიზს) ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თავრეჟელებმა თავიანთი წარმომადგენლები მოაგებეს და უბრძოლველად დამორჩილება მოახსენეს. ამ ამბავმა ქართველი მხედრობა გაახარა, რადგან აქ საქმე სისხლის დაუღვრელად, ხარკის დადებით მოგვარდა. ქალაქი მიანაც ასევე მოიქცა. შემდეგ უჟენი და ზენგანიც (უდრის ახლანდელ ზენჯანს) იყო აღებული. ზენგანმა საქართველოს ჯარს წინააღმდეგობა გაუწია და მისი დამორჩილება მხოლოდ ბრძოლის შემდგომ გახდა შესაძლებელი. ძლევამოსილი ქართული მხედრობა წინ იწევდა: ყაზვინიც იქნა დაპყრობილი. დავლით დატვირთულმა ლაშქარმა რომ-გურსაც-კი მიაღწია და აქ უკვე იმდენად დიდი დავლა დაგროვდა, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელიღა შეიქმნა და ძლევამოსილი ჯარი უკან უნდა დაბრუნებლიყო არას დროს საქართველოს ჯარს ესოდენ შორეული ლაშქრობა არ ჰქონია.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ჯარის დაუბრუნებლობის გამო, გავრცელდა ხმა, ვითომც ჯარი დამარცხებულიყოს. მიანელებმა დაიჯერეს და მეციქოვნე ქართველთა რაზმი, რომელიც იქ იყო ჩაყენებული, დახოცეს. მხოლოდ ერთი მათგანი შემთხვევით გადაურჩა ამ ჟლეტას და დაიმალა. როდესაც საქართველოს გამარჯვებული ჯარი უკან დაბრუნდა და მიანელებმა ეს ამბავი შეიტყვეს, შეშინებულნი საქართველოს მხედართმთავრებს მიეგებნენ და დანაშაული, რომელიც მათ ჩადენილი ჰქონდათ, დაუმალეს. ქართველ მეციხოვნეთა დაუხვედრელობა მიანელებმა იმით ახსნეს, ვითომც ქართელი მეციხოვნენი მეზობელ ქალაქში ყოფილიყვნენ გამგზავრებულნი, მაგრამ ამ დროს გადარჩენილი დამალული ქართველი მეციხოვნე გამოჩნდა და მხედართმთავარის

წინაშე წარსდა და მან პირში ამხილა მიანელების ჩადენილი დანაშაულება. ამ ვერაგობისა და სიცრუისათვის მიანელები სასტიკად იქნენ დასჯილნი, რის შემდეგ საქართველოს ჯარმა სამშობლოში დასაბრუნებლად განაგრძო სვლა.

ამგვარად, ერანის ჩრდილოეთი ნაწილი, ე. წ. **ერანის აზერბაიჯანი** საქართველოს ყმადნაფიცად იქცა და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრა. ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, დიდი დარბაზობა იყო მოწვეული, რომლის დროსაც თამარ მეფეს ერანითგან დაბრუნებული მხედრობა წარუდგა და თან მოტანილი დავლა მიართვეს. ეს თამარის მეფობის უკანასკნელი დიდი ლაშქრობა იყო და ამის შემდგომ საქართველოს მშვიდობიანობა გარეშე მტრისაგან დარღვეული აღარ ყოფილა.

1212 წელს გარდაიცვალა ზაქარია ამირსპასალარი და მის მაგიერ მისი ძმა იოანე ათაბაგი იყო დანიშნული.

ფხოელთა და დიდოელთა აჯანბების ჩასაქრობად იოანე ათაბაგის მეთაურობით 1212 წელს პატარა სამხედრო ექსპედიცია იყო გაგზავნილი საქართველოს ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხოლო 1213 წელს ავადმყოფობის შემდგომ თამარ მეფე გარდაიცვალა.

ამრიგად, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს ბრძნული საჭეთმპყრობელობითა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მიერ იყო დაწყებული, მამაკაცის დაუღალავი დიდი ჭკუით, მხნეობით და სამაგალითო მამაცობით შექმნილი ეს ხელთუქმნელი ნაგებობა, ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით იყო დამთავრებული.

საქართველოს კულტურული ვითარება მეთორმეტე საუკუნეში

სახელმწიფოებრივი და სოციალური პრობლემები. მეცნიერება. მწერლობა. ხელოვნება

მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში მოწინავე პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი მშრომელი ქართველი ხალხის გამუდმებული მუშაობით, წარმატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვითა და პროგრესული სოციალური და სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლით, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა.

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის შორს გამჭვრეტელმა გეგმიანმა სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობამ, საშინაო და საგარეო წინდახედულმა პოლიტიკამ წინათ პატარა სამეფოდ მყოფი საქართველო, რომელიც ქართველ ყველა ტომთა მთელ მოსახლეობასაც კი ვერ შეიცავდა, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძლიერი და სახელგანთქმულ სახელმწიფოდ აქცია, რომლის გავლენა მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში კარგად იყო საგრძნობი. ამ ხანაში, ასეთს სწრაფ

ზრდასთან დაკავშირებით, მას არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაც მოუხდა.

პირველი ამოცანა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის უნდა გადაწყვეტილი ყოფილიყო, წოდებრიობისა და პირადი ღირსების ურთიერთობის პრობლემა იყო. საშუალო საუკუნეებში, ფეოდალურ წესწყობილებაში განმტკცებული მსოფლმხედველობაცა და რწმენაც უპირატესობას შთამომავლობასა და წოდებრიობას აკუთვნებდა. ეს ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული მაშინდელი რწმენა დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველომ დაარღვია და **ადამიანის პირად ღირსებას**, წოდებრივ შთამომავლობასთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა. მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებაშიცა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროშიც საქმიანობა სწორედ ამ ძირითად ახალ მოძღვრებაზე იყო დამყარებული.

ამავე მეთორმეტე საუკუნის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო წესწყობილების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანაც გადაწყდა, როგორიც მეფისა და დიდგვარიან აზნაურთა ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემაა. საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა, რომელიც მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის ჯერ მხოლოდ წოდებრივი უპირატესობის შესანარჩუნებლად წარმოებდა, როცა მეფის ხელისუფლება ამ უპირატესობის შეზღუდვა-მოსპობას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც, თამარის დროს, ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოქმედი პოლიტიკური დასისაგან წამოყენებული მოძღვრებისა და მონათხოვნის წყალობით სახელმწიფო დარბაზის ერთაგან მოპოვებული უფლებით **მეფის ხელისუფლების შეზღუდვით** დამთავრდა. ამ ხანითგან მოყოლებული დარბაზის ერთა თანადგომა და ერთნებობა მეფის ბრძანების სიმტკიცისათვის საჭირო გახდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის სინამდვილემ ქართველ მოწინავე მოაზროვნე საზოგადოებას საშუალო საუკუნეებისათვის ისეთი რთული საკითხიც გადააწყვეტინა, როგორიც **ქალის ხელისუფლების პრობლემაა.** მაშინდელმა საქართველომ ეს საკითხიც ქალის სასარგებლოდ გადასწყვიტა: სამეფო ტახტზე აყვანილ იქნა ქალი, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, მხოლოდ ვითარცა დედოფალი, არამედ, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეთმპყრობელი და მეფეთ-მეფე, მისი მეუღლე-კი მხოლოდ მის თანამეცხედრედ იყო ცნობილი და ქმრობით მას არც მეფეთ-მეფობა და არც მესაჭეობა არ მიჰნიჭებია. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის გავლენა სხვაფრივადაც მოჩანს.

მას შემდგომ, რაც საქართველო თავისი ტომობრივი ბინადრობის საზღვრებს გასცილდა და საქართველოს სამეფოში სხვადასხვა ეროვნებათა და სარწმუნოების აღმსარებელთა წარმომადგენელი ხალხიც მოექცა, ქართულ სახელმწიფოებრიობას გადასაწყვეტი გაუხდა **უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებისა და სხვა რწმენის აღმსარებელთადმი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის პრობლემაც**. მართლმადიდებელ ქრისტიანთა გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტი სომხებიც, მაჰმადიანნიც,—სპარსნი, თურქნი და არაბებიც — რომელთადმი დამოკიდებულების გარკვეული გეზი უნდა ჰქონოდა სახელმწიფო ხელისუფლებას. საქართველოში ამ საკითხისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობდა: ეკლესიის, როგორც ქართველი, ისევე სომეხი წარმომადგენელნი, რასაკვირველია, იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჰეგემონია ქრისტიანებს უნდა ჰქონოდათ, ხოლო მაჰმადიანი ქვეშევრდომები ისეთსავე მდგომარეობაში

ყოფილიყვნენ, რა მდგომარეობაშიც მაჰმადიანთა ქვეყნებში ქრისტიანები იმყოფებდნენ, ე. ი. დაბეჩავებულნი და გადასახადებით ერთი-ორად მაინც უნდა ყოფილიყვნენ დატვირთულნი. საქართველოს მთავრობა დავით აღმაშენებლითგან მოყოლებული მაინც ამ შეხედულებას არ იზიარებდა, თავის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მას სრულ თანასწორობაზე ჰქონდა აგებული; ეროვნული უფლება-შეზღუდვილობა იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა. რასაკვირველია, კერძო ცხოვრებაშიცა და ცალკეულ შემთხვევაშიც სხვადასხვა მოქიშპე სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის მტრობა საქართველოშიც იყო, მაგრამ თვით საქართველოს მთავრობა, როგორც დავით აღმაშენებლის, ისევე თამარის მეფობაში, თვით ქრისტიანთა სხვადასხვა მოძღვრების წარმომადგენელთა შორისაც-კი ყოველი ასეთი ატეხილი მტრული განწყობილებისა და შუღლიანობის შენელებისათვის ზრუნავდა. ქართველ მართლმადიდებლებისა და მონოფიზიტ სომეხთა სამღვდელოების წარმომადგენელთა საეკლესიო კრებები, რომელნიც დავით აღმაშენებლის დროსაც და თამარის დროსაც ეკლესიათა შესათანხმებლად იყო მოწვეული, შეთანხმების მაგიერ, ყოველთვის დამოკიდებულების უფრო გამწვავებით მთავრდებოდა ხოლმე და პირადად დავით აღმაშენებელსაცა და თამარ მეფესაც ასეთი კამათის გამწვავებულ ვნებათა ღელვის დაცხრობა-დაშოშმინება უხდებოდათ.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავებისდა მიუხედავად, **ქვეშევრდომთა სრული თანასწორობის პრინციპი**, რომელსაც საქართველოს მთავრობა იცავდა, მტკიცდება საუცხოვოდ იმ საგანგებო სასამართლოს შემადგენლობითაც, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის განკარგულებით სომეხთა ორს ეკლესიასა და სავანეს შორის ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო ატეხილი დავის გასარჩევად იყო მოწვეული: ამ არაჩვეულებრივი სასამართლოს წევრებად მოწვეულნი და დანიშნულნი იყვნენ როგორც სომეხთა ეკლესიის მღვდელმთავარნი, ისევე ქართული ეკლესიის მესვეურნი. ესეც უკვე თავისდათავად გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამაზე უფრო განმაცვიფრებელი და საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად მოწვეული იყვნენ თბილისისა და განძის განთქმული ყადიები და მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნიც, რაც მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაშიც სრულებით წარმოუდგენელი რამე იყო.

ადვილი მისახვედრია, თუ რა უკმაყოფილება უნდა გამოეწვია ქრისტიანეთა ეკლესიების მღვდელმსახურთა წრეში სასამართლოს შემადგენლობის ამნაირს შერჩევას, მაგრამ, რაკი საქართველოს მთავრობა ამ საკითხს იურიდიულ საკითხად სთვლიდა, მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით კი არა, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოფილიყო განხილულ-გადაწყვეტილი. ამიტომაც იყო, რომ ამ საგანგებო სასამართლოს თვით საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის სათავეში მდგომი მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესიც დაესწრო პირადად, რომელსაც ამ საკითხის განხილთის დროს საქართველოს სახელმწიფო ინტერესები უნდა დაეცვა. ეს სასამართლოცა და მისი შემადგენლობაც ნათლად ამტკიცებს და ამჟღავნებს იმ თანასწორობის გეზსაც, რომლის დაცვასაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა ყოველ ასეთ შემთხვევაში ცდილობდა, და იმ პირუთვნელობასაც, რომლის მიხედვითაც საჭიროდ სთვლიდა, რომ სახელმწიფო საკითხები, სარწმუნეობრივი

და ეროვნული გამწვავების მიუხედავად, გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაჰმადიანები, თვით არაბულ-სპარსული იმდროინდელი ისტორიული წყაროების ცნობებითაც. თავიანთ თავს ბევრ მუსლიმან სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე უკეთესადაც გრძნობდნენ და უკეთეს მდგომარეობაშიც იმყოფებოდნენ.

არაქართველ მოსახლეობის მიწა-წყლის შემოერთებასთან ერთად, უნდა აგრეთვე მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის წესიც გადაწყვეტილი ყოფილიყო. ამ მხრივ საქართველოში ორგვარი პოლიტიკის გეზი არსებობდა: ან უშუალო შემოერთება და სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა, ანდა **ყმადნაფიცობისა და ვასალური დამოკიდებულების დამყარება**. ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი პოლიტიკური ერთეულები სწორედ ამ უკანასკნელი წესით იყვნენ საქართველოსთან დაკავშირებულნი და საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცები გახდნენ. თუმცა შირვანი და რანი თავდაპირველად უშუალოდ შემოერთებულ იქმნენ, მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნებიც ყმადნაფიცობის წესზედ იყვნენ მოწყობილნი. სამხრეთით მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოებიც აგრეთვე საქართველოს ყმადნაფიცებად იყვნენ ქცეულნი, ყოფილი სომხეთის სამეფოს სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია-კი საქართველოს სახელმწიფოს უშუალო მფლობელობას და კუთვნილებას წარმოადგენდა.

სომხურ თემებში დამყარებული წესის განსხვავება იმით აიხსნება, რომ როდესაც იქ საქართველოს სახელმწიფოებრივობა შედიოდა, თითქმის მთელი საუკუნით უწინარეს იქ სომხური ხელისუფლება უკვე მოსპობილი იყო და საქართველო ამ ტერიტორიას მაჰმადიან მმართველებს ართმევდა. ადგილობრივი სომხური ხელისუფლება, რომელთანაც ყმადნაფიცობის წესით პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყო, არ არსებობდა. საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანაში, მაინც აქაც გარკვეულ პოლიტიკას დაადგა და ამის წყალობით სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია თანდათან შემოკრიბა და მისი გაერთიანებაც ხდებოდა შესაძლებელი. მათ სხვადასხვა თემს, რასაკვირველია, თავთავიანთი დანიშნული მმართველები ჰყავდათ, მაგრამ თავიანთი ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სრული საშუალება ჰქონდათ. პოლიტიკურად-კი მათი არსებობა საქართველოს სახელმწიფოებრივობის ფარგლებში იყო გათვალისწინებულიცა და განხორციელებულიც.

საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დამოკიდებულებაში საქართველოს მთავრობა, მეტადრე თამარის ხანითგან მოყოლებული, მეზობელთა შორის პოლიტიკური წონასწორობის და ხელშეუხებლობის პრინციპს მისდევდა: ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ვინმე სხვის სამფლობელოში შეჭრას გაბედავდა, საქართველო თავის თავს მოვალედ სთვლიდა, რომ ჩარეულიყო და შელახულის უფლებები აღედგინა. ყველა ამ გარემოებათა გამო, საქართველომ თავისი პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან ერთად, საერთაშორისო დამოკიდებულებაშიც დიდი გავლენის მოპოვება მოახერხა.

საქართველოს ესოდენი ზრდა და სახელგანთქმულობა. რომლის ანარეკმა ისეთ შორეულ ქვეყნებამდისაც-კი მიაღწია, როგორიც მაშინდელი საქართველოსათვის დასავლეთი ევროპა იყო, იმ დიდ კულტურულ მუშაობაზე იყო დამყარებული, რომელსაც ძველი მარაგის საფუძველზე მთელი ამ საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი ქართველი მწერლები, მეცნიერნი და ხელოვანნი აწარმოებდნენ. **ქართული სამეცნიერო-ფილოლოგიური და ფილოსოფიური**

მწერლობა უაღრესად დაწინაურდა. გამოჩენილი ქართველი მთარგმნელები და ფილოლოგოსები ურთულეს სამეცნიერო საკითხებს დასტრიალებდნენ და არკვევდნენ. საქართველოს მაშინ ისეთი გამოჩენილი ფილოსოფოსები ჰყავდა, როგორც **ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი** და ტარიჭისძე იყვნენ. თითოეულს მათგანს ფილოსოფიური და სამეცნირო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის მოუხდა ბრძოლა, მეტადრე იოანე პეტრიწს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიის სახელმწიფოში მყოფ პეტრიწონის ქართველთა მონასტრეში დაიწყო, შემდეგ ბიზანტიის დედაქალქ კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა, სულ ბოლოს-კი საქართველოში იყო გადმოტანილი. ღრმა ცოდნაზე დამყარებული სამაგალითო ზედმიწევნითი თარგმანების გვერდით, მათ საუცხოვო საკუთარი კომენტარიები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შეჰქმნეს და დაუტოვეს შთამომავლობას.

უხვად გაიფურჩქნა ამ ხანაში აგრეთვე **ქართული საისტორიო მწერლობაც**. ამ დროს დაწერილი იყო ისეთი შესანიშნავი საისტორიო ნაშრომები, როგორიც ძველ წყაროებზე დამყარებული ეფრემ მცირის გამოკვლევაა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ბრწყინვალე თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის ფრიად შინაარსიანი საყურადღებო ნაწარმოებია. სახელმწიფო და პოლიტიკური ამბების გარდა, ამ ავტორებს სოციალური პრობლემებიცა და კულტურული ყოფაცხოვრების ამბებიც არ ავიწყდებოდათ. ამიტომაც არის რომ მათ თხზულებებში საქართველოს მაშინდელი კულტურული ვითარებისა და სოციალური ბრძოლის შესასწავლად უხვი ცნობები მოგვეპოვება. ამ თხზულებათა შინაარსის მრავალფეროვანება და თვით საისტორიო წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან საისტორიო ძეგლებად ხდის.

საქართველოს, ძველი ქართული კულტურის გარდა, ამ ხანაში ელინური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული, რამდენადაც, რასაკვირველია, ბიზანტიაში გადარჩენილ თხზულებათა საშუალებით ამის შესწავლა შეიძლებოდა. ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცათ ბერძნული თხზულებები ბერძნულადვე წაეკითხათ. ამგვარად, ელინიზმის აყვავებისათის მათ შესაფერისი მომზადებაც მოეპოვებოდათ და თვით საქართველოშიც ამისათვის ხელშემწყობი პირობებიც ჰქონდათ. რამდენადაც, საქართველოს მაღალი კულტურული დონის წყალობით, არაერთი ის საკითხი, რომელსაც ელინიზმი დასტრიალებდა, საქართველოსათვის საგულისხმო და გასაგები იყო. და ამით აიხსნება, რომ ქართველმა მეცნიერებმა (ეფთვიმე ათონელმა, იოანე პეტრიწონელმა და სხვებმა) არა ერთი ძვირფასი ნაწარმოები შესძინეს ბიზანტიურ მწერლობას.

ქართული კლტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით, მაინც ის წარმოადგენს, რომ, ვითარცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს სრული საშუალება ჰქონდა, ქრისტიანულ კულტურას გარდა, ისლამობის ნიადაგზე შექმნილს ახალს ფრიად თავისებურსა და მრავალფეროვან **არაბულ-საარსულ კულტურასაც** გასცნობოდა. იმ დროს, როდესაც ამ ხანაში დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიას, ასურელებს და სომხებსაც მხოლოდ საეკლესიო მწერლობა ჰქონდათ, საერო-კი ჯერ არ მოეპოვებოდათ, ქართულმა კულტურამ უკვე მდიდარი, მშვენიერი საერო მწერლობის შექმნა შესძლო.

ქართველ ხალხს უძველესი დროითგან თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი **ხმიერი და საკრავიერი მუსიკა** ჰქონდა, ისევე, როგორც

სახიობაც. მკაცრი ქრისტიანული და ასკეტიკური მოძღვრების მიერ ხალხური შემოქმედების ამ წინათ დევნილმა დარგმა თანდათანობით თავისი ძალის კვლავ მოკრება შესძლო, და უკვე მეათე საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

XI და XII საუკუნეში ამ საერო მწერლობის, როგორც მნიშვნელობა და გავლენა, ისევე შემოქმედებითი ოდენობა სწრაფად იზრდება. პირველ ხანებში მაჰმადიანთა საერო მწერლობის ჰანგების მიმბაძველობით შეფერადებული, თანდათანობით ის დამოუკიდებელ შემოქმედებას გზას ადგება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქართველ მწერლებს დედნად სპარსული, ან არაბული მხატვრული ნაწარმოები ჰქონდათ აღებული, მათ მაინც თავიანთი ამოცანები, თავიანთი მიზნები, თავიანთი მსოფლმხედველობა ამეტყველებდა; ყველაფერი, რასაც თვითონ ისინიც-კი თარგმანს უწოდებდნენ, მართლაც ყოველთვის თარგმანი არ იყო, არამედ იქ მათი საკუთარი შემოქმედება არის ჩაქსოვილი. ამ მხრივ, თუნდაც ქართული «ვისრამიანია» საყურადღებო, რომელიც სპარსულ დედანს არც ღირსებით, არც დედააზრით ფახრედინ გურგანელის მიერ მშვენიერ ლექსად დაწერილ საუცხოვო რომანს არაფრით ჩამოუვარდება, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად აქვს დაწერილი. **იოანე შავთელის** «აბდულ მესია» და **ჩახრუხაძის** ხოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს მაღალხარისხოვანი კულტურის საუცხოვო გამომჟღავნებელია: ასეთ თხზულებათა შინაარსის გაგება მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონებელს საზოგადოებას შეეძლო და იმავე დროს ლექსთა წყობის ხელოვნებაში იმ მაღალ დონემდე მიღწევაც, რომლის მაგალითებიც მათ ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განმაცვიფრებელი ოსტატობით არის გულუხვად გაბნეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებულ მგოსანს ძალუძდა.

მაშინდელი მხატვრული ქართული მწერლობის უდიდესი ნაწილის დაკარგულობის გამო, ამჟამად საშუალება არა გვაქვს, იმდროინდელი ქართული მხატვრული მწერლობის მრავალფეროვანება და ღირსება მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ, მაგრამ მარტო **შოთა რუსთაველის** უკვდავი ქმნილება «ვეფხისტყაოსანიც», სხვაც რომ აღარაფერი გვქონოდა შერჩენილი, მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი დონის ცხადსაყოფელად კმარა. შესაძლებელია გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ შოთას «ვეფხისტყაოსანი» არაჩვეულებრივი მოვლენაა იმდროინდელი, როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასასრულამდე ეს ქმნილება მომჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე, მარტო იმიტომ კი არა, რომ მისი ლექსი უზადოა, რომ მისი რითმა სიმდიდრითა და მუსიკალობით სწორუპოვარია, რომ მისი შედარებანი ისეთივე მარჯვე, მოხდენილი და ლამაზია, როგორიც თვით საქართველოს ბუნება, არამედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე, მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით-კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებში და პოემებში იყო ხოლმე, არამედ იქ თვით მგოსანიცა და მისი გმირებიც დიდ საზოგადოებრივსა და სოცლიალურ პრობლემებსაც დასტრიალებენ.

შოთას უკვდავ თხზულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, რაინდული სიყვარული და ძმათნაფიცობაა შექებული ეროვნებისდა მიუხედავად. მისი მოქმედი პირები მხოლოდ ეგოისტური გრძნობით გატაცებული და მარტო თავიანთ ბედნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი არსებანი არ არიან; ჩვენი

მგოსნის ქალებიც-კი ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გმირებს წარმოადგენენ: მათი მოქმედება მარტო პირადი ბედნიერების წადილით არ არის ნაკარნახევი, არამედ უკიდურეს განსაცდელის დროსაც-კი მათ თავიანთი სამშობლოს ბედნიერება არ ავიწყდებათ, რაზედაც ზრუნვა მათ პირად ბედნიერებაზე მეტად აწუხებდათ. ამ მხრივ იმდროინდელი მხატვრულ მწერლობაში შოთას ქმნილება ობოლ მარგალიტს წარმოადგენს.

სწორედ საზოგადოებრივი და სოციალური ჰანგებით, ადამიანის ბუნების ფსიქიკის იშვიათი ცოდნითა და ფილოსოფიური სიბრძნით უხვად დაყურსვილობა ანიჭებს «ვეფხისტყაოსანს» არაჩვეულებრივს მომხიბვლელობას. ეს უკვდავი პოემა სამი ძირითადი პრობლემის გასაშუქებლად არის დაწერილი: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულობის მშვენიერება და ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად ძმადნაფიცობის მომხიბლავი სილამაზე. ყველა ამან «ვეფხისტყაოსანი» შოთას თანამედროვეთათვისაც უებრო თხზულებად აქცია და შემდეგში ქართულ მწერლობისათვის დღევანდლამდის იგი სწორუპოვარ მაგალითად დარჩა. ვერც ხნიერებამ, ვერც მსოფლმხედველობის თვალსაჩინოდ შეცვლამ შოთა რუსთაველსა და მის ქმნილებას გენიალობისა და უკვდავების შარავანდედი ვერ დაუჩრდილა, იგი ყველასათვის ისევ წინანდებურად ბრწყინავს და მომხიბვლელია.

ქართულ მხატვრულ მწერლობას გვერდს ხელოვნების სხვა დარგებიც უმშენებდნენ. შესაძლებელია ითქვს, რომ ხელოვნების არც ერთი დარგი არ მოიპოვება, რომელშიც ამ ხანაში საუცხოვო ძეგლები არ ყოფილიყოს შექმნილი: ხუროთმოძღვრებამაც, მონუმენტური კედლის მხატვრობამაცა და ხელნაწერების შესამკობად განკუთვნილმა მინიატურებმა, ჭედვითმა ხელოვნებამ, თუ მინანქრებმა, მუსიკამაც-კი ბევრი პირველხარისხოვანი ნაწარმოები და ქმნილება შესძინა საქართველოს.

საკმარისია დასახლებული იყოს ისეთი დიდებული ძეგლებ, როგორიც არის უბისის, ყინცვისის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ანდა, როგორიც ჯრუჭის ოთხთავია, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩისხატების მოჭედილობაა, ისევე, როგორც **ბექა და ბეშქენ ოპიზარების** განმაცვიფრებელი ოქრომქანდაკებლობის ხელოვნების სხვა ქმნილებაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული მუსიკის ამავე ხანაში დიდი დაწინაურებაც. მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოეყო ისე, რომ ამ დროს საგალობლების სიტყვებისა და ჰანგის შემთხზველნი საქართველოში სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორებისაგან შეთხზული ჰანგები საგალობლო ნიშნებით შემკულს ფოლიანტებში იყო დაცული, რომელთაგან დღევანდლამდის ზოგი გადარჩენილია.

ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის იმდენად ბევრი ნაგებობა არსებობდა იმ დროს, რომელთა მშვენიერება ადამიანის ყურადღებას უნებლიეთ იპყრობს, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელიც-კია: იკორთის, სამთავროს, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა ტაძრები ამ დიდი ხელოვნების მრავალმეტყველი მოწმენი არიან, იმისდა მიუხედავად, რომ თითოეული მათგანი საუკუნეთა განმავლობაში ძალზე დაზიანდა და წინანდელი ბრწყინვალებიდან ბევრი რამ უკვე დაკარგული აქვთ, მაგრამ იმ მაღალი დონის გასათვალისწინებლად, რომელსაც ამ დროს ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მიაღწია, კიდევ ერთის დასახელება საკმარისია: მარტო მთლად კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერიც, მრავალი სენაკებითა

და საუცხოვოდ მოხატული ეკლესიითურთ, დაანახვებს ადამიანს თც რამდენად ძლიერი იყო ხელოვნების ეს დარგი მაშინდელს საქართველოში.

ამრიგად, ქართველი ხალხის კულტურის განვითარებისა და დიდი წარმატების ის საფეხური, რომელიც მან მეთორმეტე საუკუნეში განვლო, თანსწორი სიძლიერით არის განსახირებული ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ სფეროში, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობილება იყო, თუ სოციალური პრობლემების ძიება-გადაჭრა, ეკონომიკა იყო, თუ გონებრივი და მატერიალური კულტურა.

მაშინდელი საქართველოს ძლიერების მთავარ სფუძველს სწორედ ეს თანასწორი განვითარება და წარმატება წარმოადგენდა: ამან შეაძლებინა ქართველ ხალხს მომდევნო საუკუნეებში დატრიალებული დიდი პოლიტიკური და ყოველგვარი სხვადასხვა თავსდამტყდარი უბედურება და განსაცდელი ისე აეტანა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მრავალგვარი დაბრკოლებისა და მრავალგვარი ხიფათისდა მიუხედავად საქართველომ მაინც სახელმწიფოებრივობა და მთლიანობა შეინარჩუნა.

მაშინდელს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა **ეკონომიურ პრობლემებს** მიპყრობილი. უკვე დავით აღმაშენებლი მიმოსვლისა და სავაჭრო გზების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა: ძნელად სავალი გზები გაასწორებინა და ქვაფენილჰყვნა, მდინარეებზედაც სათანადო ადგილას ხიდები ააგო. ერთი ნაგებობის ნაშთი—ბესლეთის ხიდი დღევანდლამდისაც დაცულია.

თამარმა ჯავახეთისა და მთელი მესხეთის საქართველოს შუაგულთან, დედაქალაქ თბილისთან, მჭიდროდ დასაკავშირებლად, რადგან მესხეთი საქართველოსთვის მარცვლეულის მარაგის ნამდვილს ბეღელს წარმოადგენდა და მესაქონლეობისათვისაც აუცილებელი საუცხოო საზაფხულო საძოვრების მქონებელი იყო, პირდაპირი უმოკლესი გზა გააყვანინა თრიალეთზე. ამასთანავე გადმოსავლის იქ-აქეთ საქარავნო ფუნდუკები (სასტუმროები) ააშენებინა, რომ ქარბუქისა და ზამთარში თოვლის ნამქერის დროს მგზავრებსა და ქარავნებს იქ თავის შეფარება და საჭმელ-სასმელისა და პირუტყვისათვის საკვების შოვნა შესძლებოდათ.

XII საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და მეურნეობის გაინტენსივების მიზნით საქართველოს მთავრბამ, თამარის ბრძანებით, ორი დიდი სარწყავი არხი გაიყვანა: ერთ მათგანს, ალაზნის არხს, 119 კილომეტრი სიგრძე ჰქონდა და 53.000 ჰექტარ მიწას რწყავდა; მეორე სამგორის არხს 20 კილომეტრი ჰქონდა სიგრძე.

ამავე ხანაში წყალსადენების გაყვანასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგ. 1202 წ. ანტონ მწიგნობართუხუცესმა შიომღვიმის უდაბნოს სხალტბიდან 7 კილომეტრის სიშორიდან, ქედს იქიდან წყალსადენი გაუყვანა, რომელიც ამ სავანეს დღეღამეში 243.000 ლიტრს წყაროს წყალს აწვდიდა. როგორც არხები ისევე წყალსადენი მაშინდელი ქართული ჰიდროტექნიკური ცოდნის მაღალი დონის დამამტკიცებელია.

დაწინაურებულს სასოფლო მეურნეობასა და მესაქონლეობასთან ერთად, საქართველოს ამ ხანაში **აღებმიცემობაც**, როგორც შიგნით, ისევე საგარეოც განვითარებული ჰქონდა. ქართველ სოვდაგრებს მაშინ ისეთ შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, როგორც ეგვიპტე იყო სამხრეთით და რუსეთი ჩრდილოეთით. საექსპორტო ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული. ეგვიპტიდან, ალექსანდრიიდან, მაგ., საუკეთესო ღირსების მატყლი მოჰქონდათ. თვით

საქართველოდან, გეოგრაფ ზაქარია ყაზვანის ცნობით, ბამბა, მალემსრბოლი ცხენები და ჯორები, საუკეთესო ხარისხის მარტყლი, აბრეშუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, სინდიყი (ვერცხლის წყალი) და სხვ. გაჰქონდათ. იტალიელ მოგზაურების სიტყვით, საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანთაგანს საუცხოვო ოქროქსოვილებიც შეადგენდა. ნავთიც-კი მიჰქონდათ აქლემებითა და გემებით საქართველოს სახელმწიფოდან.

საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებმიცემობის წყალობით, **ფინანსიურად მდიდარი ქვეყანა** იყო. სპარსელი გეოგრაფის ჰამადალაჰ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს (უყმადნაფიცო ქვეყნებოდ) ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანაში-კი მცირე აზიის შემოსავალიც-კი 2.475.000 მან., არაბეთის ერაყის 2.250.000 მან. და ფარსის 2.153.460 მან. შეადგენდა მხოლოდ. დას. ევროპის ქვეყნებიდანაც, **ზომბარტით**, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4.000.000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3.000.000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. მხოლოდ სწორედ ასეთმა ეკონომიურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტიკური და ეკონომიური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყა თავს, მეტადრე მონღოლთა ბატონობის ხანიდან მოყოლებული.

დამატება მეორე

სახელმწიფო და სოციალური წყობილება და კულტურა X—XI სს. საქართველოში

საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა XI—XII სს.

ივ. ჯავახიშვილის არქივში აღმოჩნდა 128 გვერდის (ჩვეულებრივი საწერი ქაღალდის ფორმატის) შემცველი მიმოხილვა, რუსულად დაწერილი. ეს მიმოხილვა შეიცავს XI—XIII სს. საქართვლეოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამბებს.

მართალია, ამავე საკითხებს ეხება ივ. ჯავახიშვილი წინამდებარე ტომში მოთავსებულ «ქართველი ერის ისტორიის» მეორე წიგნში და «საქართველოს ისტორია. XI—XV სს. მიმოხილვა»-ში, მაგრამ რადგანაც იმ 128 გვერდში, რომლებიც დაწერილი უნდა იყოს განსვენებულის სიცოცხლის უკანასკნელ წელს, ეს მიმოხილვა თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს XI—XII საუკუნეთა ამბებისას, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი მოთავსება აქ დამატების სახით. ამ მიმოხილვაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი თავი, რომელთა სათაურებია:

1. Государственный и социальный строй и культура грузии в конце X и в XI——в.. (დედნის გვ. გვ. 31—49)

2.Обший обзор достижений грузии в политической социальной и культурной сфере с конца XI по начало XIII в. (დედნის გვ. გვ. 94 — 125).

იმ შეკვრაში, სადაც ეს 128 გვერდის შემცველი ტექსტია, არავითარი ცნობა არ მოიპოვება ამ «მიმოხილვის» წარმოშობის შესახებ, თუ რა საჭიროებისათვის იქნა ეს დაწერილი ივ. ჯავახიშვილის მიერ. «მიმოხილვის» ზოგიერთ გვერდზე მოიპოვება რომელიღაც «რედაქტორის» შენიშვნები, ზოგი გამოთქმაც შეცვლილია «რედაქტორის» ხელით; ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ ეს «მიმოხილვა» შეკვეთილი უნდა ყოფილიყო რომელიღაც რუსული გამოცემისათვის.

ამიტომ ჩვენ იმთავითვე მივმართეთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გამოცემას «Очерки истории СССР», რომლის I ტომში (Москва,1953) მოიპოვება

სპეციალური თავი, სადაც საქართველოს IX – XIII საუკუნეთა ამბებიცაა მიმოხილული (გვ. 538-589). Очерки-ს შესავალში ნათქვამია, რომ ამ თავის დაწერაში მონაწილეობას იღებდნენ ივ. ჯავახიშვილი და ვარლ. დონდუა. მართლაც ამ წიგნის შედარებამ ჩვენს 128 გვერდიან მასალასთან დაგვარწმუნდა იმაში, რომ ზემოხსენებული «მიმოხილვა» დაწერილი იყო სწორედ Очерки-სათვის.

ივ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წელს, ხოლო Очерки-ს I ტომი გამოიცა 1953 წელს, როდესაც უკვე ივ. ჯავახიშვილი ცოცხალი აღარ იყო და მისი 1938—39 წლებში დაწერილი «მიმოხილვა» უკვე საჭიროებდა შევსებასა და დამატებას.

ივ. ჯავახიშვილის «მიმოხილვის» დიდი ნაწილი შესულია რუსული Очерки-ს I ტომში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენსამე ადგილს.

ივ ჯავახიშვილის არქივში **Очерки**-ის I ტომში

Во главе государства стоял царь (мепе),носивший, начиная с баграта III, титул царя царей (мепет-мепе). Полная титулатура государя с течением времени все больше и больше удлинялась, отражая в себе историю постепенного политического роста и расширения государственных границ Грузии (გვ. 31).

Страна делилась на крупные и более мелкие воеводства, во главе которых стояли эристави (воеводы) и эриставт-эеристави (воеводы **воеводов**). Им подчинялис все **провинциальные** административные должностные лица. Центральный правательственный аппарат находился в **столице** при царском **дворце**, именовавшемся дарбази, и состоял из **чстырех** министров:военного, финансов, оберцеремониймейстера и внутренних дел во главе с председателем Мцигнобарт – ухуцеси, которому подчинялась вся **государственная** канцелярия с секретарями и контролерами (გვ.31).

Вопрос о государственно- правовой организации вновь приобретенных земель решался разно, в зависимости от обстоятельств... Давид строитель... во все укрепления поставил грузинские гарнизоны, сместил всю местную высшую администрацию и вместо них назначил своих должностных лиц. (გვ. 101).

Во главе носударства стоял царь (мепе),носивший, начиная с Давида III (975—1001), титул царей (мэпэт-мэпэ). Этот титул государя с течением времени все более удлинялся, отражая историю постепенного политического роста и расширния государственных границ Грузии. (стр. 551).

Страна делилась на крупные и мелкие воеводства, во главе которых стояли эристави (**правители-воеводы**) и эриставт-эристави (воеводы-воевод). им подчинялись все административные должностные лица в **провинциях**. центральный правительственный аппарат-дарбази (государственный совет) при царе состоял из везиров (военного, финансов, оберцеремониймейстера, внутренных дел и др.), **эриставт-эриставов, представителей духовенства и др**. совет возглавлял

председатель(мцигнобарт-ухуцеси), которому подчинялась царская канцелария с секретарями, контролерами и др.; (стр. 551).

Вопрос о государственно- правовой организации вновь приобретаемых земель решался по разному. Так, Давид Строитель во все ванятые им укрепления ставил грузинские гарнизоны, смещая местню вышую администрацию и вместо нее назначая своих должностных лиц (стр. 552).

Она (Тамера) предпочитала установление вассальной, а то лишь гегемониальной зависимости... После оккупации по праву войный юго-восточной Черноморской территории Византийской империи, ц. Тамара не присоединила ее к Грузии, а основала Трапезундскую империю... довольствуясь лищь установлением с вновь созданной ею властью тесной военной и политической связью. (გვ. 104).

Художественная резба по дереву, широко в Грузии применявшаяся, судя по сохранившимся в Сванестии и др. местах образцам, была также доведена до совершенства. Фресковая живопись и миниатюрное искусство были также на поразительной высоте. Роспись Атенского Сиони, Бетании, Гелати, Убиси, Кинцвиси, а также Джручское евангелие... (გვ. 116).

Правительство Тамары стремилось к установлению вассальной зависимости или союзнически отношений. Так, после занятия Юго-восточной Черноморской территории Византийской империи Тамара не присоединила ее к Грузии. **Была образована** Трапезундская империя, находившаяся в тесной военной и политической связи с Грузией (стр. 553).

Судя по сохранившимся в Сванестии и других местах образцам, широко применялась и была доветена до совершенства художественная резьба по дереву. То же можно сказать и о фресковой живописи и миниатюрном исскустве. Росписи Атенского храма (Сиони) монастырей Бетании, Гелати, Убиси, Кинцвиси, а также Джручское евангелие... (стр. 589).

სახელმწიფო და სოციალური წყობილება და კულტურა X—XI სს. საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო წყობილება და სოციალური სტრუქურა ზოგად ხაზებში შეიძლება ასე დავახასიათოთ.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომელიც ბაგრატ III-ის დროიდან იწოდება **მეფეთ-მეფე**, ხელმწიფის სრული სახელმწოდება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვრცელი ხდებოდა: იგი არეკლავდა საქართველოს თანდათანობითი პოლიტიკური ზრდის და სახელმწიფო საზღვრების გაფართოების ისტორიას. ამიტომ თავისი მეფობის დასაწყისში ბაგრატ III იწოდებოდა მხოლოდ «მეფე აფხაზთა და ქართველთა», ხოლო უფრო გვიან, როდესაც მან შემოიერთა აგრეთვე კახეთის სამეფო და ჰერეთი, წინანდელ სახელმწოდებას მიემატა შესატყვისი ნაწილი და მას ეწოდებოდა «მეფე აფხაზთა

და ქართველთა, რანთა და კახთა». ეს სახელწოდება შერჩა ხელმწიფეს მთელი XVIII საუკუნის მანძილზე.

ქვეყანა იყოფოდა მსხვილ და უფრო წვრილ საერისთაოებად, რომელთა სათავეში იდგნენ **ერისთავები და ერისთავთ ერისთავები**. მათ ექვემდებარებოდნენ ყველა მხარეების ადმინისტრაციული თანამდებობის პირები.

მთავრობის ცენტრალური აპარატი მოიპოვებოდა დედაქალაქში სამეფო კართან, რომელსაც ეწოდებოდა დარბაზი და მას შეადგენდა ოთხი მინისტრი: სამხედრო, ფინანსთა, სასახლისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, რომელთა სათავეშიც იდგა **მწიგნობართუხუცესი**, ამ უკანასკნელს ექვემდებარებოდა მთელი სახელმწიფო კანცელარია თავისი მდივნებითა და საქმეთა მმართველებით.

ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურა ემყარებოდა წოდებრივსა და ფეოდალურ წყობას. საქართველოს მთელი მოსახლეობა გაყოფილი იყო ოთხ წოდებად, რომელთაგან უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს, ამ ეპოქაში და მის მომდევნო ეპოქაში, ვიდრე XV საუკუნემდე ეწოდებოდა **აზნაურები**. აზნაურთა ეს წოდება რამდენისამე კატეგორიისა იყო: იყვნენ უფროსი და უმცროსი აზნაურები, ტახტის აზნაურები — **აზნაურნი მემამულენი** და მსახურეული აზნაურები — **აზნაურნი მოსაკარგავენი**, მეფის, საეკლესიო და კერძო მფლობელი აზნაურები. ტახტის აზნაურთა კატეგორიას, იმ ტახტის აზნაურთა, რომელთაც ამავე დროს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ, გამოეყო განსაკუთრებული უმაღლესი ჯგუფი **ე. წ. დიდებულნი აზნაურნი**. აზნაურთა წოდებაში ყოფნა დაკავშირებული იყო გარკვეულ ქონებრივ სიუხვესთან; ამ წოდების ხალხი ვალდებული იყო თავისი ხარჯით მოეხადა სავალდებულო სამხედრო ბეგარა.

მეორე ადგილი ეკავა ვაჭართა წოდებას, რომელსაც შეადგენდნენ **დიდ ვაჭარნი და მცირე ვაჭარნი.** დიდ ვაჭართა კატეგორიას პრივილეგიები ჰქონდა არა მარტო საქალაქო და სავაჭრო ორგანიზაციებში და სასამართლოში, არამედ ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ სახელმწიფო საქმეების განხილვაში. მოქალაქეთა საგანგებო კატეგორიას შეადგენდნენ **ხელოსნები.** იყო აგრეთვე წოდება, რომელშიაც შედიოდნენ **მსახურნი**; ესენი წვრილ სამოხელეო თანამდებობას ასრულებდნენ სამეფო, საეკლესიო და ფეოდალთა სამფლობელოში.

უკანასკნელ წოდებას ეკუთვნოდნენ **გლეხები**, სოფლის წვრილი მოსახლეობა; ეს წოდება იმისდა მიხედვით, თუ რა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის ხალხი შედიოდა იქ, იყოფოდა რამდენსამე კატეგორიად.

წოდებები საქართველოში არ შეადგენდნენ კატებს: ერთი წოდებიდან უფრო მაღალ წოდებაში აღზევება არ წარმოადგენდა უჩვეულო მოვლენას; ასეთი შემთხვევები ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ დოკუმენტალურად. საკანონმდებლო ძეგლებითაც დასტურდება, რომ თუ ერთი წოდების წარმომადგენლები სამი თაობის მანძილზე ვერ შეძლებდნენ მათ წოდებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ვალდებულებების შესრულებას, ისინი ჰკარგავდნენ თავიანთ წოდებრივ უფლებებს.

წოდებრიობასთან ერთად საქართველოს ამ ეპოქისა და მისი მომდევნო ეპოქის სოციალური წყობის მთავარ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ **ფეოდალიზმი**. ფეოდალური ურთიერთობანი თითქმის მთელ მოსახლეობაზე ვრცელდებოდა, თუმცა X—XII საუკუნეებში კიდევ არსებობდნენ თავისუფალი მიწის მუშა გლეხები. საქართველოში სენიორს ეწოდებოდა პატრონი, ის ტერმინი, რომელიც დასავლური წარმოშობისაა და აღნიშნავს სიტყვასიტყვით როგორც მფარველს, მზრუნველს, ისე მფლობელს.

ვასილის აღსანიშნავად იხმარებოდა წმინდა ქართული სიტყვა **ყმა**, რომელიც წარმოადგენს გვიან ფონეტიკურ სახესხვაბას უფრო ძველი სიყტვისა ყრმა, რაც აღნიშნავდა ჭაბუკსა და ბიჭს. რასაკვირველია, ამის არ ამოიწურებოდა ორივე ტერმინის რეალური მნიშვნელობა. **პატრონი და ყმა** წარმოადგენენ ამავე დროს ტერმინებს, რომლებიც ახასიათებენ როგორც სახელმწიფო-უფლებრივ, ისე სოციალურ კერძო უფლებრივ ურთიერთობებს: როგორც მეფე იწოდებოდა პატრონად და სენიორად, ასევე ყმაც ერთი მხრით წარმოადგენდა ქვეშევრდომს, მეორე მხრივ ვასალს, უკვე მარტო ეს გარემოება საკმაოდ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ამ დროს ფეოდალიზმი იყო გაბატონებული ფორმა სახელმწიფოს და პოლიტიკურ ორგანიზაციაში. თვითონ მეფის გამოკლებით ყოველი სენიორი შეიძლებოდა ყოფილიყო და კიდევაც იყო თავისი სენიორის ვასალი და ამიტომ მას შეიძლებოდა სწოდებოდა ყმა, მაგრამ ამავე დროს მის ვასალსა შეიძლებოდა ჰყოლოდა და ხშირად მართლაც ჰყავდა თავისი ვასალები, რომელთა მიმართ ის იყო პატრონი. ვასალთა ვალდებულება პატრონის მიმართ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვანაირი შეფარდებით ვასალური დამოკიდებულების სოციალურ-უფლებრივ საფუძვლებთან, მაგრამ ყოველი კატეგორიის ვასალისათვის საერთო იყო ერთგულება და უთუმცაო სამსახური პირველი მოთხოვნისთანავე თავისი სენიორის ჯარში.

ყმები იყოფოდნენ სხვადასხვა კატეგორიებად, რომელთა უფლებრივი მდგომარეობაც სხვადასხვა იყო. ყმების ერთ ჯგუფს შეადგენდნენ **ნებიერი ყმები**, რომლებიც ვასალურ დამოკიდებულებაში საკუთარი სურვილით შესულან,— **სიგლოსანი ყმები**, რომელთა უფლებები ხელშეკრულებით იყო დაცული. და რომელთა მდგომარეობა სხვა ყმებზე უკეთესი იყო. ოყო ჯგუფი ყმებისა, რომელთა ვასალური დამოკიდებულება ხელშეკრულებას კი არ ემყარებოდა, არამედ ადათობრივ სამართალს. იყო აგრეთვე ჯგუფი **მკვიდრი ყმებისა, ნაწყალობევი ყმებისა, ეკლესიისათვის ან მონასტრებისათვის** შეწირული ყმები, **ნასყიდი ყმები, შეუძლებელი ყმები** და სამხედრო ტყვეები. ყველაზე ცუდ პირობებში ორი უკანასკნელი კატეგორიის ყმები უნდა ყოფილიყვნენ.

კუთვნილების მიხედვით იყვნენ ყმები **სამეფო, საეკლესიო და კერძო მფლობელებისა.** ამათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ საეკლესიო ყმები, რადგან შემომწირველნი გამოითხოვდნენ ხოლმე მეფისაგან თავის მიერ შეწირულ გლეხებისათვის ქონებრივ და უფლებრივ პრივილეგიებს.

ქართული ფეოდალიზმი სცნობდა მხოლოდ საგადასახადო იმუნიტეტს, ხოლო სამოსამართლო იმუნიტეტს მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაციებისათვის სამხედრო და სამონადირეო ბეგარისაგან არავინ არ თავისუფლდებოდა, გარდა არასრულწლოვანებისა, დავარდნილი მოხუცებისა და ხეიბრებისა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამონადირეო ბეგარა, როგორც ვარჯიშობა სროლაში და გარკვეული წვრთნა, მიჩნეული იყო უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ.

საქართველოში ეკლესია დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისაგან არა მარტო წმინდა საეკლესიო საქმეებში, არამედ სამოსამართლო საქმეებშიც. მის მფლობელობაში იყო დიდძალი ადგილ-მამული, უამრავი სოფელი თავისი მკვიდრი მიწათმოქმედი მოსახლეობით, ვაჭრებითა და ხელოსნებით. მის განკარგულებაში იყო მოძრავი და უძრავი ქონება, რის საფუძველზედაც ფართო მეურნეობა ჰქონდა გაშლილი. საქართველოს ეკლესიის სათავეში იდგა კათალიკოსი, ცალკეულ ეპარქიების განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელთაც ემორჩილებოდნენ როგორც თეთრი სამღვდელოება, ისე ბერ-მონაზვნობა. საერო

მფლობელთა მსგავსად, ისინი განაგებდნენ, სამწყსოს გარდა, საეკლესიო დაწესებულებებს, მათ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა მთელი ვასალური და ბატონყმური მოსახლეობა. საქართველოს ეკლესიის მეთაურს ჰქონდა თავისი სამმართველო დაწესებულებები, რომლებიც სამეფო დაწესებულებების მსგავსად იყო მოწყობილი, ჰქონდა საკუთარი »ეზოც». მას ჰქონდა უფლება საეკლესიო სამართალი გაეწია არა მარტო თავისი სამწყსოსათვის, არამედ მის განკარგულებაში იყო სრული იურისდიქცია ყველა ვასალისა და ყმის მიმართ, განურჩევლად მათი წოდებისა და მიუხედავად გასარჩევი საქმის ხასიათისა.

საეკლესიო თანამდებობათა დაკავება საქართველოში იმთავითვე ხდებოდა არჩევნების გზით, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა მთელი სამწყსო, მაგრამ ამ ეპოქაში, XI საუკუნეში, ეს პრინციპი იმდენად იყო შერყეული, რომ ის ყოველთვის არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს. ბაგრატ IV-ის დროს იშვიათი არ იყო ისეთი ვითარება, რომ საეპისკოპოსო ვაკანტური კათედრის დასაკავებლად კანდიდატებს სწყალობდნენ ხოლმე ამა-თუ იმ მოსაზრებით სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა პროტექცია დაპირდაპირი ჩარევა სწყვეტდა საკითხსაც. ხოლო სამონასტრო ორგანიზაცია დაფუძვნებული იყო ერთმმართველობის პრინციპზე; მონასტრის წინამძღვარს ჰქონდა განუსაზღვრელი მონარქიული ძალაუფლება მთელს ძმობაზე, ყოველგვარ თანამდებობაზე პირადად თვითონ ნიშნავდა პირებს; თავის მომავალ მოადგილეს ის თვითონ ასახელებდა სიკვდილის წინ, ან იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის გადადგომას აპირებდა. მის მიერ გაცემული განკარგულებები სისრულეში უნდა მოეყვანათ უკლებლად და უთქმელად.

სამონასტრო ძმობის სოციალური შემადგენლობა IX საუკუნეში ჯერ კიდევ ემყარებოდა ბერად აღსაკვეც პირთა წოდებრივი წარმოშობის განურჩევლობას. ჯერ კიდევ დაცული იყო კერძო საკუთრების სრული უარყოფის პრინციპი: შეიძლებოდა არსებულიყო მხოლოდ საერთო-სამონასტრო საკუთრება და მეურნეობა. ეს ორი დოგმა წარმოადგენდა იმ საფუძველს, რომელზედაც იყო აგებული X საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილი მოღვაწის იოანე ათონელის მიერ ათონის მთაზე, ბიზანტიაში, დაარსებული ქართული მონასტრის წესწყობილება, მთელი იქაური ცხოვრება. მაგრამ, რაც უფრო მეტად მტკიცდებოდა წოდებრიობა და ფეოდალიზმი და იჭრებოდა მაშინდელი საქართველოს სოციალურ სტრუქტურაში, სამონასტრო ორგანიზაციის წესწყობილებასაც ფართოდ ეხეთქებოდა ეს ტალღა: ახლად აღკვეცილ აზნაურ ბერებს სამონასტრო ცხოვრებაში შემოჰქონდათ თავისი წოდების ფსიქიკა. რომლისაგანაც თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ, თუმცა «ამათ ცხოვრების» ცთუნებაზე, ვნებებსა და განსაცდელზე უარს ამბობდნენ.

აზნაურთა პრივილეგიური ვითარება აკუთვნებდა მათ გაბატონებულ მდგომარეობას საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ წყობილებაში, მაგრამ ჯერ კიდევ IX საუკუნეში არ ჰქონდა დახშული გზა უმაღლესი საეკლესიო იერარქისააკენ [დაბალი წოდების წარმომადგენელთ]: საისტორიო ძეგლების მიხედვით კარგად არის ცნობილი, რომ ამ ეპოქაში იყვნენ ისეთი პირები, რომლებმაც მიაღწიეს არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა პატივს, თუმცა დაბალი წოდებიდან იყვნენ გამოსული, მაგრამ ამ დროსაც რომ ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა საეკლესიო მოღვაწისათვის, რომ ის მაღალ წოდებას ჰკუთვნებოდა, ჩანს იქიდან, რომ სწორედ ამ ხანებში მოხდა საქართველოს განმანათლებლის «ცხოვრების» რედაქცია და მის გენალოგიაში შეტანილ იქმნა ცნობა, რომ ის

არისტოკრატიულ წრეებს ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ნუსხებში ამის მსგავსი არაფერი სწერია.

ზემოთ აღნიშნული პროცესის წყალობით მოხდა ის, რომ XI საუკუნის შუა წლებისათვის სამონასტრო ძმობის სოციალური შემადგენლობა უკვე განსხვავდებოდა IX საუკუნეში არსებული შემადგენლობისაგან: უკვე გარკვევით სჭარბობდა უმაღლესი საეზნაურო წოდება; მონაზვნები თითქმის მთლად ამ წოდებიდან იყვნენ. და რამდენადაც ეპისკოპოსებად მხოლოდ ბერ-მონაზონთა წრის პირთა კურთხევა შეიძლებოდა, ამიტომ მთელი უმაღლესი საეკლესიო ძალაუფლება დიდგვარიან აზნაურთა ხელში გადავიდა. დასასრულ, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის მღვდლების კურთხევის დროს აზნაური ეპისკოპოსები უპირატესობას აძლევდნენ მღვდლობის იმ კანდიდატებს, რომელნიც აზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსული. ამგვარად, საქართველოს ეკლესია XI საუკუნეში უკვე აღარ წარმოადგენდა უწოდებო დაწესებულებას და მთლიანად აზნაურთა გაბატონებულ როლს ემყარებოდა.

მხოლოდ ის სამონასტრო ორგანიზაციები ახერხებდნენ უწოდებობისა და საერთო კოლექტიური საკუთრების პრინციპების დაცვას წოდებრივ პრივილეგიათა და კერძომფლობელური მსოფლმხედველობის ფსიქიკის გამხრწნელი გავლენისაგან, რომლებიც სამშობლოს გარეთ არსებობდნენ ბიზანტიაში ან მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი ათონის ივერთა მონასტერში. ამიტომ გასაგებია, რომ სწორედ აქ ჩაისახა ის მიმართულება, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა როგორც განუსაზღვრელი ერთპიროვნული და მონაქიული მმართველობის პრინციპს, ისე ქართული საეკლესიო ორგანიზაციის წოდებრიობას.

ყველაზე უწინარეს მოხერხდა ერთპიროვნული მმართველების პრინციპის დაძლევა სამონასტრო ორგანიზაციაში, სავანის წინამძღვრის განუსაზღვრელი ძალაუფლების [შებორკვა]. მთელი სტრუქტურის რადიკალური ცვლილების განხორციელებისათვის ხელსაყრელი საბაბი გახდა ის ბრალდება, რომელიც 1029 წელს წაუყენეს ბიზანტიის საგამომძიებლო ორგანოებმა ათონის ქართული მონასტრის წინამძღვარს გიორგის, ე. წ. შავ-გიორგის, ბიზანტიის სამეფო კარზე მიღებულმსა და უაღრესად გავლენიან პირს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დედაქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას ბრალად დასდეს, რომ მონაწილეობდა იმ შეთქმულებაში, რომელიც მოეწყო ბიზანტიის მაშინდელი მბრძანებლის კეისარ რომანოზის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ სამეფო ტახტზე აეყვანათ შეთქმულების მომწყობი პარტიის კანდიდატი. საქმე არ გათავდა მარტო იმით, რომ ქართული მონასტრის წინამძღვრის წინააღმდეგ იქნა ზომები მიღებული, (დაატუსაღეს და გააძევეს), არამე ამას მოჰყვა დამღუპველი შედეგი თვით იმ მონასტრისათვის, რომლის ერთპიროვნული მმართველი იყო შავ-გიორგი. სამჯერ ჩატარებულმა ჩხრეკამ და სამონასტრო ქონების დატაცებამ, აგრეთვე იმის შიშმა, რომ შეიძლებოდა მთლად მოესპოთ მაშინდელი საქართველოს ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრთაგანი, დიდ საგონებელში ჩააგდო ამ სავანის უდანაშაულო ძმობა და აუწერელი უბედურების წინაშე დააყენა.

ნათელი გახდა, რომ ეს თავს დამტყდარი უდებურება იყო ბუნებრივი შედეგი ერთპიროვნული მართვის სისტემისა, შედეგი იმ მონარქიული პრინციპისა, რომლის ძალით მონასტრის ძმობას აკრძალული ჰქონდა რაიმე მონაწილეობა მიეღო თავის დაწესებულების ბედ-იღბალში და რომელიც არ აძლევდა მას

უფლებას თავისი წინამძღვარი გადაეყენებინა, თუნდაც ის ამ თანამდებობისათვის სრულიად უვარგისი გამომდგარიყო. ასეთი მღელვარე პირობების გამო ათონის ბერებმა მოიწვიეს სხვა საზღვარგარეთული ქართული სავანეების წარმომადგენლებიც, და საერთო კრებაზე განიხილეს შექმნილი მდგომარეობა და დაადგინეს იმ მიზნით, რომ აღარ განმეორებულიყო ამგვარი საფრთხის შესაძლებლობა, გაეუქმებინათ სამონასტრო წესწყობილების ერთპიროვნული მართვის სისტემა და, ამის ნაცვლად, შემოეღოთ მმართველობის რესპუბლიკური წესი, რომლის ძალით სავანის ყოველგვარი თანამდებობა, დაწყებული წინამძღვრით, არჩევითი იქნებოდა: მთელი ძმობის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით (წილგდებით) იქნებოდნენ არჩეული, განურჩევლად პატივისა და ასაკისა, წამოყენებული კანდიდატები. ის პირი, რომელსაც კენჭი ეყრებოდა, არჩეულად ითვლებოდა მთელი ძმობის «განზრახვითა, თანამოწამეობითა და ერთნებაობითა», რის შესახებაც დგებოდა წერილობითი საბუთი, რომელშიც ყოველთვის აღინიშნებოდა არჩევის ეს გარემოება. ამ დროიდან, არჩეული პირები ვალდებული იყვნენ თავისი მუშაობის ანგარიში წარედგინათ სამონასტრო ძმობის საერთო კრებისათვის.

ასე მოხდა 1032 წლიდან მმართველობის მონაქიული წესის შეცვლა საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებში რესპუბლიკური წესწყობილებით, რომელიც იმავე XI საუკუნეში თვით საქართველოს მონასტრებშიც შემოიჭრა. ამ რევოლუციამ, რომელიც მოხდა სამონასტრო ორგანიზაციაში, დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მიმდინარეობაზე, ისე, განსაკუთრებით, საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების ჩამოყალიბებაზე.

საეკლესიო წესწყობილების რეფორმა მხოლოდ ზემოაღნიშნულით არ შემოფარგლულა. ქართული საეკლესიო ორგანიზაციის მთავარი სატკივარი იყო დიდგვარიან აზნაურთა სრული ბატონობა. უკვე ეს ერთი გარემოებაც უსპობდა ეკლესიას შესაძლებლობას პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ვინაიდან, თუ ის წოდებრივი პრივილეგიების პრინციპს დაადგებოდა, ვეღარ გადააბიჯებდა საგვარეულოთა შეხედულებებს და, ამრიგად, აღარ ექნებოდა უფლება ერთმანეთის მოწინააღმდეგე სოციალური ფენების შემარიგებლად ჩაეთვალა თავი, სუფთად ვეღარ გაატარებდა ცხოვრებაში ქრისტიანული მორალის წესებს.

ამის გამო ეკლესია თანდათან შორდებოდა და ემიჯნებოდა ხალხს, ვეღარ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. ამაში მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა წოდებრიობაზე აგებული წესწყობილება, და ვინც მოისურვებდა შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებას, პირველ ყოვლისა მთელი თავისი ენერგია უნდა მიემართა მაშინდელი ქართული ეკლესიის ამ ჭირის წინააღმდეგ. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პირველი, ვინც აღიმაღლა ხმა ეკლესიაში გაბატონებული წოდებიობის წინააღმდეგ, იყო წარმომადგენელი ათონის ივერთა მონასტრისა, რომლის დემოკრატიულ ტენდენციებსა და წესწყობილებას ასე თავდადებით იცავდნენ ამ სავანის დიქტატორები და სხვა მომდევნო მოღვაწეები, ამ მონასტრის წინამძღვრები, რომელთა შორის ყველაზე საპატიო ადგილი ეკუთვნის, ექვთიმე ათონელის შემდეგ, სახელგანთქმულ ქართველ ფილოლოგსა და ისტორიკოსს, მრავალრიცოვანი ფუძემდებელი შრომების ავტორს, ქართული და ბერძნული ენების უბადლო მცოდნეს — **გიორგი ათონელს**. ამ სახელგანთქმული მოღვაწის

უდავო ავტორიტეტმა ბაგრატ IV-ს აზრი მისცა გიორგი ათონელი საქართველოში მოეწვია სამოღვაწეოდ.

მრავალგზისი უნაყოფო ცდის შემდეგ, მეფემ, როგორც იქნა, დაითანხმა გიორგი ათონელი საქართველოში ჩამოსულიყო. და, აი, 1060 წელს გიორგი ათონელი სამშობლოს ეწვია. თუმცა თვით ბაგრატ IV-ც და მთელი სამღვდელოებაც, ისევე როგორც მოსახლეობა, აღფრთოვანებით შეეგებნენ თავის სახელგანთქმულ მოღვაწეს და მას განსაკუთრებით ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს. მაგრამ ამან გიორგი ათონელს თავბრუ არ დაასხა. მისი ჩამოსვლა სამშობლოში დაემთხვა მძიმე განსაცდელს, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს. უკვე რამდენი წელიწადია საქართველოში მძვინვარებდა შიმშილობა. თუმცა წარჩინებული ბერის ჩამოსვლის დროს უკვე შენელებული იყო ეს სტიქიური უბედურება, მაგრამ ხალხი მაინც დიდ გაჭრვებას განიცდიდა. მძიმე მდგომარეობაში დახვდა გიორგი ათონელს მისი ორი ძმისწულიც, რომელთა შეფარებაც მოუხდა მას. მაგრამ მასთან მოზღვავდნენ დამშეულები ქვეყნის ყოველი მხრიდან, მშობლებს მოჰყავდათ თავიანთი შვილები, სტოვებდნენ მასთან, თვითონ კი გარბოდნენ შინ. ამ შემზარავმა სურათმა პირველ ხანებში ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, მაგრამ მალე ის გონს მოვიდა, მამობრივი სიყვარულით და თანაგრძნობით შეუდგა საწყალი ხალხის უბედურების შემსუბუქებას. მან შეიფარა და საზრდო გაუჩინა მშობლების მიერ დატოვებულ ბავშვებს, ცდილობდა შეემსუბუქებინა მათი მწარე ბედი და კიდევაც ხელი მიჰყო მათ სწავლებას.

ცხადია, რომ ასეთ თავდადებულ ქველმოქმედებასაც კი და ერთი კაცის ზრუნვას არ შეეძლო რაიმე არსებითი დახმარება გაეწია გაჭირვებული ხალხისათვის. ასეთ დროს საჭიროა ყველა შეძლებულთა გაერთიანებული ძალ-ღონე. ასეთი დახმარების გაწევა უნდა მოეწყოთ სახელმწიფოს და ეკლესიას, რომელთაც უნდა ჩაენერგათ შეძლებული კლასისათვის შეგნება მათი სოციალური მოვალეობისა, უნდა ჩაენერგათ თანაგრძნობა გაჭირვებული მოძმეების მიმართ და ხელი შეეწყოთ იმისათვის, რომ შეძლებულებს თანხები გაეღოთ დახმარებისათვის გიორგი ათონელს კი ადვილად შეეძლო დარწმუნებულიყო, თუ როგორ ცივად შეხვდა ეკლესიის მეთაურთა უმრავლესობა ხალხის გაჭირვებას, თუ რამდენად უსულგულონი იყვნენ ისინი თავიანთი სამწყსოს გაჭირვებისადმი.

ამ მძიმე განსაცდელის წლებში ეს შეძლებული ფენები ზრუნავდნენ მხოლოდ იმაზე, რომ თავიანთი სახელი უკვდავეყოთ და ამ მიზნით დიდძალ თანხებსა სწირავდნენ მონასტრებს; ისინი ზრუნავდნენ იმაზე, რომ დაეწესებინათ თავისთვის საუკუნო მოსახსენებელი; დიდ თანხებს ხარჯავდნენ აგრეთვე შენობათა ასაგებად და ძვირფას საეკლესიო ჭურჭლის შესაძენად, იმ დროს როდესაც სამწყსო გმინავდა, შიმშილისაგან სულს ღაფავდა. გიორგი ათონელისათვის ცხადი იყო, რომ კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი მაშინდელი მაღალი სამღვდელოებისაგან, რომელიც მთლიანად მდიდართა პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდა, იმ წოდებას, რომელიც უმაღლეს პატივსა და თანამდებობას ღებულობდა არა პირადი დამსახურების მიხედვით, არამედ მხოლოდ სიმონიის წყალობით, პრტექციითა და აზნაურული შთამომავლობით («მამულობით»).

ამიტომაც იყო, რომ გიორგი ათონელმა მიმართა განმაქიქებელ ქადაგებას ამ ბოროტების მთავარ დამნაშავეთა წინააღმდეგ და გაბედულად გაილაშქრა როგორც მაშინდელი საქართველოს მეთაურის წინააღმდეგ, ისე ამ ბოროტების გამომწვევის სისტემის მოსასპობად. პირველმა სწორედ მეფემ მოისმინა

საყვედურები მის მიმართ, რომლებიც გამოთქვა დიდის ზეიმით მოწვეულმა ბერმა. ბიოგრაფოსის გადმოცემით, გიორგი ათონელმა უშიშრად და პირუთვნელად უსაყვედურა ბაგრატ IV-ს სიმონიისათვის, უსაყვედურა იმისათვის, რომ ის ჰყიდდა საეპისკოპოსო თანამდებობებს და აძლევდა მათ უღირს პირებს, ისეთ პირებს, რომელნიც მხოლოდ მიწიერი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, იმის ნაცვლად რომ ღირსეული კანდიდატები შეერჩია.

თვით მღვდელმთავრებსაც მოუხდათ გამკიცხავი სიტყვების მოსმენა: ის მათ მოუწოდებდა ძალზე მეტად არ გატაცებულიყვნენ დაგროვებული სიმდიდრით და ეფიქრათ, უპირველეს ყოვლისა სამწყსოზე, მოწყალენი ყოფილიყვნენ საწყალ და უძლურ მოძმეთა მიმართ; ის მოითხოვდა მათგან, რომ მღვდლებად მიკერძებით კი არ ეკურთხებინათ, არამედ მხოლოდ ღირსეულნი. თავის მრისხანე განქიქებაში გიორგი ათონელი იქამდისაც კი მივიდა, რომ ერთ ასეთ ეპისკოპოზს, რომელიც ფიქრობდა მხოლოდ ეკლესიათა აშენებაზე და მათ შემკობაზე, თავისი სახელის უკვდავყოფის მიზნით, და სრულიად არ ზრუნავდა თავისი სამწყსოს საზარელ მდგომარეობაზე, აღშფოთებით უთხრა: ეს ეშმაკისაგან არის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შენი დაღუპვა, იმან ჩაგინერგა უწყალოება ღარიბთა მიმართო; ღმერთს ხომ არ უთქვამს ჩვენთვის — ეკლესიები შეამკეთო, არამედ გვითხრა: «მშიოდა და არა მეცით მე ჭამადიო». ამაზე უფრო გაბედული და რადიკალური ქადაგება, ამაზე უფრო მგზნებარე რევოლუციური გალაშქრება იმ დროისათვის, ვიდრე ამ გამოჩენილი ქართველი მოღვაწის სიტყვები, წარმოუდგენელია: ამ სიტყვებით მან დაუპირისპირა ერთიმეორეს სოციალური მორალის მოვალეობას შეგნება ადამიანის მიერ და ეკლესიის მღვდელმთავართა აღმაშფოთებელი უსულგულობა. მაგრამ გიორგი ათონელი არ დაკმაყოფილდა მარტოოდენ მქადაგებლისა და გაშმაგებული მამხილებლის როლით; მან გადაწყვიტა აქტიურადაც ექადაგა თავისი იდეები როგორც გაბედულ რეფორმატორს და საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის, თითქოს ურყევად დადებულ, წესწყობილების ძირითადი გარდატეხისათვის მიეღწია.

გიორგიმ ისარგებლა თავისი, როგორც წინამძღვრის, მდგომარეობით, და მღვდლად აკუთხა დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული პირები, ყოფილი ყმები, რომელთაც განათლება მიეღოთ და მღვდლობის წოდების ღირსად ჩანდნენ. იმ დროისათვის, როდესაც ასე მკვიდრი იყო ტრადიცია, ეს ნაბიჯი არათუ უაღრესად გაბედული იყო, არამედ გამომწვევიც, და მას დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა: აკი ამბობს კიდევაც ბიოგრაფოსი, რომ ეს განსაცვიფრებელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. თუ რამდენად გაბედული იყო გიორგი ათონელის ეს ნაბიჯი და როგორ ჩანდა ის რევოლუციონერ-ნოვატორად, ეს თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ იმის გარდაცვალების (1065 წ.) შემდეგაც ამ გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფოსი, მისივე მოწაფე, საჭიროდ თვლის განუმარტოს თავის მკითხველებს თავისი მოძღვრის იმ ეპოქისათვის ასეთი გაბედული ნაბიჯის გადაგმის საჭიროება. ისტორიკოსი ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის თანამედროვე ქართველებს: «ესე ნუ ვის უკჳრს, რამეთუ მამათმთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმიდე მისი ყოველთა შორის იქნების, რომელი-იგი უკანასკნელ მეფე იქმნა ეგჳპტისა, ხოლო დავით და აბოს არა მწყემსნი იყვნესა, რომელი-იგი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინასწარმეტყველ?».

აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდია გიორგი ათონელის დამსახურება სოციალური მოძრაობის ისტორიაში: თავისი გაბედული მოქმედებით მან შეარყია ქართული ეკლესიის ტრადიციული წესწყობილება, რომელიც წოდებრივსა და

ფეოდალურ ინსტიტუტებს ეყრდნობოდა. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ პირად ღირსებებს აქვთ უპირატესი მნიშვნელობა და არა წოდებრივ წარმოშობილობას; მან, დასასრულ, თვითნებურად, თავისი პირადი პასუხისმგებლობით, გადადგა პირველი ნაბიჯები ქართული საეკლესიო იერარქიის დემოკრატიზაციისათვის. რასაკვირველია, გიორგი ათონელს იოლად არ ჩაუვლიდა ასეთი მოქმედება, რომელსაც არ შეეძლო მაშინ მღვდელთმთავრებში არ გამოწვია მტრული გრძნობები გაბედული ნოვატორის მიმართ. უნდა ვიფიქროთ, რომ მას დიდი ბრძოლის გადატანა მოხდა იდეებისათვის და, ალბათ, მისი მდგომარეობის სირთულემ და შექმნილმა სიძნელეებმა გადააწყვეტინეს მას ათონზე დაბრუნებულიყო: გიორგი ათონელი მხოლოდ მონასტრის წინამძღვარი იყო და მისი პრაქტიკული საქმიანობის სფერო კანონიკურად მეტად შეზღუდული იყო. ხოლო მღვდელთმთავრები, რომელთაც ის მწვავედ ამხელდა, მასზე უფრო მაღლა იდგნენ.

საეკლესიო წესწყობილების რეფორმის მოხდენა, უღირს მღვდელმსახურთა გადაყენება შეეძლო მხოლოდ საქართველოს საეკლესიო კრებას, რომლის მოსაწვევად და ნაყოფიერი მუშაობის ჩასატარებლად ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. გიორგი ათონელის ღვაწლი სწორედ იმაშია, რომ მან თავისი გაბედული მოქმედებით შეარყია წოდებრივ პრივილეგიათა საფუძვლები და წინ წამოსწია პირადი ღირსების უპირატესი როლი; მან საფუძველი ჩაუყარა საქმეს, თესლი დათესა და უხვი ნაყოფის მომკა მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ მოუხერხდა დავით აღმაშენებელს. მაგრამ იმისათვის, რომ ნათლად გავითვალისწინოთ გიორგი ათონელის რეფორმატორული მოღვაწეობის სიდიადე, უნდა გავიხსენოთ, რომ ეკლესიისა და მონასტრის დემოკრატიზაცია დასავლეთ ევროპაში დაიწყო მხოლოდ XIII საუკუნეში, სადაც, როგორც ცნობილია, პირველად წმ. ფრანცისკემ სცადა შეერყია რომის კათოლიკეთა ეკლესიის არისტოკრატიული ტრადიციები. ამგვარად, გიორგი ათონელის მოღვაწეობის მნიშვნელობა სოციალურ ასპარეზზე სცილდება საკუთრივ საქართველოს ისტორიის ფარგლებს და სოციალურ რეფორმათა, სოციალური ისტორიისათვისაც წარმოადგენს ძვირფას განძს.

* * *

სოციალური პრობლემების გადაჭრაზე მუშაობის გვერდით მიმდინარეობდა მუშაობა აგრეთვე წმინდა სამართლის სფეროშიც. ამ მხრივ მოხსენიების ღირსია მოღვაწეობა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ექვთიმე ათონელისა, რომლის კალამს ეკუთვნის იურიდიული ანალიზის განსაცვიფრებელი ნიმუში და თავისი დახვეწილობით შესანიშნავი მოძღვრება მკვლელობისა და ჭრილობის მიყენების ყოველგვარი სახის შესახებ, რომელიც მოთავსებულია მის მიერ შედგენილი ე. წ. «მცირე ნომოკანონში» («მცირე რჩულის კანონი მეექუსისა კრებისდ ბ»).

გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა კულტურის სხვა დარგებშიც წარმოებდა. მრავალფეროვანი ლიტერატურა, წინა საუკუნეებში დაგროვებული, კიდევ უფრო მეტად გამდიდრდა ამ დროს.

მრავალრიცხოვანი კულტურული საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც არსებობდა საზღვარგარეთ მონასტრების სახით, დაწყებული განაპირა სამხრეთით სინას მთა, პალესტინა, იერუსალემი, კვიპროსი, შავ-მთა ანტიოქიის მახლობლად, რომანა კონსტანტინოპოლის ახლოს და გათავებული ათონის მთით ქალკიდონის ნახევარკუნძულზე, სადაც მოვაწეობდა მთელი პლეადა გამოჩენილ ქართველ

მთარგმნელთა, ფილოლოგოსთა და სხვა მეცნიერთა, რომლებიც თავიანთი შრომების მეშვეობით საშუალებას აძლევდნენ ქართულ განათლებულ საზოგადოებას ზედმიწევნით სცოდნოდა, რაც ბიზანტიასა და მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში ახალი ფუნდამენტალური რამ იქმნებოდა, გარდა ამისა, საქართველოს ახლო ურთიერთობამ არაბულ-სპარსულ კულტურულ მიმდინარეობებთან და მათი სალიტერატურო ძეგლების გაცნობამ საქართველო ერთგვარად აქცია შუამავლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ ბერძნულ-რომაულ დასავლეთს შორის, ამ ორ, სარწმუნოებრივად განსხვავებულ სამყაროს შორის. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომელიც ახლა სრულის უეჭველობით არის დადგენილი, სახელდობრ, რომ საშუალო საუკუნეებში საქართველოს წყალობით მიეცა ევროპას საშუალება გასცნობოდა პირველ ქრისტიანულ რომანს, ამ უაღრესად პოპულარულ თხზულებას, ვარლამისა და იოასაფის შესახებ, რომელიც ბერძნულ ენაზე თარგმნა და დაამუშავა სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა.

მაჰმადიანურ, განსაკუთრებით ირანულ სამყაროსთან ცხოველმა კულტურულმა ურთიერთობამ, კარგი გავლენა იქონია ქართული საერო ლიტერატურის აღორძინებაზედაც და ამით იხსნა იგი რელიგიური მსოფლმხედველობის იმ კარჩაკეტილობისაგან, რომელშიც იმყოფებოდა ბიზანტია და დასავლეთი ევროპაც ჯვაროსანთა ომებამდე.

გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა მშენებლობის დარგშიც.

XI საუკუნეშია აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის სამთავისი, ბოჭორმა და ბედია, აგრეთვე სახელგანთქმული ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, რომლის საზეიმო კურთხევაზე მოწვეულ იქნენ არა მარტო თავისი, არამედ მეზობელი სახელმწიფოების ყველა მეფენი და მფლობელნი, უმაღლესი მღვდელმთავრები და გამოჩენილი მოღვაწენი. თუ რა მაღალ დონეზე იყო განვითარებული ამ ეპოქის ქართული საფრესკო ფერწერა, საკმარისი იქნება დავასახელოთ თუნდაც ატენის სიონის მოხატულობა.

მრავალფეროვანმა კულტურულმა საქმიანობამ, დაჭიმულმა სოციალურმა ბრძოლამ და ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, რომლებმაც მიუხედავად იმდროინდელ საქართველოში წარმოებულ საშინაო ბრძოლისა, თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ქართული საისტორიო მწერლობის ისეთ დიდებულ ძეგლებში, როგორიცაა გიორგი ათონელის, გიორგი ხუცესმონაზონის, ეფრემ მცირის ნაშრომები და «მატიანე ქართლისა,» რომლებშიაც აღწერილი ისტორიული საბუთების მრავალნაირობა და დოკუმენტალური სიზუსტე მეტოქეობას უწევენ თხრობის ოსტატობასა და წარმტაცობას, მოვლენათა ანალიზის სიღრმეს და მეთოდოლოგიურ ხერხთა საკვირველ სინატიფეს. მაინც ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მარგალიტს უდავოდ წარმოადგენს შრომა გიორგი ათონელისა, რომლის ნიჭი და ცოდნა გვაოცებს როგორც თავისი მრავალფეროვანებით, ისე განსაცვიფრებელი სხივოსნობით.

ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ მიუხედავად პოლიტიკური თავგადასავლის ავბედითობისა, XI საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესს თან სდევდა დიდი კულტურული აღმავლობა, რომ დაგროვებულ იქმნა მიღწევები შემოქმედების სხვადასხვა დარგში, რამაც საშუალება მისცა საქართველოს XII საუკუნეში სწრაფი ნაბიჯებით ევლო პროგრესის გზაზე.

საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე

საქართველოს ზოგადი პოლიტიკური ისტორია XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე გვარწმუნებს ჩვენ იმაში, თუ როგორი სისწრაფით იზრდებოდა და ფართოვდებოდა მისი სახელმწიფო საზღვრები. საქართველოს პოლიტიკურმა მესაჭეებმა და ენერგიულმა მოღვაწეებმა შესძლეს არა მარტო ის, რომ მთელი საქართველოს ტერიტორია გაეერთიანებინათ, არამედ მიიღეს ყოველგვარი ზომები მიღწეული წარმატების მტკიცე კონსოლიდაციისათვის, ქვეყნის უზრუნველყოფა მტრის თავდასხმათაგან, იმ მტრის, რომელიც წარსულში არ აძლევდა საქართველოს მოსვენებით ეწარმოებინა თავისი ცხოვრება, არ აძლევდა შესაძლებლობას კულტურული ცხოვრების ნორმალური განვითარებისათვის.

ქვეყნის შიგნით მშვიდობისა და წესრიგის დამყარებამ, სამხედრო საქმის გონივრულად მოწესრიგებამ და საბრძოლო ძალების ზრდამ შესაძლებლობა მისცეს საქართველოს პოლიტიკოსებს შესდგომოდნენ აქტიურ მოღვაწეობას. გამხდარიყვნენ საგრძნობ ფაქტორად და მოეპოვებინათ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა. XI საუკუნის ბოლოში ჯერ კიდევ არ იყო არა მხოლოდ დამთავრებული საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი. არამედ ამ დროისათვის მოპოვებულ წარმატებებს ჯერ კიდევ ძალია ემუქრებოდნენ (მტრები), ხოლო XII ს. ბოლოში და XIII ს. დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას; სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზინჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო ალამი.

ყველაფერი, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქართველი ხალხის მიერ გამოჩენილ უნარით, პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის წარმოებისა და მისი ნიჭით, რომელიც აძლევდა მათ საშუალებას იდეური პროგრამული ხასიათი მიეცა ამ ბრძოლისათვის და მიეღწია მის დასამთავრებლად გეგმაზომიერი განხორციელებით. ცხადია, რომ საქართველოში XI ს-ში რომ არ ყოფილიყო ბრძოლა დიდგვარიან აზნაურთა წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ, რომ არ ყოფილიყო ბრძოლა პირადი დამსახურებისა და ღირსებებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მემკვიდრეობითი დამსახურებების პირისპირ, რომ არ ყოფილიყო ამ ეპოქაში დაძაბული მონარქიული ერთპიროვნული მმართველობის დოგმა არ ყოფილიყო ის შეცვლილი, მაგალითად, სამონასტრო ორგანიზაციაში კორპორაციული რესპუბლიკური წესით, რომ საქართველოს არ ყოლოდა ისეთი გამოჩენილი მოაზროვნენი და მოღვაწენი საჯაროუფლებრივ და სოციალურ პრობლემათა დარგში, როგორებიც იყვნენ ბაგრატ III, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და სხვები,— რომ არ ყოფილიყო ყველაფერი ეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელსაც გაუძნელდებოდა განხორციელება თავისი ფართო გეგმებისა პოლიტიკურსა და სახელმწიფოებრივ-უფლებრივ დარგში.

დავით აღმაშენებლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სწორედ მისი შეგნება გეგმაზომიერი, მოწესრიგებული სახელმწიფოებრივ-სოციალური

პოლიტიკის აუცილებლობისა და მისი ურყევად გატარებისა ცხოვრებაში. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ გიორგი ათონელის მიერ წამოყენებული პრინციპები სრულად იქნა განხორციელებული მთელს საეკლესიო ორგანიზაციაში და ამ ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის დემოკრატიზაცია სრულად იქნა მიღწეული.

სამხედრო საქმისა და თავდაცვითი ძალების მიზანშეწონილმა ორგანიზაციამ, სახელმწიფო მუდმივი ჯარის შექმნამ შესაძლებლობა მისცა დავით აღმაშენებელს ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება შეექმნა, ისეთი ხელისუფლება, რომელიც შესძლებდა დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობის ალაგმვას და აიძულებდა მათ დამორჩილებოდნენ სახელმწიფოს ინტერესებს.

თავის მხრით, ამავე გარემოებამ ხელი შეუწყო გიორგი III-ს ჩაექრო დიდგვარიანთა აჯანყება, რომელიც მოეწყო ივანე ორბელის მეთაურობით, ჩაეტარებინა გადამწყვეტი წმენდა მაღალ თანამდებობის პირთა სოციალური შემადგენლობისა და ამ გზით მიეღწია სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციისათვის.

დასასრულ, განა ცხადი არ არის, რომ თუ თამარ მეფემ თავისი მეფობის პირველ წელს მოახერხა გადაელახა სერიოზული სიძნელეები და თავისი მოსალოდნელი შედეგებით მრისხანე კრიზისი, ამაში მას გარდა მისი უეჭველი პოლიტიკური შორსმხედველობისა და სახელმწიფო მოღვაწის არაჩვეულებრივი ტაქტისა, დაეხმარა ის გარემოებაც, რომ ნიადაგი კონფლიქტის გონივრული გადაწყვეტილებისათვის უკვე მომზადებული იყო იმით, რომ მმართველობის მონარქიული წესი ქართულ კორპორაციულ ორგანიზაციებში შეცვლილიყო რესპუბლიკური წესწყობილებით. ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივ უფლებრივსა და სოციალურ სფეროში ბრძოლის მიმდინარეობამ თავისი ლოგიკური განვითარება ჰპოვა და დამთავრდა თამარის მეფობაში იმ მოვლენით, რომელსაც იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ხარტიაში. სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივი ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგად-ისტორიული თვალსაზრისითაც.

სამართლის საქმეთა ორგანიზაციაშიც საქართველომ ამ ეპოქაში საგრძნობ პროგრესს მიაღწია: სისხლის სამართლის თეორიაში უდიდესი მიღწევების გვერდით, იმ მიღწევების, რომელთა მშვენიერი მაგალითი მოცემულია ექვთიმე ათონელის მოძღვრებაში მკვლელობისა და ჭრილობათა მიყენების შესახებ, საქართველოში მთელი რიგი ღონისძიებები იყო ჩატარებული პრაქტიკული ხასიათისაც. შექმნილი იყო საგანგებო დაწესებულება, რომელიც განაგებდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს. მის მოვალეობას შეადგენდა ამ საქმეების გამო გამოძიების წარმოება და სასამართლო ძიების ჩატარება. ამგვარად, გამიჯნულ იქმნა სფერო სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წარმოებისა. შემდეგ: საკასაციო საჩივართა გარჩევა დავით აღმაშენებელმა ჩამოაშორა უზენაესი ხელისუფლების ფუნქციებს; ნაცვლად ამისა შეიქმნა უზენაესი საკასაციო კოლეგიური სასამართლო.

საქართველოს კულტურული ზრდისათვის ამ ეპოქაში უაღრესად დამახასიათებელია აგრეთვე სასჯელთა სისტემის ისტორია.

საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდქსის მიხედვით, თვით თამარ მეფის [მეფობის] დასაწყისამდე, მძიმე დანაშაულთათვის დაწესებული იყო

სასტიკი სასჯელი, ისეთი სასჯელები, რომლებიც საშუალო საუკუნეთა სისტემებისათვის არის საერთოდ დამახასიათებელი ყველა ქვეყანაში. გიორგი III-ის დროს ივანე ორბელის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გახშირდა ყაჩაღური თავდასხმები იმათ მიერ, ვინც დაუსხლტა ხელისუფლებას და მთებში იმალებოდა, როგორც შეთქმულების მონაწილე. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ამგვარ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის მიზნით და ქვეყანაში სრული უშიშროების დასამყარებლად აუცილებლად დაინახა ბოროტმოქმედთა დასაშინებლად კიდევ უფრო გაეძლიერებინა სასჯელი და შეიარაღებული ყაჩაღობისათვის და თავდასხმებისათვის გაძარცვის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებზე, ქარავანებზე და ჯოგებზე შემოეღო სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, ხოლო სხვა რეციდივ და გამოუსწორებელ ბოროტმოქმედთათვის ხელისა და ფეხის მოკვეთა.

ამ სასტიკმა ღონისძიებამ, სომეხ და ქართველ ისტორიკოსთა სიტყვით, მიაღწია თავის მიზანს: საქართველოში დამყარდა სიწყნარე. თამარ მეფემ აქაც გამოიჩინა თავისი ხასიათის მაღალი თვისება. თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ სწორედ თამარ მეფის წყალობით ქართულმა სისხლის სამართალმა სასჯელთა სისტემის სრულს ჰუმანიზაციას მიაღწია; სწორედ თამარ მეფემ აღკვეთა საქართველოს პრაქტიკაში როგორც სიკვდილით დასჯა, ისე ყველა სხვა სახე სხეულის დაზიანებისა.

თამარ მეფის ჰუმანიზმი ემყარებოდა უმაღლეს მორალურ მოძღვრებას, რომლის კვალი საქართველოში შეინიშნება კარგა ხნით თამარ მეფის ეპოქამდე. უკვე კარგა ხანია მორალის პრობლემა ქართული განათლებული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს აწუხებდა: განხილვის საგანი იყო ხოლმე საკითხი მორალური უმწიკვლოების შესახებ, საკითხი ადამიანის განკარგულებაში არსებულ მატერიალური რესურსების სიწმინდისა, და მაშინ აღიარებული იყო ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად, რომ მხოლოდ პირადი პატიოსანი შრომით შეძენილი საშუალებები შეიძლება ჩაითვლოს შემოსავლის მორალურად სუფთა წყაროდ და მხოლოდ ამ გზით შეძენილი საშუალებები არის ღირსი მაღალი მიზნებისა, საწყალი თანამოძმეების დახმარებისა, მხოლოდ ამ გზით შეძენილი საშუალებები შეიძლება იყოს წყარო ქველმოქმედებისა.

ეს შეხედულება იმდენად საერთო რწმენდა იქცა, რომ მას იზიარებდნენ მაღალი წრეებიც. თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ სასახლიდან რომ გამოდიოდა დავით აღმაშენებელი, მას თან მიჰქონდა ფულით გატენილი ქისა ღარიბთათვის დასარიგებლად. ამავე დროს ისტორიკოსი დასძენს: მეფე ამ ქველმოქმედებას ეწეოდა არა სახელმწიფოს შემოსავლის თანხებიდან, არც თანამდებობის პირთა შემოტანილი თანხებიდან, არამედ თავისი ხელით გაწეული შრომის საშუალებით შეძენილი თანხებიდან.

საგულისხმოა, რომ ამასვე იმეორებენ თამარ მეფის ისტორიკოსებიც. ისინი იმასაც კი უმატებენ თავის ცნობას, თუ რა წარმოშობისა იყო ის თანხები, რომელთაც თამარ მეფე ხარჯავდა საქველმოქმედო მიზნით; ის თურმე ხელსაქმეს მისდევდა და თავისი ხელთნაქმარის გაყიდვით შეძენილ ფულს ახმარდა ქველმოქმედებას. კიდევ მეტი: იგივე ისტორიკოსი გვატყობინებს, რომ თამარ მეფე ცდილობდა, რათა პირადი საჭიროებისათვის აუცილებელი თანხა ამავე წესით ყოფილიყო ნაშოვნი და თავის ხელსაქმარს ატანდა გასაყიდად და მიღებული თანხებით ქველმოქმედებას ახმარდა იმდენსავე, რამდენიც უჯდებოდა მას ყოველდღიურად ჭამა-სმა. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქს აქ ანარეკლი იმ

კონცეფციისა, რომელსაც იზიარებდა თამარ მეფე, ე. ი. ანარეკლი იმ რწმენისა, რომ არა მარტო საქველმოქმედო მოღვაწეობაში უნდა გამოიყენო მორალურად უმწიკვლი წყარო, არამედ რომ ყოველი ადამიანი თვითონაც უნდა ცხოვრობდეს საკუთარი შრომით.

ამავე დროს აუცილებელია ვიქონიოთ მხედველობაში ისიც, რომ გარდა კერძო ქველმოქმედებისა, ჯერ კიდევ IX საუკუნიდან საქართველოში არსებობდა ღარიბთა და დავრდომილთა დამხმარე სახელმწიფო ორგანიზაცია. ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო შემოსავალთა ათი პროცენტი იყო გამოყოფილი. ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ირწმუნება, რომ ამ სახელმწიფო დახმარების ორგანიზაცია თამარ მეფის დროს ისეთი მტკიცე კონტროლის ქვეშ მუშაობდა, რომ პურეულის არც ერთი მარცვალი არ იკარგებოდა.

XII საუკუნეში საქართველოს თანდათანობითი ექსპანსია ვითარდება, მის სახელმწიფოებრივ საზღვრებს შეუერთდა მთელი მხარეები, რომლებსაც მანამდე თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია და თავისი ადგილობრივი ადმინისტრაციული აპარატი ჰქონდა. ამ მხარეების მოსახლეობა ქართველ ეროვნებას არ ეკუთვნოდა, კიდევ მეტი, ენით ნათესავიც კი არ იყო. გარდა ამისა სარწმუნოებაც სხვა ჰქონდა, მაგალითად, სომხური ან კიდევ სრულიად სხვა რჯულისა, მაჰმადიანური რელიგია. ყველა ამ არემოებამ საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო მოღვაწეების წინაშე დააყენეს მთელი რიგი პრობლემები საშინაო და საგარეო პოლიტიკისა, რომელთა სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო წარმატება მისი როგორც მახლობელ აღმოსავლეთში იმ ეპოქაში ყველაზე უფრო გავლენიანი სახელმწიფოსი. ყოველთვის, როდესაც ბრძოლის ხმა შეწყდებოდა, წამოიჭრებოდა ხოლმე საკითხი ახლად შემენილ ტერიტორიასთან ურთიერთობის ხასიათის შესახებ, იმ ეროვნებათა უფლებების შესახებ, რომლებიც შემოდიოდნენ ქართული სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში, დასასრულ საკითხი ისმებოდა იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს მისი მოსახლეობის სარწმუნოებრივი საჭიროებების მიმართ.

ახლად შემენილი მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ორგანიზაციის საკითხი სხვადასხვანაირად წყდებოდა, დამოკიდებით სხვადასხვა გარემოებასთან და ძალთა შეფარდებასთან, დასასრულ პოლიტიკის იმ კურსის მიხედვით, რომელსაც ადგა სახელმწიფოს მეთაური. დავით აღმაშენებელი, მაგალითად, გადაჭრილ ზომებს ღებულობდა შირვანის მიმართ. შირვანშაჰი მან საქართველოში გამოგზავნა, შირვანის ყველა ციხე-სიმაგრეში ქართული გარნიზონი ჩააყენა, გადააყენა მთელი ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაცია და მათ ნაცვლად თავისი კაცები დანიშნა. სრულიად ასევე მოიქცა დავით აღმაშენებელი ქალაქ ანისისა და ანისის მხარის, ყოფილი სომეხთა სამეფოს, აღების დროს. ამ სამეფოს უკვე დიდიხანია დაეკარგა თავისი დამოუკიდებლობა და მთელი საუკუნის განმავლობაში ჯერ ბიზანტიის მფლობელობაში იყო, ხოლო შემდეგ შადადიანების მუსულმანური უღლის ქვეშ გმინავდა. ამგვარად, ორსავე შემთხვევაში დავით აღმაშენებელი ატარებს ინკორპორაციის პოლიტიკას.

სულ სხვანაირად მოიქცა დავით აღმაშენებელი ჩრდილო კავკასიაში, სადაც ის სამხედრო რაზმებითურთ გაემგზავრა ყივჩაღთა გადმოსასახლებლად საქართველოში. კავკასიის ქედს გადაღმა საზღვარზე მას ოსეთის მეფეები და მფლობელები შეხვდნენ და ის დაკმაყოფილდა მათი თანხმობით და ფიცდადებული ხელშეკრულებით, რომ ისინი ვასალურ დამოკიდებულებაში

იქნებოდნენ მისგან, დაკმაყოფილდა მძევლების წამოყვანით და იმით, რომ თავისი მეციხოვნენი ჩააყენა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსასვლელი მთავარი გზების გასწვრივ მდებარე სიმაგრეებში. ასეთსავე პოლიტიკას ადგა ის ყივჩაღების მიმართ.

განსხვავება პოლიტიკურ კრუსში სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებზე ერთი მხრით და ჩრდილოეთით მეორე მხრით შეპირობებული იყო ჯერ ერთი იმით, რომ მათ ნებაყოფლობით აღიარეს და მშვიდობიანი გზით მოაწესრიგეს ურთიერთობა; მეორე მხრით, შეპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ახლად შემოერთებული ტერიტორია ომის უფლებით იქნა მტრისაგან წართმეული. ქალაქ ანისის აღების დროს, თუმცა ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ხელისშეწყობას დაჰპირდა დავით აღმაშენებელს, როგორს ჩანს, მართლაც იქნა ასე თუ ისე ეს ხელისშეწყობა, მაგრამ არც ქალაქის აღებამდე, არც მის შემდეგ ანისის წარმომადგენლებს არავითარი პოლიტიკური პირობები არ წაუყენებიათ საქართველოს მეფისათვის სომეხ ისტორიკოსების ცნობათა მიხედვით. თავის მხრივ არც დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მიუცია რაიმე წინასწარი პოლიტიკური დაპირებები: ანისის მცხოვრებთათვის ძირითადი მიზანი იყო, როგორჩ ჩანს მაჰმადიანური საძულველი უღელისაგან განთავისუფლება. საქმის რეალური ვითარებაც ანისში იმ დროს ისეთი იყო, რომ ანისის სომხური სამეფოს მოსპობის შემდეგ და ასი წლის განმავლობაში უცხო ოკუპაციის პირობებში მტრის თარეშის დროს არ ჩანდა არავინ ანისის სომხური მოსახლეობის მაღალი ფენებიდან ვისთვისაც შეიძლებოდა განთავისუფლებული მხარის ძალაუფლების გადაცემა, რომც ასეთი განზრახვა ჰქონოდა დავით აღმაშენებელს.

დემეტრე პირველმა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელთა კოალიციურ ძალებთან ხანგრძლივი და მწვავე ომების გავლენით უფრო მიზანშეწონილად ჩასთვალა შეეცვალა თავისი მამის პოლიტიკა სამხრეთითაც და აქაც იგი გადავიდა ვასალურ ურთიერთობათა სისიტემაზე. გიორგი მესამე თავის მამაზე უკეთ შესძლო მოევლო საგარეო პოლიტიკური სიძნელეებისათვის და ამიტომ იგი კვლავ დაუბრუნდა, თუმცა უკვე ერთგვარად შერბილებული ფორმით, ინკორპორაციის სისიტემას: სამხრეთის ყველა მთავარი ციხე-სიმაგრე და მხარეები შეუერთა საქართველოს. სხვა პოლიტიკას დაადგა უკვე თამარ მეფე.

თუმცა თამარ მეფის დროს საქართველოს სამხედრო ძლიერება არათუ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა გიორგი მესამის დროინდელ ძლიერებას, არამედ თავისი ბრწყინვალე მოქმედებით კიდევაც დაჩრდილა ყველა ძველი წარმატება, მაგრამ, მიუხედავად ამისა მან ყველგან, სადაც კი ეს შეეფერებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებსა და მისწრაფებებს, ერიდებოდა ინკორპორაციას და ამჯობინებდა დაემყარებინა ვასალური ანდა მხოლოდ ჰეგემონიური დამოკიდებულება. ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნება მივუთითოთ იმაზე, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, ომის უფლების ძალით, თამარ მეფემ ეს მხარე საქართველოს კი არ შეუერთა, არამედ დააარსა ტრაპიზონის, მოსახლეობის შემადგენლობით და სახელმწიფოებრივად, უპირატესად, ბერძნული იმპერია, და დაკმაყოფილდა იმით, რომ მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური კავშირი დაამყარა ამ ახლად მის მიერ შექმნილ სამფლობელოსთან. თუმცა ამ იმპერიის განაპირა დასავლეთ მხარეს შეადგენდა ჭანეთი, რომლის მოსახლეობა ქართველური ტომი იყო და წარმოშობითაც და ენითაც ქართულის მონათესავე.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე თამარ მეფის პოლიტიკა იმ მოსახლეობის მიმართ, რომლის ტერიტორია წარსულში შეადგენდა სომხურ სამეფოებს, იმ სამეფოებს, რომლებიც მოისპნენ ბიზანტიისა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის თავდასხმათა წყალობით. თუმცა ქართული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ასეთ ტერიტორიებს იკავებდა და ათავისუფლებდა სომხის ქრისტიანულ მოსახლეობას მაჰმადიანურ მფლობელთა უღლისაგან, იქ იგი აწყდებოდა საგრძნობლად შეცვლილ ეთნიკურ შემადგენლობას, რომელიც უცხოელთა კოლონიზატორების წყალობით შეცვლილიყო, და ადგილობრივ უკვე აღარ არსებობდა არავითარი სომხური პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა თუნდაც მემკვიდრეობითი უფლებები და რომლისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მართვის ფუნქციების გადაცემა ამ ახლად შემოერთებულ მხარეებში,— მიუხედავად ამისა, ისტორიკოს ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებიდან ნათლად სჩანს, რომ თამარ მეფე აქაც გარკვეულ პოლიტიკას ადგა: ის მიზანშეწონილად თვლიდა ხელი შეეწყო ყოფილ სომხურ სამეფოთა ტერიტორიის გაერთიანებისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში, და ბოლოს მართვა-გამგეობა მიანდო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგულ მსახურს თავისი მთავრობის ნიჭიერ მინისტრს, რომელიც მაშინდელი სომეხ დიდებულების მხარგრძელების გამოჩენილი პიროვნება იყო.

ცხადია, მთელი ეს პოლიტიკა არ შეიძლება ნაკარნახევი ყოფილიყო იმის გამო, რომ სახელმწიფო სისუსტეს გრძნობდა, არამედ ასეთი პოლიტიკა გამომდინარეობდა იმის სრული შეგნებიდან, რომ საჭირო იყო პატივისცემით მოპყრობოდნენ მეზობელთა პოლიტიკურ უფლებებს და იმ მოსახლეობას, რომელიც სამხედრო ოპერაციების შემდეგ დაპყრობილ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მის შემდეგ,—რაც საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სრულად იქნა მიღწეული და ქართული სახელმწიფოს კონსოლიდაცია სრული სისავსით იქნა განხორციელებული და ამავე დროს საქართველოს სამხედრო ძლიერება და მისი ხელმძღვანელი როლი მახლობელ აღმოსავლეთში რეალური ფაქტი შეიქმნა, საქართველოს მთავრობამ თამარ მეფის მეთაურობით თავის სახელმწიფოებრივ ამოცანად ჩათვალა დაეცვა პოლიტიკური წონასწორობა მეზობლებს შორის და აღეკვეთა აგრესიის ყოველგვარი ცდა. თანამედროვე ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ბევრნი მეზობელ მფლობელთაგან თავისი დამოუკიდებლობის შენახვას სწორედ თამარ მეფის მიერ აღებულ საგარეო პოლიტიკურ გეზს უნდა უმადლოდნენ და ისინი გადაურჩნენ მოძალებული მეზობლის მხრით უცილობელ დამონებას მხოლოდ საქართველოს მთავრობის ჩარევისა და დახმარების წყალობით.

ეროვნული ჩაგვრა და დამორჩილებული ერის ენის დევნა შედარებით ახალი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, გარდა იმ დევნისა, რომელიც დაკავშირებული იყო რელიგიურ ფანატიზმთა, როგორც მაგალითად, ებრაელების დევნა ქრისტიანულ სახელმწიფოებში და ქრისტიანების დევნა მაჰმადიანურ ქვეყნებში. არც ქართულ საისტორიო ძეგლებში და არც უცხო მწერალთა მიერ გადმოცემულ ცნობებში არ არის ლაპარაკი ეროვნულ ჩაგვრაზე და ენის დევნაზე საქართველოს ქვემდებარე უცხო ერთა ქვეყნებში და საქართველოში უცხო ერების დევნის, ქსენოფობიის სრული არარსებობა აღნიშნულია ყველა ისტორიკოსის მიერ, მათ შორის დასავლეთ ევროპის მრავალი მწერლის მიერ. არავითარი ცნობები არ არსებობს, რომ ოდესმე საქართველოში

ებრალების დევნა ყოფილიყო, ის რაც საშუალო საუკუნეებში ასე ხშირია სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში.

* * *

საქართველოში ფართოდ იყო ფესვგადგმული სარწმუნეობრივი შემწყნარებლობაც. მაჰმადიანთა მიმართაც კი, რომელთაგან აღმოსავლეთმა საქართველომ VII—IX საუკუნეთა მანძილზე მრავალი უსამართლობა გადაიტანა და თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებების გამო ხშირად დევნას განიცდიდა,— მიუხედავად ამისა მაინც არ გამოუჩენია გაბოროტება; რასაკვირველია, გამონაკლისს შეადგენდნენ მჟავე კლერიკალები და მათი მიმდგომი წრეები.

საქართველოსათვის სარწმუნოებრივი პოლიტიკის საკითხი რეალურ პრობლემად დადგა, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან. ამ საკითხის განხილვის დროს საჭიროა განვასხვავოთ ერთიმეორისაგან საკითხი პოლიტიკისა სხვა რჯულის მიმართ და საკითხი ურთიერთობისა სხვა რჯულის, უმთავრესად მაჰმადიანური რელიგიის, წარმომადგენლებთან. ქრისტიანი სომხები საქართველოს მთავრობას თვლიდნენ სომხების განმათავისუფლებლად მაჰმადიანთა უფლისაგან, იმ დროს როდესაც დამარცხებულ მაჰმადიანურ მოსახლეობას საქართველოს ყოველი გამარჯვება შეიძლებოდა ჩაეთვალა თავისი ღირსების დამცირებად და თავისი ძველი პრივილეგიური მდგომარეობის შებღალვად. ამიტომ ყველაფერი დამოკიდებული იყო სახელმწიფოს პოლიტიკის იმ გეზისაგან, რომლის გატარებაც მიზანშეწონილად მიაჩნდა მთავროაბს. მაჰმადიანთა მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოებული ჩაგვრის შემდეგ და მრავალჯერ შეურაცხყოფის განცდის შემდეგ, გამარჯვებულ მხარეს ადვილად შეეძლო ცდუნებას მისცემოდა და სხვისი უბედურებით გახარებულს შურისძიებაზე ეფიქრა.

მით უფრო საგულისხმოა ის გზა, რომელიც აირჩიეს ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა. დავით აღმაშენებელი განრისხებული იყო თბილისის მაჰმადიანების ერთი ნაწილის მიერ გაწეული წინააღმდეგობით და სასტიკადაც გაუსწორდა მათ, მაგრამ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ მან სრული ამნისტია გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ მაჰმადიან მოქალაქეთა უფლებებიც იქნებოდა დაცული და მათი სარწმუნოებრივი საჭიროებების საჭიროებების შესრულებაც უზრუნველყოფილი. და ეს დაპირება შესრულებულ იქმნა მთელი სისრულით.

დავით აღმაშენებელმა იცოდა მათი ენა, იცნობდა აგრეთვე მათ მხატვრულს, ფილოსოფიურსა და თეოლოგიურ ლიტერატურას და, თუმცა თვითონ ქრისტიანი მეფე იყო, მაგრამ ეწვეოდა ხოლმე მეჩეთს, რომ მოესმინა ყურანი: სასახლეში იწვევდა მაჰმადიან სწავლულებსა და თეოლოგებს და დისკუსიას მართავდა საღვთისმეტყველო თემებზე; ზრუნავდა იმაზე, რომ ხელი შეეწყო მუსლიმანური ხელოვნებისა და მეცნიერების, პოეტებისა და სუფიების გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობისათვის მათთვის მუშაობის მატერიალური პირობების შექმნით. ამის შემდეგ გასაკვირალი არაა, რომ ალ-ჯაუზი ამბობდა: საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს მაჰმადიანებს ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ, ვიდრე თვით მაჰმადიანურ ქვეყნებშიო.

დავით აღმაშენებლის ტოლერანტობა ანუ რჯულშემწყნარებლობა აიხსნება მისი ფართო და მრავალმხრივი განათლებით და ერთგვარად ემყარება სკეფსისს, სარწმუნოებრივ საკითხებში მეფის თავისუფალ აზრებს. მეფემ კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით. რომელიც მან მიიღო ქართული და სომხური

ეკლესიების წარმომადგენელთა საეკლესიო კრებაზე, რომ ქრისტიანებიც კი ორი სხვადასხვა მიმართულებისა ვერ მორიგდნენ ერთმანეთში და რომ ამნაირი დისპუტებიდან სხვა არაფერი რჩება, გარდა ურთიერთკინკლაობისა და ერთმანეთის შეურაცხყოფისა. ასეთ პირობებში განა შეიძლება მეტს მოელოდე სხვა რჯულის კაცთაგან? იმ ფაქტიდან, რომელსაც გადმოგვცემს პროგრესული საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერიძე, ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლი არ ეკუთვნოდა საშუალო საუკუნეების იმ პირთა რიცხს, რომლებსა ბრმად სწამდათ ყველაფერი ის, რასაც საქრისტიანო ეკლესია უეჭველ ჭეშმარიტებად თვლიდა. ის, მაგალითად, გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელი, როდესაც მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შედიოდა, არ მალავდა თავის ეჭვებს იმის თაობაზე, თითქოს ამ ტაძარში უფლის კვართი ყოფილიყოს დამარხული: იმ ეპოქისათვის ეს არის მეტად გაბედული სკეფსისი, თავისუფალი აზროვნების გამოვლინება.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის სარწმუნოებრივ-მომთმენ პოლიტიკას სომეხ-გრიგორიანების და მაჰმადიანების მიმართ სიხარულით ხვდებოდნენ ყველანი ცალ-ცალკე, მაგრამ ასეთ გრძნობას არ იწვევდა ეს პოლიტიკა ჩამორჩენილ ქრისტიანთა გულში, როგორც სომეხთა ქალკედონიკთა და ქართველთა, ისე სომეხ ანტიქალკედონიტ მონოფიზიტების მხრით. კონსერვატიული საეკლესიო წრეები მოწადინებული იყვნენ საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლება ყოფილიყო დამცველი მხოლოდ ქრისტიანთა უპირატესობისა, მას ქრისტიანებისათვის საქართველოს სახელმწიფოში გაბატონებული მდგომარეობა უნდა შეექმნა, მაჰმადიანებისათვის კი მხოლოდ ხელქვეითი უუფლებო მდგომარეობა ჰქონოდა.

სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის პრობლემა საჭირბოროტო საკითხად იქცა საქართველოსთვის თავისი შედეგებით, ვინაიდან მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მეთაურნი, განსაკუთრებით კი მაჰმადიანური სამღვდელოების წარმომადგენლები საქართველოს ყოველ წინ წაწევას მათ მიმართულებით თვლიდნენ ქრისტიანული საქართველოს მიერ ომის გამოცხადებად ისლამის წინააღმდეგ, მთელი მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ. ამ წრეებს ყოველთვის ემჩნეოდა ტენდენცია რელიგიური ბრძოლის ხასიათი მიეცათ მომხდარი ამბებისათვის.

ასეთი მიდგომა ხელსაყრელი იყო ფანატიკური ზიზღის გასაჩაღებლად და ყოველი გაუფრთხილებელი მცდარი ნაბიჯი სწორედ რომ ხელსაყრელი იყო ამ წრეებისათვის, საქართველოს კი ეს უქმნიდა მხოლოდ ზედმეტ გართულებას ისედაც სერიოზულ პოლიტიკურ ვითარებაში. ამიტომ სახელმწიფოებრივი გეგმის წარმატება დამოკიდებული იყო იმ ტაქტზე და იმ პოლიტიკურ შორსჭვრეტელობაზე, რომელსაც გამოიჩენდნენ ამ პრობლემის გადასაჭრელად მომდევნო ეპოქაში, გიორგი III და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ შემოიერთა სხვა ერებიც და გახდა მრავალრიცხოვანი უცხოტომური სახელმწიფო მაჰმადიანური მოსახლეობის შემცველიც.

გიორგი III და განსაკუთრებით თამარ მეფე ამ საკითხში იმავე პოლიტიკას მისდევდნენ, როგორც ჰქონდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს. თამარ მეფე არავითარ იმდებს არ ამყარებდა იმაზე, რომ შესძლებდა საეკლესიო კრების მეშვეობით მომხდარიყო მორიგება ქართველ და სომეხ საეკლესიო წრეთა წარმომადგენლებს შორის. როგორც თვით თამარ მეფე, ისე მისი მეუღლე დავით სოსლანი აღაშფოთა ქართლის კათალიკოს იოანეს ურჯულო წინადადებამ, რომელიც იმან შემოიტანა სომეხ-ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებაზე,

მაგრამ უძლური აღმოჩნდა გადაეთქმევინა მისთვის მისი განზრახვა. ბრძოლა ქალკედონიტებსა და ანტიქალკედონიტებს შორის ამ საინტერესო კრების შემდეგ არა თუ არ მიწყნარდა, არამედ პირიქით, სომეხ ანტიქალკედონიტების ერთი ნაწილის გადასვლამ ქართულ ქალკედონურ მართლმადიდებელ ეკლესის მხარეზე კიდევ უფრო ხელი შეუწყო ვნებათა ღელვას, რაც იმაშიდაც გამოიხატებოდა, რომ ერთიმეორესაც შეურაცხოფას აყენებდნენ და სიმწინდესაც ჩირქს სცხებდნენ. განსაკუთრებულ გულმოდინეობას, როგორც ეს ხშირად ხდება, იჩენდნენ ახლად მოქცეული ქალკედონიტები თავის წინანდელ ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ეს გარემოება კი კიდევ უფრო ართულებდა საქმეს.

ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი ბერი ავტორი სომხური სამოსამართლო წიგნისა მხითარ გოში, რომელიც იყო თვითონ წარმომადგენელი სომხური ეკლესიის უკიდურესად კონსერვატიული წრეებისა, უდგენს მემორანდუმს მინისტრ მხარგრძელს, თავის ერთმორწმუნეს, თამარ მეფისათვის გადასაცემად, ხოლო მეორე მემორანდუმს ის უგზავნის ქართლის კათალიკოსს და უმაღლეს მღვდელმთავრებს. ორსავე დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ თუმცა საუკეთესო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან იქნებოდა ქრისტიანული ეკლესიის განცალკევება, მაგრამ, ვინაიდან ეშმაკის წყალობით ამის განხორციელება შეუძლებელია, ამავე დროს თამარ მეფეს არ შეუძლია საეკლესიო კრების მოწვევა მთავარი საქრისტიანო ეკლესიების სიშორის გამო, ყოველ შემთხვევაში ბოლო მოუღოს ექსცესებს და ერთმანეთის შეურაცხყოფასო.

მხითარ გოში კი თვითონ იყო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი სომეხთა ეკლესიის უკიდურესი კონსერვატიული წრეებისა, რომელიც ქადაგებდნენ მხეცურ იდეებს ამ ორი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ეკლესიის ურთიერთ განცალკევებისა და ზიზღის შესახებ. იგივე მხითარ გოში თავის კრებულში ბრალსა სდებს საქართველოს მთავრობას, რომ ის ერთნაირადა ბეგრავს მაჰმადიანებს და თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს იმ დროს, როდესაც მისი აზრით დაბეგრილ უნდა იქნენ მხოლოდ სხვა რჯულის წარმომადგენლები.

ამგვარად, სომეხი სამღვდელოების ამ კონსერვატიული წარმომადგენლის თეორიით, რომელსაც ალბათ საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული წრეებიც იზიარებდნენ, საქართველოს მთავრობას უნდა ეწარმოებინა თავის ქვეშევრდომ მაჰმადიანთა მიმართ დაუთმენელი კონფესიურ-ფისკალური პოლიტიკა, ხოლო ქრისტიანები, ქართველებიცა და სომხებიც, განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში უნდა ჰყოლოდა. ერთი სიტყვით, მხითარ გოშსა და მის თანამოაზრეებს სურდათ, რომ საქართველოს მთავრობას ეწარმოებინა არა სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ თავის საქმიანობაში ეხელმძღვანელა მხოლოდ კონფესიური პრივილეგიების პრინციპით, შურისძიების გრძნობით და თავისი ქვეშევრდომი მაჰმადიანების დევნულებით.

თუმა ჩვენ არ ვიცით მიიღო თუ არა რაიმე პასუხი მხითარ გოშმა თავის მემორანდუმზე, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სრულიად შეუცდომლად გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს პასუხი. ჩვენამდე მოღწეულია ერთი მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ნათლად და უეჭველის სიცხადით არეკლავს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აქ აღძრული საკითხის გამო.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სამოსამართლო დადგენილებას იმ არაჩვეულებრივ სასამართლოსი, რომელიც ქალაქ დვინში მოიწვია მინისტრმა ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა ორი სომხური მონასტრის დავის გამო ძვირფასი

ჯვრის გულისთვის. იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვის უნდა კუთვნებოდა ეს ქრისტიანული სიწმინდე სომხური ეკლესიის ხელისუფლების საქმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლები ამ საკითხს მიუდგნენ სულ სხვა თვალსაზრისით. იმათ მოიწვიეს შერეული სასამართლო, რომლის შემადგენლობაში მოიწვიეს არა მარტო სასამართლოს მუდმივი წევრები, არა მარტო სომხური ეკლესიის წარმომადგენლები, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, — არა მარტო ქართველი მღვდელმთავრები, რასაც სომეხი კლერიკალები ასე თუ ისე მაინც შეურიგდებოდნენ გულზე ხელდადებით, არამედ ამ არაჩვეულებრივ სასამართლოში მოწვეულ წევრთა რიცხვში აღმოჩნდა მაჰმადიანური რჯულის ოთხი ოფიციალური წევრი: თბილისის ყადი, ანისის ყადი და დვინის ყადი, ისევე როგორც ცნობილი შეიხი სურმანისა. ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენ აღშფოთებას გამოიწვევდა ჩამორჩენილ საეკლესიო წრეებში ის გარემოება, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიას ეხებოდა, მოწვეულ იქნენ მაჰმადიანი მერჯულენი, რაგინდ სახელგანთქმული არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

რადგან ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ სასამართლოს დაესწრო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (მწიგნობართუხუცესი), როგორც სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი, სრულიად აშკარა ხდება, რომ სასამართლოს ასეთი შემადგენლობა სწორედ მისი მითითებით იყო მოწვეული. ამ თავისი ნაბიჯით საქართველოს უმაღლესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ იმაზე მიუთითა, რომ ასეთი საქმეების გარჩევის დროს ის არ თვლის საჭიროდ ანგარიში გაუწიოს კონფესიურ განსხვავებებს, რომ ასეთ შემთხვევებში ქრისტიანები და მაჰმადიანები სრულიად თანასწორნი არიან და რომ ის მთავარ მნიშვნელოობს აკუთვნებს ცოდნასა და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის კაცი.

ამგვარად, თუმცა საქართველოს მთავრობა ამ ეპოქაში მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველად გამოდიოდა, მიუხედავად ამისა, თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში ის შეუდრეკლად იცავდა სარწმუნოებრივი მომთმენობის პრინციპს. ის იმის საბუთს იძლეოდა, რომ არა სარწმუნოებრივი მიზნებით ხელმძღვანელობდა, როდესაც ებრძოდა მაჰმადიან მფლობელებს, არამედ ებრძოდა მათ როგორც მტრულ პოლიტიკურ ძალას და არა როგორც ისლამის სამყაროს წარმომადგენლებს.

* * *

საქართველოს პოლიტიკური ზრდა და კულტურული აყვავება ემყარებოდა მაღალ მატერიალურ კულტურას, რომლის პროგრესისათის დაუცხრომლად ზრუნავდნენ ამ ეპოქის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავითმა საქართველოში მრავალი ხიდი ააგო მრისხანე მდინარეებზე და დიდძალი გზები გაიყვანა: ძნელგასასვლელი გზები მოკირწყვლის საშუალებით აქცია მიმოსვლის კეთილმოწყობილ გზებად. სოხუმის მახლობლად მდ. ბესლეთზე გადებულ იქნა დიდებული თლილი ქვისაგან გაკეთებული ხიდი საუცხოო წარწერით; ეს ხიდი ჩვენამდე არის მოღწეული და რამდენიმე წლის წინათ იგი გამოკვლეულ იქნა ტექნიკური თვალსაზრისითაც, რამაც ჩვენ დაგვანახვა, თუ რაოდენ სიმაღლეზე იდგა საგზაო და სახიდო სამშენებლო ხელოვნება მაშინდელ საქართველოში. საქართველოს დედაქალაქის დასაკავშირებლად ჯავახეთთან უმოკლესი გზით

თამარ მეფემ ბრძანა პირდაპირი საქარავნო გზა გაეჭრათ და ზეკარის ორივე მხარეს აეგოთ შენობები, მგზავრებისათვის სასტუმროები და ქარავანისათვის სამყოფელი.

მოსახლობის ზრდასთან ერთად საქართველოს მთავრობა ზრუნავდა დიდ საირიგაციო ნაგებობათა მოწყობაზე, სათესი ფართობის ზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ასე, მაგალითად, თამარის მეფობაში გაყვანილ იქმნა ორი დიდი არხი: ერთი მათგანი, ალაზნის არხი, 119 კილომეტრის სიგრძისა, რწყავდა 53.000 ჰექტარი ფართობს, ხოლო სამგორის არხი 20 კილომეტრის სიგრძისა იყო. 1202 წელს აგებულ იქმნა სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, 7 კილომეტრის სიგრძისა, რომელიც შიომღვიმის სავანეს დღეღამეში აწოდებდა 243,000 ლიტრ საუცხოო წყაროსწყალს. მატერიალური კულტურის ამ ძეგლთა ჰიდროტექნიკურმა და არქეოლოგიურმა საფუძვლიანმა გამოკვლევამ გვიჩვენა მაშინდელი საქართველოს საკანალიზაციო და საწყალსადენო საქმის მაღალი დონე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის შედარებით მაღალი დონე მაშინდელ საქართველოში, განსაკუთრებით, პურეულის პოლიმორფიზმით, იმას მოწმობს, თუ რა კარგად ერკვეოდნენ საქართველოში იმ დროს ცალკეულ კულტურათა სახეებსა და ხარისხებში.

გაცხოველებულ საშინაო და საგარეო (საექსპორტო) ვაჭრობას საშუალებას აძლევდა საქართველოს განვითარებული მეხილეობა, განსაკუთრებით მევენახეობა და მეღვინეობა თავისი მაღალხარისხიანი ყურძნის ჯიშებით, ისევე როგორც რაციონალურად მოწესრიგებული მსხვილი და წვრილი მეჯოგეობა, ფართო მასშტაბით გავრცელებული სელის წარმოება, ინტენსიური მეაბრეშუმეობა, მებამბეობა და მრეწველობის სხვა დარგები. სპარსელი გეოგრაფოსი ზაქარია ყაზვანი (1203—1283) თავის არაბულად დაწერილ შრომაში გადმოგვცემს, რომ თბილისიდან გაჰქონდათ გასაყიდად ბამბა, სწრაფმავალი ცხენები და ჯორები, მაღალხარისხოვანი მატყლი, აბრეშუმი, ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვადასხვაგვარი ბეწვეული და სხვა. ხოლო იტალიელი მოგზაურები მოგვითხრობენ ძვირფას და ოქრომკედით ნაქსოვ აბრეშუმის ქსოვილებზე. ნავთობიც კი გაჰქონდათ საქართველოს მეზობელ პროვინციიდან, დიდი არმენიიდან. (სურათები)

შინაარსი

თავი პირველი

საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII—XII ს. ქ. შ. 1—72

I. ტერმინები 1—15,

II. საისტორიო გეოგრაფია 15—72: § 1. მთები. §2. ზღვები, ტბები და მდინარეები. § 3. მოსახლეობა; **ქართლი**, ქართლის საზღვრები, ქართლი ფართო მნიშვნელობით. ყოვლი ქართლი. ერთობილი ქართლი. საქართუელოჲ. გარდაბანის საზღვრები, ქალაქი გარდაბანი. სამშვილდის საერისთაო. თრიალეთი და სხვა ხეობანი. ქ. მცხეთა, ქ. ტფილისი. ქართლის იმდროინდელი ქალაქები, ციხეები და დაბა-სოფლები. **კახეთი**, კოხეთი, კუხეთი, საზღვრები. ერწო, წობენი, თიანეთი, ჭართალეთი, ცხავატი. ცხრაზმა, გუდამაყარი, ჴადა, ჴევი, ფხოეთი, დიდოეთი, თოშეთი, მთიულეთი, მთეულნი და მთიულნი. წანარნი და წანარეთი.

კამბეჩანი. ცნობები კახეთის მოსახლეობისა და მცხოვრებთა შესახებ. ჰერეთის ჰავა. ცნობები კახეთ-კუხეთ-ჰერეთის ქალაქებისა, ციხეებისა და დაბა-სოფლების შესახებ. **ლიხთიმერეთი** და მისი შემადგენელი ნაწილები და საზღვრები. ეგრისი, სუანეთი და აფხაზეთი. მარგუეთი. სამოქალაქო. რაჭა. გურია, თაკუერი. აფხაზეთი. ლიხითიმერეთის ბუნება და ჰავა. მცხოვრებთა ზნის დახასიათება, ცნობები ქალაქებისა, ციხეებისა და დაბა-სოფლების შესახებ, **სამცხე** და მისი საზღვრები. ცნობები მოსახლეობის შესახებ. სამცხის ქალაქები, ციხეები და დაბა-სოფლები. **ჯავახეთის** საზღვრები. ჯ. ქალაქები, ციხეები და დაბა-სოფლები. **არტაანი. კოლაჲ. პალაკაციო. აჭარა. შავშეთის** საზღვრები. ცნობები მოსახლეობის შესახებ. **კლარჯეთის** საზღვრები. ბუნება და მოსახლეობა. **ეგრი. ნიგალი.** ცნობები **შავშეთისა და კლარჯეთის** ციხე-ქალაქებისა და დაბა-სოფლების შესახებ. **ტაოს** საზღვრები. ტაოს ციხე-ქალაქები და დაბა-სოფლები. ტაოს ბუნება და მოსახლეობა. **ბასიანი**. თორთომი. ცნობები ტაოს ციხე-ქალაქებისა და დაბა-სოფლების შესახებ. **ქალდია. გზები.**

თავი მეორე

არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველს ორს საუკუნეში 73—84

არაბების პირველი შემოსევა საქართველოში 643-645 წ. და არაბების სარდლის განცხადება ქართველთა დამორჩილების შესახებ. არაბებს პირველ ხანებში განმათავისუფლებლად სთვლიდნენ. არაბული ცნობების განხილვა. ხელშეკრულება ქართველებსა და არაბებს შორის დადებული. საქრათველოს რომელი კუთხე და ადგილები დაემორჩილა არაბებს. არაბთა ბატონობის შესუსტება 657 წ. შემდგომ. არაბებისა და ბიზანტიის 678 წ. შეთანხმება აღმოს. საქართველოს შესახებ. ხაზართა შემოსევა 685 წ. საქართველოში. ბიზანტიელებმა 688-689 წ. არაბები იბერიითგან განდევნეს და თვით დაიმორჩილეს. ნერსე ქართლისა ერისთავი. ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკისძის აჯანყება 689 წ. ბიზანტიელების წინააღმდეგ. არაბების ბრძოლა ხაზარებთან. მურვანის გამოლაშქრება საქართველოში და იმიერ-კავკასიაში ხალიფა ჰიშამის ბრძანებისაებრ 729—730 წ. და ქართველი მემატიანის შეცდომა. მურვანის ლაშქრობამ საქართველო ააოხრა. არაბებმა ხალიფა მანსურის დროს არაგვის ხეობა დაიპყრეს და ხარკი დაადეს. ხაზარების შემოსევა საქართველოში 764 წ. ერისთავთ-ერისთავის ჯუანშერის დროს, ტფილისის შემუსვრა და ჯუანშერისა და მისი დის ტყვედ წაყვანა და 771 წ. ჯუანშერის განთავისუფლება. აბბასელ გვარის ხალიფების პოლიტიკის საზოგადო მიმართულება. ნერსე ერისთავის მიწვევა 772 წ. ბაღდადში და დატუსაღება. მისი განთავისუფლება 775 წ; ამირასთან გამწვავებული დამოკიდებულების გამო ნერსე 780—781 წ. ჯერ იმიერ-კავკასიაში გაიქცა, მერე აფხაზეთში გადავიდა. ნერსეს მაგიერ ქართლის ერისთავად სტეფანოზი ძე გურგენისი დასვეს. ნერსეს და არაბ ამირას შერიგება, ნერსეს დაბრუნება 782 წ. ტფილისში საცხოვრებლად, მაგრამ ერისთავობა მაინც აღარ დაუბრუნეს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა ბიზანტიის ხელში.

თავი მესამე

ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა არაბთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში 85—91

ქართველთა მდგომარეობა 643—645 წ. არაბებთან დადებულ ხელშეკრულების მიხედვით და ამ ხელშეკრულების გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაზე. ხელშეკრულების დადების დროს ქართველებს განსაკუთრებით სარწმუნოების თავისუფლებაზე და ეკონომიურ საკითხზე. ხარკზე უზრნვიათ. პოლიტიკური მდგომარეობა ხელშეკრულებაში გამორკვეული არ არის. ხარკის აკრეფის წესი საქართველოში არაბების ბატონობის პირველს ხანებში. როცა არაბებმა ამიერ-იმიერ-კავკასიაში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, ქართველთა მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა. არაბების სიმკაცრე და ქვეყნის შევიწროება. ხარკის გადიდება. არაბების ბატონობისაგან ილაჯგაწყვეტილი ხალხი გარბოდა და დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდა მართვა-გამგეობა საქართველოში არაბების ბატონობის დროს. ქართველების მდგომარეობა და იოანე საბანის ძის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ქადაგება, ეროვნული გრძნობის გამოღვიძება.

თავი მეოთხე

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათის 92—108

საქართველოს გამოცოცხლება როგორ და საითგან დაიწყო. აფხაზეთის სამეფოს დაარსება ლეონის მიერ და მისი სამეფოს საზღვრები. ქართლის მდგომარეობა ამ დროს და ბიზანტიის მფარველობა. სარკინოზთა მოუძლურება და ტფილისის საამირო. ბიზანტიის მფარველობის კეთილი შედეგი. კახეთის მთავარი გრიგოლ და კახეთის ძლიერება. საქართველოში მოქმედ ამ ოთხ პოლიტიკურ ძალის სამფლობელობის საზღვრები. საქართველოს გაერთიანება იწყება დასავლეთითგანაც და აღმოსავლეთითგანაც. აშოტ კურაპალატის გალაშქრება თეოდოსი აფხაზთა მეფის დახმარებით გრიგოლ კახთა ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ. კახთ მთვარისა და მის მოკავშირის ტფილისის ამირას დამარცხება და ქართლში დაპყრობილ ადგილების წართმევა. ხალიდ იაზიდის ძის შემოსევა და კვლავ ქვეყნის დამორჩილება. აშოტ კურაპალატის მოკვლა 826 წ. სარკინოზთა მიერ. არაბების გაბატონება ქართლში და ხარკის დადება. აშოტ კურაპალატის შვილები, შუათანა ძმის ბაგრატის კურაპალატობა და ძმების გაძლიერება. ურჩ ტფილისის ამირას საჰაკ ისმაელის ძის დასასჯელად ხალიფას მიერ საქართველოში წარმოგზავნილი 841—842 წ. ხალიდ იაზიდის ძის სიკვდილი. სარკინოზთა შორის ჩამოვარდნილი მტრობით ისარგებლეს ქართველთა მთავრებმა და ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს; ქართლის ერისთავთ-ერისთავი ბაგრატ კურაპალატი ხალიფას სარდალს მოჰამედს ხალიდის ძეს მიემხრო, კახთა ბატონი ტფილისის ამირას. ბუღა თურქის გამოლაშქრება კავკასიაში და საქართველოში. ტფილისის აღება და ცეცხლითა და მახვილით განადგურება 853 წ., აფხაზთა მეფის თეოდოსის უკუქცევა. ბუღა თურქის გალაშქრება არაგვის ხეობაში და მისი უკუქცევა. ხაზართა 300 სახლის გამოყვანა და შანქორში ჩასახლება, დმანისში 100 სახლი ოსის დასახლება 854—855

წ. ბუღას მიერ. ბუღას უკან გაწვევა, კავკასიითგან. ტფილისის ამირა 855 წ. მუჰმედ ხალიდის ძე, მისი გადაყენება და მის მაგიერ 870 წ. ის შიხის ძის მოსვლა. ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური. ამირები აბრაჰამ და მუჰმედ ხალიდის ძე. აფხაზთა მეფის გიორგის გამოლაშქრება და ქართლის დაპყრობა. გუარამ მამფალის მოღვაწეობა. მტრობა დავით ბაგრატის ძესა და ნასრ გუარამის ძეს შორის ჩამოვარდნილი კლდეკარის ციხის გამო. ამ ბრძოლაში სომეხთა მთავრის აშოტ ბაგრატუნის გარევა. ქართველ მთავართა ბრძოლაში სომეხთა მთავრის ჩარევის შედეგი. ბრძოლის გართულება და მოკავშირეთა ცილობა ქართლსაზედა და მებრძოლთა ორ დიდ ბანაკად ქცევა. დავით ბაგრატის ძის ვერაგული მკვლელობა 881 წ. ნასრის მიერ ჩადენილი და ნასრის დასჯა. გუარამ მამფალის სიკვდილი და მისი მემკვიდრეობის განაწილება. აფხაზთა მეფემ ბაგრატმა გამოიყვანა თავისი ცოლისძმა ნასრი ბიზანტიითგან, რომელმაც თავისი მამის სამფლობელოს დაბრუნება მოიწადინა. ბრძოლის გართულება. ნასრის და მის მოკავშირეთა დამარცხება 888 წ. და ნასრის მოკვლა. ნასრის მემკვიდრეობის საბოლოოდ განაწილება მის მოწინააღმდეგეთა შორის. ბაგრატ აფხაზთა მეფე და ქართული წყაროები ადარნასე კურაპალატმა და ქართველთა მეფემ სომეხთა გარდაცვალებულ მეფის აშოტის შვილს სუმბატს ბიძის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა და 891 წ. სომეხთა მეფობა მიულოცა. აბაისის შურისძიება. კოსტანტინე აფხაზთა მეფემ 904 წ. ქართლი დაიპყრო. ბრძოლა ამის გამო აფხაზთა მეფეს კონსტანტინეს და სომეხთა მეფეს სუმბატსა და მის მოკავშირეს ქართველთა მეფეს ადარნასეს შორის კოსტანტინეს ვერაგული შეპყრობა და ტყვედ წაყვანა. საშინელი შფოთი და მღელვარება აფხაზეთში ამის გამო. ამით შეშინებული სომეხთა მეფე კოსტანტინეს ათავისუფლებს და ემოყვრება. ადარნასე ამ დამეგობრებით უკმაყოფილოა და მისთვის სომეხთა მეფესთან კავშირს უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მტრობს. ამირა აბულკასიმის შემოსევა სომხეთში და სუმბატ მეფის ჩამოხრჩობა 914 წ; ქართლისა, სამცხისა და ჯავახეთის დაზარალება. არაბთა შესევა კახეთში და კჯრიკე ქორეპისკოპოსის დამორჩილება. აბულკასიმის მოქმედება ქართლში, სამცხეში და ჯავახეთში. სომეხთ მეფის დამარცხებით ქართველთა მეფემ კი არ ისარგებლა, არამედ აფხაზთა მეფემ კოსტანტინემ, რომელმაც კჯრიკე ქორეპისკოპოსის დახმარებით ჰერეთში ციხეები დაიპყრა და სხვა ქართველ მთავრებზე უპირატესობა მოიპოვა. კოსტანტინეს სიკვდილი და გიორგის გამეფება აფხაზეთში და ქართლში, ქართლის გამგედ უფლისწულ კოსტანტინეს დანიშვნა. მისი განდგომა მამის წინააღმდეგ. აზნაურთა მონაწილეობა ამ განდგომილებაში და ამ გარემოების დამახასიათებელი მნიშვნელობა საქართველოს ცხოვრებისათვის. გიორგი მეფის გამარჯვება. გიორგი მეფის ლაშქრობა კახეთში და კჯრიკე ქორეპისკოპოსის შეპყრობა. ქართლის აზნაურთა ორგულობა. კახეთის დაპყრობა გიორგი მეფის მიერ. კჯრიკეს დროებით განთავისუფლება, ქართლის აზნაურთა თაოსნობითა და თანადგომით სიტყვის გატეხა კჯრიკეს მიერ და კვლავ კახეთის დაპყრობა. აზნაურები ამ გზით ცდილობდნენ მეფე არ გაძლიერებულიყო და საქართველოს გაერთიანების აფერხებდნენ, გიორგი მეფის სიკვდილი და გამეფებულ ლეონ უფლისწულის დაზავება კჯრიკესთან. ლეონ მეფის გალაშქრება კახეთში. ლეონის სიკვდილი და დემეტრეს გამეფება, მისი ძმის თეოდოსის აჯანყება, მისი დამარცხება და დასჯა. თვალდამწვარ თეოდოსის გამეფება დემეტრეს სიკვდილის შემდგომ და ქვეყნის არევა.

თავი მეხუთე

საქართველოს მდგომარეობა VIII მერე ნახევ. —X საუკ. 109—122

ამ ხნის განმავლობაში ქართველებს ორ დიდ სახელმწიფოსთანა ჰქონდათ საქმე, საბერძნეთთან და არაბთა სახალიფოსთან. ქართველ-ბიზანტიელთა პოლიტიკურ დამოკიდებულებათა თვისება: ბერძნები ქართველთა მეფეებს "მთავრებსა" და "მფლობელებს" უწოდებდნენ და ამ გარემოების მნიშვნელობა. ტაო-კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავები და აფხაზთა მეფეები კეისრის მფარველობის ქვეშ იყვნენ და დამოკიდებულების ნიშნები. კეისრის «ბრძანება». ბიზანტიის კეისრის მიერ საკარისკაცო პატივის წყალობა ქართველი მეფეებისათვის და ამის მნიშვნელობა ქართველთათვის. კეისრების მიერ ქართველ მთავრებისა და მეფეებისათვის საპატიო ტანისამოსისა და სამკაულის მიძღვნა. ქართველებს კეისრისაგან ჯამაგირი არ უღიათ. ბიზანტიის უფლება საქართველოში მფარველობას არ გადასცილებია და შინაურ საქმეებში გარევის უფლება არა ჰქონია. ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა ორი შტო: «კლარჯნი ჴელმწიფენი» და უმთავრესი შტო "მეფენი ტაოსნი», პირველი «ქართუელთა მეფე» ადარნასე ძე დავით კურაპალატისა, 888 წელს დასმული. საგვარეულოს ერთი წევრი კურაპალატობის პატივის მქონებელი უფროსად ითვლებოდა. პირველ მეფეს ხელქვეით 4 მთავარი ჰყოლია. სახელმწიფო დავთარხანები და «გლახაკთა ნაწილი» ვითარცა იმდროინდელ საქართველოს უკვე დაწინაურებულ მდგომარეობის მომასწავებელი გარემოებანი. ქართველ-არაბების პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება. რა დრომდის იხდიდნენ ქართველები არაბის ხარკს. ტფილისის ცალკე საამიროს დაარსება და ამის მნიშვნელობა. სამონასტრო მოძრაობა და ეკლესიის ბატონობა. სამონასტრო მოძრაობამ საქართველოს უდაბურ და უშენ ადგილებში მოსახლეობის გაჩენას და ახალშენობას ხელი შეუწყო. ამ მოძრაობის მოთავე და მონაწილენი გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, მიქელ პარეხელი, საბა იშხნელი და სხვანი. ეკლესიის, სამბას ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. არსენი კათალიკოზის თხზულება ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ. მირონის საქართველოში კურთხევის უფლების მიღება. ახალ ქართულ საეპისკოპოსო სამწყსოების დაარსება. საქართველოს მდგომარეობა ხატების მებრძოლთა და თაყვანისმცემელთა შორის ჩამოვარდნილი ქიშპობის დროს. მცხეთის საკათალიკოზო საყდრის მნიშვნელობა მაშინ. ლაზიკისა და აფხაზეთის ეკლესიების მდგომარეობა.

თავი მეექვსე

საქართველოს გაერთიანება 123—163

1. **მეფე ბაგრატ III და დავით დიდი კურაპალატი**. 123-133: საქართველოს გაერთიანების მონატრულნი და მათი მეთაური იოანე მარუშის ძე, მისი ღვაწლი; დავით კურაპალატის მიერ ბაგრატ III დასმა ქართლში. ბაგრატის თანაგამგებელი მისი მამა გურგენი. აზნაურთა მზაკვარება, გურგენისა, დედოფალ

გურანდუხტისა და ბაგრატის შეპყრობა. დავით კურაპალატის გადმოსვლა და შეპყრობილთა განთავისუფლება და კახთა უკან დახევა. საქართველოს გაერთიანება, ბაგრატის მეფედ დასმა აფხაზეთში იოანე მარუშის ძის თაოსნობითა და დავით კურაპალატის თანხმობა. ბაგრატ III ქართლში გადმოსვლისა და აფხაზეთში გამეფების თარიღები. ბაგრატ III პირველი სახელმწიფო მოღვაწეობა აფხაზეთში და ქართლში. ბაგრატ III ბრძოლა კლდეკარის ერისთავის რატის წინააღმდეგ და დავით კურაპალატთან უთანხმოების ჩამოგდება. ბაგრატის გაბედული საქციელი და დავით კურაპალატთან შერიგება. რატის დამორჩილება. დავით დიდი კურაპალატის 1001 წ. გარდაცვალება. მისი მოღვაწეობა. ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 977 წ. ბრძოლისათვის დავით კურაპალატის მიერ კეისრისაგან ქვეყნების მიღება. კეისარ ბასილსა და დავით კურაპალატს შორის 989 წ. სამდურავის ჩამოვარდნა და მათი შეთანხმება. ბრძოლა ამირა ბადის წინააღმდეგ და ქ. მანაზკერტის აღება. ადარბაგანის ამირა მამლანის გამოლაშქრება 990 წ. ახლო-ხანებში და ქართველ-სომეხთა შეერთებული მხედრობის ომი მის წინააღმდეგ და შეშინებულ ამირას გაქცევა. მამლანის მეორე გამოლაშქრება 998 წ. და ქართველ-სომეხთა შეერთებული ჯარის გამარჯვება. ბასილ კეისრის მოსვლა ტაოში 1001 წ. დავით კურაპალატის გარდაცვალების უმალ და ბაგრატ III და გურგენ მეფის იმედები, იმედის გაცრუება და კეისრის ვერაგობა. შეურაცხყოფილ გურგენ მეფის მტრობა და კეისრის მოციქული მშვიდობიანობისა და თანხმობის დასამყარებლად. გურგენ მეფის 1008 წ. სიკვდილი და ბაგრატის გამეფება ქართლშიაც. ბრძოლა კახეთის ქორეპისკოპოსებთან დავითთან და კჳრიკესთან და კახეთის შემოერთება. ტაშირისა და ბოლნის-დმანისის ხეობათა პოლიტიკური მდგომარეობა. «კლარჯ ჴელმწიფეთა» დაპატიმრება და მოსპობა. განძის ამირა ფადლონის კადნიერი ქცევა და მის წინააღმდეგ გალაშქრება. ფადლონის დამორჩილება. ბაგრატ III საზოგადო დახასიათება. ბაგრატის გარდაცვალება 1014 წ.

2. **მეფე გიორგი I** 133-136: მისი წლოვანება ტახტზე ასვლის დროს და დაბადების წელიწადი. ჰერეთ-კახეთის განდგომა. ბრძოლა ბიზანტიელებთან; გიორგი მეფის მიერ 1014—1016 წ. დავით კურაპალატისეულ სამფლობელოს დაპყრობა, და ამის გამო ატეხილი ომი ბასილ კეისართან. კეისრის სამხედრო ხერხი ქართველების მოსატყუებლად, ქართველ-ბიზანტიელთა 1021 წ. ბრძოლა და ქართველების უკან დახევა. ფიცხელი ომი (შირიმთან) და კეისარის გამარჯვება. ქართველთა კვლავ უკან დახევა თრიალეთამდის და კეისრის დადევნება და ქვეყნის აოხრება. ქართველთა მეშველი ჯარის მოსვლა და კეისრის უკან გაბრუნება და საზამთროდ ტრაპიზონში დაბანაკება. ბასილი კეისრის სამზადისი, ზავი ქართველ-ბიზანტიელთა შორის. ქსიფეს განდგომა კეისრის წინააღმდეგ და ქართველების გამხნევება და სამხედრო სამზადისი. ბასილ კეისრის შურისძიება და გიორგი მეფის სამხედრო ხერხი. ქართველთა დამარცხება და 1023 წ. ზავის პირობები. მცირეწლოვან ბაგრატ უფლისწულის მძევლად წაყვანა და 1025 წ. უკან დაბრუნება. გიორგი I სიკვდილი 1027 წელს.

3. მეფე ბაგრატ IV 136-158: ბაგრატის ძმა და დები. ბაგრატის დაბადების თარიღი და წლოვანება გამეფების დროს. ბაგრატს მძიმე ტვირთი ერგო სამკვიდრებელად, ბიზანტიის პოლიტიკა და ვერაგობა. ტაოელ აზნაურთა განდგომა 1027 წ. და ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა. ბიზანტიელი სარდლის ნიკიტა პარაკიმომენის მოსვლა 1028 წ. დიდი ჯარითურთ საქართველოში და

ქვეყნის აოხრება და აზნაურთა გადაბირება, საბა მტბევარის თავგამოდებული მამულიშვილური მოღვაწეობა და შავშეთის დაცვა ბერძენთა მიტაცებისაგან. ბერძენთა მიერ დემეტრე კლარჯის გამოყვანა მდაბიო ხალხის მოსატყუებლად და ასაღელვებლად. კონსტანტინე კეისრის სიკვდილი 1028 წ. და საქართველოს დაწყნარება. ბაგრატ IV დედის მარიამ დედოფლის 1030—1031 წ. გამგზავრება და ბერძენ-ქართველთა შორის მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდება, ბაგრატისათვის საცოლოდ ბერძენთა უფლისწულის ელენეს მოყვანა და კურაპალატობის პატივის გამოთხოვნა. ბაგრატ-ელენეს ჯვარისწერა ბანაში, ელენეს ხანმოკლე სიცოცხლე და ბაგრატის მეორე ცოლი ბორენა. ბაგრატის ნახევარძმის დემეტრეს განდგომა და 1032 წ. კეისართან წასვლა, ციხე ანაკოფიის გადაცემა ბერძენთა ხელში. ბრძოლა ტფილისის ამირას ჯაფარის წინააღმდეგ, მისი შეპყრობა 1032 წ. ლიპარიტ ერისთავის მიერ და ბირთვისის წართმევა, ამირას განთავისუფლება. ტფილისის გარემოცვა 1037—1038 წ. და ტფილელთა და ამირას დიდი გაჭირვება ბაგრატისა და ამირას მოულოდნელი დაზავება. ბაგრატის კახეთში გალაშქრება და ძლევამოსილი ომები. შინაური მტრების შიშით ბაგრატმა კახეთითგან უკან დაიხია. ბაგრატ-ლიპარიტის ბრძოლა, ლიპარიტის მეშველად ბერძნები იყვნენ და ბაგრატის ძმა დემეტრე, ბაგრატ-ლიპარიტის შერიგება და ლიპარიტის ქართლის ერისთავად დანიშვნა. ანელთა მიერ 1045 წ. ანისისა და ვესტის მიერ მის 9 ციხის გადაცემა ბაგრატისა დ მის დედისათვის. ანაკოფიის ციხის 1046 წ. გარემოდგმა ბაგრატის მიერ. ტფილისის ამირას გარდაცვალება და ბაგრატ მეფის მიწვევა ტფილისში ქალაქის ბერთა მიერ. ისნელთა წინააღმდეგობა. კახთა მეფის გაგიკის მოსვლა ბაგრატთან სადარბაზოდ. ლიპარიტის კვლავ აშლა ბაგრატის წინააღმდეგ და მეფისაგან ანისის ერისთავად დადგენილის აბუსერის შეპყრობა. ტფილისისა და ანისის დაკარგვა ლიპარიტის წყალობით. მედგარი და გამწარებული ბრძოლა მეფესა და ლიპარიტს შორის 1046—1047 წ. ბაგრატის გაჭირვებული მდგომარეობა და შერიგებისათვის ამაო ცდა. ლიპარიტის წყრომის მიზეზი. ბაგრატის სამზადისი ლიპარიტის წინააღმდეგ. ლიპარიტმა მეფეს დაასწრო და მეფე დაამარცხა. რა მიზეზი იყო რომ ლიპარიტს ბერძნები ეხმარეობდნენ. ლიპარიტის ლაშქრობა ბერძნებთან ერთად თურქების წინააღმდეგ და მისი დაყტვევება 1048 წელს. ბაგრატის გაძლიერება. ბაგრატი ბერძნებს მიეშველა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაგრატს ტფილელთ კვლავ გადასცეს ქალაქი, რომელსაც დაეპატრონა. 1051 წ. ლიპარიტის თურქთა ტყვეობითგან განთავისუფლება და ამის გამო ბაგრატის წასვლა ტფილისითგან. ლიპარიტის გაძლიერება და ბაგრატ მეფის წასვლა 1054 წ. ბიზანტიაში. ბაგრატის მისვლა კონსტანტინეპოლში და საყვედური კეისრისადმი. ბაგრატ-ლიპარიტის შეთანხმება და პირობის დადება. მცირეწლოვან გიორგი უფლისწულის მეფედ კურთხევა და ლიპარიტის მზრდელად დანიშვნა, ბაგრატ მეფის დაბრუნება 1057 წ. ბიზანტითგან საქართველოში და ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობა. ლიპარიტის შეპყრობა დიდებული აზნაურის სულა კალმახელი მიერ და ბაგრატის მოწვევა. ლიპარიტის ბერად შედგომა და ათონის ქართველთა მონასტერში წასვლა. ლიპარიტის შვილის ივანეს 1059 წ. სამშობლოში დაბრუნება და საგვარეულო მამულის დაბრუნება. ბაგრატის გაძლიერება, კახეთის დაპყრობა და 1060 წ. სევასტოსობის პატივის მიღება. ალფარსლან სულტანის შემოსევა საქართველოში 1065 წ. და ქვეყნის აოხრება. სულტანმა ბაგრატს დისწული სომეხთა მეფის კჯრიკეს ასული სთხოვა ცოლად. მამის უარი, მისი შეპყრობა ბაგრატის

ბრძანებისამებრ და სამშვილდის ჩამორთმევა. დისწულის მითხოვება სულტანზე. მათე ურჰაელის და სპარსელი ისტორიკოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობებისა და ქართველ მემატიანის მოთხრობის შედარება ერთიერთმანეთთან და მათის ღირსების გამორკვევა. ბაგრატის ასულის მართას გათხოვება ბერძენთა მეფეზე. ბაგრატის შესევა კახეთში 1067—1068 წ. სულტანის შემოსევა საქართველოში და კახთ-ბატონის საქციელი. ბაგრატის უკან დახევა კახეთითგან. სულტანის მიერ 1068 წ. საქართველოს აოხრება. ზამთრის სიფიცხით შეწუხებულ სულტანის თანხმობა ზავის დადებაზედ საქართველოთგან წასვლა. სულტანის მიერ ტფილისისა და რუსთავის მიცემა განძის პატრონისათვის. წყალდიდობა და მისგან მოყენებული ზარალი. გათამამებულ ფადლონის დასასჯელად ქართველთა ჯარის მიტევა და გაქცეულის შეპყრობა. ტფილისის გარემოდგომა და აღება ბაგრატის მიერ, საამიროს ციხეების ჩამორთმევა, ტფილისის «მემამულე»-სათვის გადაცემა და ყოველწლიურ ხარკის დადება. ფადლონის გაშვება და სამაგიეროს მიღება. ფადლონის უპირობო და ფიცის გატეხა, მის დასასჯელად განძის აოხრება. ბაგრატის ცოლის ძმის ოსთა მეფის მეშველადა და სტუმრად მოსვლა საქართველოში, სულტანის წადილი, რომ საქართველოზე ხარკი დაედო, ბაგრატის უარი. ბაგრატის ავადმყოფობა და სიკვდილი 1072 წ.; ბაგრატის საზოგადო დახასიათება.

4. გიორგი II 158—163: გიორგი მეფის ხასიათი და თვისებები, დიდებულთა განდგომა 1073 წ. და ქვეყნის აშლა. აჯანყებულთა სხვადასხვა საჩუქრებით დამშვიდება. ივანე ლიპარიტის ძის ხელმეორედ განდგომა და გიორგი მეფის მიერ დამარცხება, მათი შერიგება და კვლავ განდგომა და ღალატი. მელიქშაჰის მოსვლა საქართველოში და ივანეს მიმხრობა. სამშვილდის აღება სულტანის მიერ და ივანეს და მისი სახლობის ტყვედ წაყვანა. ქართლის აოხრება. ბრძოლა ფარცხისთან და ქართველთა გამარჯვება და მტრის უკუქცევა. გრიგოლ ბაკურიანის ძის მოსვლა ტაოში და კარის ციხე-ქალაქის დათმობა გიორგი მეფისათვის. თურქთა გაძლიერება და 1074 წ. ბერძენთა მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნების დათმობა თურქებისათვის. მელიქშაჰის საქართველოში შემოსევისა და ომების თარიღები. საქართველოს დიდი განსაცდელი, ორთავმხრივ თურქობა. კარის აღება თურქების მიერ და თავდასხმა გიორგი მეფეზე ყუელის ციხესთან, მტრის დიდი გამარჯვება და გიორგი მეფის ოტება. სხვა თურქების შემოსევა 1080 წ. და საქართველოს საშინელი აოხრება. მკაცრი ზამთარი და ხალხის დიდი გაჭირვება. საქართველოს უკიდურესი განსაცდელი და აოხრება. გიორგი II გამგზავრება მელიქშაჰთან მშვიდობიანობაზე მოსალაპარაკებლად და ზავის მძიმე პირობები, ყოველწლიურ ხარკის დაკისრება. სულტნის მიერ ჰერეთ-კახეთის «წყალობა» გიორგისათვის და კახეთში გალაშქრება. გიორგი მეფის გასაოცარი ქარაფშუტობა. ივრის პირის აოხრება. კახთა მეფის გამაჰმადიანება და გიორგის იმედის გაცრუება. საშინელი მიწისძვრა 1088—1089 წ. და თმოგვის დაქცევა. გიორგი II-მ მეფობაზე უარი თქვა.

თავი მეშვიდე

სქართველაოს სოციალური და კულტურული მდგომარეობა გაერთიანების ხანაში 164—192

საქართველოს პოლიტიკური ზრდა. აღმოსავლეთის საზოგადო უბედურება საშუალო საუკუნეებში დასავლეთთან შედარებით. რა აფერხებდა საქართველოს ზრდას. პატრონყმობა და მისი მნიშვნელობა საქართველოში. ბრძოლა მეფეთა და დიდგვარიან აზნაურთა შორის და მეფეთა პოლიტიკა. გამწვავებული ურთიერთობა. ერთგულთა უხვად დასაჩუქრების აუცილებლობა. გიორგი II პოლიტიკა. ამ ბრძოლის მავნე შედეგი: ქვეყნის აშლილობა და შუღლი. ქართ. ეკლესიის ვედრება. მეფეთა მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა საზოგადო დახასიათება. რა ზიანი მოჰქონდა საქართველოსათვის ამ უთანხმოებასა და ბრძოლას. დიდი საკულტურო მუშაობა. საუცხოვო ქართული საისტორიო თხზულებები საზოგადოებრივ აზრის მომწიფების გამომხატველნი. ქართული ეროვნული თვითშემეცნების ჩამოყალიბება და მომწიფება; რა და რა გარემოებამ შეუწყო ხელი ამ მიმართულების დამკვიდრებას. იოანე და ეფთჳმე მთაწმიდელთა დიადი ღვაწლი და მათ მიერ დაარსებული მონასტრის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ესპანიისაკენ გამგზავრება და იქ ვითამც მცხოვრებ ქართველთა შორის თავის სამონასტრო მოღვაწეობის მოწყობის განზრახვა. იოანეს ეროვნული მიმართულება. საბერძნეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა ეროვნულ გრძნობის გაცხოველება და განმტკიცება იმ მედგარი ბრძოლის გამო, რომელიც სუფევდა საბერძნეთში ქართველ და ბერძენ მონაზონს შორის. ქართველ-ბერძენთა სიძულვილი და გამწვავებული ურთიერთობა. ქართველთა დევნა საბერძნეთში. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შეერთება ამის გამო და შეერთებულის ძალით და ერთგვარის საშუალებებით ბრძოლა ბერძენთა წინააღმდეგ. მკაცრი ზომები ქართველთა მონასტრებში ბერძნების წინააღმდეგ. ამ ბრძოლისა და უცხოეთში აგებულ ქართველთა მონასტრების დიადი საკულტურო მნიშვნელობა, სრული კავშირი საბერძნეთთან და ქართული მწერლობის გამდიდრებისათვის ზრუნვა. ქართველ მოღვაწეთა გულისნადების და წადილის განხორციელება, მოღვაწეობის ორგვარი მიმართულება. იოანეს და ეფთჳმეს ძლიერი ეროვნული გრძნობა და მისი ნაყოფი. საერთო კულტურული მუშაობა და თანაგრძნობა. ათონის მონასტრის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეფთჳმეს დაუღალავი და აღფრთოვანებული მოღვაწეობა. მთარგმნელობითი და სამწერლობო მოღვაწეობის მნიშვნელობის დაფასება. გიორგი მთაწმიდელი ვითარცა ეფთჳმე მთაწმიდელის მოღვაწეობის განმაგრძობელი და დამასრულებელი. «სიტყუა-დუხჭრობის და ვერაგობის» შესწორება გიორგის მიერ ძველ თარგმანებში. საღმრთო სჯულის წიგნების ნაკლულევანება და დეგესლილობა, მათი მიზეზი და მოსპობა. მწვალებლობის შიში და ქართულ ძველ საეკლესიო წესებისა და სამღვდელმსახურო წიგნების ბერძნულთან შედარება და შესწორება. ბერძენთა საბრძოლველი იარაღი ქართველთა წინააღმდეგ მწვალებლობის დაწამება და გიორგი მთაწმიდელის შესაფერისი შრომა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხის აღძვრა ანტიოქელ სამღვდელობის მიერ და გიორგი მთაწმიდელის ქართველთა უფლების ბრწყინვალე დაცვა და დასაბუთება. გიორგი მთაწმიდელის იერიში ბერძნების წინააღმდეგ. ქართველ-ბერძენთა ბრძოლის საზოგადო მნიშვნელობა ქართველებისათვის. ქართველთა იდეალური თვითშემეცნება და ეროვნული თავმოყვარეობა. სომეხ-ქართველთა პირვანდელი ერთობა და კავშირი, ამ მოვლენის თავისებური ახსნა და ქართველთა უმანკოების თეორია XI ს. გიორგი მთაწმიდელი ვითარცა დემოკრატიული მოძღვრების მქადაგებელი და განმახორციელებელი ქართულ ეკლესიაში. გიორგი მთაწმინდელის გამგზავრება

შავი მთითგან საქართველოში. დიდი შიმშილობა საქართველოში და ქართველი სამღვდელოების გულგრილობა. გიორგი მთაწმიდელის გაჭირვებულთათვის მზრუნველობა. გიორგი მთაწმიდელის მკვეთრი მხილება მეფისა და სამღვდელოებისა უგულობისა და უწესოებისათვის. მოყვასისადმი ზნეობრივ მოვალეობის შეუგნებლობა, სამღვდელოება და იესოს მაღალი მოძღვრების შინაარსის ახსნა გიორგის მიერ, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების თავდათავი საზრუნავი უნდა სამწყსოს კეთილდღეობა იყოს და არა ეკლესიების გამშვენიერება. წოდებრიობის უარყოფა და დარღვევა საეკლესიო საქმეში და ადამანის პირადი ღირსების წინ წამოყენება, «მონებისა» და შეურაცხთა მღვდლად კურთხევა გიორგი მთაწმიდელის მიერ. გიორგი მთაწმიდელის ღვაწლის სიდიადე ამ მხრივ. გიორგი მთაწმიდელის მაღალი სულიერი თვისებანი და ზნეობრივი სიფაქიზე: პირუტყვთა ზედა მოწყალების საჭიროების ქადაგება. საქართველოს იმდროინდელ სულიერი და გონებრივი კულტურის საუკეთესო გამომხატველნი. ქართული ხელოვნების დიდებული ძეგლები იმდროინდელი განვითარებული ცხოვრების დამამტკიცებელნი. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და მისი დიდებული კურთხევა.

თავი მერვე

საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანა 193 — 293

1. **მეფე დავით აღმაშენებელი** 193—220:ა) დავით აღმაშენებელის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობა 193—210. დავით აღმაშენებელის გამეფებისა და დაბადების თარიღები. საქართველოს სამეფოს მაშინდელი საზღვრები და მდგომარეობა. მეფის მოღვაწეობა პირველს წლებში. მელიქშაჰის სიკვდილი და საქართველოს გარეშე მტრების დასუსტება. დავით აღმაშენებელის მტკიცე პოლიტიკა ურჩ დიდგვარიან აზნაურთა წინააღმდეგ და ლიპარიტ ამირას შეპყრობა, მონანიების შემდგომ მისი განთავისუფლება და ხელმეორე დანაშაულისათვის კვლავ შეპყრობა და 1097 წ. მისი ექსორია-ყოფა საქართველოთგან. იერუსალემის აღება 1097 წ. ფრანგთა მიერ და მაჰმადიანთა თანდათანი დაუძლურება. საქართველოს მოშენება და მოღონიერება და 1097 წ. სრულ დამოუკიდებლობის აღდეგენა. ზრუნვა კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე: 1101 წ. ზედაზენის ციხის დაპყრობა. კახთა მეფის კჳრიკეს სიკვდილი 1102 წ. და მის უნიჭო ძმისწულის აღსართანის გამეფება. ჰერეთ კახეთის საბოლოვო შემოერთება, ცხარე ომი განძის პატრონთან ამის გამო 1104—1105 წ. და დავით აღმაშენებელის გამარჯვება. ბრძოლა ტფილისის საამიროს წინააღმდეგ: 1110 წ. სამშვილდეს და ძერნას აღება. თურქების შიში და სომხითის უმრავლეს ციხეთა მიტოვება და ქართველთა მიერ დაპატრონება. დიდ-ძალ თურქთა ლაშქრის მოულოდნელად შემოსევა და მისი დამარცხება. 1115 წ. თურქთაგან რუსთავის წართმევა. 1116 წ. ტაოში შემოსეულ თურქების დამარცხება. დავით აღმაშენებელის უფროსი ქალის თამარის შირვანშაჰზე გათხოვება და უმთროსი ქალის კატას 1116 წ. საბერძნეთის რძლად გაგზავნა. ციხე გიშის აღება 1117 წ. და დემეტრე უფლისწულის შირვანში იმავე წელს ძლევამოსილი ლაშქრობა. დავით აღმაშენებელის გალაშქრება 1118 წ. რაჭის პირას და თურქთა ამოხოცვა, იმავე წელს ციხე ლორეს აღება. მუდმივი მხედრობის დაწესება საქართველოში

დავით აღმაშენებელის მიერ და ყივჩაყთა გადმოყვანა, მათი მოწყობა და გაწვრთნა, დავით აღმაშენებელის გამგზავრება იმიერ კავკასიაში და ჩრდილოეთის ყველე კართა ციხეების ხელში ჩაგდება. როდის დაწესდა მუდმივი ჯარი საქართველოში და როდის იყო იგი საომრად გაწვრთნილი. ომიანობის წეისის შეცვლა. მუდმივი ჯარის მნიშვნელობა და ნაყოფიერი შედეგი. თურქთა გაწყვეტა 1120 წელს, ქ. კაბალის აღება შირვანში. აშორნიას და სევგელმეჯს თურქების დახოცვა. მტკვრის პირას შემოსეულ თურქთა 1121 წ. ამოწყვეტა. იმავე წელს ბარდავთან მდგომ თურქთა დამარცხება. დიდი ბრძოლა დიდგორთან 1121 წ. მაჰმადიანთა შეერთებულ ჯართან და დავით აღმაშენებელის ბრწყინვალე გამარჯვება. არაბ და სომეხ მემატიანეთა ცნობები ამ ომის შესახებ და ქართველი ისტორიკოსის აღწერილობა. დავით აღმაშენებელის გაბედული სამხედრო ხერხი. ქ. ტფილისის აღება დავით აღმაშენებელის მიერ 1122 წ. და სატახტო ქალაქად ქცევა. წყალობა და უპირატესობანი, რომელიც მეფემ ტფილისის მაჰმადიანთ მიანიჭა. სულტანის შემოსევა შირვანში, შირვანშაჰის შეპყრობა და დავით აღმაშენებლისადმი მიმართული უკმეხი წერილი, მეფის გალაშქრება შირვანში 1123 წ. და არაბულ-ქართულ საისტორიო ცნობათა შედარება და დაფასება ამ ლაშქრობაზე. 1123 წ. დმანისის აღება და დარუბანდელის წინააღმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობა. იმავე წელს სომხითის მრავალ ციხეების აღება და თურქთა ამოწყვეტა ბასიანსა და სპერში. ანისის შემოერთება 1123 წ. დავით აღმაშენებელის მიერ გადახდილი დიდი დღესასწაული ანისის მაჰმადიანობისაგან განთავისუფლების გამო, ქ. შამახიის, ციხე ბიკირტის და სრულიად შარვანის აღება. ყივჩაყთათვის საზამთრო ადგილის მიჩენა. დიდი ლაშქრობისათვის მზადება. მეზობელი მეფეებისა და ამირების მოციქულების და საჩუქრების მოსვლა. დავით აღმაშენებლის სიკვდილი 1125 წელს.

ბ) დავით აღმაშენებელის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტურო მოღვაწეობა 210—220: დავით აღმაშენებელის ფართო და ღრმა განათლება, ვარსკვლავთ-მრიცხველობის ცოდნა. წიგნების კითხვა მეფის სულიერი საზრდო იყო. მეფის ჩვეულება წიგნების კითხვის დროს და საყვარელი წიგნები. წაკითხულის შესწავლა და გამოძიება. ქართ. მეომრების საყვედური - მეფე მეტად გატაცებულია წიგნებითა. საისტორიო თხზულებების კითხვა და ისტორიულ გამოცდილებით სარგებლობა. დავით აღმაშენებელი ბრძენი მმართველი და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების მოწვევა და დიდგვარიან აზნაურ-ეპისკოპოსთა გადაყენება, დემოკრატიული მიმართულების დაკანონება ქართ. ეკლესიაში. ამ გარემოების დიდი მნიშვნელობა. ყივჩაყთა მუდმივი სამეფო ჯარი და დავით აღმაშენებელის ბრძოლა სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან აზნაურ მოხელეებთან. დემოკრატიული პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფო და სამოხელეო სფეროში; ყივჩაყთა გადმოსახლების მნიშვნელობა ქართველთა მოსახლეობის გასაძლიერებლად. დავით აღმაშენებელი ზრუნავდა საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, გელათის აგება. მეფის მზრუნველობა უცხოელ და სხვა რჯულის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. სპარსელ და არაბ-მგოსნებისა და მეცნიერთა მფარველობა. უმაღლეს სამოსამართლო დაწესებულების შემოღება. მეფის ზრუნვა სამეფოს ეკონომიურ წარმატებისათვის და ვაჭრობის გაცხოველებაზე. დავით აღმაშენებელი ვითარცა სარდალი და გულადი მეომარი. მეფის კაცთ- მოყვარეობა და სასნეულოს დაარსება. დავით აღმაშენებელის კერძო ქველმოქმედება. ზნეობრივი სიფაქიზე და მისი მაღალი სულის კრთომანი. დავით აღმაშენებლის «სიჭაბუკის» ცოდვა და სინანული. დავით აღმაშენებელი თავისი თავის მკაცრი მსაჯულია. ისტორიის პირუთვნელი მსჯავრი.

3. **მეფე გიორგი** III 228 – 245: გიორგი III გამეფება და მისი მხნე და მოძრავი ხასიათი. კაღზევანზე გალაშქრება და აშორნიის ქალაქების წარმოტყვევენა. ქ. ანისის აღება გიორგის მიერ 1161 წ. მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობის შემოსევა და ბრძოლა ანისის გამო, ქართველთა დიდი გამარჯვება. არაბ მემატიანის ცნობა ამის შესახებ. მათე ურჰაელის მოთხრობა. ქართულ და არაბ-სომეხთა საისტორიო ცნობების შედარებითი დაფასება. დვინის აღება 1162 წ. და ქართველი ისტორიკოსის შეცდომა. მაჰმადიანთა შეერთებულ ლაშქრის შემოსევა და გაგის აღება, ქართელთა მარცხი. მაჰმადიანთა ლაშქრის მოულოდნელი თავდაცემა ქართველებზე და გიორგი მეფის გაქცევა, ქართულ-არაბულ ცნობათა შედარება. ოთხი წლის მედგარი ბრძოლა ანისის გამო და 1165 წ. ანისის კვლავ «მემამულე»-სათვის დათმობა. ქართ. მეომართა დაუდგრომელობა და ომი მოსაზღვრე მმართველებთან. გიორგი მეფის ლაშქრობა 1167 წ. დარუბანდელთა წინააღმდეგ მოყმე შარვანშაჰის დასაცავად. გიორგი მეფის მიერ ანისის 1173 წ. კვლავ აღება. დემნას განდგომა 1177 წ. და აჯანყების ჩაქრობა. ორგულ დიდგვარიან მოხელეთა მაგიერ ვაზირებად უგვაროთა დადგენა. სამღვდელოებას მეფის გაჭირვებულ მდგომარეობით უსარგებლია და ეკლესიისათვის ყოველი ბეგარისაგან განთავისუფლება მოუთხოვნია, სამღვდელოების გამარჯვება. თამარის თანამოსაყდრედ დასმა 1178—1179 წ. საკანონმდებლო კრების მოწვევა 1179 წ. და ავაზაკობისა და ქურდობის მოსპობა. გიორგი III-ის სიკვდილი 1184 წ.

4. **თამარ მეფე** 245—293: თამარ მეფის ტახტზე აყვანა და დაგვირგვინება. დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა გაფიცვა და უგვარო ვაზირების დამხობა. ამირსპასალარ ყუბასარისა და მსახურთუხუცესის აფრიდონის გადაყენება. მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა პოლიტიკური მოძრაობა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესაცვლელად: ყუთლუ-არსლანის ვინაობა. ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოაზრეთა მოთხოვნილებანი. ვინ უნდა ყოფილიყვნენ კარავში მსხდომარენი, დიდებულნი და დარბაზის ერნი. თამარის უკმაყოფილება და წყრომის მიზეზი. მოძრაობის მოთავის შეპყრობა. მდგომარეობის გამწვავება და სასახლის გარემოცვის განზრახვა. შუამავლად მანდილოსნების მიგზავნა თამარის მიერ აჯანყებულთა ბანაკში და მოძრაობის მშვიდობიანი დასასრული. ამ მოძრაობის შედეგი და ის პირობები, რომლებზედაც შესაძლებელია თამარ მეფე და ყუთლუ-არსლანის თანამოაზრენი შეთანხმებულიყვნენ. როდის მოხდა აზნაურ მოხელეთა გაფიცვა და ყუთლუ-არსლანის დასისი პოლიტიკური მოძრაობა? ახალ ვაზირების დანიშვნა და მათი ვინაობა. თამარისათვის საქმროს ძებნა და გიორგი რუსი. ქორწილი. არანისა და გელაქუნის თურქთა შემოსევა და კახა გამრეკელის გამარჯვება. შავშეთის მოოხრება მაჰმადიანთა ლაშქრის მიერ და მათი უკუქცევა. კარსა და კარნიფორზე გალაშქრება ქართველთა და ქვეყნის მორბევა ბასიანამდის. დვინის ქვეყანაზე გალაშქრება მჯარგრძელთა მიერ. ქართველთა ძლევამოსილობა. სამეფო სახლობის მიმოსვლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გელაქუნისა და ყიზილ-არსლან ათაბაგის თურქმანთა ამოწყვეტა მეფის მიერ. გალაშქრება განძისაკენ ბელაყონამდის და რაჭის პირს მასისამდის, გიორგი რუსის სოდომური ქცევა და მისი განდევნა საქართველოთგან. პირველი ქმრის შერთვისა და განდევნის თარიღები. ამირსპასალარის სარგის მჯარგრძელის სიკვდილი 1187 წ. და მის მაგიერ გამრეკელ თორელის დადგენა. თამარის ქმრობის მონატრული უფლისწულები და სიფრთხილე. მეორე ქმრის შერთვა 1189 წ. დავით სოსლანი, გიორგი რუსის შემოსევა და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა განდგომა. თამარის უშიშარი და მტკიცე

ხასიათი და აჯანყებულთა წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნა. მეამბოხეების სამხედრო გეგმა. მოპირდაპირეთა შეტაკება და თამარის ჯარის გამარჯვება, თამარ მეფისა და მეფე-ვაზირების ბჭობა სამხედრო მოქმედების შესახებ მეამბოხეთა მეორე ლაშქრის წინააღმდეგ. მეამბოხეთა დამორჩილება და სიმტკიცის მიცემა თამარ მეფის მიერ. გიორგი რუსის კვლავ განდევნა. მეამბოხე ვაზირების მაგიერ ერთგულთა დაწინაურება და დასაჩუქრება. ამირ-სპასალარ გამრეკელ თორელის სიკვდილი და მის მაგიერ ზაქარია მჯარგრძელის დანიშვნა. ერთგულ ვაზირთა და სხვა მოხელეების დასაჩუქრება. გუზანის ორგულობა და მისი დამარცხება. თამარის პირმშოს ლაშა გიორგი დაბადება. დღესასწაული ამის გამო და ლაშქრობა ბარდავს «სუესა ზედა ლაშასა» და 30000 ტყვის განთავისუფლება. ძლევამოსილი ლაშქრობა არზრუმს კარნუქალაქის კართან. ყარყრითგან ბელაყუნამდის და არეზის პირის მორბევა და ომი განძის კართან. რაჭსის პირის მორბევა მჯარგრძელთაგან და ქარავნის მეკობრეთა ამოწყვეტა. დიდი გელაქუნისა, სპარსი ბაზარისა და გორალაუქის მორბევა და სახელოვანი გამარჯვება. გიორგი რუსის შემოსევა კამბეჩიანში და მისი დამარცხება. შანქორის დიდი ომი. მისი მიზეზი. შირვანშაჰის მუდარა თამარისადმი და დახმარების თხოვნა, სადარბაზოდ მოსვლა და შველის დაპირება. აბუ-ბაქრ ათაბაგის მზადება ომისათვის და მოკავშირეთა შეყრა. საქართველოს მთავრობის ბჭობა ომის თაობაზე და დიდი სამხედრო სამზადისი. ომი შანქორთან და ქართველთა სამხედრო გეგმა და მოქმედება. ქართველთა სახელოვანი გამარჯვება. შანქორის აღება და ამირ-მირანისათვის ბოძება მეფე დავით სოსლანის მიერ. გალაშქრება განძისაკენ, ქალაქის უბრძოლველად დამორჩილება. ქართველთა დიდი დარბაზობა განძაში და დღესასწაული გამარჯვების გამო. მახარობლის გაგზავნა თამარ მეფესთან და ძლევამოსილ მხედრობის შინ დაბრუნება. შანქორის ომის თარიღის შესახებ. შანქორის ომის მნიშვნელობა. აბუ-ბაქრ ათაბაგის ვერაგობა და ამირ-მირანის მოწამლვა. გელაქუნთან მტრის ლაშქრის დამარცხება ივანე მჯარგრძელის მიერ. ამბერდის დაპყრობა 1196 წ., ბიჯნისის აღება 1201 წ. აბუ-ბაქრის დასასჯელად მოწყობილი ლაშქრობა განძას და დვინს 1203 წ. თურქთა შემოსევა და სამაგიეროდ მათ სამფლობელოს მორბევა ქართველთაგან. ხახულისა, ოშკისა და ბანას აღება. ივანე მჯარგრძელის მონათვლა «სარწმუნოებასა ზედა ჩუენსა». ტრაპიზონის სამეფოს დაარსება 1204 წ. თამარ მეფის მიერ, მანაზკერტამდის და არჭეშამდის ლაშქრობა 1204—1205 წ. ქართველთა ჯარის დამარცხება 1205—1206 წ. ხლათთან. ქ. კარის აღება 1206 წ. რუქნადინის დიდი მზადება ქართველების წინააღმდეგ და მისი უკმეხი წერილი თამარ მეფის მიმართ. ქართველთა ჯარის გამგზავრება რუქნადინის წინააღმდეგ საომრად და ქართველების სამხედრო მოქმედების გეგმა. ფიცხელი ბრძოლა და რუქნადინის დამარცხება 1206 წ. მაჰმადიან ისტორიკოსთა ცნობები ამ ომის შესახებ და ქართული საისტორიო წყაროების სიმართლე. რუქნადინის დამარცხებისა და ქართველთა გამარჯვების მნიშვნელობა. დავით სოსლანის სიკვდილი 1207 წელს და ქართული საისტორიო ცნობების დილი აღრევა და უთანხმოება ამის შესახებ. ქ. არჭეშის აღება 1208—1209. წ. ქართველთა ლაშქრობა ხლათის ასაღებად 1210—1211 წ. და ივანე მსახურთუხუცესის ტყვედ დაჭერა, ზავის დადება მტერთან და ივანეს განთავისუფლება ტვეობითგან. არდაველის სულტნის შემოსევა და ქ. ანისის საშინელი აოხრება. ქართველთა სამაგიერო გალაშქრება სპარსეთში და არდაველის სულტნის დასჯა. მჯარგრძელთა და გეგელის წინადადება და ქართველთა ბჭობა სპარსეთში გალაშქრების შესახებ, ლაშქრობის გადაწყვეტა და მზადება, მხედრობის გამგზავრება და მარანდის ომი. თავრეჟის უბრძოლველად დამორჩილება, მიანას ამგვარადვე დამორჩილება,

ზანგრის ციხე-ქალაქის გარემოცვა და აღება, ყაზმინის მორბევა, რომგურისაკენ გალაშქრება და ქ. გურგანამდე მიწევნა. ტყუილი ხმა ქართველთა ლაშქრის მოწყვეტის შესახებ და მიანის მელიქის მტარვალობა, ქართველი მცველების დახოცვა, ქართველთა დაბრუნება და მელიქის დასჯა, ქართველთა მხედრობის დაბრუნება სამშობლოში, ამ ლაშქრობის მნიშვნელობა, უცხოელ მემატიანეთა ცნობები ამ ლაშქრობის შესახებ. ამირსპასალარ ზაქარიას სიკვდილი და ქრონოლოგიური ცნობები ამის შესახებ. მის მაგიერ ივანე მჯარგრძელის დანიშვნა და ათაბაგობის დაწესება. ფხოველთა და დიდოთა განდგომა და მათი დამორჩილება. თამარ მეფის ავადმყოფობა და გარდაცვალება, გარდაცვალების თარიღი, თამარის დასაფლავება, თამარ მეფის პირადი ღვაწლი და თვისებები. თამარი ვითარცა პოლიტიკოსი, მისი ლმობიერება და უაღრესი ძვირუხსენებლობა, ძალმომრეობისა და მესისხლეობის მოძულე იყო, მან სიკვდილით დასჯა მოსპო საქართველოში, საერთაშორისო ურთიერთობაში ხშირად შელახულ უფლების აღმადგენელი. თამარი გულმოდგინე მართლმადიდებელი ქრისტიანე იყო. მისი კერძო ქველმოქმედება და საკუთარი შრომით შეძენილი ფულით ქველმოქმედების გაწევა. თამარის თავდაბლობა და სათნო ხასიათი, თამარ მეფის საზოგადო დახასიათება. თამარის დიდი სახელი და თაყვანისცემა.

თავი მეცხრე

საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება ძლიერებისა და აყვავების ხანაში 291- 313

საქართველოს გაერთიანება და ძლიერ საერთაშორიო მნიშვნელოვან სახელმწიფოდ ქცევა. საქართველომ აქტიური პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი. საქართველოს ეკონომიური აყვავება ვითარცა ძლევამოსილი ომებისა და მტკიცე წესიერებისა და სრული მშვიდობიანობის შედეგი, სახელმწიფო მზრუნველობა უძლურთა და გლახაკებზე. XII ს. გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები, ქართველ მოღვაწეთა დიდი საკულტურო მუშაობა. ეფრემ მცირე პრველხარისხოვანი ისტორიკოსი, მეცნიერი და ფილოსოფოსი იყო. საფილოსოფიო მწერლობის გაჩენა ქართულად, იოანე პეტრიწი და ნეოპლატონიკური ფილოსოფია ბიზანტიასა და საქართველოში, ბრძოლა სამეცნიერო კვლევაძიების თავისუფლებისათვის და იოანე პეტრიწი, ქართველთა დაწინაურება ფილოსოფიაში და მხურვალე მონაწილეობა ნეოპლატონიკურ ფილოსოფიის გაცხოველებაში. ელლინიზმი საქართველოში. ქართული ხელოვნების აყვავება და საუცხოვო ნიმუშები. საქართველო აღმოსავლეთში ქრისტიანეთა ძლიერ მფარველად იყო. საქართველოს დიდება და პოლიტიკური სიამაყე. საქართველო თითქოს მუსულმანობის მებრძოლად გამოდიოდა. საქართველოს მკვდრთა განსაკუთრებული უპირატესობანი მაჰმადიანთა ქვეყნებში, ქართველთა მეტისმეტი გატაცება ომიანობითა და მეზობელთა ტყუილ-უბრალოდ გადაკიდება და ქართველთა ამგვარი სითამამის მავნებელი შედეგი. ქართველები მაჰმადიანობას ებრძოდნენ სარწმუნოების გამო კი არა, არამედ ვითარცა პოლიტიკურსა და სამხედრო ძალას. მაჰმადიან ქვეშევრდომთა შესახებ მზრუნველობა საქართველოში. არაბულ-სპარსული კულტურის თაყვანისცემა საქართველოში და სრული კავშირი ქართველთა და მაჰმადიანობას შორის. ქართველობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის

შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. საერთო საკულტურო ურთიერთობა და მუშაობა საქართველოს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის. ქართული მხატვრული პოეზიის გაჩენა და მისი მნიშვნელობა, სამეფო კარი და მეხოტბეობა, შავთელი და ჩახრუხაძე, ჩახრუხაძის ქმნილებანი ამტკიცებენ რამდენად განათლებული ყოფილა იმდროინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოება. შოთა რუსთაველი და მისი აზრები პოეზიისა და სიყვარული შესახებ. პროფ. ნ. მარის გამოკვლევა და შოთას ქადაგება რაინდული სიყვარული შესახებ. «ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხუადია». როგორ დაიბადა და განვითარდა საქართელოში ქალის თაყვანისცემა. ქალ-ვაჟის თანასწორობის აზრი საქართველოში. ქალების ნაყოფიერი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებაში. შენ*. «ვეფხისტყაოსნისა» და შ. რუსთაველის დროის შესახებ, ბ. კაკაბაძის შეცდომა.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა VII—XII სს. საქართველოს გეოგრაფიული ვითარების გათვალისწინება, ამის გამო იგი აღნიშნავდა: «ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ, თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს გეოგრაფიული ვითარება VII—XII ს. შევისწავლოთ იმ ქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი VII—XII ს. განმავლობაში» (გვ. 5). ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევა-ძიება (ტერმინები, მთები, ზღვები, ტბები, მდინარეები, მოსახლეობა, გზები)... პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მან პირველმა შეძლო არაერთი დასახლებული პუნქტის ლოკალიზება, თუმცა ამ მხრივ ზოგი რამ მაინც გამოსარკვევი დარჩა. ამიტომაა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მიმოხილვისას ასე ხშირად აღნიშნული: «მაგრამ მათი მდებარეობა ვერ გამოვარკვიე», »ვერც კურცხობა»-ს მდებარეობის გამორკვევა შევძელით ჯერ-ჯერობით», «ვერც «ოტათლოანი»-ს მდებარეობას მივაგენ; 5-ვერსიან რუკაზე არ არის, არც ვახუშტის აქვს», «ნიკორწმინდის XI ს. სიგელშივე ჩამოთვლილია შემდეგი სოფლები, რომელთა მდებარეობა ვერ გამოირკვა...»; «ჯავახეთსავე იყო «სოფელი ტონთიო», რომლის მდებარეობა ვერ გავარკვიე» და სხვ. მაგრამ უფრო ხშირად ივ. ჯავახიშვილს ზედმიწევნით აქვს დადგენილი და ლოკალიზებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ინტენსიური ყურადღებისა და შესწავლის საგანი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ. ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში არსებობს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება. გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის კრებულები და მონოგრაფიული გამოკვლევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სხვადასხვა საკითხზე.

გვ. 21. «დასასრულ იხსენიება «ჭალა აგარათაჲ (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, 667, გვ. 457), რომელიც სომხეთში უნდა ყოფილიყო», ხელნაწერში არის: «სომხითში».

გვ. 73. ივ. ჯავახიშვილი არაბთა პირველ ლაშქრობას საქართველოში 643-645 წლებით ათარიღებდა, ამჟამად გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანი.

გვ. 73-76. ივ. ჯავახიშვილი ვრცლად ლაპარაკობს არაბულ «დაცვის სიგელზე», რომელიც არაბ სარდალ ჰაბიბ იბნ-მასლამას და ქართლის ერისმთავარს შორის დაიდო; მოაქვს ბალაზორის და ტაბარის თხზულებებში დაცული «დაცვის სიგელის» ვარიანტები. "დაცვის სიგელი» მკვლევართა მიერ სხვადასხვანაირად არის დათარიღებული: ს. ჯანაშიას აზრით, «დაცვის სიგელი» გაცემულია 654-655 წელს. ბ. სილაგაძის მიხედვით არაბთა ლაშქრობებს საქართველოში ადგილი აქვს 643-644-645 წლებში, დაცვის სიგელი კი გაცემულია 655 წლის გაზაფხულის ბოლოს.

გვ. 76. შესწორებას საჭიროებს «მუავიამ მოჰკლა ხალიფა და თვით დაჯდა მაჰმადიანთა ერთადერთ მბრძანებლად», ხალიფა ალი მოჰკლეს ხარიჯიტებმა.

გვ. 78. 1965 წ. გამოცემის რედაქტორის მიერ ჩამატებულია: «ასეთი ხელსაყრელი გარემოებისდა მიუხედავად». წინამდებარე გამოცემაში აღდგენილია თავდაპირველი წაკითხვა.

ხელნაწარში არის: «არაბები ჰგრძნობდნენ, რომ...» და ა. შ. 1914 წ. გამოცემაში ნათქვამია: «ხოლო თვით არაბები ჰგრძნობდნენ, რომ"...

გვ. 78. «ხალიფა ჰიშამის (724-743) ბრძანებისამებრ ჯარრაჰმა 729-730 წ. ქ. შ. ტფილისის სანახებზე გაიარა, კვლავ ხაზართა ქვეყანას შეესია და ერთი ქალაქიც აიღო». ჯარრაჰის ლაშქრობის 729-730 წლით დათარიღება საეჭვო ჩანს. ს. ჯანაშიას მიხედვით 722- 723 წელს ადგილი ჰქონდა არაბთა პირველ ლაშქრობას ხაზართა წინააღმდეგ, მეორეს 724-25 წელს.

გვ. 79. «არაბთა ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, მურვანი 114 წ. ჰიჯრ. (= 729-730 წ. ქ. შ.). ყოფილა გამოგზავნილი». უნდა : «114 წ. ჰიჯრ. (732-733)».

გვ. 100. 1948 წ. და 1965 წ. გამოცემებში დაბეჭდილია: «მას ჟამსა გამოვიდა იგი აფხაზთა მეფე გიორგი, ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხა ჯე დიმიტრისი», რომელსა ერქუა ბაგრატ (მქ - 164) (მტ᾽ნე ქ᾽ω*446, გვ. 223) და ბაგრატი იძულებული იყო გაჩუმებულიყო», ციტატაში ზედმეტ სიტყვებად ჩანს «რომელსა ერქუა ბაგრატ». «ქართველი ერის ისტორიის» II წიგნის 1914 წ. გამოცემაში ნათქვამია! «...დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხა ძე დიმიტრისი (მტ᾽ნე ქართლისა *446, გვ. 223) და ბაგრატ იძულებული იყო გაჩუმებულიყო»; ხელნაწერში: « და ბაგრატი იძულებული იყო გაჩერებულიყო».

გვ. 115 ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს დამოკიდებულების ის ფორმები, რომლებიც ქართველებსა და არაბებს შორის არსებობდა, ყურადღებას აქცევდა ამ დამოკიდებულება-განწყობილების ცვალებადობას. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: "დამოკიდებულებამ და განწყობილებამ ქართველებსა და არაბებს შორის ამ ხნის განმავლობაში თავისი პირვანდელი ხასიათი დაჰკარგა და შეიცვალა», აღნიშნულია ისიც, რომ თანდათან არაბებს კავკასიაში ფეხებითგან ნიადაგი ეცლებოდათ და წინანდებურად მბრძანებლობა აღარ შეეძლოთ», თუმცა ზოგჯერ «კვლავინდებურად მოღონიერდებოდნენ» და «კავკასიის გამოცოცხლებულ სამთავროებს თავიანთ სუსხს უჩვენებდნენ ხოლმე». ივ. ჯავახიშვილმა უჩვენა არაბთა ბატონობის შესუსტების და, ბოლოს დამხობის მიზეზები, აღნიშნა არაბთა ურთიერთბრძოლის მნიშვნელობა, «რომელმაც სხვათა შორის თბილისის დამოუკიდებელ საამიროს დაარსებაშიც თავი იჩინა». მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილი საჭიროდ თვლიდა ეთქვა, რომ აუცილებელი იყო უფრო სრული ცნობების მოპოვება არებეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებისა და ცვალებადობის დასახასიათებლად;

«საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართველ-არაბთა დამოკიდებულება ცვალებადი იყო და ჯერ კიდვ საკმაო ცნობები არ მოიპოვება, რომ მისი ყოველგვარი ცვლილებების აღნუსხვა შეიძლებოდეს». ზოგიერთი ახალი ცნობა მოიპოვეს იმ ქართველმა ისტორიკოსებმა, რომელთა გამოკვლევები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობათა სხვადასხვა მხარეს ეხება (ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე, ე. სიხარულიძე, ო. ცქიტიშვილი), მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ინტენსიური კვლევა-ძიება, რათა არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ”ყოველგვარი ცვლილებების აღნუსხვა შეიძლებოდე

გვ.151. შესწორებას საჭიროებს «ტოღრულბეგს დარჩა მემკვიდრედ მამაზე, ჩაკირბეგზე, დ ბიძაზე უფრო გამბედავი და გულადი შვილი ალფარსლანი, რომელმაც მცირე აზიაში ბევრი სახელოვანი ომი გადაიხადა». ალფ-არსლანი ტოღრულ-ბეგის ძმისწული იყო.

გვ.159. წყაროში ნათქვამია, რომ სულტანმა ბაგრატ მეფეს «აჰკიდა მზახობა, სთხოვა ასული მისის დისა...» აქ უნებლიე შეცდომაა დაშვებული, წყაროს სიტყვებითგან არ ჩანს, «რომ სულტანს ელჩის პირით მზახობაზე, მაშასადამე მშვიდობიანობაზე ჩამოუგდია ლაპარაკი». წყაროში ლაპარაკია მზახობა-დანათესავებაზე სულტანსა და ბაგრატ მეფეს შორის, რასაც შეიძლებოდა მშვიდობა მოჰყოლოდა. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, «რომ სულტანმა ალფარსლანმა საქართველოს მიწაწყალი მიატოვა მხოლოდ მეფესთან ზავის ჩამოგდების შემდგომ».

გვ.159. «ანტიოქია და იერუსალემი ფრანგებმა 1097 წ. აიღეს». უნდა: «1099 წ. აიღეს».

გვ. 195. კახთა მეფე კვირიკეს «დავითმა შეურჩია დრო და «წარუღო კჳრიკეს ციხე ზედაზენი, ქრონიკონი იყო სამას ოცდა სამი... მაშასადამე, ეს ამბავი მომხდარი 1101 წელს» უნდა:» 1103 წელს».

გვ. 202. შენ. 4. მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრის განსაზღვრისას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს:» მაგრამ თავდაპირველს იბნ ალასირის დედანში იქნება 3000 000 ან 400 000 იყო, როგორც მათე ურჰაელსა აქვს მოხსენებული». იბნ ალ-ასირის თხზულებაში არის 30 000.

გვ. 207. «ხოლო მეორე ტავუშის, გაგისა, ტერუნა-კანის და ლორეს და ანი. შემოერთებას იხსენიებს». ხელნაწერსა და 1914 წ. გამოცემაში: «ხოლო მეორე ტავუშის, გაგისა, ტერუნაკანის და ლორეს შემოერთებას იხსენიებს». «და ანი» აშკარად კორექტურული შეცდომაა.

გვ. 208. «მათე ურჰაელი ანისის დაპყრობის თარიღად შეცდომით 1124 წელს სდებს (გვ. 448 და 451), სტეფანოს ორბელიანი-კი 1123 წელს (გვ.277). სწორია 1124.

გვ. 225. «...ქართველებსა და არზრუმის მთავრის სალიხს (სალდუხს) შორის სომხითში სასტიკი ბრძოლა მოხდა». დედანშიცა და 1914 წ. გამოცემაში არის «სომხითი» უნდა «სომხეთი».

გვ. 228. «ხოლო მორიდებითა ბერძენთასა და მიმო(ც)ვ(ა)ლებითა ჟამთა დიდ გურიანთა ვიეთმე შედად(ი)ამგ)ეთა და(დ)გუმულთა». დედანშია: «მირიდებითა ბერძენთასა», «ჟამთათა», »დიდგუარიანთა», «შადადიანთა».

გვ. 229. «და ქალაქ ანისასკენ, რომელიც არანშია»; ასევეა იბნ ალ-ასირთან.

გვ. 238. «მაშინ შარვანში მეფედ გიორგი მეფის დისწული აღსართანი ყოფილა (ისტ᾽რნი და აზ᾽მნი, * 612, გვ. 384)». უნდა : «გიორგი მეფის მამის დისწული». წყაროში ნათქვამია: «მამის დისწულის მისისა აღსართანისასა» (ისტორიანი და აზმანი, გვ. 17).

გვ. 239. «და თვით ქალაქი თავის დისწულს შარვანშაჰს უწყალობა» (იქვე). უნდა: «თავის მამის დისწულს».

გვ. 329. «1173 წელს გიორგი III ანისი კვლავ აიღო». უნდა: 1174 წელს.

გვ. 250. გასამართავი ჩანს: «დიდებულნი ორგვარნი იყვნენ: დიდებულნი მოხელენი და აზნაურნი; თვით აზნაურთ დიდებულებაც უმაღლეს მოხელეობაზე იყო დამოკიდებული. ხოლო უკვე XI ს. მოყოლებული ამ ორ ჯგუფითგან საქართელოში წარმოიშვა და ცალკე გამოიყო და განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ერთეულად იქცა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველი ადგილი დაიჭირა, აზნაურობაზე უფრო მაღლა იდგა», ასევეა დედანშიც, არ ჩანს რომელი ახლადგამოყოფილი ჯგუფია ნაგულისხმევი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში ჰქონდა «დარბაზის ერნი», რადგან დამოწმებული ადგილის გაგრძელებაში ნათქვამია: «დარბაზის ერნი» კი იმ პირებს ერქვათ, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს საბჭოში მონაწილე წევრებად ითვლებოდნენ».

გვ. 256. დაბეჭდილია: «მოაოჯრა ქუეყანა პართთა». უნდა: მოაოჯრა ქუეყნა სპარსთა».

გვ. 265. ყველა გამოცემაშია: «ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზ [ილ] არსლან ათაბაგი, და აწ განსვენებული, მუჰლიდთა მიერ». ხელნაწერში: «ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზ [ილ] არსლან ათაბაგი, და აწ გასულტნებული მუჰლიდთა მიერ».

გვ. 290. სხვადასხვა წყაროს (ქართული, უცხოური) ცნობათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად. ივ. ჯავახიშვილი 1213—1214 წ. სდებდა: «მაშასადამე, თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად უნდა 1213—1214 წ. ვცნათ». თუმცა, ამავე დროს, იმასაც აღნიშნავდა, რომ ამ თარიღს ეწინააღმდეგება ზოგიერთი წყაროს ცნობა (უმთავრესად ჰაღბატის მონასტრის 1210 წლის დათარიღებული სომხური წარწერა). ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარ მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება, ზოგი მკვლევარი 1210 წელს ასახელებს, ზოგიც 1207 წ.

გვ. 310. «ვეფხისტყაოსნის» გამო ივ. «ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს: «შოთა რუსთაველმა, როგორც თვით ავტორი ამბობს, თავისი პოემისათვის აიღო სპარსული ამბავი, რომელიც «ქართულად ნათარგმანები» ყოფილა და განაგრძობს: «ეტყობა ეს ამბავი დიდი ხნის ნათარგმნი ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პოემაში სპარსული საკუთარი სახელები დამახინჯებული ყოფილა და თვით რუსთაველსაც ამ სახით სცოდნია ეს სახელები. შოთას შეიძლება მისი მთარგმნელის ვინაობა, მაინცა-და-მაინც თვით სპარსული დედანი არც კი სცოდნოდა და იგი ამბობს ეს ნათარგმნი ამბავი «ვპოვე»-ო. რუსთაველს მოსწონდა ეს ამბავი და «ობოლ-მარგალიტად სთვლიდა, მაგრამ თავისი თხზულების ღირსებისათვის ეს დამამცირებელ გარემოებად არ მიაჩნდა იმიტომ, რომ თავისი თხზულების მაღალ ღირსებას კარგადა ჰგრძნობდა». რუსთველოლოგიაში დღეს სულ სხვანაირადაა დასმული შოთა რუსთაველის «სპარსულ ამბავთან» დამოკიდებულების საკითხი. ამასთან გარკვეულია, რომ «სპარსელი» და «სპარსული» რუსთველის ეპოქაში იხმარებოდა როგორც კონკრეტული (საკუთრივ სპარსელის, სპარსულის), ისე ზოგადი (აღმოსავლურის, მაჰმადიანურის) მნიშვნელობით. სავსებით აშკარაა, რომ შოთა რუსთაველს «სპარსულ ამბავში» ნაგულისხმევი აქვს «აღმოსავლურ-მაჰმადიანური ამბავი», «აღმოსავლურ-მაჰმადიანური» გარემო და არა სპარსული ნაწარმოები, მით

უმეტეს ამ ნაწარმოების დედანი, რომელიც, «დიდი ხნის ნათარგმანები ყოფილა». გამოთქმა «ქართულად ნათარგმანები» ნიშნავს «აღმოსავლურ-მაჰმადიანური ამბის», «აღმოსავლურ-მაჰმადიანური სამყაროს», »ვეფხისტყაოსნის» გმირების აღმოსავლეთში მიმდინარე თავგადასავლის ქართულად აღწერა-განმარტებას.

გვ. 396. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ «საქართველოს მეფის წინანდელ სახელწოდებას მიემატა შესატყვისი ნაწილი და მას ეწოდებოდა «მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა». გასამართავი ჩანს ამ წინადადების უშუალო გაგრძელება: «ეს სახელწოდება შერჩა ხელმწიფეს მთელი XVIII საუკუნის მანძილზე».